დათვი, მელა და მგელი

დათვი, მგელი და მელა დაძმობილდნენ და წავიდნენ ანჭმლის საშოვნელად. ნახირს ერთი მსუქანი ფური ჩამორჩენოდა, ძმობილებმა უპატრონო ფური დაიმარგოსელეს, ეს ულრან-უდაბურ ადგილზე შეიმწყვდიეს და გაფატრეს. ასხდნენ და დაიწყეს ბჭობა, როგორ გავიყოთო. მელამ თქვა:

— მოდით, ვინც ჩვენში ყველაზე ხნიერი იყოს, ეს ძროხა სულ იმას დარჩესო. — და პირველმა თვითონვე დაიწყო: — მე იმ ხნისა ვარ, როცა ცა და დედამიწა გაჩნდა და ამ ქვეყანაზე ჩემს მეტი სულიერი არ არსებობდაო.

— მართლაც ძალიან ხნიერი ყოფილხარო, — მოუწონა დათვმა და მგელს ჰკითხა: — აბა, შენ როდინდელიღა ხარო?

მგელმა თქვა:

— ცა და ქვეყანა რომ გაჩნდა, პირველი შვილი სწორედ შენ მომიკვდაო.

ჯერი დათვზე მიდგა, ბიძამ ცერად შეხედა ორივეს და თქვა:

— მე ჯერ ორი წლისაც არა ვარ, მაგრამ, თუ კარგი ბიძები ხართ, მიდით და ამ ძროხას პირი დააკარეთო.

სწორედ ამაზეა ნათქვაამი, — ძალა აღმართსა ხნავსო. ასდგა დათვი ძროხას და მგელსა და მელას ერთი ჩიჩქიც ერ უწილადა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

კატა და ვეფხვი

ერთხელ სოფლის ბანაპირას ერთი გლეხი ყანას ხნავდა. გლეხს კატაც თან წამოჰყოლოდა და ტყის პირას ჩიტებსა და კალიებზე ნადირობდა. უცბად ტყიდან ვეფხვი გამოვარდა, დაინახა კატა და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— შენ, ძამიავ, როგორც ვატყობ, ჩემი მოდგმისა უნდა იყო და რა უბედურება დაგმართია, რომ ასე დაპატარავებულხარო?

— ეჰ, ძმაო, — უთხრა კატამ, — შენ რომ ჩემს ბატონს იცნობდე, მაგას აღარ შემეკითხებოდიო.

— მერე და, ეინ-არის შენი ბატონიო?

— ადამიანიო.

— აბა, ერთი დამანახვე და შენი დაჩაგვრისათვის სამაგიეროს მე გადავუხდიო, — დაიღრინა ვეფხვმა.

— არ გირჩევ, — უთხრა კატამ, — მოგერევაო.

მაგრამ ვეფხვმა არ დაიშალა და კატაც გაუძღვა, მიიყვანა თავის პატრონთან და უთხრა: — აი, ეს არის ჩემი ბატონიო.

ვეფხვი გადაუდგა გუთნეულს წინ და კაცს შეუტია:

— შენ, ეი, ადამიანი ხარ, თუ ვიღაც ოხერი, ეს ჩემი მოდგმა-ჯილაგი ასე რატომ დაგიჩაგრავს, ან პასუხი აგე, ახ შემებრძოლეო.

— კარგი, ვიბრძოლოთო, — უპასუხა გლეხმა, — მაგრამ მე ღონე შინ დავტოვე, წავალ, მოვიტან და ბატონი ბრძანდებიო.

ვეფხვი დათანხმდა, — ოღონდ ჩქარა მოდი, ბრ დაიგვიანო, — გააფრთხილა.

გლესმა უთხრა:

— მეშინია, ვაითუ შეგეშინდეს, ჩემს მოსვლამდე ტყეში გაიქცე და სოფელში ჩასვლა-ამოსვლამ ტყუილად ჩამიაროს. მოდი, ასე ვქნათ, რომ არ გამექცე, ამ ხეზე თოკით მიგაბამ, ამოვიტანთ ჩემს ღონეს, ისევ აგიშვებ და ვიბრძოლოთო.

ვეფხვი ამაზეც დათანხმდა, გლესმა გუთნეულს საყელრის ჯამბარა ახსნა და ვეფხვი ხეზე მიაკრა. თვითონ ისევ ტყეში შევიდა, მოსჭრა ჯაგრცხილის ხორკლიანი სახრე, გამოიტანა და გადაუჭირა და გადაუჭირა ვეფხვს, — აი, ჩემი ძალა და ღონეო!

ვეფხვი ტკივილისაგან სულ მაღლა-მაღლა ხტოდა და შეესაბრალისად ღმუოდა, მაგრამ გლესი შეუბრალებლად ურტყამდა. ბოლოს მთლიანად რომ მიასავათა, აუშვა და უთხრა:

— არა მკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო! წადი და ბმის შემდეგ იცოდე, სადაც არ გეკითხებოდნენ, იქ ნუ წაიჩხირებიო.

ნაცემ-ნაბეგვი ვეფხვი ლასლასით გაუდგა გზას და კატას მიაძახა:

— ბარაქალა, ძმაო, შენს ვაჟკაცობას, რომ ასეთი ბატონის ხელში ეგ ტანიც შეგრჩენიაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



გვრიტი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი, ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე, იდგამდა ბუდეს, ჩეკდა ბარტყებს და მზრუნველადაც უვლიდა, — ადრე დილიდან მზის ჩასვლამდე ფრთებჩაუკრეფლად დაფრინავდა და შვილებს საზრდოს უზიდავდა. საღამოობით დაღლილ-დაქანცული, მაგრამ ბედნიერი, ჩამოჯდებოდა ბუდის გვერდით, და მიდამოს ნელი გვრინით ატკბობდა.

ერთხელაც ბარტყებისათვის საჭმლის საშოვნელად შორს მოუხდა გაფრენა და ბუდეს დიდი ხნით მოშორდა. ერთმა გლეხმა ამით ისარგებლა, ამოსხა ბუდიდან გვრიტის პაწაწინა ბარტყები და შინ წაიყვანა.

დაბრუნდა გვრიტი შორეული მოგზაურობიდან და საზრდოც—ჭიაღუა და მსუქანი მატლები — ბლომად მოიტანა; მაგრამ სადღა არიან ბარტყები? — ბუდე ცარიელი დახვდა. დაღონდა გვრიტი, ბუდის გვერდით ფრთებჩაბოყრილი ჩამოჯდა და მწარედ ატირდა.

ტირილით რომ გული მოიოხსა, ადგა და შვილების საძებნელად წავიდა. ცოტა გზა რომ გაიარა, წინ მამალი შემოხვდა და ჰკითხა:

— გვრიტო, გვრიტო, სად მიდიხარო?

— შვილების საძებნელადო.

— მოდი, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

— ძალიან კარგიო, — უთხრა გვრიტმა, — მშველელი და ამხანაგი კაცს სწორედ გაჭირვების ჟამს უნდაო,—და გაიყოლა.

წავიდნენ ორნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი. იარეს, იარეს და წინ მახათი შემოეყარათ.

— გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიათ? — ჰკითხა მახათმა.

— შვილების საძებნელადო.

— ეგ მამალი რაღად მოგდევსო?

— ჩემ საშველად მოდისო.

— მაშ მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

— ძალიან კარგიო, — მიუგო გვრიტმა.

შეუერთდა მახათიც და გაუდგნენ გზას სამწი. წინ გვრიტი მიდის, უკან მახათი და მამალი მისდევენ, იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შემოხვდათ.

— გვრიტო, გვრიტო, საით გაგიწევიათ? — ჰკითხა ფილთაქვამ.

— შვილების საძებნელადო.

— ეგ მახათი და მამალი რაღად მოგდეეენო?

— ჩემ საშველად მოდიანო.

— მაშ მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

— ძალიან კარგიო.

შეუერთდა ფილთაქვაც და წავიდნენ ოთხნი. წინ გვრიტი მიდის, უკან მამალი, მახათი და ფილთაქვა მისდევენ. იარეს, იარეს და ახლა ვირი შემოხვდათ.

— გვრიტო, გვრიტო, საით მიდიხარო? — ჰკითხა ვირმაც.

— შვილების საძებნელადო.

— ეგ მამალი, მახათი და ფილთაქვა რაღად მოგდეეენო?

— ჩემ საშველად მოდიანო.

— მაშ, მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

— ძალიან კარგიო.

შეუერთდა ვირიც და წაეიდნენ ხუთნი. შუალამისას ერთ სოფელში შევიდნენ, დაუგდეს ყური და ერთი სახლიდან პატარა გვრიტების ღუღუნი გაიგონეს. მივიდნენ სახლთან, შევიდნენ ეზოში და საიმრად მოემზადნენ: ვირი სახლის კარებთან აიტუზა, მახათი ჭუჭრუტანიდან შეძვრა და ბუხრის პირას დაერჭო. გვრიტი, მამალი და ფილთაქვა ერდო-

დან ჩავიდნენ. მამალი ბუსრის თავზე შემოჯდა, ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო, ხოლო გვრიტი გალიასთან მიფრინდა და ბარტყების გამოსსნას შეუდგა.

დედის დანახვაზე ბარტყებმა ერთი ჭყიპინი და კრუშ-კრუში ატეხეს. სმაურზე კაცს გამოეღვიძა, წამოვარდა ლოგინიდან და, რომ გაეგო, სიბნელეში რა ხდებოდა, ბუხართან ცეცხლის ასანთებად მივიდა. გაჩსრიკა თუ არა ნაღვერდალი, ფილთაქვა გასკდა და ნაცარი თვალებში შეეყარა. კაცი შეშინდა, უკან დაიწია და ბარძაყში ახლა მახათი შეერჭო. ამ დროს მაღლიდან მამალმაც დაჰყივლა. კაცს შეეშინდა და გულგახეთქილი გარეთ გავარდა. კარებთან ვირი დახვდა და გვერდებში ისეთი წიხლები უტყუპა, რომ სამი ყირა გადაატარა.

ამასობაში გვრიტმა გალია გახსნა, გამოიყვანა თავისი ბარტყები, შეისხა ფრთებზე და გახარებულმა ბუდისაკენ გაიფრინა.

ჭარი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

თხა და ვენახი

მოდი, ვნახო ვენახი,
რამ შეჭამა ვენახი?
მიველ, ვნახე ვენახი,
თხამ შეჭამა ვენახი.

მოდი, ვნახო თხა,
რამ შეჭამა თხა?
მიველ, ვნახე თხა,
მგელმა ჭამა თხა.

მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო მგელი,
რამ შეჭამა მგელი?
მიველ, ვნახე მგელი,
თოფმა ჭამა მგელი.

თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო თოფი,
რამ შეჭამა თოფი?
მიველ, ვნახე თოფი,
ჟანგმა ჭამა თოფი.

ჟანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,

მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო ყანგი,
რამ შეჭამა ყანგი?
მიველ, ვნახე ყანგი,
მიწამ ჭამა ყანგი.

მიწამ — ყანგი,
ყანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო მიწა,
რამ შეჭამა მიწა?
მიველ, ვნახე მიწა,
თაგვმა ჭამა მიწა.

თაგვმა — მიწა,
მიწამ — ყანგი,
ყანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდი, ვნახო თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი?
მიველ ვნახე თაგვი,
კატამ ჭამა თაგვი.

კატამ — თაგვი,
თაგვმა — მიწა,
მიწამ — ყანგი,
ყანგმა — თოფი,
თოფმა — მგელი,
მგელმა — თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მეგობრობა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ სახელმწიფოში ერთი უშიშარი და ბლალ-მართალი კაცი ცხოვრობდა. მუდამ სიალალმართლეზე იდგა და, თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, თავის სიმართლეს ხელმწიფესაც არ დაუთმობდა; ამის გამო ხელმწიფეს ძალიან სძულდა და სულ კრიჭაში ედგა. ხომ იცით, რომ ხელმწიფეებს სიმართლისმოყვარული კაცი არ მოსწონთ. ბოდა, ეს ხელმწიფეც სულ იმის ცდაში იყო, როგორმე თავიდან მოეშორებინა. სხვა რომ ვერაფერი მოუხერხა, ბოლოს ქვეყნის ღალატი დასწამა და ციხეში ჩასვა.

მართალი კაცი არც ციხეს დამორჩილდა, გამოანგრია კედელი და გაიქცა. გავიდა ტყეში, იარა, იარა და ერთ ულრან ხევში გამოქვაბულში დაბინავდა. დაღლილ-დაქანცული მხართეძოზე წამოწვა და დაეძინა.

უცბად რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა. კაცმა გაახილა თვალები და შემოსასვლელში ერთი უზარმაზარი აღრენილი ლომი დაინახა. კაცი ჯერ შეკრთა, მერე გული გაიმაგრა, — ალბათ ეს იყო ჩემი ბედისწერაო, — თქვა და ლომის დასახვედრად მოემზადა — ხანჯლის ტარი ჩაბღუჯა და ფეხზე წამოდგა. მაგრამ ლომი არ შებრძოლებია. ნელა, კოჭლობით მიუახლოვდა, წინა თათი გაუწოდა და თვალები მუდარით შეაშტერა.

კაცი მიხვდა, რომ ლომს რაღაც უჭირდა, ხანჯალი ჩაბგო და ფეხი გაუსინჯა. მართლაც, ლომს ტერფში მოზრდილი ეკალი შერჭობოდა და დასჩირქებოდა. კაცმა გამოუღო

ეკალი, გამოურწყა ჩირქი, ზრავალძარღვას ფოთოლი დაადო და თავისი პერანგის ნახევით შეუსვია. ლომმა კაცს მადლობით შეხედა და გამოქვაბულის კუთხეში თვინიერად დაწვა.

ლომს ფეხი მალე მოურჩა. გამოვიდა გამოქვაბულიდან და სანადიროდ წავიდა. საღამო ხანს დაბრუნდა და თან ერთი ხარირემი მოიტანა. კაცმა ცეცხლი დაანთო და მწვადები შეიწვა, ლომი კი უმ სორცსაც გემრიელად შეექცა.

ასე დამეგობრდნენ ლომი და კაცი და ერთმანეთი ძალიანაც შეუყვარდათ. იმ ზამთარს კაცი გამოქვაბულიდან არ გამოსულა, მაგრამ საზრდოდ ცვრიანი სორცი არ მოჰკლებია.

გაზაფხულზე მონადირეებმა ლომი მახეში გააბეს, ცოცხლად შეიპყრეს და საჩუქრად ხელმწიფეს მიჰგვარეს. ხელმწიფემ ააშენებინა მოზრდილი გალია, ლომი ამ გალიაში ჩასვა და თავშესაქცევად სტუმრებს აჩვენებდა.

რაკი ლომი აღარ დაბრუნდა, კაცმაც მიატოვა გამოქვაბული და სხვა სახელმწიფოში გადავიდა. იქ ერთ თავისავით ალალ-მართალ ოჯახს ჩაუსიძევდა და დაიწყო მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება.

გავიდა ხუთი წელიწადი. გაიგო ხელმწიფემ მართალი კაცის ადგილსამყოფელი და იმ ქვეყნის ხელმწიფეს ვეზირი გაუგზავნა, — ეგ კაცი დიდი დამნაშავეა, ციხიდან გამექცა და დამიბრუნე. სასტიკად უნდა დავსაჯოო.

ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, ხელმწიფემ დაუყოვნებლივ აასრულა ხელმწიფის მოთხოვნა, კაცი თავის ჩაფრებს დააჭერინა და ხელფეხშეკრული გაუგზავნა.

ხელმწიფემ, რაკი ურჩი კაცი ისევ ხელში ჩაიგდო, დიდად გაიხარა და კაცის საგანგებო დასჯა გადაწყვიტა. მოიწვია მთელი სახელმწიფო, რომ დასჯისათვის ეყურებინათ და ურჩობა ველარავის გაებედა.

მოვიდა და მოვიდა ხალხი, სასახლის მთელი ეზო მაყურებლებით გაიჭედა, გამოიყვანეს ხელფეხშეკრული ტუსაღი და ხელმწიფეს წარუდგინეს.

— ჰა, ხომ ჩამივარდი ხელში?—ნიშნისმოგებით უთხრა ხელმწიფემ, — არ იცოდი, რომ ხელმწიფის ძალა უსაზღვროა და ვერსად გაექცეოდიო? — და ჯალათებს უბრძანა:—

გაუხსენით ხელ-ფეხი და ჩემს ლომს შეუგდეთ გალიაშიო!

გაუხსნეს ჯალათებმა ბორკილები და გალიაში შეაგდეს. ლომი ბოროტად აიფოფრა, მაგრამ შეხედა თუ არა კაცს, მაშინვე დაცხრა, ნელა მიუახლოვდა და თავი კალთაში ჩაუდო. ყველა განცვიფრდა: მაყურებელი, ხალხიც და ხელმწიფეც, მაგრამ ლომის საქციელი ვერავინ ახსნა. ხელმწიფემ გამოაყვანინა ტუსაღი და ჰკითხა, — რა მიზეზია, რომ ლომმა პირი არ დაგაკარაო?

კაცმა უამბო ლომისა და თავისი მეგობრობის ამბავი, ხელმწიფეს მოეწონა ლომის ერთგულება და ორივენი გაათავისუფლა. — ოღონდ ჩემს ქვეყანაში არ გაიჭაჭანოთ, თორემ სიკვდილი მოგელითო, — უთხრა კაცს.

— შენი ქვეყნიდან აქამდეც წასული ვიყავი და ახლა ნით- უფრო არ გავჩერდებიო, — მიუგო კაცმა, გადახვია ლომს ხელი და გაუღგნენ გზას ორივენი.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა.
ქაფო — იქა, ფქვილი — აქა.

ჩიტი და მელია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ჩიტი-ჩიორა. გაზაფხული რომ დადგა, სხვა ჩიტების მსგავსად, ჩიორამაც ერთი ხშირტოტიანი ხე მონახა და მოხვრხებულ ადგილას ბუდე ჩადგა. ჩაჯდა შიგ, სამი კვერცხი დადო და სამი კვირის თავზე პატარა ჩიორები გამოჩეკა. როგორც ყველა დედა, ჩიორაც თავს ევლებოდა თავის შვილებს, დაჰხაროდა, დასჭიკჭიკებდა, უზიდავდა პეპლებს, ბუზებს, ჭია-მატლებს, აჭმევდა და ზრდიდა.

ერთ კვირაში ბარტყებს შიშველი ტანი ჭრელი და რბილი ბუმბულით შეემოსათ. დედა-ჩიორა უფრო გახალისდა, მალე ფრთებიც წამოეზრდებათ ჩემს პაწიებს და ბედნიერად დავაფრენო, ფიქრობდა გულში და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ მისი შვილები უხიფათოდ იზრდებოდნენ. მაგრამ სიხარული მალე მწუხარებად შეეცვალა: ერთმა წყეულმა მელამ ბუდეს მიაგნო, ხის ძირას კუდზე დაყუნცდა და ჩიორას ასძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო? — ჩამოსძახა ჩიორამ.
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

შეეშინდა საცოდავ ჩიორას და ერთი ბარტყი გადმოუგდო. მელამ დააკლო ბარტყს პირი, იქვე, ბუჩქებში შეაცუნცულა და თაფეხიანად გადასანსლა. ისევ უკან დაბრუნდა, დაყუნცდა ხის ძირას და ჩიორას ასძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

ისევ შეეშინდა საცოდავ ჩიორას, იფიქრა, იქნებ ჩამოშეხსნასო და მეორე ბარტყიც გადაუგდო. წუწკმა მელამ ჰაერშივე სტაცა პირი, ისევ ბუჩქებში შეაცუნცულა და გადასანსლა. ტუჩები მადიანად მოილოკა, ისევ უკან გამოცუნცულდა, დასკუპდა ხის ძირას და ჩიორას ასძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი შვილი გადმომიგდე,
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ აიყვანა მესამე ბარტყიც და მელიას გადაუგდო. თვითონ აფრინდა, წავიდა შორს, შორს, შემოჯდა ერთ ხის ტოტზე და მოთქმით ატირდა.

იქვე ერთი მონადირე დადიოდა. გაიგონა ჩიორას მოთქმა, მივიდა და ჰკითხა:

— რა იყო, ჩიორავ, ასე მწარედ რა გატირებსო?

— რაღა რა მატირებს, სამი შვილი მყავდა და ერთმა წუწკმა მელიამ სამივე შემიჭამაო.

— ვერ მაჩვენებ იმ წყეულსო? — ჰკითხა მონადირემ.

— რატომ ვერ გაჩვენებ, ალბათ ასლაც იქვე გდია და ჩემს დაბრუნებას ელოდებაო.

— მაშ, გამიძეხ, მაჩვენე და იმის ჯავრს მე ამოგყრიო, — უთხრა მონადირემ.

ჩიორა გაუძღვა მონადირეს და მიიყვანა თავის ბუდესთან, ფელა მართლაც იქვე იყო, კუდზე დაყუნცული მაღლა იყურებოდა და ჩიორას დაბრუნებას ელოდებოდა. მონადირემ დაუმიზნა თოფი, ესროლა და სული გააფრთხობინა.

ასე მიეცა სამაგიერო წუწკსა და მტაცებელ ფელიას, ხოლო ჩიორამ იმ წელს კიდევ ჩადო ბუდეში სამი კვერცხი, ისევ დაჩეკა ბარტყები და უვნებლადაც დააფრინა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ზარმაცი კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი კაცი. ქვითი ქვაზე არაფერი გააჩნდა და არც თავს იწუხებდა. მეზობლები სამადლოდ ხან რას უგზავნიდნენ და ხან — რას: საჭმლის ნარჩენს, ხმელ პურს, ნახმარ ძონძებს. ზარმაცი შეჭამდა კეთილი ხალხის ნაწყალობევს და ისევ მხართეძოზე წამოწვებოდა.

მეზობლებმა რაკი ნახეს, რომ თვითონ თავს არაფერზე იწუხებდა, ეს მცირე მოწყალებაც შეუწყვიტეს და დარჩა ზარმაცი მშიერ-მწყურვალი. რა ქნას, გარედან არაფრის იმედი აქვს და არც რაიმე შინ მოეპოვება — არც ფქვილი, არც მარცვალი, არც პური და არც სატანი. მოშივდა ზარმაცს და თქვა, თუ არ გავისარჯე, ცუდად არის ჩემი საქმეო. გამოვიდა კარში და შეხვდა თაგვი. უთხრა ზარმაცმა:

— ჩემო თაგუნა, ხვალ წვეულება მაქვს. ღილით ადრე მობრძანდი და კაი პატივს გცემ, ოღონდ ხელს ერთი ჯამი ხორბალიც გამოაყოლეო.

— კარგი, გეწვევი და ხორბალსაც მოგიტანო, — შეპპირდა თაგვი.

წავიდა ზარმაცი კაცი და ასლა კატა შესვდა. ზარმაცმა კაცმა ისიც დაპატიჟა.:

— ჩემო ციცუნი, ხვალ წვეულება მაქვს, საუზმის დროს მოდი და კაი პატივს გცემ, ოღონდ, რომ წამოხვალ, ერთი თავი ყველი გამომიყოლეო.

— ადვილი სამსახურიაო, — უთხრა კატამ და გემრიელი საჭმლის გახსენებაზე ულვაშები მადიანად მოილიკა.

წავიდა კაცი და ასლა მელია შემოხვდა. უთხრა ზარმაცმა:

— ჩემო მელაკუდავ, ხვალ წვეულებას ვისდი, კარგად რომ მოდღევდება, იმ დროს მოდი და კაი პატივს დაგასვედრებ, ოღონდ ერთი მსუქანი დედალი გამომიყოლეო.

— კარგიო, — უთხრა მელიამ, — ერთ დედალს მეც შემოგაწევო.

წავიდა კაცი და ასლა მგელი შეხვდა.

— მგელო-კუდბაწარო, — უთხრა კაცმა, — ხვალ დიდი წვეულება მაქვს და დამეწვიე. სადილობისას მოდი და კაი პატივს გცემ, ოღონდ ფეშქაშად ერთი ცხვარი გამომიყოლეო.

— კარგიო, — უთხრა მგელმა, — ერთი ცხვარი დიდი ბრაფერიაო.

წავიდა ზარმაცი კაცი და შეხვდა დათვი. უთხრა ზარმაცმა:

— ჩემო ბერო ბიძია, ხვალ დიდი წვეულება მაქვს და სამხრობისას მეწვიე, კაი პატივს გცემ, ოღონდ ხელცარიელი არ მოხვიდე, ერთი ძროხა მაინც გამომიყოლეო.

— კარგიო, — დათვმაც უთხრა, — ერთ ძროხაზე ბირს როგორ შევირცხვენო.

დაბრუნდა ზარმაცი შინ გახარებული. გათენდა მეორე დღე წამოდგა კაცი, მიალაგა სახლი და დაუწყო სტუმრებს ლოდინი. ის იყო იყიყრიბანდა, რომ თაგვიც მოცუნცულდა და ერთი ჯამი ხორბალი მოიტანა. ზარმაცმა ჯამი ჩამოართვა და კარადაში შეინახა, თაგვი კი ბუხრის ბირას დასვა, ნამგზავრი ხარ, შეგცივდებოდაო. თვითონ კარში გამოვიდა და კატას დაელოდა. მზის ამოსვლისას კატაც მოვიდა და შეპირებული ერთი კვერი გუდის ყველიც მოუტანა. ზარმაცმა ყველი ჩამოართვა და უთხრა:

— შედი შინ, შენთვის ბუხრის ბირას კაი საუზმე მაქვს მომზადებული, შეექეცი და მეც მალე შემოვალო.

შევიდა ციცა შინ, დაინახა ბუხრის ბირას წამოსკუპებული თაგვი, ეცა მაშინვე და გემრიელად ჩაახრამუნა.

გავიდა ცოტა ხანი და მელიაც გამოჩნდა, პირში მსუქანი დედალი ეჭირა და კუდის ქნევით მოცუნცულებდა. ზარმაცი კაცი სიცილით შეეგება, დედალი ჩამოართვა, საქათმეში შესვა და მელას უთხრა:

— დიდი მადლობელი ვარ, რომ ასეთი ჯიშიანი დედალი მომიყვანე, მაგრამ ვალში არც მე დაგრჩენილვარ, მეც კარგი ლუკმა დაგახვედრე, შედი შინ და ბუხრის პირას ნახავო.

შევიდა მელა შინ, ნახა ბუხრის პირას ტკბილად ჩაძინებული კატა, ეცა და ერთ წუთში შეასრამუნა, გამაძღარი კი კატის ადგილზე წამოწვა.

ეს იყო ამოსცდა მზე მთას და მგელიც მოვიდა. ზურგზე ერთი მაკე ცხვარი მოეგდო და სვნეშით მოდიოდა. ზარმაცი კაცი შეეგება მგელს, მისი მოყვანილი ცხვარი ფარეხში შეაგდო და უთხრა:

— მადლობელი ვარ კარგი ძღვნისათვის, მაგრამ ხელცარიელი არც მე დაგხვედრივარ, შედი შინ და ბუხრის პირას ნახავო.

შევიდა მგელი, ნახა წამოწოლილი მელა და მაშინვე ყელი გამოღადრა.

ახლა დათვი იყო მოსასვლელი. ცოტა ხნის შემდეგ დათუნიაც მობაჯბაჯდა. ზურგზე ძროხა წამოეკიდა და ბურტყუნ-ბურტყუნით მოაბიჯებდა. შეეგება ზარმაცი, ჩამოართვა ძროხა და უთხრა:

— შედი შინ, ბუხრის პირას შენთვის გემრიელი საკბილო მყავს მომზადებული, ერთი შენებურად, მადიანად შეახრამუნე და მეც მალე შემოვალო.

შევიდა დათვი, ეცა ცეცხლს მიფიცხებულ მგელს და ერთ წამში სული გაეფრთხობინა, მერე ასო-ასო დაგლიჯა, შემოაძრო ტყავი და უკანასკნელ ჩიჩქამდე გამოხიწა.

ზარმაცმა ძროხა ბოსელში შეაგდო და თვითონ დათვთან შევიდა. გამაძღარი დათვი ცეცხლს მიფიცხებოდა და, სისხლიან ტუჩებს ილოკავდა. კაცმა შეხედა დათვის მსუქან ზურგს და გაიფიქრა, ეს რომ აქედან ცოცხალი გავუშვა და ამისი ყაურმა არ ვჭამო, რაღა ბიჭობა იქნებაო, დაუჯდა დათვს გვერდით და მოთაფლული ხმით უთხრა:

— ჩემო ბებერო ბიძიავ, ეს მგელი კი შეგაჭამე, მაგრამ არ კმარა, კაი სადილს კაი პირის ჩასატკბარუნებელიც უნდა. მოდი წავიდეთ, აქვე, ტყეში ერთი თაფლიანი ხე მეგულება, გამოსეჩე და ისიც შენი იყოსო.

თაფლის ხსენებაზე დათვს პირწყალი მოადგა და კაცს ძუნძულით გაჰყვა. კაცმა იცოდა, რომ იმ ტყეში ერთი ხვადი ლომი ბუდობდა და უნდოდა დათვი იმისათვის მოეკვლევინებინა. მართლაც, შევიდნენ თუ არა ტყეში, იკრა ლომმა დათვის სუნი და ტევრიდან კბილალესილი გამოვარდა. კაცი ხეზე შეხტა, ლომი დათვს ეცა და თვალის დახამხამების უმალ მოასრჩო.

ლომი რომ წავიდა, კაციც ჩამოვიდა ხიდან, მოსჭრა თავი მკვდარ დათვს, გამოშიგნა და შინ წამოიღო. შინ რომ მიიტანა, ტყავიც გახადა, ერთი ფეშხო მეზობლებში პურზე გაყიდა, მეორე ფეშხო საზამთროდ ჩააბასტურმა, ტყავისა კი თბილი ქურჭი შეიკერა.

ასე და ამგვარად, ზარმაცი და ღარიბ-ღატაკი კაცი ცხოვრებას მოეკიდა: სარჩოც იშოვა, სათბილობელიც და საყოლი მსხვილფეხ-წვრილფეხიც. რაკი ფუძე დაიდო, სიზარმაცეც დასძლია, საქმეზე გავიდა და ერთ-ორ წელიწადში მდიდარ მეზობლებს გაუტოლდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მელია და მწყერჩიტა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტისმეტად ხარბი და წუწკი მელია. ერთხელ სოფლის ნაპირას ხეტიალისას მძორს მიაგნო და თავისებურად ხარბად მიაძღა. იმდენი ჭამა, იმდენი, რომ მონელება გაუჭირდა და მუცელმა გვრემა დაუწყო. იქვე ხეზე ერთი მწყერჩიტა იჯდა და მხიარულად ჭიკჭიკებდა. შეეხვეწა მელია მწყერჩიტას:

— მეზობელო, ოღონდ ეს საჭმელი მომანელებინე და ჩემს სიცოცხლეში შენს ბარტყებს და საბუდარს ახლოს აღარ გავეკარებიო.

— კარგიო, — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და საითაც წავალ, შენ ფესდაფეს უკან მომყევიო.

აფრინდა მწყერჩიტა და გაედევნა უკან მელია. მიფრინავს მწყერჩიტა და მისდევს მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირგვებში აძვრინა, ხან ქვებზე ახტუნავა და ხან წყალში ატოპინა. იმდენი არბენინა, იმდენი, რომ მელიას მთლად ფერდები დასცვივდა. ბოლოს მწყერჩიტამ ჰკითხა:

— როგორ არის საქმე, მეზობელო, მოინელე თუ ვერაო?

— მონელებით კი მოვინელე, — უთხრა მელიამ, — მაგრამ ახლა სიცილი მომინდა და, თუ გულიანად მაცინებ, შენ მოდგმას აღარასოდეს არაფერს დავუშავებო.

— კარგი, არც ეგ არის ძნელი, — დათანხმდა მწყერჩიტა, — გამომყე უკან და სიცილითაც გულს გაჯერებინებო.

მწყერჩიტამ მელია კალოზე მიიყვანა და ძნის ქვეშ დამალა. თვითონ კევრის ხარს დააჯდა რქაზე და ჭიკჭიკი დაიწყო. დაინახა გლეხმა და სახრე მოუქნია, მწყერჩიტამ აფრე-

ნა მოასწრო, სასრე სარს მოსვდა რქაზე და მოსტეხა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მწყერჩიტა ახლა მაწვნის ქილაზე შემოჯდა. გაჯავრებულმა გლეხმა ქვა ესროლა. მწყერჩიტამ ისევ მოასწრო აფრენა, ქვა ქოთანს მოხვდა, ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე გაღვარდა. მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

ბოლოს მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა ჯოხი მოუქნია, უნდოდა მოერტყა და მოეკლა, მაგრამ მწყერჩიტამ აქაც გაასწრო, სასრე ბავშვმა თავში მოირტყა და აღრიალდა.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მიფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა:

— რას იტყვი, მეზობელო, ხომ კარგად გაცინეო?

ამდენ სიცილ-სიცილში მელიას ხელახლა მოშივდა, დაავიწყდა თავისი პირობა და მწყერჩიტას წაეტანა დასაჭერად, მაგრამ მწყერჩიტა რისი მწყერჩიტა იქნებოდა, რომ მელას ჩავარდნოდა პირში, იმავე წამს აფრინდა და იმ ძნაზე ჩამოჯდა, რომლის ქვეშაც მელია იყო მიმალული. დაჯდა ზედ და მელას ჩასძახა:

— არ გაინძრე, ახლა ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო!

მიეპარა გლეხი მწყერჩიტას და მოუქნია დიდი კეტი. მწყერჩიტამ ესეც აიცდინა, კეტი მელიას მოხვდა თავში და შუაზე გაუჩეხა. აფრინდა მწყერჩიტა, შემოჯდა ხის კენწეროზე და მელიას ნიშნის მოგებით ჩამოსძახა:

— სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვი, სიტყვის გამტეხს და მოღალატეს ყველას ასე მოუვალ.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მსაჯული მელა

იყო და არა იყო რა, ამ დალოცვილ დედამიწაზე ვინღა არ გაჩენილა და არ ყოფილა და მათ შორის მაიმუნიც. მაიმუნი კი, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, როგორი მეტიჩარა და ცნობისმოყვარეც არის. ჰოდა, იყო სწორედ ერთი ასეთი მაიმუნი, ისეთი აბეზარი და მეტიჩარა, რომ საცა არ ეკითხებოდა, ყველგან ცხვირს წაჰყოფდა, ყველაფერს ჩხრეკდა და სუნავდა.

ერთხელ, ასე უთავბოლო ხეტიალისას, ერთ ადგილას აკოკოლებული ქვები დაინახა და თვალები დააჭყიტა, — აქ რაღაც განძი უნდა იყოსო, იფიქრა და ქვების გადმოლაგება დაიწყო. ქვების ქვეშ დიდი ხვრელი აღმოჩნდა, მაიმუნმა იფიქრა, ამ ხვრელში შეიძლება რამე სასუსნავი ინახებოდესო და თავისი შავი თათი შეყო. უცებ ხვრელიდან გაჯავრებული სისინი მოესმა და ერთი უშველებელი გველი გამოცოცდა. გველი დიდი ხნის წინათ ჩაექოლა ხალხს და სახსრები დახუთული ჰქონდა, მაგრამ რაკი თავისუფლად განძრევის ნება მიეცა, ტანი საჩქაროდ გაშალა, გაიმართა და მადლობის მაგიერ მაიმუნს შეჭმა დაუპირა.

მაიმუნი ახლა კი მიხვდა თავის შეცდომას და მწარედ ინანა, — არა, შე ოხერო ჩემო თავო, რას ეძებდი, რომელი ერბოს ქილები გქონდა აქ ჩადგმული, რომ ამ უზარმაზარ ქვებს ეჭიდებოდიო, — უსაყვედურა თავის თავს, მერე დაუჩოქა გველს და შეევედრა:

— მომიტევეთ შეცოდებანი ჩემნი, ღირსეულად პატივ-

საცემო ბატონო გველეშაპო, არ ვიცოდი, რომ აქ ბრძანდებოდით, თორემ როგორ გაებედავდი ქვებისთვის ხელის ხლებას და თქვენი მყუდროების დარღვევასო!

მაგრამ გველი რის გველიღა იქნებოდა, თუ მაიმუნის თხოვნას შეიწყნარებდა.

— როგორ, თუ გაპატიო? — დაუსისინა ბოროტად და კისერი უფრო შემართა, — არ იცი, რომ ჩემი შეშფოთება და ძილის დაფრთხობა მხოლოდ სიკვდილით გამოისყიდებაო? მაიმუნი ხედავდა, რომ სსნა აღარ იყო და აკანკალებული აქეთ-იქით იყურებოდა, იქნება მშველელი ვინმე გამოჩნდესო. უცებ ბედად ტყიდან ერთი მელა გამოცუნცულდა, მსუქანი ბატით იყო გამაძღარი და გულდაარხეინებული თავისთვის მოღიღინებდა. მაიმუნმა რომ დაინახა, ცოტა იმედი მოეცა და გველს მოახსენა:

— წესი არ არის გაუსამართლებლად დასჯა, აგე, პატიოსანი მსაჯული მოდის და მოვიწვიოთ საქმის გასარჩევად, არც ჩემიანია, არც თქვენიანი და სამართალს მიუკერძოებლად გაგვიჩენსო.

— კარგი, თანახმა ვარ, — უთხრა გველმა, — მაგრამ იცოდე, რასაც მე გეუბნები, ისიც იმასვე გადაგიწყვეტსო.

— გადამიწყვეტს და სამართალს სად წავუვალო, — მიუგო მაიმუნმა და მელას გასძახა: — პატიოსანო კაცო, ერთი წუთით შეჩერდი და სამართალი გვიყავიო.

— რაშია საქმე, რას უჩივით ერთმანეთსო? — ჰკითხა მელამ.

გველმა და მაიმუნმა თავ-თავიანთი საჩივარი მოახსენეს.

მელა გველის მოდგმაზე თვითონაც ნაწყენი იყო და ახლა უზომოდ გაუხარდა, რომ სამაგიეროს გადახდის საშუალება მიეცა. ულვაშებში ცბიერად ჩაიცინა და სანამ საქმის განსჯას შეუდგებოდა, სამხილის საფუძვლიანი გაცნობა მოითხოვა.

— ბატონებო, — მიმართა მედიდურად, — მე თუ ჩემი თვალით არ ვნახე, თავიდანვე რა მოხდა და რამ გამოიწვია თქვენი მტრობა, ისე საქმეს სამართლიანად ვერ გაწვსჯი. ამისათვის საჭიროა, რომ მომჩივანი ცოტა ხნით ისევ თავის ხვრელში შებრძანდეს, ხოლო მოპასუხე გაისარჯოს, ეს

ქვები, როგორც იყო, ისევ ისე ააკოკოლოს და მერე ასლიდან გადმოალაგოს, ესე იგი, გაიმეოროს ის, რაც თავდაპირველად მოიმოქმედაო.

ბველს მოეწონა მსაჯულის ასეთი კეთილგონიერება და, დარწმუნებული, რომ მართალი თვითონ გამოვიდოდა, უყოყმანოდ ჩაიკრიფა თავის სოროში. მაიმუნმაც თვალის დახამხამებაში ააკოკოლა ქვები და მელიას ჰკითხა, — ახლა რაღა ვქნაო?

— ახლა მოუსვი აქედან და უკან აღარ მოიხედო, — უთხრა მელამ, — და ამის შემდეგ იცოდე, სადაც არაფერი გესაქმება, იქ ცხვირს ნუ ჩაჰყოფო. — სოლო ბველს კი ჩასძახა: — რაკი შენ ვერ გაიგე და ვერ დააფასე, რომ მაიმუნმა თავისი სიხულელით ტყეებიდან დაგიხსნა და თავისუფლება მოგანიჭა, ახლა იჯექი მანდ და თუნდა საუკუნო ძილით ღაიძინეო. — გამოემშვიდობა მაიმუნს და თავის სოროსაკენ წაცუნცულდა, რომ გამაძღარს ერთი კარგად დაესვენა და გამოეძინა.

მაიმუნიც კმაყოფილი და გასარეებული გაუდგა თავის გზას, მაგრამ იმ დღიდან ხვრელის შიში დასჩემდა და დედამიწიდან სამუდამო საცხოვრებლად ხეზე გადაინაცვლა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ლომი და კურდღელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეტად ავი და ბრაზიანი ლომი. როცა მოშივდებოდა, იმის მძვინვარებას საზღვარი აღარ ჰქონდა — დაერეოდა მხეცებს და სულ მუსრს ავლებდა.

იმ არემარის მხეცები ძალიან წუხდნენ, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ბოლოს, მეტისმეტად რომ გაუჭირდათ, ერთად შეიკრიბნენ და ბჭობა გამართეს, — რა ვქნათ, რით გადავურჩეთ ლომის თავგასულობასაო. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ ასე გადაწყვიტეს: დავუნიშნოთ ლომს სამუდამო სარჩო, ჩვენ თვითონვე მივართვათ და ვთხოვოთ, რომ ჩამოგვეხსნას და ყოველდღე ნუღარ დაგვაწიოკებსო.

წავიდნენ და თავიანთი გადაწყვეტილება ლომს მოახსენეს. თან ისიც უთხრეს, თუ ასე არ მოიქცევი, ავდგებით და სულ სხვა მხარეს გადავიხვეწებითო. ლომი დათანხმდა, მაგრამ გააფრთხილა კი, — იცოდეთ ერთი წუთითაც რომ დამიგვიანოთ საჭმლის მოტანა, დაგეცემით და სულერთიანად ამოგჟლეტთო.

ამ დღიდან იმ არემარეში მყუდროება ჩამოვარდა. მხეცებს ყოველდღე სათითაოდ მიჰყავდათ თითო ცხოველი ლომთან და ლომიც აღარ მძვინვარებდა. ბოლოს ჯერი კურდღელზე მიდგა — ან რომელიმე მხეცი უნდა მიეყვანა ლომისთვის, ან თვითონ უნდა მისულიყო, და რაკი არავისი მიყვანა არ შეეძლო, ადგა და ისევ თვითონ წავიდა.

მხეცებს შეებრალათ სუსტი და უმწეო კურდღელი და გუ-

ლისტკივილით გააცილეს. კურდღელს კი შიშისა არაფერი ემჩნეოდა.

— ნუ დარდობთ, ძმებო და მეგობრებო, — უთხრა წასვლისას მხეცებს.— ლომს ისეთ ოინს ვუზამ, რომ მეც გადავრჩები და თქვენც სამუდამოდ ჩამოგაშორებთო.

მხეცებს გაუკვირდათ, ამ სუსტმა და მშიშარამ ლომს რა უნდა უყოსო, მაგრამ კურდღელი მაინც თავისას გაიძახოდა, — ისე მოვსპობ, რომ დღეიდან იმისი სახსენებელიც აღარ იყოსო.

ლომს შიოდა და სარჩოს მოსვლას კბილებაკაწკაწებული მოელოდა, მაგრამ კურდღელი ლომის ბუნაგს დილამდე ახლოს არ გაჰკარებია. განრისხებული ლომი ის იყო, ბუნაგიდან გამოსვლას და მხეცების დასასჯელად წასვლას აპირებდა, რომ ამ დროს კურდღელიც მიცუნცულდა, ჩამოჯდა შორიახლო და თავმდაბლად მიესალმა.

ლომმა მრისხანედ შეხედა და შეუტია:

— სადა ხარ აქამდე, შე ელამო ელმის შვილო, რატომ წუხელვე არ მოეხირეო?

— დიდო ბატონო, — კრძალვით მოახსენა კურდღელმა, — თქვენთან ერთი მსუქანი კურდღელი მომყავდა, მაგრამ გზაზე სხვა ლომი შემომხვდა, ის კურდღელიც წამართვა და მეც ძლივს გადავურჩი ცოცხალიო.

— რაო? ლომი შეგხვდაო? — აღშფოთდა უზომოდ ლომი, — ვინ გაბედა ჩემს საბრძანებელში შემოსვლა, ახლავე წამიყვანე და მაჩვენეო!

— აქვე ახლოს ჭაში ზისო, — უთხრა კურდღელმა.

— აბა წამიყვანე და გაყურებინებ იმის სეირსო! — დაიგრგვინა ლომმა.

გაუძღვა კურდღელი ლომს, მიიყვანა ჭასთან და უთხრა:

— აი, ბატონო, ამ ჭაში ზის, მაგრამ მეშინია, მარტო ვერ ჩავისედავ, შენ ამიყვანე და ერთად ჩავიხედოთო.

აიყვანა ლომმა კურდღელი და ჩაიხედა ჭაში. ჭის ფსკერზე ფაფარაყრილი ლომი დაინახა, რომელსაც თათებში კურდღელი ეჭირა. ლომი ვერ მიხვდა, რომ ჭის გამჭვირვალე წყალში არეკლილი მისივე საკუთარი გამოსახულება ჩანდა, ეგონა, ჩემ საბრძანებელში მართლაც შემოჭრილა უცხო

ლომი და ჩემთვის განკუთვნილი ულუფა მიუსაკუთრებიაო, და მთლად ცეცხლი მოეკიდა. კურდღელს იმავ წამს თათი უშვა და კბილებდაკრეჭილი ჭაში თავდაყირა გადაეშვა. მაგრამ იქ არც ლომი დახვდა, არც ნადავლი კურდღელი და თვითონ კი დაიხრჩო.

გაიგეს მხეცებმა ეს ამბავი და კურდღელს დიდი მადლობა გადაუსადეს. კურდღელს კი ამ დღიდან ლომის შიში დასჩემდა და ყველა სულიერი ლომად ეჩვენება. ამიტომ არის, რომ თვალები მძინარესაც ახელილი აქვს და სულ უბრალო გაფაჩუნებაზეც გულგახეთქილი გარბის.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ნახევარწიწილა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ნახევარწიწილა. ერთხელ ნაცრის ქექვა დაიწყო.

ქექა და ქექა ნაცარი,
იპოვა ფეტვის მარცვალი.

წაიღო ფეტვის მარცვალი მინდორში, მოხნა მიწა და დათესა. ყანა მოვიდა ისეთი, რომ უფლის თვალი შიგ ტრიალებდა და ნახევარწიწილაც მოუთმენლად მოელოდა დამწიფებას. დამწიფდა ყანა, ბაგრამ შემოვიდა ბატონის ჯოგი და ერთ ღამეში პირწმინდად გადაძოვა.

ნახა დილას ნახევარწიწილამ თავისი ყანადგურებული ყანა და ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა, პირიდან სულ ცოფები ყარა. ადგა და წავიდა ბატონის საძებნელად, რომ ან ზარალი აენაზღაურებინა, ან სამაგიერო მიეზღო. იარა, იარა და გზაზე ერთი მელია შემოხვდა. ერთმანეთს „გამარჯობა — გაგიმარჯოს“ უთხრეს და მელამ ჰკითხა:

— საით გაგიწევია, ან რამ გაგაჯავრაო?

— რაღა რამ გამაჯავრა, — უთხრა ნახევარწიწილამ, —

ვქექე და ვქექე ნაცარი,
ვიპოვე ფეტვის მარცვალი,
მოვხან მიწა და დავთესე,
მოვიდა ყანა სამკალი,
ჩვენი ბატონის ნახირი,
უთვალავი და მრავალი,

შესულა, გაუძოვია,
აღარ შემომრჩა მარცვალი.

აი, ამაზე ვარ გაჯავრებული და ბატონთანაც იმიტომ მივდივარ, რომ ზარალი ავანაზღაურებინო ან სამაგიერო გადავუხადოო.

მელამ უთხრა:

— ტყუილად ჯავრობ, ახლა მე ჩაგყლაპავ და აღარც ფეტვი დაგჭირდება და აღარც ხორბალიო.

გაჯავრდა ნახევარწიწილა, დააღო პირი და მელია გადაყლაპა.

გაუდგა ისევ გზას. გზაზე ახლა მგელი შემოხვდა. ჰკითხა მგელმა: — რამ გაგაჯავრა, ან საით მიდიხარო?

ნახევარწიწილამ იმასაც ასევე უპასუხა:

ვქექე და ვქექე ნაცარი,
ვიპოვე ფეტვის მარცვალი,
მოვხან მიწა და დავთესე,
მოვიდა ყანა სამკალი,
ჩვენი ბატონის ნახირი,
უთვალავი და მრავალი,
შესულა, გაუძოვია,
აღარ შემომრჩა მარცვალი.

— ახლა ნუღა იჯავრებ, — უთხრა მგელმა, — სულერთია, ჩაგყლაპავ და ფეტვი რაღად გინდაო.

— რაო, ჩამყლაპავო?! — გადაირია ნახევარწიწილა, — ახლა მიყურე, ვინ ვის ჩაყლაპავსო, — დააღო პირი და მგელსაც ყლაპი გაადინა. გაუდგა ისევ გზას. ცოტა რომ გაიარა, გზაში დათვი გადაუდგა და ჯიმჯიმით ჰკითხა:

— რაზე ჯავრობო?

ნახევარწიწილამ მიუგო:

— რაღა რაზე ვჯავრობ, ბატონის ნახირმა დამღუპა და დამაქციაო.

ვქექე და ვქექე ნაცარი,
ვიპოვე ფეტვის მარცვალი,

მოვხან მიწა და დავთესე,
მოვიდა ყანა სამკალი,
ჩვენი ბატონის ნახირი,
უთვალავი და მრავალი,
შესულა, გაუძოვია,
აღარ შემომრჩა მარცვალი.

აი, ამაზე ვჯავრობ და ბატონთანაც იმიტომ მივდივარ, რომ ზარალი ავანაზღაურებინოო.

— აღარ გინდა ბატონთან წასვლა, — უთხრა დათვმა, — ახლა მე გადაგყლაპავ და ფეტვიც ოხრად დაგრჩება და შენი თავიცო.

— ჩემი ზარალი არ მეყოფა, რომ ახლა კიდევ ჩაყლაპვას მიპირებო! — განრისხდა ნახევარწიწილა, დააღო პირი და დათვსაც მგელთან და მელასთან გადაუძახა.

დაადგა ისევ გზას. გზაზე ზღვა დახვდა. ნახევარწიწილამ უთხრა:

— დაშრი და გამატარეო.

ზღვას სიცილადაც არ ეყო:

— ახლა სწორედ შენი გულისათვის დავშრებიო.

— არ დაშრები და მე დაგაშრობო, — უთხრა ნახევარწიწილამ, გააღო პირი და მთელი ზღვა ერთ ყლუპად ამოშრიტა. გაიარა ნაზღვავარი და მივიდა ბატონის სახლში. შევიდა ეზოში და მოსამსახურეებს უთხრა:

— უთხარით თქვენს ბატონს, რომ ზარალი ამინაზღაუროს, თორემ შავ დღეს დავაყრიო.

მოსამსახურეები ავიდნენ და ნახევარწიწილას შენათვალი ბატონს მოახსენეს. ბატონი ტახტზე არხეინად გაიშოტა და უბრძანა:

— ახლავე წაიყვანეთ და საქათმეში დაამწყვდიეთო!

შეიპყრეს ბატონის შინაყმებმა ნახევარწიწილა და საქათმეში დაამწყვდიეს. ნახევარწიწილამ ამოუშვა მელია მუცლიდან, მელიამ მთელი ქათმები შესანსლა და ტყეში გაიქცა. მოახსენეს ბატონს ეს ამბავი. ბატონმა ბრძანა:

— წაიყვანეთ და ფარეხში დაამწყვდიეთო!

წაიყვანეს ბატონის შინაურებმა და ახლა ფარეხში შე-

აგდეს. ნახევარწიწილამ მუცლიდან მგელი ამოუშვა. მისდგა მგელი ცხვარს, პირწმინდად გაჟლიტა და ტყეში გაიქცა.

გაიგო ეს ამბავი ბატონმა და განრისხებულმა ხმამაღლა დაიყვირა:

— ახლავე წაიყვანეთ და ჩემს ნახირთან შეაგდეთო!

წაიყვანეს შინაურებმა ნახევარწიწილა და გომურში უკრეს თავი. ნახევარწიწილამ აქ დათვი გამოუშვა. დათვმა დატორა მთელი ნახირი, მიბეგვ-მობეგვა, ზოგი შეჭამა, ზოგი მკვდარი დააგდო და, გული რომ იჯერა, გამაძღარი ტყისკენ გაძუნძულდა.

ბატონი ახლა მთლად გადაირია, გამოვიდა აივანზე და შინაყმებს გადმოსძახა!

— დაანთეთ ეზოში დიდი კოცონი და შიგ ჩაწვითო!

დაანთეს იმავე წამს დიდი კოცონი და გამოიყვანეს ნახევარწიწიდა. მაგრამ სანამ ცეცხლში ჩააგდებდნენ, ნახევარწიწილამ მუცლიდან ზღვა ამოუშვა და მთელი საბატონო წაალეკვინა.

ასე გადაუხადა ბატონს სამაგიერო ნახევარწიწილამ.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ბაქია კურდღელი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტისმეტად ტრაბახა კურდღელი, სულ ტრაბასობდა, ბაქიბუქობდა და ნათესავ-მეზობლებმაც ბაქია დაარქვეს.

მართალია, თავის ქება მწარე კიტრად არა ღირს, მაგრამ ხანდახან ისეთი დროც გამოერევა, რომ სწორედ ტრაბახითა და თავის ქებით გადიან ფონს და უღირსნი ღირსეულთა თანასწორ ადგილზე წამოსკუპდებიან ხოლმე. ჰოდა, ეს ბაქიაც სწორედ ასეთი იყო. ტოლებში რომ გაერეოდა, ისეთ ტრაბახს მოჰყვებოდა, რომ სულ კორიანტელს დააყენებდა. ბაქიას შრომაც ეზარებოდა და სულ სხვათა საცერ-ვარცლის შემყურე იყო, — რა ჯობია მუქთა სუფრას, — იტყოდა ხშირად.—მარტო ტაში შემოჰკარ და მიუჯექი!—და მიუჯდებოდა კიდეც, სათამადო ადგილს დაიჭერდა და ყანწს ყანწზე ყლურწავდა. გამოიბრუეებოდა და კელავ ტრაბახსა და თავის ქებას მოჰყვებოდა.

— ეგ რომ შინაურებში ბაქიბუქობს, აბა, ერთი გარეთ ნახეთ, რა ვაჟკაცია, ფოთოლი რა არის, ფოთლის გაფაჩუნებაზეც კი სული სძვრება. შინ მამაცი, გარეთ მხდალიო, სწორედ მაგაზე არის ზედგამოჭრილიო, — ამბობდნენ კურდღლები ზურგს უკან.

შინაურები პირშიაც ეუბნებოდნენ:

— დაანებე ტრაბახს თავი, ნუ გვარცხვენ, განა არ ვიცით, რა შვილიცა ბრძანდებიო.

მაგრამ ბაქიას ეს კეთილი რჩევა და მითქმა-მოთქმა სი-

ბილადაც არ ჰყოფნიდა. სადაც სუფრას დაიგულებდა, ისიც უმალ იქ გაჩნდებოდა, გადახუხავდა ერთ-ორ ხელადას და ტრაბახის კორიანტელს დააყენებდა.

ერთხელაც მოდის მთვრალი ბაქია გზაზე და რაც ძალი და ღონე აქვს მოიმღერის:

ეს ქვეყანა სამეფოა,
მე ვარ მეფე ამ ქვეყნისა,
არ ვანსხვავებ ლომს და მელას,
შიშის ზარს ვცემ ყველა ბრიყვსა.

სად იყო, სად არა, უცებ ტყიდან ლომი გამოვარდა და ბაქიას შეუტია:

— რაო, რაო, რას კნაოდი, მეფე ვარო?

ბაქია ადგილზე გაშრა და შიშისაგან ენა მუცელში ჩაუვარდა.

— ვინ არის მეფე, მე თუ შენო? — დაუღრიალა ლომმა.

ბაქიამ, როგორც იქნა, ამოიდგა ენა და აცახცახებულმა საცოდავად შეჰკნავლა:

— მე რა მეფობის ღირსი ვარ, მეფეც შენა ხარ და მბრძანებელიცო.

— აი, შე ლაჩარო, კომბოსტოწიწკნიავ, შენა! მაშ, წელან რად მღეროდი, მეფე ვარ და ლომსაც დავსჯიო? ჰოდა, მაგ თავხედობისათვის ახლა მე დაგსჯი და გემრიელად შეგახრამუნებო, — დაუყვირა კიდევ ლომმა, ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და მადაზე მოსულმა მუშტისტოლა ნერწყვი გადაყლაპა.

— ნადირთა დიდო მბრძანებელო, — ასლუკუნდა ბაქია, — რა იქნება, ცოტა ხანს დამაცადო, რომ გამოვეხიზლდე, თორემ მთვრალი ვარ და გემოს ვერ ჩამატან, სხვაც არა იყოს რა, არყის სუნი დაგბნედს და შენვე გაიტანჯებიო.

— ხმა-კრინტი! — შეუღრინა ლომმა, — თავს ტყუილად ნუ მაბრალებ, ეგ ოინები აღარ გაგივაო, — და კბილებდაღრენილი კურდღლისაკენ გაემართა.

ამ დროს ტყიდან ერთი მშიერი ვეფხვიც გამოვარდა. დაინახა კურდღელი და მაშინვე მიეჭრა: — მოემზადე უნდა შეგჭამოო.

მაგრამ ლომი რის ლომია, რომ თავისი ნადავლი სხვას დაუთმოს.

— რას მიჰქარავ, — დაუღრინა დაუპატიჟებელ მოქიშპეს,—ვერა ხედავ, მე უკვე აქა ვარ და შეცილებას როგორ მიბედავ! ახლავე უკან გაბრუნდი, თორემ მე ვიცი, რასაც შეგაჭმევო.

— შენ თვითონ გაბრუნდი, — არ დაუთმო ვეფხვმა, — ეს ტყე ჩემი სამფლობელოა და ნადავლიც მე მეკუთვნისო.

არც ლომმა დაუთმო, არც — ვეფხვმა, შეჰყვნენ, შეჰყვნენ და, როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ბოლოს დაეტაკნენ. იბრძვიან, მაგრამ რას იბრძვიან, გლეჯენ და ფლეთენ ერთმანეთს, ხან ლომია ქვეშ, ხან—ვეფხვი. არის ერთი ბრდღვინვა და კბილთა ხრჭიალი.

ბაქიამ შიშით განძრევაც ვერ შესძლო. უყურა ლომისა და ვეფხვის ბრძოლას, უყურა და ბოლოს გული წაუვიდა. გაჭიმა ფეხები და უგრძნობლად გაიშოტა.

როდის-როდის მოვიდა გონზე. დააჭყიტა თვალები და რას ხედავს:

ლომი და ვეფხვი უსულოდ ყრიან, ერთი—ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს. ირგვლივ მათი ტყავის ნაფლეთები მიმოფანტულა, დედამიწაც სისხლით არის მოსვრილი.

ბაქია ცას ეწია სიხარულით და ისევ ტრაბახს მოჰყვა:

— ფუჰ, შევარცხვინე მთვრალი კაცი! ამოდენა მხეცები შემომკვდომია და აღარც კი მახსოვსო. ალბათ ურჩობა გამიბედეს და ეს საცოდავები იმიტომ დავსაჯე. ახია მათზე, ყველას ასე დავსჯი და გავანადგურებ, ვინც ჩემს სიტყვას არ დაიჯერებს და გამიჯიუტდებაო.—ეს თქვა ბაქიამ, შედგა მაღალ ბორცვზე და განგაში ატეხა:—მხეცნო და ნადირნო, ვინც კი ასლომახლო ხართ, ახლავე ჩემთან გამოცხადდითო!

მოვიდნენ და მოვიდნენ მხეცები, — დათვები, მგლები, ტურები, მელიები; კურდღლები ხომ, რაღა თქმა უნდა, დიდი და მცირე ყველა იქ შეიკრიბა. წაიყვანა ბაქიამ მხეცები, დახოცილი ლომ-ვეფხვი აჩვენა და რიხიანად უთხრა:

— არც ახლა გეჯერათ, რომ მე უძლეველი ვარ. ხომ ხედავთ, თავხედობისათვის ლომსა და ვეფხვს რა ვუყავი.

ჰოდა, იცოდეთ: დღეიდან თუ ჩემს სიტყვას არ დაიჯერებთ და ურჩობას გამიბედავთ, თქვენც ეს დღე მოგელითო.

დაიჯერეს მხეცებმა, რომ ეს საქმე მართლა ბაქიას ნაქნარი იყო და იმავ დღეს მეფედ აირჩიეს.

აი რა ძალა აქვს ზოგჯერ ტრაბახსა და თავის ქებას — მშიშარა კურდღელმა უძლეველი ლომის ადგილი დაიჭირა და ქვეყნის მბრძანებლად გადაიქცა. მაგრამ რამდენ ხანს შერჩა ტახტს, როგორ იმეფა და მართა ქვეყანა, ეს კი ალარავის გაუგია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



დათვი, მგელი და მელა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ეშმაკი და ქურდბაცაცა მელაკუდა. ერთხელ ერთი მსუქანი დედალი მოიტაცა და გახარებული თავისი სოროსაკენ მიარბენინებდა. გზაზე დათვი შემოხვდა, დათვი მშიერი იყო, მსუქანი დედლის დანახვაზე პირწყალი მოადგა და მელიას შარი მოუდო, — ამ არემარის მბრძანებელი მე ვარ და შენ რა ხელი გქონდა, რომ ჩემს სამფლობელოში შემოჭრილხარო? — დედალი თვითონ დაინარჩუნა, მელას კი ერთი ლაზათიანი პანღური ამოჰკრა და გააგდო.

— მაშ, მე ბიჭი არ ვიყო, თუ ეგ თავხედობა შეგარჩინოო, — თქვა მელიამ გულში და წავიდა. იმ წელიწადს იმ არემარეში აღარ გაუჭაჭანია, სულ სხვა მხარეს გადავარდა და ფერი და შესახედაობა გამოიცვალა. მეორე წელს დაბრუნდა და დაიწყო აქეთ-იქით წანწალი, — უნდა სადმე დათვს გადაეყაროს და სამაგიერო გადაუხადოს.

ბოლოს მიაგნო დათვის ბუნაგს. დათვს ბელები გაჰქეციანებიყო, გამოეყვანა სოროს წინ, მზეზე დაესხა და ბეწვს უსილავდა. მელია მივიდა და ჰკითხა:

— ბიძავ, რას აკეთებო?

— აი, შვილები გამიხდნენ ავად და ვმკურნალობო, — მიუგო დათვმა.

— მაგ სენის წამალი მე ვიციო, — უთხრა მელამ.

— იცი და, მომირჩინე, რაღას უყურებო! — გაბრაზდა დათვი.

— მოგირჩენო, — უთხრა მელიამ, — ოღონდ გასამრჯელ-

ლოდ ერთი მსუქანი დედალი უნდა მომიტანო, მერე ერთი ქვაბი წყალი ამიდუღე და დანარჩენი მე ვიცი.

დათანხმდა დათვი და მიუტანა დედალი. თან ერთი მოზრდილი ქვაბიც მოაყოლა, გაავსო წყლით და შემოდგა ცეცხლზე.

წყალი რომ გაცხელდა, მელამ უთხრა დათვს:

— ახლა შენ წადი და მთაზე რომ წმინდა გიორგის ნიშია, იქ ილოცე, რომ შვილები მალე მოგირჩენო.

დათვი ძუნძულით გაუდგა გზას წმინდა გიორგის ნიშისაკენ, მელიამ კი დაავლო ხელი დათვის ბელებს, ჩაყარა მდუღარე წყალში და შიგ ჩაფუფქა. მერე დასტაცა პირი დათვის მოტანილ დედალს და ტყისაკენ მოუსვა.

მიდის მელია გახარებული და მიღიღინებს. წინ მგელი შემოხვდა. მგელიც მშიერი იყო და მსუქანი დედლის დანახვაზე იმასაც პირწყალი მოადგა. უთხრა მელიას, — ძალიან მშია და ეგ დედალი უნდა დამითმოო.

— რაღა მე მართმევ, — უთხრა მელიამ, — აგე ქვევით დათვის ბუნაგია და სულ ამისთანა დედლებით არის გამოტენილი, დათვი თვითონ შინ არა ჩანს, წადი, შედი შიგ და რამდენიც გინდა მიირთვიო.

მგელს სულმა წასძლია, — ერთი ქათამი მართლაც რას მიზამს და იქ კი ლაზათიანად გამოვძღებიო, თქვა გულში, და დათვის ბუნაგისაკენ სულ ხტუნვა-ხტუნვით წავიდა. შევიდა შიგ, მაგრამ მსუქანი დედლების მაგიერ იქ თვითონ დათვი დახვდა. ამ დროისათვის დათვი მთიდან დაბრუნებულიყო, ენახა ჩაფუფქული შვილები და ცეცხლმოკიდებული ბრდღვინავდა. სტაცა თათი მგელს და მთელი გულის ჯავრი მასზე იყარა. — დაიდო ქვეშ და ისე დაჭეჭა, რომ ძვალი და რბილი გაუერთიანა.

როგორც იქნა, დააღწია დათვს თავი მგელმა და გაცეცხლებული წავიდა მელიის საძებნელად. იარა, იარა და ბოლოს მიაგნო, მელიამ შორიდანვე იცნო მგელი, ჩახტა თხილის ბუჩქში და წვრილი წნელების მტვრევა დაიწყო. მივარდა მგელი და დაუყვირა:

— შენ არა ხარ, დათვთან რომ გამგზავნეო?!

— თავი დამანებე, — უთხრა დინჯად მელამ, — ტყუი-

ლად შარს წუ მდებ, ვერა ხედავ, პატიოსანი ხელოსანი ვარ და ჩემს ხელობას ვადგევარო.

დაიჯერა მგელმა მელიის ნათქვამი და ჰკითხა:

— რა ხელოსანი ხარ, ან მაგ წნელებით რას აკეთებო?

— რას ვაკეთებ და რასაც ჩემი მამა-პაპანი აკეთებდნენო, — მიუგო მელიამ, — აგე, ქვევით ქათმებს ხომ ხედავ, ჰოდა, მოვქსოვ გოდორს, გადავიცვამ თავზე და დავგორდები. ასე ჩავალ ქათმებთან, დავიჭერ ერთ დედალს, შევითრევ გოდორში და კაი ქეიფს გავწევო.

— თუ ღმერთი გწამს, მეც გადამაქსოვე თავზე გოდორი, — უთხრა მგელმა, — იმ ქათმებთან ცხვრებიც ჩანან და მე იმათკენ დავგორდებიო.

გადააქსოვა მელამ თავზე გოდორი მგელს და დააგორა. დაფრთხა ცხვრები, გამოცვივდა ხალხი კეტებით, ბარებით, მისდგნენ მგელსა და რაც დათვმა დააკლო, ახლა იმათ აუთავეს. დააღწია ხალხსაც თავი მგელმა და გაბოროტებული მელიას გამოეკიდა. მოფხოჭა მელიამ, მაგრამ მგელი წამოეწია, მოჰკრა კუდზე კბილი და მოსწყვიტა.

მელამ სიკვდილს თავი კი დააღწია, მაგრამ კუდი აღარ შერჩა. შეწუხდა ძალიან: ახლა როგორღა დავემალო მგელს, უკუდოს ყველგან მიცნობსო, და მგლის თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

— თუ ბოლო არ მოვუღე და სამუდამოდ არ მოვიშორე თავიდან ეგ გაუმაძღარი, ხეირს არ დამაყრისო, — თქვა და გაუდგა გზას.

იარა, იარა და გზაზე ერთი ვაჭარი დაინახა, — ურმით თევზი მიჰქონდა სოფელში გასაყიდად. უყელა მელიამ, დაუარა წინიდან და გზაზე მკვდარივით გაიშოტა. ვაჭარს მელია მართლა მკვდარი ეგონა, აიღო და ურემზე შეაგდო, — ტყავს გავაძრობ და ცოლს გავახარებო, — შეჯდა კოფოზე და გარეკა ხარები.

მელიამ ცალი თვალით გამოიჭყიტა და ნახა, რომ მეურმე უკან არ იყურებოდა. იმავ წამს წამოხტა, ურმიდან ერთი ზოზრდილი ორაგული გადმოაგდო და თვითონაც უჩუმრად ჩამოხტა. აიღო ორაგული, გამოიბა კუდის ადგილზე და წამოვიდა მგლის საძებნელად.

შემოხვდა მგელი და მელია რომ ასეთი კუდით დაინახა, მტრობა უცბად გადაავიწყდა, მსუქანი ორაგულის დანახვაზე პირწყალი მოადგა და გაკვირვებულმა ჰკითხა, — სად გიშოვნია ასეთი გემრიელი კუდიო?

— ეხ, ამათ მეტი რა არის, — მიუგო მელიამ, — ერთ მორევში მთელი ქარავანია თავმოყრილი, მაგრამ მე ამ ერთის მეტს ვერ მოვერიეო.

— ახლავე წამიყვანე და მაჩვენე, თორემ მაგ შენი კუდიანად გადაგსანსლავო, — დაემუქრა მგელი.

— ბატონი ბრძანდებიო, — უთხრა მელიამ, — წამოდი, მიგიყვან მორევთან და შიგ რაც ორაგულებია, სულ შენი იყოსო.

წაიყვანა მელიამ მგელი და მიიყვანა ერთ გაყინულ მორევთან. მეტისმეტი ყინვისაგან წყალი აფუებულიყო და შუა ადგილას ბუყბუყით ამოდიოდა. მელიამ უთხრა მგელს:

— აგე იმ ყინულჭრილს ხომ ხედავ, მიდი, ჩაყავი კუდი შიგ და დილამდე ასე იყავი. რაც მორევში ორაგულებია, სულ კუდზე გამოგებმიან, დილაზე კი ამოსწიე, მთელი თევზები ნაპირზე ამოყარე და შეექეციო.

მგელს მელიას რჩევა ჭკუაში დაუჯდა, მართლაც და, ამ ერთმა თევზმა რა უნდა მიყოს, — თქვა გუნებაში, — ის არ მირჩევნია, რომ ყველა დავისაკუთროო, — და ჩაყო კუდი აფუებულ მორევში. ღამე ყინვამ უფრო მოუჭირა და მგელს კუდი ჩაუყინა.

ნახა თუ არა მელიამ მგელი ასეთ ყოფაში, გაიქცა და ერთ მინდორზე გავიდა. მინდორში თავადიშვილებს მწევარ-მეძებრები გამოეყვანათ და ნადირობას აპირებდნენ. მელია დაენახვა ძაღლებს, ძაღლები ერთი ღავღავით გამოეკიდნენ, მელიამ მოკურცხლა და მორევში კუდჩაყინულ მგელს ჩაურბინა. მწევარ-მეძებრებმა რაკი მგელი დაინახეს, მელია მაშინვე გადაავიწყდათ, მისცვივდნენ მგელს და თვალის დახამხამების უმალ ნაფლეთებად აქციეს.

ასე გადაუხადა მელიამ სამაგიერო, — დათვს ბელები დაუხოცა, მგელი მწევარ-მეძებრებს გააგლეჯინა. თვითონ კი დღესაც ცოცხალია და ახალ-ახალ ოინებს იგონებს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა,



ხელმწიფე და სკვინჩა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტისმეტად ხარბი და უსამართლო ხელმწიფე. თავის საბრძანებელში რასაც კი კარგსა და მოსაწონს ნახავდა, ყველაფერი თავისთვის უნდოდა. მშრომელ ხალხს უკანასკნელ ლუკმა პურს და პერანგს ართმევდა და თავის ახლობლებსა და ნაზირ-ვეზირებს ურიგებდა. ხალხი დრტვინავდა, წუხდა, მაგრამ ვინ იყო გამკითხავი! უბრალოდ საყვედურიც რომ დასცდენოდა ვისმეს, ხელმწიფე თავის ნაზირ-ვეზირებს მიუსევდა და მის ოჯახს დედაბუდიანად ააკლებინებდა.

ხალხი ისე გაღარიბდა, რომ ლუკმაპურის მეტი აღარავის რამე შერჩა. ხელმწიფეს ხალხისათვის წასართმევი რომ აღარაფერი დარჩა, ახლა ნადირ-ფრინველთა დამორჩილება მოინდომა. დაგზავნა ჯარები ოთხივ მხარეს, დააჭერინა ყველა ნადირ-ფრინველი, რაც კი მის სამფლობელოში იყო, მოარეკვინა და ბილეგებში დაამწყვდევინა. კმაყოფილმა ხელმწიფემ ჯარის უფროსებს ჰკითხა, — ტყეში კიდევ ხომ არაფერი დაგრჩათო?

— მხოლოდ ერთი სკვინჩა დაგვრჩა, ძალიან პატარა იყო, დევნად არ ღირდა და იმიტომ არ დავიჭირეთო, — მრ. ახსენეს სარდლებმა.

ხელმწიფე განრისხდა:

— რას ჰქვია, პატარა იყო! ჩემს საბრძანებელში ყველა მე უნდა მემორჩილებოდეს, დიდიც და მცირეც, ახლავე წადით, დაიჭირეთ ის სკვინჩაა თუ რაღაც ჯანდაბა და აქ მომგვარეთო!

წავიდნენ სარდლები, წაიყვანეს ჯარი ტყეში, დაიჭირეს

ბაწაწინა სკვინჩა და ხელმწიფეს მოჰგვარეს.—დაამწყვდიეთო! — ბრძანა ხელმწიფემ. წაიყვანეს სკვინჩა და სხვებთან ერთად დილეგში შეაგდეს. სკვინჩა კარის ღრიჭოდან გამოფრინდა და ხელმწიფის ბაღში შეფრინდა. ბაღში ხელმწიფე დასეირნობდა და, რა თქმა უნდა, ერთგული ნაზირ-ვეზირებიც თან ახლდნენ. სკვინჩა ბლის ტოტზე დასკუპდა და ხელმწიფეს ჭიკჭიკით ჩამოსძახა:

მეფე ძარცვავს ღარიბებს,
ვეზირებს კი ამდიდრებს.

— რაო? ეს ვინ მიბედავს თავხედობასო? — ყურები ცქვიტა ხელმწიფემ და ვეზირებს უბრძანა, დაიჭირეთო.

ვეზირები დაედევნენ, მაგრამ ცარიელი ხელებით სკვინჩას რას უზამდნენ. ბლიდან ქლიავზე გადაინაცვლა და ისევ მხიარულად აჭიკჭიკდა:

მეფე ხოცავს მართალ ხალხს,
არც კაცს ინდობს და არც — ქალს!

ხელმწიფეს მთლად ცეცხლი მოეკიდა და ვეზირებს უყვირა:

— ახლავე დაიჭირეთ და ჩააჩუმეთ, თორემ თავებს დაგაყრევინებთო!

ვეზირები შიშის ელდამ აიტანა და სკვინჩას გაეკიდნენ, ჯარიც მოიშველიეს, მაგრამ სულ ამაოდ, სკვინჩა ახლოს აღარავის იკარებდა, თვალი ფხიზლად ეჭირა, გადადიოდა ხიდან ხეზე, ტოტიდან ტოტზე და გაუთავებლად სულ ერთსა და იმავეს ჭიკჭიკებდა:

მეფე ძარცვავს ღარიბებს,
ვეზირებს კი ამდიდრებს,
მეფე ხოცავს მართალ ხალხს,
არც კაცს ინდობს და არც — ქალს!

ხელმწიფე ჯავრისაგან მთლად გადაირია და ბაღის გაკაფვა ბრძანა. გაკაფეს ბაღი, მაგრამ სკვინჩამ სასახლის ეზოს საჩრდილობელ ხეივანზე გადაინაცვლა და კვლავ თავისი სიმღერა შემოსძახა. ხელმწიფემ ხეივანიც გააკაფვინა,

მაგრამ ვერც ამან უშველა, სკვინჩა ახლა სასახლის სახურავზე წამოსკუპდა და ხელმწიფეს იქიდან ჩამოსძახა:

მეფე ძარცვავს ღარიბებს,
ვეზირებს კი ამდიდრებს,
მეფე ხოცავს მართალ ხალხს,
არც კაცს ინდობს და არც ქალს!

მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა, გაწბილებული ხელმწიფე შინ შევიდა, დაიბარა ნაზირ-ვეზირები, ჯარის სარდლები, კარისკაცები და სასტიკი ბრძანება გასცა, — ან დაიჭირეთ ეგ თავხედი ჩიტი, ან არადა ყველას სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთო.

წავიდნენ ჯარის სარდლები და ნაზირ-ვეზირები და სახელმწიფოში ვინც კი განთქმული მონადირე იყო, ყველა სასახლეში მორეკეს. მონადირეებმა გააწყვეს მახეები, ძუის ბადე-ფაცერები და როგორც იყო, სკვინჩა დაიჭირეს. ხელმწიფემ დიდად დაუმადლა ქვეშევრდომებს ეს ერთგული სამსახური და ბრძანა:

— ასლავე წაიყვანეთ სამზარეულოში, დაკალით, კარგად გაპუტეთ, შეწვით და სადილად სუფრაზე მომართვითო.

ხელმწიფის ბრძანება, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ შესრულდა: წაიყვანეს საბრალო სკვინჩა სამზარეულოში, დაკლეს, კარგად გაპუტეს, შეწვეს და ხელმწიფეს სადილზე მიართვეს. ხელმწიფე გამხიარულდა, რომ ბოლოს მაინც იყარა ჯავრი და სუფრას კმაყოფილი მიუჯდა. მაგრამ აქ ერთი საოცარი ამბავი მოხდა! შემწვარი სკვინჩა თეფშზე უცბად შეინძრა და ისევ ჩვეული ხმით აჭიკჭიკდა:

მეფეს სუფრას დავუმშვენებ,
მაგრამ არ კი მოვასვენებ.

— ერთი ამას დამიხედეთ, რომ შემწვარიც არ ისვენებსო, — ისევ გაჯავრდა ხელმწიფე, საჩქაროდ მიგლიჯ-მოგლიჯა და ძვლებიანად შეახრამუნა. კმაყოფილი ადგა სუფრიდან და, როგორც ხელმწიფეთა წესია, სადილის შემდეგ ეზოში გაისეირნა. ეგონა, ის აბეზარი ჩიტი ახლა კი სამუდამოდ მოვიშორეო. მაგრამ ამჯერადაც მოტყუვდა, ჯერ

ორი ნაბიჯიც არ ჰქონდა გადადგმული, რომ საკუთარი მუცლიდან ისევ სკვინჩას ჭიკჭიკა ხმა გაიგონა:

ღირსი იყო, გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე!

ხელმწიფეს ელდა ეცა, — ეს რა ამბავიაო?! დაიბარა კარის ექიმი და უთხრა, — ისეთი წამალი მომეცი, რომ ეს წყეული ჩიტი მოკლასო. მისცა ექიმმა ათასნაირი წამლები — წვეთები და ფხვნილ-აბები, მაგრამ არც ერთმა არ უშველა. სკვინჩა მუცელში ფართხალებდა და გაიძახოდა:

ღირსი იყო, გავლანძღე,
შიოდა და გავაძღე!

ბოლოს ხელმწიფემ ასეთ ხერხს მიმართა: ექიმს სასაქმებელი წამალი გამოართვა, დალია და ნაზირ-ვეზირები გააფრთხილა:

— შემომიდექით აქეთ-იქიდან ამოწვდილი ხმლებით და როცა გული ამერევა და პირიდან სკვინჩაც წამომვარდება, დაუქნიეთ ხმლები და შუა გაკვეთეთო.

იშიშვლეს ალესილი ხმლები ვეზირებმა და ამოუდგნენ ხელმწიფეს აქეთ-იქიდან. ხელმწიფეს გული აერია და დაბოყინა. ამ დროს სკვინჩაც გამოვარდა, ვეზირებმა მოუქნიეს ხმლები, მოახვედრეს ხელმწიფეს კისერში და თავი გააგდებინეს.

სკვინჩა კი უვნებლად გადარჩა, შეიბერტყა ფრთები, გაინავარდ-გამოინავარდა, მერე აივნის დირეზე შემოჯდა და ისევ სიმღერა შემოსძახა:

უსამართლო მეფესა
თავი ჩამოჰკვეთესა!

ხელმწიფის სიკვდილი რომ გაიგეს, გამოცვივდნენ დილეგებიდან დამწყვდეული მხეცები, მტაცებელი ფრინველები, დაერივნენ ხელმწიფის ოჯახს, ნაზირ-ვეზირებს და სულ მუსრი გაავლეს. ხალხმა ახალი, კეთილი ხელმწიფე აირჩია და დაიწყო წესიერი ცხოვრება.

ჭირი-იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მგელი — რუხი, ყურდაცქვეტილი, კუდბაწარა და კბილბასრი. ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე გაუჩერებლად დაძუნძულებდა და რასაც მოახელთებდა, კბილგაუკრავს არაფერს უშვებდა.

ერთხელ ერთი მსუქანი ძროხა გაფატრა და ისე გამოძღა ცვრიანი ხორცით, რომ ეგონა, ახლა აღარასოდეს მომშივდებაო და ბერად შედგომა გადაწყვიტა:

„ჩემი წუთისოფელი სულ ქურდობასა და ტაციაობაში გამიტარებია, ახლა კი დროა, სულის ცხონებაზეც ვიფიქრო, მოდი, წავალ იერუსალიმში, ცოდვებს მოვინანიებ და სათნოების გზას დავადგებიო," თქვა გულში, ახსენა ღმერთი, ამოიძუა კუდი ფეხებშუა და გაუდგა იერუსალიმის გზას.

მიდის მგელი, მიძუნძულებს. იარა, იარა და გზაზე ერთ შვინდა მოზვერს გადაეყარა, ისეთი მსუქანია, რომ ტყავში ველარ ეტევა, მაგრამ მგელმა თავი შეიკავა და მოზვერს მეგობრულად მიესალმა, — გამარჯობა, მოზვერო!

— გაგიმარჯოს, მგელო, — უპასუხა გაკვირვებულმა მოზვერმა და ჰკითხა, — სად მიხვალ ასე აჩქარებით, რა საქმე გამოგჩენიაო?

— ცოდვები მოვინანიე და ახლა იერუსალიმში მივდივარ, მინდა ბარემ ბერადაც შევდგეო, — უპასუხა მგელმა.

— ძალიან კარგ გზას დასდგომიხარ, — მოუწონა მოზვერმა, — ღმერთმა ხელი მოგიმართოს, თუ მართლა შესძლებ და ბოლომდე გაიტანო.

გამოემშვიდობა მოზვერს მგელი და გაუდგა გზას. კარგა მანძილი რომ გაიარა, გზაზე ახლა ორი მსუქანი ყოჩი შემოხვდა. მგელს კბილები აუკაწკაწდა მათი დუმების დანახვაზე, მაგრამ ცდუნებას აქაც სძლია და ყოჩებს შორიდანვე მიესალმა:

— გამარჯობათ, ყოჩებო!

— გაგიმარჯოს, მგელო, — მიუგეს ყოჩებმა, — საით გაგიწევია, ან რა საქმეზეო?

— იერუსალიმს მივდივარ, სული უნდა გავიწმინდო და ბერად შევდგეო.

განზრახვა ყოჩებმაც ძალიან მოუწონეს, — კარგ გზას დასდგომიხარ და ღმერთმა ხელი მოგიმართოსო.

გასცდა მგელი ყოჩებსაც და გაუდგა გზას. მიდის მგელი, მიდის და ახლა ვირი შემოხვდა. ვირმაც მოუწონა საქციელი და გზაც დაულოცა.

იარა მგელმა, იარა და ბოლოს მივიდა იერუსალიმში. იერუსალიმი სანთლებით განათებული საყდრებითა და ეკლესიებით იყო სავსე, შესასვლელში ხელარგნიანი ბერები მიმოდიოდნენ. ისმოდა ლოცვა-კურთხევა და გალობა, მაგრამ მგელს ეს ვერაფრად ეჭაშნიკა. ამ დროისათვის მოშივდა კიდეც და თვალწინ ის მსუქანი მოზვერი, ყოჩები და ვირი დაუდგა, გზაზე რომ უვნებლად დატოვა, დაავიწყდა სულის ცხონებაც და ბერად შედგომაც. „ეს რა სისულელე მომივიდა, — თქვა გულში, — როგორ გავუშვი ხელიდან ისეთი გემრიელი ლუკმა? ეგეც არ იყოს, მგელს იერუსალიმში ვინ შეუშვებს, აქ რომ დამინახონ, მომდგებიან თავიანთი არგნებით ეს ბერები და იქნება სულიც გამაფრთხობინონ. არა, ძმაო, მირჩევნია საიდანაც მოვსულვარ, ისევ იქით წავიდე, თორემ მე აქ ვერ ვიხეირებო.

ადგა და უკანვე გამობრუნდა ვირის, ყოჩებისა და მოზვრის საძებნელად. ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, ვირიც, ყოჩებიცა და მოზვერიც იმავე ადგილებზე დახვდნენ, სადაც დატოვა. ჯერ, რა თქმა უნდა, ვირთან მივიდა. მომშეულს ალარც სალამი მოჰგონებია, ალარც ტკბილი გამარჯობა, პირდაპირ მგლურად მიეჭრა და ღრენით უთხრა: — უნდა შეგჭამოო.

ვირი ამას აღარ მოელოდა და შიშით გული გადაუტრიალდა. — აკი იერუსალიმს იყავი სულის საცხონებლად და რაღად მჭამო? — ჰკითხა.

— შიმშილმა იერუსალიმი არ იცის, — უთხრა მგელმა და უფრო ბრაზიანად შეუღრინა, — მოემზადე, დროს ნუ მაკარგვინებო.

— კარგი, რა გაეწყობა, ალბათ ეს ყოფილა ჩემი ბედისწერა, — თქვა ვირმა და მგელს ჰკითხა, — სიკვდილის წინ ერთ სათხოვარს თუ შემისრულებო?

— რა გინდა, ჩქარა თქვიო? — მოთმინება დაელია მგელს.

— უკანა ჩლიქში ლურსმანი მაქვს ჩარჩენილი და მაწამებს, ოღონდ ამის ჯავრს ნუ წამაყოლებ, ამომიღე და მერე რაც გინდა, ის მიყავიო.

— აბა მაჩვენე, სადა გაქვსო? — დაფაცურდა მგელი.

— აი, აქა მაქვსო, — უთხრა ვირმა და უკანა ფეხი გაუშვირა, მგელი ჩააფრინდა კბილებით, ვირმა ტყუპი წიხლი სდრუზა ცხვირ-პირში და გაბრუებული მიწაზე გააგორა. თვითონ კი ისე მოკურცხლა, რომ კურდღელიც ველარ დაეწეოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მგელი გონს მოვიდა და წამოდგა, შერცხვა თავისი მარცხისა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა, ვირი თუ გადამირჩა, ყოჩები ხომ აქ არიანო, — თქვა გულში და გამოსწია ყოჩებისაკენ. მიეჭრა შიმშილისაგან გაცოფებული და შეუტია, — მოემზადეთ, ახლავე ორივენი უნდა შეგჭამოთო!

— რა გაეწყობაო, — თქვეს ცხვრებმა, — ოღონდ ერთი სათხოვარი გვაქვს და სიკვდილის წინ უარს ნუ გვეტყვიო.

— თქვით, რა გინდათო? — ჰკითხა მგელმა.

— აი ეს მინდორი ჩვენი პატრონებისაა, — უთხრეს ყოჩებმა. — ჩვენი პატრონები ძმები არიან, როცა გაიყარნენ და ყველაფერი გაიყვეს, ერთი ერთ ძმას ვერგეთ, მეორე — მეორეს. გასაყოფი მარტო ეს მინდორი დარჩათ. ჩვენ გაყრის დღიდან ვდაობთ, მაგრამ აქამდე ვერ მოვრიგებულვართ და არ ვიცით, რომელს გვეკუთვნის. ახლა ამასა

გთხოვთ, სიკვდილის წინ სამართალი გაგვიჩინოთ, რომ საიქიოში მაინც სადაო აღარაფერი გვქონდესო.

— თქვენ როგორ გინდათ? — ჰკითხა მგელმა.

— შენ მინდვრის შუაში დადექი, — უთხრეს ყოჩებმა, — ჩვენ აქეთ-იქიდან გამოვიქცევით და რომელიც წინ მოვალთ, მინდორი იმას დარჩესო.

— კარგითო, — დათანხმდა მგელი და შუა მინდორში დადგა.

წავიდნენ ყოჩები ერთი — ერთ მხარეს, მეორე — მეორე მხარეს, მერე შემობრუნდნენ, გამოექანნენ რაც ძალი შესწევდათ, დაეჯახნენ რქებით მგელს და ნეკნები ერთმანეთზე შეაჭყლიტეს. წაიქცა მგელი და დაიწყო ფეხების ფშეკა. ყოჩებმა კი მოკურცხლეს და თავს უშველეს.

იფართხალა მგელმა, იფართხალა და, როგორც იქნა, წამოდგა. — ჯანდაბას მაგათი თავი, — თქვა გაწბილებულმა, — მოზვერი ხომ ვეღარსად გამექცევაო, — და გამოსწია მოზვრის საძებნელად.

მოზვერი მართლაც იმავე ადგილზე დახვდა. მიეჭრა მგელი და შეუტია: — აბა, ჩქარა მოემზადე, უნდა შეგჭამოო.

— მე მზადა ვარ, — უთხრა მოზვერმა, — ოღონდ სიკვდილის წინ ერთი სათხოვარი მაქვს და უარს ნუ მეტყვიო.

— ოღონდ ლურსმანი არ გქონდეს ჩლიქში, ან მინდორი არ იყოს გასაყოფი და სხვას ყველაფერს შეგისრულებო, — უთხრა მგელმა.

— არაო, — მიუგო მოზვერმა, — მე სიმღერის მოყვარული ვარ, დიდი ხანია, შენი ვაჟკაცური ხმა აღარ მომისმენია, სიკვდილის წინ ერთი მიმღერე და მერე თუნდა ძვლებიანად შემახრამუნეო.

მგელმა იფიქრა, ამაში სახიფათო არაფერი ჩანსო, და გააბა თავისებურად ყმუილი. იქვე ახლოს მეცხვარის ფარეხი იყო, გაიგეს ფარის კბილბასრა ძაღლებმა მგლის ყმუილი და ღრენა — ყეფით გამოემართნენ, ეცნენ მგელს, ერთმა აქედან გაჰკრა კბილი, მეორემ — იქიდან, მესამემ თათი ჩასცხო თავში. აგორავეს და ჯენჯეს. მგელმა რის გაჭირვებით დააღწია თავი, წავიდა ნაცემ-ნაბეგვი, დაგლეჯილი,

გასისხლიანებული, დაეგდო ზოროს წინ და მოჰყვა თავის თავზე ჯავრობას:

— რა მრჯიდა, რა ჩემი საქმეა სულის ცხონება, ან მე რომელი ნალბანდი ვიყავი, რომ ლურსმნის ამოღებას ვცდილობდი, ან რომელი მოსამართლე და მომღერალი? ახი არ იქნება, რომ ვინმე მოვიდეს ახლა და ამ სიბრიყვისათვის ერთი ფარსაგად მიმბეგვოსო.

ამ დროს მართლაც მეცხვარე მოდიოდა ცხენით. გაიგონა მგლის ჩივილი, მისდგა მათრახით და უცხუნა და უცხუნა. წელათრეული მგელი ძლივს გადაურჩა მეცხვარეს, ავიდა ერთ მაღალ მთაზე და ხმამაღლა დაიძახა:

— ასე დაემართოს ყველას, ვინც მამა-პაპურ ჩვეულებას და საქმიანობას უღალატოს და სხვათა გზასა და მაგალითს გაჰყვესო!

ტყუილად კი არ არის ნათქვამი: რაც არ ექნას მამაშენსა, ნურც შენ გაშლი მარმაშებსა.

ბერი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

დედა ღორი და მგელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღორი, სახელად ღრუტუნა. ხუთი ჩაკიტრებულ-ჩამრგვალებული გოჭი ჰყავდა; ხუთივეს შესაფერი სახელი ერქვა: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა. დედაღორი თვითონაც ჭკვიანი იყო და გოჭებიც ჭკვიანები დაზარდა.

ღრუტუნა დღისით შვილებს ბუნაგში ტოვებდა, თვითონ საჭმლის საშოვნელად მინდორში დადიოდა. თხრიდა ძირხვენას, მაჩიტასა და სხვა ბალახ-ბულახის ფესვებს. სადაც საჩიჩქნი არაფერი იყო, არც მწვანე ბალახს იწუნებდა, ხოლო თუ ნაკარტოფილარს წააწყდებოდა, პირდაპირ აღდგომის დილა გაუთენდებოდა — თხრიდა ღონიერი დინგით ფაფუკ მიწას, ახრამუნებდა გემრიელ კარტოფილს და თან სულ ადამიანს ლოცავდა:

— რა კეთილია მშრომელი კაცი, თავისთვისაც სარჩოს იმარაგებს და საკბილოს არც სხვისთვის იშურებს. რა მეშველებოდა, რომ ქვეყნად ყველა მძული და უქნარა იყოსო.

არც მწიფე რკოსა და თხილ-პანტა-მაჟალოს იწუნებდა, ერთი სიტყვით, მადა ძალიან დიდი ჰქონდა და ძუძუებსაც პირთამდე იტენიდა რძით. საღამოს დაბრუნდებოდა შინ, გადაწვებოდა გულაღმა და ნელი ღრუტუნით შვილებს მოუხმობდა, შვილებიც ხარბად ჩააფრინდებოდნენ დედის ძუძუებს და პატარა მუცლებს ტკბილი, ნოყიერი რძით იტიკნიდნენ.

ცხოვრობდა ასე ღრუტუნა მშვიდად და აუმღვრევლად. ზრდიდა შვილებს და თავის ყოფას თვითონვე დანატროდა.

ერთ დღესაც წავიდა მინდორში ღრუტუნა და თავის ჩვეულ საქმიანობას შეუდგა — თხრიდა მიწას და ახრამუნებდა გემრიელ ფესვებს. უცბად ნაწვერალში თაგვის სოროს წააწყდა, სორო სულ ხვავრიელი თავთავებით იყო გაჭედილი. ღრუტუნა თეთო-თითოდ იღებდა თავთავებს და მწიფე ხორბალს მადიანად აკნატუნებდა. საქმით გართულს ერთი მშიერი მგელი წამოეპარა ზურგიდან და გაგრძელებულად შეღმუვლა:

— გამარჯობა, დარბაისელო მანდილოსანოო!

ღრუტუნა შეკრთა, სწრაფად შემობრუნდა და შიშისაგან სუნთქვა შეეკრა, — მის წინ კბილდაკრეჭილი მგელი იდგა და თვალებს საზარლად აბრიალებდა.

მგელი წინა თათებზე ჩაწვა, თვალები ცბიერად აახამხამა და ვითომ დიდი გულშემატკივარი იყო, ისე ჰკითხა:

— რატომ ჩიჩქნი მაგ მიწას, რადა წვალობ, ასე ხომ გახდები და ქონი და ხორცი შემოგადნებაო?

ღრუტუნამ იფიქრა, იქნებ ტკბილი სიტყვით როგორმე ჩამოვიცილოო და რაც კი შეეძლო, მოწიწებით უპასუხა:

— გადღეგრძელოს ღმერთმა, დიდო ბატონო, აქ ერთი თავთავებით გამოტენილი სორო ვიპოვნე. წყეულ თაგვს კაცის ნაშრომში მოუპარია და ზამთრის სარჩოდ თავის სოროში შეუზიდნია. ახლა სწორედ იმ თავთავებს გეახლებოდით, თუ ისიამოვნებთ, მგელო-ბატონო, კაი მსუქან თავთავებს აგირჩევთ და მიირთვითო.

— რაო? თავთავები მივირთვაო?—დაიყმუვლა მგელმა და ფეხზე წამოხტა, — შენ მე ღორი ხომ არ გგონივარ, თავთავები ვაკნატუნო? ან იქნებ გინდა, რომ ყელში ფხა გამეჩხიროს და დამახრჩოს? ეგეც არ იყოს, შენ ვინ მოგცა ნება, რომ სხვათა ნაშრომ-ნაღვაწს მისდგომიხარ. ერთ საცოდავ პაწაწინა ცხოველს ზამთრის სარჩო შეუგროვებია და შენ კი უნადგურებ, იყორავ გაუმაძღარ მუცელს და სხვას კი — სუსტსა და უმწეოს — მშიერს ტოვებ? ასეთი დიდი ცოდვა ქვეყნად ჯერ არც ერთ სულიერს არ ჩაუდენია, და ამ შეცო-

დებისათვის ღირსეულადაც დაგსჯი — ახლავე ჭვალ-
რბილიანად შეგახრამუნებო.

ღრუტუნა მიხვდა, რომ მისი საქმე წასული იყო, თუ რა-
მეს არ მოიფიქრებდა.

— დიდო მბრძანებელო, — მიმართა უფრო ჭარბი მოწი-
წებით, — თქვენი ნებაა, რასაც მიზამთ, მაგრამ სანამ შემ-
ჭამდეთ, გთხოვთ ერთი სიტყვა მათქმევინოთო.

— ჩქარა თქვი, არ დამაგვიანო, მეტის მოფმენა აღარ
შემიძლიაო, — უღრიალა მგელმა.

— მე ძალიან დიდი ხნისა ვარ, ბატონო, — უთხრა ღრუ-
ტუნამ, — წლოვანებაც კი აღარ მახსოვს ჩემი, ჰოდა, სიბე-
რისაგან ხორცი სულ აღარ მივარგა და ძვლებიც ქვასავითა
ბაქვს გამაგრებული, აბა ასეთს რა გემო უნდა ჩაატანოთ.
წამობრძანდით ჩემს ბუნაგში, ხუთი გოჭი მყავს, — ერთსა
ჰქვია მშიანა, მეორეს — მცივანა, მესამეს — თბილანა, მე-
ოთხეს — გვიანა და მეხუთეს — მაგარა. ხუთივე ისეთი მსუ-
ქანია, რომ სულ ქონი გასდით. მობრძანდით და რომელიც
მოგეწონებათ, ის მიირთვით, თუ ინდომებთ, ხუთივე თქვენი
ფეშქაში იყოსო.

ღორის ნათქვამმა მგელი ძალიან დააფიქრა, ტყუილად
კი არ არის ნათქვამი, ხერხი ჯობია ღონესა, თუ კაცი მოი-
გონებსო. მართლაცდა, სად გოჭის ქორფა, ჩვილი ხორცი და
სად ბებერი ღორისაო, თქვა გუნებაში მგელმა და ღრუტუ-
ნას ჰკითხა:

— კარგი, გაპატიებ დანაშაულს, მაგრამ მითხარი, შენს
ბუნაგში როდის ან რა დროს მოვიდეო?

— როცა გენებოთ, ბატონო, — მიუგო ღორმა, — მაგ-
რამ, ჩემი აზრით, საღამოთი ჯობია, უფრო უხიფათოდ
მოხვალთ, ვერავინ დაგინახავთ და ჩვენც ყველანი ბუნაგში
დაგხვდებითო.

მგელს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. — კარგი, საღამოზე
მოვალ, მაგრამ თუ მომატყუე, იცოდე, ცოცხალი ვერ გა-
დამირჩებიო, — უთხრა ღორს და თავის გზით წავიდა. მი-
დიოდა და თან ტუჩებს ილოკავდა, თვალწინ სულ მსუქანი
გოჭები ელანდებოდა და ნერწყვს ნერწყვზე ყლაპავდა.

მგელი რომ წავიდა, ღრუტუნამაც მაშინვე თავის სახ-

ლისაკენ მოძუძგა. თან სულ უკან იყურებოდა, ემანდ ღმერთი არ გაუწყრეს, სიწუწკემ არ დასძლიოს და ისევ არ წამომეწიოსო.

მივიდა ღრუტუნა შინ, დაუძახა შვილებს, შემოისხა ირგვლივ და რაც თავს გადახდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო. თან ყველანი სათითაოდ დაარიგა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ, როცა მგელი კარებს მოუკაკუნებდა ან რა ეპასუხნათ. ამის შემდეგ კარებს მაგარი ურდული გაუყარა, დაუწვინა შვილები და თვითონაც გვერდით მიუწვა.

კარგა რომ ჩამობნელდა, მოვიდა მგელი და კარზე დაკაკუნა.

ღრუტუნამ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს არ იცოდა, ვინც აკაკუნებდა და შიგნიდან ტუქსვით გამოსძახა:

— ვინ ოხერი ხარ, ამ შუაღამისას რომ აკაკუნებ. ამ დროს ყველა თავის კერაზე ზის და შენ თუ ავი სული არა ხარ, კარდაკარ რას დაეხეტებიო?

— ვინა ვარ და მგელი ვარ,—შეჰყმუვლა გარედან მგელმა,— გააღე, ღორო, კარები, თორემ პირის გატეხისათვის ავ დღეს დაგაყენებო.

— ღორიც შენა ხარ და უარესიც, — გამოსძახა ღრუტუნამ, — დაიკარგე მანდედან და საიდანაც მოთრეულხარ, ისევ იქით წაეთრიეო.

მგელი მიხვდა, რომ ნებით ვერაფერს გახდებოდა და კარის შემტვრევა მოინდომა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ბოლოს მოტყუებით სცადა ფონს გასვლა და ტკბილი ხმით გოჭებს გაესაუბრა. ჯერ მშიანას დაუძახა, — კარი გამიღეო.

მაგრამ მშიანამ მგლის თვალთმაქცობა კარგად იცოდა და როგორც დედისაგან იყო დარიგებული, ისე უპასუხა:

— მე შენთვის არა მცალია, მშია და ძუძუსა ვწოვ, დაიკარგე მანდედან, ნუ მაწუხებო!

მგელმა ახლა მცივანას დაუძახა:

— მცივანა, კარი გამიღეო!

მაგრამ მცივანაც დედისაგან იყო დარიგებული და მგელს საკადრისი პასუხი გასცა:

— მე ისედაც ძალიან მცივა და გიჟი არ ვიქნები, რომ კარი გავაღოო?!

რაკი მცივანამ უარი სტკიცა, მგელმა ახლა თბილანას მიმართა:

— თბილანა, შენ მაინც გამიღე კარი, შენ ხომ აღარა გცივაო.

— შენ ხომ არ გადაირიე, — გასძახა თბილანამ, — ძლივს ფარსაგად ჩავითბუნე და შენი გულისთვის გვერდებს ვერ გავიციებო.

იქნებ გვიანა მაინც შევაცდინოო, — თქვა გულში მგელმა და გვიანას შესძახა, — კარი გამიღეო!

— ახლა ძალიან გვიანია და კარს ვერ გაგიღებო! — ცივი უარი შეაგება გვიანამაც.

მგელმა ბოლოს მაგარას დაუძახა:

— მაგარა, გამიღე კარი, შენ ხომ მაგარი ხარ და შიში არაფრისა გაქვსო.

— მაგარი რომ ვარ, სწორედ ამიტომაც ვკეტავ კარს მაგრადო, — გამოსძახა მაგარამ.

მგელი ახლა კი მიხვდა, რომ შეაცდინა ღორმა და ბრაზისაგან სულ ცეცხლი მოეკიდა.

— ახია ჩემზე, რომ შენ დაგიჯერე და დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ვამჯობინე, — შესძახა ღრუტუნას, — მაგრამ იცოდე, თუ სადმე წაგასწარი და ხელში ჩამივარდი, შეუჭმელი ვერ გადამირჩებიო.

— კაი, თუ გავბრიყვდი და კიდევ ჩაგივარდი, მაგრამ მაგას ველარ ელირსებიო, — გამოსძახა ღრუტუნამ და არხეინად მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

რწყილი და ჭიანჭველა

მეგობარი ამქვეყნად ყველას სჭირდება — კაცსაც, პირუტყვსაც, ნადირ-ფრინველსაც და პაწაწინა არსებას — მწერსაც. ჰოდა, ერთხელ ერთი რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას ერთად. იარეს ბედნიერად, გადალახეს ბევრი მთა, ბევრი მინდორი და ბოლოს ერთ მოზრდილ რუს მიადგნენ. რწყილმა უთხრა ჭიანჭველას:

— მე გადავხტები და შენ რას იზამო?

— მეც გადმოვხტებიო, — მიუგო ჭიანჭველამ.

რწყილმა ისკუპა და გადახტა. ისკუპა ჭიანჭველამაც და შუა წყალში კი მოადინა ტყაპანი. წაიღო წყალმა ჭიანჭველა, ხედავს, საშველი აღარ არის და რწყილს შეეხვეწა:

— ძმობილო, მიშველე რამე, ნუ დამახრჩობო.

რწყილს თვითონ შველა არაფრით არ შეეძლო, ამიტომ ახტა, დახტა, მივიდა ღორთან და შეეხვეწა:

— ღორო, მომეც ჯაგარი,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

ღორმა ყურადღებით მოუსმინა და უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის რკო არ მოგიტანიაო?

რწყილი ისევ ახტა, დახტა, მივიდა მუხასთან და სთხოვა:

— მუხავ, მომეც რკო,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

მუხამ მოუსმინა, მსხვილი ტოტები შეარხია და უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის ყვავი არ მოგიშორებიაო?
რწყილი კვლავ ახტა, დახტა, მივიდა ყვავთან და სთხოვა:

— ყვავო, ეხსენ მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

ყვავმა მოუსმინა და ყრანტალით უთხრა:
— შენ რომ ჩემთვის წიწილა არ მოგიყვანიაო?
რწყილი დაიღალა ამდენი ხტუნვით, მაგრამ რა ექნა, მეგობარი ეღუპებოდა და თავს ვერ დაანებებდა. ისევ ახტა, დახტა, მივიდა კრუხთან და სთხოვა:

— კრუხო, მომეც წიწილა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

კრუხმა დაიკრუშკრუშა, გაიფხორა და უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის ფეტვი არ მოგიტანიაო?

შეწუხდა რწყილი, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ისევ ახტა, დახტა, მივიდა ფეტვის ორმოსთან და სთხოვა:

— ორმოვ, მომეც ფეტვი,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

ორმომ პირი ფართოდ დააღო და უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის თაგვი არ მოგიშორებიაო?

რწყილს ბევრი აღარ უფიქრია, იმავ წამს ახტა, დახტა, მივიდა თაგვთან და შეეხვეწა:

— თაგვო, ეხსენ ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემ წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

თაგვმა ტუჩები ააცმაცუნა, თვალები გადმოკარკლა და წრიპინით უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის კატა არ მოგიშორებიათ?
რწყილი ახტა, დახტა, მივიდა კატასთან და სთხოვა:

— კატავ, ეხსენ თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,
ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილ ჭიანჭველასა.

კატამ თვალები მილულა, ულვაშებზე დარბაისლურად გადაისვა თათი და დაიკნავლა:

— შენ რომ ჩემთვის რძე არ მოგიტანიათ?

რწყილმა კვლავ მკვირცხლად ისკუპა, ახტა, დახტა, მივიდა ძროხასთან და სთხოვა:

— ძროხავ, მომეც რძე,
რძეს მივუტან კატასა,
კატა დასთმობს თაგვსა,
თაგვი დასთმობს ორმოსა,
ორმო მომცემს ფეტვსა,
ფეტვს მივუტან კრუხსა,
კრუხი მომცემს წიწილსა,
წიწილს მივგვრი ყვავსა,
ყვავი დასთმობს მუხასა,
მუხა მომცემს რკოსა,
რკოს მივუტან ღორსა,
ღორი მომცემს ჯაგარსა,
დავგრეხ თოკსა-ბაწარსა,

ჩავუგდებ და ამოვიყვან
ჩემს ძმობილს ჭიანჭველასა.

ძროხამ ნელა დაიზმუვლა, რწყილს დიდრონი თვალები მიაშტერა და ცოხნით უთხრა:

— შენ რომ ჩემთვის ბალახი არ მოგიტანიაო?

რწყილს მეტი აღარ შეეძლო, ამდენი ხტუნვით მუხლები ასტკივდა, თავ-პირზე ხვითქი გადასდიოდა და სუნთქვაც უჭირდა, მაგრამ მეგობარს მაინც არ უღალატა, დაგლიჯა ბლომად ბალახი და ძროხას წინ დაუყარა.

ძროხამ ხარბად მოლოშნა ლორთქო ბალახი და მისცა რძე. რწყილმა რძე კატას მიუტანა, კატა თაგვს ჩამოეხსნა, თაგვი — ორმოს, ორმომ ფეტვი მისცა, რწყილმა ფეტვი კრუხს მიუტანა და კრუხმაც ერთი წიწილა აჩუქა, რწყილი მაშინვე ყვავთან მიიჭრა და წიწილა მიუყვანა. ყვავმა დასთმო მუხა, მუხამ მისცა რკო და რკო ღორს მიუტანა. გახარებულმა ღორმა მთელი კისრის ჯაგარი დაიგლიჯა და რწყილს მისცა. რწყილმა იქვე დაგრიხა ბაწარი, ჩაუგდო ჭიანჭველას და გამოიყვანა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ძაღლების ენა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი, გულკეთილი, მარტოხელა კაცი. კაცს ორი ძაღლის მეტი არაფერი ებადა, დღიურ მუშად დადიოდა და რასაც შოულობდა, ნახევარს ძაღლებს აჭმევდა, ნახევარს თვითონ ჭამდა.

მობეზრდა კაცს ასეთი ძაღლუმადური ცხოვრება და იფიქრა, მოდი, ცოლს მოვიყვან, იქნება ჩემს გაჭირვებას რამე ეშველოსო. მოიყვანა ცოლი და უარეს დღეში ჩავარდა: ისეთი ავი ქალი გამოდგა, რომ სულ თავბედს აწყევლინებდა, მსუნაგი და გაუმაძღარი იყო და ქმარს სულ ხილსა და ტკბილეულს სთხოვდა.

ერთხელ იანვარში მარწყვი მოინდომა და ქმარს უთხრა, თუ მომიტან, მომიტან, თუ არა და, შენთან აღარ ვიცხოვრებო.

დაღონდა ქმარი, სად უნდა ეშოვნა იანვარში მარწყვი? მაგრამ ცოლი ცეცხლს უკიდებდა და სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა წასულიყო. ადგა კაცი, აიყოლია თავისი ძაღლები და წავიდა.

ბევრი იარა კაცმა. და ეძება, მაგრამ იანვარში მარწყვს სად იპოვიდა? ბოლოს მშიერი და დაღლილ-დაქანცული ერთი მდინარის ბირას მივიდა. იფიქრა, ამ მდინარეში თევზი უთუოდ იქნება, დავიჭერ და მეცა ვჭამ და ძაღლებსაც დავაპურებო. მართლაც, დაიჭირა ერთი თევზი და შეწვას უპირებდა, რომ თევზმა უცბად ენა ამოიდგა და კაცს შეეხვეწა, ოღონდ ნუ მომკლავ და ძაღლების ენას გასწავლიო.

კაცმა ჰკითხა:

— ძაღლების ენა რაში გამოვიყენოო?

— იქნებ როდისმე გამოგადგეს, — უთხრა თევზმა, — არ იცი, რომ ცოდნა ზედმეტი არასოდეს არ არისო?

კაცმა იფიქრა, იქნებ მართლაც რამეში გამომადგესო, და თევზი გაუშვა. წამოვიდა, სოფელში ერთი პური იმათხოვრა, გატეხა შუაზე, ნახევარი ძაღლებს აჭამა და ნახევარი თვითონ შეჭამა.

პური რომ გაათავეს, ერთმა ძაღლმა მეორეს უთხრა:

— რა გულკეთილია ჩვენი პატრონი, ერთი პური იშოვა და ისიც ნახევარი ჩვენ გვაჭამა, ჩვენი დიასახლისი კი როგორი გულარჯლია, ნაცარტუტას აგვირევს და ისიც ენანება, სულ თავში გვირტყამს და მშივრებს გვხოცავს. რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი პატრონი თავის აშარ ცოლს წამოიყვანდეს და დიდ მინდორში, ბებერი ვაშლის ქვეშ ღრმა ორმოში რომ ეშმაკების ჯადოქარი ზის, იმას ჩაუგდებდესო.

კაცმა ეს რომ გაიგონა, სიხარულით ცას ეწია. მივიდა დიდ მინდორში და ვაშლის ძირას ერთი უზარმაზარი ორმო დაინახა, ორმოში ეშმაკების ჯადოქარი იჯდა და თავისთვის რაღაც წყეველას ბუტბუტებდა. კაცმა ორმოს წვრილი ფიჩხი წააფარა და ზედ მწიფე ვაშლი დააყარა, მერე წავიდა შინ და ცოლს უთხრა:

— დედაკაცო, მართალია, მარწყვი ვერ მოგიტანე, მაგრამ სამაგიეროდ, ერთი ისეთი თურაშაული ვაშლი ვიპოვნე, რომ იმის ჭამას არაფერი ჯობსო.

— რატომ არ წამომიღე, შე მიწის შეჭმულოო? — დასჭყივლა ცოლმა.

— იმიტომ, რომ მთლიანად ვერ წამოგიღებდი, — უთხრა თავმოკატუნებით ქმარმა, — ისევ ჯობია, თვითონ წამოხვიდე და მთელ ვაშლს დაეპატრონოო.

ცოლი მაშინვე ფეხზე წამოხტა და ქმარს შესძახა:

— აბა, გამიძეხი წინ და ახლავე იმ ვაშლთან მიმიყვანეო!

გაუძღვა კაცი წინ და წაიყვანა. მიიყვანა ვაშლის ხესთან. ცოლმა დაინახა ხის ძირას ფიჩხზე მიმოფანტული ვაშლები, შორიდანვე გაქანდა და ორივე ხელით დააცხრა. მაგრამ

მოკრეფა აღარ დასჭირდა, — ფიჩხის საფარი ჩაენგრა და ვაშლებიანად ორმოში მოადინა ტყაპანი.

— ჯადო იყავ და ჯადოქართანაც მოხვდიო! — ჩასძახა კაცმა, მერე ერთი უშველებელი ლოდი მოაგორა, დაუფარა ორმოს თავზე და გახარებული უკან გამობრუნდა.

გავიდა ხანი. ერთ დღეს თქვა კაცმა: მოდი, წავალ და დავხედავ, რა ყოფაშია ჩემი ცოლიო. წავიდა, მივიდა ორმოსთან და მიაყურადა: ორმოდან რაღაც ყღმურტული გაიგონა. კაცმა ასადა ქვას და რას ხედავს: ქალს ეშმაკების ჯადოქარი კუთხეში მიუგდია და თვითონ ხალვათად გაშოტილა. ჯადოქარმა დაინახა თუ არა კაცი, მაშინვე მუდარით ასძახა:

— ქრისტიანო, ადამიანო, ოღონდ აქედან ამიყვანე, ამ ჯადო დედაკაცს მომაშორე და საშვილიშვილოდ გაგაკეთებო.

ჩაუშვა კაცმა თოკი, ამოიყვანა ჯადოქარი და ორმოს ისევ ლოდი დააფარა. ჯადოქარმა უღრმესი მადლობა გადაუხადა კაცს და უთხრა:

— რაკი ამ ჯადო დედაკაცისაგან დამიხსენი, ახლა მე ვიცი და ჩემმა გრძნეულებამო. წავალ, თქვენს ხელმწიფეს რომ მზეთუნახავი ქალი ჰყავს, იმას საწოლზე თავით დავუჯდები და ისე ავად გავხდი, რომ სიკვდილის პირას მივიყვან. შენ ხმა დაყარე, ხელმწიფის ქალს მე მოვარჩენ, თუ ცოლად მომცემსო.

წავიდა ეშმაკების ჯადოქარი და დაუჯდა ხელმწიფის ასულს თავით. ქალი იმავ წამს სულთმობრძავი შეიქნა. დაიბარა ხელმწიფემ რაც კი გამოჩენილი მკურნალები ჰყავდა, მაგრამ ავადმყოფი ვერავინ მოარჩინა. გაიგო ეს კაცმა, წავიდა ქალაქში და ხალხში ხმა დაყარა, ხელმწიფის ასულს მე მოვარჩენ, თუ ხელმწიფე ცოლად გამატანსო. ხალხმა ეს ამბავი მაშინვე ხელმწიფეს შეატყობინა. ხელმწიფემ დაიბარა კაცი და ჰკითხა:

— მართლა შეგიძლია ჩემი ქალის მორჩენაო?

— შემიძლია და მოვარჩენ კიდეც, — უთხრა კაცმა, — თუ პირობას მომცემთ, რომ მორჩენის შემდეგ თქვენს ქალს ცოლად შემრთავთო.

ხელმწიფეს ძალიანაც არ უნდოდა თავისი ასული ღარიბ-ლატაკი კაცისათვის მიეთხოვებინა, მაგრამ თავს იქით ძალა არ ჰქონდა და დათანხმდა, — ოღონდ ნუ მომიკვდება, მოარჩინე და შენთვის დამილოცნიაო, — უთხრა კაცს.

— მაშინ წამიყვანეთ ავადმყოფთან, ოღონდ სხვა არაფერ შემომყვესო, — უთხრა კაცმა.

წაიყვანეს ეს საწყალი კაცი და მარტო შეუშვეს ხელმწიფის ქალის საწოლში. ეშმაკების ჯადოქარმა ახადა ჯადოქალს და ფანჯრიდან გაფრინდა. ქალი იმავ წამს კარგად გახდა, წამოდგა ლოგინიდან და საჭმელი მოითხოვა.

მოახსენეს ხელმწიფეს მისი ქალის გამოჯანმრთელება, ხელმწიფე ცას ეწია სიხარულით, იმავ დღეს ჯვარი დასწერა საწყალ კაცზე და მზითვად ნახევარი სახელმწიფო უბოძა.

მივიდა ეშმაკების ჯადოქარი კაცთან და უთხრა:

— რასაც შეგპირდი, ხომ შეგისრულე, ახლა იცოდე, მეზობელი ხელმწიფის ჯავრი მჭირს და იმისი შვილი უნდა გავხადო ავად, ვიცი, შეიტყობენ შენს ამბავს და სამკურნალოდ მიგიწვევენ, არამც და არამც არ დათანხმდე, თორემ რაც გაშოვნინე, იმასაც წაგართმევო.

წავიდა ეშმაკების ჯადოქარი და მძინარე ხელმწიფის შვილს საწოლის თავთით დაუჯდა. გახდა ხელმწიფის შვილი ავად, წევს სულთმობრძავი და აღარც ცოცხლებშია, აღარც მკვდრებში. აბა, ექიმები, აბა, წამლები, მაგრამ არაფერი შველის, ამ დროს კარისკაცებმა გაახსენეს ხელმწიფეს, — ჩვენს მომიჯნე ხელმწიფეს რომ ქალი მოურჩინა, ის მკურნალი დაიბარე და შენს შვილსაც განკურნავსო.

აფრინა მაშინვე კაცები ხელმწიფემ კაცთან და დიდძალ გასამრჯელოსაც შეპირდა, მაგრამ კაცს ჯადოქრის გაფრთხილება გაახსენდა და ცივი უარი შეუთვალა, — მე არც ექიმობა ვიცი და არც ფეხს მოვიცვლიო.

ხელმწიფემ უკანვე გააბრუნა თავისი შიკრიკები და დაბარა: — ან ახლავე აქ გაჩნდეს, ან არა და, უომრად არ გავუშვებო.

დაღონდა კაცი, აღარ იცის, რა ქნას, — წავიდეს, ჯადოქარი შემოსწყრება და ყველაფერს წაართმევს, არ წავიდეს და კიდევ უარესი—ხელმწიფე ჯარს მიუსევს და მიწას-

თან გაასწორებს. ამ ფიქრში რომ იყო კაცი, უცბად მისი ძაღლები ალაბარაკდნენ, ერთმა უთხრა მეორეს:

— ჩვენი ბატრონი დიდ გასაჭირშია, მაგრამ საქმე არც ისეთი ძნელია: რომ წავიდეს იმ ავადმყოფთან და ჯადოქარს უთხრას, ჩემი ცოლი ორმოდან ამოსულა და შენ დასახრჩობად მოდისო, ჯადოქარი შიშით მაშინვე გაეცლება ხელმწიფის შვილს და გადაიკარგება. ავადმყოფი მორჩება და ხელმწიფე გასამრჯელოდ ნახევარ სახელმწიფოს მიხცემსო.

კაცმა ეს რომ გაიგონა, სახე იმედით გაებადრა, მაშინვე წაბოდგა და ხელმწიფის კარისკაცებს განუცხადა, — მოვდივარო!

ხელმწიფემ დიდი პატივით მიიღო. კაცმა უთხრა: — წაბიყვანეთ ავადმყოფთან, ოღონდ მარტო შემიშვით, სხვა არავინ შემომყვესო. შეიყვანეს კაცი ავადმყოფთან. ეშმაკების ჯადოქარმა რომ დაინახა, უზომოდ განრისხდა და კაცს დაეტაკა: — ხომ გითხარი, სხვაგან ალარ წახვიდე ავადმყოფის მოსარჩენად, თორემ რაც გაშოვნინე, ისევ წაგართმევო.

კაცმა უთხრა:

— ორმოში, შენთან, დედაკაცი რომ ჩამოვაგდე, ის ამოსულა და შენს დასახრჩობად მოდისო. — დედაკაცის გახსენებაზე ჯადოქარს შიშით გააცივ-გააცხელა, გავარდა კარში და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ხელმწიფის შვილი, რა თქმა უნდა, მაშინვე კარგად გახდა. ხელმწიფემ შვილის გადარჩენის ნიშნად დიდი ნადიმი გადაისადა და კაცს დაპირებული ნახევარი სახელმწიფოც დაულოცა.

ჭ რი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

დათვი და მელია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხკაცი. ერთი ფარა ცხვრისა და ერთი გოგონას მეტი არაფერი ჰყავდა. მეწველ ცხვარში თვითონ დადიოდა და ბატკანში გოგონას გზავნიდა.

ერთ დღეს გოგონამ ადრე ვერ გარეკა ბატკნები: გზაზე დაუცხა, ფარა დაემურა და ვერ იქნა, ველარ გაშალა. ივჯდა და ტიროდა. ამ დროს მელიამ გამოიარა და ჰკითხა:

— რა გატირებს, გოგონავ, რა დაგმართნიაო?

— ბატკანი დამემურა და ველარ გამიშლიაო, — უპასუხა გოგომ.

— თუ ერთ ბატკანს მომცემ, — უთხრა მელიამ, — მე გაგიშლიო.

— მოგცემო, — დაეთანხმა გოგონა.

მელიასათვის მისაცემი ბატკანი გაიყვანეს და ხეზე მიაბეს. მელია შევარდა ბატკნებში და კუდის ქნევა დაიწყო. ბატკნები დაფრთხნენ და გაიშალნენ. ხეზე მიბმული ბატკანი მელიამ წამოიყვანა. სიხარულით ფეხზე ძლივსღა იდგა.

მელიას ძალიან უყვარდა თავისი ბატკანი და მუდამ პირით უზიდავდა ბალახს. გაუკეთა ერთი სახლი და იმაში ჰყავდა. საღამოს, შინ რომ დაბრუნდებოდა, ეთამაშებოდა ბატარა ბატკანს და ორივენი სარობდნენ.

ერთ დღეს დათვმა დაინახა, რომ მელიას ბატკანი ჰყავდა და იფიქრა: როგორმე უნდა შევუჭამოო.

მელია რომ შინ დაბრუნდებოდა, ფეხს შეუყოფდა კარში ბატკანს და დაუძახებდა:

ბეკო, ბეკო, ბეე,
კარი გამიღე,
პირით ბალახი მომაქვს,
ძუძუებით — რძე.

ბატკანიც დაინახავდა მელიას პატარა თათს და გაუღებდა კარს. ეს სიტყვები დათვმაც დაიხსომა. ერთხელ, როდესაც მელია სხვაგან იყო, ბატკნის სახლთან მივიდა და ბოხი ხმით დაუძახა:

ბეკო, ბეკო, ბეე,
კარი გამიღე,
პირით ბალახი მომაქვს,
ძუძუებით — რძე.

ბატკანმა დაუძახა: აბა ერთი თათი შემოყავიო. დათვმა შეყო თათი, მაგრამ დიდი და ბანჯგვლიანი თათი ჰქონდა. იცნო ბატკანმა და უთხრა:

— წადი, მე ჩემი დედობილის თათს კარგად ვიცნობ, შენ ის არა ხარ; იმას პატარა თათი აქვს და შენ — დიდიო.

დარჩა დათვი გაწბილებული. გაბრაზდა, რადაც არ უნდა დაზიჯდეს, ეს ბატკანი მაინც სელთ უნდა ვიგდოო, და წავიდა ტყეში.

ავდრიანი დღე იყო. მწყემსებს ცეცხლი ენთოთ და ირგვლივ შემოსხდომოდნენ. დათვი გადაუსტა, დააფრთხო ეს მწყემსები, თვითონ ნაცარში ამოითხუპნა, გაიტრუსა თათი და წავიდა ისევ ბატკნის სახლისაკენ. მივიდა კართან, შეყო ჭუჭრუტანაში თათი და წვრილი ხმით დაუძახა:

ბეკო, ბეკო, ბეე,
კარი გამიღე,
პირით ბალახი მომაქვს,
ძუძუებით — რძე.

ბატკანმა გაულო კარი, დათვი შევიდა, მაგრამ მაშინვე კი არ შეჭამა, უნდოდა მიზეზი რამ ეპოვა. გადაგორდ-გადმოგორდება ბატკნის წინ, დააბოყინებს და ეტყვის:

— ეგ რა ჰქენი, ბეკეკო, შე უზრდელოო?

— მე არაფერი მიქნიაო, — უპასუხებს ბეკეკო.

— სუ, თორემ შეგჭამო.

— ხელსაც ვერ მასლებო, — მიუგებს ბეკეკო, მელიას იმედი აქვს.

გადაგორდება დათვი ისევ, დააბოყინებს და ეტყვის:

— არც ახლა ჰქენ, შე უზრდელოო?!

— არაფერიც არ მიქნიაო.

— ბეკეკო, შეგჭამო, — დაემუქრება დათვი.

— ხელსაც ვერ მასლებო, — მიუგებს ბეკეკო.

დათვმა დაიჭირა ბატკანი, მაგრამ მელიასი ეშინოდა და მთლად კი არ შეჭამა, ნახევარი მას შეუნახა.

გამოვიდა დათვი და მელიას შეეფეთა. მელია მაშინვე მისვდა, რა ამბავიც მოხდებოდა. დათვმა დაუძახა:

— ძმისწულო, ბატკანმა გამაჯავრა და შევჭამე, ნახევარი შენ შეგინახეო.

— მადლობელი ვარო, — მოახსენა მელიამ ეშმაკობით, — ბატკნის სორცს არა ვჭამ, ბიძავ. რაც დარჩა, ისიც შენ შეჭამე, მე მინდა ნასუქი დეკეულის სორცი ვჭამო და შენც გაჭამო; აქ ახლოს ქორწილია, წავიდეთ, ბოსელს დავეცეთ, ყველანი მთვრალები არიან, ვერაფერს გაგვიგებენ და შეგვრჩებაო.

დათვს გაუსარდა:

— წავიდეთო!

წავიდნენ მართლაც. შევიდნენ ბოსელში, წააქციეს ერთი მსუქანი დეკეული, მიაძღა დათვი და მელიას უთხრა:

— მოდი, ერთი ჩვენც შემოვძახოთ მაყრულიო.

მელიამ უთხრა:

— მე ხმა ჩამიწყდა, შენ ბოსი ხმა გაქვს, შენ შემოსძახეო. დაიღრიალა დათვმა თავისებურად. გაიგონეს დათვის ღრიალი მაყრებმა, გამოუცვივდნენ. მელიამ ფხაჭა გაადინა კარის ძირიდან და თავს უშველა. დათვი კი დარჩა მაყრების ხელში. გამოიყვანეს ჩვენი „ბიძა“ და ნეფე-დედოფლის შე-

საქცევად ტყავი გაძვრეს. ტყავგაძრობილმა დათვმა როგორ-ღაც მოახერხა გაქცევა და თავს უშველა.

ძალიან გაჯავრებული იყო მელიაზე. დღედაღამ ეძებ-და, უნდოდა ჯავრი ამოეყარა. ერთ დღეს დაინახა — მელია ჯაგის ძირში ზის, გორაზე. წავიდა მისკენ. დაინახა მელიამ და თითქოს ვერ იცნოო, პირი მოარიდა. დათვმა დაუძახა:

— აბა, მანდ დამიცადეო.

მელიამ მიუგო:

— სმა ჩემი ბიძისაა, მაგრამ ეს წითელ-ყვითელი ტან-საცმელი კი იმისი არ არისო..

გამოუდგა დათვი მელიას. მელია გაძვრებოდა ეკლიან ჯაგში და კუდს მიუშვერდა დათვს, რომ ისიც შეეტყუებინა. ნისდევდა დათვიც, იკაწრებოდა, სდიოდა სისხლი და ყვი-რიოდა. მელია კი გაექცეოდა და ასლა სხვა ჯაგში წამოს-კუპდებოდა.

მერე მელიამ დაუძახა:

— ოღონდ ნუ მაწვალებ და მე თვითონ მოგარჩენო.

— როგორაო? — დაუძახა დათვმა.

— როგორ და ამგვარად: ხომ გინახავს, რას უშვრებიან ბეცხვარეები მგლისაგან დაგლეჯილ ცხვარს? წადი, სახნის-საკვეთი მოიტანე, გავახურებ, დაგდაღავ და მორჩებიო.

დათვი წავიდა, მოიპარა სახნის-საკვეთი და მიუტანა მე-ლიას. მელიამ გაახურა სახნის-საკვეთი, დაუძახა მწყემსებს, შეაკვრევინა ფეხები დათვისთვის და უთხრა:

— უნდა დავდაღო და მოვარჩინოო.

დაუწყო დაღება მელიამ, იწყო ყვირილი დათვმა. როდე-საც კარგა აღრიალა მელიამ „ბიძა“, გაუხსნა ფეხები და უთხრა:

— ასლა მოვნახავ გოდორს, ჩაგიგებ თივა-ბუმბულს, ჩაგსვამ შიგ და ბეწვი ამოგივაო.

მოაწვნევინა მწყემსებს ერთი გოდორი, ჩასვა შიგ, გადა-უწნა თავი და გააგორა. აგორა, აგორა და ერთი კლდის თავზე აიტანა. იქ წიხლი ჰკრა და ძირს გადაუშვა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სამმტევანა ბაბუკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი მეწისქვილე. წისქვილის ეზოში ერთი ძირი ვაზი ედგა და ზედ სამად-სამი მტევანი ება.

მტევნები რომ დამწიფდა, მეწისქვილემ მოიტანა სამსაპალნიანი ქვევრი და დაუწყო რეცხვა. ამ დროს ერთმა მგლიამ ჩამოიარა და მეწისქვილეს დაეღრიჯა:

— შენი ჭირიმე, ჩემო მეწისქვილევ, ერთი მტევანი მომიწყვიტე და ბედსა გწევო.

— შენ ხომ არ გაგიჟდი, — უთხრა მეწისქვილემ, — ვგრა ხედავ, ამ სამი მტევნის გულისთვის ამოდენა ქვევრსა ვრეცხავ, რომ მოგიწყვიტო, შიგ რაღა ჩავწურიო?

მელიამ იმდენი უჩიჩინა, იმდენი, რომ ერთი მტევანი მოაწყვეტინა. შეძვრა იქვე ბუჩქებში, გასვლიპა ყურძენი, ისევ მეწისქვილესთან დაბრუნდა და ახლა მეორე მტევანი სთხოვა:

— ჩემო მეწისქვილევ, ერთი მტევანიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო.

მეწისქვილე ისევ უარზე დადგა:

— რას ამბობ, კაცო, ეს ორი მტევანი ყურძენიღა დამრჩა და ერთი კიდევ რომ მოგიწყვიტო, ამ სამსაპალნიან ქვევრში რაღა ჩავასხაო?

მაგრამ მელია რის მელიაღა იქნებოდა, თუ მეწისქვილესაც ვერ შეაცდენდა. იმდენი ეხვეწა და ეთილისმა, — ბედსა გწევო, — რომ მეორე მტევანიც მოაწყვეტინა.

ისევ გაცუნცულდა ბუჩქებში, გასვლიპა ყურძენი, ისევ უკან გამოცუნცულდა და მეწისქვილეს წინ დაუცუცქდა.

— ჩემო მეწისქვილევ, ეგ ერთი მტევანიც მომიწყვიტე და ბედსა გწევო.

დაფიქრდა მეწისქვილე: „ამ ერთი მტევნით ქვევრს მაინც ვერ ავავსებ და მელამ კი შეიძლება მართლა ბედსა მწიოსო", — თქვა გულში და ის მესამე მტევანიც მოუწყვიტა.

მელამ მტევანი მეწისქვილის თვალწინ გასვლიპა, გაილოკა ულვაშები და უთხრა:

— ახლა წავალ და ხელმწიფის ქალს გითხოვ ცოლადო.

მელიას ნათქვამი მეწისქვილეს სიცილად არ ეყო:

— აბა რას ამბობ, ჩემო მელიავ, ხელმწიფე მე ქალს როგორ მომცემსო?

— შენ კარგად იყავი, მე ნურა ამტკივა რა, და როგორ არ მოგცემს, მაგასაც ვნახავო, — უთხრა მელიამ და გასწია ხელმწიფის სასახლისაკენ. მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, სამმტევანა ჭაბუკი ქალსა გთხოვთ ცოლად და უნდა მისცეთო.

ხელმწიფეს ასეთი არავინ გაეგონა და მელას ჰკითხა:

— ვინ არის ეგ სამმტევანა ჭაბუკი, რა კაციაო?

— კარზე სამი ძირი ვაზი უდგას, — უთხრა მელამ, — სამ ძირზე სამი მტევანი ყურძენი უბია და მათი ნაწურით სამსაპალნიან ქვევრს ავსებსო.

— ო, ეგ მართლაც უცნაური კაცი ყოფილაო, — გაიკვირვა ხელმწიფემ და მელიას უთხრა, — აბა, ერთი მომიყვანე და მაჩვენეო.

წამოვიდა უკან მელია, მოვიდა მეწისქვილესთან და უთხრა:

— ჩქარა მოემზადე, ხელმწიფეს სასიძოს გაცნობა სურსო.

მეწისქვილემ თავის გახრილულ ტანსაცმელზე დაიხედა და სულ გააცია და გააცხელა, — ასეთი რომ მივადგე ხელმწიფეს ქალის სათხოვნელად, ხომ მაშინვე თავს მომკვეთავსო.

— რასაც გეტყვი, შენ ის გააკეთე და დანარჩენი მე ვი-

ციო, — უთხრა მელამ, გამოატანინა წისქვილიდან ორი დიდი ტომარა, მისცა ხელში მეწისქვილეს და შარაგზის პირას გაიყვანა. გზაზე ერთი სომეხი ვაჭარი მიდიოდა და ურმით გასაყიდი ქუდები და ტანსაცმელი მიჰქონდა. მელამ უთხრა მეწისქვილეს: — შენ ურემს უკან გამოჰყევი და რასაც გადნოვყრი, ყველაფერი ტომრებში ჩაყარეო, — თვითონ წინ გაუსწრო ურემს, გაწვა შუაგზაზე და თავი მოიმკვდარუნა.

მიადგა ურემი მელიას. სომეხს მართლა მკვდარი ეგონა და ცას ეწია სისარულით, — მუქთი საქუდე ტყავი ვიშოვეო, — დაავლო ხელი მელას და ურემში გადაუძახა, თვითონ ისევ კოფოზე დაჯდა და სარები გარეკა.

მელიასაც ეს უნდოდა, რაკი ვაჭრის თვალი იცდინა, ყარა და ყარა ქუდები და ტანსაცმელი ურმიდან. მეწისქვილე უკან მიჰყვებოდა და ყველაფერს ტომრებში ყრიდა. ორივე ტომარა პირთამდე რომ გაავსო, მელა მხოლოდ მაშინღა ჩამოხტა ურმიდან, ერთი ტომარა თვითონ წამოიკიდა, მეორე მეწისქვილეს აჰკიდა და გზის პირას უჩინარ ადგილზე დამალა. მერე მეწისქვილეს ურემი შეაბმევინა, დაადებინა ტომრები ზედ და გაუძღვა ხელმწიფის სასახლისაკენ.

ხელმწიფის სახლს შორიახლო დიდი მდინარე ჩამოუდიოდა, მაგრამ ზედ ხიდი არ იყო. მდინარესთან რომ მივიდნენ, მელამ ხარ-ურემიცა და ტომრებიც წყალში ჩაყარა, მეწისქვილე ნაპირზე დატოვა, თვითონ ცურვით გავიდა, შევარდა ხელმწიფის ეზოში და ერთი ყვირილი და ვაი-ვიში ატეხა: დავიღუპეთ! ვინა ხართ ქრისტიანი, გვიშველეთო!

გამოიხედა ხელმწიფემ და ჰკითხა:

— რა მოხდა, რა გაყვირებსო?

მელიამ უფრო უმატა ყვირილს და მოთქმას:

— რაღა რა მოხდა, ჩემო ხელმწიფევ, სასიძო მომყავდა თქვენთან თავისი ამალით, მაგრამ წყალმა ურემი გადაგვიბრუნა და ხალხი სულ დაგვისრჩო. აგე, მდინარეს რომ ქუდები და ტანსაცმელი მიაქვს, სულ ჩვენი ამალისაა. ბედად, სიძე ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ტანსაცმელი იმასაც წყალმა მოსტაცა და დედიშობილა მდინარის გაღმა იცდისო.

ხელმწიფემ ბრძანება გასცა:—ახლავე ძვირფასი ტანსაცმელი გაუტანეთ, ჩააცვით და აქ მომიყვანეთო!

მსახურებმა იმავ წამს გაუტანეს მეწისქვილეს ტანსაცმელი. გამოაწყეს როგორც წესია, როგორც ხელმწიფის სასიძოს ეკადრებოდა, შესვეს საუკეთესო ბედაურზე და დიდი ბატივით შეიყვანეს სასახლეში.

მელიამ განზე გაისმო მეწისქვილე და უთხრა:

— არამც და არამც ტანსაცმელზე ყურება არ დაიწყო, ან სხვა არაფერი გაგიკვირდეს, თორემ შეგატყობენ, რომ ხამი ხარ და ქალს აღარ გაგატანენო.

მეწისქვილე თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა ასეთ ტანსაცმელს და რას არ დაიხედავდა! ასევე უკვირდა სახლის მდიდრული მორთულობა და ოქროთი მოვარაყებული კედლები და სულ აქეთ-იქით იყურებოდა.

ხელმწიფემ ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა და მელიას ჰკითხა:

— მელიავ, რა არის, რომ ეს ჩემი სასიძო სულ ტანსაცმელზე იყურებაო?

რა ღმერთმანი მელასაც პასუხი გაუჭირდებოდა, წამოდგა და ყველას გასაგონად მოახსენა:

— რა არის, დიდებულო ხელმწიფევ, და ჩაცმულობა არ ეოსწონს, ხომ თქვენ თვითონაც დაინახეთ, წყალმა როგორი ძვირფასი ტანსაცმელი მოსტაცა, ეგ თქვენი ნაძღვნევი იმისთანა ვერ არის და იმიტომ უყურებსო.

შერცხვა ხელმწიფეს და ბრძანა:

— ახლავე ტანსაცმელი გამოუცვალეთო! — და მსახურებმაც სულ ოქრომკედით ნაკერი ტანსაცმლით შემოსეს.

მეწისქვილეს ამ ძვირფასმა ტანსაცმელმა მთლად თავგზა აუბნია, აღარ იცოდა სად წასულიყო და სულელივით სულ აქეთ-იქით იყურებოდა. ხელმწიფემ ისევ მელას ჰკითხა:

— ახლა რაღად იყურება ასე უცნაურად, კიდევ ხომ არაფერს სწუნობსო?

— ახლა სახლს სწუნობს, — უთხრა მელიამ, — ეს რანაირ სახლში შემომიყვანეს, მასხარად ხომ არ მიგდებენო?

ხელმწიფის ბრძანებით, მეწისქვილე მაშინვე უფრო ზდიდრულად მორთულ სასახლეში გადაიყვანეს და სუფრაც იქ გაუშალეს.

ამასობაში ნეფე-პატარძლის წასვლის დროც დადგა,

ხელმწიფემ მთელი თავისი ჯარი, ნაზირ-ვეზირები და ჩსპ-ხურები გამოაყოლა მაყრებად ქალ-სიძეს და თან ათი ურე-ზი ბურ-ღვინო და შემწვარ-მოხრაკული გამოატანა. მიუ-ლღვის მეწისქვილე ამ უზარმაზარ მაყრიონს და თან ჭირის ოფლში ცურავს, — ერთი დანგრეული წისქვილის მეტი რომ არა მაბადია რა, ეს ამოდენა სტუმარი სად მივიყვანოო?

— შიში ნურაფრისა გაქვს, — უთხრა მელიამ, — შენ მარტო გზაზე მაყრები როგორმე შეაგვიანე, რომ თადარიგი მოგასწრო და დანარჩენი მე ვიცი. — დატოვა მელიამ მე-წისქვილე მაყრიონთან და დაწინაურდა.

წისქვილის ახლოს სიმდიდრით განთქმული დევები სახ-ლობენენ. რაღა არ ჰყავდათ და ჰქონდათ: მათი ცხვარ-ძრო-ხისა და ჯოგების ტარება მთა-ბარს უჭირდა, სოლო ბრო-ლისა და მარმარილოს სასახლეები თვალმარგალიტითა და ოქრო-ვერცხლით ჰქონდათ გამოტენილი. მელია მათზე ნა-წყენი იყო და ჯავრის ამოყრა უნდოდა. შევარდა დევების ეზოში და ატესა ყვირილი:

— არიქათ, თავს უშველეთ, თორემ აღმოსავლეთის ხელ-წიფე მოდის ჯარით და დედაბუდიანად ამოჟლეტას გიპი-რებთო!

გამოცვივდნენ დევები კარში, გაიგონეს მაყრიონთა სიმ-ღერა და დაფ-ნაღარის ხმა და გულგახეთქილები მელიას შეეხვეწნენ:

— შენი ჭირიმე, ჩვენო მელიავ, როგორმე გადაგვარჩინე და სიკეთეს არ დაგიკარგავთო.

— მომყევითო! — დაიძახა მელამ და გაუძღვა წინ. დე-ვებს მინდორში საზამთროდ მოზიდული თივის ზვინები ედ-გათ. მიიყვანა მელიამ დევები ამ თივის ზვინებთან, და უთხრა, — შეძვერით შიგ და რამდენიც დავიძახო, — გულ-თან! გულთან! — იმდენი თქვენ შიგნით და შიგნით შეიწი-ეთო.

შეძვრნენ დევები ზვინებში, მელიამ წაუკიდა გარედან ცეცხლი, ურბენს გარშემო და ყვირის: გულთან, გულთანო! დევები სულ უფრო შიგნით მიიწევდნენ და ბოლოს მთლია-ნად ამოიბუგნენ.

მელია საჩქაროდ უკანვე გამობრუნდა, შევიდა დევების

სასლში, მიალაგ-მოალაგა და მაყრიონს ჭიშკარში შეეგება. წაუძღვა წინ, დააღო კარები და მაყრები და ნეფიანი თვალმარგალიტით შემკულ დარბაზებში შეიყვანა.

მეწისქვილე ახლა დევების სასლის მდიდრულმა მორთულობამ გააკვირვა და მოჰყვა ისევ აქეთ-იქით ყურებას. მაყრებმა ეს შენიშნეს და მელიას ჰკითხეს:

— ჩვენი ხელმწიფის სასასლე თუ არ მოსწონდა, ეს სასლი ხომ თავისია და რაღად იყურება აქეთ-იქითო?

მელიამ პასუხი არც ამჯერად დააყოვნა:

— თქვენს სიძეს ნაბრძანები ჰქონდა, საქორწინოდ დარბაზი ჩემი ყველაზე ძვირფასი ალმასებითა და მარგალიტებით მოგირთეთო, და ახლა რომ კედლებზე იმათ ვერა ხედავს, ჯავრობსო.

მაყრებმა გაკვირვებით გადასედეს ერთმანეთს, — ამაზე ძვირფასი რაღა უნდა იყოსო?!

მსასურებმა ხელმწიფის გამოტანებული პურ-მარილი ამოალაგეს და სუფრა გაშალეს. სუფრის თავში, რა თქმა უნდა, ნეფე-პატარძალი დასსეს და სამი დღე და ღამე გაუჩერებლად ილხინეს და იმხიარულეს. მეოთხე დღეს სიძეს ბედნიერი ცხოვრება უსურვეს და გამოემშვიდობნენ.

ამ დღიდან მეწისქვილე მართლაც რომ ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობდა. სიკეთე არც მელიას დაუკარგა და და ქათმების მოვლა-პატრონობა ჩააბარა. მართალია, მელიას ხანდასან სული წასძლევდა და ერთ მსუქან დედალს ან ქორფა ვარიკას შესანსლავდა, მაგრამ გაწეული სამსახურისათვის მეწისქვილე ამ მცირე ცოდვას აპატიებდა ხოლმე.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ᲛᲔᲚᲘᲐᲡ ᲝᲜᲔᲑᲘ

იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაფანდარა მელია, დადიოდა სოფლიდან სოფელში და ყველგან რაღაც ზიანს შვრებოდა, ერთგან ქათამს მოიპარავდა, მეორეგან — ბატს ან ინდაურს, არც ჩვილ, ძუძუთა ბატკნებზე ამბობდა უარს და თავის წუთისოფელს უზრუნველად ატარებდა.

ერთხელ ნაფეტვარზე გაიარა. ყანაში ბევრი თავთავი ეყარა. მელიამ იფიქრა, ამ თავთავებით შეიძლება კარგად ვისარგებლოო, და დაიწყო კრეფა, კარგა მოზრდილი კონა მოკრიფა, ამოიდო იღლიაში და გაუდგა გზას.

ერთ სოფელში დაუღამდა. მივიდა ერთ სახლთან და დაიძახა:

— ოჯახიშვილებო, ღამეს ვერ გამათევინებთო?

— რატომ ვერ გაგათევინებთ, მობრძანდითო! — გამოსძახეს შიგნიდან. მელია შევიდა. თავთავების კონა მასპინძელს მიაბარა და უთხრა, კარგად შემინახეთ, ქათმებმა არ შემიჭამონო.

მასპინძელმა თავთავების კონა მარანში შეიტანა და კედელზე ჩამოჰკიდა. შუაღამისას, ყველამ რომ დაიძინა, მელია ჩუმად ადგა, გამოვიდა მარანში, გამოიტანა თავთავების კონა და საქათმეში წითელ მამალს დაუდო წინ. მამალმა დედლები მოიწვია და დილისათვის ერთი მარცვალიც აღარ დატოვეს.

დილას რომ ადგნენ და ისაუზმეს, მელია წასასვლელად მოემზადა და მასპინძელს ანაბარი მოსთხოვა. შევიდა მასპინძელი მარანში და სადღაა ფეტვის კონა. ეძებეს, ეძებეს

და გამოკენკილი თავთავები საქათმეში იპოვეს. მელიამ ტირილი მორთო;

— ეგ თავთავები ვაი-შავი დღით მქონდა ნაშოვნი, მეტი არაფერი მებადა და ეგეც თქვენმა მამალმა შემიჭამაო.

შეწუხდა მასპინძელი და ჰკითხა:

— რა გიყო, მელიავ, რით აგინაზღაურო ეს ზარალიო?

— ან ჩემი თავთავები დამიბრუნე, ან ის წითელი მამალი მომეცი, რომელმაც ჩემი ფეტვი გამოკენკაო, — უთხრა მელიამ.

რაღას იზამდა მასპინძელი! ნათქვამია, ანაბარი მგელმაც იცისო. ადგა და გამოიყვანა ის წითელი მამალი. ამოიდო მელიამ იღლიაში მამალი და გასწია თავის გზაზე. მიდიოდა და გახარებული მიიმღეროდა:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალს მივირთმევ ვახშმადა.

იარა მელიამ ასე ღიღინ-ღიღინით და ერთ მთაზე დაუღამდა, დაინახა მეცხვარის ბინა, მივიდა და ღამის გათევა სთხოვა. მეცხვარე, რა თქმა უნდა, სტუმარს უკან არ გააბრუნებდა და მაშინვე კოცონთან გადაიპატიჟა.

მელიამ მამალი მეცხვარეს მიაბარა და თან გააფრთხილა:

— კარგად შემინახე, შენმა ვაც-ვერძებმა რქით არ გამიფატრონო.

— ნუ გეშინიაო, — უთხრა მეცხვარემ და მამალი ბოსლის ზედა კუთხეში დასვა.

ივახშმეს და დაიძინეს. შუაღამისას, როცა მეცხვარეს ძილი გაუყინჩდა, მელია ჩუმად ადგა, აიყვანა თავისი მამალი, ბაკში შევიდა და ერთ მოზრდილ ერკემალს რქაზე ჩამოაცვა.

მეორე დილით რომ ადგნენ და ისაუზმეს, მელიამ უთხრა მეცხვარეს: — აბა, ახლა კი მომიყვანე ჩემი მამალი და წავალო.

შევიდა მეცხვარე ბოსლის უკანა კუნჭულში, მაგრამ სადღაა მამალი. ეძებეს, ეძებეს და ნახეს: ბაკში ერკემალს ჰყავს რქაზე წამოცმული.

შემოიკრა მელიამ თავში ხელი და დაიწყო ტირილი.

— მაგის მეტი არაფერი გამაჩნდა და ეგ ვაი-შავი დღით ნაშოვნი მამალი რად მომიკალითო?..

შეწუხდა ძალიან მეცხვარე და მელიას ჰკითხა:

— რა გიყო, რით გადაგიხადო შენი ზარალიო?

— აწ ჩემი მამალი გამიცოცხლე, ან ის ერკემალი მომეცი, რომელმაც მოკლაო, — მიუგო მელიამ.

რაღას იზამდა მეცხვარე, მამალს ხომ ველარ გააცოცხლებდა და ისევ ერკემალი გამოუყვანა, ჩააბა რქებში თოკი და მისცა. წამოვიდა. მელია გახარებული, მიჰყავს მსუქანი ერკემალი და მიიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლაღა,
მამალი — ერკემალადა.

იარა, იარა და სალამო ხანზე ერთ გუთნისდედას მიადგა. უთხრა, ღამეს ვერ გაამათევინებთ?

— რატომ ვერ გაგათევინებ, მელიავ, მოგრძანდიო.

მისცა მელიამ ერკემალი მასპინძელს და თან გააფრთხილა:

— სადმე მოშორებით დააბი, სარებმა არ გაგიფატრონი.

შეიყვანა გუთნისდედამ ერკემალი ბოსელში და სულ ბოლო კუთხეში დააბა. ივახშმეს და დაიძინეს.

ღამით ჩუმად ადგა მელია, შევიდა ბოსელში, ასხნა ერკემალი და ერთ ყველაზე მსუქან ხარს რქაზე ჩამოაცვა.

დილას გაიღვიძეს, ისაუზმეს და მელიამ უთხრა მასპინძელს:

— გამომიყვანე ჩემი ერკემალი და წავალო.

შევიდა გუთნისდედა ბოსელში და რას ხედავს: მელიას ერკემალი ნიშა ხარს წამოუცვია რქაზე და არხეინად იცოხნება:

შემოიკრა მელიამ თავში ხელი და მორთო ტირილი:

— მაგ ერკემლის მეტი არაფერი გამაჩნდა, ვაი-შავი დღით მყავდა ნაშოვნი და ეგეც შენს ხარს მომიკვლევინეო.

შეწუხდა გუთნისდედა და ჰკითხა:

— რა გიყო, ჩემო მელიავ, რით აგინაზღაურო ზარალიო?

— ან ჩემი ერკემალი გამიცოცხლე, ან არა და, ის ხარი მომეცი, რომელმაც ერკემალი მომიკლაო.

რაღას იზამდა გუთნისდედა, გამოუყვანა ნიშა ხარი და მისცა. გაიგდო მელიამ ხარი წინ და გამოსწია გახარებულმა. მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა,
ერკემალი კი ხარადა —
თვალ-გულის გასახარადა.

იარა, იარა და გზაზე ისევ დაუღამდა. ერთ დედაბერთან მივიდა და ღამის გათევა სთხოვა. დედაბერმა შინ შეიპატიჟა:

— მობრძანდი მელიავ, მობრძანდი, ღამეს როგორ არ გაგათევინებო.

დედაბერს სამი ლამაზი ქალი ჰყავდა, შევიდა მელია შინ და ქალებს უთხრა:

— ეზოში ხარი მყავს, დილამდე ისე შემინახეთ, რომ არ ქურდმა არ დამიკლას და ან მგელმა არ შემიჭამოსო.

გამოვიდნენ ქალები, შეაგდეს ხარი ბოსელში, ერთი მოზრდილი კონა ბალახი დაუყარეს და კარები გარედან გადაკეტეს.

დედაბერმა ქათამი გააკეთა, ივახშმეს და დაიძინეს. ღამე ცვალამ რომ დაიძინა, მელია ჩუმად ადგა, აიღო დედაბრის დანა, შევიდა ბოსელში და ხარს ყელი გამოსჭრა. სისხლიანი დანა უმცროს ქალს ჩაუდო ჯიბეში და ისევ დაწვა.

გათენდა დილა, ისაუზმეს და მელიამ უთხრა:

— აბა, დედი, ჩემი ხარი გამომიყვანეთ და წავალო.

შევიდა დედაბერი ბოსელში და რას ხედავს: ხარი ყელგამოჭრილი გდია. გამოვიდა და უთხრა მელიას. მელიამ შემოიკრა თავში ხელი და მორთო ტირილი:

— ეს ხარი იყო ჩემი სარჩო-საცხოვრისი და რად დამიკალით, რაზე დამღუპეთო?

დაადგიძა დედაბერმა თავისი ქალები და ჰკითხა: — ხარი რომელმა დაჰკალითო? — ქალებმა დაიფიცეს, ჩვენ არ დაგვიკლავსო.

— მაშინ გავუსინჯოთ ჯიბეები და ვისაც სისხლიანი ლანა აღმოაჩნდება, დამკვლელიც ის იქნებაო, — თქვა ბოლოს მელიამ.

გაუსინჯეს ჯიბეები და სისხლიანი დანა უმცროს ქალს აღმოაჩნდა. მელიამ უარესად შეშფოთდა თავში ხელი და უფრო ხმამაღლა აღრიალდა:

— მასპინძლებს რომ სტუმრისათვის ასე ეღალატოს, ჯერ არსად გამიგონიაო.

შეწუხდა დედაბერი და მელიას ჰკითხა:

— რა გიყო, ჩემო მელიავ, რით აგინაზღაურო ზარალიო?

— ან სარი უნდა გამიცოცხლო, ან არა და, რომელმაც ჩემი სარი დამიკლა, ის ქალი უნდა მომცეო,—მიუგო მელიამ.

რაღა უნდა ექნა დედაბერს, სიმართლეს ვინ სად წაუვა? ადგა და მისცა უმცროსი ქალი. მელიამ დედაბერს ერთი მოზრდილი გუდა სთხოვა, ჩასვა ქალი იმ გუდაში, წამოიკიდა და გახარებული გაუდგა გზას. მიდის და მიიმღერის:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა,
ერკემალი კი — ხარადა,
ხარი — უტურფეს ქალადა.
მიმყავს და მიმიხარია,
ვერვინ წამართმევს ძალადა,
ცა ქუდად არ მიმაჩნია
და დედამიწა ქალმნადა.

ერთ მეღორეს ბურვაკი დაეკლა და ცეცხლის პირას მწვადებს აგებდა. დაინახა მელია და დაუძახა:

— მელიკო, მოდი მწვადზე დამეწვიეო!

მელია ბურვაკის მწვადზე აბა რა უარს იტყოდა და სიამოვნებით დათანხმდა. მივიდა მეღორესთან, მოიხსნა გუდა და დადო. მეღორემ უთხრა:

— მელო, მოდი, გადაირბინე და ღელიდან წყალი მოიტანე, ღვინო არა გვაქვს და ამ გემრიელ სადილს ცივი წყალი მაინც დავაყოლოთო.

აიღო მელიამ თუნგი და წავიდა. მეღორემ იფიქრა, მოდი ვნახავ, მელას ამ გუდაში რა აქვსო, მოხსნა გუდას პირი

და ნახა ლამაზი ქალი. ამოიყვანა საჩქაროდ და ბუჩქებს უკან დამალა, გუდაში კი ქალის მაგიერ ერთი ყველაზე დიდი ქოფაკი ჩასვა და თან პური ჩაუყარა, რომ არ ეხმაურა.

მოიტანა მელიამ ცივი წყალი, შემოუსხდნენ სუფრას და ცვრიან მწვადებს გემრიელად მიაძღნენ. ჭამას რომ მორჩნენ, მელიამ ულვაშები მოიწმინდა, ზელორეს დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ახლა კი წავალ, თორემ მეშინია, გზაზე არ დამიღამდესო.

— კი, კი, ჯობია, — დაეთანხმა მელორე, — წასვლა ჯობ წამავალისაო, — და დიდი პატივით გაისტუმრა.

წამოიკიდა მელიამ გუდა, მიდის და მწვადით გამაძღარი უფრო ხალისიანად მიიმღერის:

ფეტვი გავეიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა,
ერკემალი კი — ხარადა,
ხარი — უტურფეს ქალადა.
მიმყავს და მიმისარია,
ვერვინ წამართმევს ძალადა,
ცა ქუდად არ მიმაჩნია,
და დედამიწა ქალმნადა.

ამ დროს ძაღლს გუდაში პური გაუთავდა და ფხაკუნი ატეხა. მელიას ეგონა, ქალს რაღაცა აწუხებსო, გადმოიღო გუდა და შეუსნა პირი, ამოვარდა გააფთრებული ქოფაკი გუდიდან, გაიგდო წინ მელია, წამოეწია და ფაფუკი ქურქი კუდის რიკამდე გააძრო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი აქა.

დათვი და მელა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცბიერი მელაკუდა. მელა სულ მარტოკა დაცუნცულებდა და სარჩოს გაჭირვებით შოულობდა. ბოლოს, ძალიან რომ გაუჭირდა მარტოს თავის რჩენა, თქვა, ერთი ამხანაგი თუ არ ვიშოვე, ისე არაფერი მეშველებაო, და წავიდა ამხანაგის საძებნელად.

ტყეში დათვი დაინახა. დათუნიას ერთი მსხმოიარე პანტა ჩამოებერტყა და მწიფე ნაყოფით გამაძღარი ხის ძირას ზანტად გორაობდა. მელიამ იფიქრა: „რაღა სხვა ვეძებო, ამაზე ძლიერსა და საიმედო მეგობარს ან სად ვიშოვი, თავსაც დაირჩენს და მეც მაძღრისად შემინახავსო". — მივიდა, მიესალმა და უთხრა:

— დავძმობილდეთო.

თავის მხრივ დათვსაც გაუხარდა მელიასთან ამხანაგობა, ეშმაკია და ბევრ რამეში გამომადგებაო, და უყოყმანოდ დათანხმდა. დაძმობილდნენ და დაიწყეს ერთად ცხოვრება. დათვს ცხვრები და ძროხები მოჰქონდა, მელას მსუქანი დედლები და ყველაფერს ტოლად იყოფდნენ, ხორცს ჭამდნენ, ქონს ადნობდნენ და საზამთროდ ქვევრში ინახავდნენ, — ძალიან რომ გაგვიჭირდება, მაშინ გამოვიყენოთო.

ასე გალიეს ზაფხული და შემოდგომა. ზამთრის პირზე საშოვარი შემოაკლდათ, რადგან სალხმა ცხვარ-ძროხა და საქონელი თბილ გომურებში გამოკეტა, ხოლო როცა კარგა დაზამთრდა და თოვლი ჩამოყარა, მთლიანად გამოელიათ.

დათვს ისე რიგად არ უჭირდა, ჩაიწყობდა თათებს პირ-

ნი, იწუწნიღა და შიმშილს იმით იოკებდა. მელიას კი თათე-ბის წუწვნა ჯიშად არ მოსდგამდა და კუჭი შიმშილით ეწვო-და. ბოლოს ვეღარ გაუძლო შიმშილს და დათვს უთხრა:

— ბიძავ, შენ თათებს იწუწნი, მე კი შიმშილით სული წძვრება, ნოდი, ქონიან ქვევრს მოვხდი და ცოტა სულს მო-ვიბრუნებ, ხომ ძმები ვართ და ძმობაში კი თანასწორობა უნდა იყოსო.

მაგრამ შიმშილმა და გაჭირვებამ დათვს ძმობა და თა-ნასწორობა დაავიწყა და მელა მკაცრად დატუქსა:

— ხელი არ ახლო, თორემ მიგბეგვავ. მაგ ქონს, ხომ იცი, ვაიშავი დღისათვის ვინახავო.

გაჯავრდა მელია, მაგრამ აბა დათვს რას გაუბედავდა, გუნებაში კი თქვა, — შენ თუ სამაგიერო არ გადაგისადო, ბელაკუდა ნუ მერქვასო. ზის მელია ბუნაგში და ფიქრობს, რა მოვიგონო ისეთი, რომ ქონი სულ მე დამრჩესო. უცბად ადგა, გამოვარდა კარში და ხმამაღლა დაიძახა:

— რა იყო, კაცო, რას მეძახითო?! — ცოტახანს შეიცა-და და კიდევ დაიძახა: — კარგით, კარგით, შევალ, ბიძას ვკითხავ და თუ გამომიშვებს, წამოვალო!

შევიდა მელია ბუნაგში და დათვმა ჰკითხა:

— რა იყო, მელია-კუდიგრძელია, რას გეძახოდნენო?

— აგე ქვევით, ჭალაში რომ მეცხვარეა, ის ამოსულა და ნათლიად მეპატიჟება, შვილი მომინათლეო და, რა-ვქნა, წავიდე თუ არაო?

— წადი, კაცო, წადი და ცოტა რამ ნათლობის წილი მეც წამომიღეო.

ადგა მელია და გამოვიდა კარში, რის ნათლობა, რა ნათ-ლობა! მიადგა ქონით სავსე ქვევრს და ნაპირები მთლიანად მოულოკა. გამოძღა ლამაზად, შევიდა ბუნაგში ხვნეშით და კუთხეში წამოწვა.

— რა ჰქენი, მონათლე ბალღიო? — ჰკითხა დათვმა.

— მოვნათლეო, — მიუგო მელამ.

— სახელი რა დაარქვესო?

— თავმოლოკილიო.

— მე არაფერი წამომიღეო?

— აბა, რას მოგიტანდი, ბიძიავ, — უთხრა მელიამ, —

ერთი კვერი ყველი ჰქონდათ და ერთი კულა ღვინო, კულა ავაკურკულე, ჩავაკურკულე, ზედ ის ყველი დავაყოლე და წამოვედიო.

— კარგი, რაკი მეტი არაფერი ჰქონდათ, რაღა იქნებაო, — უთხრა დათვმა და კვლავ თათების წოვა განაგრძო.

გამაძღარმა მელამ იმ ღამეს ტკბილად დაიძინა, მეორე დღეს კი ისევ გამოვიდა კარში და გუშინდელივით დაიძახა:

— რა იყო, კაცო, ახლა რაღას მეძახითო?! — და ცოტა ხნის შემდეგ დააყოლა, — აბა, შევალ, ბიძას დავეკითხები და თუ გამომიშვებს, წამოვალო!

შევიდა შინ მელია და დათვმა ჰკითხა:

— ახლა ვინღა იყო, ან რას გეძახოდაო?

— ახლა მეღორე მეძახის, კაი ხელი გქონია და ბავშვებმეც მომინათლეო.

— მაშინ წადი, რაღას უყურებო, — უთხრა დათვმა. — ოღონდ გუშინდელივით კი არ ჰქნა, ნათლობის წილ-კერძი მეც წამომიღეო.

— წამოგიღებო, — შეპირდა მელია და გამოვიდა. მიადგა ქვევრს და ქონი ნასევრამდე დაიყვანა. გამოძღა კარგად, გადაილოკა ულვაშები და დაბრუნდა ბუნაგში.

— რა ქენი, მონათლე ბალღიო? — ჰკითხა დათვმა.

— მოვნათლეო, — მიუგო მელიამ.

— სახელი რა დაარქეესო?

— შუაწელაო, — მიუგო მელიამ.

— ნათლობის წილი კიდევ არ მომიტანეო? — გაუწყრა დათვი.

მელამ თავი მოიკატუნა:

— აბა, რას მოგიტანდი, ბიძავ, ერთი ღორის ბარკალი ჰქონდათ და ერთი კულა ღვინო, კულა ავაკურკულე, ჩავაკურკულე, ზედ ის ბარკალი დავაყოლე და წამოვედიო.

დათვს ძალიან ეწყინა, ღორის ბარკლის ხსენებაზე სომ მთლად პირწყალი მოადგა, მაგრამ აღარაფერი თქვა და ისევ თათების წოვა დაიწყო. მელია კი მიწვა კუთხეში და ქონით გამაძღარმა ყინჩად დაიძინა.

მეორე დღეს მელიამ შუადღემდე ინებივრა, — გაწვა გულაღმა და აქეთ-იქით იგორავა, სოლო როცა მოშივდა, ისევ კარში გამოვიდა და სმამაღლა დაიძახა:

— რა გინდათ, კაცო, კიდევ რაღას მეძახითო? — ცოტა ხანს იყუჩა და კიდევ გასძახა, — კარგით, შევალ, ბიძას ვკითხავ და თუ გამომიშვებს, წამოვალო!

შევიდა მელია ბუნაგში და დათვმა ჰკითხა:

— რა იყო, მელია — სერეფენია, კიდევ ვინ იყო, ან რაღას გეძახოდნენო?

— ახლა მეძროხე ამოსულა და ისიც ბალღის მონათლას მთხოვს, კარგი სელი გქონია და გინდა თუ არა, შენ უნდა მომინათლოო, და რას იტყვი, წავიდე, თუ უარი შევუთვალოო?

— წადი, ოღონდ თუ კიდევ სელცარიელი მოხვედი, ძალიან მეწყინებაო, — უთხრა დათვმა.

— თუკი იქნება, რატომ არ წამოგიღებო, — დააიმედა მელამ და გამოვიდა. მივიდა ქვევრთან, მოხადა თავი და მთლიანად ამოლოკა. მოილოკა ტუჩები და სოროში შევიდა.

— რა ქენი, მონათლე ბალღიო? — ჰკითხა დათვმა.

— მოვნათლეო, — მიუგო მელიამ.

— სახელი რა დაარქვითო?

— ძირმოლოკილაო.

— არც ახლა მომიტანე რამეო? — ჰკითხა დათვმა.

მელამ ისევ წუწუნი დაიწყო:

— რას წამოგიღებდი, ბიძავ, როცა თავისთვისაც არაფერი ჰქონდათ. ერთი გუდა ერბო მომიტანეს და ერთი კულა ღვინო. კულა ავაკურკულე, ჩავაკურკულე, ზედ ის ერბო დავაყოლე და წამოვედიო.

— კარგი და სვალ მე თვითონ წავალო, — თქვა დათვმა.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა მელამ, — წადი, ამდენი ქეიფი მე მომბეზრდა კიდეცო.

მელამ ისევ სვრინვა ამოუშვა, დათვმა კი ჩაიწყო პირში თითები და მთელ ღამეს ბურდღუნით წუწნა.

გათენდა მეორე დღე. მელა გამოვიდა ბუნაგის წინ და დაიძახა:—რა გინდათ, კაცო, აღარ უნდა მომასვენოთო?— და ცოტა სნის შემდეგ დაუმატა, — კარგით, აბა, შევალ შინ და გავიგებ, ბიძა რას იტყვისო.

შევიდა მელა შინ და დათვმა ჰკითხა:

— ახლა ვიღამ დაგიძახაო?

— ახლა მეჯოგე მეძახის, იმასაც ბავშვი ჰყოლია მოსანათლიო, — უთხრა მელამ.

— ახლა მე თვითონ წავალო, — თქვა დათვმა და ზლაზვნით წამოდგა. გამოვიდა კარში და ჭალისაკენ დაეშვა. მელიასაც სწორედ ეს უნდოდა, რომ დათვი შორს გაეტყუებინა და თავისი ნამოქმედარი დაეფარა. მაშინვე კარში გამოვარდა, მოზიდა ნაცარი და ამოჭმულ ქვევრში ჩაყარა. მოუსწორა პირები, დააფარა ისევ სარქველი და არხეინად წამოწვა.

დათვი კი ჩავიდა ჭალაში და პირდაპირ მეჯოგის თავლებს მიადგა. დაინახა მეჯოგემ, ეგონა, კვიცის მოსატაცებლად მოდისო, გამოიტანა კომბალი და მისცხო და მისცხო გვერდებში. დათვმა რის ვაი-ვაგლახით დააღწია მეჯოგის კომბალს თავი და ნაცემ-ნაბეგვი ბუნაგისაკენ ძუნძულით წავიდა. შევიდა შიგ და ხვნეშით კუთხეში დაეგდო.

— გეტყობა, კაი ნათლობა გქონდათ, კარგი ნაქეიფარი ჩანხარო, — უთხრა მელამ.

— კი, გვარიანი პატივი მცესო, — ჩაიბურტყუნა დათვმა. შერცხვა და მელას სიმართლე არ გაუმხილა.

— ბალღს რა დაარქვითო? — ჰკითხა მელამ.

— გვერდებჩალეწილიო.

— კარგი სახელი დაგირქმევიათო, — მოუწონა მელამ და თან დაუმატა, — ამის შემდეგ რომ დაგვიძახებენ, ნათლიად სულ შენ იარეო.

— მე ნათლია-ნათლობა არ ვიცი, — უთხრა დათვმა, — ქეიფმა მადა გამიღვიძა, ნათქვამია, მადა ჭამაში მოღისო. წამოდი, ჩვენს ქვევრს გადავხადოთ და ქონი ვჭამოთ, თორემ მეტის მოთმენა აღარ შემიძლიაო.

გამოვიდნენ და მივიდნენ ქვევრთან. მელიამ გაღახადა სარქველი და დათვს უთხრა:

— ოჰ, ბიძავ, ქონს ბრკე და ობი მოჰკიდებია და თუ არ გადავაცალეთ, გემოს ვერ ჩაატანო.

— როგორ გადავაცალოთო? — ჰკითხა დათვმა.

— როგორ და, სული უნდა შევუბეროთო.

— მერე, შეუბერე, რაღას უყურებო? — გაუწყრა დათვი.

— მე ჯერ თვითონ რა ვარ და ჩემი შებერვა რაღა უნდა იყოსო, — უთხრა მელიამ, — ისევ შენ შეუბერე, ღონიერი ხარ და სულიც მეტი გიდგასო.

დაჭყიტა დათვმა თვალები და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეუბერა, აბუქდა ნაცარი და სულერთიანად თვალებში შეეყარა. დათვმა მეტისმეტი სიმწრისაგან ღმუილი გააბა და თვალების სრესა დაიწყო, მაგრამ ვერაფერი იშველა და ისევ მელიას უთხრა: — რა ვქნა ახლა, თვალებდაშრეტილმა როგორღა ვიაროო?

— ექიმთან წაგიყვან და მოგარჩენსო, — უთხრა მელიამ.

— ბრმა ვარ და როგორ წამოვიდეო? — ჰკითხა დათვმა.

— აი, როგორ, — უთხრა მელიამ, — წავალ და აყიროს მოვიტან, შიგ კენჭებს ჩავყრი, გაგიძღვები წინ, დავაჩხარუნებ და ჩხარუნს გამოჰყევი. სადაც სწორი და უშიშარი გზა იქნება, გეტყვი: ახტი, დახტი, ბერო ბიძავ, აქ ხომ დიდი ველიაო, და შენც სირბილით გამომეკიდე, ხოლო სადაც ვიწრო და სახიფათო გზა იქნება, იქ გეტყვი: ცოკდი, ცოკდი, ბერო ბიძავ, აქ მაღალი კლდენიაო, და შენც ნელა მომყევიო.

— კარგიო, — უთხრა დათვმა.

წავიდა მელია, ერთ ეზოში აყირო გოგრა მოიპარა და წამოიღო. ჩაყარა შიგ კენჭები და გაუძღვა დათვს წინ. აჩხარუნებს გოგრას მელია და მიჰყვება დათვი. გზა სწორი და კარგია, მაგრამ მელია მალმალე აფრთხილებს:

— ცოკდი, ცოკდი, ბერო ბიძავ, აქ მაღალი კლდენიაო.

და დათვიც ნელა, ცეცებ-ცეცებით მიაბიჯებს, ბოლოს მიადგნენ ერთ უშველებელ კლდეს. მელიამ დააგორა კლდეზე კენჭებით სავსე აყირო და დათვს უთხრა:

— ახტი, დახტი, ბერო ბიძავ, აქ ხომ დიდი ველიაო.

დათვიც ახტა, დახტა და გაეკიდა გოგრას უკან. ეგონა, მელიას მივსდევო და კლდეზე კი გადაიღო ხრიალი.

მიგორავს დათვი კლდეზე და ერთი ნაპრალიდან მეორეზე თავდაყირა გადადის. მელიამ კი გაიღერა კუდი, წადგა კლდის თავზე და სიმღერა შემოსძახა:

— ახტება და დახტება ეს სულბოროტიანი,
დადგება და უყურებს ხოსრო დავლათიანი.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ერთგული სარეგი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი კაცი, ჰყავდა ცოლი და ერთი ძროხა. შვილი არც ცოლს უჩნდებოდა და არც ძროხას, მაგრამ ერთ წელიწადს ცოლიც დაორსულდა და ძროხაც დამაკდა. გავიდა ცხრა თვე, დედაკაციც ლოგინზე დაწვა და ძროხასაც მუცელი ასტკივდა. კაცი მელოგინე ცოლს დასტრიალებდა თავს და ძროხას ყურადღება ვეღარ მიაქცია. ცოლს ბიჭი ეყოლა, ძროხა კი, რაკი კაცმა იმ სანებში ყურადღება ვერ მიაქცია, გაწყრა და სახლიდან გაიბარა. გავიდა ერთ ტრიალ მინდორზე, მონახა ლელიანი ადგილი და ხბო იქ მოიგო. მეორე წელიწადს მეორე მოიგო, მესამე წელიწადს — მესამე, ხბოები დაიზარდნენ და იმათაც მოიგეს ხბოები, ასე რომ თხუთმეტი წლის მანძილზე ამ ძროხის მონაგარი ოცდაათი სული შეგროვდა.

მონაგარს თვითონ დედა ფური მიუძღვოდა მუდამ წინ და მინდორში თავისუფლად დააბალასებდა. ისეთი ავები იყვნენ, რომ მათი შიშით იმ არემარეში ვერც ნადირი და ვერც კაცი ვერ გაიჭაჭანებდა. თუ რომელიმე ნადირი ან ადამიანი გაბედავდა და მიუახლოვდებოდა, დედა ფური ბღავილს ატეხდა, მოზვრები და დეკეულები კუდებს აიშვერდნენ და რქებწაწვდილები მიესეოდნენ. ჯერ რქებზე აიცვამდნენ, მერე შესდგებოდნენ ფეხებით და ნაბადივით გასთელავდნენ. მათი ადგილსამყოფელი სოფელში ერთი მონადირის მეტმა არავინ იცოდა.

თხუთმეტი წლის მანძილზე ის ბიჭიც გაიზარდა და კარგი თვალად-ტანადი ვაჟკაცი დადგა. ერთ დღეს ბიჭი თავის ტოლებში კოჭაობდა, ამოიარა ამ დროს იმ მონადირემ და ბიჭს უთხრა:

— სირცხვილი არ არის, შენ აქ კოჭს თამაშობ და თქვენი ძროხები კი მინდორში უპატრონოდ დადიანო.

ბიჭს ძალიან გაუკვირდა მონადირის ნათქვამი: თუ მართლა გვყავს ძროხები, რატომ დედას ან მამას ერთხელ მაინც არ უთქვამთო?!

დაანება ბიჭმა კოჭაობას თავი, წავიდა შინ და დედას ჰკითხა:

— დედი, ჩვენ ძროხები გვყავსო?

— არა, შვილო, ვინ გითხრა, ჩვენ არც ძროხები გვყავს და არც ცხვრები, ღარიბ-ღატაკი ხალხი ვართო.

ბიჭი დაეჭვდა, მაშ, მონადირე ტყუილად რად მეტყოდაო, და დედას სთხოვა: — მოდი ძუძუ მომაწოვეო.

დედამ უარი უთხრა:

— რაღა დროს შენი ძუძუს წოვაა, შვილო, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ვაჟკაცი ხარო.

მაგრამ ბიჭი არ მოეშვა და დედაც დათანხმდა. ბიჭმა ჩაიდო თუ არა პირში ძუძუ, მაშინვე კბილები მოუჭირა და უთხრა:

— სიმართლე მითხარი, გვყავს თუ არა ძროხები, თორემ ძუძუს მოგაკვნეტავო.

დედას შეეშინდა და გამოუტყდა:

— გვყავდა, შვილო, ერთი ძროხა, შენზე რომ ვლოგინობდი, ძროხასაც მშობიარობა დაეწყო, მამაშენმა ყური ვეღარ მიუგდო, ძროხას ეწყინა და სახლიდან გაიქცა. ახლა თურმე იმ ფურის მონაგარი ოცდაათი სული გამხდარა, მინდორში თავისუფლად დაბალახობენ და სიახლოვეს ძეხორციელს არ იკარებენო.

ბიჭმა გაუშვა დედის ძუძუ, იმავე დღეს მივიდა მონადირესთან და სთხოვა, სანადიროდ რომ წახვალ, მეც წამიყვანე და ის ჩვენი ძროხები მაჩვენეო.

მონადირე დათანხმდა, ხვალ სწორედ იმ მხარეს მივდი-

ვარ და, თუ წამოსვლა გინდა, დილაუთენია სოფლის ბოლოს დამელოდეო.

გავიდა ბიჭი დილით სოფლის ბოლოს და მონადირეს დაელოდა. მალე მონადირეც მოვიდა და გაუდგნენ გზას. ზინდორში რომ გავიდნენ, მონადირემ უთხრა ბიჭს:

— ახლა შენ მარჯვნივ წადი, გაჰყევი ამ ბილიკს და სადაც სშირლელიან ადგილს დაინახავ, თქვენი ძროხები სწორედ იქ იქნებიან. ოღონდ ძალიან ფრთხილად მიდი, თვალი არ შეგასწრონ, თორემ ცოცხალი ვერ გადაურჩებიო.

გამოეშვიდობა ბიჭი მონადირეს და წავიდა ნაჩეენები გზით.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს გავიდა ლელიან ზინდორში, ლელიანში გაშლილი ნახირიც დაინახა. ბიჭი შედგა და დაფიქრდა: „მივიდე თუ არ მივიდე?" — ეს, რაც ზომივა, მომივაო, — თქვა ბოლოს და პირდაპირ წავიდა ნახირისაკენ. დაინახეს მოზვრებმა და დეკეულებმა და კუდები აპრიხეს, რქები წინ წაიშვირეს და ბიჭისკენ ბღავილითა და სამუქარო ქშუტუნით გამოქანდნენ. მაგრამ ნახირს დედა ფური გადაუდგა წინ, ბიჭს ზედ გადაეფარა და შვილებს და შვილიშვილებს უთხრა:

— ეს ბიჭი ჩვენი პატრონია და არაფერი დაუშაოთო.

დეკეულები და მოზვრები განზე გადგნენ, დედა ფურმა ბიჭი ალოკა და ჰკითხა:

— ამ არემარეში ჩვენი შიშით ლომსა და ვეფხვს ვერ გაუჭაჭანია და შენ როგორ მობედე აქ მოსვლაო?

— გავიგე, ჩვენები ყოფილხართ და საპატრონოდ წამოვედიო, — უთხრა ბიჭმა.

— კარგია, რომ მოგვძებნე, — უთხრა ფურმა, — მაგრამ ჩვენ პატრონობა არ გვჭირდება, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემს მონაგარს არაფერს გავუჭირვებ, ზერე თავის თავს თვითონაც მოუვლიან. ახლა შენ ორ სახარე სბოს მოგცემ, დაზარდე, კარგად მოუარე, ბირუტყვთან მამაშენივით უმადური ნუ იქნები და სიკეთეს ათმაგად გადაგიხდიან. როცა დაიზრდებიან, თორმეტი ულელი სარ-კამეჩის ღონე ექნებათ და ამათ პატრონს ცხოვრება არ გაგიჭირდებაო.

გამოირეკა ბიჭმა ხბოები, მოოეკა შინ და დაუწყო ერთგული მოვლა და მზრუნველობა. დაიზარდნენ ხბოები და სამ წელიწადში ისეთი ხარები დადგნენ, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. ბიჭმა გამართა გუთანი, ურემი და ოჯახი ისე წამოსწია, რომ შეძლებულ ოჯახებს ბევრით გაუსწრო.

შორს გავარდა ხარების ქების ხმა. დღე ერთი იყო და მთელი სოფელი სულ ბიჭის ქვდმადლიან ხარებზე ლაპარაკობდა. ხარების ქებამ ბოლოს ერთ მდიდარ ქოსას ყურამდეც მიაღწია, ქოსას შური აღეძრა გულში და გადაწყვიტა მათი ხელში ჩაგდება. ერთ დღეს მივიდა ბიჭთან, ჯერ ხარები უქო და მერე უთხრა:

— შენ კარგი ხარები გყავს, მე ლამაზი — გოგო. მოდი დავწიძლავდეთ: ერთ მინდორს გაჩვენებ, თუ იმ მიწას შენი ხარებით ერთ დღეში მოხნავ, ჩემი ლამაზი გოგო შენი იყოს, თუ ვერა და ხარები მომეციო.

ბიჭი იცნობდა ქოსას გოგოს და გუნებაში კიდევაც მოსწონდა, „ალბათ ჩემს ბედზე ყოფილა გაჩენილიო", — თქვა გულში და დათანხმდა. თან ხარების იმედიც ჰქონდა, განა რამოდენა უნდა იყოს ის მინდორი, რომ ჩემს ხარებს იმისი მოხვნა გაუჭირდეთო.

წაიყვანა ქოსამ ბიჭი, ერთი ტრიალი მინდორი დაანახვა და უთხრა, — ეს ვაკე ერთ დღეში მთლიანად უნდა მოხნაო.

ბიჭმა გახედა მინდორს სიგრძე-სიგანეზე და გულს ელდა ეცა: იმოდენა მინდორს კაცი დოღის ცხენით ვერ შემოუვლიდა და უღელ ხარს როგორ უნდა მოეხნა. მაგრამ რას იზამდა, პირს ხომ ვერ გადავიდოდა? წავიდა შინ დაღონებული. ხარებმა მოწყენა შეატყვეს და შეეკითხნენ:

— რა იყო, ჩვენო პატრონო, რადა ხარ დაღონებულიო?

— ეხ, ჩემო ერთგულებო, — ამოიოხრა ბიჭმა, — დღეს კი თქვენი პატრონი ვარ, მაგრამ ხვალიდან სხვა გეყოლებათ პატრონიო, — და ხარებს ყველაფერი უამბო.

ხარებს ბიჭის საწუხარი სასაცილოდაც არ ეყოთ.

— მაგაზე როგორ წუხხარო, — უთხრეს ბიჭს,—ნუ გეშინია, შენ მარტო გუთანს მოკიდე ხელი, იმ მინდორში მიგვიყვანე და დანარჩენი ჩვენ ვიცითო.

ბიჭს გული მოეცა, იქნებ მართლა არ გამწირონს ღმერთმაო და მეორე დღეს დილიდანვე შეუდგა სვნას. გადიან და გამოდიან სარები ქშენით, გადადის კვალი კვალზე და მინდორი თანდათან შავ ფერში იძირება. ჯერ შუადღეც არ იყო, რომ ბიჭმა თითქმის მთელი მინდორი გადასნა, რასდენიმე კვალიღა დარჩა გასატანი და მორჩებოდა. სწორედ ამ დროს მოვიდა ქოსა, გახედა ნახნავს და მიხედა, რომ სანაძლეოს აგებდა. „თუ რაღაც ხერხი არ ვიხმარე, ცუდად არის ჩემი საქმეო", — თქვა გულში და საჩქაროდ უკან გაბრუნდა, ცოლს კარგი სადილი მოამზადებინა, — მსუქანი დედალი, გამტკიცული შოთები, ორი ხელადა ღვინო, და უთხრა:

— წაიღე ეს სასმელ-საჭმელი და მინდორში რომ ბიჭი მიწას ხნავს, იმასთან მიიტანე. გაუშალე სუფრა და ეცადე, რომ ეს ღვინო მთლიანად დაალევინო და დაათროო.

გადაიკიდა ცოლმა ხურჯინი და მივიდა ბიჭთან. გაშალა ხელდახელ სუფრა და ბიჭს უთხრა:

— შვილო, შრომა კარგია, მაგრამ არც ასეთი თავგადაკვლა ვარგა. თუ შენი თავი არად მიგაჩნია, საქონელი მაინც შეიცოდე. რაღა ბევრი შენ გიკლია, ერთი-ორი კვალიღა გაქვს დარჩენილი, მოდი, ისადილე, ხარებიც წააძოვე და მერე უფრო მალე გამოხნავო.

ბიჭმა გახედა მინდორს, ახედა მზეს, მოსახნავი მართლაც ძალიან ცოტაღა დარჩენოდა, მზეც ჯერ მაღლა იდგა. მოვასწრებო, — გადაწყვიტა გულში, ხარები გამოუშვა და თვითონ სუფრას მიუჯდა.

ქოსას ცოლი ღვინოს და საჭმელს უმარჯვებდა და ბიჭიც მადიანად შეექცეოდა. ორივე ხელადა რომ გამოცალა, ძილი მოერია.

ქოსას ცოლმა უთხრა:

— არა უშავს, ცოტასანს თვალი მოატყუე და მზის ჩასვლამდე მე გაგაღვიძებო.

დაუჯერა ბიჭმა და დაიძინა. ქოსას ცოლმა წამოკრიფა საჭმლის ნარჩენები, ჩაყარა ხურჯინში და ცუხცუხით გაუდგა გზას შინისაკენ.

დარჩა მძინარე ბიჭი, მზე მიიწვერა, საცაა უნდა ჩავიდეს, ბიჭი კი გულარხეინად ხვრინავს. შეწუხდნენ სარები,

დაადგნენ თავზე მძინარე ბატრონს და ყვირილი ატეხეს, მაგრამ ვერ იქნა და თვალი ვერ გაახელინეს. ბოლოს ერთი ხარი კბილით დასწვდა და მხარზე უკბინა. ბიჭს კბენა ემწარა და წამოხტა, მოიფშვნიტა თვალები, გახედა მზეს და შემოიკრა თავში ხელი:

— ვაი, ეს რა მომსვლია, ერთი სადილის გულისათვის თავი როგორ დავიღუპეო!

— ნუ გეშინია, ჩქარა გუთანი გამართეო, — უთხრეს ხარებმა, შეუბერეს მზეს და ისევ შუა ცაზე ამოაგდეს. ბიჭმაც გამართა გუთანი და დარჩენილი მინდორი მზის სელახლა ჩასვლამდე მთლიანად გამოხნა. წამოვიდა გახარებული ბიჭი და ქოსას უთხრა:

— ხომ მოგიგე სანაძლეო და პირობაზე როგორა ხარო?

ქოსამ შარი მოუდო:

— სანაძლეო ორჯერ უნდაო.

ბიჭი ამაზეც დათანხმდა.

— იყოს ნება შენი, თქვი და მზადა ვარო!

წაიყვანა ქოსამ ბიჭი თავის კალოზე, მიიყვანა ერთ ბზით სავსე მთისტოლა საბძელთან და უთხრა:

— თუ შენი ხარები ერთ ღამეში ამ ბზეს მთლიანად გათავებენ, მოგებული იქნები და პირობას წინ აღარაფერი დაუდგება, ხოლო თუ ვერა, მაშინ ხარებს გამოეთხოვეო.

ბიჭი ახლა უფრო დაღონდა, ამოდენა ბზეს სამი სოფლის ნახირი ვერ გაათავებს და მარტო ჩემმა ხარებმა ერთ ღამეში როგორ უნდა შეჭამონო. წამოვიდა შინ და მოვიდა ხარებთან კრიჭაშეკრული. შეატყეს ხარებმა დანაღვლიანება და ჰკითხეს:

— რაზე ხარ ასე დაღონებული, ჩვენო საყვარელო პატრონო, განა ისეთი რა მოხდაო?

— ეს, ჩემო ერთგულო მეგობრებო, — ოხვრით მიუგო ბიჭმა, — ის მოხდა, რომ ხვალიდან თქვენს თავს წამართმევენ და სხვა დაგეპატრონებათო. — და უამბო, ქოსამ რა სანაძლეოც დაუდო.

— ნუ გეშინია, მაგასაც შევძლებთ, — კვლავ ანუგეშეს ხარებმა, — შენ მარტო ქოსას უთხარი, საბძელს სახურავიც

მთლიანად მოხადოს და გვერდებიც შემოაცალოს და მერე ჩვენ ვიცითო.

წავიდა ბიჭი გახარებული და უთხრა ქოსას, როგორც ხარებმა დაარიგეს. ქოსამ მოხადა სახურავი საბძელს, გვერდებიც შემოაცალა და ბზის ზვინული მთლიანად გააშიშვლა. დაღამდა თუ არა, მორეკა ბიჭმა ხარები ბზესთან და თვითონ შორიახლოს წამოწვა.

შუაღამემ რომ მოატანა, სოფელმა დაიძინა და ირგვლივ ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. წამოდგნენ ხარები, მოუარეს საბძელს ქვედა მხრიდან, ერთი ძლიერად შეუბერეს და მთელი ბზე ცაში გაფანტეს. მერე ბიჭს უთხრეს, — წადი და ქოსას უთხარი, ის ერთი საბძელი ბზე არ ეყოთ და კარგს იზამ, თუ თითო გოდორს სადილაოდაც გაუგზავნი-თქო!

გათენდა დილა, გამოვიდა ქოსა და ნასაბძლარიც კი ვეღარ ინიშნა, — ის ადგილი კალოსავით იყო დაგვილ-დასუფთავებული.

— ეჯანდაბას ამათი თავი, ხარები კი არა ქაჯები ყოფილანო, — ჩაილაპარაკა თავისთვის და ბიჭს მესამედაც უშარა, — ღმერთი სამეგით არის, თუ მესამედაც მომიგე, ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი იქნები და ვეღარც მე შეგედავები, თუ არადა, ხარები უნდა დასთმოო.

რა უნდა ექნა ბიჭს, ამაზეც დაეაბულდა და ქოსას უთხრა: — ბრძანე, რასა მთხოვ სანაძლეოდ და მზადა ვარო.

ქოსას ერთი უსედნელი აჯილლა ჰყავდა, ისეთი თაღლური და გადარეული ცხენი იყო, რომ კაციშვილი სიახლოვეს ვერ ეკარებოდა. რამდენმა კარგმა მსედარმა სცადა მასზე შეჯდომა, მაგრამ ცხენმა ყველა ჩამოაგდო და ფეხით გათელა. გამოიყვანა ქოსამ ცხენი და ბიჭს უთხრა:

— თუ ამ ცხენზე შეჯდები და სოფლის თემშარაზე სამჯერ აატარ-ჩამოატარებ, ხომ კარგი, მოგებული იქნები, თუ არადა, იცოდე, პირობა პირობაა და მე ჩემი უნდა ჩავიბარო.

წამოვიდა შინ ბიჭი დაღონებული, იცოდა, თვითონ რა მხედარიც იყო და ქოსას გიჟ ცხენსაც კარგად იცნობდა. როგორ უნდა შევჯდე მე, როცა საუკეთესო მხედრები ვერაფერს გახდნენო? — ფიქრობდა გულში, თანაც ეს ისეთი და-

ვალება იყო, რომ მარტო თვითონ უნდა შეესრულებინა და ხარები ველარაფერს უშველიდნენ, მოვიდა შინ და თავისი გასაჭირი ხარებს შესჩივლა.

— ვიცი, ხვალიდან ერთმანეთს ველარ ვიხილავთ, ჩემ ცხენი მომკლავს და თქვენ კი ქოსა დაგეპატრონებათო, — უთხრა და თვალებიდან მდულარე ცრემლი გადმოსცვივდა.

— ჩვენც თან წაგვიყვანე, როცა ცხენს გამოგიყვანენ, ეგერდით გვიყოლიე და იმ ცხენს ჩვენ დავიურვებთო.

წავიდა დილით ბიჭი ქოსასთან და თავისი ხარებიც თან წაიყვანა, გამოიყვანეს ცხენი თავლიდან — აქეთ-იქიდან ოთხ-ოთხი კაცი ამოსდგომოდა და გაჭირვებით აკავებდნენ. ბოუყვანეს ბიჭს და წინ დაუყენეს. ცხენი ყურებს ათამაშებს და თვალებიდან და ნესტოებიდან სულ ნაპერწკლებს აკვესებს. ქოსამ ბიჭს შიში შეატყო და გასარებულმა დაუძახა:

— ჰა, შეჯდები, თუ ხარები გავირეკოო?

ხარებმა ბიჭს უსურჩულეს:

— შეჯექი, ნუ გეშინიაო.

ბიჭმა მოიკრიბა გამბედაობა, დასტაცა სადავეს ხელი და თვალის დახამხამების უმალ ზურგზე მოექცა. მეჯინიბეებმა სადავე გაუშვეს და ცხენმაც დააპირა კამარის შეკვრა, მაგრამ ამ დროს ხარებმა შეუბერეს, მაღლა აატივტივეს და ცხენმა ფეხები ჰაერშიღა გაასავსავა. ბიჭმა გადაუჭირა და ვადაუჭირა მათრასი, მაგრამ მიწას მოწყვეტილი რაღას იზამდა.

ცხენმა რამდენჯერმე კიდევ დააპირა გაქცევა, მაგრამ რამდენჯერაც გაიწია, ხარებმა იმდენჯერ შეუბერეს და მიწას მოსწყვიტეს, ბიჭი ყიჟინას სცემდა და მათრახს სულ უფრო გამეტებით ურტყამდა. ბოლოს ცხენი ისე შეშინდა, რომ სულ ოფლად დაიღვარა და კანკალი დააწყებინა. აღარც ნესტოებს ბერავდა, აღარც თვალებს აბრიალებდა და აღარც ტორებს იქნევდა. გაქცევას ვინ იტყვის, ჩორთით სიარულიც კი ველარ გაბედა. ათი წლის იაბოსავით დინჯად აიარ-ჩაიარა თემშარა და ეზოშიც თავდასრილი და მოთვინიერებული შევიდა.

ბიჭმა ერთხელ კიდევ გადაჰკრა მათრახი, გადმოხტა და სადავე ქოსას მიუგდო.

— აჰ, შენი სანაქებო ცხენი, ჩაიბარე და შენი ლამაზი გოგო გამოგიყვანეო, — უთხრა.

რაღა ეთქმოდა ქოსას, გამოუყვანა თავისი მზეთუნახავი გოგო და მისცა. ბიჭმა წამოიყვანა გოგო, გამოირეკა თავისი სარეზიც, გადაიხადა კარგი ქორწილი და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხელმწიფის შვილი და მისი მეზობლები

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო ერთი სახელოვანი, მორჭმული ხელმწიფე და ჰყავდა ერთადერთი ვაჟიშვილი. ბიჭი რომ წამოიზარდა და საცოლოდ მოიწიფა, მამამ დაიბარა და უთხრა:

— შვილო, დროა, უნდა დაგნიშნო და საცოლე ამოირჩიეო.

— საცოლე უკვე ამორჩეული მყავსო, — გამოუტყდა შვილი.

— ვინ არისო? — ჰკითხა მამამ.

— მაშრიყის ხელმწიფის ქალი. თუ იმას შემრთავ, შემრთავ, თუ არადა სხვა ქალი არ მინდაო.

— რაღა ღარიბი ხელმწიფის ქალი ამოირჩიე, მდიდარი ვინმე ითხოვეო, — ურჩია მამამ.

შვილმა არ დაუჯერა.

— მე ვინც მინდა, ის უნდა შევირთოო.

ხელმწიფე სიტყვის შებრუნებას არ იყო ჩვეული და შვილს გაუწყრა:

— ჩემი შვილი ხარ და, რასაც გეტყვი, უნდა გამიგონოო.

შვილიც გაჯავრდა.

— არც შენი შვილობა მინდა და არც მემკვიდრეობაო! — მიაძახა მამას და კარი გამოიჯახუნა. იმავე დღეს შეკაზმა ცხენი, აისხა თოფ-იარაღი, ნაბადი, შეჯდა ცხენზე და წავიდა. შევიდა უღრან, დაბურულ ტყეში, მონახა ერთი გამოქვაბული და დასახლდა.

ყოველდღე შეჯდებოდა ცხენზე, წავიდოდა სანადირიოდ და ერთ ირემს მოკლავდა, რასაც ჭამდა, ჭამდა, რასაც არა და — ხრამში ყრიდა. ერთ დღეს ამ ხრამში ჩაყრილ ლეშს ერთმა მშიერმა მელამ მიაგნო და კარგად გამოძღა. მეორე დღეს ლეშზე ერთი გაველურებული ციცაც მივიდა. მესამე დღეს მგელმა და დათვმა მიაგნეს და ბოლოს ერთი ყორანიც მიფრინდა. გახდნენ ხუთნი, მაგრამ ლეში იმდენი იყო, რომ ყველას ჰყოფნიდა და ერთმანეთში ქიშპი და ცილობა არ მოსვლიათ. რაკი ხრამს ასუფთავებდნენ და სუნი აღარ აწუხებდა, უნებურ მეინახეთ არც ხელმწიფის შვილი უწყრებოდა და ცხოვრობდნენ ტკბილად და მეზობლურად.

ერთ დღეს მელამ შეკრიბა ყველა თავისი თანამეინახე და გამოუცხადა:

— ერთად ცხოვრება უფროს-უმცროსობის გარეშე არ შეიძლება, ერთ-ერთი ჩვენთაგანი მამასახლისად უნდა ამოვირჩიოთ, რომ ხორცი ტოლად გაგვიყოს და თუ ვინიცობაა, ჩხუბი და უსიამოვნება მოგვივა, გაგვაშველოს და სამართალი დაგვიდოსო. როგორ ფიქრობთ, კარგი აზრია, თუ არაო?

— კარგი და პატიოსანი, — მოუწონეს მეგობრებმა და ჰკითხეს: — ვინ ჯობია, ვინ ავირჩიოთ მამასახლისადო?

მელას თვითონ უნდოდა მამასახლისობა, მაგრამ სურვილი არ გაამჟღავნა და საცდელად მგელს შესთავაზა: — ყოჩაღია და ამ მოვალეობას სხვაზე უფრო კარგად შეასრულებსო.

მგელი არ დათანხმდა, ცოტა გულხარბი და თვალმშიერი ვარ, ვაითუ ხორცის გაყოფისას ზედმეტი ჩემსკენ გადავიღო და კრებულიდან სამუდამოდ გამაგდოთო.

— მაშინ დათვი იყოს, — თქვა მელამ, — ბრძენია, ჭკუა უჭრის და გამოგვადგებაო.

დათვმაც შორს დაიჭირა:

— ცოტა სიბრიყვე მომდგამს, გულმავიწყიცა ვარ და ვაითუ, საქმე სწორად ვერ განვსაჯოო.

— კარგი, რაკი არავის არ გინდათ, ამ მძიმე ტვირთს ისევ მე ვიკიდებო, — თქვა მელამ და ყველანი გააფრთხილა, — ოღონდ იცოდეთ, უფროსის სიტყვა კანონია და რასაც გეტყვით, უყოყმანოდ უნდა შეასრულოთო.

— შევასრულებთო, — აღუთქვა ყველამ ერთხმად.

დაიწყო მელამ მამასახლისობა და სამართალს მართლა სასახელოდაც განაგებდა, არც მეტს ვისმეს ბრგუნებდა და არც — ნაკლებს. ერთ დღეს კიდევ შეკრიბა თანამესუფრენი და უთხრა:

— ეს კაცი რომ ტკბილად გვმეზობლობს, არც გვმტრობს და უსაყვედუროდაც გვაჭმევს, როგორ ფიქრობთ, სიკეთე არ უნდა გადავუხადოთო? თუ მეზობლობაა, უნდა იყოს კიდეცო!

— რა ვქნათ, რით გადავუხადოთ, თორემ ჩვენცა გვრცხვენიაო, — უთხრეს დათვმა, მგელმა, კატამ და ყორანმა.

— რითა და, ამ ჩვენს მარჩენალ მეზობელს მაშრიყის ხელმწიფის ქალი უყვარს, მოდით, მოვიტაცოთ და ცოლად მოვგვაროთო, — უთხრა მელამ.

— კი, მაგრამ როგორო? — ჰკითხეს კვლავ ერთხმად.

— როგორ და, აი ასე, — მელამ დათვსა და მგელს მიმართა, — თქვენ წახვალთ, შეებმებით კავში და ხელმწიფის ეზოში დაიწყებთ მიწის ხვნას. ხელმწიფე თავს მოიწონებს, — აი, რა ძალა მაქვს, მხეცებიც კი თავისი სურვილით მემსახურებიანო—და ცოლ-შვილს გამოიყვანს, — გამოდით და თქვენი თვალით ნახეთო—რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად ის მზეთუნახავი გოგოც გამოვა. ამ დროს ყორანი სასახლის სახურავზე იქნება დამალული, ჩამოფრინდება საჩქაროდ, ბიტაცებს გოგოს, შეისვამს ფრთებზე და აქეთ გამოაფრენს, თქვენც იმავ წამს მიანებეთ კავს თავი და გამოიქეცითო.

— ასე, მართლაც, მოხერხდებაო, — მოიწონეს მამასახლისის აზრი დათვმა, მგელმა და ყორანმა და წავიდნენ. როგორც მელამ დაარიგა, ყორანი სასახლის სახურავზე დაიმალა, მგელი და დათვი კავში შეებნენ და მიწის ხვნა დაიწყეს. გამოიხედა ხელმწიფემ და მაშინვე ერთი განგაში ატეხა:

— გამოდით, ხალხნო, ნახეთ, რა ძალა მაქვს, მხეცებიც კი მემსახურებიანო!

მთელი სასახლე — ნაზირ-ვეზირები, კარისკაცები — ბივანზე შეიკრიბა. გამოვიდა ხელმწიფის ცოლ-შვილიც. რა თქმა უნდა, მზეთუნახავი გოგოც გამოჰყვა. ხალხი საკვირველი ამბის ცქერით გაერთო. ყორანმა ამით ისარგებლა,

ჩაფრინდა სასურავიდან, შეისვა გოგო ფრთებზე და გამოაფრინა... სალსი „ჰაუ-ჰაუს — ძასილით ყორანს დაედევნა და მგელსა და დათვს ყურადღება აღარავინ მიაქცია. მათაც დრო იხელთეს და ხელმწიფის ეზოდან ფსაჭა-გლეჯით გამოცვივდნენ.

საღამოს დაბრუნდა ხელმწიფის შვილი ნადირობიდან და თავის გამოქვაბულში მზეთუნასავი ქალი რომ დაინახა, ცამდე გაკვირდა. ჰკითხა: — ქალო, ვინა ხარ, ან ამ ჩემს უდაბურ გამოქვაბულში საიდან გაჩნდიო?

ქალმა უთხრა, ვინც იყო და როგორც მოხვდა გამოქვაბულში. ხელმწიფის შვილი სიხარულმა აიტაცა, მოეხვია ქალს და უთხრა:

. — შენ გენაცვალე, მთელი ჩემი სიცოცხლე შენზე ვფიქრობდი და რაკი ჩემთან მოხვედი, ახლა ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფსო.

ამის შემდეგ ბიჭმა თავისი მეზობელი მხეცებიც უფრო შეიყვარა და ორმაგად მეტ ხორცს უყრიდა. დღისით ისევ სანადიროდ დადიოდა, ღამღამობით კი მზეთუნასავი ცოლის ცქერით ტკბებოდა.

ერთ დღეს მელია-მამასახლისმა კიდევ შეკრიბა თავისი ხელქვეითი მხეცები და გამოუცხადა:

— ძალიან კარგია, რომ ჩვენს კეთილ მეზობელს საყვარელი ქალი მოვგვარეთ და გავახარეთ, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა იმასთან შედარებით, რაც ამას ჩვენზე ამაგი აქვს. ხომ სედავთ, ულუფა მოგვიმატა და სულ უფრო მსუქან-მსუქან ნაჭრებს გვიყრის, და თუ არ გინდათ, რომ ვალში დავრჩეთ, ჩვენც სამაგიერო რაღაცით უნდა გადავუხადოთო.

— რით გადავუხადოთო? — ჰკითხეს მხეცებმა.

— რითა და იმით, რომ ლოგინი მოვუტანოთ, — უთხრა მელამ, — ესენი ადამიანის შვილები არიან, შიშველ მიწაზე წოლას დიდხანს ვერ აიტანენ. და დიდი უმადურობა იქნება ჩვენი მხრიდან, რომ ერთი ხელი ლოგინი ვერ ვუშოვოთო.

— კარგი იქნება, მაგრამ საიდან და როგორო? — კვლავ ჰკითხეს მხეცებმა.

— მაგასაც გეტყვითო, — უთხრა მელამ და ისევ დათვსა

და მგელს მიმართა: — თქვენ ორივენი წახვალთ ქალაქში, დათვო, შენ ქალაქის შესასვლელში დაიმალები, მგელი კი შევარდება ქალაქში და ქუჩას სწრაფად გაირბენს. ხალხი მთლად მგელს გამოეკიდება და დუქნები უპატრონოდ დარჩება. შენ შევარდი ფარჩის დუქანში, დასტაცე ერთ მოზრდილ თოფს ტორები და გამოაქციეო.

დათვი შეფიქრიანდა:

— მგელს რა უჭირს, გაირბენს და წავა, მე კი რა ვქნა, დუქანში რომ შემიმწყვდიონ და ძაღლებს დამახრჩობინონო?

— აი, შე, მყრალო ბებერო, აქამდე გაძვალტყავებული დაძუნძულებდი, კაცმა გაჭამა, გამოგკვება, გაგასუქა და ბატარა სამსახურის შესრულებაც აღარ გინდაო? — დასჭყივლა მელამ და ციცა-მდივანს უბრძანა, — ჩასწერე, რომ დღეიდან დათვი გავიდეს ჩვენი მეზობლობიდან და თავის სიცოცხლეში სიახლოვეს აღარ გაგვეკაროსო.

დათვს შეეშინდა, მართლა არ გამაძევონო და იმ წამსვე ფეხზე წამოვარდა, — არა, არა, ოღონდ მაგას ნუ მიზამთ და აი ახლავე შივდივარო, მგელიც გაჰყვა და წავიდნენ. მივიდნენ ქალაქში და, როგორც მელამ დაარიგა, აქაც ისე მოიქცნენ: დათვი ბაზრის ჭიშკარში ჩასაფრდა, მგელი შიგნით შევარდა და მთელი ქუჩა დათხილმა ჩაირბინა. ხალხი მართლაც მგელს გამოეკიდა და სავაჭროს ყველამ თავი მიანება. შევარდა დათვი ფარჩის დუქანში, მომოშა ერთი მოზდრილი თოფი ფარჩის ქსოვილი და წამოძუნძულდა. გზაზე მგელიც წამოეწია და გამოქვაბულში ისევ ერთად დაბრუნდნენ.

ქალმა იმავე დღეს შეკერა ლოგინი, ბიჭმა ტახტი გააკეთა და ცხოვრება უფრო საამური გაუხდათ. ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ბედს არ ემდუროდნენ და ერთმანეთის სიყვარულში დღეებს ტკბილად და ბედნიერად ატარებდნენ.

მაგრამ ნათქვამია, ბედნიერება ხანმოკლეაო და დიდხანს არც ქალ-ვაჟს შერჩა. ქალის მამამ, მაშრიყის ხელმწიფემ გაიგო თავისი ქალის ადგილსამყოფელი და ბრძანება გასცა: ვინც წავა და ჩემს ქალიშვილს უკან დამიბრუნებს, თავის წონა ოქროს მივცემო.

იმ ქალაქში ერთი კუდიანი დედაბერი ცხოვრობდა, ბდგა, ჯოხის ბჯენით მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— თუ მართლა მაგდენ ოქროს მომცემ, ქალიშვილს მე მოგიყვანო.

ხელმწიფემ მისცა ნახევარი წონა ოქრო და ნახევარს მოყვანის შემდეგ დაპირდა. ბებერმა ერთი მოზრდილი ქვევრი მოსთხოვა, ხელმწიფემ ესეც მისცა. ბებერი გადაჯდა ქვევრზე, მათრახად ერთი წითელი გველი დაიჭირა, გადაჰკრა ქვევრს და გააფრინა. იფრინა ქვევრმა, იფრინა და გამოქვაბულის ახლოს, ერთ ღრმა ღელეში ჩაფრინდა. ბებერი ჩამოხდა ქვევრიდან, გველი უბეში ჩაისვა და წავიდა გამოქვაბულისაკენ. გამოქვაბულს რომ მიუახლოვდა, დაიბჯინა ჯოხი და კვნესა-კრუსუნით აქეთ-იქით სიარული დაიწყო. ამ დროს გამოიარა ნადირობიდან მომავალმა ხელმწიფის შვილმა და ბებერს შეეკითხა:

— დედი, ვინა ხარ, ან ამ ტყეში საიდან მოსულხარო?

ბებერმა უფრო უმატა კვნესას და ხელმწიფის შვილს შეეხვეწა:

— გზაარეული და ავადმყოფი ბებერი ვარ, შვილო, და აგრემც ღმერთი დიდხანს გაცოცხლებს, ერთი ღამით შემიფარეო.

— წამოდი, დედი, თავშესაფარს როგორ დაგამადლიო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა, შემოისვა ცხენზე და წაიყვანა. მიიყვანა გამოქვაბულში და ცოლს შესძახა:

— ქალო, გამოისედე, სტუმარი მოგიყვანეო!

ქალი ხალხს დანატრებული იყო და ბებრის დანახვა უზომოდ გაუხარდა. მაშინვე შინ შეიყვანა, დააბანინა ხელ-პირი და ცეცხლის ბირას დასვა. მერე მწვადი შეუწვა, გემრიელად ავახშმა და ბოლოს უთხრა:

— დარჩი ჩვენთან, ვითომ ჩემი დედა ყოფილხარ, წვრილმან საქმეებში მომეხმარები და ლუკმას არც ჩვენ დაგაყვედრით. ეგეც რომ არ იყოს, დღისით ხმის გამცემი მაინც მეყოლებიო.

ბებერსაც ეს უნდოდა, დარჩა გამოქვაბულში და ერთგული სამსახურით მალე ახალგაზრდა ცოლ-ქმარს თავიც შეა-

ყვარა. ურეცხავდა, საჭმელს უმზადებდა და თავისუფალ დროს ქალი ტყეში სასეირნოდ დაჰყავდა.

ერთხელაც წაიყვანა სასეირნოდ, ატარა, ატარა და თავის ქვევრთან მიიყვანა. ქალმა დაინახა ქვევრი და ბებერს შეეკითხა:

— დედი, ის რა ქვევრი ჩანსო?

— არ ვიცი, შვილო, აბა მივიდეთ და ვნახოთო.

მივიდნენ ახლოს და ბებერმა უთხრა:

— აბა, ჩაიხედე, შვილო, შიგ რა არისო.

ქალმა ჩაყო თავი ქვევრში, დედაბერმა ხელი ჰკრა და შიგ შეაგდო. თვითონ ისევ ზედ გადაალაჯა, გადაჰკრა გველი, ქვევრი გაფრინდა და თვალის დახამხამების უმალ ქალი მამას მიუყვანა.

დაბრუნდა ხელმწიფის შვილი სანადიროდან და აღარც ცოლი დახვდა და აღარც დედაბერი, მიხვდა, რაც დაემართა, შემოიკრა თავში ხელი და დაიწყო ოხვრა და ვიშ-ვიში.

გაიგო ეს ამბავი მელამ და მხეცებს უთხრა:

— ჩვენს მეზობელს იმ ბებერმა მზეთუნახავი ქალი მოსტაცა და თავის მამას დაუბრუნა. თვითონ არც გზა იცის, არც სავალი, ისევ ჩვენ უნდა ვუშველოთ და ის ქალი უკანვე მოვგვაროთო.

— როგორ და რანაირადო? — ჰკითხეს მხეცებმა.

— როგორ და ასეო, — უთხრა მელამ და ყორანს მიმართა, — შენ შეისვამ კატას ფრთებზე და გაფრინდები მაშრიყის ქვეყანაში. მისვალ ხელმწიფის სასახლესთან, კატას ეზოში ჩამოსვამ და თვითონ ისევ სახლის სახურავზე დაიმალები. კატა შევა ქალის ოთახში. ქალი, რა თქმა უნდა, იცნობს, აიყვანს ხელში, მოეფერება და აივანზე გამოიყვანს. შენ თვალი მზირად გეჭიროს და გამოვა თუ არა ქალი აივანზე, აღარ დააყოვნო, მაშინვე ჩააფრინდი, ქალიც და კატაც ფრთებზე შეისხი და გამოაფრინეო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. შეისვა ფრთებზე კატა ყორანმა და აფრინდა. გადაიარა მთები, ტბები, მინდვრები, ღელეები და მზის ჩასვლის ხანს მაშრიყის ხელმწიფის ეზოში დაეშვა. კატა ძირს დატოვა და თვითონ სახურავზე დაიმალა.

შევიდა კატა სასახლეში და ქალს კალთაში ჩაუსტა. ქალმა დანახვისთანავე იცნო, მოეფერა და გულში ჩახუტებული აივანზე გამოიყვანა. ყორანმაც აღარ დააყოვნა, სასწრაფოდ ჩაფრინდა სახურავიდან, შეისხა ფრთებზე ქალი და კატა და გამოქვაბულისაკენ გამოაფრინა. რა თქმა უნდა, ქალმა და ხელმწიფის შვილმა კვლავ ერთად შეყრით დიდად გაიხარეს და თავიანთ მზრუნველ მეზობლებს დიდი მადლობა გადაუხადეს.

მაგრამ მელა მარტო ქალის მოყვანით არ დაკმაყოფილდა. იცოდა, რომ მაშრიყის ხელმწიფე ქალის ხელახლა მოტაცებას არ აპატიებდა და თადარიგი წინასწარვე დაიჭირა. შეკრიბა თავისი ხელქვეითები — დათვი, მგელი, კატა, ყორანი და უთხრა:

— ვიცი, მაშრიყის ხელმწიფე ამ შერცხვენას არ მოითმენს და ჩვენი მეზობლის დასასჯელად ჯარს გამოგზავნის, ჩვენც აქედანვე უნდა დავიჭიროთ თადარიგი, საგუშაგო ადგილებზე უნდა გავნაწილდეთ, რათა მტრის შემოსვლა დროზე შევიტყოთ და სათანადოდ მომზადებულნი დავხვდეთო.— ტყე დათვს ჩააბარა, სერი — მგელს, კატა კლდის თხემზე აგზავნა, ხოლო ყორანს ციდან თვალყურის ჭერა დაავალა და თვითონ გამოქვაბულის შემოსასვლელ ხვრეში ჩადგა.

მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ მაშრიყის ხელმწიფის ჯარებმა საზღვარი გადმოლახეს და ტყესა და ველს კალიასავით მოედვნენ. ხელმწიფემ შუა მინდორში შავი კარავი დადგა და ჯარები საომრად განაწყო.

მელიამ საჩქაროდ დაიბარა საგუშაგოებზე მდგარი თანამოძმენი და ყველას თავისი დავალება მისცა: დათვს სადათვეთი უნდა შეეკრიბა, მგელს — სამგლეთი, კატას — კატების ლაშქარი უნდა მოეყვანა, ხოლო ყორანს — ფრინველებისა.

გადადგა მგელი სერზე, ერთი ხმამაღლა დაიყმუვლა და თვალის დახამხამების უმალ სერი მგლის ლაშქრით გაივსო. ასე ქნეს სხვებმაც:— დათვმა, კატამ და ყორანმა. ერთ წუთში იმდენი მტაცებელი ნადირ-ფრინველი მოგროვდა, რომ მათი ღრენა-ყაშყაშისაგან ყურთასმენა აღარ იყო.

შუაღამე რომ შეიქნა, მელამ დააწყო თავისი ლაშქარი,

დათვებს დათვი უსარდლა, მგლებს—მგელი, ფრინველებს—ყორანი და კატებს — კატა. — ყველას თავისი ტომისა და მოდგმის სარდალი დაუნიშნა და უბრძანა:

— აბა, ახლა კი ხელი — ხმალს და ხმალი — მტერსო!— ნადირ-ფრინველთა ლაშქარმაც იხუვლა და ღრენით, ყმუილით, ბურტყუნითა და ყაშყაშით ხელმწიფის ჯარს მიესია. დათვები ბეგვავდნენ, მგლები გლეჯდნენ, ფრინველები კორტნიდნენ და კატები თვალებს აკაწრავდნენ. თვითონ მელა ბრძოლის შუაგულში იდგა და ახალ-ახალ განკარგულებებს იძლეოდა. გათენებამდე ხელმწიფის ჯარი მთლიანად განადგურდა, ზოგი მოკვდა, ზოგი დასახიჩრდა, ზოგმა გაქცევით უშველა თავს და ბრძოლის ველს საბოლოოდ ხელმწიფე და იმისი ამალაღა შემორჩა. მივიდა მელა ხელმწიფესთან და უთხრა:

— რას უწუნებ შენს სიძეს და ჯარს რაზე ღუპავო?

— მაშ რა ვქნა, ერთადერთ ქალიშვილს ტყის კაცს ხომ არ მივცემო? — მიუგო ხელმწიფემ.

— წამოდი და თვითონ გაიგებ, როგორი ტყის კაციც არისო, — უთხრა მელამ, წამოიყვანა ხელმწიფე გამოქვაბულში და სიძე გააცნო, ხელმწიფის შვილმა უამბო მაშრიყის ხელმწიფეს თავისი თავგადასავალი და ტყეში გაჭრის მიზეზიც უთხრა. ხელმწიფემ ახლა კი გაიგო, ვისთანაც ჰქონდა საქმე და დიდად ინანა, რომ ამდენი ჯარი ტყუილუბრალოდ გააჟლეტინა. გადაეხვია ხელმწიფის შვილს, მამაშვილურად გადაკოცნა და უთხრა:

— მე ამ ერთი ქალის მეტი შვილი არ გამაჩნია, ტახტის მემკვიდრე არა მყავს, ბარემ წამოდი, ტახტიც ჩაიბარე და სახელმწიფოც განაგეო.

— დიდი სიამოვნებითო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა, — მაგრამ მე მარტო არ წამოვალ, ჩემი მეზობლებიც თან უნდა წამოვიყვანოო.

— ვინ არიან შენი მეზობლები, ამ უღრან ტყეში მეზობლები ვინღა გყავსო? — გაუკვირდა მაშრიყის ხელმწიფეს.

— ვინა მყავს და ვინც შენი ჯარები დაამარცხაო, — უთხრა სიძემ და წარუდგინა დათვი, მგელი, მელა, ციცა და ყორანი.

სიმამრმა ნება დართო, ხელმწიფე დღეიდან შენა ხარ და როგორც გინდა, ისე მოიქეცეო.

აიკრეს გუდა-ნაბადი და ყველანი ერთად წავიდნენ მაშრიყის ქვეყანაში. ხელმწიფემ ქალიშვილსა და სიძეს დიდი ქორწილი გადაუხადა, მათი მეზობლებიც სასახლეში დაასახლა და შესაფერი დღიური ულუფაც გაუწესა: დათეს — ღორი, მგელს — ბურვაკი, მელას — ბატი, ყორანს — ბატკანი და ციცას — ერთი ჯამი თბილი რძე. და დაიწყო ტკბილი და მოსვენებული ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

წიქარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ერთი პატარა ბიჭი. დედ-მამა ბიჭს სამწყემსურში აგზავნიდა და თვითონ მინდორში მუშაობდა, წლის სარჩოს შოვნაში სამივე ერთმანეთს ეხმარებოდა და ტკბილ და უსაყვედურო ლუკმას ჭამდნენ.

მაგრამ ერთ უბედურ დღეს მათი ოჯახის სიმყუდროვე დაირღვა, — დედა მოულოდნელად ავად გახდა და გარდაიცვალა. მამა-შვილმა მიცვალებული წესისამებრ გამოიტირეს და დაასაფლავეს.

წლის თავზე მამამ სხვა ცოლი მოიყვანა. დედინაცვალი ერთი ავი და კუდიანი დედაკაცი გამოდგა და გერს მოსელის დღიდანვე მოსისხლე მტრად მოეკიდა — ლანძღავდა, სცემდა და ცეცხლის კალოში აყენებდა. წავიდოდა თუ არა მამა მინდორში სამუშაოდ, იმავ წამს ლოგინში მიუხტებოდა, ცემა-ტყეპით წამოაგდებდა და მშიერ-მწყურვალსა და უსაგზლოს სამწყემსურში გააგდებდა.

ბიჭს ნასირში ერთი წითელი ხარი ერია. ხარს სახელად წიქარა ერქვა, ხარი გრძნეული იყო და ბიჭის გასაჭირს კარგად ხედავდა, რქიდან ღალას იღებდა და მშიერ ბიჭს იმით ასაზრდოვებდა. ბიჭსაც ძალიან უყვარდა თავისი უტყვი მეგობარი, — ნოყიერ ბალახს უზიდავდა, აბანავებდა და ჩრდილში ასვენებდა. დედინაცვალმა შეიტყო ხარისა და ბიჭის მეგობრობის ამბავი და უარესად გაანჩხლდა. მიხვდა, რომ გერთან ვერაფერს გახდებოდა, სანამ მას გვერდით წიქარა ჰყავდა, და ხარის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, —

მოიავადმყოფა თავი, ლოგინში ჩაწვა და ქმარს კვნესა-გმინვით დასვდა:

— ვკვდები და მიშველეო.

— რა მოგარჩენსო? — ჰკითხა ქმარმა.

— წიქარას გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მიშველისო, — უთხრა ცოლმა. — თუ დაკლავ, გულ-ღვიძლს ამოაცლი და მაჭმევ, მოვრჩები, თუ არადა, მოვკვდებიო.

დაღონდა კაცი ძალიან, აბა ვის ემეტება თავისი მარჩენალი დასაკლავად, მაგრამ რა უნდა ექნა, როცა ცოლი ლოგინიდან აღარ დგებოდა და კვნესა-გმინვას უფრო უმატებდა. ჯანდაბას, რაც იქნება, იქნებაო, — თქვა კაცმა, გადმოიღო დიდი დანა და დაუწყო ლესვა.

ბიჭმა ეს დაინახა და მამას ჰკითხა:

— მამი, რად გინდა ეგ დანა, რადა ლესავო?

— წიქარა უნდა დავკლაო, — ამოიოხრა მამამ.

ბიჭს თავზარი დაეცა, მაშინვე ბაკში შევარდა, მოეხვია წიქარას ყელზე და სმამაღლა აქვითინდა.

— რატომ ტირიხარ, ჩემო პატარა მეგობაროო? — ჰკითხა წიქარამ.

— მამაჩემი დაკვლას გიპირებს და იმიტომაო, — მიუგო ბიჭმა.

— მაშ ნუღარ აყოვნებ, — უთხრა წიქარამ, — ახლავე აიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი, ერთი მათარა წყალი, შემაჯექ ზურგზე და გავიქცეთო.

შევარდა ბიჭი შინ, გამოიტანა ყველაფერი და მივიდა ისევ წიქარასთან, წიქარამ შეისვა ზურგზე და გააქროლა.

მამამ დანა გალესა, მაგრამ ბაკში წიქარა აღარ დასვდა, აღარც ბიჭი სადმე ჩანდა. მამა აქეთ ეცა, იქით შეიხედა, მაგრამ ბიჭისა და წიქარას ასავალ-დასავალისა ვეღარაფერი გაიგო. შევიდა შინ და ლოგინში მწოლიარე ცოლს უთხრა, — დანა მზადა მაქვს, მაგრამ წიქარა აღარსად ჩანს და ბიჭიც დაკარგულაო.

დედინაცვალი კუდიანი იყო და ყველაფერს მიხვდა. მაშინვე წამოხტა ლოგინიდან და კარში გავარდა, დადგა ზურგშექცევით მზის ამოსასვლელისაკენ, სამჯერ უკულმა ბირჯვარი გადაიწერა და რაღაც ლოცვა ჩაიბუტბუტა: დედა-

კაცს ერთი ჯადოქარი ტახი ჰყავდა და იმას მოუხმო. მოვარდა ტახი ქშენითა და კბილების ლესვით და ჰკითხა:

— რას მიბრძანებ, რით გემსახუროო?

— ახლავე გაქანდი, — უთხრა დედინაცვალმა, — დაეწიე წიქარას, გაფატრე და გულ-ღვიძლი ამოარიდეო.

— სიტყვა გრძელია, საქმე მოკლეო! — თქვა ტახმა, გაჰკრა ეშვი ეშვს და გაეკიდა წიქარასა და ბიჭს.

მირბის წიქარა, მიარბენინებს პატარა მეგობარს და უკან ეშვებდალესილი ტახი მისდევს. ეტყვის წიქარა ბიჭს:

— აბა მიისედე, უკან ხომ არაფერი მოჩანსო?

მოიხედა ბიჭმა და წიქარას უთხრა:

— შორს ბუზისტოლად რაღაც მოჩანსო.

— ეგ ტახია, — უთხრა წიქარამ, — სიკვდილი გვიახლოვდება, გადაღვარე მათარაო.

გადაღვარა ბიჭმა მათარა და გაჩნდა საშინელი ზღვა. ღელავს ზღვა, მთისოდენა ტალღებს იფაფრავს და ყველაფერს წალეკვას უქადის, მაგრამ ტახი არად აგდებს ტალღების ცემას, მიაპობს ზვირთებს და მიცურავს.

ცურვაში საკმაო დრო გავიდა, ამ ხნის მანძილზე წიქარამ და ბიჭმა კარგა გრძელი მანძილი გაირბინეს, მაგრამ ღორი მაინც წამოეწია. კიდევ უთხრა წიქარამ ბიჭს:

— უკან მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

— ბუზისტოლად რაღაც მოჩანსო, — უთხრა ბიჭმა.

— ისევ წამოგვეწია ეგ წყეული, — თქვა წიქარამ და ბიჭს უთხრა, — სავარცხელი გადააგდეო!

გადააგდო ბიჭმა სავარცხელი და უცბად ისეთი სშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვიც ვერ გაძვრებოდა. კაფავს ტახი ტყეს ეშვებით, აწვენს ხეს ხეზე და მიიწევს წინ. როგორც იქნა, გაკაფა ტყე, გავიდა ნაპირში და უფრო გაშმაგებით გაეკიდა.

წიქარა სულს არ ითქვამს, მიქრის და მიაქროლებს ბიჭს. კარგა მანძილი რომ გაირბინა, კიდევ უთხრა ბიჭს:

— მიიხედე უკან, ხომ არ გამოჩნდა ის ჯადოქარიო?

ბიჭმა მიიხედა და შორს ისევ ბუზისტოლა წერტილი დაინახა. წიქარამ უთხრა, — სალესავი გადააგდეო.

გადააგდო ბიჭმა სალესავი და აღიმართა პიტალო, მიუ-

ვალი კლდე. მიადგა ღორი ამ კლდეს და დაიწყო საფეხურების გამოჭრა. ჭრის ტახი საფეხურებს, გააქვს ეშვებს ტინზე ღრჭიალი, და მიიწევს ზევით, გასჭრა უკანასკნელი საფეხურიც, ის არის, უნდა გადავიდეს კლდეს, რომ უცბად ფეხი დაუსხლტა და უფსკრულში ჩაილეწა.

გადარჩნენ ბიჭი და წიქარა. გავიდნენ ერთ ტრიალ მინდორზე, მინდორში ერთი ისეთი მაღალი ალვის ხე იდგა, რომ კაცი თვალს ვერ შეაწვდენდა. წიქარამ შესვა ბიჭი ხეზე, მისცა სალამური — ერთი სალხინო, მეორე — სამწუხარო და უთხრა:

— მე ახლა საძოვარზე წავალ და თავს იმით ვირჩენ. შენ კი სალხინო სალამური დაუკარი და სასმელ-საჭმელი ულეველად გექნება, ხოლო თუ რამე გაგიჭირდეს, მაშინ სამწუხარო სალამური დაუკარი და იმავ წამს შენთან გავჩნდებიო.

გამოეთხოვა წიქარა ბიჭსა და წავიდა. ბიჭი დარჩა ალვის ხეზე, დაუკრავს სალხინო სალამურს და მთელი მიდამო აცეკვდება. ხეები, ბუჩქები, ბალახი ყველა ერთნაირად ამღერდება და ბიჭს ნაირ-ნაირი საჭმელებით გაწყობილი სუფრა გაეშლება. ცხოვრობს ასე ბიჭი უდარდელად და ლაღად.

მაგრამ, საუბედუროდ, ლხინს და გართობას ხიფათიც განუშორებლად თან ახლავს. ერთხელ ერთმა მეცხვარემ მინდორში ცხვარი შემორეკა, გაიგონა სალამურის ხმა და ძალიან მოეწონა. მიჰყვა ხმას, მიჰყვა და ალვის ხეს მიადგა,. შეიხედა მაღლა და დაინახა: ბიჭი სალამურს უკრავს და თან ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს შეექცევა. სალამურის ხმაზე ჭრელ-ჭრელა ჩიტუნებისა და პეპლების გუნდი თავს დასტრიალებს; მეცხვარეს შურით აევსო გული, სალამურის ხელში ჩაგდება მოინდომა და ბიჭს ასძახა:

— ჩამოდი ერთი ძირს და მაჩვენე შენი სალამური, მინდა. გავიგო, რისგან არის გაკეთებულიო.

ბიჭმა ჯერ ჩასვლა დააპირა, მაგრამ უცბად წიქარას ნათქვამი გაახსენდა, არამც და არამც ძირს არ ჩახვიდე და არც სალამური ვისმეს აჩვენოო, და მეცხვარეს ჩამოსძახა:

— ვერც ჩამოვალ და ვერც სალამურს გაჩვენებო.

მეცხვარეს უფრო გაუძლიერდა შური, შენ თუ ოიწი ვერ

გიყო, რალა კაცი ვყოფილვარო, — ჩაილაპარაკა ჩუმად და ხელმწიფესთან წავიდა. შევიდა სასახლეში და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენს სამფლობელოში, ამა და ამ ადგილას ალვის ხეზე ერთი ბიჭი ზის და ისეთი სალამური აქვს, რომ იმის ხმაზე მთელი ტყე, ბალახი და ნადირ-ფრინველი ცეკვავს. ვინ მისცა ნება, რომ თქვენს დაუკითხავად ასეთ ჯადო-საქმეს აკეთებსო?

ის ხელმწიფე დიდი ვერაგი იყო და ლხინსა და მხიარულებას ვერ იტანდა. მაშინვე დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა: წადით და ის ბიჭი თავის სალამურიანად აქ მომგვარეთ. მე მას ვუჩვენებ, როგორ უნდა უნებართვოდ სალამურის დაკვრაო.

წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, მიადგნენ ალვის ხეს, მაგრამ ბიჭმა მათაც უარი უთხრა, — არ ჩამოვალო. რა ქნან ვეზირებმა, ზედ ვერ ავლენ, გლუვი ხეა და ხელმოსაჭიდი არაფერი აქვს, მოსჭრან კიდევ და ბიჭი დაიღუპება. დაბრუნდნენ უკან ხელცარიელები და ხელმწიფეს უთხრეს, იმ ბიჭის ცოცხლად შეპყრობა ყოვლად შეუძლებელიაო. ხელმწიფე უფრო განრისხდა და თქვა:

— ვინც იმ ბიჭს ალვის ხიდან ჩამოსვამს და სასახლეში მომიყვანს, დიდძალ ოქრო-ვერცხლს ვაჩუქებო.

გაიგო ეს ერთმა კუდიანმა დედაბერმა, მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

— დიდო ხელმწიფევ, იმ ბიჭს მე მოგიყვანთ, ოღონდ თქვენ ერთი თხა და ერთი სადგისი მიბოძეთო.

აბა ერთი თხა და ერთი სადგისი ხელმწიფეს რა გაუხდებოდა, მისცა მაშინვე და გაგზავნა.

წაიყვანა დედაბერმა თხა და მიიყვანა ალვის ხის ძირას. ბიჭს აინუნშიაც არ მოსდის, ზის ალვის ხეზე, უკრავს სალხინო სალამურს და თავზე ბეპლებისა და ჩიტების გუნდი დაფარფატებს.

დედაბერმა ამოიღო სადგისი და დაუწყო თხას ჩხვლეტა. გააბა თხამ ბღავილი. გაიგონა ბიჭმა თხის კიკინი და დედაბერს ჩამოსძახა:

— რას შვრები, ბებიავ, მაგ თხას რად აჩხავლებო?

— დაკვლა მინდა, შვილო, და ვერ მომიხერხებია. დედა-

შვილობას, მიყავი სიკეთე, ჩამოდი ცოტასანს, დამიკალი ეს თხა და ისევ ადიო.

გაბრიყვდა ბიჭი, იფიქრა, ამ დედაბერს რა ღალატი უნდა ედოს გულშიო და ძირს ჩამოვიდა. საბედნიეროდ სალაშურები ხეზე დატოვა. დაუკლა დედაბერს თხა და ის იყო, ისევ ხეზე უნდა ასულიყო, რომ დედაბერმა ძილქუშისა შეულოცა და დააძინა. წერე აიყვანა მძინარე ხელში და მიბგვარა ხელმწიფეს. ხელმწიფემ ბრძანა, ასლავე ცხრაკლიტულში დაამწყვდიეთო და კარისკაცებმაც მძინარე ბიჭს ცხრაკლიტულში უკრეს თავი.

როდის-როდის გამოეღვიძა ბიჭს და რას ხედავს, დატყვევებულია. მოაგონდა ყველაფერი, მიხვდა, რომ ეს საქმე დედაბერმა მოუწყო და მწარედ ატირდა.

ტირილით რომ გული იჯერა, რკინის რიკულებიან ფანჯარასთან დაჯდა და ლაჟვარდოვან ცას მიაშტერდა. ამ დროს ცაზე ყვავმა გადაიფრინა, დაინახა ბიჭმა და ასძახა:

ყვავო, ყვავო, შენსა მზესა,
შენი წყვილი შვილის მზესა.
მინდორში რომ ალვის ხე დგას,
ლაჟვარდ ცას რომ უწვდენს წვერსა,
იქ სალაშურები დამრჩა,
გზას არა გთხოვ შორს და ძნელსა,
წადი და აქ მომიტანე,
დავიფიცავ შენსა მზესა.

— გახსოვს, მე რომ ლეშზე ვიჯექ და შენ ქვების სროლა დამიწყეო, — ჩამოსჩხავლა მაღლიდან და გაფრინდა. ბიჭს მოაგონდა თავისი დანაშაული და მწარედ ინანა.

ცოტა ხანი და ცაში ასლა ბელურა გამოჩნდა. ბიჭმა შეხედა და ასძახა:

— ჩიტო, ჩიტო, შენსა მზესა,
შენი წყვილი შვილის მზესა.
მინდორში რომ ალვის ხე დგას,
ლაჟვარდ ცას რომ უწვდენს წვერსა.

იქ სალამურები დამრჩა,
გზას არა გთსოვ შორს და ძნელსა,
წადი და აქ მომიტანე,
დავიფიცავ შენსა მზესა.

— გახსოვს, შენ რომ მახეს მიგებდი და ბუდეს მიშლიდი, ახლა აღარც მე გიშველიო, — ჩამოუქლურტულა ბეღურამ და გაფრინდა ისიც თავისი გზით. ბიჭს ეს დანაშაულიც მოაგონდა და უფრო მწარედ ინანა. მერე შეხედა ზეცას და დაიფიცა, — თუ აქედან მშვიდობით გადავრჩი, ნადირ-ფრინველთა მოდგმას ჩემს დღეში აღარაფერს დავუშავებო.

ამ დროს ჩამოიფრინა მერცხალმა. ბიჭმა ხელები მუდარით გაიშვირა და შესტირა:

— საით მიფრინავ, მერცხალო,
გულთეთრო, მსუბუქფრთიანო,
მინდორში იცი ალვის ხე?
ციცინი წყარონიც დიანო,
ბეპლებიც იქა სხდებიან,
ტურფად ჭრელ ფრთებსა შლიანო,
შეიყრებიან ჩიტები,
სიმღერით დატკბებიანო,
წიქარაც იმათთან მოვა,
იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო,
გაფრინდი, აქ მომიტანე,
დიდხანს არ დამიგვიანო!

მერცხალმა უთხრა: — შენგან მეც ბევრჯერ მახსოვს წყენა, მაგრამ რაკი მოინანიე და ფიცი დადე, რომ ნადირ-ფრინველთ ამიერიდან აღარაფერს დაუშავებ, მეც გაპატიებ და სალამურებსაც მოგიტანო. — გაფრინდა მერცხალი და სალამურები სულ რამდენიმე წამში მოუტანა.

ბიჭი ცას ეწია სიხარულით. თვალებიდან ცრემლიც კი გადმოსცვივდა, მერცხალს გულმხურვალე მადლობა გადაუ-

ხადა და საჭირვარამო სალამურს ჩაბერა. გაიგონა წიქარამ საჭირვარამო სალამურის ხმა და მაშინვე ბიჭის დასახსნელად გაეშურა. გააფთრებული ეცა ცხრაკლიტულს და დაუწყო რქებით მტვრევა. რვა კარი უვნებლად შეამტვრია, მეცხრე კარზე კი ცალი რქა მოსტყდა.

დაღონდა წიქარა, დაღონდა უფრო იმიტომ, რომ ცალი რქით კარებს ველარ შეამტვრევდა და მეგობარს ვერ გამოიხსნიდა. უცბად საძირკვლიდან დედოფალა გამოძვრა და წიქარას უთხრა:

— რქა რომ გაგიმთელო, შენს ლეშს ხომ მაჭმევო?

— ოღონდ რქა გამიმთელე, ჩემი პატარა მეგობარი გამომახსნევინე და მერე რაც გინდოდეს, ის მიყავიო.

გაიქცა დედოფალა, მოიტანა რაღაც ბალახი, მიუსვ-მოუსვა წიქარას მოტეხილ რქაზე და გაუმთელა. წიქარა დაეძგერა მეცხრე კარს და შელეწა. შევარდა ბიჭთან, შეისვა ზურგზე და გააქროლა.

მივიდნენ ბიჭი და წიქარა ისევ ალვის ხესთან და დიდი ხნის უნახავებმა დაიწყეს ერთმანეთის ხვევნა და ალერსი. სად იყო, სად არა, დედოფალაც იქ გაჩნდა და წიქარას უთხრა:

— ხომ შეგისრულე დანაპირები? ახლა შენი ჯერია, მოემზადე, უნდა დაგკლა და შეგჭამოო.

წიქარამ კისერი მორჩილად გადაუგდო და უპასუხა:

— მართალი ხარ, აბა, ჩემი კისერი და შენი ხმალი! დამკალი და შემჭამეო!

ბიჭს ტირილი აუტყდა, დაიჩოქა და დედოფალას შეესვეწა:

— ოღონდ წიქარას ნურაფერს ავნებ და ისევ მე მომკალიო.

— კარგი, რახან ასე გინდათ, შენ მოგკლავ, ჩემთვის სულერთიაო. — უთხრა დედოფალამ და ბიჭის დაკვლა დაიბირა.

— ახლა წიქარამ შესტირაო

— განა იმიტომ გამოვიხსენი ტყვეობიდან, რომ ახლა სასიკვდილოდ გავიმეტო. ბირობა მე მოგეცი და მოკვლითაც მე უნდა მომკლაო.

დედოფალამ უყურა, უყურა და ბოლოს უთხრა:

— არა, თქვენ ისეთი მეგობრები ყოფილხართ, რომ თქვენი გაყრა არასგზით არ შეიძლება. იცოცხლეთ მარად და ერთიმეორე გაახარეთო. — დედოფალამ თავი დაუკრა და გაუჩინარდა.

გახარებული მეგობრები უფრო მხურვალედ მოეხვივნენ ერთმანეთს. მერე წიქარამ ბიჭი ზურგზე შეისვა და გააქროლა სხვა ადგილას. სადაც არც შურიანი მეცხვარე იყო და არც ბოროტი სელმწიფე. შესვა იქაც ალვის ხეზე, მისცა სალამურები და თვითონ ისევ საბალახოდ წავიდა.

ბიჭი ახლაც იმ ალვის ხეზე ზის. უკრავს სალხინო სალამურს და თვითონაც ხარობს და ნადირ-ფრინველსაც ახარებს. ხოლო როცა წიქარას ნახვა მოუნდება, დაუკრავს საჭირვარამო სალამურს და წიქარაც უმალ იქ გაჩნდება. ეხვევიან ერთმანეთს, ჰკოცნიან და ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ ბოროტ ადამიანებს სამუდამოდ მოშორდნენ.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ამხანაგი ნუ გძულს, საშოვარი ნუ გშურს

იყო და არა იყო რა, იყო სამი ამხანაგი. დადიოდნენ საშოვარზე და რასაც შოულობდნენ, თანატოლად იყოფდნენ. ერთხელ ერთი ჩანახი ოქრო იპოვეს და ჩვეულებრივ თანაბრად გაიყვეს. იმხანად საჭმელი აღარაფერი ჰქონდათ და ერთ-ერთი ამხანაგი ქალაქში საჭმლის მოსატანად გაგზავნეს.

მიდიოდა ამხანაგი ქალაქისკენ და თან ფიქრობდა: — ახლა აღარა მიჭირს რა, საკმაოდ გავმდიდრდი და საშოვარზე სიარული აღარ მომიწევს, მაგრამ რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემი ამხანაგების წილიც ჩემი ყოფილიყო, ცხოვრებას უფრო უზრუნველად გავატარებდიო. ამ ფიქრმა აცდუნა და ბოლოს ასე გადაწყვიტა: მოდი, სანოვაგეს რომ ვიყიდი, მოვწამლავ და ამხანაგებს ისე მივუტან. თვითონ პირს არ დავაკარებ, ვეტყვი, ქალაქში ვჭამე-მეთქი, მოიწამლებიან და იმათი წილიც მე დამრჩებაო.

გადაწყვიტა და გააკეთა კიდეც: იყიდა სანოვაგე, მოწამლა და ისე წამოიღო. მაგრამ გულხელდაკრეფით არც მისი ამხანაგები მსხდარან. წავიდა თუ არა ამხანაგი, მათაც იგივე ფიქრი აეკვიატათ: რატომ გავუყოთ მესამე ამხანაგს? იმისი წილიც რომ ჩვენ დაგვრჩეს, ხომ უფრო მეტი გვექნებაო, და გადაწყვიტეს: მოვა თუ არა, მაშინვე მოვკლათ და იმისი წილიც ჩვენ გავიყოთო.

მოიტანა თუ არა გაგზავნილმა ამხანაგმა საჭმელი, იმ ორმა ამხანაგმა მაშინვე ხმლები იშიშვლეს და ლუკმა-ლუკ-

ზად აკუწეს. თვითონ კი მიუსხდნენ სანოვაგეს, მაგრამ პუ-
რის ჭამა ნახევრადაც ვერ აითავეს, მოიწამლნენ და დაი-
ხოცნენ. ნაპოვნი სიმდიდრე კი ოხრად დარჩა.

ასეა, ვისაც ამხანაგი სძულს და საშოვარი შურს, თავი-
სი წილიც ოხრად დარჩება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



დიაკვანი და ყვავი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ ქალაქში ისეთი ლამაზი ეკლესია ააშენეს, რომ მისი ბადალი ქვეყნად არაფერი მოიპოვებოდა. კედლები, შიგნით-გარეთ, სულ ძვირფასი თვლებით შეუმკეს და გუმბათზე ოქროს ჯვარი აღმართეს. მნახველები ჩერდებოდნენ ეკლესიასთან და აღტაცებით გაიძახოდნენ, — მართლაც, რომ მეტისმეტად კარგი რამ არისო, სოლო მრევლი სალისით დადიოდა სალოცავად და შესაწირავსაც გულუხვს სწირავდა.

მაგრამ ქალაქის მცხოვრებთ ლამაზი ეკლესიით თავმოწონება დიდხანს არ დასცალდათ. საყდარს ერთი ზინზლიანი ყვავი შემოეჩვია და მთელი სილამაზე გააოხრა, დასკუპდებოდა ოქროს ჯვარზე დილიდან საღამომდე და ჯვარიც და კედლებიც მთლიანად ჩამოსვარა. რა არ იღონა მღვდელმა, როგორ არ ეცადა, მაგრამ ყვავი ვერა და ვერ მოიშორა. მრევლი კი დასვრილ ეკლესიაში აღარ შედიოდა და აღარც უხვი შესაწირავი მიჰქონდა.

გაჯავრდა ბოლოს მღვდელი და დიაკვანს უთხრა:

— მოაშორებ ეკლესიას ამ ოხერ ფრინველს, ხომ კარგი, არადა, ქალაქში აღარ გაგაჩერებო.

დაღონდა დიაკვანი. დაჯდა შინ და დაფიქრდა. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ასეთი სერხი მოიფიქრა: აიღო ერთი ნაჭერი დამარილებული ღორის ხორცი, ერთი ჯამი თავანკარი ღვინო და აიტანა ეკლესიის გუმბათზე. ხორცი ჯვარზე დაჰკიდა, ღვინო ჯვრის ძირში დადგა და უკანვე ჩამოვიდა.

მოფრინდა ყვავი და შემოჯდა ეკლესიის გუმბათის ჯვარზე. ხორცს ჯერ უნდობლად შეხედა, მაგრამ მალე სულმა სძლია და ჩაუნისკარტა. ხორცი ეგემრიელა და მსუნაგად გადასანსლა. გამაძღარმა რამდენჯერმე ხმამაღლა დაიჩხავლა და ფრთა ფრთას შემოჰკრა. მლაშე ხორცნაჭამს მალე წყალიც მოსწყურდა და ღვინიან ჯამს დაეწაფა. სვა, სვა და ამოშრიტა. დიაკვანი დაბლიდან უთვალთვალებდა და სიხარულისაგან სულ ასკინკილას ცეკვავდა.

ყვავმა წყურვილიც რომ მოიკლა, ისევ ჯვარზე შეჯდომა და დაჩხავლება მოუნდა, დაიქნია ფრთები, მაგრამ მთვრალმა ტანი ვეღარ აიტანა და ჯვარზე შეჯდომის მაგიერ მიწაზე მოადინა ბრაგვანი.

დიაკვანიც ამას ელოდა, მივარდა ღვინისაგან გაბრუებულ ყვავს, აიყვანა ხელში და თავი კედელს უჯახა. სცემდა და თან გაჯავრებული ჩასძახოდა:

— შე ოხერო, რა სარ, ვინა ხარ, რომ საშველი აღარ მოგვეცი, რა რჯულისა და სარწმუნოებისა ხარ: თუ ურია ხარ, ღორის ხორცს რატომ სჭამ, თუ მაჰმადიანი — ღვინოს რადა სვამ, ხოლო თუ ქრისტიანი ხარ, ამ წმინდა ჯვარს და ღვთის საყდარს რაღად აფუჭებო? — წააძრო კისერი და სანაგვეზე გადაუძახა:

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ღვინის გაჩენა

იყო და არა იყო რა, ამქვეყნად რა არ ყოფილა! ოდესღაც ისეთი დროც იყო, როცა ხალხი ვაზს არ იცნობდა და არც ღვინის დაყენება იცოდა, ვაზი მაშინ ტყეში იზრდებოდა და ყურძენს ჩიტები კენკავდნენ.

ერთხელ ერთმა ქართველმა კაცმა ტყეში ერთი ვაზი მოთხარა, წამოიღო და თავის ეზოში საჩრდილობლად დარგო. ვაზმა, რა თქმა უნდა, ყურძენი დაისხა, კაცმა შეჭამა ყურძენი, მოეწონა და მეორე წელიწადს კიდევ დარგო რამდენიმე ძირი. ვაზმა რქა დაიყარა და მალე მთელს ეზოს მოედო. კაცი ყოველ შემოდგომაზე რთველს მართავდა, მოიწვევდა მეზობლებს — ხალხს, ნადირ-ფრინველს და ვაზის გემრიელი ნაყოფით უმასპინძლდებოდა.

ერთ წელიწადს ვაზებმა დიდძალი ყურძენი დაისხეს. კაცმა ჩვეულებრივ მოიწვია მეზობლები, მაგრამ ნახევარიც ვერ შეჭამეს. დარჩენილი მტევნები კაცმა დაწურა და ტკბილი წვენი თიხის ჭურჭელში ჩაასხა.

გავიდა ცოტა ხანი, კაცმა შენახულ წვენს გემო გაუსინჯა და მოეწონა. გაუკვირდა, ამ მახინჯმა და უსწორმასწორო ლერწმა ასეთი ტკბილი წვენი როგორ გაიკეთაო, და ჭაშნიკზე ისევ მოიწვია ხალხი და ნადირ-ფრინველი. ყველამ გასინჯა წვენი და ყველას მოეწონა მისი სურნელი და გემო. გაიმართა ბჭობა: რა დავარქვათ, ან რა თვისება დავანათლოთო?

მოფრინდა ბულბული, შეავსო თიხის ჯამი და თქვა:

— ვინც სამი ჯამი დალიოს, ჩემსავით ტკბილად ამღერდესო! — დალია ჯამი და დადგა.

მოვიდა ლომი, შეავსო ჯამი და თქვა:

— ვინც ხუთი ჯამი დალიოს, ჩემსავით ლონიერი და უშიშარი გახდესო.

გამოვიდა კალია, შეავსო ჯამი და თქვა:

— ვინც შვიდი ჯამი დალიოს, ჩემსავით მომაბეზრებლად აჭრიჭინდესო.

გამოვიდა ძაღლი, შეავსო ჯამი და თქვა:

— ვინც ცხრა ჯამი დალიოს, ჩემსავით ღრენა დაიწყოსო.

გამოვიდა ბატი, შეავსო ჯამი და თქვა:

— ვინც თორმეტი ჯამი დალიოს, ჩემსავით გამოტვინდესო.

ბოლოს გამოვიდა ღორი, შეავსო ჯამი და თქვა:

— ვინც თორმეტ ჯამზე მეტს დალევს, ჩემსავით ტალახში იგორაოსო.

ამ დროს მოვიდა ლხინის ღმერთი, ბავსო ჯამი და თქვა:

— რაკი ყველა ჩემი ძალა და უნარი დაანათლეთ, მაშ სახელიც ჩემი ერქვასო და ღვინო დაარქვა.

ასე აღმოაჩინა ქართველმა კაცმა ღვინო. მალე სხვა სალხმაც ისწავლა ღვინის დაყენება და ბოლოს მთელ დედამიწას მოედო. დროთა განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა, ხალხმა ვაზის სულ ახალი და ასალი ჯიშები აღმოაჩინა და ამისდა კვალად ღვინოებიც სხვადასხვაგვარი გაჩნდა, მაგრამ ის თავდაპირველი ძალა და თვისება კი დღევანდლამდე უცვლელად შეინარჩუნა: ახლაც, სამ ჯამს რომ დალევს კაცი, ბულბულივით ტკბილად ამღერდება, ხუთ ჯამზე ლომის ძალა და გამბედაობა ეძლევა, შვიდჯამდალეული კალიასავით აჭრიჭინდება და ყველას თავს აბეზრებს, მეცხრე ჯამზე ძაღლივით ღრენას იწყებს, მეთორმეტეზე ბატივით გამოტვინდება, ხოლო ვინც თორმეტ ჯამზე მეტს დალევს, ღორივით ტალახში ჩაწვება და გორაობასა და ღრუტუნს დაიწყებს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხარბი მღვდელი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხარბი მღვდელი. მრევლმაც იმის სიხარბესა და გაუმაძღრობას ვეღარ გაუძლო და მიმოეფანტა. დარჩა ხუცესი ულუკმაპუროდ. იფიქრა, ეფიქრა და სალსის მოსაზიდად და მოსაგუებლად ასეთ ხერხს მიმართა: ერთ თეთრწვერა მათხოვარს დღეში ორ შაურს შეპირდა, შეიყვანა ეკლესიაში და კანდელის ჯაჭვზე ჩამოჰკიდა, ვითომდა, ღმერთი გამოშეცხადაო. ძირს შესაწირისათვის მწვანე ბაღდადი გაშალა და ხალხს ზარის რეკვით მოუხმო, მოდით და ღვთის სასწაული ყველამ თქვენი თვალით ნახეთო.

მოვიდა და მოვიდა ხალხი, გაიჭედა მთელი ეკლესია მლოცველებით. მღვდელი ავიდა საკურთხეველზე და ხალხს განუცხადა:

— ვისაც რა გაჭირვება გაქვთ, ჩემს ღმერთს შესთხოვეთ და, თუ შესაწირ ფულს არ დაიშურებთ, ყველა თხოვნას შეგისრულებთო.

დაიჯერა ხალხმა და დაიწყო ლოცვა-ვედრება, თან ყველა მწვანე ბაღდადზე შესაწირავ ფულს ყრიდა. მღვდელი დაჰყურებდა ფულის გროვას, გული სიხარულით ეესებოდა და ხალხს უფრო ხმამაღლა მოუწოდებდა:

— ილოცეთ, ხალხნო, გულით შეევედრეთ ჩვენს მამაუფალს და ყველა საწადელი აგისრულდებათო!

ხალხიც ლოცულობდა და დაუზოგავად ყრიდა ფულს ბაღდადზე. კანდელის ჯაჭვზე დაკიდული თეთრწვერა მა-

თხოვარი შეწუხდა და მღვდელს თვალით ანიშნა, — მეტის ატანა აღარ შემიძლია და, თუ არ ჩამომხსნი, ჯამაგირი მაინც მომიმატეო. მაგრამ მღვდელმა ყურადღება არ მიაქცია, უარის ნიშნად თავი გაიქნია და კვლავ ლოცვა განაგრძო.

მლოცავ ხალხს თვლა არა აქვს, ბაღდადი უკვე ფულით აივსო. ჯაჭვზე დაკიდულ მათხოვარს მეტისმეტი გაჭირვებისაგან უკვე ოფლი დაასკდა, მღვდელი კი აინუნშიაც არ აგდებს. თვალი მხოლოდ ფულის გროვაზე უჭირავს და ხალხს კვლავ ღვთის ერთგული სამსახურისაკენ მოუწოდებს.

ხალხმა ილოცა და ნელ-ნელა გაიკრიფა ეკლესიიდან, საკურთხეველთან ერთი ღარიბ-ღატაკი, დაკონკილი კაციღა დარჩა, დაიჩოქა ამ კაცმა და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო მწყალობელო! ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, ოთხი ქალიშვილი მყავს და ისინიც ჩემსავით დაკონკილები დადიან. ჩემთვის არაფერს გთხოვ, როგორმე თავს გავიტან, ოღონდ ჩემი შვილები შეიბრალე, იმდენი ქონება მაინც მომეცი, რომ თითო ხელი სამზითვო ლოგინი გავუმზადო და საიქიოში მათი საწყევ-საკრულავი არ გავსდეო.

ჩამოხედა ღმერთად გამოცსადებულმა მათხოვარმა გაჭირვებულ კაცს და ჩამოსძახა:

— რაკი ასე გიჭირს, დღევანდელი ჩემი შემოსაწირი მთლიანად შენთვის დამითმია, მოხვეტე ეგ ფული და წაიღეო!

გახარებულმა ღარიბმა კაცმა ფულს ორივე ხელით დაუწყო ხვეტა, გადმოხედა მღვდელმა საკურთხევლიდან და დაუყვირა:

— რას შვრები კაცო, შესაწირ ფულს რომ იღებ, ღმერთი ხომ გაგირისხდებაო?

— შენ რა გინდა, თვითონ ღმერთმა მომცაო, — მიუგო კაცმა.

მღვდელი მათხოვარ კაცს შეეკითხა:

— მართლა შენ მიეცი?

— დიახ, მე მივეცი! — უპასუხა მათხოვარმა, — მაშ რი-

სი ღმერთი ვარ, თუ გაჭირვებულსა და ღარიბ-ღატაკს არ დავეხმარებიო.

დარჩა მღვდელი პირში ჩალაგამოვლებული. ღარიბმა კაცმა კი მიიტანა შინ ფული და თავის ქალიშვილებს მეორე დღესვე სამზითვო ლოგინები და კაბა-ჯუბები შეუკერა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ლამაზების ქვეყანა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ ხელმწიფე შადათი — კაცი ამაყი, გულზვიადი და პატივ-დიდების მოყვარული. ქვეყნად რა უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ იმას მოენდომებინა და ხელთ არ ეგდო: თუ სადმე ლამაზი ქალი აღმოჩნდებოდა, უსათუოდ მის ჰარამ-ხანაში უნდა მიეყვანათ, საუკეთესო ცხენს დაიგულებდა და მანამ არ მოისვენებდა, სანამ არ დაისაკუთრებდა, იმის ხმალ-აბჯარსა და ჯაჭვ-მუზარადს სომ, ნუღა იტყვით, — ქვეყნად ბადალი არ მოენახებოდა. სასახლეც თავის გუნებისა აეშენა — ბროლ-მარმარილოსი, შიგნით-გარეთ სულ ძვირფასი თვლებითა და ოქრო-ვერცხლით მოჭედილი და თანაც ისეთი ლამაზი, რომ მნახველებს თვალი ზედ რჩებოდათ. სასახლის შესაფერი არც დგამ-ავეჯი აკლდა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, სიმდიდრეში ყელამდე ჩაფლული იყო, მაგრამ გული მაინც არ უძღებოდა და სულ ზედმეტს და ზედმეტს თხოულობდა. თანდათან ისე გაიტაცა განდიდებისა და მოხვეჭის სურვილმა, რომ ბოლოს თავის ეზო-კარმიდამოში სამოთხის გაშენება და შიგ ციური ანგელოზების დასახლება განიზრახა.

თქმა და ქმნა ერთი იყო. გააშენა სამოთხე, შეამკო ყველაფრით, დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა:

— წადით, დაიარეთ მთელი ზღვა და ხმელი და სადაც კი ანგელოზი ნახოთ, ყველა აქ მომგვარეთო.

იმ დროს ანგელოზები დედამიწაზე ჩამოდიოდნენ და მათი პოვნა ძნელი არ იყო. წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, შეიბ-

ყრეს ყველა ანგელოზი და დატყვევებულები ინდოეთის შორეულ გზას გაუყენეს. იმ ადგილზე რომ მივიდნენ, სადაც ახლა საქართველოა, ინდოეთიდან ამბავი მოუვიდათ: ნეფე შადათს ზედმეტი თავგასულობისა და კადნიერებისათვის ლმერთი გაურისხდა და სასტიკად დასაჯა, — შხამიანი გველები მიუსია, ღააკბენინა და წამებით მოაკვლევინა.

ტყვე ანგელოზებმა ეს ამბავი რომ გაიგეს, დიდად გაიხარეს, შადათის ნაზირ-ვეზირებს აღარ დამორჩილდნენ და ინდოეთში აღარ გაჰყვნენ, მაგრამ აღარც ცაში დაბრუნდნენ, ისე მოეწონათ ნათელი, მზიანი, ყოველმხრივ შემკული, ლამაზი ადგილი, რომ თავიანთ ძველ ადგილ-სამყოფელზე ხელი აიღეს და საბოლოოდ იქ დარჩენა გადაწყვიტეს.

ასე დასახლდნენ საქართველოს მიწა-წყალზე ციური ანგელოზები. დღევანდელი ქართველი ასულები, ასე რომ ხიბლავს ყველას მათი თვალ-წარბის შუქი, ტანკენარობა და სილამაზე, იმ ანგელოზთა შთამომავლები არიან და ჩვენს ქვეყანასაც საქართველო სწორედ იმ დღიდან დაერქვა, რადგან ინდურ ენაზე ქართული ლამაზს ნიშნავს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ყმის სურვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბატონი და ჰყავდა ერთგული ყმა. ყმამ მთელი თავისი სიცოცხლე ბატონის სამსახურში გაატარა, თან სულ მიწასა და თავისუფლებას ნატრობდა. ამ ნატვრაში ისე დაბერდა და დაჩაჩანაკდა, რომ ვერც ერთს ეღირსა და ვერც — მეორეს.

ერთ დღეს ბატონმა ცოლეურების ნახვა მოიწადინა და ყმას უბრძანა:

— ურემი შეაბი და ზედ ჩემი ცოლ-შვილი დასხი, მე კი კარგი საჯდომი ცხენი შემიკაზმე, გაღმა, მოყვრებში, უნდა წავიდეო.

გზად მდინარეზე უნდა გასულიყვნენ, ყმამ ეს იცოდა და ურემში კამეჩები შეაბა. დაინახა ბატონმა და დატუქსა:

— კამეჩებს წინ ხარებიც მიუბი, შე რეგვენო, თავადიშვილი ვარ და სოფლებზე რომ მარტო უღელი კამეჩებით გავიარო, ვინ რას იტყვისო?!.

ყმამ გაამზადა ურემი და ეზოში დააყენა. გამოიყვანა თავლიდან ცხენიც და შეკაზმა. ბოლოს გამობრძანდა ბატონიც, ცოლ-შვილი ურემში ჩასხა, თვითონ ცხენზე შეჯდა და ურემს გვერდით ამოუდგა.

გაიარეს სოფლები და მიადგნენ მდინარეს. მდინარე მოდიდებული იყო და ნაპირზე გადმოვარდნილიყო, მაგრამ ბატონმა უკან გამობრუნება იუკადრისა და ყმას უბრძანა, შეიყვანე ურემი წყალში და მეც უკან მოგყვებიო.

ყმამ ფრთხილად შეაცურა ურემი მდინარის მღვრიე ტალღებში, მაგრამ ადიდებულ წყალთან სიფრთხილე რას უშველ-

ლიდა? შესვლისთანავე წყალი ურემს კოფომდე მისწვდა და აატივტივა. ახლა კი იკადრა ბატონმა და ცხენი საჩქაროდ უკან გამოაბრუნა, თან შეშინებულმა ყმას გასძახა:

— არიქა, სარეებს წინ დაუარე და ურემი როგორმე ისევ უკან შემოაბრუნეო.

ყმამ ახალუსი გაიხადა და მაშინვე წყალში გადაეშვა, დიდხანს და თავგამეტებით ებრძოდა აბობოქრებულ მდინარეს, ბოლოს, როგორც იქნა, შესძლო წინა ხარების შემობრუნება და თვალცრემლიანი ქალბატონი და აწიოლებული ბავშვები ნაპირზე უვნებლად გამოიყვანა.

ბატონი ცას ეწია სიხარულით და მივიდნენ თუ არა შინ, ყმას უთხრა:

— რაკი ცოლ-შვილი დაღუპვას გადამირჩინე, მინდა სამაგიერო გადაგიხადო და მითხარი, რას ისურვებო?

ყმამ ქუდი მოიხადა, ხელები გულზე დაიკრიფა და უპასუხა:

— დიდო, ბატონო, კარგად მოგეხსენებათ, რომ საწყალ ყმას მიწისა და თავისუფლების მეტი სხვა სათხოვარი არა აქვს რა და თუ მიბოძებთ, მადლობელი და თქვენზე მლოცავი ვიქნებიო.

— მომიცია მიწაც და თავისუფლებაც, მაგრამ მითხარი, მიწა რამდენი გინდა, რამდენი დღიური მოგცეო?

ყმას სახე გაუნათდა, თავი მოიფხანა და გაუბედავად მოახსენა:

— ბატონო, შენი ჭირიმე, რაკი ასეთი გულუხვი ხარ, მოდი და, რასაც სირბილით შემოვუვლი, ის მიწა მომეციო.

— მომიციაო! — კვლავ მიუგო ბატონმა.

ყმამ ისევ გაიხადა ახალუსი და გაიქცა. მირბის რაც ძალი და ღონე აქვს, მირბის, მაგრამ სიბერისა და მუშაობისაგან არაქათგამოცლილი მალე დაიღალა, ოფლი ღვარად დასდინდა და სუნთქვაც გაუჭირდა, მაგრამ მაინც გარბის, გაჰყურებს მინდორს და სულ უფრო სულწასულად გარბის, რომ რაც შეიძლება, მეტი მიწა დაისაკუთროს.

სიხარბეატანილმა ვერც კი გაიგო, როგორ მოეჭრა მუხ-

ლი და დაუბნელდა თვალები. უცბად გული გაუსკდა, პირქვე დაეცა და სული განუტევა.

მოკვდა საწყალი ყმა და აუსდენელი სურვილი საფლავში ჩაიტანა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

ბატონის ხელში ყმა გლეხი ნუ ელის გახარებასაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ფლაპარი — გამოცანა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე. ერთხელ ამ ხელმწიფემ მეგუთნეებს ორი დღის მიწა მოახვნევინა და პური დაათესვინა. ამოვიდა ლურჯი, სავერდივით ჯეჯილი. ყანაში ერთ დღეს ერთი ხარი შევიდა და მთელი ჯეჯილი პირწმინდად გადაძოვა. დაინახა ხელმწიფემ, ესროლა ისარი და მოკლა. წაიქცა ხარი, ტანი ხელმწიფის მამულში ედო, თავი და კუდი სხვა ხელმწიფეთა მამულებში.

უცბად ერთი ყორანი მოფრინდა, ჩასჭიდა ბრჭყალები და თავისი ბუდისაკენ გაფრინდა. გზაზე მეცხვარეს ფარა გამოეშალა. ყორანი ერთ თიკანს დააჯდა რქებზე, დაიდო ხარიც რქებშუა და დაუწყო ჭამა. ერთ წუთში ძვალ-რბილიანად გადასანსლა. მხოლოდ ერთი გამოხრული ბეჭი დაუვარდა ძირს.

ყორანი გაფრინდა, ბეჭი კი ადგილზე დარჩა. გავიდა ხანი, ერთხელ ქარი ამოვარდა, მოიტაცა ეს ბეჭი და მეცხვარეს ჩაუგდო თვალში. მეცხვარეს სამი სიძე ჰყავდა: ფრინველთ ხელმწიფე, ნადირთ ხელმწიფე და ზღვათ ხელმწიფე. წავიდა მეცხვარე ფრინველთ ხელმწიფესთან და შესჩივლა:

— თვალში რაღაც ჩამივარდა, ლამის გამომეთხაროს და მიშველე რამეო.

ფრინველთ ხელმწიფემ მოიხმო მთელი თავისი საბრძანებელი და შეგზავნა ცოლისძმის თვალში. ფრინველებმა სამი დღე დაჰყვეს მეცხვარის თვალში, მეოთხე დღეს გამოვიდნენ და თქვეს:

— სულ ძირის-ძირობამდე დავიარეთ, ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკეთ, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთო.

მეცხვარეს კი ეწვება თვალი, ლამის გამოეთხაროს. გამოეშვიდობა ფრინველთ ხელმწიფეს და მეორე სიძესთან — ნადირთა ხელმწიფესთან წავიდა. იმასაც ისე შესხივლა და იმანაც შეგზავნა ნადირი თვალში. მაგრამ ბეჭი ვერც მათ იპოვეს. შეღონებული ბოლოს ზღვათა ხელმწიფეს მიადგა. ზღვათა ხელმწიფემ გახსნა ზღვები, მდინარეები და მიუშვა მეცხვარის თვალში. წყლებმა ერთი კვირა იდინეს თვალში და გამორიყეს ბეჭი.

მეცხვარე თავის გზით წავიდა, ბეჭი კი ზღვის პირას დარჩა. გავიდა ხანი, ბეჭი მიწამ ღაფარა და გაჩნდა მშვენიერი მინდორი. ერთხელ ზღვის პირას ერთმა ხელმწიფემ გაიარა, ნახა მინდორი, მოეწონა და ზედ ქალაქის გაშენება გადაწყვიტა. ააშენა დიდი ქალაქი და დაასახლა ხალხი. დაიწყო ხალხმა ტკბილად ცხოვრება.

მაგრამ აი უბედურებას ბეჭს ერთი ნაპირი გაუშიშვლდა, შიშველ ნაპირს ერთი წუწკი მელია შეეჩვია და დაუწყო ხვრა. ბეჭი შეინძრა და დაიწყო ქალაქმა ნგრევა. შეწუხდა ხალხი და დაიწყეს მშველელი კაცის ძებნა, მაგრამ ამაოდ— მელიის მომრევი ვერავინ იპოვეს.

ერთ დღეს ერთ ორსულ ქალს მუცელი ასტკივდა და ბიჭი ეყოლა. ადგა ეს ახლად დაბადებული ბიჭი, მივიდა ხალხთან და უთხრა:

— შშვილდ-ისარი მომეცით და მაგ მელიას მე მოგაშორებთო.

გაუხარდა ხალხს და მოუტანეს მშვილდ-ისარი. წავიდა ბიჭი, სტყორცნა ისარი მელას და მოკლა.

წამოიღეს მკვდარი მელა, გაატყავეს და ბიჭს უთხრეს:

— რა მოგცეთ, რომ ამ უბედურებას გადაგვარჩინეო?

— მელიის ტყავის ნახევარი მომეცითო, — უთხრა ბიჭმა.

მისცეს სიხარულით ტყავის ნახევარი, ნახევარი კი თვითონ დაიტოვეს. იმ ნახევრისა მთელმა ქალაქმა, დიდმა და პატარამ, ქურქები შეიკერა, მაგრამ ტყავი მაინც დარჩათ. თავისი წილი ნახევრისა ბიჭმა ქურქი შეიკერა, მაგ-

რამ არ ეყო — წინა კალთები, ფარავი და სასელოები დაკ-
აკლდა.

ახლა თქვენ მითხარით, რომელი უფრო დიდი ყოფილა —
ის ხარი, ყორანი, ციკანი, მეცხვარე, თუ ის ბეჭი, ის მელია
და ის ვაჟი?

ბ[illegible]რი — იქა, ლხინი — აქა,
ქაფო — იქა, ფქვილი — აქა.

ჯკვიანი ხელმწიფე და ღარიბი კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთი ქვეყნის სატახტო ქალაქში ცხოვრობდა ერთი პატიოსანი კაცი, სამუშაოს ვერ შოულობდა და მეტისმეტად ღარიბი იყო. ძალიან რომ შეაწუხა სიღარიბემ და შიმშილმა, იფიქრა, მოდი, ხელმწიფესთან წავალ, ჩემს გასაჭირს შევჩივლებ და იქნებ რაიმე მიწყალობოსო.

ადგა და წავიდა. მიადგა ხელმწიფის სასახლეს და შეშვება ითხოვა. კარისკაცმა ჰკითხა:

— რა საქმეზე მიდიხარო?

კაცმა უთხრა, რისთვისაც მიდიოდა.

კარისკაცმა იცოდა, რომ ხელმწიფე გაჭირვებულთათვის ძალიან გულუხვი იყო და კაცს უთხრა:

— რასაც ხელმწიფე გიწყალობებს, თუ ნახევარს მე მომცემ, გაგიშვებ, თუ არადა — არაო.

— დაღონდა კაცი, — ჩემნაირ გაჭირვებულს რაღა შუაზე გაყოფა უნდაო, — უთხრა გუშაგს და შეეხვეწა, — შემიშვიო.

— მე გაჭირვებული და გაუჭირვებელი არ ვიცი, — უთხრა გუშაგმა, — მომცემ ნახევარს, რასაც მეფე გიწყალობებს, ხომ კარგი, შეგიშვებ, არადა, საიდანაც მოსულხარ, ისევ იქით წადიო.

რაღა უნდა ექნა კაცს, ხედავდა, თავს იქით ძალა არ ჰქონდა და დათანხმდა, — ოღონდ შემიშვი და გაგიყოფო.

ამ პირობით შეუშვა კარისკაცმა. შევიდა ღარიბი კაცი ხელმწიფესთან. ხელმწიფემ მისვლის მიზეზი ჰკითხა:

— რა გინდა, რისთვის მოსულხარო?

— დიდებულო ხელმწიფეე, მეტი არაფერი მინდა, მხოლოდ ორი მაგარი სილა გამკარით ერთი ერთ ყბაში და მეორე — მეორეშიო, — მოასსენა კაცმა.

ხელმწიფეს გაუკვირდა, სილის გაკვრა რაღა სათხოვარიაო, მაგრამ ღარიბი კაცი ისე ემუდარებოდა, რომ უარი ვეღარ უთხრა და ორი კარგი ალიყური აჭამა.

კაცმა მადლობა გადაუხადა და გამოვიდა. ჭიშკართან ის კარისკაცი გადაუდგა და უთხრა: — აბა, რა გიწყალობა ხელმწიფემ, ჩქარა გამიყავი, არაფერი დამაკლოო.

— ერთ მისხალსაც არ დაგაკლებო, — უთხრა კაცმა და ცაცია ხელით ისეთი სილა სტკიცა ყბაში, რომ თვალებიდან სულ ნაპერწკლები დააყრევინა.

ატყდა დიდი ჩხუბი და აყალმაყალი. შეესმა ხელმწიფეს ჩხუბის ხმა და აივანზე გამოვიდა. იკითხა, რა მოხდა, რაზე ჩხუბობთო?

ღარიბმა კაცმა უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფეე, ამ კაცმა თქვენთან შემოსვლისას მთხოვა, რასაც ხელმწიფე გიწყალობებს, შუაზე უნდა გამიყოო. მეც გავუყავი, — თქვენი ნაწყალობევი ორი სილიდან ერთი ამას ვუთავაზე და ახლა აღარ ვიცი, რას მედავებაო.

ხელმწიფეს მოეწონა ღარიბი კაცის მოსერხებულობა, ხარბი კარისკაცი მაშინვე დაითხოვა და იმის ადგილზე დანიშნა.

ამ დღიდან ღარიბ კაცს ხელმწიფის ზრუნვა აღარ მოჰკლებია, სიღარიბესაც თავი დააღწია, ოჯახიც გაიჩინა და ცხოვრობდა ტკბილად და ბედნიერად.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ძმობა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ორი ვაჟიშვილი. ოჯახს უღელი ხარის მეტი არაფერი გააჩნდა და გაჭირვებით ცხოვრობდა.

მალე უფროსმა ძმამ ცოლი მოიყვანა და ცალკე დასახლდა, უმცროსი კი დედ-მამასთან დარჩა. გაყრამ ოჯახი უფრო დაცარა, ძმებს თითო-თითო ხარი ერგოთ, ცალუღი ხარებით კი აბა რა წლის სარჩოს მოიმარაგებდნენ. მაგრამ ძმები გულს არ იტეხდნენ, ბევრითად შრომობდნენ და მომავალს იმედის თვალით შეჰყურებდნენ.

მაგრამ გაჭირვებულთა და ღარიბ-ღატაკთათვის იმედიც მაცდურია. ერთ წელიწადს დიდი გვალვა დაიჭირა, ძმებს ცალ-ცალკე ხარით ჯერ რა მოხნული ჰქონდათ და ისიც გვალვამ გაუნადგურა, ასე რომ, საბოლოოდ თავ-თავიანთი ყანებიდან ოც-ოცი ძნაღა მომკეს.

მიიტანა უმცროსმა ძმამ თავისი თავკირკოტა ძნები სახლში და დაფიქრდა: ჩემს უფროს ძმას ცოლ-შვილი ჰყავს და წელს ჩემზე უფრო გაუჭირდება, მე კი მარტოხელა ვარ და ისერიგად არ მიჭირს, მოდი, ჩუმად რამდენიმე ძნას წავიღებ და იმის ძნებში შევურევო. მართლაც, დაღამდა თუ არა, აიკიდა ათი ძნა ზურგზე, მოიტანა ჩუმად ძმის კალოზე და იმის ძნებში შეურია.

დაბრუნდა შინ კმაყოფილი, მაგრამ თავის კალოზე ისევ ოცი ძნა დაუხვდა. გაუკვირდა უმცროს ძმას, ეს ძნები ხომ ახლახან მივიტანე ძმის კალოზე და აქ საიდანღა გაჩნდაო?! თურმე ნუ იტყვით და უფროს ძმასაც იგივე ეფიქრა: ჩემს

ძმას დედ-მამა ჰყავს შესანახი, თანაც პატარაა, ცხოვრებაში იმდენი გამოცდილება არა აქვს და უფრო გაუჭირდებაო, — აელო ათი ძნა და ჩუმად ძმის კალოზე მიეტანა.

უმცროსმა ძმამ ისევ აიკიდა ათი ძნა და კელავ ძმის კალოსაკენ გასწია. უფროსმა ძმამაც იგივე ქნა: შინდაბრუნებულს თავის კალოზე ისევ ოცი ძნა რომ დახვდა, ძალიან გაუკვირდა და ათი ძნა ისევ უმცროსი ძმის სახლისაკენ წაიღო.

გზაზე ძმები ერთმანეთს შეეჩეხნენ, მიხვდნენ, როგორც იყო საქმე და ერთიმეორეს სიყვარულით გადაეხვივნენ.

ასეთია ძმობა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხარბი ოქრომჭედელი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი კაცი. დღე და ღამე მუშაობდა, მაგრამ სიღარიბიდან თავი ვერ დაეხსნა, მემამულის მიწას ამუშავებდა და მის შემოსავალს ბარაქა არა ჰქონდა: მოსავლის ნახევარი მიწის პატრონს მიჰქონდა.

ერთ გაზაფხულზე კაცმა შეაბა გუთანში ხარები და შეუდგა ხვნას. შუადღე გადასული იყო, ცხელოდა, მინდორში ისეთი ბული იდგა, სულის მოთქმაც კი ჭირდა, მაგრამ კაცი დასვენებას არ ფიქრობდა. უცებ სახნისი რაღაცას მოედო და მიწიდან დიდი ლოდი ამოაგორა. ლოდი ორად გატყდა და მზეზე ბრწყინვა დაიწყო. ღარიბი კაცი შეშინდა: ფარსაგი რამე არ იყოსო.

ამოათრია ლოდი, მიწა შემოაცალა და, რას ხედავს, ნამდვილი ოქროს ზოდია, ორად გატეხილი! შეახვია პერანგში, გაიდო მხარზე და შინისაკენ გასწია.

მეორე დღეს ერთი ნატეხი ბაზარში წაიღო და ოქრომჭედელს მიუტანა. ოქრომჭედელმა გაკვირვებისაგან თვალები გადმოკარკლა; მერე საწყალი კაცის მოტყუება მოინდომა. ნატეხი აწონა, სამი ოყა გამოვიდა, ღარიბ კაცს კი უთხრა: ნახევარი ოყაა და ბევრი-ბევრი ასი თუმანი ღირსო. ღარიბი კაცი არც ისეთი უჭკუო იყო, რომ ოქრომჭედლის ეშმაკობას ვერ მიმხვდარიყო. ნატეხი უკანვე გამოართვა და წამოსვლა დააპირა. ოქრომჭედელი არ მოეშვა: მომყიდე და მომყიდე! მაგრამ თან ფულის გადახდაც ენანებოდა.

ბოლოს ღარიბმა კაცმა ხერხი იხმარა. ოქრომჭედელს უთხრა: მომეცი სელწერილი, რომ ჩემგან ნახევარი ოყა ოქროს ნატეხი იყიდე, ორმოცდაათი თუმანი დღეს მომეცი, და-

ნარჩენი მერე იყოსო. ოქრომჭედელს სასე გაუნათდა. ორმოცდაათი თუმანი მაშინვე ჩაუთვალა და ხელწერილიც დაუწერა.

ღარიბმა კაცმა ხელწერილი და ფული რომ თავისად დაიგულა, დაავლო ხელი ოქროს ნატეხსაც და მოკურცხლა. როცა ოქრომჭედელმა შეატყო, საქმე წასდაო, ყვირილი მორთო. ხალხი გაქცეულს დაედევნა და ღარიბი კაცი შეიბყრეს.

ადგილზე ბოქაულიც მობრძანდა. გამოიძია, რად ატყდა აყალმაყალი. ოქრომჭედელმა თავისი საჩივარი მოასხენა: ამ კაცმა ოქროს ნატეხი მომყიდა, ფული მივეცი, ოქროს ნატეხი კი უკანვე გაიტაცა და მიმალვას აპირებდაო.

— ტყუის ოქრომჭედელი, — უთხრა ბოქაულს ღარიბმა კაცმა, — თავისი ოქროს ნატეხი მაგას ხელში მივეციო.

— მე როგორ მომცემდა, აგერ თვითონ უჭირავსო, — თქვა ოქრომჭედელმა.

— ოქრომჭედელი ახლაც ტყუის, ეს სხვა ოქროს ნატეხია — მიწის პატრონს უნდა მივართვა. თუ არა გეჯერათ, ნახეთ ხელწერილი, მაგას რომ ოქროს ნატეხი მივეცი, ნახევარი ოყა იყო, ეს კი სამ ოყას იწონისო. ბოქაულმა ააწონინა ოქროს ნატეხი და, მართლაც, სამი ოყა გამოვიდა. ხელწერილში კი ნახევარი ოყა ეწერა.

ხარბი ოქრომჭედელი გამტყუნდა: ოქროც დაკარგა და ფულიც.

მეორე დღეს ღარიბმა კაცმა ოქრომჭედელს თავისი ორმოცდაათი თუმანი უკანვე გაუგზავნა, ხოლო ოქროს ზოდის ნატეხი საკადრის ფასში გაყიდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

პურის მარცვალი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მსვნელ-მთესველი კაცი. ერთხელ ჩვეულებრივ შეაბა გუთანი და გავიდა მინდორში სახნავად. უცბად სახნისს ერთი თხილის გულისტოლა პურის მარცვალი ამოჰყვა. კაცმა აიღო ხელში პურის მარცვალი, აუგდო გუთანი და შინ წავიდა. მივიდა შინ, აჩვენა ცოლს ეს საკვირველი მარცვალი და უთხრა:

— უნდა წავიდე და სანამ ასეთი პურის მჭამელ ხალხს არ ვიპოვი, უკან არ დავბრუნდებიო.

ადგა და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქში გაიგო, რომ ცხრა მთას იქით ერთი ღრმა მოხუცი კაცი ცხოვრობს და, თუ ეცოდინება, იმას ეცოდინებაო. წავიდა კაცი, გადაიარა ცხრა მთა, მივიდა მოხუცის სახლთან და დაიძახა:

— ოჯახის პატრონო, შინა ხარო?

გამოიხედა დედაბერმა და ჰკითხა:

— ვინა ხარ და რას იძახიო?

— თქვენი ქმარი შინ გახლავთო? — ჰკითხა კაცმა.

— შინ გახლავთო.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით სთხოვეთო.

შებრუნდა შინ დედაბერი და გამოვიდა ერთი თოვლივით გათეთრებული კაცი.

— რა გაგჭირვებია, შვილოო?

კაცმა უჩვენა პურის მარცვალი და უთხრა:

— იმ დროის მომსწრე ხომ არა ხარ, როცა ხალხი აი, ასეთ პურს ჭამდაო?

— მე არა, შვილო, მაგრამ ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს ჩემს იქით და შეიძლება იმას ასსოვდესო, — უთხრა თეთრწვერა კაცმა.

წავიდა კაცი და მივიდა შუათანა ძმასთან. შუათანა ძმა უფრო გათეთრებული იყო, მაგრამ ასეთი ბური არც იმას ხსომებოდა. უთხრა კაცს:

— ჩემს იქით ჩვენი უფროსი ძმის სახლი შეგხვდება, მიდი იმასთან და უსათუოდ ეცოდინებაო.

წავიდა კაცი და მივიდა უფროსი ძმის კარზე; დაიძახა და გამოვიდა ერთი გადაღრძუებული დედაბერი. ჰკითხა კაცს, რა გნებავსო.

— ოჯახის უფროსის ნახვა მინდაო, — უთხრა კაცმა.

— მობრძანდითო, — დედაბერმა კაცი შინ შეიპატიჟა. ბუხართან ერთი მოხუცი კაცი დახვდა. თეთრი წვერი მუხლებზე ეფინა და ერთი შესედვით თოვლის ზვინს ჰგავდა. კაცს სანთელივით დამდნარი სელი გაუწოდა, მიესალმა და ხტუმრობის მიზეზი ჰკითხა. კაცმა ბურის მარცვალი ანივნა და უთხრა:

— აი, ამ დროის მომსწრე თუ ხარ, როცა ხალხი ასეთ ბურს ჭამდაო?

— ვარ, როგორ არა ვარ, — უთხრა მოხუცმა, — მაგრამ ჯერ დაიცადე, ბური ვჭამოთ და მერე გიამბობო.

გააშლევინა ცოლს სუფრა, ახსენა ღმერთი და ბური გადატეხა. ბურის ჭამას რომ მორჩნენ, თეთრწვერა მოხუცმა კაცს ბურის მარცვალი გამოართვა, დასუნა, უკანვე დაუბრუნა და უთხრა:

— ეს ბურის მარცვალი იმდროინდელია, როცა ძმები ერთმანეთში სიამტკბილობით ცხოვრობდნენ. ხოლო როცა გაიყრებოდნენ და კალოზე ხვავს გაიყოფდნენ, უცოლო ზედმეტს ცოლიანს უთმობდა და თან ეუბნებოდა, წაიღე, კაცო. შენ ოჯახიანი ხარ და მეტი გჭირდება, მე კი მცირედითაც იოლად გავალო. ცოლიანი კი, პირიქით, ზედმეტს უცოლოს არგუნებდა, მარტოხელა ხარ, მეტი ხარჯი გაქვს და წილიც ნაჭარბევად გერგებაო. ეს მარცვალი სწორედ იმ დროს დაკარგულა და ახლა შენ გიპოვიაო.

— ასლა აღარ შეიძლება, რომ ასეთი პური მოვიყვანოთ და ისა ვჭამოთო? — ჰკითხა მხვნელ-მთესველმა.

— ასლა ძნელია, — მიუგო მოხუცმა ღრმა ამოოხვრით, — ასლა ხალხში ის გული აღარ არის და პურის მარცვალიც ამიტომ დაჩიავდა. ერთადერთი ხსნა პატიოსან შრომაშია, წადი, ალალ-მართლად იშრომე, სხვისა ნურაფერი გინდა, ძმის შური ნუ მოგერევა და ქვეყანასაც და შენს თავსაც ამით არგებო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ერთი დრო არავის შერჩება

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე — მეტად მდიდარი და სვეებედნიერი. სასახლის წინ, როგორც ყველა ხელმწიფეს, იმასაც საუცხოო ბაღი ჰქონდა გაშენებული. ბაღი სავსე იყო უცხოური და ნაირ-ნაირი ხილით, ყვავილებით და ხელმწიფე ძალიანაც უფრთხილდებოდა. ერთხელ ხელმწიფემ მებაღედ ერთი გლეხი აიყვანა და დაავალა:

— იცოდე, ჩემს ბაღში ჩემს უნებურად ფეხი არავის შეადგმევინო. თუ გაბედავს ვინმე და შევა, მოდი და დაუყოვნებლივ მომახსენეო.

დაიწყო გლეხმა ბაღში მუშაობა და დიდი მუყაითობაც გამოიჩინა. დღისით და ღამით თავს დასტრიალებდა, წმენდდა, რწყავდა და ალამაზებდა. მეფის ბრძანებასაც ზედმიწევნით ასრულებდა და უნებართვოდ შიგ არავის უშვებდა.

მაგრამ ერთხელ ჩვეულებრივ ჩამოუარა ბაღს და ნახა, რომ ვარდის ბუჩქში ბულბულს ბუდე ჩაედგა და ბარტყები გამოეჩეკა. გაიქცა მაშინვე ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენს საყვარელ ვარდზე ბულბულს ბუდე გაუკეთებია და ბარტყებსა ზრდის. რას მიბრძანებთ, დავუნგრიო ბუდე, თუ ხელი არ ვახლოო?

— ხელს ნუ ახლებ, — უთხრა ხელმწიფემ, — ერთი დრო არავის შერჩენია და ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთება არც იმ ბულბულს შერჩებაო.

გავიდა რამდენიმე ხანი. ერთ დღეს მებაღეს გაახსენდა ბულბული და თქვა: მოდი ვნახავ, რა ქნა იმ ბულბულმა, დაზარდა ბარტყები და დააფრინა, თუ ისევ იქ არისო. გადასწია ბუჩქი და რას ხედავს: ბუდეს გარშემო მცურავი შემოხვევია და ბულბულიც და ბარტყებიც დაუჭამია. წავიდა მებაღე ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენს ვარდზე ბულბულმა რომ ბუდე გააკეთა, გველი შემოხვევია და ბულბულიც შეუჭამია და ბარტყებიცო.

ხელმწიფეს გაეცინა და მებაღეს უთხრა:

— ხომ გითხარი, ბულბულს არ შერჩება-მეთქი, ჩემს ვარდზე ბუდის გაკეთება. მაგრამ იცოდე, არც გველს შერჩება ბულბულისა და მისი ბარტყების შეჭმაო.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი. ერთ დღეს მებაღე ბაღში ნამგლით ბალახს თიბავდა. ბალახში გველი ყოფილიყო დახვეული. მებაღემ შემთხვევით ნამგალი გამოჰკრა და შუაზე გადაჭრა. გაიქცა მაშინვე ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ბაღში ბალახს ვთიბავდი და ის გველი, ბულბული და მისი ბარტყები რომ შეჭამა, შემთხვევით ნამგალზე შემომეჭრა და შემომაკვდაო.

ხელმწიფემ ისევ გაიცინა და მებაღეს ადრე ნათქვამი გაახსენა:

— გახსოვს, რომ გითხარი, გველს ბულბულის ბარტყების შეჭმა არ შერჩება-მეთქი, მაგრამ იცოდე, არც შენ შეგრჩება იმ გველის მოკვლაო.

გავიდა კიდევ დიდი დრო. ერთ დღეს ხელმწიფის ქალები ჩამოსულიყვნენ ბაღში და აუზში ბანაობდნენ. მებაღეს სულმა წასძლია, ამოეფარა ბუჩქს და ტანშიშველ ქალებს ქურდულად მზერა დაუწყო. ქალებმა თვალი შეასწრეს და ხელმწიფესთან უჩივლეს. განრისხდა ხელმწიფე, მებაღე დააჭერინა და ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სახრჩობელაც ბაღშივე აამართვინა, მებაღე გამოაყვანინა და ჯალათებს გადასცა. მებაღემ სიკვდილის წინ ერთი სიტყვა ითხოვა. ხელმწიფემ ნება დართო. მებაღე წინ წამოდგა და უთხრა:

— გახსოვთ, დიდებულო ხელმწიფევ, თქვენს ვარდზე ბულბულმა რომ ბუდე ჩადგა და ბარტყები გამოჩეკა. მაშინ

თქვენ ბრძანეთ, არ შერჩება ბულბულს ჩემს ვარდზედ ბუდის გაკეთებაო, და არც შერჩა, — თვითონაც და ბარტყებიც გველმა დაჭამა. მერე იმ გველზე თქვით, არ შერჩება ბულბულისა და მისი ბარტყების შეჭმაო, და მართლა არც შერჩა, — ნამგალზე შემომეჭრა და მოკვდა. როგორც გველს არ შერჩა ბულბულების შეჭმა, არც მე შემრჩა გველის მოკვლა. ჩანს, ეს ქვეყანა მართლა ისე ყოფილა მოწყობილი, რომ ერთი დრო არავის შერჩება. ახლა მე თქვენი ბრძანებით მახრჩობენ, მაგრამ იცოდეთ, მართალია, ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ ერთი დრო არც თქვენ შეგრჩებათო.

ეს თქვა მებაღემ და ჯალათებს ჩაბარდა. ჯალათებმა კისერზე გასანთლული ყულფი ჩამოაცვეს და სახრჩობელაზე ჩამოჰკიდეს.

გავიდა კიდევ დრო და ხანი. ხელმწიფეს სასახლეში ღალატი მოუწყვეს და ღვინოში საწამლავი შეაპარეს. ხელმწიფეს თვალთ დაუბნელდა, ტახტზე გადავარდა და სიკვდილის წინ ამის თქმა მოასწრო: — ერთი დრო არც ჩემს დამღუპველს შერჩებაო, და სული განუტევა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ᲨᲔᲠᲪᲮᲕᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ

იყო და არა იყო რა, იყო ორი მონადირე. ერთი სიტყვაძვირი იყო, მეორე კი ყბედი და მეტიჩარა, სულ სხვათა საქმეში ეჩრებოდა და თავი ყოვლისმცოდნედ მოჰქონდა, მაგრამ ცოლს რომ საყვარელი ჰყავდა, ამისი კი არაფერი იცოდა. მონადირეები მუდამდღე ტყეში დადიოდნენ, ერთად ნადირობღნენ და თავსა და ოჯახებს იმით არჩენდნენ.

ერთხელაც წავიდნენ სანადიროდ, ბევრი ნადირი დახოცეს და ნადირის დევნაში ძალიანაც დაიღალნენ და დაუღამდათ კიდეც. თქვეს: ამაღამ სულერთია შინამდე ვეღარ მივაღწევთ, მოდი ცეცხლი დავანთოთ, მწვადი შევიწვათ და ღამეც აქვე გავათიოთო.

ჩამოატყავეს ერთი ირემი და კარგი სამწვადეებიც აჭრეს, მაგრამ ნადირის დევნაში ტალ-კვესი და აბედი ორივეს დაჰკარგვოდა. დაიწყეს ფიქრი, — რა ვქნათო. ბოლოს გაიხედეს და სადღაც შორს, ტყეში, ცისკენ აღმართული ბოლის სვეტი დაინახეს. ჭკვიანმა უთხრა ყბედს:

— მოდი, მე ფიჩხსა და შეშას შევაგროვებ, შენ კი წადი და ცეცხლი მოიტანე, უფრო ფეხმარდი ხარ და ჩქარა მიხვალ-მოხვალო.

დაიწყო ჭკვიანმა შეშა-ფიჩხის შეგროვება, ყბედი კი ცეცხლის მოსატანად წავიდა, იარა, იარა და მივიდა იმ ადგილას, საიდანაც ბოლი ამოდიოდა. ცეცხლი ტყის ჯადოქარს ენთო, თვითონაც გვერდით შემოსწოლოდა და გრძელტარიან ყალიონს აბოლებდა. მონადირე ახლოს მივიდა და მიესალმა, — გამარჯობა!

— გაგიმარჯოსო, — მიუგო თეთრწვერა კაცმა და ჰკითხა, — ვინა ხარ და რისთვის მოსულხარო?

— მონადირე გახლავართ, ტალ-კვესი აღარა მაქვს და ცეცხლის სათხოვნელად მოვედიო, — უთხრა მონადირემ.

— მაშ, რაკი მონადირე ყოფილხარ, — უთხრა ბერიკაცმა, — ერთი მთვარეს შეხედე და გამიგე, სადაროა, თუ საავდროო?

მონადირემ შუბლზე ხელი მოიჩრდილა, შეხედა მთვარეს და უთხრა, საავდროაო. ამის თქმაზე ბერიკაცმა ჩიბუხი ჩაუკაკუნა თავში და მონადირე ვირად აქცია. დადგა ვირი შორიახლო და ყურები ჩამოყარა, გონება კაცისა აქვს, სახე — ვირისა.

ადგილზე დარჩენილმა მონადირემ შეშა-ფიჩხი შეაგროვა და დაუწყო აშხანაგს ლოდინი. ელოდა, ელოდა და, რომ აღარ გამოჩნდა, საძებნელად წავიდა. მივიდა ისიც იმ ჯადოქარ ბერიკაცთან და მიესალმა:

— გამარჯობაო!

— გაგიმარჯოსო, — მიუგო ბერიკაცმა და იმასაც იგივე ჰკითხა, — ვინა ხარ ან ჩემთან რისთვის მოსულსარო?

— მონადირე გახლავართ, ამხანაგი გამოვგზავნე ცეცხლისათვის და, რომ აღარ დაბრუნდა, საძებნელად წამოვედიო.

— ცეცხლს მოგცემ, — უთხრა ბერიკაცმა, — ოღონდ მთვარეს შეხედე და გამიგე, საავდროა, თუ სადაროო?

მონადირეს სიცილი აუტყდა, — შე კაი კაცო, მე რომ მაგის გაგება შემეძლოს, ტყე-ღრეში კი არ ვიხეტიალებდი, ხელმწიფის პირველი ვეზირი ვიქნებოდიო.

ბერიკაცს მოეწონა მისი პასუხი, მისცა ცეცხლი და ვირიც აჩუქა. შეჯდა მონადირე ვირზე და მივიდა თავის ბინასთან, დაანთო ცეცხლი, შეწვა მწვადები და გემრიელად შეექცა. ვირი კი დგას ყურებჩამოყრილი და თვალებს საოდავად ბლეტს, გონება ადამიანისა აქვს, მწვადის ყურებით პირწყალი მოსდის, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლია.

გათენდა დილა და, რაკი ამხანაგი არც დილას გამოჩნდა, მონადირემ იფიქრა, სახლში დაბრუნდებოდაო, გუ-

ლი დაიმშვიდა, აჰკიდა ვირს ნანადირევი, წაიგდო წინ და სახლისაკენ გარეკა. რა იცის, თუ ეს ვირი მისი განუყრელი მეგობარია.

შეიყვანა მონადირემ აკიდებული ვირი თავის ეზოში, მოხადა საპალნე და ბალახზე გააგდო. ვირი კი მაშინვე თავისი სახლისაკენ გაიქცა და პირდაპირ საწოლ ოთახში შევიდა. შევიდა და შედგა, ვაი, იმ სანახავს, რაც მან იქ დაინახა: მის ცოლს ერთი თვალ-ტანადი ჭაბუკი დაუსვია გვერდით და ქალერსება.

გამწარებულმა ვირმა, სხვა რომ აღარაფერი შეეძლო, ყროყინი გააბა. წამოუხტა ცოლი, — ვისი რა ოხერი მოთრეულხარ, შე პატრონ-ამოწყვეტილოო, და ცემა-ტყეპით კარში გამოაგდო.

წამოვიდა დაღონებული ვირი და ისევ თავისი მეგობრის კარზე გაჩერდა. დგას დაღონებული და ყურებჩამოყრილი, სახე ვირისა აქვს, გონება — ადამიანისა, მაგრამ ლაპარაკი არ შეუძლია.

მონადირე ელოდა დაკარგულ მეგობარს ერთი დღე, ორი, სამი და, რომ მაინც არ გამოჩნდა, თქვა: მოდი, წავალ და ნოვძებნი, იქნებ კაცს რა დაემართა და ცოცხალს თუ არა, მკვდარს მაინც ვიპოვიო. — შეჯდა ვირზე და წავიდა.

იარა ვირით ტყე-ღრეში, იარა და ბოლოს ისევ იმ ჯადოქარ ბერიკაცს მიადგა. ბერიკაცი ისევ ისე იწვა ცეცხლთან და ხელში გრძელტარიან ყალიონს ათამაშებდა. ისევ მიესალმნენ ძველებურად ერთმანეთს და ბერიკაცმა ჰკითხა:

— ახლა რაღად მოხველ, რა გაგჭირვებიაო?

მონადირემ უთხრა:

— ისევ მეგობრის საძებნელად დავდივარო.

მაშინ ბერიკაცმა ჩაჰკრა ყალიონი თავში ვირს, ისევ ადამიანად გადააქცია და ჰკითხა:

— სიმართლე თქვი, შინ რომ მიხვედი, რა ნახე, ტყუილი არ გაბედო, თორემ ისევ ვირად გაქცევო.

— შინ რომ შევედი, ის ვნახე, რომ ჩემი ცოლი თავის საყვარელს ეალერსებოდაო, — გამოტყდა მონადირე.

— აბა, შე კაი კაცო, — უთხრა ბერიკაცმა, — შენ საკუთარი ცოლისა და ოჯახისა ვერაფერი გაგიგია და ცაში

მთვარეს რა უნდა გაუგო. წადი ახლა, საკუთარ ოჯახს მი-
სედე და დაუფიქრებლად ალარაფერი თქვაო.

წამოვიდა შინ შერცხვენილი მონადირე, გააძევა ცოლი,
სხვა ქალი მოიყვანა და იმ დღიდან მეტიჩრობაც საბოლო-
ოდ მოიშალა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



სამი ტყუილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეტად ჭირვეული ხელმწიფე. წარამარა რაღაც უცნაურს აიჩემებდა და თავის ნათქვამს აღარც გადავიდოდა.

ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალი საპატარძლოდ რომ მოიყარა, ხელმწიფემ გამოაცხადა: ვინც სამ ტყუილს მეტყვის, ჩემს ქალიშვილს იმას მივათხოვებ, ხოლო ვინც ვერ იტყვის, თავს მოვჭრიო.

დაიწყო ხალხმა მოდენა, ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდიოდნენ თავმომწონე სასიძო ბიჭები, მაგრამ სულ ამაოდ: თითო ტყუილს იტყოდნენ, დანარჩენს ველარ მოიგონებდნენ და ხელმწიფე თავებს აყრევინებდა. ასე დაიღუპა ხელმწიფის ქალის მთხოვნელი ათასობით ახალგაზრდა.

ეს ამბავი ბოლოს ერთმა მენახირემაც გაიგო, მივიდა შინ და დედას უთხრა:

— დედი, საგზალი მომიმზადე, უნდა წავიდე, ხელმწიფეს სამი ტყუილი ვუთხრა და მზეთუნახავი ქალი ვითხოვოო.

დედამ ძალიან დაუშალა:

— არა, შვილო, იქ შენზე ასჯერ კაი ბიჭებს დასჭრეს თავები და შენ რა უნდა მოიგონო ისეთი, რომ ცოცხალი გადარჩე და ქალიც წამოიყვანოო?

— შენ საგზალი მომიმზადე და დანარჩენში ღმერთი შეგეწევაო, — უთხრა ბიჭმა.

რაღა უნდა ექნა დედას, მოუმზადა საგზალი და ჩაუდო გუდაში. ბიჭმა წამოიკიდა მენახირის გუდა და წავიდა ხელმწიფესთან.

ხელმწიფეს გაუკვირდა მენახირის მისვლა და ჰკითხა:

— რა გინდა, რაზე გარჯილხარო?

— თქვენი ბრძანება გავიგე და იმიტომ მოვედიო, — უთხრა ბიჭმა.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა ხელმწიფემ, — მაგრამ მაჩვენე პირის სანახავად რა მოიტანეო? — ესე იგი, რა ტყუილს მეტყვიო.

ბიჭი მიუხვდა, რა პირის სანახავზეც ეუბნებოდა ხელმწიფე და თვითონაც ისევე უთხრა:

— ბევრი ვერაფერი მოვიტანე, დიდო ხელმწიფევ, და ნუ დამძრახავთ. თვითონაც ეს-ეს არის მოვედი ნახირიდან. დედას საჭმელი შეედგა, მაგრამ მარილი აღარა ჰქონდა. მაშინვე აღზევანს გავიქეცი, მოვიტანე მარილი, ვუყავი საჭმელს, შეეჭამე და საჩქაროდ გამოვიქეცი.

— ბიჭოს, ეს აღარ ხუმრობსო! — თვალები დააჭყიტა ხელმწიფემ და მენახირე სასვალიოდ დაიბარა. მივიდა მეორე დღეს მონადირე. ხელმწიფემ კვლავ ჰკითხა, აბა რა მომიტანეო?

— ბევრი ვერაფერი, დიდო ხელმწიფევ, — კვლავ განგებ თავი მოიკატუნა მენახირემ, — ზღვის პირას ერთი ქოხი მიდგას, გუშინ აქედან რომ წავედი, ქოხის წინ გოგრა დავთესე, ამ დილას გამეღვიძა და, რას ვხედავ: გოგრის ლერწი ზღვის გაღმა გასულა და გოგრა იქ მოუბამს. გავედი მეც ლერწზე, ის გოგრა იქ მოვხარშე, გეახელი და პირდაპირ იქიდან მოვდივარო.

ხელმწიფეს ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა. თუ არაფერი მოვუხერხე, ეს მენახირე ნამდვილად მომიგებს და ქალს წამართმევსო, — თქვა გულში და მენახირე კვლავ მეორე დღისათვის დაიბარა. ბიჭი რომ წავიდა, ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები გააფრთხილა:

— დილაზე რომ მოვა და ტყუილს მეტყვის, თქვენ ყვირილი ატეხეთ, არა, ეგ ტყუილი არ არის, მართალიაო, და იქნებ როგორმე გადავრჩეო.

მენახირე მიხვდა ხელმწიფის მუხანათობას და თვითონაც ხერხი იხმარა: ამოთხარა ერთი უშველებელი სამსაპალნიანი ქვევრი და გათენებისთანავე ხელმწიფის ეზოში შეა-

გორა. გაბრაბრძანდა ხელმწიფე, დაიყენა გვერდით ნაზირ-ვეზირები და ჰკითხა:

— აბა, რა მოიტანე პირის სანახავიო?

— ასეთი საში ქვეყრი ოქრო უსესხებია მამაჩემს თქვენთვის, ჯერ ეს ვალი გადამიხადეთ და პირის სანახავზე მერე ვილაპარაკოთო, — უთხრა ბიჭმა.

თქვა თუ არა ბიჭმა ეს, ნაზირ-ვეზირები მაშინვე აყვირდნენ: — მართალია, მართალიო!

განრისხდა ხელმწიფე და თავის ვეზირებს შეუტია:

— თქვე ოხრებო, მართალი კი არა, ტყუილიაო!

— თუ ტყუილია, მაშინ შენი მზეთუნახავი ქალი ზომეციო, — უთხრა ბიჭმა.

რაღას იზამდა ხელმწიფე, გახადა მენახირეს ძველმანები, ჩააცვა ხელმწიფის საკადრისი ტანსაცმელი, შერთო ქალი და სახელმწიფოც იმას გადაულოცა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მღვდელი და გლეხი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთ სოფელში ერთი უტი და უსიაგი გლეხი. არაფერი სწამდა, — არც ღმერთი, არც მღვდელი, არც წირვა-ლოცვა და წუთისოფელს თავის ქეიფზე ატარებდა. ერთ დღესაც მოკვდა ეს გლეხი და დარჩა ერთი შვილი, ისიც მამასავით უსაქმური, უჯიათო და ურწმუნო.

მამა-შვილს ერთი მეწველი და ხბოიანი ძროხა ჰყავდათ, სანამ მამა ცოცხალი იყო, ძროხის მოვლა არ უჭირდათ, რიგრიგობით აბალასებდნენ და საზამთრო თივასაც ასევე რიგრიგობით უთიბავდნენ. ახლა, რაკი მამა მოკვდა, შვილს მარტოკას დაინაბრდა ძროხის მოვლა და სახეტიალოდ დრო აღარ რჩებოდა. თან ჯერ არც საზამთრო თივა ჰქონდა გათიბული. ბიჭი საგონებელში ჩავარდა, რა მოვუხერხო ამ ძროხას, გაზაფხულამდე როგორ გამოვკვებოო.

ბევრი ფიქრის შემდეგ, ასეთ ხერხს მიმართა: წავიდა სოფლის მღვდელთან და შესჩივლა:

— მამაო, თქვენც ხომ იცით, მამაჩემი როგორი ცოდვისშვილი კაცი იყო. მთელი სიცოცხლე ისე გალია, ერთი სულის საცხონებელი საქმე არ გაუკეთებია და ხალხიც სულ იმას ეუბნებოდა, საიქიოში არ ცხონდები, სამოთხის მაგიერ ჯოჯოხეთში ჩაგაგდებენ და საკირის ცეცხლში დაგწვავენო. ვინ იცის, იქნებ ეს მართალია და მამაჩემი მეცოდება. თქვენთანაც სწორედ იმიტომ მოვედი, რომ იმისი ცოდვილი სულისათვის სწიროთ, იქნებ რამე ეშველოს თქვენი ლოცვა-მადლით და სამოთხეში მოხვდეს. თუ ამ სიკეთეს იზამთ და

წლის თავამდე უწირავთ, ვალში არც მე დავრჩები, წირვა-ლოცვის საფასურად ერთი ხბოიანი ძროხა მყავს და იმას მოგართმევთო.

მღვდელი ცას ეწია სიხარულით, ძროხა და ისიც ხბოიანი?! ერთი წლის წირვა-ლოცვისათვის ამდენს ალბათ ხელმწიფეც არ გაიმეტებდა. გადასწერა პირჯვარი ბიჭს და უთხრა:

— გისმინოს უფალმა ზეციერმა, შვილო ჩემო, მამაც კარგი გყავდა და შენც კარგი დარჩენილხარ. ოღონდ ძროხის მოყვანას ნუ დააგვიანებ, დღესვე მოიყვანე და მეც ბარემ დღეიდანვე შევუდგები წირვა-ვედრებას სულისა მამაშენისათვის, რათა შეუნდოს ცოდვები მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ და მისცეს განსვენება სამოთხესა შინა.

მოუყვანა ბიჭმა ძროხა თავის ხბოიანად და ჩააბარა მღვდელს. სანამ დაზამთრდებოდა, მღვდელმა ძროხა ეკლესიის ეზოში გაუშვა, მერე თბილ ბოსელში დააბა, საზამთროდ აბრეშუმივით ლბილი თივა მოუმარაგა და მომვლელიც კარგი მიუჩინა. ხოლო როცა გაზაფხულდა, ისევ ეკლესიის ეზოში გაუშვა. ასეთმა პატივმა და მოვლა-პატრონობამ ძროხა ისე გაათამამა და გაასუქა, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშებოდა.

ამასობაში წლისთავიც შესრულდა. ერთ დღეს მივიდა ბიჭი მღვდელთან და ჰკითხა:

— აბა, სულიერო მამაო, პირობაზე როგორა ხარ, უწირე მამაჩემის სულს თუ არაო?

— როგორ არა, შვილო ჩემო, — მიუგო მღვდელმა, — მამაშენის ხსენება არც ერთ წირვაზე არ გამომიტოვებია და სული მისი სამუდამოდ დავამკვიდრე სამოთხეშიო.

ბიჭმა მადლობა გადაუხადა და წავიდა. მივიდა ეკლესიის ეზოში, გამოიყვანა ძროხა და თავის ხბოიანად სახლისაკენ გაიგდო. ეკლესიის მნათე გაიქცა და ეს ამბავი მღვდელს აცნობა. ვიღაც კაცმა შენი ძროხა და ხბო წაიყვანაო. გამოეკიდა მღვდელი კაცს.

— სად მიგყავს, შვილო, ეგ ძროხა და ხბო? — მიაძახა მღვდელმა, — პირობის თანახმად, ეგენი ხომ მე უნდა დამრჩენოდნენ. იცოდე, თუ ახლავე არ მოინანიებ ამ ცოდვას და

ძროსასა და სბოს არ დატოვებ, მამაშენს სამოთხიდან უკან გამოაგდებენ და კვლავ ჯოჯოხეთში შეაგდებენო.

გლესის ბიჭმა ხმამაღლა გადაიხარხარა:

— ჰეჰე, მამაო მღვდელო, განა არ იცნობდი მამაჩემს, რა ოხრის ერთიც იყო. სადაც შეეიდოდა, კეტით რომ ეცემნათ, უკან ველარ გამოაგდებდნენ. რაკი სამოთხეში მოხვედრილა, ახლა იმას იქიდან ვერც ღმერთი და ვერც ეშმაკი ველარ გამოიყვანს. ასე რომ, მაგის შიში არა მაქვს და ვერც ძროხას და სბოს დაგიბრუნებო.

დატოვა ბიჭმა მღვდელი პირში ჩალაგამოვლებული. მღვდელი დღესაც სულ იმას ეეედრება უფალს, ის კაცი სამოთხიდან გამოაძევე და ისევ ჯოჯოხეთში ჩააგდეო, მაგრამ თავისი ლოცვა-ვედრებისა თვითონაც არ სჯერა და ბოღმა ახრჩობს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ᲦᲕᲘᲡ ᲡᲔᲢᲧᲕᲐ

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ქმარი ჭკვიანი კაცი იყო, ხოლო ცოლს თავში ცოტა უქროდა.

ერთ დილას კაცი სამუშაოდ წავიდა და ცოლს დაავალა:

— ღვინოს ბრკე შემოაცალე და საღამოს რომ ჩამოვალ გადავიღებო.

კაცი წავიდა, ცოლმა კი გადახადა ქვევრს და დაუწყო ბრკეს სახაპავით მოხდა, რამდენიც არ ჩაყო სახაპავი შიგ და ამოიღო, ბრკე მაინც რჩებოდა. ხაპა ქალმა ასე, ხაპა, და საღამოსათვის ქვევრი მთლიანად დააცარიელა. მოვიდა ქმარი და ჰკითხა:

— აბა, ჩემო თვალის ჩინო, რა ქენი, დავალება შემისრულეო?

— შეგისრულე და ისეო?! — მიუგო ცოლმა.

— მაშ წადი და ვახშამზე ერთი ხელადა ღვინო ამოიღეო, — სთხოვა ქმარმა.

— სადღაა ღვინო, სულ ბრკედ ქცეულიყო, ვხაპე, ვხაპე და ქვევრში წვეთიც აღარ დარჩაო.

— ის ამონახაპი რა უყავიო? — ჰკითხა ქმარმა.

— რას ვუზამდი, ბრკეს სუფთა ქვევრში ხომ არ ჩავასხამდი, მიწაზე მივასხ-მოვასხიო.

გაჯავრდა კაცი, შე ასეთ-ისეთო, მე ის კი არ გითხარი, მთელი ქვევრი ამოხაპე, ბრკეს მოხდა დაგავალეო. გულში კი თქვა: ეს თუ თავიდან არ მოვიშორე, ხეირს არ დამაყრისო, და გააგდო.

წავიდა დედაკაცი, გავიდა სოფლის თემშარაზე და ერთი

უპატრონოდ მიმავალი აქლემი დაინახა. აქლემს ზურგზე უშველებელი სურჯინი ეკიდა.

ქალმა იფიქრა, ეს რომ კაი სული იყოს, შუალამისას მარტოკა არ ისეტიალებდა, მოდი, წავიყვან და ჩემს ქმარს დავამწყვდევინებო — ჩაჰკიდა ხელი აქლემს და შინ წაიყვანა. დაუძახა თავის ქმარს:

— ჩემო კაცო, გამოიხედე, ჯორი ვიპოვე გზაზე და ჩაიბარეო.

გამოვიდა კაცი, ხედავს, ჯორი კი არა, ხურჯინაკიდებული აქლემია. მოხადა ხურჯინი და გასინჯა: სულ ბაჯაღლო თვალ-მარგალიტით არის გატენილი. ხურჯინი შეინახა, აქლემი კი გაიყვანა თემშარაზე და გაუშვა.

ახლა ფიქრობს ეს კაცი: ჩემი ცოლის სასიათი რომ ვიცი, თუ არაფერი მოვუხერხე, ამ ამბავს ხალხში გაიტანს და დამლუპავსო, და ცოლს უთხრა:

— ჩემო თვალისჩინო, საცაა ძლიერი სეტყვა უნდა მოვიდეს, მოდი, თონეში ჩაგსვამ, მაღლიდან ფიცრებს დაგაფარებ და უფრო მშრალად და უვნებლად გადარჩებიო.

ცოლი დათანხმდა. ჩასვა ქმარმა თონეში, დააფარა ფიცრები, ფიცრებზე სიმინდი დაყარა და ქათამ-ინდაური მიუსია. კენკავენ ქათმები და ინდაურები სიმინდს, გააქვთ ერთი კაკაკუკი, ქალს სეტყვა ჰგონია და ხმას არ იღებს.

ქათამ-ინდაურებმა აკენკეს მთელი სიმინდი და გადაფრინდნენ, ქალს ეგონა, სეტყვამ გადაიღოო, და თონიდან თავი ამოყო. ამ დროს გზაზე იმ აქლემის პატრონმა თათარმა გამოიარა, დაინახა ქალი და შეეკითხა:

— აქეთ ხურჯინაკიდებულ აქლემს ხომ არ გამოუვლიაო?

— მე რომ ჯორი ვიპოვნე, ალბათ ის იქნებოდაო, — უპასუხა ქალმა.

გაიგონა ქმარმა ცოლისა და თათრის საუბარი, გამოვიდა კარში და ცოლს დაუცაცხანა:

— ნუ ხარ სულელი, აქ ჯორს რა უნდოდაო?

თათარმა იფიქრა, ჩემი აქლემი ნამდვილად ამათი მოპარულიაო და ხელმწიფესთან საჩივლელად გაიქცა. შევიდა და მოახსენა:

— დიდებულო და სამართლიანო ხელმწიფევ, შენს საბრძანებელში სურჯინაკიდებული აქლემი დავკარგე. ერთ დედაკაცს უპოვია, მისი ქმარი კი მალავსო.

დაიბარა ხელმწიფემ ცოლ-ქმარი, მაგრამ ქმარმა ცოლი არ წაიყვანა, შინ დატოვა და მკაცრად გაფრთხილა:

— აქ ივიქი და ამ კარს არ გადმოსცდეო.

მივიდა კაცი ხელმწიფესთან და უთხრა, არც აქლემი გვიპოვია და არც სხვა რამეო. ამ დროს გაიღო კარები და ზურგზე კარებაკიდებული დედაკაცი კი გამოჩნდა. ქმარს საქციელი წაუხდა და ცოლს შეუტია: — შე ტუტუცო და სულელო, აკი გითხარი, კარს არ გადმოსცილდე-მეთქი?!

— არც გადმოვცილებულვარ, ჩემო კაცო, რად მიწყრები, აი, კარი, თან წამოვიღეო, — უთხრა ცოლმა.

ხელმწიფემ ქალი მიიხმო და ჰკითხა:

— ქალო, შენ გზაზე რა იპოვეო?

— ჯორი ვიპოვე, შენი ჭირიმეო, — მიუგო ქალმა.

— სურჯინი ეკიდაო?

— ეკიდაო.

ქმარი სიმწრის ოფლში იწურება.

— როდის მოხდა ეს ამბავიო? — ჰკითხა ბოლოს ხელმწიფემ.

ეგ მაშინ მოხდა, შენი ჭირიმე, აი ქვის სეტყვა რომ მოგიდაო.

ხელმწიფე ახლა თათარს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— შენ როდის დაკარგე აქლემიო?

— წუხელ საღამოს, — მიუგო თათარმა.

— აი, შე მუდრეგო, შენა, — დაუყვირა ხელმწიფემ, — ქალს ქვის სეტყვიანობის დროს ჯორი უპოვია და შენ კი წუხელ დაკარგულ აქლემს ედავებიო?! — მოჰკიდა და მოჰკიდა ზურგზე არგანი და გამოაგდო.

წამოვიდნენ შინ გახარებული ცოლ-ქმარი. იმ დღიდან აღარც წაჩხუბებულან და აღარც სიღარიბე უგრძვნიათ.

ჭარი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ოქრომჭედლის ცოლი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბებერი ოქრომჭედელი. ჰქონდა აუარებელი სიმდიდრე, მაგრამ ცოლი არა,ჰყავდა და სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ახალგაზრდა და თანაც მთლად მზეთუნახავი ქალი მოეყვანა. მაჭანკლები ეუბნებოდნენ, შესაფერი ქალი მონახე, ახალგაზრდა და მზეთუნახავი აღარ გამოგადგებაო, მაგრამ ოქრომჭედელი თავისას არ იშლიდა, ჩემი სიმდიდრის პატრონს სწორედ ასეთი ცოლი შემშვენისო.

მართლაც ამ ოქრომჭედელმა იმდენი ქნა, რომ ერთი ახალგაზრდა ლამაზი ქალი მოიყვანა. ჩაკეტა შინ და მეზობელთან გასვლაც კი აუკრძალა. მართალია, ჩაცმა-დახურვას არ აკლებდა — სულ დიბა-ატლასებით ჰყავდა მორთული, შინაც კი ოქროს ქოშებს აცმევდა, ბეჭდებსა და ბრილიანტების სამკაულებს სულ თავზე აყრიდა, მაგრამ ქალს სიცილ-ხარხარი, გართობა-თამაშობა ენატრებოდა და მკვდარი საჩუქრები გულს ვერ უხარებდა. არც შვილი ჰყავდა, რომ იმასთან მაინც მოეკლა დრო და ეგრე ოთხკედელშუაგამომწყვდეული სანთელივით დნებოდა.

გაიგო ერთმა სოვდაგრის შვილმა, ამა და ამ ქალაქში ერთ ბებერ ოქრომჭედელს მზეთუნახავი ცოლი ჰყავს და ისე უფრთხილდება, მზის სხივსაც არ აჩვენებსო. გადაწყვიტა, ქალის ხელში ჩაგდება, წაიღო ბლომად ფული და წავიდა იმ ქალაქში. მიაგნო ოქრომჭედლის სახლ-კარს და ბინა იმის გვერდით იქირავა.

დასახლდა ბიჭი ოქრომჭედლის გვერდით და დასახლ-ბის დღიდანვე შეუდგა გვირაბის გაყვანას. თხარა, თხარა და ერთ მშვენიერ დღეს ოქრომჭედლის ცოლის ოთახში კი ამოყო თავი.

ქალს ჯერ შეეშინდა და ყვირილი დააპირა, მაგრამ ახალგაზრდა, თვალ-ტანად ბიჭს რომ შეხედა, კრინტიც ალარ დაძრა. ბიჭმა თავისი გულისნადები გაუმჟღავნა, ქალიც თანახმა გაუხდა და ერთმანეთს სიყვარულის პირობა შეჰფიცეს.

გადიოდა დღეები, მალე ბიჭმა ოქრომჭედელიც გაიცნო და ძალიანაც დაუმეგობრდა. ერთხელ უთხრა, — მზეთუნახავი დანიშნული მყავს, მინდა საჩუქრად ოქროს ქოშები მივართვა და გამიკეთეო. მისცა დიდძალი ფული და ოქრომჭედელმაც გაუკეთა.

ახლა მეორედ მივიდა და უთხრა, — ძვირფასთვლიანი ბლმასის ბეჭედი გამიკეთე. ჩემს მზეთუნახავ დანიშნულს საჩუქრად უნდა მივართვაო. — გაუკეთა ბეჭედიც ოქრომჭედელმა.

გადის კვლავ დღეები. ოქრომჭედელი დუქანში მუშაობს, ბიჭი კი ყოველ დილით გაძვრება გვირაბში, ავა ოქრომჭედლის ცოლთან და მთელ დღეს ერთად ატარებენ. როცა ოქრომჭედლის მოსვლის დრო მოახლოვდება, ბიჭი ისევ გაძვრება გვირაბში და თავის სახლში დაბრუნდება.

ერთ დღესაც მივიდა ბიჭი ოქრომჭედელთან და უთხრა:

— დღეს ჩემს დანიშნულზე ჯვარს ვიწერ და ნათლიად წამომყევიო.

წაჰყვა ოქრომჭედელი ბიჭს და პატარძლისათვის ბლომა საჩუქრებიც წაიღო. მივიდნენ ბიჭის სახლში და გააცნო ბიჭმა თავისი დანიშნული. ოქრომჭედელი პირღია შეჰყურებს ქალს, ხედავს, რომ ეს ქალი მისი ცოლია, მაგრამ თქმას ვერ ბედავს. ბოლოს უთხრა ბიჭს:

— ნათლიდედას მინდა საჩუქრად ბრილიანტის ბეჭედი მივართვა და ერთი წუთით სახლში შევირბენო.

სანამ ოქრომჭედელი შინ მივიდოდა, ქალი საჩქაროდ ხვრელით გაძვრა და ქმარს ხელსაქმით გართული დაუხვდა. აიღო ოქრომჭედელმა ყველაზე ძვირფასი ბრილიანტის ბე-

ბედი და უკანვე გაბრუნდა, მაგრამ სანამ ის ჭიშკრიდან ჭიშკრამდე მივიდოდა, ქალმა დაასწრო ხვრელით უკან დაბრუნება და ბიჭის სასლში ისევ თავის ადგილზე დახვდა.

ოქრომჭედელი უარესად გაოცდა, იფშვნეტს თვალებს და შეჰყურებს ქალს, ტანი, სახე, თვალ-წარბი, ხმა და მისრა-მოსრა, ყველაფერი მისი ცოლისაა, ტანსაცმელიც იგივე აცვია და იგივე სამკაულები უკეთია. ისევ მიუბრუნდა სოვდაგრის შვილს და უთხრა:

— მოდი, ეკლესიაში წასვლამდე ერთხელ კიდევ შევირბენ შინ და საგზალს წამოვიღებ, რომ გზაზე მაყრებს არ მოშივდეთო.

— შენი ნებაა, მიბრძანდიო, — უთხრა ბიჭმა.

შევარდა ოქრომჭედელი შინ და რას ხედავს: ცოლი წამოწოლილა ტახტზე და თვლემს. წამოიხედა და ქმარი დატუქსა:

— რა წარამარა დარბიხარ, ქორწილში ხარ, დროს ატარებ და მე ძილი მაინც დამაცადეო.

ოქრომჭედელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი ცოლი შინ იყო და ქორწილში სრულიად გულდამშვიდებული წავიდა. თან კარგი მდიდრული პურ-მარილიც წაიღო. როგორც ნათლია, გაუძღვა თავის ცოლსა და სოვდაგრის შვილს წინ, შეიყვანა ეკლესიაში და ჯვარი გადასწერა.

ეკლესიიდან სოვდაგრის შვილი პირდაპირ თავის ქვეყანაში უნდა წასულიყო და ცოლიც წაეყვანა. ოქრომჭედელმა საზღვრამდე მიაცილა, წამოღებული პურ-მარილი გაშალა და გამგზავრების წინ კარგად აქეიფა.

სოვდაგრის შვილი გამოეთხოვა ოქრომჭედელს და უთხრა:

— უსაზღვროდ მადლობელი ვარ შენი. ახლა რაც გამაჩნია, ყველაფერი შენი წყალობითა მაქვს, ამ სიკეთეს სიკვდილამდე არ დავივიწყებ და მე და ჩემი ცოლი სულ შენი მლოცავები ვიქნებითო.

ჩასხდნენ ნეფე-დედოფალი საგანგებოდ ამ დღისათვის დაქირავებულ ექვსცხენიან ეტლში და თვალისდახამხამების

უმალ მტვრის კორიანტელში გაუჩინარდნენ. ოქრომჭედელი დაბრუნდა შინ, შევიდა ცოლის ოთახში, მაგრამ სადღაა ცოლი! ახლა კი მიხვდა, რაც დაემართა, მაგრამ რაღას იზამდა, ექვსცხენიან ეტლს ხომ ვეღარ დაეწეოდა?

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ჭკუა და დოვლათი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბ-ღატაკი ქვრივი დედაკაცი და ჰყავდა ერთი ბიჭი. დედა-შვილს ქვითი-ქვაზე არაფერი ებადა, მხოლოდ უღელი ხარი ჰყავდათ და სულს იმ ხარების ნაშრომით იდგამდნენ.

ერთ დღეს შეაბა ბიჭმა ხარები და გავიდა ყანაში სახნავად. მესამე კვალი რომ გაატარა, სახნისმა მიწიღან ერთი კვერცხისტოლა ბრჭყვიალა მძივი ამოაგდო. ბიჭმა აიღო სელში მძივი, მაგრამ არ იცოდა, რა იყო და გაკვირვებული ატრიალებდა.

ამ დროს ჩამოიარა ერთმა უცხოელმა სოვდაგარმა, დაინახა, რომ ბიჭს ხელში ალმასი უჭირავს და სიხარბისაგან ხელები აუკანკალდა. გააჩერა ქარავანი, მივიდა ბიჭთან და უთხრა:

— ბიჭო, ეგ მძივი მომეცი და ერთი აქლემის საპალნე ოქროვერცხლს მოგცემო.

ბიჭმა იფიქრა, ამ ერთ მძივს რა თავში ვიხლი, ერთი საპალნე ოქრო-ვერცხლი კი მთელ სიცოცხლეს მეყოფაო, მისცა ნაპოვნი მძივი და წამოიყვანა ოქრო-ვერცხლკიდებული ერთი აქლემი. აიშენა კარგი სახლი, იყიდა ძვირფასი ავეჯი და დაიწყო უზრუნველი ცხოვრება.

ამ ბიჭის გამდიდრების ამბავმა მალე ხელმწიფის ყურამდეც მიაღწია. ხელმწიფემ დაიბარა ბიჭი და უთხრა:

— რაკი შენ ასეთი მდიდარი ხარ, ჩემი ქალი უნდა შეგრთო ცოლადო.

აბა ბიჭი უარს რად ეტყოდა! დასწერა ხელმწიფემ ჯვარი, გადაუხადა მდიდრული ქორწილი და ბინაც სასახლეში მიუჩინა.

ამ ბიჭის ჭკუამ და დოვლათმა ერთმანეთში ბჭობა გამართეს. დოვლათმა თქვა:

— მდიდარი რომ გახდა, ხელმწიფემ თავისი ქალი იმიტომ შერთოო.

ჭკუა აუხირდა:

— არა, ჭკვიანი რომ არ ყოფილიყო, ხელმწიფე ქალს არ მისცემდაო.

დოვლათმა არ დაუთმო, არც ჭკუამ დაუთმო. ბიჭის გაბედნიერებას ორივენი თავისთვის იჩემებდნენ, — არა, ჩემი წყალობით მოხდა, არა — ჩემითო. ბოლოს ჭკუამ უთხრა:

— კარგი, რაკი არ მიჯერებ, მე გავეცლები და ვნახავ, მარტო შენ რა ხეირს დააყრიო.

გამოეცალა ჭკუა და წავიდა თავისთვის. დარჩა ბიჭი გამოლენჩებული. აღარც თავისი თავი ახსოვდა და აღარც ახალგაზრდა ცოლი. დაწვება ტანსაცმლიანი ლოგინში და მთელი ღამე კუნძივით გდია. ხელმწიფის ქალი ჯავრობს,— რაშია საქმე, ეს ქვრივი დედაკაცის შვილი არ მკადრულობს თუ რა არისო? ბოლოს მოთმინება რომ დაეკარგა, წავიდა და მამას შესჩივლა:

— რად მიმათხოვე იმ უქმურს, ჩემთან დალაპარაკებასაც არ კადრულობს და არც ახლოს მეკარებაო.

დაიბარა ხელმწიფემ სიძე და ჰკითხა:

— რა მიზეზია, რომ შენ ჩემს ქალს არა ჰკადრულობთ?

ბიჭი დგას გამოთაყვანებული და ხმას არ იღებს. განრისხდა ხელმწიფე: — ეს, როგორც ვხედავ, ჩემთან დალაპარაკებასაც თაკილობსო, — და კარისკაცებს უბრძანა:

— აღმართეთ ძელი და ახლავე ჩამოახრჩეთო!

აღმართეს ძელი და გაიყვანეს ბიჭი დასახრჩობად. ამ დროს მოვიდა ჭკუა და დოვლათს უთხრა:

— დოვლათო, ხომ ხედავ, კაცი იღუპება, უშველეო.

დოვლათი მიხვდა, რომ ვერაფრით უშველიდა და ჭკუას შეეხვეწა:

— ოღონდ სიკვდილისაგან დაიხსენი, მაგის საცოდაო-

ბას კისრად ნუ დამადებინებ და ვაღიარებ, რომ გიჯობნიაო.

მოირბინა ჭკუამ, შეუჯდა ისევ თავში და ბიჭიც გამოფხიზლდა. მისვდა, რაც ამბავი ტრიალებდა იმის თავს და ჯალათებს სთხოვა:

— ხელმწიფეს უთხარით, ერთი წუთით მაცალოს, სიკვდილის წინ ერთი სიტყვა მათქმევინოს და მეტი არაფერი მინდაო.

წავიდნენ ჯალათები და სიძის თხოვნა ხელმწიფეს გადასცეს, — ერთი სიტყვის თქმის უფლებას გემუდარებაო.

მოაყვანინა ხელმწიფემ ბიჭი და ჰკითხა:

— აბა, მითხარი, რა გინდოდაო?

— დიდებულო ხელმწიფევ, — უთხრა ბიჭმა, — მე მეგონა, მცდიდით და თქვენს ქალს იმიტომ არ ვეკარებოდი. ახლა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად თქვენი სიძობის ღირსად ზთვლით და ამიერიდან მე ვიცი და ჩემმა კაცობამაო.

ხელმწიფემ დაიჯერა ბიჭის ნათქვამი და მისი წინდახედულობაც მოეწონა. ისევ დაუბრუნა თავისი ქალი, უბოძა პირველი ვეზირობა და დიდძალი ქონებაც უწყალობა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მუჭანახევარი მარილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი. ცხოვრობდაო, ვიტყვით, თორემ იმათ ყოფას რა ცხოვრება ეთქმოდა, საჭმელი იმათ არ გააჩნდათ და სასმელი, ერთი სიტყვით, სულს იქით არაფერი აბადიაო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთები იყვნენ.

ერთ დღეს მიკრიფ-მოკრიფეს და, როგორც იქნა, ერთი მოხარშვა ლობიო მოაგროვეს. ლობიო კი შემოდგეს ცეცხლზე, მაგრამ მარილი ერთი მწიკვიც აღარ აღმოაჩნდათ, რომ შეჭამანდისთვის ექნათ. ცოლმა უთხრა ქმარს:

— წადი ქალაქში, წაიღე თუ რამე გროშები გაქვს, და იქნებ ერთი მუჭანახევარი მარილი მაინც იყიდოო.

— წასვლით კი წავალ, — უთხრა ქმარმა თავის ქექვით, — მაგრამ რამდენი ვიყიდო დამავიწყდება, ამოდენა გზაზე როგორ დავიხსომოო.

— გზაზე სულ მუჭანახევარი, მუჭანახევარი იძახე, აღარ დაგავიწყდებაო, — ურჩია ცოლმა.

წავიდა კაცი. მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის, — მუჭანახევარი, მუჭანახევარიო!

გზის პირას ერთი კაცი ყანას თესავდა და თესლის ყოველ გადაბნევაზე ერთი ასად, ერთი ასადო! — ამბობდა. გაიგონა მთესველმა ამ ღარიბი კაცის ყვირილი და ცეცხლი მოეკიდა — მე იმას ვითხოვ, რომ ერთი ასად მომივიდეს, ეს ბრიყვი კი მუჭანახევარს გაიძახისო. დადო ხორბლიანი ხურჯინი და ერთი მაგრად მიბეგვა.

— რა დაგიშავე, რაზე მცემო? — ჰკითხა კაცმა.

— იმიტომ გცემ, რომ ღირსი ხარო, — უთხრა გლეხმა, — მე ღმერთს ერთი ასად ვთხოვ, შენ კი მუჭანახევარს გაიძახიო.

— მაშ როგორ უნდა მეთქვაო?

— უნდა გეთქვა, ერთი ათასად, ერთი ათასად! და მადლობასაც გეტყოდიო, — უთხრა ყანის მთესველმა.

— კარგი, ამის შემდეგ ასე ვიტყვიო, — უთხრა კაცმა და წავიდა. მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის, — ერთი ათასად, ერთი ათასადო!

გზაზე მკვდარს მოასვენებდნენ. გაიგონეს კაცის ძახილი ჭირისუფლებმა, მისდგნენ და ერთი კარგა მიბერტყეს, — შე ოხერო და მუდრეგო, ეს ერთი მკვდარი არ გვყოფნის, რომ ახლა ათასადაც არ გაგვიხდესო?

— მაშ როგორ უნდა მეთქვაო? — ჰკითხა კაცმა.

— როგორ და — ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა აცხონოსო! — და ჩვენც პატივით გაგისტუმრებდითო.

— კარგით, აწი სულ ასე ვიტყვიო, — უთხრა კაცმა და წავიდა. მიდის ქალაქისაკენ და გაიძახის: — ღმერთმა აცხონოს, ღმერთმა აცხონოსო!

გზაზე მაყრიონი შემოხვდა, მოჰყავთ პატარძალი და მოიმღერიან. გაიგონეს ამ კაცის ძახილი მთვრალმა მაყრებმა და მათრახებით სულ თავ-პირი ჩამოალეწეს, — შე მამაოხრიშვილო, პატარძალი მიგვყავს, ბედნიერებასა და სიცოცხლეზე ვმღერით და საცხონებელს აქ რასა ხედავო?

— მაშ რა უნდა ვთქვაო? — ჰკითხა კაცმა, — მე როგორც მასწავლეს, ისე ვამბობ.

ვინც ეგ გასწავლა, ისიც შენნაირი მუდრეგი იქნებაო, — უთხრეს მაყრებმა, — ცხონება კი არ უნდა გეთქვა, უნდა მისულიყავი ახლოს, მოგეხადა ქუდი და ხმამაღლა გეყვირა, — გაუმარჯოს, გაუმარჯოს!

— კარგით, აწი ასე ვიზამო, — თქვა კაცმა და გაუდგა გზას ქალაქისაკენ, მიდის და რაც ძალი და ღონე აქვს გაჰკივის: გაუმარჯოს, გაუმარჯოსო!

გზაზე ერთი მონადირე ირემს ეპარებოდა. ის იყო თოფი უნდა ესროლა, რომ ირემმა გაიგონა კაცის ყვირილი და დამფრთხალი ტყეში შევარდა. მოტრიალდა გაცეცხლებული

მონადირე და ურტყა და ურტყა თოფის კონდახი ბეჭებში — შე სულძაღლიშვილო, რა ჭირი გაღრიალებს, ნასთვლევი ხარირემი რატომ გამიფრთხეო.

— მაშ რა უნდა მეთქვაო? — ჰკითხა კაცმა.

— არაფერიც არ უნდა გეთქვა, — უთხრა მონადირემ, — დაღუნულიყავი და ჩუმად გაგეკვლო. ახლა ირემი მოკლული მეყოლებოდა და კაი მწვადებსაც გაჭმევდიო.

— კარგი, ამის შემდეგ ხმას აღარ ამოვიღებ და სულ მოღუნული ვივლიო, — თქვა კაცმა და წავიდა. მიდის ქალაქისაკენ წელში მოღუნული და თან ღობე-ყორეს ეფარება.

ერთ კაცს ფულიანი ქისა დაჰკარგოდა და დაეძებდა. დაინახა მოღუნული კაცი, დაიჭირა და უთაქა და უთაქა:—თუ ჩემი ფულიანი ქისა შენ არ იპოვე, მაშ ღობე-ყორეს რას ეფარებიო?

კაცმა დაიფიცა, არ მიპოვიაო და ფულის პატრონმაც დანებება თავი:

— აბა, რა ვქნა, როგორ ვიარო, ან რა ვთქვაო? — ჰკითხა კაცმა. ქისის პატრონს თავისი ფულები აწუხებდა და კაცის დარდი სულაც არ ჰქონდა.

— ჯანდაბამდისაც გივლია და ის გითქვამს, რაც ჯერ არავის უთქვამსო, — მიაძახა და ქისის საძებნელად წავიდა.

დარჩა კაცი ადგილზე და აღარ იცის, როგორ მოიქცეს. ამდენ ხათაბალაში ცოლის დანაბარებიც დაავიწყდა და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. გაბრაზდა ცოლი. რატომ მარილი არ მოიტანეო და რაც ხალხმა დააკლო, თვითონ დაუმატა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ზარმაცი შვილი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მჭედელი, პატიოსანი და ფუტკარივით მშრომელი კაცი. ერთადერთი შვილი ჰყავდა და ისიც უვარგისი, უსაქმური და არაფრის გამკეთებელი. უკვე ოცი წლისა იყო, მაგრამ ლუკმა პურს ისევ მამის ხელიდან გამოელოდა და მთელი დღე ქუჩა-ქუჩა დაყიალობდა. მჭედელი სანამ ახალგაზრდა იყო და ღონე შესწევდა, შვილს არაფერს აკლებდა, მაგრამ როცა დაბერდა, დაუძლურდა და სიკვდილის მოახლოება იგრძნო, საგონებელში ჩავარდა, იწვა დღენიადაგ საწოლზე და სულ თავის უსაქმურ შვილზე ფიქრობდა.

ერთ დღეს დაუძახა ცოლს და უთხრა:

— მე დიდი დღე აღარ მიწერია, მალე მოვკვდები, და რა ვქნა, ჩემი სახლ-კარი და მონაგარი ჩვენის შვილის ხელში როგორ ჩავაგდო. თვითონ მანეთის შოვნაც არ შეუძლია და ჩემს დანატოვარს ერთ თვეში გაანიავებს, გამონახე ვინმე ალალი მშრომელი ბიჭი და იმას ვუანდერძებო.

ცოლს ეწყინა,, დედის გული მაინც სხვაა, და ქმარს უსაყვედურა:

— კაცს საკუთარი მემკვიდრე გყავს და ქონება სხვას რად უნდა უანდერძო, არც ისეთი უმაქნისია ჩვენი შვილი, რომ მანეთიანის შოვნა გაუჭირდესო.

— ბი, ბურთი და მოედანი! თუკი შეუძლია, წავიდეს, ეშოვოს და მოიტანოსო, — უთხრა მჭედელმა.

გამოვიდა ცოლი, მისცა შვილს მანეთიანი და დაარიგა:

— წადი, შვილო, მთელ დღეს შინ ნუ გამოჩნდები, საღა-

მოს მოდი, უჩვენე მამაშენს ეს მანეთიანი და უთხარი, — მე ვიშოვე-თქო.

წავიდა ბიჭი, მთელ დღეს ქუჩა-ქუჩა იხეტიალა, საღამოს დაბრუნდა შინ, გაუწოდა მამას მანეთიანი და უთხრა:

— აი, მამი, დღეს მთელი დღე ვიმუშავე და ეს მანეთიანი ვიშოვეო.

მამამ გამოართვა ფული, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, უსუნა და ბუხარში შეაგდო. შვილს კი უთხრა:

— არა, შვილო, ეს შენი ოფლით ნაშოვნი არ არისო.

ბიჭს ოდნავადაც არ დანანებია მანეთიანი. მამის საქციელზე, პირიქით, გულიანად გაეცინა, გამოვიდა და ყველაფერი დედას უამბო. შეწუხდა დედა, მეორე დღეს კიდევ მისცა მანეთიანი და დაარიგა:

— წადი, შვილო, მთელი დღე თუნდ ბეწვსაც ნუ გაწყვეტ, ოღონდ საღამო ხანზე ირბინე და დაღლილ-დაქანცული, ოფლიანი რომ მოხვალ, იქნებ დაგიჯეროს, რომ შენი ნაშოვნია და გული მოუბრუნდესო.

წავიდა შვილი და მთელი დღე ჩვეულებრივ უსაქმოდ იხეტიალა, საღამოს ნარბენი და გაოფლილი შევარდა მამასთან, გაუწოდა ფული და უთხრა:

— აი, ეს ფული ჩემი ალალი ოფლით ვიშოვეო.

მამამ გამოართვა, გადაატრიალ-გადმოატრიალა, დასუნა და ისევ ბუხარში შეუძახა:

— არა, შვილო, არც ეს ფულია შენი ოფლით ნაშოვნიო.

ბიჭს არც ამ ფულის გადაგდება დანანებია, ისევ გაიცინა, წავიდა და დედას უამბო. დედა შეწუხდა, მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე და შვილს უთხრა:

— შვილო, ხომ ხედავ, მამაშენი ჭკვიანი კაცია და არ ტყუვდება. თუ მართლა ცარიელზე არ გინდა დარჩე, წადი, ერთი კვირა მაინც იმუშავე, როგორმე ერთ მანეთს მოუყარე თავი, მოუტანე მამაშენს შენი ოფლით ნაშოვნი ფული და დაგიჯერებსო.

ბიჭი წავიდა და ერთ კვირას მართლაც პატიოსნად იმუშავა: ზოგს შეშა მოუტანა, ზოგს ბოსტანი დაუბარა, ზოგს სამწყემსურში შეენაცვლა და, როგორც იქნა, კვირის ბოლო-

სათვის ერთი მანეთი მოაგროვა. მიუტანა მამას ფული და უთხრა:

— ეს კი მართლა შრომითა და გარჯით ნაშოვნიაო.

მამამ ამ ფულსაც უსუნა, გადაიტანა ხელიდან ხელში და ისევ ბუხარში შეუძახა:

— არა, შვილო, არც ეს ფულია შენი ნაშოვნიო.

ახლა კი აღარ გაუცინია ბიჭს, ორივე ხელით ეცა ბუხარს, გამოხვეტა თავისი ფული და მამას უსაყვედურა:

— არა გრცხვენია, მამაჩემო, მე ამ ფულის შოვნას მთელი კვირის შრომა მოვანდომე და შენ ცეცხლში მიყრიო?

მამამ სიამოვნებით გაიღიმა და უთხრა:

— მართალი ხარ, შვილო, და მეც მჯერა, ისე დაგეწვა გული, რომ ეგ მანეთი ნამდვილად შენი შრომით ნაშოვნია. ასეა, შვილო, — დაუმატა მამამ, — სანამ შენი ოფლით არ შეიძენ, მანამდე ფულისა და ქონების ყადრს ვერ გაიგებ. ახლა ვხედავ, რომ უკვე გაგიგია და მთელს ჩემს მონაგარს უსაყვედუროდ დაგიტოვებო.

მამამ მთელი ქონება შვილს უანდერძა და გულდამშვიდებული გაემგზავრა იქ, საიდანაც ჯერ უკან არავინ დაბრუნებულა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ეშმაკის ლაგამი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მდიდარი მეცხვარე. ამქვეყნად სიმდიდრეს ვინ არ გაუძუნწებია, მაგრამ ეს კაცი ყველა ამბად გაგონილ ძუნწს სჯარბობდა, — თვითონაც მშიერ-ტიტველი დადიოდა და ცოლ-შვილსაც შიმშილით ხოცავდა. უთვალავი ცხვარი ჰყავდა, მაგრამ იმის შიშით, არაფერი დამეხარჯოსო, მეცხვარეებს არ იყენებდა და მთელს ამოდენა ფარებს თვითონ მწყემსავდა.

ერთხელ ეს ქვაწვია კაცი მინდორში ცხვარს მიერეკებოდა. უცბად დაინახა, რომ მგელი მორბის და პირში რაღაც უჭირავს. ეს რაღაც ეშმაკის შვილი იყო. გადაუდგა კაცი წინ, გადმოიღო თოფი, დაახალა მგელს და ნადავლი პირიდან გააგდებინა.

წამოდგა ეშმაკუნა და მეცხვარეს უთხრა:

— რაკი გადამარჩინე, ჩემს დედ-მამასთან წაგიყვან და ჩემი გადარჩენისათვის სამაგიერო სიკეთეს გადაგიხდიანო.

დახარბდა ძუნწი საჩუქარს და ეშმაკუნას გაჰყვა. გზაზე ეშმაკის ნაშიერმა უთხრა:

— ჩემი დედ-მამა ძალიან მდიდრები არიან და შენც დიდძალ ოქრო-ვერცხლს შემოგთავაზებენ, მაგრამ არ დახარბდე და არაფერი არ აიღო. უთხარი: — ჩემი ქონება მომეცით, მეტი არაფერი მინდა-თქო.

როგორც იქნა მიაღწიეს ეშმაკების სახლს, შევიდნენ შიგნით და ეშმაკუნამ დედ-მამას უთხრა:

— მგელმა მომიტაცა და შესაჭმელად თავისი ბუნაგისა-

კენ მიმარბენინებდა, წინ ეს კაცი შემომხვდა, ესროლა თოფი მგელს და გადამარჩინა, ახლა თქვენ იცით, როგორც გადაუხდით სიკეთესო.

ეშმაკები ცას ეწივნენ სიხარულით და მეცხვარე თვალ-მარგალიტით სავსე ოთახებში შეიყვანეს, — აიღე, რაც მოგეწონება და რამდენიც გინდა წაიღეო.

ძუნწს ამდენი სიმდიდრის დანახვაზე კანკალი აუვარდა და კინაღამ სულმა წასძლია, მაგრამ ეშმაკუნამ დროზე ანიშნა, არ შეცდეო, და ძუნწმაც თავი შეიკავა. ეშმაკები აძალებდნენ: — ჰა, აიღე, რაღას უყურებო,—ძუნწი კი დგას და ხმას არ იღებს, ბოლოს ეშმაკებმა უთხრეს:

— თუ თვალ-მარგალიტი არ გინდა, გვითხარი, რა მოგცეთ და შენთვის არაფერს დავიშურებთო.

ახლა კი ამოიდგა ძუნწმა ენა და უთხრა:

— თუ მომცემთ, ჩემი ქონება მომეცით, მე იმის მეტი არაფერი მინდაო.

ეშმაკებს არ ეჭაშნიკათ სათხოვარი, მაგრამ რაღას იზამდნენ, სიტყვას ხომ ვერ გადავიდოდნენ. კარგი, მოგცემთო, — უთხრა მამა ეშმაკმა. მოუარა ზურგიდან მეცხვარეს და კისერში ერთი ლაზათიანი მჯიღი უთაქა. „ვაიო!" — დაიძახა ძუნწმა და პირიდან ლაგამი წამოვარდა. ეშმაკმა ლაგამი აიღო და შეინახა.

ტყუილად კი არ ამბობენ, ძუნწის ქონებას ეშმაკები ჭამენო. ეს ლაგამი თვითონ ეშმაკის ხელით ჰქონდა მეცხვარეს პირში ამოდებული და თავისი სიმდიდრიდან საკუთარი თავისათვის აღარაფერს ამეტებინებდა. რაკი ლაგამი აეხსნა, კაცი უცბად მოვიდა გონს, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვა, პირველად შეხედა თავის თავს ფხიზელი თვალით და სიცოცხლე შესძულდა; ისეთი ჩამოგლეჯილ-ჩამოკონკილი იყო, მათხოვარსაც კი შეებრალებოდა. მეცხვარეს იმავ წამს თავისი მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილიც თვალწინ დაუდგა და შერცხვენილი ეშმაკის სახლს უჩუმრად გაშორდა.

დაბრუნდა თავის ცხვართან. იმავე დღეს ყოველ ფარაზე რამდენიმე მწყემსი დაიქირავა და საზღაურიც გულუხვი დაუნიშნა. ერთ-ერთი მწყემსი ცოლ-შვილთან აფრინა, მსუქანი ჭედილები და ბლომად ფული გაატანა და დაუბარა;

— ჭედილები დახოცეთ და ჭამეთ, ხოლო ფულით ძვირფასი ტანსაცმელი იყიდეთ და ჩაიცვით. ერთი ხელი ტანსაცმელი მეც გამომიგზავნეთ, თორემ ასეთი ჩამოგლეჯილ-ჩამოფლეთილი ხალხში ველარ გამოვჩნდები და ველარც თქვენ დაგენახვებითო.

აბა, რაღა თქმა უნდა, რომ ძუნწის ცოლ-შვილი იმ დღეს გაიხარებდა. მაშინვე გაიხადეს კონკიძველები და სულ ძვირფასი ფარჩები შეიკერეს. მეცხვარესაც გაუგზავნეს ერთი ხელი ძვირფასი ტანსაცმელი. მერე ჭედილები დახოცეს და თავის სიცოცხლეში მაძღრისად და გემრიელად პირველად ისადილეს.

მეცხვარემ, როგორც მეპატრონის წესია, ცხვრის ფარები ასლად დაქირავებულ მწყემსებს ჩააბარა, თვითონ შინ დაბრუნდა და მდიდარი კაცის კვალობაზე უხვი და ხელგაშლილი ცხოვრებაც დაიწყო, აღარც ცოლ-შვილს აკლებდა რაშვს, აღარც თავის თავს და გამვლელ-გამომვლელსაც გულუხვად უმასპინძლდებოდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ოქროსტარიანი ცული

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. მშობლები რომ დაეხოცათ, გაიყარნენ. უფროსმა ძმამ სახლ-კარი დაისაკუთრა, შუათანამ — ბოსელი, ბოლოლას აღარაფერი ერგო. დაუდგა ძმებს მოჯამაგირედ: ამუშავებდნენ დღედაღამ, ლუკმის ჭმევა კი ეზარებოდათ.

ერთ დღეს ბოლოლა ძმა უფროსმა ძმებმა ტყეში შეშის მოსაჭრელად გაგზავნეს. გაიმზადა სამი ღღის საგზალი, აიღო ხელში მამა-პაპის დატოვებული ცული და გზას გაუდგა. ბევრი შეშა მოჭრა, დაიღალა და პურის საჭმელად მდინარეზე ჩავიდა. წყალს რომ დაეწაფა, თავი ვეღარ შეიმაგრა და შიგ გადავარდა. თვითონ გადარჩა, მამაპაპეული ცული კი წყალში ჩაუვარდა. ბევრი ეძება, ბევრი იწვალა, მაგრამ ამოდენა მდინარეში ცულს აბა, რას იპოვიდა!

რაღა უნდა ექნა საწყალ ბიჭს. ჩამოჯდა ქვაზე და წყალს ჩასძახა: — ჩემი ცული გამომიჩინე, ღმერთი არა გწამს! შინ უცულოდ ვერ წავალ, ძმები მომკლავენო.

ამ დროს, სად იყო, სად არა, მდინარის ნაპირას ერთი წვერიანი კაცი გამოჩნდა, ბიჭთან მივიდა და გამარჯობა უთხრა.

— რას დაღონებულხარ, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა.

— მდინარეში ცული ჩამივარდა და ვერ მიპოვია, დასაღონებელი როგორ არა მაქვსო, — უპასუხა ბიჭმა.

წვერიანი კაცი გადაეშვა მდინარეში, ამოიღო ოქროსტარიანი ცული და გაუწოდა:

— აი, შენი ცული აქა ყოფილაო.

ბიჭმა უპასუხა:

— არა, ეგ ჩემი ცული არ არის, სხვის ცულს ხომ არ წავიღებო.

წვერიანმა კაცმა ოქროსტარიანი ცული ნაპირზე გადმოისროლა და კვლავ ჩაყო ხელი წყალში. ამოიღო ვერცხლისტარიანი ცული და უთხრა:

— აი, შენი ცული აქა ყოფილაო.

— არა, არც ეგ არის ჩემი ცული, სხვის ცულს ხომ არ წავიღებო, — იუარა ბოლოლა ძმამ.

წვერიანმა კაცმა ვერცხლისტარიანი ცულიც ნაპირზე გადაისროლა და ისევ ჩაყო წყალში ხელი. ამოიღო სპილენძისტარიანი ცული და გაუწოდა.

— არა, არც ეს არის ჩემი ცული, სხვის ცულს ხელს ვერ მოვკიდებო!

წვერიანმა კაცმა სპილენძისტარიანი ცულიც გადაისროლა ნაპირზე და ახლა ამ ბიჭის ცული ამოიღო.

მაშინ კი გაიხარა ბოლოლა ძმამ და შესძახა: აი, ეგ არის ჩემი ცული, წყალში რომ ჩამივარდაო!

წვერიანმა კაცმა სამივე ცული აჩუქა ამ ბიჭს და თავის გზას გაუდგა. ბოლოლა ძმამ კიდევ იმუშავა ორ დღეს და შინ დაბრუნდა. ძმებს ყველაფერი უამბო და ოქროსტარიანი, ვერცხლისტარიანი და სპილენძისტარიანი ცულებიც მიუტანა.

უფროსი ძმა შურიანი და ხარბი იყო, იფიქრა: მოდი, მეც წავალ ტყეში შეშის საჭრელად და ოქროსტარიან ცულს ვიპოვიო. ადგა, ცოლს სამი დღის საგზალი გაამზადებინა, აიღო ხელში მამაპაპეული ცული და გზას გაუდგა. მდინარესთან რომ მივიდა, თავისი ცული შიგ გადააგდო და დაიწყო ყვირილი: მიშველეთ, ხალხო, დამეხმარეთ, წყალში ცული ჩამივარდაო.

სად იყო და სად არა, ის წვერიანი კაცი გამოჩნდა.

— ძმობილო, რა მოგივიდა, რა გაყვირებსო? — ჰკითხა უფროს ძმას.

— მდინარეში ცული ჩამივარდა და, თუ შეგიძლია, ამოღებაში დამეხმარეო.

წვერიანმა კაცმა ფეხთ გაიხადა და მდინარეში გადაეშვა. ამოიღო ოქროსტარიანი ცული და უფროს ძმას უთხრა: აი, შენი ცული, შეხედე სად ყოფილაო!

შურიანმა და ხარბმა ძმამ ვეღარ მოითმინა და ყვირილი მორთო:

— ჩქარა გამომიტანე, ჩემი ცული ეგააო!

წვერიანი კაცი გაბრაზდა. გამოვიდა ნაპირზე, ერთი მაგარი სილა გააწნა და უთხრა:

— ტყუილის მთქმელს არც თავისი ცული ერგებაო!—ოქროსტარიანი ცული ისევ მდინარეში გადააგდო და თავის გზას გაუდგა.

ხარბი ძმა უკან გამოუდგა:. კაცო, რას მიშვრები, ჩემი ცული მაინც ამომიღეო. მაგრამ წვერიან კაცს უკან აღარ მოუხედია.

ასეა, ხარბი კაცი სხვის ქონებას ეტანება, მაგრამ თავისასაც დაკარგავს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ობოლი და ქოსატყუილა

I

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საბრალო ობოლი, უქონელი და უყოლელი. ერთხელ ობოლმა ერთი გუდა საფქვავი იშოვა სადღაც, წაიღო წისქვილში და დაფქვა. ამ დროს წისქვილში ქოსატყუილამაც მოიტანა ერთი გუდა მარცვალი დასაფქვავად. წასვლისას ობოლს უთხრა:

— შინ ერთად წავიდეთო.

— ძალიან კარგიო, — დაეთანხმა ობოლი.

წავიდნენ. მიდიან გზაზე. ქოსამ უთხრა:

— იცი, რა ვქნათო?

— რაო? — ჰკითხა ობოლმა.

— რა და, ჩემი ფქვილი მოვზილოთ, შენი საფანლად ვიხმაროთ და კვერები გამოვაცხოთო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

მივიდნენ ობლის სახლში. მოზილეს ქოსას ფქვილისაგან ცომი. ობლის ფქვილი საფანლად მოაყარეს, ჩააკრეს თონეში და დაბრაწული კვერები ამოყარეს. ეს კვერები რომ ნახა ქოსატყუილამ, ეამა და ობოლს უთხრა:

— მოდი, ვინც უკეთესი ტყუილი თქვას, კვერები იმას დარჩესო.

— ძალიან კარგიო, — უპასუხა ობოლმა.

ქოსატყუილამ დაიწყო:

— ერთი ბატი გვყავდა, ბაბაჩემის გაზრდილი. ისეთი კარგი რამ იყო, რომ მთელ ოჯახს გვინახავდა. სახნავი იყო, სათიბი თუ მგზავრობა, სულ ის დაგვყავდა. მე კიდევ

შევაჯდებოდი ზედ და ხან მინდორში დავაჭენებდი და ხან მთებზედ. ერთხელ, რაღაც საუბედუროდ, ტყეზე მივაჭენებდი, უცებ, ვნახოთ, მშიერი ტურა არ გამომიხტა?! ეცა ჩემს ბატს და გვერდი სულ მთლად გამოგლიჯა. წაიქცა ბატი და სულსა ლევდა. მე მაშინვე გონება მოვიკრიბე, მოვჭერი ხე, დავგრიხე წნელი, გავუკერე იმით გვერდი, წამოვახტუნე და გავაჭენე სახლისკენო, — დაამთავრა ქოსამ და ობოლს უთხრა: — აბა, ახლა შენი ჯერიაო.

ობოლმა დაიწყო:

— მამაჩემს ასი ძირი ფუტკარი ედგა. მუდამ დღე თავს დასტრიალებდა: უვლიდა და თვლიდა. ერთხელ, ერთიც ვნახოთ, დაითვალა ფუტკრები და ერთი არ დააკლდა სათვალავში?! მოიკითხა მაშინვე, აქეთ ვეძებეთ, იქით ვეძებეთ და ბოლოს ვიპოვეთ, თურმე ფეხი მოსტეხოდა და ზღვის გაღმა დარჩენილიყო. ვიღაც ავაზაკებს მოესწროთ, დაეჭირათ, წაეყვანათ, შეებათ გუთანში და ახვნევინებდნენ. მამაჩემმა რომ ეს ნახა, ძალიან გაჯავრდა: — ვინ მოგცათ, ეგ ჩემი ფუტკარიო?

ისინი უარზე დადგნენ, გინდა თუ არა, ჩვენიაო. აი იქით, აი აქეთ, შეიქნა ერთი ორომტრიალი. ბოლოს მოავლო მამაჩემმა ფუტკარს ყურზე ხელი და გამოსწია შინ წამოსაყვანად. ამ დროს მიწყდა კისერი ფუტკარს და თავი ხელში არ შერჩა?! მაშინვე ამოიღო მამაჩემმა ჯიბიდან ნიგოზი, მოუსვა კისერზე ფუტკარს და მოაბა თავი. ნანიგვზარზე ნიგვზის ხე ამოვიდა! გაიზარდა, მოისხა კაკალი. მუდამ წელს ვბერტყავდით და ვყიდდით კაკალს. ერთხელ კაკალს ყვავი შემოეჩვია და სულ გააჩანაგა. ესროლა მამაჩემმა ყვავს ბელტი და აკი ხეზე არ დარჩა?! გაიზარდა ეს ბელტი, გადიდდა და სახნავ-სათიბ მიწად იქცა. გავაშენეთ ზედ ვენახი. ისე ვუვლიდით, ვაზებზე მტევნები სულ წითლად ღუოდა. დადგა რთველის დრო და ველით, აი ახლა მოვკრეფთ, აი ახლაო, რომ უცებ ერთი მელა შემოგვეჩვია. ისე გაგვიოხრა და გაგვიტიალა ვენახი, რომ მთელ ყურძენზე ხელი აგვაღებინა. ერთი სიტყვით, წყალი გადაგვიწურა, გამოჭამა მთელი ვენახი. ბოლოს ვთქვი: მოდი ერთი, წავალ და ვუყარაულებ, დავიჭერ და სულ კუდით ქვას ვასროლინებ-მეთქი. თქმა და ას-

რულება ერთი იყო: ვიპოვე ხვრელი, საიდანაც მელა მოგვრებოდა ხოლმე, დავჯექ და დაუწყე ლოდინი. ერთიც ვნახოთ, მოდის რაღაც და მოაფაჩუნებს. მე თან გული მისკდება შიშით, თან ვფიქრობ, ნეტა დამაჭერინა-მეთქი. მართლა მელა არ იყო?! ვტაცე კუდში ხელი და დავიჭირე. გავუსვი და გამოვუსვი სახრე, გავუსვი და გამოვუსვი. სიკეთე მოგეცეს, მე ის დავზილე დაქარიანებული კაცივითა. რამდენსაც დავარტყამდი, იმდენი პირიდან ბარათებსა ჰყრიდა.

— ბარათებსაო? რაო მერე, რა ეწერა იმ ბარათებშიო? — შეაწყვეტინა სიტყვა ქოსატყუილამ.

— რაო და, ობოლს — კვერი და ქოსატყუილას — თხის კუდიო.

დარჩა კვერები ობოლს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

დედაკაცი და ეშმაკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ტკბილი ცოლ-ქმარი. ისეთი სიამტკბილობა ჰქონდათ, რომ ბირიდან ლუკმას იღებდნენ და ერთმანეთს სთავაზობდნენ.

შორს გავარდა ამ ცოლ-ქმრის სიყვარულის ამბავი და ბოლოს ეშმაკის ყურამდეც მიაღწია. ეშმაკი ხომ სიკეთეს ვერ იტანს და გაგებისთანავე გულში ბოროტი განზრახვა ჩაიდო: ცოლ-ქმარს შორის როგორმე მტრობა უნდა ჩამოვაგდოო. წავიდა და შეუჩნდა, რაღა არ სცადა, როგორ არ უტრიალა, რა ხერხი არ გამონახა, მაგრამ სულ ამაოდ — თხუთმეტი წელიწადი ისე გავიდა, რომ ცოლ-ქმარს შორის ერთი პაწია უსიამოვნებაც ვერ მოახდინა. დაბრუნდა უკან გაწბილებული, დაჯდა ერთ ხის ძირას და დაიწყო თავში ცემა. აბა, მე რა ეშმაკი ვარ, ერთი ცოლ-ქმარიც ვერ ვაცდინეო. ამ დროს გამოიარა ერთმა დედაბერმა, ნახა ეშმაკი ისეთს ყოფაში და ჰკითხა:

— რა იყო, რაზე იხოკავ თავ-პირსო?

ეშმაკმა უთხრა, რაც აწუხებდა. დედაბერმა ქოქოლა მიაყარა, ხმამაღლა გაიცინა და უთხრა:

— რას მომცემ, ის ცოლ-ქმარი რომ დღესვე ერთმანეთს სამტროდ გადავკიდოო?

— ოღონდ მაგას მომასწარი და ჩემს სულს მოგცემო,— შეესვეწა ეშმაკი.

— კარგი, აქ დამიცადე და გაყურებინებ სეირსო, — უთხრა დედაბერმა და წავიდა. ჯერ ცოლთან მივიდა და გულისტკივილით უჩურჩულა:

— შვილო, რა ძალიან მებრალებიო.

— რა მჭირს შესაბრალებიო? — გაუკვირდა ქალს.

— რაღა რა გიჭირს, შვილო, შენი ქმარი ერთ ქალს გადაჰკიდებია და თუ დროზე არა იღონე რა, ოჯახი დაგენგრევაო.

შეწუხდა ქალი ძალიან და დედაბერს ჰკითხა, როგორ მოვიქცეო?

— როგორ, შვილო, და, — დაარიგა დედაბერმა, — ქმარი რომ შინ მოვა, წარბშეკრული და გაჯავრებული დახვდი, ამით მიხვდება, რომ მისი ამბავი გაგებული გაქვს და იმ ქალს ჩამოესსნებაო.

ცოლი შეპირდა, როგორც დამარიგე, ისე მოვიქცევიო. წამოვიდა ბებერი და ახლა ქმართან მივიდა ყანაში. მიესალმა, ბარაქა უსურვა და მერე უთხრა:

— ძალიან მებრალები, შვილო, კარგი ვაჟკაცი ხარ და ეგ არ გეკადრებაო.

— რა არ მეკადრებაო? — ყურები ცქვიტა ქმარმა.

— რა, შვილო, და ღმერთმა დასწყევლოს ქალის ჯილაგი, ცოლი გღალატობსო, — უთხრა დედაბერმა, — ვიღაც მღვდელი შეიყვარა და შენ ამბადაც აღარ ახსოვხარო.

ქმარი კინაღამ გადაირია და დედაბერს შეუტია:

— რას ამბობ, ბებერო, ამდენი ხანია ერთად ვცხოვრობთ და ასეთი რამ ერთხელაც არ შემიმჩნევია, მზე და მთვარე ერთმანეთზე ამოგვდისო.

— აბა, მაშ, კარგი, რაკი ჩემი არ გჯერა, დიდგულად შედი შინ და ნახავ, თუ პირიქით არ მოგდოს შარი და ღალატი შენვე არ დაგწამოსო.

წავიდა ქმარი მაშინვე და შინ დიდგულად შევიდა. ცოლი შუბლშეკრული დახვდა და შეუტია:

— რა დიდი გულითა ხარ, განა არ ვიცი, რომ საყვარელი გყავს და დღე და ღამე იმასთან დაეთრევიო.

არც ქმარმა დააკლო.

— მე კი არა და, შენა ხარ ისეთი უნამუსო, რომ ოჯახზე ხელი აგიღია და ვიღაც მღვდელთან დაიარებიო.

შეჰყვნენ, შეჰყვნენ და ერთი კარგი ლაზათიანი ჩხუბი მოუვიდათ.

ის ღამე უბრად გაათენეს და აღარც ერთმანეთს მიჰკარებიან. მეორე დღეს ქმარი რომ სამუშაოდ წავიდა, დედაბერი ისევ მივიდა ცოლთან და ჰკითხა, — როგორ არის საქმე, გამოტეხე ქმარი თუ ვერაო? ბებერს უნდოდა გაეგო, გასჭრა ჩემმა ხერხმა თუ არაო. ქალმა ყველაფერი უამბო და თან შეეხვეწა, — რამე წამალი მასწავლე, რომ ქმარმა საყვარელზე ხელი აიღოს და ისევ მე დამიბრუნდესო. დედაბერმა უთხრა:

— ისეთ წამალს გაგიკეთებ, რომ შენს ქმარს ისევ ძველებურად შეუყვარდე, ოღონდ შენც უნდა მომეხმაროო.

— როგორაო? — ჰკითხა ქალმა.

— აიღე გალესილი სამართებელი. — უთხრა დედაბერმა, — ამაღამ შენი ქმარი რომ დაიძინებს, მიდი ჩუმად, შეაჭერი წვერიდან რამდენიმე ღერი ბალანი და მომიტანე. მე შევულოცავ, იმავე წუთიდან შენი ქმარი ძველებურად შეგიყვარებს და საყვარელსაც ჩამოეხსნებაო.

ქალს ძალიან გაუხარდა და შეპირდა, — უსათუოდ ავაჭრი და მოგიტანო.

რაკი ქალთან საქმე მოათავა, დედაბერი ისევ ქმართან წავიდა ყანაში, მივიდა და გააფრთხილა:

— ფრთხილად იყავი, ღამე არ დაიძინო, თორემ ცოლი მოკვლას გიპირებს და სამართებლით ყელს გამოგჭრისო.

ქმარი მთლად გადაირია: ღალატით მღალატობს და მოკვლას მაინც რაღას მემართლებაო. დაბრუნდა შინ დაღონებული. ცოლი კერასთან იჯდა და მატყლს ართავდა. ქმარმა ივახშმა და დაწვა. ცოლი ტარს ატრიალებს და თან თვალი ქმრისკენ უჭირავს, — როდის დაეძინება, რომ წვერის ბალნები ავაჭრაო. მაგრამ ქმარს რა დააძინებდა, თვალდახუჭული იწვა და თავის მწარე ბედზე ფიქრობდა. ბოლოს გადაწყვიტა, მოდი ერთი თავს მოვიმძინარებ და ვნახავ, ჩემი ცოლი რას იზამსო, და ხვრინვა დაიწყო.

ქალი ჩუმად ადგა, გამოიღო სამართებელი და მივიდა ქმართან. ის იყო, მიიტანა სამართებელი წვერთან, რომ ქმარმა თვალი გაახილა, დაუჭირა სამართებლიანი ხელი და ყვირილი ატეხა:

— მიშველეთ, ცოლი მოკვლას მიპირებსო!

ყვირილზე მოცვივდნენ მეზობლები და სოფლის მამასახლისი, ნახეს ქალის ხელში სამართებელი, ქმრის საჩივარი ყველამ ირწმუნა და ცოლი სამუდამოდ გააშორეს.

— რაკი მიზანს მიაღწია, დედაბერი მაშინვე ეშმაკთან წავიდა, რომ დაპირებული სული გამოერთმია, მაგრამ ეშმაკი ადგილზე აღარ დახვდა, გაიგო დედაბრის ოინები და შეშინებული, ემანდ მეც არაფერი მიხიმანოსო, ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

დედაბერი ოდნავადაც არ შეწუხებულა ეშმაკის გაპარვით, რად უნდოდა იმისი სული, როცა ტან-გვამში ყველა ეშმაკზე უფრო ჯადოქარი სული ედგა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სიმართლე

იყო და არა იყო რა, აბა მეგობრობაზე უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო, ჰოდა, იყო ამქვეყნად ორი მეგობარი — მეცხვარე და სოვდაგარი. მეცხვარე სოფელში ცხოვრობდა და აუარებელი ცხვარი ჰყავდა, სოვდაგარი — ქალაქში და აუარებელი ფულისა და სიმდიდრის პატრონი იყო. ერთიმეორე ძალიან უყვარდათ და განუზომელ პატივსაც სცემდნენ, მხოლოდ ერთ რამეში ვერ თანხმდებოდნენ — მოიპოვებოდა თუ არა ქვეყნად ისეთი კაცი, რომელსაც ტყუილი ერთხელაც არ ექნებოდა ნათქვამი.

— არა, ასეთი კაცი არ იქნება, — ამბობდა სოვდაგარი, — იმიტომ, რომ სიმართლით ამქვეყნად ვერავინ იცხოვრებსო.

— იქნება, როგორ არ იქნება და იცხოვრებს კიდეცო, — უმტკიცებდა მეცხვარე.

ერთხელაც, ერთ-ერთი შეხვედრისას, პურისჭამაზე, კვლავ ჩამოუვარდათ ამაზე ლაპარაკი.

— მე მაინც არა მჯერა, თუ არის ქვეყნად ისეთი ადამიანი, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვასო, — დაიჟინა კვლავ სოვდაგარმა.

— ჩემო. მეგობარო, — უთხრა მეცხვარემ, — მე მყავს ერთი მწყემსი, რომელსაც არასოდეს ტყუილი არ უთქვამს და არც იტყვისო.

სოვდაგარმა მაინც არ დაუჯერა, მეცხვარე არწმუნებდა. ბოლოს, რომ ვერ შეთანხმდნენ, ასეთი სანაძლეო დადეს: თუ ქვეყნად მართლა აღმოჩნდებოდა ისეთი კაცი, რომელსაც

ტყუილი არასოდეს ეთქვა, სულერთია, ეს მეცხვარის მწყემსი იქნებოდა, თუ სხვა ვინმე, მაშინ სოვდაგრის მთელი ქონება მეცხვარეს უნდა დარჩენოდა, ხოლო თუ არ აღმოჩნდებოდა, პირიქით, მეცხვარეს მთელი თავისი ცხვარი სოვდაგრისთვის უნდა მიეცა.

ამ პირობით დასცილდნენ ერთმანეთს და თავთავიანთ საქმეზე წავიდნენ.

მეცხვარეს ცხვარი ზაფხულობით თრიალეთის მთაში ჰყავდა, ზამთრობით — ყიზლარის საძოვრებზე, და წესად ჰქონდა დადებული, თვეში ორ-სამჯერ წავიდოდა ფარის სანახავად და, როცა ფარეხში მივიდოდა, თავის მწყემსს ასე მიმართავდა:

— გამარჯობა, ჩემო მწყემსო! როგორა ხარ? როგორ არის ჩემი ცხვარი და ჩემი საყვარელი ქეჩიო?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, — უპასუხებდა მწყემსი, — მეც კარგადა ვარ და თქვენი ცხვარი და ქეჩიც კარგად არისო.

ფარის წინამძღოლი ქეჩი მართლაც რომ ტურფა სანახავი იყო, დიდრონი, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული რქები, ჭკვიანი თვალები, არქიელის საკადრისი წვერი, დინჯი სიარული და მიხრა-მოხრა მის სილამაზეს მეტ შნოსა და ლაზათს აძლევდა. ამის გამო მეცხვარეს იგი გამორჩეულად უყვარდა. ეს მწყემსმაც იცოდა და თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა.

სანაძლეოს დადების შემდეგ ცოტა დრო რომ გამოხდა, სოვდაგარმა გაამზადა საგზალი, იყიდა ბლომად ღვინო და თავის ორ მედუქნესთან ერთად მთაში მწყემსის სანახავად წავიდა. მას კიდევ არ სჯეროდა მწყემსის პატიოსნება და გამოცდა უნდოდა.

მწყემსს ძალიან გაუხარდა თავისი პატრონის მეგობრის სტუმრობა და კარგადაც გაუმასპინძლდა, — მაშინვე მსუქანი ცხვარი დაკლა და ჩობანყაურმა გაუკეთა. სტუმრებმაც ამოალაგეს თავიანთი საგზალი, სუფრა წყაროს პირას, ხის ჩრდილში გაშალეს და პურის ჭამას შეუდგნენ. სოვდაგარი მწყემსს ღვინოს აძალებდა და, როცა საკმარისად დაათრო, უთხრა:

— თუ ჩემი პატივისცემა გინდა, ფარაში წინამძღოლი ქეჩი რომ გყავს, ის დამიკალიო.

— ო, არა, მაგას ვერ ვიზამ, — გაასავსავა მწყემსმა ხელები, — ჩემს ბატონს ის ქეჩი მთელს ფარას ურჩევნია და, რომ მოვა, რა პასუხი გავცეო!

— შენს ბატონს ასე უთხარი, მგელმა მომტაცა-თქო, — დაარიგა სოვდაგარმა.

მწყემსი დიდ უარზე იდგა, სოვდაგარი კი არა და არ ეშვებოდა. თან კვლავ ღვინოს აძალებდა და სულ უფრო მეტად ათრობდა. ასეთი ხერხით — შეგონებით, დაჟინებული თხოვნით, დათრობით, სოვდაგარმა იმდენი ქნა, რომ მწყემსს საბოლოოდ აურია თავგზა და პატრონის საყვარელი ქეჩი დააკვლევინა.

სოვდაგარი და მისი ამხანაგები იმ ღამეს იქ დარჩნენ, დილაზე ადრე ადგნენ, ისაუზმეს, მწყემსი ერთხელ კიდევ გააფრთხილეს, შენს ბატონს არამც და არამც არ გაუმხილო სიმართლე, უთხარი, ქეჩი მგელმა მომტაცა-თქო, და გახარებულები ქალაქში დაბრუნდნენ.

გამოფხიზლებული მწყემსი მიხვდა თავის შეცდომას და დიდ საგონებელში ჩავარდა: — რა ეთქვა თავისი ბატონისათვის, როცა მოვიდოდა და ჰკითხავდა, — როგორ არის ჩემი ქეჩიო?

დიდი ფიქრის შემდეგ მინდორში გავიდა, ჩაარჭო მიწაში სამეცხვარო ჯოხი, ზედ თავისი ნაბადი წამოასხა, ქუდიც დაახურა და ისე მოიჩვენა, ვითომ თვითონ იყო, ხოლო თავისი თავი მეცხვარედ წარმოიდგინა. წავიდა შორს, მერე მობრუნდა, მივიდა ჯოხთან და მიესალმა:

— გამარჯობა, ჩემო მწყემსო! როგორა ხარ, როგორ არის ჩემი ცხვარი და ჩემი ქეჩიო?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, — თქვა ჯოხის მაგივრად, — მე კარგადა ვარ, შენი ცხვარიც კარგად არის, მაგრამ შენი ქეჩი კი წუხელ მგელმა მომტაცაო.

ასე რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ ტყუილის თქმას ვერა და ვერ შეეგუა. ყოველ თქმაზე სახეს სირცხვილის ალმური უწვავდა. ბოლოს ისევ სიმართლის თქმა გადაწყვიტა და მეცხვარის მოსვლას უკვე სინდისდამშვიდებული დაელოდა.

მალე მეცხვარეც მივიდა და მწყემსს ჩვეულებრივ მიესალმა:

— გამარჯობა, ჩემო მწყემსო! როგორა ხარ? როგორ ბრის ჩემი ცხვარი და ჩემი ქეჩიო?

— გაგიმარჯოს, ჩემო ბატონო, — მიუგო მწყემსმა, — მე, კარგადა ვარ, შენი ცხვარიც კარგად არის, მაგრამ შენი საყვარელი ქეჩი კი აღარა მყავს. წუხელ ორი ამხანაგით შენი მეგობარი სოვდაგარი მეწვია, კარგი პატივი ვეცი, იმათ ღვინო დამალევინეს, დამათვრეს და შემაცდინეს — შენი საყვარელი ქეჩი დამაკვლევინეს. თან დამარიგეს, რომ შენთვის ტყუილი მეთქვა, ვითომ ქეჩი მგელმა მომტაცა. მაგრამ მე ჩემს სიცოცხლეში ტყუილი არ მითქვამს და ვერც ახლა ვიკადრე. აი ასეთი მარცხი დამემართა წუხელ და ახლა როგორც გინდა, ისე დამსაჯე, ყველაფრის ღირსი ვარო.

მეცხვარეს, მართალია, ქეჩის დაკვლა ძალიან ეწყინა, მაგრამ რაკი მწყემსმა სიმართლე აღიარა, აღარ გაუწყრა.

— პირიქით, მადლობელი ვარო, — უთხრა, — ქეჩი სხვაც გაიზრდება, ხოლო შენი სიმართლით ჩემს თვალში უფრო ამაღლდი და თანაც უზარმაზარი სანაძლეო მომაგებინე, რის სამაგიეროდაც ეს ჩემი ფარა დღეიდან შენთვის მიჩუქნიაო.

მეცხვარემ მწყემსს მუდმივ სიმართლით ცხოვრება უსურვა და ქალაქისაკენ გაეშურა, მივიდა თავის მეგობარ სოვდაგართან, მოიკითხა და ბოლოს უთხრა:

— ახლაც იტყვი, ქვეყანაზე არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომ ტყუილი არ ეთქვასო? ჩემმა მწყემსმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო, — როგორ დაათვრეთ, როგორ დაკვლევინეთ ჩემი საყვარელი ქეჩი და მერე როგორ დაარიგეთ, რომ ჩემთვის ტყუილი ეთქვა, — ვითომ ქეჩი მგელმა მოსტაცა. მაგრამ იმან ტყუილი არ იკადრა, ამით კი თვითონაც გამდიდრდა — სიმართლის თქმისათვის მთელი ჩემი ცხვარი იმას ვაჩუქე, — და მეც სანაძლეო მომაგებინა. ახლა, ჩემო მეგობარო, როგორც პირობა გვქონდა, შენი ქონება მომითვალე და ამის შემდეგ იცოდე, რომ ტყუილს და სიყალბეს სიმართლით ცხოვრება სჯობიაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სოვდაგარი და მისი ცოლი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ სატახტო ქალაქში ცხოვრობდა ერთი მდიდარი სოვდაგარი. სოვდაგარს მეტად ჭკვიანი ცოლი ჰყავდა, ქალი ქმარს ხშირად სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევდა, მაგრამ სოვდაგარი ისეთი ჯიუტი იყო, რომ ცოლს არაფერს უჯერებდა. თავისი სიჯიუტით ბევრჯერ ზარალიც მოსვლია, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და ცოლს სულ იმას ეუბნებოდა:

— დედაკაცი თმა გრძელი და ჭკუამოკლეა, ამიტომ ჩუმად უნდა იყოს და კაცის საქმეში არ ერეოდესო.

ერთხელ სოვდაგარმა აიტეხა, ჩვენს ხელმწიფეს დაბადების დღე აქვს და საჩუქარი უნდა მივართვაო. ცოლმა ურჩია:

— თავი დაანებე ხელმწიფისთვის საჩუქრების მირთმევას, ერთხელ რომ მიუტანო, მეორედაც მოგიხედნებს, მეფეთა გული გაუმაძღარია, მერე როდისმე რაღაც არ მოეწონება, გაგირისხდება და ხათაბალაში გაეხვევიო.

ქმარმა არც ეს რჩევა დაუჯერა, გადაჰკიდა მხარზე ხურჯინი მოჯამაგირეს და წავიდა ბაზარში საჩუქრის საყიდლად. ბევრი იარა ბაზარში, ყველა დახლს აუარ-ჩაუარა, მაგრამ შესაფერი ვერაფერი ამოარჩია. ბოლოს ერთ ადგილას რაღაც უცნაური ხილი დაინახა და მოჯამაგირეს უთხრა, — აბა, ერთი გამიგე, ის რა ხილიაო. მოჯამაგირემ მიირბინა გამყიდველთან და ჰკითხა:

— ძმობილო, ეს რა ხილიაო?

— ეს, ძმობილო, ინდოეთის კაკალიაო, — უპასუხა გამყიდველმა.

— ამაზე უკეთეს საჩუქარს, მე მგონი, ვერ ვიშოვიო, — თქვა სოვდაგარმა, — რაც იშვიათია, ის ძვირიც არის და

ტკბილიცო, — აავსო ხურჯინი ინდოეთის კაკლით, გადაიხადა ფული და გასარებული დაბრუნდა შინ. დაჰკრა ხელი კაკლით სავსე ხურჯინს და ცოლს ახარა:

— ისეთი საჩუქარი ვუშოვე ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს, რომ მისი მსგავსი ქვეყნად არაფერი მოიპოვებაო.

— მაინც რა იშოვე ასეთიო? — ჰკითხა ცოლმა.

სოვდაგარმა შეხსნა ხურჯინს პირი და ინდური კაკლები ამოალაგა. ცოლმა უყურა, უყურა და უცბად გულიანად გადაიხარხარა.

— რა გაცინებსო? — ჰკითხა სოვდაგარმა.

— შე სულელო, — უთხრა ცოლმა, — ნეტა რას ფიქრობდი, როცა ამ გოგრისტოლა კაკლებს ყიდულობდი. ერთიც ვნახოთ, ჩვენი დიდებული ხელმწიფე ავ გუნებაზე იყოს, შენს საქციელში რაღაც არ მოეწონოს და კარისკაცებს უბრძანოს, — აიღეთ ეს საჩუქარი და თავზე დააყარეთო! შე უბედურო, როგორ გგონია, იქიდან კიდევ ცოცხალი დაბრუნდებიო?

სოვდაგარი დაფიქრდა: „მგონი ეს უჭკუო დედაკაცი მართალს უნდა ამბობდესო, — თქვა გულში, — ჩვენი დიდებული და სახელოვანი ხელმწიფე ლომივით ავი და მლრინავია. ვინ იცის, იქნებ ამ ბედნიერ დღესაც რაღაც ჭმუნვა აჰყვა ლოგინიდან და ავ გუნებაზე იყოს, საჩუქრის მიტანის დროს გამირისხდეს და ჩემი მირთმეული ინდის კაკლები სათითაოდ თავზე გადამამტვრიოს. მართლაც და, გაუძლებს ჩემი საცოდავი თავი ასეთს წყალობას?! კი, ჩემი ცოლი ამჯერად მართლაც მართალს ამბობს, გადაწყვიტა საბოლოოდ და ცოლს ჰკითხა:

— მაშ რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რომ საჩუქარიც მივართვა და არც მე დავზარალდეო?

ცოლმა უთხრა:

— რაკი მაინც არ იშლი, მაშინ ადექი და რბილი ხილი მიართვიო.

წავიდა ხელახლა სოვდაგარი ბაზარში, იყიდა ქარვასავით ყვითელი ინდის ხურმა, ქიშმიში, კუპრივით შავი სპარსული ჭანჭური, დაშაქრული ლეღვის ჩირი და დაბადების დღეს, დილაადრიან პირველმა შეაღო ხელმწიფის დარბაზის კარი,

ხელმწიფეს სახეზე ბრაზი ემჩნეოდა და დარბაზში ბოლთას სცემდა. სოვდაგარმა შესვლისთანავე შეამჩნია უხასიათობა და მოწიწებით მიესალმა.

— რისთვის მოთრეულსარ ამ დილაადრიანო? — თვალები დაუბრიალა ხელმწიფემ.

— ბედნიერი დღის მოსალოცად მოვედი, დიდებულო და ქვეყნის მპყრობელო. ხელმწიფევ, — მიუგო სოვდაგარმა და წელში უფრო მოიხარა, — მაღალი ღმერთი გფარავდეს შენა და შენს ოჯახს და ნუ მოგაკლოს ლხინი და ბედნიერი დღე.

— ეს ხურჯინი რისთვის შემოათრიე აქ? — შეაწყვეტინა სიტყვა ხელმწიფემ და ხურჯინს წიხლი გაუქნია.

— ეს იმიტომ, რომ ღმერთმა სიტკბოთი და სიამით დაგაბეროთ. ჩამიჩითა და დაშაქრული ხილით მოგილოცავ ამ ბედნიერ დღეს, დიდებულო ხელმწიფევ, და ღმერთსა ვთხოვ, რომ ოჯახიც სულ ასე ტკბილად გყოლოდეთო, — მიუგო სოვდაგარმა და ხელმწიფის წინ მუხლი მოიყარა.

— რაო, რაო? ჩამიჩი და ლეღვის ჩირიო? — უფრო განრისხდა ხელმწიფე და კარისკაცებს უბრძანა, — ახლავე შეუხსენით პირი ხურჯინს და რაც მოუტანია ამ რეგვენს, სულ თავზე დააყარეთო!

კარისკაცებმა, რა თქმა უნდა, ხელმწიფის ბრძანება უსიტყვოდ შეასრულეს, გახსნეს ხურჯინი, შემოეხვივნენ სოვდაგარს ირგვლივ და დაუშინეს ჭანჭური და ინდის ხურმა, ლეღვის ჩირი და ქიშმიში.

სოვდაგარი თავპირზე ხელებს იფარებდა და შეშინებული გაიძახოდა:

— გენაცვალე, ჩემო ცოლო, რომ ჭკვიანი ხარო! გენაცვალე, ჩემო ცოლო, რომ ჭკვიანი ხარო!

გაიგონა ხელმწიფემ სოვდაგრის სიტყვები და კარისკაცებს უბრძანა, შეწყვიტეთ დასჯაო. მერე სოვდაგარს ჰკითხა:

— სოვდაგარო, მომახსენე, რა გააკეთა ისეთი იმ უჭკუო დედაკაცმა, რომ ასეთი სასჯელის დროსაც კი მადლიერებით იხსენიებო?

— მოგახსენებთ, მაგრამ მეშინია, უარესად არ გამირისხდეთო, — შეჰკადრა სოვდაგარმა.

— თქვი და არას გერჩიო, — შეჰპირდა ხელმწიფე.

— ქვეყნის მპყრობელო, დიდებულო ხელმწიფევ, ამ ბედნიერი დღის მოსალოცად თქვენთვის უცხოეთის ხილი ვიყიდე, — ინდოეთის კაკალი. სახლში რომ მივიტანე და ჩემმა ცოლმა დაინახა, ძალიან გამიწყრა,—ეს ბედნიერი დღე ჩვენს დიდებულ ხელმწიფეს უცხოეთის ხილით რომ არ მოულოცო, განა ჩვენი ქვეყნის ხილი რით არის ამაზე ნაკლები? ან რა იცი, ამ გოგრისტოლა კაკალს შიგნით როგორი გული აქვს, ერთიც ვნახოთ და, ჭიანი გამოდგეს, ხელმწიფეს გული მოუვიდეს და გაბრაზებულმა მთელი კაკალი თავზე გადაგამტვრიოს, როგორ ფიქრობ, გაუძლებს შენი თავი ხელმწიფის ასეთ პატივისცემასო? ახლა მითხარით, დიდებულო ხელმწიფევ, განა მადლობის ღირსი არ არის ჩემი ცოლი ასეთ ხიფათს რომ გადამარჩინა? მე რომ იმისთვის არ გამეგონა და თქვენთვის საჩუქრად ის დაწყეველილი კაკალი მომერთმია, ახლა ხომ ცოცხალიც აღარ ვიქნებოდიო.

ხელმწიფეს მოეწონა დედაკაცის საზრიანობა და პირზე ღიმილი მოეფინა. უთხრა სოვდაგარს:

— რაც მამაუფალს შენთვის ჭკუა და გონება დაუკლია, სულ შენი ცოლისათვის უბოძებია. ახლა წადი და იმ შენს ცოლს ჩემგან მოკითხვა გადაეციო.

კარისკაცებმა რაკი ხელმწიფის სასეზე ღიმილი დაინახეს, თვითონაც სიცილი დაიწყეს და გაწბილებული სოვდაგარი სასახლის კარიბჭემდე მიაცილეს.

ის დღე იყო და ის, სოვდაგარი ერთხელაც აღარ გასჯიუტებია თავის ცოლს, ყველა რჩევას უჯერებდა და საქმეც წაღმა მისდიოდა.

ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა,
ლხინი გაამოთ ყველასა.



სამი გამოცანა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი შვილი. ხელმწიფის შვილი ნადირობის დიდი ტრფიალი იყო, გადაიცვამდა ყოველდღე მდაბიურად, აიღებდა მშვილდ-ისარს და სანადიროდ მიდიოდა. ხელმწიფემ იცოდა თავისი შვილის ხასიათი და სიკვდილის წინ ასეთი დარიგება მისცა:

— შვილო, მე ვკვდები, ტასტსაც და სახელმწიფოსაც შენ გაბარებ და ვინძლო შესაფერისად მართო. ვიცი, ნადირობას ვერ მოიშლი, მაგრამ ჩემგან ერთი რჩევა კი დაიხსომე: ყველა მხარეს ინადირე, ოღონდ დასავლეთისაკენ ნურასოდეს წასვალო, — მერე ერთი პატარა კოლოფი მისცა და დაუმატა, — ამ კოლოფს თვალის ჩინივით გაუფრთხილდი. და მხოლოდ მაშინ გახსენი, როცა ძალიან გაგიჭირდესო, — დაასრულა ხელმწიფემ შვილის დარიგება და სულიც განუტევა. შვილმა მამა მეფური პატივით დაასაფლავა და სახელმწიფოს მართვა-გამგებლობას შეუდგა. ერთ წლამდე, სანამ ძაძები ეცვა და მამას იგლოვდა, შინიდან ფეხი არსად გადაუდგამს, მერე კი, როცა მამას წლისთავიც გადაუსადა, ძაძები გაიხადა და ისევ ძველი ჩვეულება გაიხსენა, — აიყოლია ნაზირ-ვეზირები და სანადიროდ სიარულს მოუხშირა.

ინადირა ერთ მხარეს, ინადირა მეორე მხარეს, ინადირა მესამე მხარესაც და ბოლოს დასავლეთისაკენ წასვლა გადაწყვიტა. ნაზირ-ვეზირებმა მამის ანდერძი მოაგონეს და ოვითონაც ბევრი უშალეს, მაგრამ ახალგაზრდა ხელმწიფემ არ დაიშალა, შინაყმებსა და მზარეულებს საგზლის მომზადება

უბრძანა და მეორე დილით თავისი ნაზირ-ვეზირებითა და ბაზიერ-მარეკებით დასავლეთისაკენ გაემართა.

პირველ დღესვე უამრავი ნადირი დახოცეს, მერე დაანთეს ცეცხლი და სადილის თადარიგს შეუდგნენ. ახალგაზრდა ხელმწიფემ შორს, მთაზე ერთი ბროლის კოშკი დაინახა და აიჩემა, — გინდა თუ არა, იქ უნდა ავიდე და გავიგო, ის კოშკი ვისია, ან იმ მაღალ მთაზე რისთვის აუშენებიაო.

ვეზირებმა არც ეს განზრახვა მოუწონეს, მაგრამ ახალგაზრდა ხელმწიფემ აქაც თავისი გაიტანა, შეაკაზმვინა ცხენები, სამი ვეზირი იახლა და კოშკისაკენ წავიდა. მივიდნენ კოშკთან, კოშკის კარი დაკეტილი დახვდათ, კარზე კი ასე ეწერა:

„შემოხვალ, ინანებ, არ შემოხვალ და მაინც ინანებო!" ახალგაზრდა ხელმწიფე დაფიქრდა და თქვა:

— რაკი ორივე სანანურია, ისევ შესვლა ჯობია, იმას მაინც გავიგებ, შიგნით რა არისო, — და შევიდა.

შევიდა თუ არა, აქეთ-იქიდან ორმოცი ხმალამოწვდილი კაცი გამოვარდა და ახალგაზრდა ხელმწიფეს შემოერტყა. მოჰკიდეს ამ კაცებმა ხელი, გაატარეს რვა ოთახი და მეცხრეში შეიყვანეს. ოთახში ტახტი იდგა და ზედ მზეთუნახავი ქალი იწვა. კაცებმა ხელმწიფე ქალის პირდაპირ დააყენეს და უთხრეს:

— თუ ამ ქალს სამჯერ ხმას ამოაღებინებ, ცოლად გაგატანთ, თუ არადა, თავს მოგჭრით და ფანჯრიდან გადაგაგდებთო.

დაღონდა ახალგაზრდა ხელმწიფე, რა ქნას, რით ამოაღებინოს ხმა? არადა, უკან ორმოცი ხმალამოწვდილი კაცი უდგას და ხსნა არსაით არის. უცბად მამის დანატოვარი კოლოფი მოაგონდა, ამაზე დიდი გასაჭირი რაღა უნდა დამადგესო, — თქვა გულში, ამოიღო კოლოფი და გახსნა. კოლოფიდან ერთი პაწაწინა ჭრელი ჩიტი გამოფრინდა, დასკუპდა ტახტის თავზე და მზეთუნახავ ქალს ჭიკჭიკა ხმით მიმართა: — ერთი ქალი გზაზე მიდიოდა, თან ქმარი და მაზლი ახლდნენ. ერთ ადგილას დაუღამდათ და საჭმელიც შემოაკლდათ. მაზლმა თქვა, მე მოვიტანო და ახლო სოფელში პურის საშოვნელად წავიდა. გზაში ყაჩაღები დახვდნენ, გაძარ-

ცვეს და თავი მოჰკვეთეს. მაზლი რომ აღარ გამოჩნდა, ახლა ქმარი წავიდა, მაგრამ იმასაც ის დღე ეწია, — ყაჩაღებმა გაძარცვეს და თავმოკვეთილი ძმის გვერდით დააწვინეს. ქმარმაც რომ დაიგვიანა, ადგა ქალი და თვითონ წავიდა. იარა, იარა და ქმარი და მაზლი თავმოკვეთილები კი იპოვა. დაჯდა საწყალი ქალი, წაიშინა თავში და დაიწყო ტირილი.

სად იყო, სად არა, უცბად ჯაგებიდან ერთი თაგვის ბასალა გამოძვრა და სისხლს დაუწყო ლოკვა. ქალს გული მოუვიდა, ესროლა ქვა და მოკლა. ჯაგებიდან ახლა დედა თაგვი გამოძვრა და ქალს შეუტია, — შე ასეთ-ისეთო, შვილი რაზე მომიკალი! ბრალი შენი, შენ რას უზამ შენს ქმარ-მაზლს, თორემ ჩემს შვილს ახლავე გავაცოცხლებო. — გაიქცა იქვე ველში, მიირბინ-მოირბინა, რაღაც ბალახი მოწყვიტა, მოიტანა, წაუსვა თავის მკვდარ შვილს და გააცოცხლა. დედა-შვილი წრუწუნით შეცოცდნენ ისევ ჯაგებში. ქალმა დაიხსომა ბალახი და თვითონაც მოგლიჯა, მიუსვ-მოუსვა ქმარ-მაზლს და ორივე გააცოცხლა, მაგრამ გახარებულს აერია და ქმრის თავი მაზლს მოაბა და მაზლისა — ქმარს. ახლა მითხარი, მზეთუნახავო ასულო, რომელს უნდა დარჩეს ქალი, ტანით ქმარს, თუ თავით ქმარსო?

— რა თქმა უნდა, ტანით ქმარსო, — ამოიღო ხმა მზეთუნახავმა.

ჩიტმა შეიჭიკჭიკ-შეიფრთხიალა და მეორე გამოცანა დაიწყო:

— დურგალი, დერციკი და მღვდელი მიდიოდნენ, ერთ ტყეში დაუღამდათ, დაანთეს ცეცხლი და ღამის გასათევად დაბინავდნენ. როცა ივახშმეს და ძილიც მოეკიდათ, თქვეს: — მოდით ჯერ-ჯერით ორ-ორმა დავიძინოთ და მესამემ ვუყარაულოთ, რომ ნადირმა არ გაგვაფუჭოსო.—ყარეს წილი და პირველად ყარაულობა ერგო დურგალს. დაიძინეს მღვდელმა და დერციკმა. დურგალი კი ზის ცეცხლთან და ფხიზლობს. ბოლოს მობეზრდა უქმად ჯდომა, ერთი ხის ქალი გამოთალა და ხეზე მიაყუდა.

გავიდა დრო და ახლა დერციკს ერგო გუშაგობა. დურგალმა და მღვდელმა დაიძინეს, დერციკი კი ზის ცეცხლის ბირას და ფხიზლობს. მალე იმასაც მოსწყინდა მუქთად

ჯდომა და დურგლის გამოთლილ ქალს ტანსაცმელი შეუკე
რა, ჩააცვა, გამოაწყო.

ბოლოს მღვდლის ჯერიც დადგა. დურგალმა და დერ
ციკმა დაიძინეს და მღვდელი ცეცხლის პირას ჩამოჯდა.
მოსწყინდა მღვდელსაც მუქთად ჯდომა, მიიხედ-მოიხედა,
დაინახა ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი ხის ქალი და
გუნებაში თქვა: მოდი, ვილოცებ, შევთხოვ ღმერთს, რომ ამ
ქალს სული ჩაუდგასო... დაიწყო ლოცვა, ქალს მართლაც
ჩაედგა სული და ხორციელ ადამიანად იქცა. ახლა შენ მი-
თხარი, მზეთუნახავო ასულო, რომელს ეკუთვნის ის ქალი,
მღვდელს, დურგალს, თუ დერციკსო?

— რა თქმა უნდა, იმას, ვინც სული ჩაუდგა და ხორცი-
ელ ადამიანად აქციაო, — მიუგო ქალმა.

ჩიტმა უფრო მხიარულად ჩაიჭიკჭიკ-შეიფრთხიალა და
მესამე გამოცანა დაიწყო:

— გზაზე სამი კაცი მიდიოდა — გულთმისანი, ფეხმარ-
დი და ექიმი. გულთმისანმა თქვა: — ჩვენი ხელმწიფის ქა-
ლი ავად გამხდარა და სულთმობრძავი წევსო. — აბა, რომ
მივუსწრებდე, გადავარჩენდი, მაგრამ იქ ვინ მიმიყვან-
სო, — თქვა ექიმმა. ფეხმარდმა უთხრა: — მე მიგიყვანო
ფეხმარდმა შეისვა ზურგზე ექიმი და საჩქაროდ ხელმწიფის
სასახლეში მიიყვანა. ექიმმა ავადმყოფს წამალი დაალევინა
და მოარჩინა. ახლა მითხარი, მზეთუნახავო ასულო, ვის
ეკუთვნის ის ხელმწიფის ქალიშვილიო?

— ვინც მოარჩინა, იმასო, — მიუგო ქალმა.

რაკი მესამედაც ამოაღებინა ხმა, ჩიტი ისევ კოლოფში
ჩაფრინდა. მზეთუნახავი ქალი წამოდგა, გადაეხვია ახალ-
გაზრდა ხელმწიფეს და უთხრა:

— შენა ყოფილხარ ჩემი ბედი და სადაც გინდა, იქ წამი-
ყვანეო.

წამოიყვანა ახალგაზრდა ხელმწიფემ მზეთუნახავი ქალი,
წამოიღო მთელი მისი ქონება, ის შეიარაღებული ორმოცი
კაციც თავის ამალაში ჩარიცხა და გამოსწია შინისაკენ. შინ
მისვლისთანავე მოიწვია სამღვდელოება, მზეთუნახავ ქალ-
ზე ჯვარი დაიწერა და დიდი ქორწილიც გადაიხადა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

გლეხი, მოლა და ეშმაკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთხელ ერთი საწყალი გლეხი ტყეში წავიდა და წერაქვით ყუნჩების თხრა დაიწყო. საღამომდე თხარა ყუნჩები და, ის იყო, უკანასკნელი ყუნჩი უნდა ამოეგდო, რომ ნათხარიდან უცბად ეშმაკი ამოხტა და წივილ-კივილით ღელისაკენ დაეშვა. სად იყო, სად — არა, იმავ წამს ძეძვიანებიდან ერთი მშიერი, პირმუარა მგელიც გამოვარდა და ეშმაკს გაეკიდა.

მირბის ეშმაკი, მაგრამ მგელს ველარ უსწრებს და საცოდავად წივის. გლეხს შეებრალა ეშმაკი, წამოავლო ხელი წერაქვს, გამოუდგა მგელს უკან „ჰაე-ჰაეს" ძახილით და საკბილო გააგდებინა. ეშმაკი მობრუნდა და გლეხს უთხრა:

— რაკი სიკვდილს გადამარჩინე, მეც სიკეთით მინდა გადაგიხადო. მე ჯიშიან ვირად გადავიქცევი, შენ თოკი ჩამაბი და ბაზარზე გასაყიდად წამიყვანე. მუშტარი ბევრი დაგეხვევა და ბევრ ფულსაც შემოგაძლევენ, მაგრამ სანამ მოლა არ მოვა, არავის მიმყიდო. იმ მოლას ჯავრი მჭირს, თავის ლოცვებში სულ ეშმაკებს სწყევლის. მხოლოდ მოლას მიმყიდე და ორივენი მოგებული დავრჩებით: შენ ფულს მიიღებ და მე ჯავრს ამოვიყრიო.

ეშმაკი მართლაც იქცა თეთრ ვირად, გლეხმა შეაბა თოკი და წაიყვანა ბაზარში. შეიდნენ თუ არა ბაზარში, ვირმა ისე მოიღერა კისერი და ისეთი სტუნვა-კუნტრუში ატეხა, რომ გამვლელ-გამომვლელს თვალი ზედა რჩებოდა. — აი, ვირი და ლაზათი! — გაიძახოდნენ აღტაცებით, — ამისთანა საქონელში მიცემული ფული დასანანი არ არისო!

მყიდველები ერთმანეთს ეცილებოდნენ და იყო ერთი ჯგვლეთა და ყაყანი, მაგრამ გლეხი ყველას უარს ეუბნებოდა, — არა, ძმაო, არ ვყიდი, ამისთანა საქონელს გასაყიდად როგორ გავიმეტებო.

ხალხი ამ გაწამაწიასა და შეცილებაში რომ იყო, ამ დროს მოლაც მოვიდა, შეხედა ვირს, შემოუარა აქეთ-იქიდან და ძალიან მოეწონა. მაგისი წონა ფულიც რომ მთხოვოს, უნდა მივცე და ეს ვირი კი დავისაკუთროო, — გადაწყვიტა გულში და გლეხს შეევაჭრა:

— ძმობილო, რა ღირს შენი ვირიო?

— ას თუმანს ფეხს არ მოვუცვლიო, — უპასუხა გლეხმა.

მოლა შეყოყმანდა, ეს მართლაც მეტისმეტად დიდი ფული იყო, მაგრამ აქეთ-იქიდან ხალხი შეუჩნდა, — მოლავ, ფულიანი კაცი ხარ და ფასიც ნუ გენანება, ხომ იცი, თეთრი ვირი შაჰების საჯდომი ვირის ჩამომავალია და ასეთს ყოველთვის ვერ იშოვიო.

მოლა შეგულიანდა, დაუთვალა გლეხს ასი თუმანი, გაიგდო წინ ვირი და გასწია თავისი სახლისაკენ. გზადაგზა ვირი უფრო გასალისდა. ხან კუნტრუშობდა, ხან დაიყროყინებდა. ხან კი ახალ პატრონს მოუტრიალდებოდა და გაეთამაშებოდა. გახარებული მოლა სახედარს თვალს არ აშორებდა, — სწორედ რომ ჩემი საკადრისი საფერხე ვიშოვეო, — ჩაილაპარაკებდა მალმალე და ნასიამოვნები ხელს ინით შეღებილ წვერზე ჩამოისვამდა.

ასე მიიყვანა მოლამ შინ ვირი და ნათელ თავლაში დაბა. მეზობლები და ნაცნობები ულოცავდნენ მოლას კარგი ვირის შეძენას. მოლა თვითონაც ძალიან ამაყობდა თავისი ჯიშიანი სახედრით და შესაფერისადაც უვლიდა: ყოველდღე აბანავებდა, სუფთა პირსახოცით ამშრალებდა. არც საჭმელს აკლებდა, ბაგას ქერითა და ქიშმიშებით უვსებდა და, თუ დააკლდებოდა, კიდევაც უმატებდა. მერე გამოიყვანდა კარში, წამოჰყრიდა ავშარას და ფართო ეზოში სანავარდოდ გაუშვებდა.

ერთ დღესაც მოლამ ჩვეულებრივ აბანავა თავისი ვირი, გაწმინდა, კარგად გააძღო ქერ-ქიშმიშით და ეზოში გამოიყ-

ვანა, ვირმა ერთი შეიკუნტრუშა, დაიყროყინა და უცბად იქვე მდგარ პატარა სურაში ჩაძვრა.

მოლა გაშტერდა და ნანახი თვალებს არ დაუჯერა, მაგრამ ვირმა ცოტა ხნის შემდეგ სურიდან ჯერ თავისი გრძელი ყურები ამოყო, მერე მთლიანად ამოვიდა, მოლას თვალწინ ძველებურად შეიკუნტრუშა და ისევ სურაში ჩაძვრა. მოლა მთლად გადაირია და გაკვირვებულმა ხმამაღალი ყვირილი ატეხა:

— ხალხნო, არ გიკვირთ, რა მოხდა, ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა, ისევ ამოძვრა და ისევ ჩაძვრაო!

ყვირილზე მეზობლები მოცვივდნენ და შეეკითხნენ:

— რა იყო, მოლავ, რა გაყვირებდაო?

— როგორ რა მაყვირებდა, ჩემი ვირი სურაში ჩაძვრაო, — მიუგო მოლამ.

ხალხი მოლაზე უარესად გაკვირდა: როგორ შეიძლება ვირი სურაში ჩაძვრესო, და მოლას ურჩიეს, გაჩუმდი და ასეთი სისულელე მეორედ აღარ წამოგცდესო. მაგრამ მოლა არ დაცხრა და კვლავ თავისას გაიძახოდა:

— ჩემი ვირი ნამდვილად ჩაძვრა სურაში, მერე ამოძვრა და ისევ ჩაძვრაო!

მეზობლებმა დაასკვნეს, ჭკუაზე შეიშალაო და საჩქაროდ ექიმთან წაიყვანეს. მოლამ ექიმთანაც იგივე გაიმეორა:

— ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა, მერე ამოძვრა და ისევ ჩაძვრაო!

— საწყალს, ციებ-ცხელება თავში ავარდნია და მორევიაო, — თქვა ექიმმა და ხალხს უთხრა, — გახადეთ ტანსაცმელი, შეუკარით ხელ-ფეხი და დააწვინეთო.

მისცვივდა ხალხი მოლას, გახადეს ტანსაცმელი და ხელ-ფეხშეკრული ტახტზე გაშოტეს. ექიმმა მოიტანა ერთი მოზრდილი ყინულის ნატეხი და თავზე დაადო.

ექიმი ყოველდღე მოდიოდა და ეკითხებოდა:

— აბა, მოლავ, სად არის შენი ვირიო?

— ჩემი ვირი სურაში ჩაძვრა, ისევ ამოძვრა და ისევ ჩაძვრა და ასლაც იქა ზისო, — უპასუხებდა მოლა.

— ჰო, სიცხე ჯერ კიდევ არ გამონელებიაო, — იტყოდა ექიმი და უმატებდა თავზე ყინულის ნატეხებს.

მოლას ყინულისაგან თანდათან თავი გაეყინა, მერე სახეც გაულურჯდა და ბოლოს ფეხებიც გაფშიკა. ვირი კი ამოძვრა სურიდან, ისევ ეშმაკად გადაიქცა და ღელისაკენ მოკურცხლა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ცეროდენა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ერთხელ ქმარი სახნავად წავიდა, შუადღემ რომ მოაწია, ცოლმა ცხელი პური, მაწონი და ლობიოს შეჭამანდი ხურჯინში ჩაალაგა, გადაიკიდა მხარზე და წაუღო ქმარს ყანაში.

ქალი ორსულად იყო და გაჭირვებით მიდიოდა, ნასევარი გზა რომ გაიარა, მუცლიდან ბავშვმა დაუძახა:

— დედი, მომეცი ხურჯინი და მე ავიკიდებო!

— სადა ხარ, შვილო, რომ ვერა გხედავო? — ჰკითხა დედამ.

— აი, დედილო, აქა ვარო, — მოესმა დედას დაბლიდან. დაიხედა დედამ ძირს და ცერისტოლა ბიჭი დაინახა, ისე დაბადებულიყო, დედამ ვერც გაიგო, იდგა ხელებგაწვდილი და ეუბნებოდა, — მომეცი, დედი, ხურჯინი, მომეცი, მე წამოვიღებო.

მისცა დედამ ხურჯინი, მაგრამ რის წამღები იყო! ხურჯინის სიმძიმემ თავ-ფეხიანად მიწაში ჩააძვრინა. ხურჯინი ისევ დედამ აიკიდა და გაუდგნენ გზას, წინ ცეროდენა მიცაკუნობს, უკან დედა მიჰყვება. მივიდნენ მამასთან. ცეროდენამ გუთანი რომ დაინახა, ახლა მამას დაუყინა: — მამილო, ჩამოდი უღლიდან, მე უნდა დავუჯდეო.

მამა სიცილით მოკვდა:

— შენ რა ხარ, შე პაწაწკინავ, და შენი უღელზე დაჯდომა რა უნდა იყოს. რომ ჩამოვარდე, ხომ გაგჭყლიტეს ხარებმაო.

— არა და არა, უნდა დავუჯდეო, — გაჯიუტდა ცეროდენა.

რაღას იზამდა მამა, ჩამოვიდა და დასვა უღელზე ცეროდენა. ჯერ ერთი კვალიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ცეროდენა უღლიდან გადმოვარდა და კამეჩის ნეხვში ჩავარდა. ჩავარდა და თავფეხიანად ჩაიკარგა.

გაიხედეს დედ-მამამ და, აღარსადაა ცეროდენა. აი აქეთ ეცნენ, აი, იქით, მაგრამ ვეღარ იპოვეს. დაღონდნენ ძალიან, ეს რა დაგვემართა, ჯერ რა შვილი გვეყოლა, ერთი ციცქნა, და ისიც დავკარგეთო.

იღბლად ცა მოიღრუბლა, დაიქუხა, გაიგრიალ-გამოიგრიალა, ცეცხლის საზები გაავლო, გაკლაკნ-გამოკლაკნა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. წვიმამ კამეჩის ნეხვი გაშალა, ვაფანტა, გადარეცხა და ცეროდენა გამოაჩინა. ცეროდენამ გრძელი წამწამები დააფახულა, პირი და ყურები გამოირეცხა და ისევ ის კოხტა ბიჭი დადგა. ოღონდ ეგ იყო, წვიმაში ცოტათი შესცივნოდა, მაგრამ ამაზე სულაც არ წუხდა. დედ-მამას უთხრა, — თქვენ საქმეს მიხედეთ, ჩემს თავს მე თვითონ მოვუვლიო. იქვე, მუხის ძირას ცეცხლი დაანთო და მიეფიცხა.

სად იყო, და სად—არა, მუხასთან ერთი მშიერი მგელი მოძუნძულდა, დაინახა ცეროდენა და ძალიან გაუხარდა, ერთი ლუკმა მაინც გამომივაო. მივიდა ცეროდენასთან და უთხრა: უნდა შეგჭამოო.

— ვერ შემჭამო, — უპასუხა გულადად ცეროდენამ, წამოხტა ფეხზე, ერთი წვეტიანი წკირი იპოვა და მგელს შეუტია: — აქედან დაიკარგე, თორემ თავს გაგიხეთქავო! — მგელს სიცილადაც არ ეყო ცეროდენას მუქარა, გააღო პირი და კბილებში მოიქცია.

მგელს ძვლის ხვრაში ერთი კბილი მოსტეხოდა და ძალიან სტკიოდა, ჩაუჯდა იმ ნაკბილარში ცეროდენა და დაუწყო ჯოხით ჩხვლეტა. მგელმა ტკივილს ვეღარ გაუძლო და ღმუილი მორთო. ატრიალა ყბები, ისვა ენა, იგრიხა აქეთ-იქით, მაგრამ ამაოდ, ცეროდენას ვერაფერი დააკლო. ბოლოს უთხრა: — გამოდი და აღარას გერჩიო:

— არა, ვერ გენდობი, — უთხრა ცეროდენამ, — ვიცი, რა

ჩტარვალიცა სარ, გინდა, რომ კბილებში მოშიგდო, მაგრამ ვერ ელირსები ჩემ აქედან გამოსვლასო.

მგელი შეწუხდა: — ეს რა სათაბალა. გადავიკიდეო, და ცეროდენას შეესვეწა:

— ოღონდ გამოდი და ეფიცავ ჩემს გამჩენს, არც კბილებში მოგიგდებ და ერთ ოქროსმატყლიან ვერძსაც გაჩუქებო.

ახლა კი გამოვიდა ნაკბილარიდან ცეროდენა და მგელს წინ დოინჯშემოყრილი დაუდგა: — აბა, პირობაზე როგორა ხარო?

— პირი პირია და არ გატყდებაო, — უთხრა მგელმა, აჩუქა ერთი ოქროსმატყლიანი ვერძი და კუდამოძუებული თავის გზაზე წავიდა.

რაკი ცხვარი იშოვა ცეროდენამ, ერთი ჩალის სალამურიც გაიკეთა, გაიყვანა ვერძი სოფლის პირას და ეკლესიის გვერდით საბალახოდ გაუშვა. თვითონაც გვერდით მიუჯდა და სალამური აარაკრაკა. ძოვს ვერძი ბალახს, ცეროდენა სალამურს არაკრაკებს და მასთან ერთად გარემოც ხარობს: ყვავილებზე პეპლები ცეკვავენ, ნიავი მიმოქრის, ხეები ტოტებს ხრიან და ჩიტები სტვენა-ჭიკჭიკით ეხმიანებიან.

უცბად თოფ-იარაღში ჩამჯდარი ყაჩაღები მოვიდნენ, საყდრის გატეხა უნდოდათ. შემოუარეს საყდარს ირგვლივ, მაგრამ ყველა კარი შიგნიდან დაკეტილი დახვდათ. მივიდნენ ცეროდენასთან და ყაჩაღების უფროსმა უთხრა:

— წამოდი, ფანჯრიდან საყდარში გადაგსვამთ და შიგნიდან კარი გაგვიღეო.

— ვერ წამოვალო, — უთხრა ცეროდენამ, — ჩემს ვერძს უპატრონოდ ვერ დავტოვებ, მგელი შემიჭამსო.

— ოღონდ წამოდი და შენს ვერძსაც ვუპატრონებთ და ნაძარცვის ნახევარსაც მოგცემთო, — შეეხვეწნენ ყაჩაღები.

დაიყოლიეს ბოლოს ცეროდენა ყაჩაღებმა და გადასვეს ფანჯრიდან. ცეროდენამ გაუღო კარები, შევიდნენ ყაჩაღები და, რაც კი რამ ძვირფასი ნახეს, ოქრო-ვერცხლი, ნივთები, ყველაფერი მოხვეტეს და გამოზიდეს. გამოვიდა ცეროდენაც და ყაჩაღებს უთხრა:

— აბა, ჩამაბარეთ ჩემი ოქროსმატყლიანი ვერძი და დაპირებული ნახევარიც მომეცითო.

მაგრამ ყაჩაღებმა არც დაპირებული ნახევარი მისცეს და აღარც ვერძი დაუბრუნეს: — დაიკარგე, შე ბუზის ტოლავ, შენ ან ვერძი რად გინდა, ან ოქრო-ვერცხლიო.

— მომეცით, თორემ განანებთო!—მუქარით უთხრა ცეროდენამ.

ყაჩაღებმა სიცილი დაიწყეს, — უყურეთ ამ ციცქნას, მუქარასაც რომ გვიბედავსო.

— რაკი სიკეთე არ გინდათ, ახლა მე მიყურეთო, — თქვა ცეროდენამ, ისკუპა და ყაჩაღების მეთაურს ყურში შეუძვრა, ჩაუძვრა ტვინამდე და თავისი წვეტიანი ჯოხით ტვინში ჩხვლეტა დაუწყო.

მეთაური ტკივილისაგან დაიკლაკნა და ხელქვეითებს უყვირა: — მიშველეთო!

მოცვივდნენ ყაჩაღები, ჩასედეს ყურში, მაგრამ ცეროდენა ვერსად დაინახეს, უთხრეს მეთაურს:

— ისე ღრმად შესულა, რომ ამოყვანა შეუძლებელიაო.

ცეროდენა კი ჩხვლეტდა და ჩხვლეტდა წვეტიან ჯოხს ტვინში. მეთაურმა ტკივილს ველარ გაუძლო და ცეროდენას შეეხვეწა:

— ოღონდ გამოდი, ნუ მაწამებ და, რასაც მთხოვ, ყველაფერს შეგისრულებო.

— აბა, დაიფიცეო, — უთხრა ცეროდენამ.

ყაჩაღების უფროსმა დაიფიცა, მაშინ ცეროდენამ უთხრა:

— ნაძარცვი ისევ ეკლესიაში შეზიდეთ, ჩემი ვერძი დამიბრუნეთ და თქვენი თოფ-იარაღიც ჩამაბარეთო.

უფროსმა ყაჩაღებს უბრძანა და მთელი ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი ეკლესიაში შეაზიდვინა, ოქროსმატყლიანი ვერძიც მოაყვანინა, თოფ-იარაღიც ააყრევინა და ერთად დააწყობინა. მერე თვითონაც აიყარა იარაღი და ცეროდენას დაუყვირა: — შენი თხოვნა შესრულებულია და გამოდიო.

გაბოვიდა ცეროდენა, შემოირტყა სავაზნეები, გადაიკიდა მხარზე თოფები და თავისი ვერძიც წამოიყვანა. დედ-მამას უკვე დაკარგული ეგონა, ვინ იცის, რამ გაჭყლიტაო, და საღსალამაოი და თანაც თავით-ფესებამდე იარაღში ჩამ-

ჯდარი რომ დაუბრუნდათ, სიხარულით ცას ეწივნენ და დიდი საღმრთო გადაიხადეს.

ამ დღიდან ცეროდენას აღარც მგლის შიში ჰქონდა, აღარც ყაჩაღებისა. შემოირტყამდა სავსე სავაზნეს, გადაიკიდებდა თოფს და სალამურის დაკვრით თავის ვერძს იალაღებისაკენ გაირეკავდა. საღამოზე დედა ვერძს პარსავდა, მაგრამ მეორე დღეს ვერძი საძოვრიდან ისევ ხშირი მატყლით შემოსილი ბრუნდებოდა. მამა ოქროს მატყლს ბაზარზე ყიდდა და ტანსაცმელიც და სასმელ-საჭმელიც ულევად ჰქონდათ. დედ-მამა სულ შვილის ქებაში იყო, — ეს რა ყოჩაღი ბიჭი გვეყოლაო. და განა არ იყო საქებარი?

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ორი მეგობარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი კაცი, ერთი — ტინიხიდელი, მეორე — ხიდისთაველი. ერთმანეთში დიდი მეგობრობა ჰქონდათ, მაგრამ ხასიათით კი სრულიად განსხვავდებოდნენ: ხიდისთაველი ისეთი კაცი იყო, მოვალეს საფლავის კარამდე მიჰყვებოდა, გასვრეტილი შაურიანი რომ ესესხებინა ვისმესთვის, მერე მოსვენებას აღარ მისცემდა, თუნდ იმ მოვალეს ათასი თუმნის პატივიც ეცა. ტინიხიდელი კი ისეთი ჯანჯალი იყო, ვისმესი ერთი ჯამი ლობიო რომ მართებოდა, მთელ მეჯლისს გაუმართავდა და ვალს კი არ დაუბრუნებდა.

ერთხელ ტინიხიდელმა თავისი მეგობარი ხიდისთაველისაგან ერთი აბაზი ისესხა და გადახდას სამი დღის შემდეგ შეპპირდა.

გავიდა სამი დღე და ხიდისთაველიც მაშინვე მოვალის კარზე გაჩნდა. ტინიხიდელმა მეგობარი შინ შეიპატიჟა, ქათამი დაუკლა, ერთი თუნგი ღვინო დაალევინა, მაგრამ ვალზე კი უარი უთხრა:

— ბოდიში, ძმაო, პირობა ვერ შეგისრულე, ერთი თვის შემდეგ მოდი და უეჭველად გადაგიხდიო.

გავიდა ერთი თვე, ისევ მიადგა ხიდისთაველი მოვალეს კარზე და აბაზი მოსთხოვა. ტინიხიდელმა კვლავ ქათამი დაუკლა, ერთი თუნგი ღვინო კიდევ შეასვა და ისევ ბოდიშით გაისტუმრა:

— ერთი თვე კიდევ მაცალე და უსათუოდ გადაგიხდიო.

გავიდა ის თვეც, მაგრამ ტინიხიდელმა ვალი არც ამჯე-

რად გადაუხადა, თუმცა მოვალეს ქათამი ახლაც დაუკლა და კარგადაც აქეიფა.

თვე თვეს მისდევდა, ხიდისთაველი ვალს არ ივიწყებდა, ტინიხიდელიც ჩვეულებრივ ჯანჯღლობდა და მოვალეს პურღვინით უმასპინძლდებოდა. ბოლოს, ყველაფერი რომ გამოელია — აღარც ქათმები შერჩა და აღარც ღვინო, ცოლს უთხრა:

— ვიცი, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი ხიდისთაველი ძმაკაცი იმ ერთ აბაზს არ შემარჩენს, ამიტომ, მოდი ასე ვქნათ: კუბო ვიყიდოთ, მოსვლის დრო რომ მოვა, მე კუბოში ჩავწვები, შენ შავები ჩაიცვი და ტირილით შეეგებე. იქნებ როგორმე დავაჯეროთ, რომ ცოცხალი აღარა ვარ და ეს ვალი შევინარჩუნოთო.

ქმრის აზრი ცოლსაც ჭკუაში დაუჯდა. იყიდეს კუბო და ტინიხიდელი გულხელდაკრეფილი ჩაწვა შიგ. ცოტა სანი და, გამოჩნდა ხიდისთაველიც. ტინიხიდელის ცოლმა საჩქაროდ შავები გადაიცვა, თმა გაიწეწა, სასე ჩამოიხოკა და მოვალეს ტირილითა და ვაი-ვიშით შეეგება. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ხიდისთაველს თავის აბაზზე სელი არ აეღოს. მოვალის სიკვდილი რომ გაიგო, მაშინვე ღრიალი მორთო, — ვაიმე, ჩემო აბაზოო! — და კუბოსკენ გაიწია, — მეც შიგ უნდა ჩავწვე და ჩემს აბაზთან ერთად დავიმარხოო.

მოიყვანეს მღვდელი, კუბოში მწოლიარე ტინიხიდელს ანდერძი აუგეს და ერთ დანგრეულ ეკლესიაში დაასვენეს. ხიდისთაველი ძმაკაცს არც ახლა მოეშვა, მეც ამასთან უნდა გავათიო ღამეო, დაიჟინა და კუბოს გვერდით მიუწვა.

შუაღამისას გარედან რაღაც საეჭვო ხმა შემოესმა. შეეშინდა ემანდ ეშმაკები არ იყვნენო და გულგახეთქილი ტრაპეზში დაიმალა. ცოტა ხნის შემდეგ ეკლესიაში სამი კაცი შემოვიდა და თან ფულით გატენილი ტომარა შემოიტანეს. თურმე ნუ იტყვით, ესენი ქურდები ყოფილიყვნენ, ხაზინა გაეძარცვათ და ეკლესიაში ფულის გასაყოფად შემოსულიყვნენ.

აანთეს სანთელი, ფული იატაკზე წამოყარეს და მუჭით დაიწყეს გაყოფა: ერთი მუჭა ერთს, მეორე — მეორეს და

მესამე — მესამეს. ბოლოს ერთი მუჭა დარჩათ და ბჭობა გამართეს, — რა ვქნათ, როგორ გავიყოთო. ერთმა თქვა:

— მოდით, ეს მკვდარი კუბოდან ამოვიღოთ და რომელიც ხანჯლის ერთი დაკვრით შუა გაკვეთს, ფულიც იმას დარჩესო.

ეს აზრი ყველამ მოიწონა, იშიშვლეს ხანჯლები და ის იყო, კუბო უნდა გადმოებრუნებინათ, რომ ტინიხიდელმა თვითონვე წამოიწია და ყვირილი ატეხა.

— არიქათ, მკვდრებო, მიშველეთ, ეკლესიაში ქურდები შემოსულან და დავიჭიროთო!

ტრაპეზში დამალულმა ხიდისთაველმა ძმაკაცის ხმა იცნო და იქიდან გამოსძახა:

— ხელი მაგრად ჩასჭიდე, არ გაუშვა და ჩვენც ახლავე მოგეშველებითო!

გულგახეთქილი და თავზარდაცემული ქურდები ფხაჭაგლეჯით გამოცვივდნენ ეკლესიიდან და უკან მოუხედავად მოკურცხლეს. ფული კი ძმაკაცებმა გაიყვეს. მაგრამ ხიდისთაველს ვალი მოაგონდა და ტინიხიდელს უთხრა:

— აბა, ძმაო, ახლა ხომ გაქვს ფული და ბარემ ჩემი აბაზი დამიბრუნეო. ტინიხიდელმა ისევ ჯანჯლობა დაიწყო, მოუვიდათ ლაპარაკი — ძალს ერთია, ძალს — მეორე.

ამასობაში შეშინებული ქურდები გონს მოეგნენ, მოდით, გავიგოთ მართლა მკვდრები დაცოცხლდნენ, თუ მოგვეჩვენაო, თქვეს და ამბის გასაგებად ერთი ამხანაგი გამოგზავნეს.

ქურდი სწორედ იმ დროს მივიდა ეკლესიასთან, როცა ხიდისთაველი და ტინიხიდელი აბაზზე დაობდნენ. ქურდს ცნობისწადილმა წასძლია და სარკმლიდან გადაიხედა. ტინიხიდელმა თვალი შეასწრო, მოხადა ქუდი და ამხანაგს მიუგო:

— აჰა, იმ ერთ აბაზში ეგ ქუდი გქონდეს და ერთხელ და სამუდამოდ ჩამომეხსენიო.

ქუდმოხდილი ქურდი სირბილით დაბრუნდა ამხანაგებთან და ხმის კანკალით უამბო, რაც ნახა:

— ძმებო, საჩქაროდ გავეცალოთ აქაურობას, თორემ იმდენი მკვდრები წამომდგარან საფლავებიდან, ჩვენი ფულიდან თითო აბაზიც არ შეხვედრიათ, ერთს ჩემი ქუდი მისცეს აბაზში და სხვებს რას უზამენ, რას მისცემენ, არ ვიცი, ჩქარა თავს ვუშველოთ, თორემ თუ წამოგვეწივნენ, ამ ფულებსაც წაგვართმევენო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მეცხვარე

იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი მეცხვარე კაცი. ერთხელ ეს კაცი მთაზე ცხვარს აძოვებდა. უცბად ფარას ერთი რქებდაგრეხილი ყოჩი მოსწყდა და ქვევით, ბუჩქნარისაკენ დაეშვა. მეცხვარე დაედევნა და მოაბრუნა, მაგრამ ყოჩი ფარაში მაინც არ გაჩერდა და ისევ ბუჩქნარისაკენ დაეშვა; მეცხვარემ მეორედაც მოაბრუნა. ყოჩმა მესამედაც იგივე ქნა — მოსწყდა ფარას და ქვევით დაეშვა.

— უნდა გავიგო, სად ეშმაკებში იწევს ეს მგლის შესაჭმელიო, — თქვა მეცხვარემ და უკან გამოუდგა.

ყოჩმა იარა, იარა და ერთ ლიხიან ჭალაში გავიდა. დადგა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. უცბად ერთი მგელი გამოვარდა, ეცა ყოჩს და ტყისკენ გააქანა.

ამ ამბავმა მეცხვარე უზომოდ გააკვირვა. იდგა დიდხანს გარინდებული და ფიქრობდა: კაცი ცხვარში ვბერდები, მაგრამ ასეთ რამეს არც მოვსწრებივარ და არც ამბად გამიგონია. ჭედილა სამჯერ გამოვაბრუნე, მაგრამ ამაოდ — სანამ არ წავიდა და მგელს პირში არ ჩაუვარდა, არ მოისვენა. ნანს, რაღაც განგების ძალა მოქმედებს და, თუკი აგრეა, მე რაღად ვიკლავ თავს და დღე და ღამე ველის არგნად ვყუდივარ. მგელს სომ მისცა ღმერთმა უშრომლად და უწვალებლად. მაშ, თუ უნდა, მეც ასევე მომცემსო. — აიღო მწყემსის კომბალი, გუდა-ნაბადი, ხელუკუღმა გადაყარა და სახლისაკენ გასწია. შინ რომ მივიდა, ცოლმა ჰკითხა:

— კაცო, სახლში რომ მოხვედი, ცხვარი ვიღას დაუტოვეო?

მეცხვარემ უამბო ყველაფერი, რაც თავს გადახდა, და ბოლოს უთხრა:

— თუ ღმერთს უნდა, ცხვარს ისეც მომცემს, უმწყემსავად, თუ არა და, ძალით ვერაფერს გავსღებიო.

ცოლი ბევრს ეჩიჩინა და ეჩხუბა, წადი, მიხედეო, მაგრამ ქმარმა არ გაუგონა, წამოწვა შინ მხართეძოზე და ადგილიდან აღარ იძროდა. უბედურება უფრო ის იყო, რომ კაცი მარტო ცხვარში წასვლაზე კი არ ამბობდა უარს, აღარც სხვა საქმეს აკეთებდა, თან სულ იმას გაიძახოდა: — ღმერთს თუ უნდა, უშრომლადაც მომცემსო!

ერთ დღეს მეცხვარის ცოლს პური უნდა გამოეცხო, მაგრამ ეზოში თონის გასახურებელი წკირიც ვეღარ იპოვა. შეეიდა შინ და ქმარს საყვედურით უთხრა:

— კაცო, ეზოში ჩხირიც აღარ იბადება, ადექი, ფიჩხი მაინც მოიტანე, რომ თონე გავახურო და პური გამოვაცხო, თორემ მშივრები დავრჩებითო.

— თუ ღმერთს უნდა, ისეც მომცემსო, — უპასუხა ქმარმა და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.

— კაცო გაგიჟდი, თუ რა მოგივიდა! — დასჭყივლა ცოლმა, — ღმერთი რას მოგცემს, თუ ხელი არ გაანძრიე. ჯერ ცხვარი დაღუპე და ახლა ოჯახიც გინდა ზედ მიაყოლო? კარგი, თუ არ შეგრცხვება, მეზობლებში ხარ-ურემს ვითხოვ და თვითონ წავალ ფიჩხის მოსატანადო.

მართლაც, ადგა დედაკაცი, ინათხოვრა ხარ-ურემი და წავიდა ტყეში. დაჭრა ხეები, დაამზადა ფიჩხი, დაუდო ურემზე და წამოიღო. გზაზე რუ შემოხვდა, ცხელი დღე იყო, კამეჩები დალექდნენ და, როგორც სჩვეოდათ, წყლისაკენ გასწიეს. ჩაწვნენ რუში და სანამ მზე არ გადაისარა, აღარ გამოვიდნენ, მერე ადგნენ და რუს ნაპირს ძოვა-ძოვით გაჰყვნენ. თვალთაგან რომ არ დაჰკარგოდნენ და შორს არ წასულიყვნენ, ქალიც უკან მიჰყვებოდა. ბოლოს, როცა ივარაუდა, ახლა კი დაძღებოდნენო, სათავე დაუარა და გზისკენ გამოაბრუნა. მობრუნებისას, რუს ვიწრო კალაპოტში კამეჩები ნაპირის კედელს გაეხასუნნენ და ჩამოანგრიეს ჩამონაშალ-

ში ერთი მოზრდილი ქვევრის ცალი გვერდი გამოჩნდა. ქალს გაუკვირდა, — ამ კლდე-ღრეში ქვევრი ვის რად ჩაუგდია მიწაშიო, და ახლოს მივიდა. აქედან შეხედა, იქიდან შემოხედა და დაუწყო თხრა. იმდენი თხარა, იმდენი, რომ პირი გამოუჩინა, ახადა სარქველი და რას ხედავს! ქვევრი სულ ბაჯაღლო ოქროს ფულით არის სავსე!

დედაკაცი სიხარულისაგან კინაღამ გაგიჟდა, მაგრამ ქვევრი ისეთი დიდი იყო, რომ ადგილიდან ვერ დაძრა. ბოლოს ასე გადაწყვიტა: — „წავალ, ქმარს ვეტყვი, წამოვიყვან და ორივენი მოვერევითო". დააფარა ისევ სარქველი ქვევრს, შეაბა კამეჩები ურემში და სახლისაკენ სულ სირბილით გამოირეკა. ურემი საჩქაროდ გადმოცალა ეზოში, შევიდა შინ და ქმარს ახარა:

— ერთ კლდეში ოქროთი სავსე ქვევრი ვიპოვე, ადექი, წავიყვანოთ ურემი და ის ქვევრი შინ მოვიტანოთო.

ქმარმა ზარმაცად დაამთქნარა და მიუგო:

— ღმერთს თუ უნდა, იმ ოქროს ისეც მომცემსო.

ცოლი ახლაც ბევრს ეჩიჩინა, ემუდარა, ეჩხუბა კიდეც, მაგრამ ქმარი ადგილიდან ვერ გაატოკა. არა და — არა! თუ ღმერთს უნდა, ისეც მომცემსო. — შედგა ამ სიტყვაზე და ფეხი აღარ მოიცვალა.

რაღას იზამდა ცოლი? ადგა და ისევ იმ მეზობელთან წავიდა, ვისგანაც ხარურემი ინათხოვრა, და საიდუმლო გაანდო, ასე და ასეა საქმე, წამოდი, მიშველე ჩამოტანა და შუაზე გავიყოთო. მეზობელი საკამაოდ გაქნილი და ხარბი კაცი იყო, მაშინვე მოიფიქრა, როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ნაპოვნი ოქრო სულ თვითონ დარჩენოდა, და მეცხვარის ცოლს უთხრა:

— აბა შენ რაღად გაწვალო, პოვნა შენია, ჩამოტანა ჩემი იყოს და ბარიბარში ვიქნებით. როგორც კი შეღამდება, მარტოკა წავალ, ჩამოვიტან და გავინაწილოთო.

— კარგიო, — უთხრა მეცხვარის ცოლმა.

შეღამდა თუ არა, მეზობელმა ურემზე ორი ცარიელი ტომარა შეაგდო და მეცხვარის ცოლისაგან მინიშნებული კლდისაკენ გასწია. მივიდა, გადმოიღო ოქროს ფულებით სავსე ქვევრი და ტომრებში გადაცალა, ცარიელი ქვევრი გვერ-

ბაყაყებით გაავსო და ისიც ურემზე დაუდო. სოფელში რომ ჩამოვიდა, ჯერ თავის ეზოში შეიყვანა ურემი და ტომრები გადმოაწყო, ხოლო გველ-ბაყაყებით სავსე ქვევრი მეცხვარის ცოლს ჩაუტანა. თავი ისე მოაჩვენა, ვითომ ძალიან გაჯავრებული იყო, ქალს ლანძღვა-გინება დაუწყო:

— შე ასეთ-ისეთო, რატომ მომატყუე ამ ხნის კაცი და ტყუილად მაწვალე. აჰა, შენი ქვევრი და ოქროები სულ შენი იყოსო! — და ქვევრი ჭიშკარში მოაპირქვავა.

ქალს ძალიან დასწყდა გული, რომ ოქროების ნაცვლად ხელთ გველ-ბაყაყები შერჩა, მაგრამ რაღას იზამდა, ისევ ქმართან შევიდა და ჩხუბი დაუწყო:

— შე ოხერო, შენი უნიათობით ოქროები ხომ დავკარგეთ და დავკარგეთ, ადე, ცხვარს მიხედე, იმას მაინც ნუღარ დავკარგავთო. — მაგრამ ქმარმა ისევ დაუდევრად უპასუხა:

— თუ ღმერთს უნდა, ისეც მომცემსო.

ხარბმა მეზობელმა კი, რაკი ხელთ ოქროები იგდო, ახლა ცხვრის დასაკუთრებაც მოინდომა. დაიქირავა მაშინვე მწყემსები, წაასხა მთაში, მოაგროვებინა მეცხვარის დაფანტული ფარები და სულ სხვა მხარეს გაარეკვინა. საბოლოოდ ცხვარიც და ოქროც ხარბსა და წამგლეჯ მეზობელს დარჩა და კარგადაც გამდიდრდა, მეცხვარე კი დღესაც ტახტზე გორავს და გაიძახის: — თუ ღმერთს უნდა, ისეც მომცემსო, მაგრამ ღმერთს ჯერაც არაფერი მიუცია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მდიდარი და ღარიბი

იყო და არა იყო რა, ქვეყნად სამოთხეზე უკეთესი რა უნდა იყოს, მაგრამ ღმერთიც, ეს დალოცვილი, სამოთხის კარს თურმე მხოლოდ მდიდრებისათვის აღებს, ღარიბ-ღატაკს კი მარტო იმედსა და მოლოდინს უტოვებს. ჰოდა, იყო ერთი საწყალი კაცი, ძალიან რომ გაუჭირდა ცხოვრება, ადგა და ერთ მდიდარ მებატონეს დაუდგა მოჯამაგირედ. მდიდარი კი აბა ისე როგორ იქნებოდა, თუ საწყალ კაცს სულს არ ამოხდიდა. რაკი შეიტყო მდიდარმა მოჯამაგირის გაჭირვება, საქმე გაუორკეცა — მუშაობით კლავდა და მაძღრისად არც პურს აჭმევდა. საწყალი კაცი კარგად ხედავდა თავის გასაჭირს, მაგრამ არას ამბობდა, ყველაფერს ითმენდა, თავისი ცოდვა საიქიოს მოეკითხებაო, ინუგეშებდა თავს და ბატონს ერთგულად ემსახურებოდა.

ჯერ წელიწადიც არ გასულიყო, რომ ზედმეტი ტანჯვა-შიმშილისაგან ეს საწყალი კაცი მოკვდა, ქელეხში მდიდარმა უზომოდ ბევრი ჭამა, დაემართა კუჭის ანთება და ისიც მოჯამაგირის კვალს გაჰყვა.

მიდის მოჯამაგირე საიქიოსკენ და წამოეწია ბატონიც.

— „ჰო, — თქვა მოჯამაგირემ გულში, — ახლა კი მოეკითხება ჩემი ცოდვა და გავსწორდებითო“.

იარეს, იარეს და მიადგნენ საიქიოს კარიბჭეს. კარებში ორი გუშაგი იდგა. გუშაგებმა მოჯამაგირეს შეუტიეს, — სადა ხარ აქამდე, რა ხანია გელითო, და კისერში მაგრად წაუთაქეს. მოჯამაგირემ იფიქრა, მე, ალალ-მართალს, რაკი ასე მკაცრად მომექცნენ, ჩემს ბატონს ალბათ სულს ამოხდიან ცემითო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, გუშაგებმა

ძვირფას ქურქში გამოწყობილი და ზორთულ-ზოკაზმული ბატონი რომ დაინახეს, განზე მიდგნენ და კარებში რიდითა და მოწიწებით გაატარეს.

„ეგ არაფერია. — ინუგეშა კვლავ თავი ზოჯამაგირემ, — მალე ღვთის კარზე მივალთ და უფლის სამართალს ვეღარსად გაექცევაო“.

იარეს, იარეს და ბოლოს მივიდნენ უფლის საბრძანებელში. ღმერთს აქეთ-იქიდან ანგელოზები ედგნენ, თვითონ ოქროს სკამზე იჯდა, თეთრი წვერი მუხლებზე ეფინა, ხელში ოქროს სასწორი ეჭირა და სამართალს არიგებდა. „ახლა კი მეშველებაო“, თქვა ზოჯამაგირემ გულში და ქუდმოხდილი წარუდგა უფლის სამართალს.

უფალმა სასწორი ასწია და ზოჯამაგირეს უთხრა:

— აბა, დაწვრილებით მოგვიყევი, რა ცოდვები გაქვს ჩადენილიო?

— მე ქვეყნად არაფერი ცოდვა არ მიქნია, — ზოახსენა ზოჯამაგირემ თავდაკვრით, — სულ მადლს ვთესავდი, ან ვინ ზომაცლიდა ცოდვის ჩასადენად, ნამოჯამაგირალი და ნატანჯ-ნაბეგვი კაცი ვარო.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ღმერთმა და ხელი ფაფუკ წვერზე ჩამოისვა, — ახლა ეს გვითხარი, ეკლესიაში თუ დადიოდიო?

— მე ეკლესიაში ვინ გამიშვებდა, — უთხრა ზოჯამაგირემ, — აგე ჩემი ბატონი აქა დგას, ეგ ისეთი ავი კაცია, რომ ეკლესიაში წასასვლელად კი არა, პურის საჭმელადაც არ მაცლიდაო.

— სანთლებს მაინც თუ ანთებდიო? — ჰკითხა ღმერთმა.

— არაო, — მიუგო ზოჯამაგირემ, — მე სანთლის საყიდ ფულს ვინ ზომაშავებდაო.

— არც მღვდლისთვის გიკოცნია ხელზეო?

— არა, ეკლესიაში არ მივლია და მღვდლისთვის სად უნდა მეკოცნაო?!

— შენ იქნებ კვირა-უქმე დღეებშიც მუშაობდიო? — ჰკითხა ღმერთმა.

— ვმუშაობდი და ეგრეო, — აღიარა ზოჯამაგირემ, — ჩემს ბატონს არც ერთ კვირა დღეს არ დავუსვენებივარო.

— მაშ, შენ დიდი ცოდვიანი კაცი ყოფილხარ, — უთხრა ღმერთმა, — დიდი ცოდვა აგიკიდნია და პირდაპირ ჯოჯოხეთში უნდა მოხვდეო. — და ანგელოზებს უბრძანა: — წაიყვანეთ ეს კაცი და შიგ შუა ჯოჯოხეთში შეაგდეთო.

ანგელოზები ეცნენ ამ საწყალ კაცს და დაუპირეს ჯოჯოხეთში შეგდება. კაცი შეეხვეწა:

— ცოტა ხანს მაცალეთ, აგე იმ ჩემი ბატონის გასამართლება მომასმენინეთ და მერე რაც გინდათ, ის მიყავითო.

ანგელოზები დათანხმდნენ და შორიასლო დააყენეს.

ღმერთმა ისევ ასწია სასწორი და ბატონს ჰკითხა:

— აბა, გვითხარი, რა ცოდვა გიქნიაო?

— მე არაფერი ცოდვა არ მიქნიაო, — უთხრა ბატონმა. — უცოდველი ვარ ბატკანივითაო.

— მაშ, ეკლესიაში დადიოდიო?

— როგორ არა, ყოველ კვირა ვაწირვინებდიო.

— კარგია, კარგი, — სასე უფრო გაებადრა ღმერთს, — სანთლებს თუ ანთებდიო?

— აბა, ეკლესიაში ისე როგორ მივიდოდი, რომ სანთელი არ მეყიდა, სულ ჩემსიგრძე სანთლებს ვანთებდიო.

— მღვდლისათვის თუ გიკოცნია ხელზეო?

— ხელზედაც მიკოცნია და პატივიც დიდი მიცია, ყოველ კვირა ვპატიჟებდი და საკლავს ვუკლავდიო.

საწყალ კაცს უნდოდა. ეყვირა, — ტყუის, არ დაუჯეროთ, მაგრამ ანგელოზებმა ხმა არ ამოაღებინეს. ღმერთმა კი ისევ მდიდარს ჰკითხა:

— კვირა-უქმე დღეებში ხომ არ გიმუშავიაო?

— იდიდოს, ღმერთო, შენი სახელი, — მიუგო ბატონმა, — საქმის დღეს არაფერს ვაკეთებდი, სულ მხართეძოზე ვიწექი და კვირა-უქმე დღეებში რა ჭირი მამუშავებდაო.

— აი, ბარაქალა შენს კაცობასო, — შეაქო ღმერთმა, — ნამდვილი უცოდველი შენა ყოფილხარ და სამოთხეც შენ გეკუთვნისო, და ანგელოზებს უბრძანა, — ამ კაცს ფართოდ გაუღეთ სამოთხის კარი და ოქროს ტახტზე დააბრძანეთო.

მაშინ კი ველარ მოითმინა მოჯამაგირემ, დააღო პირი, გადმოიხედა სააქაოსკენ და ხმამაღლა დაიყვირა:

— ხალხნო, ცოცხლად დარჩენილნო, ჩემსავით ღარიბ-ღატაკნო და გაჭირვებულებო, არ დაუჯეროთ არც მღვდელს, არც მოხელეს, საწყალი, ალალ-მართალი კაცისათვის აქ არც სამოთხე ყოფილა და არც განსასვენებელი, მანდაც და აქაც ყველა სიკეთე ცოდვილთა და სხვათა ოფლით გამდიდრებულთა კუთვნილება ყოფილაო!

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ARCHEVANI

იყო და არა იყო რა, ქვეყნად ვინ არ ყოფილა და მათ შორის ერთი დასანიშნი ბიჭიც იყო. ამ ბიჭს სამი ლამაზი ქალი ეძლეოდა: ერთი ქალიშვილი იყო, მეორე ქმარნაყოლი და მესამე ქვრივი, მაგრამ სამივენი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ და ბიჭმა აღარ იცოდა, რომელი ემჯობინებინა. იმდენი იფიქრა, იმდენი, რომ ფიქრისაგან მთლად ჩამოხმა. ბოლოს, ძალიან რომ გაუჭირდა, ადგა და მამას მიმართა,— მამი, ასე და ასეა ჩემი საქმე და მირჩიე რამე, რა ვქნაო?

— აბა მე რა გირჩიო, შვილო, — უთხრა მამამ, — წადი სოლომონ ბრძენთან და რასაც გეტყვის, ის გააკეთეო.

წავიდა ბიჭი სოლომონ ბრძენთან. მიდის, მიდის და გზაზე ხალხი დაინახა: უზარმაზარი მორისათვის თავ-ბოლოში ოთხ-ოთხი კამეჩი მოებათ და ერთი გნიასი ედგათ, მაგრამ მორს ადგილიდან ვერ ატოკებდნენ, რადგან ერთი ყევარი ერთ მხარეს ეწეოდა, მეორე — მეორე მხარეს. უყურა ბიჭმა, უყურა, მერე მივიდა ახლოს და უთხრა:

— კაცო, ეს რანაირი ხალხი ყოფილხართ, ან თქვენ რაზე იტანჯებით და ან საქონელს რად აწვალებთ, ახსენით ერთ-ერთი თავიდან ყევარი, მეორე ყევარს მიუბით, ერთ მხარეს გააწევინეთ და მორიც დაიძვრებაო.

— წადი, წადი, გზას ეწიე, — დატუქსეს კაცებმა, — ეს კამეჩებიც, მორიცა და ჩვენც სოლომონ ბრძენისა ვართ და საქმისაც თვითონ ვიცითო.

„ან ეს ხალხია გიჟი, ან თვითონ სოლომონ ბრძენიო", —

თქვა ბიჭმა გულში, მაგრამ გზა მაინც განაგრძო. — ვნახო მაინც, როგორი კაცია ეს სოლომონი ან მე რა რჩევა-დარიგებას მომცემსო.

გაიარა კიდევ ცოტა მანძილი და ხედავს: ერთ კაცს ზურგზე უზარმაზარი შეშის გუდურა წამოუკიდნია, ეწევა და ადგილიდან ძვრას ვერ უშვრება, მაგრამ მოკლების მაგიერ უფრო იმატებს და იმატებს შეშას. ბიჭს გაუკვირდა და ჰკითხა:

— კაცო, ხომ ხედავ, რაც ზურგზე გკიდია, იმასაც ვერ ერევი და სხვას რაღად იმატებო?

— საქმე ნახე, საქმე, — უთხრა კაცმა, — მე სოლომონ ბრძენის კაცი ვარ და თვითონ ვიცი, რასაც ვაკეთებო.

რა უნდა ეთქვა ბიჭს, უსიტყვოდ გაშორდა და გზა განაგრძო. ცოტა მანძილი რომ გაიარა, ახლა მესამე კაცს გადაეყარა: კედელთან იდგა და კედელს ცერცვს აყრიდა. ცერცვი ძირს ცვიოდა. ბიჭს გულმა არ მოუთმინა და უთხრა:

— ტყუილად ეწვალები, ძმობილო, კედელზე ცერცვის გაჩერება თვალით არაევის უნახავსო.

იმ კაცმაც ადრე შესვედრილი კაცებივით შეუტია:

— მამაშენს არ უთქვამს შენთვის, სხვის საქმეში არ ჩაერიოო? ეს საქმე სოლომონ ბრძენისაგან მაქვს დავალებული და იმან უფრო არ იცის, რა როგორ უნდა გაკეთდესო?

რაღა ეთქმოდა ბიჭს, გაუდგა თავის გზას, მაგრამ ქალაქში შესვლამდე ერთ საკვირველებას კიდევ გადაეყარა: ერთ ადგილას ოთხი თვალი წისქვილი ბრუნავდა, ოთხი კაცი ტომრებით ხელუკულმა ყრიდა ხვიმირებში საფქვავს, მაგრამ ფქვილი არსად ჩანდა. ბიჭს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

— კაცებო, ეს როგორ არის, რომ ხორბალს ტომრებით აყრით და ალაში კი ნამცეცი ფქვილი არ ჩადისო?

— წისქვილიც და ჩვენც სოლომონ ბრძენისანი ვართ და როგორც გვიბრძანა, ისე ვაკეთებთო. გაიარე, ღმერთი გიშველის, საქმეს ნუ გვაცდენო!

წავიდა იქიდანაც ბიჭი და მივიდა ქალაქში, კითხვა-კითხვით მიაგნო სოლომონ ბრძენის სახლს, შევიდა და თავისი გასაჭირი მოახსენა:

— სამი ქალი მეძლევა, სამივე ერთმანეთზე უკეთესი, ერთი ქალიშვილია, მეორე ქმარზე ხელაღებული და მესამე ქვრივი. არ ვიცი, რომელი შევირთო, თვითონ ვერ გადამიწყვეტია და რჩევისათვის თქვენთან მოვედიო.

— ეზოში ჩემი უმცროსი შვილი თამაშობს, ჩადი და მაგის პასუხს ის მოგცემსო, — უთხრა სოლომონ ბრძენმა.

ჩამოვიდა ბიჭი ძირს. სოლომონ ბრძენის შვილი ჯოხცხენაზე იჯდა და დასტოდა. ბიჭი მივიდა და თავისი გასაჭირი შესჩივლა. ბავშვმა ჯოხცხენა შეაჩერა და უთხრა:

— ქალიშვილს ახსნა არ უნდა, ქმარნაყოლთან ცხენი ქერსა სჭამს და ქვრივთან სამნი იქნებითო.

ბიჭმა ამ პასუხისა ვერაფერი გაიგო, დაბრუნდა ისევ სოლომონ ბრძენთან და სთხოვა, — ამიხსენიო.. სოლომონ ბრძენმა ბიჭი დასვა და უთხრა:

— ქალიშვილ ქალს ახსნა არ უნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ გამოუცდელია და შენი ერთგული იქნება. ქმარნაყოლ ქალს გამოცდილება აქვს და, თუ ძალიან კარგად არ მოექეცი, არ მოითმენს და როგორც პირველი ქმარი გაეყარა, შენც ისე გაგეცლება, ნაქვრივალს კი ყოველ წუთს მოაგონდება თავისი ქმარი, მეტადრე, თუ შენზე უკეთესი ჰყავდა და ამიტომ სამნი იქნებითო.

— მაშ ცოლად რომელი მოვიყვანოო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ეგ თვითონ უნდა გადაწყვიტო, — უთხრა სოლომონ ბრძენმა,—მე ჩემი ვალი მოვიხადე, გითხარი, რომელთან რა მოგელის და ახლა რომელიც გიჯობს, ის მოიყვანეო.

ბიჭმა ბოლოს გზადაგზა ნანახი ხალხის უცნაური საქციელის ახსნაც სთხოვა. სოლომონ ბრძენმა ესეც აუხსნა:

— ყველაფერი, რაც ნახე, ადამიანთა უგუნურების ნიშნებიაო, — უთხრა, — უშველებელ მორს თავ-ბოლოში რომ ყევარ-ყევარი კამეჩი ება და აქეთ-იქით ეწეოდნენ, ეს ადამიანთა შეუთანხმებლობას გამოხატავს, ადამიანები როცა თავთავისკენ იქაჩებიან, მათი საქმე წინ არასოდეს წავა. ტყეში კაცი შეშის გუდურაზე კიდევ შეშებს იმატებდა, — ეს სიხარბისა და გაუმაძღრობის ნიშანია, ხოლო სადაც სიხარბე და გაუმაძღრობაა, იქ სიკეთე არავის დაეყრება. კედელს ცერცვს რომ აყრიდა კაცი, ეს უგუნურობის ნიშანია:

ადამიანები ბევრს უსარგებლო რამეს აკეთებენ და საჭიროს და სასარგებლოს კი ივიწყებენ. წისქვილის თითო ხვიმირში ოთხი კაცი რომ ხელუკუღმა ხორბალს აყრიდა და ფქვილი კი არსად ჩანდა, ეს იმას ნიშნავს, რომ თუ კაცი ხელმართლად არ შრომობს, მისი ნაშრომი ნაყოფს არასოდეს გამოიტანსო, — უთხრა სოლომონ ბრძენმა და დაუმატა, — ყველაფერი ეს იმიტომ დაგანახვე, რომ ახალგაზრდა კაცი ხარ და შენი ჯანი და სიცოცხლე ფუჭ საქმეს არ შეალიო: გვერდით როცა ამხანაგი გახლავს, შეუთანხმდი და თავის ქეიფზე ნუ გაიწევ, ზედმეტს ნურასოდეს დახარბდები, უსარგებლო საქმეს ნუ შეეჭიდები და ოჯახში ხელუკუღმართს ნურაფერს შეიტანო.

ბიჭმა მადლობა გადაუხადა სოლომონ ბრძენს და წამოვიდა, მაგრამ ის კი არავინ იცის, რომელი ქალი მოიყვანა ცოლად და თავისი ცხოვრება როგორ მოაწყო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ბევრის მაძებარი ცოტასაც დაკარგავს

იყო და არა იყო რა, იყო ერთი წუწკი და ფულსდასარბებული დედაკაცი. სოფელში ისე არავის რამეს ასესხებდა ან არ ისესხებდა, რომ მერე შარი არ მოედო და ერთი აურზაური არ აეტეხა. სოფელში ყველა ერიდებოდა მასთან საქმის დაჭერას, მაგრამ მეზობლობას სად წაუხვალ!

ერთხელ ამ სოფლის ნაპირას ერთი შორი გზიდან მომავალი სოვდაგარი დაბანაკდა ღამის გასათევად. ჩამოხადა ნავაჭრი საქონელი ჯორ-აქლემებს და სოფელში ბიჭი გაგზავნა სანოვაგის საყიდლად. ბიჭმა იარა კარდაკარ და ბოლოს ამ წუწკ დედაკაცს მიადგა. დედაკაცმა უთხრა, კვერცხის მეტი არაფერი მაქვს და, თუ გინდა, მოგყიდიო.

ბიჭმა მოახარშვინა ერთ აბაზად ღირებული ოცი ცალი კვერცხი, გამოართვა და წავიდა. ფულის გადახდას მეორე დილისათვის შეპპირდა, — დილას აქეთ ჩამოვიელით და მოგცემთო.

სოვდაგარმა და მისმა მხლებლებმა ივახშმეს ამ ერთი აბაზის კვერცხით და დაიძინეს. მეორე დღე ავდრიანი გათენდა, სოვდაგარმა საჩქაროდ დაასაპალნებინა ჯორ-აქლემები და გაუდგა გზას.

კარგა შორი გზა რომ გაიარა, მაშინღა გაახსენდა, რომ კვერცხების საფასურის გადახდა დავიწყებოდა.

ბევრიც იდარდა, მაგრამ რაღას იზამდა — გზიდან უკან სომ ვერ დაბრუნდებოდა. ბოლოს ასე გადაწყვიტა: მოდი, ამ ერთ აბაზს ჩემს ფულში არ გავრევ — ცალკე ვასარგებლებ და, რასაც მოიგებს, სულ იმ დედაკაცს მივცემო. ერთი აბა-

ზი ცალკე შეაგდო სარგებელზე და ხუთ წელიწადში ას თუმნად აქცია.

მეექვსე წელიწადს სოვდაგარი ისევ გაემგზავრა შორეულ ქვეყანაში სავაჭროდ. როცა ივაჭრა და უკან გამობრუნდა, ღამის გასათევად ისევ იმ სოფლის პირას დაბანაკდა. ჩვეულებრივ ჩამოხადა ბარგი ჯორ-აქლემებს და მოვალე დედაკაცის მოსანახად ისევ ბიჭები გაგზავნა, — წადით, მონახეთ და გადაეცით, რომ სოვდაგარს სურს შენი ნახვა ძლიერ საჭირო საქმეზე და, თუ შეიძლება, წამობრძანდითო.

ბიჭები წავიდნენ, კითხვა-კითხვით მიაგნეს ამ დედაკაცის სახლს და გადასცეს სოვდაგრის დანაბარები. დედაკაცი გაჰყვა და მივიდა სოვდაგართან. სოვდაგარმა უთხრა:

— დედილო, მე ამ ხუთი წლის წინათ აქ ღამე გავათიე, მაშინ შენგან ჩემი ბიჭის ხელით ერთი აბაზის კვერცხი ვიყიდე, მაგრამ ისე წავედი, რომ ფულის გადახდა დამავიწყდა. ის აბაზი მას აქეთ შენს სახელზე ვასარგებლე და ას თუმნად ვაქციე, ახლა ის ასი თუმანი მოვიტანე და მიიღეთ.

დედაკაცს აბაზის კვერცხი აღარც კი ასსოვდა, მაგრამ სოვდაგარმა ამდენი ფული რომ შეაძლია, უცბად სიხარბემ შეიპყრო და, მეტის გამორჩენის მიზნით, მადლობის მაგიერ ლანძღვა-გინება დაუწყო:

— შე ასეთ-ისეთო, ხუთი წელიწადი შენს ძებნაში გავატარე და ახლა გინდა ას თუმნად დაიძვრინო თავი? ვერ მოგართვეს: იმ კვერცხებზე კრუხს დავსვამდი და წიწილებს გამოვაჩეკინებდი, წიწილები დაიზრდებოდნენ, მერე კიდევ და კიდევ, ასე და ამნაირად ამ ხუთ წელიწადში მათი მოგება ხუთას თუმანს მიაღწევდა. ახლა თუ გინდა, ნებით მომეცი ეგ ხუთასი თუმანი, არადა, სასამართლოში გიჩივლებ და სამართლის ძალით აგანაზღაურებინებო.

სოვდაგარი ამას არ მოელოდა, არ ეგონა თუ მადლი მატლად ექცეოდა და გაკვირვებული პირღია დარჩა.

— არა გრცხვენია, დედი, — უთხრა დედაკაცს, — მე სიკეთე გიყავი და სამაგიეროს ასე მიხდიო?

— რა სიკეთეც მიყავი, იქ გამოჩნდებაო, — უთხრა დედაკაცმა, შეიტანა სასამართლოში საჩივარი და სოვდაგარიც დააბარებინა.

რაღა უნდა ექნა სოვდაგარს, ადგა და წავიდა. მოსამართლემ უთხრა, — ასე და ასე ყოფილა საქმე, ამ დედაკაცისაგან ხუთი წლის წინ აბაზის კვერცხები წაგიღია და ფული კი არ გადაგიხდია, მათი ღირებულება ხუთ წელიწადში ხუთას თუმანს შეადგენს, ახლა ეს დედაკაცი ამ თანხას გიჩივის და უნდა გადაუხადოო.

დაღონდა სოვდაგარი და მოსამართლეს სთხოვა, ერთი საათის ვადა მომეცი მოსაფიქრებლადო. მოსამართლე დათანხმდა. გამოვიდა სოვდაგარი და იხედება აქეთ-იქით, — იქნებ ვინმე გამოჩნდეს და რჩევა ვკითხოო. უცბად ერთი ხნიერი კაცი დაინახა — თოვლივით ფაფუკი წვერი გულზე ეფინა, ხელში არგანი ეჭირა და ნელა მოაბიჯებდა. სოვდაგარი წინ გადაუდგა და სთხოვა:

— მამილო, ერთი რამე უნდა გკითხოთ და, თუ შეიძლება, მომისმინეთო.

— ბრძანე, შვილო, — უთხრა კაცმა და ჯოხზე დაეყრდნო.

სოვდაგარმა უამბო თავისი გასაჭირი და სთხოვა, მირჩიეთ, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო.

— ის კვერცხები მოხარშული იყო თუ უმიო? — ჰკითხა კაცმა.

— მოხარშულიო, — მიუგო სოვდაგარმა.

— მაშ, შვილო, ასე ჰქენი, — უთხრა კაცმა, — წადი, იყიდე აბაზის მოხარშული კვერცხები და მოსამართლეს წინ დაულაგე, თან უთხარი ამ კვერცხებიდან წიწილები გამოაჩეკინეთ და მე ხუთასი თუმნის მაგიერ ათასს მივცემ-თქო.

მოხუცი კაცის რჩევა სოვდაგარს ჯკუაში დაუჯდა. მარილაც იყიდა ერთი აბაზის მოხარშული კვერცხები, დააწყო თეფშზე და დაუდგა წინ მოსამართლეს.

— ეს კვერცხები რისთვის მოიტანეო? — ჰკითხა მოსამართლემ.

სოვდაგარმა მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა:

— ბატონო მოსამართლევ, ამ კვერცხებიდან წიწილები გამოაჩეკინეთ და ჩემს მოვალეს ხუთასი თუმნის მაგივრად ათას თუმანს გადავუხდიო.

— მოსახარშია თუ მოხარშულიო? — ჰკითხა მოსამართლემ.

— მოხარშულია, ჩემო ბატონო, — მიუგო სოვდაგარმა.

— მერე მოხარშული კვერცხიდან ვის გაუგონია წიწილების გამოჩეკვაო? — უთხრა მოსამართლემ.

— თქვე დალოცვილო, თუ არავის გაუგონია, მაშ რატომ მისჯით ხუთასი თუმნის გადასდასო? — ჰკითხა სოვდაგარმა.

— როგორ, შენ მოხარშული კვერცხები იყიდე ამისაგანო? — გაიკვირვა მოსამართლემ.

— თვითონვე თქვას თუ ვტყუივარო, — მიუგო სოვდაგარმა.

მოსამართლე ასლა დედაკაცს შეეკითხა:

— შენი კვერცხები, რომლებიც ამ კაცს მიჰყიდე, უმი იყო თუ მოხარშულიო?

— მოხარშულიო, — აღიარა დედაკაცმა.

მაშინ კი მიხვდა მოსამართლე დედაკაცის ვერაგობას და ასეთი განაჩენი გამოიტანა: იყიდოს სოვდაგარმა ერთი აბაზის მოხარშული კვერცხი, ჩააბაროს დედაკაცს და საჩივარი ამით დასრულდესო.

დედაკაცმა ბევრი იუარა და ბევრიც იწივლ-იკივლა, მაგრამ სამართალთან ველარაფერს გახდა და ხუთასი თუმნის მაძებარმა ასი თუმანიც დაკარგა. ტყუილად კი არ ამბობს ანდაზა: ბევრის მაძებარი ცოტასაც დაკარგავსო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სამი ძმა და ქოსატყუილა

იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა. ძმები კარგა მდიდრები იყვნენ და თვალ-მარგალიტიც ბლომადა ჰქონდათ. იმათი მამა რომ კვდებოდა, შვილებს თურმე ანდერძად დაუბარა: შვილებო, ყველასთან ივაჭრეთ, ყველას ენდეთ, ქოსას კი ნურასოდეს ნუ ენდობითო.

გავიდა ხანი, ძმებს არაფრისათვის არ დასჭირვებიათ ქალაქში წასვლა. ბოლოს გაუთავდათ მარილი. ადგა უფროსი ძმა, შეკაზმა ჯორი, აჰკიდა თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქში სავაჭროდ. გზაზე ერთი ქოსატყუილა შემოხვდა.

— გამარჯობაო!

— გაგიმარჯოსო!

— სად მიდიხარო?

— ქალაქში. თვალ-მარგალიტი მიმაქვს გასაყიდად, მარილი შემოგვაკლდა და უნდა ვიყიდოო.

— მე მომყიდეო, — უთხრა ქოსამ, — მარილსაც მოგცემ და ყველაფერს, რაცა გჭირდებაო.

— არაო, — უთხრა უფროსმა ძმამ, — მამაჩემმა ანდერძად დაგვიბარა, ქოსებს ავადაც მოერიდეთ და კარგადაც. ნურც არას იყიდით იმისაგან და ნურც არას მიჰყიდითო.

— კარგიო, — უთხრა ქოსამ, — ძალით რა იქნებაო.

გაიქცა მაშინვე, ირბინა, ირბინა, გზა გადაუჭრა და ისევ წინ შემოხვდა.

— გამარჯობა, სად მიდიხარო? — მიესალმა ისევ.

— თვალ-მარგალიტი მიმაქვს ქალაქში, უნდა გავყიდო და მარილი ვიყიდოო, — უთხრა ჯორის პატრონმა.

— მე მომყიდეო, — უთხრა ქოსამ.

— ვერაო, — იუარა უფროსმა ძმამ, — მამის ანდერძს ვერ გავტეხო. — მაშ სადღა უნდა გაპყიდოო — უთხრა ქოსამ, — მთელი ეს ქვეყანა ქოსებითაა სავსეო.

დაიჯერა ჯორის პატრონმა:

— კარგი, მოგყიდი, რაც იქნება, იქნებაო.

ქოსამ უთხრა:

— მოდი, ერთ გამოცანას გეტყვი, თუ ის გამოიცან, ერთი აქლემი მყავს, იმას დაგიტვირთავ თვალ-მარგალიტით, ეგ შენი ჯორიც წამოიყვანე, მარილსაც მოგცემ და წადიო. თუ ვერა და შენი ჯორი თავისი თვალ-მარგალიტით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო, — გაუხარდა ჯორის პატრონს.

—ერთ კაცს ერთი ციცარი ჰყავდა. ეს ციცარი დილით წავიდოდა ტყეში, კვერცხებს დადებდა და საღამოზე ციცარიცა და კვერცხიც კაკანით მოდიოდნენ შინაო, — უთხრა ქოსამ.

— რა უნდა იყოსო? — იფიქრა ჯორის პატრონმა, მაგრამ აბა, რას მოიფიქრებდა? წააგო ჯორიცა და თვალ-მარგალიტიც. წავიდა დაღონებული შინ. ქოსამ ძლივს წაუტეხა ერთი გირვანქა მარილი და მისცა. მივიდა შინ უფროსი ძმა და მიიტანა ერთი გირვანქა მარილი.

რამდენ ხანს ეყოფოდათ ის ერთი გირვანქა მარილი. ჰოდა, ახლა შუათანა ძმა ადგა, აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი და წავიდა ქალაქში მარილის საყიდლად. გზაზე იმასაც ისევ ის ქოსა შემოეყარა.

— გამარჯობა შენიო, — უთხრა ქოსამ შუათანა ძმას.

— გაგიმარჯოსო!

— სად მიხვალო?

— ქალაქში, თვალ-მარგალიტი უნდა გავყიდო და მარილი ვიყიდოო.

— მე მომყიდე ეგ თვალ-მარგალიტიო, — უთხრა ქოსამ, მარილსაც მოგცემ და ყველაფერსაცაო.

— არაო, — უთხრა შუათანა ძმამ, — მამის ანდერძს ვერ გავტეხ. ქოსას არც არაფერს მივყიდი და არც იმისაგან ვიყიდი რამესო.

ქოსა გაბრუნდა, ირბინა, ირბინა, გზა გადაუჭრა, წინ დაუხვდა და უთხრა:

— რა მიგაქვს, მომყიდეო.

— ქოსებს არაფერს არ მივყიდიო, — უთხრა შუათანა ძმამ.

— მაშ, ვიღას უნდა მიყიდო, როცა ამქვეყანაზე ქოსების მეტი არავინ არისო, — მიუგო ქოსამ.

დაუჯერა ჯორის პატრონმა და გაურიგდა.

— ერთ გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცან, ეგ ჯორიც შენი იყოს, ერთ აქლემსაც მოგცემ და მარილსაც ზედ დაგიმატებო. თუ ვერ გამოიცან, შენი ჯორი თავისი საპალნით მე დამრჩებაო.

— ძალიან კარგიო, — დათანხმდა ჯორის პატრონი.

— ერთი ციცარი მყავდა, დილით წავიდოდა ტყეში, კვერცხს დადებდა, საღამოზე კი კვერცხიცა და ციცარიც კაკანით მოდიოდნენ შინაო.

ვერ გამოიცნო შუათანა ძმამ. დარჩა ქოსას დატვირთული ჯორი. წაუტეხა ერთი გირვანქა მარილი და გაისტუმრა.

მივიდა შინ შუათანა ძმა და მიიტანა ერთი ბეწო მარილი.

ასლა უმცროსმა ძმამ აჰკიდა ჯორს თვალ-მარგალიტი, წაიყვანა და წავიდა ქალაქში. იმ ადგილს რომ ჩაუარა, სადაც იმისი ძმები ქოსამ გაძარცვა, ქოსა გადაუდგა წინ და მიესალმა. ვაჟმა სალმითვე უპასუხა.

— სად მიხვალ, სად მიგაქვს ეგ თვალ-მარგალიტიო? — ჰკითხა ქოსამ.

უმცროსმა ძმამაც ისევე უპასუხა, როგორც უფროსმა ძმებმა. თან დიდი უარი დაატანა, ქოსას არაფერს მივყიდიო. მიანება თავი ქოსამ, შემოურბინა სოფელს, გზა გადაუჭრა და წინ დაუხვდა.

— მომყიდე ეგ შენი თვალ-მარგალიტიო, — უთხრა ვაჟს.

— არ მოგყიდი, ქოსა ხარო, — უპასუხა ვაჟმა.

— მაშ, ვისღა უნდა მიყიდო, აქ სულ ქოსებიაო, — მიუგო ქოსამ.

— კარგი, მოგყიდიო, — უთხრა ვაჟმა.

— ერთ გამოცანას გეტყვი, თუ გამოიცან, შენი ჯორიც შენ დაგრჩება, შენი თვალ-მარგალიტიც, მარილსაც მოგცემ და ერთ აქლემსაც დავუმატებო, — უთხრა ქოსამ.

— კარგიო, — დასთანხმდა ვაჟი.

— ერთი ციცარი მყავდა, დილით წავიდოდა ტყეში, კვერცხს დადებდა, საღამოზე კი კვერცხიცა და ციცარიც კაკანით მოდიოდნენ შინაო, — უთხრა ქოსამ.

— ეგ იმ ტყუილსა ჰგავს, ერთმა კაცმა რომ მიამბო: ერთი ძირი ფუტკარი დგმია. ყოველდღე ჩამოუვლიდა და თვლიდა თურმე. ერთიც ვნახოთ, ერთხელ რომ დაუთვლია, ერთი ფუტკარი დაკლებია, მაშინვე წასულა საძებნელად, უვლია, უვლია და ზღვის გაღმა უპოვია, ფესი მოსტეხოდა, გზაში დარჩენილიყო, მომკვდარიყო და ყვავ-ყორნები წიწკნიდნენ თურმეო, — მიუგო ვაჟმა.

ქოსას მეტი რა ღონე ჰქონდა — აქლემისათვის თვალ-მარგალიტი უნდა აეკიდა და მიეცა.

— ჩემო აქლემო, ეს კაცი რომ წაგიყვანს, ამა და ამ ადგილას ლაფია და იქ ჩაწექი. რაც უნდა გცემოს, არ ადგე, თუ ღმერთი გაგიწყრა და ადექი, სახლში რომ მიგიყვანს და ბოსელში შეყვანას დაგიპირებს, გაიბერე, კარებში ველარ შეეტევი, თავს დაგანებებს და ჩემთან გამოიქეციო.

წაიყვანა უმცროსმა ძმამ აქლემიცა და თავისი ჯორიც. შუა გზაზე ერთ დიდ ტლაპოს წააწყდნენ. მივიდა აქლემი და ჩაწვა შიგ. უმცროსმა ძმამ ხმაც არ გასცა, ღობეზე ჩამოჯდა, ამოიღო ჩიბუხი და გააბოლა.

ამ დროს ერთმა კაცმა გამოიარა.

— გამარჯობაო! — უთხრა უმცროს ძმას.

— გაგიმარჯოსო! — უპასუხა ვაჟმა.

— სადაური ხარ და სად მიხვალო? — ჰკითხა მგზავრმა.

— მეც არ ვიცი, სად მივალო, — მიუგო აქლემის პატრონმა და თან დასძინა: — ერთი შენს გასარებას, ჩვენ სოფელზე ჩაიარე, ჩემი ცოლი ნახე და უთხარი: ახლა რომ ვაჟი გაგვიჩნდა, როცა გაიზრდება, უთხრას ხარები შეაბას უღელში და წამოვიდეს, ტალახში აქლემი დამიწვა და წავიღოთ-თქო.

აქლემმა იფიქრა, სანამ იმის ცოლს ვაჟი გაეზრდება და

აქ მოვა, მე ხომ შიმშილით მოვკვდი და ჩავლპი ამ ტალახ-შიო. — წამოხტა და გაუდგა გზას. გაპყვა თან უმცროსი ძმაც. გზაზე აქლემი აღარსად დაწოლილა, სახლში მივიდნენ და მიიტანეს თვალ-მარგალიტი. ბოსელში რომ უნდა შეეყ-ვანა, აქლემი უცბად გაიბერა და ვეღარ შეეტია კარში. ახედ-დახედა ვაჟმა აქლემს და დაუძახა ძმებს:

— ბიჭებო, ერთი ცული მომიტანეთ, აქლემი განიერი მო-ვიდა, გვერდები უნდა ჩამოვათალოთ!

აქლემმა იფიქრა: ეს ისეთი გიჟი ვინმე ყოფილა, რომ არც კი გაუკვირდება, გვერდებს მართლა ჩამომათლისო, დაიფუყა და შევიდა ბოსელში. მოხადეს აქლემს თვალ-მარ-გალიტი, ათი ჯორის საპალნე გამოვიდოდა, იმდენი იყო.

თავისი ჯორიც თვითონ დარჩა უმცროს ძმას, მარილიც მიიტანა და ძმების ზარალიც აინაზღაურა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ნაცარქექია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ზარმაცი და მუქთამჭამელი კაცი. ცისმარე დღე კერასთან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა. სწორედ ამიტომ სალხმა ნაცარქექია შეარქვა.

ნაცარქექიას კარგი მეოჯახე ძმები ჰყავდა.

— კაცო, სულ რომ ნაცარს უზიხარ, ან ჭამა არ გინდა, ან სმა, — ეუბნებოდნენ ყოველდღე. — აღექი, გაისარჯე, იქეთ მიდექ, აქეთ მოდექ და ოჯახში რამე შემოიტანე, თორემ იცოდე, ჩვენ შენი რჩენის თავი აღარა გვაქვს და სახლიდან გაგაგდებთო.

მაგრამ ნაცარქექია ძმების მუქარას ერთ ყურში რომ შეუშვებდა, მეორიდან გამოუშვებდა. მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუსვიეს და გაისტუმრეს. თან გააფრთხილეს:

— ამ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გაშორდი, აქ არ დაგიგულოთ, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებთო.

— კარგითო, — უთხრა ნაცარქექიამ, — ვეცდები, რაც შეიძლება შორს წავიდეო, — და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უშველებელ მდინარეს მიადგა. შეეშინდა ნაცარქექიას წყალში გასვლისა და მდინარის პირას მხართეძოზე წაწოლა, — იქნებ ვინმემ გამოიაროს და გამიყვანოსო.

თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრათავიანი დევის სამფლობელო ყოფილა. საღამო ხანზე მოადგა დევი გაღმა ნაპირიდან მდინარეს და დაუწყო წყალს ხვრეპა.

დაინახა ნაცარქექიამ და ხაფი ხმით გასძახა:

— ჰეი, რომელი ხარ, ახლავე აქ გამოდი, მხარზე შემისვი და გაღმა გამიყვანე, ფეხის დასველება მეზარებაო!

დევს ძალიან გაუკვირდა, აქ ჩემი შიშით გოლიათებს ვერ გაუვლია და ეს ჭინჭრაქა რის პატრონია, ამას რომ მიბედავსო, და გამოსძახა: — ვინა ხარ, რა სულიერი ხარ და მაგ თავხედობას როგორ მიბედავო?

ნაცარქექია დიდი მკვეხარა და ბაქიბუქაც იყო. შორიდან ისეთ ტრაბახს ატეხდა, რომ კაცს გორის მდრეკავი ეგონებოდა. შემოიყარა დოინჯი და გასძახა დევს:

— აი, შე ქინქლავ, შენა! ერთი არ მებრალებოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცრიყლაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორედ ისა ვარო! არ მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამიწას რომ ხელი მოვავლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარ-მტვრად ვაქცევო. თუ გინდა შეეჯიბროთ და ერთმანეთი ღონეში გამოვცადოთ! შენ მანდ აიღე ქვა, მე აქ ავიღებ, მოვუჭიროთ ორივემ ხელი და, ვინც წვენი გაადინოს, გამარჯვებულიც ის იყოსო.

აიღო დევმა ქვა, მოუჭირა ხელი და სულ დაფშვნა, მაგრამ წვენი ვერ გამოადინა.

დაიხარა ნაცარქექია, ვითომ ქვას ვიღებო, ამოიღო ჩოხის კალთაში გამოხვეული ჭყინტი ყველი, მოუჭირა ხელი და წვენი სულ წურწურით გაადინა.

გაუკვირდა დევს, ეს ვინა ყოფილაო?!

— აბა, ახლა სირბილში გამოვცადოთ ერთმანეთი, — გასძახა ნაცარქექიამ, — გავიქცეთ რიყეზე — შენ მაქეთ, მე აქეთ — და ვინც მეტ მტვერსა და კორიანტელს აადენს, ბიჭიც ის იყოს და ქუდიც იმას ეხუროსო!

გაძუნძულდა დევი იქითა ნაპირზე და რიყის ქვებს სულ ხრაშახრუში დააწყებინა, მაგრამ მტვერი ვერა და ვერ აადინა. რიყის ქვებს ან რა მტვერი აუვიდოდა!

ნაცარქექიამ კი მოიხსნა ნაცრიანი გუდა, გაკუნკულდა ნაპირზე და თან ნაცარი მიმოაბნია. ისეთი მტვერი და კორიანტელი ააყენა, რომ დევმა ვეღარაფერი ვერ დაინახა.

შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, — თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაიღუნა და მსარზე შეისვა. შუა მდინარეში რომ შევიდნენ, დევმა, როგორც იქნა, გაუბედა და ჰკითხა:

— ბატონო, ხაბირიკავ, ნაცრიყლაპიავ და ჩხირით მებრძოლო, ასეთი ღონის პატრონი, როგორღაც მეტისმეტად მსუბუქი მეჩვენებიო.

— რაო? მსუბუქიო? სა, სა, სა, — გაღაისარსარა ნაცარქექიამ,—შენ რომ ჩემი სიმძიმის ამბავი იცოდე, მაგ სისულელეს აღარ წამოროშავდი. რაკი დედამიწას ჩემი ტარება უჭირს, ცაში ღმერთს უჩინარი თოკით ვუჭერიავარ, თორემ ჩემი სიმძიმე ქვესკნელში ჩაგიტანდაო.

დევს ეშვი შეეპარა, ამ ერთ ციცქნას ისეთი რა სიმძიმე უნდა ჰქონდესო, და ნაცარქექიას მოკრძალებით უთხრა:

— აბა, ასძახე ღმერთს, რომ სულ ოდნავ შეგიშვას ხელი, მინდა შენი სიმძიმე გავიგოო.

— ღმერთო მწყალობელო, აბა, ცოტათი მოუშვი თოკი, რომ ამ ბრიყვსა და ავყიას ენა დავამოკლებინოო! — ასძახა ცისკენ ნაცარქექიამ, ჩუმად კი ამოიღო შვინდის გამხმარი ჩხირი და დევს კისერში დააჭირა. დევს ეგონა, მთელი ზეცა ზედ დამაწვაო და შეშინებულმა, მართლა ქვესკნელში არ ჩამაძვრინოსო, ხვეწნა დაუწყო:

— შენი ჭირიმე, უთხარი ღმერთს, ისევ აგწიოს, თორემ მეტის ატანა აღარ შემიძლიაო.

მოაშორა ნაცარქექიამ ჩხირი და დევიც ისევ გაიმართა წელში.

— ახლა ხომ დარწმუნდი, რა სიმძიმეც მქონიაო? — ჰკითხა ნაცარქექიამ:

— მართლაც მეტისმეტად მძიმე ყოფილხარო, — უპასუხა დევმა და შინ მიიპატიჟა. ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველებელი ხმიადი, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა:

— თუ უკაცრავად არ ვიყო, ამ პურზე თვალი გეჭიროს, რომ არ დაიწვას, მე ტყეში წავალ და სავახშმოდ ბარემ ნანადირევსაც მოვიტანო.

დევი წავიდა. ხმიადს ცალი გვერდი რომ დაებრაწა, ნაცარქექიამ იფიქრა, ახლა კი გადაბრუნების დროაო, და დაუწყო საკეცით წვალება. წვალება-წვალებაში კეცი წამოიქცა და ნაცარქექია ქვეშ მოიყოლა. წვალობს ნაცარქექია, აფხარკალებს ფეხებს, სენეშის, ოხრავს, ქშინავს, მაგრამ კეცს ბერას ვერ უშვრება. დაიღალა და შეშინებულმა ფერიც დაკარგა.

მოვიდა დევი და, ნაცარქექია რომ ამ ყოფაში დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა, — რა დაგმართნიაო?

— რა უნდა დამმართნოდა? — შეუტია ნაცარქექიამ, — ცოტათი მუცელი წამომტკივდა და ცხელი კეცი დავიდევი. ახლა უკვე კარგად ვარ, მოდი და ამაცალეო.

დევმა კეცი ააცალა და ნაცარქექიაც წამოდგა.

ხმიადი გამოცხვა, ნანადირევიც მოხარშეს და ვახშამს შეგოუსხდნენ. პურის ჭამაში დევმა ცხვირი დააცემინა და სტუმარი ჭერში შეაგდო. გულგახეთქილი ნაცარქექია თავსეს ჩაეჭიდა და ფხარკალი დაიწყო.

— მანდ რას აკეთებო? — ჰკითხა დევმა.

— რას ვაკეთებ და, აი ეს წკეპლა უნდა გამოვიღო და გვერდები აგიჭრელო, როგორ გაბედე ჩემთან ცხვირის დაცემინებაო?!

— ღმერთო, ეს ვინა ყოფილა?! — გაოცდა დევი, — ამოდენა თავხე მე ძლივს ბოძებზე ავიტანე და ეს კი წკეპლას ეძახის და გამოძრობას უპირებსო. აქაურობას თუ არ გავეცალე, ერთხელაც იქნება, რამეს მიშარებს და ცოცხალი ვეღარ გადავურჩებიო. — დაჰკრა დევმა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა.

დევის სახლ-კარი და სიმდიდრე მთლიანად ნაცარქექიას დარჩა, წავიდა, ძმებიც იქ მიიყვანა და უთხრა:

— ძმებო, მუქთახორობისათვის თქვენ სახლიდან გამაგდეთ, სულ იმას მაყვედრიდით, ოჯახში არაფერი შემოგაქვსო. აი, ახლა ჩემს წილად ეს სახლ-კარი და ქონება-ცხოვრე-

ბა შემომაქვს, ეს ყველაფერი თქვენთვის დამითმია, ოღონდ ლუკმაპურს ნულარ დამაყვედრით და ნურც ნაცრის ქექვას დამიშლითო.

გადაულოცა ნაცარქექიამ დევის სახლი და სიმდიდრე ძმებს, თვითონ კი აიღო ჩხირი, მიუჯდა კერას და ისევ ნაცრის ქექვა დაიწყო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ალალი ორი შაური

იყო და არა იყო რა, ამ ქვეყნად სიღარიბის მეტი რა ყოფილა, ჰოდა, სხვათა მრავალთა შორის, ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი იყო. ჰყავდათ ბევრი შვილები და ლუკმაპური კი არ მოეპოვებოდათ. ცოლიც და ქმარიც წელებზე ფეხს იდგამდნენ, მაგრამ ალალი შრომით ბევრს ვერაფერს შოულობდნენ და შვილები მშიერ-ტიტვლები დაუდიოდათ.

ერთ დღეს ქმარმა უთხრა ცოლს:

— მოდი, წავალ და ვინმეს მოჯამაგირედ დავუდგები, იქნებ ბედმა გამიღიმოს და ამ გაჭირვებას თავი დავაღწიოთო.

ადგა და წავიდა. იარა, იარა და ერთ უცხო სახელმწიფოში გავიდა. შევიდა ქალაქში და ერთ მდიდარ სოვდაგართან მივიდა. უთხრა, — სამი წლით მოჯამაგირედ მინდა დავდგე და ხომ არ ამიყვანო?

— აგიყვანო, — უთხრა სოვდაგარმა, — მაგრამ მითხარი, წელიწადში ალალი ორი შაური მოგცე, თუ არამი ასი თუმანიო?

კაცი დაფიქრდა: აქამდე ნაარმალი არაფერი შემიტანია სახლში, ახლა ამ სიბერისას სულს ხომ არ წავიწყმედო, და სოვდაგარს უთხრა: — ალალი ორი შაური მირჩევნიაო.

მორიგდნენ და დადგა გლეხი მოჯამაგირედ. სამი წელიწადი ერთგულად და მუყაითად ემსახურა, ყავლი რომ გაუთავდა, მივიდა თავის ბატონთან და უთხრა:

— ანგარიში გამისწორე და წავალო.

გამოუტანა სოვდაგარმა დაპირებული ალალი ექვსი შაური და მისცა.

— წადი, ძმაო, და ხეირი ნახეო.

წამოვიდა კაცი დაღონებული. სამი წელიწადი ექვს შაურად ვიმსახურე, რა მივუტანო ჩემს ცოლ-შვილს ამ ფულით, რა პასუხი გავცეო. ბოლოს გადაწყვიტა, მოდი, ბარემ ერთ წელიწადს კიდევ ვიმსახურებ, იქნებ რამე ავიღო და შინ ხელცარიელი არ დავბრუნდეო.

იარა, იარა და გავიდა კიდევ ერთ უცხო სახელმწიფოში. შევიდა ქალაქში და დაინახა, რომ ერთ დუქანთან უშველებელი რიგი დგას. მივიდა და იკითხა, რა იყიდებაო?

— სარკეებს ყიდიან ალალ ორ შაურადო, — მიუგო ხალხმა.

გლეხს სარკე არ ენახა, იფიქრა, რაკი ამდენი ხალხი დგას, ალბათ ძვირფასი რაღაც იქნებაო, და ერთი ცალი იყიდა. ჩაიდო უბეში და გაუდგა გზას. იარა, იარა და კიდევ გადავიდა უცხო ქვეყანაში, ჩაიარა ქალაქში და იქაც დაინახა უზარმაზარი რიგი. მივიდა და იკითხა, რა იყიდებაო?

— კატებს ჰყიდიან ალალ ორ შაურადო, — მიუგო ხალხმა.

— ეს ამდენი ხალხი რომ დგას, ჩანს სასარგებლო რაღაც იქნებაო, — იფიქრა კაცმა, ჩადგა რიგში და ერთი კატა იყიდა. ჩაისვა ეს კატაც უბეში და გაუდგა გზას. იარა, იარა და გავიდა კიდევ უცხო ქვეყანაში. იქაც დაათვალიერა ქალაქი, ერთ დუქანთან ორი იმხელა რიგი დაინახა. მივიდა და იკითხა, რას ყიდიანო?

— ჭკუას ყიდიან ალალ ორ შაურადო, — მიუგო ხალხმა.

კაცს კიდევ ჰქონდა ორი შაური. იფიქრა, ამ ფულით ჩემს ცოლ-შვილს მაინც ვერაფერს ვარგებ, ჭკუა კი შეიძლება გამომადგესო. შევიდა დუქანში და მისცა დარჩენილი ორი შაური დუქნის პატრონს. დუქნის პატრონმა უთხრა:

— ვინც რა უნდა შეგეკითხოს, შენ ყველაფერზე კარგი უთხარი და ჭკვიანი იქნებიო.

გამოვიდა კაცი დუქნიდან და გაუდგა გზას უარესად დაღონებული. მიდის და ფიქრობს: სამი წელიწადი ექვს შაურად ვიმსახურე, აღებული ფულით სარკე, კატა და ჭკუა

შევიძინე. მაგრამ ჩემს გაჭირვებულ ცოლ-შვილს ვერაფერი ვარგეო.

ამ ფიქრით გავიდა კიდევ ერთ უცხო სახელმწიფოში. შევიდა ქალაქში და რას ხედავს: მთელი ქალაქი მოედანზე შეკრებილა და გულამოსკვნით ტირის. კაცი მივიდა და იკითხა, რა გატირებთო?

ხალხმა უთხრა:

— უწყლობა გვატირებს. ქალაქში ერთი ჭა გვქონდა და წყალი იქიდან ამოგვქონდა, ასლა რაღაც ძალა დაეპატრონა და რამდენიც ჩავგზავნეთ, უკან აღარავინ დაბრუნებულაო.

კაცმა იფიქრა: მაინც თავმოსაკლავად მაქვს საქმე. მოდი, ჩავალ, იქნება ამოვუტანო წყალი და ამ ხალხმაც თითოოროორი გროში მიწყალობოსო.

— თუ მაგ სიკეთეს გვიზამ, სულსაც არ დავიშურებთო, — შეღაღადა ხალხმა.

— მომიტანეთ ჭურჭელიო! — დაიძახა კაცმა.

მოუტანეს ჭურჭელი, ჩავიდა კაცი ჭაში და ფსკერზე ერთი ბებერი დედაკაცი დასვდა. დედაბერმა ორი ახალგაზრდა ქალი აჩვენა, ერთი ლამაზი, მეორე კი ზანგივით გონჯი და ჰკითხა:

— შვილო, ამ ორ ქალში რომელი უფრო ლამაზიაო?

დედაბერი წყლის ქაჯი იყო. ლამაზი ქალი გერი იყო მისი, გონჯი კი — შვილი. კაცმა ჯერ სიმართლის თქმა დაუპირა, მაგრამ უცბად ჭკუის გამყიდველის ნათქვამი მოაგონდა, ვინც რა უნდა შეგეკითხოს, ყველაფერზე კარგი უთხარიო, და დედაბერს ასე უპასუხა:

— ორივენი თანაბრად ლამაზები და კარგები არიანო.

— აი, შენ კი გაიხარე, შვილო, კაცის პირით ძლივს სიმართლე არ გავიგონეო, — უთხრა დედაბერმა, აუვსო ჭურჭელი წყლით და გამოუშვა. ხალხი სიხარულით ცას ეწია, — ჰკოცნიდნენ, ეხვეოდნენ, ლოცავდნენ. მერე გაიქცნენ თავიანთ ხელმწიფესთან და მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფეო, ერთი უცხო ტომის კაცი მოვიდა ჩვენს ქალაქში და წყალს ჯადო ახსნაო.

დაიბარა ხელმწიფემ კაცი, მისცა ერთი აქლემი ოქროს ფული და სადილადაც მიიპატიჟა. კაცი შევიდა ხელმწიფის

სახლში. ხელმწიფემ სუფრა გააშლევინა და ორი ხმალ-ამოწვდილი კაცი კარებში დააყენა. კაცს გაუკვირდა და ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს ორი ხმალშემართული გუშაგი, წესი გაქვთ ასეთი პურის ჭამის დროს, თუ სხვა რამ მიზეზიაო?

— თქმისაც კი მრცხვენია, — მიუგო ხელმწიფემ დარ-ცხვენით, — შარშანდელმა დიდთოვლობამ ჩვენს სახელმწი-ფოში ისე გაამრავლა თაგვი, რომ სუფრიდან პურს გვტაცე-ბენ და, თუ გუშაგი არ დავაყენე, პური ვეღარ მიჭამიაო.

— დაითხოვე ეგ გუშაგები და თაგვებს მე მოვუელიო, — უთხრა კაცმა.

ხელმწიფემ დაითხოვა გუშაგები, თაგვებსაც ეს უნდო-დათ, ფხაჭა-გლეჯით შემოცვივდნენ დარბაზში, მიესივნენ სუფრას, ზოგი პურს ეცა, ზოგი ჯამში ჩახტა და ყველაფერი ყირამალა დააყენეს.

ამ დროს ამოსვა კაცმა ციცა უბიდან, ციცა მშიერი იყო და ამდენი თაგვის დანახვაზე კბილები აუკაწკაწდა. გაფ-შიკა კუდი, გახარებულმა ერთი წამოიკნავლა, დაერია თა-გვებს და თვალის დასამსამების უმალ მუსრი გააელო.

ხელმწიფეს იმდღემდე ციცა არ ენახა. მოეწონა ძა-ლიან და გლეხს უთხრა, დამითმე და ერთ აქლემ ოქროს ფულს კიდევ მოგცემო. კაცი, რა თქმა უნდა, დათანხმდა და ხელმწიფემაც გისცა ერთი აქლემი ოქროს ფული. გამოვიდ-ნენ ეზოში, ეს კაცი უნდა გამოემშვიდობოს ხელმწიფეს და წავიდეს. ამ დროს სასახლიდან რაღაც წივილ-კივილი და ტირილის ხმა გაიგონა. კაცმა იკითხა, რა ამბავიაო?

ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა, მაგრამ თა-ვისი სახე არასოდეს არ ენახა და ყოველდღე იმაზე ტიროდა და ჭირვეულობდა — ჩემი თავი დამანახვეთო. იმ ქვეყანაში არც სარკე იცოდნენ რა იყო, კაცი ამას მიხვდა და ხელმწი-ფეს უთხრა, მიმიყვანეთ თქვენს ქალთან და თავის სახეს მე დავანახვებო.

წაიყვანა ხელმწიფემ კაცი და შეიყვანა ქალის ოთახში. კაცმა ამოიღო უბიდან სარკე და ქალი შიგ ჩაახედა. ქალმა დაინახა თავისი ლამაზი სახე, სიხარულისაგან ცეკვა დაი-წყო, სარკე გულში ჩაიხუტა და მამას უთხრა:

— თუ აგბას მიყიდი, მიყიდი, თუ არადა თავს მოვიკლავო.

ხელმწიფესაც ძალიან მოეწონა სარკე და კაცს უთხრა:

— მომყიდე და ერთ აქლემ ოქროს ფულს კიდევ მოგცემო.

კაცმა მისცა სარკე, ხელმწიფემ კიდევ დაატვირთვინა ერთი აქლემი ბაჯაღლო ოქროს ფულით და გამოუყვანა. კაცმა ოქროს ფულკიდებული აქლემები ერთად რომ დაინახა, თავი სიზმარში ეგონა. „მართლაც, რომ ალალი ორი შაური ჯობია თურმე არამ ას თუმანსო", — თქვა გულში, გამოირეკა აქლემები და გამოსწია თავისი სოფლისაკენ. მოვიდა ცოლშვილში, აიშენა ძვირფასი სასახლე, იყიდა ხელმწიფური ავეჯი და ისეთი ცხოვრება მოაწყო, რომ თავის თავს თვითონვე დანატრდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ჭკუა მაქვს და ფული — არა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ამქვეყნად ერთი საწყალი კაცი. დადიოდა სოფელ-სოფელ და გაიძახოდა:

— ჭკუა მაქვს და ფული — არა, ჭკუა მაქვს და ფული — არა!

გაიგონა ეს ძახილი ერთმა მდიდარმა სოვდაგარმა და იფიქრა, — მოდი, ამ კაცს ფულს მივცემ, ერთი ორას-სამასი თუმანი ვითომ არც კი მქონია, ვნახავ მაინც, თუ მართლა ჭკუა აქვს, რას გააკეთებსო.

დაიბარა ერთ დღეს სოვდაგარმა ეს კაცი, მისცა ორასი თუმანი და უთხრა:

— სოვდაგრები ამ დღეებში სავაჭროდ უნდა წავიდნენ, შენც წაჰყევი და ივაჭრე, ვნახოთ ერთი, რა ჭკუა გაქვს და ამ ფულს როგორ გამოიყენებო.

— კარგიო, — დათანხმდა კაცი.

წავიდნენ სოვდაგრები სავაჭროდ და გაჰყვა ეს საწყალი კაციც. ჯერ ხმელეთით იარეს, მერე ზღვასთან მივიდნენ. სოვდაგრებმა დაიქირავეს ხომალდები და გადაბარგდნენ ზედ.

— არა, ძმებო, ზღვის სიღრმეს ვერ ვენდობიო, — თქვა საწყალმა კაცმა და ხომალდს ახლო არ გაეკარა. იყიდა ერთი პატარა ორჩხომელა, იყიდა საგზლად ასი თუმნის ჩამიჩი და ჩაილაგა ნავში. სოვდაგრებმა დაცინვა დაუწყეს, ბევრ მოგებას კი მიუტანს შენს აღას, მთელი ფული გამხმარ ჩამიჩში გადაყარეო.

საწყალმა კაცმა პასუხი არ გასცა, თავისთვის ჩაიცინა და ნავი ზღვაში შეაცურა. მიცურავს ნაპირ-ნაპირ და თან ჩამიჩს შეექცევა, ერთ მუჭას რომ თვითონ შესჭამს, ორსა და სამს ზღვაში მოცურავე თევზებს უყრის. თევზები გაჩქარებით ყლაპავენ დაშაქრულ მარცვლებს.

— მე რომ ვჭამ, სხვებმაც ჭამონო, — ამბობდა საწყალი კაცი და უყრიდა და უყრიდა თევზებს ჩამიჩს.

ბოლოს თევზებმა თქვეს:

— ეს კაცი რომ ამდენ სიკეთეს გვიშვრება, მოდით, ჩვენც რამით შევეწიოთო. ამოვიღოთ რაც ზღვის ფსკერზე თვალ-მარგალიტია და სულ ამ კეთილ კაცს გავატანოთო.

თქმა და შესრულება ერთი იყო: დაყვინთეს თევზებმა ზღვის ფსკერზე, ამოზიდეს რაც თვალ-მარგალიტი ეგულებოდათ და ჩაყარეს ნავში. იმდენი თვალ-მარგალიტი ამოუზიდეს, რომ სანამ დანიშნულ ქალაქამდე მიაღწევდა, ნავი პირთამდე გაუვსეს.

საწყალმა კაცმა იფიქრა: ეს სიმდიდრე ჩემს ამხანაგ სოვდაგრებს რომ დავანახო, სიწუწკე წასძლევთ და ჩემს დაღუპვას მოინდომებენ, მოდი, ამას ისე დავმალავ, ვერაფერი შეიტყონო.

ადგა, ქალაქგარეთ საქონლის გომურეებთან მივიდა და კარგა ბლომა ნეხვი იყიდა. თევზების ნაბიძარი თვალ-მარგალიტი ნეხვის გუნდებში შეფუთა და წივად გაასმო. ერთი იმდენი ცარიელი გუნდები გააკეთა და ისიც გაასმო. ამასობაში სოვდაგრებიც დაბრუნდნენ ძვირფასი საქონლით დატვირთული ჯორ-აქლემებით და კაცს ისევ დაცინვა დაუწყეს:

— შე ოხერო, ნესვი აქედან რომ არ წაგელო, განა ჩვენს ქალაქში ცოტაა, აღას რა პასუხი უნდა გასცეო.

— მე ეს მომეწონა და ეს ვიყიდე, თავისი საქმისა ყველამ თვითონ იცისო, — თქვა საწყალმა კაცმა, იყიდა იმანაც ჯორ-აქლემები, აჰკიდა წივიანი ტომრები და გაუდგნენ გზას.

გზაში ერთ მაღალ უღელტეხილზე დაუღამდათ. ღამე თოვლ-ქარბუქი ატყდა და ისე აცივდა, რომ ქვა სკდებოდა. საწყალმა კაცმა ამოალაგა ცარიელი წივის გუნდები, დაან-

თო ცეცხლი, შემოუმწკრივა ირგვლივ თავისი ჯორ-აქლემები და თვითონაც ცეცხლს მიეფიცხა. სოვდაგრებმა ყინვას ველარ გაუძლეს, თან ჯორ-აქლემების დარდიც ჰქონდათ, სიცივემ არ გაგვიწყვეტოს და ჩვენი მოგება აქ არ დაგვრჩესო. და საწყალ კაცს შეესვეწნენ, — ცოტა წივა გვასესხეო.

კაცმა უარი უთხრა: — ჩემს საქონელს ვწვავ და თქვენც თქვენი დაწვითო.

რა უნდა ექნათ საცოდავ სოვდაგრებს? მართლა საქონელს ხომ ვერ დასწვავდნენ, არადა, სიცივით დაიხოცებოდნენ. ადგნენ და, რაკი სხვა საშველი არა გაჩნდათ რა, ისევ საწყალ კაცს შეესვეწნენ, — ოღონდ დაგვითმე და რასაც ითხოვ, მოგცემთო.

— რამდენი გინდათ? — ჰკითხა კაცმა.

— ორი საპალნე გვეყოფაო, — მიუგეს სოვდაგრებმა.

— კარგით, დაგითმობთ, — უთხრა ბოლოს წივის პატრონმა, — ოღონდ ხელწერილი მომეცით, რომ ჩემგან ისესხეთ ორი საპალნე ისეთივე წივა, როგორიც ჯორ-აქლემებს მიკიდია, და ქალაქში ჩასვლისას ისეთსავე წივას დამიბრუნებთო.

სოვდაგრებმა, რა თქმა უნდა, სიხარულით მისცეს ხელწერილი და გამოართვეს ორი საპალნე წივა. გაათენეს ის ღამე მშვიდობიანად, აჰკიდეს დილით ქარავანს თავთავიანთი ბარგი და გასწიეს ქალაქისაკენ. წივის პატრონიც იმათთან ერთად წავიდა. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, სოვდაგრებმა კაცები გაგზავნეს და საქონლისათვის მდიდრული ქარვასლები დაიქირავეს. წივის პატრონის სოვდაგარს კი შეუთვალეს: — შენს ჭკვიან კაცს ნეხვი მოაქვს და სადმე ერთი მიგდებული გომური დაასვედრეო.

კეთილმა სოვდაგარმა სოვდაგრების დაცინვას ყური არ ათხოვა და თავის ნოქარს ყველაზე საუკეთესო ქარვასლა დაუქირავა. ნოქარმაც თამამად მიაყენა წივით დატვირთული ჯორ-აქლემები ქარვასლას და მსახურებს საპალნეების ჩამოხდა უბრძანა. მეპატრონე სოვდაგარს წივიანი საპალნეების დანახვაზე გული დასწყდა, მაგრამ წყენა არ დაიმჩნია. პირიქით, თავის ნოქარს კარგი სადილი გაუმზადა და შინ მიიწვია. კაცმა აიღო ორი წივის გუნდა და პატრონს გაჰყვა.

სუფრას ოთ ეეოუსდეე, გასსხა ეს წივის გუნდები და ბაგიდაზე სულ ბაჯაღლო თვალ-მარგალიტი და ოქროები გადმოყარა.

— შენი მოცემული ფულით მე აი ასეთი საქონელი შევიძინე. გზაში ორი საპალნე იმ სოვდაგრებსაც ვასესხე. ახლა ისინი მოცემას აღარ აპირებენ, წავიდეთ ხელმწიფესთან, ვიჩივლოთ და ვალი ავინაზღაუროთო.

ჭკვიანმა კაცმა იცოდა, რომ სოვდაგრები თვალ-მარგალიტით სავსე წივას ვერსაიდან მოიტანდნენ და ვალის გადახდაზე უარს იტყოდნენ, ამიტომ ურჩია თავის პატრონს წინასწარვე ხელმწიფესთან ჩივილი.

მართლაც მეორე დღესვე გასწიეს ხელმწიფესთან. საწყალმა კაცმა ხელმწიფესაც მიართვა საჩუქრად თვალ-მარგალიტით სავსე წივის გუნდა და შესჩივლა:

— დიდებულო ხელმწიფევ, მე და თქვენი ქალაქის სოვდაგრები ერთად ვიყავით სავაჭროდ წასული. აქეთობას გზაზე თოვლმა მოგვისწრო, სოვდაგრებმა ცეცხლის დასანთებად ჩემგან ორი საპალნე ასეთი წივა ისესხეს და ახლა ვალს არ მიბრუნებენო.

— რა საბუთი გაქვსო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

კაცმა სოვდაგრების ხელწერილი აჩვენა და დასძინა:

— როგორც მანდ წერია, ჩამოსვლისთანავე უნდა დაებრუნებინათ ორი საპალნე ასეთივე წივა, მაგრამ ახლა აღარაფერს იძლევიანო.

ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა სოვდაგრები და უთხრა:

— ამ კაცისაგან თქვენ გზაში ორი საპალნე წივა გისესხნიათ და ხელწერილიც მიგიციათ, რომ ჩამოსვლისთანავე დაუბრუნებდით, მაგრამ ახლა თურმე აღარაფერს აძლევთ, რაშია საქმეო?

სოვდაგრებმა სიცილი ატეხეს და მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მაგაზე ჩივილი რად უნდოდა, ნეხვს დღესვე თუნდა ათმაგად გადავუხდითო.

— ეს კაცი ნეხვს კი არა, აი ამისთანა წივას გთხოვთო, — უთხრა ხელმწიფემ და აჩვენა თვალმარგალიტით სავსე წივა.

სოვდაგრებმა შორს დაიჭირეს: — ჩვენ მაგწაირი წივა არ ვეისესხნია, მაგას ეგ ერთი წივა ჰქონია თვალ-მარგალიტით სავსე და ახლა უნდა, რომ ჩვენ ორი საპალნე მივცეთო.

მაშინ ადგა ეს საწყალი კაცი და მოახსენა ხელმწიფეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენი კაცები გამოგვაყოლეთ, სათითაოდ დავამტვრევ ყველა წივას და თუ ერთი საინც ცარიელი აღმოჩნდება, თავი მომკვეთეთო.

გააყოლა ხელმწიფემ თავისი კაცები, დაამტვრევინა რაც წივა ჰქონდა კაცს საპალნეებში და ყველა თვალ-მარგალიტით გატენილი აღმოჩნდა. რაღა ეთქმოდათ საცოდავ სოვდაგრებს, მოიტანეს რაც რამ ნავაჭრი ჰქონდათ და სულ იმ კაცს ჩააბარეს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ჭირვეული ხელმწიფე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, იყო ერთი მეტისმეტად ჭირვეული და ავგუნება ხელმწიფე. რაღაც უცნაურს აიკვიატებდა და სანამ არ აისრულებდა, არც მოისვენებდა.

ერთხელ დაიბარა თავისი ერთგული ვეზირი, დაანახვა ცეცხლზე შემოდგმული ლობიოს ქოთანი და ჰკითხა:

— ეს ლობიოს ქოთანი რომ ჩუხჩუხებს, რას ამბობს, უნდა ამიხსნა, თორემ თავს წაგაგდებინებო.

შეწუხდა ვეზირი. იცოდა, მისი მბრძანებელი რა ჭკუისაც ბრძანდებოდა და იმისაგან კარგს არაფერს მოელოდა. თვითონ გონიერი კაცი იყო და იფიქრა, ვაითუ ის არა ვთქვა, რაც ხელმწიფეს აქვს გულში და რაღა მეშველებაო. მოდი, ჯერ სხვებსაც ვკითხავ და საბოლოო პასუხს მერე გავცემო. მართლაც, ადგა, აიღო ჯოხი, გადაიკიდა მხარზე საგზალი და წავიდა. იარა, იარა და ბოლოს გზაზე ერთ კაცს გადაეყარა. კაცმა „გამარჯობა" უთხრა, ვეზირმაც „გაგიმარჯოსო" უპასუხა და წავიდნენ ერთად. კარგა გზა რომ გაიარეს, დაიღალნენ. ვეზირმა უთხრა თანამგზავრს:

— მოდი, ან შენ ამიკიდე, ან მე აგიკიდებ, თორემ ასე სიარული, ვსედავ, ორივეს გაგვიჭირდაო.

თანამგზავრმა გაოცებით შეხედა:

— შე დალოცვილო, საკუთარი თავის ტარება გვიმძიმს და ერთმანეთი როგორღა ავიკიდოთო?!

ვეზირმა ამაზე აღარაფერი უთხრა, თანამგზავრმაც უჩუმრად განაგრძო გზა. თანდათან უფრო დაიღალნენ. გზის პირას ტყე შეხვდათ. ვეზირმა კიდევ უთხრა:

— შედი ტყეში და ორი ფეხი გამოიტანე, ერთი ჩემთვის, ერთი შენთვის და სამ-სამი ფეხით უფრო მსუბუქად ვივლითო.

თანამგზავრმა ისევ გაოცებით მიუგო:

— რას ამბობ, კაცო, ღმერთმა ორ-ორი ფეხი გამოგვიყოლა და ამას უნდა დავჯერდეთ, ეგეც არ იყოს, ტყეში ფეხებს რა უნდაო?!

ვეზირმა აღარაფერი თქვა. თანამგზავრიც გაჩუმდა. გაიარეს კიდევ რამდენიმე მანძილი და გზაზე სამკალად შემოსული პურის ყანა დახვდათ. ყანაა ისეთი, რომ ნული იტყვი! ვეზირმა ჰკითხა:

— რას იტყვი, ეს ყანა მომკილია თუ მოსამკელიო?

თანამგზავრმა სიცილი დაიწყო:

— განა თვითონ ვერა ხედავ, რომ მოსამკალია და რაღას მეკითხებიო?

ვეზირმა კიდევ არაფერი უთხრა და განაგრძო გზა. გაჰყვა თანამგზავრიც. გაიარეს კიდევ კარგა მანძილი და გზაზე მკვდარი შემოხვდათ, სალხი მიასვენებს.

— როგორ გგონია, ის კაცი მართლა მკვდარია, თუ ცოცხალიო? — ჰკითხა ვეზირმა.

ახლა კი ველარ მოითმინა თანამგზავრმა და სმაბალლა შეუტია:

— კაცო, ან შენ თვითონა ხარ სულელი, ან მე გგონივარ, კაცი კუბოში წევს, სასაფლაოსკენ მიასვენებენ და ცოცხალი როგორღა იქნებაო?!

ვეზირი ისევ გაჩუმდა. ბოლოს მიაღწიეს თანამგზავრის სოფელს და დაუღამდათ კიდეც. თანამგზავრმა ვეზირი შინ მიიპატიჟა. ვეზირიც დათანხმდა. თანამგზავრს ერთი გასათხოვარი გოგო ჰყოლოდა. მამა-შვილმა სტუმარს კარგა უმასპინძლეს და ცალკე ოთახში მოასვენეს. სტუმარი რომ გავიდა, ქალმა მამას მისი ვინაობა გამოჰკითხა, მამამ უთხრა:

— ხელმწიფის ვეზირი ყოფილა, მაგრამ გზაზე ისეთ რაღაცეებს მეუბნებოდა და მეკითხებოდა, რომ უსათუოდ სულელი უნდა იყოსო.

— მაინც რას გეუბნებოდაო? — ჰკითხა ქალმა.

— გზაზე დავიღალეთ და იმის მაგიერ, რომ დაგვესვენა, მითხრა: მოდი, ან შენ ამიკიდე, ან მე აგიკიდებ, თორემ ასე სიარული ორივეს გვიჭირსო.

— მერე შენ რა უპასუხეო? — ჰკითხა გოგომ.

— რაც იყო, ის ვუპასუხე: ცარიელები ფეხებს ძლივს მივათრევთ და ერთმანეთი როგორღა უნდა ვატაროთ-მეთქიო.

— არა, მამა, შენ შემცდარხარ, — უთხრა ქალმა, — იმას მართლა ზურგზე აკიდება კი არ სდომებია. მაგ არაკით ის უთქვამს შენთვის, რომ ან შენ თქვი ზღაპარი, ან მე ვიტყვი და დაღლილობას ველარ ვიგრძნობთო.

— ვიარეთ, ვიარეთ და, რა თქმა უნდა, უფრო დავიღალეთ, — განაგრძო მამამ, — დაღლილები ერთ ტყესთან მივედით, ვეზირმა იქ მითხრა, შედი ტყეში, თითო ფეხი გამოიტანე და სამ-სამი ფეხით უფრო ხალვათად ვივლითო.

— მერე, მამი, შენ რა პასუხი მიეციო? — ჰკითხა ქალიშვილმა,

— რა პასუხს მივცემდი, ღმერთს ორფეხიანები გავუჩენივართ და ეს უნდა ვიკმაროთ-მეთქი. ეგეც არ იყოს, ტყეში ფეხებს ვინ არიგებსო.

— ვერ გითქვამს, მამი, კარგად, — გაამტყუნა ქალმა მამა, — ეგრე არ უნდა გეთქვა. შენთვის მაგ ნათქვამით იმას ის უნიშნებია, რომ შედი ტყეში, თითო ჯოხი გამოსჭერ, დავიბჯინოთ და დაღლილ მუხლებს ქარი ამოვაღებინოთო.

ვეზირს ღვიძავს მეორე ოთახში და მამა-შვილის ლაპარაკი სიტყვასიტყვით ესმის.

— შენ მგონი, მართალი ხარ, შვილო, — უთხრა მამამ ქალიშვილს და განაგრძო, — ვიარეთ და გზაზე ერთი მშვენიერი ყანა ვნახეთ. ვეზირმა მკითხა, — როგორ გგონია, ეს ყანა მომკილია, თუ მოსამკალიო? მე ვუპასუხე: რას ამბობ, კაცო, ვერა ხედავ, ყანა მოსამკალია-მეთქი!

— არა, მამი, აქაც შემცდარხარ, — უთხრა ქალმა, — იმ ყანის პატრონს იქნებ ვალი ემართა და მთელი მოსავალი მოვალისთვის უნდა მიეცა, მაშინ იმისთვის მომკილიც იქ-

ნებოდა და შეჭმულიც, ვეზირს სწორედ ეს უკითხავს შენთვის და შენც ასე უნდა გეპასუხაო.

მამამ განაგრძო:

— გამოვიარეთ კიდევ ცოტა მანძილი და ვხედავთ, მკვდარს მოასვენებენ. ვეზირი მეკითხება: ის კაცი მართლა მკვდარია, თუ ცოცხალიაო? აქ კი ველარ მოვითმინე და გაჯავრებულმა შევუტიე: — ან შენა ხარ გიჟი და ან მე მთელი გიჟად, თორემ ვინ არ ხედავს, რომ მკვდარი არისო.

— არა, მამი, — უთხრა ქალმა, — შენ სულ ტყუილ-უბრალოდ გაფხუკიანებულხარ. თუ იმ მკვდარს შვილი დარჩა, მკვდრად არ ითვლება, ხოლო თუ უშვილძიროდ გადაეგო, სიცოცხლის გამგრძელებელი აღარავინ ეყოლება და მართლაც მკვდარი იქნებაო.

ვეზირმა მეორე ოთახში ყველაფერი გაიგონა, ძალიან მოეწონა ქალის გონიერება და იმედი ჩაესახა, იქნებ ხელმწიფის შეკითხვაზეც პასუხი გამცეს და გასაჭირიდან დამისსნასო. მართლაც, გათენდა თუ არა მეორე დილა, ვეზირმა მასპინძელს სთხოვა, თქვენი ქალი მაჩვენეთ, მინდა ორიოდ შეკითხვა მივცეო.

მამამ დაუძახა ქალიშვილს, ქალიშვილი შემოვიდა. ვეზირმა უთხრა:

— ძალიან ჭკვიანი ქალი ჩანხარ და მამაშვილობას, ერთი ეს ამიხსენი: ლობიოს ქოთანი ცეცხლზე რომ ჩუხჩუხებს, რას ამბობსო?

ქალმა მოახსენა:

— ლობიოს ქოთანი რომ ჩუხჩუხებს, ცეცხლს ეუბნება: ცეცხლო, მაკმარე წვა და დუღილი, თორემ შენი მხურვალეების ატანა აღარ შემიძლია, გადმოვალ და ჩაგაქრობო.

ვეზირს ჭკუასთან ახლოს ეწიშნა ეს პასუხი, ქალს ძვირფასი საჩუქარი მიართვა და ხელმწიფესთან გახარებული დაბრუნდა. უთხრა ხელმწიფეს, როგორც ქალმა ასწავლა: ლობიოს ქოთანი როცა ჩუხჩუხებს, ცეცხლს ეუბნება, კარგი, მაკმარე ამდენი დუღილი, თორემ გადმოვალ და ჩაგაქრობო.

პასუხი ხელმწიფესაც ძალიან მოეწონა. ჰკითხა ვეზირს:

— სწორედ მითხარი, შენ მოიგონე თუ სხვამ გასწავლაო?

ვეზირმა ყველაფერი დაუფარავად მოახსენა. ხელმწიფემ იმავ დღეს გაუგზავნა ქალს შუაკაცები და ცოლობა სთხოვა. ქალი დათანხმდა და ხელმწიფემაც აღარ დააყოვნა, საჩქაროდ გამართა ქორწილი და ამ ქალზე ჯვარი დაიწერა.

გახდა გლეხის ქალი დედოფალი, მაგრამ ზოგიერთებიეით არ გამედიდურებულა, ის კი არადა, თავისი გონივრული საქციელით ხელმწიფეც მოათვინიერა, მოაშლევინა ჭირვეულობა, აკვიატება, სიჯიუტე და ხალხისათვის გულშემატკივარ, სამართლიან მსაჯულად აქცია.

ტყუილად კი არ ამბობს ხალხი: კარგი ცოლი დიდი განძიაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ორი ქოსატყუილა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ორი ქოსატყუილა, ერთს დათუა ერქვა, მეორეს — პეტრიკელა. დათუა ქართველი იყო, პეტრიკელა — იმერელი.

ერთ დღეს დათუა ქოსატყუილამ აიღო ერთი დიდი ტომარა, გატენა ხასვის ნაფურჩალით, მაღლიდან ცოტა მატყული დააფინა და იმერეთში წაიღო გასასყიდად.

სწორედ იმ დღეს პეტრიკელამაც აიღო ერთი დიდი ტომარა, გატენა კაკლის ნაჭუჭით, მაღლიდან ცოტა კაკალი მოაყარა და გასასყიდად ქართლში წაიღო.

დათუა ქოსატყუილა კორტოხის წვერზე რომ ავიდა და იმერეთს გადახედა, სწორედ ამ დროს პეტრიკელაც ამოჩნდა ტომარააკიდებული. შეხვდნენ ერთმანეთს და, როგორც ქართველების წესია, გამარჯობა-გაგიმარჯოს უთხრეს.

— საიდან მოხვალ, ან საით მიხვალო? — ჰკითხა დათუა ქოსატყუილამ.

— იმერეთიდან მოვდივარ, ქართლში გასაყიდად კაკალი მიმაქვსო, — მიუგო პეტრიკელამ და თავის მხრითაც ჰკითხა, — შენ საიდანღა მოდიხარ და საით გაგიწევიაო?

— მე კიდევ იმერეთში მივდივარ და მატყული მიმაქვს გასაყიდადო, — უთხრა დათუამ.

— მოდი, ერთი კაი სიტყვას გეტყვი, თუ დამიჯერებო, — უთხრა პეტრიკელამ.

— ბრძანე და, თუ მართლა კარგ რასმე იტყვი, დაგიჯერებო, — მიუგო დათუამ.

— აქეთ-იქით სიარულს რას გამოვრჩებით, — უთხრა

პეტრიკელამ, — სსვაც არა იყოს რა, ტყუილუბრალოდ ქალამნები გაგვიცვდება. მოდი, ჩვენი სავაჭროები გავცვალოთ, — შენ კაკალი წაიღე ქართლში და გაყიდე, მე შენი მატყლი მომეცი და იმერეთში გავყიდიო.

— ძმობის მადლმა, ასეთი გონივრული სიტყვა კარგა ხანია აღარ მომისმენიაო, — უთხრა დათუამ, — მართლაცდა, რას გამოვრჩებით აქეთ-იქით ტანტალს, აჰა, ჩემი მატყლი და შენი კაკალი მომეციო.

გაცვალეს ქოსატყუილებმა ტომრები და თავიანთი სახლებისაკენ გაბრუნდნენ. ერთსაც ეგონა, მოვატყუეო და მეორესაც. მაგრამ გულში ეჭვი ორივეს ჰქონდა. ჰოდა, ცოტა მანძილი რომ გაიარეს და ერთმანეთის თვალი იცდინეს, მაშინვე ტომრებს ეცნენ, შეხსნეს პირები და მიხვდნენ, ერთმანეთი მოუტყუებიათ: პეტრიკელას ხახვის ნაქურჩალით გატენილი ტომარა შერჩა ხელთ, დათუას კი — კაკლის ნაჭუჭით.

გავიდა რამდენიმე ხანი და დათუა და პეტრიკელა კიდევ შესვდნენ ერთმანეთს. იცნეს, რა თქმა უნდა, ერთმანეთი და მიესალმნენ:

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— მე მეგონა, მარტო მე ვიცოდი ტყუილი, მაგრამ არც შენ ყოფილხარ, ძმაო, ნაკლებიო, — უთხრა დათუამ.

— იმე, — შეიცსადა პეტრიკელამ, — ტყუილში რავა მაჯობებდი, შენ თუ იცი, მე რავა აღარ მეცოდინებოდაო?!

— მართლა გცოდნია და კარგადაც გცოდნია, — უთხრა დათუამ, — მოდი, ბარემ დავძმობილდეთო.

— ძალიან კარგიო, — მიუგო პეტრიკელამ, — დავძმობილდეთ და საქმეც ერთად ვაკეთოთო.

— რა ვაკეთოთო? — ჰკითხა დათუამ.

— სადმე მოჯამაგირედ დავდგეთო.

— კარგი, დავდგეთო.

დაიწყეს ქოსატყუილებმა მოჯამაგირის ადგილის ძებნა. ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს გაიგეს, ერთ დედაბერს ორი მოჯამაგირე უნდაო, და წავიდნენ დედაბერთან. დედაბერმა უთხრა:

— ერთი ძროხა მყავს და აი ეს სახლი მაქვს. ერთმა თქვენგანმა ძროხა უნდა ატაროს საბალახოდ და თან სალამური იქონიოს, ჩემი ძროხა პირველი მოცეკვავეა და სალამურის დაკვრაზე ცეკვავს. მეორემ აქაურობა უნდა დაალაგოს, დაგავოს და ნაგავი სხვის ეზოში გადაყაროს. აი, ეს არის ჩემი საქმე და, თუ თანახმა ხართ და შესძლებთ სამსახურს, დადექითო.

— რა არის მანდ შეუძლებელი, თანახმა ვართო, — უთხრეს ქოსატყუილებმა.

დაუდგნენ მოჯამაგირედ. მეორე დღეს პეტრიკელა შინ დარჩა სახლ-კარისა და ეზოს მოსავლელად, დათუამ კი ჩაიდო ყველ-პური გუდაში, სალამური ქამარში გაიჩარა და ძროხა გარეკა.

პეტრიკელამ სახლ-კარი დაგავა, დაასუფთავა და კარგა ბლომა ნაგავიც დააგროვა. მერე მოსვეტა და, როგორც პირობა ჰქონდა, მეზობლის ეზოში გადაყარა. ეზოს პატრონებმა თვალი შეასწრეს, ეცნენ და ისე სცემეს, რომ ძვალი და რბილი გაუერთიანეს. ნაცემ-ნაბეგვი პეტრიკელა ძლივს-ძლივობით შეხანხალდა დერეფანში და ტახტზე დაეგდო.

კაი დღე არც დათუა ქოსატყუილას დაადგა: გაიყვანა თუ არა ძროხა მინდორში, როგორც დედაბრისაგან ჰქონდა ნათქვამი, მაშინვე სალამურს ჩაჰბერა. აბა, სალამურის ხმა გავიგეო, — შეხტა ძროხა და მთელ დღეს მუხლჩაუხრელად ირბინა. დათუაც, რა თქმა უნდა, უკან დასდევდა. იმდენი არბენინა ძროხამ, იმდენი, რომ საღამოს ფეხზე დგომა უჭირდა. პურის ჭამაც კი ვერ მოახერხა და საღამოს ასე მშიერ-მწყურვალი და გადალასლასებული დაბრუნდა შინ. ნახა პეტრიკელა დერეფანში ტახტზე წამოწოლილი და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ძმაო, ავად ხომ არა ხარო?

— ავად კი არა, ის არ გინდაო! — მიუგო პეტრიკელამ.

— აბა, რატომ წევხარო?

— რატომ ვწევარ, ძმაო, და, — ბოსელი და სახლ-კარმიდამო რომ დავგავე, ნაგავი სხვის ეზოში გადავყარე. დამინახეს ეზოს პატრონებმა და მაშინვე პურმარილზე მიმიწვიეს. იმდენი კახური ვსვი, რომ ახლაც თავი მიბრუისო, — მერე ჰკითხა, — შენ როგორიღა დრო გაატარეო.

— მეც დიდებული დრო გავატარე, — უთხრა დათუამ,— გავედი თუ არა, მინდორში სალამური ავარაკრაკე, ძროხამ დაიწყო ცეკვა. სალამურის ხმასა და ცეკვაზე აუარებელი ხალხი მოგროვდა და ისინიც ჩვენთან ერთად ცეკვავდნენ და მხიარულობდნენ. ისე გავერთე ამ საერთო ლხინში, რომ, შენ წარმოიდგინე, პურის ჭამაც აღარ მომგონებია და ხმიადი ისევ მთელი მოვიტანეო.

— აბა, რაკი ეგრეა, ძმაო, — უთხრა პეტრიკელამ, — ხვალ ძროხას მე გავყვები და შენ კი ერთი ლაზათიანად გამოთვერიო.

— ეგრე იყოს, არ გაწყენინებო, — დათანხმდა დათუა.

გათენდა მეორე დილა, პეტრიკელამ ძროხა გარეკა. დათუა კი სახლ-კარის მოსავლელად დარჩა, პეტრიკელა ძროხამ არბენინა, დათუა მეზობლებმა მიბეგვეს. დაბრუნდა პეტრიკელა სამწყემსურიდან სულამოხდილი, დაინახა დერეფანში ტახტზე მოკუნტული დათუა და შორიდანვე სიცილი აუტყდა, დათუამაც ასევე, პეტრიკელას დანახვაზე, ხმამაღლა გადაიხარხარა:

— კაი ოინი კი გიყავი, მაგრამ არც შენ დამმართე ნაკლებიო.

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, — მიუგო პეტრიკელამ და თვითონაც დათუას გვერდით მიეგდო.

ქოსატყუილებმა იმ ღამეს მოილაპარაკეს, მოდი, აქედან გავიპაროთ, თორემ ან შიმშილ-სირბილი მოგვიღებს ბოლოს, ან ცემა-ტყეპაო, ადგნენ და ჩუმად კართან მიიპარნენ, მაგრამ კარი დედაბერს გარედან ურდულით გადაეკეტა და თვითონაც იქვე დაწოლილიყო.

რაღა უნდა ვქნათ? ბევრი ფიქრის შემდეგ პეტრიკელამ თქვა:

— მოდი, ჭერი ავანგრიოთ, ეს ჩვენი მაწვალებელი ძროხა დავკლათ და ტომარაში ჩავდოთ, მერე ერთ-ერთი მაღლა ავიდეთ და თოკი ჩამოვუშვათ, ძირს რომელიც დავრჩებით, იმან ჯერ ტომარა მიაბას თოკს და მიაწოდოს, მერე თვითონაც მოიბას წელზე და ავიდეს, ბანზე რაკი ავალთ, წინ აღარაფერი დაგვიდგება და თავსაც და ნაპარავსაც მშვიდობით გავიტანთო.

— ეგ ძალიან კარგი რაღაც მოიგონე, — მოუწონა დათუამ, — მაშ, მოდი, მაღლა მე ავალ, რადგან უფრო ღონიერი ვარ და შენცა და ხორცსაც უფრო ადვილად აგზიდავთო.

შეთანხმდნენ ამ ბირობაზე და დაკლეს ძროხა. მერე ააწგრიეს ჭერი, პეტრიკელამ უკიბა დათუას და ასვა ბანზე. დათუამ თოკი ჩაუშვა, პეტრიკელამ ტომარაში ორი ნაჭერი ხორცი ჩააგდო, მერე თვითონ ჩაჯდა, შემოიხვია გარედან თოკი და დათუას ასძახა:

— აბა აიტანე ხორცი და თოკი ისევ ჩამოუშვიო.

აიტანა დათუამ ტომარა, მაგრამ პეტრიკელა აღარც კი მოჰგონებია, წამოიკიდა ტომარა და უკანმოუსედავად მოკურცხლა. კარგა დიდი მანძილი რომ გაირბინა და დარწმუნდა, ასლა კი სამშვიდობოს ვარო, დასვენება გადაწყვიტა, მოიხსნა ტომარა და ძირს დააგდო.

— ნელა, შე ოჯახქორო, გვერდები ნუ დამამტვრიეო! — შესძახა პეტრიკელამ და ტომრიდან ხარხარით ამოძვრა.

— გაგიწყრა ღმერთი, წელი რაზე მომწყვიტეო, — უსაყვედურა დათუამ და თვითონაც სიცილი აუტყდა.

მერე დასხდნენ, ძროხის მწვადები შეიწვეს და ერთმანეთს უთხრეს: — სომ ვხედავთ, რომ ერთმანეთის ღალატი და მოტყუება ხეირს არ გვაყრის, მოდი, ნუღარ მოვატყუილებთ ერთმანეთს, ნურც ვუღალატებთ და აღარც წელი მოგვწყდება და არც სხვაფრივ ვიზარალებთო.

დათქვეს და გაამართლეს კიდეც. ის დღე იყო და ის, ერთმანეთისათვის აღარც ტყუილი უთქვამთ, აღარც უღალატიათ და დღესაც კარგი მეგობრები არიან.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სტუმართმოყვარე ცოლი

იყო და არა იყო რა, იყვნენ სამნი ძმანი, მეტად ღარიბები და არაფრის მქონენი. ერთ დღეს მთელი სოფელი მინდორში სათიბად გავიდა. ყველამ კარგი სადილი მოამზადა და წაიღო. ღარიბმა ძმებმა კი გუდაში ხმელი პურის ნატეხები ჩააწყვეს, ხურჯინში ერთი დოქი ნაძირალა ღვინო ჩადგეს, ხახვი და ნივრის თავები ჩაყარეს და ისე გავიდნენ. თიბვას რომ მორჩნენ, მთიბავებმა გაშალეს სუფრები და ერთი ქეიფი და დროსტარება გამართეს. ღარიბ ძმებს კი რით უნდა ექეიფათ, გავიდნენ მინდვრის ბოლოში, ამოიღეს თავიანთი ღარიბული საგზალი და ჩუმად დაიწყეს ჭამა. მინდორში გახურებული ცეკვა-სიმღერაა, ძმები კი სხედან თავისთვის და გამხმარ პურს უგემურად ლოღნიან.

ამ დროს ქვევიდან ერთი თეთრწვერა მოხუცი გამოჩნდა. ამოუარა სუფრებს და ყველას მიესალმა, მაგრამ სუფრაზე ერთმაც არ მიიწვია. ბოლოს ღარიბ ძმებსაც მიესალმა. უფროსმა და შუათანა ძმებმა თქვეს: კარგი იყო, ეს ბერიკაცი მოგვეწვია, მაგრამ ჩვენი სამყოფი არაფერი გვაქვს და მაგას რაღა ვაჭამოთო.

— რაცა გვაქვს, თანასწორად გავიყოთო,—უთხრა ნაბოლარა ძმამ და ბერიკაცს დაუძახა: — ძია კაცო, თუ გვიკადრებთ, ჩვენთან მობრძანდით და სუფრაზე დაგვეწვიეთო.

მივიდა თეთრწვერა კაცი, ჩამოჯდა სუფრასთან და ძმებს უთხრა:

— ყველა მღერის, მხიარულობს და თქვენ ჩუმად რად სხედხართო?

— არაფერი გვაქვს სამხიარულო და რა ვქნათო, — მიუგეს ძმებმა, — აი, ხმელი პურის და ნაძირალა ღვინის მეტი არაფერი გაგვაჩნია და ამით აბა რა ქეიფს გავწეეთო.

მაშინ სტუმარმა უთხრა:

— აბა, კარგად ნახეთ, გუდაში იქნებ სხვა პურიცა გაქვთო.

გასინჯეს ძმებმა გუდა და რას ხედავენ, სულ თეთრი, გამტკიცული შოთებით არის გამოტენილი. ამოალაგეს პურები. ბერიკაცმა კიდევ უთხრა::

— აბა, ახლა ხურჯინი ნახეთ, იქნება ნივრისა და ხახვის გარდა სხვა რამეც იყოსო.

ნახეს ძმებმა ხურჯინი და სულ ნაზუქებითა და მოხარშული დედლებით არის სავსე. გადმოალაგეს ისიც სუფრაზე. ბერიკაცმა ახლა ღვინის დოქზე უთხრა:

— აბა, დაასხით, რა იცით, შიგ თავანკარა საფერავი არა დგასო.

მართლაც დაასხეს ძმებმა ღვინო და დოქიდან გიშრისფერი საფერავი წამოიღვარა. გაიშალა მდიდრული სუფრა, მოუსხდნენ ძმები თავის სტუმრიანად, გადაჰკრეს ღვინო და ომახიანი სიმღერაც შემოსძახეს.

მთიბავები იცინოდნენ, — ნეტა მაგ ლატაკებს რა აქვთ ისეთი, რომ სტუმარიც მიიპატიჟეს და ჩვენზე მხიარულად მღერიანო.

ქეიფი რომ დაამთავრეს, თეთრწვერა კაცმა უფროს ძმას ჰკითხა:

— შენ რას ინატრებდი, უფრო რისი მოყვარული ხარო?.

— არაფერი არ მინდა, — უთხრა უფროსმა ძმამ, — ნეტა იმდენი მიწა მომცა, წლის სამყოფი სარჩო მოვიყვანოო.

— მომიცია შენთვის საკმარისი მიწა და სანამ სტუმარი გეყვარება, ბარაქა ნუ გამოგილიოსო, — უთხრა სტუმარმა და შუათანა ძმას ჰკითხა: — შენ რაღას ინატრებდიო?

— მე საქონლის მეტი არაფერი მინდა, — მიუგო საშუალო ძმამ, — საქონელი თუ მეყოლება, არც მომშივა და არც შემციეაო.

— მომიცია შენთვის საქონლის ჯოგი და სანამ სტუმარი არ შეგძულდება, არც ღალა და ბარაქა გამოგელევაო, —

უთხრა კაცმა და ბოლოს ნაბოლარა ძმას მოუბრუნდა:—შენ რაღა გინდაო?

— მე ისეთი ცოლი მინდა, სტუმარი უყვარდეს და ოჯახის მოვლაც არ ეზარებოდესო, — უთხრა ნაბოლარამ.

— აი, ყოჩაღ!—უთხრა ბერიკაცმა,—შენ მართლა კარგი რამე ირჩიე. მაგრამ ეგეთი ქალი ქვეყანაზე მხოლოდ ერთი მეგულება, კეისარსა ჰყავს და სწორედ ამაღამ ათხოვებს. წავიდეთ, ვცადოთ, იქნება როგორმე მოვახერხო და შეგრთოო.

ბერიკაცმა უფროს ძმას მიწა მისცა, საშუალოს — საქონლის ჯოგი და იქვე დაასახლა. უმცროსი ძმა კი თან წაიყვანა. მიიყვანა მოხუცმა უმცროსი ძმა კეისრის კარზე და დაიძახა:

— მასპინძელო, მგზავრები ვართ და ერთი ღამე გაგვათენებინეო.

გამოეგებნენ მექორწილეები და შეიყვანეს შინ. მოუსხდნენ სუფრას ბერიკაცი და ბიჭი. რა გინდა სულო და გულო, სუფრაზე არ იყოს. თავში ნეფე-დედოფალი სხედან, აქეთ-იქიდან მდადი და ეჯიბი უსხედან, არის ერთი ჯიხვების ტრიალი, ლხინი, მუსიკა და სიცილ-ხარხარი.

ბერიკაცმა უთხრა ბიჭს:

— რასაც გეტყვი, ყველაფერზე დამეთანხმე, რა გინდ შეუძლებელიც არ უნდა გეჩვენოს ჩემი ნათქვამი, შენ არ შეგეშინდეს, მე შეგასრულებინებო.

— კარგიო, — დათანხმდა ბიჭი.

შუა ლხინში თამადამ სმა შეაჩერა და მუსიკა და ცეკვა მოითხოვა. გადმოდიან ნარჩევ-ნარჩევი ბიჭები, იწვევენ თვალჟუჟუნა გოგოებს და უვლიან ცერულს. ბოლოს ნეფეც გადმოვიდა და გადმოიყვანა პატარძალი. ცეკვავს ნეფე, ხტის მაღლა, დგება ცერებზე და პატარძალს თავს აწონებს. ამ დროს წამოდგა თეთრწვერა ბერიკაცი და ხმამაღლა დაიძახა:

— ეს რა ცეკვაა, მომიტანეთ ხანჯლები და ნამდვილ ცეკვას მე გიჩვენებთო.

მოუტანეს ხანჯლები. ბერიკაცმა ყველა ხანჯალი ტარით წვერაღმა დააყუდა და უმცროს ძმას უთხრა. — ადე, იცეკვეო.

ბიჭს გული გაუსკდა.

— როგორ უნდა ვიცეკვო ხანჯლის წვერებზე, ხომ ზედ ჩამოვეგებიო, — უჩურჩულა ბერიკაცს, მაგრამ თეთრწვერამ არ დაიშალა: — შენ გადი და დანარჩენი მე ვიციო.

გადავიდა ბიჭი და ხანჯლის წვერებზე ისე დაუარა, როგორც გაკრიალებულ იატაკზე. თვალი ყველას მასზე დარჩა — პატარძალსაც და სხვებსაც, ნეფემ ეს შეამჩნია და გაჯიბრება მოიწადინა, მაგრამ შედგა თუ არა ფეხი ხანჯლის წვერებზე, შიგ შეერჭო და გაწბილებული უკანვე გამობრუნდა.

დაიწყეს ისევ სმა და ლხინი. კარგა რომ შეზარხოშდნენ, თამადამ ისევ შესვენება გამოაცხადა. შესვენებაზე, როგორც ქართული ლხინის წესია, ათასნაირი გასართობი მოიგონეს,—ზოგმა ცხვრის ბეჭი გადაიმტვრია ცერზე, ზოგმა თავსატეხი გამოცანა თქვა, ზოგმა ცხვირსახოცი დამალა მუჭში და მერე სხვისი ჯიბიდან ამოიღო. ერთი სიტყვით, ვისაც რისი უნარი ჰქონდა, იმით დაიწყო თავის გამოჩენა. უცბად ბერიკაცი წამოდგა და საჯაროდ გამოაცხადა:

— ეგ რა საკვირველია, მომიტანეთ ვაზის რქა და ნამდვილ სასწაულს მე გიჩვენებთო.

მოუტანეს ვაზის რქა. ბერიკაცმა თქვა:

— ჩემი ძმისწული ამ ვაზს დაიჭერს ხელში, რქა თქვენს თვალწინ აყვავდება, გამოისსამს მტევნებს და ერთ საათში ცინცხალ ყურძენს მოგართმევთო.

ბიჭს ისევ გული გაუსკდა, ვაზს ხელში რა ააყვავილებს და რა დაამწიფებსო, მაგრამ ბერიკაცმა უჩურჩულა: — შენ ხელი მოჰკიდე და დანარჩენს თვითონ ნასავო.

მოჰკიდა ბიჭმა ხელი და ვაზი მართლაც აყვავდა, დაიკოკრა მტევნები და ყურძენიც დამწიფდა. ყველა გაოცებული დარჩა, პატარძალი ხომ ფთლად გადაირია და ბიჭს თვალს ვეღარ აშორებდა. ბერიკაცმა ბიჭს უჩურჩულა, ყურძენი პატარძალს მიართვიო. მიართვა ბიჭმა და პატარძალმა უფრო გაიხარა.

გაჯავრდა ნეფე და დაიძახა:

— ეს რა დიდი სასწაულია, მომიტანეთ ვაზი და მეც გავანეძლებო!

შემოუტანეს ერთი თამამი სამამულე რქა და მისცეს ხელში. ნეფემ ბევრი ატრიალა ვაზის რქა, ხან მოუჭირა ხელი, ხან შეუშვა, ხან სული შეუბერა, მაგრამ სულ ამაოდ, ვაზი არც აყვავდა და არც მტევანი გამოიბა. პატარძალმა სიცილი დააყარა. გაწბილებულმა ნეფემ ვაზი შორს გადაისროლა და ღვინის სმას მიეძალა.

დანარჩენმა ხალხმაც ღვინის სმა განაგრძო. კარგად რომ შეთვრნენ, ქართული ჩვეულების თანახმად, შეჯიბრი გამართეს. ყველას უნდოდა თავის გამოჩენა და ყველა მოზრდილ სასმისს ეტანებოდა, — ზოგი ყანწით სვამდა, ზოგი — თასით, ზოგი — დოქით. იყო ერთი მსიარულება და სიცილ-ხარხარი. ამ დროს ისევ წამოდგა თეთრწვერა ბერიკაცი და თამადას უთხრა:

— ეს რა სმაა, აბა ერთი ჩაფიანი კოკა მომიტანეთ და ნამდვილი სმა თუ გინდათ, მე გიჩვენებთო.

მოიტანეს ჩაფიანი კოკა, ბერიკაცმა გაავსო ღვინით პირამდე და უმცროს ძმას მიაწოდა. ბიჭს კინაღამ გულს შემოეყარა, ერთი კოკა ღვინო რომ დავლიო, ხომ მოვკვდებიო, მაგრამ ბერიკაცმა ისევ ჩურჩულით გაამხნევა: — დალიე, ნუ გეშინიაო.

მოიყუდა ბიჭმა კოკა და სულმოუთქმელად გამოცალა. ხალხმა ტაში დაუკრა და ერთხმად აღიარა, ჭეშმარიტად დევური მსმელი ყოფილაო. გაცხარდა ისევ ნეფე, ამ გადამთიელმა როგორ უნდა მაჯობოსო და თვითონაც მოითხოვა კოკა. აუვსეს და მიაწოდეს. მოიყუდა ნეფემ და დაიწყო დიდი ყლუპით სმა. ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა დალეული, რომ უცბად დაბარბაცდა, კოკა ხელიდან გაუვარდა და გონდაკარგული ძირს გაიშხლართა.

უგრძნობლად მთვრალი ნეფე დარბაზიდან გაიტანეს. პატარძალი კი წამოხტა, მიირბინა ბიჭთან და გვერდით დაუჯდა. სტუმრები ადგნენ და წავიდ-წამოვიდნენ, აბა, იქ რაღა გააჩერებდათ. თეთრწვერა ბერიკაცი მივიდა კეისართან და ჰკითხა:

— გვატან შენს ქალს, თუ არაო?

— გაგატანთო, — მიუგო კეისარმა და ქალიშვილს ახალი ბედი დაულოცა.

წამოიყვანა ბერიკაცმა ქალ-ვაჟი, ძმების მომიჯნედ ყველაზე კარგ ადგილზე დაასახლა და გამომშვიდობებისას უთხრა:

— სანამ სტუმარი არ შეგძულდებათ, ქვეყნად თქვენისთანა ბედნიერი არავინ იყოსო.

გავიდა ხანი. ცხოვრობენ ძმები ბედნიერად. ერთ კოკისპირულ წვიმიან დღეს ეს ბერიკაცი ისევ გამოჩნდა. მოდის თავით ფეხამდე გაწუწულ-გალუმპული და მიადგა კარზე უფროს ძმას, დააკაკუნა კარი და დაუძახა:

— მგზავრი ვარ, წვიმამ მომისწრო და სამადლოდ ერთი ღამე გამათევინეთ!

ქმარი ცოლს შეეკითხა, რა ვქნა, შემოვუშვა თუ არაო?

— მეხი მაგასაც დავაყარე, — აბუზღუნდა ცოლი, რას დაწანწალებს, გდებულიყო შინ და აღარც წვიმა დაასვეელებდაო.

გაიგონა თეთრწვერამ ცოლის სიტყვები, — რა ბედიც გქონდათ, იგივე დაგიბრუნდეთო, — თქვა თავისთვის და გაბრუნდა. მიადგა ახლა შუათანა ძმას, დაუკაკუნა კარზე და შესძახა:

— ხალხნო, ქრისტიანებო, სამადლოდ ერთი ღამე გამათევინეთ, თორემ ლამის წვიმამ დამახრჩოსო.

საშუალო ძმაც ცოლს დაეკითხა, ცოლი გაბრაზდა:

— აბა, სწორედ მეტი აღარაფერი მინდა, მაგას ლოგინს გავაჭუჭყიანებინებო.

ბერიკაცმა ახლაც გაიგონა ცოლის ნათქვამი და იმათაც ისე შეუთვალა, ისევ ძველი ბედი დაგიბრუნდეთო, და უმცროსი ძმის სახლისაკენ გასწია. მიადგა და დაუკაკუნა: — მასპინძელო, გზაარეული მგზავრი ვარ და ერთი ღამე სამადლოდ გამათევინეთ!

უმცროსი ძმა მომკვდარიყო. ქალს ქმარი კუბოში ჩაესვენებინა და გულამოსკვნით დასტიროდა. ბერიკაცის ხმა რომ გაიგონა, საჩქაროდ წამოდგა, ცრემლი შეიმშრალა და სტუმარს გაღიმებული გამოეგება:

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, სტუმარი ღვთისაა, ახლავე ცეცხლს აგინთებ და ვახშამსაც მოგიმზადებო.

შებრუნდა ქალი შინ, სასლი მიალაგ-მოალაგა და სტუმარი შეიწვია. შევიდა ბერიკაცი და ჰკითხა:

— რატომ ხარ მარტო, ქმარი სადღა გყავსო?

— სსვაგან არის და ჯერ არ მოსულაო, — მიუგო ქალმა და სახე მოარიდა, რომ სტუმარს ნაღველი არ შეემჩნია და არ შეწუხებულიყო.

ეს ბერიკაცი გრძნეული იყო, იცოდა, რომ ქალს ქმარი მკვდარი ჰყავდა და მეორე ოთახში ესვენა, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი იცოდა. ქალი რომ ვახშმის სამზადისს შეუდგა, ბერიკაცი ადგა, გავიდა მეორე ოთახში და უმცროსი ძმა ისევ გააცოცხლა, გაუყარა ხელი და ცოლთან გამოიყვანა.

ცოლი, რა თქმა უნდა, ცას ეწია სიხარულით, მაგრამ სტუმარს მაინც არაფერი შეამჩნევინა და ქმარს გაღიმებულმა უთხრა:

— უი, შენ გენაცვალე, რა კაი დროს მოხვედი, სტუმარს მარტოს მოსწყინდებოდაო.

ახლა კი გაამხილა თეთრწვერა კაცმა თავისი ვინაობა და ქალს უთხრა:

— მე გრძნეული ვარ და ყველაფერი ვიცი. ბარაქალა, ქალო, მართლა კარგი ქალი ყოფილხარ და ბოლომდე კარგი ზედიც შეგრჩესო.

თქვა თუ არა ეს კაცმა, იმავ წამს უკვალოდ გაქრა. ამ დღიდან ცოლ-ქმარი უფრო გამდიდრდა და უფრო ბედ-იღბლიანიც გახდა, უფროსი და საშუალო ძმა კი კვლავ ღარიბ-ღატაკებად იქცნენ.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



სოლომონ გრძელი და პატარა გიჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ორნი ძმანი, ორივენი ერთგული და თავდადებული მშრომელები და ბევრსაც მუშაობდნენ, მაგრამ უგერგილო ცოლები ჰყავდათ და ნაშრომ-ნაღვაწს ბარაქას ვერ ატანდნენ. ძალიან რომ გაუჭირდათ სიღარიბე, ძმებმა თქვეს, მოდი, გავიყარნეთ და ცალ-ცალკე დავსახლდეთ, იქნებ ამით მაინც გვეშველოს და ოჯახებს როგორმე ფუძე დავუდოთო.

ძმებმა დაანგრიეს მამისეული სახლი, გაიყვეს ხე-მასალა და ცალ-ცალკე ქოხები აიშენეს, მერე ადგნენ და, როგორც გაყრილები, საშოვარზეც ცალ-ცალკე წავიდნენ.

უფროსმა ძმამ უმცროსი საით წავიდა, ვერაფერი გაიგო, თვითონ კი იარა, იარა და ერთ მინდორში გავიდა. მინდორში ხალხი გამოსულიყო სახნავად, გუთანს თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ება. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ექვსი უღელი ერთ მხარეს ება, ექვსი — მეორე მხარეს, მეხრეები დასჭყიოდნენ და სახრეებს გამეტებით უტყაპუნებდნენ, მაგრამ გუთანი ადგილიდან არ იძვროდა, ან რას დაიძვრებოდა, როცა ექვსი უღელი ხარ-კამეჩი ერთ მხარეს ეწეოდა, ექვსი — მეორე მხარეს.

უფროსმა ძმამ კარგა ხანს გაკვირვებით უყურა მეხრეების წვალებას, ბოლოს ველარ მოითმინა, მივიდა და გუთნისდედას უთხრა:

— ძმაო, რატომ აწვალებ ან საქონელს ან შენს თავს,

აუშვი ერთი მხრიდან ხარ-კამეჩები, ჩაუბი მეორე მხარეს და გასწევენო.

— წადი, წადი, გზას ეწიე, — უპასუხა გუთნისდედამ, — ჩვენმა ბატონმა ასე გვიბრძანა და ჩვენც ასე უნდა ვაკეთოთო.

— ვინ არის თქვენი ბატონიო? — ჰკითხა კაცმა.

— ვინა და, სოლომონ ბრძენიო! — უთხრა გუთნისდედამ.

— ღმერთმა გაგაძლებინოთ მაგეთი ბატონის ხელშიო, — თქვა უფროსმა ძმამ და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, ახლა ერთ ოთხთვლიან წისქვილს მიადგა. შევიდა შიგა და რას ხედავს: ხვიმირებიდან სულ დარჩეული სორბალი ჩამოდის, წისქვილებიც—ოთხივე დოლაბი გამართულად ფქვავს, მაგრამ საფქვილე ალა არცერთს არ უდგას, ფქვილი საღვარეში ჩადის და წყალს მიაქვს. გაუკვირდა კაცს და მეწისქვილეს ჰკითხა:

— კაცო, რაზე ღუპავ ამ ბროლივით სორბალს, რატომ ალებს არ დაუდგამ, რომ ფქვილი წყალში არ ჩადიოდესო?

— ჩვენმა ბატონმა ასე მიბრძანა და მეც ასე უნდა ვფქვაო, — მიუგო მეწისქვილემ.

— ვინ არის შენი ბატონიო? — ჰკითხა კაცმა.

— ვინა და, სოლომონ ბრძენიო.

კაცს უფრო გაუკვირდა, თუ ის სოლომონი მართლა ასეთი დიდი ბრძენია, მაშ ამ გაუგონარ სიგიჟეს რაღად შვრებაო, და გუნებაში გადაწყვიტა, უნდა წავიდე და ვკითხოო.

მივიდა სოლომონ ბრძენთან და მიესალმა.

— გაგიმარჯოსო, — მიუგო სოლომონ ბრძენმა.

— კაცო, შენზე დიდი ქება გამიგონია და, თუ მართლა ასეთი ჭკვიანი კაცი ხარ, ის წისქვილი და გუთანი ასე უკუღმართად რატომ გამართეო? — ჰკითხა კაცმა.

— ბევრი გინახავს და ცოტა გაგიგიაო, — უთხრა სოლომონ ბრძენმა. ახლა თუ ამიხსნი, რისთვის გავმართე ის გუთანი და წისქვილი ასე, ხომ კარგი, თუ არადა, უვიცობისათვის თავს მოგჭრიო.

დაღონდა კაცი, არ იცოდა, როგორ აეხსნა და სოლომონ ბრძენს მოფიქრებისათვის ერთი კვირის ვადა მოსთხოვა.

— ერთ კვირაში თუ აგიხსენით, აგიხსენით, თუ არა და, იყოს ნება თქვენიო.

სოლომონ ბრძენმა მისცა ერთი კვირის ვადა.

წამოვიდა კაცი, მიდის გზაზე დაღონებული და არ იცის, რა ქნას, რა მოიფიქროს და სიკვდილს როგორ გადარჩეს.

უცბად გზაზე ერთ მენახირე ბიჭს გადაეყარა. ბიჭს ნახირი კაკლის ჩრდილში დაექუჩებინა, თვითონ განზე გასულიყო და სათავნაპიროდ დაცუცქულიყო. ხელში პურის ნატეხი ეჭირა, თან ჭამდა და თან საქმობდა. კაცს გაუკვირდა ბიჭის უსაქციელობა და შეეკითხა:

— როგორ შეიძლება, რომ თან საქმობ და თან პურსა სჭამო?

— განა ასე არ ჯობია, — დაუდევრად მიუგო ბიჭმა, — ძველი გადის, ახალი ჩადისო.

უფროს ძმას მოეწონა ბიჭის პასუხი და იფიქრა, მოდი, ჩემს გასაჭირს ვეტყვი, იქნება სასარგებლო რამე მირჩიოსო, და უთხრა:

— შვილო, გზაზე ორი საკვირველი ამბავი ვნახე: ერთ მინდორში სალხს გუთანი გამოეტანა, მაგრამ საქონელი ისე შეება, ექვსი უღელი ერთ მხარეს, ექვსი — მეორე მხარეს, რომ გუთანს ადგილიდან ვერ ატოკებდნენ. მეორე ადგილზე წისქვილი ვნახე, კარგი სორბალი ეყარა, დოლაბებიც კარგი გამართული ჩანდა, მაგრამ საფქვილე ალები არც ერთს არ ედგა და ფქვილი წყალში ჩადიოდა. ვკითხე მეგუთნეებსაც და მეწისქვილესაც, ასე რადა შვრებით-მეთქი? იმათ მიპასუხეს, — ხალხიც და საქმეც სოლომონ ბრძენისა ვართ და როგორც გვიბრძანა, ისე ვაკეთებთო. გამიკვირდა და ახლა სოლომონ ბრძენთან წავედი და ვკითხე, რას ნიშნავს ასე უკუღმართად გამართული გუთანი და წისქვილი-მეთქი. სოლომონ ბრძენმა მითხრა, ეს გამოცანა შენ უნდა ამიხსნა, თუ არადა, თავს მოგჭრიო. აი უკვე კვირა მიიწურა, რაც გზაზე მოვდივარ და ვფიქრობ, მაგრამ ამ უცნაური ამბისა ჯერაც ვერაფერი გამიგიაო.

— მე აგიხსნი, თუ არ გამცემო, — უთხრა ბიჭმა.

კაცი შეჰპირდა, კრინტს არსად დავძრავო.

— გუთანში ორივე მხარეს ხარები რომ ება და თავთა-

ვიანთკენ ეწეოდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ, როცა ძმები გაიყრებიან და ცალ-ცალკე გავლენ, იმათი საქმეც ეგრეევე წინ ვერ წავა, — უთხრა ბიჭმა, სოლო უალებო წისქვილი ის არის, რომ კაცმა რაგინდ ბევრი იმუშაოს და შეზიდოს სახლში, თუ შინ გერგილიანი დიასახლისი არ ტრიალებს, იმის ნაშრომს ბარაქა არ დაჰყევებაო.

კაცს ეს პასუხი სიმართლედ ენიშნა და სოლომონ ბრძენისკენ გახარებული წამოვიდა. მივიდა და, რაც ბიჭმა უთხრა, ყველაფერი დაწვრილებით მოახსენა.

— ეგ ყველაფერი სწორია, მაგრამ ახლა უნდა მითხრა, ეგ პასუხი ვინ გასწავლაო? — ჰკითხა სოლომონ ბრძენმა. სოლომონი იმხანად სავაზირო კაცს ეძებდა და იფიქრა, ვინც ეს გამოიცნო, ნამდვილად ჭკვიანი იქნება და ვეზირად იმას ავიყვანო.

კაცმა უთხრა:

— თქმით ვერ გეტყვი, რადგან სიტყვა მივეცი, რომ არსად გავთქვამდი და სიტყვის გატეხა სირცხვილიაო.

— მითხარი და იმ კაცს ბედსა ვწევო, — უთხრა სოლომონმა.

— მაშინ წამობრძანდი და ბარემ თვალით გაჩვენებო, — უთხრა კაცმა.

სოლომონ ბრძენმა შეაბმევინა ეტლი, ჩაისვა უფროსი ძმაც და წავიდნენ. პატარა ბიჭს ძროხები უკვე საძოვარზე გამოეშვა და თვითონ კაკლის ჩრდილში წამოწოლილიყო. სოლომონ ბრძენის ეტლმა შემთხვევით ერთ ფურს გვერდი გაპკრა და განზე მიაგდო.

პატარა ბიჭმა წამოიხედა და დაუძახა:

— ჰე, ჰე, ეგ ფური არ გამიბერწოთ, მუცელში ერთი ყარგი სახარე ხბო ჰყავსო.

სოლომონ ბრძენმა ეტლი გააჩერებინა, დააკვირდა მაკე ფურს და უთხრა:

— მართალია, სახარეა, მაგრამ შუბლში ნიშაა.

— არა, ნიშა არ არის, კუდვარდაა, — უპასუხა ბიჭმა, — შუბლზე კუდის წვერი უდევს და შენ ნიშა გგონიაო.

გაიმართა ცილობა, ბიჭი თავისას ამტკიცებდა, სოლომონი — თავისას. რომ ვერ მორიგდნენ, ბოლოს სანაძლეო და-

დეს, დაკლეს ფური და ამოაცალეს ხბო. მართლაც კუდვარ-
და გამოდგა.

— ბრძენი მე კი არა, შენა ყოფილხარო, — უთხრა სო-
ლომონმა პატარა ბიჭს, წაიყვანა სასახლეში და პირველი
ვეზირის სახელო უბოძა. ხოლო კაცი ასეთი გონიერი ვეზი-
რის შოვნისათვის გულუხვად დაასაჩუქრა.

წამოვიდა კაცი, მონასა თავისი უმცროსი ძმა და ისევ
შეიერთა. ძმებმა დაანგრიეს თავიანთი ქოხები და ისევ ერ-
თი საერთო სახლი აიშენეს. მერე უგერგილო ცოლებიც თა-
ვიდან მოიშორეს, შრომისმოყვარე, მეოჯახე ქალები მოიყ-
ვანეს და რამდენიმე წელიწადში ოჯახი ქონებით პირამდე
გაავსეს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მატყუარა ბატონი

— იყო და არა იყო რა, იყვნენ ორნი ძმანი, ღარიბები და არასმქონენი. თქვეს ძმებმა, მოდი წავიდეთ, ვისმე მოჯამაგირედ დავუდგეთ და რამე ვიშოვოთო. ჯერ უფროსი ძმა წავიდა, იარა, იარა, მივიდა ერთ მდიდარ ბატონთან და სთხოვა, გაჭირვებული კაცი ვარ და მოჯამაგირედ დამიყენეო. ბატონი დათანხმდა და უთხრა: — დაგიყენებ მოჯამაგირედ, ოღონდ იცოდე, სანამ გუგული „გუ-გუს" დაიძახებს, სამჯერ თუ რამე გეწყინა, უსასყიდლოდ გაგიშვებ, ხოლო თუ მე რამე მეწყინა, ორმაგს გადაგიხდი და გაგანთავისუფლებო.

— კარგიო, — უთხრა ბიჭმა და დაუდგა მოჯამაგირედ.

მეორე დილას ბატონმა დილაუთენია წამოაგდო მოჯამაგირე ლოგინიდან და თან დასჭყივლა, შე ზარმაცო, ცისკრის ამოსვლამდე რომ წევხარ ლოგინში, რა საქმე უნდა გამიკეთოო!

ბიჭს ძალიან ეწყინა უდროო დროს გაღვიძება, მაგრამ იმის შიშით, სანაძლეო არ წავაგოო, ხმის ამოღება ვერ გაბედა. და ასე ყოველდღე წამოაგდებდა ბატონი დილაბინდზე და გააგდებდა სამუშაოდ: ჯერ წყალს მოაზიდვინებდა, მერე შეშას დააჭრევინებდა და ბუხარს აანთებინებდა, ბოლოს კი დილიდანვე დაღლილ-დაქანცულს, ერთ ნატეხ ხმელ პურს მისცემდა და ნახირში ან ცხვარში გააგდებდა. თან სულ დარაჯად ედგა და მცირე უკმაყოფილებასაც თუ შენიშნავდა, მაშინვე ჰკითხავდა:

— ხომ არაფერი გეწყინაო?

მოჯამაგირე ბოღმას გულში ჩაიბრუნებდა და შეშინებული, წყენა არ შემატყოსო, მშვიდად მიუგებდა:

— არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ცამდე კმაყოფილი ვარო.

ითმინა მოჯამაგირემ, ითმინა, მაგრამ ბოლოს ველარ მოითმინა და ბატონს უთხრა:

— შენთან ყოფნა აღარ მინდა, უნდა წავიდეო.

— წადი, თუ წახვალო,— უთხრა ბატონმა, — მაინც არაფრის მაქნისი იყავი და პურს ტყუილად გაჭმევდიო, — ამოჰკრა პანღური და გამოაგდო.

მოვიდა სახლში ჩამოგლეჯილ-ჩამოკონკილი და უმცროს ძმას ყველაფერი უამბო. უმცროსმა ძმამ უთხრა, შენ ერთი იმ ბატონის სახლი მასწავლე, წავალ, მე დავუდგები მოჯამაგირედ და შენს შრომასაც და ჩემსასაც ერთიორად ავინაზღაურებო.

ძმამ დაუშალა:

— თავი დაანებე, ისეთი უხიაგი რამ არის, ბოლომდე ვერ გაუძლებ და შენც ტყუილუბრალოდ გამუშავებსო.

მაგრამ უმცროსმა ძმამ არ დაიშალა: — შენ მაჩვენე და დანარჩენი ჩემზე იყოსო.

წავიდა უმცროსი ძმა, მივიდა ბატონთან და უთხრა:

— ღარიბი კაცი ვარ და შენს დღეგრძელობას, მოჯამაგირედ დამიყენეო.

ბატონმა დაიყენა და იმასაც ისეთივე პირობა ჩამოართვა: — სანამ გუგული „გუ-გუს“ დაიძახებდეს, თუ სამჯერ რამე გეწყინა, უსასყიდლოდ გაგაგდებ, თუ მე მეწყინა, რაც გერგება, ორმაგს მოგცემო.

— კარგიო, — უთხრა უმცროსმა ძმამ და დაუდგა მოჯამაგირედ.

უმცროსი ძმა ცოტა ხანს კარგად ემსახურებოდა და ყველაფერს უსრულებდა, მაგრამ ერთხელ მზის ამოსვლამდე აღარ წამოდგა ლოგინიდან. შევიდა ბატონი და დაუყვირა:

— ადექი, შე ზარმაცო, საქმეს მიხედეო!

— დამაცადე, ცოტა გამოვიძინოო, — უპასუხა მთქნარებით მოჯამაგირემ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა. ბატონს

მთლად ცეცხლი მოეკიდა, თავი ველარ შეიკავა და უყვირა და უყვირა მოჯამაგირეს. მოჯამაგირე გადმობრუნდა და ცბიერად ჰკითხა:

— რატომ ყვირი, ბატონო, ხომ არაფერი გეწყინაო?

— არა, კაცო, რა უნდა მწყენოდა, — დაიმდაბლა ხმა შეშინებულმა ბატონმა, — ისე გითხარი, გაგახსენეო.

წამოდგა მოჯამაგირე ზლაზვნით და დაიწყო ტანსაცმლის ჩაცმა. შარვალს ხან გაისდიდა, ხან ჩაიცმევდა, ხან გაისდიდა, ხან ჩაიცმევდა, იმდენი, იმდენი, რომ შუადღემდე ძლივს დაამთავრა ჩაცმა. ბატონი უყურებდა და ბრაზით სუნთქვა ეკვროდა, მაგრამ გამხელას როგორ გაბედავდა.

ერთ დღეს ბატონმა უთხრა მოჯამაგირეს:

— ადექი, ხარები მოაძოვე და მალევე მორეკე, დღეს შეშა უნდა ჩამოგატანინო მთიდანო.

მოჯამაგირემ გამოუშვა ხარები და გაირეკა საბალახოდ. მინდორში რომ გავიდა, დაკლა რომელიც უფრო კარგი ხარი იყო, გაატყავა, შეწვა მწვადები და ვინც კი ახლომახლო იყო, ყველა დაპატიჟა. ბატონი ელოდა მოჯამაგირეს, ელოდა და, რომ აღარ დაბრუნდა, თვითონ წავიდა ამბის გასაგებად. მივიდა და რას ხედავს: გატყავებული ხარი ტყავზე გდია და იმისი მწვადებით ხალხი ქეიფობს. ბატონს უცბად ყველაფერი გადაავიწყდა და სმამაღლა უყვირა:

— რა გიქნია ეს, შე ოჯახდანგრეულოო?!

მოჯამაგირემ ცბიერად გაიცინა და ჰკითხა:

— რა იყო, ბატონო, ხომ არ გეწყინაო?

ბატონი უცბად მოვიდა გონს:

— არა, კაცო, წყენით არ მწყენია, მაგრამ აჯობებდა კი, რომ ეს ხარი არ დაგეკლაო, — აკრიფა დარჩენილი ხორცი, შეახვია ტყავში და წამოიღო.

მეორე დღეს ბატონმა მოჯამაგირე ცხვარში გაგზავნა და უთხრა: — სადილს ბიჭის ხელით გამოგიგზავნიო.

მოჯამაგირე წავიდა, მაგრამ ბატონმა სადილი არ გაუგზავნა. იფიქრა, იქნებ გული მოუვიდეს და გავაგდოო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, მოჯამაგირეს ამაზე გული არ მოსვლოდეს და არც შეწუხებულიყოს. დაკლა ერთი კარგი მსუქანი ჭედილა და მწვადები ააშიშხინა. საღამოს დათვალა

ბატონმა ცხვრები და ნახა, რომ ჭედილა აკლია. მაგრამ ში-შით, სანაძლეოს წავაგებო, აღარაფერი თქვა.

ჩავარდა ბატონი საგონებელში: რა ქნას, რით მოიშოროს თავიდან აბეზარი მოჯამაგირე. იფიქრა, იფიქრა და ბოლოს ასეთ სერხს მიმართა: ერთ დღეს წაიყვანა თავისი ცოლი ტყეში, სეზე შესვა და უთხრა:

— მე ჩვენს მოჯამაგირეს სანადიროდ წამოვიყვან და აქეთ ამოვატარებ, როცა დაგიახლოვდებით, სამჯერ „გუგუ" დაიძახე. მოჯამაგირე იფიქრებს, ყავლი გამსვლია და წავა, თორემ სხვანაირად თავიდან ვერ მოვიშორებთ და დაგვლუპავსო.

დატოვა ბატონმა ცოლი სეზე და წამოვიდა. მოვიდა შინ და მოჯამაგირეს უთხრა, სანადიროდ უნდა წავიდეთო.

— კარგი, — დათანხმდა მოჯამაგირე. — ბატონი ბრძანდები და რასაც მიბრძანებ, უნდა შევასრულოო.—აიღეს თოფები, შემოირტყეს სავაზნეები და წავიდნენ. ბატონმა, რა თქმა უნდა, მოჯამაგირე განგებ იმ ხისაკენ წაიყვანა, რომელზეც ცოლი ჰყავდა დამალული. როცა დაუახლოვდნენ, ცოლს ნიშანი მისცა და ცოლმაც სამჯერ ზედიზედ დაიძახა: „გუ-გუ, გუ-გუ, გუ-გუ!"

ბატონი მიუბრუნდა მოჯამაგირეს, ხელი ჩამოართვა და უთხრა:

— მომილოცავს თავისუფლება, აგე, გუგული იძახის, წამოდი, მოგცემ, რაც გერგება და მშვიდობით წადიო.

— მოჯამაგირე უარზე დადგა:

— არა, ბატონო, ჯერ გუგულის მოსვლის დრო არ არის, ალბათ სხვა რამემ დაიძახაო.

— გუგულია, აბა, „გუ-გუს" სხვა რა დაიძახებდაო, — გაჯიუტდა ბატონი.

მოჯამაგირე მისვდა, რომ ბატონი რაღაცას ეშმაკობდა და უთხრა:

— რატომ ვდაობთ, სიმართლეს ასე გავიგებთ, ვესვრი თოფს, მოვკლავ და, თუ მართლა გუგული იქნება, რაღა მეთქმისო.

ამ სიტყვებით გადმოიღო თოფი მოჯამაგირემ, შეაყენა ფესზე და დაუმიზნა იმ ადგილს, საიდანაც „გუ-გუ" მოისმო-

და. ბატონი შეშინდა, ემანდ ახლა ცოლი არ მომიკლასო, სწვდა თოფზე მოჯამაგირეს და გაბრაზებულმა ხმამაღლა დაუყვირა:

— წადი, კაცო, მომშორდი თავიდან, აღარ მინდა შენი მოჯამაგირეობაო.

მოჯამაგირემ ცბიერად გაიღიმა და ჰკითხა:

— ჩემო ბატონო, რაღაც ისეთ ხმაზე ყვირი, მგონი, გული მოგივიდაო.

— გულიც მომივიდა და სისხლიც ამემღვრა, წადი, მომშორდი თავიდანო, — უფრო ხმამაღლა უყვირა ბატონმა.

— მაშინ რაკი აგრეა, სადაო რა გვაქვს, პირობის თანახმად გავსწორდეთ და ღმერთმა მშვიდობა მოგცესო, — უთხრა მოჯამაგირემ.

რაღას იზამდა ბატონი, მისცა, რაც პირობით უნდა მიეცა, უფროსი ძმის ნამუშევარიც ზედ დაუსართა და გააგდო სახლიდან.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ჭკუამხიარული ცოლები

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი. არც შვილი გააჩნდათ, არც ძირი და ვერც ქონებით დაიქადნიღნენ. მათს ბედობაზე შინ კატა არ ჩხაოდა და კარში ძაღლი არ ყეფდა. ქმარი შრომით თავს იკლავდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მაგრამ ცოლი ჭკუამხიარული ჰყავდა და ბარაქას ვერაფერს სდებდა. ქმარს სახლში ერთი ოქროს კვერცხი ჰქონდა, ამ კვერცხს ვაი-შავი დღისათვის ინახავდა და ძალიანაც უფრთხილდებოდა, დაკეტილ უჯრაში ედო და ცოლს ხელის ხლების ნებას არ აძლევდა.

ერთხელ ქმარი სამუშაოდ წავიდა და ცოლი შინ დარჩა. ამ დროს სოფელზე მეწვრილმანე ვაჭარმა ჩამოიარა, ბოლოს ამ ღარიბი კაცის ეზოშიც შეიხედა და მის ცოლს თავისი სავაჭრო გაუშალა. ქალს ყველაზე მეტად დედოფალები მოეწონა. ვაჭარმა რომ_ეს შეამჩნია, უფრო შეუქო — ისეთი გონიერები არიან, რასაც ეტყვი, ყველაფერს გაგიგონებენო.

ქალს გაუხარდა — შვილების მაგივრობას გამიწევენო. მოხვეტა თუკი რამ ებადა სახლში, გამოუტანა ვაჭარს და ორი თოჯინა გამოართვა. ვაჭარმა ჭკუასუსტობა შეატყო და ლაპარაკი გაუბა:

— ერთი მეტისმეტად ძვირფასი ნივთი მაქვს და, თუ სახლში კიდევ მოგეპოვება რამე, ბარემ იმასაც შენ მოგყიდიო. — ამოიღო ჯიბიდან ქაშანური კოკის მოტეხილი ყელი და ქალს დაანახვა, თან ჩვეულებრივ შეუქო: ეს ხვარაზმული ჭოგრიტია და ისეთი საკვირველი რამ არის, მეტი აღარ იქნებაო. მაღლა აიხედავ — ცას დაინახავ, დაბლა დაიხედავ—

დედამიწას, აქეთ გაისედავ — მთებს, იქით — მინდვრებს, ერთი სიტყვით, შიგ ყველაფერი ჩანს და ძალა და სახსარი თუ გაგაჩნია, იყიდეო.

ქალს ძალიან მოეწონა ბრჭყვიალა კოკის ყელი და სულმა წახძლია, შევიდა შინ, გატეხა უჯრა, გამოიტანა ქმრის გადამალული კვერცხი და გაუცვალა.

გახარებულმა ვაჭარმა ისე მოკურცხლა სოფლიდან, რომ უკან აღარ მოუხედნია. ქალი კი შევიდა შინ, მოუჯდა ახლად შეძენილ თოჯინებს და ლაპარაკი გაუბა.

საღამოს მოვიდა ქმარი სამუშაოდან. სახლი დაკეტილი დახვდა და ცოლს დაუძახა, ქალო, კარი გამიღეო!

ქალი კვლავ დედოფალებს გამოელაპარაკა:

— აბა, ჩემო კარგებო, წამოდექით და მამას კარი გაუღეთო.

ქმარი გაბრაზდა და დაუყვირა:

— ქალო, მანდ ვის ელაპარაკები, არ გესმის, კარი გამიღო!

ცოლმაც თოჯინებს დაუწყო ტუქსვა:

— რა ჯიუტი ბალღები ყოფილხართ, არ გესმით, მამა მოვიდა და კარი გაუღეთო.

ქმარმა ბევრი ეძახა და უყვირა, მაგრამ რომ ვერაფერი შეაგნებინა, კარი შეამტვრია. შევიდა და რას ხედავს: მის ცოლს ორი დედოფალა დაუწვენია ტახტზე, თვითონ შუაში ჩამჯდარა და ხან ერთს უსვამს თავზე ხელს და ხან — მეორეს. ქმარს დაბლიდან შემოსცინა და უთხრა:

— არ გეწყინოს, შენი ჭირიმე, აი, ღმერთმა ორი შვილი მოგვცა, ამათ ველაპარაკებოდი და კარი იმიტომ ვეღარ გაგიღეო.

— რა მიეცი მაგ დედოფალებშიო? — ჰკითხა ქმარმა.

— აბა, რას დავიშურებდი, შენი ჭირიმე, რაც რამ გვებადა, ყველაფერი ამათ მომყვანს გავატანე, მაგრამ ნუ გამიჯავრდები, სამაგიეროდ შენთვის ნამდვილი სვარაზმული ჭოგრიტი ვიყიდეო. — უთხრა ქალმა და ქმარს მოტეხილი კოკის პირი გაუწოდა.

— ქალო, რა ღმერთი გაგიწყრა, ამაშიც ფული მიეციო? — შეჰყვირა ქმარმა.

— ბევრი არაფერი, შენი ჭირიმე, — უთხრა ცოლმა, — შენ რომ უჯრაში კვერცხი გქონდა, ის მივეცი და აბა, ერთი კვერცხი რა დიდი ფასიაო.

ქმარი კინაღამ გადაირია, მაგრამ რაღას იზამდა, მოიკრიფა გონება და ცოლს გამოჰკითხა, ვინ იყო, ვინც ესენი მოგიტანა, როგორი კაცი იყო, ან ტანთ რა ეცვაო?

ცოლმა ჩამოუთვალა კაცის ნიშნები, ქმარი მიხვდა, რომ მისი ცოლი ქალაქელ ვაჭარს მოეტყუებინა და იმავ წამს მის საძებრად წავიდა. მივიდა ქალაქში, აუარ-ჩაუარა ვაჭართა დუქნებს, მაგრამ რა იცის, რომელია, ვაჭრები ხომ ჩაცმულობითაც და ქცევითაც ერთმანეთს ჰგვანან. გამობრუნდა უკან დაძმარებული. სანამ ქალაქს გამოსცდებოდა, დაღლილ-დასიცხულს მოსწყურდა და ერთ ეზოში წყალი ითხოვა. ეს სწორედ იმ ვაჭრის სახლი იყო, რომელმაც იმისი ცოლი მოატყუა. მოახლე გოგომ თუნგით წყალი გამოურბენინა და თან შეეკითხა:

— სადაური სარ, ძია, ან საიდან მოდიხარო?

— ჯანდაბელი ვარ და ჯანდაბას მივალო, — უპასუხა გაჯავრებულმა კაცმა. გოგომ გაკვირვებისაგან პირი დააღო, შევარდა შინ და თავის ქალბატონს მიაძახა:

— ქალბატონო, ქალბატონო, ჩვენს ეზოში ჯანდაბელი კაცი შემოვიდაო.

— ჯანდაბელი კაციო? — ქალბატონი ფხაჭა-გლეჯით გამოვარდა და კაცს ჰკითხა: — მართლა ჯანდაბელი ხარო?

კაცი მიხვდა, რომ ქალბატონიც მისი ცოლის ჭკუისა იყო და თავი მოიმხიარულა.

— კი, ჯანდაბელი ვარო, — უთხრა.

— რაკი იქაური ხარ, ჩემი ძმების ამბავიც გეცოდინებაო? — ჰკითხა ქალბატონმა.

— როგორ არ ვიცი, — უთხრა კაცმა, — შენი ძმები სახლს აშენებენ, ახლა საგანგებოდ იქით ჩამოვიარე და დამაბარეს, ჩვენს დასთან მიდი და უთხარი, რომ მშენებლობის ფული გვაკლდება და ოქრო და თვალმარგალიტი გამოგვიგზავნოსო.

— ოღონდ იმათ ნურაფერი გაუჭირდებათ და, რაცა გვაქვს, ყველაფერს გაგატანო, — თქვა ქალბატონმა, შევარ-

და შინ, მოუსვა ხელი რაც ფული და თვალ-მარგალიტი ჰქონდათ, გატენა ერთი დიდი ტომარა და კაცს გამოუტანა. — აჰა, წაუღე, ახლა ამის მეტი არა მაქვს, მაგრამ შემოდგომისათვის კიდევ მოვუგროვებ და, როცა დასჭირდებათ, შემომითვალონო.

— კარგი, გადავცემო, — უთხრა კაცმა, წამოიკიდა ოქრო-თვალ-მარგალიტით გატენილი ტომარა და უკან მოუხედავად მოკურცხლა.

მოვიდა შინ ვაჭარი, ქალს გუნებანაცვალობა შეატყო და ჰკითხა:

— ქალო, რა იყო, რამ გაგამხიარულაო?

— ამაზე მეტი სასიხარულო რაღა უნდა მქონდეს, — უთხრა ქალმა, — დღეს ერთმა ჯანდაბელმა კაცმა ჩამოიარა, ჩემს ძმებს დაებარებინათ, სახლის ასაშენებელი ფული შემოგვაკლდა და ჩვენმა დამ გამოგვიგზავნოსო.

— მერე გაატანეო? — ჰკითხა შეშინებულმა ვაჭარმა.

— ბევრი ვერაფერი, მხოლოდ ერთი ტომარა გავუვსეო.

შემოიკრა ვაჭარმა თავში ხელი, შეჯდა მაშინვე ცხენზე და კაცს დაედევნა. კაცმა ერთ წისქვილთან შეისვენა, უკან მოიხედა და შორს გაჭენებული ცხენით მომავალი ვაჭარი დაინახა, „ეგ უეჭველად მე მომდევსო", — თქვა კაცმა, შევარდა წისქვილში და მეწისქვილეს უთხრა: — კაცო, ასეთი რა დაუშავე ბატონს, რომ შენს მოსაკლავად მოდისო, — და დაანახვა ცხენიანი ვაჭარი.

მეწისქვილეს მართლა თავისი ბატონი ეგონა, იფიქრა, ალბათ საფქვავი კარგად ვერ დავუფქვი და იმაზეა ასე გაჯავრებულიო, და გულგახეთქილი კაცს შეეხვეწა:

— მოდი, ცოტა ხანს ჩემს ადგილზე დადექი. მე ხვიმირში დავიმალები და იქნებ ვერ მიპოვოსო.

— კარგიო, — დათანხმდა კაცი, მეწისქვილე ხვიმირში ჩაძვრა, თვითონ კი შეიყარა ფქვილი სახეზე, რომ მართლა მეწისქვილეს დამგვანებოდა და ვაჭარს საკიდვარზე შეეგება.

მოაგდო ვაჭარმა ცხენი თქარათქურით და კაცს ჰკითხა:

— აქეთ ტომარააკიდებულ კაცს ხომ არ გაუვლიაო?

კაცი ახლოს მივიდა და ჩურჩულით უთხრა:

— ნუ გამცემ კი და, ამ ცოტა ხნის წინ, ერთი ტომარა-

აკიდებული კაცი მოვარდა და, შენ რომ დაგინახა, აგე, ხვიმირში დაიმალაო.

ვაჭარმა ცხენი კაცს მიუგდო და წისქვილში შევარდა. კაცმა დრო იხელთა, დაავლო ფულიან ტომარას ხელი, მოახტა ცხენს და თავისი სახლისაკენ გააჭენა.

რაღას იზამდა ვაჭარი, იმ ალალ-მართალ მეწისქვილეს რას წაართმევდა, მიხვდა, რაც დაემართა და შერცხვენილი და გაწბილებული სახლისაკენ ჩანჩალით წავიდა. შევიდა ეზოში. ცოლმა უცხენოდ მოსული რომ ნახა, ჰკითხა:

— კაცო, ცხენი რაღა უყავიო?

— ცხენიც იმ ჯანდაბელს გავატანე, რომ უფრო მალე მიუტანოს შენს ძმებს ფული და სახლი დროზე აიშენონო, — მიუგო ვაჭარმა და ტახტზე წელმოწყვეტილივით დაეშვა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხარბი და ალალ-მართალი

იყო და არა იყო რა, იყო-ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ქმარი დღედაღამ ჯარასავით ტრიალებდა, მის მუშაობას ბარაქა მაინც არა ჰქონდა. ითმინა ცოლმა, ბოლოს ვეღარ მოითმინა და გაანჩხლებულმა ქმარს შეუტია:

— კაცო, გაბრიელ, მომბეზრდა სულ ხმელა პური და ცივი წყალი! ხომ ხედავ, ჩვენს ბედობაზე ოთხით მავალი კატაც არ კნავის! ადე, წადი სადმე, სამუშაო იშოვე, მთელი ქვეყანა ჩვენ დაგვცინის. როდემდე ვისხდეთ ასე გაციებულ კერაზეო?

— კარგი, წავალო, — უთხრა ქმარმა, — ოღონდ სამი პური გამომიცხვეო.

ცოლმა ქმარს მაშინვე გამოუცხო სამი პური. ქმარმა სამივე იღლიაში ამოიჩარა და გზას გაუდგა.

იარა, იარა და, კარგა მანძილი რომ გაიარა, ერთი ცხენოსანი წამოეწია. გაიცნეს ერთმანეთი. ცხენოსანმა უთხრა:

— პეტრე მქვია, რაკი ორივენი ბედის საძებრად მივდივართ, ერთი გზა გვქონია, ჩვენი ჭირი და ლხინი საზიარო იყოს, დღეიდან მეგობრები გავხდეთო.

ცოტა-გზაც რომ გაიარეს, ცხენოსანმა უთხრა:

— რადა ხელით ზიდო, ბარემ ეგ პურები აქ მომეცი, ხურჯინში ჩავაწყობ და შენც უფრო ხალვათად იქნებიო.

გაბრიელმა პურები მიაწოდა, ცხენოსანმა სამივე ხურჯინში ჩაალაგა და დაწინაურდა. დაღმართი რომ ჩაათავეს და გაივაკეს, გაბრიელმა თვალი შეასწრო, პეტრე პურსა ჭამდა, მადა გაეხსნა და უთხრა:

— მოდი, შევისვენოთ, პური ვჭამოთ, მეც მომშივდაო.

ცხენოსანი დათანხმდა. გასწიეს და წყაროს მიადგნენ. პეტრე ცხენიდან ჩამოსტა, ხურჯინიდან პურები ამოიღო, ერთი გაბრიელს მიაწოდა, ერთს თვითონ შეექცა.

ჭამა რომ დაამთავრეს, გაბრიელმა უთხრა:

— რა ვქნა, შიმშილს ისე შევუწუხებივარ, ამ ერთმა პურმა ნაწლავის ყურშიც არ გამიარა, რაც იყოს, იყოს, მოდი ის ერთი პურიც ამოიღე, ბარემ ისიც ზედ მივაყოლოთო.

პეტრე ახტა და დახტა:

— რას მიედებ-მოედები, გიჟი ხომ არა ხარ, სად იყო სამი პური, შენ ხომ ორი პური ჩამაბარეო?!

გაბრიელი შეეხვეწა:

— ხომ სამი პური მოგეცი, ოღონდ გამოტყდი და უსაყვედურო იყოს შენზე ის მესამე პურიო.

გაჯიუტდა პეტრე, მოჰყვა ფიცს, დედ-მამა აღარ დატოვა საფლავში: — არა, ღმერთი, რჯული, მარტო ორი პური იყოო!

მეტი რა გზა იყო, დაანება გაბრიელმა თავი და განაგრძეს გზა. ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, მიადგნენ სოფელს. ერთ ოჯახში ბალღი უკვდებოდათ. ერთი წიოკი და ვაი-ვაგლახი ედგათ. ექიმებსაც ხელი აეღოთ: სულ ერთია, აღარ გადარჩებაო.

გაბრიელს ექიმის ხელობა მდიდრების კარზე მოჯამაგირეობაში ესწავლა და ეს ცოდნა ახლა გამოიყენა. მივიდა ბავადმყოფი ბავშვის მამასთან და მოახსენა:

— ნუ სწუხხართ, დამშვიდიდთ, მაგ ბავშვს ახლავე მოვარჩენო.

მამა სიხარულით ცას ეწია და გაბრიელს შეეხვეწა:

— ოღონდ ეს ბავშვი მომირჩინე და, რას იტყვი, რომ არ მოგცე. ქვას ქვაზე დავადნობ და ჩემს სიტყვას არ გავტეხო.

გასინჯა გაბრიელმა ავადმყოფი, გაკვეთა მუცელზე, ამოსჭრა რაღაც და გაკერა ხელახლა. ბავშვი მაშინვე შველივით წამოსტა და სიხარულისაგან ცეკვა დაიწყო.

ეს რომ იქ შეგროვილმა ხალხმა დაინახა, ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, ვინ ხელს ართმევდა, ვინ ჰკოცნიდა, ვინ ესვეოდა...

— რამდენი ტომარა ოქროთი დაგასაჩუქროო? — ჰკითხა გაბრიელს ბავშვის მამამ; ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო და თავი სიზმარში ეგონა.

— ნახევარი ტომარა ოქროც მეყოფაო, — უპასუხა გაბრიელმა.

— აგრე მცირე საჩუქარი რა სათქმელია, როცა სულთმობრძავი ბავშვი სიკვდილს გადამირჩინე! ჰა, მითხარ, რამდენ ტომარა ოქროს წაიღებ? — აღარ ეშვებოდა ბავშვის მამა. მეტი მაინც რომ ვერ ათქმევინა, რაღას იზამდა, ადგა და ნახევარი ტომარა ოქრო გაატანა.

გზას გაუდგნენ, გაბრიელი — ფეხით, პეტრე — ისევ ცხენით. სოფელს რომ გასცდნენ, პეტრემ უსაყვედურა და უსაყვედურა:

— არაფრის შნო შენ არა გაქვს, ექვსი ტომარა ოქრო მაინც ღირდა იმ ბავშვის მორჩენა, შენ კი ნახევარ ტომარას დასჯერდი. მთელი შენი წუთისოფელი ჭურში იჯექი, ხეპრევ და ჩიტირეკიავ?! ჩქარა გამიყავი ჩემი წილი ოქრო, შენისთანა რეგვენთან მგზავრობა რა ხელს მომცემს, მე ჩემთვის წავალ, ექიმობა ხომ მეც ვისწავლეო!

დათანხმდა გაბრიელი, მისცა თავისი წილი ოქრო და ერთი ერთ მხარეს წავიდა, მეორე — მეორე მხარეს.

მაგრამ თავისი გზიდან მალე მობრუნდა გაბრიელი: „მოდი ერთი იმ ცხენოსანს გავყვები, ვნახავ, როგორ მოარჩენს ავადმყოფს, ასე მალე როგორ ისწავლა ექიმობაო", — გაიფიქრა გულში და ცხენოსნის გზას გაუდგა.

იარა და იარა. შუადღისას ერთ დიდ ქალაქს მიაღწია, მაგრამ რას სედავს: ქალაქის უშველებელი მოედანი ხალხითაა გაჭედილი, დგას ერთი ფაციფუცი, ყველას სახეზე შიში და განცვიფრება აღბეჭდილა. უფრო ახლოს რომ მიიწია, მოედნის შუაგულში აღმართულ სახრჩობელას მოჰკრა თვალი. იქვე მეფე და ვეზირები ბრძანდებიან. აგერ, ჯალათმა ვიღაც კაცს მარყუჟში გააყოფინა თავი.

გაბრიელმა აქა-იქ იკითხა:

— რა მოხდა, ვინ არის ეგ კაცი, ან რისთვის სჯიან სიკვდილითო?

— ხელმწიფეს დაჰპირდა, ქალს მოგირჩენო, ვერ მოარჩინა და სჯიან მაგიტომაო, — უპასუხეს გაბრიელს.

მიაშტერდა გაბრიელი სახრჩობელაში თავგაყოფილს: „ეს ხომ პეტრეაო!“ — გაუელვა თავში, არც აცია, არც აცხელა, ისწამსვე მეფის ვეზირებთან გაჩნდა და შეეხვეწა:

— ძალიან გთხოვთ, ეგ კაცი ჩამოხსნათ, ჩემი ძველი ნაცნობია, რაღაც უნდა ვუთხრა, თუ დამთანხმდა, თქვენს ქალს ორივენი მოვარჩენთ, თუ არადა, სად გაგექცევათ, მერე ჩამოახრჩეთო.

მეფემ და ვეზირებმა გაბრიელის თხოვნა შეისმინეს და პეტრე ჩამოხსნეს. გაბრიელმა პეტრე განზე გაიხმო და უთხრა:

— ოღონდაც თქვი, რომ სამი პური იყო, და სიკვდილისაგან გადაგარჩენ, ეს ქალიც ორივემ ერთად მოვარჩინოთ და აღებული ფულიც შუაზე გავიყოთო.

პეტრე მაინც თავისას არ იშლიდა:

— არა, ორი პური იყო!

რა არა სცადა გაბრიელმა, მაგრამ არ იქნა და პეტრეს სიმართლე ვერ ათქმევინა.

— მე ჩემი სათქმელი ვუთხარი, ახლა თქვენ თვითონ იცითო, — მოახსენა გაბრიელმა ვეზირებს, თან მოუბოდიშა: — დრო წაგართვითო.

ადგნენ და პეტრეს ისევ გააყოფინეს მარყუჟში თავი.

— ახლა მაინც გამოტყდი, რომ სამი პური მოგეცი და სიკვდილისაგან გიხსნიო, — ასძახა გაბრიელმა სახრჩობელაში თავგაყოფილს. — სამი კი არა, ორი იყო! — ჩამოსძახა პეტრემ.

— „ოხ, შენ თუ სიმართლე არ გათქმევინე, კაცი ნუ ვყოფილვარო“, — გაიფიქრა გაბრიელმა და ვეზირებს მოახსენა:

— ჩამოხსენით ეგ რეგვენი, ავადმყოფს მე მოვარჩენო.

ვეზირებმა გაბრიელს თხოვნა შეუსრულეს, პეტრე ისევ ჩამოხსნეს.

გაბრიელმა სასწრაფოდ მოარჩინა ავადმყოფი, ხელმწიფის ქალს ისევ თავისი სილამაზე და ლაზათი დაუბრუნდა.

ხელმწიფეს სიხარულით ფრთები შეესხა, მივიდა გაბრიელთან და ჰკითხა:

— რა მოგცეო?

— ორი ტომარა ოქრო, მეტი არ მინდაო, — მიუგო გაბრიელმა.

ხელმწიფე რამდენს არ ეჩიჩინა: — მეტი აიღე, დღეს ჩვენთვის ამომავალი მზე ხარო, მაინც არაფერმა გასჭრა.

აიღეს საფასური და გზა განაგრძეს. ცხენოსანი ისევ წაეჩხუბა:

— ეგ ოქრო გინდა ცალ ყურში ჩამაყარე, რატომ მეტი არ გამოართვი, მომეცი ჩქარა ჩემი წილი, მე ისევ ჩემთვის წავალო!

ღარიბი უარს როგორ ეტყოდა. გავიდნენ თუ არა ვაკეზე, გაბრიელმა წამოყარა ოქროები და გაყოფა დაუწყო. უყურებს პეტრე და გუნებაში უკვირს: ჩვენ ხომ ორნი ვართ და ამ ოქროს საშად რადა ჰყოფსო?

— აბა, ახლა გავიყოთო, — უთხრა გაბრიელმა და დაიწყო: — ეს ერთი გროვა — მე, ეს ერთი გროვა — შენ, ეს მესამე კი.....

— მესამე გროვა ვიღასო? — ვეღარ მოუთმინა გულმა პეტრეს.

— მესამე გროვა იმას, ვინც მესამე პური შეჭამაო! — უპასუხა გაბრიელმა.

— მესამე პური მე შევჭამე და ეგ მესამე გროვაც მე მერგებაო! — გამოტყდა პეტრე.

გაბრიელს გაეღიმა:

სირცხვილი შენი, სასრჩობელამ ვერ გათქმევინა სიმართლე, ოქრომ კი გათქმევინაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

უქნარა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლი და ქმარი. ქმარი, მეტისმეტი უქნარა და ზარმაცი, არაფერს აკეთებდა: ან იჯდა და ჭამდა, ან იწვა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან — მეორეზე. ცოლი კი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შრომობდა, იმასაც კვებავდა და აცმევდა და თავის თავსაც. მაინც მეტად ღარიბად ცხოვრობდნენ. იმათ ბედობაზე მარტო ერთი გაოხრებული მამული იყო სადღაც შორს, რიყესა და ქვაზე, — ჭინჭრისა და ღოლოს მეტი იქ არც არაფერი იდგა და არც არაფერი მოდიოდა.

ერთ გაზაფხულზე ცოლმა სთხოვა მეზობლებს და ეს მამული მოახვნევინა. მერე თესლი ჩამოითხოვა და დათესა, ყანა მოვიდა, რა ყანა, სულ ზღვასავით ღელავდა!

დადგა მკათათვე.

შემოვიდა ყანები.

ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, ადექი, წადი, ნახე, იქნება იმ მამულზე არაფერი მოგვივიდა და ტყუილად გვაქვს იმედიო.

ადგა, როგორც იყო, უქნარა და წავიდა მამულის სანახავად, მაგრამ ნახევარი გზაც არ გაუვლია, დაბრუნდა ისევ უკან და ცოლს მოატყუა:

— იქ ვიყავი და ღოლოსა და ჭინჭრის მეტი არაფერი მოსულა, თესლი რაღაზე გადავყარეთ ტყუილადაო.

ცოლმა იცოდა, როგორი ყანაც იდგა, და არაფერი უთქვამს. როდესაც ყანა სამკალი გახდა, ცოლმა უთხრა უქნარას:

— კაცო, ან სამკალს წადი, ან შინ დარჩი, რძე შედღვი-

ბე. კრუხ-წიწილას საკენკი დაუყარე და თვალი დაიჭირე, ფქვილი გაცერი და პური გამოაცხვეო.

უქნარამ შინ დარჩენა არჩია. კრუხ-წიწილა რომ არსად წასულიყო, აიღო ძაფის გორგალი, გადააბა ერთმანეთს წიწილები და კრუხი და ისე გაუშვა კალოზე. უცებ საიდანღაც გაჩნდა ქორი, დააფრინდა კრუხ-წიწილას და გააქანა ყველა ერთად. უქნარამ აიკიდა ზურგზე საცერი, ფქვილიანი გუდა, სარძეული და ისე გამოუდგა: „კრუხ-წიწილასაც დავაგდებინებ ქორს, ფქვილიც გაიცრება, რძეც შეიდღვიბება და ყველა საქმეს ერთბაშად გავაკეთებო". მაგრამ ვერც კრუხ-წიწილა გააგდებინა და ფქვილიც დააბნია. დაბრუნდა უქნარა შინ, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული:

„რაღა ვუთხრა ცოლს, საიდან ვუშოვო ან კრუხ-წიწილა და ან ფქვილიო". იფიქრა, იფიქრა და მოიფიქრა: „ეს კვერცხები ხომ გვაქვს, აედგები და ჩავაწყობ გოდორში, შიგ მე ჩავჯდები და, სანამ ჩემი ცოლი სამკლიდან დაბრუნდება, წიწილებს გამოვჩეკავო. მართლაც, აიღო და ჩააწყო კვერცხები ბუღეში, ზედ თვითონ დააჯდა და მოჰყვა კრუშკრუშს.

საღამოზე ცოლი დაბრუნდა სამკლიდან და ქმარს დაუძახა:

— კარი გამიღეო!

— კრუხ, კრუხ, კრუხ! — მოესმა სახლიდან.

— კარი გამიღეო! — გაუმეორა ცოლმა.

— კრუხ, კრუხ, კრუხ! — ისევ მოესმა სახლიდან.

მესამედ დაუძახა ქმარს:

— სადა ხარ, სად დაიხაფრე და დაიკარგე, კარი გამიღეო!

მაგრამ ხმა არავინ გასცა, მარტო კრუშკრუში ისმის. ადგა და შეამტვრია ცოლმა. კარი, შევიდა შინ და რას ხედავს! — მისი ქმარი ჩამჯდარა ქათმის საბუდარში და კრუშკრუშებს.

— რა არი, კაცო, ეგ რაღა საქნელი იყო, რა მოგიგონია, რასა შვრები? ამოდი მაგ გოდრიდანაო!

— კრუხ-წიწილა ქორმა წამართვა და კვერცხებს დავაჯექ გამოსაჩეკადო! — უპასუხა ქმარმა.

— შენი გამოჩეკილი არ მინდა, — უთხრა ცოლმა, —

ამოდი მაგ გოდრიდანაო. — ამოიყვანა ბუდიდან ცოლმა უქნარა ქმარი და ღასვა კერაზე.

მეორე დღეს ცოლმა ჰკითხა უქნარას:

— აბა, რას იზამ, ისევ სახლს მოუვლი, თუ სამკალს წახვალო?

— სამკალს წავალო, — უპასუხა ქმარმა. — თუ ღღეში სამ ქათამს დაბიკლავ: ერთს სადილად, ერთს სამხრად და ერთს ვახშმად, მარტოკა მე მოვმკი იმ მამულსაო.

— ოღონდ შენ ის ყანა მომკე და თუნდ ოთხ ქათამს დაგიკლავო, — უპასუხა ცოლმა.

წავიდა უქნარა ყანაში. მთელი დღე ორ-სამი ძნა ვერ გაზოსჭრა, სულ ეგდო და ეძინა, სამი ქათამი კი შეჭამა.

ასე გავიდა სამი-ოთხი დღე. ყანა უკვე ჩაწვას აპირებდა.

ერთ დილას ადგა უქნარას ცოლი, ითხოვა ცხენი, კაცის ტანისამოსი ჩაიცვა, იარაღიც აიხსა, შეჯდა ცხენზე და ქმრისაკენ გასწია. უქნარას რომ მიუახლოვდა, დაუძახა:

— მომკალო, ერთი ზარმაცი კაცი ხომ არ იცი, ხელმწიფეს შვილი ჰყავს ავად, უკვდება და ზარმაცის ღვიძლი გვასწავლეს, ის უშველისო.

ზარმაცი შეშინდა და შეჰფიცა:

— არ მიზარმაცნია, კაცო, აი, ეს ერთი საათია, რაც შეა დავიწყე და მეტს როგორ მოვმკიდიო.

— თუ საღამომდის არ მოგიმკია ეგ ყანა, მოვალ, თავს მოგჭრი და ღვიძლს ამოგარიდებო, — უთხრა მგზავრმა და წავიდა.

ეცა უქნარა ყანას და საღამომდე დაამთავრა. მერე დაჯდა დაღლილი და დაიწყო ქშენა, საღამოზე ცოლმა საჭმელი მოუტანა, მაგრამ ჭამის თავი სადღა ჰქონდა, იჯდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კვნესოდა. ცოლმა განგებ ჰკითხა:

— რას დაუღლიხარო?

უქნარამ უამბო:

— ერთმა ხელმწიფის კაცმა გამოიარა და დამემუქრა: თუ საღამომდე ამ ყანას არ მომკი, მოვალ, თავს მოგჭრი, ღვიძლს ამოგარიდებ და წავიღებო.

ცოლმა გული გაუკეთა:

— ნუ გეშინია, მოგიმკია, აღარაფერს გეტყვისო.

როგორც იყო, მოიტანეს ძნაც, გალეწეს და ჩაყარეს ხორ-ბალი, უქნარა ისევ ან იჯდა და ჭამდა ან იწვა და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდებოდა, ხან — მეორეზე. დროდადრო ცოლს გასძახებდა:

— დედაკაცო, ღორს აჭამეო.

უქნარას ეს ერთი ღორი ჰყავდა და რაც რამ ებადა, სულ იმას აჭმევდა.

ერთხელ ცოლმა უთხრა:

— კაცო, ჩვენთვისაც არაფერი გვაქვს, რომ ვჭამოთ, შენ კიდევ ღორს აჭმევ, მოვიშოროთ, დავკლათო.

— სანამ ქონი ტყავს გარეთ არ გამოვა, არ დავკლავო, — უპასუხა ქმარმა.

ცოლი ადგა, გაათბო ერბო, მიასხა ღორს, მიიყვანა ქმართან, აჩვენა და უთხრა:

— აი, ისე გასუქებულა, რომ ქონი გამოსდისო.

უქნარამაც დაკლა თავისი საყვარელი ღორი, რადგანაც მუცელი უფრო უყვარდა. ღორის ხორცს მალე მოუღო ბოლო. ცოლმა ერთი ბარკლის დამალვა ძლივს მოასწრო. ქმარმა შეიტყო, რომ ცოლმა ღორის ბარკალი დაუმალა და გადაეკიდა; მომეციო.

ცოლმა უარი მოასსენა.

— მოვკვდები, თუ არ გამომიჩენო, — უთხრა უქნარამ ცოლს. ცოლმა კიდევ უარი სტკიცა.

— მოვკვდებიო, — უთხრა კიდევ უქნარამ.

— მოკვდი, თუ მოკვდები, ვის დააკლდებიო, — არ დაუთმო ცოლმა.

ადგა უქნარა, წაწვა ტახტზე, დასუჭა თვალები, გაინაბა და მოიმკვდარუნა თავი. ცოლმა ყასიდად დაიწყო ტირილი. მოიყვანა მღვდელი, გააკეთებინა კუბო და ჩადეს შიგ უქნარა. ცოლი ერთხელ კიდევ მივიდა ქმართან და წასჩურჩულა:

— გაცოცხლდი, თორემ დაგმარხავთო.

— მკვდარი ვარ, როგორ გავცოცხლდეო, — უპასუხა ქმარმა.

— გაცოცხლდიო, — დაუჟინა ცოლმა.

— თუ ღორის ბარკალს მომცემ, გავცოცხლდებიო, — უთხრა ქმარმა.

— არაო, — უპასუხა ცოლმა.

— მაშ, არც მე ავდგებიო.

წაიღეს უქნარა და დაასვენეს ეკლესიაში.

რომ დაღამდა, უქნარას ცოლი ადგა, მივიდა საყდრის კარებთან და დაიძახა:

— მკვდარნო, ასალნო და ძველნო, გეყურებოდეთ, ადექით, ცაში საყდარი შენდება — ვინც ასალი მკვდრები ხართ, ორას-ორასი აგური უნდა აიტანოთ და ვინც ძველნი — ასასიო.

უქნარამ იფიქრა: ვაჟო, მე აქ ხუთ აგურსაც ვერ მოვრევივარ და იქ ორასი როგორ უნდა ავიტანოო.

წამოხტა და მოკურცხლა ეკლესიიდან.

ის დღე იყო და ის, აღარც მომკვდარა, აღარც ღორის ბარკალი მოუკითხავს და აღარც ერთი გვერდიდან მეორეზე უგორავია. მუდამ შრომობდა და იყვნენ ტკბილად და ბედნიერად.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ორი ქურდი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტად ხელმარჯვე ქურდი. მოუპარავს არაფერს უშვებდა და თანაც ისე ოსტატურად ქურდობდა, კაციშვილი ვერაფერს უგებდა. რომ იტყვიან, კაცს თვალიდან ბეწვს ამოაცლისო, სწორედ ისეთი იყო.

ერთსელ გზის პირას, კაკლის ჩრდილში ისვენებდა და კიდევ სად რა მოეპარა იმაზე ფიქრობდა. ამ დროს ერთი კაცი მიუახლოვდა და გამარჯობა უთხრა.

— გაგიმარჯოსო, — მიუგო ქურდმა.

— ვინა ხარ და ამ საქმის დღეს ჩრდილში რასა ზიხარო? — ჰკითხა კაცმა.

— ვინა ვარ და ქურდი ვარო.

— რისი მობარვა შეგიძლიაო?

— აგე, ხეზე ჩიტს ბუდე აქვს და თვითონაც შიგა ზის, ისე ამოვაცლი კვერცხებს, რომ ვერ გაიგებს და არ აფრინდებაო.

— თუ მაგას მართლა იზამ, მაშინ ვიტყვი, რომ ქვეყნად შენი ბადალი ქურდი არ ყოფილაო. — უთხრა კაცმა.

— მაშ კარგი და, მიყურეო, — თქვა ქურდმა და ხეზე ჩრდილივით უხმაუროდ აცოცდა, შეუყო ხელი ჩიტს, ამოაცალა კვერცხები, ჩაილაგა უბეში და შეუმჩნევლად უკანვე ჩამოცოცდა. ჩიტმა ვერაფერი გაიგო.

— ამოაცალე კვერცხებიო? — ჰკითხა კაცმა.

— ერთიც აღარ დავუტოვეო, — მიუგო ქურდმა.

— აბა, მაშ, მაჩვენე, სადა გაქვსო.

ქურდმა ჩაიყო ხელი უბეში, მაგრამ სადღაა კვერცხები!

მაშინ კაცმა თავისი უბიდან ამოიღო კვერცხები, ქურდს გაუწოდა და სიცილით უთხრა:

— თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო!

— მაშ შევამხანაგდეთ და ერთად ვიქურდოთო,—უთხრა ქურდმა.

— შევამხანაგდეთო, — დათანხმდა კაცი. მერე ჰკითხა ქურდს, — ახლა ვინ გავძარცვოთო?

— ვინც ყველაზე მდიდარიაო, — მიუგო ქურდმა.

— ვინ არის ყველაზე მდიდარიო? — ჰკითხა კაცმა.

— ვინა და სელმწიფეო. სელმწიფის საზინაზე სულ თვალი მეჭირა, მაგრამ მარტოკა ვერ ვბედავდი. ახლა კი, რაკი შენც გვერდით მეყოლები, შიში აღარაფრისა მაქვსო.

შეეჩვივნენ ამ ღღიდან ეს ქურდები სელმწიფის საზინას და კინაღამ გაანახევრეს. სელმწიფემ სასახლის ყველა კუთხე-კუნჭულში დარაჯები დააყენა და თან სასტიკად გაფრთხილა, — თუ კიდევ რამე დაკარგულა სასახლიდან, ცოცხლებს არ გაგიშვებთო.

დარაჯებმა მეტი სიფრთხილისათვის სასახლის კარიბჭესთან კუპრწასმული ხალიჩა დაფინეს, რომ თუ ვინიცობაა ვინმე შევიდოდა, ფეხი კუპრით დაესვრებოდა და ქურდს ნაკვალევით მაინც მიაგნებდნენ. მაგრამ ქურდები რის ქურდები იყვნენ, თუ ამ ხრიკს ვერ მიუხვდებოდნენ და დარაჯებს პირში ჩალაგამოვლებულებს არ დატოვებდნენ. კარებთან მისვლისთანავე მიხვდნენ, რაშიც იყო საქმე, და ხრიკს ხრიკი დაუხვედრეს: ერთმა სასახლეს მეორე მხრიდან მოუარა, განგაში ატეხა: — ქურდები, ქურდებიო! და სიბნელეში ზიიმალა. დარაჯები წამოცვივდნენ და თავქუდმოგლეჯილები სასახლის უკანა კედლისაკენ გაიქცნენ. ამასობაში მეორე ქურდმა კუპრწასმული ხალიჩა სადარაჯოს წინ გაფინა. შევარდა სასახლეში, დახვეტა, რასაც კი მოერეოდა, და შეუმჩნეველად უკანვე გამობრუნდა.

გათენდა დილა. ხელმწიფე გამობრძანდა და ნახა, რომ კუპრზე დარაჯების ნაფეხურები დარჩენილიყო, დარაჯები იმავე დღეს ჩამოახრჩობინა, მაგრამ ამით საზინას არაფერი ეშველა, — ისევ ხან რა იკარგებოდა, ხან — რა.

ხელმწიფემ ბოლოს გადაწყვიტა, თვითონ ედარაჯნა

ქურდებისათვის და მათ აღმოსაჩენად ასეთ ხერხს მიმართავ: სასახლის კარიბჭის წინ დიდი ხალიჩა გააშლევინა და ზედ ოქროს ფული მიმოაბნია. დაიბარა მთელი ქალაქი და სასახლის კარიბჭეში შესვლა უბრძანა. ხელმწიფის აზრით, ვინც ფულს დაწვდებოდა ან დააშტერდებოდა, ქურდიც ის იქნებოდა. ქურდებმა ეს ჩანაფიქრიც ამოიცნეს და კვლავ ხერხს მიმართეს: ახლა თვითონ წაისვეს ფეხსაცმლის ძირებზე კუპრი და ისე გაიარეს ხალიჩაზე. კუპრწასმულმა ფეხსაცმელმა მთელი ფული ზედ აიკრო. ხედავს ხელმწიფე, რომ ხალიჩაზე ფული აღარ არის, მაგრამ ვის დააბრალოს? არც ძირს ვინმე დახრილა და არც თვალი ვისმე გაშტერებია.

ხელმწიფე საგონებელში ჩავარდა: რა ქნას, რა მოუხერხოს ამ გათავხედებულ ქურდებს, რით გადაარჩინოს ხაზინა დაღუპვას? იდარდა, იდარდა და ბოლოს ავად გახდა.

ერთ დღეს ხელმწიფემ მეზობელი ხელმწიფის გამოგზავნილი წერილი და ქალის ლეჩაქი მიიღო. ხელმწიფე სწერდა: „ქურდებმა ხაზინა გაგინახევრეს, საუკეთესო დარაჯები ტყუილუბრალოდ დაგახოცინეს, ოქროს ფულები თვალწინ აგაცალეს და ქურდები ჯერაც ვერ გიპოვნია. შენ კაცი კი არა, დედაკაცი ყოფილხარ და ამ ლეჩაქსაც ამიტომ გიგზავნი, დაიხურე და ისე იარეო.

განრისხდა ხელმწიფე, ცალკე სირცხვილისა და ცალკე ჯავრისაგან გულზე სულ ცეცხლი მოეკიდა. ავადმყოფობაც დაავიწყდა, წამოდგა ლოგინიდან და საჯაროდ გამოაცხადა:

— ვინც იმ ხელმწიფის ჯავრს ამომყრის, თუნდაც თვითონ ის ქურდები იყვნენ, ყველა დანაშაულს ვაპატიებ და კარგადაც დავასაჩუქრებო.

მაშინ წამოდგნენ ქურდები წინ და მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, ჩვენ ვართ ის ქურდები და იმ ავყია ხელმწიფის ჯავრსაც ჩვენ ამოგყრითო. მხოლოდ ერთი ისეთი კიდობანი გაგვიკეთებინეთ, რომ ადამიანი თავისუფლად ჩაეტიოს, მოგვეცით თეთრი სუდარები, ყღარუნებიანი ჯოხები, კარგი, ფეხმარდი ცხენები და დანარჩენი ჩვენ ვიცითო. თქვენ მშვიდად დაიძინეთ და იმ ხელმწიფეს ერთ კვირაშივე ქვეყნის მასხარას გავხდითო.

ხელმწიფემ მისცა ქურდებს ყველაფერი, რაც მოსთხოვეს, და ისინიც გაუღგნენ გზას. მივიდნენ მეზობელი ხელმწიფის სასახლესთან, ცხენები გარეთ დამალეს, თვითონ კი ბაღში შეიპარნენ. როცა დაღამდა, ყველამ დაიძინა და სასახლე მთლიანად მიყუნდა, ჩუმად აიპარნენ აივანზე. მოისვიეს ზეწრები და ჟღარუნებიანი ჯოხები ააჟღარუნეს. ხელმწიფეს გამოელვიძა, გამოიხედა ფანჯარაში და რას ხედავს! აივანზე თეთრ სუდარებში გახვეული მოჩვენებანი დგანან და ეჟვნებს აჟღარუნებენ. ხელმწიფემ გამოაღო ფანჯარა და აკანკალებული სმით ჰკითხა:

— ვინა ხართ და რას აკეთებთო?

— ჩვენ სულთამხუთავი ანგელოზები ვართ, — უთხრეს ქურდებმა, — ღმერთმა შენს წასაყვანად გამოგვგზავნა და მოემზადე, თანაც იცოდე, იმდენი ცოდვა გაქვს ამქვეყნად ჩადენილი, რომ შენი სული პირდაპირ ჯოჯოხეთში მოხვდებაო.

— არ შეიძლება, ცოდვები მოვინანიო და სამოთხეში მოვხვდეო? — ჰკითხა გულგახეთქილმა ხელმწიფემ.

— შეიძლება, თუ მთელს შენს სიმდიდრეს ისე დაურიგებ ქვრივ-ობლებს, რომ შენთვის ერთ გროშსაც არ დაიტოვებრ.

— რაღა ოხრად მინდა სიმდიდრე, თუ მე აღარ ვიქნები, — თქვა ხელმწიფემ, — სვალვე უკანასკნელ მისსლამდე დავარიგებო.

— რაკი ასე იზამ, ჩვენც შეგიბრალებთ და ჯოჯოხეთის მაგიერ სამოთხეში წაგიყვანთო, — შეპპირდნენ ქურდები.

მართლაც გათენებისთანავე ხელმწიფემ დაიბარა მთელი თავისი საყმო და რაც რამ ქონება და ძვირფასეული გააჩნდა, უკლებლივ დაურიგა. მერე გულხელდაკრეფილი დაჯდა გამოცარიელებულ სასახლეში და დაუწყო ლოდინი სულთამხუთავებს. დაღამდა თუ არა, ქურდებმა მოისვიეს ზეწრები, ავიდნენ აივანზე და ხელმწიფე ისევ ეჟვნების ჟღარუნით გამოიხმეს. ჩამოიყვანეს ძირს, გახადეს ტანსაცმელი, აუსვიეს თვალები და ჩასვეს კიდობანში. თან გააფრთხილეს, ოღონდ იცოდე, პირდაპირ სამოთხეში რომ მოხვდე, ამისათვის სამი რამეა საჭირო და ეს წესი ზუსტად უნდა აასრულო: როცა ძაღლივით დავიყეფოთ, შენც კიდობანში დაიყე-

ფე, კატასავით დავიკნავლოთ, დაიკნავლე, მამალივით დავიყივლოთ, შენც დაიყივლე, გზაზე სამი ბეწვის ხიდი გვაქვს გასავლელი და მათზე სხვანაირად გავლა არ შეიძლება, კუპრის წყალში ჩავცვივდებითო. მანამდე კი ჩუმად იჯექი და კრინტი არაფერზე დასძრაო.

ხელმწიფე, რა თქმა უნდა, ამაზეც დათანხმდა.

წამოჰკიდეს ქურდებმა ცხენს კიდობანი, თვითონაც ცხენებზე შესხდნენ და გამოსწიეს თავიანთი ხელმწიფისაკენ. შეიტანეს კიდობანი სასახლის ეზოში, მოუყარეს ხალხს თავი, მოიწვიეს მესაკრავენი, ხელმწიფეც გამობრძანდა თავისი ამალით, ყველა მოუთმენლად მოელის, რა მოხდება.

ქურდები მივიდნენ კიდობანთან და ძაღლივით დაიყეფეს, დაიყეფა ხელმწიფემაც კიდობანში, მერე კატასავით დაიკნავლეს და კიდობანში ხელმწიფემაც კნავილი გააბა, ბოლოს მამალივით დაიყივლეს და ხელმწიფემაც ყივილი ატეხა. მერე ქურდებმა მესაკრავეებს საცეკვაო დააკვრევინეს, გახსნეს კიდობანი, ამოიყვანეს დედიშობილა ხელმწიფე და უთხრეს:

— აი, სამოთხე ეს არის და იცეკვეო.

დაუარა ტიტლიკანა ხელმწიფემ და ჩაბუქნა. ხალხმა ხარხარი ატეხა. ხელმწიფე ახლა კი მიხვდა, რაც დაემართა და დარცხვენილი ისევ კიდობანში ჩაჯდა.

მაშინ აიღეს ქურდებმა იმისი გამოგზავნილი ქალის ლეჩაქი და დაახურეს თავზე, თან დააყოლეს:

— ჩვენს ხელმწიფეს მარტო ფულებს ვპარავდით, შენ კი თვითონვე მოგიპარეთ და საყოვრებელიც უკანასკნელ გროშამდე დაგინიავეთ. ეს ლეჩაქი შენ უფრო გეკუთვნის და მთელი სიცოცხლე უსაყვედუროდ ატარეო.

ხელმწიფემ შეპირებისამებრ აპატია ქურდებს მთელი დანაშაული, მისცა სახლები, სარჩო-საბადებელი და ხაზინის მცველებად დანიშნა. ქურდებმაც დააფასეს ხელმწიფის ნდობა და ისეთი ერთგულება გამოიჩინეს, რომ იმ დღიდან არც სასახლეში და არც ქალაქში ფეტვის მარცვალიც აღარ დაკარგულა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მამასახლისი და გლეხის ბიჭი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ყოჩაღი გლეხის ბიჭი. ჰყავდა ღრმად მოხუცი მამა და ძალიან ლამაზი ცოლი. ბიჭი მეტისმეტად გამრჯე იყო და გლეხის კვალობაზე მდიდრად ცხოვრობდა. ცოლსაც კარგად ინახავდა, სულ ფარჩა-აბრეშუმს აცმევდა და გამტკიცულ პურსა და შემწვარ-მოხრაკულს არ აკლებდა.

ქალმა პატივი ვერ შეიშვნია და სოფლის მამასახლისი შეიყვარა. ქმარზე და ოჯახზე გული აიცრუა. აღარც მოხუც მამამთილს სცემდა ძველებურად პატივს, ქმარი და მამამთილი სულ ხმელა პურზე გადაჰყავდა და მათს მონაგარს მამასახლისს აჭმევდა.

ქმარმა შეუტყო ცოლს ღალატი, მაგრამ არაფერი თქვა და მარჯვე დროს დაუწყო ლოდინი. ერთხელ მამა-შვილი სახნავად წავიდნენ. ბიჭმა ცოლს უთხრა:

— გემრიელი სამხარი გაგვიკეთე და ამოგვიტანეო.

სამხრობამ რომ მოაწია, ცოლმა გამოკრა ხელსახოცში დაობებული ხმელი პურები, ხახვი, ნიორი, ერთი ჯამი ლობიოს შეჭამანდი და წაუღო. ბერიკაცი გაწყრა და რძალს უსაყვედურა:

— რა არის, შვილო, რომ სულ ხმელი პური და ხახვ-ნიორი მოგაქვს, განა ჩვენ სახლში ამაზე უკეთესი საჭმელი არაფერი მოინახებაო?

რძალმა ბუზღუნი დაიწყო:

— რა ჩემი ბრალია, მამამთილო, მე რომ ფქვილის გაც-

რას დავიწყებ, თქვენი შვილი გვერდით დამიჯდება, უბეში ჩავს ფქვილს და სულ ქარს ატანსო.

ბერიკაცი ახლა შვილს გაუწყრა:

— ბიჭო, ჭკუით, თორემ მიგბეგვავ, იცოდეო.

რაღას იზამდნენ, რაკი სხვა არაფერი ჰქონდათ, ამ ღარიბ სამხარზე უნდა გადასულიყვნენ. ისამხრეს. ცოლი უკან გაბრუნდა, ხოლო მამა ჩრდილში წამოწვა. შვილმა უთხრა:

მამი, შინ გავიქცევი და, სანამ შენ თვალს მოატყუებ, ისევ მოვალო.

მამამ ნება დართო. გაიჭრა ბიჭი მოკლე გზით და ცოლს შინ მისვლა დაასწრო. შევარდა შინ და რას ხედავს: გაშოტილა ტახტზე მამასახლისი, დაუღია ხახა და ხვრინავს. ტაბლაზე გამტკიცული შოთები და ნაზუქები აწყვია, ცეცხლზე ერბო დუღს. აიღო ბიჭმა ადუღებული ერბო, ჩაასხა პირში მძინარე მამასახლისს და ისევ მინდორში გაიქცა.

მოვიდა ცოლი, ნახა დამდუღრული მამასახლისი და შემოიკრა თავში:

— შე ჩემი ცოდვით სავსევ, რა გაგიჭირდა ისეთი, რომ ცოტახანს ვერ მოიცადე, მოვიდოდი და გემრიელად გაჭმევდიო.

ბევრი იტირა და ივიშვიშა, მაგრამ რაღას უშველიდა. ბოლოს ასე გადაწყვიტა, — მკვდარს ტახტქვეშ დავმალავ და ღამით, ყველა რომ დაიძინებს, ხრამში გადავაგდებო, — ჩამოიღო მკვდარი მამასახლისი და ტახტქვეშ შეაცურა.

საღამოზე მოვიდნენ მამა-შვილიც. დაიხადეს ქალამნები და ტახტქვეშ შეაწყეს, ქალამანი რაღაცას წამოედო. შეიხედა ბიჭმა და დაიძახა:—მამი, აქ ვიღაც მკვდარი წევსო.—გამოათრიეს და ნახეს, მამასახლისია. შემოეყარა გულზე მამას, ეს რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, ვინ გაგვიხადა საქმე საციმბიროდო!

ბიჭმა დაამშვიდა:

— მამაჩემო, შენ არ შეგეშინდეს, ამ მკვდარს მე მოვიშორებ და ბლომა ფულსაც ვიშოვიო.

ბიჭს მღვდლის ჯავრი სჭირდა, ეს მღვდელი მართლაც მეტისმეტი გაუმაძღარი იყო და შესაწირავით ხალხს სულსა

ხდიდა. ბიჭმა წამოიკიდა მკვდარი მამასახლისი, წაიღო ეკლესიაში და გალავნის უკან დამალა. თვითონ სამრეკლოზე ავიდა, დარეკა ზარები, ჩამოხტა და დაიმალა.

მღვდელმა გაიგონა ზარის რეკვა და ცოლს უთხრა:

— ადე, ქალო, წყალი შედგი, არ გეყურება, ზარებს რეკავენ, ვიღაცა შესაწირავს მოიტანდაო.

ადგა გახარებული ფოფოდია და წყალი შემოდგა, იმედი აქვს, ცხვარი თუ არა, ხარის ბარკალი მაინც იქნებაო, გავიდა მღვდელი ეკლესიაში, მაგრამ იქ არც მლოცველი დახვდა და არც შესაწირი.

დაბრუნდა გაწბილებული უკან და დაწვა. არ გასულა დიდი ხანი, რომ ბიჭმა ისევ ატეხა ზარების რეკვა. მღვდელიც ისევ გავიდა, მაგრამ არც ახლა დახვდა ვინმე. დაბრუნდა შინ გაჯავრებული და დაწვა.

ბიჭმა წამოიღო მკვდარი მამასახლისი და ეკლესიის კარებთან კედელზე ააყუდა, თვითონ ისევ ზარები დარეკა და დაიმალა. გამოვარდა მღვდელი, მოგლიჯა ერთი უშველებელი მარგილი და გაქანდა ეკლესიისაკენ, მივიდა, ხედავს, კარებთან კაცი დგას, ხელში არც შესაწირავი უჩანს, არც სხვა რამე. გაცეცხლებული მღვდელი პირდაპირ მივარდა და მარგილი დაუშინა, — შე ასეთ-ისეთო, შენა ხარ, რომ ძილი აღარ დამაცალეო!

მოწყდა მკვდარი კედელს და მიწაზე გაიშხლართა. მღვდელმა დახედა, იცნო მამასახლისი და თავზარი დაეცა. ემანდ არავინ შემომესწროსო, საჩქაროდ წამოიკიდა ზურგზე და სახლისაკენ მოცოცხა. ცოლს შესძახა, — ჩქარა კარი გამიღეო! ფოფოდიას უხარია, შესაწირი მოდისო, და ქმარს გასარებული ეკითხება, — რა მოგაქვს, შენი ჭირიმეო?

— შენი ჭირიც და ჩემიც ერთად მომაქვსო, — მიუგო მღვდელმა და ცოლს წინ მკვდარი მამასახლისი გაუჭიმა.

აქეთ ქალმა წაიშინა თავში ხელი, — დავიღუპეთ და ეგ არისო, იქით მღვდელმა. ამ დროს გაიღო კარი და ოთახში ეს გლეხის ბიჭი კი შევიდა, ხელში ერთი მოზრდილი ქვამარილი უჭირავს. ეუბნება მღვდელს:

— მამაო, მამაჩემმა ეს მარილი საკურთხეველად წამომაღებინა და გვიკურთხეო.

მღვდელს რა კურთხევის თავი აქვს — გულზე ცეცხლი უკიდია. აიღო საჩქაროდ ანაფორა და, ბიჭს რომ არ დაენახა, მამასახლისს გადააფარა, მაგრამ ცალი ჩექმა მაინც გამოუჩნდა. ბიჭმა დასედა და ჰკითხა:

— ეს ჩვენი მამასახლისი რაზე მოგიკლავთ, ან აქ რატომ მოგიტანიათ, წავალ, სოფელს შევატყობინებ და დავმარხოთო.

აქეთ მღვდელი უწევს ყელს, იქით — მღვდლის ცოლი, — შენი ჭირიმე, ნურსად გაგვამხელ, ნუ დაგვღუპავ და რაც გინდა გვთხოვეო.

— რას მომცემთ, რომ ეს მკვდარი აქედან მოგაშოროთო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ერთ ჩანახ ოქროს მოგცემო, — უთხრა მღვდელმა და ოქროებით სავსე კასრი გამოუტანა.

ბიჭმა წაიღო შინ ოქრო და მამას ჩააბარა. მეორე დღეს ისევ მღვდელთან დაბრუნდა, წამოიკიდა მკვდარი მამასახლისი და ახლა მეწისქვილესთან მიიტანა. ბიჭი ამ მეწისქვილეზეც ნაწყენი იყო, იმიტომ, რომ, ხალხს ძალიან ბევრ მინდს ართმევდა. მკვდარი ბუჩქს მოაფარა თვითონ მივიდა წისქვილის არხის სათავესთან, წყალი გადაუგდო და დაიმალა. წისქვილი გაჩერდა. გამოვიდა მეწისქვილე, რომ გაიგოს, წისქვილი რამ დააყენა, ნახა გადახეთქილი არხი, გაასწორა და ისევ წისქვილში დაბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭმა მეორედ მოშალა არხი და წისქვილი ისევ გაუჩერა. გამოვიდა გაჯავრებული მეწისქვილე, ნახა, არხი ისევ გადანგრეულია. ახლომახლო კი არავინა ჩანს. გაასწორა მეორედაც არხი და ისევ წისქვილში დაბრუნდა.

ბიჭმა მესამედაც გადაუგდო წყალი. მკვდარი მამასახლისი არხის თავში დააყენა და თვითონ ისევ დაიმალა. გაცეცხლდა მეწისქვილე, დაავლო ბარს ხელი და გამოვარდა. ნახა არხის სათავესთან კაცი დგას. — შენ მიჩერებ წისქვილს, შე ასეთ-ისეთოო! — დასჭყივლა და დაარტყა ბარი თავში. წაიქცა მკვდარი მამასახლისი. იცნო მეწისქვილემ და წაიშინა თავში. წამოიკიდა მკვდარი, შეიტანა წისქვილში და ტომრებშუა დამალა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭიც მივიდა და ერთი გუდა საფქვავი მიიტანა. ეუბნება მეწისქვილეს:

— ეს საფქვავი მამაჩემმა გამომატანა და ამაღამ რომ არ დამიფქვა, არ იქნებაო.

მეწისქვილეს რა ესაფქვავება, გულში შიში და ბოღმა უტრიალებს. შეუტია ბიჭს: —დამეკარგე აქედან, სომ ხედავ, რაც მოტანილია, ისიც ვერ დამიფქვიაო!

— დავიცდი, სანამ ჩემი ჯერი არ მოვაო, — თქვა ბიჭმა და ტომრებზე წამოწვა. ქვეშ რაღაც რბილი მოჰყვა. ადგა, ნახა, მკვდარი მამასახლისია. — ბიჭოს, ვინ მოკლა ეს ჩვენი მამასახლისი, ან აქ რატომ მაღავ, ახლავე წავალ და ხალხს შევატყობინებო.

დაუჩოქა მეწისქვილემ და შეეხვეწა:

— ოღონდ ნურსად გამამხელ და რაც ხორბალი მაქვს, სულ შენ მოგცემო.

— კარგი, მომეცი და არსად გაგთქვამ, — დათანხმდა ბიჭი, — ამ მკვდარსაც მოგაშორებო.

მისცა მეწისქვილემ რაც მინდი და ჭირნასული ჰქონდა. ბიჭმა მთელ დღეს ზიდა ურმით, დააბინავა და საღამოს ისევ მეწისქვილესთან დაბრუნდა, წამოიკიდა მკვდარი მამასახლისი და შუაღამისას მის ცოლს მიაყენა კარზე. დააყუდა კიბეზე და მამასახლისის ხმით შესძახა:

— ქალო, კარი გამიღე, მთვრალი მოვედიო!

— სამი ღამე რომ შინ არ მოსულხარ, სადა ხარ, სად დაეთრევიო?! — დასჭყივლა ცოლმა შიგნიდან. ცოლს მართლა თავისი ქმარი ჰგონია.

ბიჭმა ისევ მამასახლისის ხმით დაუძახა:

— ქალო, კარი გამიღე, ფეხზე ძლივსა ვდგევარო!

— სადაც დაეთრეოდი, ახლაც იქ წადიო! — ცოლმა გამოსძახა.

— ქალო, გამიღე, თორემ, იცოდე, თავს მოვიკლავ და ჩემი ცოდო შენ მოგეკითხებაო! — კიდევ დაუძახა ბიჭმა.

ქალი უარესად გაკაპასდა:

— თუნდ ჯანდაბას წადიო!

— მაშ, ღმერთმა ჩემი ცოდო შენ მოგკითხოსო,— დაუძახა ბიჭმა უკანასკნელად მამასახლისის ხმით, ჰკრა ხელი

მკვდარს და კიბეზე გადაჩეხა. თვითონ საკუთარი სახლისაკენ მიმავალ გზას დაადგა.

გაიგონა ლეწა-მტვრევის ხმა მამასახლისის ცოლმა და თმაგაწეწილი გამოვარდა. ნახა მკვდარი ქმარი, ეგონა ახლა მოიკლა თავი და სახე ფრჩხილებით ჩამოისოკა.

ბიჭი კი არხეინად მივიდა შინ. გადმოიღო ვარცლი, საცერი, გააღვიძა ცოლი და უთხრა:

— აბა, მე ფქვილს გავცრი და შენ სული შეუბერე, ვნახოთ, თუ წაიღებს ფქვილს ქარიო.

დაიწყო ბიჭმა ფქვილის ცრა, ცოლმა შეუბერა, მაგრამ შებერვით რას დააკლებდა.

— აი, შე წყეულო, შენა, — დასჭყივლა ცოლს, — შენ გაცრილ ჰურს საყვარელს აჭმევდი და მე კი მაბრალებდიო! — მიჰკიდა და მიჰკიდა იფნის სახრე გვერდებში და სახლიდანაც გააგდო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ქალის კაბა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ბრძენი და შორსმჭვრეტელი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი. ხელმწიფეს სიკვდილის დრო რომ მოუვიდა, დაიბარა თავისი მემკვიდრე და უთხრა:

— შვილო, მე ვკვდები, ერთ ანდერძს დაგიტოვებ და უსათუოდ აასრულე: ცოლს რომ მოიყვან, მანამ არ გაეკარო სიახლოვეს, სანამ კაბას არ გაიხდის და თავქვეშ არ დაგიდებსო.

ეს თქვა ხელმწიფემ და მოკვდა. შვილმა საკადრისი პატივით დაასაფლავა და მეზობელი ხელმწიფის ქალი მოიყვანა ცოლად.

გავიდა ერთი წელიწადი, მეორე, მაგრამ ხელმწიფის შვილი ახლოს არ ეკარება. ქალი ჩამოდნა, ჩამოხმა და სამარიდან ამოღებულ ჩონჩხს დაემსგავსა.

ერთხელ ქალი დედამ მოინახულა და, ასეთ ყოფაში რომ ნახა, თავზარი დაეცა. ჰკითხა ქალს:

— შვილო, რა მოგსვლია, საჭმელს არ გაჭმევენო?

— არც საჭმელი მაკლია, არც — სახმელი, არც სხვა პატივი, მაგრამ ყველაფერს თვალი დაუდგეს, ქმარი სიახლოვეს არ მეკარებაო.

გაწყრა სიდედრი, იმავე დღეს დაბრუნდა უკან და ეს ამბავი ქმარს შეატყობინა. ჩავარდნენ საგონებელში ქალის დედ-მამა, — რა ვქნათ, როგორ დავიხსნათ შვილი ამ სატანჯველიდანო. ბოლოს ასე მოილაპარაკეს, მოვიწვიოთ ქალ-სიძე სტუმრად, სიძე ჩვენს ლომებს დავაგლეჯინოთ და

ქალი სხვაზე გავათხოვოთო. დაუბარეს სიძეს: — ორი წელია ჩვენი სიძე ხარ და ერთხელ მაინც გვეწვიე სტუმრადო.

რა თქმა უნდა, სიძე ცოლეურებში მარტო არ წავიდოდა. შეაბმევინა ეტლი, ჩაისვა თავისი ცოლიც და წავიდნენ. გზაში დაუღამდათ და ღამის გასათევი ადგილის ძებნას შეუდგნენ. ხელმწიფის შვილმა ერთ ადგილას ცეცხლის შუქი შენიშნა და ცოლს უთხრა: — რაღა ღია ცის ქვეშ დავეყარნეთ, მოდი, მივიდეთ იმ სინათლესთან, ვინმე მაცხოვრებელი იქნება და ერთ ღამეს ყველა გაგვათენებინებსო.

დაუჯერა ცოლმა და მივიდნენ. ეს სახლი სამი ძმა დევისა ყოფილიყო. დევები შინ არ იყვნენ — სანადიროდ ყოფილიყვნენ წასულები. სახლიდან მათი დედა გამოვიდა და ჰკითხა:

— ვინა ხართ, ან აქ რამ მოგიყვანათო?

— დედაშვილობას, მგზავრები ვართ და ერთი ღამე გაგვათენებინეო, — სთხოვა ხელმწიფის შვილმა.

დევების დედამ უარი უთხრა:

— არა, შვილო, ღამეს ვერ გაგათევინებთ, ჩემი შვილები ადამის ტომის მტრები არიან, აქ რომ მოგასწროთ, შეგჭამენ და თქვენს ცოდვას კისრად ვერ დავიდებო.

ქალს შეეშინდა და ქმარს უჩურჩულა,—ჩქარა წავიდეთო, მაგრამ ქმარმა არ დაუჯერა და დევების დედას კიდევ სთხოვა:

— შენ შინ შემიშვი და მე და შენი შვილები თვითონ მოვრიგდებითო.

რაღას იზამდა დევების დედა? ბრალი მოიხადა და მისცა ერთი ოთახი. შევიდნენ ცოლ-ქმარი და დაწვნენ, ერთი ერთ ტახტზე, მეორე მეორე ტახტზე. ქმარმა მაშინვე ხვრინვა ამოუშვა, ცოლს კი რა დააძინებდა, დევების მოლოდინში მთელი ტანით კანკალებდა.

არ გასულა დიდი ხანი, რომ კარზე რაღაც ხმაური ატყდა, ეს უფროსი ძმა, სამთავიანი დევი მოვიდა, დააგდო ძირს ნანადირევი ირემი, შემოვიდა და დედას დაუყვირა:

— ვინ შემოგიშვია სახლში? ადამის ტომის სუნი მცემსო! — და გამძვინვარებული იმ ოთახისკენ წამოვიდა, სა-

დაც ცოლ-ქმარს ეძინა. სმაურზე ხელმწიფის შვილს გამოეღვიძა და დევს კარებში შეეგება, დასტაცა ხელი, თვალის დახამხამების უმალ სამივე თავი წააგლიჯა და ტანიცა და თავებიც ფანჯრიდან გადმოისროლა, მერე გამობრუნდა უკან და ტახტზე არხეინად გაიშოტა, თითქოს დიდი არაფერი მომხდარა, და ისევ ხვრინვა ამოუშვა.

ქალმა ყველაფერი ეს დაინახა, მაგრამ თავი მოიმძინარა და ქმარს არ გაუმხილა.

ქალი შიშით კანკალებს, ქმარი კი არხეინად ხვრინავს. გავიდა კიდევ ცოტა სანი და კიდევ ატყდა კარზე სმაური: ასლა შუათანა ძმა — ექვსთავიანი დევი მოვიდა, დააგდო ნანადირევი, შემოვიდა შინ და დედას დაუყვირა:

— ადამის ტომის სუნი მცემს, სახლში ვინ შემოგიშვიაო? — და განრისხებული ისიც იმ ოთახისაკენ წამოვიდა, რომელშიც ცოლ-ქმარს ეძინა. სმაურზე ისევ გამოეღვიძა ხელმწიფის შვილს, ამ დევსაც კარებშივე შეეგება და თვალის დახამხამების უმალ უფროსი ძმის გზას გაუყენა. ისევ ტახტზე გაიშოტა და გულარხეინად ახვრინდა.

ქალმა ესეც დაინახა, მაგრამ ისევ თავი მოიმძინარა და ქმარს არ გაუმხილა.

ქალი შიშით კანკალებს, ქმარი კი ხვრინავს. გავიდა კიდევ ცოტა სანი და ეზოში ახლა უმცროსი ძმა — ცხრათავიანი დევი მოჩქომდა. დააგდო ირემი, შემოვიდა შინ და ცასავით დაიჭექა:

— დედი, ადამის ტომის სუნი მომდის, სახლში ვინ შეგოგიშვიაო? — და განრისხებული ცოლ-ქმრის საწოლი ოთახისაკენ გამოემართა.

გაიღვიძა სმაურზე ხელმწიფის შვილმა, სწვდა კარებში დევს, წააგლიჯა ცხრავე თავი და თავებიან-ტანიანად ფანჯრიდან გადაუძახა. გამობრუნდა და ისევ მშვიდად დაიძინა:

ქალმა, რა თქმა უნდა, ესეც დაინახა, მაგრამ ქმარს არც ამჯერად გაუმხილა.

გათენდა დილა. ადგნენ ცოლ-ქმარი, შეაბმევინეს ეტლი და წავიდნენ. მივიდნენ ქალის დედ-მამასთან. არის ერთი ლხინი და წვეულება, ხელმწიფეს და დედოფალს თავიანთი

ქალისათვის უკვე მოუყვანიათ სხვა საქმრო და ნამდვილი სიძე შინაც აღარ შეუშვეს.

უთხრა ხელმწიფე-სიმამრმა: სიძე-ბატონო, ცოტა ხანს ბაღში გაისეირნეთ, დაისვენეთ და შინ მერე შევიდეთო.

ხელმწიფეს და დედოფალს ბაღში უკვე ლომები ჰყავთ გაშვებული და უნდათ, რომ ეს სიძე დააგლეჯინონ, ქალი კი ახალ სასიძოს გადაულოცონ.

ხელმწიფის შვილი ბაღში შევიდა, ქალი კი წაიყვანა დედ-მამამ და ახალი საქმრო გააცნო. ისიც, რასაკვირველია, ხელმწიფის შვილი იყო და კარგი თვალად-ტანადი ვაჟკაცი. ქალს მოეწონა და გუნებაში თქვა, — ჩემს ქმარს ათასჯერ ჯობიაო. დედ-მამაც კმაყოფილია და ახლა მხოლოდ სიძის სიკვდილსღა ელიან, რომ თავიანთ ქალსა და ახალ სასიძოს ჯვარი გადასწეროონ.

სიძე კი დადის ბაღში დაფიქრებული: რატომ გამომიშვა ჩემმა სიმამრმა ბაღში და სტუმრებთან არ შემიყვანა? აქ რაღაც ამბავია და ვნახოთ რით დამთავრდებაო.

ამ ფიქრებით მივიდა წყაროსთან და ის იყო, წყაროს უნდა დასწაფებოდა, რომ აქეთ-იქიდან ორი გამძვინვარებული ლომი გამოვარდა და კბილებდაღრენილები ხელმწიფის შვილისაკენ გამოემართნენ. დაასწრო ხელმწიფის შვილმა, სტაცა კისრებში ხელი, ჯერ თავები დაუხეთქა ერთმანეთზე, მერე ასო-ასოდ დაგლიჯა და გადაყარა. დალია წყალი და დაფიქრებული წყაროს პირას ჩამოჯდა: „რატომ შემომიშვა ჩემმა სიმამრმა ბაღში, ნუთუ არ იცოდა, რომ აქ ლომები იყვნენო?“ ამ ფიქრში მოერია ძილი, მიდო ერთ ქვაზე თავი და ნამგზავრს, უძინარსა და დაღლილს ღრმა ძილით დაეძინა.

შუაღამე გადავიდა. ხელმწიფის შვილს კი კვლავ ღრმად სძინავს. რაკი აღარ გამოჩნდა, ხელმწიფემ და დედოფალმა დაასკვნეს, მკვდარი იქნებაო და თავიანთი ქალის ახალი ქორწინება საჯაროდ გამოაცხადეს. გამოიყვანეს სასიძო, საჩქაროდ ჯვარი გადასწერეს და ნეფე-პატარძალი მათთვის განკუთვნილ საძილე ოთახში შეუშვეს. სიძემ დაიწყო ტანსაცმლის გახდა, ჩექმას რომ იხდიდა, საწოლქვეშიდან ერთი თაგვი გამოვარდა, სიძემ ესროლა ჩექმა და მოკლა.

მიუბრუნდა სახეგაბადრული პატარძალს და ტრაბასით უთხრა:

— ნასე, რა ბიჭი ვარ, თაგვს ორი ნაბიჯი არ გადავადგმევინეო. გაიხადა მეორე ჩექმაც და კიდევ უთხრა:

— ხომ ვარ ძლიერი ვაჟკაცი, თაგვი რომ ვერ წამიყვანდაო?

დაწოლამდე კიდევ რამდენჯერმე უთხრა:

— რა მარჯვედ ვესროლე ჩექმა, პირდაპირ თავში მოვარტყიო.

ქალმა გაიხადა ტანსაცმელი და უნდა დაწვეს, ნეფე კი კვლავ თაგვის მოკვლას ეტრაბასება:

— ჰა, ხომ ვარ ბიჭი-ვაჟკაცი, თაგვს რომ დედა ვუტირეო?

ქალს მობეზრდა: ეს რა მკვესარა ვიღაცა ყოფილა, თაგვი მოკლა და თავი გმირი ჰგონია, იმან კი დეევების დახოცვაც არ გაამხილაო. ვაჟკაცი ეს კი არა, ისა ყოფილა, და ამასთან სიცოცხლეს, იმასთან სიკვდილი მირჩევნიაო. წავალ და, სადაც ის დაგლიჯეს ლომებმა, მეც იქ მოვკვდებიო.

წამოდგა ქალი, გადაიცვა კაბა და წავიდა ბაღში, — მკვდარი იქნება, თუ ცოცხალი, ვიპოვი და მეც იმის სვედრს გავიზიარებო.

იარა, იარა და მიადგა წყაროს. ნასა, დაგლეჯილი ლომები აქეთ-იქით ყრია, თვითონ კი მიუდვია თავი შიშველ ქვაზე და არხეინად ხვრინავს. ქალს შეეცოდა ქვაზე თავმიდებული ქმარი და, რაკი ხელთ სხვა არაფერი ჰქონდა, საჩქაროდ კაბა გაიხადა და თავქვეშ ამოუდო.

გამოეღვიძა ხელმწიფის შვილს და დაინახა თავქვეშამოდებული კაბა. მაშინვე მოხვია მკლავები ქალს და გულში მხურვალედ ჩაიკრა.

ასე აუხდა შვილს მამის ანდერძი. მაგრამ ბრძენი ხელმწიფე აქ ერთ რამეში მოტყუვდა: ქალი მხოლოდ იმას უფენს ქვეშ თავის კაბას, ვინც ვაჟკაცობას გამოიჩენს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

შრომა და იღბალი

ერთხელ შრომა და იღბალი შეხვდნენ ერთმანეთს და წაიკიდნენ, — არა, მე გჯობივარ, არა — მეო; არა, მე უფრო მეტი სარგებლობა მომაქვს ადამიანისათვის, არა — მეო. ბოლოს შრომამ თქვა, — რაც უნდა იყოს, კაცი უჩემოდ ვერ გამდიდრდება და ვერც იცხოვრებსო. — მე თუ შევეწიე, კიდეც გამდიდრდება და კიდეც იცხოვრებსო, — იღბალმა მიუგო.

— მაშ, მოდი და დავნაძლევდეთო, — უთხრა შრომამ.

— დავნაძლევდეთო, — არ დაუთმო იღბალმა.

დანაძლევდნენ და გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს და შეხვდათ ერთი ღარიბი კაცი. იღბალმა თქვა:

— აი, ამ ღარიბ კაცს დღესვე გავამდიდრებო.

— აბა, ჰა, შენ იცი, აგერ ვარ და გიყურებო, — მიუგო შრომამ და ულვაშებში ჩაიცინა.

მივიდა იღბალი ღარიბ კაცთან, მისცა დიდძალი ოქროს ფული და უთხრა:

— კაცო, რატომ კვდები სიღარიბეში, წაიღე ეს ფული, გახსენ დუქანი და ივაჭრეო.

გამოართვა კაცმა ოქრის ფული — და გახარებული მაშინვე ბაზრისაკენ გაიქცა, უცბად მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილი გაახსენდა და გუნებაში თქვა: დუქნის გახსნა სად წამივა, მოდი, ჯერ ცოლ-შვილს მივხედავ, ცოტა რამეს ვუყიდი და ფულსაც ვახარებო. მართლაც, იყიდა ძვირფასი ტანსაცმელი, გემრიელი სასმელ-საჭმელი, გამოკრა ერთ აბრეშუ-

ზის ხელსახოცში, დარჩენილი ფულებიც შიგ ჩაყარა და გასწია სახლისკენ.

გზაზე დაიღალა და ძილიც მოერია. დაჯდა გზის პირას, ხელსახოცი გვერდით დაიდო და დაიძინა. სად იყო და სად არა, ერთი მშიერი ყორანი მოფრინდა, დასტაცა ნისკარტი ხელსახოცს და წაიღო. გამოეღვიძა კაცს და სადღაა ხელსახოცი! შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ რაღას უშველიდა. წავიდა შინ დაღონებული და ცოლს შესჩივლა, მაგრამ ცოლმა არ დაუჯერა და დანაკარგი აინუნშიაც არ ჩააგდო.

გავიდა ერთი კვირა. შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს შრომა და იღბალი და შრომამ ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის კაცი თუ ვერაო?

— რა თქმა უნდა, გავამდიდრეო.

— მაშ, აბა წავიდეთ და ვნახოთო.

წავიდნენ და მივიდნენ ღარიბ კაცთან. რა სიმდიდრე, რის სიმდიდრე,— რაც აქამდე იყო, კაცი ისევ ის ღატაკი დახვდათ.

— კაცო, რა უყავი ის ოქროს ფული, მე რომ მოგეციო?— ჰკითხა იღბალმა.

— დამეკარგაო, — უთხრა კაცმა და უამბო, რაც თავს გადახდა.

იღბალმა ახლა ორი იმდენი მისცა და გააფრთხილა: — კარგად შეინახე და გამდიდრდებიო.

წავიდა კაცი ისევ ბაზარში დუქნის გასახსნელად, მაგრამ სანამ დუქანს გახსნიდა, ჯერ ცოლ-შვილისათვის ტანსაცმლისა და სასმელ-საჭმლის ყიდვა გადაწყვიტა. ამოიღო ოქროს ფულით გატენილი ქისა და შემოუარა დუქანდახლებს.

დაინახა ორმა ქურდმა, რომ კაცს ბლომა ფული აქვს და ერთმა უთხრა მეორეს:

— მე დანით გამოგეკიდები, ვითომ მოკვლას გიპირებ, შენ გაიქეცი, მიდი მაგ კაცთან და შველა სთხოვე, ეგ ქულაჯის ქვეშ დაგმალავს და ქისა ამოაცალეო.

გამოუდგა ერთი ქურდი მეორეს დანით, მეორე ქურდი მივარდა კაცთან და შეეხვეწა:

— ძია კაცო, მოსაკლავად მომდევენ და როგორმე დამმალეო.

კაცს შეებრალა განწირული ქურდი და ქულაჯის ქვეშ ამოიფარა, ქურდმა ჩუმად ქისა ამოაცალა და გაიქცა. დარჩა კაცი ხელცარიელი. ბევრი იტირა და იცა თავში, მაგრამ რას უშველიდა. წავიდა შინ და ისევ ცოლს შესჩივლა, ცოლმა არც ახლა დაუჯერა, — ნეტა ბევრს არ ყბედობდე, ოქროს ფულს შენ არავინ მოგცემდა და ცარიელი ჯიბიდან კი ვინ რას ამოგაცლიდაო, — უთხრა.

გავიდა კიდევ ერთი კვირა და შრომა და იღბალიც ისევ შესვდნენ ერთმანეთს.

— რა ჰქენი, გაამდიდრე ის კაცი, თუ ვერაო? — ჰკითხა შრომამ.

— გავამდიდრე და მეტიც ვუყავიო, — თამამად მიუგო იღბალმა.

— აბა, წავიდეთ და ვნახოთო, — ეჭვიანად უთხრა შრომამ.

წავიდნენ, ჩაუარეს კაცის სახლს და რას ხედავენ, — არც სიმდიდრე და არც ქონება, რაც ღატაკი იყო, ისევ ისეთი დახვდათ.

— კაცო, რა უყავი ჩემი მოცემული ოქროს ფულები? — ჰკითხა იღბალმა.

— ისევ დამეკარგაო, — უთხრა კაცმა და რაც თავს გადახდა, ყველაფერი უამბო.

იღბალი გაჯავრდა:

— მარტოს თუ შნო არა გაქვს, ამხანაგი აიყვანე და იმას დაეკითხეო, — უთხრა და სამმაგად მეტი ფული მისცა.

წავიდა კაცი შინ, ამოიღო ოქროს ფული და ცოლს უთხრა:

— აი, ფული მოვიტანე და შეინახე, მე ამხანაგის საშოვნელად მივდივარო.

ცოლი ცომს ზელდა, ქმარს არც ახლა დაუჯერა და ზედ არც კი შეხედა, ისე უთხრა:

— მე შენთვის არა მცალია, თუ რამე მოიტანე, აგე, სამარილე ქოთანი დგას მანდ და ჩაყარეო.

ჩაყარა კაცმა ფული ქოთანში და წავიდა ამხანაგის სა-

ძებნელად. ცოტა ხნის შემდეგ მეზობლის გოგო შემოვიდა და დიასახლისს მარილი სთხოვა. დიასახლისმა უთხრა:

— მე, შვილო, ცომიანი ხელები მაქვს და ქოთნიდან თვითონ ამოიღეთ.

ამოიღო გოგომ მარილი და ოქროს ფულიც თან ამოაყოლა. მოუტანა დედას მარილიც და ფულიც, დედამ მარილი იხმარა და ფული თავიანთ საფულე ყუთში ჩაყარა.

დაბრუნდა კაცი შინ და ამხანაგიც მოიყვანა. ჩაიხედა ქოთანში და სადღაა ფული.

— რა იქნა ფულიო? — ჰკითხა ცოლს.

— რა ფული, რის ფული! — დაუტუქსა ცოლმა, — რაღაცა გეჩვენება, თორემ ოქროებს ვინ გიჟი მოგცემდაო.

კაცმა ბევრი იჩხუბა და იჯავრა, მაგრამ ვეღარაფერს გასდა და ბედს დამორჩილდა.

გავიდა ერთი კვირა და შრომა და იღბალი კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს. ისევ ჰკითხა შრომამ:

— რა ჰქენი ბოლოს და ბოლოს, გაამდიდრე ის კაცი, თუ ვერაო?

— მე მგონია, გავამდიდრე, — მიუგო იღბალმა, — სამაგად მეტი მივეცი და თუ კიდევ ღარიბად დარჩა, მოსაკლავიაო.

— მაშ, წავიდეთ და ვნახოთო, — უთხრა შრომამ.

— წავიდეთო, — დათანხმდა დაიმედებული იღბალი.

მივიდნენ კაცთან და რას ხედავენ, — რაც იყო იმაზე უარესად გაღატაკებულიყო. შესდა შრომამ და უთხრა:

— რაკი შენ ვერაფერს გახდი, ასლა მე მიყურეო, — და კაცს ხუთი მანეთი აჩუქა. თან დაარიგა, ეს ფული როგორ გამოეყენებინა, უთხრა:

— სამი მანეთით ვირი იყიდე, ათი შაურით — ცული, ათი შაურით — თოკები და მოსართავები, მანეთისა — სასმელ-საჭმელი ცოლშვილისათვის. წადი ტყეში, დაამზადე შეშა, ყოველდღე ჩამოიტანე ქალაქში და გაყიდე. აღებული ფული ზოგი დახარჯე, ზოგი შეინახე და სულ მუდამ გაუჭირვებლად იცხოვრებო.

მართლაც გაიგონა კაცმა შრომის დარიგება, იყიდა სამ მანეთად ვირი, ათ შაურად — ცული, ათ შაურად აკაზმულო-

ბა და წავიდა ტყეში. პირველ დღესვე იმდენი შეშა ჩამოიტანა, რომ აღებული ფულით სამაძღრისო საჭმელ-სასმელიც იყიდა და შესანახადაც გადარჩა. შემდეგ დღეებში კაცი უფრო გაიწაფა შეშის ჭრაში, შრომას ხელი მიაჩვია და მუშტრებიც გაიმრავლა. გაიმართა კაცი წელში, აღარც სასმელ-საჭმელი აკლდა და აღარც ჩასაცმელ-დასახური. რომ იტყვიან, ქვაც აქვს და კაკალიც.

ერთხელ ტყეში ერთი ხმელი წიფელი იპოვა. შემოუარა ირგვლივ, შემოათვალიერა და მოეწონა, მართლაც კარგი საშეშე ხე იყო. თანაც იმდენ შეშას დაყრიდა, კაცი მთელ წელიწადს ვერ გამოლევდა. მიადგა ცულით და მოსჭრა. წაიქცა ხე და რას ხედავს: თურმე ის წითელი ხელსახოცი, კაცმა პირველად რომ იყიდა, ყორანს ამ ხეზე მოეტანა, საჭმელი შეეჭამა, ოქროს ფული კი დაეტოვებინა. წამოიღო კაცმა ოქროები შინ და უფრო მდიდარი გახდა. მაგრამ შრომაზე ხელი არ აუღია, ფულის პოვნამ უფრო გაახალისა და შეშის გაყიდვასაც მოუმატა.

გავიდა ხანი, კაცი იმდენად გამდიდრდა, რომ სოფლის შეძლებულ ოჯახებს გაუტოლდა. ერთხელაც იმ მეზობელმა, რომლის გოგომაც მარილს ფული გააყოლა, ყუთში ფული დათვალა და სამასი თუმანი ზედმეტი გამოუვიდა. გამოჰკითხა ცოლს და ქალიშვილს, გაიგო მიზეზი და უკანვე დაუბრუნა. ამ ფულით კაცმა სახლი აიშენა და მდიდრული ავეჯი შეიძინა.

ბოლოს შრომა და იღბალი ისევ შესვდნენ ერთმანეთს და ახლა იღბალმა ჰკითხა:

— რა ჰქენი, გაამდიდრე შენი ხუთი მანეთით ის კაცი თუ ვერაო?

— წავიდეთ და ვნახოთო, — უთხრა შრომამ.

წავიდნენ და ნახეს: სადღა იყო წაფერდებული, ფარღალალა ქოხი, მის ადგილზე მშვენიერი ორსართულიანი სახლი იდგა და ეზო-კარმიდამოც შესაფერისად ჰქონდა მოწყობილი. გაუკვირდა იღბალს და ჰკითხა კაცს:

— მე შენი წონა ოქროს ფული მოგეცი და ვერაფერი შეიმატე, იმ ხუთ მანეთს ისეთი რა თილისმა ჰქონდა, რომ ყველამდე მოყრილხართო?

— არაფერი თილისმა არ ჰქონია, იმ ხუთმანეთიანმა მხოლოდ შრომა მასწავლაო, — მიუგო გლეხმა.

ასეა, შრომა თვითონ ქმნის იღბალსაც, სიმდიდრესაც და ბედნიერებასაც, ხოლო უშრომლად არც ერთი არსებობს, არც — მეორე და არც — მესამე.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მორჯულეგული ცოლი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — ერთ სოფელში ცხოვრობდნენ დედა-შვილი. უღელი ხარის მეტი არა ებადათ რა, — ეს იყო მათი საცხოვრისიც და სარჩო-საბადიც, მაგრამ ყველიერი რომ დადგა და მთელი სოფელი ლხინსა და სმა-ჭამას მიეცა, დედამ უთხრა შვილს:

— შვილო, ხომ ხედავ, ხალხი რა ყოფაშია, ყველა ქეიფში ატარებს დროს. როდემდე უნდა ვიყოთ ასე გამორჩეულები, მოდი ერთ-ერთი ხარი დავკლათ, ხორცი ზოგი ღვინოზე გადავცვალოთ, ზოგი — პურზე, დანარჩენი სახლში დავიტოვოთ და ჩვენც ერთი რიგიანი ქეიფი გავწიოთო.

შვილმა იუარა, ახლა საცაა ხვნა დაიწყება და ერთი ხარით ყანა როგორღა მოვხნაო, მაგრამ დედამ არ დაიშალა, არა უშავს რა, მე შემაბიო, უთხრა და დაიყოლია.

დაკლა ბიჭმა ერთი ხარი, ხორცი ზოგი ღვინოზე გადაცვალა, ზოგი პურზე, სამწვადე შინაც ბლომად დაიტოვა და დედა-შვილმა ყველიერი მართლაც მაძღრისად გაატარეს.

ყველიერი მალე ჩამოთავდა, დადგა დიდმარხვა და ხალხიც სახნავად გავიდა. ბიჭს კი ცალი ხარიღა ჰყავს და აღარ იცის, რა ქნას. ადგა და, რაკი სხვა სახსარი ვერაფერი გამონახა, უღელში დედა შეაბა, გაიტანა გუთანი და დაიწყო ხვნა.

იმ დღეს იმ ქვეყნის ხელმწიფეს გასეირნება მოესურვა და თავისი ნაზირ-ვეზირებით სოფელში გამოვიდა. დაინახა, რომ უღელში ხარის მაგიერ დედაბერი აბია და ნაზირ-ვეზირებს უბრძანა: — ახლავე გუთნისდედა მომგვარეთო!

მოიყვანეს ბიჭი.

— ვინ არის ეგ დედაბერი, უღელში რომ გიბიაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— დედაჩემიაო, — მიუგო ბიჭმა.

ხელმწიფე უფრო განრისხდა:

— მერე არა გრცხვენია, რომ მშობელი დედა გუთანში შეგიბია, რად კადრულობ ასეთ საქციელსო? — შეუტია ხელმიწფემ.

ბიჭმა უამბო, როგორც იყო საქმე. ხელმწიფე ცოტა დაშოშმინდა, ბიჭს წერილი დაუწერა და უთხრა:

— წაიღე ეს წერილი ჩემს მენახირესთან და ხარს მოგცემს, დღეიდან აღარ გავიგო, რომ დედა შეაბა უღელში, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო.

ბიჭმა მადლობა გადაუხადა, გამოხსნა დედა უღლიდან და მაშინვე ხელმწიფის მენახირისაკენ გაეშურა. მიუტანა ხელმწიფის წერილი, მენახირემ წაიკითხა და ერთი უშველებელი გათქვირებული ხარი დაანახვა:

— შენთვის აგე ის ხარი მოუცია, მაგრამ მეეჭვება, რომ მოიხმარო, ეგ ხარი მთელმა ჯარმა ვერ დაიმორჩილა და მარტოკამ რა უნდა უყოო.

— როგორმე მოვათვინიერებო, — უთხრა ბიჭმა და ერთი მსხვილი თოკი მოიტანა. ავიდა შუა მინდორში მდგარ უზარმაზარ მუსაზე, თოკის ერთი წვერი მუსას მიაბა, მეორე ქამანდად გამოყულფა და მენახირეს ჩამოსძახა. — როგორმე ნელ-ნელა ხესთან მორეკეო.

მორეკა მენახირემ ოჩანი ხარი, ბიჭმა სტყორცნა ქამანდი და გადააცვა კისერზე. ხარი მთლად გაგიჟდა, დაიქშუტუნა, თვალები გადმოკარკლა და ყალყზეც შედგა, მაგრამ ქამანდთან რას გახდებოდა, — რამდენიც გაიწევდა, ყელში მით უფრო ძლიერად უჭერდა.

საღამომდე იბრძოლა ხარმა, და რომ ვერაფერს გახდა, ბედს დამორჩილდა, ამ წევა-ჭინჭყლში დაიქანცა კიდეც და ხის ძირას დაწვა.

ბიჭი ჩამოვიდა ხიდან და ხარს შორიახლო დაუდარაჯდა. ხარი იქამდე აშიმშილა, სანამ მთლად სინსილა არ გადაუწყდა. მერე ნელ-ნელა დაუწყო ჭმევა: ჯერ ერთი ბღუჯა

ბალახი დაუყარა, მერე ცოტა მეტი. წყალსაც ასე ცოტა-ცოტაობით ასმევდა და ბოლოს ისე შეიჩვია, რომ თავზე ხელიც კი გადაუსვა. ხარი აღარც ერჩოდა და აღარც გასაქცევად იწევდა. მაშინ კი ახსნა ბიჭმა მუსიდან, წამოიყვანა შინ და შეაბა გუთანში. ხარი დადგა ისეთი, რომ ნული იტყვი! გააქვს და გამოაქვს კვალი, ბიჭი სიხარულით აღარ არი.

ერთ დღეს ხელმწიფეს მოაგონდა თავისი ოჩანი ხარი და ვეზირს უთხრა:

— მოდი ერთი გავიაროთ და ვნახოთ, რა ქნა იმ ბიჭმა, მოათვინიერა ჩემეული ხარი თუ ვერაო?

წავიდნენ და მივიდნენ ბიჭის ყანაში. სადღაა ოჩანი ხარი, კვალი თითქმის მარტოკას გააქვს და ისე მოთვინიერებულა, კუდსაც აღარ ატოკებს.

ხელმწიფეს ერთი იმ ხარივით ჯიუტი და ზარმაცი ქალიცა ჰყავდა. ისეთი უქნარა იყო ეს ქალი, რომ განძრევას და ფეხზე ადგომას ვინ იტყვის, პურის ჭამაც კი ეზარებოდა. ხელმწიფე საგონებელში იყო, ასეთ ზარმაცსა და არაფრის მაქნისს რა ეშველებაო. მაგრამ მორჯულებული ხარი რომ ნახა, გულში გადაწყვიტა, — მოდი, ჩემს ქალსაც ამას მივათხოვებ, იქნებ რამე მოუხერხოსო. მოიხმო ბიჭი და უთხრა:

— ხვნას რომ მორჩები, იმავ დღეს სასახლეში მოდი, შენთან საქმე მაქვსო.

მორჩა ბიჭი ხვნას და წავიდა სასახლეში. რა იცის, ხელმწიფე რისთვის იბარებს. ჰგონია, რამე საქმეს დამავალებსო, დგას და ელოდება.

უცებ ხელმწიფემ ჰკითხა:

— ჩემი ქალი მინდა მოგათხოვო და რას იტყვიო?

ბიჭმა ყურებს არ დაუჯერა ნათქვამი და ისე გაშტერდა, რომ კარგა ხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, მე თქვენი სიძობისა რა ღირსი ვარ, ან როგორ შევინახავ თქვენს ქალსო?

— არ ვიცი, ვთქვი და გათავდა, უნდა შეირთოო, — უთხრა ხელმწიფემ.

რაღას იზამდა ეს ბიჭი, წამოიყვანა ხელმწიფის ქალი და მოიყვანა შინ. დედა და შვილი თავს ევლებოდნენ ხელმწი-

ფის ასულს და სულ იმის ცდაში იყვნენ, რა ესიამოვნებინათ, მაგრამ პატარძალი სამაგიეროს არაფრით უხდიდა, ეზოდან წყალსაც არ შემოიტანდა, მხოლოდ ჭამდა და ტახტზე გორაობდა.

დედა-შვილმა ითმინეს, ითმინეს და ბოლოს ასე გადაწყვიტეს: თუ საქმეს გააკეთებს, ვაჭამოთ საჭმელი, თუ არა და მშიერი ვამყოფოთო. ადგნენ დილით და დედამ უთხრა შვილს:

— შვილო, პური ვინა ჭამოსო?

— ვინც საქმეს გააკეთებსო.

— საქმე ვინღა გააკეთოსო?

— მე და შენაო.

ჭამეს დედა-შვილმა საჭმელი და წავიდნენ სამუშაოდ, პატარძალს კი ერთი ლუკმაც არ უწილადეს.

ხელმწიფის ქალს მოშივდა, მაგრამ ტახტიდან ადგომა და საჭმლის გაკეთება დაეზარა, იფიქრა, ქმარი და დედამთილი მოვლენ და მაჭმევენო, მაგრამ ქმარმა და დედამთილმა აღარც ვახშამი გაუყვეს. სამუშაოდან რომ დაბრუნდნენ, დედამ მხოლოდ ორი სულის სამყოფი ვახშამი გააკეთა და შვილს უთხრა:

— შვილო, დღეს საქმე ვინ გააკეთაო?

— მე და შენაო.

— საჭმელი ვინღა ჭამოსო?

— ვინც საქმე გააკეთაო.

დასხდნენ დედა-შვილი, შეჭამეს რაც კი ვახშმად ჰქონდათ მომზადებული და დაიძინეს. მეორე და მესამე დღესაც ასე გააკეთეს. პატარძალმა იფიქრა, თუ არაფერი გავაკეთე, ესენი ნამდვილად მშიერს მომკლავენო და ღონემიხდილმა ნახევარი სახლი დაგავა. მოვიდნენ საღამოს დედა-შვილი, ნახეს ნახევრად დაგვილი სახლი და ერთმანეთს თვალი უყვეს. დედამ ჩვეულებრივ ჰკითხა:

— შვილო, ვახშამი ვინა ჭამოსთ?

— ვინც საქმე გააკეთაო, — მიუგო შვილმა.

— ვინ გააკეთა საქმეო?

— მე და შენაო.

— არა, შვილო, — უთხრა დედამ, — ხომ ხედავ, დღეს

ჩვენს პატარძალსაც უმუშავნია, — ნახევარი სახლი დაუგვია, — და ცოტა რამ ამასაც უნდა ვუნაწილოთო.

გააკეთა დედამ საჭმელი და ორი კოვზი კერძი და ერთი ნატეხი პური პატარძალსაც მიაწოდა.

ხელმწიფის ქალმა ცოტა სული მოითქვა, თან იმასაც მიხვდა, რაც უფრო მეტ საქმეს გააკეთებდა, საჭმელსაც მეტს მისცემდნენ. ადგა მეორე დღეს და გაუკეთებელი აღარაფერი დატოვა: სახლი ძირის ძირობამდე დაგავა, ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, წყალი მოზიდა და ღუმელიც გაახურა.

დაბრუნდნენ სამუშაოდან დედა-შვილი და ყველაფერი გაკეთებული რომ დასვდათ, ძალიან გაუხარდათ, ერთმანეთს კვლავ თვალი უყვეს, მერე დედამ ვახშამი მოამზადა და შვილს ჰკითხა:

— შვილო, დღეს ვახშამი ვინა ჭამოსო?

— რა თქმა უნდა, ვინც საქმე გააკეთაო, — მიუგო შვილმა.

— საქმე ვინღა გააკეთაო?

— ყველამ გავაკეთეთო.

— სწორია, შვილო, — უთხრა დედამ, — დღეს ჩვენს პატარძალსაც კარგად უმუშავია და ესეც ჩვენთან ერთად უნდა ვავახშმოთო.

დასვეს პატარძალიც სუფრასთან, დედა-შვილი სულ საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობდნენ. ხელმწიფის ქალი ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა, შრომის მეტი არაფერი მიშველოსო, და ამ დღიდან ისე გაყოჩაღდა, რომ საჭიროზე მეტსაც აკეთებდა, მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებდა. რეცხავდა, გვიდა, ასუფთავებდა და, სანამ ქმარი და დედამთილი სამუშაოდან დაბრუნდებოდნენ, ვახშმის მომზადებასაც ასწრებდა.

ერთ დღეს ხელმწიფემ თავის ვეზირს უთხრა:

— მოდი, წავიდეთ, ვნახოთ, ჩემი ზარმაცი ქალი რასა იქსო.

შესხდნენ ცხენებზე და წამოვიდნენ. მოვიდნენ სიძის სახლში. ქალი სიხარულით გამოეგება მამას და შინ შეიყვანა. ხედავს ხელმწიფე, რომ იმისი ქალი ჩიტივით დახტის სახლში და პირზე ხვითქი გადასდის, ხელმწიფეს უხარია და

თან უკვირს: ნეტა რა უქნა იმ მენახირემ ასეთი, რომ გააყოჩაღაო?

ქალმა ქმართან და დედამთილთან მეზობლის ბიჭი გააგზავნა, — მამა გვეწვია და საჩქაროდ წამოდითო. — თვით ხელმწიფეს და ვეზირს კი ხელში ცულები მისცა და შეშის დაჭრა დაავალა.

— აქ ასეთი წესია, თუ საქმე არ გააკეთეთ, პურს არ გაჭმევენო.

ხელმწიფე ახლა კი მიხვდა, რა სერხითაც მოერჯულებინა მენახირეს იმისი ქალი. მოეწონა სიძის საზრიანობა, ვეზირის თანამდებობა უბოძა და კარგი ჯამაგირიც დაუნიშნა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხახუტა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყვნენ სამნი ძმანი. სამივეს უკვე ცოლები ჰყავდათ, მაგრამ ჯერ ისევ ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ. უფროსი და შუათანა შრომის მოყვარენი იყვნენ, უმცროსი ხახუტა კი — ზარმაცი და მუქთახორა, სულ მხართეძოზე იწვა და ჭამის მეტი არაფერი აგონდებოდა. ძმები სულ იმას ეჩიჩინებოდნენ, — ადექი, შენც რამე გააკეთე და ოჯახს მოეხმარეო, მაგრამ ხახუტა ძმების რჩევას არაფრად აგდებდა და კვლავ ტახტზე გორაობდა. მოსწყინდათ ძმებს ხახუტას რჩენა და გაეყარნენ, წილში სახლი და სამი თხა არგუნეს.

მოიხმო ხახუტამ ცოლი და უთხრა:

— ეს თხები სამწყემსავად არა ღირან, არადა, შიმშილით დაგვეხოცებიან, მოდი, რომ არ ვიწვალოთ, მთაზე გავრეკავ და ერთი წლით იქ დავტოვებ, გაისამდე თვითონ გამოიკვებებიან, კიდეც გამრავლდებიან და სამწყემსავადაც მოღირდებიანო.

ცოლმა ძალიან მოუწონა ეს აზრი და მაშინვე საგზალი მოუმზადა. გარეკა ხახუტამ თხები მთაზე, გაუშვა იქ და თვითონ შინ დაბრუნდა.

ერთი წელიწადი მოსვენებით იყო, მეორე წელს წავიდა თხების ჩამოსარეკად, მაგრამ იქ ციკნის ყურიც აღარ დახვდა. გაბრაზდა ხახუტა, მომართა მშვილდ-ისარი და დაიწყო აღმა-დაღმა სიარული, იქნებ სადმე ცოცხლები იყვნენ და წავაწყდეო. ბევრი იარა, მაგრამ თავისი თხები ველარსად

ნახა. სამაგიეროდ ერთი მგელი შეხვდა და ხახუტამაც გულის ჯავრი იმაზე გადაიტანა: დაიჭირა, დააკრეჭინა კბილები და აკი სისხლი არ შეამჩნია! ჰო, აი სწორედ ამას შეუჭამია ჩემი თხები და სამაგიეროსაც შესაფერისს მივუზღავო, — თქვა ხახუტამ და მგელს ისარი დაუმიზნა. მგელი შეეხვეწა, ოღონდ ნუ მომკლავ და ბედსა გწევო.

— რა ბედსა მწევო? — ჰკითხა ხახუტამ.

— რასა და, აგე მთაზე მწყემსები რომ თხებს აძოვებენ, წავალ, ერთ თიკანს მოვტაცებ და გავიქცევი. მწყემსები და ძაღლები მე გამომეკიდებიან, შენ ამასობაში დრო იხელთე, მოუარე მაგ ფარას და სულერთიანად გაირეკეო.

დაუჯერა ხახუტამ მგელს და გაუშვა. წავიდა მგელი, შევარდა ფარაში და ერთი ნაცრისფერი თიკანი მოიტაცა. მწყემსები და ძაღლები მგელს გაეკიდნენ და თხის ფარა უპატრონოდ დატოვეს, ხახუტამ ამით ისარგებლა და მთელი ფარა საჩქაროდ შინისაკენ გამოირეკა.

ამდენი თხების დანახვაზე ძმები შურით აივსნენ და ხახუტას ჰკითხეს:

— სად იშოვე, ხახუტა, ამდენი თხებიო?

— აბა, როგორ გგონიათ, თქვენ რომ სამი თხის მეტი არ მარგუნეთო, — თქვა ხახუტამ და ულვაში გადაიგრიხა, — ის თხები შარშან მთაში ავრეკე და გავუშვი, წელს აეედი და აი ასე მოშენებულები დამხვდნენო.

ძმებმა დაიჯერეს ხახუტას ნათქვამი და თავიანთი თხები იმავ წელს მთაში არეკეს. გაუშვეს უპატრონოდ და წამოვიდნენ. ძმებს იმედი აქვთ, წლის თავზე ათმაგად მომრავლებული დაგვხვდებიანო, მაგრამ რა დაგიკარგავს, რას ეძებ! თხის კუდიც ვეღარსად იპოვეს. დაბრუნდნენ მთიდან ცარიელ-ტარიელები, მიუხტნენ ხახუტას და სახლი გადაუბუგეს.

დარჩა უსახლკაროდ ხახუტა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა და ახალი ხერხი მოიგონა: მოაგროვა დამწვარი სახლის ნახშირი და ერთი გოდორი გაავსო. მერე მეზობლებში ცოტაოდენი ვერცხლის ფული ისესხა, მოაყარა ნახშირს მაღლიდან, წამოიკიდა გოდორი და გაუგდა გზას ქალაქისაკენ. ქალაქში ერთ მდიდარ სოვდაგარს ზიადგა და

ღამის გასათევი ბინა სთხოვა. სოვდაგარმა ბინა მისცა და ჰკითხა:

— რაზე შეწუხებულხარ და ქალაქში რაზე ჩამოსულხარო?

— რაზე ჩამოვსულვარ და, ღმერთმა რომ დასწყევლოს სიმდიდრე, — მიუგო ხახუტამ, — მეტისმეტად ბევრი ვერცხლი დამიგროვდა, შემეშინდა, არავინ მომპაროს-მეთქი და ეს ერთი გოდორი საზინაში ჩასაბარებლად წამოვიღეო.

სოვდაგარს გაუკვირდა ხახუტას სიმდიდრე და ჰკითხა:— სად იშოვე ამდენი ფულიო?

— ვშრომობ, ძმაო, — უთხრა ხახუტამ, — დღედაღამეს ვასწორებ და რატომ არ მექნებაო?

ხახუტამ და სოვდაგარმა კიდევ ბევრი ისაუბრეს მოგებაწაგებაზე, მერე ივახშმეს და დაწვნენ. სოვდაგარმა დაიძინა, ხახუტას კი რა დააძინებდა, წამოდგა ჩუმად ლოგინიდან, აიღო თავისი გოდორი, ვერცხლის ფული სახლის კიბეებსა და ეზოში მიმოაბნია, ნახშირიანი გოდორი კი მტკვარში ჩაგდო, თვითონ უკანვე დაბრუნდა, ისევ ჩუმად შეიპარა საწოლში და დაიძინა.

დილას ადგნენ თუ არა, ხახუტამ მაშინვე თავისი გოდორი მოიკითხა, მაგრამ სადღაა გოდორი! ატეხა ხახუტამ ყვირილი:

— სოვდაგარო, ჩემს ფულებს უსათუოდ შენ გაატანდი ვისმეს, და თუ ათმაგად არ მოგიცია, სამართალში გიჩივლებო!

შეეშინდა სოვდაგარს, ემანდ მართლა არ მიჩივლოს და საქვეყნოდ თავი არ მომჭრასო და ათი ტომარა ვერცხლის ფული გადმოულაგა. ხახუტამ იქვე იქირავა მუშები, აჰკიდა ვერცხლის ფულით სავსე ტომრები და გამოსწია შინისაკენ.

ხახუტას ძმებმა რომ ამდენი ფული დაინახეს, შური უარესად გაუძლიერდათ და ძმას ჰკითხეს:

— სად გიშოვნია, ხახუტა, ამდენი ფულიო?

— ქალაქში ფულის მეტი რა იშოვებაო, — მიუგო ხახუტამ, — თქვენ რომ სახლი დამიწვით, მოვაგროვე იმისი ნახშირი, გავიტანე ქალაქში და სულ წონა-წონა ვერცხლის ფულზე გადავცვალეო.

ძმებმა თქვეს, თუკი ამდენ ფულს მოვიგებთ, ეს ბუდრუგანა ქოხები რად გვინდა, გადავწვათ, გავიტანოთ ნახშირი ქალაქში და სახლებსაც კარგს ავიშენებთ და მდიდრებიც გავხდებითო. გადაბუგეს მაშინვე თავიანთი სახლები, დაავსეს გოდრები ნახშირით და გასწიეს ქალაქისაკენ. გავიდნენ ბაზარზე და ატეხეს ყვირილი, — ვის გინდათ ვერცხლში ნახშირი წონა-წონაზეო! ხალხმა იფიქრა, ეს მენახშირეები ნამდვილად გიჟები არიან, თორემ ნახშირში წონა ვერცხლს ვინ მისცეს, და ყურიც არავინ ათხოვა.

მიხვდნენ ძმები, რომ ხახუტამ ამჯერადაც გააცურათ, დაბრუნდნენ შინ ბრაზმორეულები და ხახუტას ცოლი მოუკლეს.

დაღონდა საცოდავი ხახუტა ძალიან, მაგრამ ეშმაკობა მაინც არ მოიშალა. წავიდა ქალაქში, იყიდა ფარჩეულობა, გამოაწყო მდიდრულად თავისი მკვდარი ცოლი, გაიდო მხარზე და გასწია ბედის საძებრად. ბევრი იარა, თუ ცოტა, ბოლოს დაბინდებისას ერთ მდინარეს მიადგა. მდინარეზე წისქვილი ბრუნავდა. მივიდა ხახუტა წისქვილთან, ცოლი არხის პირას ხეზე მიაყუდა და მეწისქვილეს ღამის გათევა სთხოვა. მეწისქვილემ უყოყმანოდ მიიღო სტუმარი, მაგრამ გაუკვირდა, ხახუტა მარტოკა რომ შევიდა და ჰკითხა: — ცოლი რატომ აღარ შემოიყვანეო?

— მეტისმეტი მორცხვია და მოერიდაო, — უპასუხა ხახუტამ.

მეწისქვილეს ერთი მზეთუნასავი გოგო ჰყავდა. ადგა გოგო და კარში გავარდა, მე შემოვიყვანო. მივიდა ხახუტას მკვდარ ცოლთან და დაუწყო ხვეწნა, — ნუ გრცხვენია, შიგნით შემოდიო, მაგრამ მკვდარს აბა რას გააგებინებდა. რომ ვერაფერი შეასმინა, ხელი მოჰკიდა და თავისკენ გამოსწია. მკვდარი მოშორდა საყრდენ ხეს, გაუვარდა გოგოსაც ხელიდან და არხში მოადინა ტყაპანი. შეშინებული გოგო მაშინვე წისქვილში შევარდა და მომხდარი ამბავი მამას და ხახუტას შეატყობინა.

გამოვარდა ხახუტა კარში და ატეხა ყვირილი:

— არიქათ, ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, ცოლი დამიხრჩვესო!

მეწისქვილეს შეეშინდა, ემანდ არავინ გაიგოს და არ დავიღუპოო, და ხასუტას შეესვეწა:

— ოღონდ გაჩუმდი, ამ ამბავს ნურავის გააგებინებ და ცოლად აი ჩემი ქალიშვილი წაიყვანეო.

ხასუტასაც მეტი რაღა უნდოდა. მოჰკიდა ლამაზ გოგოს ხელი, ამოიყენა გვერდით და შინ მიიყვანა.

ძმები ამ ლამაზი გოგოს დანახვაზე მთლად გადაირივნენ, შურით პირდაპირ გულები დაუსკდათ და ხასუტას ჰკითხეს:

— საღ იშოვე ასეთი ლამაზი გოგო, ან ვინ მოგცაო?

— ჰმ, აბა რა გეგონათ, ცოლი რომ მომიკალითო, — მიუგო ხასუტამ და ულვაშებში ჩაიცინა, — წავიღე ქალაქში ჩემი მკვდარი ცოლი, გავიტანე მეიდანზე და დავიძახე. — აბა, ვის გინდათ სოფლელი მკვდარი ქალაქელ ცოცხალშიო? ქალაქელები ხომ იცით, რა სალხია, ოღონდ გასაცვლელ-გასაყიდი რაზე დაინახონ და უმალ ფეხზე დადგებიან. ჰოდა, შემოგვეხვივნენ მეც და თავიანთი ქალიშვილები შემომაძღიეს, მაგრამ მე სხვა არავინ მომეწონა, ეს ერთი ავირჩიე და წამოვიყვანეო.

— თუ ქალაქელები ცოცხლებს მკვდრებში სცვლიან და თანაც ასეთ ლამაზ გოგოებს იძლევიან, მეტი რაღა გვინდაო, — თქვეს ძმებმა და თავიანთი ცოლები ამავე დღეს დახოცეს. გაიტანეს ქალაქის მეიდანზე და ატეხეს ყვირილი:

— აბა ვის გინდათ სოფლელი მკვდრები ქალაქელ ცოცხლებში გასაცვლელიო?

გაბრაზდნენ ქალაქელები და ძმები სულ ცემა-ტყეპით გამოგარეს: — ვინ ოხრები ხართ, ან ჩვენ ვინა გგონივართ, რომ მკვდრებში ცოცხლებს ითხოვთ, ახლავე მოუსვით აქედან, თორემ ცემას არ გაკმარებთ, დაგიჭერთ და მტკვარში გადაგყრითო.

ცოლებს ვინღა ჩიოდა, ძმებს თავებიც კინაღამ იქ დარჩათ, მოვიდნენ შინ ნაცემ-ნაბეგვები, მიუსტნენ ხასუტას და ცემა დაუწყეს: — შე სულაძაღლებულო მუქთახორავ, რაზე დაგვღუპე, ცოლები რაზე დაგვახოცინეო.

ცემით რომ გული იჯერეს, ძმებმა ერთი დიდი კიდობანი გააკეთეს, ჩასვეს შიგ ხასუტა და თავი დაალურსმეს. მე-

რე დაუდეს ურემზე კიდობანი და ერთ ფრიალო კლდის პირას მიიტანეს. გადასაგდებად და სასიკვდილოდ თვითონ ვერ გაიმეტეს, თქვეს, იქნებ ვინმემ ხელი ჰკრას ან თვითონ გაინძრეს და კლდეზე გადაიჩეხოსო. მაგრამ ხასუტა არც ისეთი ბრიყვი იყო, რომ ძმების განზრახვას ვერ მიმხვდარიყო, — არც განძრეულა და არც ხმა ამოუღია, იჯდა კიდობანში და მარტო იმაზე ფიქრობდა, თავი როგორ გადაერჩინა.

კლდის თავზე საქარავნო გზა გადიოდა. ბედად გზაზე ერთი სოვდაგარი გამოჩნდა, ათი აქლემი ფარჩა-აბრეშუმით დაეტვირთა და ქალაქისაკენ მიერეკებოდა. ხასუტა ზანზალაკების წკარუნზე მიხვდა, რომ გზაზე სოვდაგრის ქარავანი მოდიოდა და კიდობანში ყვირილი ატეხა:

— არ მინდა, კაცო, რას მერჩით, სხვა ვინმე წაიყვანეთ, მე რატომ მაძალებთო!

მივიდა სოვდაგარი კიდობანთან და ჩასძახა:

— ვინა ხარ, რატომ ყვირი, ან ვინ რას გაძალებსო?

— როგორ რა მაყვირებს, — მიუგო კიდობნიდან ხასუტამ, — ხელმწიფის ქალს მრთავენ ცოლად, არ მინდა, მაგრამ უარი რომ ვუთხარი, აი ამ კიდობანში ჩამსვეს და ისე მივყევარ, დღეს სწორედ ჯვარი უნდა დამწერონო.

სოვდაგარს გაუკვირდა, ეს რა გიჟი ვინმე ყოფილაო, და უთხრა:

— შენ რაკი არ გინდა, მე წავალ, ამოგიყვან ამ კიდობნიდან და მე ჩავჯდები. შენ კი სამაგიეროდ ჩემი ქარავანი გაირეკე და მთელი ეგ აურაცხელი სიმდიდრე ღმერთმა მშვიდობაში მოგასმაროსო.

ამოუშვა სოვდაგარმა კიდობნიდან ხასუტა და თვითონ ჩაჯდა. ხასუტასაც ეს უნდოდა, დაულურსმა თავი კიდობანს, ჰკრა ხელი და უფსკრულში გადაუძასა. თვითონ ფარჩა-აბრეშუმით დატვირთული ქარავანი გამოირეკა და ეზოში ღიღინ-ღიღინით შემორეკა.

ძმების შურსა და გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, — როგორ გადარჩა ცოცხალი და ან ეს ამდენი სიმდიდრე სად იშოვაო?

— აბა, რა გეგონათ, — უთხრა ხასუტამ თავმომწონედ, —

თქვენ სასიკვდილოდ გამიმეტეთ, მაგრამ მართალ კაცს ღმერთი არ გასწირავს. მართალია, კლდეზე დავგორდი, მაგრამ სიკვდილის მაგივრად ერთ სავერდივით მწვანე მინდორში დავეცი. გამოვედი კიდობნიდან და, რას ვხედავ, მინდორში ეს ფარჩა-აბრეშუმით დატვირთული ქარავანი ბალახობს. მე წამოსვლა დავაპირე, მაგრამ ციდან ვიღაცამ ჩამომძახა:

— შენია ეგ ქარავანი, ღმერთსაც მოუცია და კაცსაც, გარეკე და მოიხმარეო! მეც რაღა უარს ვიტყოდი, გამოვრეკე და, როგორც სედავთ, ახლა ჩემიაო.

მაგრამ ძმებმა ამჯერად აღარ დაუჯერეს. თქვეს, თუ ამას არ მოვშორდით, კიდევ რამეს გვიხიმანებს და მთლიანად დაგვღუპავსო. ადგნენ და სამუდამო საცხოვრებლად სულ სხვა მხარეს გადაიკარგნენ. დარჩა ხახუტა მარტო თავის ლამაზ ცოლთან, ძმების წილ ადგილ-მამულსაც თვითონ დაეპატრონა და დაიწყო ტკბილი და უზრუნველი ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მეფობას ხელობა ჯობია

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ჭაბუკი მეფე, ცოლი არ ჰყავდა, მაგრამ სხვა უფლისწულებივით თვალი დიდგვაროვანთა ქალიშვილებისაკენ არ გაურბოდა, — მდაბიურად გადაცმული დადიოდა და თავის გუნების ქალს დაეძებდა.

ამ ძებნა-ძებნაში ერთი ხელოსნის გოგო მოეწონა და იმავე დღეს შუამავლად თავისი პირველვეზირი მიუგზავნა. გოგოს მშობლები ცას ეწივნენ სიხარულით, რომ მათს ქალიშვილს ახალგაზრდა ხელმწიფე თხოულობდა. რა თქმა უნდა, თვითონ გოგოსაც ძალიან გაუხარდა, მაგრამ გულს უცაბედად არ აჰყვა და მაშინვე ის იკითხა, — რა ხელობის კაციაო?

— როგორ რა ხელობის კაცია, — გაიკვირვა დიდვეზირმა, — მეფეაო!

— მეფობა რომელი ხელობააო, — კვლავ იკითხა გოგომ, — რისი გაკეთება შეუძლიაო?

— სახელმწიფოს მართავსო, — განუმარტა ვეზირმა.

— სულ ეგ იცისო? — ჩააცივდა გოგო.

— ამაზე კარგი რაღა უნდა იცოდესო?

— თვითონ, თავისი ხელით არაფერს აკეთებსო?

— თავისი ხელით არაფერს და მეფეს ეს არც ეკადრება, თვითონ ბრძანებს და საქმეს სხვები აკეთებენო.

— მაშ მეფობა ვერაფერი ხელობა ყოფილა, — თქვა ქალმა, — სანამ რამე ხელობას არ ისწავლის, მე იმისი წამყოლი არა ვარო.

მშობლებს ძალიან ეწყინათ თავიანთი ქალიშვილის უარი. ეწყინა, რა თქმა უნდა, დიდვეზირსაც. მეფეს კი სულაც არ სწყენია, პირიქით, სადედოფლოს პასუხმა გულისხმაში ჩაადგო: მართლაც და, რა კაცია ის, ვინც ერთი ხელობა მაინც არ იცის და თავისი ხელით ცოტა რამის გაკეთება მაინც არ შეუძლიაო, — გაიფიქრა გულში და დიდვეზირს ჰკითხა: — ხელობის ცოდნა მეფობას ხომ არ ამცირებსო?

— პირიქით, — უთხრა დიდვეზირმა, — ქვეყნის მმართველმა ყველაფერი უნდა იცოდეს, რაც მეტი ხელობა იცის კაცმა, მით მეტის შემძლებელია და ცხოვრებაში არც რამე გაუჭირდებაო. წელან ვერ შეგბედეთ, თორემ სწორედ ასე თქვა თქვენმა ამორჩეულმა სადედოფლომ: ერთიც ვნახოთ და სალხმა მეფედ აღარ ინდომოს, მერე რით აპირებს თავის რჩენას და ცხოვრებასო?

— მართალი უთქვამსო, — თქვა ჭაბუკმა მეფემ და ისევ დიდვეზირს ჰკითხა:

— ყველაფერს რომელი ხელობა ჯობიაო?

— ფეიქრობა ყველა ხელობას ჯობია, — მიუგო დიდვეზირმა, — რა შეედრება ფერადი ყვავილების ქარგვას, თანაც ძაფი და ბაწარი ყველგან იშოვება და ფეიქარსაც მეტი არაფერი სჭირდებაო.

დიდვეზირის რჩევას მეფეც დათანხმდა და სასახლეში ყველაზე სახელგანთქმული ხალიჩების მქსოველი მოიწვიეს. ოსტატმა სულ მალე შეასწავლა ასალგაზრდა მეფეს ხელობა და ბოლოს მთლიანი ხალიჩის მოქსოვაც მიანდო. ამ პირველ, დამოუკიდებელ ნახელავში მეფემ მთელი თავისი ნიჭი, უნარი და შეძენილი ცოდნა ჩააქსოვა, თავიდან ბოლომდე ფერადი ყვავილებით მოხატა, ყვავილებს შორის სატრფიალო ლექსები ჩაურთო და საჩუქრად თავის საცოლეს გაუგზავნა. ლექსები და საალერსო სიტყვები ისე იყო ყვავილთა ფოთლებში შესამებული, რომ თუ ძალიან ყურადღებით არ დააკვირდებოდა მნახველი, ვერაფერს გაუგებდა, მაგრამ ჭკვიანმა გოგომ უმალვე ამოიცნო და თანხმობაც შეუთვალა. გადაიხადეს დიდი ქორწილი და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

ჭაბუკ მეფეს ერთი ასირებული ჩვეულება ჰქონდა: სანდა-

სან მოესასიათებოდა, გადაიცვამდა მდაბიურად ღა მარტოდმარტო სანადიროდ წავიდოდა. ერთხელაც გადაიცვა და წავიდა. იმ ღღეს ვერაფერი ინადირა, საგზალიც შემოელია ღა მოშივდა. უცბად უსიერ ტყეში ერთ დუქანს წააწყდა და მაშინვე მას მიაშურა. შეეიდა დუქანში და დასლიდარს ჰკითხა:

— სადილი გაქვთო?

— როგორ არაო.

— აბა, მაშ მაჭამე, თორემ მგელივით მშიაო.

— აიხსენით იარაღი და ღარბაზში მობრძანდითო,—შეუთავაზა დასლიდარმა.

მეფემ აიხსნა მშვილდ-ისარი, ხმალ-სანჯალი ღა, როგორც სტუმარ-მასპინძლობის წესია, — დასლიდარს ჩააბარა. დასლიდარმა მეფის იარაღი დასლსუკან შეინახა ღა სალიჩებით მოფენილი ღიდი ოთახის კარი გაუღო. მეფეს მოეწონა დასლიდარის ასეთი თავაზიანობა ღა ღარბაზში მკვირცხლად შეაბიჯა. მაგრამ შედგა თუ არა უესი შიგ, უცბად იატაკი ჩაბრუნდა ღა მეფემ ბნელ ღა ღრმა ორმოში მოადინა ბრაგვანი.

გულგახეთქილი ღა გაოგნებული მეფე წამოდგა ღა მიმოიხედა, მაგრამ რას ღაინახავდა, — ირგვლივ ისეთი სიბნელე იდგა, თვალთან თითის მიტანა არ შეიქლებოდა. უცბაღ გვერდიდან ვილაცამ გადაულაპარაკა:

— ვინა ხარ, ან ამ დუქანში — ამ ცოდვის ორმოში რიგორ მოხვდიო?

— როგორ თუ ცოდვის ორმოშიო?! — გაუკვირდა მეფეს.

მეფის ამ კითხვაზე ახლა მეორე ხმამ უპასუხა:

— როგორ ღა, ვინც ამ ორმოში მოხვდება, სიკვდილს ვერ გადაურჩებაო. ახლა ჯერი ჩვენზეა მომდგარი, ჩვენ რომ ბოლოს მოგვიღებენ დუქნის პატრონები, მერე უნც ღაგკლავენო.

— კი, მაგრამ რა ღავუშავე, რაგომ ღამკლავენო? — იკითხა უარესად გაკვირვებულმა მეფემ.

— ეს დუქანი ყაჩაღებისაა, — უთხრა პირველმა ხმამ, — აქ ყველას ადამიანის ხორცით უმასპინძლდებიან. ვინც მარტო შემოვა ღა თვალადაც მოეწონებათ, მაშინვე ამ ორმოში

უკრავენ თავს. მერე დაკლავენ და გემრიელ კერძებს აკეთებენო.

— რატომ შვრებიან ამ საზიზღრობასო? — კვლავ იკითხა მეფემ.

— მოგების გულისათვისო, — უპასუხა იმავე ხმამ, — საქონლის ხორცში ფული უნდა მისცენ, ასე კი კაპიკი არ ეხარჯებათ. მოგებას ისე გაუწუწკებია ეს ვაჭრები, რომ აღარაფრისა აღარ სცხვენიათ და აღარც სიბრალული და ადამიანობა გააჩნიათო.

ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ორმოში შეიარაღებული კაცები ჩამოეშვნენ, წააქციეს ის კაცი, ვინც მეფეს პირველად გამოელაპარაკა და ყელი გამოსჭრეს.

მეფე საგონებელში ჩავარდა, — რა ქნას, როგორ დაიხსნას თავი? უცბად თავისი ხელობა მოაგონდა და მკვლელებს ჰკითხა:

— მეც ასე უნდა დამკლათო?

— შენ რომელიღა წითელი კოჭი ხარო?

— მე ისეთი ხელობა ვიცი, რომ ათჯერ მეტს მოგაგებინებთ, ჩემს სიკვდილს რას გამორჩებით, არ გირჩევნიათ, მაცოცხლოთ და ფულები ხვეტოთო, — უთხრა მეფემ.

— მაინც რისი გაკეთება შეგიძლიაო? — ჰკითხეს მკვლელებმა.

— მე ისეთ სალიჩებს მოვქსოვ, რომ თითო ხუთას თუმნად გაიყიდებაო.

— სალიჩებში ხუთას ოქროს ვინ გაიღებსო?! — დაეჭვდნენ მკვლელები, მაგრამ მეფემ მალე ჩააჩუმა, — საეჭვო არაფერია, მყიდველს თვითონ მე გასწავლით, თქვენ მარტო ნართის ძაფი და საქსოვი მოწყობილობა მომიტანეთ და შედეგს თქვენი თვალით ნახავთო.

— აქ რომ მოგიტანოთ ყველაფერი, მოქსოვო?

— რატომაც არა, ოღონდ სანთელი დამანთებინეთ, თორემ ამ სიბნელეში ფერებს ვერ გავარჩევო.

— კარგი, გენდობით, — უთხრეს ვაჭარ-მკვლელებმა, — ჩამოგვიწერე, რა და რა გჭირდება და მოგიტანთო.

მეფე ჩამოჯდა და ჩამოწერა: ორი ყდა, ორი ლილვი, ორი გარა, ორი ქიჩი, ოთხი სამატ-საკლები სოლი, ორი საშევა-

რი, საქანი გარა, ფხინი, ცხემლი, ბეჭ-წიწუ და შვიდი ფერადი ნართის გორგალი.

— აი ყველაფერი ეს მომიტანეთ და დანარჩენი მე ვიცი, — უთხრა მეფემ და დაწერილი სია მკვლელებს გადასცა.

ფულსდახარბებულმა კაციჭამია მიკიტნებმა ყველაფერი იმ დღესვე მოუტანეს. მეფეც იმავ დღეს შეუდგა საქმეს, შვიდი დღე და ღამე თავაუღებლად იმუშავა, მერვე დღეს ქსელი გაჭრა და ყდიდან ისეთი ხალიჩა ჩამოიღო, რომ ქვეყნად იმისი ბადალი არაფერი მოიძებნებოდა: ფერად ყვავილწნელებსა და ფოთლებს შორის მეფის მთელი თავგადასავალი ეწერა, მაგრამ ასოები ისე იყო შეხამებული და ჩახლართული ერთმანეთში, რომ იმის ამოკითხვას დედოფლის მეტი ვერავინ შესძლებდა.

— ახლა, პირობის თანახმად, ისიც გვითხარი, ვინ იყიდის ამ ხალიჩას და ვინ გაიღებს ხუთას ოქროსო? — ჰკითხეს მიკიტნებმა.

— ამის ფასს უბრალო კაცი ვერ შესწვდება, — უთხრა მეფემ, — მიიტანეთ მეფის სასახლეში და დედოფალი იყიდისო.

წავიდნენ მიკიტნები და მიიტანეს ხალიჩა მეფის სასახლეში.

— რა გნებავთო? — ჰკითხეს სასახლის მცველებმა.

— ასეთი და ასეთი ნივთი გვაქვს გასაყიდი და გვინდა დედოფალს ვაჩვენოთო.

კარისკაცებმა მოასხენეს დედოფალს. დედოფალმა დარბაზში შემოყვანა ბრძანა. შეეიდნენ მიკიტნები და გაშალეს ხალიჩა. დედოფალმა დახედა თუ არა, წამსვე მიხვდა, რომ ხალიჩა მისი ქმრის ნახელავი იყო, მერე საიდუმლო წარწერაც ამოიკითხა: მეფე სწერდა, როგორც ჩავარდა ტყეულ, როგორ გადაარჩინა სიკვდილს ხელობის ცოდნამ და ბოლოს დასძენდა: „ამ ხალიჩაში უსათუოდ მიეცი ხუთასი ოქრო, მერე შენი საწოლი ოთახისათვის დაავალე ასალი ხალიჩის მოტანა, ოღონდ მოსთხოვე, რომ თვითონ ოსტატი მოგიყვანონ და იმან აიღოს ზომა, თორემ ოდნავ მეტ-ნაკლებიც რომ იყოს, არ ავიღებთ-თქო. შეპირდი ათას ოქროს, თან კარისკა-

ცებს დაავალე, რომ ამ ავაზაკებს ჩუმად თვალყური ადევნონ.

დედოფალმა ყველაფერი დაწვრილებით გაიგო, მაგრამ გარეგნულად არაფერი დაიმჩნია, უყოყმანოდ ჩაუთვალა მიკიტნებს ხუთასი ოქრო და უთხრა:

— ერთი ასეთი ძვირფასი სალიჩა ჩემი საწოლი ოთახისთვისაც მინდა, ოღონდ ძალიან ზუსტი ზომისა უნდა იყოს და ამისათვის, მე მგონი, თვითონ ოსტატის მოყვანა დაგჭირდებათ, რომ კარგად გაზომოს სიგრძე-სიგანით. ნუ გეშინიათ, ფასზე არ გალაპარაკებთ და თქვენს ოსტატს თუ ჩემი გუნების სალიჩას მოაქსოვინებთ, ათას ოქროს სულ ბაჯაღლოს ჩაგითვლითო. — ერთი სიტყვით, სწორედ ისე უთხრა, როგორც სალიჩაზე ეწერა.

ათასი ოქროს გაგონებაზე კაციჭამია მიკიტნებმა თვალები გადმოკარკლეს და ყველა პირობაზე სიხარულით დათანხმდნენ. მეორე ღამესვე მოიყვანეს მეფე-ოსტატი და შეიყვანეს სასახლეში. დედოფალს გული დაეწვა მეფის დანახვაზე, მაგრამ სიბრალული არც ამჯერად დაიმჩნია, მეფეს ხელში საზომი მისცა და თავის საძილე ოთახში შეუშვა. მეფეს ოთახში კარისკაცები დახვდნენ და სამეფო ტანსაცმელი დაახვედრეს. მეფემ საჩქაროდ გამოიცვალა ძველმანები, გაიკეთა სამეფო ნიშნები და დარბაზშივე გამოვიდა. მიკიტნებმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნეს.

— თქვენა ხართ სალიჩის ვაჭრებიო? — ჰკითხა მეფემ.

— ჩვენ გახლავართო!

— თქვენ იღებთ დედოფლის ახალ შეკვეთას ათასთუმნიან სალიჩაზეო?

— დიახ, ჩვენ ვიღებთო!

— თვითონ მე ვინა ვარო? — ჰკითხა ბოლოს მეფემ.

— რაღა თქმა უნდა, მეფე ბრძანდებითო, — მიუგეს მიკიტნებმა.

— ჩემს შესახებ სხვა არაფერი იცითო?

— ამაზე მეტი რაღა უნდა ვიცოდეთო!

— აი, თქვე კაციჭამია ავაზაკებო, — დასჭყივლა ახლა კი მოთმინებადაკარგულმა მეფემ, — განა ის სალიჩა მე არ მოვქსოვე, თქვენ რომ ხუთასი ოქრო ჩაიჯიბეთ? მაგრამ

ახლა სამუდამოდ მოეღო ბოლო თქვენს ავაზაკობას, ჩემს ხელში ხართ და ველარსად წამიხვალთო!

ამის შემდეგ მეფემ უბრძანა კარისკაცებს და ყველანი იქვე დაატყვევებინა. მერე ჯარი გაგზავნა დუქანში, დუქანი დაარბევინა და დანარჩენებიც ხელფეხგაკრული მოაყვანინა. მოიწვია სამსჯავრო და ყველასთვის ჩამოხრჩობა მიასჯევინა.

დაშნაშავენი რომ ჩამოასრჩვეს, დედოფალი გადაეხვია მეფეს და უთხრა:

— აბა, ცუდი ვქენი, რომ ხელობა შეგასწავლეო?

— რაც მართალია, მართალია, სული ახლა შენით მიდგასო, — უთხრა მეფემ, — შენ რომ ასეთი ჭკვიანი არა მყავდე, დღეს ჩემი ძელებიც ადარ იქნებოდა. მეფობა მართლაც ვერაფერი ხელობა ყოფილა, მეფობა იქ ველარაფერს მიშველიდა, ხელობამ კი აი, ცოცხალი გადამარჩინაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხელმწიფე და გლეხის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი გლეხი და ჰყავდა ერთი გასათხოვარი ქალიშვილი.

ერთხელ გლეხი ყანას ხნავდა. ათი კვალი სწორად გაატარა, მეთერთმეტეზე მიწაში სახნისი რაღაცას წამოეედო და გუთანს კვალი შეაშლევინა. გლეხმა ხარებს დაუხია, მივიდა იმ ადგილზე, სადაც გუთანი ამოუვარდა, და თვალები გაუბრწყინდა — სნულის შავ ნაღარში ოქროს ფილი დაინახა.

გლეხმა ჩოხის კალთით გააპრიალა ოქროს ფილი, ხარგუთანს იმავე წამს თავი მიანება და სახლისაკენ მოკურცხლა.

ქალიშვილი არ მოელოდა მამის ამ დროს დაბრუნებას და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— ასე ადრე რომ მოხვედი, განა ხვნა უკვე მოათავეო?

— რა დროს ხვნაა, შვილო, — მიუგო მამამ, — დღეს ისეთი ბედი დამეცა, რომ ხვნაც დამავიწყა და ჩემი თავიცო.

— რა ბედი, მამილო, მიწაში საგანძური ხომ არ გიპოვიაო? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— დიახაც მიპოვია! — თქვა გლეხმა და ოქროს ფილი ქალიშვილს თვალებთან მიუტანა, — აბა დახედე, ამას რომელი საგანძური შეედრებაო.

— ეს ხომ ოქროს ფილიაო! — წამოიძახა ხმამაღლა ქალიშვილმა.

— სწორედ, რომ ის არისო! — თქვა გლეხმა და ფილი ხელში თავმომწონედ შეათამაშა.

— მერე და, რა ვუყოთ, რაში მოვიხმაროთო? — ჰკითხა ქალიშვილმა.

— როგორ თუ რა, — უთხრა მამამ, — ჩვენს ხელმწიფეს მივართმევ და ამაში სამ დღიურ მიწას მაინც მომცემსო.

ქალიშვილს არ მოეწონა მამის განზრახვა და ურჩია:

— არა, მამავ, განა არ იცი, ხელმწიფე როგორი ხარბია, იმას რომ ეს ფილი აჩვენო, წყალგაღმა მოგედავება და ოქროს სანაყსაც მოგთხოვსო.

ბევრი ასეთი რამ უთხრა ქალიშვილმა მამას და ურჩია, რომ ოქროს ფილი ხელმწიფესთან არ წაეღო, მაგრამ მამამ არ დაუჯერა, რომ იტყვიან, ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა, — გინდა თუ არა, ასეთი ძვირფასი ნივთი მხოლოდ მეფის საკადრისია და უნდა მივუტანოო.

გლეხმა აიღო ფილი, გამოიხვია ჩოხის კალთაში და გასწია მეფის სასახლისაკენ. კარისკაცებს შესვლის ნებართვა სთხოვა, ხელმწიფეს ქუდმოხდილი წარუდგა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ეს ძვირფასი ნივთი სწორედ თქვენი საკადრისია და საჩუქრად მომირთმევიაო.

— რა არის, რა ნივთიაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ოქროს ფილი გახლავთ, — მიუგო გლეხმა, — ხნულში ვიპოვე და აი, მოგართვითო.

— ოქროს ფილი?! — გაიკვირვა ხელმწიფემ და გლეხს შეეკითხა, — სანაყი რაღა უყავიო?

— მიწაში მარტო ეს ვიპოვეო, — უთხრა გლეხმა.

ხელმწიფემ არ დაუჯერა, — აი, შე ბრიყვო, შენა! — დაუყვირა წყრომით, — სადაც ფილი იყო, იქ უსათუოდ სანაყიც იქნებოდა. ახლავე უკან გაბრუნდი და ისიც მომიტანე, თორემ მაგ მატყუარა ენას ძირში ამოგწვდიო.

შეწუხდა გლეხი, საიდან უნდა მოეტანა ოქროს სანაყი? არადა, ხელმწიფე მუქარას აასრულებდა და ენას მართლა ამოსწვდიდა. ახლა კი გაახსენდა თავისი ქალის რჩევა და სინანულით ჩაილაპარაკა:

— ახია ჩემზე, არ მერჩია, ჩემი ქალისათვის დამეჯერებინაო?!

ხელმწიფემ ყური მოჰკრა გლეხის ნათქვამს და ჰკითხა:

— რა გითხრა ასეთი შენმა ქალმაო?

— რა და, მაგ ფილს ხელმწიფეს ნუ აჩვენებ, თორემ ოქროს სანაყსაც მოგთხოვსო, — უთხრა გლეხმა და დაუმატა, — აჰა, აგე, თქვენც სომ ხედავთ, როგორ ამიხდაო.

— შენმა ქალიშვილმა წინასწარ საიდან იცოდა, რომ სანაყსაც მოგედავებოდიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ეს, — ამოიოხრა გლეხმა, — მე ვარ სულელი, თორემ ვისაც ჭკუა აქვს, იმან წინასწარვე იცის, რა საქმეს რა შედეგიც მოჰყვებაო.

— რაკი შენი ქალი ასეთი ჭკვიანი ყოფილა, წადი და ახლავე აქ გამომიგზავნეო, — უბრძანა ხელმწიფემ.

მეფის ბრძანებამ გლეხი უარესად დააღონა, აქამდე მარტო ოქროს სანაყი ჰქონდა თავსახლელი, ახლა კი ქალიშვილის დარდიც დაემატა. მიდიოდა სახლისაკენ და თან თავის თავს საყვედურობდა:

— რა გინდოდა, შე ოხერო ჩემო თავო, რაზე გადაიკიდე სათაბალა,— ოქროს ფილი დაკარგე, ოქროს სანაყი ვალად დაიდე და ქალიშვილის ცოდვაშიც ჩადექიო.

ქალიშვილმა შინ შესვლისთანავე შეატყო მამას უგუნებობა და ჰკითხა:

— რა იყო, მამილო, რაზე დაღონებულხარო?

— რაღა რა იყო, შვილო, — უთხრა მამამ, — როგორც მითხარი, სწორედ ისე დამემართა, — შენც დაგღუპე და ჩემი თავიცო, — და მეფის ნათქვამი სიტყვასიტყვით უამბო,— ხელმწიფეს მივართვი თუ არა ოქროს ფილი, მაშინვე ოქროს სანაყიც მომთხოვა, — ისიც მომიტანე, თორემ ჩემი მოტყუებისათვის ენას ძირში ამოგწვდიო, თანაც მიბრძანა, შენი ჭკვიანი ქალი დღესვე აქ გამომიგზავნეო. ვინ იცის რა უდევს გუნებაში, ხელმწიფე რომ კარგს არაფერს იფიქრებს, აბა ვინ არ იცისო.

— ნუ გეშინია, მამილო, — ანუგეშა ქალიშვილმა, — ხელმწიფე ალბათ იმიტომ მიბარებს, რომ ჩემი ჭკუის გამოცდა უნდა, წავალ, იქნებ გავიმარჯვო და ორივენი ბედს ვეწიოთო.

ქალმა გადაიცვა თუ რამ გლეხის კვალობაზე რიგიანი ჩასაცმელი გააჩნდა და გასწია ხელმწიფის სასახლისაკენ.

კარისკაცებს შესვლის ნებართვა სთხოვა, ხელმწიფეს თავდასხრით წარუდგა და მოახსენა:

— გეახელით, დიდებულო სელმწიფეე, რას მიბრძანებთო?

— აბა. თუ მართლა ასეთი ჭკვიანი ქალი ხარ, ახლა გაგიჩინდება, — უთხრა სელმწიფემ, — სვალ ისევ მოხვალ ჩემთან, მაგრამ ისე კი, რომ არც შიშველი იყო, არც ჩაცმული, არც ფეხით მოსვიღე და არც სხვა რამით, რასაც ხალხი საბგზავროდ ხმარობს. შეასრულებ ამ დავალებას, სომ კარგი — მამაშენს ოქროს ფილს უკანვე დავუბრუნებ და შენ ცოლად შეგირთავ, ვერ შეასრულებ და, ენას მოგაჭრიო.

— კარგიო, — უთხრა ქალიშვილმა და წავიდა.

მეორე დღეს დაიხადა ტანსაცმელი: დედიშობილა ჩაჯდა ბაღეში, ბადე ვირს გაბოლაბა უკან და ასე თრევით მივიდა ხელმწიფესთან.

სელმწიფეს ძალიან მოეწონა გლეხი ქალის ასეთი მოსვრა და, როგორც შეპირებული იყო, იმავე დღეს ცოლად შეირთო, სოლო ოქროს ფილი მამას დაუბრუნა.

დაიწყეს ამ დღიდან სელმწიფემ და გლეხის ქალიშვილმა ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება. სელმწიფე ხშირად ეთათბირებოდა სახელმწიფო საქმეებზე თავის ჭკვიან ცოლს და მისი რჩევა ყოველთვის კარგადაც უჯდებოდა.

ერთ წელიწადს მწყემსებმა ქალაქზე მთისკენ მიმავალი ცხვარ-ძროხის ფარები ამოატარეს. ქალაქს რომ გასცდნენ, ბინდმაც მოუსწრო. მწყემსებმა ღამის გასათევი ადგილი შეარჩიეს, ჯორ-ცხენებს ბარგი მოხადეს, ცხვარ-ძროხა ერთად დააქუჩეს და კოცონის გვერდით ვახშამს შემოუსხდნენ. კარგად რომ დანაყრდნენ და ლაპარაკითაც გული იჯერეს, დაწვნენ და დაიძინეს.

იმ ღამეს ერთი მეცხვარის ჭაკმა ცხენმა კვიცი მოიგო, ცხენის პატრონს ეძინა. მეორე მწყემსმა ამით ისარგებლა და ახალშობილი კვიცი თავის ხარს გამოაბა ფეხზე.

გათენდა მეორე დილა. მწყემსებმა გაიღვიძეს და თავ-თავიანთი საქონელი მოათვალიერეს. ცხენის პატრონმა ნახა, რომ იმის ცხენს კვიცი მოუგია, მივიდა ხარის პატრონთან და უთხრა:

— ძმობილო, ეს კვიცი წუსელ ჩემს ცხენს მოუგია და შენს ხართან საიდან გაჩნდაო?

— სომ არ გადაირიე, — გაწყრა ხარის პატრონი, — ეს კვიცი შენმა ცხენმა კი არა, ჩემმა ხარმა მოიგო, წუსელ მთელი ღამე თავზე ვედექი და დედას რომ არ მოშორებოდა, ფესზე მივაბიო.

მწყემსებმა ბევრი იდავეს — არა ჩემია, არა ჩემიაო, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ. ბოლოს ადგნენ და საჩივლელად ხელმწიფესთან წავიდნენ.

ხელმწიფე ამჯერად აღარ დაეკითხა თავის ჭკვიან ცოლს, საჩივარი მარტომ განსაჯა და მწყემსებს ასეთი განაჩენი გამოუტანა: რაკი კვიცი დილას ხართან აღმოჩნდა, მაშასადამე, ხარს მოუგია და რგებითაც ხარის პატრონს უნდა ერგოსო.

ცხენის პატრონს გულზე ბოღმა შემოაწვა, ხან გაყვითლდა, ხან გალურჯდა, მაგრამ რა ექნა, — ხელმწიფეს სიტყვას ხომ ვერ შეუბრუნებდა. გაბოროტებული გამობრუნდა უკან, სიმწრისაგან სულ ტუჩებს იკვნეტდა და თვალები ცრემლით ევსებოდა.

სასახლიდან გამოსულ მწყემსს კარებში ხელმწიფის ცოლი შემოხვდა და, დაღონება რომ შეატყო, ჰკითხა:

— რა იყო, ასე მწარედ რამ დაგაღონაო?

მწყემსმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ნუ გეშინია, სიმართლე არსად დაიკარგებაო, — უთხრა ხელმწიფის ცოლმა, — ოღონდ, როგორც დაგარიგო, ისე მოიქეცი: წადი, სადმე ერთი ბადე იშოვე, მოიტანე და ხელმწიფის აივნის წინ, ეზოში მალმალე გადაისროლე, ვითომ მეთევზე ხარ და თევზებს იჭერ. ხელმწიფე რომ დაგინახავს, უსათუოდ შეგეკითხება, — კაცო, რას შვრები, უწყლო, მყარ მიწაზე თევზის დაჭერა როგორ შეიძლებაო? — შენ უპასუხე: დიდებულო ხელმწიფევ, თუკი ის შეიძლება, რომ ხარმა კვიცი მოიგოს, მიწაზე თევზის დაჭერა რატომ აღარ უნდა შეიძლებოდესო? ხელმწიფე მიხვდება თავის შეცდომას და კვიცს შენ დაგიბრუნებსო.

მწყემსი ისე მოიქცა, როგორც ხელმწიფის ცოლმა დაარიგა: იმავე დღეს სადღაც ერთი ძველი ბადე იშოვა, შევი-

და მეფის ეზოში და მოჰყვა ბადის სროლას — გადაისვრის, აჰკეცავს, გადაისერის, აჰკეცავს. ხელმწიფე აივანზე გამოვიდა და მწყემსი რომ ამ ყოფაში დაინახა, გაკვირვებულმა ჰკითხა:

— კაცო, რას შერები, ცარიელ მიწაზე თევზის დაჭერა ვის გაუგონიაო?

— რატომ გიკვირთ, დიდებულო ხელმწიფევ, — მიუგო მწყემსმა, — თუ მშრალ მიწაზე თევზის დაჭერა არავის გაუგონია, ის კი გაუგონია ვისმეს, რომ ხარმა კვიცი მოიგოსო?

ხელმწიფეს, რა თქმა უნდა, მაშინვე გაახსენდა თავისი უსამართლო განაჩენი და თავის შეცდომასაც მიხვდა, მაგრამ ხელმწიფე იხტიბარს ხომ არ გაიტეხდა და მწყემსს გაჯავრებით შეუტია:

— აი, შე ბრიყვო, შენა, არ იცი, რომ ხელმწიფის სიტყვა იგივე ღვთის ბრძანებაა, როცა ის იტყვის, რომ შეიძლება ხარმა კვიცი მოიგოსო, მაშასადამე, შეიძლებაო!

რაღა უნდა ექნა საწყალ მეცხვარეს, ადგა და უსიტყვოდ გასცილდა. მაგრამ მწყემსის ნათქვამმა ხელმწიფე მაინც ჩააფიქრა.

— ეს მეცხვარე უთუოდ ჩემი ცოლის დარიგებულია, — თქვა გულში, — თუ დროზე არ მოვიშორე ცოლი თავიდან, ასეთი საქციელით ხალხში სახელს გამიტეხს და ძალა და გავლენა დამეკარგებაო.

ხელმწიფემ ბევრგვარად იფიქრა და თავის ცოლს ბევრიც უდარაჯა, მაგრამ მიზეზი ვერაფერი მოუნახა. ბოლოს ძალად გაჭირვეულდა და ცოლს ტყუილუბრალოდ წაეჩხუბა.

— ამიერიდან შენთან ცხოვრება აღარ შემიძლია, — განუცხადა გადაჭრით, — წადი, გამშორდი და ნებას გაძლევ, ჩემს სახლში რაც უფრო მოგწონს და თვალ-გულს მოგდის, აირჩიე და ისიც თან წაიღეო.

— კარგიო,—დათანხმდა ცოლი,—თუკი აღარ გინდივარ, ძალას არც მე დაგატან, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს და ის შემისრულე: დღემდე ტკბილად გვიცხოვრია, გაყრითაც ტკბილად გავიყარნეთ, ერთხელ კიდევ უკანასკნელად ვჭა-

მოთ პური ერთად და ერთმანეთს მშვიდობით ყოფნა ვუსურვოთო.

ამაზე ხელმწიფეს აღარაფერი ეთქმოდა.

ქალმა მოამზადა საჭმელი და სუფრა გაშალა. ქმარს ღვინოში ბანგი გაურია, თვითონ სალი ღვინო დაიდგა და დაიწყეს პურის ჭამა. ჯერ შუა ჭამაშიც არ იყვნენ შესული, რომ ხელმწიფეს თვლემა მოერია, თავი სუფრაზე ჩამოდო და ხვრინვა ამოუშვა. ქალმა მსასურს ცხენი მოაყვანინა, შესვა ზედ მძინარე ქმარი, წაიყვანა თავის მამის სახლში და დააწვინა.

დილას ხელმწიფეს გაეღვიძა, მისედ-მოსედა კედლებს, ჭერს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— სადა ვარ? აქაურობა რაღაც ჩემს სახლს არა ჰგავსო.

— დიდებულო ხელმწიფევ, შენ ახლა მამაჩემის სახლში ხარ, — უპასუხა ცოლმა, — წუხელ აქ გეძინა და აქვე გაიღვიძეო.

მეფე უფრო გაოცდა და, — აქ რა მინდა, ან ვინ მომიყვანაო? — იკითხა.

— როგორ თუ რა, — უთხრა ცოლმა, — გუშინ ჩვენ რომ გავიყარეთ, განა თვითონვე არ მითხარი, აირჩიე რაც უფრო მოგწონს ჩემს სახლში და თან წაიღეო. მე კი შენს სასახლეში შენს მეტი არავინ მომწონდა და აი წამოგიყვანეო.

ხელმწიფე ახლა უფრო დიდად გააკვირვა გლეხის ქალის ასეთმა ჭკუა-მოხერხებამ და შერიგება სთხოვა.

ქალი დათანხმდა, იმავ საღამოს შესხდნენ ცხენებზე და დაბრუნდნენ სასახლეში. კვლავ დაიწყეს ტკბილად ცხოვრება და დღესაც ბშვიდად და აუმღვრეველად ცხოვრობენ.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

კ ო მ ბ ლ ე

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ღობეს ჩიტი მომკვდარიყო,
ჭერში შავდე, გამსმარიყო,
ჩამოვიღე — დამბალიყო.
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღე იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, ერთ სოფელში ერთი ალალ-მართალი და გამრჯე კაცი ცხოვრობდა. ერთი ძროხა ჰყავდა და საბალასოდ უშვებდა. ძროხას იმ არემარეში ყველა ნადირი იცნობდა და პატრონის შიშით ახლოს არც ერთი არ ეკარებოდა. კაცი არხეინად იჯდა შინ, თლიდა კომბლებს და ჭერში აწყობდა. ამიტომ სალხიც სახელად კომბლეს ეძახოდა.

ერთ წელიწადს ძროხა ბერწად დარჩა. კომბლემ იფიქრა, ამ ბერწ ძროხას რა უნდა გამოვრჩე, მოდი, გავყიდი და სამაგიეროდ ცხვრებს ვიყიდი, სხვა თუ არაფერი, გაზაფხულზე მატყლს მაინც გავპარსავო.

წაიყვანა ძროხა ბაზრობაზე და აატარ-ჩაატარა. ბერწი ძროხა, რა თქმა უნდა, მსუქანიც იქნებოდა და ყასბებს დანახვისთანავე თვალები ზედ დარჩათ, მაგრამ ფასის მიცემა დაენანათ და ერთმანეთში მოილაპარაკეს, მოდი ამ ტეტიას შარი მოედოთ და თხის ფასად გავაყიდინოთო.

მივიდა ერთი ყასაბი კომბლესთან და ჰკითხა:

— ძმობილო, რა ღირს შენი თხაო?

კომბლე გაბრაზდა:

— შე ოხერო, თხას სადა ხედავ, ძროხაოო.

ყასაბმა უთხრა, თხა არისო. ძალს კომბლე, ძალს ყასაბი. ბოლოს ყასაბმა უთხრა, რაკი ჩემი არა გჯერა, აი ხალხს დავუძახოთ და ვკითხოთო. დაუძახა ყასაბმა თავის მეგობარ ყასბებს და ჰკითხა:

— ხალხნო, სამართალი გვიყავით, გაგვაგებინეთ, ეს თხა არის, თუ ძროხაო?

— რა თქმა უნდა, თხა არის, ჩვენ აქ ძროხას ვერსად ვხედავთო, — მიუგეს ყასბებმა.

მიუბრუნდა ყასაბი კომბლეს და უთხრა:

— აი, ძმობილო, ხომ გესმის, ეს პატიოსანი ხალხი რას ამბობს, მე თუ არა, ამათ მაინც დაუჯერეო.

გადაირია კომბლე, მაგრამ იმდენ ხალხთან რას გახდებოდა. ადგა და მიჰყიდა ძროხა თხის ფასად. გამოართვა ყასაბს ფული და უთხრა:

— რაკი ეს ჩემი ძროხა თხა ყოფილა, მაშინ სამართალი ქენით და, ანდაზისა არ იყოს, თხის პატრონს თხის კუდი მაინც მარგუნეთო.

— ჯანდაბას, წაიღოს კუდიო, — თქვა ყასაბმა, დაკლა ძროხა, მოსჭრა კუდი ძირში და გადაუგდო, — მშვიდობაში მოგახმაროსო.

წამოვიდა შინ კომბლე დაღონებული, დაჯდა კერასთან და დაუწყო კომბლებს თლა. თან გულში ყასბის ჯავრი ჰქონდა და სულ იმის ფიქრში იყო, სამაგიერო როგორ გადაეხადა.

ერთ დღეს კომბლემ გაიგო, ყასაბი ძლიერ ავად გამხდარაო, მაშინვე ჩაიცვა ექიმის ტანისამოსი, გაიკეთა წვერი, რომ არ ეცნოთ, ამოიფარა ჩოხის ქვეშ თავისი ძროხის კუდი და ერთი კარგი შვინდის კომბალი და წავიდა. მივიდა ყასბის სახლში და მის მოსამსახურეებს უთხრა:

— თქვენს ბატონს მე მოვარჩენ, ოღონდ ჩემი წამალი ძალიან ძლიერია, რომ დავალევინებ, ოფლს მოადენს და ყვირილს დააწყებინებს, — მიშველეთ, ფომკლაო! — მაგრამ

თქვენ არ შემოსვიდეთ და კარები არ გააღოთ, თორემ ოფლიანზე ნიავი დაჰკრავს და უარესად გახდება, ან შეიძლება ვეღარც კი გადარჩესო.

შეუშვეს მოსამსახურეებმა კომბლე ყასაბთან და კარები გარედან გადაკეტეს. მივიდა კომბლე ყასაბთან, მაჯა გაუსინჯა და უთხრა, აბა, გაისადეო.

ყასაბმა, რა თქმა უნდა, კომბლე ვერ იცნო, მართლა ექიმი ეგონა და მაშინვე გატიტვლდა. კომბლემ გამოიღო უბიდან ძროხის კუდი, დაანახვა ყასაბს და ჰკითხა:

— ეს რისი კუდიაო?

— რა თქმა უნდა, ძროხისაო, — მიუგო ყასაბმა.

— ახლა გახდა ძროხისა, შე სულძაღლისშვილო, აბა მაშინ რად წამართვი თხის ფასადო? — უთხრა კომბლემ, გამოიღო შვინდის გატუსული კომბალიც და მისცხო და მისცხო გვერდებში.

ყასაბმა ღრიალი გაბა: — მიშველეთ, მომკლაო! — მაგრამ ვინ მიეშველებოდა? ბოლოს რომ ვეღარ გაუძლო კომბლეს კომბალს, შეეხვეწა, ოღონდ ნუ მომკლავ და იმ ძროხის ფულს ორმაგად გადაგიხდიო.

ამოიღო ოქროს ფულებით სავსე ქისა და მისცა. კომბლემ მხოლოდ თავისი ძროხის საფასური აიღო, დანარჩენი უკანვე მიუგდო და წამოვიდა. იყიდა ოთხი ცხვარი და მიერეკა შინ.

მეორე დილით გაუშვა ცხვრები საძოვარზე და თან დაარიგა:

— თუ მგელი, ან სხვა რომელიმე მტაცებელი შეგხვდათ, უთხარით, კომბლესები ვართ-თქო და ჩემი შიშით ახლოს ვერც ერთი ვერ გაგეკარებათო.

ცხვრები გამოუცდელები იყვნენ, შეჰყვნენ საძოვარს და სრულიად უცსო ადგილზე გავიდნენ. იქ კომბლეს არავინ იცნობდა. შემოსვდათ მელია და ჰკითხა:

— ცხვრებო, ვისი ხართო?

— კომბლესიო, — მიუგეს ცხვრებმა.

— კომბლე რა კაციაო?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

— ოო, ეგ თქვენი კომბლე რაღაც ძალიან საშიში კ�ცი ჩანსო, — თქვა მელიამ და უკანმოუსედავად მოკურცხლა.

იარეს ცხვრებმა, იარეს და ახლა მგელი შემოხვდათ.

— ცხვრებო, ვისი ხართო? — ჰკითხა მგელმა.

— ვისი და კომბლესიო.

— ეგ კომბლე რა კაციაო?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

შეშინდა მგელიც, — რაღაც ძალიან საშიში ჩანსო, — თქვა და იმანაც უკან მოუსედავად მოკურცხლა.

იარეს კიდევ ცხვრებმა, იარეს და ახლა დათვი შემოხვდათ.

— ცხვრებო, ვისი ხართო? — ჰკითხა დათვმა.

— ვისი და კომბლესიო.

— კომბლე რა კაციაო?

— კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის, ჭერში აწყობს, ვინც ჩვენ შეგვჭამს, თავში ჩასცხობსო.

— მე თქვენი კომბლე არ ვიცი, მშიერი ვარო, — უთხრა დათვმა და ოთხივე ცხვარი ცოცხლად გადაყლაპა.

საღამო სანზე უცადა კომბლემ თავის ცხვრებს, უცადა და რომ აღარ დაბრუნდნენ, ჩამოიღო ერთი ყველაზე დიდი კომბალი, გაიდო მხარზე და წავიდა საძებნელად.

იარა კომბლემ, იარა და შემოხვდა მელია.

— მელიავ, ჩემი ცხვრები ხომ არსად გინახავსო? — ჰკითხა კომბლემ.

— არა, რჯულის მადლმაო, — მიუგო მელიამ.

— აბა კბილები დაკრიჭე და ენა გამოყავიო.

დაკრიჭა მელიამ კბილები და ენა გამოყო, მაგრამ არც კბილებსა და არც ენაზე სისხლის ნატამალი არ უჩანდა.

დაანება კომბლემ მელიას თავი და წავიდა. იარა, იარა და ახლა მგელი შემოხვდა.

— ჩემი ცხვრები ხომ არ გინახავსო?—ჰკითხა კომბლემ.

— არა, რჯულის მადლმაო, — მიუგო მგელმა.

— აბა კბილები დაკრიჭე და ენა გამოყავიო.

დაკრიჭა მგელმა კბილები და ენაც გამოყო, მაგრამ ენაზე სისხლი არ ეცხო და კბილებში ჩიჩია არ უჩანდა.

კომბლემ მგელსაც თავი დაანება და წავიდა. იარა, იარა და ბოლოს დათვი შემოსვდა.

— ჩემი ცხვრები ხომ არ გინახავსო? — ჰკითხა კომბლემ.

— არა, რჯულის მადლმაო, — მიუგო დათვმა.

— აბა, კბილები დაკრიჭე და ენა გამოყავიო.

დაკრიჭა დათვმა კბილები და ენაც გამოყო. ენა სისხლიანი ჰქონდა და კბილებში ჩიჩია უჩანდა.

— აი, შე ღორმუცელა, ქოფაკოო! — დასჭყივლა კომბლემ და მისცხო და მისცხო გვერდებში კომბალი. წამოაყრევინა თავისი ცხვრები და იმდენი სცემა, სანამ სულ არ მიამკვდარა. ნეკნებჩალეწილი დათვი ადგილზე დატოვა, გამოირეკა ცხვრები და შინისაკენ გამოსწია.

ეს ამბავი მთელმა სამხეცეთმა გაიგო და კომბლეს ცხვრებს შიშით ყველა განზე უვლიდა. ცხვრები თავისუფლად დაბალახობდნენ და მრავლდებოდნენ. ბოლოს ისე გამრავლდნენ, რომ მთა-ბარი სულ თეთრად გადაპენტეს.

ერთხელ იმ მხარეში ქრისტე-ღმერთმა ჩამოიარა, ნახა ეს ამდენი ცხვარი და თქვა, — მოდი, ერთი, ამ ცხვრის პატრონს ვეწვევი და ვნახავ, რა კაცია, აბა თუ ამ სიმდიდრის შესაფერი გულუხვობაცა აქვსო. გადაიქცა მათხოვარა ბერიკაცად, მიადგა კომბლეს და სთხოვა:

— უსახლკარო კაცი ვარ და ერთ ღამეს შემიფარეო.

კომბლე ხელგაშლილი შეეგება, მობრძანდით, სტუმარი ღვთისააო — დაუკლა ცხვარი, კარგა გაუმასპინძლდა და ბუმბულის ლოგინში დააძინა.

მეორე დილას ადგა ქრისტე-ღმერთი და უთხრა:

— რაკი ასეთი კეთილი კაცი ყოფილხარ და ცხვრები და კომბლებიც ასე ძლიერ გყვარებია, მე შენ ერთ ისეთ კომბალს გაჩუქებ, რომ რასაც ეტყვი, ყველაფერს აგისრულებსო, ცხოვრების ნახვა თუ მოგინდება, ეტყვი:

კომბალ-კომბალ, შენსა მზესა,
შენი გამომცემლის მზესა,
წადი, ცხვრები მომირეკე,
ბატკანიც არ დაგაკლდესა.

წავა და იმავ წამს უკლებლივ მოგირეკავსო. სოლო თუ ვინმე გაგაჯავრებს, მაშინ უთხარი:

კომბალ კომბალ, შენსა მზესა,
შენი გამომცემლის მზესა,
წადი, ჯავრი ამომყარე,
ნუ შეარჩენ თმას და წვერსა.

და ისეთ დღეს დააყრის, რომ თავ-ბედს იწყევლიდესო.

გამოიღო იღლიიდან კომბალი და მისცა. ამ დღიდან კომბლე ცხვრების დასახედად ერთხელაც აღარ წასულა, როცა თავისი ფარების ნახვა და დათვალიერება მოუნდებოდა, აიღებდა კომბალს და ეტყოდა:

— კომბალ, კომბალ, შენსა მზესა,
შენი გამომცემლის მზესა,
წადი, ცხვრები მომირეკე,
ბატკანიც არ დაგაკლდესა.

წავიდოდა კომბალი, დაუვლიდა სათავეს და ყველა ფარას უკლებლივ მიურეკავდა, კომბლე გადახედავდა, დაითვლიდა ნამატს და ისევ საძოვარზე გაუშვებდა.

ცხვარი კი მრავლდებოდა და მრავლდებოდა.

იმ ქვეყნის ხელმწიფე მეტისმეტად გულხარბი და შეუბრალებელი იყო. ვისაც კი ცოტა ქონებას დააგულებდა, შეუსევდა თავის ნაზირ-ვეზირებს და წაართმევდა. ხალხი შიშით საქმეს ვეღარ აკეთებდა და არც ქონება-ცხოვრებას იძენდა.

გაიგო ხელმწიფემ, ჩემს სამფლობელოში ერთ კაცს უთვალავი ცხვარი ჰყოლიაო და მაშინვე ნაზირ-ვეზირები გაგზავნა, სულერთიანად წაართვით და მომირეკეთო.

წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, გამოირეკეს მთელი ცხვარი და მოურეკეს ხელმწიფეს. გაიგო კომბლემ, ჩემი ცხვარი ჩვენს ხელმწიფეს გაურეკინებიაო, აიღო ქრისტე-ღმერთის ნაჩუქარი კომბალი და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან,

დაუკრა თავი, როგორც ხელმწიფეს ეკადრებოდა, და სთხოვა, ჩემი ცხვრები დამიბრუნეთ.

განრისხდა ხელმწიფე, შენც ჩემი ხარ და შენი ცხვრებიც, როგორ მიბედავ ასეთ თხოვნასო, და ვეზირებს უბრძანა:

— ახლავე გაატიტელეთ, ასი არგანი ჰკარით და დილეგში ჩააგდეთო! — ვინ ვისა ჰკრავს ას არგანს, ახლავე დაგანასვებო, — თქვა გულში კომბლემ და თავის გრძნეული კომბალს უთხრა:

— კომბალ, კომბალ, შენსა მზესა,
შენი გამომცემლის მზესა.
ხელმწიფეს და მის ვეზირებს
ნუ გაუშვებ ნურცერთს მთელსა!

დატრიალდა კომბალი და ერთი წუთის განმავლობაში ბოროტი ხელმწიფე და მისი ნაზირ-ვეზირები მკვდრები დაყარა.

ხალხმა გაიგო ხარბი ხელმწიფის სიკვდილი და სიხარულით ცას ეწია, მთელი ქალაქი სასახლის ეზოში შეიკრიბა, ხელმწიფისა და მისი ვეზირების გვამები გადაყარეს და ხელმწიფედ კომბლე დააყენეს.

კომბლე დღესაც ტახტზე ზის, ისევ თლის კომბლებს და ჭერში აწყობს, მტყუანს, ხარბსა და გულბოროტს დღესაც თავში უჩაჩქუნებს, ხოლო ალალ-მართალსა და გულკეთილს ყველანაირად სწყალობს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე

იყო და არა იყო რა, რაც არ იყო, რა იქნებოდა, — იყო ერთი ძალიან მდიდარი კაცი. ერთხელ ეს მდიდარი კაცი აივანზე იჯდა და სამსარს შეექცეოდა. წინ გულუხვი სუფრა ედგა, თავზე მსახურები დასტრიალებდნენ და ეკითხებოდნენ:

— ახლა რომელი კერძი მოგართვათ, რა უფრო გესიამოვნებაო?

ამ დროს ერთმა ღარიბმა კაცმა ჩამოიარა და ამ მდიდარი კაცის განცხრომა რომ დაინახა, შურით კინაღამ გაიგუდა, გაბოროტებულმა ცას შეხედა და ხმამაღლა შესძახა:

— შე დალოცვილო ღმერთო, ან ამ კაცმა რა სამსახური გაგიწია ისეთი, რომ ასეთს განცხრომაში გყავს — გუნებას ეკითხება, რით გასიამოვნოო, და ან მე რა დაგიშავე ისეთი რომ ლუკმაპურიც სანატრელი გამიხდაო?

მდიდარმა კაცმა გაიგონა გზად მიმავალი კაცის ნათქვამი და აივნიდან გადმოსძახა:

— თუ დრო გაქვს და ძალიან არ გეჩქარება, ცოტახანს ჩემთან ამოდიო!

ღარიბ კაცს აბა სად უნდა ეჩქარებოდეს და ავიდა. მდიდარმა მოისვა გვერდით, კარგად აჭამა, გააძღო და მერე უთხრა:

— შენ ჩემი სიმდიდრე გშურს და ჩემს ყოფას დანატრი, მაგრამ ჩემი თავგადასავალი რომ იცოდე, როგორ და რა გზით შემიძენია ეს სიმდიდრე, მაშინ აღარ შეგშურდება და აღარც ჩემს დღეში ყოფნას ინატრებო.

— მიამბეო, — უთხრა ღარიბმა.

მდიდარმა კაცმა დაიწყო:

— ერთ დროს მეც შენსავით ღარიბი კაცი ვიყავი, პატიოსნად ვშრომობდი და დღიურ ლუკმაზე გამოვდიოდი. შრომით ცოტაოდენი დანაზოგი დავაგროვე. ერთ დღეს ეშმაკი შემიჩნდა და უცხო ქვეყანაში მიმავალ ვაჭართა ქარავანს გავყევი — იქნებ რამე შევიძინო და ფულს ფული მოვაგებინო-მეთქი.

ჩავსხედით გემში და წავედით. შუა ზღვას რომ მივაღწიეთ, უცბად ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა და ჩვენი გემი ნაფოტებად აქცია. ვინც შიგ ვიყავით, ყველანი ზღვაში ჩავცვივდით. ყველანი დაიხრჩვნენ. მე ბედად ერთი ფიცარი შემრჩა ხელში, იმას ჩავეჭიდე და ზედ ტკიპასავით დავეკარი. ქარიშხალი სან ერთ ტალღაზე გამტყორცნიდა, სან მეორეზე. იღბალმა აქაც დამინდო. ბოლოს ღელვა ჩადგა და ტალღამ სმელეთზე გამრიყა, მაგრამ ისეთ უდაბურ ადგილზე მოვხვდი, რომ ასეთ გადარჩენას ისევ სიკვდილი ვერჩია: უკან ფრიალო კლდე იყო, წინ კი ისევ გაშლილი, უნაპირო ზღვა. სად უნდა წავსულიყავი? დავრჩი იქ მშიერ-მწყურვალი. კლდის ძირას ქვა-ღორღის მაგიერ სულ ოქროს ფულისა და თვალ-მარგალიტის გროვები ეყარა და შიმშილს მისი ცქერით ვიქარვებდი.

ერთ დღესაც ვზივარ კლდის ძირას ღალონებული, გავცქერი უკაცრიელ ზღვას და განენის დღეს ვიწყევლი. უცბად რაღაც ხრიალი მომესმა და ჩემ წინ, ოქროებზე ტყავგასდილი და გამოშიგნული ხარი დაეცა. იმავე წამს ერთი უშველებელი ფასკუნჯი შოფრინდა, ისეთი დიდი იყო, რომ მისი ფრთების ჩრდილი ნახევარ ზღვას ფარავდა, ჩასჭიდა კლანჭები ხარს და ჰაერში აიტაცა.

მერე გავიგე: თურმე კლდის თავზე ხალხი ცხოვრობდა. მათი ერთადერთი სარჩო თურმე ეს ოქრო და მარგალიტი იყო, მაგრამ მაღლა სხვანაირად ვერ აჰქონდათ: დაკლავდნენ ხარს, გაატყავებდნენ, გამოშიგნავდნენ და კლდეზე გაღმოაგდებდნენ. თბილი და სველი ხორცი აიკრავდა თვალ-მარგალიტს, მერე მოფრინდებოდა ის უზარმაზარი ფასკუნჯი და აიტაცებდა, რომ ბუდეში მიეტანა, მაგრამ როცა კლდეს თავზე გადაუფრენდა, ხალხი ყიჟინას დასცემდა — დაუწყებ-

დნენ ფასკუნჯს თოფის სროლას, გააგდებინებდნენ ხარს და ხორცზე აკრულ ოქროებს ერთმანეთში გაიყოფდნენ.

მეორედ რომ გადმოაგდეს ხარი, მაშინვე მოვხვეტე ბრილიანტები და უბე-ჯიბეები სულ გამოვიტენე. რასაც კი მოვერეოდი, ხარის მუცელში შევყარე და თვითონაც შიგ შევძვერი. აღარც ფასკუნჯმა დააყოვნა, მოფრინდა გრიალით, დაავლო კლანჭები ხარს და აიტაცა. კლდის თავზე ჩვეულებრივ დაუხვდა ხალხი და ატეხეს თოფების სროლა, ფასკუნჯმა ხარს კლანჭი გაუშვა და ძირს დავენარცხე. გამოქანდა ხალხი ჟრიამულით.-ვიფიქრე ახლა კი ცოცხალი ვეღარ გადავრჩები-მეთქი, გამოვძვერი ხარის მუცლიდან და შეშინებულმა სმამაღლა დავიყვირე. ხალხს ზღვის კაცი ვეგონე, შეშინდა და აქეთ-იქით მიმოიფანტა. მოვკრიფე რაც ოქროვერცხლი ჰქონდა ხორცს აკრული, მუცლიდანაც გამოვიღე და თავქუდმოგლეჯილმა მოვკურცხლე.

მივრბივარ, მაგრამ სად მივრბივარ, არ ვიცი, არც გზა ჩანს, არც ბილიკი. ასე ვირბინე რამდენსამე ხანს და ბოლოს ერთ სოფელს მივადექი. ოქრო და თვალ-მარგალიტი სოფლის პირას ხრამში დავმალე, ჯიბეზე მხოლოდ ერთი ქისა დავიტოვე და ღამის გასათევად ერთ დედაბერთან მივედი. დედაბერმა ჯერ უარი მითხრა, მაგრამ ოქროთი სავსე ქისა რომ დავანახვე, დამთანხმდა და შინ შემიშვა.

თურმე ეს სოფელი ყაჩაღების ბუდე ყოფილიყო და ასეთი წესი ჰქონოდათ: თუ ვინმე ფულიანი უცხოელი ჩაუვარდებოდათ ხელში, ფულებს წაართმევდნენ და თვითონ ხაროში ჩააგდებდნენ, რომ შიმშილ-წყურვილით სული ამოხდომოდა. მეც სწორედ ასე მიყვეს, დედაბერმა ფულები რომ დაიგულა, მაშინვე ხალხს შეატყობინა და მთელი სოფელი თავზე დამცა. წამართვეს ოქროებით სავსე ქისა და ერთ ბნელ ხაროში ჩამაგდეს.

ხარო სულ ჩემნაირად დახოცილი ხალხის ჩონჩხებით იყო სავსე. დავჯექი და დავიწყე ტირილი, — რად მინდოდა სიმდიდრე და თვალ-მარგალიტი, ის რომ არ მქონოდა, ხომ ამ დღეში არ ჩავვარდებოდი-მეთქი.

უცბად ერთი აზრი დამებადა: — ესენი თუ ყაჩაღებია, მე ხომ ვაჭარი ვარ და თუ ამათ ვერ ვაჯობე, რაღა კაცი ვიქნები-მეთქი, — და გუშაგს დავუძახე.

— მე უთვალავი თვალ-მარგალიტი მომქონდა, — ვუთხარი გუშაგს, — ყველაფერი იმ დედაბერს მივაბარე შესანახად და ჯიბეზე მხოლოდ ის ერთი ქისაღა დავიტოვე. რაკი ვკვდები, არ მინდა, რომ ის სიმდიდრე იმ მოღალატე დედაბერს დარჩეს, გამოართვი და ისევ თქვენ მოიხმარეთო.

მაშინვე დაიბარეს დედაბერი და თვალ-მარგალიტი მოსი ხოვეს. დედაბერმა, რა თქმა უნდა, უარი თქვა, მაშინ მოჰკიდეს ხელი, ერთი ფარსაგად გაროზგეს და ისიც ჩემთან შემოაგდეს.

— გაები, წუნკალო, — ვუთხარი დედაბერს, — არ იცი, სხვას რომ მახეს დაუგებ, იმ მახეში უწინ თვითონ გაებმებიმეთქი?

დედაბერმა ტირილი დაიწყო და შემეხვეწა:

— ოღონდ აქედან დამიხსენი და სამუდამოდ შენი მონამორჩილი ვიქნებიო. წამიყვანე და როგორც გინდა, ისე მიმსახურეო.

მაშინ დედაბერს ვუთხარი:

— მე მართლა მაქვს უთვალავი თვალ-მარგალიტი, უთხარი შენ ხალხს, აქედან გამიშვან, მოვიტან ჩემს სიმდიდრეს და გამოგისყიდი.

დედაბერი ჯერ არ მენდო, — მომატყუებო, მაგრამ მე ცა და ქვეყანა დავუფიცე, — ვაჭარს ტყუილი ფიცი არ გაუჭირდება, და დედაბერმაც დამიჯერა. დაუძახა გუშაგს და უფროსთან წაყვანა სთხოვა. იქ რა ილაპარაკეს იმ დედაბერმა და ყაჩაღების უფროსმა, არ ვიცი, მაგრამ მივხვდი, რომ დედაბერი თავდებად დამიდგა, რადგან იმავ დღეს გამომიშვეს და თვალ-მარგალიტის მიტანა მიბრძანეს.

რაკი თავი სამშვიდობოს დავიგულე, იქით რაღა მიმახედებდა, მანამ არაფერი ჭამოთ, სანამ მე ოქროები და თვალ-მარგალიტი არ მოგიტანოთ-მეთქი, — ვთქვი გულში და დაღამდა თუ არა, მაშინვე ჩემს სამალავ სრამს მივაშურე. ამოვიღე, რაც თვალ-მარგალიტი მქონდა გადამალული და ისე მოვკურცხლე, რომ კურდღელიც ველარ დამეწეოდა. დედაბერს კაი დღე რომ არ დაადგებოდა, ვიცოდი, მაგრამ რაში მენაღვლებოდა!

სამი დღე და ღამე გაუჩერებლივ ვირბინე და ბოლოს

ერთ სოფელში შევედი. სალსში გამოჩენა აღარ მინდოღა, მეშინოდა, — კიდევ არაფერ ხიფათს გადავეყარო-მეთქი, მაგრამ შიმშილმა შემაწუხა და მასპინძლის ძებნა დავიწყე. იქაც ერთ დედაბერთან დავბინავდი. დედაბერმა შვილივით მიმიღო,—დამაბანინა, დამასვენა და კარგადაც მავახშმა. დედაბერს ერთი გასათხოვარი გოგო ჰყოლოდა. გოგო ძალიან ლამაზი იყო, გულში ჩამივარდა და მეორე დილას დედაბერს ვთხოვე, შენი გოგო მომეწონა და ცოლად გამატანე, მდიდარი კაცი ვარ და არაფერს გავუჭირვებ-მეთქი, და თან თვალ-მარგალიტიც ვაჩვენე. დედაბერი ჩემს სიმდიდრეს დასარბდა და თანხმობა გამომიცხადა. დავიწერეთ ჯვარი იმავე დღეს იმ სოფლის ეკლესიაში და წამოვედით.

ანგელოზივით გოგო მომყავს და ისეთი გასარებული მოვდივარ, ქვეყნად ჩემზე ბედნიერი კაცი აღარ მეგულება. მაგრამ კაცს თურმე ხიფათი არ გამოელევა. ერთ თვეს გაუჭირვებლად ვიარეთ, მერე ერთ უცხო სოფელს მივადექით. სალხი მინდვრად იყო გამოსული და მიწას ხნავდა. ერთ ხნიერ გუთნისდედასთან მივედი და ვთხოვე, მამაშვილობას, მგზავრები ვართ და ღამე გაგვათევინეთ-მეთქი.

— მამაშვილობა რომ არ გეთქვა, ნახავდი, როგორ ღამესაც გაგათენებინებდითო, — მითხრა გუთნისდედამ. — ახლა რაკი მამაშვილობა მითხარი, შეგიბრალებ და აღარას გერჩი, მაგრამ საჩქაროდ გაშორდით აქაურობას და ეცადეთ, რომ მზის ჩასვლამდე აგე აიმ მდინარეზე გადახვიდეთ, თორემ ჩვენ ძაღლთაპირები ვართ, მზე რომ ჩავა, ყველანი ძაღლებად გადავიქცევით და ვისაც უცხოს წავასწრებთ ჩვენს მიწაწყალზე, ლუკმა-ლუკმა დავგლეჯთო.

ეს რომ გავიგე, თავზარი დამეცა. მოვკიდე ხელი ჩემს ლამაზ ცოლს და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მოვკურცხლე. მივრბივართ მუხლჩაუდრეკლად, ქალი დაიღალა, მაგრამ ვამხნევებ და მაინც მივარბენინებ. აი, მივუახლოვდით საზღვრო მდინარეს, ხიდიც გამოჩნდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მზეც ჩავიდა.

მზის ჩასვლისთანავე მთელი სოფელი ძაღლებად გადაიქცა, იხუვლეს და ყეფა-ღრენით ჩვენსკენ გამოენთნენ. ვხედავ, რომ გვეწევიან, ოქრო-ვერცხლი მამძიმებს და ვეღარ მივ-

რბივარ, ქალს მუსლები მოეკვეთა და ტირილით შემეხვეწა, გადაყარე ეგ ოხერი თვალ-მარგალიტი და მე ამიკიდე. ამ ცოფიანების საჯიჯგნად ნუ გამსდიო, მაგრამ ცოლს ისევ საკუთარი თავი და სიმდიდრე ვამჯობინე, ლამაზ ცოლს ყოველთვის ვიშოვი, სიმდიდრეს კი ვინ იცის, როდისლა შევიძენ-მეთქი, — ვთქვი გულში, ქალი ძალლებს მივუგდე და თვითონ მშვიდობით გადავასწარი ხიდზე.

ჩემი ცოლი ერთ წუთში შეჭამეს, მე ავდექი და მარტოკამ გამოვწიე. ვიარე, ვიარე და ერთ უშველებელ მდინარეს მივადექი. არც ხიდი სადმე ჩანს, არც — ფონი. დავდივარ მდინარის პირას დალონებული აღმა-დაღმა და აღარ ვიცი, როგორ გადავიდე, თვალ-მარგალიტიანად შევიღე წყალში, ვიცი დავიძირები და დავიხრჩობი, არადა, ამოდენა სიმდიდრის გაღაყრა არ გინდა! ამ გასაჭირში რომ ვარ, მდინარის ნაპირს კიდევ ერთი კაცი მოადგა. ერთმანეთს სალამი ვიეცით და ჩემი გაჭირვება შევჩივლე. ეგ ადვილია, ბითხრა კაცმა, თურმე მცურავი ყოფილიყო, შემოსვა ზურგზე და ისე გამიყვანა მდინარეში, რომ ფეხიც არ დამასველებინა. ძალიან მშვიდი და უწყინარი კაცი იყო, დაგმეგობრდით და ერთად დავადექით გზას.

იმ კაცმა ბევრი სიკეთე მიყო, მე არაფერს მაკეთებინებდა, — გზაზე ცეცხლის დანთება იქნებოდა, თუ ღამის გასათევი ბინის მოწყობა, ყველაფერს თვითონ აკეთებდა. ასე ვიარეთ ერთად კარგა ხანს და ბოლოს ერთ ქალაქში შევედით. მე რაკი ვაჭარი ვიყავი, ვაჭართა ქარვასლა მოვძებნე და ღამის გასათევად იქ დავბინავდით. ვაჭრებმა თვალმარგალიტი შემაგულეს და ჩემი მოკვლა გადაწყვიტეს. მე კარს უკან ვიდექი და მათი საუბარი სიტყვა-სიტყვით გავიგონე. ჩემზე ამბობდნენ, ეგ მდიდარი კაცი ღამე ქარვასლის ბნელ კუნჭულში დავაწვინოთ, რომ დაძინება, ჩუმად მივებაროთ და გავგუდოთ. ამხანაგს თავისით დამხრჩვალი ეგონება და მაგისი ოქროები ხასვივით შეგვრჩებაო.

როგორც დათქვეს, ისეც მოიქცნენ: ვახშაი რომ ვჭამეთ, მე ქარვასლის სულ ბოლო კუთხეში დამიდგეს საწოლი, ჩემს მეგობარს კი — კარებთან. ძილი ნებისა გვისურვეს და კარი გარედან ურდულით გადაკეტეს.

დავწექი, მაგრამ რა დამაძინებს. წუთ-წუთს მოველი ვაჭრების თავდასხმას და სულ იმის ფიქრში ვარ, ცოცხალი როგორ გადავრჩე. ბოლოს ასეთ ხერხს მივმართე: ჩუმად ავდექი, ავიღე ჩემი მეგობრის საწოლი ისე, რომ არ გაღვიძებოდა, და ჩემი საწოლის ადგილზე დავდგი, ჩემი საწოლი კი კარებთან მივიტანე.

სინდისი მჭენჯნიდა, მაგრამ გულს იმით ვიმშვიდებდი, რომ ჩემი მეგობარი ღარიბი იყო და რომც მომკვდარიყო, ამქვეყნად დიდად დასანანებელი არაფერი დარჩებოდა. მე კი ამდენი სიმდიდრის პატრონი ვიყავი და ჩემი სიკვდილი ცოდო იყო. ერთი სიტყვით, მეგობარი გავწირე და თავი მოვიმძინარე.

შუაღამისას შემოვიდნენ ვაჭრები და ფესაკრეფით წავიდნენ ჩემი მეგობრის საწოლისკენ. მინდოდა მაშინვე მეყვირა და ამსანაგი გადამერჩინა, მაგრამ მერე ვიფიქრე, ეს კაცი არაფერს მარგებს და ამ ვაჭრებს კი რაღაცას გამოვრჩები-მეთქი და, სანამ ახრჩობდნენ, ლოგინში არ გავნძრეულვარ, მერე კი, როცა მთლიანად გაგუდეს, ლოგინიდან წამოვხტი, გავვარდი კარში და ყვირილი ავტეხე: — ხალხნო, მიშველეთ, ამხანაგი მომიკლეს-მეთქი!

ვაჭრებს შიშის ზარი დაეცათ, მაშინვე გამომეკიდნენ და სვეწნა დამიწყეს, ოღონდ ნუ გაგვთქვამ, ნუ დაგვღუპავ და რასაც მოითხოვ, ყველაფერს მოგცემთო.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, იმ ვაჭრებს სულს იქით აღარაფერი შევარჩინე. — წავართვი რაც კი ძვირფასეული და ნავაჭრი ფული ჰქონდათ, ავკიდე ჯორ-აქლემს და გამდიდრებული დავბრუნდი შინ. ახლა როგორც მხედავ ასე ვარ — კარგს ვსვამ, კარგს ვჭამ და კარგს ვიცმევ, მაგრამ აღარც მეგობარი გამაჩნია, არც ცოლ-შვილი და არც ახლობელი. მოდი ახლა და, მითხარი, შენი სიღარიბე ჯობია, თუ ჩემი ასეთი გზით შეძენილი სიმდიდრეო?

— არა, ძმაო, მაგნაირ სიმდიდრეს, ისევ ჩემი პატიოსანი სიღარიბე მირჩევნიაო, — უთხრა კაცმა და გაუდგა თავის გზას.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ვაჭარი და გურული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. — იყო ერთი ღარიბი გურული. ერთხელ გურულმა ხეები დათალა, შეკრა ტივი და ფოთში ჩაიტანა გასაყიდად. იქ ერთი ვაჭარი შეუჩნდა და ტივი ნახევარ ფასში დასტყუა. გურულმა იცოდა, რომ ტყუვდებოდა, მაგრამ უჭირდა და შევაჭრება აღარ დაუწყო. დაბრუნდა უკან პირში ჩალაგამოვლებული და გულში თქვა, — თუ შენ კვანტი არ გამოგდო და ოინი არ გიყო, მე გურული ნულა ვყოფილვარო.

გავიდა ხანი და ვაჭარი თვითონ ავიდა გურიაში ხეების საყიდლად. კითხვა-კითხვით მიაგნო ნაცნობ გურულს და ხეების დამზადება სთხოვა. გურული დათანხმდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ კაი ფასს მისცემდა და ნახევარ საფასურს წინასწარვე ბედ გადაუხდიდა.

— გადაგიხდიო, — უთხრა ვაჭარმა, ამოიღო საფულე და ნახევარი საფასური ჩაუთვალა.

წავიდა ვაჭარი დაიმედებული, მაგრამ გურულს ხეების დამზადება აზრადაც არ მოსვლია, ფული ბლომად ჰქონდა, შინ არაფერი უჭირდა და დროს ნადირობაში ატარებდა — ხოცავდა კაკბებს, ხოხბებს, როჭოებს და საზამთროდ ბუხრის თავზე ჰკიდებდა.

ვაჭარი ელოდა დაპირებულ ხეებს, ელოდა და, გურული რომ არსად გამოჩნდა, თვითონ წავიდა ამბის გასაგებად. გურული ბუხრის წინ იჯდა და ნანადირევ ფრინველს ბუტავდა. შევიდა ვაჭარი სამზადში და გამარჯობა უთხრა.

— გაგიმარჯოს, ძამიაო, — მიუგო გურულმა.

— სადა სარ, ან ხეები სადა გაქვსო? — ჰკითხა ვაჭარმა.

— ხეებიც აქა მაქვს და მეც აქა ვარო, — მიუგო გურულმა, — ჩამოჯექ, ნანადირევი ისიამოვნე და ხეებზე მერე ვილაპარაკოთო.

დაჯდა ვაჭარი.

გურულს ერთი გაწუწკებული კატა ჰყავდა, სუფრას რომ შემოუსხდნენ, კატაც იქვე დაცუცქდა და წკნავილი გააბა.

— აცსა, შე სასიკვდილევ, — შეუტია გურულმა, — რას შემომწკნავი, ეს ხოხბები, ხომ ხედავ, ჩვენ არ გვეყოფა, წადი, კიდევ მოიტანე და მერე გაჭმევო.

— როგორ, ეს ხოხბები ამ კატამ მოიტანაო? — გაუკვირდა ვაჭარს.

— კი, ამის მოტანილია, — მიუგო გურულმა, — მაგრამ ამ ბოლო დროს გაზარმაცდა. წინათ დღეში ოცამდე ფრინველი მოჰქონდა, ახლა კი, აი, ხუთის მეტი არ მოუტანიაო.

ვაჭარი უფრო გაოცდა, ასეთი გაწვრთნილი კატა გყოლია და რაღას ემდურებიო, მაგრამ გურულმა ისევ თავისი გაიმეორა, სანამ ძველებურ სიბეჯითეს არ გამოიჩენს, ლუკმას არ ვაჭმევ და არც კერასთან მოვუშვებო, — ჩაარტყა თავში ციცას და გააგდო.

ვაჭარმა იფიქრა, ეს კატა რომ ჩემი იყოს, გავკეთდები, ყოველდღე ნანადირევი არ მომაკლდებაო, და გურულს უთხრა, მომყიდე და, რასაც დააფასებ, მოგცემო. — გურულმა ცივი უარი შეაგება:

— არა, ძამია, სული ამ კატით მიდგას და შენ რა უნდა მომცე ამისი ფასიო.

ვაჭარი მაინც არ მოეშვა, მომყიდე და მომყიდეო. გურულმა უთხრა, აკი გეუბნები, ამ ბოლო დროს ნამეტანი გაზარმაცდა და კარგად რომ ვერ ინადიროს, დამემდურებიო.

ვაჭარმა არც ამით დაიშალა და ბოლოს გურულიც დათანხმდა. გამოართვა ერთი საცხოვრებელი ფული და კატა გაატანა.

წავიდა ვაჭარი გახარებული, მიიყვანა შინ კატა, კარგად აჭამა, უალერსა, მერე უთხრა, დღეს სადილად ხალხი უნდა დავპატიჟო და ერთი ათი ცალი ხოხობი მომირბენინეო. კატამ დაიკრუტუნა, ვაჭარმა ეს თანხმობად მიიჩნია, გამოიყვანა კატა და გაუშვა. კატა წავიდა და უკან აღარც დაბრუნებულა,

გაჯავრდა ვაჭარი და წავიდა გურულთან. გურულს ცეცხლზე ქვაბი ეკიდა და ღომს ხარშავდა. დაინახა ვაჭარი ეზოში შესული, აიღო ერთი ღომის მარცვალი და ხელის გულზე თითით სრესა დაუწყო, ვითომ ხეხავს და ასუფთავებს. შევიდა ვაჭარი და საყვედურით უთხრა:

— რატომ მომატყუე, ნანადირევი კი არა, თვითონაც ჯანდაბას დაიკარგაო.

— სანადირო ადგილები თუ აჩვენე წინასწარ, ან შინ მოსასვლელი გზა თუ ასწავლეო? — ჰკითხა გურულმა.

— არაო, — უთხრა ვაჭარმა.

— აბა მე რას მემდურები, უცხო ადგილას კაცს ებნევა გეზ-კვალი და კატას რომ დაებნეს, რა საკვირველიაო, — უთხრა გურულმა და თვითონვე უსაყვედურა, — ნატვრის თვალივით კატა გამომართვი და დამღუპეო.

ამასობაში გურულმა ღომის მარცვალი კარგა გააპრიალა, ჩააგდო ქვაბში და მოურია. გამოჩნდა მთელი ქვაბი მოხარშული ღომი. ვაჭარს ახლა ეს გაუკვირდა და გურულს ჰკითხა:

— ეგ რა ჰქენიო?

— არაფერი, წყალში ღომის მარცვალი ჩავაგდე და მოვხარშეო, — მიუგო გურულმა.

— ეს ამოდენა ქვაბი ღომი სულ იმ ერთი მარცვლისაგან მოიხარშაო? — კვლავ ჰკითხა ვაჭარმა.

— აბა, ღარიბ კაცს იმდენი ვინ მომცა, რომ მუჭა-მუჭა ვყაროო? — უთხრა გურულმა.

— მაშ, რაც ღომი გაქვს, სულ ასე თითო მარცვლობით უნდა ხარშოო?

— სულ ასეო, — მიუგო გურულმა, — ან რატომ ჩავყრი მეტს, როცა ერთი მარცვალიც საკმარისიაო.

ვაჭარს გაუკვირდა, ეს რანაირი ღომი ჰქონიაო და შეევაჭრა, ოღონდ ეგ ღომი მომყიდე და, რასაც მომთხოვ, მოგცემო. გურულმა შორს დაიჭირა, შენ კატაც მოგყიდე, მაგრამ მადლობის მაგიერ საყვედურით ამავსე. ახლაც ასე იზამ — ან წესიერად ვერ მოხარშავ, ან რაღაც იქნება და ისევ დამემდურები. ეგეც არ იყოს, მთელი ჩემი საცხოვრისი ეს არის და შენ რა უნდა მომცე ამის ფასიო.

ვაჭარი მაინც არ მოეშვა, ოღონდ მომყიდე და, რაც მო-მივა, შენ აღარ დაგაბრალებო.

დათანხმდა გურული, გამოუტანა ერთი ჩანახი ღომი და მთელი წლის სამყოფი ფული გადაახდევინა. წაიღო ვაჭარ-მა ღომი, მიიტანა შინ და ცოლს უთხრა, ხალხი დამიპატიჟე. სასწაული უნდა ვაჩვენო — ღომის ერთი მარცვალით ოც კაცს დავაპურებო.

მოიწვია ხალხი, შემოდგა ცეცხლზე ქვაბი და ჩააგდო შიგ ღომის ერთი მარცვალი. სტუმრები ელოდნენ, ელოდნენ, მაგრამ ერთი მარცვლით რა ღომი მოიხარშებოდა. ადგნენ გაწბილებულები, მასპინძელს მოტყუებისათვის საყვედური უთხრეს და თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

გურულმა იცოდა, რომ ვაჭარი ამ მოტყუებას არ შეარ-ჩენდა და ისევ საყვედურებით მიადგებოდა. წავიდა ტყე-ში, ორი კურდღელი დაიჭირა, მოიყვანა შინ და ცოლს უთხრა:

— მე ყანაში სამუშაოდ წავალ, ერთ კურდღელს თან წა-ვიყვან, მეორეს შენ დაგიტოვებ, ის ვაჭარი რომ მოვა, უთხა-რი, ყანაშია წასული-თქო. ის ჩემთან წამოვა, მე კურდღელს გამოვუშვებ შენთან და დავაბარებ: სადილად ერთი ინდაუ-რი, ორი ქათამი, ოთხი იხვი მოამზადე, ზოგი შეწვი, ზოგი მოხარშე და ამოგვიტანე, თან ერთი დოქი ადესა ღვი-ნოც გამოაყოლე-თქო. შენ ყველაფერი ეს წამოგვიღე და კურდღელიც წამოიყვანეო.

წავიდა გურული ყანაში. გავიდა ცოტა ხანი და მოვიდა ვაჭარიც. გურულის ცოლმა უთხრა, ჩემი ქმარი ყანაშიაო. წავიდა ვაჭარიც ყანაში, მივიდა გურულთან და უსაყვედუ-რა, — კიდევ მომატყუე. ფულები დამცანცლე და სრულიად ჩვეულებრივი ღომი კი გამატანეო. გურულმა უთხრა:

— აკი გითხარი, ისევ დამემდურები-მეთქი. შენ ღომის მოხარშვა არ გცოდნია, ალბათ ან ცეცხლი ვერ შეუკეთე წესიერად, ან კარგად ვერ გარეცხე, ან ხარშვა დააკელი და რა ჩემი ბრალიაო. მთელი წლის სარჩო დაგითმე და კიდევ მსაყვედურობო. მერე უთხრა, ქართულ სტუმარ-მასპინძლო-ბის წესს მაინც ნუ დავარღვევთ, დარჩი, სადილი ვჭამოთ და მერე წადიო.

ვაჭარი დარჩა. გურულმა შეხსნა კურდღელს თოკი და უთხრა:

— წადი შინ და დედაკაცს უთხარი, ერთი ინდაური, ორი ქათამი, ოთხი იხვი მოამზადოს სადილად და ამოგვიტანოს, თან ერთი დოქი ადესა ღვინოც გამოაყოლოს. ოღონდ დროზე წადი, შენებურად გზადაგზა კურდღლებთან მუსაიფს არ გადაყვეო.

არ გასულა დიდი ხანი, რომ ცოლმა მართლაც მოუტანა შენათვალი და თან თოკით კურდღელიც მოიყვანა. უთხრა ქმარს:

— ამ კურდღელმა შენი შემონათვალი მომიტანა და აბა ნახე, ხომ არაფერი დაავიწყდაო.

გურულმა გადმოალაგა სუფრაზე სანოვაგე და ვაჭრის გასაგონად ჩაილაპარაკა, ჩემს ყურცქვიტას არაფერი დაავიწყდებაო. ვაჭარს გაუკვირდა და ჰკითხა:

— ამ კურდღელს რასაც დაავალებ, სულ ასე ასრულებსო?

— ხომ დაინახე შენი თვალითო, — უთხრა გურულმა.

— მერე და სად იშოვე ასეთი გონიერი კურდღელიო?

— არა, ძამა, შოვნით ასეთს სად იშოვი, — უთხრა გურულმა, — თვითონ გავწვრთვენი და ამ შრომას ათი წელი შევალიეო.

ვაჭარს ძალიან მოეწონა კურდღელი, ეს რომ მყავდეს, რაღა მიჭირს, მუქთი შიკრიკი მეყოლება და სადაც დამჭირდება, გავაგზავნიო. შეუჩნდა გურულს, მომყიდე და მომყიდეო. გურულმა უარი უთხრა, ქალაქს შეჩვეული არ არის და შეიძლება დაგეკარგოს, ჩემთვის კი პირდაპირ მისწრებაა. მაგრამ ვაჭარმა არ დაიშალა და გურულმაც დაუთმო. კიდევ გამოართვა ერთი წლის სამყოფი ფული და კურდღელი გაატანა.

მიიყვანა ვაჭარმა კურდღელი შინ და ცოლს უთხრა, ხალხი დაბატიჟე, სასწაული უნდა ვაჩვენოო. დაპატიჟა ცოლმა ხალხი, ვაჭარმა გამოიყვანა კურდღელი, შეხსნა თოკი და უთხრა:

— წადი ჩემ დახლიდართან და უთხარი: ბაზარში გავი-

დეს, კაი სამწვადე იყიდოს, ხიზილალა, ნედლი ყველი, ცოცხალი, კაი კახური ღვინო და საჩქაროდ აქ მომიტანოსო.

კურდღელი დაფეთებული ეცა ქალაქის ქუჩებს და გადაიკარგა. ელოდნენ ვაჭარი და იმისი სტუმრები დასლიდარს, მაგრამ არც თვითონ ჩანდა და არც შენათვალი პურ-ღვინო მოჰქონდა.

გაგზავნა ვაჭარმა შიკრიკი დასლიდართან და შეუთვალა, ახლავე აქ ამოდიო. ამოვიდა დასლიდარი, ვაჭარმა შეუტია:

— სადა ხარ აქამდე, შე ყურუმსალო, ან პურმარილი რა უყავიო?

დასლიდარი გაოცდა, რის პურმარილი, რა პურმარილიო?!

— მაშ კურდღელს ამბავი არ მოუტანიაო? — ჰკითხა ვაჭარმა.

— თქვენი რისხვა არა მქონდეს, მე არც კურდღელი მენახოს და არც სხვა ამბის მომტანიო.

ვაჭარი მიხვდა, რომ გურულმა ისევ მოატყუა. სტუმრებსა სიცილი დააყარეს და წავიდ-წამოვიდნენ. ვაჭარი კი შეჯდა ცხენზე და გაცეცხლებულმა ისევ გურულისკენ გასწია. გურულმა იცოდა, რომ ვაჭარი ისევ მიადგებოდა და ცოლს უთხრა:

— მოდი, ყელზე სისხლით სავსე ქათმის ჩიჩახვს შეგაბამ, ის ვაჭარი რომ მოვა, წავიკიდნეთ, მე დანას გამოგისვამ ჩიჩახვზე, შენ წაიქეცი, თავი მოიმკვდარუნე და სანამ ჩონგურს არ დავუკრავ, არ გაცოცხლდეო.

შეაბა ყელზე გურულმა ცოლს სისხლით სავსე ჩიჩახვი, ჯიბეში გალესილი დანა ჩაიდო და ვაჭარს დაელოდა, სად იყო, სად არა, მოვიდა ვაჭარიც და გურულს შეუტია, შე ასეთ-ისეთო, რად მომატყუე და მეორედ ხალხში თავი რატომ მომჭერიო?

ვაჭარს გურულის ცოლიც გამოესარჩლა და ქმარს ლანძღვა-გინება დაუწყო. გურულმა უთხრა, ქალო, ენა დააყენე, თორემ ყელს გამოგჭრიო. ცოლი უარესად გაანჩხლდა, მაშინ წამოვარდა გურული, ამოიღო დანა და ცოლს ყელზე დაკიდულ ჩიჩახვზე გამოუსვა. წამოვიდა სისხლი თქრიალით, ცოლი გადავარდა და თავი მოიმკვდარუნა. ვაჭარს ში-

შით გული გაუსკდა, ეს რა სათაბალაში ჩავვარდი, ჩენს თვალწინ ადამიანი მოკლეს და სასამართლოში თრევით სულს ამომხდიანო.

— შე ჩემი ცოდვით სავსეე, რად ჩამაგდე ამ სათაბალაში, რა იყო, ასეთ უბრალო რამეზე ცოლი სასიკვდილოდ როგორ გაიმეტეო? — უთხრა გურულს.

— მაგისთანა აბეზარს აგრე მოუსდებაო, — დინჯად მიუგო გურულმა.

— რაღა ვქნა ახლა, ამ სათაბალას როგორ გადავურჩეო, — წაიშინა ვაჭარმა თავში ხელები.

— ნუ გეშინია, ძამა, — უთხრა გურულმა, — თუ მოვინდომე, ამას ახლავე გავაცოცხლებო.

ვაჭარი შეესვეწა, ოღონდ გააცოცხლე, ოღონდ შარში ნუ გამხვევ და რაც მომიცია, ერთ იმდენს კიდევ მოგცემო. ამოიღო საფულე და რაც ფული ჰქონდა, სულ გურულს მისცა.

— კარგი, სათრს არ გაგიტეხო, — უთხრა გურულმა, — ჩამოიღო კედლიდან ჩონგური და დაუკრა. ქალი ჯერ ოდნავ შეინძრა, მერე თვალი გაახილა და ფეხზეც წამოდგა. ქმარმა უთხრა:

— იცოდე, ამ კაცის სათრი, თორემ ახლა მე შენს გაცოცხლებას აღარ ვაპირებდიო.

ვაჭარს ახლა ჩონგური მოეწონა. მეტისმეტად აშარი ცოლი ჰყავდა და იფიქრა, „ეს ჩონგური რომ ჩემი იყოს, რა კარგი იქნებოდა! როცა ცოლი ნამეტანი წამეკიდება, მოვკლავ და ისევ გავაცოცხლებ, იქნებ ცოტა დავშიშო და მოვათვინიერო", და გურულს შეუჩნდა, მომყიდეო. გურულმა აქაც უარი უთხრა, ხომ იცი, გურული ვარ და სიფიცხე მომდგამს, ასეთი რამ ხშირად მემართება — ხან ვინ შემომაკვდება, ხან ვინ და ეს ჩონგური რომ არ მქონდეს, დავიღუპებიო. ვაჭარი მაინც არ მოეშვა და ბოლოს გურულიც დათანხმდა — გამოართვა დიდძალი ფული და მისცა ჩონგური.

წაიღო ვაჭარმა ჩონგური შინ. ცოლი გადაეკიდა, რა ჭირად გინდა ვაჭარს ჩონგური, შენი საქმე დუქანი და აქეთიქით ტანტალიაო. ვაჭარმა უთხრა, დედაკაცო, გაჩუმდი, თორემ მოგკლავო. ცოლმა არ დაიშალა, მაშინ დაავლო ვაჭარმა დანას ხელი, გამოუსვა ყელში ცოლს და მოკლა. ცოტა

ხნის შემდეგ ჩამოიღო ჩონგური და დაუკრა, მაგრამ ყელგა-მოჭრილს რა გააცოცხლებდა.

შემოიკრა ვაჭარმა თავში ხელი, დალეწა ჩონგური, წაიყვანა თავისი ბიჭები და გურულის დასასჯელად წავიდა. მივიდა გურულთან და შეუტია, შე ასეთ-ისეთო, ცოლი რაზე შომაკვლევინე, ახლა უნდა დაგიჭირო, წაგიყვანო და პალიასტომის ტბაში ჩაგაგდოო.

გაუკრეს გურულს ხელები ზურგსუკან და წაიგდეს წინ. გზაზე დაუღამდათ და პურიც მოშივდათ. გურული ხეზე მიაბეს და ვაჭარი და მისი ბიჭები ნაკადულთან ჩავიდნენ პურის საჭმელად. გურულმა დაინახა, რომ მენახირე ძროხებს მოერეკებოდა და ატეხა ყვირილი: — არ მინდა, კაცო, ნუ მიგყევართო.

— ძალიანაც არ გინდა, მაგრამ ღირსი ხარ და უნდა წაგიყვანოთო! — ამოსძახა ვაჭარმა.

მენახირემ ეს ძახილი გაიგონა, მივიდა გურულთან და ჰკითხა, რა არ გინდა, ან იმ კაცებს სად მიჰყევხარო?

გურულმა უთხრა:

— ფაშა მოჰკვდომიათ და იმის ადგილზე დაყენებას მიპირებენ, მე არ მინდა, მაგრამ ძალად მივყევარ და რომ არ გავექცე, ამ ხეზე მიმაბესო.

მენახირემ იფიქრა, ეს კაცი ნამდვილად სულელი ყოფილაო და უთხრა: მოდი, ჩამოგხსნი ხიდან, რაკი ფაშობა არ გინდა, და შენს ადგილზე მე მიმაბი, მე ვიქნები ფაშა, შენ კი ეს ნახირი გყავდეს და საითაც გინდა, იქით გაირეკეო.

ჩამოხსნა ხიდან მენახირემ გურული და თავისი თავი მიაბმევინა. გურულმა ნახირი გამოირეკა, ვაჭარმა და მისმა კაცებმა სიბნელის გამო მენახირე ვერ იცნეს და გურულის მაგიერ ის გადააგდეს ტბაში.

გავიდა ხანი. გურულს ნახირი გაუმრავლდა და დიდძალი საქონლის ბატრონი გახდა. ერთხელ ვაჭარმა ჩამოიარა იმ სოფელზე და ნახა, რომ გურული ამდენ ნახირს მოერეკება. გაუკვირდა და ჰკითხა:

— კაცო, შენ ტბაში არ ჩაგაგდე და არ დაგახრჩვეო?

— ჩამაგდე, მაგრამ არ დავმხრჩვალვარო,— მიუგო გურულმა.

— ეს ამდენი საქონელი სადღა იშოვეო? — კიდევ ჰკითხა ვაჭარმა.

— ეს ნახირიც სწორედ იქიდან გამოვრეკეო.

— როგორაო? — გაოცდა ვაჭარი.

— როგორ და ასეო, — უთხრა გურულმა, — ტბის ფსკერი სულ საქონლით იყო სავსე, მაგრამ ცარიელი ხელით მეტის გამორეკვა ვერ შევძელი, სახრე რომ მქონოდა, ათ ამდენს გამოვრეკავდიო.

— მაშ სახრეს მოვჭრი და ჩამაგდე ტბაშიო, — უთხრა ვაჭარმა.

გურულმა ყასიდად გააფრთხილა: — ტბის ფსკერზე ყოფნა ძალიან ძნელია და, თუ მაგარი გული არა გაქვს, ნუ გაბედავო.

მაგრამ ვაჭარს სიხარბემ წასძლია და უთხრა, არა, ჩამაგდეო.

წაიყვანა გურულმა ვაჭარი, გადააგდო ტბაში და ჩასძახა:

— რაც ტბის ფსკერზე ნახირი ნახო, სულ შენთვის დამილოცნიაო.

რა ქნა ვაჭარმა, გამორეკა ნახირი ტბიდან თუ არა, ეგ აღარ ვიცი, რადგან იქიდან გამოსული ის აღარავის უნახავს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ᲭᲙᲕᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲕᲔᲖᲘᲠᲐᲚᲘ

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა: იყო ერთი ხელმწიფე. ხელმწიფე ღამღამობით გადაიცვამდა გლეხურად და თავის საკახტო ქალაქს ზვერავდა, აბა უწესობას ხომ არავინ ჩადისო.

ერთ საღამოსაც ჩვეულებრივ გამოეწყო მდაბიურად და გავიდა ქალაქში. უდროო დროა, შუქი ყველაფ- ჩამქრალი აქვს — ქალაქს სძინავს და ირგვლივ სრული მყუდროებაა. მაგრამ აი, ერთი სასლიდან სინათლე გამოკრთის. ხელმწიფე დაინტერესდა, რატომ უნთიათ შუქი ამ დროსო და ეზოდან დაუძახა:

— მასპინძელო, მგზავრი ვარ და ამაღამ შემინასეო.

სახლის პატრონი გამოეგება და შინ შეიწვია.

— მობრძანდი, სტუმარი ღვთისაოო.

სახლის პატრონის ცოლმა მაშინვე სუფრა გაშალა. სტუმარი კარგად ავასშმეს და ცალკე ოთახში დააწვინეს. რა თქმა უნდა, ამ ცოლ-ქმარმა ეჭვადაც არ იციან, თუ ეს მათი ხელმწიფეა. შუაღამისას დიასახლისი წამოდგა, ჩაიცვა ტანსაცმელი, ჩამოხსნა ხმალი, ამოაძრო ქარქაშიდან და მძინარე ქმარს თავზე დაადგა.

— თუ გძინავს, არ გაიღვიძო, ხოლო თუ გღვიძავს, თვალი არ გაახილო, თორემ თავს გაგაგდებინებო.

ხელმწიფე-სტუმარს ღვიძავს და ყველაფერი ესმის.

ქმარს ეძინა და არაფერი გაუგია, მაგრამ რომც ღვიძებოდა, ასეთ დროს განძრევას და ხმის ამოღებას მაინც ვერ გაბედავდა.

დედაკაცმა ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო და თავის ადგილზე დაჰკიდა. მერე ნელა გამოაღო კარი, სახე შალით მოიბურა და სიბნელეში სადღაც წავიდა. ხელმწიფეც მაშინვე წამოდგა და დედაკაცს მალულად უკან აედევნა.

იარა დედაკაცმა სიბნელეში, იარა და ბოლოს ერთ უზარმაზარ კლდეს მიადგა. კლდეში გამოქვაბული იყო. დედაკაცი ჩამოდგა გამოქვაბულის შესასვლელთან და ხმამაღლა შესძახა:

— გამოდი, ჩემო საყვარელო, გელოდებიო!

გამოქვაბულთან ერთი არაბი გამოვიდა, ისეთი უშნო და მახინჯი, რომ თვალი იმაზე უარესს ვეღარაფერს ნახავდა: ქვედა ტუჩი ნიკაპზე ეკიდა. ზედა ცხვირზე ჰქონდა აფარებული.

— დანაპირები თუ მომიტანეო? — ჰკითხა დედაკაცს.

— დანაპირები ვერ მოგიტანე, მაგრამ მე კი მოვედიო,— უთხრა დედაკაცმა თავმოკატუნებით.

— მარტო შენ რა ჭირად მინდიხარ, — დაულრიალა არაბმა, — ახლავე დაიკარგე აქედან და სანამ დანაპირებს არ მომიტან, ჩემთან ფეხი აღარ მოსდგაო.

გამობრუნდა უკან დედაკაცი ტირილით. ხელმწიფეც საჩქაროდ დაბრუნდა მასპინძლისას და დედაკაცის მოსვლამდე ისევ ლოგინში ჩაწვა. დილა რომ გათენდა, ხელმწიფემ მადლობა გადაუხადა მასპინძლებს და წავიდა შინ. მაგრამ დაღამდა თუ არა, ისევ მდაბიურად გადაიცვა, ოღონდ ასლა სხვანაირად მოირთო, რომ არ ეცნოთ, და ისევ იმ ცოლქმარს მიადგა.

— ოჯახიშვილებო, თუ შეიძლება, ამაღამ მისტუმრეთო!

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, სტუმარი ღვთისააო, — გამოეგება მასპინძელი და შინ შეიყვანა, ისევ გაშალა ცოლმა სუფრა, სტუმარი კარგად ავახშმეს და კვლავ ცალკე ოთახში დააწვინეს, ცოლ-ქმარიც თავის საწოლში დაწვნენ.

ხელმწიფეს, რა თქმა უნდა, არც ახლა დაუძინია. მასპინძლის ცოლს უთვალთვალებდა. მართლაც, არ გაუვლია დიდხანს, რომ ცოლი მაშინდელივით წამოდგა ლოგინიდან, ჩაიცვა ტანსაცმელი და ხმალიც ისევ ჩამოიღო. — ეჰ, მოსახდენი უნდა მოხდესო, — ჩაილაპარაკა თავისთვის, გააძ-

რო ხმალი, სწყვიტა ქმარს კისერზე და თავი გააგდებინა, ხელმწიფემ ყველაფერი ეს დაინახა და ძალიანაც შეეშინდა, ემანდ, მეც არ მომკლასო, მაგრამ დედაკაცს მისი საწოლისაკენ არც კი გაუხედია, საჩქაროდ შეახვია შალში ქმრის თავი, გამოვიდა გარეთ და სირბილით წავიდა გამოქვაბულისაკენ. ხელმწიფეც წამოდგა და შორიახლო მიჰყვა..

დედაკაცი მიადგა წინანდელ უდაბურ გამოქვაბულს და ხმამაღლა შესძახა:

— გამოდი, ჩემო საყვარელო, დანაპირები მოგიტანეო!

გამოვიდა ისევ ის საზარელლაშიანი არაბი, ნახა შალში შეხვეული მშვენიერი ვაჟკაცის თავი და დედაკაცს ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა:

— შე წუწკო და სალახანავ, ამისთანა ანგელოზივით ქმარს უღალატე და მე როგორ მიერთგულებო! — და სულ ცემა-ტყეპით გამოაგდო.

წამოვიდა დედაკაცი უკან დაღონებული. ხელმწიფეც მაშინვე გამობრუნდა, შევიდა მასპინძლის სახლში, დაისველა ხელი სისხლში და გამოსვლისას ალაყაფის კარზე დაჰკრა, რომ ნიშანი დასტყობოდა, და დედაკაცის მოსვლამდე გაეცალა იქაურობას.

დედაკაცი დაბრუნდა შინ და საჩქაროდ დამარხა ქმარი, მაგრამ სტუმარი რომ შინ აღარ დახვდა, ამან ცოტა შეაფიქრიანა. „რატომ გაიპარა ასე ადრიანად, არაფერი მიხიმანოსო“ — თქვა გულში და ეზო-კარმიდამო მოათვალიერა. რა თქმა უნდა, იპოვა ალაყაფზე სისხლიანი ხელის ანაბეჭდი და ყველაფერს მიხვდა. შევარდა შინ, დაისველა თვითონაც ხელი სისხლში, ჩამოუარა თავის ქუჩას და ყველა ჭიშკარს ისეთივე ნიშანი დაადო.

გათენდა მეორე დილა. ხელმწიფემ დაიბარა თავისი ნაზირ-ვეზირები და უთხრა:

— წადით ამა და ამ ქუჩაზე და რომელი სახლის ალაყაფსაც სისხლიანი ხელის ანაბეჭდი ეტყობოდეს, იმ სახლის დიასახლისი აქ მომიყვანეთო.

ვეზირები წავიდნენ, მაგრამ მალე უკანვე დაბრუნდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, იმ ქუჩაზე ყველა ალაყაფის

კარს სისხლიანი ხელის ანაბეჭდი ატყვია და ვერ გავიგეთ, რომელი დედაკაცი მოვიყვანოთო.

ხელმწიფე მიხვდა, რომ დედაკაცმა აჯობა ეშმაკობით და ძალიანაც განრისხდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მთელ დღეს ჩაფიქრებული იჯდა. მეორე დღეს დაიბარა თავისი ყველაზე ერთგული ვეზირი და უთხრა:

— სანადიროდ უნდა წავიდე, ორ კვირამდე შემაგვიანდება და სანამ დავბრუნდები, ეს ბრძანება უნდა აასრულო: რაც ჩემს საბრძანებელში დედათა მოდგმაა, დიდიან-პატარიანად ყველა უნდა გაჟლიტო, რომ ერთი სახსენებელიც არსად გადარჩეს. ჯერ ჩემი ცოლი და ქალიშვილები დასოცე, მერე — შენი და ბოლოს ყველა დანარჩენი. იცოდე, ეს ბრძანება შეუსრულებელი რომ დამასვედრო, ზარბაზანში ჩაგდებ და გაგისვრიო.

წამოვიდა ვეზირი მწარედ დაღონებული და მივიდა შინ. ამ ვეზირს ერთი ნავეზირალი უხუცესი პაპის პაპა ჰყავდა: როცა კი სასახლიდან შინ დაბრუნდებოდა, ყოველთვის მოიკითხავდა და ხელზე ეამბორებოდა. მაგრამ ახლა ისე იყო ხელმწიფის უცნაური ბრძანებით შეძრწუნებული, რომ პაპა აღარც კი მოჰგონებია. პაპამ უგუნებობა შეატყო და ჰკითხა:

— შვილო, რადა ხარ დაღონებული, რა მოგსვლიაო?

— როგორ რა მომსვლია, ასე და ასე მიბრძანა ხელმწიფემ და თუ არ ავასრულე, ზარბაზნით გამისვრის, არადა, როგორ ამოვაგდო ქვეყანაში დედაკაცის სახსენებელი, რას იტყვის ჩემზე შთამომავლობაო?

— მაგაზე ნუ დაღონდები, შვილო, — უთხრა მშვიდად მოხუცმა ნავეზირალმა, — ხელმწიფე რომ მობრძანდება, უთხარი, ჩემმა პაპის პაპამ, შენი პაპის პაპის ნავეზირალმა არ მომცა ნება, თანაც შემოგითვალა, დამიბაროს და ამ ურჩობისათვის პასუხს მე გავცემო.

ვეზირმა დაუჯერა გამოცდილ მოხუცს და აღარ აასრულა ხელმწიფის ბრძანება.

გავიდა ორი კვირა და ხელმწიფეც დაბრუნდა ნადირობიდან. თავისი ბრძანება აუსრულებელი რომ დახვდა და ყველა ქალი უვნებელი დაინახა, უზომოდ განრისხდა. იმავე

დღეს დაიბარა ვეზირი და კარისკაცებს უბრძანა, — გატე-
ნეთ ზარბაზანიო!

ვეზირმა მუსლებზე დაიჩოქა და სთხოვა:

— დიდებულო ხელმწიფევ, სიკვდილის წინ ერთი სიტყვა მათქმევინეთო.

— თქვიო! — უთხრა ხელმწიფემ.

— მე, რა თქმა უნდა, თქვენს ბრძანებას არ გადავიდოდი, მაგრამ ერთი უხუცესი პაპის პაპა მყავს, თქვენი პაპის პაპის ნავეზირალი და იმან არ დამანება. ასე მითხრა, ხელმწიფემ მე დამიბაროს და პასუხს გავცემო.

— მაშ, წადი და ახლავე აქ მომიყვანეო! — უბრძანა ხელმწიფემ.

დაბრუნდა ვეზირი შინ, ჩასვა თავისი პაპის პაპა ეტლში და წაიყვანა ხელმწიფესთან. მოხუც ნავეზირალს სიარული აღარ შეეძლო, კარისკაცი ამოუდგა მხარში და ისე შეიყვანეს სამსჯავრო დარბაზში. შემოვიდა ხელმწიფე და შეუტია მოხუცს:

— რატომ არ დაანებე ჩემი ბრძანების ასრულება, ან როგორ გაბედე ხელის შეშლაო?

— დიდებულო ხელმწიფევ, სანამ პასუხს გაგცემდეთ, თუ ნებას დამრთავთ, ერთ ამბავს მოგახსენებთ და თვითონ განსაჯეთ, თქვენი ბრძანება სამართლიანი იყო, თუ არაო, — უთხრა მოხუცმა.

— ბრძანეო! — ნება დართო ხელმწიფემ.

მოხუცმა ნავეზირალმა ჩაახველა და დაიწყო:

— დიდებულო ხელმწიფევ, ცხონებულ პაპათქვენს ორმოცი ვეზირი ვყავდით და ქვეყანას გონივრულადაც ვმართავდით. მაგრამ ერთ ღამეს ერთი ვეზირი სადღაც გაქრა და უგზოუკვლოდ დაიკარგა, მეორე ღამეს მეორე ვეზირი დაიკარგა, არც კვალი გამოჩნდა, არც ასავალ-დასავალი, მესამე ღამეს — მესამე და ასე შემდეგ. ოცდაცხრამეტი დღე-ღამის განმავლობაში ოცდაცხრამეტივე ვეზირი დაგვეკარგა, ასე, რომ საბოლოოდ მეღა დავრჩი.

მეორმოცე ღამეს ჩვეულებრივ ვწევარ ჩემს სახლში. შუაღამისას ვიღაცამ კარი დამიკაკუნა, მე წამოვდექი და საცვ-

ლების ამარა ვაპირებდი კარში გასვლას, უცბად ლოგინიდან წამოსტა ჩემი ცოლი, მტაცა ხელი და შემომიტია:

— სად მიდიხარ ტიტველ-შიშველი, რა იცი, იქნებ ვიღაც სამტროდ მოსულა და შეიარაღებულია, ჩაიცვი ტანსაცმელი, აისხი იარაღი და ისე გადიო.

მე დავუჯერე ცოლს — ჩავიცვი ტანთ და იარაღიც ავისხი, მაგრამ ჩემმა ცოლმა კიდევ არ გამიშვა, — იქნებ ის ცხენზე ზის და შენ ქვეითი ცხენოსანთან რას გახდები, შედი თავლაში, შეკაზმე შენი საუკეთესო ცხენი, შეჯექი ზედ და მომხვდურს ისე შეეგებეო.

ეს რჩევაც დავუჯერე: შევკაზმე საუკეთესო მერანი, შევჯექი ზედ და, როგორც ვაჟკაცს შეშვენის, უცნობს ისე გამოვეგებე. უცნობი ღამის სტუმარი მართლაც შეიარაღებული იჯდა ცხენზე, დამინახა და მოწონებით წამოიძახა:

— მადლობა ღმერთს, ძლივს ერთი მაინც გამომეგება ვაჟკაცურადო! — მერე შემოჰკრა ცხენს, — მომყევი, არ ჩამომრჩეო! — მომაძახა და გაქუსლა სიბნელეში.

მეც მივყევი.

ვიარეთ ასე ჭენებით, ვიარეთ და ერთ კლდესთან მივედით, კლდის ძირას დიდი გამოქვაბული იყო, უცნობი მხედარი ცხენიდან გადმოსტა და მითხრა:

— მე გამოქვაბულში უნდა შევიდე, აქ მტერი მყავს და უნდა შევებრძოლო, დღეს უკანასკნელი დღეა, ან მე უნდა ვიყო, ან ის. იმ ჩემს მტერს ერთი კუდიანი დედაბერი მფარველობს, როცა შევიბმით, მოფრინდება და შველის. მაგრამ აქ რომ დაგინახავს, ჯერ შენ შეგებრძოლება, ამიტომ ცხენიდან არ ჩამოხვიდე და იარაღიც მარჯვედ გეჭიროს. ეცადე, ასლოს არ მოუშვა, თორემ თუ მხრებში ჩაგავლო ხელი, აგიტაცებს და ისეთ უფსკრულში ჩაგჩეხავს, რომ ყვავი და ყორანიც ვეღარ გიპოვისო.—მერე გამომემშვიდობა და გამოქვაბულში შესვლის წინ კიდევ მითხრა, — ახლა, რომ შევალ, ერთს მაშინვე დავიკივლებ, მეორედ, რომ დავიტაკებით, მაშინ, ხოლო მესამედ მაშინ, როცა გავიმარჯვებო. თუ მესამედ ვეღარ გაიგონე ჩემი დაკივლება, იცოდე, მკვდარი ვარ და შენს გზას ეწიეო.

შევიდა უცნობი მხედარი გამოქვაბულში და ერთი ისეთი

დაიკივლა, რომ კლდესაც კი ზანზარი დააწყებინა. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გაისმა კივილი და ამით გავიგე, რომ უკვე მტერს შეება. იმავ წამს კუდიანი დედაბერიც მოფრინდა და გამოქვაბულის კარებში რომ დამინახა, შემომიტია. ხელში გრძელტარიანი ცოცხი ეჭირა და იმ ცოცხს ხან მახვილად ხმარობდა, ხან — ფარად და ხან ზედ ჯდებოდა. ვიბრძოლეთ დიდხანს, ის მიტევდა, მე ვიგერიებდი. ბოლოს ვთქვი: სირცხვილი არ არის, რომ მე, დიდი ხელმწიფის ვეზირმა ერთი კუდიანი დედაბერი ვერ დავამარცხო, რაღა პირით ვეჩვენო ჩემს ხელმწიფეს-მეთქი, მოვიკრიბე უკანასკნელი ღონე, მოვუქნიე ხმალი და ცოცხიანად შუაზე გავკვეთე.

ამ დროს გამოქვაბულშიც გაისმა კივილი — ეს გამარჯვების ნიშანი იყო. მართლაც, ჩემი თანამგზავრი უვნებელი გამოვიდა გამოქვაბულიდან და თან ჭრელ ბაღდადში შეხვეული რაღაც გამოიტანა. მე ხმა არ გამცა, ისევ ცხენზე ამხედრდა, — მომყევიო! — მომაძახა და ცხენი გააქროლა. მეც მივყევი.

ვიარეთ ასე ჭენებით, ვიარეთ და ბოლოს ერთ მწვანე მინდორში გავედით. მინდორში მშვენიერი სასახლე იდგა და ირგვლივ ედემისებური ბაღი ერტყა.

გადმოვხტით ცხენებიდან, ჩემი თანამგზავრი სასახლეში შევიდა და ბარი და ნიჩაბი გამოიტანა. შემიყვანა ბაღში, ერთ ხის ძირას მიწა შემომიხაზა და, ეს ადგილი მოთხარეო, — მითხრა. დავიწყე თხრა. ვთხარე, ვთხარე და ერთი ოქროს კუბო აღმოვაჩინე.

— ამოიღე ეგ კუბო და თავი ახადეო, — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა.

ამოვიღე კუბო, შემოვდგი საფლავის ნაპირზე და ავხადე: შიგ ისეთი მშვენიერი ვაჟკაცი იწვა, რომ მის დანახვაზე მტერიც კი ატირდებოდა.

— მე ქალი ვარ და ეს მკვდარი ჩემი შეყვარებულია, — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა, — დედ-მამამ ერთმანეთზე დაქორწინების ნება არ მოგვცეს და ამას სხვა ცოლი მოუყვანეს. იმ ცოლმა უღალატა, ამან სირცხვილს ვერ გაუძლო და მოკვდა. სიკვდილის წინ ანდერძი დამიტოვა, ჩემს შემარ-

ცხვენელს სამაგიერო მიუზღე და საიქიოშიც შენზე მლოცველი ვიქნებიო. მე ადრევე მინდოდა ამესრულებინა ამისი ანდერძი, მაგრამ შენამდე ისეთი ვაჟკაცი არ შემხვდა, რომ კუდიან დედაბერს გამკლავებოდა და ჩემთვის ბრძოლა გაეადვილებინა. დღეს შენ შემხვდი და აი გავიმარჯვე კიდეცო. — ამ სიტყვებით გახსნა აბრეშუმის ხელსახოცი, გამოქვაბულიდან რომ გამოიტანა, და მაჩვენა ერთი მახინჯი, საზიზღარი არაბის თავი. სწორედ ამან აცდინა ჩემი შეყვარებულის ცოლი, ეს იყო მისი სიკვდილის მიზეზი და სამაგიეროც მიიღო. მაგრამ მე უამისოდ სიცოცხლე მაინც აღარ მინდა, ჩემს შეყვარებულს ზედ უნდა დავაკვდე. და სადაც ამდენი სიკეთე მიყავი, სიკვდილის შემდეგ ეს ერთი თხოვნაც შემისრულე: მე ჩემს შეყვარებულთან ერთად დამმარხე, არაბის თავი ქალაქში მარგილზე ჩამოაგე და ჩვენი ამბავი ქვეყანას გააგებინე, სამაგიეროდ მთელი ეს სასახლე, ბაღი და ქონება შენი იყოს და როგორც გინდოდეს, ისე მოიხმარეო.

ამის შემდეგ ჩამოიშალა თმები და თავის საყვარელს დიდხანს გულამოსკვნით დასტიროდა. მერე ამოაძრო სანჯალი, წვერი გულზე მიიდო, ტარი კუბოს მიაბჯინა, დააწვა და ხანჯლის წვერი ბეჭებში გაიგდებინა.

მე, რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე გავაკეთე, როგორც უკანასკნელად მთხოვა, მაგრამ სახლიდან გროშიც არ წამომიღია.

— აბა, დიდებულო სელმწიფევ, — უთხრა ბოლოს მოხუცმა ნავეზირალმა, — ჩემს ცოლს რომ რჩევა არ მოეცა და კარში უიარაღო და ქვეითი გავეშვი, მეც ხომ ჩვენი ვეზირების დღე დამადგებოდა და კუდიანი დედაბერი უფსკრულში ჩამჩეხავდა. ან იმ ქალს რომ თავისი შეყვარებულისათვის ასე არ ეერთგულა და ანდერძი არ აესრულებინა, ის მშვენიერი ვაჟკაცი ხომ საიქიოშიც სულ დატანჯული უნდა ყოფილიყო. ახლა ხომ ხედავთ, რომ ყველა ქალი ერთნაირი არ ყოფილა და ერთგულ, გონიერ დედაკაცს ბევრი კარგი რაღაც შესძლებია. და, თქვე დალოცვილო, ერთი წუნკალი დედაკაცის გულისთვის რომ საქალეთი ამოაგდოთ, ამით ან თქვენ რას მოიგებთ და უქალოდ აწ ქვეყანას რა ეშველება?

ნურც ის გედარდებათ, რომ ის წუნკალი დედაკაცი დაუსჯელი გადარჩა, ბოროტი და ავაზაკი თავის ზნეს არ მოიშლის, ერთხელაც იქნება კიდევ რამეს ამგვარს ჩაიდენს და თავის თავს თვითონ გაპოვნინებსო.

ხელმწიფე მიხვდა თავის შეცდომას და დიდადაც შერცხვა, მოხუცი ნავეზირალი უხვად დაასაჩუქრა და ამ დღიდან სამეფოსაც უფრო გონივრულად და სამართლიანად განაგებდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ამხანაგს ნუ უღალატებ

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. ერთ სოფელში ორი ღარიბი კაცი ცხოვრობდა. ერთხელ მოილაპარაკეს, — ასეთი ღატაკები როდემდე უნდა ვიყოთ, მოდი წავიდეთ სადმე, იქნებ სხვაგან მაინც ბედს ვეწიოთო. ჩაიდეს გუდაში თითო გამხმარი პური, დაიწერეს პირჯვარი და გაუდგნენ გზას.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, პური მოშივდათ, ერთმა უთხრა მეორეს, — მოდი, ჯერ შენი პური ვჭამოთ და მეორედ რომ მოგვშივა, ჩემიო. დათანხმდა მეორე, ამოიღო თავისი პური და ამხანაგს შუაზე გაუყო. დანაყრდნენ და გაუდგნენ ისევ გზას.

იარეს, იარეს და ბოლოს ერთ გზაჯვარედინს მიადგნენ.

— აქ უნდა გავიყარნეთ და თავთავიანთი გზით წავიდეთო, — უთხრა პირველმა.

— მე რომ ნამცეცი პური აღარ დამრჩაო? — უპასუხა მეორემ, პირობა მოაგონა და თავისი წილი ნასევარი პური მოსთხოვა. მაგრამ პირველმა ახლოც არ გაიკარა, — სანამ ერთად მოვდიოდით, საგზალიც ზიარი გვქონდა, ამიერიდან კი ჩვენ ჩვენი გზით უნდა ვიაროთ და საზრდოც თვითონ უნდა ვიშოვოთო.

დაღონდა საწყალი კაცი, მაგრამ დავა არ დაუწყია, „სადაც ამდენი რამ მაკლია, ეგ ერთი პურიც იქ იყოსო", — თქვა გულში, ჩაიქნია ხელი და წავიდა თავისი გზით. ბინდმა ერთ მიტოვებულ ფარღალალა წისქვილთან მოუსწრო. ღია ცის ქვეშ გდებას ისევ თავშესაფარში ღამის გათევა

სჯობიაო, — ჩაილაბარაკა თავისთვის, შევიდა წისქვილში და ხვიმირში ჩაჯდა.

ზის კაცი ხვიმირში და თავის მწარე ხვედრზე ფიქრობს, მშიერს არც ძილი ეკარება. შუაღამისას რაღაც ხმაური შემოესმა, წუთიც და, წისქვილში ერთი დაღლილ-დაქანცული დათვი შევიდა. „ვაი, მუხლებიო!". დაიკვნესა და ბურტყუნით კუთხეში მიეგდო. დათვს მგელი მოჰყვა, არ გასულა დიდი ხანი, რომ ახლა მელია შემოცუნცულდა. „ვაიმე, მუხლები, მუხლებიო!" დაიწუწუნა იმანაც და დათვისა და მგლის გვერდით მიწვა.

ერთხანს სამივენი ჩუმად იყვნენ. მერე დათვმა თქვა:

— ძმებო, ამოდენა ღამეს რა გაათენებს, მოდით, ვთქვათ რამე, ვისაც რა გვინახავს, ან თავს გადაგვხდენია და ღამე ისე გავიყვანოთო.

— მართლაც აჯობებსო,—კვერი დაუკრეს მგელმა და მელიამ.

— მაშ, მოდი და ჯერ შენ დაიწყე, — უთხრა დათვმა მელას, — შენ უფრო ეშმაკი ხარ და ნახვითაც ბევრი რამ გინახავსო.

— ჩემი თავი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოსო, — თქვა მელიამ, ტუჩები მოილოკა, ამოიკეცა ფაფუკი კუდი და უკანა ფეხებზე წამოყუნცდა.

— აქვე, გვერდით, ერთი პატარა ნაკადული რომ ჩამოჩუხჩუხებს, ხომ იცითო? — იკითხა.

— როგორ არ ვიცითო, — უპასუხეს დათვმა და მგელმა.

— აი, სწორედ იმ წყლის ნაპირზე ერთი თაგვი ცხოვრობს. იმდენი ოქრო აქვს, იმდენი, რომ ბარეშ ერთ სასელმწიფოს ეყოფა. მზიან დღეებში გამოფენს ხოლმე კარში და აშრობს. აბა რად უნდა თაგვს ოქრო? გაწა უკეთესი არ იქნება, რომ ეს საიდუმლო ვინმე საწყალმა კაცმა იცოდეს, წაიღოს ის ოქროები და მოიხმაროს, თაგვს კი თხილი ან კაკალი მიუტანოს, იმას ის ურჩევნიაო.

დათვმა ახლა მგელს უთხრა, შენი ჯერიაო, და მგელმაც დაიწყო:

— მაშრიყის ხელმწიფე უძეო იყო და სულ შვილს ნატრობდა. სიბერის ჟამს ვაჟიშვილი შეეძინა, მაგრამ კაცს რომ

ბედი არ ექნება, ეგ არის: ბავშვი ცოტა რომ მოიზარდა, ავად გაუხდა და აგე უკვე ათი წელიწადია, ლოგინში უწევს. არც კვდება, არც რჩება, რაღა არ იღონა ხელმწიფემ, მთელი ქვეყნის ექიმები და მისნები დღე და ღამე თავზე ადგანან, მაგრამ ვერაფერს შველიანო.

— მერე და, შენ იცი, რა მოარჩენსო? — ჰკითხა მელიამ.

— როგორ არ ვიცი, — უთხრა მგელმა, — ცხრა მთას იქით ერთი სახელგანთქმული მეცხვარეა. მეცხვარეს ფარაში ერთი ყბაშავი ცხვარი ურევია. ის ცხვარი რომ დაკლან და იმისი გულ-ღვიძლი შეაჭამონ, მაშინვე ფეხზე წამოხტება. რა კარგი იქნებოდა, რომ ამას ვინმე საწყალი კაცი გაიგებდეს, ავადმყოფსაც გადაარჩენდა და თვითონაც გამდიდრდებოდა, — ხელმწიფე თავის წონა თვალ-მარგალიტს აჩუქებსო.

ჯერი დათვზე მიდგა.

— აბა, ჩვენო ბიძავ, ერთი კარგი რამ შენც გვითხარიო, — უთხრეს მგელმა და მელამ.

დათვმა ჩაახველა და დაიწყო.

— აქ, მთის ძირას, ერთი დიდი სოფელია. სალხს მიწა რომ აღარ ეყო, ტყე გაკაფეს და ახოები გაიკეთეს. ტყის გაჩეხვის გამო კი, როგორც ყოველთვის ხდება, წყაროები დაშრა და სოფელი უწყლოდ დარჩა. ახლა ხალხი დიდ გასაჭირშია, — სასმელ წყალს ერთი დღის სავალიდან ეზიდებიან და ის კი არ იციან, რომ წყალი იქვე, გვერდითა აქვთ: სოფლის პირას ერთი ტინი კლდეა, ის კლდე არშინზე რომ გამოთხარონ, იმდენი წყალი გადმოვა, რომ თუნდა ათ სოფელს ეყოფა. რა მადლი იქნებოდა, რომ ეს საიდუმლო, ვინმე ღარიბ-ღატაკმა კაცმა იცოდეს და იმ სოფელს წყალს გამოუყვანდეს, სალხი იმდენ ფულსა და საქონელს მისცემს, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ეყოფაო.

— ძმებო, ჩვენ საუბარში გავერთეთ და თავზე კი დაგვთენებია, — წამოიძახა მელიამ, — ავჩქარდეთ, თორემ აქ თუ მონადირემ მოგვისწრო, ცოცხლები ვერ გადავურჩებითო, — წამოხტა, გაიბერტყა კუდი და ისარივით გავარდა კარში. დათვი და მგელიც უკან მიჰყვნენ.

მთელი ეს ნალაპარაკევი ღარიბმა კაცმა კარგად დაიმახსოვრა, გათენებისთანავე ხვიმირიდან ამოძვრა, დაკრიფა ერ-

თი გუდა თავბროლი თხილი და პირდაპირ წისქვილის გვერ-
დით ჩამომდინარე ნაკადულისაკენ წავიდა. აპყვა ხევ ხევ და
მართლაც ერთ ადგილას მზეზე გაფენილი ოქროები დაინახა,
თაგვიც იქვე იყო, მხართეძოზე წამოწოლილი და თავისი
სიმდიდრის ცქერით ტკბებოდა. თაგვმა მოჰკრა თუ არა თვა-
ლი ადამიანს, შეშინებული მაშინვე სოროში შევარდა. კაც-
ზა მოიხსნა თავისი ტყავის გუდა, თხილი სოროს პირას
წამოყარა, გუდა ოქროებით გატენა, რაც გუდაში არ ჩაეტია,
ჯიბეებსა და უბეში ჩაიყარა და გახარებული სახლისაკენ
წამოვიდა. შევიდა შინ, მოხსნა გუდას პირი და მთელი ოქ-
რო ტახტზე დაასვავა. უბიდან და ჯიბეებიდანაც ამოყარა
და აქამდე სიღარიბისაგან გატანჯულ ოჯახში იმედი და
სიხარული შეიტანა. ცოლი და შვილები თვალს არ უჯერებ-
დნენ და გახარებულები ჩქარ-ჩქარა ეკითხებოდნენ:

— სულ ჩვენია ეს ოქროები, მართლა ჩვენიაო?

— თქვენია, სულ თქვენიო, — ეუბნებოდა კაცი და ცოლ-
შვილის სიხარულით თვითონაც ტკბებოდა.

— გვითხარი მაინც, ვინ მოგცა ამოდენი ოქრო, სად იშო-
ვეო? — ჰკითხა ბოლოს ცოლმა.

— ჯერ ნურაფერს მკითხავთო, — უთხრა კაცმა, — სა-
ჩქაროდ პური მაჭამეთ, რომ დრო არ დავკარგო და ამის-
თანას სხვასაც ბევრს მოგიტანთო.

ცოლმა მოუტანა გამხმარი მჭადპურა, ქმარმა აატეხა ცა-
ლი ყუა, ალა-ულით შეჭამა, გამოემშვიდობა ცოლ-შვილს და
გაუდგა ისევ გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს კითხვა-კითხვით მივიდა
იმ სოფელში, სადაც ხალხი უწყლობით იტანჯებოდა, გამო-
ეცხადა სოფლის მამასახლისს და უთხრა:

— რას მომცემ, რომ შენს ხალხს წყალი გამოვუყ-
ვანოო?

— კომლზე თითო თუმან ფულსა და თითო ძროხას მოგ-
ცემთო, — უთხრა მამასახლისმა.

— თანახმა ვარ, — დათანხმდა კაცი, — ოღონდ ერთი
ოთხიოდე კაცი გამომაყოლე ბარ-წერაქვებით და დილაზე
შენს ხალხს პირს წყაროს წყლით დავაბანინებო.

მამასახლისმა ოთხის მაგიერ, ათი გააყოლა. წაიყვანა

კაცმა მუშები, მიიყვანა სოფლისპირა კლდესთან და თხრა დააწყებინა. ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო სოფელს. იმ ღამეს არავის სძინებია. დიდი თუ პატარა მოუთმენლად მოელოდა გათენებას.

და მართლაც, ჯერ ისევ დილაბნელი იყო, რომ ნათხარიდან ალაზნისტოლა წყალმა ამოხეთქა. სოფელი სიხარულისაგან ცას ეწია, იყო ერთი ზეიმი, ლხინი, სიმღერა, კაცს ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ და მარჯვენას ულოცავდნენ. ბოლოს მისცეს დაპირებული ფული, ათას სულამდე საქონელი — ძროხა, ცხენი, ხარ-კამეჩი და გამოისტუმრეს.

კაცმა ეს ახალი სიმდიდრეც სახლში მიიტანა, ცოლი და შვილები უარესად გაკვირდნენ, — საიდან მოგაქვს ამდენი სიმდიდრეო? მაგრამ კაცმა არც ამჯერად გაუმხილა, ფული ცოლს ჩააბარა, საქონელი — შვილებს, და თვითონ ისევ უკან გაბრუნდა.

იარა კაცმა, იარა და მივიდა მაშრიყის ქვეყანაში. მთელი ქვეყანა ძაძებში იყო გახვეული, სახლებზე შავი დროშები გადმოეკიდათ და ხალხსაც სულ შავები ეცვა. კაცი შეფიქრიანდა, ხელმწიფის შვილი იქნებ კიდევაც მოკვდაო, და ერთ დედაბერს ჰკითხა:

— დედაშვილობას, მითხარი, რატომ გაცვიათ ყველას შავი ტანსაცმელი და ან შავი დროშები რადა გაქვთ გადმოკიდებულიო?

— ეს, შვილო, გეტყობა, უცხო ხარ და არ იცი,—დაიწუწუნა დედაბერმა, — ამისი მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენს ხელმწიფის შვილს რაღაც ავი სული დაეპატრონა. ეს ათი წელიწადია, ლოგინად არის ჩავარდნილი და აღარც ამ ქვეყნისაა, აღარც — იმ ქვეყნისა. ავი სულის გულის მოსაგებად ხელმწიფემ გლოვა გამოაცხადა და იმ დღიდან ძაძები არავის გაუხდია. აი ამ გასაჭირში ვართ და აღარ გვგონია,თუ სიხარული კიდევ როდისმე გვეღირსებაო.

— წამიყვანე ხელმწიფესთან და იმ ავადმყოფს მე მოვარჩენო, — უთხრა კაცმა.

— მაგაზე უკეთესს რას იზამ, შვილო, — უთხრა დედაბერმა, — ჩვენც გვიშველი და შენს თავსაც გააბედნიერებ, — ხელმწიფე იმდენ ოქროსა და თვალ-მარგალიტს მოგცემს,

რომ შენს სიცოცხლეში აღარაფერი გაგიჭირდებაო, — გაუ-ღვა კაცს წინ და წაიყვანა ხელმწიფის სასახლისაკენ, თან გულში უხაროდა, ხელმწიფეს ამისთანა კაცს რომ მივუყვან, მეც უსვად დამასაჩუქრებსო.

მივიდნენ სასასლეში, შევიდნენ ხელმწიფესთან და დე-დაბერმა მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, აი, ეს კაცი ქუჩაში შემხვდა, მითხრა, ხელმწიფის შვილს მოვარჩენო, და პირდაპირ თქვენ-თან წამოვიყვანეო.

ხელმწიფე ზედმეტი სიხარულისაგან მაშინვე ფეხზე წა-მოდგა და კაცს ჰკითხა, — მართლა მოარჩენო?

— მოვარჩენ, დიდებულო ხელმწიფევ, — მიუგო კაცმა,— მაგრამ წამალი თან არა მაქვს და მის მოსატანად ერთი-ორი დღით წასვლა დამჭირდებაო.

— თუნდაც ერთი კვირით წადი, — უთხრა ხელმწიფემ,— ოღონდ ნუ დაიგვიანებ, შვილი მომირჩინე და რასაც ინატ-რებ, შეგისრულებო.

კაცის მიყვანისათვის ხელმწიფემ მართლაც უხვად და-ასაჩუქრა დედაბერი და გაისტუმრა. კაციც გამოემშვიდობა ხელმწიფეს და თავისი გზით წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მიაგნო იმ მეცხვარის ბინას, რომლის ფარა-შიც ყბაშავი ცხვარი ერია.

— გამარჯობა, ძმობილო! — მიესალმა კაცი.

— გაგიმარჯოს და მშვიდობა შენს მოსვლას, — უპასუ-ხა მეცხვარემ და შეეკითხა, — რა გაგჭირვებია, რაზე გარ-ჯილხარო? — კაცმა უთხრა რისთვისაც იყო მისული.— ახლა შენ იცი და შენმა კაცობამო, — დაუმატა ბოლოს,— ის ყბაშავი ცხვარი გინდა მომყიდე, გინდ სესხად მომეცი და აქედან ხელცარიელს ნუ გამისტუმრებო.

მეცხვარეს გაეცინა და უთხრა:

— შე კაი კაცო, ერთ ცხვარში რა ფასი და სესხი მინდა, წაიყვანე და წამლად შეერგოს შენს ავადმყოფსო. — შევიდა ფარაში, გამოიყვანა ყბაშავი ცხვარი და მისცა.

კაცმა დიდი მადლობა გადაუხადა, შეისვა ცხვარი კისერ-ზე და წამოვიდა. ქალაქში ის ნაცნობი დედაბერი მოძებნა, დაკლა ცხვარი, ხორცი დედაბერს მისცა, გულ-ღვიძლი კი

მოხარშა, დააწყო თეფშზე, მაღლიდან ხელსახოცი გადააფარა და წავიდა ხელმწიფესთან, ხელმწიფემ ჰკითხა:

— მკურნალობისთვის კიდევ ხომ არაფერი გჭირდებაო?

— არაფერი, დიდებულო ხელმწიფევ, მხოლოდ მე და ავადმყოფი დრომდე მარტონი დაგვტოვეთო,—უთხრა კაცმა. ხელმწიფე, რა თქმა უნდა, ამაზეც დათანხმდა. თვითონვე შეიყვანა შვილის ოთახში და კარები გამოუხურა.

კაცმა მოხსნა ხელსახოცი თეფშს. აიღო ღვიძლის ერთი ნაჭერი და ავადმყოფს ძალით ჩაუდო პირში, ხელმწიფის შვილმა რის ვაივაგლახით დაღეჭა ლუკმა და გადაყლაპა, გადაყლაპა და იმავ წამს თვალები გაახილა.

— უჰ, რა გემრიელია! — წამოიძახა ხმამაღლა და ტუჩები მადიანად გააწკლაპუნა. გლეხმა მეორე ნაჭერიც ჩაუდო, ხელმწიფის შვილმა ეს ნაჭერი უკვე გაუჭირვებლად დაღეჭა და მესამე ლუკმა თვითონვე მოითხოვა. ავადმყოფი თანდათანობით მომჯობინდა. ბოლოს ლოგინიდანაც წამოდგა და კაცს უთხრა:

— მომეცი თეფში, ახლა ჩემი ხელითაც შევჭამო.

მთელმა სასახლემ ხელმწიფის შვილის ოთახთან მოიყარა თავი. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა მკურნალობის შედეგს. ამ დროს გამოვიდა კაცი და ხელმწიფეს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, შენი შვილი უკვე ფეხზე დგას და სადილს მიირთმევს, შებრძანდით და ნახეთო.

შეცვივდნენ ხელმწიფე და დედოფალი და მორჩენილ შვილს გადაეხვივნენ. ხან დედა ჰკოცნიდა, ხან — მამა. კარებზე მდგარი შინამოსამსახურენი და ნაზირ-ვეზირები ბედნიერ დედ-მამას მემკვიდრის გადარჩენას ულოცავდნენ. იყო ერთი ლხენა და სიხარული.

ბოლოს ხელმწიფემ, შვილის ალერსით რომ გული იჯერა, კაცი ისევ ოთახში შემოაყვანინა და ჰკითხა:

— რას ითხოვ, რით გადაგიხადო სამაგიეროო?

— მე ბევრი არაფერი მინდა, დიდებულო ხელმწიფევ, — უთხრა კაცმა,— სოფელში სახლი არ მივარგა და, თუ ერთ პატარა სახლს ამიშენებთ, მადლობელი ვიქნებიო.

რაკი საზღაურს არ დახარბდა, ეს კაცი ხელმწიფეს უფ-

რო მოეწონა, მისცა უთვალავი ფული, თვალ-მარგალიტი და გამოისტუმრა. თან ვეზირი, რჩეული კალატოზები და მუშები გამოაყოლა და უბრძანა:

— ამ კაცს მარმარილოს სასახლე დაუდგით, გარშემოც მარმარილოს გალავანი შემოავლეთ და შიგნით ხეხილის ბაღი გაუშენეთო.

მოვიდნენ თუ არა კაცის სოფელში, მუშები იმავ დღეს საძირკვლის გაჭრას შეუდგნენ, მოზიდეს ქვა, კირი და ერთ თვეში სწორედ ისეთი სახლი და ეზო-კარმიდამო აუშენეს, როგორიც ხელმწიფემ დაავალა. დაულოცეს სახლკარი და წავიდნენ.

გადაბარგდა კაცი მარმარილოს სასახლეში და დაიწყო ბედნიერი ცხოვრება. გაიგო იმისმა ამხანაგმა ეს ამბავი და გული შურით აევსო. მივიდა ერთ დილას და ჰკითხა:

— ძმაო, სიმართლე მითხარი, ეს ამოდენა დოვლათი როგორ და რა გზით შეიძინეო?

— სიმართლითო, — უთხრა კაცმა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო — როგორ დაუღამდა გზაში, როგორ დაბინავდა წისქვილში ღამის გასათევად, როგორ შემოვიდნენ დათვი, მგელი და მელა, და მათგან რა და რა საიდუმლო გაიგო. — ასეა, ჩემო ძმაო, — დაუმატა ბოლოს, — მე ჩემი საგზალი ალალად რომ გაგიყავი, ღმერთმა გადმომხედა და აი, ამოდენა სიმდიდრის პატრონი გამხადა. შენ კი მიღალატე, ამხანაგისათვის ლუკმა ვერ გაიმეტე და უცხო გზაზე მშიერი გამიშვი, ხელიც სწორედ ამიტომ მოგეცარა და ვერაფერი ისარგებლეო.

ამხანაგს შური უფრო მოედო. იფიქრა, მოდი წავალ იმ წისქვილში და ღამეს გავათევ, იქნებ მეც გავიგო რამე და ბედს ვეწიოო. იმავე დღეს აიკრა გუდა-ნაბადი, ცოლსაც კი არ გააგებინა, ისე გაუდგა გზას. შებინდებისას უკვე წისქვილთან იყო, შევიდა შიგ, ჩაჯდა ხვიმირში და სული განაბა. დაღამდა თუ არა, ჯერ დათვი შევიდა, მერე მგელი და ბოლოს მელიაც შემოცუნცულდა. ასლაც დაღლილები კუთხეში მიეყარნენ. ჯერ ჩუმად იყვნენ, მერე დათვმა დაიბურტყუნა:

— ძმებო, რას გავჩუმებულვართ, რამდენი ხანია, ამ

წისქვილში აღარ შევკრებილვართ და ერთმანეთისთვის აღარაფერი გვიამბნია, ვთქვათ რამე, გული გადავაყოლოთ და ღამეც შევიმოკლოთო. — და პირველად ისევ მელიას უთხრა, — შენ დაიწყე, შენ უფრო კარგი ამბები გეცოდინებაო.

— როგორ არ ვიცი, — თქვა მელიამ და კვლავ კუდზე წამოყუნცდა, — გახსოვთ, ძმებო, მაშინ რომ გიამბეთ, წყლის პირას ერთ თაგვს სოროდან ოქროები გამოაქვს და მზეზე აშრობსო?

— გვახსოვს, გვახსოვსო, — შესძახეს მგელმა და დათვმა.

— ჰოდა, ამ წინაზე ის თაგვი შემხვდა ცამდე გახარებული: სოროსთვის ვიღაც კაცს მიუგნია, ის ოქროები წაუღია და სამაგიეროდ იმდენი თხილი მიუტანია, რომ თაგვს სიკვდილამდე ეყოფა.

— ერთი ასეთი ამბავი მეც ვიცი, — წამოიძახა მგელმა, — მაშინ რომ გიამბეთ, ერთ ხელმწიფეს შვილი ჰყავს ავად და ყბაშავი ცხვრის გულ-ღვიძლის მეტი არაფერი მოარჩენსო, ეს საიდუმლო ვიღაც კაცს გაუგია, გამოურთმევია მეცხვარისთვის ის ყბაშავი ცხვარი, უჭმევია ხელმწიფის შვილისათვის იმისი გულ-ღვიძლი და ავადმყოფი იმავ დღეს ფეხზე წამოუყენებია. ამბობენ, ხელმწიფემ იმ კაცს მარმარილოს სახლი აუშენა და იმდენი ოქრო მისცა, რომ იმის შვილიშვილებსაც კი ეყოფაო.

— რაკი აგრეა, ახლა ერთ ამბავს მეც გეტყვითო, — დაიბურტყუნა დათვმა, — ალბათ მაშინდელი ჩემი ნაამბობიც გეხსომებათ, ერთი სოფელი უწყლობით რომ იხრჩობოდა და სოფლის პირა კლდეში კი ალაზნისტოლა წყალი იყო დაგუბებული. ეს საიდუმლოც ვიღაც კაცს გაუგია, მისულა იმ სოფელში, გაუთხრევინებია კლდე და ისეთი ცივცივი წყალი გამოუყვანია, რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს. სამაგიეროდ სოფელს იმ კაცისათვის იმდენი საქონელი მიუცია, რომ იმისი ნახირი და ცხვრის ფარები აღარსად ეტევაო.

— ძმებო, — დაიძახა უცბად მელიამ, — იმ ღამეს ჩვენ ვიღაცამ ჩუმად მოგვისმინა, თორემ სხვანაირად ამ საიდუმლოებას ვერავინ მიაგნებდაო.

— მართალი ხარო, — კვერი დაუკრეს დათვმა და მგელ-

ზა, — ნამდვილად ყურს ვიღაც გვიგდებდა, ჩვენი ნალაპარაკევი სიტყვასიტყვით აკრიფა და გამოიყენა კიდეცო.

— იქნებ ახლაც ვინმე გვისმენსო? — დაეჭვდა უცბად ზელია.

— ეგეც შესაძლებელიაო, — უთხრა დათვმა და თან დაუმატა: — დამალულის პოვნა შენ უფრო გეხერხება, აბა ერთი ზიიარ-ზოიარე და კარგად მოჩხრიკე, ემანდ მართლა არავინ გვისმენდესო.

წამოხტა ზელია, აფშიკა კუდი და ოთხივე კუნჭული გულდასმით მოათვალიერა, ზერე საფქვილე ალაში ჩაიხედა, ბოლოს სვიმირზე შეხტა და შიგ მობღუნძული კაცი რომ დაინახა, ყვირილი გააბა:

— სვიმირში კაცი ზის, სვიმირში კაცი ზისო!

წამოცვივდნენ დათვი და ზგელი. ამოათრიეს კაცი სვიმირიდან და გასწიეს და გამოსწიეს. თქვენს მტერს, რაც იმას დღე დააყენეს, ძვალი და რბილი სულ გაუერთიანეს, რის ვაივაგლახით გადაურჩა ცოცხალი, წამოვიდა შინისაკენ ლასლასით და თავისი საქციელი — ამხანაგისათვის ღალატი, ზწარედაც ინანა, მაგრამ სინანულით წამხდარ საქმეს ვეღარაფერი უშველა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სამი სიბრძნე

იყო და არა იყო რა, ერთ სოფელში ერთი მეტისმეტად ღარიბი კაცი ცხოვრობდა. დღე და ღამეს ასწორებდა. მაგრამ ცოლ-შვილი მაინც მშიერი და შიშველ-ტიტველი დაუდიოდა, ბოლოს, სიღარიბემ ძალიან რომ შეაწუხა, თავის ცოლ-შვილს უთხრა:

— მიჭირს თქვენთან დაშორება, მაგრამ რა ვქნა, თუ ერთი-ორი წლით სადმე არ წავედი და სარჩო არ ვიშოვნე, ისე არაფერი გვეშველებაო.

გამომშვიდობებისას ცოლმა უთხრა:

— წადი, ეგებ ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ოღონდ ამას კი გეხვეწები, სამ წელიწადზე მეტს ნუ დაიგვიანებ, თუ ბედს ეწიე, ხომ კარგი, თუ არა და, შინ დაბრუნდი და სანამ ცოცხლები ვიქნებით, ერთმანეთის გვერდით მაინც ვიყოთო.

გადაკოცნა კაცმა თავისი ცოლ-შვილი და გაუდგა გზას. მიდის დღე და ღამე შეუსვენებლად. საგზალი გაუთავდა, ტანსაცმელი ტანზე შემოადნა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავდა, შიმშილს ტყის კენკრითა და ბალახების ძირებით იოკებდა, ტანზე შემოკონკილ ძველმანებს იფარებდა და მიდიოდა. ასე იარა, იარა და დაკონკილ-გადასავათებული ბოლოს ერთი ბრძენი ხელმწიფის სატასტო ქალაქში შევიდა, მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— ბრძენო ხელმწიფევ, ერთი ღარიბ-ღატაკი კაცი ვარ, შორი გზიდან მოვდივარ და სამუშაოს დავეძებ, ქენი მადლი, დამიყენე მოჯამაგირედ და რისი ღირსიც ვიქნები, ის საფა-

სური მიბოძე, ბევრს არ მოვითხოვ, ჩემი საცოდავი ცოლ-შვილი მცირედითაც კმაყოფილი იქნებაო.

ბრძენმა ხელმწიფემ მოუსმინა და პირდაპირ ჰკითხა:

— წელიწადში რამდენი მოგცეო?

ღარიბი კაცი შეფიქრიანდა, არ იცოდა, რამდენი მოეთხოვა და ყოყმანობდა: ბევრი ვთხოვო, ვაითუ, სულაც უარი მითხრას, არადა, მეც ცოდო ვარო. ბოლოს გაბედა და მოახსენა:

— წელიწადში სამ თუმნად გემსახურებიო.

— კარგიო, — დათანხმდა ხელმწიფე, — სამ თუმანს მოგცემო, მაგრამ ერთი პირობით: წლის ბოლოს თუნდა სამი თუმანი მიიღე და შენი გზით წადი, თუნდა ერთ სიბრძნეს გასწავლი და ფული მე დამრჩესო.

დადეს პირობა და დარჩა კაცი ბრძენი ხელმწიფის კარზე.

დაიწყო სამსახური და თანაც როგორი! გახარებული, რომ წლის ბოლოს თავის მშიერ ცოლ-შვილს სამ თუმანს მივუტანო, დღე და ღამე არ ისვენებს, რა გინდა, რომ იმისი ხელიდან არ გამოვიდეს. აკეთებს ყველაფერს ერთგულად და მოსაწონად და ხელმწიფე ძალიან კმაყოფილია თავისი ახალი მოჯამაგირით.

ასე გავიდა ერთი წელიწადი.

მივიდა კაცი წლის ბოლოს ხელმწიფესთან და დანაპირები ჯამაგირი მოსთხოვა:

— მიბოძეთ ჩემი ჯამაგირი და წავალო.

ბრძენმა ხელმწიფემ უსიტყვოდ გახსნა სპილოს ძვლის ზარდახშა, ამოალაგა ვერცხლის მანეთიანები და ოცდაათი ცალი დაულაგა წინ. მერე უთხრა:

— აჰა, აი შენი ჯამაგირი, ალალი, გამრჯე კაცი ხარ და გეკუთვნის, ახლა თუ გინდა, ეს ფული აიღე და წადი, თუ გინდა, ერთ სიბრძნეს გასწავლი, როგორც პირობა გვქონდა, და ფული ისევ მე დამრჩესო.

დაფიქრდა კაცი. რა ქნას, — სიბრძნეც უნდა და აღარც ფული ეთმობა. ბოლოს, ისევ ცოდნის სურვილმა დასძლია, ფული მალე გამითავდება, ცოდნა კი ულეველი განძიაო, თქვა გულში და დათანხმდა, — მასწავლეო.

ბრძენმა ხელმწიფემ ფულები ისევ ზარდახშაში ჩაყარა და კაცს ეს სიბრძნე ასწავლა:

— ვინც რა უნდა გკითხოს, პასუხს მაშინვე ნუ მიახლი, კარგად დაფიქრდი, აწონ-დაწონე და მერე უპასუხეო.

კაცი დაღონდა, ეს ხომ აქამდეც ვიცოდიო. — ეჰ, — თქვა გულში, ფულიც დავკარგე და ვერც დიდი რამ საცოდარი შევიძინეო. ხელმწიფე მიუხვდა დაღონების მიზეზს, მაგრამ არ შეიბრალა, — როდისმე გამოსცდის და თვითონ მიხვდებაო, თქვა გულში და მოჯამაგირეს გზა დაულოცა. მაგრამ კაცი წასვლას არ ჩქარობდა, ან როგორ დაბრუნებულიყო შინ ხელცარიელი? ბევრი ფიქრის შემდეგ კიდევ ერთ წელიწადს დარჩენა გადაწყვიტა და ხელმწიფეს მოასსენა:

— ბრძენო ბატონო, რომ წავიდე, სად წავიდე, რა მივუტანო ჩემს მშიერ ცოლ-შვილს, შენს დღეგრძელობას, ერთი წელი კიდევ მიმსახურე და მერე წავალო.

ბრძენი ხელმწიფე უყოყმანოდ დათანხმდა, მხოლოდ ის უთხრა, ჯამაგირს რას მოითხოვო?

კაცმა იფიქრა, მოდი, ცოტა მეტს ვეტყვი, იქნებ მომცეს და იმ გასული წლის ჯამაგირიც ავინაზღაუროო, და ათი თუმანი მოსთხოვა.

— კარგი, შვილო, მოგცემ ათ თუმანს, — უთხრა ხელმწიფემ, — გამრჯე ბიჭი ხარ და გეკუთვნის. წლის ბოლოს უკლებლად დაგითვლი, ოღონდ კვლავ შენი ნებაა, გინდა ფული წაიღე, გინდა ერთ სიბრძნეს კიდევ გასწავლი და ფული მე დამრჩესო.

კაცი დათანხმდა და შეუდგა სამსახურის ასრულებას, ერთგულებით და მუყაითობით შარშანდელს ორმაგად გადაჭარბა. გავიდა წელიწადი, კაცი გახარებულია: ხუმრობა ხომ არ არის, ცოლ-შვილს ათ თუმანს მიუტანს და სამუდამოდ მორჩებიან შიმშილსა და გაჭირვებას.

ბრძენმა ხელმწიფემ ჩვეულებრივ გახსნა ზარდახშა, დაუთვალა ათი თუმანი სულ ვერცხლის მანეთიანები და უთხრა:

— აი, შვილო, შენი ერთი წლის ჯამაგირი, თუ გინდა, აიღე და წადი, თუ არადა — ერთ სიბრძნეს გასწავლი და, როგორც პირობა გვქონდა, ფული მე დამრჩესო.

ღარიბ კაცს მშიერ-ტიტველი ცოლ-შვილი ეელანდებოდა და გაპრიალებული ვერცხლის მანეთიანებს სულწასულად დაჰყურებდა, მაგრამ ამჯერადაც სძლია ცდუნებას, ფულს ისევ ცოდნა ამჯობინა და ბრძენ ხელმწიფეს უთხრა:

— მასწავლე და ფული ისევ შენი იყოსო.

ხელმწიფემ ფულები ისევ ზარდახშაში ჩააბრუნა და თავის მოჯამაგირეს ასეთი დარიგება მისცა:

— რისი გაკეთების იმედიც არა გქონდეს, იმ საქმეს ხელს ნუ მოჰკიდებ და მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები, ჯერ საკუთარი ძალა და უნარი კარგად აწონ-დაწონე და საქმეს მერე შეუდექიო.

კაცმა ეს სიბრძნე კი ისწავლა, მაგრამ მშიერ-ტიტველ ცოლშვილს რა მიუტანოს? ეს რომ გაახსენდა, თვალებიდან ცხარე ცრემლი გადმოყარა. დგას დაღონებული, გულაგიზგიზული და აღარ იცის, რა გააკეთოს. ხელმწიფემ უყურა, უყურა და ბოლოს უთხრა:

— წადი შინ, რაღას ელოდებიო?

— რომ წავიდე, სად წავიდე, — უთხრა კაცმა, — როცა ჯიბეში საგზაოდ გროშიც არ მიგდია. მოდი, ბატონო, შენმა დღეგრძელობამ, ერთი წელიწადი კიდევ მიმსახურეო.

ხელმწიფეს ძალიან შეუყვარდა ეს კაცი ერთგული სამსახურისათვის და მაშინვე დათანხმდა, თან ანუგეშა:

— შენი ფული რომ ჩემთან რჩება, ამაზე არ იდარდო, სამაგიეროდ ისეთს რასმეს იძენ, რაც ფულს ათჯერ ჯობია. მართალია, ფულიც დიდი განძია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ფული ჯიბეში უნდა შეინახო, ჯიბიდან კი ან დაგეკარგება, ან მოგპარავს ვინმე, შეიძლება გზაში ყაჩაღები დაგესხნენ და ძალითაც წაგართვან, ცოდნა კი თავში იდება და ყოველმხრივ ხელშეუხებელიც არის, სიკვდილამდე არ გამოგელევა და ქონება-ცხოვრებასაც უფრო მეტს შეგძენსო. — ბოლოს ჰკითხა: — რას ითხოვ ამ მესამე წელიწადსო?

კაცმა იფიქრა, რაკი ასე მოსწონს ჩემი ერთგული სამსახური, იქნებ ჯამაგირი მომიმატოსო და კრძალვით და მორიდებით ოცდაათი თუმანი მოსთხოვა.

— კარგი, შვილო, მოგცემ ოცდაათ თუმანს, — უთხრა ხელმწიფემ.

— წელიწადს რომ შეასრულებ, დაგითვლი შენს ჯამაგირს და როგორც ჭკუა გაგიჭრის, ისე მოიქეცი. — თუნდა ფული წაიღე, თუნდა ერთ სიბრძნეს კიდევ გასწავლი და ფული ისევ მე დამრჩესო.

დადეს ასეთი პირობა და შეუდგა ღარიბი კაცი მესამე წელიწადს მოჯამაგირეობას. რაკი ჯამაგირი მოემატა, მუშაობასაც უმატა, დღედაღამ ჯარასავით ტრიალებს, არც ძილი იცის, არც — დასვენება და ორი დღის საქმეს ერთ დღეში ასწრებს.

გავიდა მესამე წელიწადიც. კაცი სიხარულით აღარ არის, მშიერ ცოლ-შვილს ოცდაათ თუმანს მიუტანს და ყველა ნაკლსა და გაჭირვებას სამუდამოდ დაავიწყებს. დაუძახა ბრძენმა ხელმწიფემ ბოლო დღეს, გახსნა ზარდახშა, დაუთვალა ოცდაათი თუმანი, დაულაგა წინ და უთხრა:

— აი, შვილო, შენი ერთი წლის ჯამაგირი, ახლა თუნდა ეს ფული წაიღე, თუნდა ერთ სიბრძნესაც გასწავლი და ფულს მე დავიტოვებო.

ბრჭყვიალა ფულის ყურებით კაცს ლამის თვალები გადმოსცვივდეს, აღარ იცის, რა ქნას, — აიღოს თუ დასთმოს. დგას და მეტისმეტი ღელვისაგან ხელები უკანკალებს. ხელმწიფემ კიდევ შეახსენა:

— ჰა, ნუღა მაცდენ, ან ფული აიღე, ან სიბრძნეს გასწავლიო.

კაცმა ცოტახანს კიდევ იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა, — მართალია, ფული ახლა ძალიან მიჭირს, მაგრამ იქნებ სიბრძნე უფრო სჯობდეს და ჩემს გაჭირვებულ ცოლ-შვილს ამ ცოდნით უფრო მეტი ვარგოო, და ხელმწიფეს უთხრა:

— დამითმია ფული, ისევ სიბრძნე მირჩევნიაო.

ბრძენმა ხელმწიფემ დინჯად, აუჩქარებლად მოხვეტა ოქროს თუმნიანები, ჩაყარა ზარდახშაში და კაცს უთხრა:

— აი, შვილო, ჩემი სწავლა ამჯერად ეს იქნება, — რაც შენი თვალით არ დაინახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო.

კაცს ხელახლა მოჯამაგირედ დადგომა აღარ შეეძლო, ცოლ-შვილისათვის მიცემული პირობის ვადა — სამი წელი უკვე ამოიწურა, ცოლ-შვილს მკვდარი ეგონებოდა და უფრო დაღონდებოდნენ, რაღა უნდა ექნა? ადგა და როგორიც მივიდა ამ ხელმწიფესთან, ისეთივე უქონელი და შიშველ-ტიტველი წამოვიდა, თან სულ ოხრავდა და თვალებიდან ცრემლი სდიოდა.

დაადგა ეს საწყალი კაცი თავისი სოფლისაკენ მომავალ გზას, მოდის მშიერ-ტიტველი და თვალცრემლიანი, ერთგან საჭმელს ითხოვს, სხვაგან — ძონძებს და თავი ასე გააქვს.

იარა ასე გაჭირვებით, იარა და ბოლოს ერთ სახელმწიფოში შევიდა. ამ ქვეყნის ხელმწიფეს ცოლად ჰყავდა ბაყაყი. ეს ბაყაყი სინამდვილეში მზეთუნახავი ქალი იყო, მაგრამ ჯადოთი იყო შეკრული და სანამ მის ქალობას ვინმე არ ამოიცნობდა, თავის ნამდვილ სახეს ვერ დაიბრუნებდა.

ბაყაყს ძალიან უნდოდა, ასეთი კაცი შეხვედროდა, მაგრამ ვისაც კი დაიჭერდნენ ქალაქში უცხოს, მიიყვანდნენ და ბაყაყს აჩვენებდნენ, ყველა გაიძახოდა, — ბაყაყიაო. ამის თქმაზე მოსჭრიდნენ თავს და სასახლის ირგვლივ კაცის თავების გალავანს უმატებდნენ. ამ ხათაბალას ვერც ეს კაცი ასცდა. შევიდა თუ არა ქალაქში, მაშინვე ხელი სტაცეს და ხელმწიფის სასახლისაკენ გააქანეს. შეიყვანეს დიდ, მშვენიერ მორთულ დარბაზში, დააყენეს ბაყაყის პირდაპირ და ჰკითხეს:

— ეს რა არისო?

რა უნდა ექნა საწყალ კაცს, ერთი საზარელი ბაყაყი იყო და მეტი არაფერი, და ის იყო, უნდა ეთქვა, ბაყაყიაო, რომ უცბად ბრძენი ხელმწიფის ნასწავლები სიბრძნე გაახსენდა „სანამ კარგად არ დაფიქრდები, ისე არაფერი თქვაო". მარ თლაც, იფიქრა, ეს ბაყაყი რომ რაღაც სხვანაირი არ იყოს ასეთ თვალმარგალიტით მოჭედილ სინზე არ დასვამდნენ და არც ასე მუდარის თვალით დამიწყებდა ყურებას, ჩანს, ა რაღაც სხვა ამბავია, თორემ ან ჩემი აქ მოყვანა რა არის, ა ეს კითხვაო. და ხელმწიფესა და ნაზირ-ვეზირებს მი ახსენა:

— მინდა გიპასუხოთ თქვენს კითხვაზე, მაგრამ ისეთი სიტყვა ვერ მომიგონია, რომ ამისი შესადარი იყოს და რაცა აქვს, ის მშვენიერება გამოვხატოო.

ამის თქმაზე ბაყაყი თითქოს გამოცოცხლდა, დაღონებულ თვალებში სიხარული ჩაუდგა, ზეზე წამოიწია და თავი კეკლუცად შეარხია. კაცმა შეატყო, რომ ბაყაყს მისი ნათქვამი ესიამოვნა, ხელმწიფისაკენ შებრუნდა და უფრო გაბედულად განაგრძო:

— დიდებულო ხელმწიფევ, მართალია, დიდი და ძლიერი ხელმწიფე ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ მშვენიერი, სიტყვით უთქმელი, კალმით აუწერელი, ერთი სიტყვით, ფასდაუდებელი, მზისა და ხმელეთის დარი არსება გყავთ, უფრო ბედნიერი ბრძანდებით! ბევრ მეფესა და ხელმწიფეს ენატრებათ ამისთანა მშვენიერი არსება, მაგრამ ღმერთს მარტო თქვენთვის გაუმეტებია და თავისი უხვი კალთა მარტო თქვენზე დაუბერტყიაო.

ბაყაყმა ეს ქება-დიდება რომ მოისმინა, მეტისმეტი სიხარულისაგან ოქროს სინზე ხტუნვა-თამაში დაიწყო, ხელმწიფემ და იქ დამსწრე ხალხმაც დიდად გაიხარეს. ბოლოს ბაყაყმა გადაიძრო ბაყაყის ტყავი და გამოვიდა მშვენიერი, ქვეყნის მანათობელი ქალწული, გადაეხვია ჯერ ხელმწიფეს, მერე ამ საწყალ კაცს და დაუწყო კოცნა.

შენ კი გაიხარე, რომ მეცა და ჩემმა ქმარმაც პირველად შენგან გავიგონეთ ჩემი ქება, ეტყობა, ღმერთს ჰყვარებიხარ და შენთვის სიკეთე სდომებია, თორემ სიკვდილს ვერ ასცდებოდი და მეც ისევ ბაყაყად უნდა დავრჩენილიყავი. ახლა კი შენც გადარჩი და მეც მომარჩინე ამდენ ჭირსა და მწუხარებასო.

ხელმწიფემ და დედოფალმა იმავ დღეს დიდი ნადიმი გამართეს, კაცს კონკ-მანკები გახადეს, მდიდრული ტანსაცმლით მორთეს, მერე სუფრაზე შუაში ჩაისვეს და, რა გინდა სულო და გულო, რომ იმას არ მიართვეს. სამ დღე-ღამეს ხელმწიფურად აქეიფეს, ხოლო როცა ნადიმი დამთავრდა, სამუდამოდ სასახლეში დარჩენა სთხოვეს და მემკვიდრეობაც უბოძეს, მაგრამ კაცი სიმდიდრეს და ხელმწიფის მემკვიდრეობას არ დახარბდა და მეფურ განცხრომას თავის ღა-

რიბ ცოლ-შვილთან ყოფნა ამჯობინა. ხელმწიფეს და დედოფალს მდაბლად თავი დაუკრა და მოახსენა:

— დიდო ხელმწიფევ და დედოფალო, მე ერთი ღარიბ-ღატაკი ოჯახის პატრონი კაცი ვარ, სამი წელიწადია საშოვარზე ვარ სახლიდან გამოსული და ჩემი ოჯახისა აღარაფერი მსმენია. ახლაც რომ არ მივიდე, მკვდარი ვეგონები და უარესად დაღონდებიან. ძალიან გთხოვთ, უარს კადნიერებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ რა ვქნა, უიმათოდ სიცოცხლე არც მე მიხარიაო. ხელმწიფემ და დედოფალმა იმდენი სიმდიდრე უბოძეს, რომ ჩამოთვლაც კი ძნელია: მოარეკინეს ასი ჯორ-აქლემი და სულ თვალ-მარგალიტი აუკიდეს, ცოლ-შვილისათვისაც მდიდრული ტანსაცმელი შეუკერეს, გაატანეს შეიარაღებული მცველები, ხელზე მოსამსახურეები და გაისტუმრეს.

მიდის შინისაკენ ეს სიღარიბისაგან დამწვარ-დადაგული კაცი, მიერეკება თვალ-მარგალიტით დატვირთულ ქარავანს და გულში სულ ბრძენ ხელმწიფეს ლოცავს, სადაც ადგილი მოეწონება, ცხენიდან ჩამოხდება და დასვენებას ბრძანებს. მოსამსახურეები მაშინვე თვალ-მარგალიტით მორთულ სუფრას გაუშლიან და ზედ ხელმწიფურ სასმელ-საჭმელს დაულაგებენ. ისადილებს გემრიელად და ჩრდილში ხავერდის მუთაქებით გაწყობილ ხალიჩაზე წამოწვება. მცველები და მოსამსახურეები ქონება-ცხოვრებას დარაჯობენ. თვითონ კი თავის ცოლ-შვილზე ფიქრობს, წარმოიდგენს, როგორ გახარებს ამდენ სიმდიდრეს რომ მიუტანს, და გული თვითონაც სიხარულით უცემს.

ერთხელაც ასე დაისვენა ერთ ტყის პირას, ისადილა და ის იყო, ხის ძირას, ხალიჩაზე წამოწვა, რომ გზაზე ერთი მდიდარი სოვდაგარი დაინახა. სოვდაგარს სხვა ქვეყანაში ევაჭრა, აურაცხელი სიმდიდრე მოეგროვებინა და ახლა თავისი ქვეყნისაკენ მიდიოდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

— შეიძლება, შენს მეზობლად დავბინავდეო?

— კი, ბატონო, ინებეთ, — მიუგო კაცმა, — ადგილს როგორ დაგიჭერო.

სოვდაგარმა ჩამოახდევინა ჯორ-აქლემებისათვის თავისი სავაჭრო და მონაგარი, მიაბინავ-მოაბინავა ყველაფერი და კაცს გვერდით ჩამოუჯდა. კაცმა და სოვდაგარმა გაიცნეს ერთმანეთი და, როგორც ახლადგაცნობილებს სჩვევიათ, ერთმანეთში საუბარი გააბეს.

უცბად იმ ხის ტოტზე, რომლის ჩრდილშიც ისხდნენ, ერთი უცნაური, ჭრელი ჩიტი ჩამოჯდა და ისეთ საამო ხმაზე აჭიკჭიკდა, რომ ქვაც კი მოიხიბლებოდა.

კაცი და სოვდაგარი კარგა ხანს სულგანაბულნი უსმენდნენ, მერე სოვდაგარს სულმა წასძლია და კაცს უთხრა:

— კარგი არ იქნება, დავიჭიროთ და თან წავიყვანოთო?

— კარგი კი იქნება, მაგრამ როგორ დავიჭიროთო? — ჰკითხა კაცმა.

— მოდი, და ნაძლევი დავდოთ, — უთხრა სოვდაგარმა, — ორივემ ვცადოთ და რომელიც დავიჭერთ, ჩვენი ორივეს ქონება თავისი ჯორ-აქლემებითა და მოსამსახურეებით იმას დარჩესო.

კაცს სოვდაგრის ნათქვამი ჭკუაში დაუჯდა, და ის იყო, თანხმობა უნდა მიეცა, რომ უცბად ბრძენი ხელმწიფის ნათქვამი სიტყვები მოაგონდა: „შენი ძალა წინასწარვე აწონ-დაწონე და, რასაც ვერ შესწვდები, ნუ წაეპოტინებიო". ამის მოგონება და უარის თქმა ერთი იყო, — არა, მე ვერ დავიჭერო.

— მაშინ მე დავიჭერ და შენი ქონება მომეციო, — უთხრა სოვდაგარმა.

— მოგცემ თუ დაიჭერ, მაგრამ რომ ვერც შენ დაიჭიროო? — ჰკითხა კაცმა.

— ვერ დავიჭერ და პირობას წინ რა უდგას, ჩემს ქონებას სულ შენ მოგცემო.

კაცი დაფიქრდა, — ვაითუ მართლა დაიჭიროს და ამდენ სიმდიდრეზე ხელი ამაღებინოსო, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, თუ ჩემი იღბალია, რაც ხელმწიფემ და დედოფალმა მიბოძეს, შემრჩება, თუ არადა, თვითონაც არ მინდაო, და დათანხმდა.

დაუძახეს სოვდაგარმა და კაცმა თავთავიანთ მხლებლებს და პირობის წიგნი დაწერინეს. მშვენიერი ჩიტი კი ზის თავისთვის ხის ტოტზე, შლის ოქროსფერ ფრთებს და ჭიკჭიკებს. ადგა სოვდაგარი, ნელა მიეპარა ჩიტს და დაუპირა ხელის წავლება, ჩიტმა თვალი შეასწრო და ზედა ტოტზე გადაინაცვლა. სოვდაგარიც აცოცდა ხეზე, მაგრამ ხელმისაწვდენზე რომ მიუახლოვდა, ჩიტი კვლავ აფრინდა და უფრო მაღლა ტოტზე შემოჯდა.

ასე ავიდნენ კენწერომდე. ბოლოს ხეს გადასანაცვლებელი ტოტი რომ აღარ შერჩა, ჩიტმა გაშალა ფრთები და გაფრინდა, ვინ იცის, საით. სოვდაგარი ჩამოვიდა ხიდან წელმოწყვეტილი და, პირობის თანახმად, მთელი სიმდიდრე კაცს გადაულოცა. კაცმა სოვდაგრისთვის მოგებული ქონებაც თავისას მიუმატა და გამოსწია სახლისაკენ ორმაგად გახარებულმა.

აი, უკვე მიატანა თავის სოფელსაც, სულ ერთი დღის საკალიღა დარჩა. კაცს სიხარული ემატება და ერთი სული აქვს, როდის მიადგება თავის ღარიბ ცოლ-შვილს, მიდის და მიღიღინებს. უცბად გზაში თავისი მეზობელი შემოხვდა. მეზობელმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნო, კაცმა კი მაშინვე იცნო და გახარებულმა დაუძახა:

— სად მიხვალ, ბიჭო, მოდი ერთი ახლოს და დამენახვეო!

მეზობელი შეკრთა, — რად მეძახის ეს ხელმწიფის ტოლი კაცი, დანაშაული ხომ არაფერი მიმიძღვისო და კრძალვით მიუახლოვდა.

— ვერ მიცანიო? — ჰკითხა კაცმა.

— ვერა, ვერ გიცანიო.

— ბიჭო, მე ხომ შენი ღარიბი მეზობელი ვარ, არ გახსოვს, შენთვის რამდენჯერ კუტი პურები მითხოვია, მერე საშოვარზე წავედი, სამი წელიწადი უცხო ქვეყანაში გავატარე და აი, ახლა ვბრუნდებიო.

ახლა კი იცნო მეზობელმა, მაგრამ კიდევ დიდხანს ხმა არ ამოუღია, ამდენ ქონებას რომ ხედავს, გაოგნებულია და თვალებს არ უჯერებს. ბოლოს ჰკითხა:

— ბიჭო, მაშ ეს შენა ხარო?

— სწორედ რომ მე ვარო!

— ეს ამოდენა სიმდიდრე ვიღასიაო?

— ჩემია, ვისი იქნებაო.

— სად იშოვე, კაცო, როგორო?

— მოდი ერთი, დავსხდეთ, პური გავტეხოთ და მაგასაც გეტყვიო.

გააშლევინა კაცმა მსახურებს მდიდრული სუფრა, მეზობელი გვერდით მოისვა და მთელი თავგადასავალი დაწვრილებით უამბო. ბოლოს ჰკითხა:

— რასა იქს ჩემი საცოდავი ცოლ-შვილი, როგორ არიანო?

მეზობელს შური წაეკიდა, ეს ღარიბ-ღატაკი კაცი ასე გამდიდრებული რომ დაინახა, და გულში მისი წყენა გადაწყვიტა.

— ეჰ, ძმაო, შენი ცოლ-შვილისას ნულარას მკითხავ, — უთხრა ვითომ დიდი გულისტკივილით, — სადღა არის შენი ცოლ-შვილი, შენ რომ წახვედი, იმავე წელს შიმშილით ამოწყდნენ. აღარც შენი ქოხია, ახლა იმის ადგილას მყრალი გუბე დგას და შიგ ბაყაყები ყიყინებენო.

შემოიკრა კაცმა თავში ხელი და მორთო ხმამაღლა ტირილი. ბევრი იტირა, მოიოხა გული და ბოლოს თქვა:

— აბა, რაღად მინდა, რომ შინ მივიდე, ცოლ-შვილი იქ აღარ დამხვდება და სირცხვილით ან ხალხს როგორ ვეჩვენო, — თვითონ გამდიდრებულა და ოჯახი კი შიმშილით ამოწყვიტაო. ჯობია ისევ უკან გავბრუნდე და ისეთ ადგილას გადავიკარგო, სადაც ჩემი ვინაობა ყვავსა და ყორანსაც არ ეცოდინებაო. — და ის იყო, უნდა ებრძანებინა მსახურებისათვის, აჰკიდეთ ბარგი ჯორ-აქლემებს და ისევ უკან წავიდეთო, რომ უცბად ბრძენი ხელმწიფის ნათქვამი მოაგონდა: „რაც შენი თვალით არ ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო“, — და გულში ისევ იმედი ჩაესახა. საჩქაროდ აშალა მსახურები, გამოუძღვა ქარავანს და გამოსწია თავისი სოფლისაკენ.

აგე ქოხი, აგე, საჩეხში დაკონკილი ცოლ-შვილიც! კაცმა ხელები გაშალა და სირბილით წავიდა თავისი ცოლ-შვილის

შესახვედრად, ცოლმა და შვილებმაც შორიდანვე იცნეს და ისინიც ხელგაშლილნი გამოეგებნენ, გადაეხვივნენ სამი წლის უნახავ ქმარს და მამას, კოცნიან, ეფერებიან, ეხვევიან...

კაცმა იმავე დღეს მოიწვია კალატოზები და ქოხის ადგილზე მშვენიერი სასახლე წამოაჭიმვინა, შეაზიდვინა შიგ მთელი ქონება, ოქრო-ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და დაიწყო იმ დღიდან ბედნიერი და ტკბილი ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მეჩონგურე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ძლევამოსილი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი მზეთუნახავი ქალი. ქალს გათხოვების დრო რომ მოუვიდა, მამამ გამოაცხადა, ჩემს მზეთუნახავს იმას მივათხოვებ, ვინც უკვდავების ვაშლს მომიტანსო. მიდიოდნენ მთხოვნელები უკვდავების ვაშლის მოსატანად, მაგრამ უკან აღარავინ ბრუნდებოდა.

იმ სახელმწიფოში ერთი სახელგანთქმული მეჩონგურე ცხოვრობდა. ხელმწიფის მზეთუნახავი ასული იმასაც გულში ჩავარდნოდა, მაგრამ თხოვნას ვერ ბედავდა, — უბრალო მეჩონგურეს ხელმწიფე ქალს არ მომცემსო, ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა, წავიდა ხელმწიფესთან და თავისი სურვილი გაუმჟღავნა. ხელმწიფე ჯერ განრისხდა, ამ გლახამ ქალის თხოვნა როგორ გამიბედაო, და თავის მოკვეთა განიზრახა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, — ამისი ცოდო მე რად დავიდოო, სულერთია უკვდავების ვაშლის მცველი გველეშაპი შეჭამსო, და სხვების მსგავსად, ისიც უკვდავების ვაშლის მოსატანად გაგზავნა.

მეჩონგურემ აიღო თავისი ჩონგური და გაუდგა გზას. ბევრი იარა, თუ ცოტა, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა მინდორი გადალახა და მიადგა ერთი სალი კლდის გალავანს. ეს გალავანი სწორედ უკვდავების ვაშლის ბაღს ერტყა გარშემო და ისეთი მაღალი იყო, რომ ქორიც ვერ გადაფრინდებოდა.

შემოუარა მეჩონგურემ გალავანს ირგვლივ, მაგრამ კარი

ვერსად უპოვა. ბოლოს გალავნის ძირას ჩამოჯდა, ჩონგური დაუკრა და ზედ ტკბილი სიმღერა დაამღერა. სიმღერის ხნაზე მთელი მთა-ბარი სმენად იქცა, ხეებმა ფოთლის შარიშური შეწყვიტეს და ტოტები დაბლა დახარეს, ტყიდან მხეცნი გამოვიდნენ, ციდან — ფრინველნი, წყარონი გაჩერდნენ და ყველა სიმღერის ჯადოსნური ჰანგით ტკბებოდა. სიმღერამ ბოლოს ქვის ყრუ კედელსაც სიცოცხლე მიანიჭა, — ერთ ადგილას თავისით გადაიხსნა და მეჩონგურეს უკვდავების ვაშლისაკენ გზა მისცა.

შევიდა მეჩონგურე გალავანში და გაჰყვა ვარდ-ყვავილებით მოფენილ გზას. ბაღის მცველმა პირცეცხლიანმა გველეშაპმა ადამიანის სუნი იყნოსა, დააღო პირი და შესაჭმელად გამოქანდა. მეჩონგურეს წასასვლელი აღარსაითა აქვს, ხედავს, თავდება იმისი სიცოცხლე და მზეთუნახავის სიყვარულიც და თავისი თავიც ოხრად რჩება. ბოლოს გულში თქვა, — მოდი, სიკვდილის წინ ერთხელ კიდევ დავუკრავ ჩემს ჩონგურს, ერთხელ კიდევ დავამღერებ და მერე რაც მომივა, მომივიდესო. ჩამოჰკრა ჩონგურს და ზედ სიმღერაც დააყოლა. ისევ დაიხარა ხეები, დადუმდნენ წყარონი და ნადირ-ფრინველიც ისევ შეიკრიბა. უცბად პირდაღებული გველეშაპიც შედგა, აწეული ყბა ძირს დაუშვა, ნელ-ნელა თავიც ჩამოიღო და ჩასისხლიანებული თვალებიდან ცრემლები ჩამოსცვივდა.

მეჩონგურემ დაასრულა სიმღერა, უკანასკნელად შეათრთოლა ჩონგურის ლარი და დაჩუმდა. დადგა გველეშაპის წინ თავდახრილი და ბედისწერას მორჩილად დაელოდა. გველეშაპმა თვალები გაახილა და მეჩონგურეს დანდობილად შეხედა, მერე შემობრუნდა, მოწყვიტა უკვდავების ვაშლი და გაუწოდა. მეჩონგურე გველეშაპისაგან ამას არ მოელოდა და შეკრთა. გველეშაპმა შიში შეამჩნია და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე შენ აღარას გერჩი. ჩემს სიცოცხლეში ასეთი ხმა არ მსმენია და არც ასე ძლიერად დავმტკბარვარ. აჰა, წაიღე ეს ვაშლი და ეწიე გულის საწადელს. დღეის შემდეგ კაცთა მოდგმას აღარაფერს დავუშავებო.

გამოართვა მეჩონგურემ უკვდავების ვაშლი და გახარე-

ბული ხელმწიფის სასლამდე სულ სირბილით მივიდა. მიუ-
ტანა ხელმწიფეს უკვდავების ვაშლი და უთხრა:

— დიდო ხელმწიფევ, მე ჩემი მოვალეობა ავასრულე და ახლა თქვენ იცითო.

— ხელმწიფე, რა თქმა უნდა პირს ვერ გადავიდოდა, გამოიყვანა თავისი მზეთუნახავი ქალი და მეჩონგურეს ჩააბარა. ქორწილიც თვითონვე გადაუხადა და ახალი სიძე სასასლის მოსაკრავეთა უფროსად დანიშნა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

რა უფრო საკვირველია

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ღობეს ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღე იყო.

ცხრა ძმა დევი სუფრას შემოსხდომოდნენ, წინ თითოს თითო მოხარშული კამეჩი ედო და ორთქლიან ხორცს ხარბად ღმურძლიდნენ, თან იმის ფიქრში იყვნენ, რომ გავათავებთ, რაღა ვჭამოთო.

ამ დროს ერთმა პატარა ბიჭმა გამოიარა. დევებს გაუხარდა, აი ესეც დასაყოლებელიო, და ბიჭს ხელი სტაცეს. ბიჭი მიხვდა, რა განსაცდელშიც ჩავარდა, და ელდა ეცა, მაგრამ არ დაიბნა, შიში მყისვე დასძლია და თავის გადარჩენის ხერხი მოიგონა.

— მე თქვენთან შემთხვევით არ მოვსულვარ, — უთხრა ბიჭმა, — სოფელს ერთი თავსატეხი კითხვა გაუჩნდა, მაგრამ პასუხი ვერავინ გასცა, ბოლოს მე დამავალეს, წადი. ვინმე ჭკვიანი და ბრძენი ხალხი ნახე და გამოჰკითხეო. ამ არემარეში თქვენზე ჭკვიანი და დარბაისელი სხვა არავინ მეგულება, ჰოდა, აი, მოვედი, რომ სიტყვა გითხრათ და პასუხიც თქვენგან მოვისმინოთ.

— თქვი, გისმენთო, — უთხრეს დევებმა.

ბიჭმა დაიწყო:

— მამაჩემს ერთი ისეთი ბუღა ჰყავდა, რომ შვიდ გორა-

ზე ბუზებს კუდით იგერიებდა, ერთ დღეს ბუღა ეზოში ბა-
ლახსა ძოვდა, მოულოდნელად ერთი ვეებერთელა არ-
წივი მოფრინდა, დასწვდა კლანჭებით ბუღას და ჰაერში
აიტაცა.

სოფლის ბოლოს ერთი თხა ება, არწივმა მიიტანა ბუ-
ღა, იმ თხის რქებშუა ჩამოდო და ძიძგვნა დაუწყო. ერთ იჯ-
რაზე ხორცი მთლიანად გაათავა და ძვლების ხვრას შეუდგა.
უცაბედად გამოხრული ბეჭი გადმოვარდა და თხას თვალში
ჩაუვარდა, თხამ ერთი ალიაქოთი ატეხა, თვალი მეწვისო.
შეიყარა მთელი სოფელი, ბეჭს ორმოცი უღელი ხარ-კამეჩი
დაუბეს და ძლივს ამოუღეს.

გავიდა დრო-ჟამი, ბეჭს მიწა და ხავსი მოეკიდა, ზედ ხე-
ები ამოვიდა, გაჩნდა კორდები და წყაროები და სოფელი გა-
შენდა. ამას წინათ ერთი მშიერი მელა მოცუნცულდა, გა-
მოჰკრა კბილი ბეჭს და ის სოფელი მთლიანად გაანად-
გურა.

სოფელმა მელა ორღობეში მოიმწყვდია და ქვით ჩაქო-
ლა, მაგრამ ორღობე გადაიკეტა და ხალხს წასასვლელი
აღარსაითკენ დარჩა. შეიყარა მთელი სოფელი, მორეკეს რაც
კი ხარ-კამეჩი ჰყავდათ, მაგრამ მელას ადგილიდან ძვრა
ვეღარ უყვეს. მაშინ მიჰყვეს ხელი, ცალ გვერდზე ტყავი გა-
ხადეს, და ქუდები შეიკერეს. იმდენი ქუდი გამოვიდა იმ
ნახევარი ტყავიდან, რომ სოფელში უქუდოდ ძუძუთა ბავ-
შვიც აღარ დარჩა.

გუშინ ორღობეზე ერთმა დედაბერმა ჩამოიარა, დედა-
ბერს ხელში თითისტარი ეჭირა და ფთილებს ართავდა. მე-
ლა რომ გვერდგამოტყავებული ნახა, ძალიან გაუკვირდა, ეს
ნახევარი ტყავი რაღად შეუტოვებიათო? ამოჰკრა თითისტა-
რი და მელა მეორე გვერდზე გადააბრუნა. მერე მისდგა,
ფრჩხილებით ააძრო ტყავი და თავის ძუძუთა შვილიშვილს
ფაჩუჩები შეუკერა.

ახლა სოფელმა სწორედ ამიტომ გამომგზავნა, რომ გა-
ვიგო, ამ ამბავში რა უფრო საკვირველია. და თქვენთანაც
სწორედ ამიტომ მოვედი, რომ მითხრათ და სოფელს პასუხი
მივუტანოო.

შეექმნათ დევებს ცილობა, — არა ეს უფრო საკვირვე-

ლია, არა ესაო. ამ ცილობა-ცილობაში ბოლოს ისე გაცხარდნენ, რომ დაერივნენ ერთმანეთს და ცემა-ტყეპა აუტეხეს. ბიჭმა ამით ისარგებლა და ისე მოკურცხლა, რომ უკან ერთხელაც აღარ მოუხედია.

დევები კი დღესაც იმ დავიდარაბაში არიან, სცემენ ერთმანეთს, ამტვრევენ ცხვირ-პირს, მაგრამ ჯერაც ვერ გამოუცვნიათ, ბიჭის ნათქვამში რა უფრო საკვირველია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ბედისწერის ძალა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო ერთი სელმწიფე და ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი, ისეთი გულადი და თვალ-ტანადი, რომ იმისთანა ვაჟკაცი ქვეყანაზე მეორე არ მოიძებნებოდა. ბიჭი დასაქორწილებელი რომ გახდა, ხელ-მწიფემ დაიბარა და უთხრა:

— წადი, შვილო, ქვეყანა მოიარე და რომელი ქალიც მოგეწონოს, ცოლად ის მოიყვანეო.

ბიჭმა დაუჯერა მამას და წავიდა. იარა ბევრი, მთელი დედამიწა შემოიარა და ბევრი ქალიც გასინჯა, მაგრამ საცოლედ არც ერთი არ მოეწონა. დაბრუნდა შინ ხელცარიელი და მამას შესჩივლა:

— ზღვა და ხმელი მოვიარე, დედამიწის ყველა კუთხე-კუნჭული მოვჩხრიკე, მაგრამ ჩემი გუნების ქალს ვერსად წავაწყდიო.

მაშინ მამამ ურჩია:

— რაკი სხვა საშველი არ არის, შეკაზმე შენი მფრინავი რაში, წადი ბედისწერლებთან და ჰკითხეო.

ბიჭმა ახლაც დაუჯერა მამას, შეკაზმა მფრინავი რაში და გაფრინდა აღმოსავლეთისაკენ. გადაიარა ცეცხლის მთა, ყინულის მთა და ბოლოს მივიდა ბედისწერლების ადგილსამყოფელში. კარებში ერთი თეთრწვერა ბერიკაცი დახვდა და იმან ჰკითხა:

— რა გინდა, ჭაბუკო, რისთვის მოსულხარო?

ეს ბერიკაცი თვითონ იყო ბედისმწერელი.

ხელმწიფის შვილმა უთხრა, ვინც იყო და რისთვისაც იყო მისული. ბერიკაცმა ბედისწერის ოქროსყდიანი წიგნი გადაშალა და ბიჭს უთხრა:

— შენ ბედზე ამა და ამ სოფლის მენახირის ქალი ყოფილა დაწერილი და ის უნდა მოიყვანოო.

ბიჭს ლამის გულს შემოეყარა, — ამდენი დიდგვაროვანი და მდიდარი საცოლე დავიწუნე და მენახირის გომბიო როგორ შევირთოო — მოეხვია ბერიკაცს მუსლებზე და შეესვეწა:

— მიყავი სიკეთე და სხვა ვინმე დამიწერე, ხელმწიფის შვილი ვარ და მენახირის ქალი რა ჩემი საკადრისიაო.

ბერიკაცმა წყრომით უთხრა:

— არ შეიძლება! ბედი მხოლოდ ერთხელ იწერება და, რაც გერგო, უნდა დამორჩილდეო.

გაჯავრდა ხელმწიფის შვილი და თქვა:

— სულერთია, მენახირის ქალს არ შევირთავ, ახლავე წავალ, მოვკლავ და არც მაშინ ჩამომეხსნებაო?! — შეჯდა საჩქაროდ თავის მფრინავ რაშზე და ისე გამობრუნდა, რომ ბერიკაცს არც კი გამომშვიდობებია. გადმოლახა ისევ ცეცხლის მთა, ყინულის მთა და პირდაპირ იმ მენახირეს მიადგა კარზე. გამოვიდა ჩამოკონკილ-ჩამოძენძილი მენახირე, მიესალმა და ჰკითხა:

— რას მიბრძანებთ, ხელმწიფის შვილო, რით გემსახუროო?

— შენი ქალი უნდა შევირთო ცოლად და სათხოვნელად მოვედიო, — მიუგო ხელმწიფის შვილმა.

მენახირე შეცბუნდა:

— ჩემი ქალი ჯერ ხომ სულ ბავშვია, და ეგეც რომ არ იყოს, მენახირის შვილი რა შენი საკადრისიაო?!

— არა, უნდა შევირთოო, — დაიჟინა ხელმწიფის შვილმა, — ჩემი ბედი ეგ ყოფილა და ბედს კი ვერსად წავუვალო.

რაღა უნდა ექნა მენახირეს. ხელმწიფის შვილს ძალით ხომ ვერ გააგდებდა, შეიყვანა შინ და თავისი შვიდი-რვა წლის გოგო აჩვენა, — აი, ეს არის ჩემი ქალიშვილი და,

ხომ ხედავთ, ან რა გათხოვების დრო აქვს და ან რა შენი შესაფერისიაო.

— რაც არის, ეს არისო, — თქვა ხელმწიფის შვილმა და სუფრა მოითხოვა.

მოუტანეს მენახირემ და იმის ცოლმა, რაც კი რამ ეშავებედათ და ხელმწიფის შვილს სუფრა გაუშალეს, ავახშმეს და დააძინეს. შუაღამე რომ მოვიდა, ხელმწიფის შვილი ჩუმად წამოდგა, ჩასცა ხანჯალი ძონძებში გახვეულ, მძინარე გოგოს, მოახტა რაშს და ღამის სიბნელეს შეერია.

დაჭრილმა გოგომ კივილი მორთო, — მიშველეთო! — წამოცვივდნენ დედ-მამა, აანთეს ჭრაქი და რას ხედავენ: ბავშვი სისხლში ცურავს და ხელმწიფის შვილი კი აღარსად არის. შეაბა მამამ საჩქაროდ ურემი, დააწვინა სულთმობრძავი ბავშვი და ქალაქში ექიმთან წაიყვანა.

შეხვდა ქალაქის მოურავი და ჰკითხა:

— სად მიგყავს ეგ ბავშვი, რა გაგჭირვებიაო?

მენახირემ უამბო, როგორც იყო საქმე. ქალაქის მოურავი უშვილო იყო და მენახირეს უთხრა:

— მე მოვარჩენ ამ ბავშვს, თუ მომცემო.

— ოღონდ ნუ დაიღუპება, გადარჩეს და დამითმიაო, — მიუგო მენახირემ.

დაუტოვა დაჭრილი ქალიშვილი და შინ წავიდა.

ქალაქის მოურავმა იმავე დღეს მოიხმო საუკეთესო ექიმები, გოგონა სიკვდილს გადაარჩინა და დაუწყო ზრდა. დაუქირავა გამოჩენილი მასწავლებლები, ასწავლა წერა-კითხვა, ზრდილობა და დიდგვაროვანთა შესაფერი საქციელი და სიტყვა-პასუხი. გოგონა გაიზარდა და ჭკუა-გონებითაც ისეთი ქალი დადგა, რომ ქალაქში იმისთანა არავინ დადიოდა. ქალაქის მოურავი, რა თქმა უნდა, ტანსაცმელსაც შესაფერისს აცმევდა და სულ ძვირფასი სამკაულებით მორთული დაჰყავდა.

შორს გავარდა ამ ქალის სილამაზის ხმა და ბოლოს ხელმწიფის შვილის ყურამდეც მიაღწია. ხელმწიფის შვილმა იფიქრა, მოდი ვნახავ, რა არის ასეთი, იქნებ ჩემი შესაფერი იყოსო.

შეკაზმა ცხენი და წავიდა ქალაქში. ერთ წყაროზე ცხენს

წყალი დაალევინა და თვითონაც იქვე ჩამოჯდა, იმ იმედით, იქნება ვინმე მოვიდეს და იმ ნაქები ქალის სახლი მიმასწავლოსო.

მაგრამ დახეთ ბედისწერას! ქალი თვითონვე მივიდა წყაროზე და წყალი დალია. შეხედა ხელმწიფის შვილმა და მოეწონა, ქალსაც მოეწონა და ერთმანეთს გაეცვნენ. ხელმწიფის შვილმა რაკი თავისი გუნების ქალი იპოვა, ბევრი აღარ დააყოვნა და-წადილი იქვე გაუმჟღავნა. ქალიც უყოყმანოდ დათანხმდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ხელმწიფის შვილმა იმავ დღეს წამოიყვანა ქალი შინ, დაიწერა ჯვარი და დიდი ქორწილიც გადაიხადა. ღამე, დასაწოლად რომ ემზადებოდნენ, ხელმწიფის შვილმა ქალს მუცელზე ნაჭრილობევი შენიშნა და ჰკითხა, — ეს რა არისო?

ქალმა ყველაფერი უამბო. ხელმწიფის შვილი განცვიფრდა და ხმამაღლა წამოიძახა:

— აი, რა ძალა ჰქონია ბედისწერასო!

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

შეშა-ქალა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. სიბერეში შევიდნენ და შვილი კი არ ეღირსათ. წუხდნენ ორივენი, მაგრამ წუხილით რას უშველიდნენ.

ერთხელ ბერიკაცი ტყეში წავიდა შეშის მოსაჭრელად, მივიდა ერთ ხესთან და დაუწყო ჭრა. უცებ ხიდან რაღაც ხმა მოესმა. გაჩერდა კაცი და მიაყურადა. ხმა შეწყდა. კაცმა ისევ მოიქნია ცული, შემოჰკრა ხეს და ისევ მოესმა ხმა, თითქოს ვიღაცა კვნესოდა.

— ბქ რაღაც ამბავიაო, — თქვა კაცმა, შემოუარა ხეს ირგვლივ, ხე ერთ ადგილზე ფუტუროს გამოეღრუტნა, ჩაიხედა კაცმა შიგ და ერთი პაწაწინა ქალი დაინახა. ამოიყვანა კაცმა ფუღუროდან ბავშვი, გამოიხვია ჩოხის კალთაში და გახარებულმა ცოლს მოურბენინა, — შვილს ვნატრობდით და აი, შეგვეძინაო.

დედაკაცმა ღმერთს სანთელი აუნთო და მადლობა შესწირა. შეახვიეს ბავშვი სუფთა ჩვრებში, გაუკეთეს აკვანი და დაუწყეს ზრდა. სახელად შეშა-ქალა დაარქვეს.

ახლა წუხს ცოლ-ქმარი, ბავშვი ვის მოვანათვლინოთო, უცბად სარკმელში მთვარემ შემოანათა და უთხრა:

— მე მოვნათლავ თქვენს ქალიშვილს, ჩემს სიბადრეს დავანათლავ და ჩემსავით პირბადრი და ლამაზი იქნებაო. ცოლ-ქმარი დათანხმდა.

ახლა მზემ შემოანათა სარკმელში და ცოლ-ქმარს უთხრა:

— მე თქვენი ქალიშვილის ნათლია ვიქნებმ და ჩემს შუქსა და სითბოს დავანათლავო.

დათანხმდა მზესაც ცოლ-ქმარი. ჩამოიქროლა ამ დროს ნიავმა და იმანაც შეშა-ქალას ნათლიობა მოინდომა, — ჩემსავით მარდი და დაუზარელი იქნებაო.

ცოლ-ქმარმა არც ნიავს უთხრა უარი.

ბოლოს სარკმელში საავდრო ღრუბელმა შემოიხედა და ცოლ-ქმარს ბავშვის ნათლობა სთხოვა, — ჩემსავით შავი თმა და თვალ-წარბი ექნებაო.

მშობლები ღრუბელსაც დათანხმდნენ და მოანათვლინეს შეშა-ქალა. ნათლიები — მთვარე, მზე, ნიავი და ღრუბელი ყოველდღე მოდიან და დახედავენ თავიანთ ნათლულს. ცოლ-ქმარი კმაყოფილია და ახლა მის გაზრდასღა ელოდებიან.

ერთხელ დედამ აკვანი ეზოში გამოიტანა. სად იყო. სადარა, უცბად ერთი ყორანი მოფრინდა და ბავშვს პირში ჩაუძვრა. ამ დღიდან ბავშვი გახდა გაუმაძღარი. აღარაფერი აძღებს, დღე და ღამე პირი აქვს დაღებული და ჩხავის.

გავიდა ხანი. შეშა-ქალა გაიზარდა და ისეთი ქალი დადგა, რომ იმისი ბადალი ქვეყნად არავინ მოინახებოდა — შავთვალწარბა, მთვარესავით ანათებდა, მზის სითბო ჰქონდა და ნიავივით მსუბუქად მიმოქროდა, მაგრამ რა გინდა, ჭამით ვერ ძღებოდა და სულ გაიძახოდა — მშიაო. დედ-მამამ მთელი საცხოვრებელი მას შეალია, ლუკმაპური აღარ შერჩათ. ბოლოს უთხრა დედ-მამას:

— ვხედავ, ჩემი შენახვა აღარ შეგიძლიათ, მოდით, წავალ, ვიმუშავებ, ან მოჯამაგირედ დავუდგები ვისმეს და როგორმე ჩემს თავს თვითონ შევინახავო.

ბევრი იტირეს ბერიკაცმა და მისმა ცოლმა, ბევრი იცეს თავში ხელი, მაგრამ რას იზამდნენ, თვითონაც ხედავდნენ, რომ შეშა-ქალას რჩენა მართლაც აღარ შეეძლოთ. მოიმზადა ქალმა საგზალი და გაუდგა გზას.

ერთი კვირა გზაზე იარა. ერთი კვირის შემდეგ ერთი თავადიშვილის სახლს მიადგა და დაიძახა. გამოიხედა სახლის პატრონმა.

— მოახლე ან მოსარეცხე ხომ არ გინდათო? — შეეკითხა შეშა-ქალა.

— როგორ არ გვინდა, ამოდიო, — ჩამოსძახა თავადიშვილმა.

ავიდა შეშა-ქალა და დაუდგა მოახლედ. მუშაობს, მაგრამ რას მუშაობს. ხელებიდან სულ ნაპერწკლები სცვივა, ნიავივით მარდი და დაუზარელია, მაგრამ რა გინდა, საჭმელი არა ჰყოფნის, სულ ჭამს, არც გაძღომა იცის, არც ბეზრდება. შეწუხდა თავადიშვილი, არ ეთმობოდა ასეთი კარგი, ხელმარჯვე მოსამსახურე, მაგრამ შენახვა აღარ შეეძლო და ერთ დღეს შეშა-ქალას უთხრა:

— ძალიან კარგი ხარ, მაგრამ რა ვქნა, შენი რჩენა აღარ შემიძლია, გაგისწორებ ანგარიშს და წადიო.

რას იზამდა შეშა-ქალა, ადგა და წავიდა. იარა, იარა და ხელმწიფის კარზე მივიდა. შევიდა პირდაპირ ხელმწიფესთან და ჰკითხა:

— მოახლე ან მოსარეცხე ხომ არ გინდათო?

— მინდა, როგორ არ მინდაო, — უთხრა ხელმწიფემ, — თუ კარგად იმუშავებო.

— მუშაობით კი კარგად ვიმუშავებ, თუ ჩემი შენახვა არ გაგიჭირდებათო, — უთხრა შეშა-ქალამ.

ხელმწიფეს გაეცინა:

— ხელმწიფე ვარ და ერთი ქალის შენახვა როგორ გამიჭირდებაო, — მაინც ჰკითხა, — ისეთი რა ხარ, რომ შენი შენახვა გამიჭირდესო?

— ჯერზე ერთ ცხვარსა და ერთ თონე პურსა ვჭამ და ზედ ერთ ჩაფ ღვინოს ვაყოლებო.

ხელმწიფემ მაშინვე უარი უთხრა:

— არა, შვილო, შენ რაც ჭამა გდომებია, მაგისი ფასი რა უნდა გამიკეთო, ჯობია წახვიდე და შენს გზას ეწიოო.

წავიდა შეშა-ქალა ტირილით, ცალკე შიმშილი აწუხებს, ცალკე — სირცხვილი. გზაზე ერთი თავისკბილა გლეხი ბიჭი შემოეყარა და ჰკითხა:

— რა გატირებს, ლამაზო ქალოო?

— რაღა რა მატირებს, ამაზე დიდი უბედურება რაღა იქნება, რომ ადამიანი შრომობდეს და საკმაო პურსაც ვერ

შოულობდესო, — უთხრა ქალმა და უამბო თავისი თავგადასავალი.

ბიჭმა უთხრა:

— წამოდი ჩემთან, პურსაც გაჭმევ და მაგ უბედურებასაც მოგაშორებო.

აბა, ქალი რას არ წაჰყვებოდა! წაიყვანა გლეხის ბიჭმა და ერთი კვირა ულუკმაპუროდ ამყოფა; ერთი ციცქნა საჭმელიც არ დაანახვა. კვირის თავზე ტყეში წაიყვანა, დასვა ერთ გადაჭრილ კუნძზე და წინ ხარის მძორი დაუდო. გაიგო ნძორის სუნი ყორანმა და ატეხა ყრანტალი ქალის მუცელში. ბიჭი იქვე ჩამოჯდა და სიმღერა წამოიწყო:

ჰაი, ყორანო, ყორანო,
შე ავგულო და ვერანო,
წინ გიდევს ხარის ლეშია,
მანდ რას უზიხარ ბნელშია.

ამოვარდა ქალის მუცლიდან მშიერი ყორანი, მივარდა ხარის ლეშს და დაუწყო ძიძგვნა. გამოძღა კარგად, დაიყრანტალა და ისევ ქალის მუცელში ჩაძვრომა მოინდომა. მაგრამ გლეხის ბიჭმა აღარ დააცადა, ქალს პირზე ბაღდადი ჩამოაფარა. სტაცა ყორანს ხელი და თავი ქვაზე მიუნაყა. მერე მოკიდა ქალს ხელი და ისევ შინ წაიყვანა.

ის ღამე ბიჭის სახლში გაათენეს. შუშა-ქალას არც ცეცხლი სჭირდებოდა, არც სანთელი, ბნელში მთვარესავით ანათებდა და სახლს მზესავით ათბობდა. მეორე დილას შეაბეს ურემი, დაუდეს ზედ თუ რამე გააჩნდა ბიჭს ქონება-ცხოვრება და შუშა-ქალას დედ-მამასთან გადაბარგდნენ.

გაუხარდა მოხუც ცოლ-ქმარს, თავიანთი ლამაზი ქალიშვილი მორჩენილი რომ დაინახეს. ბიჭიც ძალიან მოეწონათ, და იმავე დღეს გადასწერეს ეკლესიაში ჯვარი.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ნეტო — იქა, ფქვილი — აქა.

სიკვდილი და ყაჩაღი

იყო და არა იყო რა, ამქვეყნად რა არ ყოფილა. და ერთი სახელგანთქმული ყაჩაღიც იყო. არცერთნაირ ავაზაკობას არ ერიდებოდა. ერთ ღამესაც ჩვეულებრივ წავიდა საყაჩაღოდ. სოფელში რომ შევიდა, ერთი სახლიდან რაღაც წივილ-კივილის ხმა შემოესმა. ყაჩაღმა ყურები ცქვიტა და იქით გაეშურა, შეიხედა ჭიშკრიდან და რას ხედავს: ერთი თეთრწვერა კაცი ზის ცხენზე და უკან თექვსმეტი წლის ქალიშვილი შემოუსვამს. ქალიშვილს წივილ-კივილით მოსდევს დედ-მამა. ყაჩაღმა იფიქრა,—ნამდვილად ამ ბერიკაცს ეს ლამაზი გოგო მოუტაცნიაო, — და წართმევა გადაწყვიტა. თოფი მოიმარჯვა, ჭიშკარში ჩაუსაფრდა და გამოსვლას დაელოდა.

მოადგა ბერიკაცი ჭიშკარს, ყაჩაღი წინ გადაუდგა, უტაცა ცხენს აღვირში ხელი და დაუყვირა:

— ეს ქალი ახლავე ძირს ჩამოსვი, თორემ სულს გაგაფრთხობინებო.

თეთრწვერა კაცმა ყაჩაღის მუქარა აინუნშიაც არ ჩააგდო, ხმამაღლა გაიცინა და ჰკითხა:

— მაინც ვინა ხარ, ასე რიხიანად რომ მემუქრებიო?

— მე ესა და ეს ყაჩაღი ვარო, — მიუგო ყაჩაღმა.

— მე კიდევ სიკვდილი ვარ, — უთხრა ბერიკაცმა, — ამაღამ ეს ქალიშვილი მიმყავს, დღეის სწორს შენი ჯერი დადგება და თუ ასეთი გულადი ვაჟკაცი ხარ, მაშინ გამიმაგრდიო.

ყაჩაღს შიშით გული გაუსკდა, იმავ წუთს ბინაზე დაბ-

რუნდა, რაც ნაძარცვი ოქრო-ვერცხლი ჰქონდა, მთლიანად ამხანაგებს დაურიგა და უთხრა:

— ეს ოქრო-ვერცხლი როგორც გინდათ, ისე მოიხმარეთ, ოღონდ ერთ კვირაში ისეთი ციხე-სიმაგრე ამიგეთ, რომ იმის გატეხა ქვეყნად არავითარ ძალას არ შეეძლოსო.

დაფაცურდნენ ამხანაგები, იყიდეს საშენი მასალა, დაიქირავეს მუშები და ერთ კვირაში მართლაც ისეთი ციხე-სიმაგრე აუშენეს, რომ იმისი ბადალი ქვეყნად მეორე არ მოინახებოდა.

ყაჩაღმა, რაც კი საუკეთესო იარაღი ჰქონდა: თოფ-დამბაჩა და ხმალ-ხანჯალი, ყველაფერი ციხეში შეზიდა, ბლომა ტყვია-წამალი მოიმარაგა, ჩაიკეტა შიგნიდან კარები და თქვა, — აბა სიკვდილი თუ აქაც მომწვდებაო.

მაგრამ გულში შიში მაინც ჰქონდა და თოფმომარჯვებული სულ კარებს შეჰყურებდა. გავიდა რამდენიმე დღე და დადგა წინა კვირის სწორი. სიკვდილი სწორედ ამ დღეს შეჰპირდა მოსვლას და ყაჩაღიც გულის ფანცქალით მოელოდა, თოფს წარამარა პირის წამალს უსინჯავდა და ტყვიას უცვლიდა, მაგრამ სიკვდილი არა და არ ჩანდა. ყაჩაღმა იფიქრა, ნამდვილად ვერ შემოაღწიაო, და გული დაიარხეინა, თოფი კუთხეში მიაყუდა, ხმალ-ხანჯალიც აიხსნა და უდარდელად დაიძინა. ძილში უცბად რაღაც ხმა გაიგონა, გაახილა თვალები და რას ხედავს: ცელშემართული სიკვდილი დასდგომია თავს და თვალებს უბრიალებს. ყაჩაღს შიშით გული გაუსკდა და თვალები ისევ დახუჭა, თავი მოიმძინარა, მაგრამ სიკვდილმა შეანჯღრია და დაუყვირა:

— ადექი, უნდა წაგიყვანოო!

— რა გაეწყობა, წამოვალ, — უთხრა ყაჩაღმა, — მაგრამ ჯერ ცოდვები მომანანიებინე. ხომ იცი, მთელი სიცოცხლე ყაჩაღობაში მაქვს გატარებული და ბევრი ცოდვაც ჩამიდენია. ქრისტიანი კაცი ვარ, მინდა სიკვდილის წინ ყველა ცოდვა მოვინანიო და სანამ მამაო ჩვენოს არ ვიტყვი, ნუ წამიყვანო.

— კარგი, თქვი, ოღონდ ჩქარა მორჩიო, — უბრძანა სიკვდილმა.

— არა, ისე ვერ ვიტყვი, თუ პირობას არ მომცემ, რომ

სანამ ბოლომდე არ დავამთავრებ, არ მომკლავო, — უთხრა ყაჩაღმა.

— მომიცია პირობაო, — დათანხმდა სიკვდილი.

— არა, ვერც ეგრე, — უთხრა ყაჩაღმა, — მარტო პირობას ვერ ვენდობი. დაიფიცე მაღლა ღმერთი, რომ „მამაო-ჩვენოს" ბოლომდე მათქმევინებო.

სიკვდილი ამაზეც დათანხმდა:

— მომიცია თავდებად მაღალი ღმერთი, ოღონდ ჩქარა მოათავე, ნუ მაგვიანებო.

ყაჩაღმა მუხლებზე წამოიჩოქა, აღაპყრა ხელნი ზეცად და დაიწყო:

— მამაო ჩვენოო... რომელი ხარ ცათა შინა...

ნახევრამდე თქვა და გაჩუმდა. სიკვდილმა დაუყვირა:

— თქვი ჰა, რაღას გაჩუმდიო!

ყაჩაღმა ცბიერად გაიღიმა და პირობა მოაგონა:

— შენ ხომ ღმერთი მომეცი თავდებად, რომ სანამ არ დავამთავრებდი „მამაო ჩვენოს" ლოცვას, მანამ არ მომკლავდი, ახლა მეტის თქმა აღარ მსურს და, როცა ვიტყვი, შენც მაშინ წამიყვანეო.

მიხვდა სიკვდილი, რომ მოტყუვდა და ყაჩაღს უთხრა:

— რაკი შენ ასეთი ჭკვიანი და მოხერხებული ყოფილხარ, ჯერ არ მოგკლავ, დაანებე ყაჩაღობას თავი, შემიამხანაგდი და სიკეთეს არ მოგაკლებო.

— რომ შეგიამხანაგდე, რა უნდა ვაკეთოო? — ჰკითხა ყაჩაღმა.

— რა უნდა აკეთო და ექიმობა დაიწყე, — ურჩია სიკვდილმა, — მიდი ავადმყოფთან, იქ უსათუოდ მე დაგხვდები, მაგრამ შენს მეტი ვერავინ დამინახავს. ავადმყოფს ან თავთით ვეყოლები დამჯდარი, ან — ფეხთით. თუ თავთით ვეჯდე, ავადმყოფი არ მორჩება და შენც ხელი აიღე. ხოლო თუ ფეხთით დამინახო, ის ავადმყოფი ნამდვილად მოსარჩენია და უბრალო წყალიც რომ დაალევინო, მორჩება. ამ ხელობით ბევრ ფულს იშოვი და გამდიდრდებიო.

მართლაც ყაჩაღმა დაანება თავი ძველ ხელობას და ექიმობა დაიწყო. დადის სოფლიდან სოფელში, შევა ავადმყოფთან, დახედავს, თუ სიკვდილი ფეხთით უზის, იტყვის მორ-

ჩებაო, და გადაარჩენს კიდეც. თუ თავთით ნახავს, იმავე წამს ხელს აიღებს და ავადმყოფიც იღუპება. გაუვარდა ექიმს სახელი და დიდძალი ფულიც დაუგროვდა.

გავიდა ხანი, გამდიდრდა ეს ყაჩაღი და ცხოვრობს ბედნიერად. ერთხელაც შეჯდა ცხენზე და წავიდა ავადმყოფის სანახავად. მდინარის ნაპირას წყლის გამორიყული პატარა ბიჭი ნახა.-ბიჭი დამხრჩვალი იყო და ყელზე ჯვარი ეკიდა. ყაჩაღმა იფიქრა, ეს ბავშვი, ეტყობა ქრისტიანი ყოფილა, მოდი ანდერძს ავუგებ, „მამაო ჩვენოს" ვეტყვი და ისე დავმარხავო. დაუჯდა ბიჭს გვერდით და „მამაო ჩვენო" ბოლომდე ჩაათავა. იმავ წამს სიკვდილი დაადგა თავზე და უთხრა:

— ხომ თქვი „მამაო ჩვენო" ბოლომდე, აბა, ახლა შემომიჯექი ცხენზე და წამოდიო.

ყაჩაღს მოაგონდა დადებული პირობა და ფერი ეცვალა. დაუჩოქა და სთხოვა სიკვდილს:

— რაკი ამდენი ამაგი გაქვს ჩემზე, მოდი და ეს ერთი სიკეთეც გამიწიე: შინ მოხუცებული მამა მყავს, მომეცი ნება, რომ მივიდე და სიკვდილის წინ გამოვემშვიდობოო.

სიკვდილი ისევ დათანხმდა და თან გაჰყვა. მივიდნენ ყაჩაღის სასლში. ყაჩაღი გამოემშვიდობა თავის მოხუც მამას და სიკვდილს სთხოვა:

— ეს ხომ მიგყევარ და მიგყევარ, მოდი, ბარემ საიქიოში ნურც ამ ჯავრს წამაყოლებ: როგორც ბავშვობას ვიცოდი, ამ ჩვენს ზამთრის მსხალზე ავალ, ერთ-ორ მსხალს მოვწყვეტ, შევჭამ და წამიყვანეო.

— კარგიო, — დართო ნება სიკვდილმა, — ოღონდ ჩქარა ადი და ჩამოდი, არ დამაგვიანოო.

ეს მსხლის ხე ქრისტე ღმერთისაგან იყო დაწყევლილი, ვინც ზედ ავიდოდა, სანამ ნაყოფი მთლიანად არ მოელეოდა, ვეღარ ჩამოვიდოდა. ავიდა ყაჩაღი და დარჩა ზედ. ეძახის სიკვდილი, — ჩამოდიო, მაგრამ რას ჩამოვა, სანამ მსხალს ერთი ნაყოფიც აბია. რაღა უნდა ექნა სიკვდილს, რამდენი კაცი ჰყავდა წასაყვანი და დაზამთრებამდე იქ ხომ არ იდგებოდა?

გაბრუნდა უკან ხელცარიელი სიკვდილი და წასვლისას დაემუქრა:

— ხომ მომატყუე ორვეერ, მაგრამ იცოდე, არ შეგარჩენ, ისე გაგიხდი საქმეს, რომ თავი მოგძულდეს და თვითონვე მეხვეწებოდეო.

გავიდა ხანი, ყაჩაღი ისე მოხუცდა და დაუძლურდა, რომ ფეხზე ადგომა აღარ შეუძლია, მუხლში ღონე გამოელია, თვალში — სინათლე, აღარც მკვდარია, აღარც ცოცხალი. დღითი დღე უძლურდება, გახდა, ჩამოხმა და შავ ჩონჩხად გადაიქცა, — აღარც სისხლი აქვს, აღარც ხორცი, მარტო ძვლები და გამხდარი ტყავია.

ერთ დღეს, როგორც იქნა, ეზოში გამობობღდა და თვალცრემლიანმა ხმამაღლა შეჰყვირა:

— სიკვდილო, შე დაწყეველილო, სადა ხარ, რომ ერთხელ აღარ გამოჩნდიო?

უცბად სიკვდილი თავზე დაადგა და ჰკითხა:

— რა გინდა, რატომ მიხმობო?

— რაღა რა მინდა, ვერა სედავ, ადამიანი აღარა ვარ, ადექი და წამიყვანეო, — შეეხვეწა ყაჩაღი.

— აჰა, გახვეწნინე, თუ არაო? — უთხრა სიკვდილმა ნიშნის მოგებით, ამოაცალა გაწამებული სული და გამხმარი ჩონჩხი იქვე დატოვა.

ასე მოანატრა სიკვდილმა თავი. ტყუილად კი არ ამბობს ხალხი, თავის დროზე სიკვდილიც საჭიროაო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სამი და

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ სამი ქალიშვილი. ცოლ-ქმარი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა, მამული არ ჰქონდათ და არც საწველ-საყოლი საქონელი გააჩნდათ. თვითონაც მშიერ-ტიტვლები იყვნენ და ქალებიც დაკონკილები დაუდიოდათ.

ერთხელ ცოლი თაროებს ჰგვიდა, ერთ-ერთ თაროზე სამი პურის მარცვალი იპოვა. ცოლმა მარცვლები ქმარს მისცა და უთხრა:

— წაიღე ეს მარცვლები, მიწა მოხანი და დათესეო.

წავიდა კაცი, მოხნა მიწა და დათესა. ყანა მოვიდა ისეთი, რომ შიგ ღვთის თვალი ტრიალებდა. თავთავი სიმძიმისაგან გვერდზე მიწოლილიყო და ზღვასავით ირხეოდა. ცოლ-ქმარი სიხარულით ცას ეწივნენ და პურის დამწიფებას მოუთმენლად მოელოდნენ.

გავიდა ხანი და თავთავიც დამწიფდა. წავიდა ცოლ-ქმარი მოსამკელად და ქალიშვილებიც თან გაიყოლეს. მომკეს ყანა, შეკონეს და ერთი უზარმაზარი ფრთაქცეული ზვინი დადგეს.

მეორე დღეს მამამ უფროსი ქალი გაგზავნა ძნის დასათვალიერებლად: ნახე, საქონელმა არ წაგვიხდინოსო. წავიდა უფროსი ქალი და რას ხედავს: ძნის ზვინს ერთი უზარმაზარი გველეშაპი შემოხვევია და კუდი პირში უჭირავს. ქალს შიშით კინაღამ გული შეუღონდა, იმავ წამს სირბილით გამობრუნდა უკან და მამას უთხრა, — ასე და ასეა საქმეო.

მამამ ახლა შუათანა ქალი გაგზავნა, ჰკითხე, — რა უნდა, რისთვის მოსულაო. წავიდა ქალი, მაგრამ ვერაფერიც ვერ ჰკითხა, უზარმაზარ გველეშაპს რომ შეხედა, კანკალი დაეწყებინა და გულგახეთქილი უკანვე გამობრუნდა. ადგა მამა და ბოლოს ნაბოლარა გოგო გაგზავნა, შენ მაინც გაიგე, რა უნდაო.

წავიდა ნაბოლარა გოგო, მივიდა გველეშაპთან და ჰკითხა:

— რა გინდა, რისთვის მოსულხარ, შეგვატყობინეო?

გველეშაპმა უთხრა:

— წადი და მამაშენს გადაეცი, რომ ერთ-ერთი თქვენგანი ცოლად მომცეს, თორემ ძნას არ დავანებებო.

დაბრუნდა გოგო შინ და უთხრა მამას გველეშაპის დანაბარები.

დაიბარა მამამ თავისი ქალიშვილები და ჰკითხა:

— აბა, რომელი გაჰყვებით გველეშაპს ცოლადო?

— თვალი იმასაც დაუდგეს და იმის ცოლად გამყოლსაცო, — თქვა უფროსმა გოგომ, — სწორედ, აღარაფერს დავუკლებო!

შუათანამაც იგივე გაიმეორა და ჯერი ნაბოლარაზე მიდგა.

— აბა, ჩემო პატარა ქალო, შენ რაღას იტყვიო? — ჰკითხა მამამ.

— რაკი სხვა გზა არ არის, გავყვებიო, — უთხრა ნაბოლარამ.

წავიდა ნაბოლარა და მივიდა გველეშაპთან. გველეშაპი წაუძღვა და წაიყვანა თავისი ქვეყნისაკენ. სოფელს კარგა მანძილით რომ დაშორდნენ, გადაიძრო გველეშაპმა ქერცლიანი ტყავი და ისეთი ჭაბუკი გამოჩნდა, რომ მტერსაც კი მოეწონებოდა. გაუხარდა ქალს და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ასეთი ქმარი არგუნა, მერე ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან გველეშაპის სახით რატომ დადიხარო?

— მე ქაჯთა დედოფლის შვილი ვარ,—უთხრა ქმარმა,— ჩემს ქვეყანაში ყველანი ქაჯურად ლაპარაკობენ და ყველაფერს უკულმა აკეთებენ. დედაჩემი რომ გეტყვის, კოკა გატე-

ხეო, შენ წყალზე უნდა წახვიდე, რომ გეტყვის, წყალი დალვარე, შენ წყალი უნდა მოუტანო. როცა გეტყვის, თონე დამტვრიე, შენ უნდა გაასურო და პური ჩააკრა, როცა გეტყვის, სუფრა აალაგე, შენ სუფრა გაშალე, როცა გეტყვის ჯამჭურჭელი დალეწეო, შენ მაშინ უნდა აალაგო. ერთი სიტყვით, რაც გითხრას, ყველაფერი უკულმა გააკეთე და ყველას შეუყვარდებიო.

მართლაც, მისვლის დღიდანვე ქალი ისე მოიქცა, როგორც ქმარმა დაარიგა. რასაც დასაქმებდნენ, ყველაფერს უკულმა აკეთებდა და ქაჯებმაც ძალიან შეიყვარეს, — ახალი მოსულია და ჩვენს წესებს ჩვენზე უკეთ ასრულებსო, და სულ ძვირფასი სამკაულებით მორთეს.

გავიდა ხანი, ქალი დაორსულდა და მშობიარობის დრომ მოუწია. როგორც წესია, მშობიარობის წინ ქმარი გაპყვა და წინაწვევად მამის სახლში წაიყვანა. დებმა რომ ნახეს თვალ-მარგალიტით მორთული და ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილი თავიანთი და, შურით გულები დაუსკდათ. ამ კიკინას ასეთი ქმარი უნდა ჰყავდეს, ასე მდიდრულად ეცვას და ჩვენ კი დაკონკილები დავდიოდეთო? და გადაწყვიტეს, რამე ხრიკი ვუგდოთ და ეს ბედი ხელიდან გამოვაცალოთო. ბოლოს უფროსმა დამ უთხრა შუათანას:

— როცა მოიმშობიარებს, მე თან გავყვები, იმდენს ვიზამ, რომ დავღუპავ და მაგის ქმარს ცოლად თვითონ დავუჯდები, შენ კი ეს მოვლილი სახლ-კარი და ცხოვრება გქონდეს და ქმარი აქ მოიყვანეო.

მოეწონა შუათანა დასაც უფროსი დის ნათქვამი და საბოლოოდ ამ პირობაზე შეთანხმდნენ.

მოილოგინა ნაბოლარა დამ და ეყოლა ვაჟი. ცოლ-ქმარმა შინ დაბრუნება რომ დააპირეს, უფროსმა დამ უთხრა ნაბოლარას:

— მეც თან გამოგყვები, ახალი ნალოგინები ხარ, გზაზე დასუსტდები და ბავშვის ტარებას გიშველიო.

ნაბოლარას ძალიან გაუხარდა, უფროსი და რომ გვერდით მეყოლება, აღარ მოვიწყენო და წაიყოლა. მიდიან გზაზე, წინ ბიჭი მიდის, უკან დები მიჰყვებიან. ერთ ადგილას მსხმოიარე ვაშლი დაინახეს. ნალოგინარ ქალს მჟავე მოუნ-

და და ინატრა, ნეტავი ეს ვაშლი მაჭამაო. უფროსმა დამ სიძეს გასძახა, იარე და მოგეწევითო, დას კი უთხრა: თუ ეგრე გულით გინდა, ადი, დაკრიფე და ჭამეო.

— აბა, როგორ ავიდე, მაღალიაო, — შეწუხდა ნაბოლარა და.

— მე გიზურგულებ და ასვალო, — უთხრა უფროსმა.

— მერე ბავშვს რაღა ვუყოო?

— ბავშვს მე დავიჭერ და ჩამოყვანითაც მევე ჩამოგიყვანო, — უთხრა უფროსმა დამ.

ნაბოლარა და დათანხმდა. უფროსმა უზურგულა და შესვა ხეზე. ბავშვმა ტირილი დაიწყო და, რომ აღარ გაჩერდა, ნაბოლარამ ჩამოსძახა:

ნუ მიტირებ, დაო, ყრმასა,
შემომისვი ქანდარასა,
მოვაწოვებ პატარასა.

უფროსმა დამ ყურიც არ უგდო. საჩქაროდ დაისადა თავისი კონკი-ძველები. ჩაიცვა დის ძვირფასი კაბები, მოირთო ზიზილ-პიპილებით, აიყვანა მტირალი ბავშვი ხელში და სიძეს გაეკიდა. დაუძახა შორიდან:

— კაცო, დამიცადე, რძე გამიშრა და ბავშვი მიტირისო!

სიძემ დაუცადა, მაგრამ რაკი მისი ცოლის ტანისამოსი ეცვა და სახითაც ძალიან ჰგავდა, ვერ იცნო, საკუთარი ცოლი ეგონა და ჰკითხა:

— და რაღა უყავიო?

— თვალი იმასაც დაუდგეს, მე ჩემი შვილის დარდი მაქვს, რომ რძე გამიშრა და ვეღარ ვაწოვებო. — მიუგო ბუზღუნით და დაუმატა, — შინ გავაბრუნეო.

. მოვიდნენ სახლში. უფროსი და ვერც დედამთილმა იცნო და ჩვეულებრივ დასაქმა, — რძალო, კოკა გატეხეო, აიღო უფროსმა დამაც კოკა და კერაზე დაამსხვრია, — ჯამები დაამტვრიეო, — უთხრა და ქალმაც ჩახ! — სულ ერთიანად ღალეწა, მერე უთხრა, — თონე დაამტვრიეო, — ქალმაც აიღო ცული და სულ დაბჟირა. ქაჯებმა თქვეს, — სახლში

რომ დიდსანს დარჩა, ჩვენს წესს გადაჩვეულაო, — და აპატიეს.

რაკი ქალს რძე არ ჰქონდა, ბავშვი ერთ ძროხას შეაჩვიეს და იმით გაზარდეს. ბავშვი ისე მიეჩვია ძროხას, რომ დღე და ღამე აღარ შორდებოდა და, როცა გაიზარდა, საბალახოდაც თვითონ დაჰყავდა.

დედა კი დარჩა ვაშლის ხეზე და იმდენი იტირა, იმდენი, რომ ცრემლად დაიღვარა და მიწაზე ჩამოიღვენთა. მიწიდან ლერწმის ტევრი ამოიზარდა და ნელ, მთრთოლვარე ხმაზე აშრიალდა.

ერთხელ პატარა ბიჭმა თავისი საყვარელი ძროხა სწორედ იმ ტევრთან მირეკა, მოსჭრა ლერწმის ერთი ღერო, სალამური გამოთალა და ჩაჰბერა. სალამური კაცის ენით ალაპარაკდა:

მე ვარ სტვირი
და მას ვტირი,
რომ შენ ჩემი შვილი ხარ,
მე კი დედაშენი ვარ.

ბიჭს სალამურიც ძალიან შეუყვარდა, უბეში ჩაიდო და სახლში წაიღო. შინ რომ მიიტანა, ჩაჰბერა და სალამურმა იგივე სიტყვები გაიმეორა. გაიგონა უფროსმა დამ, ამ ბიჭის დეიდამ, და გულზე სისხლი მოეკიდა, წაართვა ბიჭს სალამური, მიტეხ-მოტეხა და ეზოში გადაყარა. მაგრამ ნატეხმა ხმამაღლა ჩაარაკრაკა:

მე ვარ სტვირი და მას ვსტირი,
რომ შენ ჩემი შვილი ხარ, მე კი დედაშენი ვარ!

უფროსი და უარესად გაცოფდა, წამოკრიფა ნამტვრევები და გახურებულ თონეში ჩაუძახა. ნამტვრევები დაიწვა, მაგრამ ახლა ნაცრისაგან ქალის სახე გამოიკვეთა და იგივე სიტყვები გაიმეორა.

უფროსი და ახლა კი მთლად ცოფიანს დაემსგავსა. ამოიღო ქალის სახედ შეკრული ნაცარი, აიტანა ბანზე და მიმო-

აბნია. მეორე დილით ბანზე უზარმაზარი ლერწამი ამოიზარდა, ნასა ქმარმა და ძალიან მოეწონა. იმავ ღამეს აიტანა ლოგინი და ლერწმის ქვეშ გაიშალა. ლერწამი ტოტებს ჩამოსხრიდა, ქმარს ქოლგასავით გადასურავდა და ნელი შრიალით აძინებდა. უყურებდა ანას უფროსი და და ჯავრით კვდებოდა. ბოლოს თავი მოიავადმყოფა და ქმარს უთხრა:

— თუ მაგ ლერწამს მოსჭრი და მაგის წვენს დამალევინებ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო.

— მანამ ნურაფერი გეტკინოს, სანამ მე მაგ ლერწამს მოვჭრიდეო, — მიუგო ქმარმა.

მაშინ ქალმა ხერხს მიმართა, ქმარი სანადიროდ გაგზავნა, თვითონ მუშები მოიყვანა და ლერწამი ძირიანად მოთხრევინა, დააჭრევინა ნაწილ-ნაწილ და ზღვაში გადააყრევინა.

ლერწამი წყალში რომ მოსვდა, ისევ ქალად იქცა. გამოვიდა ზღვიდან, მაგრამ შიშველი სად წავიდოდა, იქვე ლელიანში დაიმალა და დაღამებას დაელოდა. საღამოს ქმარიც დაბრუნდა სანადიროდან, დაინახა ქალმა, წინ გადაუდგა და ჰკითხა, — მიცნობო?

ქმარმა, რა თქმა უნდა, ვერ იცნო. ისევ უფროსი და ეკონა და გაჯავრებით უთხრა:

— ქალო, ტიტველი რას დადიხარ, ტანსაცმელი რა უყავიო?

— წადი, ტანსაცმელი მომიტანე, შინ მიმიყვანე და ყველაფერს გაიგებო, — უთხრა ქალმა.

წავიდა ქმარი და მოუტანა ტანსაცმელი, ქალმა ჩაიცვა და წავიდნენ შინ. ქმარი გაკვირვებულია, ვერ იგებს რა ხდება, მაგრამ ქალი ჯერ არაფერს ეუბნება. ასე მივიდნენ შინ. დაინახა უფროსმა და ნაბოლარა და ფერფურმა გადაჰკრა, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა და თამამად შეუტია:

— ვინ გეპატიჟებოდა, რომ აქ მოჩერჩეტდი, ვერ დაეტიე შენს სახლშიო?

— მე კი ჩემს სახლში მოვედი, მაგრამ შენ ან სასლი საიდან გაქვს ან კარიო, — მიუგო ნაბოლარა დამ, მერე ქმარს

მიუბრუნდა და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ქმარი სიყვარულით გადაეხვია თავის ცოლს, მოღალატე და კი ცხენის ძუაზე გამოაბა და ლუკმა-ლუკმა დააგლეჯინა.

ასე მიეზღო უფროს დას ბოროტებისათვის, ხოლო რა დაემართა შუათანას, შეირთო ქმარი თუ არა, ნაბოლარა დას იმისი აღარაფერი გაუგია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ბედის მაძებარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი უიღბლო კაცი. რა საქმისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი, ყველაფერი უკუღმა წაუვიდოდა. ერთხელ ადგა და ბედის საძებრად წავიდა, რადაც უნდა დამიჯდეს, ჩემი ბედი უნდა ვიპოვოო.

იარა, იარა და ბოლოს ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. მინდვრის შუაში ერთ დიდ ხესთან მგელი იდგა და კვნესოდა, კბილის ტკივილს ისე შეეწუხებინა, რომ ადგილიდან განძრევა აღარ შეეძლო. მივიდა კაცი ახლოს და მიესალმა:

— გამარჯობა, მგელოო!

— ღმერთმა გაგიმარჯოსო! — მიუგო მგელმა და შეეკითხა, — სად მიდიხარ, კაცო, საით გაგიწევიაო?

— ბედის საძებნელად მივდივარო, — უპასუხა უიღბლო კაცმა.

— იმ შენს ბედს, თუ იპოვი, ბარემ ჩემი გაჭირვებაც უთხარი და ჰკითხე, რა მომირჩენს ამ ოხერ კბილსო?

— კარგიო, — შეპირდა კაცი და წავიდა. იარა, იარა და ერთ ადგილას ერთად შეკრებილი ხალხი დაინახა. მივიდა ხალხთან და მიესალმა:

— გამარჯობათ, კაცებოო!

— ღმერთმა გაგიმარჯოსო, — უპასუხეს და ჰკითხეს,— სად მიდიხარ, საით გაგიწევიაო?

— ბედის საძებრად მივდივარო, — უთხრა კაცმა.

— აბა, იმ შენს ბედს, თუ იპოვი, ბარემ ჩვენი გაჭირვების მიზეზიც ჰკითხე, იქნებ რამე წამალი იცოდესო, — სთხოვა ხალხმა.

— რა გაგჭირვებიათო? — ჰკითხა კაცმა.

— რა გაგვჭირვებია და — შიმშილიო, — მიუგო ხალხმა.

— როგორ თუ შიმშილიო? — ვერ გაიგო კაცმა.

— როგორ და, ყანას დავთესავთ, მოსამკალი რომ გახდება, მკათათვეში უცბად ცეცხლი წაეკიდება და სულერთიანად გადაიბუგებაო.

— კარგით, ვკითხავო, — შეჰპირდა კაცი და წავიდა თავის გზაზე. იარა, იარა და ერთ ადგილას ხელმწიფის სასახლე დაინახა. მივიდა და ხელმწიფეს მიესალმა.

— გამარჯობათ, დიდო ხელმწიფეო!

— გაგიმარჯოსო, — მიუგო ხელმწიფემ და თან შეეკითხა, — სად მიხვალ ასე გაჩქარებული, რა გაგჭირვებიაო?

— ბედის საძებრად მივდივარო, — უთხრა კაცმა.

— იმ შენს ბედს, ბარემ ჩემი გასაჭირიც გააცანიო, — სთხოვა ხელმწიფემ.

— რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა კაცმა.

— რა გამჭირვებია და, ერთ ხელმწიფეს ვეომები, იმას ცოტა ჯარი ჰყავს, მე ბევრი, მაგრამ მაინც სულ ის მამარცხებს და იქნებ გამიგოს, რა მიზეზიაო.

— ძალიან კარგი, ვკითხავო, — შეპირდა კაცი და წავიდა. იარა, იარა და შეხვდა ერთი ჭაღაროსანი კაცი. კაცი იმ ჭაღაროსანსაც ჩვეულებრივ მიესალმა, მაგრამ იმან ხმა არ გასცა. კაცი კიდევ მიესალმა და ჭაღაროსანმა კიდევ არ უპასუხა. მესამედაც მიესალმა და არც მესამედ უპასუხა. გაბრაზდა უიღბლო კაცი, ხელი მოჰკიდა და უსაყვედურა:

— რა არის, სამჯერ მოგესალმე და პასუხი რომ არ გამეციო. ჭაღაროსანმა ახლა კი ამოიღო ხმა და ჰკითხა:

— რა გინდა, კაცო, რას დაეძებო?

— ჩემს ბედს დავეძებ და უნდა ვიპოვოო, — მიუგო კაცმა.

— მე ვარ შენი ბედი, და რასა მთხოვო? — შეეკითხა ჭაღაროსანი.

— სათხოვარი ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ სხვათა დავალება უნდა შევასრულოო, — უთხრა კაცმა და მგლის ამბავს მოუყვა, — გზაზე ერთი დიდი მგელი შემხვდა, კბილი ასტკივნოდა და მთხოვა, გამიგე, რა არის კბილის ტკივილის წამალიო.

— ვირის ტვინი შეჭამოს და მაშინვე მოურჩებაო, — უთხრა ჭაღაროსანმა და ჰკითხა, — კიდევ რა გინდაო?

— კიდევ, გზაზე მუშა ხალხი შემხვდა, შემომჩივლეს, დავთესავთ პურს და სამკალად რომ მოიწევა, ცეცხლი გაუჩნდება და გადაიწვება, გაგვიგე, რა არის ამის მიზეზიო? — ჰკითხა კაცმა.

— სადაც პირველად ცეცხლი ჩნდება, იმ ადგილას, მიწაში ოქროს და ვერცხლის მადანია, მკათათვეში ცხელდება და ცეცხლს ის აჩენს, მოთხარონ მიწა, ამოიღონ მთლიანად ოქრო-ვერცხლი და აღარც ცეცხლი გაუჩნდებაო. — მიუგო ჭაღაროსანმა და კიდევ შეეკითხა, — სხვას რაღას ითხოვო?

— კიდევ იმას ვითხოვ, — უთხრა კაცმა, — რომ გზაზე ერთი ხელმწიფე შემხვდა და შემომჩივლა: ერთ ხელმწიფეს ვეომები, იმას ჩემი მეათედი ჯარიც არა ჰყავს, მაგრამ მაინც ყოველთვის მაშარცხებს და მთხოვა, ამისი მიზეზი გამიგეო.

— იმ ხელმწიფემ სარდლები შეცვალოს და გაიმარჯვებსო, — მიუგო ჭაღაროსანმა და კიდევ ჰკითხა, — სხვა ხომ არაფერი გინდაო?

— როგორ არ მინდა, — უთხრა კაცმა, — შენთან ჩემმა გაჭირვებამ მომიყვანა: რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაფერი უკუღმა მიმდის და მითხარი, რისი ბრალია, სად არის ჩემი ბედი, რომ არაფერში არ მწყალობსო?

— თუ მიხვდები და გამოიყენებ, შენი ბედი, უკან რომ დაბრუნდები, გზაზე შეგხვდებაო, — მიუგო ჭაღაროსანმა და გაქრა.

გამობრუნდა უიღბლო კაცი და წამოვიდა შინისკენ. მივიდა იმ ხელმწიფესთან, ვისაც მცირეჯარიანი ხელმწიფე ამარცხებდა, და გამარჯობა უთხრა.

— რა ამბავი მომიტანეო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ჯარის სარდლები შეცვალე და გაიმარჯვებო, — უთხრა კაცმა. ხელმწიფემ მაშინვე შეცვალა სარდლები და კაცს უთხრა:

— მოდი, ბარემ ომს დამესწარი და თუ მართლა გავიმარჯვე, დიდძალ ოქრო-ვერცხლს მოგცემო.

კაცი არ დაყაბულდა, — გზაზე ჩემი ბედი მიმელის და ის

უნდა ვიპოვოო, — უთხრა და წამოვიდა. მოვიდა მხვნელ-მთესველ ხალხთან. იმათაც ჰკითხეს:

— რა ამბავი მოგვიტანეო?

— სადაც პირველად ცეცხლი ჩნდება, იმ ადგილას მიწაში ოქრო-ვერცხლის მადანი ყოფილა, გათხარეთ მიწა, ამოიღეთ ის ოქრო-ვერცხლი და ცეცხლიც აღარ გაგიჩნდებათო, — მიუგო კაცმა.

ხალხმა სთხოვა, რაკი ასეთი სიკეთე გვიყავი, მოდი, ბარემ შენც შემოგვიერთდი მადნის მოთხრაში და ნახევარს შენ მოგცემთო.

მაგრამ კაცი არც ამათ დაყაბულდა, მე გზაზე ჩემი ბედი მიმელის და ის უნდა ვიპოვოო, — უთხრა და წამოვიდა.

იარა, იარა და ბოლოს მოვიდა კბილმტკივან მგელთან.

— აბა, გამიგე თუ არა, ჩემი კბილის წამალიო? — ჰკითხა მგელმა.

— გაგიგეო, — მიუგო კაცმა და ჭაღაროსანის დანაბარები უთხრა, — შენი კბილის ტკივილის წამალი ვირის ტვინი ყოფილა, როგორც კი შეჭამ, მაშინვე მოგირჩებაო.

— შენს გასაჭირზე რაღა გითხრაო? — შეეკითხა მგელი.

— ასე მითხრა, თუ მიხვდები და გამოიყენებ, შენი ბედი გზაზე შეგხვდებაო, — მიუგო კაცმა.

— მერე არაფერი შეგხვედრიაო? — ჰკითხა მგელმა.

კაცი დაჯდა და, რაც გზაზე შეხვდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო — როგორ შესთავაზა ხელმწიფემ დიდძალი ოქრო-ვერცხლი, თუ გაიმარჯვებდა, ან მხვნელ-მთესველებმა მადნის ნახევარი, და დააყოლა, — მე ყველაფერზე უარი ვთქვი და ჩემი ბედის საძებრად წამოვედიო.

მგელმა თავი გაიქნია, ამაზე უფრო დიდი და უჭკუო ვირი ამქვეყნად ალბათ მეორე არ მოინახებაო, — თქვა გუნებაში, — სწორედ ესა ყოფილა ჩემი კბილის წამალიო, — წამოაქცია კაცი და ტვინიან-ხორციანად შეჭამა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ჰაციის ძალა

ერთ ცხრათავიან დევს თურმე კაცი თვალით არასოდეს ენახა. ერთხელ ეს დევი ღმერთთან მივიდა და სთხოვა:

— ღმერთო, ძლიერო, ამოდენა ხანია ქვეყანაზე დავიარები და ყველას შიშის ზარსა ვცემ. ჯერ არავინ შემხვედრია ისეთი, რომ ჩემი დახვედრა და გამკლავება შესძლებოდეს. ერთი მარტო ადამიანი არსად მინახავს. ამბობენ, დედამიწის ზურგზე იმისი მომრევი არავინ არისო. მინდა ვნახო ის სულიერი, რომელსაც ადამიანს ეძახიან, და ჩემი ღონე იმასთანაც გამოვცადო. მასწავლე, სად და როგორ ვიპოვოო.

— კარგი, გასწავლი, — უთხრა ღმერთმა, — მაგრამ ეს კი იცოდე, ის შენ გძლევს და სამუდამოდ შერცხვენილი დარჩებიო.

— დაე, დავრჩე სირცხვილნაჭამი, ოღონდ ვნახო, ვინ არის და რა ღონის პატრონიაო, — დაიჟინა დევმა.

— რაკი არ დაგიშლია, წადი, — უთხრა ღმერთმა, — გადი ქვეყანაზე, გაიკითხ-გამოიკითხე და სადმე შეხვდებიო.

წამოვიდა დევი, მოდის და ყველაფერს ათვალიერებს, ნაგრამ არაფერი ჩანს. ბოლოს ერთი კუდამოძუებული მელია დაინახა და მაშინვე წინ გადაუდგა.

— შენა ხარ ადამიანიო? — ჰკითხა.

— არა, ბატონო, მე მელა გახლავარო, — მიუგო მელამ.

— რატომ გამორბიხარ ასე გულგახეთქილიო? — კვლავ ჰკითხა დევმა.

— იმიტომ გამოვრბივარ, ბატონო, რომ კაცი გამომიდგა. ცხვრის ფარას მწყემსავს, მე ერთი ბატკნის მოტაცება

მინდოდა, დამინახა და კინაღამ სული გამაფრთხობინაო. — აუხსნა სირბილის მიზეზი მელამ.

— აბა ერთი წამიყვანე და მაჩვენეო, — უთხრა დევმა.

მელა უარესად შეშინდა.

— არა, ბატონო, მე ვერ წამოვალ,—უთხრა დევს,—ახლა ის ჩემზე გაჯავრებულია და კიდევ რომ ფარის ახლომახლო დამინახოს, ცოცხალს არ გამიშვებსო.

დევმა არ დაიშალა, — გინდა თუ არა, უნდა წამომყვე და მაჩვენოო. — მელა ბოლოს დათანხმდა, ოღონდ უთხრა: — მე ახლოს არ მოვალ, შორიდან დაგანახვებ, და რაც გინდა, ის ჰქენიო.

გაუძღვა მელა დევს და წაიყვანა. დევმა გზაზე კამეჩების ჯოგი დაინახა და მელას ჰკითხა, — ეგ ხომ არ არის ადამიანიო?

— არა, ბატონო, — მიუგო მელამ, — ადამიანი რომ მაგათთანა იყოს, რა უჭირდა. ის წყეული საშინელი თავხედი და თავნებაა, ამათთანებს რამდენიმეს დაიჭერს, კისერზე რაღაც გაჩორკნილ ხეს დაადებს, გამოაბამს უზარმაზარ ტვირთს და სახრის ცემითა და ლანძღვა-გინებით მიერეკებაო.

განაგრძო გზა და ახლა ურა ცხენების რემა შემოხვდათ.

— არც ეს არის ადამიანიო? — ჰკითხა დევმა.

— არა, ბატონო, არც ეს არის ადამიანი, — მიუგო მელამ, — ადამიანი ამათაც თავის ნებაზე ატარებს: ზურგზე რაღაც ტახტის მსგავსს შეადგამს, პირში რკინას ამოსდებს, შეაჯდება და საითაც სურს, იქით წაიყვანსო.

გასცდნენ ცხენებს და წავიდნენ. დევს უკვირს, რა არის ეს ადამიანი ამისთანა, რომ ყველაფერს იმორჩილებსო. ბოლოს ცხვრის ფარაც გამოჩნდა. დევმა ისევ ჰკითხა მელას:

— იქნებ ეს არის ადამიანიო?

— არა, ბატონო, ეგ ცხვრებია, — მიუგო მელამ, — ადამიანი მაგათთანას რამდენიმე ათასს მოუყრის თავს და მარტო სტვენითა და შეძახილით იმორჩილებს. აგე ახლაც ნაპირზე დადის და გაფანტვის ნებას არ აძლევსო.

— როგორ, ის პაწაწინა სულიერია ადამიანიო?! — გაუკვირდა დევს.

— სწორედ ის გახლავთ, — უთხრა მელამ.

— აბა, წამოდი და ახლოდან ვნახოთო, — უთხრა დევმა.

— არა, ბატონო, — შეიცხადა მელამ, — მე მაგას ახლოდან კი არა, შორიდანაც ვერ დაეენახვები. აგე იღლიაში ჯოხივით რომ უჭირავს რაღაცა, იმისი მეშინია, რომ დამინახოს, იმას მოიმარჯვებს, ცალი თვალით გახედავს, ნხაკანს დააძახებინებს და სულს გამაფრთხობინებსო.

მელა დაბრუნდა, დევი მივიდა მწყემსთან და ჰკითხა:

— შენა ხარ ადამიანიო?

— სწორედ მე გახლავაროო! — მიუგო ამაყად მწყემსმა.

— ღონეში გაქებენ და მინდა, გამოგცადოო, — უთხრა დევმა.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა მწყემსმა, — მე, დიდი ხანია ვნატრობდი შენთან შეხვედრას და რაკი თვითონვე მოხვედი, უარს როგორ გეტყვი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ მოწმე არავინა გვყავს, რომ განსაჯოს რომელი ვაჯობებთ და სხვაც დაარწმუნოსო.

— მაშინ მოიყვანე მოწმე, ვინც გინდაო, — უთხრა დევმა.

— მოწმეს მოვიყვან, ეგ ძნელი არ არის, — უთხრა კაცმა, — მაგრამ მეშინია, ვაითუ შეგეშინდეს და ჩემს დაბრუნებამდე გაიპარო. ამიტომ მოდი, ხელ-ფეხს შეგიკრავ, რომ მოწმის მოყვანამდე არსად გამექცე და დიდი ხნის ნატვრა შენთან შეხვედრისა აუსრულებელი არ დამრჩესო.

— კარგიო, — დაეთანხმა დევი.

მწყემსმა გაშალა ოთხწვერად დაგრეხილი თხის ბალნის ქამანდი, შეუკრა დევს ხელ-ფეხი და დააგდო მიწაზე. ახლა მიყურე, როგორ მოწმეს მოგიყვანო, უთხრა, მოიმარჯვა შვინდის კომბალი და მისცხო და მისცხო დევს გვერდებში.

დევმა ყვირილი გააბა, მიშველეთო, მაგრამ ვინ უშველიდა. მწყემსი კი უჟაპუნებდა და უჟაპუნებდა მძიმე კომბალს და თან ნიშნის მოგებით დასძახოდა:

— კიდევ გაბედავ ჩემთან ჭიდილს, ჰა, კიდევ გაბედავო?!

დევი ძალიან რომ შეაწუხა ცემამ, გაიწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაწყვიტა ქამანდი და თავქუდმოგლეჯილმა

მოკურცხლა. გადმოიხედა ღმერთმა მაღლიდან და ჩამოსძახა:

— აკი გითხარი, ადამიანს ნუ შეეჭიდები, თორემ სირცხვილნაჭამი დარჩებიო!

— მართლაც ყოფილა უძლეველიო, — მიუგო დევმა და თან სირბილს უმატა, — ემანდ კიდევ არ მომეწიოს და უარესი დღე დამაყენოსო.

საით წავიდა ის დევი, ან რომელ მხარეს გადაიხვეწა, არავინ იცის, ოღონდ ეგ კია, რომ იმ დღიდან დევთა მოდგმა სამუდამოდ გაქრა დედამიწის ზურგიდან.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ბედისწერა

იყო და არა იყო რა, ამქვეყნად რაღა არ ყოფილა და სხვათა შორის ერთი ვაჭარიც იყო. ეს ვაჭარი ჩარჩი იყო, სოფელ-სოფელ დადიოდა და ჩითსა და საწვრილმანოს ასაღებდა. ჩარჩობით საკმაო მოგებას შოულობდა და მდიდარიც იყო. ცოლისა და ერთი ქალიშვილის გარდა შესანახი არავინ ჰყავდა და სახლი სულ თვალ-მარგალიტითა და ოქრო-ვერცხლის ნივთებით ჰქონდა გამოტენილი.

ერთხელაც ამ ჩარჩს ერთ სოფელში შემოაღამდა და ღამე ერთი მეტად ღარიბი კაცის სახლში გაათია. კაცს ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა და სწორედ იმ ღამეს ვაჟი ეყოლა.

შუაღამე რომ მოახლოვდა, სახლში ბედის მწერლები შემოვიდნენ და დაიწყეს ბჭობა, ამ ახალშობილს რა ბედ-იღბალი დავუწეროთო. ზოგმა რა თქვა, ზოგმა—რა. ბოლოს მათი უფროსი წამოდგა და თქვა:

— მოდით, ამ ყრმას ბედნიერება ვუანდერძოთ. აქ რომ ვაჭარს სძინავს, მთელი იმისი ქონება ამას დარჩეს და ვაჭარი კი მოკვდესო.—დაწერეს, დაჰკრეს ბეჭედი და წავიდნენ.

ვაჭარს არ ეძინა, ბედის მწერლების ნალაპარაკევი ყველაფერი გაიგონა და გული ბოღმით აევსო, — ეს ვინ არის, რომ ჩემი ქონება დარჩესო, — თქვა გულში და დილაზე მშობლებს უთხრა:

— ეს ახალშობილი მე მომეცით გასაზრდელად და სამაგიეროდ მაგის წონა ოქროს მოგცემთო.

ღარიბი ცოლ-ქმარი ოქროს დახარბდნენ და ბიჭი ვაჭარს გაატანეს. წამოიყვანა ვაჭარმა ბიჭი და სოფელს რომ გა-

მოსცდა, მდინარეში გადააგდო, იქნებ დაიხრჩოსო და მომ-ცილდესო. ბავშვი მდინარემ წაიღო და ვაჭარი თავისი გზით წავიდა.

ატარა მდინარემ ბავშვი, ატარა და ბოლოს ერთი წის-ქვილის რუში გაჩხირა. ამ წისქვილის პატრონი უშვილო იყო, გამოვიდა, ნახა ბავშვი და სიხარულით ცას ეწია. მა-შინვე დასტაცა სელი, გამოიხვია ჩოხის კალთაში და ცოლს მიურბენინა:

— სულ შვილს ნატრობდი და აჰა, ეგეც შეილიო.

მეწისქვილის ცოლსაც ძალიან გაუხარდა. მაშინვე ახალ ჩვრებში შეასვიეს, გააბანეს, თხის რძე დაალევინეს და, რა-კი მისი პოვნა ღვთის წყალობად მიიჩნიეს, სახელიც წყა-ლობა დაარქვეს.

გავიდა სანი, ბიჭი გაიზარდა და კარგი თვალად-ტანადი ვაჟკაციც დადგა. ერთ ღღეს იმ ჩარჩმა მეწისქვილისკენაც ჩამოიარა და სავაჭრო ჩამოატარა — ჩითები, ქალის სამკა-ულები და ქამარ-ხანჯლები. მეწისქვილეს ბიჭისათვის სწო-რედ ქამარ-ხანჯლის ყიდვა უნდოდა და ბიჭს დაუძახა:

— წყალობავ, აბა, მოდი, ნახე და, რომელიც მოგეწონე-ბა, აირჩიეო!

მივიდა ბიჭი და ერთი შეეერცხლილი ქამარ-ხანჯალი ამოარჩია. ჩარჩს მოეწონა ბიჭი და მეწისქვილესა და იმის ცოლს ჰკითხა, ასეთი კარგი ვაჟკაცისათვის წყალობა რად დაგირქმევიათო?

ცოლ-ქმარმა უამბეს ბიჭის თავგადასავალი. ჩარჩი მიხ-ვდა, ვინც იყო ეს ბიჭი, და ცოლ-ქმარს უთხრა:

— მოდით, ეს ბიჭი მე მომეცით, გავზრდი, ვაჭრობაში გამოვწაფავ და კაცი დადგება. აბა, მეწისქვილეობით რა პური უნდა ჭამოს. სამაგიეროდ თქვენ ერთ საცხოვრის ფულს მოგცემთო.

ცოლ-ქმარმა თქვა: მართლაც ცოდოა ამისთანა ვაჟკაცი რომ მეწისქვილეობას შეაბერდეს, წავიდეს ქალაქში, თვალს გაახელს, ქვეყანას გაიცნობს, ცოდნას, გამოცდილებას შეი-ძენს და ჩვენც გამოგვადგება და თავის თავსაცო.

გამოართვეს ჩარჩს ფული და ბიჭი გაატანეს.

წამოიყვანა ვაჭარმა ბიჭი და ქალაქს რომ მიუახლოვ-

დნენ, წერილი დაუწერა, ასწავლა თავისი მისამართი, ქუჩა, სახლის ნომერი და უთხრა:

— ეს წერილი ჩემს ცოლს მიუტანე და მეც მალე მოვალო.

წაიღო ბიჭმა წერილი და შევიდა ქალაქში. წინ ერთი დარბაისელი კაცი შემოხვდა და ჰკითხა, ესა და ეს ნომერი სახლი და ქუჩა ხომ არ გეცოდინებათო?

კაცმა ქუჩაც იცოდა და სახლიც, ვაჭარსაც იცნობდა და გაუკვირდა, ამ ანგელოზივით ვაჟკაცს იმ ჯოჯოხეთ კაცთან რა უნდაო, და ბიჭს ჰკითხა:

— ვინა ხარ და იმასთან რისთვის მიდიხარო?

ბიჭმა უთხრა:

— ის კაცი ჩემი ბატონია და თავის ცოლთან წერილი გამომატანაო.

— აბა, მაჩვენე, რას სწერსო? — უთხრა კაცმა.

ბიჭმა მისცა წერილი, კაცმა წაიკითხა, წერილში ეწერა: „ეს ბიჭი ჩემი დაუძინარი მტერია, მოვიდეს თუ არა, მსახურებს მოაკვლევინე, ასო-ასოდ დააჭრევინე და წყალში გადააყრევინეო“.

კაცი მიხვდა, როგორც იყო საქმე და ბიჭს უთხრა:

— შენს ბატონს წერა-კითხვა არა სცოდნია, ძალიან გაუგებრად არის ნაწერი, ქალბატონმა შეიძლება ვერც კი გაარჩიოს და გაგიწყრეს. მოდი, სუფთად გადაგიწერ და ის მიუტანეო.

ბიჭი დათანხმდა. კაცმა ის წერილი დახია და ასეთი წერილი დაუწერა: „ეს ბიჭი ჩვენი სასიძოა, მოვიდეს თუ არა, მაშინვე ჩვენს ქალზე ჯვარი დასწერე, დაკალი ძროხა, ცხვრები და კარგი ქორწილიც გადაუხადეო“.

ბიჭმა წაიღო წერილი და მიუტანა ჩარჩის ცოლს. ცოლმა წაიკითხა და ბიჭს კოცნა დაუწყო. მერე გამოვარდა კარში, შეყარა მთელი მოსამსახურეები და ცხვარ-ძროხის დახოცვა უბრძანა. ერთი მოსამსახურე მღვდელთან გაგზავნა, დასწერა ჯვარი ბიჭსა და თავის ქალიშვილს და კარგი ქორწილიც გააჩაღა.

მოვიდა სახლში მეორე დილით ჩარჩი და ეს ამოდენა

ხალხი და ლხინ-მხიარულება რომ ნახა, კინაღამ გაგიჟდა, გამოისმო ცოლი და ჰკითხა:

— ქალო, ეს რა ამბავიაო?

— რაც მომწერე, ის ამბავიაო, — ცოლმა უთხრა და წერილი აჩვენა. შემოიკრა თავში წელი ჩარჩმა, მაგრამ რაღას იზამდა, ამდენ ხალხში თავის განზრახვას ხომ ვერ გაამხელდა. მიუჯდა თვითონაც სუფრას და ნეფე-დედოფალი ტკბილი სიტყვებით დალოცა. თან გულში ბიჭს დაემუქრა, სულერთია, ბოლოს მოგიღებო.

ხალხი რომ გაისტუმრეს, ჩარჩმა მესაკირეებს უბრძანა;

— საკირე გაახურეთ და დილაზე ვინც პირველად მოვა თქვენთან, შიგ ჩააგდეთ. სულერთია, ვინ იქნება, ქალი თუ კაცი, მეც რომ მოვიდე, არ დამინდოთო.

— ბატონი ბრძანდებითო, — მიუგეს მესაკირეებმა და იმავე საღამოს შეუკეთეს საკირეს. დილას ჯერ რიჟრაჟი არ იყო, რომ ჩარჩმა თავისი სიძე გააღვიძა და უთხრა:

— ხომ ხედავ ამოდენა სახლ-კარს და ცხოვრება-ქონებას, ამას მოვლა უნდა, ახლა პატრონი შენა ხარ, ადექი და მესაკირეებს მიხედე, ცეცხლი არ გაუნელონო.

ადგა ბიჭი და წავიდა საკირეზე. ის იყო, უნდა მისულიყო მესაკირეებთან, რომ მისდა ბედად, ეკლესიაში ციხკრის ზარი დარეკეს. ბიჭმა თქვა, მოდი, ჯერ წირვას მოვისმენ. მესაკირეებთან ცოტა გვიანაც რომ მივიდე, არა უშავსო, და ეკლესიისაკენ გაუხვია.

ცოტა ხნის შემდეგ ჩარჩიც ადგა. იფიქრა, ჩემი სიძე ახლა უკვე დამწვარი იქნებაო, და გულდაარსეინებული ამბის გასაგებად საკირისაკენ ღიღინ-ღიღინით წავიდა. მივიდა თუ არა საკირეზე, მესაკირეებმა, როგორც დარიგებული იყვნენ, სტაცეს ხელი და საკირეში შეაყუდეს.

ასე დასრულდა ბედისწერა: ვაჭარი მოკვდა, ხოლო მისი ქონება ბიჭს დარჩა და თავისი წუთისოფელი ტკბილად და უზრუნველად გალია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

უკვდავი კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ერთადერთი ვაჟი. ბიჭი ჩვეულებრივ იზრდებოდა და თანდათანობით ცხოვრების ავ-კარგსაც ეცნობოდა. თავის წამოზრდის ხანაში რამდენჯერმე შეესწრო სიკვდილს და ამან ძალიან დააფიქრა.

— ბიჭოს, ბოლოს თუ აუცილებლად მოვკვდები, მაშ სიცოცხლეს რაღა მადლი უნდა ჰქონდესო, — თქვა გულში და გადაწყვიტა, — ისეთ ადგილას უნდა წავიდე, სადაც არ მოვკვდები და სულ ასე ჯეილად და ჯანმრთელად ვიქნებიო.

დედ-მამამ ბევრი უშალა, — ნუ წახვალ, ჩვენო იმედო და თვალის ჩინო, რა ვუყოთ, თავის წილად კაცს სიკვდილიც უნდა, უსიკვდილოდ არც სიცოცხლეს აქვს ფასიო, — მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა, ერთ მშვენიერ დღეს აიკრა გუდანაბადი, გადაკოცნა თვალცრემლიანი მშობლები და გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ-მინდორში გავიდა. მინდვრის შუაში ერთი ირემი იდგა და რქები ცისთვის ჰქონდა მიბჯენილი.

— სად მიხვალ, ჭაბუკო, საით გაგიწევიაო? — ჰკითხა ირემმა.

— უკვდავ-უბერებელ ადგილზე მივდივარ, სადაც არ დავბერდები და არც სიკვდილი გამეკარებაო.

— მოდი, ჩემთან დარჩი, — უთხრა ირემმა, — ამაზე დიდხანს სხვაგან ვერ იცოცხლებო.

— მაინც რამდენ ხანს ვიცოცხლებო? — ჰკითხა ბიჭმა.

— აი, ამ თვალუწვდენ მინდორს ხომ ხედავ, — უთხრა ირემმა,—სანამ სულ არ გაივსება ჩემი დაცვენილი რქებით, მანამდე მეცა და შენც ცოცხლები ვიქნებითო.

— მერე ხომ მაინც დავიხოცებითო? — ჰკითხა ბიჭმა.

— რა თქმა უნდა, — მიუგო ირემმა, — საბოლოო ხვედრი ყველასათვის სიკვდილიაო.

— არაო, — უთხრა ბიჭმა, — მე მუდმივი სიცოცხლე და უკვდავება მინდაო. — და გაუდგა ისევ გზას.

იარა, იარა და ერთ ულრან ტყეში შევიდა. ხის წვერზე ერთი ყვავი იჯდა, დაინახა ბიჭი და ჩამოსძახა:

— ჭაბუკო, შორი გზის მგზავრი ჩანხარ და საით გაგიწევიაო?

— ისეთი ადგილი უნდა მოვნახო, სადაც სიკვდილი ვერ მომწვდება და სამუდამოდ უკვდავ-უბერებელი ვიქნებიო.

— მაშინ დარჩი ჩემთან, — უთხრა ყვავმა, — აი, ხომ ხედავ ამ უკიდეგანო ტყეს, სანამ მთლიანად არ გავავსებ ჩემი ბუმბულით, ორივენი ცოცხლები ვიქნებითო.

— ბოლოს ხომ მაინც დავიხოცებითო? — ჰკითხა ბიჭმა.

— რა თქმა უნდა, — უთხრა ყვავმა, — ბოლოს სიკვდილი ყველას უწერიაო.

— არაო, — უთხრა ბიჭმა, — მე მხოლოდ იქ დავრჩები, სადაც უკვდავ-უბერებელი ვიქნებიო. — და გაუდგა ისევ გზას.

იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ჭალაში გავიდა. ჭალაში უზარმაზარი წნორი იდგა. ჰკითხა წნორმა:

— საიდან მოხვალ, ჭაბუკო, ან საით გაგიწევიაო?

— უკვდავ-უბერებელ მხარეში მივდივარ, სადაც არც დავბერდები და არც მოვკვდებიო.

წნორმაც იგივე ურჩია:

— დარჩი ჩემთან, სანამ მე ვიქნები. შენც იცოცხლებ, აი, ამ ჭალას ხომ ხედავ, სანამ ჩემი ამონაყარი ყლორტებით არ გავავსებ, არ მოვკვდებიო.

— ბოლოს ხომ მაინც უნდა მოვკვდეო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ბოლოს, რა თქმა უნდა, ყველა სიკვდილის შვილები ვართო.

— არაო, — უთხრა ბიჭმა, — მე მუდმივი სიცოცხლე მინდა და სანამ არ მივაგნებ ასეთ ადგილას, არ მოვისვენები, — და გაუდგა გზას.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ერთ დღეს გზაზე მეურმეებს წამოეწია.

— სად მისვალ, ჭაბუკო, ასე გაჩქარებულიო? — ჰკითხეს მეურმეებმა.

— ისეთ ადგილს ვეძებ, სადაც სიკვდილი არ არსებობს და მუდმივი სიცოცხლე სუფევსო, — მიუგო ბიჭმა.

— წამოგვყევი და ეგეთ ადგილს ჩვენ გაჩვენებთო, — უთხრეს მეურმეებმა.

გაჰყვა ბიჭი მეურმეებს. ატარეს მეურმეებმა, ატარეს და ერთ ბროლის კოშკთან მიიყვანეს. უთხრეს მეურმეებმა:

— ამ კოშკში ერთი უკვდავ-უბერებელი მზეთუნახავი ქალია, მიდი მასთან და, თუ მიგიღო, შენც უკვდავი გახდებიო.

ბიჭი გამოემშვიდობა მეურმეებს, მივიდა კოშკთან, დაჯდა ფანჯრის ძირას და დაუწყო გათენებას ლოდინი. გათენდა დილა, გამოიხედა მზეთუნახავმა ქალმა ფანჯრიდან, დაინახა ბიჭი და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ან ამ ჩემს კოშკთან რასა ზიხარო?

— უკვდავ-უბერებელ ადგილს ვეძებ, მინდა სულ ასეთი ჯეელი ვიყო და ვერც სიკვდილი მომეკაროსო.

— თუ მუდმივად ჩემთან დარჩები და წასვლას არ მოინდომებ, არც ფერი შეგეცვლება, არც ჯანი და უკვდავიც იქნებიო, — უთხრა ქალმა.

ბიჭს ძალიან გაუხარდა და მიუგო:

— ოღონდ ეგ მეღირსოს და აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო.

აიყვანა ქალმა კოშკში და დაიწყეს ერთად ცხოვრება.

გავიდა ასეული წლები, გავიდა საუკუნეები, ათეული ოცეული, და ბიჭს არც სიბერე მიჰკარებია, არც სიკვდილი, არის ისეთივე, როგორიც პირველ დღეს მოვიდა.

ბიჭი ჯერ კმაყოფილი იყო, გემრიელი სასმელ-საჭმელი და მოსვენება არ ეკლდა, გვერდით მზეთუნახავი ქალი ჰყავთა და თავს ბედნიერად თვლიდა, მაგრამ თანდათან ყველაფერი მობეზრდა, ისევ თავისი მიწა-წყალი მოენატრა და სულ უფრო მოიწყინა. ბოლოს ველარ გაუძლო ნაღველს და ქალს უთხრა:

— ჩემი მიწა-წყალი, ნაცნობი ადგილები მომენატრა და უნდა წავიდე და ვნახოო.

— ნუ წახვალ, თორემ უკან ველარ დაბრუნდებიო, — ურჩია ქალმა.

მაგრამ ბიჭმა არ დაუჯერა და წამოვიდა. მოვიდა იმ ჭალაში, სადაც წნორი იდგა, ჭალა სულ გადაბერებული წნორებით იყო მოფენილი, მაგრამ ის წნორი აღარსად ჩანდა. წამოვიდა და მივიდა იმ ტყეში, სადაც ყვავი ნახა, ყვავი აღარსად იყო და იმისი ბუმბულიც მიწას შეეჭამა. ასეთივე სურათი დახვდა ტრიალ მინდორშიც, აღარც ირემი იყო და არც მისი დაცვენილი რქები, ჩონჩხებიც არსად ჩანდა, მინდორს ღიჭი და ბუჩქნარი მოსდებოდა და ქვეწარმავლებით ავსილიყო.

გამოსცდა ბიჭი მინდორსაც, იარა, იარა და მიაღწია თავის სოფელს, მაგრამ სადღა იყო სოფელი ან ნასასლარი. უცვლელად მხოლოდ სოფლის თავს სიგრძივ გაწოლილი სერი დარჩენილიყო, სოფლის ადგილას კი ქალაქი გაშენებულიყო. ქუჩებში აუარებელი ხალხი გაშლილიყო და ერთი ხმაური და ჟრიამული გაუდიოდათ. მაგრამ რა ხალხი იყო, ბიჭს რომ ახსოვდა, იმ ხალხს აღარაფრით ჰგავდნენ, არც სახით, არც ჩაცმით და არც ყოფაქცევით. თავის მხრივ არც იმ ხალხს ენახა ბიჭისნაირი ადამიანი და გაკვირვებით უყურებდნენ. ბიჭი გაერია ხალხში და გამოესაუბრა; მაგრამ ყველა ისე მოერიდა, როგორც ჭირიანს და ვერც ნაუბარი ვისმეს გააგებინა. უკან დაბრუნება მოინდომა, მაგრამ გზა ველარ გაიგნო. დგას ბიჭი გაოგნებული და აღარ იცის, რა ქნას, ძველი და ახალი მოგონება და სინამდვილე თავში დომხალივით აერია და მარტოობისაგან თავზარი დაეცა. ბიჭი ახლაღა მიხვდა, რომ უკვდავება დიდი სიკეთე არ ყოფილა. უცბად დაიჩოქა და ღმერთს შეეხვეწა:

— ღმერთო, ოღონდ მომკალი, ჩემი სული მიიბარე და საიქიოშიც შენი მლოცველი ვიქნებიო.

ღმერთმა უსმინა ვედრება, გამოუგზავნა მთავარანგელოზი გაბრიელი და სული ამოხადა.

ასე დაასრულა უკვდავების მაძიებელმა კაცმა თავისი სიცოცხლე. ნატვრა აუხდა, მაგრამ ნანატრი საბოლოოდ ისევ სანანებელი გაუხდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

კოკროჭინა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი გლეხკაცი. ჰყავდა ერთი ოქროსქოჩრიანი პატარა ბიჭი. იმ ბიჭს ნამდვილი სახელიც ერქვა, მაგრამ ყველანი კოკროჭინას ეძახდნენ.

ერთხელ გლეხი ყანაში წავიდა სამუშაოდ. კოკროჭინა გაეტირა, მეც უნდა წამოვიდეო. მამამ უთხრა:

— იქ წყალი არ არის, შვილო, მოგწყურდება, მარტო წყაროზე ვერ წახვალ და გამაცდენო.

— არა, არ მომწყურდებაო, — დაიჟინა ბიჭმა. მამამაც წაიყვანა. მუშაობს მამა ყანაში, კოკროჭინა კი ტყის პირას ჩიჭის ბუდეებს ეძებს. დასცხა. მოსწყურდა. პირი უშრება. ითმინა, ითმინა და ბოლოს ვეღარ მოითმინა.

— მამი, წყალი მწყურიაო.

რა უნდა ექნა მამას, საქმეს თავს ხომ არ დაანებებდა! აბგიდან მჭადი ამოიღო და კოკროჭინას უთხრა:

— აი ამ მჭადს გავაგორებ და შენ უკან მიჰყევი. სადაც ეს გაჩერდება, წყაროც იქ იქნება. მაღლა არ აიხედო, ისე დალიე და გამოიქეცი უკანო.

მიგორავს მჭადი და მისდევს კოკროჭინა. ბოლოს წაიქცა მჭადი და წყაროც გამოჩნდა. მივიდა ბიჭი წყაროსთან, დალია წყალი და, აბა, რა არის მაღლაო, აიხედა.

აიხედა და რას ხედავს? ვაშლის ხე დგას და თურაშაული წითელი ვაშლებით არის დახუნძლული. კოკროჭინა გახარებული აფოფხდა ხეზე და დაუწყო ვაშლებს კრეფა და ჭამა.

სად იყო და სად არა, გაჩნდა ვაშლის ძირას პატარა, მოკუზული, ღრეჯოლებიანი კუდიანი დედაბერი.

— შვილო, შვილო, მადლის გულისათვის ერთი ვაშლი ჩამომიგდეო! — კოკროჭინამ ჩამოუგდო. დედაბერმა აიღო ვაშლი, ერთ ლუკმად შესანსლა და ისევ ასძახა:

— ის ვაშლი ტალახში ჩამივარდა, კიდევ ჩამომიგდეო!

კოკროჭინამ მეორე ვაშლიც ჩამოუგდო. დედაბერმა ისიც შესანსლა და შეესვეწა:

— ისიც ტალახში ჩამივარდა. შენს გაზრდას, დამიწიე ვაშლის ტოტი, მე თვითონ მოვწყვეტო.

კოკროჭინა დაბლა ტოტზე გავიდა და დაუწია. დედაბერმა მოზიდა ტოტი; სწვდა კოკროჭინას ფეხში, ჩამოათრია ხიდან, ჩასვა გუდაში, მოუკრა თავი და ზურგზე წამოიკიდა. სიდის, მიკუნკულებს. დაიღალა. გუდა მოიხსნა. თვითონ ბუჩქებში გადაუსვია. კოკროჭინამ იფხაკუნა, იფხაკუნა და ამოძვრა გუდიდან. გუდაში რიყის ქვები ჩაყარა, თავი მოუკრა, გაიქცა და ისევ ვაშლის ხეზე ავიდა.

დაბრუნდა დედაბერი, მოიკიდა გუდა ზურგზე და ისევ კუნკულით გასწია შინისაკენ.

მიადგა თავის ქოხის კარს და ღაუძახა რძალს:

— პატარძალო, პატარძალო, გამოიტანე გობ-საცერი, ოქროსქოჩრიანი ბიჭი მოგიყვანეო.

გამოვიდა ქოხიდან გობ-საცრით ალქაჯი. ხეტის სიხარულით და აკრაჭუნებს ღრჯოლებს. უქნეს თავი გობზე გუდას მაგრამ გობი მარტო რიყის ქვით გაივსო.

— სად არის ოქროსქოჩრიანი ბიჭიო? — იკითხა მსუნაგმა ალქაჯმა.

შერცხვენილი დედაბერი ისევ ვაშლის ხისკენ წაკუნკულდა. მივიდა ვაშლის ხის ძირას და ისევ დაუწყო ხვეწნა კოკროჭინას:

— შვილო, შვილო, გაგეხუმრე. ჩამომიზნიქე ერთი ტოტი, მშიერს ნუ დამტოვებ, დედაშვილობასაო.

არ დაუჯერა კოკროჭინამ, მაგრამ დედაბერმა ისე მოისაწყლა თავი, ისე ევედრა, და ეხვეწა, რომ შეებრალა კოკროჭინას, დაუზნიქა ტოტი. დედაბერი სწვდა კოკროჭინას ფეხში, ჩამოათრია ხიდან, ჩასვა გუდაში, მოუკრა თავი, წამოიკიდა ზურგზე და დაუსვენებლად მიიყვანა შინ. უქნა თა-

ვი გობზე გუდას და ოქროსქოჩრიანი ბიჭი გაუგორა წინ თავის ალქაჯ პატარძალს.

ზრდიდნენ და ასუქებდნენ დედამთილი და პატარძალი ამ ბიჭს. ერთხელ დედამთილი თავის საკუდიანო საქმეებზე წავიდა და პატარძალს ჩუმად დაუბარა:

— დღეს ეგ ბიჭი დაკალი, შემოდგი ქვაბით კერაზე და მომიხარშეო.

კოკროჭინამ ყური მოჰკრა დედაბრის სიტყვებს. გახარებული ალქაჯი დედაბერი წავიდა თუ არა, მაშინვე დანის ლესვას შეუდგა. კოკროჭინამ უთხრა:

— მომეცი ეგ დანა, გალესვაში მოგეხმარებიო.

რა იცის მსუნაგმა ალქაჯმა, რომ ბიჭმა კუდიანი დედაბრის ნათქვამი გაიგონა. აიღო და მისცა დანა, თვითონ დგას და ნერწყვს ყლაპავს. გაუქნია ბიჭმა ის დანა ალქაჯს და გააგორა კიტრივით. კუდიან დედაბერს ერთი შავი კატაც ჰყავდა. საკუდიანო საქმეებში ეხმარებოდა. სანამ ის იქნებოდა ცოცხალი, დედაბერი ყველგან გამარჯვებული გამოვიდოდა. ატეხა იმ კატამ კნავილი. ისეთი ხმით ღნაოდა, მეორე სოფელში გავიდოდა მისი ხმა. სწვდა კოკროჭინა კატას და ისიც ზედ წააკლა ალქაჯს. ნახა ქვაბი თუხთუხებდა, აკუწა ის კატა და შიგ ჩაყარა. ალქაჯი ტახტქვეშ დამალა, თვითონ კი სხვენზე აძვრა.

დაბრუნდა დედაბერი. შორიდანვე დაუწყო პატარძალს ძახილი. ხმას არავინ სცემს. იფიქრა, მეზობლებშია გადასულიო. შევიდა შინ, ჩაიხედა ქვაბში და სიხარულით შესძახა:

— ოო, რა სადილი დაუხვედრებია ჩემს პატარძალსო.

ამოიღო ხორცი ქვაბიდან და დაუწყო ჭამა. ამ დროს სხვენიდან კოკროჭინამ ჭვარტლი გადმოაყარა ხორცზე. დედაბერს თაგვი ეგონა და ასძახა:

— ფრთხილად. თაგუნიავ ,თორემ შეგაკნატუნებო.

კიდევ ჩამოცვივდა ჭვარტლი. ახლა თავისი კატა ეგონა.

— ციც, ციცუნია, ფრთხილად, თორემ შენც შეგახრამუნებო!

ჭვარტლი ისევ ჩამოცვივდა. აიხედა დედაბერმა და გაშტერდა: სხვენში არა ზის პატარა ოქროსქოჩრიანი ბიჭუნა!

შემოეყარა გულს. მიხვდა, რა ამბავიც იყო მის თავს. აქეთ ეცა. იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა. სხვენში ვერ ავიდა. მაშინ ტკბილი სიტყვებით სცადა ბიჭის ხელში ჩაგდება.

— კოკროჭინავ, შვილო! მითხარი, დედაშვილობას, როგორ ახვედი მანდაო?

— როგორ და გავახურე კეცი, დავკარი საჯდომი ზედ და ამოვხტიო.

დედაბერი ეცა მაშინვე კეცს, გაახურა, დაჰკრა საჯდომი, დაწვით კი დაიწვა და გამწარდა, მაგრამ ახტომით სხვენში რას ახტებოდა. ისევ შეეხვეწა კოკროჭინას:

— სწორი მითხარი, როგორ ახვედი მანდაო?

— დავდგი საჩეჩელი, დავკარი საჯდომი და ამოვხტიო.

დაფაცურდა დედაბერი, დადგა საჩეჩელი, საჩეჩელზე დაჰკრა საჯდომი, მაგრამ ზედ ჩამოეგო, სხვენში კი ვერ იქნა და ვერ ახტა.

მაშინ მესამედ შეეხვეწა დედაბერი:

— მითხარი, შე არ გასაზრდელო, როგორ ახვედი მანდაო?

— სწორი თუ გინდა, ეს არის: გავახურე თონე, გადავაფარე ფარდაგი, ვკარ ბუქნა ზედ და ამოვხტი.

დედაბერი თონეს მივარდა. გაახურა, გადააფარა ფარდაგი, დახტა ზედ და აგიზგიზებულ თონეში ჩავარდა. ჩაიწვა და ამოიბუგა მისი სახსენებელი.

ოქროსქოჩრიანი კოკროჭინა კი ჩამოვიდა მირს, ოუსვა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შინისაკენ. მ.ს შემდეგ მამას ყველაფერს უგონებდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სელეზნიფის დედა

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ღობეს ჩიტი მომკვდარიყო,
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღე იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო.

იყო ერთი მდიდარი სოვდაგარი და ჰყავდა სამი ლამაზი ქალიშვილი. ერთხელ სოვდაგარი უცხო ქვეყნებში წასასვლელად მოემზადა, წასვლის წინ თავისი ქალიშვილები დაიბარა და უთხრა:

უცხო მხარეს სავაჭროდ მივდივარ და მითხარით, რა მოგიტანოთო?

უფროსმა ქალიშვილმა სთხოვა:

— ისეთი კაბა მომიტანე, რომ თავისით ჩამეცვას და თავისით გამეხადოსო.

შუათანამ სთხოვა:

— ისეთი სარკე მომიტანე, რომ ჩავიხედო და შიგ მთელი ქვეყნიერება მოჩანდესო.

ჯერი ნაბოლარა ქალიშვილზე მიდგა, ნაბოლარას ერთი ძალიან ჭკვიანი ძიძა ჰყავდა და იმას დაეკითხა:

— მამა უცხო მხარეს მიდის და მირჩიე, რა დავაბარო.

ძიძამ უთხრა:

— ისეთი ვაშლი მოგიტანოს, რომ ნატვრა აგისრულდესო.

დაბრუნდა უმცროსი ქალიშვილი მამასთან და უთხრა:

— ისეთი ვაშლი მომიტანე, რომ შევჭამო და ხელმწიფის დედა გავხდეო.

— კარგიო, — უთხრა მამამ და წავიდა.

დაბრუნდა მამა ერთი წლის შემდეგ და უფროს ქალიშვილს კაბა მოუტანა, შუათანას — სარკე. უმცროსს კი უთხრა:

— რა ვქნა შვილო, შენი თხოვნა ვერ შევასრულე. ის სატვრის ვაშლი ერთ უდაბნოში მდგარა, ირგვლივ გველების ღობე ჰქონია შემოვლებული და მცველებად პირდაღებული გველეშაპები ჰყოლია. იმ ხეს ჯერ კაციშვილი არ მიჰკარებია და აბა მე როგორ მოგიტანდიო.

დაღონდა ნაბოლარა ქალი, დაიწყო ტირილი და ძიძასთან წავიდა. ძიძამ ჰკითხა, — რად სტირი, ჩემო თვალისჩინოო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა ქალიშვილმა, — მამამ ჩემს დებს დანაპირები აუსრულა, ჩემი დანაბარები ვაშლი კი ვერ უშოვნია და ხელცარიელი დაბრუნდაო.

ძიძამ ანუგეშა:

— ნუ სტირი, ჩემო თვალის სინათლევ, თუ ყოჩაღად მოიქცევი, იმ ვაშლს შენ თვითონ იშოვი. წადი აღმოსავლეთისაკენ, იარე, იარე და ერთი ხრიოკი უდაბნო შეგხვდება. ის ვაშლი სწორედ იმ უდაბნოში დგას. შუადღისას, მზე რომ მაღლა აიწევს და ჩამოცხება, გველები და გველეშაპები იძინებენ, გადაახტი მძინარე გველებს, დაკრიფე რამდენიც გინდა და გამოიქეცი.

მოიმზადა ქალმა საგზალი და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს მივიდა გახრიოკებულ უდაბნოში. გაიხედა და დაინახა ნანატრი ვაშლის ხე. მართლაც გარს გველების ღობე ერტყა და სამი პირდაღებული გველეშაპი დარაჯად ედგა. ქალმა შეიცადა, სანამ მზე შუა ცაზე არ აიწია და გველ-ვეშაპებს არ დაეძინათ, მერე ისკუპა, გადაახტა გველების ღობეს და ხესთან მივიდა. მოსწყვიტა სამი ვაშლი და საჩქაროდ უკანვე გამობრუნდა. გადმოხტომისას აჩქარებულს ფეხი დაუცდა, ერთი ვაშლი გაუვარდა და მძინარე გველეშაპს დაეცა. გველეშაპმა თვალი გაახილა და საშინე-

ლი წივილი ატეხა. წივილზე სხვა გველეშაპებს და გველებსაც გამოეღვიძათ და წივილ სისინით გამოეკიდნენ ქალს.

მორბის ქალი, რაც ძალი და ღონე აქვს, და მოსდევენ გველები და გველეშაპებიც. ქალს თანდათან ღონე ელევა, მუხლი ეკვეთება, აღარ იცის, რა ქნას, გული შიშისა და დაღლილობისაგან ამოვარდნაზე აქვს. ბოლოს ერთი ვაშლი შეჭამა, მეორე გველეშაპებს გადაუგდო და ღონეგამოცლილი უგრძნობლად ჩაიკეცა.

გონს რომ მოვიდა, აღარც გველეშაპები იყო სადმე და აღარც გველები. ტრიალ მინდორში მარტოდმარტო იწვა და ირგვლივ არაფერი ჩანდა, არც ხმა ისმოდა. წამოდგა და გაისედ-გამოიხედა, უნდა დაბრუნდეს შინ, მაგრამ არ იცის, საით წავიდეს. ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე მზეს გახედა და დასავლეთისაკენ წავიდა.

იარა, იარა და მზის ჩასვლისას ერთ განმარტოებულ საყდარს მიადგა. გაუხარდა, თავშესაფარი მაინც მექნებაო, მაგრამ ეკლესიის კარი შიგნიდან დაკეტილი დაუხვდა. დაჯდა ქალი კარის ზღურბლზე და ტირილი დაიწყო. კარგა რომ ჩამობნელდა, შიგნიდან რაღაც ხმაური გაიგონა. ქალს შეეშინდა და კარებს უკან, საყდრის კუთხეს მოეფარა.

უცებ ეკლესიის კარი გაიღო და ერთი მშვენიერი ვაჟკაცი გამოვიდა. ბიჭმა კარი ღია დატოვა და ეზოში გაისეირნ-გამოისეირნა, ქალმა დრო იხელთა და საყდარში შევარდა. ხედავს: ერთ კუთხეში კუბო დგას, მეორეში — გაშლილი მაგიდა. ქალს შია, მაგრამ საჭმლისათვის ხელის ხლება ვერ გაბედა და მაგიდის ქვეშ დაიმალა. გათენებისას ბიჭიც შემოვიდა, დაიბანა პირი, ჭამა საჭმელი და მზის ამოსვლამ რომ მოაწია, ახადა კუბოს სახურავს და შიგ ჩაწვა.

გამოძვრა ქალი და კუბოსთან მივიდა, რომ ბიჭს საჭმელი სთხოვოს, მაგრამ უკვე მკვდარი დახვდა. ქალს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო, მიუჯდა სუფრას და საჭმელი ჭამა, ერთი ჭიქა ღვინოც დააყოლა და საღამოს ისევ მაგიდის ქვეშ დაიმალა.

კარგა რომ ჩამობნელდა, ვაჟი ისევ გაცოცხლდა, წამოდგა კუბოდან, გაიარ-გამოიარა და სუფრას მიუჯდა. და-

ხედა საჭმელს, მიხვდა, რომ ვიღაცას ეჭამა, და გაკვირვებულმა ხმამაღლა წამოიძახა:

— სამი წელია, აქა ვარ და ჯერ ასეთი რამ არ შემიმჩნევია, ნეტა ვინ მოვიდა ისეთი გაჭირვებული, რომ ამ უკაცრიელ საყდარში შემოსვლა იკადრა და ჩემი იჯრა გაიზიარაო?

ქალს მოეწონა ვაჟი და მაგიდის ქვეშიდან გამოვიდა. შეხედა ვაჟმა და იმასაც მოეწონა, — მშვენიერი ქალიაო. დასხდნენ და ერთმანეთს თავგადასავალი და ვინაობა გამოჰკითხეს. ჯერ ქალმა ჰკითხა:

— რა მიზეზია, რომ დღისით კვდები და ღამით ცოცხლდებიო?

ვაჟმა უამბო:

— მე ხელმწიფის შვილი ვარ, ნადირობას ვიყავი გადაყოლილი. ერთხელაც ჩვეულებრივ წავედი სანადიროდ. ერთ ირემს გამოვეკიდე და მთელი დღე ვდიე. ბოლოს ერთ მაღალ მთაზე ავიდა. მეც უკან მივყევი. მთაზე რომ ავედი, გავარვარებული მზე ორივე თვალით დაჰყურებდა დედამიწას და ყველაფერს წვავდა. მე სიცხეს ველარ გავუძელი, ვესროლე მზეს ისარი და ცალი თვალი წამოვთხარე. იმის შემდეგ გაჩნდა ღამე და დედამიწის ნახევარი ბნელშია გახვეული. ამაზე მზემ დამსაჯა და ასე მაწვალებს: დღისით მკლავს და ღამით მაცოცხლებს. დედ-მამამ ველარ გაუძლო ჩემს ტანჯვას, ამიტომ ეს საყდარი ამიშენეს, ამ კუბოში ჩამაწვინეს. დღეში ერთი პური, ერთი ცხვრის ბარკალი და ერთი ჩარექა ღვინო მეძლევა და ამით ვსაზრდოობო.

მერე ქალმაც უამბო თავისი თავგადასავალი. შეუყვარდათ ერთმანეთი და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ვაჟი დღისით კვდებოდა, ღამით ცოცხლდებოდა და დროს ერთმანეთის ალერსში ატარებდნენ. გავიდა ხანი და ქალი დაორსულდა. ცხრა თვის შემდეგ ეყოლა ვაჟი.

რაკი შვილი ეყოლა, ვაჟს უფრო შეუყვარდა ქალი და მასთან სულ უფრო დიდხანს რჩებოდა. ერთხელაც ისე გაერთნენ ალერსში ორივენი, რომ მზის ამოსვლა ველარ შეამჩნიეს, ბიჭმა კუბოში ჩაწოლა ველარ მოასწრო და მოკვდა. ქალმა ბევრი იტირა და ივაგლახა, მაგრამ რას უშველიდა. ბოლოს გაუთხარა საფლავი და დამარხა.

დარჩა ქალი მარტოდმარტო, ძუძუთა ბავშვის ანაბარა, ულუკმაპუროდ. ქმრის სიცოცხლეში საჭმელი გამოულეველი ჰქონდათ, რასაც შეჭამდნენ და მოაკლებდნენ დღიურ ულუფას, მეორე დღისათვის პურიც, ღვინოც და ხორციც ისევ მთელდებოდა. ასლა კი ერთ ჭამაზევე გათავდა და აღარ გამთელდა. რაღა უნდა ექნა ქალს, აღგა, აიყვანა ხელში ბავშვი და გაუდგა გზას. გზადაგზა ბალასს, ხის ნაყოფს ჭამდა და შვილსაც და თავის თავსაც ამით ასაზრდოებდა.

ასე იარა ქალმა მთელი თვე, ბევრი მთა გადალახა და ბევრი გაჭირვებაც გამოიარა. ბოლოს ერთ ქალაქში შევიდა და ერთ მოხუც ცოლ-ქმარს თავშესაფარი სთხოვა. ცოლ-ქმარი უშვილოები იყვნენ და ქალის მისვლა ძალიან გაუსარდათ, — ვიშვილებთ და შვილიც გვეყოლება და შვილიშვილიც.

მართლა იშვილეს და დაიწყო ქალმა დედობილ-მამობილთან ცხოვრება. გავიდა სანი, ბიჭი გაიზარდა და კარგი ვაჟკაცი დადგა. თავის ტოლებში რომ გაერეოდა, ხალხს თვალი ზედ რჩებოდა, გაიძახოდნენ, — ნეტავი შენს პატრონსო.

იმ ქვეყნის ხელმწიფე ღრმად მოხუცი იყო, მაგრამ შვილი არ ჰყავდა, რომ ტახტი და სახელმწიფო ჩაებარებინა. ერთ დღეს ხელმწიფემ დაიბარა მისნები და უთხრა:

— მე დავბერდი, დღეს თუ ხვალ ფეხებს გავჭიმავ და ქვეყანა უპატრონოდ დარჩება. მირჩიეთ, ვინ დავსვა ხელმწიფედ, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ტახტსაც და სახელმწიფოსაც პატრონი ჰყავდესო.

მისნებმა უთხრეს:

— შეკრიბე მთელი შენი სამფლობელო, გაუშვი შენი საუკეთესო შევარდენი და ვისაც ის მხარზე დააჯდება, ხელმწიფობა იმას გადააბარეო.

ხელმწიფეს ეს რჩევა ჭკუაში დაუჯდა, შეკრიბა მთელი საბრძანებელი და გაუშვა თავისი საუკეთესო შევარდენი. შევარდენი აფრინდა, იტრიალა ხალხის თავზე, მაგრამ მხარზე არც ერთს არ დააჯდა. ხელმწიფემ მეორედ გაუშვა შევარდენი, მაგრამ მეორედაც იგივე ქნა. მაშინ ხელმწიფემ

ნაზირ-ვეზირები მოიხმო და ჰკითხა, მოსაყვანი ხომ არავინ გამოგრჩათო?

— არავინ, დიდებულო ხელმწიფევ, — მოახსენეს ნაზირ-ვეზირებმა, — მარტო ერთი კაცი გვაკლიაო.

— ვინ არისო? — იკითხა ხელმწიფემ.

— აქ ერთ მოხუც ცოლ-ქმარს ნაშვილები დედა-შვილი ჰყავს და მხოლოდ ის ბიჭიღა გვაკლიაო, — მოახსენეს ნაზირ-ვეზირებმა.

— მოიყვანეთ ორივენიო! — ბრძანა ხელმწიფემ.

ააფრინა ხელმწიფემ თავისი შევარდენი. შევარდენმა იტრიალა, იტრიალა და ბიჭს დააჯდა მხარზე. მეორედ აუშვეს შევარდენი და მეორედაც ამ ბიჭსავე დააჯდა. წაიყვანეს ბიჭი, ხელმწიფის საჯინიბოში დაამწყვდიეს და შევარდენი მესამედ გაუშვეს. აფრინდა შევარდენი, ხალხის თავზე რამდენჯერმე შემობოინდა, მერე საჯინიბოში შეფრინდა და ისევ ბიჭს დააჯდა მხარზე.

ახლა კი ყველამ ირწმუნა და ხელმწიფეც დაყაბულდა, მაგრამ სანამ ტახტსა და გვირგვინს გადაულოცავდა, ჯერ ვინაობის გაგება მოინდომა — ვიღაც გადამთიელს, შემოხიზნულს ხელმწიფედ ვირჩევთ და გავიგოთ მაინც, ვინ არის, რა გვარ-ტომის ჩამომავალიაო. დაიბარა ბიჭის დედა სასახლეში და ვინაობა გამოჰკითხა. ქალმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ვინც იყო თვითონ და შვილი ვისგანაც ჰყავდა.

ხელმწიფე და დედოფალი ცას ეწივნენ სიხარულით, თურმე ის კუბოში მწოლარე ვაჟი, ვისგანაც ქალს ეს ბიჭი ეყოლა, ამათი შვილი ყოფილიყო. გადაეხვივნენ ქალს და დაუწყეს კოცნა, — შენ ჩვენი რძალი ყოფილხარ და ჩვენთვის ტახტის მემკვიდრე და შვილიშვილი გაგიზრდიაო.

ხელმწიფემ იმავე დღეს მოიწვია დიდებულები, მთელი სამღვდელოება, შვილიშვილი ხელმწიფედ აკურთხებინა და დიდი ნადიმიც გადაიხადა.

ასე გასდა სოვდაგრის ნაბოლარა ქალიშვილი ხელმწიფის დედა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ჯერართქმული სიმართლე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი სახელგანთქმული მონადირე. ერთხელაც ჩვეულებრივ წავიდა სანადიროდ, ბევრი იარა, ბევრი კლდე-ღრე დათელა, მაგრამ ვერაფერი ინადირა. გამობრუნდა შინისაკენ ხელცარიელი და დაღლილ-დაქანცულმა ერთ მდინარის პირას შეისვენა.

უცბად ველზე ირემი გამოჩნდა, ერთი ორჯერ შეიკუნტრუშა, ტოტიანი რქები შეარხია და ძოვა დაიწყო. მონადირემ წამოუწვერა თოფი, ესროლა და გააგორა. რაკი სამწვადე გაუჩნდა, ხის ძირას ცეცხლიც დაანთო და ირმის გატყავებას შეუდგა. გატყავებისას როგორღაც უნებურად თავზე გადააბოტა და ლამაზ ქალად გადაიქცა.

დაღონდა მონადირე ძალიან — რა ვქნა, ქალადქცეული ხალხში როგორღა გამოვჩნდეო, მაგრამ დაღონებითა და წუხილით თავს ვეღარაფერი უშველა. აიყარა სანადირო იარაღები — თოფ-სასწრაფო, ქამარ-ხანჯალი, იქვე ხეზე დაკიდა და გასწია უცხო ქვეყნისაკენ.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ზღვა გადაცურა და ბოლოს ერთ უცხო ქალაქში შეიდა. ერთი ბებერი ეზოში ძროხას წველიდა, დაინახა ქალი, შეატყო, რომ უცხო იყო, და გამოელაპარაკა:

— ვინა ხარ, შვილო, ვისი შვილი ხარ, როგორ გაგიმეტა შენმა პატრონმა, რომ ამ უდროო დროს გარეთ გამოგიშვაო?

ქალმა შესჩივლა, უპატრონო ვარ და სწორედ პატრონს

დავეძებ. თუ იმდენ სიკეთეს მიზამ, რომ შენთან დამაყენებ, დედად მიგიჩნევ და ერთგულად გემსახურები. ჯანი არ მაკლია და ღონე, და რასაც დამავალებ, ყველაფერს გაგიკეთებო.

გაუხარდა ბებერს და შეიყვანა ქალი შინ. დარჩა ქალი ბებერთან ამ დღიდან და მართლა ერთგული სამსახურიც გაგოიჩინა. შორს გავარდა ქალის სილამაზისა და სიყოჩაღის ხმა, მოდიან და მოდიან მთხოვნელები, მაგრამ ქალი ყველას უარს ეუბნება.

ერთხელ ქალაქზე ხელმწიფის შვილმა გამოიარა. დაინახა თუ არა ქალი, გულში მაშინვე სიყვარული ჩაუვარდა, დაბრუნდა შინ და მამას უთხრა:

— ჩვენს ქალაქში ერთ ბებერს ერთი ლამაზი ქალი ჰყოლია, თუ ის ცოლად არ მოვიყვანე, თავი ცოცხალი არ მინდაო.

ამ ქალის ქება მეფესაც გაგონილი ჰქონდა და შვილს უარი არ უთხრა. მაშინვე გაგზავნა კაცები, მოაყვანინა ქალი და თავის შვილზე ჯვარი გადასწერა.

წლის თავზე ვაჟიშვილი გაუჩნდათ. ერთხელ ქალმა თქვა, მოდი წავალ და ჩემს იარაღებს, ხეზე რომ დავკიდე, ჩემს შვილს მოვუტან და ვაჩუქებო. წავიდა და მივიდა იმ ადგილას, სადაც ირემი მოკლა. ნახა: ირემიცა და იარაღებიც ისევ თავიანთ ადგილებზე არიან. გადააბოტა ქალმა ირემს შუა წელზე, რომ იარაღებს მისწვდომოდა და უცბად ჭაკ ცხენად კი გადაიქცა. გამობრუნდა ცხენი ჭიხვინით და მოვარდა თავის სახლში. მთელი სასახლე ფეხზე დამდგარი დახვდა, მეფის რძალს დაეძებდნენ, რა იცოდნენ, რომ ეს ჭაკი ცხენი მათი რძალი იყო. დაიჭირეს და თავლაში შეაგდეს.

გავიდა ხანი, ცხენი ცხენია, მაგრამ ჭკუა-გონება ადამიანისა აქვს, მეფეს უკვირს ამ ცხენის გონიერება, თქვა, ამისი ჯიში თუ არ გავამრავლე, არ იქნებაო, და ერთი შერჩეული ულაყი მოუყვანა. დამაკდა ცხენი და წლის თავზე ხვადი კვიცი გააჩინა. გაიზარდა კვიცი და ისეთი რაში დადგა, რომ ბადალი არ მოეძევებოდა.

ერთხელ მეჯინიბე შეჯდა ჭაკ ცხენზე და წყლის დასალევად წაიყვანა. გზაზე უცბად მათრახი გადაჰკრა. ითაკილა

ჭაკმა მათრახის დაკვრა, გადმოაგდო მეჯინიბე, თვითონ მინდორში გაიჭრა და შემთხვევით მოკლულ ირემს გადაახტა. გადაახტა და ახლა ძუ ძაღლად გადაიქცა. გაიქცა მაშინვე მეფის სასასლისაკენ, მთელი სასახლე ახლაც ფეხზე დამდგარი დახვდა: მეფის ჭაკს დაეძებდნენ და ის კი არ იცოდნენ, რომ მეფის ჭაკი ცხენი სწორედ ის ახლად მოსული ძუ ძაღლი იყო.

ძაღლმაც ისეთივე გონიერება გამოიჩინა, როგორც ცხენი იყო, და ხელმწიფესა და მთელ ოჯახს ისიც ისევე შეუყვარდათ. ხელმწიფემ თქვა, ამ ძაღლის ჯიში თუ არ გავამრავლე, არ იქნებაო, და ერთი შერჩეული ხვადი ნაგაზი მოჰგვარა.

დამაკდა ძაღლი და წლის თავზე სამი ლეკვი დააგდო. გავიდა ხანი, ამასობაში ხელმწიფის შვილიშვილიც გაიზარდა და სანადიროდ სიარული დაიწყო. ყოველდღე შეჯდებოდა თავის საყვარელ რაშზე, მოუხმობდა ძაღლებს და გასწევდა.

ერთხელაც ტყეში ერთი კურდღელი გამოუხტათ. გაეკიდა კურდღელს ძუ ძაღლი და იმ მინდორში გავიდა, სადაც ოდესღაც ირემი მოკლა. მირბის კურდღელი და მისდევს ძაღლი. გადაახტა კურდღელი ირემს კუდუსუნზე და გადაჰყვა ძაღლიც. გადაჰყვა და ისევ მონადირედ გადაიქცა. მონადირემ დაიჩოქა და ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ბოლოს და ბოლოს ისევ თავისი სახე დაიბრუნა. ჩამოიღო ხიდან იარაღები და ხელმწიფის შვილიშვილის შესახვედრად წავიდა. მოვიდა და უთხრა:

— ბატონიშვილო, მეც მონადირე ვარ, შემიამხანაგე და გამოგადგებიო. ხელმწიფის შვილიშვილმა ნება დართო. რა იცის ხელმწიფის შვილიშვილმა, რომ ეს მონადირე ის ძუ ძაღლია, რომელიც ახლახან კურდღელს გაეკიდა, რომ თავისი საყვარელი რაშიც იმისი გაჩენილი ჰყავს და თვითონაც იმისი შვილია.

შეუერთდა მონადირეც უფლისწულის მხლებლებს და წავიდნენ. იარეს, იარეს და ტყეში ერთ ბროლის კოშკს წააწყდნენ. ხელმწიფის შვილიშვილმა ცხენი შეაყენა და მხლებლებს უბრძანა:

— გამიგეთ, ვისია ეს კოშკი ან შიგ რა ხალხი ცხოვრობს?

წავიდნენ მხლებლები და ამბავი მოუტანეს:

— თურმე ამ კოშკში მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს. ვინც მის ცოლად შერთვას მოინდომებს, სამი ისეთი სიმართლე უნდა უთხრას, რომ ჯერ არავის ეთქვას და არც დასაჯერი იყოს. ცეცხლზე ერთი ოქროს ქვაბი უდგას და ქვაბში ოქროს წყალი დგას. ვინც ასეთ სიტყვას ეტყვის, ქვაბში წყალი ადუღდება და ქალიც ცოლად გაჰყვება, ხოლო ვინც ვერ ეტყვის, თავს მოსჭრის და კლდეზე გადააგდებსო.

დაიჟინა ხელმწიფის შვილიშვილმა, გინდა თუ არა, ის ქალი უნდა ვნახოო. უშალეს მხლებლებმა, მაგრამ უფლისწულმა არ დაიშალა. მაშინ მონადირემ უთხრა:

— რაკი არ დაგიშლია, მეც წამოგყვები. მე ვეტყვი ისეთ სიტყვას, რომელიც ჯერ არ თქმულა, არც დასაჯერია და სიმართლე კი იქნება. ქვაბში წყალი ადუღდება და ის ქალი შენ დაგრჩებაო.

გაუხარდა ხელმწიფის შვილიშვილს, გაიმძღვარა წინ მონადირე და წავიდნენ. ერთი მხლებელი კოშკში აგზავნეს და ქალს შეუთვალეს:

— ზღვათა და ხმელეთთა ხელმწიფის შვილიშვილი გეახლათ, რომ ჯერ ართქმული სიმართლე გითხრას და როდის ინებებთ მის მიღებასო. ქალმა თანხმობა შემოუთვალა, ახლავე ამოვიდესო. ავიდნენ მონადირე და ხელმწიფის შვილიშვილი და შევიდნენ ქალთან. ქალს მოწმედ თავისი მხლებლები მოეწვია და აქეთ-იქიდან ჩაემწკრივებინა. თვითონ ოქროს ტახტზე იჯდა და გვერდით გალესილი მახვილი ედო, რომ, თუ ვინიცობაა, ვაჟი დაპირებულ სიმართლეს ვერ ეტყოდა, თავი მოეკვეთა და კლდეზე გადაეგდო. ოქროს ქვაბი და ზედადგარიც გვერდით ედგა. მონადირე მიესალმა ქალს და იქ შეკრებილ ხალხს და მოახსენა:

— ეს ყმაწვილი ჩემი ბატონია, რადგან იგი ამჟამად ძალიან დაღლილია, თუ ნებას მომცემთ, ამის მაგიერ ჯერ ართქმულ და არდასაჯერებელ სიმართლეს მე მოგახსენებთო.

ქალმა ნება დართო. მონადირე წინ წამოდგა, ხელი ხელმწიფის შვილიშვილისაკენ გაიშვირა და თქვა:

— დამიჯერებთ თუ არა, რომ მე ამ ჭაბუკის დედა ვარო?

თქვა თუ არა ეს მონადირემ, ქვაბქვეშ მაშინვე ცეცხლი გაჩნდა. მონადირემ განაგრძო:

— იქნებ არც ის დამიჯეროთ, რომ ამისი რაშიც ჩემი ნაშობიაო?

ამ სიტყვებზე ცეცხლი უფრო გაძლიერდა და წყალი გაცხელდა. მონადირემ განაგრძო:

— ეგ კიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ ამისი სანადირო ძაღლებიც ჩემი გაჩენილები არიანო.

მონადირემ დაასრულა და ქვაბში წყალიც ადუღდა. ამ ამბავმა ყველა განაცვიფრა, თვითონ ხელმწიფის შვილიშვილიც გაოგნებული იდგა. მონადირემ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი და ხალხმაც საბოლოოდ ირწმუნა. უფლისწულმა მხურვალედ გადაკოცნა მონადირე, მერე ქალი წამოიყვანა და დიდი ქორწილიც გადაიხადა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ხუთკუნჭულა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო ცხრა ძმა. ძმები ისეთი ღარიბები იყვნენ, რომ ხშირად ლუკმაპური ენატრებოდათ.

ძალიან რომ გაუჭირდათ შიმშილ-სიტიტვლით, უმცროსმა ძმამ, რომელსაც მეტისმეტი ეშმაკობისათვის ხუთკუნჭულას ეძახდნენ, ძმებს უთხრა, მოდი, წავიდეთ და ვისმე მოჯამაგირედ დავუდგეთ, სხვა თუ არაფერი, იქნებ ლუკმაპური მაინც მაძღრად ვიშოვოთო. დაიჯერეს ძმებმა ხუთკუნჭულას რჩევა, ჩაალაგეს ხურჯინებში თუ რამ ძველმანები გააჩნდათ შინ, გადაიკიდეს მხარზე და გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს ერთ უცხო ქვეყანაში გადგიდნენ. გზაზე ერთი დევი შემოხვდათ, დევი მიესალმა ძმებს და ჰკითხა:

— რატომ აყრილხარ ასე დედაბუდიანად, ან სად მიდიხართო?

— სამუშაოს ვეძებთ, გვინდა მოჯამაგირედ ვისმეს დაგუდგეთ და თავი შევინახოთო.

— მე დამიდექითო, — უთხრა დევმა.

— კარგიო, — დათანხმდნენ ძმები.

წაიყვანა დევმა ძმები და მიიყვანა შინ. დევს უზარმაზარი სასახლე ედგა, ჰყავდა აუარებელი საქონელი და ცხრა მზეთუნახავი ქალი.

იმ ღამეს დევმა ძმებს გემრიელი ვახშამი გაუშალა. ხუთ-

კუნჭულამ საჩქაროდ შეჭამა საჭმელი, სუფრიდან წამოდგა და სასასლის ყველა კუთხე-კუნჭული დაათვალიერა. ბოლოს დევის უმცროსი ქალის ოთახშიც შეიჭყიტა. დევის ქალს ადამიანის დანახვა ეუცხოვა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარო?

— ვინა ვარ და ადამიანი, სახელად ხუთკუნჭულას მეძახიან, ცხრა ძმაში მე ყველაზე უმცროსი ვარო.

— აქ საიდან გაჩნდი, ან რისთვის მოსულხარო? — ჰკითხა დევის ქალმა.

— ძმები სამუშაოს საძებნელად წამოვედით, — უთხრა ხუთკუნჭულამ, — გზაში მამაშენი შეგვხვდა და მოჯამაგირედ დაგვიყენაო.

— კაი მოჯამაგირედ დაუყენებიხართო, — უთხრა ქალმა.

— ვითომ რატომ არაო?! — გაუკვირდა ხუთკუნჭულას.

დევის ქალს ძალიან მოეწონა ხუთკუნჭულა და უთხრა:

— თუ ცოლად მითხოვ, გეტყვიო.

— გითხოვო, — შეჰპირდა ხუთკუნჭულა.

— მაშ იცოდე, — უთხრა დევის ქალმა, — მამაჩემს თქვენ შესაჭმელად ჰყევხართ მოყვანილი. როცა დაგეძინებათ, ცხრავეს შეგჭამთ. მაგრამ თუ იფხიზლებ და არ დაიძინებ, თავსაც იხსნი და ძმებსაცო.

— სიკვდილის მოლოდინში რა დამაძინებსო, — თქვა ხუთკუნჭულამ და ქალს სთხოვა, მითხარი, როგორ მოვიქცეო.

ქალმა დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო, და გამოისტუმრა. მოვიდა ხუთკუნჭულა ისევ ძმებთან. პურისჭამას რომ მორჩნენ, დევმა ძმები დარბაზში გაიყვანა დასაძინებლად და თვითონ დარბაზის კარებში დაწვა. ძმებმა მაშინვე ხვრინვა ამოუშვეს, ხუთკუნჭულას კი რა დააძინებს, საბნიდან ცალი თვალით იჭყიტება და დევს დარაჯობს. ცოტა ხანი რომ გავიდა, დევმა წამოიხედა და შესძახა:

— ძმებო, გძინავთ თუ გღვიძავთო?

— მღვიძავსო, — უპასუხა ხუთკუნჭულამ.

— რა არ გაძინებსო? — ჰკითხა დევმა.

— შენი ბატების ყიყინიო! — მიუგო ხუთკუნჭულამ, როგორც ქალისაგან იყო დარიგებული.

დევი წამოხტა და მთელი ბატები ერთიანად გადაყლაპა, ისევ თავის ადგილზე დაწვა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ შესძახა:

— ძმებო, გძინავთ, თუ გღვიძავთო?

— მღვიძავსო, — გამოსძახა ისევ ხუთკუნჭულამ.

— რა არ გაძინებსო? — კვლავ ჰკითხა დევმა.

— შენი ძროხების ფშვინვაო.

წამოვარდა ისევ დევი, დაერია ძროხებს და სულ სათითაოდ გადაყლაპა. მერე ისევ თავის ადგილას დაწვა და ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ჰკითხა:

— ძმებო, გძინავთ, თუ გღვიძავთო?

— მღვიძავსო, — უპასუხა ხუთკუნჭულამ.

— ასლა რაღა არ გაძინებსო? — გაჯავრდა დევი.

— მინდვრიდან შენი ცხენების ჭიხვინი მესმის და ის არ მაძინებსო, — მიუგო ხუთკუნჭულამ.

დევი მაშინვე წამოვარდა და ცხენების შესაჭმელად მინდორში გაიქცა. ხუთკუნჭულამ კი დრო იხელთა და, როგორც დარიგებული იყო, დევის უმცროს ქალთან შევარდა. ქალმა ხუთკუნჭულას თავისი ტანისამოსი ჩააცვა, ძმებისთვის დების ტანსაცმელი მისცა და დევის დაბრუნებამდე სასახლიდან ყველანი გააპარა.

დაბრუნდა დევი და ძმები რომ აღარ დახვდნენ, მთლად გაცეცხლდა. გამოვარდა გარეთ და უკან გაეკიდა, ირბინა, ირბინა და მიადგა ხიდს, ნახა რომ ძმები წყალგაღმა იყვნენ გასული და უარესად გადაირია. ხიდი სასაზღვრო მდინარეზე იდო, იმის იქით სხვა ხელმწიფის სამფლობელო იწყებოდა და დევი იქ ვერ გადავიდოდა.

— ხუთკუნჭულავ, გამასწარ ხიდსაო? — დაუძახა კბილების კრაჭუნით.

— გადაგასწარ და თვალებიც მოგთხარეო! — გამოსძახა ხუთკუნჭულამ.

რაღას იზამდა დევი, დაბრუნდა შინ გაწბილებული, ხუთკუნჭულა და იმისი ძმები კი იმ დევის მომიჯნე ხელმწიფეს დაუდგნენ მოჯამაგირედ.

ხუთკუნჭულამ ხელმწიფის სამსახურში დიდი სიბეჯითე და გულმოდგინება გამოიჩინა, რაზედაც ხელმწიფე ხშირად

ასაჩუქრებდა. ნაზირ-ვეზირებს, რა თქმა უნდა, არ მოსწონდათ ხელმწიფესთან ხუთკუნჭულას ასეთი დაახლოება და მოინდომეს მისი თავიდან მოშორება. ერთ დღეს მივიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, შენი სასახლე და სახელმწიფო ყველაფრით სრულია, მაგრამ ჩვენს მომიჯნე დევს რომ ერთი გულთმისანი თხა ჰყავს, ისიც რომ თქვენი იყოს, უფრო მდიდარი იქნებითო.

— მერე, ვინ მოიყვანს იმ თხასო? — იკითხა ხელმწიფემ.

— ვინა და, რაღა თქმა უნდა, თქვენი მოჯამაგირე ხუთკუნჭულაო.

დაიბარა ხელმწიფემ ხუთკუნჭულა და უბრძანა:

— წადი და, ჩვენს მომიჯნე დევს რომ გულთმისანი თხა ჰყავს, ის მომიყვანე, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

რაღას იზამდა ხუთკუნჭულა, ადგა და წავიდა. მივიდა ჩუმად დევის სასახლეში და შეიპარა უმცროს ქალთან. ქალმა ჰკითხა, — პირობა ხომ არ დაგვიწყებიაო?

— არაო, — უთხრა ხუთკუნჭულამ.

— მაშ მითხარი, რა გაგჭირვებიაო?

ხუთკუნჭულამ უთხრა თავისი გასაჭირი. — ეგ ადვილი საქმეაო, — დაამშვიდა ქალმა და საღამომდე თავის ოთახში დამალა. თან ისიც ასწავლა, როგორ ჩაეგდო გულთმისანი თხა ხელში.

საღამოზე დევმა მორეკა ცხვარი და შერეკა გომურში. ხუთკუნჭულამ, როგორც დევის ქალისაგან იყო დარიგებული, თავი გამოყო და გულთმისან თხას დაენახვა.

— ხუთკუნჭულა, ხუთკუნჭულაო! — ატეხა თხამ კიკინი.

წამოვარდა დევი და მთელი სასახლე გადაჩხრიკა, მაგრამ ხუთკუნჭულა ვერსად იპოვა, რას იფიქრებდა, თუ მისივე ქალის ოთახში იმალებოდა. გაბრაზდა დევი, — მე შენ გიჩვენებ ხუთკუნჭულასაო, — დაუყვირა თხას და კარში გამოაგდო.

ხუთკუნჭულასაც ეს უნდოდა, გამოვიდა ჩუმად ქალის ოთახიდან, წამოიკიდა თხა და მოცოცხა ხელმწიფის სასახლისაკენ. ნაზირ-ვეზირებს, რა თქმა უნდა, არაფრად ეპიტნა-

ვათ, რომ ხუთკუნჭულამ თხაც მოიყვანა და საღსალამათიც დაბრუნდა, და ხელმწიფეს ისევ შეუჩნდნენ:

— იმ დევს ერთი ჯადოსნური ხალიჩა აქვს და ხუთკუნჭულამ ისიც მოიტანოს, ასეთი ძვირფასი ნივთი სწორედ თქვენი საკადრისიაო.

დაიბარა ხელმწიფემ ხუთკუნჭულა და უბრძანა:

— წადი და იმ დევს რომ ჯადოსნური ხალიჩა აქვს, ის მომიტანეო.

— ბატონი ბრძანდებითო, — უთხრა ხუთკუნჭულამ და წავიდა. მივიდა დევის სახლთან, შეიპარა ისევ უმცროსი ქალის ოთახში და თავისი გასაჭირი მოახსენა. ქალმა ერთი მუჭა ნემს-მახათი მისცა და დაარიგა:

— შედი მამაჩემის საწოლ ოთახში და ეს ნემსები ხალიჩას ქვეშიდან გაუყარეო.

შევიდა ხუთკუნჭულა და ის ხალიჩა სულ ნემს-მახათით გაავსო, მოვიდა საღამოზე დევი და დაჯდა ხალიჩაზე. დაჯდა და შეერჭო საჯდომზე ნემსები, იქით გაიწია, იქითაც შეერჭო, აქეთ გამოიწია და კიდევ უარესი დაემართა, გაბრაზდა დევი, დაავლო ხელი ხალიჩას და ფანჯრიდან ეზოში გადაუძახა.

გამოვიდა ხუთკუნჭულაც ქალის ოთახიდან, დასტაცა ხელი ხალიჩას და დილისთვის ხელმწიფეს მიურბენინა.

ნაზირ-ვეზირები შურით მთლად გულზე დასკდნენ. თქვეს, თუ რაღაც ხერხი არ ვიხმარეთ, ამას თავიდან ვერ მოვიშორებთო, და ხელმწიფეს მოახსენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, მაგ თხისა და ხალიჩის პატრონიც რომ აქ მოიყვანოთ და მსახურად დაიყენოთ, ყველაფერს ის აჯობებსო.

— მერე, ვინ მოიყვანსო? — იკითხა ხელმწიფემ.

— ვინა და, რა თქმა უნდა, ხუთკუნჭულაო. რაკი თხა და ხალიჩა მოიტანა, არც პატრონის მოყვანა გაუჭირდებაო.

ხელმწიფეს ეს რჩევა ყველაზე მეტად მოეწონა. — მეფეთა გული ხომ გაუმაძღარია, დაიბარა ხუთკუნჭულა და უბრძანა:

— უნდა წახვიდე და თხისა და ხალიჩის პატრონიც მომგვაროო.

დაღონდა ხუთკუნჭულა ძალიან, — ვაითუ, ამაზე დევის ქალი გამიწყრეს და ცოცხალი ველარ დავბრუნდეო, მაგრამ თავს იქით ძალა არ ჰქონდა და წავიდა. შევიდა დევის ქალთან. ქალმა დაღონება შეატყო და ჰკითხა:

— რა იყო, ისეთი რა დაგავალა შენმა ხელმწიფემ, რომ თავ-პირი ჩამოგტირისო?

ხუთკუნჭულამ უთხრა, რაც აწუხებდა.

— ჰო, ეგ კი ცოტა ძნელი საქმე დაუვალებია, — უთხრა ქალმა, — მაგრამ ნუ გეშინია, მაგასაც მოევლება. შენ ის მითხარი, პირობა ხომ არ დაგავიწყდაო?

— პირობას როგორ დავივიწყებ, კაცი ვარ და ქუდი მხურავსო! — მიუგო ხუთკუნჭულამ.

— აი, ეს მომწონსო! — თქვა ქალმა და ხუთკუნჭულას ერთი ხელი იმერული ტანსაცმელი და სადურგლო იარაღები გამოუტანა. თან დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, და გამოისტუმრა. ხუთკუნჭულამ ჩაიცვა იმერული ტანისამოსი, დაიჭირა ხელში იარაღები და, როგორც ქალმა უთხრა, დევს ტყეში დაუხვდა.

— ვინა ხარ და ამ ჩემს ტყეში რას აკეთებო? — დასჭყიელა დევმა.

— იმერელი დურგალი ვარ და ტყეს ვათვალიერებო! — მიუგო ხუთკუნჭულამ.

— თუ მართლა იმერელი ხარ, კარგი ხელობა გეცოდინება, რას გააკეთებ საკვირველსო? — ჰკითხა დევმა.

ისეთ კიდობანს გავაკეთებ, რომ შიგ ჩაჯდე და ფიცარიც ვერ გააგდებინოო, — უთხრა ხუთკუნჭულამ.

— აბა გააკეთეო, — უბრძანა დევმა.

ხუთკუნჭულამ საჩქაროდ გააკეთა კიდობანი და დევს უთხრა:

— აბა ჩაჯექი და სცადე, ფიცარს თუ გააგდებინებო.

დევი ჩახტა კიდობანში და ხან ერთ ფიცარს მიაჭირა ფეხი, ხან — მეორეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო. ამასობაში ხუთკუნჭულამ კიდობანს თავი დაახურა და დალურსმნა.

— რასა შვრებიო? — გამოსძახა დევმა შიგნიდან, — თავს რად მაფარებო?

— ბარემ ზურგზე აგიკიდებ და შინამდე მიგიყვან, —

უთხრა ხუთკუნჭულამ. — თავიც სწორედ იმიტომ დავლურსმნე, რომ გზაზე არ გადმოვარდეო.

დევს გაუხარდა, რომ შინამდე ფეხით აღარ მოუწევდა სიარული და აღარაფერი თქვა, ხუთკუნჭულამ კი წამოიკიდა კიდობანი და პირდაპირ ხელმწიფის ეზოში შეიტანა.

გამობრძანდა ხელმწიფე თავისი ნაზირ-ვეზირებით, მაგრამ სანამ კიდობანს გახსნიდნენ, ხუთკუნჭულა ჩუმად გაიპარა, აიღო უშველებელი მარილის ქვა და ერთ მაღალ ჭადარზე ავიდა.

ახადეს თავი კიდობანს. ამოვარდა განრისხებული დევი და ხელმწიფე და ნაზირ-ვეზირები ერთიანად გადასანსლა. მერე ხუთკუნჭულას დაუწყო ძებნა, მიხვდა, რომ ეს მისი ოინი იყო და პირიდან სულ ცეცხლს ყრიდა. ბოლოს დაინახა ჭადრის კენწეროზე მჯდომარე და შესძახა:

— ხუთკუნჭულავ, მასწავლე, მანდ როგორ ახვედიო?

— აი, ეს მარილის ლოდი დავიდე გულზე და ამოვფრინდიო, — ჩამოსძახა ხუთკუნჭულამ.

— მერე, მე სად ვიშოვო მაგისთანა ქვაო? — ჰკითხა დევმა.

— რა შოვნა გინდა, შენ გულაღმა დაწექი, მე ჩამოვუშვებ, დაგეცემა გულზე და ამოხტებიო, — ჩამოსძახა ხუთკუნჭულამ.

დაწვა დევი გულაღმა. ჩამოაგდო ხუთკუნჭულამ მარილის ქვა, დასცა დევს გულზე და ნაპურჭყალად აქცია.

ჩამოვიდა ხუთკუნჭულა ხიდან და დაეპატრონა მეფის სასახლეს. დედოფლად დევის უმცროსი ქალი მიიყვანა. სხვა ქალები თავის ძმებს შერთო და ნაზირ-ვეზირებად დააყენა. დევის მთელი სიმდიდრეც ძმებს გაუნაწილა და დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება.

მთას ურემი ავიტანე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით.
საიქიოს — ცხონებითა.

ქალქვა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი წვრილშვილი ხელმწიფე: თორმეტი შვილი ჰყავდა და თორმეტივე ქალი. დედოფალი მეცამეტედაც დაორსულდა. მობეზრდა ხელმწიფეს ამდენი ქალები და როცა ცოლს მოლოგინების დრო მოუვიდა, დაიბარა და უთხრა:

— წადი ტყეში, თუ ბიჭი გაგიჩნდა, წამოიყვანე, ხოლო თუ ისევ ქალი გეყოლა, რაც გინდა, ის უყავი. გინდ გაზარდე, გინდ ტყეში დატოვე, ოღონდ აქ არ მოიყვანო და თვალით არ დამანახოო.

რა უნდა ექნა საცოდავ დედოფალს, ქმარი იყო, თანაც ხელმწიფე და რასაც უბრძანებდა, უსიტყვოდ უნდა აესრულებინა. იმავ წამს ადგა, ამოიდო იღლიაში საგზალი, ტანსაცმელი, ერთი ხელი ქვეშაგები და წავიდა. დედას სულ უმცროსი გოგოც უკან დაედევნა.

— შენ სადღა მოხვალო? — ჰკითხა დედამ.

— მეც შენთან უნდა წამოვიდეო, — მიუგო გოგონამ.

— არა, შვილო, შენ ნუ წამოხვალ. მე ტყეში მივდივარ, შორი გზა მაქვს და ჩემთან ვერ ივლიო.

გოგონა გაჯიუტდა:

— სადაც შენ იქნები, მეც იქ უნდა ვიყოო.

დედამ კიდევ ბევრი უშალა, მაგრამ ბავშვმა არ დაიშალა და გაუდგნენ ორნი გზას.

ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს ერთ დაბურულ ტყეში შევიდნენ. დედოფალმა ტყეში ერთი ყველაზე დიდი მუხა მონახა და ბინა იმის ქვეშ დაიდო.

— დედა, წავალ, იქნებ აქ სადმე ახლომახლო ცეცხლი ვიშოვოო, — უთხრა გოგონამ.

— ცეცხლი კი გვინდა, მაგრამ ვაითუ ამ ტყეში გზა აგებნეს და დაიკარგოო, — შეწუხდა დედა.

გოგონამ დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, ყოველ ათ ნაბიჯზე მიწაში მწვანე ტოტებს ჩავარჭობ და გზა აღარ დამეკარგებაო.

დედას მოეწონა შვილის ასეთი საზრიანობა და გაუშვა. გოგონა გამოეთხოვა დედას და წავიდა. ბევრი იარა, მაგრამ ცეცხლი ვერსად ნახა. ამასობაში კიდეც დაუღამდა. გოგო შეძვრა ხის ფუღუროში და დაიმალა.

ირგვლივ უკუნი სიბნელეა, ტყეში ათასნაირი ნადირი დადის, თვითონ ტყეც გაუჩერებლად ფაჩუნობს, შრიალებს, შარიშურობს. გოგონა ზის ფუღუროში და მოუთმენლად მოელის გათენებას.

შუაღამე რომ გადავიდა, მაღლიდან რაღაც ლაპარაკი გაიგონა. გოგოს ჯერ შეეშინდა, მერე გული გაიმაგრა და ყური მიუგდო. თურმე ციდან ბედისწერლები ჩამოსულიყვნენ და ხალხს ბედ-იღბალს უნაწილებდნენ. ბოლოს ერთმა თქვა:

— ამ ტყეში რომ ახლა ბიჭი დაიბადა, შუბლზე ასეთი ბედი დაეწეროს: თორმეტ წლამდე გაიზარდოს, მერე ხელმწიფის ეზოში რომ დიდი ნაძვის ხე დგას, იმაზე ავიდეს, ჩამოვარდეს და მოკვდეს. ვინც ჩემი ნათქვამი გაიგონოს და გაამხილოს, ქვად იქცესო.

ახლა მეორემ დაიძახა:

— ამ ტყეში რომ ბიჭი დაიბადა, თან ეს ბედი დაჰყვეს. თექვსმეტ წლამდე უვნებლად იზარდოს, მერე ხელმწიფის ჭაკ ცხენს რომ კვიცი გაუჩნდება, იმაზე შეჯდეს, ჩამოვარდეს და მოკვდეს. ვინც ეს ჩემი ნათქვამი გაიგონოს და გათქვას, ქვად იქცესო.

ბოლოს მესამემ თქვა:

— დღეს ამ ტყეში რომ ბიჭი დაიბადა, ეს ბედ-იღბალი დაეწეროს: ოც წლამდე იზარდოს, ოცი წლისა რომ გახდება, დაინიშნოს, სიდედრმა საქორწინო ტანსაცმელი მიუტანოს, იმ ტანსაცმელში გველები გაჩნდნენ, დაკბინონ და მოკვდეს.

ვინც ეს ჩვენი ნათქვამი გაიგონოს და გაგვცეს, თავით ფეხებადმე გაქვავდეს და მზის პირის ნაბანი წყლის მეტმა ნულარაფერმა მოარჩინოსო.

ბედისმწერლებმა დაასრულეს თავიანთი საუბარი და ისევ ცაში გაფრინდნენ.

გოგომ სამივე ბედისმწერლის ნათქვამი კარგად დაიმახსოვრა და გათენებისთანავე დედისაკენ გაეშურა. დედოფალს მართლა ბიჭი გასჩენოდა. წამოიყვანეს ახალშობილი და წამოვიდნენ ორივენი სასახლისაკენ. ხელმწიფემ რომ გაიგო, ვაჟიშვილი შემეძინაო, სიხარულით ცას ეწია და დედოფალს მთელი თავისი ამალით შეეგება, ზარ-ზეიმითა და თოფ-ზარბაზნების სროლით შემოიყვანა სასახლეში და დიდი ძეობაც გადაიხადა.

გავიდა დრო, ხელმწიფის შვილი, წამოიზარდა, გადადგა მეთორმეტე წელში, აი, თორმეტი წელიც უსრულდება, კიდევ რამდენიმე დღეც და ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების თორმეტი წლისთავს იზეიმებს. მთელი სასახლე საზეიმო სამზადისშია გართული, სწორედ ამ დროს ხელმწიფის უმცროსმა ქალმა უცბად თავი მოიავადმყოფა და ლოგინში ჩაწვა. კვნესის, ოხრავს, ვიშვიშებს. ხელმწიფემ იმავ დღეს ყველა სახელგანთქმული ექიმი მოიწვია და ავადმყოფს თავზე დააყენა, მაგრამ რას გაუგებდნენ, რაც არაფერი სჭირდა.

ექიმები რომ წავიდნენ, ქალმა მამას უთხრა:

— სულ ტყუილად წვალობ და აწვალებ ექიმებსაც. ჩემი ავადმყოფობის მიზეზი ჩვენი დიდი ნაძვის ხეა, თუ იმას მოაჭრევინებ, მოვრჩები, თუ არადა, მოვკვდებიო.

— შვილო, ოღონდ შენ კარგად გასდი და იმას კი არა, სხვა ხეებსაც დავაჭრევინებო, — უთხრა ხელმწიფემ, გამოვიდა, გასცა ბრძანება და ის დიდი ნაძვის ხე სულ ძირიანად მოათხრევინა.

ქალი მაშინვე ფეხზე წამოსტა და, გახარებული იმით, რომ სიკვდილს გადაარჩინა, ძმას სიყვარულით გადაეხვია.

გავიდა კიდევ ხანი. ხელმწიფის შვილს საცაა თექვსმეტი წელი უნდა შეუსრულდეს. ამ დროს ხელმწიფის ჭაკმა ცხენმა კვიცი მოიგო. ისეთია ეს კვიცი, რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს, სხვა თუ წლით იზრდება, ის დღით იზრდე-

ბა. ხელმწიფის შვილი გვერდიდან ბღარ იშორებს, თვითონ წმენდს, უურვებს, თვითონ დაჰყავს წყალზე და ბალახსაც თავისი ხელით უთიბავს.

მოიავადმყოფა ისევ თავი ხელმწიფის უმცროსმა ქალიშვილმა და ჩაწვა ლოგინში, აკვნესდა და აკივლდა. შეწუხდნენ მშობლები. აბა — ექიმი, მკითხავი, მლოცავი! ვინც კი სახელგანთქმული იყო, ყველა მოიწვიეს, მაგრამ ავადმყოფს ვერაფერი გაუგეს, ან რას გაუგებდნენ, როცა არც რამე სჭირდა და არც აწუხებდა.

ბოლოს ქალიშვილმა ისევ მამა დაიბარა და ჰკითხა:

— მამილო, მე უფრო გიყვარვარ, თუ ჩვენი ჭაკი ცხენის კვიცი?

— ეგ რა სათქმელია, შვილო, — უსაყვედურა მამამ, — შენზე მეტად პირუტყვი როგორ მეყვარება?

— მაშ თუ ასე ძალიან გიყვარვარ, ერთი ნატვრა შემისრულე, — უთხრა ქალმა, — ის კვიცი დღესვე დაკალიო.

ხელმწიფეს ქალიშვილის ეს უცნაური სურვილი ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა:

— დაკვლით კი დავკლავ, შვილო, მაგრამ შენ რას გარგებსო?

— სწორედაც მარგებსო, — უთხრა ქალმა, — წუხელ სიზმარში ერთი თეთრწვერა მოხუცი გამომეცხადა და მითხრა: შენი ავადმყოფობის მიზეზი თქვენი კვიცია, თუ იმას დაკლავთ, მორჩები, თუ არა და მოკვდებიო.

— ოღონდ შენ მყავდე, შვილო, კარგად. და კვიცი თუნდ ეშმაკსაც წაუღია, — უთხრა მამამ და მსახურებს უბრძანა, დაკალითო! დაკლეს კვიცი და ქალიც მაშინვე ფეხზე წამოდგა. ერთხელ კიდევ გადაარჩინა ძმა სიკვდილს და ამით გახარებული სიყვარულით გადაეხვია.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელიწადი, ხელმწიფის შვილი უკვე მეოცე წელში გადადგა და ცოლის შერთვის დრო მოუვიდა. დაფაცურდნენ ხელმწიფე და დედოფალი და ერთი დიდგვაროვანი მზეთუნახავი ქალი დაუნიშნეს. დადგა ქორწილის დღეც. სასიძო მოყვრებთან წასასვლელად მოემზადა. უცბად ხელმწიფის უმცროსმა ქალმა ტირილი მორთო და

დაიჟინა, — მეც გამაყოლეთ ჩემს ძმას, თორემ ახლავე თავს მოვიკლავო.

წააყოლეს გოგოც და წავიდნენ მაყრები. იმ ღამეს კარგი დრო გაატარეს — იცეკვეს, იმღერეს, იმხიარულეს და დაიძინეს.

მეორე დღეს, ადგომის წინ, სიდედრმა სიძეს ახალი საქორწინო ტანსაცმელი მოუტანა. აბა სიძე მეორე დღეს იმავე ტანსაცმლით ხომ არ დაჯდებოდა სუფრასთან, წამოდგა ხელმწიფის შვილი, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა, ამ დროს წამოვარდა მისი უმცროსი და, ჩამოეკიდა კისერზე ძმას და თვალცრემლიანმა დაუწყო ხვეწნა:

— არ ჩაიცვა ეგ ტანისამოსი, არ ჩაიცვაო!..

ყველა გაკვირდა, ზოგს გიჟი ეგონა, ზოგს კიდევ რა. სასიდედროს ძალიან ეწყინა და ქალს საყვედურით უთხრა:

— რა მოგივიდა, ქალო, განა რას ხედავ ამ ტანსაცმელში ისეთს, რომ შენს ძმას ჩაცმას უკრძალავო?

— აბა თორნე გაახურეთ და მაშინ ნახავთ, რადაც ვუკრძალავო, — უპასუხა ქალმა.

ჩაყარეს მაშინვე თონეში სახმილი და წაუკიდეს ცეცხლი. მთელი ხალხი ფეხზე დადგა, ნეტა, რა მოხდებაო. კარგად რომ გახურდა თონე, ქალმა წამოავლო სიდედრის მოტანილ ტანსაცმელს ხელი, ხალათი, შარვალი, ჩოხა-ახალუხი, ჩექმები და ყველაფერი თონესთან მიიტანა, ყველა სათითაოდ ჩაბერტყა შიგ და ყველადან შავი, უზარმაზარი გველები გადმოცვივდნენ. გველები სისინ-წივილით ჩაიხრუკნენ ცეცხლში. ქალმა ისევ მოხვეტა ტანსაცმელი, მიუტანა თავის ძმას, გადაეხვია და უთხრა, — აი, ახლა ჩაიცვი, ახლა აღარ დაგიშლი ჩაცმასო.

— ჩემო დაო, შენ რა იცოდი, რომ ამ ტანსაცმელში წყეული გველები ისხდნენ? — ჰკითხა ძმამ.

და შეეხვეწა:

— მაგას ნუ მათქმევინებ, თორემ ინანებო.

მაგრამ ხელმწიფის შვილმა არ დაიშალა, თუ გიყვარვარ, უნდა მითხრაო.

— კარგი, ამასაც გეტყვი, — დათანხმდა და ბოლოს, — მაგრამ იცოდე, ვიტყვი თუ არა, მაშინვე გავქვავდები

და მზის პირის ნაბანი წყლის მეტი აღარაფერი მიშველისო.

დამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რაც ტყეში ბედისმწერლებისაგან გაიგონა.

— თორმეტი წლისა შენ ჩვენი დიდი ნაძვიდან უნდა ჩამოვარდნილიყავი და მომკვდარიყავი. ამიტომ მოვიავადმყოფე თავი, მამას ის ხე მოვაჭრევინე და სიკვდილს გადაგარჩინე. — თქვა თუ არა ეს ქალმა, მუსლებამდე გაქვავდა. ძმა შეეხვეწა, მეტს ნუღარ იტყვიო, მაგრამ დამ არ დაუჯერა, — სათქმელი ბოლომდე უნდა ითქვასო, და განაგრძო:

— თექვსმეტი წლისა რომ გახდებოდი, ბედისწერას ჩვენი ჭაკი ცხენის კვიციდან უნდა ჩამოეგდე და მოეკალი, მაშინაც ამიტომ მოვიავადმყოფე თავი, მამას ის კვიცი დავაკვლევინე და სიკვდილისაგან ამჯერადაც დაგიხსენი. — თქვა ეს ქალმა და წელამდე გაქვავდა.

— ოცი წლისას ცოლი უნდა შეგერთო, — განაგრძო ქალმა, — სიდედრი საქორწინო ტანსაცმელს მოგიტანდა და შიგ მსხდარ გველებს უნდა მოეკალი. აი, როგორც ხედავ, სიკვდილს ახლაც გადაგარჩინე და ამიერიდან აღარავითარი საშიშროება აღარ მოგელისო.

თქვა თუ არა ქალმა უკანასკნელი სიტყვა, მთლიანად ქვად იქცა. ხელმწიფის შვილმა ბევრი იტირა და ივაგლახა, ბოლოს თქვა:

— ჩემმა დამ სამჯერ გადამარჩინა სიკვდილს, ახლა ჩემი ჯერია და სამაგიერო უნდა გადავუხადო. როგორც თვითონ მითხრა, მზის პირის ნაბანი წყალი უშველის, უნდა წავიდე მზესთან, გამოვთხოვო ნაბანი წყალი და ჩემი და გავაცოცხლოო.

ხელმწიფის შვილმა აიღო რკინის ჯოხი, ჩაიცვა რკინის ქალამნები, გამოეთხოვა თავისიანებს — ახლადშერთულ ცოლს, მაყრებს, სიდედრ-სიმამრს და წავიდა მზის სამფლობელოსაკენ. ბევრი იარა, ბევრი დაბრკოლება გადალახა და ბოლოს მივიდა იმ ადგილზე, სადაც ცა დედამიწას სამ შუბის ტარზე უახლოვდება. აქ, ზედ ცისა და მიწის საზღვარზე, ერთი ირემი იდგა, ირემს რქები ცისთვის მიებჯინა და ისე

იყო გახიდული ცასა და მიწას შუა, რომ ველარც წინ მიდიოდა, ველარც უკან.

ხელმწიფის შვილმა უამბო ირემს თავისი გასაჭირი და სთხოვა, შენი რქებით მზესთან ამიყვანეო. აგიყვანო, უთხრა ირემმა, ოღონდ იმ პირობით, თუ ჩემი გასაჭირის წამალს შემიტყობო. ხელმწიფის შვილი შეპპირდა და ირემმაც ნება დართო. აცოცდა ხელმწიფის შვილი ირმის რქებზე და გადაგიდა მზის ქვეყანაში. იარა კიდევ კარგა ხანს და მიადგა ერთ ალმასის კოშკს. ეს სწორედ მზის სახლი იყო, მაგრამ მზე იმ დროს ქვეყანაზე სამოგზაუროდ იყო წასული. და შინ მარტო მზის დედა დახვდა.

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ და ან აქ რამ მოგიყვანაო? — ჰკითხა მზის დედამ. ხელმწიფის შვილმა ყველაფერი უამბო და დახმარება სთხოვა. მზის დედას მოეწონა უცხო ჭაბუკი და დახმარება აღუთქვა. ამასობაში მზის დაბრუნების დროც მოვიდა. მზის დედამ უთხრა ხელმწიფის შვილს, შენი აქ ყოფნა არ შეიძლება, ჩემი შვილის სიმხურვალეს ვერ გაუძლებო, და ცალკე სენაკში დამალა.

დაბინდებისას მზეც მოვიდა. დედამ მოიტანა ოქროს ტაშტი, ოქროს სურა და პირი დააბანინა, მერე ავახშმა და დააძინა.

დილას მზე ისევ სამოგზაუროდ რომ წავიდა, მზის დედამ გამოიყვანა ხელმწიფის შვილი, ჩაუსხა მზის პირისნაბანი ბროლის სურაში და უთხრა:

— აჰა, შვილო, შენმა გარჯამ და წვალებამ უნაყოფოდ არ ჩაიარა, ამ წყალს რასაც კი გადაასხამ, ყველაფერი სულს ჩაიდგამს და გაცოცხლდებაო.

— დედი, ერთი სათხოვარი კიდევ მაქვს და ბარემ ისიც ამისრულეო, — შეეხვეწა ხელმწიფის შვილი.

— კიდევ რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა მზის დედამ.

ხელმწიფის შვილმა ირმის ამბავი უამბო.

— ის რომ არ შემხვედროდა, მე აქ ვერ ამოვიდოდი. მიწდა მეც სამაგიერო გადავუხადო და მითხარი, რა ეშველებაო?

— მაისის წყალი დალიოს და რქები თავისთავად მოსშვრებაო, — უთხრა მზის დედამ.

ხელმწიფის შვილმა ყველაფერზე დიდი მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. დედამიწაზე ისევ ირმის რქებით ჩამოვიდა.

— რა ჰქენი, გამიგე რამე ჩემი საშველიო? — ჰკითხა ირემმა.

— გაგიგეთ, — უთხრა ხელმწიფის შვილმა და მზის დედის დანაბარები ასწავლა. ირემმა დალია მაისის წყალი და რქები იმავ წამს მოსძვრა.

გამოეთხოვა ხელმწიფის შვილი ირემსაც და გაუდგა გზას. დაბრუნდა ისევ სიმამრისას, გადაასხა მზის პირისნაბანი წყალი თავის გაქვავებულ დას და გააცოცხლა. წამოიყვანა ახლად ჯვარდაწერილი ცოლიც და მოვიდა შინ.

მისი ქმრისთვის გაწეული ასეთი ერთგულების გამო რძალმაც უზომოდ შეიყვარა თავისი უმცროსი მული და ამ დღიდან ცხოვრობდნენ ტკბილად და აუმღვრეველად.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



სიზმარა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა ექნებოდა, იყო ერთი ობოლი ბიჭი. ბიჭი ძილში სულ სიზმრებს ნახულობდა და ამის გამო სახელიც სიზმარა დაარქვეს. ბიჭს ერთი ღვთისგარეგანი დედინაცვალი ჰყავდა და ყოველდღე სცემდა და აწამებდა.

ერთხელ დედინაცვალმა მზეზე ხორბალი გაფინა გასაშრობად და გერიც გვერდით მოუსვა, — უყურე, ქათმებმა არ აკენკონო. — სიზმარა ერთხანს თვალფხიზლად დარაჯობდა ხორბალს, მაგრამ მალე ძილი მოერია და ჩაეძინა. დაესივნენ საფქვავს ქათმები და კენკვა დაუწყეს. ამ დროს მოუსწრო დედინაცვალმა, სტაცა ხელი მძინარე ბიჭს და ცემა დაუწყო.

— რა ეშმაკმა დაგაძინა, შე სასიკვდილევ, ხორბალი დაღუპეს ქათმებმაო.

გამოეღვიძა ბიჭს და დედინაცვალს შეეხვეწა:

— ნუ მცემ და სიზმარს გეტყვიო.

გაუშვა ხელი დედინაცვალმა და ჰკითხა:

— აბა, რა ნახე, ჩქარა მითხარიო.

ბიჭმა ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და უთხრა:

— სიზმარში ბაღდადს ვიყავი, ცალი ფეხი ბაღდადის თავს მედგა, ცალი — ბოლოს. ერთ მხარეს მზე მეჯდა, მეორე მხარეს — მთვარე და შუქურვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო.

დედინაცვალს ძალიან შეშურდა. გერის სიზმარი, სტაცა სიზმარას ხელი და უთხრა, — ახლავე მომეცი ეგ სიზმარიო,-

შეწუხდა სიზმარა და დედინაცვალს უთხრა:

— აბა სიზმარი როგორ მოგცეო.

დედინაცვალს მთლად ცეცხლი მოეკიდა, — სიზმარიც არ გემეტება ჩემთვის და შენგან სხვას რას უნდა მოველოდეო, — და სიზმარა სახლიდან გააგდო.

წავიდა სიზმარა დაღონებული. იარა, იარა და ბოლოს ერთ სახელმწიფოში მივიდა. გამოიხედა იმ ქვეყნის ხელმწიფემ, დაინახა უცხო ბიჭი და ჰკითხა:

— ვინა ხარ, ბიჭო, რას დადიხარ, ან ვის ეძებო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, სიზმარი ვნახე, დედინაცვალმა მთხოვა, ვერ მივეცი და სახლიდან ცემა-ტყეპით გამომაგდოო, — უთხრა სიზმარამ.

— მაინც რა ნახე ასეთიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— რა ვნახე, დიდებულო ხელმწიფევ და, ვითომ ბაღდადში ვიყავი, ერთი ფეხი ბაღდადის თავს მედგა, მეორე — ბაღდადის ბოლოს, აქეთ-იქიდან მზე და მთვარე მესხდნენ და შუქურვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო.

— ბიჭოს, ეს რა კარგი რაღაც გინახავსო, — გაოცდა ხელმწიფე და სიზმარას უბრძანა, — ეგ სიზმარი მე უნდა მომცეო.

სიზმარამ უთხრა:

— აბა როგორ მოგცე, დიდებულო ხელმწიფევ, სიზმარი იყო, გამომელვიძა და გაქრაო.

განრისხდა ხელმწიფე და სიზმარა ხაროში ჩააგდებინა, დაღონდა საწყალი სიზმარა, ვაის გაეყარა და უის შეეყარა, მაგრამ მართალ ადამიანს ღმერთი საბოლოოდ არ გასწირავს. ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი და ბუნებით კეთილი ქალი ჰყავდა, შეეცოდა უდანაშაულო ბიჭი და ხაროში ჩუმად საჭმელს აწვდიდა.

ამ მზეთუნახავ ქალს ერთი მაღრიბელი ხელმწიფე თხოულობდა, მაგრამ ქალს არ უნდოდა და არც მამა ატანდა. მაღრიბის ხელმწიფე კი არ ისვენებდა და ქალის ხელში ჩასაგდებად სულ ახალ და ახალ ხრიკებს იგონებდა. ერთხელაც ქალის მამას ოთხი ჭაკი ცხენი გამოუგზავნა და შემოუთვალა:

— გამოიცან, რომელია მაგ ცხენებში დედა, რომელი

უფროსი კვიცი, რომელი შუათანა და რომელი პატარა. გამოიცნობ, კარგია, არადა, შენი ქალი უნდა მომცეო.

შეწუხდა ხელმწიფე, აბა როგორ უნდა გამოეცნო, როცა ცხენები ტანითაც და სერ-ფერითაც ერთმანეთს ჰგავდნენ. უფრო შეწუხდა მზეთუნახავი, წავიდა და თავისი გასაჭირი სიზმარას შესჩივლა.

— ნუ გეშინია, მაგის გამოცნობა არც ისეთი ძნელია, — უთხრა სიზმარამ, — ცხენებს ბლომა მარილი აჭამეთ და თავლაში დაამწყვდიეთ, დილას წყლის დასალევად რომ გამოუშვებთ, დააკვირდით: პირველად დედა გამოვა, დედას პატარა კვიცი გამოჰყვება, მერე გამოვა შუათანა და სულ ბოლოს უფროსი კვიცი გამოვაო.

ქალი წავიდა და ყველაფერი მამას უამბო. ხელმწიფე მართლაც ასე მოიქცა და გამოცანაც გამოიცნო.

გავიდა ხანი. მაღრიბის ხელმწიფემ ახლა რიყის ქვა გამოუგზავნა მზეთუნახავის მამას და შემოუთვალა:

— ამ რიყის ქვას თუ კოპად დაჭრი, ჩამოგეხსნები, თუ არადა, შენს მზეთუნახავ ქალს წავიყვანო.

დაღონდა ხელმწიფე, არ იცოდა, რა ექნა, როგორ უნდა დაეხია რიყის ქვა კოპად, არადა, ქალი უნდა მიეცა. ქალმა გაიგო მამის გასაჭირი და რჩევის საკითხავად ისევ სიზმარასთან გაიქცა. სიზმარამ უთხრა:

— ნუ გეშინია, მაგასაც მოევლება. მამაშენს ასე უთხარი: გაატანოს ეგ რიყის ქვა უკან და შეუთვალოს, — მე არ ვიცი, როგორი ზომის კოპი გინდა. ბრტყელი თუ წვრილი, ამიტომ ამ რიყის ქვას პირი აართვი ნიმუში გამომიგზავნე და მეც იმ ზომაზე დავხევო.

რა თქმა უნდა, მაღრიბის ხელმწიფე ქვას პირს ვერ აართმევდა და მზეთუნახავის მამა აქაც მოგებული დარჩა. მაშინ მაღრიბის ხელმწიფემ ისარი გასტყორცნა და მზეთუნახავის სასახლის წინ დაარჭო. თან ხელმწიფეს შეუთვალა:

— ან შენს სახელმწიფოში ისეთი კაცი მონახე, რომ ეს ისარი ამოაძროს, ან არადა, შენი ქალი ცოლად მიმყავსო.

შეკრიბა ხელმწიფემ ვინც კი ძძლე და მკლავღონიერი ეგულებოდა სახელმწიფოში, მაგრამ ისარს ძვრაც ვერავინ

უყო. მაშინ ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი ისევ სიზმარასთან გაიქცა და თავისი გასაჭირი შესჩივლა. სიზმარამ უთხრა:

— ამაღამ ჩუმად მოდი ხაროსთან, თოკი ჩამოუშვი, ამოყვანე და იმ ისარს მე ამოვაძრობო.

მართლაც დაღამდა თუ არა, ქალმა ჩაუშვა თოკი ხაროში და სიზმარა ამოიყვანა. ამ ხნის მანძილზე, რაც ხაროში იჯდა, სიზმარა გაიზარდა და საკმაოდ მკლავღონიერი ჯეელი დადგა. ხელის ერთი გაკვრით ამოაძრო ისარი და ისევ ხაროში ჩაჯდა.

გამოვიდა დილას ხელმწიფე, ნახა ამოძრობილი ისარი და ძალიან გაუკვირდა. გახარებულმა საჯაროდ გამოაცხადა:

— ვინც ეს ისარი ამოაძრო, მოვიდეს და ჩემს მზეთუნახავ ქალს ცოლად მივცემო.

შეიკრიბნენ ისევ სასახლეში ხელმწიფის გამოჩენილი ვაჟკაცები, ქალის დასაკუთრება ყველას უნდოდა და ისრის ამოძრობას ყველა თავისთვის იჩემებდა. ბოლოს ხელმწიფემ ბრძანა, — აბა, ვინც ამოაძრო ეს ისარი, ახლაც დაძრას ადგილიდანო.

ყველამ სცადა, მაგრამ ძვრაც ვერავინ უყო. მაშინ მივიდა ქალი მამასთან და უთხრა:

— მამილო, ხაროში რომ ბიჭი გიზის, იქნებ იმან ამოაძროო?

გაგზავნეს ვეზირები და მოიყვანეს სიზმარა, ისეთი ბიჭია, რომ ქალებს თვალები ზედა რჩებათ. აიღო სიზმარამ ისარი, გასტყორცნა და მაღრიბის ხელმწიფის წინ დაარჭო. აბა ხელმწიფეს რაღა ეთქმოდა. მოიწვია მთელი სახელმწიფო და თავის მზეთუნასავ ქალსა და სიზმარას იმავ დღეს ჯვარი დასწერა.

დაიწყო სიზმარამ ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება. ხელმწიფის სიძეს ან რა უნდა მოჰკლებოდა, ან რა საზრუნავი უნდა ჰქონოდა, იჯდა არსეინად. გვერდს ლამაზი ცოლი ჰყავდა და სხვა არც არაფერი უნდოდა. მაგრამ ერთ დღეს გაიგო, რომ მაღრიბის ხელმწიფე ჯარს აგროვებს და მზეთუნახავი ცოლის წართმევა უნდაო.

— ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო, — უთხრა სიზმარამ ცოლს. — მოდი, ისევ მე დავასწრებო, — გამოემშვიდობა და წავიდა.

კარგა გზა რომ გაიარა, ერთ წყალუხვ მდინარეს მიადგა. მდინარის პირას ერთი დაღონებული კაცი იჯდა. მივიდა სიზმარა იმ კაცთან და ჰკითხა, — რამ დაგაღონა, ან ამ მდინარის პირას რას უზიხარო?

— წყალი მწყურია და ვერ დამილევია, — უთხრა კაცმა, — ყლაპი რომ ვქნა, ყლუპი აღარ დამრჩება და რა ვქნა, არ ვიცი.

გაუკვირდა სიზმარას და უთხრა:

— კაცო, რა საკვირველი კაცი ყოფილხარ, მე გაღმა გასვლა მიჭირს, შენ კი ამოდენა მდინარე ყლუპადაც არ გყოფნის. მოდი, ჩემი ძმა იყავიო.

— შენ ვინა ხარო? — ჰკითხა კაცმა.

— მე სიზმარას მეძახიანო.

— შენ ისა ხარ, ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი რომ ცოლად შეირთე და მაღრიბის ხელმწიფეს ომს უპირებო?

— სწორედ ისა ვარო.

— შენ როგორ არ გეძმობიო, — უთხრა კაცმა და გაუდგნენ გზას ორნი.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, გზაზე ერთი კაცი შეხვდათ. ზღვის პირას იჯდა და სიცილით კვდებოდა. მივიდნენ ახლოს წყალიხაპია და სიზმარა და ჰკითხეს: — რატომ ზიხარ ამ ზღვის პირას და ან რა გაცინებსო?

— როგორ არ გავიცინო, — უთხრა კაცმა, — ზღვის ფსკერზე ჭიჭყინები შეკრებილან და იმაზე მსჯელობენ, ვეშაპი როგორ დავამარცხოთ და როგორ მოვიშოროთ თავიდანო.

— რა საკვირველი კაცი ყოფილხარო, — უთხრა სიზმარამ, — ჩვენ ერთმანეთის ხმაც ძლივს გვესმის, შენ კი ზღვის ფსკერიდან ჭიჭყინების ლაპარაკიც გესმისო. მოდი და მეძმეო.

— შენ თვითონ ვინა ხარო? — ჰკითხა კაცმა.

— მე სიზმარას მეძახიანო.

— შენ როგორ არ გეძმობიო, — უთხრა კაცმა და წავიდ-

ნენ სამნი. იარეს, იარეს და გზაზე კიდევ ერთ კაცს წააწყდ-
ნენ. მიეპარებოდა მტრედებს, და ფრთებს აძრობდა, ერთის
ფრთას მეორეს გაუყრიდა, მეორისას — მესამეს ისე, რომ
მტრედები ვერაფერს იგებდნენ.

სიზმარას გაუკვირდა ამ კაცის სიფრთხილე და ჰკითხა:

— რა საკვირველი კაცი ყოფილხარ, მე შეუმჩნევლად კა-
მეჩს ვერ მივეპარები და როგორ ახერხებ ამას, რომ მტრე-
დები ვერაფერს გებულობენ? მოდი და მეძმეო.

იძმო ისიც სიზმარამ და გაუდგნენ გზას ოთხნი. ბევრი
იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს გზაზე ერთი მღვდელი შე-
მოხვდათ. მღვდელს ზურგზე უზარმაზარი ეკლესია წამოე-
კიდნა, დასდგამდა ეკლესიას, სადაც მოესურვებოდა, და
სწირავდა. მერე წამოიკიდებდა ისევ და გასწევდა სხვა მხა-
რეს. სიზმარამ უთხრა:

— რა საკვირველი კაცი ყოფილხარ, ჩვენ სალთად მოვ-
დივართ და ლამის მუხლები ჩაგვაწყდეს, შენ კი ამოდენა
ეკლესია წამოგიკიდნია ზურგზე და მის სიმძიმეს ოდნავაც
არ იმჩნევ. მოდი და გვეძმეო. იძმეს ის კაციც და წავიდნენ
ხუთნი.

იარეს, იარეს და მაღრიბის ხელმწიფის სასახლესაც
მიადგნენ. გამოიხედა ხელმწიფემ, მიხვდა, რომ ისინი სასი-
კეთოდ არ იყვნენ მოსულნი და ჰკითხა:

— ვინა ხართ და ან ჩემს სახელმწიფოში რისთვის მო-
სულხართო?

— სიზმარა ვარ, მზეთუნახავი ქალის ქმარი, — უთხრა
სიზმარამ, — ესენი ჩემი ძმები არიან და შენთან საომრად
მოვედითო.

— კარგით, გამოგცდით, — უთხრა მაღრიბის ხელმწი-
ფემ. — თუ გაიმარჯვეთ, რაღა მეთქმის, თუ არადა, თავებს
დაგაყრევინებთო.

— ბრძანეთ და ჩვენც მზადა ვართო, — მიუგო ხუთივემ.

ხელმწიფემ უთხრა:

— მე ერთი ექვსრუმბიანი ქვევრი მაქვს ღვინით სავსე,
თუ იმ ქვევრს ერთ პურისჭამაზე დასცლით, ხომ კარგი, თუ
არადა, როგორც გითხარით, თავებს დაგჭრითო.

ძმობილებმა წყალიხაპიას უთხრეს, აბა ახლა შენ იციო-

— თქვენ ფიქრი ნუ გაქვთ, — მიუგო წყალიხაპიამ, — ექვსრუმბიანი კი არა, თორმეტრუმბიანიც რომ იყოს, ერთ ყლუპად არ მეყოფა და ყლაპი კიდევ მაგაზე დარჩებაო.

დასხა ხუთივენი სუფრაზე მაღრიბის ხელმწიფემ და მოატანინა ექვსრუმბიანი ღვინით გაპიპინებული ქვევრი, დაავლო ხელი წყალიხაპიამ, მოიყუდა და ერთ ყლუპად გამოსცალა. თან ხელმწიფეს გადასძახა:

— ეს ყლაპი იყო და ყლუპი სადღაა?

განცვიფრდა მაღრიბის ხელმწიფე, თქვა გულში, ამათ თუ რაღაც ხრიკი არ მოვუხერხე, დამღუპავენო, და თავის მსახურებს უჩურჩულა, სუფრაზე მაგათთვის მოწამლული კერძები მოიტანეთო. — ეს ნაჩურჩულევი გაიგონა ყურმახვილმა და ამხანაგებს უთხრა, მოწამვლას გვიპირებენო.

ძმობილებმა ფრთაპარიას გადახედეს, უნდა გვიხსნაო. — აქა ვარ, ნუ გეშინიათო, უთხრა ფრთაპარიამ და ისე შეუცვალა თეფშებს ადგილები, რომ კაციშვილმა ვერაფერი გაიგო; თავიანთი მოწამლული კერძები ხელმწიფესა და იმის კარისკაცებს დაუდგა და იმათები კი თავიანთ წინ გადმოდგა.

ჭამეს ხელმწიფემ და კარისკაცებმა მოწამლული კერძები და სუფრაზევე ფეხები გაფშიკეს. სიზმარამა და მისმა ძმობილებმა კი მრავალჟამიერი შემოსძახეს და ქეიფი დილამდე გააგრძელეს.

დილას აიშალნენ და წასასვლელად მოემზადნენ, მაგრამ ხელმწიფის სასახლიდან ხელცარიელები ხომ არ წავიდოდნენ — გახსნეს ხაზინა და რას ხედავენ: თვალ-მარგალიტი სულ ზვინებადა დგას. შეწუხდნენ ძალიან, ამდენი სიმდიდრე რით წავიღოთო. უცბად გაახსენდათ მღვდელი და უთხრეს, რას იზამ, ამ თვალ-მარგალიტს მოერევიო?

— თუნდა თქვენც ზედ დამასხედითო, — უთხრა მღვდელმა და ზურგი მიუშვირა. აჰკიდეს მღვდელს თვალ-მარგალიტი და წამოვიდნენ.

მოვიდნენ სიზმარასთან. სიზმარას მზეთუნახავ ცოლს ტყუპი ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი გასჩენოდა და მამას უკვე მოზრდილები დაახვედრა.

სიზმარამ სიმამრს უამბო მთელი თავისი თავგადასავალი და გამარჯვების საწინდრად წამოღებული თვალ-მარგა-

ლიტიც უჩვენა. მერე დაუძახა თავის ცოლ-შვილს, ერთ მხარეს ბიჭი მოისვა, მეორე მხარეს ქალიშვილი, ცოლს ოქროს სურა და ტაშტი მოატანინა და ხელ-პირის ბანა დაიწყო. თან ხელმწიფე-სიმამრს მოახსენა:

— ხელმწიფევ, აი ჩემი სიზმარი: ეს მზეა და ეს მთვარე, — დაადო ხელი ქალიშვილსა და ვაჟს, მერე ცოლისაკენ გაიშვირა ხელი, — ეს კიდევ შუქურვარსკვლავია და ხელ-პირს მაბანინებსო. აბა, ამათ რომ მთხოვდი, ცოცხალი როგორ დაგანებებდიო.

— ღმერთმა ყველა კეთილი სიზმარი ასე აგიხდინოსო, — უთხრა ხელმწიფემ და თავისი ტახტი და სახელმწიფო იმავ დღეს სიზმარას გადაულოცა. სიზმარამ ყურმახვილა და ფრთაპარია ქვეყნის მცველებად დააყენა, წყალიხაპიას მეზვრეობა უბოძა და დღეში ასი ჩაფი ღვინო დაუნიშნა. მღვდელსაც ბევრს ეხვეწა, დარჩი ჩემთანო, მაგრამ ის არ დარჩა, როგორც მიწერია, სიკვდილამდე ისე ვწირავო, — უთხრა, წამოიკიდა საყდარი და წავიდა.

სიზმარა და მისი ძმობილები დღესაც ტკბილად ცხოვრობენ და სახელმწიფოსაც გონივრულად მართავენ. წყალიხაპია დღეში ას ჩაფ ღვინოს სვამს, ყურმახვილას არც ერთი პაწია ჩქამი არ გამოეპარება, ხოლო ფრთაპარია ისე შეუცვლის მსტოვრებს საიდუმლო ბარათებს, რომ თავიანთი საქმისას თვითონაც ვეღარაფერს იგებენ.

ხანდახან მღვდელიც ესტუმრებათ, დადგამს საყდარს, გადაიხდის წირვა-ლოცვას და წავა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

მონადირის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა უნდა ყოფილიყო, იყო ერთი მონადირე, ჰყავდა ცოლი და ერთი ძუძუთა ვაჟიშვილი. მონადირე დღისით სანადიროდ დადიოდა, ღამით თავის ცოლ-შვილთან ხარობდა და ბიჭის გაზრდა-დავაჟკაცებას სიხარულით მოელოდა, მაგრამ ვერ მოესწრო, — ერთხელ ნადირობიდან რომ დაბრუნდა, ავად გახდა და გარდაიცვალა.

გაიზარდა მონადირის შვილი და ისეთი ვაჟკაცი დადგა, რომ კაცის თვალი იმაზე უკეთესს ვეღარავის ნახავდა. ერთ დღეს დედას ჰკითხა, — მამაჩემი რა ხელობის კაცი იყოო?

— მონადირე იყოო, — უთხრა დედამ.

— მაშ, მეც მამაჩემის ხელობას გავყვებიო, — თქვა ბიჭმა და დედას მამის სანადირო იარაღი მოსთხოვა. დედამ მოუტანა მამისეული მშვილდ-ისარი, ჩააბარა შვილს და გაუფრთხილა:

— შვილო, ღმერთმა ხელიღბლიანი მონადირე გქნას, მაგრამ ერთი დაიხსომე: თეთრ მთაში ინადირე, შავ მთაშიც ინადირე, ოღონდ წითელ მთაში არ გადახვიდე, თორემ ინანებო.

წავიდა მონადირის შვილი სანადიროდ. იარა თეთრ მთაში, მაგრამ ვერაფერი მოკლა. იარა შავ მთაში და ვერც იქ რამე ინადირა. ბოლოს თქვა, მოდი ამ წითელ მთაშიაც გადავალ, განა რა უნდა იყოს ისეთი საშინელიო.

გადავიდა წითელ მთაში და დაღლილი ერთ ხის ძირას ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ ხეზე ერთი ტურფა სანახავი

ფრინველი შემოჯდა და საამო ხმაზე აჭიკჭიკდა. ბიჭმა გულში თქვა: „ეს ისეთი ლამაზი რამ არის, რომ ამისი მოკ-ელა დიდ ცოდვად ჩამეთვლება და როგორმე ცოცხლად უნდა შევიპყროო", — მიეპარა და დაიჭირა. მოიყვანა შინ და დედას უთხრა, ეს უცხო ფრინველი ჩვენს ხელმწიფეს უნდა მივ-გვარო საჩუქრადო. დედამ დაუშალა:

— ხელმწიფეთა გული გაუმაძღარია და მაგას არ დაგ-ჯერდება, სხვა რამესაც მოგთხოვსო.

ბიჭმა მაინც არ დაიშალა. მაშინ დედამ უთხრა:

— კარგი, შვილო, რაკი არ დაგიშლია, წაუყვანე, მაგრამ იცოდე, ნაზირ-ვეზირები ასეთ ძვირფას საჩუქარს რომ დაი-ნახავენ, შურით დასკდებიან და შემოგევაჭრებიან, შენ ვაჭ-რობას ნუ დაუწყებ, მიეცი, რაც შემოგაძლიონ და უკან წა-მოდი, თორემ ინანებო.

ბიჭი შეჰპირდა, ასე ვიზამო, მაგრამ გუნებაში თქვა, ფრინველი ჩემი დაჭერილია და საჩუქრადაც მე თვითონ უნ-და გადავცე, სახელი ნაზირ-ვეზირებს რატომ უნდა დარ-ჩესო.

მართლაც დაუხვდნენ ნაზირ-ვეზირები და შეაძლიეს უთვალავი თვალ-მარგალიტი, მაგრამ მონადირის შვილმა ყველაფერზე უარი თქვა და ტურფა ფრინველი ხელმწიფეს თავისი ხელით მიჰგვარა. ხელმწიფემ დიდად დაუმადლა და გულუხვადაც დაასაჩუქრა. ნაზირ-ვეზირებს კი უთხრა, — აბა თქვენ რა ვაჟკაცები ხართ, რომ კარში ფეხი ვერ გაგიდ-გამთ, ვაჟკაცი ეს ყოფილა და ქუდიც ამას ხურებიაო.

ნაზირ-ვეზირებს ძალიან ეწყინათ ხელმწიფის ნათქვამი, გულში მტრობა ჩაიდეს და მონადირის შვილის დაღუპვა გადაწყვიტეს. ერთ დღეს მივიდნენ ხელმწიფესთან და მოახ-სენეს:

— ასეთ ტურფა და ტკბილ მგალობელ ფრინველს გა-ლიაც შესაფერი უნდა ჰქონდესო.

— რისი გალია მოუხდებაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— რა თქმა უნდა, სპილოს ძვლისაო, — მოახსენეს წა-ზირ-ვეზირებმა.

— მერე და, სად ვიშოვი ამდენ სპილოებსო? — კვლავ ეკითხა ხელმწიფემ.

— ვინც ეგ ფრინველი მოიყვანა, სპილოების მოყვანასაც ის შეძლებსო, — მიუგეს ნაზირ-ვეზირებმა.

დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა:

— იმდენი სპილო უნდა მომიყვანო, რომ იმათი ძვლებისაგან ერთი მოზრდილი გალია გამოვიდესო.

დაღონდა მონადირის შვილი, ისეთ გალიას, როგორსაც ხელმწიფე თხოულობდა, ათი სპილოც არ ეყოფოდა და სად უნდა დაეხოცა ამდენი სპილო. წამოვიდა შინ დაღონებული და თავისი გასაჭირი დედას შესჩივლა.

— აკი გითხარი, შვილო, ხელმწიფის გული გაუმაძღარია და კიდევ რამეს მოგთხოვს-მეთქი მაგრამ ახლა სინანული აღარაფერს გარგებს. წადი, გამოსთხოვე ხელმწიფეს ასი ურემი ბანგი და ასი ურემი ბამბა, მიდი იმ ტბასთან, სადაც სპილოები წყლის სასმელად მიდიან. ტბა ბამბით ამოაშრე და შიგ ბანგი ჩაასხი. მოვლენ სპილოები, დალევენ და გაბრუებულები იქვე დაეყრებიან. დასჭერი თავები, რამდენიც საჭიროა, და წამოიღეო.

გამოსთხოვა ხელმწიფეს მონადირის შვილმა ასი ურემი ბანგი და ასი ურემი ბამბა და მიიტანა იმ ტბასთან. ტბა ბამბით დააშრო და შიგ ბანგი ჩაასხა. შუადღისას მოვიდნენ სპილოები, დალიეს ბანგი და იქვე დაეყარნენ. დასჭრა მონადირის შვილმა თავები. დააწყო ურმებზე და მოიტანა.

ხელმწიფემ უფრო მეტად დაუმადლა სამსახური და საჩუქარიც კიდევ მოუმატა. ნაზირ-ვეზირებს უარესად წაეკიდათ შური და ხელმწიფეს შეუჩნდნენ: თეთრსა და წითელ ზღვას შუა ერთი მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს და ის რომ დედოფლად დაისვა, უფრო ბედნიერი და სახელოვანი ხელმწიფე იქნებიო.

— მერე და ვინ მომიყვანს იმ მზეთუნახავსო? — იკითხა ხელმწიფემ.

— ვინც ფრინველი და სპილოები მოგართვათ, იმას არც იმ მზეთუნახავის მოყვანა გაუჭირდებაო, — უთხრეს ნაზირ-ვეზირებმა.

დაიბარა ხელმწიფემ მონადირის შვილი და უთხრა:

— თეთრ ზღვასა და წითელ ზღვას შუა რომ მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს; ის უნდა მომიყვანოო.

დაბრუნდა დაღონებული მონადირის შვილი და დედას შესჩივლა, ხელმწიფემ ესა და ეს დამავალა და რა ვქნაო?

— ოხვრა და სინანული ახლა აღარაფერს გიშველის, თავიდან უნდა გცოდნოდა, რომ ხელმწიფე სულ უფრო მეტსა და მეტს მოინდომებდაო, — უთხრა დედამ და მზეთუნახავი ქალის მოყვანის ხერხიც ასწავლა, — წადი და ხელმწიფეს იმდენი ფული გამოსთხოვე, რომ გზაზე ვინც განწირული შეგხვდება, ყველას დასახსნელად გეყოს, სიკეთისათვის იქნებ ღმერთი შეგეწიოს და ეგ დავალებაც უხიფათოდ შეასრულოო.

წავიდა მონადირის შვილი და ხელმწიფეს ფული გამოსთხოვა, ხელმწიფემ მისცა ფული და ბიჭიც გზას გაუდგა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ სოფელს მიადგა. სოფლის პირას ბიჭებს მახით ქორი დაეჭირათ და მოკვლას უპირებდნენ. მონადირის შვილმა ბიჭებს ოქროები მისცა და ქორი გააშვებინა. ქორმა ერთი ცალი ფრთა გამოიძრო, მისცა მონადირის შვილს და უთხრა:

— ეს ფრთა სულ თან ატარე, სადაც გაგიჭირდეს, ამოიღე, მახსენე და იმავ წამს იქ გავჩნდები. კაცნი ვართ და იქნებ მეც გამოგადგეო.

გაიარა ცოტა კიდევ მონადირის შვილმა და ერთ მდინარეს მიადგა. მდინარის პირას მეთევზეს ბადე გამოეთრია, შიგ ერთი თევზი გაბმულიყო და საცოდავად ფართხალებდა. მივიდა მონადირის შვილი მეთევზესთან, მისცა ფული და თევზი გააშვებინა. თევზმა ერთი ფარფლი გამოიძრო, მისცა მონადირის შვილს და უთხრა:

— თუ სადმე გაგიჭირდეს, მახსენე და იქნებ მეც გამოგადგეო.

წავიდა მონადირის შვილი და ახლა ასეთ სურათს წააწყდა: მონადირეებს ერთი ირემი მოეგდოთ ალყაში და მოკვლას უპირებდნენ. მისცა მონადირეებს ფული და ირემი გადაარჩინა. ირემმა ერთი ბალანი გამოიძრო და მონადირის შვილს უთხრა:

— აჰა, ეს ბალანი, სადაც დაგჭირდე, მახსენე და უმალ, იქ გავჩნდები, ერთ გაჭირვებაში იქნებ მეც გამოგადგეო.

წავიდა მონადირის შვილი და კიდევ მიადგა ერთ სო-

ფელს. ნახა, ხალხს საქათმეში მელა შეემწყვდია და კეტებით უპირებდნენ ჩაქოლვას. ბიჭმა ეს მელაც ფულით დაიხსნა, წამოიყვანა მინდორში და გაუშვა. მელამ ერთი ბალანი მისცა და უთხრა:

— გაჭირვებაში მახსენე და ჩემ წილად მეც მოგეხმარებიო.

შეინახა მონადირის შვილმა ეს ნიშანიც და თავისი გზით წავიდა. იარა, იარა და ბოლოს მზეთუნახავის ბროლის კოშკსაც მიადგა. გადმოიხედა მზეთუნახავმა და დაუძახა: რისთვის მოსულხარო?

— შენ წასაყვანადო, — უპასუხა მონადირის შვილმა.

— ჩემი წაყვანა თუ გინდა, ერთი პირობა უნდა აასრულოო, — გადმოსძახა მზეთუნახავმა. — ისე უნდა დაიმალო, რომ ვერ გიპოვო, სამჯერ გაპატიებ, თუ მეოთხედაც გიპოვე, თავს მოგკვეთ და წყალში გადაგაგდებო.

— კარგიო, — დათანხმდა მონადირის შვილი, ამოიღო ქორის ფრთა და ახსენა. მოფრინდა ქორი და ჰკითხა, რა გაგჭირვებიაო?

— თუ შეგიძლია, ისე დამმალე, რომ მზეთუნახავმა ვერ დამინახოსო, — უთხრა მონადირის შვილმა.

შეისვა ქორმა მონადირის შვილი ზურგზე, აფრინდა მაღლა, ცას მიაკრა და ქვევიდან თვითონ აეფარა.

ქალს ერთი ჯადოსნური სარკე ჰქონდა, რომელშიც ცა-ხმელეთის ყველა კუთხე-კუნჭული მოჩანდა. აიღო ქალმა ეს სარკე, ჩაიხედა შიგ, დაინახა მონადირის შვილი და ასძახა:

— გხედავ, გხედავ, ცასა ხარ მიკრული და ქვევიდან ქორი გაფარიაო!

ჩამოიყვანა ქორმა ისევ ძირს მონადირის შვილი. ბიჭმა ახლა თევზს მოუხმო.

— რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა თევზმა.

— ისე დამმალე, რომ მზეთუნახავმა ვერ დამინახოსო, — სთხოვა ბიჭმა.

— რაც შემიძლია, შენი გულისთვის თავს არ დავზოგავ, — უთხრა თევზმა, შეისვა ზურგზე, ჩაიყვანა ზღვის ფსკერზე, ლოდის ქვეშ შესვა და მაღლიდან თვითონ გადაეფარა.

ჩაიხედა მზეთუნახავმა სარკეში, დაინახა მონადირის შვილი და ჩასძახა:

— გხედავ, გხედავ, ზღვის ფსკერზე, ლოდის ქვეშ ზიხარ, და მაღლიდან თევზი გაფარიაო!

ამოიყვანა თევზმაც ისევ ხმელეთზე მონადირის შვილი. ბიჭმა ახლა ირემს მოუხმო, მოვარდა ირემი ქშენით და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებია, რით გემსახუროო?

— ისე დამმალე, რომ მზეთუნახავმა ვერ დამინახოსო,— უთხრა ბიჭმა.

შეისვა ირემმა ზურგზე, ცხრა მთა გადაატარა, ერთ ღრმა გამოქვაბულში შესვა და შესასვლელს თვითონ ჩამოეფარა. ჩაიხედა მზეთუნახავმა სარკეში, დაინახა მონადირის შვილი და გასძახა:

— გხედავ, გხედავ, ცხრა მთას იქით გამოქვაბულში ზიხარ და ირემი გაფარიაო.

დაბრუნდა უკან მონადირის შვილი ირმით და ბოლოს მელა ახსენა. მოცუნცულდა მელაკუდა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, — უთხრა მონადირის შვილმა. — სამი პირობა უკვე წავაგე, ახლა შენი იმედიღა მაქვს, თუ დამმალავ ისე, რომ მზეთუნახავმა ვერ დამინახოს, ხომ კარგი, თუ არა და, თავის მოკვეთა არ ამცდებაო.

— ეგ ადვილი სამსახურია, დამალვის მეტი რა მცოდნიაო, — უთხრა მელამ, გამოიბა კუდზე და წაიყვანა. აქეთ ატარა, იქით ატარა, ათას ხვრელში გააძვრინა და ბოლოს იატაკქვეშ რომ ადგილზე ამოსვა, სადაც თვითონ მზეთუნახავი იდგა.

ამოიღო ქალმა სარკე, გაიხედა ხმელეთზე — ვერ დაინახა, აიხედა ცაში — ვერც იქ დაინახა, ჩაიხედა ზღვაში — არც იქ გამოჩნდა. ბევრი ატრიალა თავისი ჯადოსნური სარკე, მაგრამ მონადირის შვილს თვალი ვეღარსად შეაგდო. ბოლოს იწამა დამარცხება და დაუძახა:

— გამოდი, მოგებული ხარ და საითაც გინდა, იქით წამიყვანეო!

გამოვიდა მონადირის შვილი. ქალმა ჰკითხა, შენთვის გინდივარ, თუ სხვა ვისმესთვისაო?

— ჩემი ხელმწიფისათვის მინდიხარო, — გამოუტყდა ბიჭი.

— მაშინ წავიდეთ, — უთხრა ქალმა. — იმ შენს ხელმწიფეს სამჯერ დამალვის პირობას ჩამოვართმევ, თუ დამემალა, რაღა იქნება, თუ ვერა, თავს მოვკვეთ და შენი ცოლი გავხდებიო.

წამოვიდნენ და მივიდნენ ხელმწიფესთან. ხელმწიფემ უზომოდ გაიხარა მზეთუნახავი საცოლის მოყვანით, მაგრამ ქალმა ახლოც არ გაიკარა. ერთ პირობას დაგიდებ, თუ აასრულე, ხომ კარგი, თუ არადა, თავს გაგაგდებინებო.

— რა პირობასო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— სამჯერ ისე უნდა დამემალო, რომ ვერ გიპოვნო, — უთხრა ქალმა, — ორჯერ გაპატიებ, მაგრამ თუ მესამედაც დაგინახე, იცოდე, სიკვდილს ვერ გადაურჩებიო.

ხელმწიფე დათანხმდა, მოუხმო თავის ნაზირ-ვეზირებს და უთხრა: ცხენების ახურში ჩამაწვინეთ, მაღლიდან ბზე და ქერი დამაყარეთ და ცხენები მოუშვითო. ნაზირ-ვეზირებმა, რა თქმა უნდა, უსიტყვოდ აასრულეს თავიანთი ხელმწიფის ბრძანება. ჩაიხედა ქალმა სარკეში და სიცილით გაიგუდა:

— კატასავით ახურში ჩაწოლილა და თუ დროზე არ ამოიყვანეთ, ცხენები შეჭამენო, — უთხრა ნაზირ-ვეზირებს.

გამოვიდა ბზეში ამოსვრილი ხელმწიფე და ნაზირ-ვეზირებს უთხრა, — ჩამიყვანეთ სარდაფში, ქვევრში ჩამსვით და მაღლიდან ლოგინები დამაფარეთო.

ნაზირ-ვეზირებმა ჩასვეს ხელმწიფე ქვევრში, დააყარეს, რაც ლოგინი ჰქონდათ, და ქალთან დაბრუნდნენ. ქალმა ჩაიხედა სარკეში, უფრო ხმამაღლა გადაიხარხარა და ნაზირ-ვეზირებს უთხრა:

— ჩქარა უშველეთ თქვენს ხელმწიფეს, თორემ საცაა, იმ ქვევრში გაიგუდებაო.

ამოიყვანეს ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფე ქვევრიდან და ჰკითხეს, — ახლა სადღა დაგმალოთო?

— ნეხვში დიდი ორმო ამოთხარეთ, — უთხრა ხელმწი-

ფემ. — ჩამსვით შიგ, ზედ გოდორი დამაფარეთ და მერე ნეხვი დამაყარეთო.

ნაზირ-ვეზირებმა ეს ბრძანება უფრო გულითადად აასრულეს, მაგრამ თავიანთ ხელმწიფეს ვერც ამით უშველეს. ჩაიხედა ქალმა სარკეში და სიცილით სული ვეღარ მოითქვა:

— ჩქარა ამოიყვანეთ ორმოდან, თორემ ნეხვის ჭიები გამოხრავენო, — უთხრა ნაზირ-ვეზირებს.

ამოიყვანეს ნეხვით მოსვრილი ხელმწიფე ნაზირ-ვეზირებმა და მზეთუნახავს მიჰგვარეს. მზეთუნახავმა ქალმა შემოჰკრა ხმალი და თავი გააგდებინა. შურიანი ნაზირ-ვეზირებიც ზედ მიაყოლა და მონადირის შვილზე ჯვარი დაიწერა. მონადირის შვილმა ჩაიბარა სახელმწიფო, დედაც სასახლეში გადმოიყვანა და ცხოვრობდნენ ტკბილად და ბედნიერად.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



მინდვრის ქალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი მდიდარი კაცი და ჰყავდა ორი ქალი და ერთი ვაჟი. კაცი რომ დაბერდა და სიკვდილის ხანს მიაღწია, დაიბარა ვაჟი და უთხრა:

— შვილო, ღვთითა და იღბლით, ამდენი ქონება დამიგროვებია და შვილებიც დამიზრდიხართ. ახლა ჩემი ამ ქვეყნიდან წასვლის დრო მოვიდა, მალე საიქიოს ქვეყანას უნდა გავემგზავრო და სიკვდილის წინ ერთი თხოვნა ამისრულე: ეს შენი დები თავის დროზე დაათხოვე, ოღონდ ისე კი რომ პირველ ბედს ნუ დაუკარგავ და ვინც პირველმა გთხოვოს, მიათხოვეო.

შვილი შეპირდა, შენს ანდერძს პირნათლად შევასრულებო. მოკვდა კაცი, შვილმა შესაფერისი პატივით დაასაფლაგა და შეუდგა ოჯახის მართვას.

გავიდა ცოტა ხანი. ერთხელ ბიჭი დერეფანში იჯდა და შარაგზას გაჰყურებდა. გზაზე უცბად ერთი უცხო მგზავრი გამოჩნდა და პირდაპირ ამ ბიჭთან მივიდა. არც აცია, არც აცხელა და მოსვლისთანავე უფროსი და სთხოვა ცოლად. ვაჟს მამის ანდერძი მოაგონდა და უცნობს უთხრა:

— მოცეცხლეზე უარს არ გეტყვი, რადგან მამაჩემისაგან ასე მაქვს ნაანდერძები, მაგრამ ვინმემ რომ მკითხოს, და სად გაათხოვე, ან ვის მიეცით, რა ვუთხრა? გვარ-სახელი, სადაურობა და ხელობა მაინც მითხარი, რომ ვიცოდე და ჩემიანებსაც გავაგებინოთ.

უცხო კაცმა უპასუხა:

— მე შენთან არც გვარ-სახელის სათქმელად მოვსულვარ და არც სალაპარაკოდ, თუ მაძლევ დას, მომეცი. ვინაობასაც და სადაურობასაც თავის დროზე შეიტყობ, თუ არადა, როგორც მოვსულვარ, ისევე წავალო.

ვაჟმა იფიქრა, ემანდ ჩემი მიზეზით დას ბედი არ დავუკარგოო, და დათანხმდა. გამოიყვანა უფროსი და და ჩააბარა უცხო კაცს. კაცმა მოჰკიდა ქალს ხელი და ორივენი უცბად გაჰქრენ.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ახლა მეორე კაცი მოვიდა, მიიჭრა ისიც ვაჟთან და პირდაპირ სთხოვა:

— შენი უმცროსი და უნდა მომცე ცოლადო.

ვაჟმა იმასაც ხელობა — ვინაობისა და სადაურობის გამხელა მოსთხოვა, მაგრამ იმისგანაც იგივე პასუხი მიიღო, რაც უფროსი დის წამყვანისაგან:

— მე არც სალაპარაკოდ მოვსულვარ და არც გასაცნობად, შენი დის წასაყვანად მოვედი და, თუ მაძლევ, ნუღარ მაგვიანებო.

რას იზამდა ვაჟი, მამის ანდერძს ვერ გადაუვიდოდა და მისცა იმასაც უმცროსი და. კაცმა მოჰკიდა თუ არა ხელი ქალს, ორივენი უცბად ჩრდილივით გაქრნენ.

დარჩა ვაჟი მარტოკა და გულს დარდი შემოეყარა: რა ვქნა, ეს დები სად დავკარგე, რომ ჭირი იყოს ან ლხინი, სად მოვძებნო, ვის მივაკითხო და ან ხალხს რა ვუთხრა, როცა შემეკითხებიანო. მიეცა საგონებელს ბიჭი და დადარდიანდა, აღარც კარში გამოდიოდა, არც ხალხში ერეოდა და საქმეზედაც ხელი აიღო. მამის მონაგარი ქონება თანდათან კლებულობდა, ილეოდა და სახლ-კარი და ეზო-კარ-მიდამოც ნადგურდებოდა.

გაიგო ეს ამბავი იმ ქვეყნის ხელმწიფემ და თავისი კარისკაცები გაგზავნა, ის ბიჭი საჩქაროდ აქ მომგვარეთო. წაიყვანეს კარისკაცებმა და მიჰგვარეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ჰკითხა:

— რა არის მიზეზი, რომ შრომა-გარჯაზე მთლიანად ხელი აგიღია და მამის ამაგს ასე უმოწყალოდ ანადგურებო?

ბიჭმა უთხრა თავისი გასაჭირი:

— ორი და მყავდა, ორივენი ვიღაც უცნობ კაცებს გავატანე ცოლად, მათი ავ-კარგისა აღარაფერი ვიცი და იმას ვდარდობ.

— მერე რატომ ჰქენი ეგო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— მამაჩემის ანდერძი ასეთი იყო, რომ ვინც პირველად მოვიდოდა და მთხოვდა დებს, უყოყმანოდ იმათთვის გამეტანებინაო, — მიუგო ბიჭმა.

— რაკი მამაშენის სურვილი ასეთი ყოფილა, მაშ ნუ იდარდებ. მამაშენი ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და უკეთურს არაფერს გირჩევდაო. — უთხრა ხელმწიფემ და თავის მონადირეებს ტყეში სანადიროდ გააყოლა, გულს გადაგეყრებაო.

წავიდნენ მონადირეები და ერთ ტრიალ მინდორში გავიდნენ. შუა მინდორში უცბად ერთი მზეთუნახავი ქალი დაინახეს, ყვავილებზე ნიავივით მსუბუქად დახტოდა, ხან ერთ ყვავილზე დასკუპდებოდა ფუტკარივით, ხან მეორეზე და ისეთი ლამაზი იყო, რომ კაცის თვალი იმაზე ტურფას ვეღარაფერს ნახავდა.

მონადირეებმა გადაწყვიტეს ამ ქალის დაჭერა და ირემივით ალყაში მოიმწყვდიეს, მაგრამ ქალი აფრინდა, გადაუფრინა თავზე და ისევ ყვავილებზე დაიწყო ფარფატი. ისევ წამოუარეს აქეთ-იქიდან მონადირეებმა და ისევ ალყაში მოამწყვდიეს, მაგრამ კვლავ ამაოდ, ქალმა ისევ გადაუფრინა თავზე და კვლავ ყვავილებზე ათამაშდა და ასე სულ. სდიეს მონადირეებმა და იფრინა ქალმა. ამ დევნაში ყველას ცხენები დაუსკდა, მარტო იმ ბიჭსღა შერჩა ცხენი და ახლა მარტოკა გაეკიდა. მიფრინავს ქალი და მისდევს ბიჭი. იარეს ასე, იარეს და გავიდნენ უფრო დიდ მინდორში. აქ ბიჭსაც გაუსკდა ცხენი და დარჩა ქვეითად.

გაიხედ-გამოიხედა ბიჭმა და ელდა ეცა: აღარც მონადირეები ჩანან სადმე და აღარც ნაცნობი ადგილებია. ქალის დევნით გართულმა ვერც ის იაზრა, აქ საიდან მოვიდა, რომელი გზით, ან რომელი მხრიდან. შემოეყარა ბიჭს გულზე, დაჯდა და დაიწყო ტირილი. მივიდა ქალი, შორიახლო ყვავილზე მოიკალათა, გადაიდო ფეხი ფეხზე და ბიჭს უთხრა:

— სირცხვილი არ არის, რომ დამჯდარხარ, დაგიკრეფია გულხელი და ქალივით სტირი? ვაჟკაცი თუ ხარ, ვაჟკა-

ცურადაც უნდა მოიქცე. ადექი, გაიარ-გამოიარე, ქვეყანა დიდია და იქნებ სასიკეთო რამეს გადაეყაროო.

შერცხვა ბიჭს, ადგა, მოიწმინდა თვალები და გაიხედ-გამოიხედა. შორს, მინდორში ერთი ბროლის სასახლე დაინახა და მაშინვე იქით გაეშურა. სახლი იყო ისეთი, რომ ხელმწიფესაც შეშურდებოდა. ბიჭი შევიდა ეზოში და ოქროსმილიან მარმარილოს წყაროსთან ჩამოჯდა. ცოტა ხნის შემდეგ სახლიდან პატარა მოახლე გოგო გამოვიდა, ოქროს სურა გამოიტანა და წყალს შეუდგა.

— პატარა ქალო, წყალი ვისთვის მიგაქვსო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჩემი ქალბატონისთვისო, — მიუგო გოგომ.

— ვინ არის შენი ქალბატონიო?

— ჩემი ქალბატონი შორი ქვეყნიდან მოყვანილი ქალიაო.

ბიჭი დაეჭვდა, ამისი ქალბატონი ჩემი ერთ-ერთი და არ იყოსო, და გოგოს წყალი სთხოვა. გოგომ სურა მიაწოდა, ბიჭმა ცოტა მოსვა და სურაში ჩუმად თავისი ბეჭედი ჩააგდო. გოგომ შეუტანა სურა ქალბატონს, ქალბატონმა დალია და სურიდან ბეჭედი კი გადმოვარდა. ქალმა იცნო ძმის ბეჭედი და ხმამაღლა შეჰკივლა. მერე დაუძახა გოგოს და ჰკითხა, — ეს ბეჭედი ამ სურაში საიდან გაჩნდაო?

— არ ვიცი, — უთხრა გოგომ, — წყაროსთან ერთი უცხო ჭაბუკი ზის, იმან წყალი მოთხოვა და, თუ ჩააგდებდა, ის ჩააგდებდაო.

ქალმა გოგო მაშინვე უკან გააბრუნა და უთხრა:

— ის ბიჭი საჩქაროდ აქ მომიყვანეო.

გამოვიდა გოგო და შეიყვანა ბიჭი შინ. ქალმა, რა თქმა უნდა, დანახვისთანავე იცნო თავისი ძმა და გახარებული გადაეხვია. ეს ქალი უფროსი და იყო. დასვა ძმა, კარგად გაუმასპინძლდა და ბოლოს ჰკითხა, — აქ როგორ მოხვედიო? — ძმამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო:

— ხელმწიფემ თავის მონადირეებს გამომაყოლა. მინდორში ერთი მზეთუნახავი ქალი ვნახეთ, იმისმა სილამაზემ დამატყვევა და დასაჭერად დავედევნე, მაგრამ ვერ დავეწიე, თითო გუთნის გაშლაზე ხტებოდა და დევნამ ამაოდ ჩამია-

რაო. ცხენიც გამისკდა, დავრჩი მარტოკა უცხო ადგილზე და აღარ ვიცოდი, საით წავსულიყავი. კიდევ კარგი, ეს შენი სასახლე დავინახე და აქ მოვედი, თორემ მშიერ-მწყურვალი მალე სულს დავლევდი და ყვავ-ყორნების საჯიჯგნი გავხდებოდიო.

— ვაიმე, ძმაო, მოგიკვდეს ჩემი თავი, — უთხრა დამ. — იმას ბევრმა სხვამაც სდია, მაგრამ ვერვინ დაიჭირა, მინდვრის ქალს ეძახიან. ისეთი ბედი აქვს დაწერილი, რომ ვინმემ დაიჭიროს, მაშინვე მოკვდება და ამიტომ არავის ეჭერინებაო.

ცოტა ხნის შემდეგ ნადირობიდან სიძეც მოვიდა. ნახა თავისი ცოლისძმა, იცნო და სიხარულით გადაეხვია. მერე უთხრა:

— აი, ახლა ხომ ხედავ, ვინცა ვყოფილვარ და რა ხელობაც მქონია. მთელი ეს ტყე-ველი ჩემი საკუთრებაა, გამოვერიდე ხალხის შურს, მტრობას, ნადირ-ფრინველთა შორის, ბუნებაში დავესახლე და ვცხოვრობ მშვიდად და აუღელვებლად. ვინაობაც თავდაპირველად იმიტომ არ გითხარი, რომ შენ ნათესავ-ახლობლებს შეკრებდი და მაყრიონს გამიმართავდი, მე კი ხალხის ყაყანის ატანა არ შემიძლიაო.

მერე დასვა და მისვლის მიზეზი გამოჰკითხა. ბიჭმა უამბო, რისთვისაც იყო მოსული, მაშინ სიძემ უთხრა:

— ნუ გეწყინება კი, ცოლისძმავ, და გულახდილად უნდა გითხრა, იმ ქალის დაჭერა რომ შეიძლებოდეს, მე შენი და რად მინდოდა, თვითონ დავიჭერდი და ცოლად იმას მოვიყვანდი. მთელი ჩემი სიჭაბუკე იმის დევნას შევალიე, მაგრამ არაფერი გამომივიდა და თავი დავანებე. შენც გირჩევ, ხელი აიღო და თავი ტყუილუბრალოდ არ გაიწვალოო.

— არაო, — უპასუხა ბიჭმა. — ის რომ არ დავიჭირო, თავი ცოცხალი არ მინდა. შენ, ჩემო სიძევ, ამას გთხოვ, ერთი ცხენი მომეცი და დანარჩენი მე ვიციო.

სიძემ უთხრა:

— ცხენს ერთის მაგივრად, თუნდა ათასს მოგცემ, მაგრამ ვიცი, არაფერი გამოგივა და ერთხელ კიდევ გირჩევ, თავი დაანებო. დარჩი ჩემთან, ცოლსაც მოგგვრი და ბედნიერადაც გაცხოვრებო. — მაგრამ ბიჭმა კვლავ უარი განაცხა-

და, — არა, ვერ მოვისვენებო, ან დავიჭერ, ანდა, იმის დევნაში მოვკვდებიო.

წავიდა სიძე ჯოგში და მოჰგვარა ისეთი ცხენი, რომელიც ყოველ გადახტომაზე თითო გუთნის გაშლას გადადიოდა. ბიჭს ძალიან გაუხარდა, მაშინვე ზედ შეჯდა, გამოეთხოვა და-სიძეს და ისევ მინდვრის ქალის საძებნელად წავიდა.

ბევრი ძებნა არ დასჭირვებია, მალე მიაგნო მინდვრის ქალს, მაგრამ დაჭერით ვერც ამჯერად დაიჭირა. ბიჭის ცხენი ერთ გუთნის გაშლაზე ხტებოდა, ქალმა კი ორ გუთნის გაშლაზე დაიწყო ხტომა. დახტოდა ყვავილიდან ყვავილზე, ფოთლიდან ფოთოლზე და თან ნამსა და ტკბილ ნექტარს სრუტავდა. სდია ბიჭმა, სდია და ბოლოს ის ცხენიც გაუსკდა, დარჩა ისევ ხელცარიელი, დაჯდა მინდორში და ტირილი დაიწყო.

მოფრინდა ქალი, ჩამოჯდა ყვავილზე შორიახლოს და უთხრა:

— არა, გრცხვენია, ქალი ხომ არა ხარ, რომ სტირი? ტირილით ვის რა გაუკეთებია, რომ შენ გააკეთო! ადექი, გაიარ-გამოიარე, მიდექ-მოდექი, ქვეყანა დიდია და იქნებ შენს გულის საწუხარსაც რამე წამალი გამოუჩნდესო.

ბიჭმა, მართლაც, ტირილს თავი დაანება, მოიწმინდა თვალები, ადგა და გაუდგა გზას. იარა, იარა და მინდორში კიდევ დაინახა ბროლის სასახლე, ეს სასახლე მისი უმცროსი დისა და სიძისა იყო. მივიდა იქაც და დაჯდა წყაროზე. გამოვიდა მოახლე გოგო, გამოიტანა ოქროს სურა და მიუდგა მილზე გადმომდინარ წყალს. ბიჭმა სთხოვა, წყალი დამალევინეო, და სურაში ჩუმად ბეჭედი ჩააგდო. დამ იცნო თავისი ძმის ბეჭედი. და მაშინვე სასახლეში აიყვანა. მხურვალედ გადაკოცნა, ამბავი გამოჰკითხა, გემრიელი სუფრა გაუშალა და ბოლოს მოსვლის მიზეზიც ჰკითხა. ბიჭმა უთხრა, რისთვისაც იყო მისული, ან ის ქალი ჩემი უნდა გახდეს, ან არა-და, თავი ცოცხალი არ მინდაო.

— ეჰ, ძმაო, — უთხრა დამ, — ისეთ ძნელ საქმეს შეს-დგომიხარ, რომ ჯობია, აქედანვე ხელი აიღო. იმას მინდვრის ქალს ეძახიან, შენამდეც ბევრმა სდია, მაგრამ სულ ამაოდ, იმ ქალმა იცის, რომ უცხო ხელის შეხებისთანავე

ნოკვდება და ამიტომ არავის დაეჭერინება. შენც გირჩევ ჩამოეხსნა და ტყუილუბრალოდ თავს ნუ გაიფუჭებო.

ამ დროს სიძეც მოვიდა, გამოჰკითხა სტუმრობის მიზეზი და იმანაც იგივე უთხრა, რაც უფროსი დის ქმარმა:

— დაანებე თავი, არაფერი გამოგივა, მაგ ქალის დაჭერა რომ შეიძლებოდეს, მაშინ შენი და რაღად მინდოდა, ცოლად იმას მოვიყვანდიო.—მაგრამ ბიჭმა არ დაუჯერა, შენოღონდ ერთი ისეთი ცხენი მომეცი, რომ სამი გუთნის გაშლაზე ხტებოდეს და მეტი არაფერი მინდაო.

— ცხენი რა სათქმელია, — უთხრა სიძემ, — თუნდა მთელი ჯოგი წაიყვანე, მაგრამ ვიცი, საწადელს ვერ ეწევიო.— წავიდა ჯოგში და მოუყვანა ცხენი. ბიჭი გამოეთხოვა და-სიძეს, შეჯდა ცხენზე და წავიდა ისევ მინდვრის ქალის საძებნელად. იპოვა და დაედევნა, მაგრამ ისევ უშედეგოდ: ბიჭის ცხენი თუ სამი გუთნის გაშლაზე ხტებოდა, ქალი ოთხ გუთნის გაშლასაც აჭარბებდა და აბა როგორ დაეწეოდა?

ირბინეს ასე მინდორ-მინდორ, ირბინეს და ბოლოს ბიჭს ის მესამე ცხენიც გაუსკდა. ისევ მივიდა ქალი, დაუსკუბდა შორიახლოს ყვავილზე და უთხრა:

— ტირილით თვალებს რომ ითხრი, რას გიშველის, ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, სანამ ყველაფერს თავის სასარგებლოდ არ გამოიყენებ, საწადელს ვერ ეწევი. ადექი, გაიარ-გამოიარე, იქნებ რამე ნასო ისეთი, რომ შენი სასარგებლო იყოს და გულის ზრასვა აისრულოო.

შერცხვა ვაჟს, მოიწმინდა ცრემლები და წამოდგა. წავიდა მინდორ-მინდორ და უცბად ეშმაკების ჩხუბს წააწყდა. სამი ეშმაკი უმოწყალოდ ფლეთდა ერთმანეთს და გამშველელი კი არავინ იყო. მივიდა ბიჭი ახლოს და ჰკითხა:

— კაცო, რა გაქვთ ისეთი გასაყოფი, რომ ერთმანეთს სასიკვდილოდ აღარ ინდობთო?

— ჩვენ ძმები ვართ, მამისაგან ერთი ხალიჩა, ერთი საგარცხელი და ერთი სალესავი დაგვრჩა, ახლა სწორედ იმათ ვიყოფთ და ვერ მოვრიგებულვართო, — უთხრეს ეშმაკებმა.

— რა არის ასეთი, რომ ვერ მორიგებულხართო? — ჰკითხა ბიჭმა.

— ხალიჩას ისეთი თვისება აქვს, ზედ რომ დაჯდე და შესძახო, ჰკა, ხალიჩავ, გამაცურეო, საითაც ეტყვი, იქით გაგასრიალებსო; სავარცხელი ისეთი თვისებისაა, რომ, რაგინდ სალ კლდეს მიადგე და უთხრა, ჰკა, სავარცხელო და დაკიბეო, მაშინვე საფეხურებად დასჭრისო, ხოლო სალესავი წყალს ისრუტავს, წინ ზღვაც რომ დაგიხვდეს, გასვლა არ გაგიჭირდება. ჩააგდებ სალესავს შიგა და უკანასკნელ წვეთამდე დააშრობსო, — უთხრეს ეშმაკებმა და თან სამართალი მოსთხოვეს, — თუ შეგიძლია გაგვიყავი და გაგვაშველეო.

ბიჭს უცბად ქალის ნათქვამი გაახსენდა, რასაც ნახავ, ყველაფერი შენს სასარგებლოდ გამოიყენეო, და ეშმაკებს უთხრა:

— წადით მინდვრის ბოლოში და დადექით, მე რომ ნიშანს მოგცემთ, გამოიქცევით და, რომელიც წინ მოვა, ხალიჩას იმას მივცემ, რომელიც მეორედ—სალესავს მივცემ, ხოლო ბოლოს მოსულს — სავარცხელსო.

გაუხარდათ ეშმაკებს, ძალიან კარგი სამართალიაო, და წავიდნენ მინდვრის ბოლოში. ბიჭსაც ეს უნდოდა, დაშორდნენ თუ არა ეშმაკები, აიღო სალესავი, სავარცხელი, დაჯდა ხალიჩაზე და შესძახა:

— ჰკა, ხალიჩავ და მინდვრის ქალთან მიმაცურეო!

მოსწყდა ხალიჩა ადგილს და ერთ წამში მინდვრის ქალთან მისრიალდა. მიხტის ქალი და მისდევს ხალიჩა. ირბინა ქალმა და იცურა ხალიჩამაც, გაათავეს მინდორი და ბოლოს ერთ უშველებელ კლდეს მიადგნენ. ქალმა ისკუპა და ამ ცაში აწვდილ კლდეს ბუმბულივით გადაევლო.

— ჰკა, სავარცხელო და ეს კლდე საფეხურებად აქციეო! — შესძახა ბიჭმა სავარცხელს. სავარცხელი ეცა კლდეს და სულ კიბის საფეხურად აქცია. აცურდა ხალიჩა საფეხურებზე და გაეკიდა ქალს.

იფრინა ქალმა, იცურა ხალიჩამ, გაირბინეს ცხრა ტყე, ცხრა მინდორი და ერთ უნაპირო ზღვას მიადგნენ. ქალმა ისკუპა და ზღვას მერცხალივით გადაევლო. ხალიჩას კი ზღვაზე ცურვა არ შეეძლო, მაშინ აიღო ბიჭმა სალესავი, გადააგდო და შესძახა:

— ჰკა სალესავო და ეს ზღვა უკანასკნელ წვეთამდე ამოხაპეო!

სალესავი აშხივლდა და ერთ წამში მთელი ზღვა დააშრო. გადაცურა ხალიჩამ ზღვის ფსკერი და გაეკიდა ისევ ქალს. იფრინა ქალმა, იცურა ხალიჩამ და ბოლოს ერთ მთის ძირას, ერთ გამოქვაბულს მიადგნენ. ეს გამოქვაბული მინდვრის ქალის სახლი იყო და ისეთ უდაბურ ადგილზე იდგა, რომ ეშმაკიც ვერ მიაგნებდა. შევარდა ქალი გამოქვაბულში და ვაჟიც შეჰყვა. მობრუნდა ქალი, გადაეხვია ვაჟს და დაუწყო კოცნა, — როგორ ქმარსაც ვთხოვდი ღმერთს, სწორედ ისეთი მარგუნაო.—მერე დასვა და თავისი უცნაური საქციელის მიზეზიც უამბო:

— მე ისეთი ბედი მქონდა დაწერილი, რომ თუ კაცი ჩემი სახლის გარეთ მომკიდებდა ხელს, უსათუოდ მოვკვდებოდი. ამ ჩემს საბინადროს ხომ ხედავ, როგორ ადგილზეა, აქ თვითონ, თავისით ძეხორციელი ვერ მომაგნებდა, ამიტომ მე ქმარი გარეთ უნდა მეძებნა და თანაც ისეთი, რომელსაც იმდენად შევუყვარდებოდი, რომ ჩემი დევნა არ მობეზრდებოდა და ბოლომდე მომყვებოდა. ბევრმა მდია, მაგრამ ბოლომდე ვერავინ გასძლო, მხოლოდ შენ აღმოგაჩნდა იმდენი სიყვარული და გამძლეობა, რომ სახლამდე მომყევი და ამიერიდან მე შენი საკუთრება ვარო.

წამოიყვანა ბიჭმა მინდვრის ქალი, დაიწერა ჯვარი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ცურმოჭრილი ფურირემი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მონადირე და ჰყავდა ცოლი და ძუძუთა ბიჭი. მონადირეს ცოლი ეუბნებოდა, მოდი, მონადირეობას თავი დაანებე და სხვა ხელობა აირჩიე, არ მინდა, მუდამდღე რომ ტყეში დადიხარ, ერთხელაც იქნება ხიფათს რასმეს გადაეყრები და დაიღუპებიო. მაგრამ მონადირე არ უჯერებდა, სიყრმიდანვე ამ ხელობას ვადგევარ და ახლა სხვაზე ველარ გავცვლიო.

ცოლის გუმანი ახდა. ერთხელაც წავიდა მონადირე სანადიროდ და უკან აღარ დაბრუნდა. ცოლმა მთელი სოფელი შეყარა და მაძებარი გაგზავნა, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. მონადირის გზა-კვალისა ველარაფერი გაიგეს.

დარჩა ქალი ქვრივად და დაუწყო ბიჭს ზრდა. გავიდა თვრამეტი წელიწადი. ბიჭი გაიზარდა და ისეთი ვაჟკაცი დადგა, რომ თვალი ყველას ზედ რჩებოდა. ერთხელ ბიჭმა დედას უთხრა:

— ახლა უკვე დიდი ვარ და დროა, რამე ხელობას დავადგე, მითხარი, მამაჩემი რა საქმის კაცი იყო და მეც იმას მოვკიდებ ხელსო.

— არა, შვილო, — უთხრა დედამ, — მამაშენის გზით სიარული ღმერთმა დაგიფაროს, თავის ხელობით თვითონ ვერაფერი მოიგო და არც შენ გარგებსო.

— მაინც რა ხელობის კაცი იყოო? — იკითხა ბიჭმა.

— მონადირე იყოო, — გამოტყდა დედა.

— მაშ მეც მონადირე უნდა გავხდეო, — თქვა ბიჭმა.

დედამ კიდევ დაუშალა, მამაშენი ნადირობის გზაზე დაიკარგა და შენ ვეღარ დაგკარგავო, მაგრამ შვილმა არ დაიჯერა, — რაც მამაჩემს უკეთებია, მეც ის უნდა ვაკეთო, მამა-პაპურ გზას და საქმეს ვერ ვუღალატებო, — უთხრა დედას და მამისეული სანადირო იარაღი მოსთხოვა.

— რა ვქნა, შვილო, ბიჭი არ დაგიშლია, იყოს ნება შენიო, — უთხრა დედამ, გამოუტანა მამისეული თოფ-სასწრაფო და ქამარ-ხანჯალი და შვილს ჩააბარა. ბიჭმა დაწმინდა დიდი ხნის ნაუქმარი იარაღი, დაზეთა, ჩამოასხა ტყვიები, თოფს ტალი და პირისწამალი გამოუცვალა, ჩაიდო საგზალი, გადაიკიდა თოფი და გასწია ტყისაკენ სანადიროდ.

პირველ დღესვე ხელიღბლიანად ინადირა, მერე და მერე ხომ, რაღა თქმა უნდა, თანდათან გაიწაფა, ნადირს გზა-საყელი გაუგო და შინ ხელცარიელი არასოდეს ბრუნდებოდა.

მაგრამ ერთ დღეს ისეთი თარსი ბედი დაჰყვა, რომ პრანწია ჩიტიც კი ვერ მოინადირა. იარა ტყე-ღრეში აღმა-დაღმა, იარა და დაღლილ-დაქანცული ბოლოს შინისაკენ დაბრუნდა. გამოიარა ცოტა გზა და ტყიდან ერთი ყელმოღერილი ფურირემი გამოუხტა. ესროლა ბიჭმა თოფი და გააგორა. გახარებულმა საჩქაროდ ცეცხლი დაანთო, ირემი გაატყავა და სამწვადედ ცური ააჭრა. ცური შუაზე გაჭრა, ერთი ნახევარი შამფურზე წამოაგო და ცეცხლს მიუფიცხა, მეორე ნახევარი კი დედისათვის შეინახა და გვერდზე გადადო.

მწვადი რომ შეიწვა, ბიჭმა გუდიდან პური ამოიღო და შეუდგა ჭამას. მწვადის ჯერ ნახევარიც არ ჰქონდა შეჭმული, რომ ცურის მეორე ნახევარი უცბად მოსწყდა ადგილს და გატყავებულ ირემს მიეკრა. ირემი იმავ წამს გაცოცხლდა, — ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთსო!—მიაძახა ბიჭს და ტყეს შეერია.

ბიჭი სახტად დარჩა. კიდეც შეეშინდა და კიდეც გაოცდა. დაავიწყდა პურის ჭამაც და კარგა ხანს გონდაკარგულივით იდგა. მერე მწვადსაც და პურსაც თავი მიანება და პირდაპირ შინისაკენ წამოვიდა. დედამ ხელცარიელი და შემკრთალი რომ დაინახა, შეეკითხა:

— შვილო, რამე ხომ არ შეგემთხვა, ხელცარიელი რად დაბრუნდი, ან დაღონებული რატომ ხარო?

შვილმა ყველაფერი უამბო. დაღონდა დედაც:

— მამაშენისაგან ბევრი რამ მსმენია, მაგრამ ასეთი უცნაური არაფერი გამიგონიაო.

ბევრი იფიქრეს დედა-შვილმა და ბოლოს ბიჭმა უთხრა:

— ნუ გამიწყრები კი, დედი, და, რა ვქნა, უნდა წავიდე და ავად იქნება, თუ კარგად, ეს ამბავი უნდა შევიტყო. დავივლი მთელს ცის ქვეშეთს და ამ ძებნა-ძებნაში იქნებ მამაჩემის ასავალ-დასავლისაც რამე გავიგოო.

დედამ ამჯერადაც დაუთმო.

— წადი, შვილო, ოღონდ გულის საწადელს ეწიე და შენს დარდსა და წუხილს როგორმე გავუძლებო.

მოიმზადა ბიჭმა საგზალი, გადაიკიდა თავისი სანადირო თოფ-იარაღი, გამოემშვიდობა დედას და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ტყე გაკვეთა, ცხრა მინდორი გადათელა და ბოლოს ერთ განმარტოებულ სახლს მიადგა. შევიდა ეზოში და დაიძახა:

— ოჯახიშვილებო, გარეთ გამოდითო!

სახლიდან ერთი მზეთუნახავი გოგო გამოვიდა და ჰკითხა:

— რა გნებავთო?

— და-ძმობას, შორი გზის მგზავრი ვარ და, თუ შეიძლება, ერთი ღამე გამათევინეთო.

— აბა, შევალ და მამას დავეკითხებიო, — მიუგო გოგომ და შინ შევიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოვიდა და შეიპატიჟა, — მობრძანდითო.

შევიდა ბიჭი შინ. სახლში მოხუცი კაცი დახვდა, დახავსებული წვერი მუხლებზე დაჰფენოდა,, ტახტზე მორთხმით იჯდა და შემწვარ ცხვარს შეექცეოდა. ბიჭი მიესალმა მოხუცს, მოხუცმა სალამი დაუბრუნა და სუფრაზე მიიპატიჟა, — მოდი, დამეწვიე, ნამგზავრი ჩანხარ და გეშიებაო. — ბიჭს მართლაც შიოდა და სუფრას მიუჯდა. პურისჭამას რომ მორჩნენ, მოხუცმა ჰკითხა:

— ვინა ხარ, სადაური კაცი ხარ და ან რა საქმეზე წამოსულხარო?

ბიჭმა უთხრა ვინც იყო და რა საქმეზეც მიდიოდა. მოხუცმა ყურადღებით მოუსმინა და ბოლოს უთხრა:

— ეგ მართლაც საკვირველი რაღაც გინახავს, მაგრამ მე რომ გადამხდა, იმისთანა მაინც ვერ არისო.

მიამბე რა გადაგხდა ისეთი, რომ ჩემს ამბავზე საკვირველი იყოსო, — შეეხვეწა ბიჭი.

მოხუცმა ჩამოისვა წვერზე ხელი, ჩაახველა და დაიწყო: — ცხრა ვაჟიშვილი მყავდა, ცხრავე ერთმანეთზე საუკეთესო მონადირე. მეც მონადირე ვიყავი. მამა და შვილები, ჩვენი დღე და მოსწრება სულ სანადიროდ დავდიოდით და ხელსვავიანადაც ვნადირობდით.

ერთ დღესაც შევსხედით ცხენებზე ათივენი და წავედით სანადიროდ. იმ დღეს ნადირი ვერ მოვკალით. ის იყო უკან უნდა დავბრუნებულიყავით, რომ გზაზე ერთი ცალთვალა მეცხვარე დევი შემოგვხვდა. დევს ცხვარი გაეშალა მინდორში, თვითონ მხართეძოზე წამოწოლილიყო და არხეინად ღიღინებდა. მივედით ასლოს და ღამის გათევა ვთხოვეთ. დევმა გვითხრა:

— წადით ამ მინდვრის ბოლოში, იქა დგას ჩემი სახლი, სახლის წინ ერთი დიდი ჭადარი დგას, შეარხიეთ ის ჭადარი და შეშა ჩამოცვივა. შეშით ცეცხლი დაანთეთ, მერე, სახლს რომ ერთი პატარა გორა აფარია კარებად, ის გასწიეთ და შედით შიგ. სახლში ათი ტომარა ფქვილია, მოზილეთ ის ფქვილი და ხმიადი გამოაცხვეთ. ამასობაში მეც მოვალ და ერთად ვივახშმოთო.

შევსხედით ცხენებზე და წავედით, მივედით სახლთან, მაგრამ ვერც ჭადარი შევარხიეთ და ვერც კარებად აფარებულ გორას ვუყავით ძვრა. ვდგევართ პირშერცხვენილები და აღარ ვიცით, რა ვქნათ. ამასობაში თვითონ დევიც მოვიდა, ნახა, რომ არც ცეცხლი ანთია და არც ხმიადია გამომცხვარი და ბავშვებივით დაგვტუქსა:

— თქვე წიწკანებო, მაშ ათ კაცს იმდენი არ შეგეძლოთ, რომ ცეცხლი დაგენთოთ და ხმიადი გამოგეცხოთო?

ჩვენ თავის მართლება დავიწყეთ:

— უპატრონო სახლში შესვლა წესად არა გვაქვსო.

მაშინ დევმა თვითონ შეარხია ჭადარი და შეშა დააყრევინა. დაანთო უზარმაზარი კოცონი, ჰკრა წიხლი გორას და იქით, ათ ნაბიჯზე გააცურა, შევიდა შინ, მოზილა ათივე

ტომარა ფქვილი და ერთი კალოსტოლა ხმიადი გამოაცხო, მერე დაკლა ოცდაათი ცხვარი, დაატყავა და ნაკვერცხალზე დაყარა, როცა ცხვრები კარგად შეიწვა, გამოყარა ცეცხლიდან, ორ-ორი ჩვენ დაგვიწყო წინ და ათი თვითონ დაიწყო, ხმიადიც შუაზე გატეხა, ნახევარი ჩვენ გაგვინაწილა და ნახევარი თვითონ დაიდო. თავისი წილი ათი ცხვარი და ნახევარი ხმიადი თვალის დახამხამების უმალ გადაყლაპა, და ჩვენს წილ-კერძს მისდგა. იმასაც როქ მორჩა, ახლა ჩვენი ცხენები დაჭამა, მაგრამ მაინც სულ იმას გაიძახოდა, — მშია, მშიაო! — ბოლოს მოგვისვა ხელი და სულერთიანად კიდობანში ჩაგვყარა. იქიდან სათითაოდ გვიყვანდა და გვყლაპავდა. ასე შემიჭამა ცხრავე შვილი და ჯერი ჩემზე მოდგა. უცბად ხელიდან დავუსხლტი და თვალში ნაცარი შევაყარე. დევმა თვალის სრესა დაიწყო, მე მუგუზალს წამოვავლე ხელი და ახლა ის ვატაკე. დევმა ერთი ისეთი დაიღრიალა, რომ მთა-ბარმა სულ ზანზარი დაიწყო. მივხვდი თვალი მთლიანად დაეშრიტა და ცოტა იმედი მომეცა, ბრმა ვეღარაფერს დამაკლებს-მეთქი. მართლაც დევმა აქეთ-იქით ბოდიალი დაიწყო, მე დრო ვიხელთე, გამოვვარდი კარში და გამოვიქეცი. მას მერე, სანამ ჯანი შემწევდა, სულ იმ დევს დავეძებდი, რომ შური მეძია, მაგრამ ვერსად წავაწყდი და იმისი ჯავრი საფლავში მიმყვება. აი, შენ თუ წახვალ და იმ დევის ჯავრს ამომყრი, მაშინ გეტყვი, რაც იყო ის საოცრება შენ რომ გინახავსო.

— წავალო, — უთხრა ბიჭმა, — ოღონდ მასწავლე საით მხარეს ცხოვრობსო.

— ჩემი ცხენი წაიყვანე და ის თვითონ გაპოვნინებსო, — უთხრა მოხუცმა.

შეკაზმა ბიჭმა მოხუცის ნაჩუქარი ცხენი, გამოეთხოვა ბერიკაცსა და მზეთუნახავ გოგოს და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს მიაგნო დევის სახლს. მიადგა კარზე და დაუძახა:

— დევო, შინა ხარო?

— შინა ვარ, რომელი ხარ, რა გინდაო? — გამოსძახა დევმა.

— ერთი გზაარეული მონადირე ვარ და თუ შეიძლება ‘ამაღამ ღამე გამათევინეო, — უთხრა ბიჭმა.

— გაგათევინებ, — გამოსძახა დევმა, — ოღონდ თუ პურს გამომიცხობ და კარგად მავახშმებ. მე ორივე თვალით ბრმა ვარ და ვერაფერს ვხედავო.

— პურის გამოცხობას რა უნდა, ოღონდ მაჩვენე ფქვილი სად არის და ისეთ ხმიადს გამოგიცხობ, რომ თითებსაც თან ჩაატანო, — შესძახა ბიჭმა.

— აბა, მაშ შემოდიო, — გამოსძახა დევმა და კარებს აფარებული გორა გაუწია. თან გულში ეცინებოდა, შემოხვალ თუ არა, ჩემი ლუკმა გახდებიო. — და ისე ჩადგა, რომ შემოსვლისთანავე ხელი ეტაცნა.

მაგრამ ბიჭი მიუხვდა ეშმაკობას და უთხრა:

— მე ცხენიანად უნდა შემოვიდე, ცოტა იქით გაიწიე, თორემ ვერ შემოვეტევიო.

დევს გაუხარდა, — ეს უფრო ‘უკეთესიო, — თქვა გულში, — ცხენსა და პატრონს ორივეს ერთად გადავსანსლავო, — და კარებში გზა უტია. ბიჭი ფიცხლად ჩამოხტა ცხენიდან, იძრო ხანჯალი და დევს ყელში მიაბჯინა. თან დასჭყივლა:

— არ გაინძრე, თორემ გაგათავებო!

დევს შეეშინდა და ხვეწნა დაუწყო:

— ოღონდ ნუ მომკლავ და აი, ჩემი ცხვრის ფარები, ქონება-ცხოვრება სულ შენი იყოს და როგორც გინდა, მოიხმარეო.

— მე შენი არც ქონება მინდა, არც ცხვრის ფარები, — უთხრა ბიჭმა, — მარტო ის მითხარი, ცხრა ძმა მონადირე რომ გადაყლაპე, ისინი სად არიან, ან როგორ გავაცოცხლებ, და არ მოგკლავო.

დევმა უთხრა:

— ყელზე მობჯენილი ხანჯალი მომაშორე და ცხრასავე ცოცხალს ამოვანთხევ, მათზე ადრე ხანდაზმული მონადირე გადავყლაპე და შენი ხათრით იმასაც თან ამოვაყოლებო.

— აბა, ჩქარა, გელოდებიო, — უთხრა ბიჭმა და ხანჯალი მოაშორა. დევმა მართლაც სათითაოდ გადმოყარა პირიდან ბებერი მონადირის შვილები. ისეთი ვაჟკაცები იყვნენ,

რომ კაცი თვალს ვერ მოსწყვეტდა. ბოლოს ის ხანდაზმული მონადირეც გადმოაგდო და ბიჭს ჰკითხა, ახლა რაღას ითხოვო?

— ახლა ისიც უნდა მასწავლო, ამათი ცხენები სად არის და როგორ გავაცოცხლოო, — უთხრა ბიჭმა.

— მაგათი ცხენების ძვლები სახლის უკან ყრია, — უთხრა დევმა,— ამ ხანდაზმული მონადირის ცხენის ძვლებიც იქ არის, შენ ახადე სკივრს, ამოიღე იქიდან სპილოს ძვლისტარიანი მათრახი. გადაჰკარი სათითაოდ ძვლებს და გაცოცხლდებიანო.

ბიჭი ასეც მოიქცა. ამოიღო ძვლისტარიანი მათრახი, გავიდა სახლის უკან, სადაც ძვლები ეყარა, და ყველა ცხენი გააცოცხლა. მერე დაბრუნდა დევთან და ხანჯალი ისევ ყელში მიაბჯინა, — შენ იმდენი ცოდვა და ბოროტება გაქვს ჩადენილი, რომ სიცოცხლის ღირსი მაინც არა ხარო.

დევს კანკალი დააწყებინა და ბიჭს შეეხვეწა:

— რად გინდა ჩემი სიკვდილი, ვეგდო ჩემთვის, ბრმა ვარ და ამის შემდეგ მაინც ველარავის რამეს დავუშავებ. თუ სიცოცხლეს მაჩუქებ, ერთ ისეთ ხელსახოცს მოგცემ, რომ წაუსვა, მკვდარს გააცოცხლებ და ხეიბარს გააჯანსაღებო.

გამოართვა ბიჭმა დევს ცხვირსახოცი და აჩუქა სიცოცხლე. შესხდნენ ყველანი ცხენებზე — ხნიერი მონადირის შვილები თავთავიანთ ცხენებზე, ბიჭი მათი მამის ცხენზე, ხანდაზმული მონადირე თავის ცხენზე და წამოვიდნენ.

გზაზე ძმებმა ბიჭს ჰკითხეს:

— გვითხარი ვინა ხარ, ვისი შვილი ხარ, რომ ჩვენი გულისათვის ასე თავი გამოიდე და ამდენი სიკეთე გვიყავიო?

ბიჭმა დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი. ხანდაზმულმა მონადირემ ცხენი შეაყენა და ხმამაღლა დაიძახა:

— შენ ჩემი შვილი ყოფილხარ! მე ვარ ის დაკარგული მონადირე, დევმა რომ გადამყლაპა, შენ სწორედ იმ დღეს შეგისრულდა წელიო.

ჩამოხდნენ ცხენებიდან მამა-შვილი და ერთმანეთს მხურვალედ გადაეხვივნენ. ხვევნა-კოცნით რომ გული იჯერეს, ისევ შესხდნენ ცხენებზე და სიცილ-სიმღერით გაუდგნენ გზას.

მიუახლოვდნენ მოხუცი მონადირის სახლს და უფრო მოუმატეს სიმღერას. გამოიხედა მზეთუნახავმა გოგომ სიმღერის ხმაზე და მამას ახარა:

— მამი, ის ბიჭი მოდის და ჩემი ძმებიც მოჰყავსო!

— გაუღე, შვილო, ჭიშკარი და შეეგებეო,—უთხრა მამამ.

გოგომ ჭიშკარი ფართოდ გაუღო და შეეგება. ჩამოხტნენ ყველანი ცხენებიდან, გადაეხვივნენ ძმები თავიანთ მზეთუნახავ დას და-დაუწყეს კოცნა. მერე სახლში შეცვივდნენ და მოხუცი მამა ხელში აიტაცეს. გოგომ ბიჭს მადლობა გადაუხადა და მამა-შვილიც შიწ შეიწვია. ყველანი რომ დასხდნენ და ერთმანეთის მოკითხვით გული იჯერეს, მოხუცმა მონადირემ შვილებს უთხრა:

— შვილებო, ეს სიხარული სულ ამ ყოჩაღი ბიჭის წყალობაა, თუ თქვენი თანხმობაც იქნება, ამაზე კარგ სასიძოს სად ნახავთ, მოდით, თქვენი და მიათხოვეთ და დაინათესავეთო.

ძმები სიხარულით დათანხმდნენ და მაშინვე ქორწილის სამზადისს შეუდგნენ. სამი დღე და ღამე იქეიფეს. მერე გოგო ბიჭს ჩააბარეს და ცალკე ოთახში მოასვენეს. ბატარძალმა ტანსაცმელი გაიხადა, ბიჭმა ნახა, რომ ქალს ერთი ძუძუ ეკლდა, და გაკვირვებულმა ჰკითხა:

— რატომ არა გაქვსო?

გოგოს გაეცინა და უპასუხა:

— როგორღა მექნებოდა, როცა შენ შემიჭამეო.

— როგორ თუ მე შეგიჭამეო?! — უფრო გაოცდა ბიჭი.

— გახსოვს უკანასკნელად ირემი რომ მოჰკალი და სამწვადედ ცური ააჭერი,—უთხარა გოგომ,—ნახევარი რომ მწვადად ააგე და შეჭამე, ის ირემი მე ვიყავი და ცურის ნახევარი კიდევ ეს ძუძუ იყო. ხომ გითხარი ერთმანეთს კიდევ შევხვდებით-მეთქი და აი, შევხვდით კიდეცო.

ბიჭი ცას ეწია სიხარულით, რომ საიდუმლოც გაიგო და ასეთი მზეთუნახავი გოგოც იშოვა. მაშინვე ამოიღო დევის მიცემული ცხვირსახოცი, მიუსვ-მოუსვა მკერდზე და მოჭრილი ძუძუ ისევ გაუმთელა.

დილას სიძე თავისი საწოლი ოთახიდან რომ გამოვიდა, სიმამრმა ჰკითხა:

— ხომ იპოვე, რასაც ეძებდიო?

— ვიპოვე და ბედნიერიცა ვარო, — მიუგო ბიჭმა.

და განა არ იყო ბედნიერი? საიდუმლო გაიგო, მზეთუნახავი ქალიც დაისაკუთრა და დაკარგული მამაც იპოვა და გააცოცხლა. ერთი კვირა სიმამრთან და ცოლისძმებთან ილაღობა, კვირის თავზე წამოიყვანა ცოლი და მამა და დამწუხრებული დედაც გააბედნიერა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

საზღაური

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტად ღარიბი ახალგაზრდა კაცი და ჰყავდა ლამაზი ცოლი. კაცი დღიურ მუშად დადიოდა და ცოლს იმით არჩენდა. ერთ დღეს სამუშაო ვეღარ იშოვა, გროში ვეღარ აიღო და შინ ხელცარიელი დაბრუნდა. მშიერი ცოლი კარებწინ შეეგება, მაგრამ რა ექნა კაცს, რა მიეცა, როცა ჯიბეში გახვრეტილი გროშიც-ღარ უჩხაოდა?

მობეზრდა კაცს ასეთი სიცოცხლე და თავის მოკვლა გადაწყვიტა. მეზობლებში ერთი ორი გროში იშოვა, მიუტანა ცოლს და თვითონ თავის დასახრჩობად მდინარეზე წავიდა.

სანამ მდინარემდე მივიდოდა, გზაში ერთი თეთრწვერა მოხუცი შემოხვდა და ჰკითხა:

— საით მიიჩქარი, ჭაბუკო, ან ასე ძალზე რამ დაგაღონაო?

ბიჭმა უამბო თავისი გასაჭირი და დასძინა:

— მომბეზრდა ასეთი ძაღლური ცხოვრება და თავი უნდა დავიხრჩოო.

თეთრწვერამ ჯიბიდან ერთი უბრალო სპილენძის სასტვენი ამოიღო და უთხრა:

— ოღონდ თავს ნუ მოიკლავ და ამ სასტვენს გაჩუქებო, — მისცა ბიჭს სასტვენი და გაქრა.

— ჩემს გაჭირვებას სასტვენი რას უშველისო, — თქვა ბიჭმა და ისევ მდინარისაკენ წავიდა.

გზაზე კიდევ შემოხვდა ერთი კაცი, უფრო ხნიერი და უფრო თეთრწვერა და ჰკითხა:

— ჭაბუკო, საით გაგიწევია, ან აგრე ძალიან რამ დაგაღონაო?

— ასეა და ასეა ჩემი საქმე და მდინარეზე თავის დასახრჩობად მივდივარო.

— ოღონდ დაბრუნდი, თავს ნუ მოიკლავ და აი ამ ქისას გაჩუქებო, — უთხრა კაცმა, ამოიღო ჯიბიდან ცარიელი ქისა, ბიჭს მისცა და ისიც პირველივით გაუჩინარდა.

ბიჭს მწარედ გაეცინა:

— შინ ცარიელი ქისების მეტი რა მაქვს, მაგრამ რა მარგესო, — თქვა გულში, ჩაიდო ქისა ჯიბეში და გასწია ისევ მდინარისაკენ.

ცოტა რომ გაიარა, ახლა მესამე კაცი შემოხვდა. პირველ ორ კაცზე უფრო ხნიერი და დაჩაჩანაკებული. ჰკითხა ბიჭს:

— საით გაგიწევია, შვილო, ან რატომ ხარ ასე დანაღვლიანებულიო?

— აბა, როგორ ვიქნები, როცა სიცოცხლე ისე მომბეზრდა, რომ აი მდინარეზე მივდივარ თავის დასახრჩობადო, — მიუგო ბიჭმა.

კაცმა ჯიბიდან ერთი უბრალო ნაბდის ქუდი ამოიღო და ბიჭს გაუწოდა, თან უთხრა:

— ოღონდ თავს ნუ მოიკლავ და აი ამ ქუდს გაჩუქებო.

ბიჭმა ქუდი კი გამოართვა, მაგრამ განზრახვაზე ხელი არ აუღია. — ერთი ქუდი, ოქროსიც რომ იყოს, ჩემს სიღარიბეს არას არგებსო, — თქვა და ისევ მდინარისაკენ გაუტია.

სანამ მდინარემდე მიაღწევდა, მოიღრუბლა და კოკისპირული წვიმა დაუშვა. ბიჭმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ირგვლივ თავშესაფარი ვერაფერი დაინახა, არც სე, არც ბუჩქი. უცბად წვერიანი კაცის მიცემული ქუდი მოაგონდა, მაშინვე ამოიღო ჯიბიდან და დაიხურა. დაიხურა და გაქრა. თურმე ეს ქუდი უჩინმაჩინისა ყოფილა. ბიჭმა რამდენჯერმე დაიხურა და მოიხადა. დაიხურავდა, გაქრებოდა, მოიხდიდა — გამოჩნდებოდა.

ბიჭს მოეწონა ქუდი და მდინარეცა და თავის მოკვლაც გადაავიწყდა. ახლა ქისაც მოსინჯა, ამოიღო ჯიბიდან და დაიქნია. ქისიდან ოქროს თუმნიანები წამოცვივდა. კიდევ დაიქნია და კიდევ წამოცვივდა. ერთ წუთში ჯიბეები ოქროს

ფულებით გაივსო. ბიჭმა ბოლოს სასტვენიც ამოიღო, თქვა, — აბა, ერთი ვნახოთ, ამას რაღა ძალა აქვსო, და ჩაჰბერა. ჩაბერვისთანავე აქეთ-იქიდან შეიარაღებული ჯარის მწკრივები წამოვიდა. კიდევ ჩაჰბერა და ჯარებიც უფრო მომრავლდა, კიდევ და კიდევ! მთელი მინდორი შეიარაღებული მებრძოლებით აივსო.

ბიჭი ახლა კი მიხვდა, რა საგანძურის პატრონიც გამხდარიყო, და სიხარულით ცას ეწია. რაკი ძალაუფლება და სიმდიდრე ხელთ იგდო, სულ სხვანაირი ცხოვრება მოუნდა, დაავიწყდა შიმშილიც, სიღარიბეც, თავისი გაჭირვებული ცოლიც და უცხო ქვეყნების ნახვა გადაწყვიტა. სადაც წავალ, ყველგან ხელმწიფურად ვიცხოვრებ და ჩემს ღატაკ სახლში რაღა მინდაო, — თქვა და წავიდა.

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ უცხო სახელმწიფოში შევიდა. მივიდა ერთ დედაბერთან და ღამის გათევა სთხოვა. დედაბერმა ნება დართო და ეს ბიჭიც შევიდა სახლში. მისცა დედაბერს ფული, მოატანინა კარგი საჭმელ-სასმელი და გეზრიულად ივახშმეს. ვახშმის შემდეგ გააბეს საუბარი და ბევრი იმუსაიფეს. ბოლოს ბიჭმა ქალაქის ამბები გამოჰკითხა: — რა არის ამჟამად თქვენს ქალაქში საკვირველიო?

— ჩვენი ქალაქი ლამაზია და საკვირველიც ბევრი რამ არის, — უთხრა დედაბერმა. — ერთი ასეთი ხელმწიფის მზეთუნახავი ქალის ამბავია: ქალს სასახლეში ერთი მოზრდილი ოთახი აქვს და მამა მხოლოდ იმაზე ათხოვებს, ვინც იმ ოთახს ოქროს ფულით გაავსებს. აგე, რამდენი ხანია, მოდიან სასიძოები, მოაქვთ ოქროს ფული, მაგრამ იმ ოთახის გავსება ვერავინ შესძლო და ქალიც კვლავ გაუთხოვარია. ოქროს ფული ხელმწიფესა და იმის მზეთუნახავს რჩებათ და გაყვლეფილი სასიძოები კი უკანვე ბრუნდებიანო.

„ეს სწორედ საჩემო საქმე ყოფილაო", — თქვა ბიჭმა გუნებაში და გათენდა თუ არა, გასწია ხელმწიფის სასახლისაკენ. ხელმწიფემ შეიყვანა ბიჭი ოთახში და უთხრა:

— თუ ამ ოთახს ოქროს ფულით აავსებ, ქალი შენი იქნებაო.

ბიჭმა ერთი კვირის ვადა სთხოვა, ჩაიკეტა ოთახში და

დაიწყო თავისი ჯადოსანი ქისის ქნევა. მოდის და მოდის ოქროს თუმნიანები. კვირის თავზე ისე გაივსო ოთახი ფულით, რომ ნემსი აღარ ჩავარდებოდა. გამოვიდა ბიჭი და ხელმწიფეს მოახსენა:

— პირობა შესრულებულია და ნახეთო.

გამოვიდნენ ხელმწიფე და მზეთუნახავი, ნახეს ოქროს ფულით ბირთამდე სავსე ოთახი და თავზარი დაეცათ: ხედავდნენ, რომ სანაძლეოს აგებდნენ და მუქთი შემოსავლის წყარო ეკარგებოდათ.

— კარგი, რა გაეწყობა, დილაზე მოდი და ქალი ჩაიბარეო, — უთხრა ხელმწიფემ.

ბიჭი დედაბრისას დაბრუნდა. ხელმწიფემ და იმისმა ქალმა კი იმ ღამეს მოილაპარაკეს: მაგ გლეხის ბიჭს, ეტყობა, რაღაც ჯადო აქვს და თუ ის არ გამოვაცალეთ ხელიდან, დავიღუპებითო.

გათენდა მეორე დილა და ბიჭიც იმავ წამს სასახლეში გაჩნდა. მზეთუნახავმა შეიყვანა ბიჭი თავის საწოლ ოთახში, მოეფერა, მოელაქუცა და ბოლოს უთხრა.

— ახლა მე და შენ ერთსულ და ერთხორც ვართ და ჩვენი გაყრა სიკვდილის მეტს აღარაფერს შეუძლია. თუ შენც ასევე გიყვარვარ, მითხარი, ეს ამოდენა ოქროს ფული აქ საიდან გააჩინე. ვიცი, არც ურმით მოგიტანია და არც აქლემებით, მაშ რა ძალა გაქვს ისეთი, რომ ერთ კვირაში ამდენი ოქრო დააგროვეო?

ბიჭი ჯერ უარზე იდგა, არ უნდოდა საიდუმლოს გამხელა, მაგრამ ქალის ცდუნებას რას გაუძლებდა და გამოუტყდა. ამოიღო ქისა და აჩვენა. ქალმა უთხრა:

— აბა, მაჩვენე, მეც დავიქნევ, მინდა დავინახო, ფული როგორ წამოცვივაო.

ბიჭი გაბრიყვდა და მისცა. ქალმა ქისა უცბად ტაგრუცში ჩაკეტა და ბიჭი კარში გააგდო.

გაბრაზდა ბიჭი და გადაწყვიტა ქალზე შური ეძია. ამოიღო თავისი სასტვენი, დაუსტვინა და ხელმწიფის სასახლის ირგვლივ უთვალავი ჯარი შეკრიბა. დაინახა მზეთუნახავმა ჯარი, გამოეგება ბიჭს ეზოში და სიცილით უთხრა:

— რად გინდოდა ეს ჯარი? მე გეხუმრე, თორემ ქისაც

შენია და მეც შენი ვარ. გაუშვი ჯარი, წამოდი ჩემს საწოლ ოთახში შევიდეთ და კაი დრო გავატაროთო.

ბიჭმა დაუჯერა, გაუშვა ჯარი და გაჰყვა ქალს. ოთახში რომ შევიდნენ, ქალმა ალერსს და მოფერებას უმატა:

— ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მზე და მთვარე შენზე ამომდის, და თუ შენც ასევე გიყვარვარ, მითხარი, ასე უცბად აზდენი ჯარი როგორ შეკრიბეო?

ბიჭმა ვერც ახლა გაუძლო ქალის მაცდუნებელ ალერსს და გამოუტყდა. აჩვენა სასტვენიც. ქალმა უთხრა:

— აბა, ერთი წუთით დამაჭერინე ხელში, მინდა გავიგო, თუ ჩემს დასტვენაზეც შეგროვდება იმდენი ჯარიო. — გამოართვა ეს სასტვენიც, ტაგრუცში ჩაკეტა და ბიჭი კი კინწისკვრით გააგდო.

წამოვიდა ბიჭი, დადის ქალაქის ქუჩებში დაღონებული და აღარ იცის, რა ქნას, ფულიც დაკარგა და ჯარიც. ერთადერთი უჩინმაჩინის ქუდიღა შემორჩა. თქვა, თუ მიშველის რამეს ეს ქუდი, თორემ სამუდამოდ დაღუპული ვარო. დაღამდა თუ არა, დაიხურა ქუდი, გახდა უჩინარი და შეიპარა მზეთუნახავი ქალის საწოლ ოთახში, გამოეცხადა ქალს და უთხრა:

— ახლავე დამიბრუნე ჩემი ნივთები, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

ქალი მიხვდა, რომ ცუდად იყო საქმე და ისევ ნაცად ხერხს მიმართა, ჩამოეკიდა ყელზე და დაუწყო ალერსი:

— მე ხომ გეხუმრე, შენი გამოცდა მინდოდა, თორემ შენ გარდა ქმარი არ მინდა: ოჰ, რომ იცოდე, როგორ მოგელოდი და როგორ გამიხარდა შენი დანახვაო. — გაუშალა სუფრა, დაალევინა ტკბილი ღვინოები, დაათრო და უთხრა:

— ახლა კი მართლა სიკვდილამდე განუყრელები ვართ და ერთმანეთთან დაფარული არც რაიმე უნდა გვქონდეს, მოდი, მითხარი, აქ როგორ შემოხვედი, რომ გუშაგებმა ვერაფერი გაიგეს და ქისასაც და სასტვენსაც ახლავე დაგიბრუნებო.

ბიჭი კიდევ გაბრიყვდა და უჩვენა უჩინმაჩინის ქუდი. ქალმა უცბად გამოსტაცა, ჩაკეტა ყუთში და ბიჭი კვლავ გარეთ გამოაბრძანა.

დარჩა ბიჭი ისევ ღარიბ-ღატაკი და უქონელი. გაახსენდა ცოლი, სახლ-კარმიდამო და გულით მოუნდა იქ დაბრუნება, მაგრამ ჯიბეში გახვრეტილი ფარა აღარ გააჩნდა და უფულოდ კი სად წავიდოდა? სხვა გზა რომ აღარ დარჩა, ისევ თავის მოკვლა გადაწყვიტა და კვლავ მდინარისაკენ წავიდა.

იარა, იარა და როგორც იქნა, მიადგა მდინარეს. მდინარის პირას ორი ძირი ტყემალი იდგა, ერთი თეთრი იყო, მეორე შავი ფერისა. ბიჭს გზაზე ძალიან მოშივდა და იფიქრა, — რაღა მშიერი მოვკვდე, მოდი ამ ტყემლებს დავარხევ და სიკვდილის წინ მწიფე ტყემლით მაინც გავძღებიო.

დაარხია ორივე ტყემალი, ჯერ თეთრი ჭამა, მერე შავს გაუსინჯა გემო და შეჭამა თუ არა მაშინვე ვირად გადაიქცა. ბიჭი დარდისაგან კინაღამ გაგიჟდა. თავიც რომ მოვიკლა, მაინც ვირად დავრჩები და ვინ იცის, რომელ ხრამში გადამაგდებენ, საფლავ-სამარეც კი არ მეღირსებაო.

ამ წუხილში რომ იყო, თავისდაუმჩნეველად ერთი მარცვალი თეთრი ტყემალი შეჭამა. დახეთ საკვირველებას: იმავ წამს ისევ კაცად გადაიქცა. ბიჭი გაოცდა და ტყემალი რამდენჯერმე კიდევ გამოსცადა: შავს შეჭამდა — ვირად იქცეოდა, თეთრს შეჭამდა და — კაცად.

— ახლა კი ამოვიყრი მზეთუნახავი ქალის ჯავრსო, — თქვა გახარებულმა ბიჭმა, დაკრიფა ორივე ტყემალი, ერთ ჯიბეში შავი ჩაიყარა. მეორეში თეთრი. გამოიცვალა ტანსაცმელი, რომ ხელმწიფის ქალს არ ეცნო და წავიდა სასახლისაკენ. ჩაუარა სასახლეს იმ მხარეს, საითაც ქალის საწოლი ოთახი იყო და დაიწყო ყვირილი:

— აბა, კაი ტყემალი, მჟავე ტყემალი, ვის უნდაო!

გაიგონა მზეთუნახავმა და თავის მოახლეს უთხრა:

— ჩადი და ერთი ლიტრა იყიდეო.

ჩავიდა მოახლე და ჰკითხა ბიჭს:

— რა ღირს თქვენი ტყემალიო?

ბიჭმა შავი ტყემალი მიაწოდა და უთხრა:

— ჯერ გემო გასინჯე და ფასზე მერე მოვილაპარაკოთო.

შეჭამა მოახლემ ტყემალი და იმ წამსვე ვირად გადაიქცა. ბიჭმა თოკი გამოასკვნა კისერზე და იქვე მიაბა. მზეთუ-

ნახავმა მეორედ სეფექალი გამოგზავნა, ბიჭმა იმასაც შეჭამა შავი ტყემალი და ვირადქცეული მოახლის გვერდით მიაბა.

სეფექალიც რომ აღარ დაბრუნდა, მზეთუნახავი ახლა თვითონ ჩავიდა და ბიჭს შეეკითხა, — რა ღირს შენი ტყემალიო? — ბიჭმა მიაწოდა შავი ტყემალი და უთხრა:

— ქალბატონო, ჯერ გემო გაუსინჯეთ და ფასზე მერე ვილაპარაკოთო.

გამოართვა მზეთუნახავმა ტყემალი, შეჭამა და იმავ წამს ჭაკ ვირად გადაიქცა. ბიჭმა ლაგამი ამოსდო და ხეზე მოკლედ მიაბა. მერე ერთი ხორკლიანი ჯაგრცხილის სახრე გაწოსჭრა, ახლა როგორ გინდა, რომ სიცოცხლე გამიმწარეო, — უთხრა და მიჰკიდა და მიჰკიდა გვერდებში.

ვირი ტკივილისაგან იმ სახრესავით დაიგრიხა და შეესვეწა:

— ოღონდ ისევ ქალად მაქციე და შენს ნივთებსაც დაგიბრუნებ, შენს მოტანილ ოქროს ფულებსაც და ჩემსასაც ზედ დაგისართავო.

— არა, ახლა ველარ გამაბრიყვებო, — უთხრა ბიჭმა, — თუ გინდა, რომ ისევ ადამიანად გაქციო, ჯერ შენი ოთახისა და იმ ყუთის გასაღებები მომეცი, სადაც ჩემი ქისა, სასტვენი და ქუდი ინახება და გაპატიებ, თუ არადა, სამუდამოდ ვირად დაგტოვებო.

ასწავლა ქალმა, სადაც ინახავდა გასაღებებს. ავიდა ბიჭი, გააღო ოთახის კარები, გახსნა ყუთი და ამოალაგა თავისი ნივთები. ჩამოვიდა ძირს, შეჯდა ვირზე და გამოსწია თავისი სახლისაკენ.

გზაზე ერთი მინდორი მოეწონა. მინდორი ყველაფრით შემკული იყო — მაღლიდან საიალაღე მთა დაჰყურებდა, ირგვლივ ხშირი ტყის მწვანე არშია ერტყა და ნაპირზე ანკარა ნაკადული ჩაუდიოდა. მართლაც, რომ საცხოვრებლად ყოველმხრივ ხელსაყრელი ადგილი იყო და ბიჭმაც აქ გადაწყვიტა დასახლება. შეუკერა ვირს კურტანი, გაუკეთა ქოჭები და დაიწყო სამშენებლო ქვა-ქვიშის მოზიდვა. აჰკიდებდა ორმაგს, ზედ თვითონ შეჯდებოდა და სამოსახლო ადგილამდე ერთხელ არ შეასვენებდა.

ბოლოს, საკმარისი ქვა-ქვიშა რომ მოაზიდვინა, მოიწვია ხელოსნები და ერთ თვეში ხელმწიფის საკადრი სასახლე წამოჭიმა. მე თქვენ გეტყვით და, ფული შემოელეოდა, დაიქ-ნევდა ქისას და ოქრო ჩხრიალით წამოვიდოდა. ეზო-კარმი-დამოც სახლის შესაფერი მოაწყო. მერე შეკაზმა ვირი და თა-ვისი ცოლის მოსაყვანად წავიდა. შესვა ცოლი ვირზე, მოი-ყვანა ახალ სასახლეში და დაიწყო ტკბილი და ბედნიერ ცხოვრება.

ვირს სანამ შეეძლო, ამუშავა, მერე კი, როცა მიიხრწნა და მეტისმეტად გაძვალტყავდა, შეაჭამა ერთი ცალი თეთრ ტყემალი და ქალად აქცია. გაიყვანა შინდორში, ამოჰკრა პანღური და მიაძახა:

— წადი და, სადაც შენი დაიკვეხო, იქ არც ჩემი დაგავიწყდესო!

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

კონკია

იყო და არა იყო რა, იყო ერთი საწყალი ცოლ-ქმარი. ერთი პატარა გოგონა ჰყავდათ. ცოლი ავად გახდა და მოკვდა. პატარა გოგონა უდედოდ დარჩა.

გლეხი რომ მინდორში მიდიოდა სამუშაოდ, გოგონა მარტო რჩებოდა, მომვლელი არავინ ჰყავდა და გლეხი სულ ამას წუხდა: ან ცეცხლში ჩამეწვება, ან წყალში ჩამივარდებაო. ადგა და მეორე ცოლი მოიყვანა: სახლს მიხედავს, მეც მომიელის და ჩემს ობოლ გოგონასაც უპატრონებსო.

მეორე ცოლთანაც გოგონა შეეძინა. სანამ ეს გოგონა წამოიზრდებოდა, დედინაცვალი ზურგზე ჰკიდებდა გერს, მოვლითაც სულ იმას ავლევინებდა. როცა წამოიზარდა, შვილს კაკა-ბაბას არ აკლებდა, გერს კი ცარიელ პურსაც ანატრულებდა, ჩამოხეულ-ჩამოკონკილი დაჰყავდა და ამიტომ კონკია შეარქვეს.

ერთი ძროხა ჰყავდათ. გამოუხვევდა დედინაცვალი კონკიას ერთ კუტ პურს, გააყოლებდა ძროხას მინდორში და თან ასე დაბარებდა:

— ეს ერთი კუტი ამვლელსაც აჭამე, ჩამომვლელსაც, შეწცა ჭამე და შინაც მოიტანეო.

გავიდოდა კონკია მინდორში. გაუშვებდა ძროხას საბალახოდ, თვითონ კი დაჯდებოდა და ცხარე ცრემლით ტიროდა.

ერთ დღეს ძროხამ ენა ამოიდგა და ჰკითხა:

— რატომ ტირი, კონკიავ, რა გაგჭირვებიაო?

— შიმშილით ვკვდები და დედინაცვლის შიშით ეს კუ-ტი ვერ შემიჭამიაო, — შესჩივლა კონკიამ.

ძროხამ უთხრა:

— მაგაზე რა გადარდებს, აი, ერთ რქაში ერბო მიდგას, მეორეში — თაფლი, რომელიც გინდოდეს, ის მიირთვიო.

ადგა კონკია, მოაძრო რქები და, მართლაც, ერთში ერბო დახვდა, მეორეში—თაფლი. ხან ერთს გეახლებოდათ, ხან მეორეს. დანაყრებულა და ისევ დაბერავდა რქებს. ცოტა ხანში ისე გასუქდა, ისე დამშვენდა, უკეთესს ვერაფერს ნახავდა კაცის თვალი. დედინაცვალი შურისაგან გულზე სკდებოდა.

— ჯაფით უნდა მოვწყვიტო წელი და ვნახოთ, როგორი ლამაზიც იქნებაო, — თქვა დედინაცვალმა და აუარებელი მატყლი გაატანა, — ეს მატყლი დაართე, დაძახე და საღამომდე წინდებიც დაქსოვე, თორემ შინ ფეხს არ შემოგადგმევინებო.

რას იზამდა საწყალი კონკია! გაიგდო წინ ძროხა და მიდის დაღონებული, თან გზადაგზა ართავს.

უცებ ძროხამ გზიდან გადაუხვია და ვიღაცის სახლის ბანზე გადაირბინა. მიჰყვა კონკიაც, უნდოდა გამოებრუნებინა, მაგრამ ბანზე რომ შედგა, გაუძვრა კვირისტავი თითისტარიდან, გაგორდა, გაგორდა და ჩავარდა ბანის სანათურში. ჩაიხედა იმ სანათურიდან კონკიამ და დაინახა, რომ კერასთან ერთი დედაბერი ზის.

— დედი, დედაშვილობას, კვირისტავი ამომაწოდეო, — შეევედრა კონკია.

— შეუძლოდა ვარ, შვილო, ჩამოდი და თვითონ აიტანეო, — ამოსძახა დედაბერმა.

ჩავიდა კონკია, აიღო კვირისტავი და ის იყო გამობრუნებას აპირებდა, რომ დედაბერმა შესთხოვა:

— შვილო, შენს გახარებას, ნუ დამზარდები, ერთი კიდობანს ახადე და ნახე, პური ხომ არ დამიობდაო.

— რად დაგზარდებიო, — მიუგო კონკიამ და ახადა კიდობანს.

— უი, დედილო, პური მთლად დაგობებიაო.

— გამოცხობის თავი აღარა მაქვს, შვილო, ღვთის გულისათვის, იქნებ შენ გამომიცხოო.

შეეცოდა კონკიას დედაბერი, პურიც გამოუცხო, სახლიც დაულაგა, ჯამ-ჭურჭელიც დაურეცხა, მერე წყალი გააცხელა და თავიც დააბანინა. თან სულ ეტირებოდა. შეამჩნია ეს დედაბერმა და ჰკითხა:

— რა გაწუხებს, შვილო, რაზე გეტირებაო?

კონკიამ ყველაფერი უამბო: საღამომდე ამდენი მატყლის დართვასა და წინდების დაქსოვას ვერ მოვასწრებ და დედინაცვალი შავ დღეს დამაყენებსო.

— ნუ გეშინიაო. — ანუგეშა დედაბერმა. პური აჭამა, მატყლის დართვაშიც მიეხმარა და საღამომდე წინდებიც დაუქსოვა. საღამოს დედინაცვალმა კონკიას ვერაფერი მოუმიზეზა და ცემას გადარჩა.

კონკია დედაბერს მიეჩვია და ყოველდღე იმასთან დადიოდა. ძროხაც იქვე შორიახლოს ძოვდა.

ერთხელ, კონკია რომ სახლის დაგვა-დასუფთავებას მორჩა, დედაბერმა უთხრა:

— შვილო, კონკიავ, როცა ძროხას წყლის დასალევად ჩაიყვან, მდინარეს დააკვირდი: თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს — არაფერი, ვირისფერმა რომ ჩამოიაროს — ისევ არაფერი, ხოლო, როცა ყვითელი წყალი ჩამოივლის, იმაში დაისველე თმებიო.

წაიყვანა კონკიამ შუადღისას ძროხა მდინარეზე. ჩამოჯდა მდინარის პირას. ჩამოიარა თეთრმა წყალმა, ჩამოიარა ვირისფერმა, ჩამოიარა ყვითელმა და შეუშვირა იმ ყვითელ წყალს თავი. ადგა და რას ხედავს: ოქროს დალალები დაჰფენია ბეჭებზე.

— ახლა ეს თმა შეშურდება ჩემს დედინაცვალსო, — ამტირდა კონკია და დადარდიანებული წავიდა დედაბერთან.

დედაბერმა თმა დაუწნა, თავზე შემოახვია, ხილაბანდი წააკრა და ისე გაისტუმრა შინ.

ღამით კონკია დედინაცვლის უქნარა გოგოს ფეხებს ბანდა. როგორღაც ხილაბანდიდან თმის ერთი ბეწვი ჩამოგარდნოდა და გაჰქონდა ბრდღვიალი ლამბის შუქზე.

— შე დასამიწებელო, ეს რა გიბრჭყვიალებს მაგ ქეციბნ თავზეო, — მისწვდა დედინაცვალი კონკიას, გადააძრო ხილაბანდი და სახტად დარჩა.

— ვინ მოგცა, გოგო ეს თმები, როგორ იშოვეო?,

კონკიამ ყველაფერი უამბო.

— არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა, რომ თმის ერთი ბეწვი მაინც გამოგიჩნდეს, სულ ეგრე თავწაკრულმა იარე, თორემ ან მე ვიქნები და ან შენაო, — დაემუქრა დედინაცვალი.

მისმა უქნარა გოგონამ კი ტირილი მორთო:

— მეც მიბდა ეგეთი თმებიო.

— ნუ ტირი, გენაცვალოს დედა! — ცრემლები მოსწმინდა დედამ თავის შვილს. — ხვალ ძროხა შენ გააგდე საძოვარზე, ის დედაბერი ნახე და ხვალ ამ დროს შენც ეგეთი თმები გექნებაო.

მეორე დღეს, ჯერ კარგად არ იყო გათენებული, რომ გააღვიძა თავისი ქალი, სუფთა ხელსახოცში ქადა-ნაზუქი გაუხვია, არ მოიმშიოო, მატყლი და თითისტარიც გაატანა, გააყოლა ძროხას და ერთხელ კიდევ დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო.

უქნარა გოგომ ძროხა პირდაპირ დედაბრის ბანზე მიაგდო და, ვითომ ჩამივარდაო, კვირისტავი ძალით ჩააგდო სანათურიდან. ჩაიხედა შიგ და დაინახა დედაბერი:

— ქოფაკო დედაბერო, მომაწოდე ეგ კვირისტავიო!

— ჩამოდი და შენ თვითონ აიღეო! — უპასუხა დედაბერმა.

ჩავიდა გოგო, კვირისტავი აიღო.

— შვილო, შეუძლოდა ვარ, პური აღარა მაქვს, იქნება ცოტა გამომიცხოო.

— პური შინაც არ გამომიცხვია და შენ გამოგიცხობო?!

— ჭურჭელი მაინც დამირეცხეო.

— ფუჰ, ამ აყროლებულ ჯამებს ხელს ვინ მოჰკიდებსო!

— ერთი კოკა წყალი მაინც ამომიტანეო!

— შავი ქვა არ გინდაო?!

— აბა მაშ, შვილო, წადი, — უთხრა დედაბერმა, — აგერ იმ მდინარის პირას დაჯექი. თეთრმა წყალმა რომ ჩამოიაროს, არაფერი, ყვითელმა რომ ჩამოიაროს, არაფერი, ხოლო როცა ვირისფერმა ჩამოიაროს, თმები იმაში დაისვეელეო.

წავიდა უქნარა გოგო, დაჯდა მდინარის პირას და დაი-

წყო ლოდინი. ჩამოიარა თეთრმა წყალმა, ჩამოიარა ყვითელ-მა, ჩამოიარა ვირისფერმა, ჩაყო თავი და სულ ვირის ჩორ-ჩოტინები დაეკიდა. გაიქცა დედასთან. დედას გული გაუსკ-და. აიღო მაკრატელი და ძირში მოსჭრა. მაგრამ რამდენსაც აჭრიდა, იმდენი მეტი და მეტი ეზრდებოდა. გამწარებული ახლა კონკიას ეცა და იმასაც ძირში გადაჰკრიჭა, მაგრამ კონკიას კიდევ უფრო უკეთესი დალალები ამოუვიდა.

რაღას იზამდა, მიხვდა, რომ ყველაფერი ძროხის ბრალი იყო და მისი დაკვლა განიზრახა. იცოდა, ქმარი არ დათან-ხმდებოდა და თავი მოიავადმყოფა. ლავაშები დაახმო, ზედ ლოგინი გაიშალა, დაწვა და დაიწყო კრუსუნი. ყოველ გა-დაბრუნება-გადმობრუნებაზე ლავაშებს ლაწალუწი გაჰქონ-და, თვითონ კი კიოდა—ვაიმე, გვერდები, ვაიმე, გვერდებიო!

ქმარმა ჰკითხა:

— რა იყო, ქალო, რა მოგივიდა, რა გტკივაო?

— რაღა რა მომივიდა, გვერდები მემტვრევა, ვკვდებიო.

— რა მოგარჩენსო?

— ასე მითხრეს, სანამ თქვენი ძროხის ნაღველს არ და-ლევ, არა გეშველება რაო.

გლეხი დაღონდა. დედამ კონკიას ეს ერთი ძროხა დაუ-ტოვა, როგორ უნდა დავუკლაო. მაგრამ რაკი დედინაცვალმა თავისი არ დაიშალა, მეტი რა გზა ჰქონდა, დაკვლა გადა-წყვიტა.

ძროხა გულთმისანი იყო. მივიდა კონკიასთან და უთხრა:

— მე რომ დამკლავენ, შენ ჩემს ხორცს პირი არ დააკარო. მოაგროვე ჩემი ძვლები, ბოსელში ორმო ამოთხარე და შიგ ჩაყარე. როცა გაგიჭირდეს, მოდი და ასე ჩამომძახე: ამოდი, ჩემო რაშო, და სადედოფლო ტანსაცმელი ამომიტანეო.

დაკლეს ძროხა, დალია დედინაცვალმა ნაღველი და წა-მოდგა, ვითომ ამან მომარჩინაო. მთელი ერთი კვირა სულ ძროხის ხორცს ჭამდნენ, მაგრამ კონკია ახლოს არ გაეკარა. მოკრიფა ძვლები, ბოსელში ორმო ამოთხარა და შიგ ჩაყარა.

ერთ მშვენიერ დღეს იმ ქვეყნის ხელმწიფემ ბრძანა: ამა და ამ დღეს ყველა ქალიშვილი ჩემს სასახლეში გამოცხად-დეს, შვილისათვის საცოლე უნდა ამოვარჩიოო.

ამის გაგონებაზე დედინაცვალმა თავისი ჯოჯო გოგო,

რაც შეიძლება მორთო, გაალამაზა. კონკიას კი ვარცლი და-
უდგა, ერთი კოდი ფეტვი მოაბნია ეზოში და უთხრა:

— სანამ ჩვენ ხელმწიფის სასახლიდან დავბრუნდებით, ეს ვარცლი ცრემლით აავსე, ფეტვი ისე აკრიფე, მარცვალიც არსად დაგრჩეს, მერე დაჯექი კართან და დაგველოდე. არ დაგვაკაკუნებინო, თორემ ვაი შენი ბრალიო.

წავიდნენ ისინი ერთი სიცილ-კისკისით, კონკია კი დაჯ-და და ტირის. მეტი რა შეუძლია: ან იმ ფეტვს რა აჰკრეფს, ან ვარცლს რა აავსებს ცრემლით!

შემოჯდა ერთი სკვინჩა ჩიტი ღობეზე და ეკითხება:

— კოხტა გოგოვ, რა გატირებს, რა გაგჭირვებიაო?

კონკიამ უთხრა თავისი გასაჭირი.

სკვინჩამ დაუძახა თავის მეგობარ ჩიტებს: — სკვინჩი-სკვინჩოო! მოფრინდა მთელი გუნდი და თვალის დახამხამე-ბაში აუკრიფა ფეტვი.

ეს კი გააკეთეს, მაგრამ ვარცლი როგორ უნდა აევსოთ ცრემლით?! დაჯდა კონკია და ისევ ატირდა ცხარე ცრემ-ლით. თან ეძინება და დედინაცვლის შიშით ვერ იძინებს.

— შვილო, კონკიავ, რატომ ტირიო? — მოესმა ამ დროს. აიხედა და ის კეთილი დედაბერი დაინახა.

— დედინაცვალმა მითხრა, ეს ვარცლი ცრემლით აავ-სეო! — შესჩივლა კონკიამ.

— შე საწყალო, თავს რაზე იკლავო. — ჩაასხა წყალი ვარცლში, ჩაყარა მარილი და უთხრა, — ეგეც შენი ცრემ-ლიო. ადექი ახლა, ხელ-პირი დაიბანე და ორმოს ჩასძახე, რაც ძროხამ დაგიბარაო.

კონკიას მაშინღა გაახსენდა ეს ამბავი. გაიქცა ბოსელში, მივიდა ორმოსთან და ჩასძახა:

— ამოდი, ჩემო რაშო, და სადედოფლო ტანსაცმელი ამომიტანეო!

ორმოდან მშვენივრად შეკაზმული რაში ამოვიდა, უნა-გირზე ოქროს ტანსაცმელი ჰქონდა დაკრული.

დედაბერმა უთხრა კონკიას:

— რაღას უყურებ. ჩაიცვი ჩქარა და ხელმწიფის სასახ-ლეში წადიო. — კონკიამ ჩაიცვა, დედაბერი მოეხმარა, შეჯდა რაშზე და ხელმწიფის სასახლისაკენ გაფრინდა.

დიდი მოკრძალებით და მიწიწებით შეხვდნენ კარისკაცები. მთელი ის ზღვა ხალხი იმას შესცქეროდა. ხელმწიფის ვაჟი ხომ სულ ერთთავად თვალებში შესციცინებდა.

კონკიას ეშინოდა დედინაცვალმა არ მიცნოსო, და საჩქაროდ გამობრუნდა. დაედევნენ კარისკაცები. მაგრამ აბა იმის რაშს რა ცხენი დაეწეოდა! დაეკარგათ თვალსა და ხელს შუა.

გზად მდინარეში უნდა გასულიყო. იმ სიჩქარეში წასძვრა ცალი ოქროს ქოში ფესიდან და ჩაუვარდა შიგ, წყალი ღრმა იყო, ვერ ამოიღებდა. მივიდა შინ, გაისადა, ტანსაცმელი რაშს დააკრა, მიიყვანა ორმოსთან და უთხრა:

— რაშო, ჩაბრძანდი და სადედოფლო ტანსაცმელიც ჩაიტანეო.

რაში ჩავიდა. კონკიამ ორმოს დააფარა, შებრუნდა შინ, ჩაიცვა ისევ თავისი კონკები, მიჯდა კარს უკან და დაუწყო ლოდინი დედინაცვალს.

დედინაცვალი და იმისი ქალი გათენებისას დაბრუნდნენ. დედინაცვალმა თავში ჩაარტყა კონკიას:

— შენმა სიცოცხლემ, სწორედ შენ გგავდა, სასახლეში რომ მზეთუნახავი ვნახეთო!

გოგომაც სიცილი დააყარა, კონკიას კი გუნებაში ეცინებოდა.

იმ მდინარეზე, სადაც კონკიას ქოში ჩაუვარდა, ხელმწიფის მეჯინიბეები ცხენებს წყალს ასმევდნენ ხოლმე. მეორე დღეს ცხენები დაფრთხნენ, წყალი არ დალიეს.

ხელმწიფეს ამბავი მიუტანეს: მდინარეში რაღაც ანათებს, ცხენები წყალს ვეღარ სვამენო.

ხელმწიფემ მყვინთავები გაგზავნა: ამოიღეს ოქროს ქოში და მიართვეს. ხელმწიფემ ქოში შეათვალიერა და თქვა:

— ვისაც ეს ქოში მოერგება, რძლად ის უნდა მოვიყვანოო.

დაიბარა ნაზირ-ვეზირები და უბრძანა:

— რკინის ქალამნები ჩაიცვით, რკინის ჯოხები დაიჭირეთ, წადით, ცისქვეშეთი დაიარეთ და ვისაც ფეხზე ეს ქოში მოერგოს, ის ქალი წამოიყვანეთო. სადაც ეგ რკინის ქალამნები გაგიცვდებათ და ეგ რკინის ჯოხები დაგიტყდებათ, ის ქალი იქ იქნებაო.

წავიდნენ ნაზირ-ვეზირები, ქვეყანა მოიარეს, მაგრამ ქოში არავის მოერგო. ბოლოს მივიდნენ იმ საწყალი გლეხის კარზე. ქალამნებიც იქ დაუცვდათ და ჯოხებიც იქ დაემტვრათ.

დედინაცვალს გაგებული ჰქონდა ოქროს ქოშის ამბავი და სულ იმათ მოსვლას ელოდა. სასწრაფოდ მორთო თავისი გოგო და თოჯინასავით წამოსვა ტახტზე. კონკია კი თონეში ჩააგდო, ჭილოფი გადააფარა, ზედ სიმინდი დაყარა და კრუხ-წიწილას დაუძახა. მერე მივიდა და ნაზირ-ვეზირები შეიპატიჟა:

— მობრძანდით, ბატონებო, მობრძანდით, ეგ ქოში სწორედ ჩემს ქალიშვილს მოერგებაო!

ჩააცვეს ოქროს ქოში და არ მოერგო, პატარა მოუვიდა.

დედაკაცმა უთხრა:

— თითი მოაჭერით და ჩაუვა, დედოფალი იქნება, ფესით ხომ მაინც არ ივლისო.

ნაზირ-ვეზირები ძალიან შეწუხებულნი იყვნენ, ხელმწიფის ბრძანებას რომ ვერ ასრულებდნენ, მოაჭრეს იმ გოგოს თითი, ჩააცვეს ქოში და წაიყვანეს დიდის ამბით, მაგრამ გზაზე სკვინჩა შემოხვდათ და აუტყდა ნაზირ-ვეზირებს:

— თქვენ რომ მიგყავთ, ეგ არ არის ოქროს ქოშის პატრონი, ის იქ დარჩაო!

მიბრუნდნენ უკან.

— კიდევა გყავს ქალიო? — ჰკითხეს დედაკაცს.

— არა, მეტი აღარა მყავსო.

მოფრინდა სკვინჩა და იძახის:

— თონეში ზის კოხტა გოგო, თონეში ზისო!

დედაკაცმა ქვა ესროლა სკვინჩას, მაგრამ ის ისევ იმას გაიძახოდა.

მივიდნენ ნაზირ-ვეზირები, ახადეს თონეს და ამოიყვანეს კონკია.

დედინაცვალი აიპრუწა:

— ჩემს ქალს არ მოერგო და მაგ გომბიოს ტოტყებს რას მოერგებაო.

ჩააცვეს კონკიას ოქროს ქოში და მოერგო. გახარებულმა

ნაზირ-ვეზირებმა იმწამსვე დააპირეს წაყვანა, მაგრამ კონკიამ უთხრა:

— აქ მომიცადეთ ცოტა ხანს, ახლავე გამოვალო.

შევიდა ბოსელში, ორმოსთან მივიდა და ჩასძახა:

— ჩემო რაშო, ამოდი და სადედოფლო ტანსაცმელიც ამომიტანეო.

ამოვიდა რაში, კონკიამ კონკები გაიხადა, სადედოფლო ტანსაცმელი ჩაიცვა, ცალი ქოშიც გამოიტანა. ახლა კი ყველანი მიხვდნენ, რომ კონკია იყო ის მზეთუნახავი, მეფის სასახლეში რომ ნახეს. ნაზირ-ვეზირებმა კიდევ უფრო გაიხარეს, დედინაცვალსა და იმის შვილს კი შურით გულები დაუსკდათ.

გამოეწყო კონკია, შეჯდა რაშზე და გასწიეს სასახლისაკენ.

ხელმწიფე და ხელმწიფის შვილი სიხარულისაგან ცას ეწივნენ. შვიდ დღე და ღამეს გაგრძელდა ქორწილი. ხელმწიფემ ქვეყანა შვილს ჩააბარა, კონკია დედოფლად დასვეს. კონკიამ კეთილი დედაბერიც თავისთან მიიყვანა და ცხოვრობდნენ ბედნიერად.

შურიან დედინაცვალს კი იმ დღის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია, თქვენი ჭირი წაიღო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ასფურცელა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ქვრივი დედაკაცი, ქმარი ადრევე მოუკვდა და სამი მცირეწლოვანი შვილი დარჩა — ორი ვაჟი და ერთი ქალი. ღარიბი კაცის კვალობაზე ქალს პატარა მამულიც ჰქონდა, მაგრამ სიმარტოვის გამო ვეღარ ამუშავებდა. ხოლო როცა შვილები წამოეზარდნენ, მათ უთხრა:

— სანამ პატარები იყავით, არაფერს გეუბნებოდით, ახლა კი დროა, თქვენს მამულს მიხედოთ და უპატრონოთო.

შვილებმა არც კი იცოდნენ, თუ მამული ჰქონდათ, და დედას ჰკითხეს:

— სადა გვაქვს მამულიო?

დედამ ასწავლა, სადაც ჰქონდათ მამული, მაგრამ შვილებს ძალიან ეშორათ,—იმ სიშორეზე სადილს ვინ მოგვიტანსო?

— ოღონდ თქვენ წადით და საჭმელს ყოველთვის თქვენი და ჩამოგიტანთო.

ძმებს ჭკუაში დაუჯდათ დედის ნათქვამი და მამულში წასასვლელად მოემზადნენ. დედამ პირველწასვლისას ერთი კვირის სამყოფი საგზალი გაუმზადა, თან ბლომად ხახვი გაატანა და დაარიგა:

— შვილებო, ეს ხახვი გაფცქვენით და ნაფცქვენი გზაზე დაყარეთ. თქვენი და რომ საჭმელს წამოგიღებთ, ხახვის ნაფცქვენს გამოყვება და თქვენი პოვნა აღარ გაუჭირდებაო.

წავიდნენ ძმები სამუშაოდ და, როგორც დედამ დაარიგა, მთელი გზა ხახვის ნაფურჩალით მოფინეს.

იქვე ახლოს ერთი ასთავიანი დევი ცხოვრობდა, გამოვი-

და დევის დედა, მოკრიფა ხახვის ნაფურჩალი და თავისი სასახლისაკენ მიმავალ გზაზე დაყარა.

კვირა რომ შესრულდა, დედამ გემრიელი სადილი მოამზადა, ჩაალაგა ხურჯინში, გადაჰკიდა ხურჯინი ქალს და გაგზავნა ძმებთან. ქალი მიჰყვა ხახვის ნაფურჩალს, იარა, იარა და დევის სახლს მიადგა. შინ მარტო დევის დედა დაუხვდა, მივიდა ქალი და ჰკითხა:

— დედი, დედაშვილობას, მითხარი, ჩემი ძმები აქ ხომ არა მუშაობენო?

— რის ძმები, რა ძმები, — უთხრა დევის დედამ. — აქ ჩემი ასთავიანი შვილი ცხოვრობს, მოდი, ჩქარა დაგმალო, თორემ საცაა მოვა და შეგჭამსო.

წაიყვანა დევის დედამ ქალი და სახლის ყველაზე ბნელ კუნჭულში დამალა. ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მოვიდა ასთავიანი დევი. ერთ მხარზე ნანადირევი ეკიდა, მეორე მხარზე ხმელი ჭადარი ედო. ტვირთი ეზოში დაყარა და შინ შევიდა. შესვლისთანავე ცხვირი შეიჭმუხნა და დედას უთხრა:

— დედი, ადამიანის სუნი მცემსო!

— რას ამბობ, შვილო, შენი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჭანებია და ხმელეთზე ჭიანჭველას და აქ ადამიანის შვილი როგორ მობედავდაო? — უთხრა დედამ.

დევმა მაინც არ დაუჯერა.

— არა, დედი, ნამდვილად ადამიანის სუნი მცემსო.

მაშინ გამოუტყდა დედა და უთხრა:

— მე ერთი კარგი ქალი შემოვიტყუე სახლში, შენ საცოლედ მინდა და თუ არ შეჭამ, გიჩვენებო.

— არ შევჭამო, — შეჰპირდა დევი.

მაშინ გამოიყვანა დედამ დამალული ქალი და აჩვენა. დევს მოეწონა და ცოლად შეირთო.

ძმები ელოდნენ დას, ელოდნენ და, რომ არსად გამოჩნდა, ადგნენ და შინ დაბრუნდნენ. დედას უსაყვედურეს:—რატომ საჭმელი არ გამოგვიგზავნეო?

— ვაი, მომიკვდეს თავი! — შეიცხადა დედამ და ტირილი დაიწყო, — ჩვენი მამულის ახლოს ერთი ასთავიანი დევი ცხოვრობს და თქვენს დას უსათუოდ ის წყეული დაიჭერდაო.

ძმებმა რომ ეს გაიგეს, იმავ წამს მოემზადნენ და დის გამოსახსნელად წავიდნენ. შორიდანვე გამოჩნდა დევის სახლი, დევის დედამ შეამჩნია მათკენ მიმავლები და ქალს უთხრა:

— აბა გაისედე, მართლა მოჩანს რამე, თუ თვალი მატყუებსო?

ქალმა გაისედა და უთხრა:

— ბუზის ტოლად მოჩანან ვიღაცები და აქეთ მოდიანო.

— ვაი მაგათი დედის ბრალიო, — თქვა დევის დედამ და ცოტა ხნის შემდეგ რძალი კიდევ გაასედა.

— ორი კაცი მოჩანს და აქეთ მოდიანო, — უთხრა ქალმა.

— ვაი მაგათი დედის ბრალიო, — კიდევ თქვა დევის დედამ.

ამასობაში ძმები დევის სახლს მიადგნენ, ქალმა იცნო ძმები და თვალცრემლიანი შეეგება, ხან ერთს ეხვეოდა და ჰკოცნიდა და ხან მეორეს. დევის დედა მიხვდა, რომ მოსულები მისი რძლის ძმები იყვნენ და შინ შეიწვია. აჭამა პური და მერე უთხრა:

— ასლა კი მოდით, დაგმალავთ, თორემ საცაა ჩემი შვილი მოვა და ორივეს შეგჭამთო.

ძმები შეშინდნენ და დაიმალნენ.

ცოტახნის შემდეგ დევიც მოვიდა. ერთ მხარზე ისევ ხმელი ჭადარი გაედო და მეორეზე დახოცილი ნადირი ეკიდა. ტვირთი კართან მოიხსნა, შეაბიჯა შინ და დედას უთხრა:

— დედი, ადამიანის სუნი მცემსო!

დედამ ჯერ დაუმალა, მაგრამ შვილი რომ აღარ მოეშვა, გამოუტყდა:

— თუ პირობას მომცემ, რომ არ შეჭამ, აქ შენი ცოლისძმები არიან და გამოგიჩენო.

— არ შევჭამო, — შეჰპირდა დევი.

დედამ გამოუყვანა დამალული ცოლისძმები და აჩვენა. დევმა ახედ-დახედა ბიჭებს და უთხრა:

— მოდით, ვახშმის თადარიგს შევუდგეთო.

ძმები დათანხმდნენ და შეუდგნენ დახოცილი ნადირის გატყავებას, მაგრამ სანამ ისინი ერთ ირემს ფეხებს გადაუსერავდნენ, დევმა მთელი ნანადირევი დაატყავა და ქვაბში

ჩაუძახა, მერე ცოლისძმებს ის ირემიც გამოჰგლიჯა ხელიდან, ერთი გაკვრით გააძრო ტყავი, მიკუწ-მოკუწა და ისიც სხვა ირმებს მიაყოლა.

ხორცი რომ მოიხარშა და ვასშმად დასხდნენ, დევმა ჰკითხა ძმებს, — ძვლის კაცები ხართ, თუ ხორცისაო?

ძმებს შეეშინდათ და ხორცზე უარი თქვეს:

— ჩვენ ხორცისა რა ღირსები ვართ, ძვლებითაც იოლად გავალთო.

გაუსვა დევმა პირი და მთელი ხორცი თვითონ შესანსლა, გამოხრული ძვლები კი ცოლისძმებს მიუყარა. კარგად რომ გამოძღა, ქვევრს მოხადა და კიდევ ჰკითხა:

— კოკის კაცები ხართ, თუ ყანწისაო?

— ყანწისაო, — უპასუხეს ისევ დაშინებულმა ცოლისძმებმა. დევსაც ეს უნდოდა, თვითონ კოკა დაიდგა და ძმებს კი ყანწი გადაუგდო.

ამასობაში დაძინების დროც მოვიდა. დევმა ცოლისძმებს ჰკითხა:

— ტახტის კაცები ხართ თუ ბაგისაო?

— ტახტი რა ჩვენი საქმეა, ბაგაში დავიძინებთო, — უთხრეს ძმებმა.

დევმა შეიყვანა ძმები გომურში და ბაგაში დააწვინა, თვითონ ტახტზე გაიშოტა და ხვრინვა ამოუშვა.

დილით დევმა გაიღვიძა და დედას უთხრა:

— დედი, პური მშია და მაჭამე რამეო.

— ჩადი, შვილო გომურში, კიდობანში ორი პური დევს და შეჭამეო, — უთხრა დედამ.

დევი ჩავიდა გომურში, მაგრამ პურის კიდობანს ახლოც არ გაჰკარებია, დაძინებული ცოლისძმები რომ დაინახა, სიმსუნაგემ წასძლია, ორივენი იქვე გადაყლაპა და სანადიროდ წავიდა.

დედას იმედი ჰქონდა, შვილები დამიბრუნდებიან და დასაც მოიყვანენო, მაგრამ რომ აღარ გამოჩნდნენ, იფიქრა, უთუოდ ასთავიანი დევი შეჭამდაო, და მორთო ტირილი. ამ დროს ჩამოიარა ერთმა თმაჭაღარა კაცმა და დედას ჰკითხა:

— მითხარი, შვილო, რა ამბავია შენს თავს, რა გატირებს ასე გულამოსკვნითო?

დედამ უამბო თავისი გასაჭირი, ასე და ასეა ჩემი საქმე. ასთავიანმა დევმა შვილები შემიჭამა და იმათ დავტირიო.

კაცმა რომ დედის დარდი გაიგო, ჯიბიდან ერთი თურ-შაული ვაშლი ამოიღო, მისცა დედას და უთხრა:

— ეს ვაშლი ას ნაწილად გაჭერი და ყოველდღე თითო ნაჭერი შეჭამე. სულ რომ გაათავებ, ბიჭი გაგიჩნდება და ასფურცელა დაარქვი. ის ამოგყრის დევის ჯავრს და შვილებსაც ისევ დაგიბრუნებსო.

დედაკაცი მართლაც ისე მოიქცა, როგორც კაცმა დაარიგა: ვაშლი ას ნაწილად გაჭრა და დღეში თითო ნაჭერს ჭამდა. მეასეც რომ შეჭამა, ბიჭი გაუჩნდა და ასფურცელა დაარქვა.

ხხვები რასაც წლით იზრდებოდნენ, ასფურცელა იმდენს დღით იზრდებოდა, მალე ისეთი ბიჭი დადგა, რომ იმისი დანახვა მტერსაც კი გაუხარდებოდა.

ერთხელ ასფურცელა თავის ტოლ ბიჭებში ჩილიკობას თამაშობდა. ერთ დედაკაცს კოკით წყალი მოჰქონდა, ასფურცელამ ჩილიკა გასტყორცნა და უნებლიეთ კოკას მოახვედრა. კოკა გატყდა. გაჯავრებულმა დედაკაცმა ასფურცელას უთხრა:

— დაწყევლით ვერ დაგწყევლი, რადგან დედისერთა ხარ, ოღონდ ამას კი გეტყვი: შნო თუ გაქვს, წადი და შენი და-ძმები გამოიხსენი ასთავიან დევს რომ ჰყვანან შეპყრობილიო.

ასფურცელამ არ იცოდა, თუ და-ძმები ჰყავდა, დედა არ უმხელდა. მივიდა შინ და დედას ჰკითხა:

დედი, მე და-ძმები მყავსო?

დედამ ახლაც დაუმალა, მაშინ ასფურცელამ ხერხს მიმართა — ძუძუს მოწოვა მოინდომა და დედას შეეხვეწა, თუ გიყვარვარ, ძუძუ მომინდა და მომაწოვეო.

— რაღა დროს შენი ძუძუს წოვაა, ვაჟკაცი ხარო, — გაუწყრა დედა, მაგრამ ასფურცელა არ მოეშვა და დედაც დათანხმდა. ჩაიდო ძუძუ პირში ასფურცელამ, მოუჭირა კბილები და დედას უთხრა:

— სიმართლე მითხარი, მართლა მყავს და-ძმები, თუ არა ძუძუს მოგაჭამო.

შეეშინდა დედას და ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ასფურცელა იმავე დღეს ასთავიან დევთან წასასვლელად სამზადისს შეუდგა. დედამ ბევრი უშალა, მაგრამ ასფურცელამ არ დაიშალა. აიღო ხმალი, მშვილდ-ისარი და წავიდა.

დევის დედა ბანზე იჯდა და მატყლს ართავდა. დაინახა შორით მომავალი ასფურცელა და რძალს დაუძახა:

— აბა, ერთი გახედე, მართლა მოდის ვინმე, თუ თვალი მატყუებსო?

რძალმა გაიხედა და, — ვიღაც აბჯრიანი ჭაბუკი მოდისო, — უთხრა.

დევის დედას გულმა ავი რაღაც უგრძნო და დაიწუწუნა:

— ვაი, მაგის დედის ბრალი და ვაი, ჩემი შვილის დედის ბრალიო.

მალე ასფურცელა დევის სასასლეს მიადგა. დაურიდებლად შეაბიჯა შიგ, შეხედა ახალგაზრდა ქალს და უთხრა:

— უთუოდ შენ ჩემი და იქნებიო.

ქალს გაუკვირდა:

— მე მსოლოდ ორი ძმა მყავდა და ორივენი დევმა გადაყლაპა, შენ კი, არ ვიცი, ვინა ხარ და საიდან მოსულხარო.

ასფურცელამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო. ქალმაც ირწმუნა. უცნობ ძმას სიხარულით გადაეხვია.

დევის დედამ ასფურცელას ვინაობა რომ გაიგო, დამალჭა მოუნდომა და უთხრა:

— მოდი, შვილო, დაგმალავ, თორემ საცაა ჩემი შვილი მოვა და შეგჭამსო.

— დამალულ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო, — უთხრა ასფურცელამ, გამოვიდა ეზოში და დევის მოლოდინში აქეთ-იქით სეირნობა დაიწყო.

მალე დევიც გამოჩნდა. ერთ მხარზე დახოცილი ნადირი წამოეკიდნა, მეორეზე — ხე გაედო და არხეინად მოდიოდა. თავის ეზოში უშიშრად მოსეირნე უცხო კაცი რომ დაინახა, მთლად გაცეცხლდა — ჩემი შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ბუზს, ვინ არის ეს თავხედი, რომ ჩემს ეზო-ყურეში დაუკითხავად დასეირნობსო? — განრისხებული მიეჭრა ასფურცელას და შეუტია:

— ვინა ხარ და ან აქ რისთვის მოთრეულხარო?

— არა გრცხვენია, ცოლისძმას რომ მტრულად ხვდები, — უთხრა ასფურცელამ, — სტუმრად მოვსულვარ და თუ შეგიძლია გამიმასპინძლდიო.

— კარგი, რაკი ცოლისძმა ყოფილხარ, აღარას გერჩი, — უთხრა დევმა. — მაშ მოდი, ნანადირევი გავატყავოთ და ვასშმის თადარიგს შევუდგეთო. გულში კი ფიქრობდა, ხელთ კარგი გემრიელი ლუკმა ჩამივარდაო.

დაიწყეს დახოცილი ირმების დატყავება, სანამ დევი ერთს გაატყავებდა, ასფურცელამ ერთი ხელის გაკვრით დაატყავა მთელი ნანადირევი, დაჭრა კიდეც და ქვაბში ჩაყარა.

უყურებს დევი ასფურცელას და უკვირს, ეს რა ყოფილაო. საჭმელი რომ მოიხარშა და ვახშმად დასხდნენ, დევმა ასფურცელასაც იგივე ჰკითხა, რაც იმის ძმებს: ძვლის კაცი ხარ, თუ ხორციანი?

ასფურცელამ თვალები გადაუბრიალა:

— ძვლის კაცი რად ვიქნები, განა ძაღლი ვარ, ხორცი გადმომიწყე აქეთო.

დევმა გადაულაგა ხორცი და ასფურცელამაც გაჰკრა და გამოჰკრა, ხორცი თვითონ შეჭამა და ძვლები დევს დაულაგა. დევმა კიდევ ჰკითხა:

— კოკის კაცი ხარ, თუ ყანწისო?

— ყანწისა რად ვიქნები, კოკა მომიტაო, — უთხრა ასფურცელამ.

გადმოუდგა დევმა კოკა, მაგრამ გულში კი ძალიან შეფიქრიანდა, ამას რომ თავის თავის იმედი არ ჰქონდეს, ასე თამამად ლაპარაკს ვერ დამიწყებდაო. ვახშამს რომ მორჩნენ, დევმა ერთხელ კიდევ ჰკითხა:

— გომის კაცი ხარ, თუ ლოგინისაო?

— გომის კაცი რად ვიქნები, განა ძროხა ვარ, ლოგინი გამიშალეო, — უთხრა ასფურცელამ.

დევმა ასფურცელას ლოგინი გაუშალა და თვითონ გომურში დაწვა. დაწვა, მაგრამ იმის თვალს ძილი არ ეკარებბა, სულ იმის ფიქრშია, ახლა კი დაეძინებოდაო, და ერთ უშველებელ ხმალს დაუწყო ლესვა. გამოეღვიძა ასფურცელას ლესვის ხმაზე და მიხვდა, რომ დევი ღალატს უმზა-

დებდა. ჩუმად წამოდგა ლოგინიდან, ფრთხილად აიყვანა მძინარე დევის დედა და თავის ლოგინში ჩააწვინა. თვითონ მეორე ოთახში დაიმალა.

მორჩა დევი ხმლის ლესვას, შეიპარა ჩუმად ასფურცელას საძინებელ ოთახში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასცხო და დასცხო ხმალი ლოგინს. იმდენი ურტყა, სანამ დედაც და ლოგინიც სულ არ აკუწა. — აბა თუ ბიჭი ხარ, ახლაც გამიდიდგულდიო, თქვა ნიშნის მოგებით და უკან გაბრუნდა.

დილას გაეღვიძა დევს და ასფურცელა რომ ცოცხალი და საღსალამათი დახვდა, გაოცებისაგან პირი დააღო.

— წუხელ ხომ არაფერს შეუწუხებიხარო? — ჰკითხა ასფურცელას.

— არაო, — უპასუხა ასფურცელამ.

— რწყილს მაინც არ უკბენიაო?

— არაო.

დევი უფრო გაოცდა, მაშ ის ვინ იყო, ხმლით რომ ავკუწეო? — შევიდა ოთახში, გადასწია საბანი და ნაწილ-ნაწილ აკუწული საკუთარი დედა კი დაინახა. ყველაფერს მიხვდა, განრისხებული ღრიალით გამოვარდა და დაეძგერა ასფურცელას. ასფურცელამ პირველსავე მოქნევაზე წელამდე ჩაასო მიწაში, იშიშვლა ხმალი და შესძახა:

— ჩქარა თქვი, რა უყავი ჩემი ძმები, თორემ მოვიდა ხმალიო!

— ოღონდ ნუ მომკლავ და გეტყვი, — შეეხვეწა დევი, — შენი ძმები მკვდრები არ არიან, მუცელში ერთი კოლოფი მაქვს და იმაში მისხედანო.

ასფურცელამ მაშინვე გაუპო დევს მუცელი. ამოიღო კოლოფი და ამოიყვანა თავისი ძმები, ხოლო ასთავიანი დევი ხმლით აკუწა. მერე დაჯდა და ძმებს თავისი თავგადასავალი უამბო. ძმებმაც, რაღა თქმა უნდა, დიდად გაიხარეს.

და-ძმებმა იმავე დღეს დატოვეს დევის სახლი და შინისაკენ გამოემგზავრნენ. გამოეგება გახარებული დედა და ყველანი სათითაოდ გადაკოცნა. და-ძმებმაც გაიხარეს დედასთან დაბრუნებით და მისი ნახვით და იმ დღიდან მათ სახლში სიხარული აღარ გამოლეულა.

ერთ დღეს ასფურცელამ უთხრა დედას:

— დედი, ასე ყოფნა არ გამოგვადგება, ჩვენ ცოლები გვინდა, ჩვენს დას — ქმარი, უნდა წავიდე და ღირსეული საქმრო და საცოლეები მოვნახოო.

გამოემშვიდობა და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ტრიალ მინდორში გავიდა. მინდორს არც თავი უჩანდა, არც — ბოლო. დგას ასფურცელა და იყურება აქეთ-იქით, აღარ იცის, რომელ მხარეს წავიდეს. ბოლოს ადგა, მოზიდა მშვილდს და ისარი გაისროლა, — სადაც ეს ისარი დაეცემა, ჩემი ბედიც იქ იქნებაო.

იფრინა ისარმა, იფრინა და ერთი სახლის წინ ჩაერჭო. ეს სახლი სამი ძმა დევისა იყო. გამოცვივდნენ დევები, დაეჯაჯგურნენ ისარს, მაგრამ მიწიდან ძვრაც ვერ უყვეს. მერე თქვეს, ისარი რომ მიწიდან ვერ ამოგვიძვრია, ამის გამომტყორცნელთან რაღას გავხდებითო და შეშინებულები ცხრა მთას იქით გადაიხვეწნენ.

მივიდა ასფურცელა, ამოაძრო თავისი ისარი და ჩაიდო საისრეში. უცბად სასახლიდან სამი მზეთუნახავი ქალი გამოვარდა, გადაეხვივნენ ასფურცელას და დაუწყეს კოცნა, — შენა ხარ ჩვენი მხსნელიო.

ეს ქალები ერთი სახელოვანი ხელმწიფის ასულები იყვნენ, დევებს მათი დედ-მამა ამოეხოცათ და დები ცოლებად წამოეყვანათ. ასფურცელამ უმცროსი ქალი იქვე შეირთო ცოლად და უფროსები ძმებისთვის დანიშნა. ქალებმა უთხრეს:

— ჩვენი ერთადერთი ძმაც აქ არის, ცხრაკლიტულშია დამწყვდეული, ბარემ ისიც გაათავისუფლე და საითაც გინდა, იქით წაგვიყვანეო.

ასფურცელამ დალეწა ცხრაკლიტული და გამოიყვანა მშვენიერი ჭაბუკი. წამოიყვანა ყველანი თავის სახლში და დევების მთელი სიმდიდრეც თან გამოაყოლა. დები ძმებს ჩამოურიგა, ჭაბუკ უფლისწულს თავისი და შერთო ცოლად და დაიწყეს მშვიდი და ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



შავჩიტა რაში

I

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეტად მდიდარი და სახელგანთქმული სელმწიფე. ხელმწიფეს ვეზირიც თავისნაირი მდიდარი და საქმის მცოდნე ჰყავდა. ცხოვრებით ორივენი კმაყოფილი იყვნენ, დოვლათი და სიკეთე არც სახელმწიფოში აკლდათ, მხოლოდ ეგ იყო, რომ შვილი არცერთს არ ჰყავდა და ეს ამბავი ძალიან აწუხებდათ.

ერთხელ ხელმწიფემ ვეზირს უბრძანა:

— შენ ჭკვიანი, მოხერხებული კაცი ხარ, წადი და სადაც იყოს და არ იყოს, უშვილობის წამალი იშოვე და მომიტანეო.

ვეზირიც ადგა და წავიდა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს კითხვა-კითხვით გაიგო, რომ მავან და მავან ადგილას სამი ძმა დევი ცხოვრობს და უშვილობის წამალი მარტო იმათ იციანო.

ვეზირი ისევ გზას დაადგა და როგორც იქნა მიაგნო დევების ადგილსამყოფელს. გზაზე ჯერ უმცროსი ძმის სახლი იდგა და ვეზირიც პირველად იმასთან მივიდა. გამოვიდა უმცროსი დევი, ისე იყო გათეთრებული, რომ თავზე ერთი შავი თმა აღარ უჩანდა.

— რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა ვეზირს.

ვეზირმა უთხრა:

— უშვილობის წამალი გცოდნია და უნდა მასწავლოო.

— ჩემს ზემოთ ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს და მაგ წამ-

ლის გაკეთება იმან იცისო, — უთხრა დევმა და გზაც მიასწავლა.

წავიდა ვეზირი და მივიდა შუათანა ძმასთან. ის მხოლოდ ნახევრად იყო გაჭაღარავებული. ვეზირმა თავისი მისვლის მიზეზი გააცნო, მაგრამ წამალზე იმანაც უარი უთხრა.

— ეგეთი წამლის გაკეთება მე კი არა, ჩემს ზემოთ რომ ჩემი უფროსი ძმა ცხოვრობს, იმან იცისო, — უთხრა დევმა და ვეზირი უფროს ძმასთან გაგზავნა.

მივიდა ვეზირი უფროსი დევის სახლთან და დაიძახა. ძალილზე დევის ცოლმა გამოიხედა, ვეზირმა მისვლის მიზეზი უთხრა და წამალი სთხოვა.

— ჩემს ქმარს ახლა სძინავს და ვერ გავაღვიძებო, — უთხრა ცოლმა. ვეზირი შეეხვეწა, როგორმე ჩემი გულისთვის გააღვიძეო. მაშინ ქალმა ქოშები ჩაიცვა და ქმრის საწოლთან ფლარტუნით გაიარ-გამოიარა. დევს გამოეღვიძა და ცოლს უსაყვედურა:

— რად გამაღვიძე, ჭაღარა არ მქონდა და ახლა კი აი, ერთი ღერი გამომერიაო.

ცოლმა აუხსნა, როგორც იყო საქმე, მაშინ დევმა უთხრა, — ვინ არის, შემოიყვანეო.

ვეზირი შევიდა და გაოცებისაგან პირი ღია დარჩა: უფროს დევს თმაში არც ერთი ჭაღარა არ ერია. ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— რა მიზეზია, რომ შენი უმცროსი ძმა სულ გათეთრებულია, შუათანას ნახევრად ურევია ჭაღარა და შენ კი ერთი თეთრი თმაც არსად გიჩანსო. შენ უფრო ჰგევხარ უმცროსს, ვიდრე ისინიო.

— მოიცა, მაგას თავის დროზე გაიგებო, — უთხრა დევმა და ცოლს გასძახა, — ადი სხვენში და ერთი საზამთრო ჩამოიტანეო.

ცოლი წავიდა და ჩამოიტანა საზამთრო. — ეგ არა, მეორე ჩამოიტანეო, — უთხრა ქმარმა. — ცოლი გაბრუნდა და ისევ ის საზამთრო ჩამოიტანა. — არც ეგ არისო, — ისევ უკან წააღებინა ქმარმა, — სხვა ჩამოიტანეო. — ქალი მესამედ შებრუნდა და ისევ ის საზამთრო ჩამოიტანა. — ჰო, აი ეგ არისო, — უთხრა დევმა და ვეზირს მიუბრუნდა, — აი,

ხომ ხედავ, სხვენში ერთის მეტი საზამთრო არ გვქონდა და იმის ჩამოსატანად სამჯერ ავგზავნე, მაგრამ ხმა არ ამოუღია, ამისთანა ცოლის ხელში აბა რა გამაჭაღარავებდა. იმ ჩემს ძმებს კი ასე არა აქვთ საქმე: უმცროსს ძაღლთაპირი ცოლი ჰყავს და იმიტომ არის მთლიანად გათეთრებული, შუათანას ვირისგვერდა ცოლი ჰყავს და ნახევრადაც იმიტომ არის გაჭაღარავებული. ჩემმა ცოლმა თავის სიცოცხლეში მხოლოდ ამ ერთხელ გამაღვიძა პირველად და აი, ხედავ, უკვე ერთი ღერი თმა გამითეთრდა. ახლა ხომ გაიგე, რა ყოფილა მიზეზი, — უთხრა საბოლოოდ დევმა. — ვისაც დამჯერი და პატივისმცემელი ცოლი ჰყავს, იმას სიბერე ვერ მიეკარებაო.

მერე გაუკეთა უშვილობის წამალი, მაგრამ სანამ მისცემდა, ჯერ პირობა ჩამოართვა — შენა და შენმა ხელმწიფემ, რომელსაც ქალი გეყოლებათ, მე უნდა მომცეთო.

დაბრუნდა ვეზირი თავის ქვეყანაში, მიუტანა ხელმწიფეს უშვილობის წამალი და დევის პირობაც გააცნო.

— ბედისწერას ვერსად გავექცევით, — უთხრა ხელმწიფემ. — მე გამწირავს ბედი თუ შენ, უნდა გავუძლოთო, — და წამალი ორივემ დალიეს.

ცხრა თვის თავზე ხელმწიფის ცოლს ვაჟი ეყოლა, ვეზირს ქალიშვილი.

ასე თხუთმეტ-თექვსმეტი წელიწადი რომ გავიდა, დევმა თქვა, — ახლა კი დროა, ვეზირს დანაპირები მოვთხოვო და ქალი წამოვიყვანოო, — და პირდაპირ ვეზირის სასახლისაკენ გასწია.

ვეზირს ერთი გულთმისანი შავჩიტა რაში ჰყავდა. რაშმა წინასწარვე იგრძნო მოსალოდნელი ხიფათი და ვეზირის ქალიშვილს დაუძახა.

— დევი შენს წასაყვანად მოდის და აქაურობას უნდა გაშორდე, — უთხრა რაშმა, — მოემზადე, ვაჟურად ჩაიცვი, მამაშენს სარკე, სავარცხელი, ერთი ფუთი მარილი და ერთი ბოთლი ზეთი გამოართვი და ზედ შემჯექი. სამჯერ ისე დამარტყი მათრახი, რომ სამი პირი ტყავი ამძვრეს, ნამათრახევზე მარილი დამაყარე და მერე მე ვიცი.

ქალმა საჩქაროდ გადაიცვა ვაჟური ტანსაცმელი, გამო-

ართვა მამას ყველაფერი, რაც რაშმა დაავალა, და მოახტა შავჩიტას ზურგზე. დაარტყა სამჯერ მათრახი, სამპირი ტყავი ააძრო და წყლულზე მარილი დააყარა. შავჩიტა რაში მინდორში ნიავივით გაიჭრა.

ამასობაში დევიც მიადგა ვეზირის სახლს, გაიგო, რაც მომხდარიყო, და იმავ წამს გაქცეულების კვალს დაადგა.

შავჩიტა რაშმა იცოდა, რომ დევი უსათუოდ დაედევნებოდა და გზაში ქალს უთხრა:

— აბა, უკან მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

ქალმა მიიხედა და, შორს ბუზისტოლა რაღაც დაინახა,

— სავარცხელი გადააგდეო! — უთხრა შავჩიტამ.

ქალმა გადააგდო სავარცხელი და მათ უკან გაუვალი ბუჩქნარი და ნარ-ეკალი აიყარა. მირბის დევი ქშენით და ფისთელავს ნარ-ეკალს, ხელ-ფეხი და თავ-პირი მთლიანად დაეკაწრა, ნაკაწრებიდან სისხლი ღვარად ჩამოსდის. დიდი ტანჯვითა და წვალებით, როგორც იქნა, ნაპირს გააღწია.

ცოტა ხნის შემდეგ შავჩიტამ მეორედ უთხრა ქალს, — აბა უკან მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

— კამეჩისოდენა რაღაც მოჩანსო, — უთხრა ქალმა.

რაშმა ახლა სარკე გადააგდებინა ქალს და დევის სავალი გზა სულ ლურჯი ყინულით დაიფარა. მირბის დევი, ყოველ ნაბიჯზე იქცევა, ფეხი უსხლტება, დაიბეგვა, დაიქექა, მაგრამ საბოლოოდ ნაპირს აქაც გააღწია.

ცოტა ხნის შემდეგ შავჩიტამ ერთხელ კიდევ უთხრა ქალს — მიიხედეო, — ქალმა მიიხედა და შეშინებულმა შეპკივლა:

— ვაიმე, მოგვიახლოვდაო!

—ზეთი გადაღვარეო, — უთხრა შავჩიტამ. ქალმა გადაღვარა ზეთი და იმავე წამს უზარმაზარი ზღვა აბობოქრდა. შავჩიტა რაში ფრენით გადაეცლო ზღვას, ზღვის პირას იმ ქვეყნის ხელმწიფის სასახლე იდგა, სასახლეს ირგვლივ ბაღი ერტყა. შავჩიტა რაში ბაღში დაეშვა და დაღლილებმა ჩრდილში დაისვენეს.

სასახლის აივანზე ახალგაზრდა უფლისწული გამოვიდა, თავიანთ ბაღში უცხო რაში და მხედარი რომ დაინახა, შეშფოთდა და მამას უთხრა, — ჩვენს ბაღში ვიღაც უცხო მხედარი ზის და გვერდით რაში უბიაო. — მამამ შვილი ბაღში

ჩაგზავნა, — აბა, გაიგე, ვინ არიან ან რისთვის მოსულანო?

უფლისწული ჩავიდა, სალამი მისცა და გაიცნო. მალე უკანვე ამობრუნდა და მამას უთხრა, — ვიღაც უცხო ჭაბუკი დასასვენებლად ჩამომხდარა, მაგრამ არ მჯერა, რომ ის ჭაბუკი ბიჭი იყოს, უფრო ქალის იერი აქვსო.

— მაშინ ასე ჰქენი, — უთხრა მამამ შვილს, — ჩადი, სადილი გაუმართე, ღვინო დაალევინე და, თუ მართლა ქალია, მალე დათვრება. გარდა მაგისა, სუფრის ირგვლივ ვარდი დაფინე და ორივენი ვარდზე დასხედით. იმის ქვეშ ვარდი მალე დაჭკნება და ამითაც გაიგებ თუ ქალიაო.

უფლისწულმა ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც მამამ დაარიგა — ვარდი სტუმარსაც დაუფინა და თვითონაც დაიფინა, მაგრამ სანამ დასხდებოდნენ, ქალმა ჩუმად აიღო თავის ქვეშ დაფენილი ვარდი და შავჩიტა რაშს მოუსვა თვალებზე. ისევ გაიფინა და დაჯდა.

უყურებს უფლისწული და ხედავს, რომ მის ქვეშ გაფენილი ვარდი უკვე ჭკნება, სტუმრის ქვეშ ნაფენ ვარდს კი ჭკნობა ჯერ ოდნავაც არ დასტყობია — ისევ ღაღანი გაქვს. ღვინოც ასევე — თუმცა უფლისწული ბევრს აძალებდა და ქალი თვითონაც ყოველ თასს ცლიდა, მაგრამ დათრობისა არაფერი ემჩნეოდა. იმიტომ რომ, მიაწვდიდა თუ არა სასმისს უფლისწული, ქალი რაშს გადახედავდა, — ჩემო შავჩიტავ, გაამოსო, — იტყოდა და დალევდა. რაში თვრებრდა, თვითონ ფხიზლად რჩებოდა.

მაინც რომ ვერაფერს გახდა უფლისწული, ისევ მამასთან ავიდა და დაღონებულმა შესჩივლა:

— ვერა და ვერ დავათვრე ის ჭაბუკი, სასმისს მივაწვდი თუ არა, მაშინვე ცხენს გადახედავს, „ჩემო შავჩიტავ, გაამოსო“, — ეტყვის და დალევს. ცხენი დაითრო, მხედარი კი ისევ ფხიზელია და, ვერც ის გავიგე, მართლა ვაჟია, თუ ქალიო.

— აქ რაღაც ჯადოა, — უთხრა მამამ და უფლისწული ხელახლა ჩაგზავნა ბაღში, — აბა, როგორმე ერთი თასი ისე დაალევინე, რომ რაშს არ უთხრას, ჩემო შავჩიტავ, გაამოსო.

უფლისწული ჩავიდა ბაღში, მოუჯდა მხედარს გვერდით და შეეხვეწა, ერთი თასი ისე დალიე, რომ რაშს ნუ ეტყვი

„ჩემო შავჩიტავ, გაამოსო". მხედარმა ჯერ უარი უთხრა, მაგრამ ბევრი ხვეწნა-მუდარის შემდეგ დალია ისე, რომ რაში არ უხსენებია.

ღვინომ მართლაც მალე გასჭრა და მხედარს სუფრაზე ჩამოეძინა.

მეფემ და უფლისწულმა მძინარესთან მსახურები ჩაგზავნეს, გასინჯეთ, მართლა ვაჟია თუ არაო. მსახურებმა გაუხსნეს საკინძე და დაინახეს რომ ქალი იყო. ამოვიდნენ და მეფეს და უფლისწულს მოახსენეს, ვაჟურად ჩაცმული ქალი ყოფილაო.

ხელმწიფემ ბრძანა, მძინარე ამოიყვანეთ და აბრეშუმის ახალთბალ ლოგინში დააწვინეთო. — მსახურებმა ამოიყვანეს და დააწვინეს. ქალს იმ ღამეს გაუნძრევლად ეძინა, მეორე დილას გაიღვიძა და შეშინებულმა იკითხა, — სადა ვარო? — მაგრამ თავის გვერდით ჩამომჯდარი უფლისწული რომ დაინახა, მიხვდა სადაც იყო, და დამშვიდდა.

უფლისწულმა ვინაობა და თავგადასავალი გამოჰკითხა და ქალმაც ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ახლა ნუღა გეშინია, — უთხრა უფლისწულმა. — თუ დამთანხმდები, დღეიდან მე ქმარი და შენ ცოლი. ჩემი საკუთრება რომ იქნები, ველარც დევი რამეს დაგაკლებსო.

ქალი, რა თქმა უნდა, დათანხმდა, რადგან უფლისწული თვითონაც ძალიან მოეწონა. გადაიხადეს დიდი ქორწილი და დაიწყეს ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება.

ვეზირის ქალი ყველაფრით კმაყოფილი იყო: გვერდით მოსიყვარულე ქმარი ედგა და თავისი მხსნელი ერთგული მეგობარი შავჩიტა რაშიც თან ჰყავდა. ერთი დედ-მამის ჯავრიღა აწუხებდა და ქმარს ხშირად ეტყოდა, ჩემი ჯიბრით დევმა იმათ არაფერი აუტეხოსო.

ქმარი ჰპირდებოდა, სულ მალე წავიდეთ და ისინიც ჩვენთან გადმოვიყვანოთო, მაგრამ ამ სურვილის ასრულება აღარ დასცალდათ. სახელმწიფოს მტერი ღაესხა თავს და საშინელი ომი ატყდა. უფლისწული, რა თქმა უნდა, ომში უნდა წასულიყო და თავისი ჯარისთვის წინამძღოლობა გაეწია. გამოეთხოვა ცოლს, დედ-მამას, შეჯდა შავჩიტა რაშზე და წავიდა.

გავიდა ხანი, უფლისწულის ცოლს ოქროსთმიანი ქალ-ვაჟი გაუჩნდა. გახარებულმა ხელმწიფემ და დედოფალმა იმავე დღეს შიკრიკს უხმეს და ომში მყოფ შვილს მისალოცი წერილი გაუგზავნეს: „გილოცავთ, შენს ცოლს ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟი ეყოლაო“.

შიკრიკი წავიდა, მაგრამ სანამ უფლისწულამდე მიაღწევდა, გზაში ის დევი დაუხვდა, რომელმაც ვეზირს უშვილობის წამალი მისცა, და შიკრიკი შინ მიიწვია. დაასვენა, კარგად გაუმასპინძლდა, დაათრო და დააძინა. მძინარეს ჯიბიდან წერილი ამოუღო და დახია. დაწერა სხვა წერილი: „შენს ცოლს ძაღლის ლეკვები ეყოლა და რა ვუყოთ, გავზარდოთ თუ გადავყაროთო?“ — წერილი იმავე ჯიბეში ჩაუდო და გაისტუმრა.

წერილის წაკითხვამ უფლისწულს თავზარი დასცა, მაგრამ ბედს დამორჩილდა და მშობლებს ასეთი პასუხი გამოუგზავნა: „ძაღლის ლეკვებია თუ კატის კნუტები, ჩემს დაბრუნებამდე დედასაც და შვილებსაც ისე მოუარეთ, რომ ცივი ნიავი არ მიეკაროსო“. — მისცა ეს წერილი შიკრიკს და გამოისტუმრა უკან.

დაბრუნებისას შიკრიკს ისევ დახვდა ის დევი გზაში, ისევ შეიპატიჟა შინ, ისევ დაათრო და დააძინა. ამოიღო ჯიბიდან უფლისწულის წერილი, დახია და მის ადგილზე ასეთი წერილი ჩაუდო: „ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟი კი არა, ანგელოზებიც რომ ჰყავდეს, დედიანად კუბოში ჩააწვინეთ და გახურებულ საკირეში ჩაწვით. თუ ასე არ მოქცეულხართ, რომ დავბრუნდები, ორივეს დაგხოცავთო“.

შიკრიკმა მოუტანა ხელმწიფეს და დედოფალს ეს წერილი. იმათ, რა თქმა უნდა, შვილის მოწერილი ეგონათ და ძალიანაც შეწუხდნენ, არც შვილის წყენინება უნდოდათ და არც ის მშვენიერი შვილიშვილები და იმათი დედა ემეტებოდათ დასაწვავად. ტირიდნენ და ოხრავდნენ, მაგრამ მეტი გზა არ ჰქონდათ, შვილის დავალება უნდა ბესრულებინათ.

გააკეთებინეს ხელმწიფემ და დედოფალმა კუბო, ჩააწვინეს შიგ რძალი და შვილიშვილები და საკირეც გაახურებინეს. და, ის იყო, უნდა ჩაეგდოთ კუბო საკირეში, რომ სად იყო, სად არა, უცბად შავჩიტა რაში გაჩნდა. მან, რო-

გორც გულთმისანმა, წინასწარვე იგრძნო ბატრონის გასა-ჭირი, აიწყვიტა საბმური და ფრენით მოვარდა, დაავლო კუბოს პირი და გაიტაცა.

შავჩიტა რაშმა სწრაფი სირბილით ატარა კუბო, ატარა და ერთ ტრიალ მინდორზე გაიტანა. აქ კუბო დადო, დაჰკრა ტორი, დაამტვრია და დედა-შვილები სათითაოდ ამოსსა. ქალი მოეხვია შავჩიტა რაშს და თვალები დაუკოცნა.

შავჩიტამ უთხრა ქალს:

— ახლა მე მოვკვდები, რადგან ჩემი აღსასრულის დღე მოვიდა, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, მარტოს მაინც არ დაგ-ტოვებ. როცა სულს დავლევ, შუაზე გამჭერი, ჩემი მუცლი-დან სამი კაცი, სამი ძაღლი და სამი მამალი ამოვა და ჩემ მაგიერ სამსახურს ისინი გაგიწევენ. ჩემი ხორცი ძვლებია-ნად ასო-ასო დაჭერი, ნაჭრებისაგან ქოხი ააშენე, შიგ შედი და სამჯერ გაიმეორე: „ღმერთო და სამართალო, როგორი სახლიც მეკუთვნის, ისეთი დამიდგიო.

შავჩიტა მოკვდა. ქალმა ბევრი იტირა. მერე გაჭრა შუა-ზე, მუცლიდან ჯერ სამი კაცი ამოხტა, მერე სამი ძაღლი და სულ ბოლოს სამი მამალი. მერე ქალმა რაში ასო-ასო დაჭ-რა, გააკეთა ქოხი, შევიდა შიგ და, როგორც შავჩიტამ და-არიგა, სამჯერ ზედიზედ გაიმეორა:

— ღმერთო და სამართალო, როგორი სახლიც მეკუთვ-ნის, ისეთი დამიდგიო.

ქოხის ადგილზე იმავ წამს ორსართულიანი სახლი წამო-იჭიმა. ქალი შევიდა შიგ შვილებიანად და დაიწყო ცხოვრე-ბა. სამი კაცი ემსახურებოდა, ხოლო ძაღლები და მამლები ერთგულად დარაჯობდნენ.

ახლა დროა, უფლისწულიც გავიხსენოთ.

უფლისწულმა მტერი დაამარცხა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა, მაგრამ გამარჯვების სიხარული ცოლ-შვილის ამბის გაგებამ მოუწამლა, დამწუხრდა, დანაღვლიანდა, აღარც თავი აუსოვდა, აღარც ქვეყნის საზრუნავი. ბოლოს დარდმა ისე დაიმორჩილა, რომ სახლში ვეღარ დადგა, აიღო რკინის ჯოხი, ფეხზეც რკინის ქალამნები ჩაიცვა, ტანი მა-თხოვრის კონკებით შეიმოსა და წავიდა ცოლ-შვილის საძებ-ნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ დღეს სწორედ იმ მინდორზე გამოვიდა, სადაც იმისი ცოლი და შვილები ცხოვრობდნენ. ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟი ამ დროს სახლის წინ თამაშობდნენ. უფლისწული მიუახლოვდა ბავშვებს და პური სთხოვა. ბავშვებმა მაშინვე დედასთან შეირბინეს და უთხრეს, ერთი მათხოვარი მოვიდა, ხელში რკინის ჯოხი უჭირავს, ფეხზე რკინის ქალამნები აცვია და პურსა თხოულობსო. — დედამ უთხრა, აქ შემოიყვანეთო.

ბავშვებმა მათხოვარი სახლში შეიყვანეს. ისე იყო დარდისაგან გატეხილი, რომ ცოლმა ვეღარ იცნო, ხოლო თვითონ ქალისთვის ერთხელაც არ შეუხედია.

ქალმა გამოჰკითხა, ვინა ხარ, საიდან მოდიხარ, რად გაცვია რკინის ქალამნები? ან ეს მათხოვრის ტანსაცმელი რა არის? ხელი არ გაკლია, ფეხი და რა გიჭირს, რომ იმუშაო და შრომით იცხოვროო?

მაშინ უფლისწულმა ქალს თავისი თავგადასავალი უამბო: როგორ მიიღო მშობლების წერილი ომში, რა უპასუხა თვითონ, შავჩიტა რაშის ომიდან გაპარვა, ყველაფერს დაწვრილებით მოუყვა და დაუმატა: — ომიდან რომ დავბრუნდი და ყველა ეს ამბავი გავიგე, გადავწყვიტე, სანამ ჩემს საყვარელ ცოლ-შვილს არ ვიპოვი, ასე ვიარო ქვეყნიდან ქვეყანაში. აი, ამიტომ დავხეტიალობ ასე და ვიხეტიალებ მანამდე, სანამ საწადელს არ ავასრულებო.

ქალი ყველაფერს მიხვდა და, სიხარულით გულათრთოლებულმა, ხმამაღლა წამოიძახა:

— სწორედ მე ვარ ის ქალი, ვისაც შენ დაეძებ, და ეს ოქროსქოჩრიანი ქალ-ვაჟიც შენი შვილებია. ჩვენ საკირეში დაწვას გვიპირებდნენ და ჩემმა შავჩიტამ გადაგვარჩინაო.

ახლა კი შეხედა უფლისწულმა ქალს, იცნო თავისი ცოლი და ცოლ-ქმარი სიხარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს.

კოცნა-ალერსით რომ გული იჯერეს, ქალმაც დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი. მერე მსახურებმა უფლისწულს სამეფო ტანსაცმელი მოუტანეს, შავჩიტა რაშის მუცლიდან ამოსული კაცები გრძნეულები იყვნენ და ყველაფრის შოვნა შეეძლოთ. მალე შეკაზმული ცხენებიც გააჩინეს. შესხდნენ უფლისწული და მისი ცოლ-შვილი ცხენებზე, მსა-

ხური კაცები, ძაღლები და მამლებიც თან წაიყვანეს და მოვიდნენ თავიანთ ქვეყანაში.

ხელმწიფე და დედოფალი ცას ეწივნენ სიხარულით, შვილი რომ უვნებელი დაუბრუნდათ და თან დაკარგული ცოლშვილიც მოიყვანა. უფლისწულმა იმავე დღეს გადაიბარა სახელმწიფო საქმეები, სიმამრიც თავის სახლში გადმოიყვანა და პირველი ვეზირის ადგილი უბოძა. ამ დღიდან კვლავ ტკბილი და მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყეს და ყველა გადატანილი დარდი და წუხილი სამუდამოდ დაივიწყეს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ცხრა ძმა და ერთი და

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ცხრა შვილი. ცხრავე ვაჟი. ძმები სულ სანადიროდ დადიოდნენ და თავსაც და დედ-მამასაც იმით არჩენდნენ.

ერთხელაც, როცა მათი დედა მეათე შვილზე ფეხმძიმედ იყო, ძმები, ჩვეულებრივ, სანადიროდ გაემგზავრნენ და წასვლის წინ დედას უთხრეს: „თუ ქალი გაგიჩნდეს, ჩვენი დაბრუნების დროს ბანზე ჯარა გადმოდგი, ხოლო თუ ისევ ბიჭი გეყოლა — უღელიო.

დედა დაჰპირდა, ეგრე ვიზამო და ძმებიც გზას გაუდგნენ.

დედას მართლაც ქალი გაუჩნდა და, როგორც შეჰპირდა შვილებს, ბანზე ჯარა გადმოდგა, მაგრამ ერთმა მეზობლის დედაბერმა უმტრო და, როცა ძმების სანადიროდან დაბრუნების დრომ მოაწია, ჯარა გადამალა და მის მაგიერ უღელი დააყუდა.

დაბრუნდნენ ძმები სანადიროდან და რას ხედავენ — ბანზე უღელი აყუდია. ჩვენს დედას ისევ ვაჟი გასჩენიაო, თქვეს და სახლამდეც აღარ მისულან, ეგრევე გაბრუნდნენ უკან და გადაიკარგნენ.

გავიდა რამდენიმე წელიწადი, ქალი წამოიზარდა და თანატოლებში თამაში დაიწყო, მაგრამ ძმები თუ ჰყავდა, ეს არ იცოდა. ერთხელ, თამაშის დროს ერთი თანატოლი გოგონა აატირა, გოგონას დედა გამოესარჩლა და წყევლა-კრულვით

წააყვედრა: შე სამიწევ, ის არ გეყო, რომ შენი გულისთვის შენმა ცხრა ძმამ სახლ-კარი მიატოვა და უგზოუკვლოდ გადაიკარგნენ, ახლა კიდევ სხვებსაც არ აწუხებდეო.

ქალს ეს სიტყვები გულში ჩარჩა და შინ რომ მივიდა, დედას ჰკითხა:

— მითხარი, მართლა მყავს ძმები თუ არაო?

დედა ჯერ უარზე დადგა, — რის ძმები, რა ძმები, ვინ გითხრაო,—მაგრამ გოგო არ მოეშვა და ათქმევინა.

— მართალია, შვილო, — უთხრა ბოლოს დედამ,—ცხრა ძმა გყავდა. ისინი სულ სანადიროდ დადიოდნენ და უხვი ნანადირევიც მოჰქონდათ. შენზე ორსულად რომ ვიყავი, ჩვეულებრივ წავიდნენ სანადიროდ და ასე დამიბარეს, თუ ისევ ვაჟი გეყოლოს, ბანზე უღელი გადმოჰყუდე, თუ ქალი—ჯარაო. შენ რომ გამიჩნდი, მაშინვე ჯარა გამოვდგი, მაგრამ ერთმა სულკრულმა ბებერმა მიმტრო, ჯარა აიღო და უღელი დააყუდა. შენმა ძმებმა, ეტყობა, ჯარას მაგიერ ბანზე უღელი რომ დაინახეს, ეწყინათ, და შინაც აღარ მოსულან. იმ დღიდან მათი ასავალ-დასავლისა აღარაფერი გამიგია და არც ის ვიცი, ცოცხლები არიან, თუ მკვდრებიო.

— მაშ მე ქალი ნუ ვყოფილვარ, თუ ძმები არ ვიპოვოო, — თქვა ქალმა, ჩაიცვა ტანისამოსი, მოიმზადა საგზალი და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ ულრან ტყეში შევიდა. ტყეში ერთ ქოხს წააწყდა, მაგრამ არც ახლომახლო და არც შიგნით კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ოღონდ ქოხი საგულდაგულოდ იყო დაგვილ-დალაგებული და კერაზე ცეცხლიც ბჟუტავდა. ქალი ამით მიხვდა, რომ ქოხს პატრონი და ბინადარი უნდა ჰყოლოდა, ჩუმად მისი ვინაობის გაგება გადაწყვიტა და კუთხეში აკოკლილი ირმის ტყავების უკან დაიმალა.

დაბნელდა თუ არა, ქოხში ცხრა ვაჟკაცი შემოვიდა და თან ნანადირევი შემოიტანეს. ეტყობოდა, ძმები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან სახით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და ხნოვანებითაც ერთიმეორის მიმყოლები ჩანდნენ. ქალმა ისაზრა, რომ ესენი სწორედ მისი ძმები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ვარაუდს ჰაიჰარად ვერ ენდო და დრომდე დამალვა ამჯობინა.

ძმებმა ცეცხლი გააჩაღეს, მწვადები შეიწვეს, ივახშმეს და დასაძინებლად ირმის ტყავებში გაეხვივნენ. ხოლო გათენებისას ისევ სანადიროდ წავიდნენ.

ქალი გამოვიდა საფარიდან, მწვადის ნარჩენებით ისაუზმა და ქოხის დალაგებას შეუდგა — დაგავა, დარეცხა, ყველაფერს ქალის ხელი დაატყო, ბოლოს დარჩენილი ნანადირევი ხორცისაგან საჭმელი გააკეთა და კვლავ ტყავებს უკან დაიმალა.

ძმები ჩვეულებრივ საღამოს დაბრუნდნენ ნადირობიდან და თავიანთი ქოხი რომ ასეთი სასეშეცვლილი — დაგვილდაკრიალებული ნახეს და თან საჭმელიც უკვე გამზადებული დახვდათ, დიდად გაოცდნენ, გაუხარდათ კიდეც, რომ ამ მიყურებულ, უღრან ტყეში მზრუნველი და გულშემატკივარი გამოუჩნდათ. ჩუმად მოითათბირეს, ქალია თუ კაცი, როგორმე უნდა ვნახოთ და გავიცნოთო.

და აი, როცა მეორე დილით კვლავ სანადიროდ გაემგზავრნენ, ორი უმცროსი ძმა ქოხის ახლოს დამალეს და ჩუმად თვალთვალი დაავალეს.

ძმებმა ერთხანს იცადეს საფარში, მერე, როცა დაატყვეს, ახლა კი დროაო, საფარიდან ფრთხილად გამოვიდნენ, ასეთივე სიფრთხილით მიუახლოვდნენ ქოხს, სწრაფად შეცვივდნენ შიგა და ქალს სწორედ მაშინ სტაცეს ხელი, როცა ცოცხმომარჯვებული ქოხის დალაგებას აპირებდა. დაამშვიდეს და გამოკითხვა დაუწყეს, ვინა ხარ, ამ ტყეში საიდან გაჩნდი, ან რა გასაჭირმა მოგიყვანაო? ქალმა ყველაფერი უამბო, რაც დედისაგან ჰქონდა გაგონილი. ვაჟები მიხვდნენ, რომ ეს ქალი იმათი და იყო და უზომოდ გაიხარეს, თავის მხრივ თავიანთი თავგადასავალი უამბეს და დაც გაახარეს. საღამოს დანარჩენი ძმებიც დაბრუნდნენ და დას გადაეხვივნენ, მერე სიხარულით ივახშმეს და დაიძინეს.

დაიწყეს ამ დღიდან და-ძმებმა ერთად ცხოვრება. ძმები დღისით ჩვეულებრივ სანადიროდ მიდიოდნენ და ნანადირევი მოჰქონდათ, ქალი შინ ტრიალებდა, ქოხს უვლიდა, ძმებს ვახშამს ახვედრებდა. ძმები უზომოდ კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი დისა, ოღონდ ყოველი წასვლისას აფრთხილებდნენ, ცეცხლს გაუფრთხილდი, არ გაგიქრეს, თორემ

ძნელი საშოვარიაო. დაც ყოველნაირად ფრთხილობდა და ცხოვრობდნენ ტკბილად და უზრუნველად.

მაგრამ ერთ დღეს ქალს ცეცხლი გაუქრა. ეზო-კარმიდამოს დაგვა-მოწესრიგებას ხანგრძლივად შემორჩა და ცეცხლს ველარ მიხედა. ქალმა ბევრი იტირა და ივაგლახა, რა ვუთხრა ძმებს, რა პასუხი გავცე და ან საჭმელი რაღაზე გავაკეთოო, მაგრამ ტირილით წამხდარ საქმეს ველარაფერი უშველა. სხვა გზა არ იყო, რაღაც უნდა ელონა, რომ ძმების საყვედური აეცდინა.

ბოლოს ადგა, ქოხის სახურავზე ავიდა და გაიხედ-გამოიხედა, იქნებ სადმე ცეცხლი დავინახოო. მართლაც შორს, ტყიანი ქედის იქით, ცაში ასული კვამლის სვეტი დაინახა. ქალი სიხარულით ცას ეწია და იმავ წამს კვამლის მიმართულებით წავიდა.

იარა ქალმა, იარა, მთა გადაიარა და ტყეში ერთ ქოხს მიადგა. კვამლი სწორედ ამ ქოხის საკვამურიდან ამოდიოდა. ქოხში ერთი დედაბერი დახვდა. დედაბერი კერასთან იჯდა, თითისტარს უკუღმა ატრიალებდა და ბაწარს ართავდა. ეს დედაბერი დევის დედა იყო. ქალი რომ დაინახა, სიმსუნაგისაგან კბილები აუკაწკაწდა — ეს რა გემრიელი ლუკმა მეწვიაო, მაგრამ სანამ შეჭმას დაუპირებდა, ქალმა დაასწრო და ცეცხლი სთხოვა.

— დედავ, დედაშვილობას, ცეცხლი გამიქრა და მომეციო.

— დედაშვილობის თქმა არ დაგესწრო, ნახავდი, რა ცეცხლსაც მოგცემდიო, — უთხრა დედაბერმა, მაგრამ ცეცხლი მაინც მისცა — ცხრილში ნაცარი ჩაუყარა, ზედ ნაკვერჩხალი დაუდო და გაატანა, თან დაარიგა, აი შვილო, ამ ცხრილიდან გზადაგზა ნაცარი ნელ-ნელა დაიბნევა და მეორედ რომ გაგიქრეს ცეცხლი, ამდენს აღარ იწვალებ, ნაცარს გამოჰყვები და პირდაპირ ჩემ ქოხთან მოხვალო.

წამოვიდა ქალი გახარებული, მოდის და მოიქნევს ცხრილს, უკან ნაცრის რუხი ზოლი მოსდევს. მოვიდა შინ, დაანთო კერა და ძმების დაბრუნებამდე საჭმლის გაკეთებას შეუდგა.

ამ დროს დედაბრის შვილი — დევიც დაბრუნდა შინ,

ქოხში შესვლისთანავე იგრძნო ქალის სუნი და დედას ჰკითხა:

— დედი, ადამიანის სუნი მცემს და მითხარი, ჩვენსა ვინ იყოო?

დედამ ყველაფერი უამბო, ბოლოს დასძინა:

— თუ იმ ქალის ნასვა გსურს, ნაცრის ზოლს გაჰყევი და პირდაპირ იმის ბინასთან მიგიყვანსო.

წამოვიდა დევი. მიადგა ქალის ქოხს და კარზე დაუკაკუნა.

— ქალო, კარი გამიღეო.

ქალმა კარი არ გაუღო და შიგნიდან გამოძახა:

— წადი აქედან, დაიკარგე, თორემ ჩემი ძმები მოვლენ და მოგკლავენო.

— მაშინ ხელი გამოყავი,— უთხრა დევმა,— თორემ შენი ძმების მოსვლამდე ამ ქოხს დავანგრევ და შენც მოგიტაცებო.

ქალს შეეშინდა და ნეკა თითი გაყო კარის ღრიჭოში, დევმა ჩაიდო პირში თითი და წოვა დაუწყო.

ამ დღიდან დევი ყოველდღე მოდიოდა ქალთან, გამოაყოფინებდა თითს ღრიჭოში და უწოვდა. ქალს თანდათან სისხლი გაუშრა, ჩამოხმა, გახდა, გაყვითლდა. ძმებმა ეს შეამჩნიეს და ჰკითხეს:

— დაო, რატომ არ გვეტყვი, რა არის შენს თავს, რომ ასე ჩამოხმი და დაილიეო?

და გამოუტყდა, უამბო ყველაფერი, როგორ გაუქრა ცეცხლი, როგორ წავიდა საძებრად, როგორ მივიდა დევის დედასთან და წამოიღო ცეცხლი. მერე როგორ მოჰყვა დევი ნაცრის ნაკვალევს და დაუწყო თითს წოვა.

— ის დღე იყო და, დევი ვეღარ მოვიცილე, — უთხრა ბოლოს, — მოდის ყოველდღე და ასე მწოვს სისხლსო.

ძმები ძალიან შეწუხდნენ და მეორე დღეს სანადიროდ აღარ წასულან — დევს დაუდარაჯდნენ. შუაღამემ რომ მოაწია, დევიც მოვიდა და ქალს დაუძახა, ნეკი გამოყავიო. გამოუცვივდნენ ძმები, დევი ხმლებით აკუწეს და ქოხსუკან ხაროში ჩაყარეს. მერე და გააფრთხილეს, ამის შემდეგ მაინც ეცადე, რომ ცეცხლი აღარ გაგიქრესო, და თვითონ ისევ სანადიროდ წავიდნენ.

გამოხდა ხანი და ქალს ისევ ჩაუქრა ცეცხლი. ისევ წავი-

და დევის დედასთან ცეცხლის სათხოვნელად და კარებიდან შესძახა:

— დედავ, დედაშვილობას, ისევ გამიქრა ცეცხლი და მოგეცი.

დედაბერმაც მაშინდელივით უპასუხა:

— დედაშვილობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, როგორ ცეცხლსაც მოგცემდი. მისცა ცეცხლი და თან ერთი მუჭა ქინძის თესლიც გაატანა, — ეს თესლი ქოხის უკან რომ ხარო გაქვთ, იქ დათესეთ, — უთხრა, — საღამოზე შენი ძმები რომ ნანადირევს მოხარშავენ, ქინძი მოკრიფე და ხორცზე დაუჭერი, უფრო გემრიელი გამოვა და შენს ძმებს გაუხარდებათო.

ქალმა დაიჯერა დედაბრის სიტყვა, შინ მისულისთანავე ქინძის თესლი ქოხსუკან ხაროზე მოაბნია. საღამოსთვის მთელი ხარო ქორფა, სურნელოვანი ქინძით გადაიპენტა. საღამოს ძმებიც მოვიდნენ და მოიტანეს ირემი. როცა ირემი მოხარშეს და ვახშმად დასხდნენ, ქალი გამოვიდა, მოკრიფა ქინძი და ხორცზე მოაყარა.

შეჭამეს თუ არა ძმებმა ქინძმოყრილი ხორცი, იმავ წამს ირმებად გადაიქცნენ და ქოხიდან ფხაჭა-გლეჯით გაცვივდნენ. ქალმა მხოლოდ უმცროსი ძმა-ირმის დაჭერაღა მოასწრო, დანარჩენებისა კი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო.

დარჩა ამ დღიდან ქალი ტყეში ერთადერთი ძმა-ირმის ანაბარა, სადაც წავიდოდა — წყალზე თუ ხილ-კენკრის შესაგროვებლად, თავისი ირმადქცეული ძმაც თან დაჰყავდა, თან სულ ეფერებოდა, ტიროდა და თავ-კისერს ცრემლით უსველებდა.

ერთხელ ამ ტყეში ერთი ხელმწიფის შვილი ნადირობდა, დაინახა ირემი და ისარი დაუმიზნა, მაგრამ სანამ ესროდა, ქალმა თვალი შეასწრო, ირემს ჩამოეფარა და ხელმწიფის შვილს შეეხვეწა:

— ნუ ესვრი, ჩემი ძმა არის, ნუ მომიკლავო.

ხელმწიფის შვილს ქალი ისე მოეწონა, რომ მაშინვე მისი ცოლად მოყვანა გადაწყვიტა და თავის ძმა-ირმიანად სასახლეში წაიყვანა. ქალი მეფესა და დედოფალსაც ძალიან მოეწონათ, შვილს ნება დართეს და კაი ქორწილიც გადაუხადეს.

ხელმწიფის შვილი ერთ მეზობელ ხელმწიფის ქალზე იყო დანიშნული. ამ ქალმა თავისი საქმროს ღალატი რომ გაიგო გულში ჯავრი ჩაიდო და გადაწყვიტა, ახალი პატარძალი როგორმე ჩამოეშორებინა ხელმწიფის შვილისათვის და მისი ადგილი თვითონ დაეჭირა. ამ განზრახვით გაიცნო ქალი, დაუასლოვდა და ერთ მშვენიერ დღეს ქალაქგარეთ გასეირნებაზეც დაითანხმა.

ქალაქს გვერდით დიდი მდინარე ჩამოუდიოდა, მდინარის პირას რომ მივიდნენ, მეზობელი ხელმწიფის ქალმა უთხრა, აბა, კაბები გავიხადოთ და წყალში ისე ჩავიხედოთ, რომელს უფრო ლამაზი ტანი გვაქვსო.

გაიხადეს ორივემ და მიდგნენ მდინარის პირას. უცბად ამ მოღალატე ქალმა ირმის დას ხელი ჰკრა და მდინარეში გადააგდო. თვითონ იმისი ტანისამოსი ჩაიცვა და ხელმწიფის შვილთან წავიდა. რაკი ცოლის ტანსაცმელი ეცვა, ხელმწიფის შვილმაც ვერაფერი შეატყო.

დის დაღუპვა მხოლოდ ძმა-ირემმა გაიგო. დაიწყო აქეთ-იქით სირბილი და ბღავილით მთელი ეზო აიკლო.

ხელმწიფის შვილის ახალი ცოლი შეშინდა, ემანდ ეჭვი არ აიღონო, მოიავადმყოფა თავი და ქმარს უთხრა, თუ ირემს დაჰკლავ და მაგის გულ-ღვიძლს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არა და მოვკვდებიო.

ხელმწიფის შვილს ძალიან გაუკვირდა ცოლის ნათქვამი და ჰკითხა:

— ქალო, რა მოგივიდა, აქამდე სულ ზედ დაჰკანკალებდი ირემს და სხვებსაც იმას ემუდარებოდი, კარგად მოუარეთო, ახლა რაღა მოგეჩვენა, რომ სასიკვდილოდ იმეტებო?

— რა ვქნა, — უთხრა ქალმა თავმოკატუნებით, — აქამდე წყნარად იყო, არავის აწუხებდა, ახლა კი ისე ბღავის და ღრიალებს, რომ მაგისაგან მოსვენება არა მაქვსო.

რაღა უნდა ეთქვა ქმარს? მზარეულებს უბრძანა, ირემი დაკალით და საჩქაროდ გულ-ღვიძლი შეწვითო.

ირემი მიხვდა, რომ დაკვლას უპირებდნენ და უარესად გახელდა. მოჰყვა აქეთ-იქით სირბილს — სახლიდან მდინარემდე და მდინარიდან სახლამდე.

იმდენი ირბინა წინ და უკან გაუჩერებლად, რომ ხელ-

მწიფის შვილი ბოლოს ეჭვში ჩავარდა და ირემს მსახურები დაადევნა, ერთი ნახეთ სად დარბის და რას აკეთებსო.

გაჰყვნენ მსახურები ირემს და ნახეს, რომ ჩერდება მდინარის ბირას და წყალში ჩასძახის:

„დაო, დაო, დაფნაო,
პირწითელა ვაშლაო!
აქ გიკლავენ ძმასაო,
ულესავენ ხმალსაო,
უდუღებენ წყალსაო!"

ახლა საპასუხოდ წყლიდან ვიღაცამ ამოსძახა:

„წადი, უთხარ ქმარსაო,
ნუ გალესავს ხმალსაო,
ნურც ადუღებს წყალსაო,
ნურც შენ მოგჭრის თავსაო".

წამოვიდნენ მსახურები და რაც ნახეს და გაიგონეს, ხელმწიფის შვილს მოახსენეს. ხელმწიფის შვილი მაინც ვერაფერს მიხვდა და ცოლის სურვილი აასრულა — ირემი დაკლა და გულ-ღვიძლი მიართვა, სოლო მდინარეზე მებადურები გაგზავნა, — სადაც იყოს და არ იყოს, ის მოლაპარაკე სულიერი დაიჭირეთ და აქ მომგვარეთო.

მებადურებმა ისროლეს ბადე და ქალი-სირინოზი დაიჭირეს, წამოიყვანეს და მოუყვანეს ხელმწიფის შვილს. ხელმწიფის შვილს ისევ მოეწონა ეს უცნაური თევზ-ქალი, რომ მისთვის საგანგებო მარმარილოს აუზი ააშენებინა და შიგ ჩასვა. თვითონაც გვერდით მოუჯდა და მთელ დღეებს იმის ალერსსა და ფერებაში ატარებდა.

მოიავადმყოფა ისევ დედოფალმა თავი და აიჩემა: თუ დაკლავთ იმ თევზ-ქალს და მაჭმევთ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. ძალიან შეწუხდა ხელმწიფის შვილი, მაგრამ მეტი რა ჩარა ჰქონდა, ცოლის სიკვდილს ისევ თევზის დაკვლა ერჩივნა და მსახურებს უბრძანა, დაკალით და მოხარშეთო.

— ისე მოხარშეთ და მომიტანეთ, რომ ერთი ფხაც არსად გადავარდესო, — ბრძანა დედოფალმა, მაგრამ ერთ-ერთ მზარეულს ერთი ფხა მაინც გადაუვარდა და ეზოში დაეცა. მალე თევზის ფხაზე ისეთი ალვის ხე ამოიზარდა, რომ წვერი ცას მიაბჯინა. ხელმწიფის შვილს ალვის ხეც ძალიან მოეწონა, ხის ქვეშ ტახტი დაადგმევინა და სიცხიან დღეებში სულ იმის ჩრდილში ისვენებდა.

ისევ მოიავადმყოფა თავი დედოფალმა და ახლა ალვის ხის მოჭრა დაიჩემა: თუ მაგის ფიცრის საწოლს გამიკეთებთ, მოვრჩები, თუ არადა — მოვკვდებიო.

შეწუხდა ფრიად ხელმწიფის შვილი, — როგორ უნდა გავიმეტო ეს ლამაზი ხე მოსაჭრელადო, — მაგრამ რა ექნა, ცოლს სასიკვდილოდ ხომ ვერ გასწირავდა, უბრძანა მსახურებს, მოსჭერით და ფიცრებად გათალეთო.

— ოღონდ ისე მოჭერით, რომ ერთი ნაფოტიც არსად გადავარდესო, — ბრძანა დედოფალმა, მაგრამ მსახურებმა დედოფლის სურვილი ვერც ამჯერად აასრულეს, სწორედ მაშინ, როცა უკანასკნელი სანაფოტეც მიაჭრეს და ხე საცაა უნდა წაქცეულიყო, უცბად ძლიერმა ქარმა წამოუბერა და ერთი ნაფოტი სადღაც ქალაქის ბოლოს გაიტაცა. ამ დროს ერთი დედაბერი ლოცვიდან მოდიოდა, იპოვა ნაფოტი, მოეწონა და შინ წამოიღო, — ქოთანს დავაფარებო.

მეორე დღეს დედაბერი რომ ლოცვაზე წავიდა, იქცა ნაფოტი ქალად, დაგავა სახლი, დაწმინდა-დარეცხა ჭურჭელი, მოხარშა შეჭამანდი, მიალაგ-მოალაგა ყველაფერი და ნაფოტადქცეული ისევ ქოთანს დაეფარა.

მოვიდა შინ დედაბერი და ყველაფერი გაკეთებული რომ დახვდა, გაკვირვებისაგან პირი დააღო. გავიდა, ჰკითხა მეზობლებს, — ვინ მიყავით ეს სიკეთეო? — მაგრამ მეზობლებმა უარი უთხრეს, — ჩვენ ჩვენს ოჯახებს ვერ ავუდიავართ და შენთვის სადა გვცალიაო.

მიხვდა დედაბერი, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა, და გულში გადაწყვიტა, უნდა ვუდარაჯო და გავიგოო.

მეორე დღეს დედაბერი რომ სალოცავად წავიდა, ნაფოტი იმავ წამს ქალად იქცა და სახლის დაგვა-დალაგებას შეუდგა, მაგრამ დედაბერი საყდრამდე აღარ მისულა, შუა გზი-

დან უკანვე დაბრუნდა და ქალს შინ შეუსწრო. დაიჭირა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემს სახლში შემოსულხარ და შინაურივით იქცევიო?

— ადამიანი ვარ, ადამიანის შვილი, შემიბრალე და მიშველეო, — შეეხვეწა ქალი.

დედაბერს ქალი ძალიან მოეწონა და იშვილა, მაინც მარტოხელა ვარ და ჩემი შვილი იყავიო. დაიწყეს ქალმა და დედაბერმა ერთად ცხოვრება. იმ წელიწადს დიდი გვალვა დაიჭირა, უბალახობა იყო და ხელმწიფის შვილს მთელი ჯოგი ისე გაუწყდა, რომ თავისი საყვარელი ცხენის მეტი აღარაფერი შერჩა, მაგრამ ისიც მომაკვდავი და გაძვალტყავებული. ქალმა უთხრა დედობილს:

— წადი ხელმწიფიანთსა და ის ერთადერთი ცხენი გამოართვი, ცოცხალი რომ შემორჩათ, წამოიყვანე და გავასუქოთ, იქნებ ხელმწიფის შვილმა სიკეთე დაინახოს და რამე გვიწყალობოსო.

— რით გავასუქოთ, შვილო, როცა ბალახის ჭაჭანება არსად არისო, — უთხრა დედაბერმა.

— შენ მოიყვანე და დანარჩენი მე ვიციო, — დააიმედა ქალმა.

წავიდა დედაბერი, გამოსთხოვა ხელმწიფის შვილს შიმშილისაგან გასავათებული ცხენი და მოუყვანა თავის შვილობილს. დაიბანა ქალმა ხელები, ნაბანი მინდორში მიასხმოასხა და ისეთი ბალახი ამოვიდა, რომ კაცი შიგ დაიმალებოდა. გაუშვა ქალმა ცხენი ამ ბალახში და ერთ თვეში გასუქა. დარბის გათქვირებული ცხენი, დგება ყალყზე და დაჭიხვინობს. ქალმა უთხრა დედობილს:

— ახლა წადი და უთხარი ხელმწიფის შვილს, ვეზირები გამოგზავნოს და თავისი ცხენი ჩაიბაროსო.

წავიდა დედაბერი და მოახსენა ხელმწიფის შვილს ქალის დანაბარები. ხელმწიფის შვილმა გამოგზავნა ვეზირები, ქალმა დაიჭირა ცხენი; ხელმწიფის კარზე რომ მიგიყვანენ, დაწექი და რამდენიც გინდა გცემონ, არ ადგე, სანამ მე არ მოვალ და არ გეტყვი, ადექი, შე პატრონივით მუხანათოო, — დაარიგა და ვეზირებს გადასცა.

ცხენია, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშება. წამოიყვანეს გახარებულმა ვეზირებმა და მოიყვანეს სასახლეში. შეიყვანეს თუ არა ეზოში, ცხენი ჩაწვა და ძვრა აღარ ქნა. ბევრი სცემეს, უსტვინეს, უწრუწუნეს, მაგრამ არა და არა! დაიბარა ხელმწიფის შვილმა დედაბერი და ჰკითხა, — რა მიზეზია, რომ ცხენი ფეხზე არა დგებაო?

— დიდებულო ხელმწიფევ, — მოახსენა დედაბერმა, — მე მაგისი არაფერი ვიცი, ერთი ნაშვილები ქალი მყავს, ეს ცხენი იმან გაასუქა და მიზეზიც თვითონვე ეცოდინებაო.

— ახლავე აქ მომგვარეთ ის ქალიო! — ბრძანა ხელმწიფის შვილმა.

მოვიდა ქალი და ცხენს ერთი მაგრად დასჭყივლა:

— ადექი, შე პატრონივით მუხანათოო!

ცხენი მაშინვე ფეხზე წამოხტა და ძველებურად შეითამაშა.

ხელმწიფის შვილს ძალიან გაუკვირდა ქალის ნათქვამი და ჰკითხა:

— რად დაუძახე ჩემს ცხენს, პატრონივით მუხანათო? რატომ ვარ მე მუხანათიო?

ამ ქალმა ყველაფერი უამბო. ახლა კი გაიგო ხელმწიფის შვილმა, როგორც იყო საქმე და ქალზე ხელახლა ჯვარი დაიწერა, ხოლო ის ძალად დედოფალი მეზობელი ხელმწიფის ქალი კი ცხენის ძუას გამოაბა და სულ ლუკმა-ლუკმად დააგლეჯინა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ადიხანჯალა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო უშვილო ცოლ-ქმარი. ღმერთს სულ იმას ევედრებოდნენ, შვილი გვაღირსეო. ერთ ღამეს ცოლს სიზმარში თეთრწვერა მოხუცი გამოეცხადა და უთხრა:

— შვილი გეყოლება, მაგრამ მისი გაჩენისთანავე მოკვდებიო.

— უშვილო ქალის სიცოცხლე, რა სიცოცხლეაო, — უთხრა ქალმა, — ოღონდ შვილი მეღირსოს და ჩემი თავი მისი ჭირის სანაცვლო იყოსო.

მართლაც, დაორსულდა ცოლი და ცხრა თვის შემდეგ ბიჭი გააჩინა. ბიჭს ადიხანჯალა დაარქვეს, რადგან დედის მუცლიდან ვერცხლით შეჭედილი ქამარ-ხანჯალი გამოჰყვა.

დედა შვილის გაჩენისთანავე გარდაიცვალა და ბავშვს მარტო მამა ზრდიდა. ადიხანჯალა ძალიან სწრაფად იზრდებოდა — ერთი კვირის ათი თვისას ჰგავდა, ხოლო ერთი თვისა — ათი წლისას. ბიჭი კარგად რომ მოჩრიხვდა, მამამ სხვა ცოლი მოიყვანა. დედინაცვალმა მოსვლის დღიდანვე ამოიჩემა გერი და იმდენი აწამა, იმდენი, რომ ბავშვი ბოლოს სახლიდან გაიპარა.

დადიოდა ტყე-ღრეში, ნადირობდა და თავს იმით ირჩენდა. ამასობაში დავაჟკაცდა კიდეც. ერთხელაც მინდორში გამოვიდა და ერთი თავისი ტოლი ბიჭი დაინახა. დიდი ხანი იყო, ადამიანი აღარ ენახა, გაუხარდა ბიჭის დანახვა და მაშინვე მასთან მიირბინა. ის ბიჭიც ადიხანჯალასავით დედინაცვალს გამოჰქცეოდა. ერთმანეთს გაეცვნენ, დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას.

იარეს, იარეს და გზაზე კიდევ ერთ თავიანთ ტოლ ბიჭს წამოეწივნენ. ეს ბიჭიც მათ ბედში აღმოჩნდა. დედინაცვლისთვის ველარ გაეძლო და სახლიდან გამოქცეულიყო, გულმა გული იცნო, ეს მესამე ბიჭიც ძმად გაიფიცეს და წავიდნენ სამნი.

ერთ ადგილას დაისვენეს და ადიხანჯალამ უთხრა ძმობილებს:

— ჩვენ ახლა უკვე ღვიძლი ძმები ვართ, ერთიმეორის გარდა არც პატრონი გაგვაჩნია, არც — ახლობელი. მოდით, გავანდოთ ერთმანეთს, გაჭირვებაში ვინ რისი შემძლე ვართ და ერთმანეთს რითი დავეხმარებითო.

პირველად რომ შეხვდა ადიხანჯალას, იმ ბიჭმა თქვა:

— მე ის შემიძლია, რომ თუ რომელიმეს რაიმე გაგიჭირდებათ, ცხრა მთას იქითაც რომ იყოთ, იმავ წამს გავიგებო.

— მე ის შემიძლია, — თქვა მეორემ, — რომ დაკარგულს, სადაც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად ვიპოვი, და თუ რომელიმე რამეს დაკარგავთ, არ შეწუხდეთ, მე აქა ვარო.

მაშინ ადიხანჯალამ უთხრა:

— სანამ ჩემი ხანჯალი წელზე მექნება, ჩემი მორევა და დამარცხება ცხრათავიანი დევების ლაშქარსაც არ შეუძლიაო.

ადგნენ და გაუდგნენ გზას. ბევრი იარეს, თუ ცოტა, ბოლოს ერთ ქალაქში შევიდნენ. ძალიან ლამაზი და მდიდარი ქალაქი იყო, სავაჭროები გაჭედილი იყო საქონლით — ფარჩა-აბრეშუმითა და თვალმარგალიტით, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ არც ქუჩებში და არც სახლებში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ადიხანჯალამ უთხრა ძმობილებს:

— თქვენ აქ დამიცადეთ, მე ქალაქში გავივლი, იქნებ ვინმე ვნახო და ამ სიცარიელის მიზეზი გავიგოო.

გავიდა ადიხანჯალა ქალაქში, იარა აქეთ-იქით, მთელი ქალაქი შემოიარა, მაგრამ კაციშვილი ვერსად დალანდა. ბოლოს ქალაქის შუაგულში ერთი მარმარილოს სასახლე დაინახა და ბირდაპირ იქითკენ წავიდა. სასახლეს სულ რკინის გალავანი ერტყა, ჭიშკარიც რკინისა ჰქონდა შიგნიდან ურდულით დაკეტილი. ადიხანჯალამ ამოაძრო თავისი ჯადოს-

წური ხანჯალი, ერთი დაკვრით ჩამოჭრა ჭიშკარი და შევი-და გალავანში.

ხმაურზე სასახლის ერთ-ერთი სარკმლიდან ერთმა მზეთ-უნახავმა ქალმა გამოიხედა, მოეწონა ადიხანჯალა და ჩა-მოსძახა:

— აქ სამთავიანი დევის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია, მაღლა ფრინველს და შენ როგორ მობედე მოსვლა? კარგი ჭაბუკი ხარ, ჩქარა წადი, თორემ დევი მოვა და მოგკლავსო!

— მე ვარ და, მოვბედეო! — უპასუხა ადიხანჯალამ. — ჯერ მოვიდეს ის სამთავიანი დევი და ვინ ვის მოჰკლავს, მაგასაც დაინახავო.

ქალი კიდევ ბევრს ეხვეწა, — გაერიდეო, მაგრამ ადიხან-ჯალამ ადგილიდან ფეხიც არ მოიცვალა. მალე დევიც მო-ვიდა. დაინახა ბაკუწული ჭიშკარი და ღრიალით გამოექანა ბადიხანჯალასაკენ. ეცნენ ერთმანეთს და გაუდით გნიასი, ხან დევია ძირს, ხან ადიხანჯალა. ბოლოს ისევ ადიხანჯა-ლამ დასძლია, დასცა ძირს, გაიძრო ხანჯალი და სამივე თავი გააგდებინა. მერე ავიდა ქალთან და ჰკითხა:

— და-ძმობას, მითხარი, რა მოხდა ამ ქალაქში ისეთი, რომ კაცის ჭაჭანება გამოლეულაო.

ქალმა თავისი თავგადასავალი უამბო:

— ჩვენ სამნი დანი ვიყავითო, — უთხრა ქალმა, — ერთ დღეს ქალაქს სამი ძმა დევი დაესხა თავს, ხალხი პირ-წმინდად გაქლიტეს და დაგვეპატრონენ. ამ უფროსმა ძმამ მე შემირთო და აქვე, ჩვენს ქალაქში და სასახლეში დაბი-ნავდა, უმცროსმა ძმებმა ჩემი უმცროსი დები წაიყვანეს და თავ-თავიანთ სახლებში დაბრუნდნენო.

— უნდა წავიდე და ისინიც გამოვიხსნა, — უთხრა ადი-ხანჯალამ, — ოღონდ მასწავლე, საით არიან და რომელი გზით უფრო მალე მივაგნებო.

ქალი შეეხვეწა:

— ნუ წახვალ, თორემ დაიღუპები. ჩემი საშუალო დის ქმარს ორი ამხელა შეუძლია, რაც ამ დევს შეეძლო, ხოლო უმცროსი დის ქმარი ორივეზე ორჯერ ღონიერიაო.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვსო, — უთხრა ადიხანჯალამ, —

შენ მხოლოდ გზა მასწავლე და ნიშანი რამე გამატანე, რომ შენს დას ვაჩვენო და შენი ამბავი შევატყობინოო.

რაკი არ დაიშალა ადიხანჯალამ, ქალიც დათანხმდა, ასწავლა გზა, ნიშნად თავისი ბეჭედი გაატანა და გაისტუმრა.

იარა ადიხანჯალამ როგორც ქალმა ასწავლა, იარა და ბოლოს მიადგა იმ დევის სახლს, რომელსაც საშუალო და ჰყავდა დატყვევებული. რკინის ჭიშკარი აქაც ხანჯლით ჩამოჭრა და შევიდა გალავანში. ადიხანჯალა ამ საშუალო დასაც მოეწონა და შეეხვეწა:

— კარგი ჭაბუკი ჩანხარ, წადი აქედან ჩქარა, თორემ შვიდთავიანი დევი მოვა და ცოცხალი ვერ გადაურჩებიო.

ადიხანჯალამ ქალს უფროსი დის ბეჭედი აჩვენა და უთხრა:

— შენ ნუ გეშინია, რაც დღე შენი უფროსი დის ქმარს დავაყენე, ამ შენს ქმარსაც იმავე დღეს დავაყრიო.

ქალი კიდევ ბევრს ეხვეწა, წადიო, მაგრამ ადიხანჯალამ არ დაუჯერა. ამასობაში შვიდთავიანი დევიც მოვიდა. ჩამოლეწილი ჭიშკარი რომ დაინახა, მთლად ცეცხლი მოეკიდა და გაცოფებული მივარდა ადიხანჯალას. ბევრი იბრძოლეს, მაგრამ საბოლოოდ ადიხანჯალამ მაინც დასძლია, დასცა ძირს, დაჰკრა ხანჯალი და შვიდივე თავი ერთიანად გააგდებინა. მერე ავიდა ქალთან და უთხრა:

— ახლა მე თქვენი უმცროსი დის გამოსახსნელად უნდა წავიდე, და-ძმობას, მასწავლე, რომელ მხარეს ვეძებოო?

ქალი შეეხვეწა:

— ნუ წახვალ, თორემ იმ დევს თორმეტი თავი აბია, ჩვენს ქმრებზე ორჯერ უფრო ღონიერია და გაგაფუჭებსო.

ადიხანჯალამ არ დაიშალა. გამოართვა ნიშნად საშუალო დასაც ბეჭედი და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მიადგა თორმეტთავიანი დევის სასახლეს. სასახლე სულ ოქრო-ვერცხლისა იყო, ირგვლივ ალმასის გალავანი ერტყა და ჭიშკარიც ალმასისა ჰქონდა. ადიხანჯალამ გაიძრო ხანჯალი, დაჰკრა ერთხელ, დაჰკრა მეორედ, დაჰკრა მესამედ და ჭიშკარი შუაზე გააპო. შევიდა ეზოში და მიიხედ-მოიხედა.

აივანზე ერთი ოქროსთმიანი ქალი გადმოდგა. ეს იყო უმცროსი და, ისეთი ლამაზი იყო, რომ მზის შუქს აბნელებდა. მოეწონა ქალს ადიხანჯალა და ჩამოსძახა:

— რამ გაგაბედინა აქ მოსვლა? ჩემი ქმრის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს, ჩქარა წადი, თავს უშველე, თორემ საცაა მოვა და ნაცარ-მტვრად გაქცევსო.

ადიხანჯალამ უფროსი დების ბეჭედი უჩვენა და უთხრა:

— შენ ჩემი ნუ გედარდება, ჩემგან რაც ამათ ქმრებმა წაიღეს, შენი ქმარიც იმას წაიღებსო.

ქალმა კიდევ წასვლა ურჩია, — ღონითაც რომ ვერ მოგერიოს, ჰაერით დაგამარცხებსო.

მართლაც ატყდა საშინელი ქარიშხალი. თორმეტთავიან დევს შორიდანვე ეგრძნო თავის სახლში ძეხორციელის მოსვლა და ქარიშხალი გამოეშვა. ქრის გრიგალი, წივის, ღმუის, ადიხანჯალას ხან ერთ მხარეს გაისვრის, ხან — მეორე მხარეს, მაგრამ დაჩოქებით ერთხელაც ვერ დააჩოქა. ბოლოს თვითონ დევიც გამოჩნდა — მთისხელა მოიზლაზნებოდა და თორმეტივე თავს გველივით ასავსავებდა. მივარდა ადიხანჯალას, დასტაცა ხელი, მოიქნია და მიწაში მუხლებამდე ჩაასო. ამოხტა ადიხანჯალა, მოიქნია დევი და კისრამდე ჩაასო, იმავ წამს გაიძრო ხანჯალი, მისდგა და, სანამ დევი მიწიდან ამოხტებოდა, თორმეტივე თავი კომბოსტოსავით წააცალა. მერე ადგა და სასახლისაკენ წავიდა, რომ ოქროსთმიანი ქალისათვის უფროსი დების განთავისუფლებაც ეხარებინა. ქალი კარსუკან მოეფარა და დაუძახა:

— კარს ნელ-ნელა გავაღებ და თვალი შორიდანვე შემაჩვიე, თორემ უცბად ახლოს რომ მოხვიდე, ჩემი სილამაზე დაგაბრმავებსო.

ადიხანჯალამ დაუჯერა ქალს და ნელ-ნელა მიუახლოვდა, ამოიღო ნიშნად წამოღებული ბეჭდები და წინ დაულაგა. ქალმა იცნო თავისი დების ბეჭდები და ადიხანჯალას შეეკითხა:

— ეს ბეჭდები ჩემი უფროსი დებისაა და შენთან რა უნდაო?

— მე შენი დის ქმრებსაც ასეთივე დღე დავაყარე, ისი-

ნიც უკვე დიდი ხანია თავისუფლები არიან და თუ ისურვებ, შენც მათთან წაგიყვანო.

— წამიყვანეთ! — წამოიძახა სიხარულით ქალმა.

წამოიყვანა ადიხანჯალამ ოქროსთმიანი ქალი და საშუალო დასთან მიიყვანა, იქ ცოტა დაისვენა, მერე საშუალო დაც წამოიყვანა და მიიყვანა ორივენი უფროს დასთან. დებმა უზომოდ გაიხარეს ერთმანეთის ნახვით და კარგა ხანს ერთი-მეორეს ვეღარ მოშორდნენ — ჩახვეულები ხან ტიროდნენ და ხან იცინოდნენ.

ქალებმა ერთმანეთის მოკითხვითა და ხვევნა-კოცნით რომ გული იჯერეს, ადიხანჯალამ უთხრა:

— ახლა წავიდეთ და ჩემს ძმებსაც გაგაცნობთო.

ქალები, რა თქმა უნდა, სიხარულით გამოჰყვნენ. ადიხანჯალამ ჯერ ქალები გააცნო ძმობილებს და მერე უთხრა:

— აი, ძმებო, სამნი ძმანი ჩვენა ვართ, სამნი დანი ესენი არიან, თითომ თითო ამოირჩიეთ საცოლედ და რომელიც დარჩება, იმას მე შევირთავო.

ძმობილებმა თქვეს: რა თქმა უნდა, ოქროსთმიანი და ორივეს ჯობია, მაგრამ რომელიმემ რომ ის დავიჩემოთ, დიდი უსინდისობა იქნება. მოდი, ჩვენ უფროსი დები დავითითოვოთ, ეგ ქალი კი ადიხანჯალას დავუთმოთ. ეკუთვნის კიდეც, — ჩვენ აქ ვისხედით და მაგან კი რამდენი ბრძოლა გადაიტანაო.

დაუთმეს ადიხანჯალას ოქროსთმიანი ქალი და დაიწყეს ქალაქში ცხოვრება. ყველაფერი მზამზარეული აქვთ, საჭმელ-სასმელი გინდა, თუ ტანსაცმელი, არიან განცხრომით, მაგრამ ძმობილებს თავიანთ სახლებში წასვლა მოენატრათ და ადიხანჯალას უთხრეს, — წავიდეთო. — ადიხანჯალამ უთხრა, — თქვენ თუ ძალიან გულით გინდათ, წადით, მე კი არსად წამესვლება და ამ ქალაქში დავრჩები. ოღონდ იცოდეთ, ძმობას ნუ დაკარგავთ და ხანდახან მეც მომინახულეთო. ძმობილები შეჰპირდნენ, ჭირი იქნება თუ ლხინი, მაშინვე შენთან გავჩნდებითო, — გამოემშვიდობნენ და წავიდნენ.

დარჩა ადიხანჯალა მარტო თავისი ოქროსთმიანი მზეთუნახავი ცოლით ქალაქში. ქალაქს გვერდით მდინარე ჩამოუდიოდა. ოქროსთმიანი ქალი ყოველდღე ამ მდინარეში ბა-

ნაობდა. ერთხელაც, ბანაობისას ერთი ღერი თმა მოსძვრა და მდინარეში ჩავარდა. ატარა მდინარემ თმა, ატარა და შუა ზღვაში გაიტანა. გამოიხედა ზღვათა ხელმწიფემ და დაინახა, რომ ზღვაში რაღაც მზესავით ანათებს. მაშინვე მოიხმო მენავეები და ზღვაში შეგზავნა, — გამიგეთ, რა ანათებს ასე თვალისმომჭრელად, და ახლავე აქ მომიტანეთო.

შეცურდნენ მენავეები ზღვაში და ნახეს, რომ ტალღებზე ქალის თმა ლივლივებს და ის ანათებს. ამოიღეს თმა და მოუტანეს ხელმწიფეს. ხელმწიფეს გულში ამ ქალის სურვილი ჩაუვარდა და საჯაროდ გამოაცხადა: — ვინც ამ თმის პატრონ ქალს ხელში ჩამაგდებინებს, ას აქლემ თვალ-მარგალიტს ვაჩუქებო.

ოქროსთმიანი ქალის ამბავი ერთმა ურიის მეტმა არავინ იცოდა. ეს ურია ვაჭარი იყო და სულ აქეთ-იქით დატანტალებდა. ერთხელ იმ ცარიელ ქალაქზეც გამოეევლო და ის ქალი ენახა. მივიდა ურია ხელმწიფესთან და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, უბრძანე შენს სარდლებს, ჯარი შეკრიბონ და იმ ოქროსთმიანი ქალის ადგილ-სამყოფელს მე ვასწავლიო.

გაიხარა დიდად ხელმწიფემ, ურია უამრავი თვალ-მარგალიტით დაასაჩუქრა და სარდლებს ჯარის შეკრება უბრძანა. გაუძღვა ურია ხელმწიფის ჯარს და მიიყვანა იმ ქალაქში, სადაც ადიხანჯალა და მისი ცოლი იმყოფებოდნენ.

ადიხანჯალას ამ დროს ეძინა. ხმაურზე გამოიხედა ქალმა და დაინახა, უთვალავი ჯარი. მიხვდა, რისთვისაც უნდა ყოფილიყო ჯარი მოსული, იფიქრა, რაღა ქმარი გავაღვიძო, ამათ ხომ მეც დავხვდებიო, ამოუღო ადიხანჯალას ქარქაშიდან ხანჯალი და დაერია ამ ჯარს. ჯერ ის ურია მოკლა, მერე მისდგა, კაფა და კაფა ხალხი. ისე გაჟლიტა მთელი ჯარი, რომ ბოლოს ამბის წამღებად სამი კაციღა დატოვა. იმ სამ კაცს უთხრა, — წადით და თქვენს ხელმწიფეს მოახსენეთ, რაც დღე დაგადგათო, — და დაბრუნდა ადიხანჯალასთან. ადიხანჯალას ასეთი ზნე სჭირდა: თუ მძინარეს ხანჯალს ამოუღებდნენ ქარქაშიდან, აღარ გამოეღვიძებოდა, სანამ ხანჯალს ისევ არ ჩაუგებდნენ. ქალმა გაწმინდა სისხლიანი ხანჯალი და ჩაუგო ქარქაშში.

გამოეღვიძა ადიხანჯალას, ნახა თავისი ცოლი სულ სისხლით მოსვრილი და გაუკვირდა:

— ქალო, ეგ რა დაგმართნიაო?

ქალმა უამბო, რაც მოხდა, ადიხანჯალამ უსაყვედურა, რატომ მე არ გამაღვიძეო?

— ნუ ნაღვლობ, შენი ჯერიც დადგებაო, — უთხრა ქალმა, — ვიცი, ის ხელმწიფე არ მოისვენებს და კიდევ შეეცდება ჩემს ხელში ჩაგდებასო.

მართლაც, ამბის მთხრობლად გაშვებულმა სამმა კაცმა მოახსენეს თუ არა თავიანთ ხელმწიფეს, რაც თავს გადახდათ, ხელმწიფეს უფრო გაუძლიერდა ოქროსთმიანი ქალის სურვილი. თუ ის ქალი ხელში არ ჩავიგდე, რაღა ხელმწიფე ეყოფილვარო, — თქვა გულში და თავის სამეფოში ერთხელ კიდევ გამოაცხადა:

— ვინც იმ ქალს მომიყვანს, ნახევარ სახელმწიფოს ვაჩუქებ და საშვილიშვილოდ გავაბედნიერებო.

ხელმწიფეს ერთი ხელზე მოსამსახურე ჯადოქარი დედაკაცი ჰყავდა, მივიდა ეს დედაკაცი ხელმწიფესთან და უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, თქვენ მარტო ერთი ცხვარი, ერთი ბოთლი ღვინო, ერთი ბოთლი ბანგი და სამი კაცი მომეცით და იმ ქალს მალე შენს სასახლეში იხილავთო.

ხელმწიფემ მაშინვე მისცა ყველაფერი ბებერს, რაც ითხოვა, და გაისტუმრა. გამოკრა ხელსახოცში ჯადოქარმა დედაკაცმა ბანგი და ღვინო, გამოირეკა ცხვარი, წამოიყვანა კაცები და შევიდა ქალაქში. ადიხანჯალას სახლთან რომ მივიდა, ხელმწიფის კაცები გალავანს გარეთ დამალა, თვითონ შიგნით შევიდა და აქეთ-იქით ბარბაცი და ხმამაღლა წუწუნი დაიწყო:

— არავინა სართ ქრისტიანი, მომხედეთ, სულთმობრძავი ადამიანი შემიფარეთო.

ადიხანჯალამ ცოლს უთხრა, ამოვიყვანოთ, ცოდოაო. მაგრამ ცოლმა დაუშალა: არ გინდა, ეგ ბებერი კაი სულის არა ჩანს და გვიღალატებსო.

— ერთი წირპლიანი დედაბერი მითხარ და იმისი ღალატიო, — თქვა ადიხანჯალამ და დედაბერი შინ შეიყვანა.

დედაბერმა დიდად დაუმადლა და დათაფლული ენით უთხრა:

— რახან ასეთი სიკეთე მიყავით, მე დედა და თქვენ შვილები, აი ეს ერთი ცხვარი მყავს, დავკლათ და კაი დრო გავატაროთო.

დაკლეს მართლაც ცხვარი და გემრიელი ყაურმა გააკეთეს, დედაბერმა სუფრაზე ბანგისა და ღვინის ბოთლებიც შემოდგა. შეაპარა ცოლ-ქმარს ბანგი და ორივენი სუფრაზე დააძინა. იმავე წამს ამოუღო ადიხანჯალას ქარქაშიდან ხანჯალი და ზღვაში გადაუგდო, თვითონ ხელმწიფის კაცებთან გამოვარდა და შეატყობინა, — სანამ სძინავს ქალს, წაიყვანეთ, თორემ თუ გაეღვიძა, ვეღარაფერს გახდებითო.

შევარდნენ მაშინვე კაცები სასახლეში, დაავლეს ხელი მძინარე ქალს და თავიანთ ხელმწიფეს მიჰგვარეს. ქალს გაეღვიძა, მიხვდა, რაც ამბავი იყო მის თავს და ხელმწიფეს უთხრა:

— კარგი, რა გაეწყობა, ვიქნები შენი ცოლი, მაგრამ ერთი წელი მაცალე, რომ ქმარი გამოვიგლოვო და ჯვარი მერე დავიწეროთო.

სულერთია, მაინც ვეღარსად წამივაო, თქვა ხელმწიფემ და მისცა ერთი წლის ვადა.

ადიხანჯალას ძმადნაფიცმა იმავ წამს იგრძნო ძმობილის გასაჭირი და მეორე ძმადნაფიცსაც შეატყობინა. ადგნენ და წამოვიდნენ ორივენი. ავიდნენ ადიხანჯალას სახლში და ნახეს, რომ მათი ძმობილი მკვდარი წევს ტახტზე, ქარქაშში ხანჯალი აღარ უგია და აღარც მზეთუნახავი ქალი ჰყავს. მიხვდნენ, რომ ვიღაცას ღალატით მოეღორებინა. უფროსმა ძმამ უთხრა უმცროსს, — აბა თუ რაზე ძალა გაქვს, ახლა გამოიჩინე და ის დაკარგული ხანჯალი მონახეო. — უმცროსმა ძმადნაფიცმა გაიხედა და ზღვის ფსკერზე, წვერით ჩარჭობილი დაინახა. მაშინვე ჩაყვინთა და ამოიტანა. ძმობილებმა გაწმინდეს ხანჯალი და ჩაუგეს ქარქაშში. ადიხანჯალას გამოეღვიძა და თვალები მოიფშვნიტა.

— რა ამბავია შენს თავს, ან ქალი რა უყავიო? — ჰკითხეს ძმობილებმა.

ადიხანჯალა გაღვიძებისთანავე მიხვდა, ვისი ოინიც იყო, ეს და ძმობილებს უთხრა:

— თქვენ თქვენი ვალი მოიხადეთ, ახლა წადით და დანარჩენი მე ვიცი, რაკი ჩემი ხანჯალი ისევ ხელთა მაქვს, ქალსაც დავიბრუნებ და მოღალატესაც საკადრისს მივუზღავო.

დაბრუნდნენ ძმობილები თავიანთ ცოლებთან. ადიხანჯალა კი ადგა და წავიდა მზეთუნახავის საძებნელად.

ბევრი იარა, ბევრი მთა და ველი გადალახა, მაგრამ ქალის ასავალ-დასავალს ვერსად მიაგნო. ამასობაში წელიწადიც მიიწურა, დასასრულამდე ერთი დღეღა დარჩა. სწორედ იმ დღეს ადიხანჯალას გზაზე ერთი რაჭველი მზარეული შეხვდა. რაჭველი სულ ცეკვითა და სიმღერით მიდიოდა.

— მარტოკას რა გამღერებს და რა გათამაშებსო? — ჰკითხა ადიხანჯალამ.

— როგორ რა მამღერებს, — მიუგო რაჭველმა, — ხვალ ჩვენი ხელმწიფე მოტაცებულ მზეთუნახავზე ჯვარს იწერს და უფროს მზარეულად ვარ მიწვეულიო.

— მეც მზარეული ვარ და მინდა, ხელმწიფის ქორწილში წილი დავიდო, — უთხრა ადიხანჯალამ. — მოდი, ეგ შენი მზარეულის ტანისამოსი მე ჩამაცვი, ჩემი ჩოხა-ახალუხი კი შენ ჩაიცვი, უფროსი მზარეული ყოფილხარ და საქმეს მაინც არავინ გაგაკეთებინებსო.

რაჭველი სიამოვნებით დათანხმდა, გაუცვალა ტანსაცმელი და ხელმწიფის სამზარეულოშიც შეიყვანა.

— რომელი საჭმელი უფრო მოსწონს თქვენს სადედოფლოსო? — იკითხა ადიხანჯალამ.

— პირს არაფერს აკარებსო, — უთხრეს მზარეულებმა, — რა არ გავაკეთეთ, მაგრამ ყველაფერზე უარს ამბობსო.

— მაშინ ერთ კერძს მე დავამზადებ და იქნებ მოიწონოსო, — სთხოვა მზარეულებს ადიხანჯალამ.

მზარეულები უყოყმანოდ დათანხმდნენ და ხორცი და საწელებელიც თვითონვე მოუტანეს. ადიხანჯალამ შეწვა ხორცი, გააწყო თეფშზე, ზედ ჩუმად თავისი ბეჭედი დაადო, გადააფარა მაღლიდან ხელსახოცი და ქალს გაუგზავნა.

ქალმა, რა თქმა უნდა, დანახვისთანავე იცნო თავისი ბე-

ჭედი, მიხვდა ყველაფერს და უზომოდ გამხიარულდა. გემრიელად შეჭამა უბრალოდ შემწვარი ხორცი და ახალი მზარეული თავისთან მოიხმო, — მომგვარეთ, კიდევ სხვა კერძებიც უნდა შევუკვეთოო. წაიყვანეს ადიხანჯალა და შეიყვანეს მზეთუნახავთან. ქალი სიხარულით გადაეხვია ერთი წლის უნახავ ქმარს და მთელი თავისი თავგადასავალი უამბო.

ნაზირ-ვეზირებმა ხელმწიფეს მოახსენეს, — ერთი ახალი მზარეული მოვიდა, თქვენმა სადედოფლომ იმისი გაკეთებული საჭმელი ჭამა და ისე გამხიარულდა, რომ პირზე სულ ბედნიერების ღიმილი დასთამაშებსო.

ხელმწიფემ მოინდომა საცოლის ნახვა და ქალის ოთახში შევიდა. წამოვარდა ადიხანჯალა, ხელმწიფე ხანჯალზე ააგო და ფანჯრიდან ზღვაში გადაისროლა. ჯადოქარი დედაბერიც იმას მიაყოლა და მზეთუნახავზე მეორედ დაიწერა ჯვარი. მერე საქორწინო სუფრა გააშლევინა და ცხრა დღე და ღამე სმა და ლხინი არ შეწყვეტილა. ქორწილი რომ დამთავრდა, სახელმწიფო ტახტი და გვირგვინიც თვითონ დაიმტკიცა და იმ დღიდან ზღვათა ქვეყანაში სიმშვიდის, სიმართლისა და ბედნიერების მეტი აღარაფერი მომხდარა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ქვრივის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. ერთ სოფელში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი და ჰყავდა ერთი ბიჭი.

ბიჭი რომ წამოიზარდა, ნადირობა დაიწყო და კარგი ხელიღბლიანი მონადირეც დადგა. ყოველდღე დადიოდა ტყეში, ხოცდა ნადირს, ნაწილს თავისთვის იტოვებდა, ნაწილი კი, როგორც წესი, თავის ბატონთან მიჰქონდა.

ერთხელაც ტყეში ერთი ჭრელი ირემი მოკლა, მოიტანა შინ, გაატყავა და დედას უთხრა:

— ასეთი ირემი ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს. ეს ტყავი ბატონს უნდა მივართვა და ეგების ყმობიდან გამანთავისუფლოსო.

დედამ დაუშალა:

— გაგანთავისუფლოს კი არა, ასეთ ძვირფას საჩუქარს რომ დაინახავს, დახარბდება და შეიძლება შინაყმად გახდომაც მოგთხოვოს. იფიქრებს სახლში რომ მეყოლება, მთელი ამისი ნანადირევი მე დამრჩებაო.

დედამ იცოდა რა გულღრძოც იყო ბატონი, მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა, აიღო ჭრელი ირმის ტყავი, გამოხვია ხელსახოცში და ბატონს მიართვა. ბატონმა მართლაც იმავ დღეს შინაყმად გაიხადა, თავის სახლში დაიტოვა და მკაცრად უბრძანა:

— ამის შემდეგ რასაც მოკლავ, ტყავსაც და ხორცსაც უკლებლივ ჩამაბარებო.

რა უნდა ექნა საწყალ ქვრივიშვილს, ყმა იყო და ბატონი რასაც უბრძანებდა უნდა დამორჩილებოდა. დარჩა ამ დღიდან ბატონის სახლში და დაიწყო ბატონისათვის ნადირობა. ყოველდღე მოჰქონდა ნანადირევი და უკლებლივ ბატონს აბარებდა. ბატონი დედისათვის გასაგზავნ ხორცსაც კი არ ანებებდა, მარტო თავ-ფეხს და შიგნეულს მიუყრიდა და ეტყოდა, ეგ შენა და შენს ქვრივ დედასო.

ქვრივის შვილი კარგი თვალ-ტანადი ვაჟკაცი იყო და ბევრს გასათხოვარ ქალს ეჭირა მასზე თვალი, მაგრამ თვითონ ერთი ცუგრუმელა გლეხის გოგოს მეტი არავინ მოსწონდა. ის გოგო ბატონის მოურავსაც მოსწონდა და ყოველდღე დადიოდა სათხოვნელად, მაგრამ გოგო სიახლოვეს არ იკარებდა.

— შენ რა ვაჟკაცი ხარ, ვაჟკაცი ქვრივის შვილია და თუ გავყვები ცოლად, იმას გავყვები, — ეუბნებოდა.

მოურავი ბევრს ეცადა გოგოს გადმობირებას და, რომ ვერას გახდა, ქვრივის შვილის დაღუპვა და თავიდან მოშორება გადაწყვიტა. მივიდა ბატონთან ერთხელ, ბევრი ემუსაიფა, ემლიქვნელა, ბევრი აქო და ბოლოს უთხრა:

— ეს ირმის ტყავი, ქვრივის შვილმა რომ მოგართვათ, მართლაც ძალიან კარგი რამ არის, მაგრამ ასე შიშვლად რომ გიკიდიათ კედელზე, არ უხდება, ამას რომ გველეშაპის ძვლების ოთახი აუშენოთ და შიგ დაკიდოთ, უფრო კარგი სანახავი იქნება და შენც უფრო სახელი და დიდება მოგემატებაო.

— დიახაც, კარგი იქნებოდა, მაგრამ გველეშაპის ჩონჩხს სად ვიშოვიო? — ჰკითხა ბატონმა:

მოურავმა ცბიერად გაიღიმა:

— მაგას რა დიდი ამბავი უნდა, შენს საბატონო მთაში ვიცი ერთი უზარმაზარი გველეშაპია, გაგზავნე შენი მონადირე ქვრივის შვილი და მოაკვლევინეო.

— მერე შესძლებსო? — ჰკითხა ბატონმა. — ვაითუ, იმ გველეშაპმა თვითონ მოკლას და მაშინ სადღა ვიშოვო კარგი მონადირეო?

თუ მონადირეა, უნდა მოკლას კიდეც, თუ არადა, უვარგისი მონადირე ან თქვენ რად გინდათ, — უთხრა მოურავმა.

ბატონს ჭკუაში დაუჯდა მოურავის ნათქვამი, დაიბარა მაშინვე ქვრივის შვილი და უბრძანა:

— ჩემს საბატონო მთაში რომ გველეშაპი ბუდობს, უწდა წახვიდე, ის მოკლა და იმისი ძვლებისაგან ერთი კარგი ოთახი ამიშენოო.

მონადირემ უთხრა:

— ბატონი ბრძანდებით, მაგრამ ჯერ დედას ვინახულებ და მერე წავალო.

ბატონმა ნება დართო, წავიდა მონადირე დედასთან და უთხრა, რაც ბატონმა დაავალა. დედა ჭკვიანი ქალი იყო და შვილს ასეთი დარიგება მისცა:

— უთხარი ბატონს, მოურავის ფულით გიყიდოს ოცი უღელი ხარ-კამეჩი, მოურავისავე ხარჯზე გამოგაყოლოს ასი კაცი მუშა, და ოთახის აშენების ხარჯებიც მოურავმა გაიღოს, თორემ გროში რომ გაერიოს ბატონისა ან სხვა ვინმესი, არ აშენდება-თქო.

დაბრუნდა ბიჭი ბატონთან და უთხრა, როგორც დედამ დაარიგა:

— გველეშაპის მოკვლას და იმისი ჩონჩხისაგან სახლის აშენებას მაშინ შევძლებ, თუ მოურავი თავისი ფულით მიყიდის ოც უღელ ხარ-კამეჩს, დამიქირავებს ას მუშას და ოთახის აშენების ხარჯსაც თვითონ გასწევსო.

ეცა პირკატა მოურავს, მაგრამ სად წაუვიდოდა ბატონის ნება-სურვილს, იყიდა იმავე დღეს ოცი უღელი ხარ-კამეჩი, დაუქირავა ოცი მეურმე, ასი მუშა და ქვრივის შვილს ჩააბარა. ქვრივის შვილმა მუშებიც ურმებზე დასხა და გაუძღვა საბატონო მთისაკენ. მივიდნენ იმ ადგილზე, გველეშაპი სადაც ბუდობდა. ქვრივის შვილმა მუშები და მეურმეები უშიშარ თავშესაფარში შერეკა, თვითონ მშვილდ-ისარი და ხმალ-კაპარჭი მოიმარჯვა და გველეშაპის მოსაკლავად წავიდა.

გველეშაპი ერთ ვაკე სერზე გაწოლილიყო, მზეს მიფიცხებოდა და ნებივრად თვლემდა. ისეთი გრძელი იყო, რომ ირგვლივ შემოვლა კაცს დაღლიდა. ქვრივის შვილმა შორიდანვე შეასწრო თვალი და ფრთხილად წაეპარა. შეურჩია მარჯვე ადგილი, სტყორცნა ისარი და ერთი ყურის ძირი-

დან მეორეში გააგდებინა. გველეშაპმა მხოლოდ ერთი ამოიქშინა და უსულოდ გაიშხლართა.

ქვრივის შვილმა დაუძახა მუშებს და გველეშაპისათვის ხორცის გაცლა უბრძანა, — ისე უნდა გააცალოთ, რომ ძვალს ერთი ჩიჩქიც არ შერჩესო. დაადგნენ მუშები—ასი კაცი. მეურმეებიც მიეშველნენ და სამი დღე და ღამე აჭრეს ლეში, ხორცით ყვავ-ყორნები და ტურა-მგლები გაახარეს, ჩონჩხი კი სახსრებზე დაშალეს, დაუდეს ოც ურემზე და ბატონის ეზოში ჩამოიტანეს.

ქვრივის შვილმა ბატონს უთხრა:

— ახლა მოურავმა თავისი ფულით ხელოსნები დამიქირავოს და სახლის აშენებას დღესვე შეუდგებიო.

დაიბარა ბატონმა მოურავი და უბრძანა:

— დღესვე წადი, სადაც კი ვინმე გამოჩენილი ხელოსანი გეგულება, ყველა დაიქირავე და ფულიც წინასწარ გადაუხადეო.

მოურავს ბოღმა ახრჩობდა: რისთვის ავიტეხე ეს ხათაბალაო, მაგრამ ახლა სინანული გვიანღა იყო. თვითონ ჩააგონა ბატონს გველეშაპის ჩონჩხისაგან სახლის აშენება და უარს ხომ ვეღარ იტყოდა. ადგა, შეკაზმა ცხენი და იმავე დღეს ოცამდე რჩეული ხელოსანი მორეკა. ფულიც წინასწარვე გადაუხადა.

დააყენა მუშები და ხელოსნები ქვრივის შვილმა და დააწყებინა სახლის მშენებლობა. ხშირად რაღაცას დაუწუნებდა, დააშლევინებდა და ახლიდან გააკეთებინებდა, ან შეაცვლევინებდა. ყოველ ასეთ შეცვლა-გადაკეთებაზე მუშები და ხელოსნები ცალკე ანაზღაურებას ითხოვდნენ, მაგრამ რაში ენანებოდა მოურავის ფულები! როგორც იქნა, დაასრულეს სახლის მშენებლობა, დაჰკიდეს შიგ ჭრელი ირმის ტყავი და მართლა მშვენიერი რამეც გამოვიდა.

მოურავმა მაინც არ მოისვენა. სულ იმის ფიქრში იყო, როგორ მოეშორებინა ქვრივის შვილი თავიდან, რომ შემცილებელი აღარავინ ჰყოლოდა და იმ ცუგრუმელა გოგოს თვითონ დაპატრონებოდა. გავიდა ხანი. ერთხელ მივიდა მოურავი ბატონთან და უთხრა:

— ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ცხრა მთას იქით რომ

იადონი და ბულბული ბუდობენ, ისინიც რომ ამ სახლში იყვნენ, უფრო დაამშვენებენ და შენც ხელმწიფის ტოლი სასელი და დიდება გექნებაო. — მოურავს იმედი ჰქონდა, ამსიშორე გზას ქვრივის შვილი უხიფათოდ ვერ გადარჩებოდა. — იადონს და ბულბულს სამი უზარმაზარი არწივი პატრონობდა და ისინი ცოცხალს არ გაუშვებდნენ.

— ეჰ, კარგი იქნებოდა, მაგრამ ვინ მომიყვანსო, — თქვა ბატონმა.

— როგორ თუ ვინ, — შეაგულიანა მოურავმა, — შენი მონადირე ქვრივის შვილი რას აკეთებსო?

— მერე შესძლებს კიო? — იკითხა ბატონმა,—ისე კი არ მოხდეს, რომ კარგი მონადირეც დავკარგო და ვერც იადონი და ბულბული დავისაკუთროო.

მოურავმა ცბიერად ჩაიცინა.

— უშველებელი გველეშაპი მოკლა და განა იადონისა და ბულბულის მოყვანა გაუჭირდებაო?

მართლაც არ უნდა გაუჭირდესო, — თქვა გულში ბატონმა, დაიბარა ქვრივის შვილი და უთხრა:

— უნდა წახვიდე და ცხრა მთას იქით რომ იადონი და ბულბული ბუდობენ, ისინი მომიყვანოო.

— ბატონი ბრძანდებითო, — უპასუხა მონადირემ, — ოღონდ დრო მომეცით, რომ წავიდე და დედას გამოვემშვიდობოო.

ბატონმა ნება დართო. მონადირე წავიდა დედასთან და ჰკითხა:

— ჩემი ბატონი ცხრა მთას იქით მგზავნის იადონისა და ბულბულის მოსაყვანად და როგორ მოვიქცეო?

— ეგ სულ იმ სულძაღლი მოურავის ბრალიაო,—უთხრა დედამ და დაარიგა,—ახლა მიდი ბატონთან და უთხარი: მოურავის ფულით გიყიდოს ოცი თეთრი ხარი, ოცი—წითელი და ოციც—შავი. ისიც უთხარი, რომ ხარების ღირებულებაში სხვისი ან თვითონ ბატონისა გროში არ ერიოს, თორემ შენს ბრძანებას ვერ ავასრულებ-თქო. აყიდვინე ხარები, გაირეკე და წადი. სამ მთას რომ გადაივლი, თეთრი არწივი შეგხვდება, თეთრი ხარები მიეცი და გაგიშვებს. კიდევ სამ მთას რომ გადახვალ, წითელი არწივი დაგხვდება და იმას წითელი ხა-

რები მიეცი, ხოლო მეცხრე მთასაც რომ გადახვალ, იქ შავი არწივი დაგიხვდება და შავი ხარებიც იმას მიეციო.

დაბრუნდა ბიჭი ბატონთან და, როგორც დედამ დაარიგა, სამოცი ხარი მოსთხოვა, ისიც უთხრა, რომ ხარები თუ სულ მოურავის ფულით არ იქნება ნაყიდი, ბრძანებას ვერ შეასრულებო.

დაიბარა ბატონმა იმავ წამს მოურავი და უბრძანა:

— დღესვე შენი საკუთარი ფულით იყიდე სამოცი ხარი — ოცი თეთრი, ოცი — წითელი და ოციც შავი და საჩქაროდ აქ მომირეკეო.

მოურავს ამის გაგონებაზე მუხლი მოეკვეთა, მაგრამ თავს იქით ძალა არ ჰქონდა. წავიდა, იყიდა სამოცი ხარი და მოურეკა. წაასხა მონადირემ ხარები და გაუდგა გზას.

გადაიარა სამი მთა და ერთი ვიწრო ველში გავიდა. ირგვლივ სიწყნარეა, ჩამიჩუმი არ ისმის, მხოლოდ მზე ანათებს და ჩიტები ჟღურტულებენ. „სად არის არწივი?“— ქვრივის შვილმა ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ციდან უცბად მეხის გრგვინვასავით ხმა გაისმა. შესდა ქვრივის შვილმა და თავზარი დაეცა: უზარმაზარ თეთრ არწივს ფრთები გაეშალა, პირდაღებული დედამიწისაკენ მოჰქროდა და მთელ მთა-ბარს აბნელებდა. მოვიდა ახლოს და მონადირეს შეუტია:

— ჩემი შიშით აქ ლომსა და ვეფხვს ვერ გაუვლია და შენ როგორ გაბედე, რომ მთელი ნახირი შემოგირეკიაო?!

— აი, ეს თეთრი ხარები შენთვის მოვრეკე და რაღად მიწყრებიო? — შეაგება ქვრივის შვილმა და არწივიც დაუტკბა. მივიდა სულ ახლოს, ფრთები შემოიკეცა და ჰკითხა:

— ასი წელია, რაც აქა ვარ და ჩემთვის ჯერ ერთი წიწილაც არავის მოურთმევია, შენ კი ვინა ხარ ასეთი გულუხვი, რომ ოცი მსუქანი ხარი მაჩუქეო?

ქვრივის შვილმა უამბო, ვინც იყო და რა საქმეზედაც მიდიოდა, თან რჩევაც ჰკითხა: — რა ვქნა, როგორ ვიგდო ხელთ იადონი და ბულბულიო?

— მეექვსე მთას რომ გადაივლი, იქ ჩემი უფროსი და დაგხვდება და მაგის პასუხს ის გეტყვისო, — უთხრა თეთრმა არწივმა. გამოიძრო ერთი ფრთა და მისცა, — როცა კი

ძალიან გაგიჭირდეს, მახსენე და იმავ წამს შენთან გავჩნდები.

გამოემშვიდობა მონადირე თეთრ არწივს, გაირეკა დარჩენილი ორმოცი ხარი და გაუდგა გზას. მეექვსე მთა რომ გადაიარა, ცოტა უფრო მოზრდილ ველში გავიდა. უცბად თითქოს ცამ დაიქუხა — გამოჩნდა ფრთების ტყლაშუნით წითელი არწივი და არემარე სულ ქარიშხალში გაახვია. დაჰკივლა ქვრივის შვილს:

— ჩემი შიშით აქ ლომიც ვერ გაიჭაჭანებს და შენ როგორ გაბედე შემოსვლა და ნახირის შემორეკვაო?

— რად მიწყრები, — შეაგება მონადირემ, — თუ მოვრეკე შენთვის მოვრეკეო, — გადაურჩია წითელი ხარები და უთხრა, — აი ეს წითელი ხარები სულ შენი საჩუქარი იყოსო.

არწივს გაუხარდა ძღვენი და ქვრივის შვილს უკვე დანდობით შეხედა. უთხრა:

— ასოცი წელია, რაც აქ ვიმყოფები და ჯერ ჩემთვის წიწილიც არავის მოურთმევიაო, შენ კი რა ხარ, ვინა ხარ, რომ ოცი ხარი მაჩუქე და სამაგიეროსაც არაფერს ითხოვო?

მაშინ ქვრივის შვილმა აუხსნა თავისი გასაჭირი და არწივმა უთხრა:

— ის მგალობელი იადონი და ბულბული ერთ მიუვალ კლდეში სხედან, ის კლდე წამში იღება და იხურება, იქ შეფრენა და უკან გამოფრენა მხოლოდ ჩვენს უფროს დას შეუძლია. აქედან რომ სამ მთას გადაივლი, ის ჩვენი და იქ დაგხვდება, სთხოვე და უსათუოდ გამოგიყვანსო.

ქვრივის შვილმა მადლობა გადაუხადა და გამოემშვიდობა, გამომშვიდობებისას წითელმა არწივმა გამოიძრო სამახსოვრო ფრთა და მისცა,—სადაც გაგიჭირდეს, მახსენე და იმავ წამს შენთან გავჩნდებიო.

გაირეკა ბიჭმა დარჩენილი ოცი შავი ხარი და წავიდა. გადაიარა სამი მთა და ერთ უზარმაზარ მინდორში გავიდა. იხედება ქვრივის შვილი აქეთ-იქით, მაგრამ არაფერი ჩანს, არც ხმა ისმის. უცბად ატყდა ერთი გუგუნ-გრიალი და წამოვიდა შავი არწივი გაშლილი ფრთებით და ღია ნისკარტით, გამოვიდა მინდორზე და ქვრივის შვილს მუქარით დაჰკივლა!

— აქ ჩემი შიშით ლომის ჯოგს ვერ გაუვლია და შენ რა ხარ ასეთი, რომ მთელი ნახირი შემოგირეკია და უნებარ-თოდ აბალახებო?

— ეს ხარები სულ შენთვის მოვრეკეო, — უთხრა ბიჭმა, არწივი დაცხრა და ჰკითხა:

— ასორმოცი წელია, რაც აქა ვარ და ჩემთვის ჯერ ძღვენი არავის მოუტანია, შენ რაკი ასეთი დიდი საჩუქარი მომართვი, ჩანს რაღაც გიჭირს, მითხარი და, რაც შემიძლია, თავს არ დავზოგავო.

ბიჭმა უთხრა თავისი გასაჭირი. არწივმა მაშინვე ფრთები გაშალა, აიჭრა ცაში და ბიჭს ჩამოსძახა:

— აქ დამიცადე და იმ ბულბულს და იადონს დღესვე მოგიყვანო.

მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ არწივმა ისევ მოაბნელა მთა და ბარი და ბიჭს დატყვევებული მგალობლები ჩააბარა. ერთი სამახსოვრო ფრთა გამოიძრო, მისცა ბიჭს და უთხრა:

— სადაც კი გაგიჭირდეს, ამოიღე, მახსენე და ერთ წამში შენთან მოვფრინდებიო.

გადაუხადა ქვრივის შვილმა მადლობა, წამოასხა იადონი და ბულბული და წამოვიდა. ცხრა დღე და ღამეს დაუსვენებლად იარა, გადმოლახა უკანვე ცხრავე მთა და მოვიდა ბატონის სახლში, რა თქმა უნდა, იადონი და ბულბულიც მოიყვანა. შესხეს იადონი და ბულბული გველეშაპის ჩონჩხისაგან აშენებულ კოშკში და მაყურებელი ხალხიც მოიწვიეს. იადონმა და ბულბულმა დაიწყეს ტკბილი გალობა, აქეთ ირმის ტყავი ბრჭყვიალებდა, იქით მგალობლები სტვენდნენ! მართლაც, რომ ტურფა რამ სანახავი იყო! ბატონი ცაში დაფრინავდა სიხარულით, მაგრამ მოურავს კი გული ბოღმით ევსებოდა.

მაყურებელი ხალხი რომ წავიდ-წამოვიდა, მოურავმა ბატონი დაიმარტოხელა და უთხრა:

— ახლა ყველაფრით ხელმწიფის ტოლი კაცი ხარ, მაგრამ ზღვაში რომ ბროლის კოშკი დგას და შიგ ერთი მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს, ის ქალიც რომ მოიყვანო და ცო-

ლად დაისვა, მაშინ ამქვეყნად ვეღარც ერთი ხელმწიფე ვეღარ შეგედრებაო.

ბატონს ახლაც ჭკუაში დაუჯდა მოურავის ნათქვამი და იკითხა:

— განა ჩემი მონადირე ქვრივის შვილი იმის მოყვანასაც შესძლებსო?

— სადაც გველეშაპი მოკლა და იადონი და ბულბული მორეკა, არც ეგ საქმე გაუჭირდებაო, — შეაგულიანა მოურავმა.

დაიბარა ბატონმა ისევ მეორე დღეს ქვრივის შვილი და უბრძანა:

— ამა და ამ ზღვაში ბროლის კოშკი დგას. კოშკში ერთი მზეთუნახავი ქალი ცხოვრობს, უნდა წახვიდე და მკვდარი ხარ, თუ ცოცხალი ის ქალი ცოცხლად მომგვაროო.

მონადირე, რა თქმა უნდა, დათანხმდა, ოღონდ სთხოვა, დრო მომეცი, რომ წავიდე და დედას გამოვემშვიდობოო. ბატონმა მისცა დრო. ბიჭი წავიდა დედასთან, უამბო რაც დაავალა ბატონმა და რჩევა ჰკითხა. დედამ უთხრა:

— ბატონს მოსთხოვე მოურავის ფულით ნაყიდი ორი მფრინავი რაში და ერთი აქლემი. ისევ მოურავისავე ფულით აყიდვინე ერთი აქლემის საპალნე სულ ძვირფასი ფარჩა-ატლასი და აჰკიდე აქლემს. წაიყვანე აქლემიც და ის ორივე რაშიც. ზღვის პირას იმ გრძნეული ქალის და ცხოვრობს, ფარჩა-აბრეშუმი სულ იმას მიართვი და იმან თვითონ იცის, როგორც დაგეხმარებაო.

დაბრუნდა ბიჭი ბატონთან და მოსთხოვა ორი მფრინავი რაში, ერთი ძვირფასი ფარჩა-ატლასებით დატვირთული აქლემი და თან გააფრთხილა:

— ოღონდ ყველაფერი მხოლოდ მოურავის ფულით უნდა იყოს ნაყიდი, თორემ დავალებას ვერ შევასრულებო.

დაიბარა ბატონმა მოურავი და უბრძანა:

— დღესვე იყიდე ორი მფრინავი რაში, ერთი აქლემი და იმ აქლემის საპალნე ძვირფასი ფარჩა-აბრეშუმი. იყიდე მხოლოდ შენი ფულით. სხვისა ერთი გროშიც არ შეურიო, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

მოურავმა უკანასკნელი გროშები ამოყარა საფულედან

და რაც ბატონმა უბრძანა, ყველაფერი იყიდა. რა თქმა უნდა, ამდენი ზარალი გულს უკლავდა, მაგრამ თავს იმით იიმედებდა, რომ ის გრძნეული ქალი ქვრივის შვილს ცოცხალს აღარ გამოუშვებს და გლეხის ცუგრუმელა გოგო მე დამრჩებაო.

მაგრამ მოურავი ამჯერადაც მოტყუვდა. წაიყვანა ქვრივის შვილმა ფარჩააკიდებული აქლემი და პირდაპირ გრძნეული ქალის დას მიაყენა კარზე. მიართვა ქალს ძვირფასი საჩუქარი და მისვლის მიზეზი და გასაჭირიც შესჩივლა. ქალმა უთხრა:

— რაკი ამდენი ძღვენი გაიმეტე ჩემთვის, ვალში არც მე დაგრჩები: ჩემი და შუაღამისას ყოველ ღამე ჩემთან გამოდის და ვახშამს აქ მიირთმევს. დღესაც გამოვა, შენ დაიმალე, ვახშამზე მე ძილის წამალს შევაპარებ და დავაძინებ. მაშინ ორივემ გავთოკოთ და დავაკრათ რაშს. ოღონდ ძალიან ჩქარა უნდა ატარო, თორემ თუ გზაში გაეღვიძა, თავს აიწყვეტს და ცოცხალი ვეღარ გადაურჩებიო.

დამალა ქალმა ქვრივის შვილი და დის მოლოდინში ვახშმის სამზადისს შეუდგა. შუაღამემ რომ მოატანა, გრძნეული დაც მოვიდა. ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, რომ სულ მზესავით ანათებდა. გადაიძრო ოქროთი მოსირმული მოსასხამი და დას უთხრა:

— დაო, ადამიანის სუნი მომდის, იცოდე, ღალატი არ იყოს, თორემ ცოცხალი ვერ გადამირჩებიო.

დამ შეჰფიცა, აქ კაციშვილს რა უნდაო, და სუფრა გააწყო. მოუსხდნენ დები სუფრას და ერთმანეთში საუბარი გააბეს. ბიჭი სახლის ბნელ კუნჭულში იჯდა და დებს სულგანაბული გამოჰყურებდა. გრძნეულმა დამ წყალი მოითხოვა, მეორე და წამოდგა, თუნგით მოურბენინა და თან ჩუმად შიგ ძილის წამალი ჩაურია. გრძნეულმა დალია წყალი და მაშინვე ძირს გაიშოტა.

გამოვიდა სამალავიდან ქვრივის შვილი. ქალს ხელ-ფეხი გასანთლული აბრეშუმის თოკით შეუკრეს და ერთ-ერთ რაშზე დააკრეს. ქვრივის შვილი მეორე რაშზე თვითონ შეჯდა და გაუდგა გზას ბატონის სახლისაკენ. ის იყო, მიაწია კი ბატონის სამფლობელოს, რომ ქალს უცბად გამოეღვიძა.

ერთი საშინლად დაიწივლა, მიგლიჯ-მოგლიჯა თოკები და უკანვე გამოიქცა.

დაღონდა ბიჭი ძალიან, რომ ამდენმა შრომა-ტანჯვამ ტყუილად ჩაუარა. უცბად დაძმობილებული არწივები მოაგონდა, ამოიღო მათი ფრთები და ახსენა. სამივენი იმავ წამს იქ დაიბადნენ და ჰკითხეს — რა გაგჭირვებიაო?

ბიჭმა უთხრა, რაც უჭირდა, და არწივებმაც აღარ დაახანეს, გაშალეს ფრთები, ქალს შუა გზაშივე წამოეწივნენ და შებოჭილი უკანვე მოუყვანეს.

ქალმა უთხრა ქვრივის შვილს:

— რაკი ამდენი შეგძლებია, რომ ეს არწივებიც შენს მხარეზე არიან, მეც შენი მშველელი ვიქნები, მიმიყვანე შენს ბატონთან, ბატონისა და მოურავის ჯავრს ამოგყრი და შენ შენს ბედს ეწიეო.

ამის შემდეგ ქალი უკვე თავისით გამოჰყვა და მოვიდნენ ბატონის სახლში. ბატონმა რომ მზეთუნახავი ქალი დაინახა, სიხარულით მთლად გადაირია, მოურავს კი გულს შემოეყარა, მაგრამ ერთიც და მეორეც ნაადრევად წუხდნენ და ხარობდნენ. ქალი შივიდა ბატონთან და ჰკითხა:

— რა გინდა, რატომ მოაყვანინე ჩემი თავიო?

— ცოლად უნდა დაგისვაო, — მიუგო ბატონმა.

— მე ვინ მომიყვანაო? — იკითხა ქალმა.

— ჩემმა მონადირემაო — მიუგო ბატონმა.

— ეს გველეშაპის ძვლების სახლი ვინ ააშენაო? — კვლავ ჰკითხა ქალმა.

— ჩემმა მონადირემაო. — ბატონმა მიუგო.

— ეს იადონი და ბულბული ვინ მოიყვანაო?

— ჩემმა მონადირემაო.

— ეს ირმის ტყავი ვილამ მოიტანაო?

— ეგეც ჩემმა მონადირემაო.

— მაშ, შე ოხერო და მუდრეგო, აქ ყველაფერი ამ მონადირეს გაუკეთებია და შენ რა ხელი გაქვსო? — უთხრა საბოლოოდ ქალმა, შეუბერა სული და ბატონი და მოურავი კოლოებად აქცია. ერთი კოღო აქეთ გაფრინდა წუილით, მეორე იქით. რაკი ესენი მოიშორა ქალმა, ბატონის მთელი სახლ-კარი და ქონება-ცხოვრება ქვრივის შვილს დაულო-

ცა, უსურვა ბედნიერი ცხოვრება, გამოემშვიდობა და თავის ბროლის კოშკში დაბრუნდა.

ქვრივის შვილმა მოიყვანა ცოლად გლეხის კოხტა გოგო, ქვრივი დედა ბატონის სასახლეში გადმოიყვანა და მართლაც ბედნიერი ცხოვრება დაიწყო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ჭატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხელმწიფე — მონადირე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი სასელგანთქმული მონადირე. ჰყავდა ცოლი და ძუძუთა ბიჭი. მონადირე ყოველდღე ტყეში დადიოდა და ბევრ ნადირ-ფრინველსაც ხოცავდა. ნანადირევს ნაწილს შინ იტოვებდა, ნაწილს ყიდდა და ოჯახს დაუყვედრებელ ლუკმას აჭმევდა. ცხოვრობდა ტკბილად პატარა ოჯახი, მაგრამ დაუნდობელმა წუთისოფელმა ბედნიერება დიდხანს არ შეარჩინა, ერთ დღეს მონადირე გარდაიცვალა და ოჯახის მთული სიმძიმე ახალგაზრდა ქალს დააწვა.

ქალი არ დაიბნა, სახლში ფრინველი და საქონელი გაიჩინა და ობლის გაზრდას შეუდგა. ბიჭი ჯანსაღი და ღონიერი იზრდებოდა, ერთი თვისა ერთი წლისას ჰგავდა, ერთი წლისა — ათი წლისას და ჭამაც ისეთივე უნდოდა. მარტოხელა დედას სულ უფრო უჭირდა შვილის შენახვა და სულ იმის ნატვრაში იყო, ჩქარა გაიზარდოს და თავისი თავი თვითონ არჩინოსო. მართლაც, გახდა თუ არა თხუთმეტი წლისა, დედას ჰკითხა:

— მამაჩემი რა ხელობის კაცი იყოო?

— მონადირე იყოო, — მიუგო დედამ.

— მაშ, მეც მონადირე უნდა გავხდეო, — თქვა ბიჭმა, კედლიდან მამისეული თოფ-სასწრაფო ჩამოიღო და სანადიროდ წავიდა. პირველ წასვლაზევე ხელიღბლიანად ინადირა და ამით წათამამებულს თოფი ხელიდან აღარ გაუშვია. ყოველდღე მიდიოდა ტყეში, მიჰქონდა ნანადირევი და დედასაც და თავის თავსაც გაუჭირვებლად ინახავდა.

ერთხელაც ჩვეულებრივ წავიდა ტყეში სანადიროდ, იარა

მთელი დღე, მაგრამ ვერაფერი მოკლა. ხელმოცარული ბოლოს ერთ ყვავილნარით შემკულ ველში გავიდა. ველში ერთი ლამაზი შველი ბალახობდა. ბიჭს გაუხარდა შვლის დანახვა, იფიქრა, ამას მაინც მოვკლავო და თოფი ესროლა. შველი ფეხში დაიჭრა და კოჭლობით შევარდა ტყეში. ბიჭი გაეკიდა იმ იმედით, დაჭრილია, და შორს ვერ წავაო.

მიკელანობს შველი და მისდევს ბიჭიც უკან, ტყეში შველი ხან გამოჩნდება, ხან თვალს მიეფარება. ბოლოს ერთ კლდეს მიადგა და გამოქვაბულში შევარდა. ბიჭიც ფეხდაფეხ მიჰყვა, მივიდა გამოქვაბულთან, უნდა შეჰყვეს შიგ, მაგრამ უცბად თვალნაკრავივით შეჩერდა: გამოქვაბულში ერთი მზეთუნახავი ქალწული იჯდა. შველს ნატყვიარ ფეხს უხვევდა და თან გაჯავრებული ხმამაღლა იწყევლებოდა:

— ნეტა ვის გაუხმა ხელი, რომ შენ სასიკვდილოდ გაგიმეტა? იმ არ გასასარელმა, ამ ტყეში შენს მეტი ვერავინ ნასაო? — ასეთი სიტყვებით გააგრძელა ქალმა წყევლა. ბიჭმა ითმინა, ითმინა და ბოლოს გამოეპასუხა:

— რა იყო, ქალბატონო, ასე უღმერთოდ რომ იწყევლები, მე ხომ არ ვიცოდი, რომ ეგ შველი შენი იყოო?

ქალმა მოიხედა და შეკრთა, მაგრამ როცა კარგად დააკვირდა ახალწვერულვაშაშლილ, ოცი წლის ლამაზ ჭაბუკს, მოეწონა და გული დაიმშვიდა. ჰკითხა:

— ვინა ხარ და ამ ტყეში რისთვის დადიხარო?

ბიჭმა უთხრა, ვინც იყო, ქალს უფრო მოეწონა, გვერდით მოისვა და უთხრა:

— ამ გამოქვაბულში რომ დავსახლდი, ფიცი დავდე, — ვინც პირველად მომაგნებდა და შემოვიდოდა ჩემთან, ცოლად იმას გავყვებოდი. აი, შენ პირველმა მომაგენი, პირველი შემოხვედი ჩემს გამოქვაბულში და, თუ თანახმა იქნები, ცოლად წამოგყვებიო.

ქალი მზეთუნახავი იყო და ბიჭი უარს რაზე იტყოდა, უკვე დროც ჰქონდა ქორწინებისა, — ოცი წელი შეუსრულდა და მშრომელი კაცის კვალობაზე, ოჯახს უნდა მოჰკიდებოდა. ის ღამე ქალთან გაათენა, მეორე დილას წამოიყვანა და მოიყვანა დედასთან. დედას უზომოდ გაუხარდა შვილის გაბედნიერება და შეძლებისდაგვარად კარგი ქორწილიც გა-

დაუხადა. დაიწყეს ერთად ცხოვრება და ერთმანეთში დიდი სიამტკბილობა ჰქონდათ, თავს სამივენი ბედნიერად თვლიდნენ, მაგრამ შეურყეველად არც ეს ბედნიერება შერჩათ. მალე სახელმწიფოში ხმა გავარდა, მავან და მავან მონადირეს ისეთი ლამაზი ქალი უზის ცოლად, რომ დღეც კი ანათებსო. ქალის ქება ხელმწიფის ყურამდეც მივიდა. ხელმწიფეს შური აღეძრა და ქალის ხელში ჩაგდება განიზრახა. დაიბარა ერთ დღეს მონადირე და უბრძანა:

— უნდა წახვიდე და გორშელმის ტყიდან შეშა მომიტანოო.

გორშელმის ტყე ორი ცხრათავიანი დევის საკუთრება იყო, ხელმწიფეს იმედი ჰქონდა, ბიჭს დევები შეჭამენ და ლამაზი ქალი მე დამრჩებაო.

მონადირე უყოყმანოდ დათანხმდა, — მოვალე ვარ, ჩემი ხელმწიფის ბრძანება შევასრულოო,—უთხრა,—ოღონდ მე ცოლი და დედა მყავს და იმათ ჩემს მეტი მარჩენალი არავინ გააჩნიათ, თუ პირობას მომცემთ, რომ სასმელ-საჭმელს არ მოაკლებთ, წავალ, თუ არადა ვერ წავალო.

ხელმწიფე დაპირდა, — შენს დაბრუნებამდე არაფერს მოვაკლებო.

ბიჭმა გამოართვა ერთი კვირის საგზალი — სამი ხარი, თორმეტი ცხვარი, თორმეტი თონე პური და თორმეტი ჩაფი ღვინო, გამოეთხოვა ცოლსა და დედას და გასწია გორშელმის ტყისაკენ. ტყეში ერთი წყარო მონახა და ბინა იქ დაიდო. დაანთო ცეცხლი, დაკლა ერთი ხარი, და გემრიელად ისადილა, მერე აიღო ცული დაერია ხეებს და სულ ლაწალუწი აუყენა.

გაიგონეს დევებმა ხეების ლაწალუწი და გაკვირვებულებმა ერთმანეთს უთხრეს: ნეტა ვინ არის, რომ ჩვენს ტყეში შემოსვლა გაბედაო? გამოვიდა ჯერ უფროსი ძმა და ბიჭს დაუძახა:

— როგორ ბედავ ჩვენს ტყეში ხის მოჭრას, არ იცი, ახლოს რომ მოვიდე, ერთ ლუკმად არ მეყოფიო?!

მონადირემ უპასუხა:

— თუ ასეთი გულადი და ღონიერი ხარ, ახლოს მოდი და ისე ვილაპარაკოთო.

გაბრაზდა დევი და გამოქანდა [illegible] იმას, რაც შენს სუ-
ბასწრო, სტაცა კისერში ცალი ხელი და თ[illegible]
მეორე ხელით წნელი მოტეხა, დაგრიხა, დევ[illegible]ა ხეობას. იარა,
და თვითონ შეშის ჭრა განაგრძო.

დაინახა ეს უმცროსმა ძმამ და ახლა ის გამოე[illegible]ნდორში. აი-
ნადირისაკენ მუქარით, მონადირემ იმასაც ისე უპ[illegible]ახლი. წავი-
ასეთი გულადი ხარ, ახლოს მოდი და მერე ვილაპარ[illegible]ი და სახ-

მოვარდა გაცეცხლებული დევი და ეცა ბიჭს. ბიჭმ[illegible]ა, დაი-
საც მოუგრიხა კისერი, თავი მიწას უხალა, დაგრიხა წნელი[illegible]ვიდა
და ისიც უფროსი დევის გვერდით მიაბა. თვითონ ისევ შე-
შის დამზადება განაგრძო.

შეშის ჭრას რომ მორჩა, დაგლიჯა უზარმაზარი ჭადრე-
ბი და მარხილი გააკეთა, მარხილზე შეშა დაუდო და შიგ
ძმები დევები შეაბა. მერე გამოსჭრა ერთი იფნის ლატანი,
დაჯდა თვითონაც მარხილზე, გადაუჭირა დევებს ზურგზე
იფნის ლატანი და ხელმწიფის ეზოში ხრიალ-გრიალით შე-
რეკა.

ხელმწიფემ რომ ეს დაინახა, თან გაკვირდა და თან ბრა-
ზისაგან ცეცხლი მოეკიდა: ერთი უყურეთ, ეს რა უქნია, მე
მეგონა დევები შეჭამდნენ, ამას კი თვითონვე დაუმორჩილე-
ბია და ხარებივით უღელში შეუბამსო.

რაღა იქნებოდა. დარჩა ხელმწიფე გაწბილებული. მონა-
დირემ თითო ლატანი კიდევ გადაუჭირა დევებს, თან გა-
აფრთხილა, — ამიერიდან კაცთაგანს აღარაფერი დაუშაო-
თო, — და ეზოდან გაყარა.

დაბრუნდა შინ მონადირე და ისევ თავის ხელობას — ნა-
დირობას მიჰყო ხელი. გავიდა დრო. ხელმწიფე მაინც ვერ
ისვენებს, უნდა, მზეთუნახავი ქალი როგორმე ხელში ჩაიგ-
დოს. მისი დასაკუთრების სურვილი დღე და ღამე არ ასვე-
წებს. ბოლოს დაიბარა ისევ ახალგაზრდა მონადირე და
უბრძანა:

— წადი იქ, არ ვიცი — სად, მოიყვანე ის, არ ვიცი — რა,
ამ დავალების შესრულებისათვის ერთი წლის ვადას გაძლევ,
და თუ ამ ხანში ვერ შეასრულებ, თავს მოგჭრიო.

მონადირე ახლაც უყოყმანოდ დათანხმდა, ან რა უფლება
ჰქონდა, რომ ხელმწიფის ბრძანება არ შეესრულებინა?

დაუხადა. დაიწყეს ერთადარუნებამდე ჩემს ცოლს და დედას სიამტკბილობა ჰქონათ. ხელმწიფე შეჰპირდა,—ჩიტის რძეთვლიდნენ, მაგრამ. — მონადირემ მოამზადებინა საგზალი ჩათ. მალე საჩუქ.

ნადირეს ისეაგრამ სად მიდის, ან რისთვის, თვითონაც არ ანათებსო. ეი ვინც კი შეხვდება, ყველას ეკითხება: ხომ არ მწიფეს შუდ ვიპოვი იმას, რაც ხელმწიფემ დამავალაო? დაიბარრა დაგავალაო? — ეკითხებიან მგზავრები.

— რა დამავალა და — ეშმაკმა რომ არ იცის იმისი თავი: „წადი იქ, არ ვიცი სად, მოიყვანე ის, არ ვიცი — რაო"?

ყველას უკვირს, მაგისთანა რამ არც ყურით გაგვიგონია და არც თვალით გვინახავსო.

გულდაწყვეტილი მონადირე კი მიდის და მიჰკეცავს გზას. საგზალი გამოელია, თავს ნადირობით ირჩენს და მიდის. ბოლოს ერთ აყრილ ჭალაში შევიდა. გაჰყვა მდინარის ნაპირს და შლამში ერთ კუს წააწყდა. მონადირემ იფიქრა,— გამიგონია, კუ ათას წელიწადს ცოცხლობს, და მოდი, ვკითხავ, იქნება იცოდეს ბაშეო. — მიუახლოვდა კუს, დაუჩოქა და შეეხვეწა:

— შენი ჭირიმე, კუვ, თუ მიშველი რამეს — შენ, თუ არადა — ვიღუპები, მალე წელიწადი შესრულდება და მე კი ჯერ ხელმწიფის დავალება არ შემისრულებიაო.

— მაინც რა დაგავალა ასეთიო? — ჰკითხა კუმ.

— ხელმწიფემ ასეთი დავლება მომცა: „წადი იქ, არ ვიცი — სად, მოიყვანე ის, არ ვიცი — რა. გზაში ვინც შემხვდა, ყველას ვკითხე, მაგრამ ვერავინ ამიხსნა, იქნებ შენ იცოდე, და, მიყავი სიკეთე, გადამარჩინე თავის მოკვეთასო.

კუმ ერთი ისეთი გადაიხარხარა, რომ ჭალამ სულ ზანზარი დაიწყო, და მონადირეს უთხრა:

— ხუთასი წელია, რაც ამ მზიან ქვეყანაზე დავიარები და ასეთი რაღაც პირველად მესმის. — მერე ჩაფიქრდა და დაუმატა, — მოიცა, მოიცა, ერთ ადგილს გასწავლი და შენს საძებარს შეიძლება იქ მიაგნო: გაჰყევი თავქვე ამ ხეობას და ერთ ტრიალ მინდორში გახვალ. მინდორში ერთ უსაძირკვლო სახლს ნახავ, არც ბოძები აქვს, არც საბრჯენები და რაღაც ძალით ჰაერში არის გაჩერებული. თუ იმ სახლში ასვ-

ლას მოახერსებ, მე მგონი, იქ იპოვნი იმას, რაც შენს სულელ ხელმწიფეს დაუვალებიაო.

გამოემშვიდობა მონადირე კუს და დაჰყვა ხეობას. იარა, იარა და ბოლოს მართლაც გავიდა ტრიალ მინდორში. აიხედა მაღლა და დაინახა ჰაერში გაჩერებული სახლი. წავიდა მონადირე ტყეში, დაგლიჯა უზარმაზარი ხეები და სახლის ქვეშ მოზიდა. როცა სამყოფი ხე-ტყე მოიმარაგა, დაიწყო კიბის კეთება. გააკეთა კიბე და ავიდა სახლში. შევიდა შიგ და ყველა ოთახი ძირისძირობამდე მოიარა. ოთახები კარგად იყო მოწყობილი, მაგრამ შიგ კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. მონადირემ იფიქრა, ეს სახლი და ამდენი ძვირფასეული უპატრონო არ იქნებაო და ერთ დიდ ოთახში ტახტის ქვეშ დაიმალა.

გავიდა ცოტა ხანი და ატყდა რაღაც ბრახაბრუხი, გაიღო კარები და ოთახში ცხრა დევი შემოვიდა. შემოუსხდნენ მაგიდას და ერთმა მათგანმა, რომელიც უფროსი იყო, დაიძახა:

— ბიჭო, კიმოთე, სადა ხარო?

— რას მიბრძანებ, ბატონო! — მოისმა ხმა, მაგრამ კაცი არსად ჩანდა.

— პურ-მარილი შემოიტანე და სუფრა გაგვიშალეო! — დაიძახა უფროსმა დევმა.

— ამ წუთას მოგართმევო! — უპასუხა ისევ უჩინარმა ხმამ.

მართლაც, ერთ წამში გაიშალა სუფრა, რა გინდა სულო და გულო, შემწვარ-მოხრაკული, ღვინო-არაყი თუ ტკბილეული. დევები ეცნენ სანოვაგეს, სვეს, ჭამეს და კარგად რომ შეზარხოშდნენ, ისევ უჩინარ კიმოთეს დაუძახეს:

— მოგვიტანე დოლი, დაუკარი, დაფა-ზურნა და ერთი კარგად ვიცეკვოთო.

მართლაც, გაჩნდა დოლი, ზურნა-დუდუკი და დევებმა დაიწყეს ცეკვა. ცეკვა-თამაშითაც რომ გული იჯერეს, დაწვნეს და დაიძინეს. მაზლის ყივილამდე ეძინათ, მერე ადგნენ და სანადიროდ წავიდნენ. დევები რომ წავიდნენ, ახალგაზრდა მონადირეც გამოძვრა ტახტქვეშიდან და დაიძახა:

— ბიჭო, კიმოთე!

— რას მიბრძანებ, ჩემო ბატონო? — მოესმა ხმა.

— აბა, ერთი კარგი სუფრა გამიწყე, მშიერი ვარო, — უთხრა მონადირემ და სუფრაც იმავ წუთს განახლდა. დაიბანა პირი ბიჭმა, მიუჯდა სუფრას და დაიძახა, — მოდი, კიმოთე, შენც დამეწვიეო.

— დაგეწვევით, ბატონოო, — მიუგო კიმოთემ.

— აბა ერთი არაყი დამისხი და შენც გადაჰკარიო, — უთხრა ბიჭმა.

კიმოთემ დაისხა არაყი და დაიწყო ჭამა. ბიჭი ხედავს, რომ სუფრა ერთ მხარეს თანდათან ცარიელდება, მაგრამ კიმოთე თვითონ არა ჩანს. ბიჭმა კიდევ უთხრა, აბა, კიმოთე, ახლა ღვინოც დაისხიო.

დაისხა კიმოთემ ღვინო და დალოცა მონადირე:

— ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს ამ სიკეთისათვის, ის დევები ლუკმა-პურს არ გაიმეტებენ ჩემთვის, შენ კი გამაძღე და ღვინოც დამალევინეო. — დალია კიმოთემ ღვინო და უთხრა, — შენ ძალიან კარგი ბიჭი ყოფილხარ და დღეიდან გვერდიდან აღარ მოგშორდები, სადაც წახვალ, მეც თან წამოგყვებიო.

მონადირე ცას ეწია სიხარულით: აი სწორედ ეს არის, რაც ხელმწიფემ დამავალა, — არ ვიცი სადა ვარ და არ ვიცი, ვინ მიმყავსო. და კიმოთეს უთხრა:

— ბარემ ახლავე წავიდეთ, თორემ ჩემი პირობის ვადა — ერთი წელი იწურება და ჩემი ხელმწიფე თავს მომკვეთსო.

წამოვიდნენ იმავე ხეობით. მონადირე კიმოთეს ვერ ხედავს და მალმალე დაიძახებს:

— კიმოთე, მოდიხარო?

— მოვდივარ, შენი ჭირიმეო! — უპასუხებს კიმოთე.

იარეს, იარეს და ბოლოს მოვიდნენ იმ ადგილზე, სადაც მონადირეს კუ შეხვდა. მივიდნენ კუსთან და მონადირემ უთხრა კიმოთეს:

— აბა, ჩემო კიმოთე, ამ კუმ დიდი სიკეთე მიყო და პატივი რომ არა ვცეთ, დიდი სირცხვილია, ერთი შენებურად დატრიალდი და კარგი მსუყე სუფრა გაგვიშალეო.

გაშალა უჩინარმა კიმოთემ ნუგბარი საჭმელ-სასმელით

სავსე სუფრა. კუმ და მონადირემ კიმოთეც ისევ მიიწვიეს და კარგა იქეიფეს. მერე მონადირემ კუს მადლობა გადაუხადა და გამოემშვიდობა.

მოდიან ისევ კიმოთე და მონადირე. მონადირე მალმალე დაიძახებს:

— კიმოთე, მოდიხარო?

— მოვდივარ, ჩემო ბატონოო! — მიუგებს კიმოთე და მონადირეც ფეხს ააჩქარებს. უხარია მონადირეს. რასაც ეძებდა, იპოვა, სიკვდილსაც გადარჩება და თავის მზეთუნახავ ცოლსა და დედასაც გაახარებს.

ერთ დღეს გზაზე ერთი კაცი შეხვდათ, გამოესაუბრნენ ერთმანეთს, გაეცვნენ და გასდნენ სამნი. მონადირე და ეს უცხო კაცი ჩანან, კიმოთე არა ჩანს. ბოლოს ერთ თვალუწვდენელ მინდორში გავიდნენ და პურიც მოშივდათ. დაისვენეს ერთ ადგილას და მონადირემ დაიძახა:

— აბა, ჩემო კიმოთე, ერთი გემრიელი სუფრა გაგვიშალეო!

იმავ წუთს გაიშალა სუფრა და მგზავრი და მონადირეც მოუსხდნენ. მგზავრი გაოცებული იცქირება აქეთ-იქით: — საიდან გაჩნდა ეს სუფრაო. მონადირემ ყველაფერი აუხსნა, მაშინ მგზავრმა ჯიბიდან ერთი კოლოფი ამოიღო და უთხრა:

— მოდი, ეგ უჩინარი კიმოთე მე მომეცი და ამ კოლოფს მოგცემო.

— რა შეუძლია მაგ კოლოფსო? — ჰკითხა მონადირემ.

— ახლავე გიჩვენებ, რაც შეუძლიაო,—მიუგო მგზავრმა, გახსნა კოლოფი, გადაატრიალა მარჯვენივ და დაიწყო ჯარმა ამოდენა. ამოდის და ამოდის ჯარი, ქვეითი და ცხენოსანი, შესაფერი თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული. გაივსო მთელი მინდორი, ტევა აღარ არის.

მონადირეს ძალიან მოეწონა კოლოფი, მაგრამ გაცვლაზე მაინც უარი უთხრა, მაშინ კიმოთემ თვითონ უჩურჩულა მონადირეს:

— ნუ გეშინია, გამცვალე და ისევ შენ დაგიბრუნდებიო.

მისცა მონადირემ კიმოთე მგზავრს და კოლოფი გამოარ-

თვა. მორჩნენ პურის ჭამას, გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და თავთავიანთი გზით წავიდნენ.

მგზავრმა და კიმოთემ კარგა მანძილი რომ გაიარეს, პური მოშივდათ. მგზავრმა უთხრა:

— აბა, კიმოთე, სუფრა გაშალეო.

კიმოთემ გაშალა სუფრა და ღვინოც ბლომად მოიტანა. მგზავრი ჭამს საჭმელს და კიმოთე ღვინოს უმარჯვებს. იმდენი ასვა, იმდენი, რომ მგზავრს თავი ჩამოუვარდა, სუფრის გვერდით გაიშოტა და ხვრინვა ამოუშვა. კიმოთესაც ეს უნდოდა, აკეცა თავისი სუფრა და მონადირეს დაედევნა. მალე დაეწია და უთხრა:

— აი, ისევ შენთან მოვედიო.

იარეს, იარეს და ბოლოს მივიდნენ მონადირის სახლში. მონადირე გადაეხვია ცოლს, დედას, გადაკოცნა და თავისი თავგადასავალი უამბო. იმ ღამეს იქ მოისვენეს, მეორე დილას კი მონადირემ კიმოთე ხელმწიფესთან წაიყვანა. ხელმწიფემ შესედა მონადირეს და დაუყვირა:

— იყავი იქ, არ ვიცი — სად, მოიყვანე ის, არ ვიცი — ვინო?!

— ვიყავი და მოვიყვანე კიდეცო, — მიუგო მონადირემ.

— აბა სად არისო? — იყვირა ხელმწიფემ.

— აი, აქა ვაროო! — დაიძახა უჩინარმა კიმოთემ და ხელმწიფეს ერთი ისეთი სილა გააწნა, რომ ტახტიდან ძირს ბრაგვანი მოადენინა. წამოხტა გამწარებული ხელმწიფე, მაგრამ კიმოთემ ახლა მეორე ყბაში შემოჰკრა და ისევ ძირს დასცა. ბოლოს თვითონაც ზედ დააჯდა და დაუწყო უმოწყალო ცემა. განრისხებული ხელმწიფე იქნევს ხელებს, მაგრამ რას გახდება უჩინარ კაცთან. ბოლოს ძალიან რომ შეწუხდა ხელმწიფე, მონადირეს სთხოვა:

— ოღონდ მომაშორე ეს რაღაც უჩინარი, ნუ მომკლავს და ტახტსა და სახელმწიფოსაც შენ მოგცემო.

მონადირემ კიმოთეს უთხრა, ეყოფაო, და კიმოთეც შეეშვა ხელმწიფეს. ხელმწიფემ დანაპირები შეასრულა და ტახტი და სახელმწიფო იმავ დღეს მონადირეს გადაულოცა. მონადირემ დედა და მზეთუნახავი ცოლიც სასახლეში გადმოიყვანა და დაიწყო ტკბილი ცხოვრება. უჩინარი კიმოთეც სულ

გვერდით ჰყავდა და, როცა კი მოუნდებოდა, გემრიელ სუფრას აშლევინებდა.

მაგრამ ლამაზი ცოლის პატრონს ხიფათი არ გამოელევა. გავიდა ხანი და ახლა მეზობელი ხელმწიფე წაედავა, — ეგ შენი მზეთუნახავი ცოლი ან ნებით დამითმე, ან არადა, შემოგესევი ჩემი უძლეველი ჯარით და ძალით წაგართმევო. ხელმწიფე — მონადირემ დაუძახა კიმოთეს და ჰკითხა:

— როგორ მოვიქცეო?

— როგორ მოიქცე და, ძალას ძალა უნდა შეაგებო, — უთხრა კიმოთემ. — შეკრიბე ჯარი და მომზადებული დაუხვდი, სოლო თუ მაინც გაგიჭირდა, ჯადოსნური კოლოფი ხომ ხელთა გაქვს, ერთი გადაატრიალე და იმდენი ჯარი ამოვა, რომ მთელ ქვეყანას წალეკავსო.

დაუჯერა ხელმწიფე—მონადირემ კიმოთეს და მოძალადე მეზობელს შეუთვალა:

— ნებით არ გაძლევ ცოლს და თუ ვაჟკაცი ხარ, ძალით წაიყვანეო.

განრისხდა მეზობელი ხელმწიფე და გამოემართა დიდძალი ჯარით. ხელმწიფე—მონადირემ და კიმოთემ გადაატრიალეს მარჯვნივ კოლოფი და ერთ წუთში მთელი მთა და ბარი შეიარაღებული ჯარით გაივსო. მეთაურებმა მეზობელი ხელმწიფის ჯარს საზღვრის გადმოლახვაც არ აცალეს, თვითონ შეიჭრნენ მის მიწა-წყალზე და მთელი სახელმწიფო ნაცარ-მტვრად აქციეს. დამარცხებულმა ხელმწიფემ თავს გაქცევით უშველა, მაგრამ კიმოთე უჩინარი მალე წამოეწია, სწვდა კისერში და დატყვევებული თავის ხელმწიფეს მიჰგვარა. ტყვე ხელმწიფემ დაუჩოქა ხელმწიფე—მონადირეს და შეეხვეწა:

— ოღონდ ეს ერთი შეცდომა მაპატიეთ, სიცოცხლე შემინარჩუნეთ და ამიერიდან თქვენზე ძვირს გულშიც აღარ გავივლებო.

ხელმწიფე—მონადირემ აპატია დანაშაული და გაუშვა. შემდეგ კიმოთე-უჩინარმა უთხრა ხელმწიფე — მონადირეს:

— უბრძანე სარდლებს, რომ ჯარი დასხან და ერთი მდიდრულად გავუმასპინძლდეთო.

დასხეს სარდლებმა თავ-თავიანთი ჯარები. ჩამოუარა

კიმოთე უჩინარმა და ყველა ჯარის წინ მდიდრული სუფრა გააწყო. სამი დღე და ღამე აქეიფეს ჯარი და სარდლები, მერე გადაატრიალეს კოლოფი მარცხნივ და ისევ შიგ ჩაალაგეს.

ამ დღიდან ხელმწიფე — მონადირეს ვეღარც ერთი ხელმწიფე ვეღარ უბედავდა ძალადობას, თავის ერთგულ კიმოთესთან ერთად მშვიდად და უხიფათოდ ცხოვრობდა და სახელმწიფოსაც გონივრულად მართავდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



ორი ფალავანი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ერთი დევკაცა ფალავანი. დევკაცას იმიტომ ეძახდნენ, რომ სახე კაცისა ჰქონდა და ტანი კი დევისა — ჯაგრითა და ბალნით შემოსილი, აღნაგობითაც დევს უფრო ჰგავდა. ისეთი ღონიერი იყო, რომ მთელს სახელმწიფოში იმისი მომრევი არავინ მოიპოვებოდა. ხელმწიფე ძალიან ამაყობდა თავისი უძლეველი ფალავნით, მაგრამ ხელმწიფეთა გული ხარბია, და კიდევ უკეთესი უნდოდა. ქვეყნად მჯობზე მჯობს რა გამოლევსო, თქვა ერთხელ და ვეზირები სხვადასხვა სახელმწიფოში დაგზავნა, — დაიარეთ დედამიწის კიდე-განი და ჩემი ფალავნის მომრევი კაცი მომინახეთ. თუ იპოვით, წამოიყვანეთ და დიდად დაგასაჩუქრებთ, იმ კაცს კი ჩემ ფალავნად დავნიშნავ და გავაბედნიერებო.

წავიდნენ ვეზირები, დაიარეს მთელი ქვეყანა, მაგრამ დევკაცის დამჭიდებელი ფალავანი ვერსად მოხვლეს. ყველა სასელგანთქმული ფალავანი ამას ამბობდა: თავი კი არ მომძულებია, იმ ალქაჯთა ნაშიერს დავეჭიდოო. ის იყო, გულდაწყვეტილი ვეზირები უკან უნდა დაბრუნებულიყვნენ, რომ გზაზე ერთი მენახირე დაინახეს. ნახირში ორი ბუღა კამეჩი დაჭიდებულიყო და აღარ შველდებოდნენ. მენახირე მივიდა, დასტაცა ხელი კამეჩებს კისრებში და ერთი აქეთა მორევში გადაისროლა, მეორე — იქითა მორევში.

ვეზირებმა თვალები ჭყიტეს: იქნებ ამან მაინც გაბედოს დევკაცთან ჭიდაობაო. მივიდნენ ახლოს და სახელი ჰკითხეს. მენახირეს ტეტია ერქვა და ისეთი დაფლეთილ-დაგლეჯილი

ტანსაცმელი ეცვა, კაცისაგან არ შეისედებოდა. მაგრამ ვეზირები რას დაეძებდნენ, ოღონდ დევკაცთან მოჭიდავე კაცი ეშოვათ, რომ ხელმწიფის საყვედური აეცილებინათ და სხვა არაფერი უნდოდათ. უთხრეს ვეზირებმა:

— ასე და ასეა ჩვენი საქმე, დევკაცთან მოჭიდავე კაცს ვეძებთ და ხომ არ წამოხვალო?

— წამოვალ კიდეც და იმ თქვენს დევკაცს ცალი ხელით ვათამაშებო, — მიუგო ტეტია მენახირემ.

წამოიყვანეს გახარებულმა ვეზირებმა და მოჰგვარეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ ჰკითხა: — რას იზამ, ეჭიდები ჩემს დევკაც ფალავანს, თუ ვერაო?

— რატომაც არა, — მიუგო ტეტიამ, — თქვენი დევკაც-ფალავანი ვინ ოხერია, რომ ვერ დავეჭიდო, ოღონდ ერთ თვეს დამასვენეთ, კარგად მაჭამეთ, კახური საფერავი მასვით და მერე მე ვიციო.

ხელმწიფემ ბრძანა, — ახლავე ტანსაცმელი გამოუცვალეთ, დაბანეთ, გაასუფთავეთ, ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები მიართვით და არც თავანკარი კახური მოაკლოთო.

ტეტიამ დაიბანა, გასუფთავდა, დალაქთან თმა-წვერი გაიკეთა, ჩაიცვა ხელმწიფის გამოგზავნილი ჩოხა-ახალუხი და ისეთი ბიჭი დადგა, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა. ერთი თვე სულ სმა-ჭამასა და ნებივრობაში გაატარა და უფრო დამშვენდა, თვის თავზე კი წარუდგა ხელმწიფეს და მოახსენა:

— მზადა ვარ დავეჭიდო და გამომიყვანეთ ის თქვენი სანაქებო დევკაც-ფალავანიო.

ხელმწიფემ გამოიყვანა თავისი ფალავანი, ჭიდაობის საყურებლად მთელი ქალაქი შეიკრიბა და დიდი წრე გააკეთეს. გადმოვიდა წრეში დევკაცი — შავი, ბალნიანი და მძიმედ ჩაბუქნა, გადმოხტა ტეტია-მენახირე — ვარსკვლავივით ვაჟკაცი და წრეს სულ მაღლა-მაღლა ფრენით შემოუარა. დასცხო ზურნამ და მოჭიდავენიც დაიტაკნენ. დევკაცი იღლიაში შეუვარდა და წელში მოტეხა დაუპირა, ტეტია კალმახივით გაუსხლტა, დასტაცა მხრებში ხელი, მოიქნია და წრის იქით გადაისროლა. სალხმა გამარჯვებულს სიხარულის ყიჟინა

დასცა, დევკაცს „ბაი-ბუუ“ დასძახა და თავზე ქოქოლა გადაყარა, ხელმწიფემ კი ბრძანა, — დევკაცი თვალით აღარ დანენახოსო!

წამოდგა დევკაცი და, როგორც კარგი ფალავნების წესია, ძმურად გადაეხვია ტეტია მენახირეს, თან გადაკოცნა, — ვაქკაცი ყოფილხარ და ალალია შენზე გამარჯვებაო. — მერე განზე გაიყვანა და უთხრა, — ოღონდ იცოდე, ხელმწიფე სამსახურს ბოლომდე არ დაგიფასებს, მალე შენზე მჯობს მონახავს და შენც ჩემსავით მოგიშორებს თავიდან. როცა გაგიჭირდეს, ჩემი სახელი ახსენე და, როგორც ვაქკაცს, ყველაფერში დაგეხმარებიო.

დევკაცი წავიდა. ტეტია კი დარჩა სასახლეში და ახლა ის გახდა ხელმწიფის საყვარელი ფალავანი. წაუქცევს არავის უშვებდა და ხელმწიფეც ძალიან ამაყობდა. შორს გაეგარდა ხმა ხელმწიფის ახალ მოჭიდავეს, ყველას ტეტია ფალავნის სახელი ეკერა პირზე და დიდი თუ პატარა მის ქებას გაიძახოდა.

ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა და ტეტია ფალავნის ქებამ ბოლოს მის ყურამდეც მიაღწია. გოგომ მოიწადინა ახალი ფალავნის გაცნობა და თავის ძიძას სთხოვა, როგორმე მომიყვანე და მაჩვენეო. ძიძამ დახმარება აღუთქვა და ტეტია ფალავანი იმავე საღამოს ხელმწიფის ასულს გააცნო. რაინდ ბიჭს და ლამაზ გოგონას ერთმანეთი შეუყვარდა და ძიძის შუამავლობით იმ დღიდან ერთმანეთთან მიმოსვლა დაიწყეს. ხელმწიფის ასული პირველ ვეზირსაც მოსწონდა და გადაწყვეტილი ჰქონდა მისი ცოლად შერთვა. გაიგო ტეტია ფალავნისა და ქალიშვილის ამბავი და ჯავრისაგან ცეცხლი წაეკიდა, მაგრამ ტეტია ფალავანთან რაკი პირისპირ ვერაფერს გახდებოდა, ღალატით განიზრახა მისი თავიდან მოშორება.

ერთ დღეს მივიდა და ხელმწიფეს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ქვეყანა ლამაზი და მოწყობილი გაქვს, სახელი დიდი გაქვს, ხალხი მადლიერი გყავს, მაგრამ ერთი რამე მაინც გაკლიაო.

— რა მაკლიაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— სამთავიან დევს ეზოში რომ უკვდავების ვაშლი უდ-

გას, ისღა გაკლიაო, — უთხრა ვეზირმა, — ისიც რომ ბაღში ბედგეს, ქვეყნად შენზე ბედნიერი აღარავინ იქნებაო.

უკვდავების ვაშლის ხსენებაზე მეფემ ყურები ცქვიტა და ვეზირს ჰკითხა:

— მერე და, ვინ მომიტანს იმ ხეს, ვინ არის ისეთი, რომ სამთავიან დევს შეებრძოლოს და დაამარცხოსო?

— თუ მოიტანს შენი ტეტია ფალავანი მოიტანს, თორემ სხვა არავინ მეგულებაო, — უთხრა ვეზირმა.

— ვაი, რომ მომიკლას და ფალავანიც დავკარგოო?! — დაეჭვდა ხელმწიფე.

ვეზირმა ცბიერად გაიცინა და ხელმწიფეს უთხრა:

— ფალავანს კიდევ იშოვი, მაგრამ იმ ხეს ვეღარაო.

შეგულიანდა ხელმწიფე, დაიბარა ტეტია ფალავანი და უბრძანა, — უნდა წახვიდე და, სამთავიან დევს ეზოში რომ უკვდავების ვაშლი უდგას, ის მომიტანოო.

— ბატონი ბრძანდებიო, — მიუგო ტეტია ფალავანმა, შემოირტყა ხმალი და წავიდა. მაგრამ საით წავიდეს, თვითონაც არ იცის. ამ დროს მოაგონდა დევკაცა ფალავანი, გაჭირვებისას დახმარებას რომ შეჰპირდა, იფიქრა, იქნებ იმან იცოდეს იმ დევის ადგილსამყოფელიო და ახსენა მისი სახელი. დევკაცა მაშინვე იქ გაჩნდა და ჰკითხა — რა იყო, ძმობილო, რა გაგჭირვებიაო?

ტეტია ფალავანმა უთხრა, — ასე და ასეა ჩემი საქმე, ხელმწიფემ სამთავიანი დევის ბაღიდან უკვდავების ვაშლის მოტანა დამავალა და არც გზა ვიცი და არც კვალიო.

— ეგ ადვილი სამსახურიაო — უთხრა დევკაცმა და სამთავიანი დევის სახლისაკენ მიმავალი გზა აჩვენა. მერე დაარიგა, — ის დევი ძალიან ღონიერია, მაგრამ შენ ვეღარაფერს დაგაკლებს, პირიქით, რაკი მოერევი, ყმობას შემოგფიცავს, ვაშლსაც მოგცემს და ბევრ სხვა სიმდიდრესაც შემოგთავაზებს, სამაგიეროდ სიცოცხლის შენარჩუნებას მოგთხოვს, მაგრამ შენ არ შეცდე და ცოცხალი არ გაუშვა, თორემ ცბიერია და რამე ხიფათს შეგამთხვევსო. — ბოლოს ისევ დახმარებას შეჰპირდა, — თუ გაგიჭირდეს, მახსენე და წამსვე შენთან გავჩნდებიო.

ტეტია ფალავანმა მადლობა გადაუხადა დევკაცას და წა-

ვიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მიადგა სამთავიანი დევის სახლ-კარს. შევიდა ეზოში და დაინახა უზარმაზარი ვაშლის ხე, ხეს ტოტები სულ თურაშაული ვაშლით ჰქონდა ღახუნძლული. მივიდა ტეტია ფალავანი, წაჰკრა წიხლი და მთელი ვაშლი ძირს ჩამოაყრევინა. მერე მისდგა და დაუწყო ჭამა.

გამოიხედა დევმა ზედა სართულის ფანჯრიდან და თავის ეზო-კარმიდამოში უცხო კაცი რომ დაინახა, გაკვირვებულმა ჩამოსძახა:

— ვინა ხარ, დაუკითხავად ჩემს ეზოში რომ შემოსულხარ და ხილსაც მიირთმევო?

ტეტია ფალავანმა დევს ცერად შეხედა და უპასუხა:

— ძირს ჩამოდი და თავს გაგაცნობო.

ჩამოვიდა დევი ძირს და ეცნენ ერთმანეთს. გადიან და გამოდიან, ხან ერთი სჯობნის, ხან მეორე, დგას ერთი ქშენა და კბილების ხრჭიალი. ბოლოს ტეტია ფალავანმა მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე, მოიქნია დევი, ჩაფლა მიწაში ყელამდე და ხმალიც იშიშვლა. დევი შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მომკლავ და სამუდამოდ შენი ყმა ვიქნები, ვაშლის ხესაც მოგცემ და უამრავ თვალ-მარგალიტსაცო.

ტეტია ფალავანს შეებრალა დევი, მართლაც და, რა ვაჟკაცობაა, დამარცხებულის მოკვლაო, თქვა გულში და ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო. ამოგლიჯა უკედავების ხე, გაიდო მხარზე და წამოვიდა.

ცოტა მანძილი რომ გამოიარა, წინ უცებ ცეცხლის კოცონი გადაეღობა და გზა აღარ მისცა. უქცევს გზას ტეტია ფალავანი, მაგრამ თავს ვერ აღწევს — საითაც წავა, კოცონიც იქიდან გადაეღობება. რა ქნას, აღარ იცის, ცეცხლში შევიდეს — დაიწვება, არადა წინ წასვლის სახსარი აღარა აქვს. ამ დროს მოაგონდა თავისი ძმობილი და ახსენა. დევკაცა მაშინვე იქ გაჩნდა, იძრო ხმალი, შემოუქნია კოცონს და მიწაზე სამთავიანი დევის თავი კი გაგორდა.

— ხომ გითხარი, ცოცხალი არ გაუშვა, თორემ ხიფათს გადაგყრიან-მეთქი, — უსაყვედურა დევკაცამ. — ახლა კიდევ ის ორი თავი გადაგეღობება წინ და თუ მე თვითონ არ გაგყევი, შინ დაბრუნება გაგიჭირდებაო.

მიდიან დევკაცა და ტეტია ფალავანი, წინ სახიფათო არაფერი ჩანს, — გზა სწორია, ამინდი წყნარი, მაგრამ უცბად ცა მოიღრუბლა და ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ხეტყეს სულ ლაწალუწი დააწყებინა.

იძრო სმალი დევკაცამ, მოუქნია ქარიშხალს და მიწაზე სამთავიანი დევის მეორე თავი გაგორდა.

გაქრა ქარიშხალიც და გაუდგნენ ისევ გზას. მიდიან, მიდიან და უცბად წინ უზარმაზარი თოვლიანი მთა აღემართათ. მთიდან ერთი უშველებელი ზვავი მოწყდა და არემარეთან წამოიღო. საცაა, უნდა დაეცეს ტეტია ფალავანს და გასრისოს, მაგრამ დაასწრო დევკაცამ, ფალავანს წინ ჩამოეფარა, იძრო სმალი, მოუქნია ზვავს და მიწაზე დევის მესამე თავიც გაგორდა.

— ახლა გზა ხსნილი გაქვსო, — უთხრა დევკაცამ, — მაგრამ იცოდე, ხელმწიფე კიდევ რამეს დაგავალებს და, როცა გაგიჭირდეს, ისევ მე მახსენეო, — გადაკოცნეს ერთმანეთი და დაშორდნენ. დევკაცა თავის გზით წავიდა, ტეტია ფალავანი კი პირდაპირ სასახლისაკენ გამოეშურა, შეიტანა ვაშლის ხე ბაღში, ჩაჰკრა ფეხი მიწას, ჩაანგრია და დარგო. შევიდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— უკვდავების ვაშლი მოვიტანე და, როგორც მიბრძანეთ, ბაღში დავრგე, გამობრძანდით და ნახეთო.

აჩვენა ხელმწიფეს ვაშლის ხე, თვითონ კი თავისი მზეთუნახავის სანახავად წავიდა.

ხელმწიფე სიხარულისაგან აღარ იყო, რომ ფალავანიც უვნებლად დაუბრუნდა და უკვდავების ხეც დაისაკუთრა, ვეზირი კი ბოღმით აივსო, რომ მისმა ფანდმა არ გასჭრა და ტეტია ფალავანი ცოცხალი გადარჩა. ერთ დღეს ჩვეულებრივ შევიდა ხელმწიფესთან და საუბარი გაუბა, ილაპარაკეს ამ მთისა, იმ მთისა და ბოლოს უთხრა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ძალიან კარგია, რომ უკვდავების ვაშლი დაისაკუთრე, მაგრამ ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშებშებმული ალმასის ეტლიც რომ გქონდეს, უფრო კარგი იქნებოდაო.

— მერე და, სად ვიშოვო ასეთი ეტლიო? — იკითხა ხელმწიფემ.

— ეგ ეტლი ერთ ცხრათავიან დევსა აქვსო, — მიუგო ვეზირმა.

— მერე და ვინ მომიტანსო?

— ვინა და, შენი ტეტია ფალავანი. თუ სამთავიან დევს უკვდავების ვაშლი წაართვა, არც იმ დევის დაჯაბნვა გაუჭირდებაო, — მიუგო ვეზირმა.

ხელმწიფეს სიხარბისაგან კანკალი დააწყებინა: ალმასის ეტლი და ისიც ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშებშებმული! ეს სომ მთელ სახელმწიფოდ ღირდა, და იმავ წამს ტეტია ფალავანი მოიხმო.

შევიდა ტეტია ფალავანი და თავი დაუკრა, — რას მიბრძანებთო?

— უნდა წახვიდე და ცხრათავიან დევს რომ ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშებშებმული ალმასის ეტლი აქვს, ის მომიტანოო, — უთხრა ხელმწიფემ.

— ბატონი ბრძანდებითო, — მიუგო ტეტია ფალავანმა, შემოირტყა ხმალი და წავიდა. მაგრამ სად წავიდეს, რომელ მხარეს ეძებოს ცხრათავიანი დევი, — არ იცის. თუ მიშველის ის ჩემი ძმობილი დევკაცა მიშველისო, — თქვა გულში და ახსენა მისი სახელი. დევკაცა მაშინვე იქ დაიბადა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

— ასე და ასეა ჩემი საქმე, ხელმწიფემ ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშებშებმული ალმასის ეტლის მოტანა დამავალა და არ ვიცი, საით წავიდეო.

— ეგ ადვილი სამსახურიაო, — უთხრა დევკაცამ და ასწავლა ცხრათავიანი დევის სახლისაკენ მიმავალი გზა. თან ძველებურად დაარიგა, — ის დევი სამთავიანზე უფრო ღონიერია, მაგრამ პირისპირ შენი მომრევი მაინც არ არის, ოღონდ იცოდე, ცოცხალი არ გაუშვა, თორემ გზაზე ხიფათს რასმეს დაგახვედრებს და დაგღუპავსო.

ტეტია ფალავანმა მადლობა გადაუხადა და წამოვიდა. იარა, იარა და მივიდა ცხრათავიანი დევის სახლში. დევი შინ არ იყო, ალმასის ეტლით სასეირნოდ იყო წასული. ტეტია ფალავანი დაჯდა ჭიშკართან და დაუწყო ლოდინი. არ გასულა დიდი ხანი, რომ ეჟვნების წკრიალი და ცხენების

ფლოქვების თქარათქური, გაისმა და ცხრათავიანი დევიც გამოჩნდა — ეტლში ნებივრად მიწოლილიყო და ოქროს ძუაფაფრიან რაშებს მოუსტვენდა. დაინახა ჭიშკართან ტეტია ფალავანი და საზარლად დაიღრიალა:

— ვინ ხარ, რა სულიერი ხარ, რომ ჩემს სამფლობელოში შემოგიბედია, არ იცი, ცოცხალი ვერ გადამირჩებიო!

ტეტია ფალავანმა ამასაც ისევე უპასუხა:

— ახლოს მოდი და თავს გაგაცნობო.

მოვიდა დევი, გადმოხტა ეტლიდან და დაეტაკნენ ერთმანეთს, მაგრამ რა დაეტაკნენ, — დედამიწამ ზანზარი დაიწყო, ფეხით ავარდნილმა მტვერმა მზე დააბნელა და ხვნეშაქშენამ მიდამო გააყრუა. ბოლოს ტეტია ფალავანმა მაინც დასძლია, მოიკრიბა ძალ-ღონე, მოიქნია დევი და კისრამდე მიწაში ჩაფლა. გაიძრო ხმალი, რომ თავები დაეყრევინებინა, მაგრამ დევი შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მომკლავ, სიცოცხლე შემინარჩუნე და სამუდამოდ ყმად გაგიხდები, ალმასის ეტლსა და ამ რაშებსაც შენ მოგცემ და ბევრ სხვა სიმდიდრესაც დაგიმატებო.

ტეტია ფალავანს ეს დევიც შეებრალა. მართლაც და, რა ვაჟკაცობაა დამარცხებულის მოკვლაო, — თქვა გულში და ამოღებული ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო. ჩაჯდა ალმასის ეტლში, აკრიფა სადავეები და გამოსწია ხელმწიფის სასახლისაკენ.

გზა სწორი და ხალვათია, ამინდი წყნარი, მაღლიდან მზე ანათებს და ძირს ფოთლები და ყვავილები შრიალებენ. მოაქროლებს ტეტია ფალავანი დევისეულ ეტლს და არხეინად მოღიღინებს, მაგრამ უცბად სად იყო, სად არა, გზაზე მკვრივი ნისლის ფენა დაიდო და ცხენებს თვალებზე ბინდივით აეფარა. წინ, ათ ნაბიჯზე, დედამიწა გაიხლიჩა და თვალჩაუდგამი ფრიალო უფსკრული გაჩნდა. ტეტია ფალავანმა ნისლში უფსკრული ვერ დაინახა და რაშებს კვლავ წინ მიერეკებოდა, ის იყო უფსკრულში უნდა გადაცვენილიყვნენ, რომ დევკაცაც მოვარდა, სტაცა ხელი ცხენებს სადავეში და შეაჩერა. მეორე ხელით ხმალი იშიშვლა, დაჰკრა ნისლის ფენას და მიწაზე შუაგაკვეთილი ცხრათავიანი დევი კი გაგორდა. დევკაცას ეგრძნო ძმობილის დასაღუპად განწირვა

და საშველად წამოსულიყო. ხმალი ჩააგო და ტეტია ფალავანს უსაყვედურა:

— კიდევ არ გაიგონე ჩემი დარიგება? არ იცი, რომ დანდობითა და შებრალებით მტერს ვერ მოიშორებ. მე რომ დროზე არ შემეტყო და არ მოგშველებოდი, ახლა ხომ მკვდარი იქნებოდიო?

გამომშვიდობებისას კი უთხრა:

— ამის შემდეგ აღარაფერი ხიფათი არ მოგელის და მშვიდობიანად ივლი, ოღონდ იცოდე, თუ ხელმწიფე კიდევ რამეს დაგავალებს, უჩემოდ ფეხი არ გასდგაო.

ტეტია ფალავანს გზაზე მართლაც აღარავითარი ხიფათი არ შეხვედრია და ხელმწიფის სასახლემდე მშვიდობით იარა. შეიყვანა ეტლი ეზოში, ავარდა ხელმწიფესთან და მოახსენა:

— თქვენი ბრძანება შესრულებულია, გამობრძანდით და ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშებშებმული ალმასის ეტლი ჩაიბარეთო.

უნდა გენახათ ხელმწიფის სიხარული: ახტა და დახტა, ასტა და დახტა, ჩახტა ეტლში და რამდენჯერმე გააჭენ-გამოაჭენა. ჭენებით რომ გული იჯერა, ოქროს ძუა-ფაფრიანი რაშები გამოახსნევინა და ბროლის თავლაში დააბმევინა, ხოლო ალმასის ეტლი უკვდავების ვაშლის ქვეშ დააყენებინა.

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო, ხელმწიფემ ახლა უკვე თვითონ დაიბარა ვეზირი, ეტლი და რაშები აჩვენა და ჰკითხა:

— კიდევ ხომ არაფერია ქვეყნად ისეთი, რომ მე არა მქონდეს, მითხარი და ჩემს ტეტია ფალავანს დღესვე მოვატანინებო.

ვეზირსაც ეს უნდოდა, ოღონდ ტეტია ფალავანი როგორმე თავიდან მოეშორებინა და ჯოჯოხეთში გასაგზავნადაც არ დაინანებდა. უთხრა ხელმწიფეს:

— შავ ზღვაში ოქროსრქიანი ულელი კამეჩი რომ ბინადრობს, ახლა მხოლოდ ისინიღა გაკლიათ, გაგზავნეთ თქვენი ტეტია ფალავანი და მოაყვანინეთო.

საწყალ ტეტია ფალავანს თავისი საყვარელი მზეთუნახავის ნახვაც აღარ დასცალდა. იმავ დღეს დაიბარა ხელმწიფემ და უთხრა:

— წადი და შავ ზღვაში რომ ორი ოქროსრქიანი კამეჩი ბინადრობს, ისინი მომირეკეო.

რა უნდა ექნა ტეტია ფალავანს, ხელმწიფის სიტყვას ხომ ვერ გადავიდოდა, და დათანხმდა. — ბატონი ბრძანდებითო, — უთხრა, შემოირტყა თავისი ხმალი და წავიდა.

ტეტია ფალავანმა არც შავი ზღვა იცოდა და გამოსცდა თუ არა ქალაქს, მაშინვე დევკაცას სასელი ასსენა. დევკაცა წამსვე იქ დაიბადა და ჰკითხა:

— რა იყო, ჩემო ძმობილო, კიდევ რა დაგავალა ხელმწიფემო?

— რა და, შავი ზღვის ბინადარი ოქროსრქიანი კამეჩების მოყვანა დამავალაო, — მიუგო ტეტია ფალავანმა.

— ო, ეგ კი ცოტა ძნელი საქმე დაუვალებია, — უთხრა ღევკაცამ,—მაგრამ, თუ ისე მოიქცევი, როგორც მე დაგარიგებ, არც მაგის ასრულება გაგიჭირდება. ის კამეჩები ისეთი ძლიერები არიან, რომ ვერც ძესორციელი და ვერც ჯადოსული სიახლოვეს ვერ გაეკარება, მაგრამ ახლა თვითონვე უჭირთ და, თუ იმ გასაჭირიდან დაიხსნი, უდავიდარაბოდ დაგმორჩილდებიანო.

ასწავლა შავი ზღვისაკენ მიმავალი გზა და დაარიგა: საქმე ის არის, რომ ის კამეჩები მუდმივად ზღვაში ცხოვრობენ, მაგრამ რაკი ზღვის წყალი სასმელად არ ვარგა, დღეში ერთხელ წყლის დასალევად ხმელეთზეც გამოდიან. ახლა მათ სასმელ წყაროს რაღაც ბუზი დაპატრონებია და კამეჩებს წყაროზე აღარ უშვებენ — გამოვლენ თუ არა ზღვიდან კამეჩები, მაშინვე მიესევიან, დაეხვევიან ტანზე, შეუძვრებიან ყურებში, ცხვირში და მწყურვალებსავე გააბრუნებენ. შენ მიდი წყაროსთან, მონახე იმ ბუზების ბუდე და საღამოს, როცა ყველანი შიგ შეიკრიბებიან, აიღე ერთი დიდი სიპი და მაღლიდან დააფარე. დედაბუზი შეგეხვეწება, აგვიშვი და შენ არაფერს გავნებთო, მაგრამ არ დაუჯერო, თორემ მოგესევიან და თვალის დახამხამების უმალ გაგათავებენო.

წავიდა ტეტია ფალავანი და, როგორც დევკაცამ დაარიგა, სწორედ ისე მოიქცა: მივიდა წყაროსთან და ბუზების საბუდარი დაზვერა. როცა დაღამდა და ყველა ბუზმა ბუდეში დაისაღამურა, ტეტია ფალავანმა ერთი უშველებელი ლო-

დი მონახა, მოიტანა და ბუდეს მაღლიდან დააფარა. თვითონაც იქვე დაიმალა.

დილას გამოვიდნენ ზღვიდან კამეჩები და რაკი ბუზები აღარ დახვდათ, წყაროსთან უშიშრად მივიდნენ, მოიკლეს დიდი სნის წყურვილი და დაიძახეს:

— ვინა ხარ, ვინ გვიყავი ეს სიკეთე, გამოჩნდი და სიკვდილამდე შენი ყურმოჭრილი, ერთგული ყმები ვიქნებითო!

გამოვიდა ტეტია ფალავანი სამალავიდან და უთხრა, — ეს მე ვიყავი, მე მოგაშორეთ სატანჯველიო. — კამეჩები მივიდნენ და ხელები აულოკეს. ამ დროს ლოდქვეშიდან დედაბუზმა დაუძახა:

— ტეტია ფალავანო, აგვიშვი და შენ არას გავნებთ, პირიქით, აურაცხელ თვალ-მარგალიტს და სიმდიდრეს გაჩუქებთო!

— არაო, — ჩამოსძახა ტეტია ფალავანმა, — ორჯერ ვიწვნიე და მესამედ აღარ გავბრიყვდებიო, — და გამოირეკა ოქროსრქიანი კამეჩები. კამეჩები გულთმისნები იყვნენ და ხელმწიფის სასახლეს რომ მიუახლოვდნენ, ტეტია ფალავანს უთხრეს:

— შენ უკვე ჩვენი მეგობარი ხარ და არ შეიძლება ერთი საიდუმლო არ გაგიმხილოთ: შენი ხელმწიფე ხარბია, ხოლო მისი ვეზირი — შურიანი. სანამ ისინი ცოცხლები არიან, მოსვენება არ გეღირსება. ამიტომ, როცა სასახლეში მიგვიყვან, ჩვენს ნებაზე მიგვიშვი და რასაც გავაკეთებთ, ხელი არ შეგვიშალოო.

მიიყვანა ტეტია ფალავანმა ოქროსრქიანი კამეჩები და სასახლის ეზოში შერეკა. დიდი და პატარა მათ სანახავად გამოვიდა. გამოვიდნენ ხელმწიფე და მისი ვეზირიც. დაინახეს თუ არა კამეჩებმა ხელმწიფე და ვეზირი, ერთი საშინლად დაიყროყინეს, გაქანდნენ და ერთი—ერთმა და მეორე—მეორემ ალესილ რქებზე წამოიცვეს.

ტეტია ფალავანმა ხელმწიფის მზეთუნახავ ასულზე იმავ დღეს ჯვარი დაიწერა და ხელმწიფედ დაჯდა. დევკაცაც სასახლეში მოიყვანა, პირველი ვეზირის სახელო უბოძა და სახელმწიფოში ულამაზესი ქალი ცოლად შერთო. დარჩათ ყველაფერი ტეტია ფალავანს და დევკაცას—სახელმწიფოც.

უკვდავების ვაშლიც, ოქროს ძუა-ფაფრიანი ცხენებშებმული ალმასის ეტლიც, ოქროსრქიანი კამეჩებიც და თავისი სიცოცხლის დღენი ტკბილად და მშვიდობიანად გალიეს.

ჭირი — იქ იყოს, ლხინი — აქ,
ნაცარი — იმათ, ფქვილი — ჩვენ,
დღეისთვის ესეც ვიკმაროთ,
ხვალე გიამბობთ დანარჩენს.



ქალთამზე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ცოლი და ერთი გოგონა, სახელად ქალთამზე. გოგონა საოცრად ლამაზი იყო, მზესავით ანათებდა და ეს სახელიც ამიტომ დაარქვეს. მოულოდნელად დედოფალი გარდაიცვალა და დარჩა ობლად ქალთამზე. ხელმწიფემ სხვა ცოლი მოიყვანა. დედინაცვალი ლამაზი ქალი იყო, მაგრამ ქალთამზე სჯობნიდა. დედინაცვალს შური კლავდა, სულ იმის ცდაში იყო, როგორმე ლამაზი გერი დაეღუპა და ქვეყნად მოქიშპე აღარავინ ჰყოლოდა. დედინაცვალს ერთი ჯადოსნური სარკე ჰქონდა, ყოველდღე ჩაიხედავდა შიგ და ჰკითხავდა:

— ჩემო სარკეე, საჭვრეტელო,
სხვაგან კი ნუ გამამხელო,
მითხარ, ეშხით, სილამაზით,
შენ მჯობიხარ, თუ მე — შენო?

სარკე უპასუხებდა:

— შენც ლამაზი, მეც ლამაზი —
ტანი ბროლი, უსურვაზი,
შენ მჯობინი, მეც მჯობინი,
ქალთამზე კი ასლამაზი.

დედინაცვალს უარესად ცეცხლი მოეკიდებოდა. ბოლოს ვეღარ გაუძლო შურს და ერთ დღეს ხელმწიფეს უთხრა:

— თუ შენს ქალთამზეს არ მომაშორებ სახლიდან, მე შენთან გამჩერებელი აღარ ვარო.

ხელმწიფე ძალიან დაღონდა, მაგრამ ლამაზი ცოლიც არ ეთმობოდა. დაუძახა ქალთამზეს, მოეფერა, მოუალერსა და ნაზირ-ვეზირებს გადასცა, — რაც გინდათ ის უყავითო. ნაზირ-ვეზირებმა წაიყვანეს ხელმწიფის ასული და ერთ ტრიალ მინდორში გაუშვეს.

დარჩა საბრალო გოგონა მარტოკა ტრიალ მინდორში და წავიდა ბედის საძებნელად. იარა, იარა და, ტყეში ერთ მდიდრულად მორთულ სასახლეს მიადგა. თურმე ამ სასახლეში მაშრიყის ხელმწიფის შვილები — ცხრა ძმანი ცხოვრობდნენ და ყოველდღე სანადიროდ დადიოდნენ. ახლაც სანადიროდ იყვნენ, მაგრამ სახლის კარი ღია იყო. შევიდა შიგ ქალთამზე, სახლი დაგავა, დასარეცხი დარეცხა, დასაწმენდი დაწმინდა, ყველაფერი დააკრიალა, საჭმელი მოხარშა და სახლის სიღრმეში, ბნელ კუნჭულში დაიმალა.

საღამოზე მოვიდნენ ხელმწიფის შვილები და ყველაფერი რომ გაკეთებული დახვდათ, ძალიან გაუკვირდათ. თქვეს, მოდი, ხვალ ვუდარაჯოთ და გავიგოთ, ვინ არის ჩვენი კეთილისმყოფელიო.

ადგნენ დილას ხელმწიფის შვილები და, ვითომ სანადიროდ მივდივართო, სახლიდან თოფ-სასწრაფოებით აღჭურვილები გამოვიდნენ. იქვე, სახლის გვერდით ტყეში გავიდნენ და ხეებს ამოეფარნენ. ქალმა იფიქრა, ახლა კი შორს იქნებიანო, გამოვიდა სამალავიდან და ისევ სახლის დაგვადაკრიალებას შეუდგა. ძმები ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ სახლს და კარებში უცბად შეცვივდნენ. ქალთამზეს შიშისაგან ცოცხი გაუვარდა და კანკალი დააწყებინა.

— ნუ გეშინია, — უთხრეს ხელმწიფის შვილებმა, — ჩვენ ცხრა ძმანი ვართ, მაგრამ და არა გვყავს, ეტყობა, ღმერთმა გამოგვიგზავნა შენი თავი, რომ და გვყოლოდა. დარჩი ჩვენთან, ღვიძლ დასავით შეგინახავთ და შენც ღვიძლ ძმებად მიგვიღეო.

დარჩა ქალთამზე ხელმწიფის შვილებთან. ძმებმა მართლაც ღვიძლ დასავით შეიყვარეს, სულ ეალერსებოდნენ, ეფერებოდნენ, ყოველდღე მოჰქონდათ ახალ-ახალი ფარჩის

კაბები, სამკაულები და თავს ევლებოდნენ. ნანადირევიდან ყველაზე უკეთეს ნაჭრებს შეურჩევდნენ და სანამ ჭამას არ დაიწყებდა, თვითონ პირს არ დააკარებდნენ. პატივმა და კარგმა მოპყრობამ ქალი უფრო გაალამაზა და ნამდვილ ტყის ფერიას დაამგვანა. მოკლედ რომ ვთქვათ, იმაზე ბედნიერი ქალი ქვეყანაზე აღარ იყო.

ერთ დღეს დედინაცვალმა აიღო თავისი ჯადოსნური სარკე, ჩაიხედა შიგ და ჰკითხა:

— ჩემო სარკევ, საჭვრეტელო,
სხვაგან კი ნუ გამამხელო,
მითხარ, ეშხით, სილამაზით,
შენ მჯობისარ, თუ მე — შენო?

სარკემ უპასუხა:

— მეც ლამაზი, შენც ლამაზი, —
ტანი ლერწამ-უსურვაზი,
შენც მჯობინი, მეც მჯობინი,
ქალთამზე კი ასლამაზი.

დედინაცვალი გველნაკბენივით შესტა:

— რაო? ქალთამზეო? ის გომბიო ხომ სახლიდან გავაგდებინე და ტყე-ღრეში ნათრევი და ჩამომჭკნარი როგორღა მჯობიაო?

— შენ ეგრე გგონია, მაგრამ სულ ტყუილად, მაშრიყის ხელმწიფის შვილებს — ცხრა ვაჟკაცს დად უზის და ვარდივით იფურჩქნებაო, — მიუგო სარკემ.

დედოფალმა თქვა, სანამ ის მოქიშპე ცოცხალი იქნება, ვერ მოვისვენებო და სადღაც ერთი კუდიანი დედაბერი გამონახა, მისცა ერთი მოწამლული და ერთიც საღი ვაშლი და უთხრა:

— წადი, მაშრიყის ხელმწიფის შვილების სახლში, იქ ერთი ქალი დაგხვდება და ეს მოწამლული ვაშლი იმას შეაჭამე, საღი კი შენ შეჭამეო.

წავიდა კუდიანი ბებერი, იარა, იარა და მიადგა მაშრიყის ხელმწიფის შვილების სახლს. ძმები სანადიროდ იყვნენ წასული და სახლში მარტო ქალთამზე იყო, ფარჩის კაბას ქარგავდა და ნელა ღიღინებდა.

— შვილო, შორი გზის მგზავრი ვარ და ცოტახანს დამასვენეო.—ქალთამზე სიხარულით შეეგება და კარგადაც გაუმასპინძლდა. სადილის შემდეგ კუდიანმა დედაბერმა ამოიღო ვაშლები, საღი თვითონ დაიჭირა, მოწამლული ქალთამზეს გაუწოდა და უთხრა:

— შვილო, სამაგიეროს სხვა ვერაფრით გადაგიხდი, ამ ერთი ვაშლის მეტი არაფერი გამაჩნია და ეს მაინც მიირთვიო.

ქალთამზემ ხათრი ვერ გაუტეხა და ვაშლი გამოართვა. მოკბიჩა, რაღაც ლუტი გემო იგრძნო, და მაშინვე გამოაფურთხა, მაგრამ საწამლავმა მაინც იმოქმედა და ქალი გულწასული გადავარდა. ბებერს ეგონა, ეგ არის, მოკვდაო, და უკან მოუხედავად მოძურწა.

საბედნიეროდ ძმები ჩქარა მოვიდნენ და თავზარი დაეცათ. ნახეს მოკბეჩილი ვაშლი და ყველაფერს მიხვდნენ. იმ დღეს სწორედ ერთი მგელიც ჰყავდათ მოკლული, საჩქაროდ გაფატრეს მგელი, ამოაცალეს ნაღველი და დას პირში ჩაუწვეთეს. მგლის ნაღველმა შხამი მოკლა, ქალთამზემ თვალები გაახილა და ძმებს ყველაფერი უამბო. ძმები ძალიან შეწუხდნენ და გააფრთხილეს, ამის შემდეგ შინ აღარავინ შემოუშვაო.

დაბრუნდა კუდიანი დედაბერი და დედოფალს ახარა, შენი მოქიშპე საიქიოში განისვენებსო. დედოფალმა გულუხვად დაასაჩუქრა ბებერი და თვითონაც გული დაიმშვიდა.

გავიდა რამდენიმე ხანი და დედოფალმა ისევ აიღო თავისი სარკე, ჩაიხედა შიგ და ჰკითხა:

— ჩემო სარკევ, საჭვრეტელო,
სხვაგან კი ნუ გამამხელო,
მითხარ, ეშხით, სილამაზით,
შენ მჯობიხარ, თუ მე — შენო?

— მეც ლამაზი, შენც ლამაზი,—
ტანი ბროლი-უსურვაზი,
მეც მჯობინი, შენც მჯობინი,
ქალთამზე კი — ასლამაზი!

— რაო?! — შეჰკივლა დედოფალმა, — ვინ ქალთამზე, რა ქალთამზე, ის ხომ მკვდარია და როგორღა მჯობიაო?

— ტყუილად გგონია, რომ მკვდარია, — უთხრა სარკემ, — ახლაც მაშრიყის ხელმწიფის შვილების სახლშია, ცხრა ძმა უფლისწული თავს ევლება და პირზე მზე და მთვარე გადასდისო.

გაცოფდა დედოფალი, დაიბარა ის კუდიანი დედაბერი,— აკი მითხარი, შე ქოფაკო, ქალთამზე მოვკალიო? — მისდგა და ერთი გემრიელად მიბერტყა, წაართვა, რაც საჩუქრად მისცა და კინწისკვრით გააგდო. ახლა სხვა ბებერი გამონახა, უფრო კუდიანი და ალქაჯი, იმას ორი ყურძნის მტევანი მისცა, ერთი მოწამლული, ერთი საღი და უთხრა:

— წაიღე ეს მტევნები და მაშრიყის ხელმწიფის შვილების სახლში მიიტანე, იქ ერთი ქალი დაგხვდება, მოწამლული მტევანი იმას აჭამე, საღი თვითონ შეჭამე. თუ ამას შემისრულებ, უხვად დაგასაჩუქრებო. წავიდა ჯადოქარი დედაბერი და წაიღო მტევნები. ბევრი იარა, თუ ცოტა, ბოლოს მიაგნო მაშრიყის ხელმწიფის შვილების სახლს და შეევიდა. ძმები ისევ სანადიროდ იყვნენ და ქალთამზე მარტოკა იყო, ხელსახოცს ქარგავდა და ნელა-ღიღინებდა.

— შვილო, შორი გზიდან მოვდივარ და ცოტახანს დამასვენეო, — უთხრა დედაბერმა საცოდავი ხმით.

ქალთამზეს შეეცოდა დედაბერი და მაშინვე საჭმელი გამოურბენინა. დედაბერმა გემრიელად ისადილა და ყურძნის მტევნები ამოიღო, საღი თვითონ დაიტოვა და მოწამლული ქალთამზეს გაუწოდა.

— შვილო, ამის მეტი არაფერი მაქვს და მიირთვი, სამაგიეროს ამით მაინც გადაგიხდიო.

ქალთამზეს აღარც კი ახსოვდა წინანდელი ამბავი, გამოართვა და შეჭამა. გემო უცბად ვერ გაუგო და რამდენიმე ბარცვალი ჩაყლაპა. უცბად თვალთ-დაუბნელდა, მტევანი ხე-

ლიდან გაუვარდა და უსულოდ დაეცა. ბებერმა საჩქაროდ მოძურწა, ემანდ, ხელმწიფის შვილებმა არ მომისწრონო. საღამოზე მოვიდნენ ძმები და თავიანთი და რომ მკვდარი დახვდათ, მორთეს ზარი და ტირილი. მათი მწუხარების ხმა ცაში ადიოდა, იგლეჯდნენ თმა-წვერს, ისოკავდნენ პირს, მაგრამ მკვდარს რაღას უშველიდნენ. გაუკეთეს ძვირფასი კუბო, თვითონაც ძვირფასად ჩააცვეს, ჩაასვენეს კუბოში და ერთ წყაროს პირას დაასვენეს, ძმები დილა-საღამოს გადიოდნენ კუბოსთან და თავიანთ საყვარელ დას გულამოსკვნით დასტიროდნენ.

ერთ დღეს ამ ადგილებში მაღრიბის ხელმწიფის შვილმა გამოიარა, სანადიროდ მიდიოდა და წინ მწევარ-მეძებრები მიუძღოდა. მწევარ-მეძებრები უცბად შედგნენ და წკმუილი გააბეს. ხელმწიფის შვილმა მხლებლებს უბრძანა, გაიგეთ, ძაღლებს რა აწუხებთო, წავიდნენ მსლებლები და ამბავი მოუტანეს, — აქ ერთი ანკარა წყაროა ყოფილა, წყაროს პირას კუბო ასვენია და იმაზე წკმუტუნებენო.

წავიდა თვითონ ხელმწიფის შვილი და ნახა, რომ კუბოში ძვირფასად მორთული ქალი წევს. ხელმწიფის შვილს ისე მოეწონა ქალთამზის სახე, რომ კუბო თან წაიღო, მიიტანა შინ, დაასვენა ცალკე ოთახში და თქვა, სანამ უკვდავების წამალს არ ვიშოვი და ამ ქალს არ გავაცოცხლებ, არ მოვისვენებო.

ადგა და წავიდა, ბევრი იარა, მთელი ქვეყანა შემოიარა, მაგრამ უკვდავების წამალს ვერსად მიაგნო. ბოლოს დაღონებული ერთი ხის ძირას დაჯდა და ტირილი დაიწყო. უცბად ხის ფესვებიდან ერთი პაწაწინა წრუწუნა გამოძვრა და ხელმწიფის შვილს გაეთამაშა. ხელმწიფის შვილი ცრემლად იღვრება, ეს ბახალა კი ხან აქეთ გადაუხტება, ხან იქით და ათასნაირად ემანჭება. მოუვიდა გული ხელმწიფის შვილს, გაჰკრა ფეხი და სული გააფრთხობინა. გამოვარდა ბახალას დედა და ბიჭს წყევლა დაუწყო: შე მიწის შესაჭმელო, რა დაგიშავა ამ პაწაწინამ, რომ სასიკვდილოდ გაიმეტეო. მერე იქვე მიირბინ-მოირბინა, რაღაც ბალახი მოგლიჯა, მიუსვ-მოუსვა თავის მკვდარ შვილს, გააცოცხლა და სოროსაკენ კინწისკვრით გაიგდო.

ბიჭმა დაიმახსოვრა ის ბალახი, მივიდა, თვითონაც მოგლიჯა ერთი ღერო, წაიღო შინ და ქალთამზეს მიუსვ-მოუსვა. ქალთამზე მაშინვე გაცოცხლდა, წამოდგა და თქვა, — სად არიან ჩემი ძმები, ან მე ვისთან ვარო?

— ჩემთან სარ და ჩემთან დარჩებიო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა და უამბო, როგორ იპოვა კუბო, როგორ გადმოასვენა თავის სასლში და მერე როგორ გააცოცხლა. ბოლოს კიდევ უთხრა, ცოლად მინდიხარ და უარს ნუ მეტყვიო.

ქალთამზესაც მოეწონა ხელმწიფის შვილი და დათანხმდა. დაიწერეს ჯვარი და დაიწყეს ერთად ცხოვრება. ქმარიცა და დედამთილ-მამამთილიც თავს ევლებოდნენ, წლის თავზე ოქროსქოჩრიანი ვაჟი გაუჩნდა და კიდევ უფრო შეიყვარეს. ერთი სიტყვით, ისეთ ბედში ჩავარდა, რომ თავის ყოფას თვითონვე დანატროდა.

გავიდა დრო. ერთ დღეს ქალთამზეს დედინაცვალმა ჩვეულებრივ ჩაისედა სარკეში და ჰკითხა:

— ჩემო სარკევ, საჭვრეტელო,
სხვაგან კი ნუ გამამხელო,
მითხარ, ეშხით, სილამაზით
შენ მჯობიხარ, თუ მე — შენო?

სარკემ უპასუხა:

— მეც ლამაზი, შენც ლამაზი, —
ტანი — ლერწამ-უსურვაზი,
შენც მჯობინი, მეც მჯობინი,
ქალთამზე კი — ასლამაზი.

დედოფალი მთლად კანკალმა აიტანა:

— როგორ თუ ქალთამზე? განა ისევ ცოცხალიაო?

— ცოცხალიც არის და ბედნიერიც, — უთხრა სარკემ, — მაღრიბის ხელმწიფის შვილს უზის ცოლად და თავის ბედს თვითონვე დანატრისო. — დედოფალმა მაშინვე კუდიანი დედაბერი დაიბარა, ერთი კარგად მიბეგვა, — შე ქოფაკო და სულწაწყმედილო, აკი ქალთამზე მოვკალიო? — ცემით რომ გული იჯერა, ბოლოს უთხრა:

ასლავე წადი მაღრიბის ხელმწიფის სასახლეში და რითაც იქნება და არ იქნება, იმისი რძალი დაღუპე, თორემ ერთ დღეს არ გაცოცხლებო.

ბებერს მეტი რა გზა ჰქონდა, დედოფლის სიტყვას როგორ გადავიდოდა, ადგა და წავიდა. ბევრი წვა-დაგვისა და სიარულის შემდეგ გავიდა მაღრიბის ქვეყანაში და ხელმწიფის სასახლეს მიადგა. დაინახა ქალთამზე და იმისი ქმარი და საბრალო ხმით შესწუწუნა:

— უპატრონო დედაბერი ვარ, თქვენს დღეგრძელობას, მიმიღეთ და ერთგულად გემსახურებითო.

ქალთამზემ თუმცა ვერც იცნო ბებერი, მაგრამ იმათგან დაშინებული იყო და ქმარს უთხრა: არ გინდა, მაგ ბებერს სასლში ნუ შემოუშვებო. მაგრამ ქმარმა არ დაიშალა, ხელმწიფის შვილი ვარ და ერთ ბებერსაც თუ ვერ შევიფარებ და ვერ შევინახავ, რაღა უფლისწული ვყოფილვარო.

ქალთამზემ ქმარს ზედმეტი სიტყვა ვერ შეჰკადრა და ბებერი სასახლეში მიიღეს. დედაბერმა მართლაც დიდი ერთგულება გამოიჩინა — ურეცხავდა, უგვიდა, უსუფთავებდა და ოქროსქოჩრიან მემკვიდრეს ხომ სულ თავს ევლებოდა. ბოლოს ცოლ-ქმარს სთხოვა:

— თქვენ რატომ იფრთხობთ ძილს, მოდით, აკვანი მე დამიდგით და ბავშვს ღამ-ღამობით მე მოვუვლიო.

რაკი საეჭვოს ვერაფერს ხედავდნენ, ცოლ-ქმარი დათანხმდნენ და ბავშვის აკვანთან ბებერი დააწვინეს. ერთ ღამეს ადგა ეს კუდიანი დედაბერი, ბავშვს დანით ყელი გამოსჭრა და სისხლიანი დანა მძინარე ქალთამზეს ჩაუდო ჯიბეში.

გათენდა დილა. გაიგეს ბავშვის სიკვდილის ამბავი და მთელი სასახლე ფეხზე დადგა. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. ამ დროს დედაბერი წამოდგა და თქვა:

— ხალხნო, რატომ ვიმტვრევთ თავებს, გავუჩხრიკოთ ყველას ჯიბეები და ვისაც სისხლიანი დანა აღმოაჩნდება, ყმაწვილის მკვლელიც ის იქნებაო.

გაუჩხრიკეს ყველას ჯიბეები და დანა ქალთამზეს აღმოაჩნდა. უფლისწულმა დედაბერს ჰკითხა, რა სასჯელი ეკუთვნის ამისთანა დედასო?

დედაბერმა უთხრა:

— ამისთანა დედას თვალები უნდა დასთხარო, ხელში მკვდარი ყმაწვილი დააჭერინო და შორს სადმე გზაჯვარედინზე დასვა, რომ გამვლელ-გამომვლელმა ყველამ ზედ აფურთხოსო.

საბრალო ქალს მართლაც დასთხარეს თვალები და უბეში ჩაუყარეს, მისცეს ყელგამოჭრილი ყმაწვილი ხელში და მინდორში გზაჯვარედინზე დასვეს. გზაჯვარედინზე განუწყვეტლივ მიმოდის ხალხი, ხედავენ შვილის მკვლელ დედას და შეუბრალებლად ლანძღავენ და აფურთხებენ. ქალთამზეს მობეზრდა ამდენი წამება, მაგრამ სად წავიდეს უსინათლო, სად გაექცეს ხალხს? ბოლოს ერთმა თეთრწვერა მოხუცმა ჩამოიარა და ჰკითხა:

— დაო და დედავ, განა რა დანაშაული ჩაიდინე ისეთი, რომ ასეთი მძიმე სასჯელი დაუდვიათ შენთვისო?

ქალთამზემ ყველაფერი დაუფარავად უამბო მოხუცს. მოხუცმა ჰკითხა, — სადა გაქვსო თვალები?

უბეში მიწყვიაო, — მიუგო ქალთამზემ.

— ამოიღე და თავიანთ ადგილებზე ჩაისხიო, — უბრძანა მოხუცმა. ქალთამზემ ჩაისხა თვალები თავის ადგილას. ეს მოხუცი კეთილი ჯადოქარი იყო და ქალთამზეს სიალალმართლე კარგად იცოდა. ამოიღო აბრეშუმის ხელსახოცი, მიუსვ-მოუსვა თვალებზე და გაუმთელა. მერე ყმაწვილსაც მოუსვა ყელზე და ისიც გააცოცხლა. ქალთამზე სიხარულისაგან აღარ იყო, ეხვეოდა მოხუცს მუხლებზე და კოცნიდა. ბოლოს მოხუცმა ხელი ერთ მხარეს გაიშვირა და უთხრა:

— ამ გზით წახვალ, ივლი, ივლი და ერთ ანკარა წყაროს მიადგები, ამოიღე პეშვით წყალი და წყაროს ირგვლივ მოასხი, მშვენიერი სასახლე გაჩნდება. შედი შიგ, შეიყვანე შენი ბირმშო და იცხოვრე. ნუ გეშინია, არც საჭმელი მოგაკლდება და არც ჩასაცმელ-დასახურავიო.

ეს თქვა მოხუცმა და გაქრა. ქალთამზემ, რა თქმა უნდა, აასრულა მოხუცის ნათქვამი და წავიდა, საითაც მიანიშნა. მართლაც, მიადგა ანკარა წყაროს, ამოიღო პეშვით და მიასხ-მოასხა. გაჩნდა მშვენიერი სასახლე ეზო-კარმიდამოთი და ბაღებით. ქალთამზე შევიდა შიგ და დაიწყო ცხოვრება.

გავიდა დრო, ქალთამზეს ოქროსქოჩრიანი შვილი იმდენად წამოიზარდა, რომ სანადიროდ სიარული შესძლო.

ერთხელ სანადიროში ერთმანეთს შემთხვევით შეხვდნენ ქალთამზეს მამა, ქმარი და ეს ბიჭი. რა თქმა უნდა, ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ, მაგრამ ერთიმეორე ძალიან მოეწონათ და გადაწყვიტეს სულ ერთად ვინადიროთო. დაიწყეს ერთად ნადირობა. მოკლავენ ნადირს, გაატყავებენ და მწვადებსაც ერთად შეექცევიან. შეეჩვივნენ ერთმანეთს, ერთხელ შვილმა უთხრა ქალთამზეს:

— დედი, ნადირობაში ორი ხელმწიფე გავიცანი. დიდი სანია, ერთად ვნადირობთ და მწვადებსაც ერთად შეექცევით, ერთხელ მინდა შინ მოვიწვიო და, თუ ნებას დამრთავ, ამ საღამოს მოვიყვანო.

— მოიყვანე, თუკი გიკადრებენო, — უთხრა დედამ.

წავიდა იმ დღეს სანადიროდ ყმაწვილი და შეხვდა ხელმწიფეებს. ინადირეს და მწვადიც შეიწვეს. ყმაწვილმა სთხოვა:

— თუ მიკადრებთ, ვახშმად მეწვიეთო.

ხელმწიფეები სიამოვნებით დათანხმდნენ. მიიყვანა ყმაწვილმა სტუმრები შინ. ქალთამზემ დანახვისთანავე იცნო ქმარი და მამა, მაგრამ იმათ კი ვერ იცნეს. სანამ დედა ვახშამს გააკეთებდა, ბიჭმა სტუმრებს ეზო-კარმიდამო დაათვალიერებინა. ხელმწიფეები გაკვირვებულნი იყვნენ, ეს რა მდიდრები ყოფილანო. განსაკუთრებით მოეწონათ ლალის მტევნებით დახუნძლული ვაზები, რომლებიც სასტუმრო დარბაზში ასასვლელ კიბეს ასდევდა.

ვახშამზე ქალთამზემ სტუმრებს სხვადასხვაგვარი ღვინო მოართვა და მათაც ძალიან ისიამოვნეს. ივახშმეს, იმუსაიფეს და დაიძინეს.

ქალთამზე გამოვიდა, კიბის სეივანს ერთი ლალის მტევანი მოსწყვიტა და მძინარე ქმარს ჯიბეში ჩაუდო. გათენდა დილა, ხელმწიფეებმა მასპინძლებს მადლობა გადაუხადეს და წასვლა დააპირეს. ქალთამზემ შეაჩერა სტუმრები და უთხრა:

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ჩემს ვაზს ერთი ლალის მტევანი აკლია და რომელმა მოწყვიტეთო?

ხელმწიფეები შეცბნენ, ყურძნის მოპარვას როგორ ვიკადრებდითო.

— მაშინ ნება მომეცით, ჯიბეები გაგიჩხრიკოთო, — უთხრა ქალთამზემ. გაუჩხრიკა ჯიბეები და ყურძნის მტევანი თავის ქმარს არ ამოაცალა ჯიბიდან?! ხელმწიფეს ჭირის ოფლმა დაასხა და დაიფიცა, მე არ მომიწყვეტია, მძინარე როგორ შევძლებდი, ყურძნის მტევნის მოპარვას და ჯიბეში ჩადებასო?

ქალთამზემ გაიცინა და უთხრა:

— თუკი ის შეიძლება, რომ მძინარე დედამ თავის შვილს ყელი გამოსჭრას და სისხლიანი დანა ჯიბეში ჩაიდოს, რატომ არ შეიძლება, მძინარემ ყურძენიც მოიპაროსო?

ხელმწიფე უფრო შეცბუნდა, ქალის ნათქვამი ენიშნა და ჰკითხა:

— ქალო, მაგას რაზე ამბობო?

— აბა, შემომხედე, ვეღარ მცნობო? — უთხრა ქალთამზემ, — ან ეს ყმაწვილი არ გაგონდებაო? ეს ის ბავშვია, კუდიანმა დედაბერმა რომ ყელი გამოსჭრა და მე კიდეე ის დედა ვარ, სისხლიანი დანა ჯიბეში რომ ჩამიდო და ცილი დამწამაო.

ხელმწიფის შვილი ახლა კი მიხვდა, ვისთანაც ჰქონდა საქმე, და თვალცრემლიანმა ცოლი და შვილი გულში ჩაიკრა. ქალთამზემ ქმრის ალერსით გული რომ იჯერა, ახლა მამას მიუბრუნდა:

— გეტყობა, ვეღარც შენ სცნობ საკუთარ ქალიშვილს, აბა იცოდე, მე ის პატარა ქალი ვარ, სახლიდან რომ გამაძევე. იმის შემდეგ ჩემმა დედინაცვალმა სამჯერ მოსაკლავადაც კი გამიმეტა, მაგრამ აი, როგორც მხედავ, ახლაც ცოცხალი ვარო.

მამასაც ცრემლი მოერია, თავისი ქალი გულში ჩაიკრა და პატიება სთხოვა. ქალთამზემ აპატია და ყველანი გამხიარულდნენ. წამოიღეს სასახლიდან, რაც კი უნდოდათ, ღმერთს მადლობა შეხწირეს და წამოვიდნენ.

ქალთამზეს მამამ თავისი ცოლი და კუდიანი დედაბერი სასლიდან გააძევა, სიძე-ქალიშვილი და იმათი ოქროსქოჩ-

რიანი ბიჭი კი თავის სასახლეში დააბინავა და ხელმწიფობაც იმათ გადაულოცა.

ამ დღიდან ქალთამზეს ბედნიერებას ერთი პაწია ჩრდილიც აღარ მისდგომია და, რაც იტანჯა და იმწუხარა, სიხარულით ერთი ასად აუნაზღაურდა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: მართალ ადამიანს ღმერთი არასოდეს გასწირავს, ხოლო ბოროტს ბოროტება ბოლომდე არ შერჩებაო.

ჭირი იქ იყოს, ლხინი — აქ,
ნაცარი — იმათ, ფქვილი ჩვენ,
დღეისთვის ესეც ვიკმაროთ,
ხვალე გიამბობთ დანარჩენს.

უხეირო

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი! იყო ცოლ-ქმარი, ღარიბ-ღატაკი და უქონელი. შეეძინათ ვაჟი, ისიც ერთი უხიაგი, — მჭამელი და ღორმუცელა. ამიტომ სახელიც უხეირო დაარქვეს. ახალშობილს დედის ძუძუ პირს არ უსველებდა, ხოლო როცა ორი-სამი წლის გახდა, ერთ ჭამაზე თითო თონე პური და თითო ცხვარი აღარ ჰყოფნიდა.

გაუჭირდა ღარიბ დედ-მამას უხეიროს რჩენა და ქალაქში წაიყვანეს, — ეგებ ვინმემ სამადლოდ აიყვანოს და გაზარდოსო. მართლაც, ხელმწიფემ აიყვანა და დაუწყო ზრდა, მაგრამ მისი რჩენა ბოლოს ხელმწიფესაც გაუჭირდა, მითუფრო მაშინ, როცა დასრულდა და დავაჟკაცდა. ახლა ცხვარი კი არა, ხარიც აღარ ჰყოფნიდა, — რამდენიმე სულს ერთად შეჭამდა და ზედ ამდენსავე ჩაფ ღვინოს დააყოლებდა, ხაბაზები პურის ცხობას ვერ აუდიოდნენ და მზარეულები ხორცის მოხარშვას.

გაბეზრდა ხელმწიფე, სარჩო-საბადო აღარ შერჩა. დაიბარა ერთ დღეს უხეირო, მისცა ერთი ტომარა ფული, ერთი კარგად გაწყობილი ხარ-გუთანი და გამოისტუმრა თავის დედ-მამასთან, — წადი, ხანი მიწა, იშრომე და იცხოვრეო.

ხელმწიფეს უხაროდა, ეგ არის მოვიშორე თავიდანო, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი გამოდგა. უხეირო დედ-მამასთან დიდხანს არ დარჩენილა, ან როგორ დარჩებოდა, — რას ჭამდა? რით ამოივსებდა უძირო მუცელს? სანამ ფული ჰქონდა, კიდევ არა უშავდა, მერე კი, როცა ფული გამოელია,

ადგა და ისევ ხელმწიფისაკენ გასწია, შეალაჯა ეზოში და შესვლისთანავე საჭმელ-სასმელი მოითხოვა.

შეწუხდა ხელმწიფე. რა უნდა ექნა? ძალით ვერ გააგდებდა, იმიტომ, რომ ძალიან ლონიერი იყო და ეშინოდა, ემანდ არ გაბრაზდეს და მთელი სასახლე ნაცარ-მტვრად არ მიქციოსო.

რაკი სხვა საშველი ეერაფერი გამონახა ხელმწიფემ, ბოლოს ისევ ხერხს მიმართა, დაიბარა უხეირო და უთხრა:

— ცხრა მთას იქით უღრანი ტყე რომ არის, იქ უნდა წასვიდე და იმ ტყის შუა მომიტანოო.

ხელმწიფემ იცოდა, რომ ის ტყე ორი უძლეველი ძმის — თორმეტთავიანი დევების კუთვნილება იყო და ეგონა, ის დევები უხეიროს უსათუოდ მოკლავენ და მომაშორებენო.

— მომიტანეთ ცული და ახლავე მივდივარო! — დაიძახა უხეირომ.

მოუტანეს ხუთფუთიანი ცული, შემოჰკრა უხეირომ კედელს და მარილივით მიაფშვნა, მოუტანეს ათფუთიანი, ისიც მიაფშვნა, ბოლოს ოცფუთიანი ნარჩევი ფოლადის ცული გაუკეთეს, უხეირომ მოსინჯა ხელში ცული და მოეწონა, გაიდო მხარზე და გასწია დევების სამკვიდრო ტყისაკენ. შევიდა უშიშრად ტყეში და წიფლებსა და ჭადარ-კოპიტებს სულ ლეწვა-მტვრევა აუყენა, — გაუდის ერთი ჩახაჩუხი. გაიგეს დევებმა და ბრაზისაგან დორბლმორეულები გამოქანდნენ. დევებს ეგონათ, შეშინდება და გაიქცევაო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, უხეირო არც შემკრთალა და არც ადგილიდან დაძრულა! სტაცა ხელი ორივე დევს, ამოიჩარა ღელიაში, აჰკიდა მთელი გაჩეხილი ხე-ტყე, დაირეკა სახრით და ხელმწიფის ეზოში სულ გუგუნ-გრიალით მიატანინა.

დაუძახეს ხელმწიფეს, გამობრძანდით და ერთი ნახეთ, უხეირომ რა ქნაო! გამოვიდა ხელმწიფე და შიშით კინაღამ გული გაუსკდა. — ეგ დევები მაინც მომაშორეო, — სთხოვა უხეიროს. უხეირომ მოხსნა დევებს წიფლები, გაუშვა ნებაზე და თითო სახრეც ამოუჭირა, ეს მაგალითი დაიხსომეთ და ამას იქით კაცის ნათესავს აღარა ავნოთ რაო!

გავიდა ხანი და ხელმწიფემ ახლა სხვა ხერხს მიმართა, დაიბარა უხეირო და უთხრა:

— ცხრა მთას იქით რომ უკვდავების წყაროა, იმისი წყალი უნდა მომიტანოო.

უხეირო ამაზეც უყოყმანოდ დათანხმდა. ოღონდ ჭურჭელი მოითხოვა, რით მოვიტანოო. მოუტანეს გოზაურები, სთხლიშა უხეირომ ერთმანეთს და დაამტვრია, — ბავშვი ხომ არა ვარ, რომ კოკებს მატანთ, მომიტანეთ დიდი რამეო! — ახლა ქვევრები მოუტანეს, მაგრამ უხეირომ ქვევრებიც კოკებს მიაყოლა, — უფრო დიდი ჭურჭელი მომიტანეთო! — მაშინ ორი ას-ას კოკიანი რუმბი მოუტანეს. — ჰო, ამით წასვლა მართლაც ღირსო, — თქვა უხეირომ, გადაიკირა რუმბები მხარზე და გასწია.

იარა უხეირომ, იარა და მივიდა უკვდავების წყაროსთან. ამ წყაროს ორი ბუღა კამეჩი ყარაულობდა, კამეჩები მთისოდენები იყვნენ. როცა წყაროსკენ მიმავალს ვისმე დაინახავდნენ, გამოექანებოდნენ ერთი ერთი მხრიდან, მეორე—მეორე მხრიდან, დაეჯახებოდნენ და გასჭყლეტავდნენ. უხეიროსკენაც ასე ბუღრაობით გამოექანენ, მაგრამ უხეიროს ფერიც ვერ აცვლევინეს, — თვითონვე სტაცა ორივეს ყურში ხელი და კისრები მოუგრიხა. მოგლიჯა ერთი უზარმაზარი ჭადარი, დაადო უღლად, მერე უკვდავების წყლით რუმბები დაავსო, დაუდო ზედ, თვითონაც უღელზე გადააჯდა და ღიღინ-ღიღინით ხელმწიფის სასახლისაკენ დაირეკა.

მოახსენეს ხელმწიფეს: უხეირო საღსალამათი დაბრუნდა და ის საშინელი კამეჩებიც აქ მორეკა, წყლით სავსე რუმბები თვითონ იმათ მოატანინაო.

გამობრძანდა ხელმწიფე და გოლიათი კამეჩების დანახვაზე მთლად კანკალი დააწყებინა. „ჯერ უხეიროს ვერ ვუძლებდი და მაგათ რაღა ვაჭამოო", — თქვა თავისთვის, უკანვე შებრუნდა და მსახურებს უბრძანა, — უხეიროს უთხარით, ეს კამეჩები მაინც მომაშოროს აქედანო.—უხეირომ გადმოაწყო რუმბები, ახსნა კამეჩებს უღელი და გაუშვა, თან თითო სახრე ამოსცხო, — წადით და უკვდავების წყაროს ერთგულად უდარაჯეთო.

მთელი ხალხი აღტაცებით გაიძახოდა, — ვაჰ, რა ყოფილა ეს უხეიროო—ხელმწიფე კი დაღონებული იყო, რა ვქნა, რით მოვიშორო ეს ღორმუცელა თავიდანო.

ერთ ადგილას ელიას ყანა ედგა. დიდი მინდორი ქვიტ-კირის გალავნით იყო შემოზღუდული და შიგ იფქლის ყანა ეთესა. დაიბარა ხელმწიფემ უხეირო, მისცა ერთი დიდი ფარა ცხვარი და უთხრა:

— ეს ფარა ელიას ყანაში უნდა შერეკო და მოაძოვო.

ეს ელია ცაში ცხოვრობდა, ღონიერიც იყო და დიდი გრძნეულიც, ხელმწიფესაც სწორედ ამისი იმედი ჰქონდა,— ღონით თუ ვერ მოერევა, იქნებ გრძნეულებით მაინც დაღუ-ბოსო. მაგრამ გრძნეულება ღონესთან რას გახდება! გაირეკა უხეირომ ეს ერთი ფარა ცხვარი და შერეკა ელიას ყანაში. ყანა ფარას მიანება, თვითონ ჩრდილში წამოწვა და დაი-ძინა.

გადმოიხედა ელიამ მაღლიდან და რას ხედავს: შესევია ცხვარი ყანას და აოხრებს. „გაოხრება ეგრე არ უნდაო",— თქვა გულში და დაუშინა და დაუშინა სეტყვა. ისეთს ისვ-რის, სულ ქვას ამტვრევს. ფარა სულერთიანად გაწყვიტა, ქვა ქვაზე აღარ დატოვა, უხეიროს კი ძილიც ვერ დაუფრთხო, გაშოტილა არხეინად და ხვრინავს.

განრისხდა ელია, გადმოვიდა ტახტიდან და დედამიწაზე დაეშვა. — მე შენ გიჩვენებ სეირსო, — უთხრა მძინარე უხე-იროს, დააწვა მაღლიდან და ყელში წაუჭირა.

გამოეღვიძა უხეიროს, გადააბრუნა ელია და ქვეშ ამო-იდო.

— ამიშვიო, — უთხრა ელიამ.

— არა, არ აგიშვებო, — მიუგო უხეირომ.

— ამიშვიო, — კიდევ სთხოვა ელიამ.

— დამლოცე და აგიშვებო, — უთხრა უხეირომ.

მაშინ დალოცა ელიამ, — ჯერზე ერთი პური, ერთი ჩა-რეკა ღვინო და ერთი გირვანქა ხორცი იმყოფინეო, და უხე-ირომაც აუშვა.

ამის შემდეგ უხეირო გამოეთხოვა ხელმწიფეს და წავიდა თავის დედ-მამასთან. მაგრამ მშვიდად ყოფნა დიდხანს ვერ შესძლო, გულმა ისევ საგმირო საქმეებისაკენ გაუწია და წავიდა ბედის საცდელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, თავისი სახელმწიფო გაათა-ვა და გავიდა უცხო ქვეყანაში. ერთიც ვნახოთ, გზაზე ერ-

თი დევი მოდის, ხელში ერთი დიდი გორა უჭირავს და ბურთივით ათამაშებს. როცა მოუახლოვდა, უხეიროომ ჰკითხა:

— კაცო, სად მიხვალ, ან ეს ამოდენა გორა სად მიგაქვსო?

— ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ის უნდა გამოვცადოო, — მიუგო დევმა.

— უხეიროც მე ვარო, — უთხრა უხეიროომ, გამოართვა გორა და ცხრა მთას იქით გადასტყორცნა. მერე მიუბრუნდა დევს და ჰკითხა, — ახლა რა გინდა, მეძმობი თუ მეყმობიო?

— გეძმობიო, — უთხრა დევმა. ეძმნენ ერთმანეთს და წავიდნენ ორნი.

მიდიან, მიდიან და ახლა მეორე დევი შეხვდათ, ხელში ორჯერ დიდი გორა უჭირავს და ბურთივით მოათამაშებს.

— სად მიხვალ ან ეს ამოდენა გორა სად მიგაქვსო? — ჰკითხა უხეიროომ.

— ხელმწიფის კარზედ რომ უხეიროა; ის უნდა გამოვცადოო, — მიუგო დევმა.

— აი, უხეიროც აქა ვარო, — უთხრა უხეიროომ, გამოართვა გორა და სამ მთას იქით გადასტყორცნა. მერე მიუბრუნდა დევს და ჰკითხა, — ახლა რა გინდა, მეძმობი თუ მეყმობიო?

— გეძმობიო, — მიუგო დევმა. ეძმო ეს დევიც და წავიდნენ სამნი.

ცოტა რომ გაიარეს, ახლა მესამე დევი შემოხვდათ, იმას ორჯერ კიდევ უფრო დიდი გორა მოაქვს და ხელში ბურთივით ათამაშებს.

— კაცო, ეს რა ამბავია, — ჰკითხა უხეიროომ, — მე ხელცარიელმა ლამის ქალამნებიც გავიხადო და შენ ამოდენა გორას საით მიარბენინებო?

— ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, ღონეში აქებენ და მინდა გამოვცადოო, — მიუგო დევმა.

— თვითონ გახლავართ უხეიროო, — უთხრა უხეიროომ, გამოართვა გორა და ერთი მთის იქით გადაისროლა, მერე მიუბრუნდა დევს და ჰკითხა, — ახლა რაგორ გიწდა, გეძმო თუ გეყმოო?

— მიძმეო, — უთხრა დევმა. იძმო ისიც უხეიროომ და წავიდნენ ოთხნი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს თეთრი დევის საბრძანებელში გადავიდნენ და ღამის გასათევად ერთ ტყეში დაბინავდნენ. არც ცეცხლი აქვთ და პურიცა შიათ. უხეიროომ უთხრა დევებს:

— წადით და, სადაც იყოს და არ იყოს, ცეცხლი და პური იშოვეთო.

დევები სულ კანკალმა აიტანა:

— შიმშილით რომ დავიხოცოთ, თეთრი დევის შიშით ამ ტყიდან ფეხსაც ვერ გავდგამთო.

— თქვენ თუ ვერ გადგამთ, მე გავდგამო, — უთხრა უხეიროომ და წავიდა. იარა, იარა და ერთ ადგილას ცეცხლი დაინახა. ცეცხლი სწორედ თეთრი დევის სახლიდან გამოდიოდა, მაგრამ დევი თვითონ შინ არ იყო, უხეიროს მარტო მისი ცოლი დახვდა.

— დაძმობას, შორი გზის მგზავრი ვარ და ერთი-ორი პური და ცეცხლი მომეციო, — სთხოვა უხეიროომ.

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, — უთხრა დევის ცოლმა, — ჩემი ქმრის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუჭაჭანია, მაღლა ფრინველს და შენ როგორ მობედე? ჩქარა თავს უშველე, თორემ საცაა ჩემი ქმარი ნადირობიდან დაბრუნდება და ცოცხალს არ გაგიშვებსო.

— რომელი მხრიდან დაბრუნდებაო? — ჰკითხა უხეიროომ.

— აი, ამ მხრიდანო, — უჩვენა დევის ცოლმა და თან გააფრთხილა, — თუ წყალს გაასწარ, არა გიშავს, ხოლო თუ წყალს აქეთ შემოგხვდა, ცოცხალი ვერ გადაურჩებიო.

უხეიროომ გულში ჩაიცინა და სწორედ იქით წავიდა, საიდანაც დევი უნდა მოსულიყო. შორიდანვე დაინახა თეთრ ცხენზე ამხედრებული, მხარზე ნანადირევი ირემი გადაეკიდა და ღიღინით მოდიოდა.

უხეიროო ხიდის ყურში ჩაიმალა, დევი მოახლოვდა, უხეიროომ უცბად თავი ამოყო და — „ყვიტ-ყვიტო!" — დაიძახა. ცხენი დაფრთხა და უკან-უკან წავიდა. დევი უჯავრდება, ქუსლებს უბაგუნებს, მაგრამ ცხენი მაინც ფრთხება. ბოლოს ხმამაღლა დასჭყივლა:

— აჩუ, შე სატიალევ, რა გაშინებს, ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, იმას მოვკლავ და მანდ ვინ უნდა იყოს ისეთი, მე ვერ მოვერიოო?

მაშინ კი ამოუხტა უხეირო და დაუძახა:

— აი, უხეირო მე ვარ და მობრძანდიო!

ჩამოხტა დევი ცხენიდან და დაიტაკნენ. უხეირომ პირველსავე მოქნევაზე სული გააგდებინა, მკვდარი თავისსავე ცხენზე გადაჰკიდა და ცოლს გაუგზავნა — ეგეც შენი ქმრის უძლეველობაო.

უხეირომ დევის მოკლული ირემიც თან წამოიღო და წამოვიდა. დევებს უკვე იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი და უხეირო რომ უვნებელი დაინახეს, სიხარულით ცას ეწივნენ. დაანთეს ცეცხლი, შეწვეს ირემი, ივახშმეს და არსეინად დაიძინეს.

მეორე დილას ადგნენ და ისევ გზას გაუდგნენ. სანამ წითელი დევის საბრძანებელში არ მივიდნენ, ისეთი აღარაფერი შემთხვევიათ. დადგნენ აქაც ტყეში ღამის გასათევად, მაგრამ არც საჭმელი აქვთ, არც ცეცხლი. უხეირომ უთხრა დევებს:

— აქ ახლომახლო ვინმე ესახლება, წადით და ორიოდე პური და ცეცხლი გამოართვითო.

დევები წინანდელზე უარესად აკანკალდნენ:

— აქ წითელი დევის მეტი არავინ სახლობს და ჩვენ იმის შიშით ფესსაც ვერ გავდგამთო.

— კარგით, ამჯერადაც მე წავალო, — თქვა უხეირომ და წავიდა. მივიდა წითელი დევის ცოლთან და სთხოვა: — დაძმობას, ორიოდე პური და ცეცხლი მომეციო.

— ჩემი ქმრის შიშით აქ ძე-ხორციელს ვერ გაუვლია და შენ ვინა ხარ ასეთი, რომ შემობედეო, — უთხრა დევის ცოლმა, მისცა ცეცხლი და პურები და თან დააჩქარა, — სწრაფად იარე, რომ წყალს აქეთ არ მოგასწროს, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებსო.

„ვნახოთ, ვინ ვის მოერევაო", — ისევ გულში ჩაიცინა უხეირომ, წამოვიდა და დადგა ხიდის ყურზე. გამოჩნდა დევი: წითელ ცხენზე ზის, მსარზე ნანადირევი ირემი ჰკიდია

და უშიშრად მოღიღინებს. დაინახა უხეირო და შორიდანვე ხაფი ხმით შეუტია:

— ხელმწიფის კარზე რომ უხეიროა, მე ისიც ვერ გამიმაგრდება და შენ ვინა ხარ ჩემს სამფლობელოში რომ შემოჭრილხარო?

— სწორედ ის უხეირო გახლავარ და, თუ ჯანი გერჩის, მობრძანდიო! — მიუგო უხეირომ.

ჩამოხტა დევი ცხენიდან და დაეტაკნენ ერთმანეთს, მაგრამ უხეირომ საბოლოოდ მაინც დაამარცხა, — დაახეთქა მიწას და სული გააფრთხობინა, მერე ისიც ცხენს გადაჰკიდა და ცოლს გაუგზავნა, — აბა, თუ შენი ქმრის შიშით აქ ვერავინ გაივლისო!—წამოიღო დევის მოკლული ირემი და წამოვიდა.

დევებს უხეიროს მოლოდინი არც ახლა ჰქონდათ და კვლავ ცოცხალი და უვნებელი რომ დაინახეს, დიდად გაუხარდათ. მაშინვე დაანთეს ცეცხლი, შეწვეს ირემი, გემრიელად ივახშმეს და დაიძინეს.

მეორე დღეს ადგნენ და ისევ გზას გაუდგნენ. უხეირო კვლავ უშიშრად მიდის, დევებს კი თანდათან შიში ემჩნევათ, — მათ იცოდნენ, საითაც მიდიოდნენ. ბოლოს შავი დევის საბრძანებელში მივიდნენ. აქ ყველაფერი შავი იყო: მიწა, ტყე, ბალახი, ნადირი და ფრინველი. დადგნენ ისევ ღამის გასათევად ტყეში და უხეირომ უთხრა დევებს:

— აბა, წადით და იქნებ სადმე ორიოდე პური და ცეცხლი იშოვოთო.

დევებს შიშით ლამის გულები დაუსკდათ.

— რას ამბობ, ეს მიწა-წყალი შავი დევის სამფლობელოა, იმისი მომრევი ჯერ ქვეყნად არ გაჩენილა და ჩვენ თვალით როგორ დავენახვებით, ხომ დაგვსრისა ბუზებივითო. შენც გირჩევთ, მასთან მისვლას თავი დაანებო და აქაურობას საჩქაროდ გავცილდეთო.

დევების რჩევა უხეიროს სიცილადაც არ ეყო, — თქვენ თუ ვერ დაენახვებით, მე დავენახვებიო, — უთხრა, — ცეცხლსაც მოვიტან და პურსაცაო, — ადგა და წავიდა, მივიდა შავი დევის ცოლთან და სთხოვა, — დაძმობას, ორიოდე პური და ცეცხლი მომეციო.

დევის ცოლმა წესიერად პასუხიც არ აღირსა.

— ვინა ხარ, რას დადიხარ, — დასჭყივლა უკმეხად, — საშენო არც პური მაქვს და არც ცეცხლი. აქედან დაიკარგე, თორემ თუ ჩემმა ქმარმა მოგისწრო, ერთ ლუკმად არ ეყოფიო.

„ვინ ვის არ ეყოფა, მაგასაც ვნახავო", — გუნებაში თქვა უსეირომ, გამოიტანა ძალით ცეცხლი და პურები და წამოვიდა. მოვიდა მდინარესთან და ხიდის ყურში ჩაიმალა.

ცოტა ხნის შემდეგ დევიც გამოჩნდა — შავი, შავი, როგორც ყურყამი. ცხენიც შავი ჰყავდა, მხარზე ირემი ეკიდა, შავ თვალებს აბრიალებდა და უშიშრად მოიმღეროდა. შემოაყენა ცხენი ხიდზე, უსეირომ თავი ამოყო და — ყვიტო! — დაიძახა. ცხენი დაფრთხა და უკანვე გადახტა. უჯავრდება დევი ცხენს, ერეკება, მაგრამ სულ ტყუილად — ცხენი ფეხსაც აღარ დგამს წინ. გაბრაზდა დევი და ხმამაღლა შეუტია:

— აჩუ, შე უპატრონოვ, ხელმწიფის კარზე რომ უსეიროა, ის ვერ გადამირჩება ცოცხალი და შენ აქ ვის ხედავ ისეთს, რომ გეშინიაო?

— სწორედ უსეირო გახლავარო! — დაიძახა უსეირომ და წამოუსტა, — აბა, ცხენიდან ჩამობრძანდი და როგორ ვერ გადაგირჩები, იმასაც გაჩვენებო!

ჩამოხტა დევი და შეიბნენ.

შეიბნენ, მაგრამ რა შეიბნენ! მიწას სულ ზანზარი გაუდის, მთები ინგრევა, ტყე ილეწება. ხან დევია ძირს, ხან — უსეირო, ბოლოს მაინც უსეირომ დასძლია, მოიკრიბა უკანასკნელი ღონე, დააწყვიტა დევი მიწას და სული გააგდებინა. დააკრა მკვდარი ცხენს და ცოლს გაუგზავნა, — აბა, ეგეც შენი უძლეველი ქმარიო! — წამოიკიდა ირემი, წამოკრიფა ცეცხლი და პურებიც და წამოვიდა თავისი ძმადნაფიცებისაკენ.

დევებს ახლა კი საბოლოოდ ჰქონდათ იმედი გადაწყვეტილი და თავიანთ სახელოვან ძმობილს გულში უკვე გლოვობდნენ, მაგრამ არა, უსეირო კვლავ ცოცხალი დაუბრუნდათ და ცეცხლი და ვახშამიც მოუტანა. დევებმა ზედმეტი სიხარულისაგან სულ ცეკვა-თამაში დაიწყეს, ეხვეოდნენ

გარს უხეიროს და, — როგორ გადაურჩი შავ დევს ცოცხალიო? — ეკითხებოდნენ.

— გადავურჩი და დედაც ვუტირეო! — უთხრა უხეიროს.

საჩქაროდ გააჩაღეს ცეცხლი, შეწვეს ირემი, მხიარულად ივახშმეს და დაიძინეს.

მეორე დილას დევებმა უთხრეს უხეიროს:

— შენს გზას დასასრული არ უჩანს, ჩვენ აღარ შეგვიძლია შენთან სიარული და, თუ შეიძლება, აქ დაგვტოვეო.

— კარგით, — უთხრა უხეიროს, — მე მარტოკა წავალო. — წაიყვანა დევები, ერთს თეთრი დევის ცოლი შერთო, მეორეს — წითლისა და მესამეს — შავისა და მათსავე სახლებში დააბინავა. გამოთხოვებისას ერთი ბურთი დაუკიდა და უთხრა:

— აი ამ ბურთს უყურეთ და როცა სისხლის წვეთვა დაიწყოს, მაშინ იცოდეთ, მიჭირს და მომეშველენითო. — გამოემშვიდობა თავის ძმადნაფიცებს და წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ერთ ქალაქში შევიდა. ქალაქი როგორღაც მიჩუმებულია, ხუთი-ექვსი წლის ზევით კაციშვილი არა ჩანს, ხედავს ამას უხეიროდ და გაკვირვებულია. ბოლოს ერთ სახლს მიადგა და დააკაკუნა. სახლიდან დედაბერმა გამოიხედა და უხეიროდ მაშინვე შინ შეიყვანა.

— ვინა ხარ, ან აქ რისთვის მოსულხარო? — ჰკითხა დედაბერმა.

უხეიროს უამბო თავისი თავგადასავალი. მერე შეეკითხა:

— რისი ბრალია, რომ ამ ქალაქში მოზრდილი ხალხი არა ჩანსო?

— რა ვიცი, შვილო, არ რჩებიან, რატომღაც ნაადრევად იხოცებიანო, — სიტყვა ბანზე აუგდო დედაბერმა. ავახშმა და დააძინა.

მეორე დილას გამოეღვიძა უხეიროს და დაინახა, დედაბერი კედლებში ყველა ჭუჭრუტანას საგულდაგულოდ ქოლავს, რომ გარედან სინათლე არ შემოვიდეს. უხეიროდ დაეჭვდა, — აქ რაღაც სხვა ამბავიაო, — თქვა გულში და დედაბერს ჰკითხა:

— დედაშვილობას, მითხარი, რატომ არ არის ამ ქალაქში სრულწლოვანი ხალხი და ან ამ ჭუჭრუტანებს რატომ ქოლავო?

დედაბერმა კვლავ რაღაც მიკიბ-მოკიბა. თქმა კიდევ არ უნდოდა, მაგრამ უხეირო არ მოეშვა და ბოლოს დედაბერიც გამოუტყდა:

— არ მინდოდა, შვილო, შენთვის მეთქვა, მაგრამ რაკი არ იშლი, რა გაეწყობა, — უთხრა დედაბერმა და ყველაფერი უამბო, — ჩვენი ქალაქის ახლოს, ზღვაში ერთი რკინის კაცია, იმ რკინის კაცს ერთი მოტაცებული მზეთუნახავი უზის კოშკში, როცა ის ქალი გარეთ გამოვა, შუქი ქალაქს შემოადგება. სწორედ ამიტომ ვჩულავდი წეღან ყველა ჭუჭრუტანას, რომ არ მინდოდა, იმ ქალის შუქი დაგენახა — ახალგაზრდა ხარ, გულში ჩაგივარდებოდა და დაიღუპებოდი. სწორედ ასე დაემართა ჩვენს ხელმწიფეს — ქალი შეუყვარდა და უნდა როგორმე ხელში ჩაიგდოს, ათი წელია, რაც ეომება რკინის კაცს, მაგრამ ვერაფერს აკლებს. იმიტომაც არ არის ჩვენს ქალაქში სრულწლოვანი ხალხი, ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, ყველა რკინის კაცთან ომს შეეწირა. ის რკინის კაცი უძლეველია და იმას ვერავინ მოერევაო.

— მაშ ბიჭი უხეირო მოკვდეს, თუ ის რკინის კაცი ვერ ვძლიო და მზეთუნახავი ქალი ცოლად არ დავისვაო, — თქვა უხეირომ და იმ დილასვე რკინის კაცის კოშკისაკენ გასწია. ამ დროს რკინის კაცი ცაში სალოცავად იყო წასული და უხეიროს კოშკში მხოლოდ ქალი დახვდა. გაუკვირდა ქალს უხეიროს მისვლა და ჰკითხა:

— რა ხარ, რა სულიერი ხარ, რომ აქ შემოსვლა გაგიბედია, რკინის კაცმა რომ მოგისწროს, ხომ ცოცხალს არ გაგიშვებსო?

მაგრამ უხეიროს აინუნშიაც არ მოსდის ეს გაფრთხილება, დადის არხეინად ოთახებში და ათვალიერებს. თან სადაც გაივლის, მის ნაკვალევზე სულ ვარდ-ყვავილი იშლება. ქალს ძალიან მოეწონა უხეირო და შეეხვეწა, — ჩქარა წადი, აქაურობას გაშორდი, თორემ საცაა რკინის კაცი მოვა და მოგკლავსო.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მე ვიცი და იმანო; — უთხრა უსეიროომ, — შენ მარტო ის გამიგე, სული რაში უდგას და რა მოჰკლავსო.

ქალი შეჰპირდა, გაგიგებო. უსეირო წამოვიდა. შუადღისას რკინის კაციც დაბრუნდა ციდან. ქალი ყელზე ჩამოეკიდა და დაუწყო ალერსი, მითხარი, რაშია შენი სული და რა მოგკლავსო?

— რად გინდა მაგის გაგებაო? — ჰკითხა რკინის კაცმა.

— იმიტომ მინდა, რომ მეშინია, — უთხრა მაცდურად ქალმა, — ბევრი მტერი გყავს, და, როცა მეცოდინება, უფრო გაგიფრთხილდებიო.

— რაკი ჩემზე ასე ზრუნავ, გეტყვიო, — უთხრა რკინის კაცმა, — მე ჩემ შარდში დასველებული იარაღის მეტი ვერაფერი მომკლავს, ისიც თუ იღლიის ძირში დამკრეს, თორემ სხვაგვარად ჩემი სიკვდილი შეუძლებელიაო.

ქალმა იმავე ღამეს აიღო ორი დიდი ცული და სადაც რკინის კაცი შარდავდა, იქ დააყუდა. რკინის კაცმა სიბნელეში ვერაფერი დაინახა და ორივე ცული შარდით დაასველა. მეორე დღეს რკინის კაცი ისევ სალოცავად წავიდა, უსეირო კოშკში მოვიდა, ქალს ნაჯახები გამოართვა და რკინის კაცის დაბრუნებას დაელოდა.

შუადღისას მოვიდა რკინის კაცი და დაეძგერნენ ერთმანეთს. აბა, რომელი დასძლევს, ხან ერთია ძირს, ხან — მეორე! დიდხანს იბრძოლეს, ორივეს ოფლი ღვარად სდიოდა, ბოლოს უსეიროომ დაძალა, წააქცია და დასცსო ცული იღლიაში, გაუტყდა ერთი. მეორე მოიშველია და სულიც გააფრთხობინა. აიღო მკვდარი რკინის კაცი და ზღვაში გადაუძახა. ქალი ცოლად შეირთო და დაიწყო კოშკში ცხოვრება.

გაიგო ხელმწიფემ, რომ ვიღაცას რკინის კაცი მოუკლავს და მზეთუნახავი ცოლად მოუყვანიაო. ახლა უსეიროსათვის გადაწყვიტა ქალის წართმევა და ნაზირ-ვეზირები შეკრიბა, რჩევა ჰკითხა.

— ისევ რაღაც ხერხი უნდა ვიხმაროთ, თორემ რკინის კაცის მომრევთან ძალით ვერაფერს გავხდებითო, — უთხრეს ნაზირ-ვეზირებმა. ამ დროს ხელმწიფესთან ერთი დედაბერი შევიდა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, იმ მზეთუნახავს მე მოგიყვანთო.

ხელმწიფე გაოცდა: მთელი სახელმწიფოს ჯარი შევალიე, მაგრამ ვერაფერს გავხდი და შენ რა შეგიძლია იმდენი, რომ ეგ გააკეთოო?

— დიდებულო ხელმწიფევ, — უთხრა დედაბერმა, — ერთი შუშა ბანგი მომეცით, დამაკარით ფიცარზე, ჩამაგდეთ ზღვაში და დანარჩენი მე ვიცი.

ხელმწიფე ცას ეწია სიხარულით და ნაზირ-ვეზირებს უბრძანა, — აასრულეთ, რასაც ითხოვსო!

ნაზირ-ვეზირებმა იმავ წამს დააკრეს ფიცარზე და შეაცურეს ზღვაში. მიცურდა დედაბერი კოშკის ძირას და დაიწყო ძახილი:

— ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, წყალში ვიხრჩობიო!

გადმოიხედა უხეირომ და თავის მზეთუნახავ ცოლს უთხრა:

— მოდი, მადლს ვიზამ, გადავარჩენ და ამოვიყვანო.

— არ გინდა, ეგ ბებერი მუხანათი არ იყოს და არ გიღალატოსო, — ურჩია ქალმა. მაგრამ უხეირომ არ დაიშალა,— ერთმა წირპლიანმა დედაბერმა რა უნდა მიყოსო, — ჩავიდა და ამოიყვანა.

დაუწყო დედაბერმა ცოლ-ქმარს ერთგული სამსახური, ყველაფერს კარგსა და საუკეთესოს აკეთებდა. ამასობაში იხელთა დრო და ბანგი ღვინოში შეურია. ერთხელაც, სადილად რომ დასხდნენ, ცოლ-ქმარს ეს დაბანგული ღვინო შეაპარა და ორივენი დააძინა. დედაბერი კუდიანიც იყო, იცოდა, რომ უხეიროს თმაში სამი ბეწვი ერია და თუ იმას არ ამოაძრობდნენ, არ მოკვდებოდა. იპოვა ის ბეწვები, ამოაძრო, შეახვია წითელ ჩვარში და ზღვაში გადააგდო.

უხეირო მოკვდა. დედაბერმა შეუკრა ფეხები და ქვევრში თავდაყირა ჩაჰკიდა. მერე აიყვანა მძინარე ქალი, ჩააწვინა ნავში და ხელმწიფეს მიუყვანა.

გაიხარა ხელმწიფემ დიდად და ღედაბერი უხვად დაასაჩუქრა, მაგრამ მისი სიხარული ნაადრევი გამოდგა. ქალს გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა და ყველაფერს მიხვდა. სიახ-

ლოვეს არავინ გაიკარა, ჩაჯდა ერთ ბნელ დილეგში და დაიწყო ტირილი. რაღა არ იღონა ხელმწიფემ, როგორ არ ეფერა, რა საჩუქარი აღარ აძლია, მაგრამ სულ ტყუილად, — ქალი არც ხმას იღებს და არც დილეგიდან გამოდის.

უხეირომ გამოთხოვების წინ თავის ძმადნაფიც დევებს რომ ბურთი დაუტოვა, იმ ბურთმა სისხლის წვეთვა დაიწყო. დევები მიხვდნენ, რომ უხეირო დიდ გასაჭირში იყო და მაშინვე საშველად გაეშურნენ. რა ღმერთმანი კვალის მიგნება გაუჭირდებოდათ, — უხეიროს დანაბიჯებ ადგილზე სულ ვარდი ყვაოდა. მიჰყვნენ ამ ყვავილნარს დევები და კოშკს მიადგნენ. ავიდნენ მაღლა და თავიანთი ძმობილი რომ ამ ყოფაში ნახეს — მკვდარი, ქვევრში ჩაკიდებული — შემოიკრეს თავში ხელი. მერე თქვეს, უნდა ვუშველოთ, ვისაც რით შეგვიძლია და ის თმები უნდა ვიპოვოთო.

ერთმა თქვა, მე ფრინველთა მეფეს ვიცნობ და თუ ცაშია, გავიგებო. მეორემ თქვა, მე ნადირთა მეფე მყავს მეგობარი და ხმელეთზე მოვძებნიო, მესამემ თქვა, თევზთა მეფე ჩემი ძმადნაფიცია და წყალში თუა, გაუგებელი არ დამრჩებაო.

აძებნინეს ცაში, — არ აღმოჩნდა, აძებნინეს ხმელეთზე— არც იქ აღმოჩნდა, დაუძახა მესამე დევმა თევზთა მეფეს და სთხოვა:

— აბა, შემიტყვე, სამი ბეწვი თმა ხომ არავის უპოვია შენს საბრძანებელშიო?

მოუხმო თევზთა მეფემ თავის საბრძანებელს და მოვიდა და მოვიდა თევზების ქარავნები, მაგრამ სამი ღერი თმის მნასველი არავინ აღმოჩნდა.

— ხომ არავინ გვაკლიაო? — იკითხა თევზთა მეფემ.

— როგორ არა, მეფეო, — მოახსენეს თევზებმა, — ერთი ბებერი თევზი გვაკლია, ისეთი ბებერია, ცურვა აღარ შეუძლია და ზღვის ფსკერზე წევსო.

მეფე თვითონ წავიდა იმ უძლური თევზის სანახავად: თევზმა უთხრა:

— ეს-ეს არის წყალმა წითელ ჩვარში შეხვეული რაღაც მოიტანა და ჩავყლაპე. ოღონდ ნუ მომკლავთ, ჭიჭყინები ჩაგზავნეთ ჩემს მუცელში და, თუ არის, ამოაღებინეთო.

ჩაგზავნეს ჭიჭყინები ბებერი თევზის მუცელში, ამოაღე-

ბინეს თმები და მისცეს დევებს. დევებმა უხეირო ქვევრიდან ამოიყვანეს და თმები თავზე მიუსვ-მოუსვეს. თმებმა თავიანთი ადგილები მოძებნეს და უხეირომ თვალები გაახილა. წამოდგა ფეხზე, გაიზმორა და თქვა:

— უჰ, რამდენი მძინებიაო.

— ბევრი მაშინ გეძინებოდა, ჩვენ რომ არ მოვსულიყავითო, — უთხრეს დევებმა. მერე ოთხივენი ქალაქში გამოვიდნენ, მიუხტნენ ხელმწიფეს და თავისი ნაზირ-ვეზირებიანად ამოწყვიტეს. დაიწერა ჯვარი უხეირომ ქალზე, სახელმწიფოც დაისაკუთრა და სიკვდილამდე ტკბილად და ბედნიერად იცხოვრა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

სოვდაგრის შვილი

იყო და არა იყო რა, რაც არ ყოფილა, რა იქნებოდა, იყო მეტად მდიდარი და უშვილო სოვდაგარი. ერთხელ სოვდაგარმა თავის ცოლს უთხრა:

— მე ხვალ სხვა სახელმწიფოში მივდივარ. იქ სრულ ათ წელიწადს უნდა დავრჩე, თუ მეთერთმეტე წლის დამდეგს არ მოვედი, მაშინ მკვდრად ჩამთვალე და მიგლოვეო.

სოვდაგარი გამოემშვიდობა ცოლს და გაემგზავრა. ქმრის წასვლის ცხრა თვის თავზე ცოლს ვაჟი ეყოლა.

სოვდაგარს სხვა ქვეყანაში თხუთმეტ წლამდე შეაგვიანდა. ცოლი დათქმულ დრომდე ელოდა, მაგრამ რომ არსად გამოჩნდა, მკვდრად ჩათვალა და გამოიგლოვა. ამასობაში ბიჭი თხუთმეტი წლისა შესრულდა და ისეთი ვაჟკაცი დადგა, რომ ბადალი არ ჰყავდა.

სოვდაგარმა მხოლოდ მეთექვსმეტე წელიწადს მოახერხა შინ დაბრუნება, შეკრა რაც კი რამ მონაგარ-მონაგები ჰქონდა, ახსენა ღმერთი, გადაიწერა პირჯვარი, ჩაჯდა გემში და გამოსწია სახლისაკენ. შუა ზღვაში რომ შემოვიდნენ, გემი წყლის ქაჯთა ხელმწიფემ დაიჭირა და აღარ გაუშვა. გამოვიდა გემბანზე დაღონებული სოვდაგარი და ღმერთს უსაყვედურა:

— შე დალოცვილო ღმერთო, რა დაგიშავე ისეთი, რომ მეთექვსმეტე წელიწადია, ძლივს შინ დაბრუნება მეღირსა და ახლაც შუა ზღვაში მაჩერებო?

— ღმერთს ტყუილად ემდურები, — ამოსძახა წყლის ქაჯთა ხელმწიფემ,—ეს წყალი ჩემი სამფლობელოა და აქ

ღმერთიც თვითონა ვარ და მბრძანებელიც. თუ გინდა, შინ მშვიდობით მიხვიდე, შენი უცოდინარი მომეცი და გაგიშვებო.

სოვდაგარი დაფიქრდა:

— ცოლი მყავს — ვიცი, სახლ-კარი და ქონება მაქვს — ვიცი, მაშ რაღა უნდა მქონდეს ისეთი, რომ არ ვიცოდეო, — და ქაჯთა ხელმწიფეს ჩასძახა:

— გაძლევ ჩემს უცოდინარს, ოღონდ გამიშვი, რომ შინ მშვიდობით მივიდეო.

— ოღონდ, იცოდე, — ამოსძახა წყლის ქაჯთა ხელმწიფემ, — ის შენი უცოდინარი წლის თავზე თვითონ უნდა მოვიდეს ჩემთან, პირი არ გამიტეხო, თორემ მთელ შენს სახლ-კარსა და ქონება-ცხოვრებას წყალს წავალეკვინებო.

— არაო, — შეპპირდა სოვდაგარი, წყლის ქაჯთა ხელმწიფემაც ახსნა ჯადო და გამოუშვა გემი.

ნაპირზე რომ გადმოვიდა, სოვდაგარმა კაცი გაუგზავნა ცოლს და თავისი დაბრუნება შეატყობინა. ცოლმა დაიქირავა ეტლი, ჩაისვა თავისი შვილიც და ქმრის შესახვედრად გაემგზავრა. ამდენი ხნის უნახავი ცოლ-ქმარი მხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს. მერე ცოლმა შვილი გააცნო და უთხრა:

— შენ რომ წახვედი, სწორედ იმ წელიწადს მეყოლაო.

სოვდაგარს, რაღა თქმა უნდა, ასეთი მოსწრებული შვილის დანახვა უზომოდ გაუხარდა, მაგრამ უცბად წყლის ქაჯთა ხელმწიფისათვის მიცემული პირობა მოაგონდა და სასე მოეღრუბლა. ცოლმა შეატყო ეს უეცარი სახეცვლილება და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, კაცო, შვილის ყოლა ხომ არ გეწყინაო?

— ნუ მკითხავ, — უთხრა სოვდაგარმა, — ჯერ ვერაფერს გეტყვიო. — ეშინოდა, უცბად რომ ვუთხრა, ვაითუ ქალის გულმა ვერ გაუძლოს და რამე უბედურება დაემართოსო.

წამოვიდნენ შინ. სოვდაგარი ვერც სახლ-კარისა და ეზოკარ-მიდამოს ნახვამ გაახარა. ისე იყო გაწამებული, რომ დანა პირს არ უხსნიდა. სადილზედაც უარი თქვა, ცოლმა კი დევ უთხრა:

— ვსედავ, რაღაც უბედურებაა ჩვენს თავს. მითხარი, ნუ გეშინია, შენთან ერთად ყველაფერს გავუძლებო.

— ეჰ, აბა რაღა გითხრა, — მიუგო სოვდაგარმა, — თურმე მოსწრებული შვილი მყოლია და მე კი სხვას მივეციო. — და რაც გზაზე თავს გადახდა, ყველაფერი დაწვრილებით უამბო.

— ვადა რამდენი ხანი მოგცაო? — ჰკითხა შვილმა.

— მხოლოდ ერთი წელიწადი, ჩემო შვილო, — მიუგო ოსვრით სოვდაგარმა, — მერე კი იმ დაწყევლილთან უნდა გაგაგზავნოო.

— ნუ დარდობ, მამაჩემო, — უთხრა ბიჭმა, — ერთ წელიწადს ხომ ერთად ვიქნებით და ერთმანეთში გავიხარებთ. მერე წავალ და ისე ჩათვალე, ვითომ შვილი სულაც არა გყოლიაო.

სიტყვა შორს აღარ მიდის და წელიწადიც მალე გავიდა. ბიჭი მივიდა მამასთან და უთხრა:

— მამი, აბა მასწავლე, სად და როგორ წავიდე და წავალო.

მამამ აჩვენა საითაც უნდა წასულიყო და უთხრა:

— აი, ამ მხარეს წახვალ, ივლი, ივლი და მიადგები ზღვას, დადექი ნაპირზე და დაიძახე: წყლის ქაჯთა ხელმწიფევ, მოველ, რომ მამაჩემის პირობა შევასრულო და გამომხედე-თქო! ის გაიგებს შენს ხმას, გამოვა და წაგიყვანსო.

ბიჭმა ჩაიდო საგზალი, გადაკოცნა დედ-მამა და გაუდგა გზას. იარა იმ გზით, საითაც მამამ უჩვენა, და რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც მიადგა ზღვას. ნატარ-ნამგზავრი დაიღალა და წყალიც მოსწყურდა, მიიხედ-მოიხედა და ზღვის პირას ქვიშაში მოლიკლიკე წყარო დაინახა. მივიდა, წყალი დალია და პურიც შეჭამა. მერე თქვა: რა მეჩქარება, ცოტას დავისვენებ და მერე დავუძახებ ქაჯთა ხელმწიფესო და ქვიშაზე წამოწვა. დაღლილს მალე ჩაეძინა. სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა:

— აქ რას უწევხარ მორჩილი ხარივით? ადექი, აქვე ახლოს გაშოქვაბულია, შედი შიგ და დაიმალე. შუადღისას სამი ქალი მოფრინდება ზღვაზე საბანაოდ. ის ქალები იმ ხელმწიფის შვილებია, ვისთანაც შენ მიდიხარ. ქალები და-

იხდიან ტანსაცმელს, დააწყობენ ცალ-ცალკე და შეცურავენ ზღვაში. შენ მარჯვედ იყავი, როცა თვალს აიცდენ, ჩუმად გამოდი გამოქვაბულიდან, სულ უმცროსი დის ტანსაცმელი აიღე და დამალე. ბანაობას რომ მორჩებიან, უფროსი დები ჩაიცმევენ ტანსაცმელს და გაფრინდებიან, პატარა კი აქ დარჩება და თხოვნას დაგიწყებს, ტანსაცმელი გამომიჩინეო, მაგრამ სანამ ცოლ-ქმრობის პირობა არ მოგცეს, არ გამოუჩინო. ესეც იცოდე. — დაუმატა ბოლოს, — ქალები წყლიდან რომ გამოვლენ და უმცროსი დის ტანსაცმელს ვეღარ დაინახავენ, თითოჯერ ისე დაიწივლებენ, რომ ხე ხეს ეცემა, ქვა—ქვას, მთა—მთას და მინდორი—მინდორს, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, გამოქვაბულში არაფერი დაგიშავდებაო.

გამოეღვიძა თუ არა ბიჭს, მაშინვე გამოქვაბულის ძებნას შეუდგა. იქით-მიდგა, აქეთ მოდგა და იპოვა. შევიდა შიგ და დაიმალა. შუადღე რომ წამოვიდა და კარგა ჩამოცსა, ზღვის პირას მართლაც მოფრინდა სამი ქალი. ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ კაცი იმათზე უტურფესს ვეღარაფერს ნახავდა, მაგრამ უმცროსი მაინც ყველას ჯობდა. გაიხადეს ტანსაცმელი, დააწყეს ქვიშაზე და შეცვივდნენ ზღვაში. ბიჭმა დრო იხელთა, გამოვიდა გამოქვაბულიდან, აიღო უმცროსი დის ტანსაცმელი და ისევ გამოქვაბულში დაიმალა.

დებმა კარგა ხანს ილივლივეს ზღვის ტალღებში. გული რომ იჯერეს, ნაპირზე გამოვიდნენ. ნახეს, უმცროსი დის ტანსაცმელი აღარსად არი და გაბრაზებულებმა ისეთი დაიწივლეს, რომ მთელი მთა-ბარი შეზანზარდა. მერე უფროსმა დებმა ჩაიცვეს ტანსაცმელი და გაფრინდნენ, უმცროსი კი დარჩა ნაპირზე და ტანსაცმელს დაუწყო ძებნა. მაგრამ აბა რას იპოვიდა! იმედი რომ გადაუწყდა, დადგა ზღვის პირას და ხმამაღლა დაიძახა:

— ვინა ხარ, რა სულიერი, თუ ჩემი ტოლი ხარ, ძმად მიგიღებ, თუ უფროსი ხარ — მამად, ოღონდ გამოჩნდი და ტანსაცმელიც გამომიჩინეო. ქალმა ეს სიტყვები რამდენჯერმე კიდევ გაიმეორა, მაგრამ ბიჭი არ გამოჩნდა, ბოლოს ქალი შეღონდა მოლოდინით და დაუძახა:

— კარგი, რაც არის, არის, შენ ქმარი და მე ცოლი, ოღონდ გამოდი და ტანსაცმელი მომიტანეო.

მაშინ კი გამოვიდა ბიჭი და მიუტანა ტანსაცმელი. ქალმა გადაიცვა საჩქაროდ და ბიჭს უთხრა:

— მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, დღეიდან შენი ცოლი ვიქნები, წამოდი და ჩემს სახლსა და სადგომს გაჩვენებო.

გაუძღვა ქალი წინ და გაუდგნენ გზას. იარეს, იარეს და მზის ჩასვლისას ერთ მარმარილოს სასახლეს მიადგნენ, ქალმა შეიყვანა ბიჭი თავის ოთახში, გაუშალა მდიდრული სუფრა და თვითონაც გვერდით მოუჯდა. კარგად რომ დაჯაპურა, მერე ჰკითხა:

— ახლა მითხარი, ვინა ხარ, სადაური და ან აქ რამ მოგიყვანაო?

ბიჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. მერე ქალმა უთხრა:

— ვისთანაც შენ მიდიხარ, ის წყლის ქაჯთა ხელმწიფე მამაჩემია. ის ქალები კი, ჩემთან რომ ბანაობდნენ, ჩემი უფროსი დები არიან. ავი დედინაცვალი გვყავს და დები ამიტომ ცალკე ვცხოვრობთ. შენ მამაჩემსა და ჩემს დედინაცვალს შესაჭმელად უნდიხარ; მაგრამ რაკი ჩემი გახდი, მე დაგეხმარები და ველარაფერს დაგაკლებენ. მამაჩემი ოთხ ძნელ დავალებას მოგცემს და გეტყვის, თუ ვერ აასრულე, შეგჭამო, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, ჩემთან მოდი, მითხარი, რასაც დაგავალებს, და მე ვიცი.

ბიჭი იმ ღამეს თავის მზეთუნახავ ცოლთან დარჩა, მეორე დილას ადგა და წავიდა ქაჯთა ხელმწიფის სახლში. მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

— აი, შეასრულე მამაჩემის პირობა და მოვედი, რა გინდა, რას ითხოვ ჩემგანო?

ქაჯთა ხელმწიფემ გამოიყვანა ბიჭი გარეთ, დაანახვა ერთი ტრიალი მინდორი და უთხრა:

— ამ მინდორს ხვალ დილამდე ისეთი გალავანი უნდა შემოავლო, რომ სამი საჟენი სიმაღლე ჰქონდეს და სამი საჟენი — სისქე, თუ ვერ შეასრულე, იცოდე ცეცხლზე შეგწვავ და ისე შეგჭამო.

დაბრუნდა ბიჭი ცოლთან და შესჩივლა:

— იმ მინდორს მე კი არა, ათასი კაციც ვერ შემოავლებს ისეთ გალავანს, როგორიც მამაშენმა დამავალა. ჯადო

ქარი ხომ არ ვარ, რომ ვუთხრა, აშენდი-მეთქი, და აშენდესო?

— ნუ გეშინია, ამქვეყნად შეუძლებელი არაფერია, — ანუგეშა ქალმა, და წუხანდელზე უკეთესი სუფრა გაუშალა. თვითონაც გვერდით დაუჯდა, გემრიელი სასმელ-საჭმლით გაუმასპინძლდა და დააძინა. მერე უბიდან ერთი ლერწმის ღერი ამოიღო და ჩასძახა:

— ჩემო შავო არაბებო, გაჭირვებისათვის გახსენებთ და ახლავე ჩემთან გაჩნდითო!

თქმა და თორმეტი არაბის შემოსვლა ერთი იყო. ქალმა გამოიყვანა გარეთ არაბები, სასახლის გასწვრივ გაშლილი მინდორი დაანახვა და უბრძანა:

— ან დაწყდით, ან აი იმ მინდორს ამაღამ ისეთი გალავანი შემოავლეთ, რომ სამი საჟენი სისქე ჰქონდეს და სამი საჟენი — სიმაღლეო.

— თქმა ძნელია, გაკეთება ადვილიო, — თქვეს არაბებმა და თვალის დახამხამების უმალ გაქრნენ. დილაბინდზე დაბრუნდნენ და ქალს უთხრეს, დავალება შესრულებულია და ნახეთო.

გააღვიძა ქალმა ბიჭი, ააფარა ფეშტამალი, მისცა ხელში ქაფჩა და უთხრა:

— გალავანი უკვე მზად არის, შენ მხოლოდ მიდი და ალაგ-ალაგ ქაფჩა მიუსვ-მოუსვი, რომ მამაჩემს მართლა შენი გაკეთებული ეგონოსო.

ბიჭიც წავიდა, როგორც ცოლმა დაარიგა, ისე მოიქცა: მიმოდის გალავნის გარეთ და ქაფჩას ხან იქ წაუსვამს, ხან — აქ.

გამოიხედა წყლის ქაჯთა ხელმწიფემ და გაკვირვებულმა თავის ავ ცოლს დაუძახა:

— დედაკაცო, გამოიხედე, ჩვენს ტყვეს მართლა არ აუშენებია გალავანიო!

— დაგიდგეს თვალი, — ქოქოლა მიაყარა ცოლმა, — შენმა ტყვემ კი არ ააშენა, შენმა უმცროსმა ქალმა ააშენებინა თავის არაბებსო.

მივიდა სოვდაგრის შვილი წყლის ქაჯთა ხელმწიფესთან და ჰკითხა: — კიდევ რას დამავალებო?

ხელმწიფემ უთხრა:

— ამ გალავანში დილამდე ისეთი ხეხილის ბაღი უნდა გააშენო, რომ რიგი ჰყვაოდეს, რიგი მწიფდეს და რიგი იკრიფებოდეს, შეასრულებ — კარგია, არადა, შამფურზე წამოგაგებ და ისე შეგჭამო.

წამოვიდა ცოლთან დაღონებული ბიჭი და შესჩივლა:

— მამაშენმა იმ გალავანში ახალი ბაღის გაშენება დამავალა, თანაც ისეთისა, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდეს და რიგი იკრიფებოდეს. როგორ უნდა მოვასწრო ერთ ღამეში, ჯადოქარი ხომ არა ვარო!

— ნუ გეშინია, — უთხრა ცოლმა, — შენ თუ არა ხარ ჯადოქარი, სამაგიეროდ მე ვარო. — მოუტანა კარგი სასმელ-საჭმელი, ავახშმა და დააძინა. თვითონ ამოიღო ლერწმის ღერო და ჩასძახა:

— ჩემო შავო არაბებო, გაჭირვების გამო გიხმობთ და ახლავე ჩემთან გაჩნდითო.

თქმა და არაბების მისვლა ერთი იყო. თორმეტივე თავდახრით წარუდგა და შეეკითა, — რა გაგჭირვებია, ჩვენო მბრძანებელოო?

ქალმა უბრძანა:

— იმ თქვენს აშენებულ გალავანში დილისათვის ისეთი ბაღი უნდა გააშენოთ, რომ რიგი მწიფდეს, რიგი ყვაოდეს და რიგი იკრიფებოდესო.

— თქმა ძნელია, გაკეთება ადვილი! — თქვეს არაბებმა და წამსვე გაუჩინარდნენ. დილაზე დაბრუნდნენ და თავიანთ ქალბატონს მოახსენეს, — დავალება შესრულებულია და ნახეთო.

გააღვიძა ქალმა თავისი ქმარი, მისცა ხელში სასხლავი დანა, კალათა და უთხრა:

— ბაღი მზად არის, შენ შედი შიგ, ზოგან გამხდარი ტოტი შეაჭერი, ზოგან მწიფე ხილი მოწყვიტე, რომ მამაჩემმა დაგინახოს და მართლა შენი გაშენებული ეგონოსო.

წავიდა ბიჭი და შევიდა ბაღში. დადის აქეთ-იქით, ზოგან ტოტს შეაჭრის, ზოგან მწიფე ხილს კრეფს და კალათაში ყრის. გამოიხედა ხელმწიფემ და მსხმოიარე ბაღი რომ დაინახა, ცოლს დაუძახა:

— დედაკაცო, ერთი გამოდი და ნახე, ჩვენს ტყვეს მარ-თლა არ გაუშენებია ხეხილის ბაღიო!

ცოლმა ისევ ქოქოლა მიაყარა:

— დაგიდგეს თვალი! შენმა ტყვემ კი არა, შენმა პატარა ქალმა გააშენებინა თავის ჯადოქარ არაბებსო.

წყლის ქაჯთა ხელმწიფემ შეუბღვირა ცოლს და უთხრა:

— დედაკაცო, ენა დაიმოკლე, თორემ მიგბეგვავ, შვილები სახლიდან გამიძევე და იქაც აღარ ეხსნებიო?

მივიდა ბიჭი ქაჯთა ხელმწიფესთან და ჰკითხა: — კიდევ რას დამავალებო? — ხელმწიფემ ერთი გაშლილი მდინარე დაანახვა და უთხრა:

— აგე იმ მდინარეზე დილამდე ისეთი სპილოს ძვლის ხიდი უნდა ააგო, რომ ცხრა სადროშო ჯარმა თავის თოფ-ზარბაზნებით ზედ გაიაროს და არ ჩაინგრესო. გააკეთებ — კარგია, არა და, ყალად გაგახმობ და ისე შეგჭამო.

წამოვიდა ბიჭი დაღონებული და ცოლს შესჩივლა:

— როგორ უნდა ავაშენო დილამდე იმ სიგრძე ხიდი და ან იმდენი სპილოს ძვალი სად ვიშოვოო?

— ნუ გეშინია, — ანუგეშა ცოლმა, — რაკი საჭიროა, სპილოს ძვალიც უნდა ვიშოვოთ და ხიდიც ავაშენოთო. — გაუშალა ისევ კარგი სუფრა, ავახშმა და დააძინა. თვითონ ადგა, ამოიღო ლერწმის ღერი და ჩასძახა:

— ჩემო ერთგულო არაბებო, გაჭირვებისათვის გეძახით და ახლავე ჩემთან მოდითო! — თქმა და მოსვლა ერთი იყო. დაუკრეს თავი თავიანთ ქალბატონს და შეეკითხნენ:

— რა გაგჭირვებია, ჩვენო მბრძანებელო? გვიბრძანე და მზადა ვართო.

— ქალმა დაანახვა მდინარე და უბრძანა:

— აგე იმ მდინარეზე დილამდე ისეთი სპილოს ძვლის ხიდი უნდა გააკეთოთ, რომ ცხრა სადროშო ჯარმა თავიან-თი თოფ-ზარბაზნებით გაიაროს ზედ და არ ჩატყდესო.

— თქმა ძნელია, გაკეთება — ადვილი! — მიუგეს არა-ბებმა და გაქრნენ.

ქალმა დილაბნელზე გააღვიძა თავისი ქმარი, ააფარა ფეშტემალი, მისცა ხელში ნაჯახი, ჩაქუჩი და უთხრა:

— ხიდი გადებულია, შენ გაიარ-გამოიარე ხიდზე და აქა-იქ ცული და ჩაქუჩი ჩაუკაკუნე, რომ მამაჩემმა დაგინახოს და მართლა შენი გაკეთებული ეგონოსო.

წავიდა სოვდაგრის ბიჭი და შედგა ხიდზე. მიმოდის წინ და უკან და ადგილ-ადგილ ჩაქუჩს უკაკუნებს. გამოიხედა ქაჯთა ხელმწიფემ და ცოლს დაუძახა:

— დედაკაცო, ერთი გამოდი, ჩვენ ტყვეს მდინარეზე როგორი ხიდი გაუკეთებიაო.

ცოლმა ისევ ქოქოლა მიაყარა:

— დაგიდგეს თვალი! ტყვემ კი არ გააკეთა, შენმა უმცროსმა ქალმა გააკეთებინა თავის არაბებსო!

ახლა კი ვეღარ მოითმინა წყლის ქაჯთა ხელმწიფემ, მისდგა თავის ცოლს და სახრით ერთი კარგა მიბეგვა.

— მე კი მითქვამს და, რაკი არა გჯერა, ნახავ საბოლოოდ რასაც გიზამენო, — უთხრა ცოლმა და გაჩუმდა.

მოვიდა ბიჭი ხელმწიფესთან და ჰკითხა:

— აბა კიდევ რას დამავალებო?

წყლის ქაჯთა ხელმწიფეს ორი რაში ჰყავდა, — ნიავქარი თვალთულა და გულთმისანი თვალჩიტა. თვალთულა სახლში ება და საჯდომად იყენებდა. თვალჩიტა კი ჯოგში ჰყავდა გაშვებული. უთხრა სოვდაგრის შვილს: — წადი ჯოგში, დაიჭირე ჩემი თვალჩიტა რაში და აქ მომგვარე, დაიჭერ და მომგვარი — ხომ კარგი, ვერ დაიჭერ და — ცოცხლად შეგჭამო.

სოვდაგრის შვილი ახლა კი გახარებული დაბრუნდა თავის ცოლთან. გულში ფიქრობდა: რა ცხენი უნდა იყოს ისეთი, რომ ვერ დავიჭიროო. ცოლმა გახარებული რომ დაინახა თავისი ქმარი, ჰკითხა, — რა დაგავალა მამაჩემმა ისეთი, რომ ასე ძალიან გიხარიაო?

— დღეს ძალიან ადვილი დავალება მომცა, — უთხრა ბიჭმა, — თვალჩიტა რაშის დაჭერა და მოყვანა დამავალაო.

— ადვილი კი არა, ყველაზე ძნელი საქმე დაუვალებია, — უთხრა ქალმა, — შენ არ იცი, ის რა არის, ცხენი კი არა, ქაჯია, მაგრამ რაკი დაგავალა, სხვა გზა არაა, უნდა შევასრულოთო, — გაგზავნა ქმარი თავის მამასთან და დაბარა:

გამოართვი თორმეტი ალმასის ლაგამი, თორმეტი უნაგირი და აქ მომიტანეო.

ბიჭი წავიდა, გამოართვა ხელმწიფეს, რაც ცოლმა დააბარა, და მოიტანა. ქალმა გაუშალა ქმარს სუფრა, თვითონაც გვერდით მიუჯდა, ეფერა, ეალერსა, კარგად ავახშმა და დააძინა. დილაზე ადგა და თავისი არაბები მოიხმო. მისცა თითოს თითო ლაგამი და უნაგირი და თვალჩიტა რაშის დაჭერა უბრძანა. მერე ქმარი გააღვიძა და უთხრა:

— ეს შენი ბოლო დავალებაა, შეასრულებ თუ ვერ შეასრულებ, სულერთია, მამაჩემი მაინც შეგჭამს, ამიტომ მე და შენ არაბებს უნდა გავყვეთ და, რაშს რომ დაიჭერენ, შევსხდეთ ზედ და აქედან გავიქცეთო.

მზე რომ ამოიწვერა, უკვე ჯოგთან იყვნენ. თვალჩიტა რაში რემას წინ მოუძღოდა და იალაღებისაკენ მიჰყავდა. ქალმა დაანახვა არაბებს თვალჩიტა და უთხრა, — აგე სწორედ ის მოწინავე ცხენი უნდა დაიჭიროთო.

წავიდნენ არაბები, მაგრამ რის დაჭერა, რა დაჭერა, რამდენიც მიუახლოვდნენ ჯოგს, თვალჩიტამ ყველა ტორებით გასრისა და მოკლა. ბოლოს აღარცერთი არაბი რომ აღარ დარჩა ცოცხალი, სოვდაგრის ბიჭმა თვითონ აიღო ლაგამ-უნაგირი და ცოლს უთხრა:

— სხვა გზა არ არის, მე თვითონ უნდა ვცადო. დავიჭერ — კარგია, არადა მაინც სასიკვდილოდ ვარ განწირული და ცოცხლად შეჭმას ისევ ცხენმა რომ მომკლას ის მირჩევნიაო.

ქალმა ამოიღო უბიდან ბასრი დანა და უთხრა:

— არაბები დამეხოცნენ, ახლა შენს მეტი პატრონი აღარავინ გამაჩნია და შენც თუ მოკვდები, მე სიცოცხლე რაღად მინდა, დავიცემ ამ დანას გულში და თავს მოვიკლავო. — გადაესვია თავის ქმარს თვალცრემლიანი და დაემშვიდობა:

ახსენა ბიჭმა ღმერთი, გადაიწერა პირჯვარი და წავიდა თვალჩიტას დასაჭერად. თვალჩიტა გულთმისანი იყო, მიუხვდა ქალ-ვაჟს გულის წუხილს და ბიჭს უთხრა:

— თქვენ რაკი ასე თავგანწირვით გყვარებიათ ერთმანეთი, თქვენი გულისათვის მეც თავს გავწირავ, შემასხედით ორივენი ზურგზე და სამშვიდობოს გაგიყვანთო,

ბიჭი და ქალი სიხარულისაგან აღარ იყვნენ, გადაეხვივნენ თვალჩიტას და დაუწყეს კოცნა. მერე შესხდნენ და ზღვის გაღმა ქვეყნისაკენ გააქროლეს.

წყლის ქაჯთა ხელმწიფემ უცადა სოვდაგრის ბიჭს, უცადა და, რომ არ დაბრუნდა, ცოლს უთხრა:

— ეტყობა, ჩემი ტყვე ჩემმა თვალჩიტა რაშმა გათელა, რომ აღარ მოდისო.

— შენ კი დაგიდგეს ეგ თვალები! — მიაწყევლა ცოლმა, — მოკლა კი არა, შენი უმცროსი ქალი და ის ტყვე ზურგზე შეისხა და ზღვის გაღმა ქვეყნისაკენ მიაქროლებსო.

— ეგ შენი ნათქვამი რომ მართალი არ გამოდგეს, იცოდე სასრჩობელაზე ჩამოგკიდებო, — უთხრა ქმარმა.

— თუ არა გჯერა, წადი და შენი თვალით ნახეო, — მიუგო ცოლმა. ხელმწიფე შეჯდა საჩქაროდ ნიავქარ თვალთულაზე და გაეკიდა. თვალჩიტამ იცოდა, რომ პატრონი თვალთულათი დაედევნებოდა და კარგა მანძილი რომ გაირბინა, ბიჭს უთხრა:

— აბა, უკან მოიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

ბიჭმა მოიხედა და შორს ერთი ბუზის ტოლა მოძრავი წერტილი დაინახა. — ეს უსათუოდ ჩემი პატრონია, — თქვა ცხენმა და ბიჭს უთხრა, — სულერთია, დაგვეწევა, ამიტომ მე ვიქცევი ვენახად, ქალს ვაქცევ მტევნად და შენ მეზვრედ. ხელმწიფე ვეღარ გვიცნობს და გადავრჩებითო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. იქცა თვალჩიტა ვენახად, ქალი მტევნებად და ბიჭი მეზვრედ. დადის ბიჭი ვენახებში, ხელში ვაზის სასხლავი მაკრატელი უჭირავს და მტევნებს ეალერსება. მოვარდა წყლის ქაჯთა ხელმწიფე აქოშინებული ცხენით და ბიჭს — მეზვრეს ჰკითხა: — აქეთ ცხენით ბიჭსა და ქალს ხომ არ გაუვლიათო?

— წლიდან წლამდე ამ ზვარში ვტრიალებ და აქეთ გავლილი ჯერ კაციშვილი არ მინახავსო, — მიუგო ბიჭმა.

წყლის ქაჯთა ხელმწიფე რომ უკან გაბრუნდა, ვენახი იქცა ისევ რაშად, მტევნები — ქალად, მეზვრე ბიჭად და გაუდგნენ კვლავ გზას. ქაჯთა ხელმწიფე კი მივიდა შინ და ცოლს მივარდა:

— შე ასეთ-ისეთო, რად მომატყუე და ამ სიშორე გზაზე

მაწვალე, ახლა როგორ გინდა, ჩამოგკიდო სახრჩობელაზე, თუ არაო?

— მაშ გზაზე არავინ შეგხვედრიაო? — ჰკითხა ცოლმა.

— მხოლოდ ერთი მეზვრე შემხვდა, მიმოდიოდა თავის ვენახში და მტევნებს ეფერებოდაო.

— დაგიდგეს ეგ თვალები, — უთხრა ცოლმა, — ის ზვარი შენი თვალჩიტა რაში იყო, მტევნები — შენი ქალი და ბეზვრე კიდევ — შენი ტყვე. რატომ იქვე არ მოკალი და ვაზი და მტევნებიც სულ არ აკუწეო.

ზღვის ხელმწიფე ისევ მოახტა თვალთულას და გამოეკიდა უკან. მირბის თვალჩიტა, მირბის, მაგრამ იცის, რომ პატრონი ისევ გამოეკიდება თვალთულათი და დაეწევა. კარგა მანძილი რომ გაირბინა, ისევ უთხრა ბიჭს:

— აბა, უკან მოიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

— ძალიან შორს ბუზისტოლად რაღაც მოჩანსო, — მიუგო ბიჭმა.

— ეგ უსათუოდ ჩემი პატრონიაო, — თქვა თვალჩიტამ და იქცა საყდრად, ბიჭი მღვდლად აქცია, ქალი — ხატად. დგას ბიჭი საყდარში, ხატის წინ, ანაფორაგადაცმული და „მამაო ჩვენოს“ ბუტბუტებს. გამოიარა ქაჯთა ხელმწიფემ და ჰკითხა მღვდელს:

— აქეთ ცხენიან ქალსა და ბიჭს ხომ არ გაუვლიათო?

— წელიწადზე მეტია ამ საყდარში ვწირავ და ადამიანი კი არა, ფრინველიც არ დამინახავს მაღლა გადაფრენილიო, — მიუგო ბიჭმა.

გაბრუნდა თუ არა უკან წყლის ქაჯთა ხელმწიფე, საყდარი ისევ თვალჩიტად გადაიქცა, მღვდელი — ბიჭად და ხატი — ქალად. შესხდნენ ქალ-ვაჟი ისევ თვალჩიტაზე და გაქროლეს.

მივიდა წყლის ხელმწიფე შინ და ცოლს შეუტია:

— რაკი მეორედაც მომატყუე, ახლა კი ვეღარ გადამირჩები, წამოდი ახლავე სახრჩობელაზე უნდა ჩამოგკიდოო.

— ჩამომკიდე თუ ვტყუივარო, — უთხრა ცოლმა, — მაგრამ ჯერ ის მითხარი: გზაზე არავინ შეგხვედრიაო?

— ერთი საყდარი შემხვდა, შიგ ხატის წინ ანაფორიანი მღვდელი იდგა და რაღაცას ბუტბუტებდაო.

— დაგიდგეს ორივ თვალი, — ქოქოლა მიაყარა ცოლმა, — ის საყდარი შენი თვალჩიტა რაში იყო, ის მღვდელი — შენი ტყვე და ის ხატი კიდევ — შენი ქალი. შე უბედურო, ის საყდარი უნდა დაგენგრია, ხატი დაგეფშვნა და მღვდელი კიდევ მოგეკლაო.

წყლის ხელმწიფემ ისევ დააპირა თვალთულაზე შეჯდომა და გამოდევნება, მაგრამ ცოლმა არ დაანება — შენ ისევ მოგატყუებენ, ისევ მე წავალ და ეშმაკებადაც რომ გადაიქცნენ, ვერსად წამივლენო. მოახტა თვალთულას ეს დედაკაცი და გაქუსლა.

მირბის თვალჩიტა, მირბის კი არა, მიფრინავს, მაგრამ იცის, რომ პატრონი მესამედაც დაედევნება და თვალთულას კი შორს ვერ წაუვა. კარგა მანძილი რომ გაირბინა, ბიჭს უთხრა:

— აბა, ერთხელაც მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

მოიხედა ბიჭმა და უთხრა:

— ვიღაც მხედარი ცხენს ნიავქარივით მოაქროლებსო.

— ეგ ნამდვილად ჩემი პატრონის ჯადოქარი ცოლი იქნებაო, — თქვა თვალჩიტამ და იქცა დიდ ტბად, ხოლო ქალი და ბიჭი გედებად აქცია. დაცურავენ ყელი-ყელგადაჭდობილი გედები წყალში და ტბის ზედაპირი ნელა ირხევა. ამ დროს მოვარდა წყლის ქაჯთა ხელმწიფის ცოლი, გადმოხტა რაშიდან და დაუწყო წყალს ყლაპვა. ყლაპა დედაკაცმა წყალი, ყლაპა, გაიბერა და გასკდა.

ტბა ისევ რაშად იქცა, გედები კი — ქალ-ვაჟად. ქალმა მისცა ბიჭს თავისი ბასრი დანა და უთხრა:

— აიღე ეს წყეული და სულ ლუკმა-ლუკმა აკუწე, თორემ გაცოცხლდება და არ მოგვასვენებსო.

გამოართვა ბიჭმა დანა, დედაკაცი სულ ფრჩხილისტოლა ნაწილებად აკუწა და ნაკუწები აქეთ-იქით მიმოფანტა. მერე შესხდნენ თვალჩიტაზე და თვალთულაზე და უკვე უშიშრად გაუდგნენ გზას.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს მივიდნენ ბიჭის დედ-მამასთან. სოვდაგარსა და იმის ცოლს შვილი უკვე გამოგლოვილი ჰყავდათ, მაგრამ ცოცხალი და საღსალამათი

რომ დაინახეს, ცას ეწივნენ სიხარულით და ღმერთს მადლი შესწირეს.

სოვდაგარმა იმავ დღეს წაიყვანა წყლის ქაჯთა ხელმწიფის ქალი საყდარში და ქრისტიანულად მოანათვლინა. მერე მოიწვია მთელი ქალაქი და შვილსა და რძალს არნახული ქორწილი გადაუხადა. ქორწილში მეც გახლდით, იმდენი ღვინო დავლიე და ისე დავთვერი, რომ დღესაც არ გამომიფხიზლებია.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.
უნაგირი ალგეთს დამრჩა,
მოსართავი — არაგვზედა,
ღმერთმა ყველას გაგიმარჯოთ,
ვინაც სხედხართ ალაგზედა.

სულამგარი და გულამგარი

იყო და არა იყო რა, ერთ ქვეყანაში იყო ერთი ხელმწიფე. ხელმწიფეს მეტისმეტად ჯიუტი და ავი ხასიათი ჰქონდა, არც შებრალება იცოდა, არც დანდობა, ყველა შეწუსებული ჰყავდა, ყველას სიცოცხლეს უმწარებდა და ხალხმა ამიტომ ზედმეტ სახელად ჯოჯოხეთა შეარქვა.

ამ სახელმწიფოში ცხოვრობდა ერთი ალალ-მართალი და მშრომელი კაცი, სახელად გოდერძი. გოდერძის თორმეტი შვილი ჰყავდა — ერთი ქალი და თერთმეტი ვაჟი. გოდერძი ღარიბი იყო, მაგრამ უსამართლოდ თავს არავის დააჩაგვრინებდა. ხელმწიფესაც ერთგულად ემსახურებოდა, თუმცა ზედმეტს და უსამართლოს არაფერს აკადრებინებდა.

ჯოჯოხეთა ხელმწიფეს არ მოსწონდა გოდერძის ასეთი სიმტკიცე და მართლმოყვარეობა და სულ იმას ცდილობდა, რამე ევნო.

მალე საამისო დროც დადგა: ჯოჯოხეთა ხელმწიფეს ორი ქალიშვილი ჰყავდა, უფროსი ქალიშვილი ერთ ხელმწიფის შვილზე დანიშნა და სიძეს მზითევში რამდენიმე რჩეულ ვაჟკაცსა და ქალს შეპირდა. რჩეულ ქალ-ვაჟებში გოდერძის თორმეტივე შვილიც იყო დასახელებული, მაგრამ გოდერძიმ მეფის ბრძანება შორს დაიჭირა და მტკიცე უარი შეუთვალა, — მე რაც სამსახური მმართებს შენი, გისრულებ, ამისი ვალდებული კი არა ვარ და არც შენა გაქვს შვილების წართმევის ნებაო.

გოდერძის უარი რომ გაიგო, ჯოჯოხეთა ხელმწიფე მთლად ჯოჯოხეთად გადაიქცა, გაწყრა, მაგრამ რა გაწყრა!

პირიდან სულ დორბლები წამოყარა და გაცეცხლებულმა იყვირა,—ახლავე შეიპყარით შვილებიანად და ჩამოახრჩეთო!

გოდერძი ჭკვიანი კაცი იყო, იცოდა, რომ ჯოჯოხეთა ხელმწიფე უარს არ აპატიებდა და თადარიგი წინასწარვე დაიჭირა: ცოლშვილითურთ აიყარა და ბინა ერთ მიუვალ კლდეში დაიდო. ხელმწიფემ ჯარი და ნაზირ-ვეზირები დაადევნა, მაგრამ გოდერძის შვილები რჩეული ვაჟკაცები იყვნენ და ხელმწიფის ამალა სიმაგრეში არ შეუშვეს.

ჩამოვარდა ამ დღიდან მტრობა გოდერძისა და ხელმწიფეს შორის. კლდე-ღრეში გახიზნული კაცის ხელობა ხომ ყაჩაღობაა და გოდერძიც ამ გზას დაადგა. თავისი რჩეული შვილებით წელიწადში რამდენჯერმე ჩავიდოდა ქალაქში, შეიპარებოდა ღამე ჩუმად, დახოცავდა სასახლის მცველებს და საზინას გაიტაცებდა, რაც ჭირდებოდა, თვითონ იღებდა, რაც არა და ღარიბ-ღატაკებს ურიგებდა.

რაღა არ სცადა ჯოჯოხეთა ხელმწიფემ, რაღანაირად არ უყელა, მაგრამ გოდერძისა და იმის შვილებს ვერაფერი დააკლო. ბოლოს ძალიან რომ შეწუხდა, ხერხს მიმართა: გოდერძის თავისი პირველი ვეზირი მიუგზავნა და შერიგება სთხოვა, თანაც ყველაფრის პატიება და ხელშეუხებლობა აღუთქვა.

გოდერძიმ ხელმწიფის შემონათვალი შვილებს გააცნო და ჰკითხა: — რას იტყვითო?

ძმებმა დაიჯერეს ჯოჯოხეთა ხელმწიფის დანაპირები და დაბრუნება ამჯობინეს, მხოლოდ ყველაზე ნაბოლარა ძმა — ჯიხვა დადგა უარზე, — ის ჩვენი ხელმწიფე ისეთი ჯოჯოხეთია, არაფერს გვაპატიებს და დაგვსჯისო. თვითონ გოდერძიც უმცროს შვილს ემხრობოდა, მაგრამ დანარჩენმა ძმებმა არ დაუჯერეს და მამასა და ძმას კარგაც უსაყვედურეს:

— როდემდე უნდა ვიყვნეთ ტყე-ღრეს შეხიზნულები, ამ ოჯახი და ცოლ-შვილი არ გვინდა, ან ადამიანური ცხოვრება? თქვენ თუ არ გინდათ, დარჩით, ჩვენ კი წავალთ და შეეურიგდებითო.

ჩავარდა საგონებელში გოდერძი. არ უნდოდა შვილების გათავთავადება და უმცროს შვილს ჯიხვას უთხრა:

— მოდი, შვილო, წავიდეთ. მართლაც და, როდემდე ვეყარნეთ ამ ტყეში, ხელმწიფეა და იქნებ თავისი სიტყვა არ გატეხოსო.

— მე კი მითქვამს და თქვენ იცითო, — თქვა ჯიხვამ და დათანხმდა.

აიყარა კლდის გამოქვაბულიდან გოდერძის ოჯახი და დაბრუნდა ძველ ნაბინავარში. მამამ და შვილებმა შეაკეთეს სახლი, აანთეს კერა და დაიწყეს ძველებურად შრომა და პატიოსანი ცხოვრება. ჯოჯოხეთა ხელმწიფემაც თითქოს დაივიწყა ძველი მტრობა, დაუტკბა, დაუახლოვდა. უფრო ჯიხვა მოსდიოდა თვალში, სასახლეში ხშირად იბარებდა და თანატოლივით ესაუბრებოდა, გულში კი სხვა განზრახვა ჰქონდა, რომ ჯიხვასთვის შარი მოედო და ძველი მტრობისა-თვის სასტიკად დაესაჯა.

საბაბი აქაც მალე გამოჩნდა. ჯოჯოხეთა ხელმწიფის უმცროსი ქალიშვილი ხშირად ხედავდა ჯიხვას სასახლეში და მოსწონდა, ბოლოს შეუყვარდა კიდეც. ლამაზი და ცქვიტი გოგო ჯიხვასაც შეუყვარდა, მაგრამ იცოდა, რომ ხელმწიფის ქალს მას არავინ აღირსებდა და თავი შორს ეჭირა. ეს ამბავი სეფე ქალებმა გაიგეს და სასახლეში ჭორი გაავრცელეს. ჭორი ბოლოს ჯოჯოხეთა ხელმწიფის ყურამდეც მივიდა. განრისხდა ხელმწიფე და როგორ განრისხდა! პირიდან სულ ცოფები ყარა, — როგორ გაბედა ვიღაც გლეხის ბიჭმა ჩემი ქალის შეყვარებაო, და კარისკაცებს ჯიხვას შეპყრობა უბრძანა:

— სასახლეში დავიბარებ და, მოვა თუ არა, მაშინვე შეიპყარით და ღრმა ორმოში ჩააგდეთო.

დაიბარა სასახლეში და ჯიხვაც ძველებურად ეახლა, როგორც წესი, შესვლისთანავე აიყარა ხმალ-კაპარჭი და კარიბჭის მცველებს გადასცა, და ის იყო, უნდა შესულიყო დარბაზში, რომ ეცნენ შეიარაღებული კარისკაცები და ბნელ ხაროში უკრეს თავი.

რაკი ჯიხვა ხელთ ჰყავდა, ჯოჯოხეთა ხელმწიფეს, რა თქმა უნდა, სხვა ძმებისა და მამის დასჯა აღარ გაუჭირდებოდა, აფრინა მაშინვე შეიარაღებული ჯარისკაცები და გოდერძი და დანარჩენი შვილებიც შეაპყრობინა, მოა-

ყვაწინა სასახლეში და ისინიც ბნელ ორმოებში ჩააყრევინა.

ზის ჯიხვა ციე და ბნელ ორმოში და ფიქრობს, როგორ დააღწიოს თავი სატანჯველს. ერთხელ ასეთ ფიქრში რომ იყო გართული, უცბად თავზე რაღაც დაეცა. აიხედა მაღლა და ბნელში ჩამოშვებული თოკი დაინახა. იმავ წამს მაღლიდან ნელი ჩურჩულიც გაიგონა, — მოეჭიდე თოკს და ამოდიო.—ჯიხვა მოეჭიდა თოკს და ავიდა. ორმოს თავზე ჯოჯოხეთა ხელმწიფის უმცროსი ქალი დახვდა. ქალმა მოჰკიდა ხელი, გაიყვანა გალავანში და უთხრა:

— დაყოვნების დრო აღარ არის, აჰა, ცხენი და იარაღი, ყველაფერი მოგიმზადე. წადი, შეკრიბე ხალხი, დაესხი მამაჩემის სასახლეს და გამიტაცე. შენს მამას და და-ძმებს მე მოვხედავ, შენ მხოლოდ შენს თავს მოუარე და ჩემს გატაცებაზე იფიქრეო. — აკოცა ქალმა ერთი და გაისტუმრა.

შეჯდა ჯიხვა ცხენზე და წავიდა, მიდის, მაგრამ არ იცის, საით მიდის. ბევრი იარა თუ ცოტა, ბოლოს გზაზე ერთ თავისკბილა ბიჭს გადაეყარა. ჯიხვას მოეწონა ბიჭი და გამარჯობა უთხრა.

— გაგიმარჯოსო, — მიუგო ბიჭმა.

ჯიხვამ შეატყო რომ ბიჭი რაღაცაზე დაღონებული იყო და მიზეზი და ვინაობა ჰკითხა. ბიჭმაც დაუფარავად უამბო:

— მე ერთი ძლიერი ხელმწიფის შვილი ვარ. მამაჩემი ღრმად მოხუცი იყო და თანაც ორივე თვალით ბრმა, მაგრამ ტახტს მაინც არ მაძლევდა. იბარებდა ექიმებს და თვალებისა და სიბერის წამალს სთხოვდა, რომ თვალებიც ახელოდა და კიდეც გაახალგაზრდავებულიყო. ვინ არ მოიწვია, ვისთან არ იმკურნალა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, არც სინათლე დაუბრუნდა და არც სიჭაბუკე. ბოლოს ერთი წუნკალი დედაბერი შეუჩნდა, მე მოგარჩენო და წამალიც ასწავლა: თუ ათი წელიწადი ახალშობილთა სისხლში იბანავებ, თვალებიც აგეხილება და ახალგაზრდობაც დაგიბრუნდებაო. დაუჯერა მამაჩემმა დედაბერს, დაგზავნა ჯარი თავის სახელმწიფოს ყველა კუთხეში და რაც ახალშობილი ბავშვი იყო, ქალიც და ბიჭიც, ყველა მოაყვანინა, დაახოცინა და სისხლში იბანავა.

ამ ხნიდან მოკიდებული სულ ასე მეორდებოდა, ყოველ-დღე მოჰყავდათ ახალშობილი ბავშვები, ხოცავდნენ და სისხლში მამაჩემს აბანავებდნენ.

შეწუხდა ხალხი, ყველგან ტირილი და გლოვა ისმოდა, შიშით შვილს ველარავინ აჩენდა და ქვეყანას გადაშენება მოელოდა. ვხედავდი ამას და გული მიკვდებოდა, მაგრამ მამაჩემის ხათრითა და რიდით ვერაფერს ვამბობდი.

ერთ დღესაც ჩვეულებრივ მორეკეს ბავშვები — ასი ბიჭი და ასი გოგო. ბავშვებს დედებიც უკან მოჰყვნენ და შეიქნა ერთი ზარი და მოთქმა, — აქეთ ბავშვები წივიან, იქით დედები იცემენ თავში და იხოკავენ ყელ-ყურს. მაშინ კი ველარ მოვითმინე, დავავლე ხმალს სელი და მამაჩემს თავი ბატკანივით გავაგდებინე, მერე გამოვვარდი კარში, დავხოცე ყველა კარისკაცი და შვილები დედებს დავუბრუნე. აი, ასეთი მძიმე საქმე შემემთხვა და ამის შემდეგ აბა ჩემს სახელმწიფოში როგორღა დამედგომებოდა, ხალხი მამის მკვლელს დამიძახებდა. მეც ავდექი და გამოვიქეცი, მაგრამ სად მივდივარ, სად წავიდე ან რა გავაკეთო, თვითონაც არ ვიცი.

ჯიხვამაც უამბო თავისი თავგადასავალი, დაძმობილდნენ და წავიდნენ ერთად. ბევრი იარეს თუ ცოტა, ბოლოს. ერთ უცხო ქვეყანაში მოსვდნენ და ბინად ერთ დედაბერთან დაბინავდნენ. მეორე დილას გამოვიდნენ და ქალაქი დაათვალიერეს: ნახეს იმ ქვეყნის მეფის სასახლე და ძალიან მოეწონათ, ოღონდ ეგ იყო, გალავანი სულ კაცის თავებისა ჰქონდა შემოვლებული. დაბრუნდნენ საღამოს შინ და თავიანთ დიასახლისს ჰკითხეს, — ამ თქვენს ქალაქში ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგეთ, რად არტყია მეფის სასახლეს კაცის თავების გალავანიო?

დედაბერმა უთხრა:

— არ მინდა, რომ გითხრათ, კარგი ახალგაზრდები ხართ, ვაითუ სულმა წაგძლიოთ და დაიღუპებითო.

ბიჭები არ მოეშვნენ, — განა რა უნდა იყოს ისეთი, გვითხარიო.

— ამ ჩვენს სელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, — უთხრა დედაბერმა, — ცოლად გაყოლაზე ქალი უარს არავის ეუბნება, მაგრამ ერთი პირობით: ერთ გამო-

ცანას ეტყვის, თუ გამოიცნო, გაჰყვება ცოლად, თუ ვერა და, თავს მოსჭრის და გალავანზე დადებს. დედამიწის რომელი კუთხიდან აღარ მოდიან მთხოვნელები, მაგრამ თავს ყველა აქ ტოვებს. ასე გაკეთდა ეს გალავანიო.

ჯიხვას ხელმწიფის შვილმა შეხედა და უთხრა:

— ბედი უნდა ვცადო და დამეხმარეო.

ჯიხვას თავისი გასაჭირი აწუხებდა, მაგრამ ძმადნაფიცს სათრი ველარ გაუტეხა და დათანხმდა.

გათენდა მეორე დილა და ძმობილები ხელმწიფის სასახლისაკენ გაემართნენ. გზაზე ჯიხვამ უთხრა:

— გამოცანას რომ გეტყვის, თუნდაც იცოდე, მაშინვე ნუ უპასუხებ. მოფიქრების დრო მოსთხოვე, გამოდი, მე მითხარი და პასუხი ორივემ ერთად მოვიფიქროთო.

დაეთანხმა ხელმწიფის შვილი და შევიდა სასახლეში. ჯიხვა გარეთ დარჩა და დაელოდა. გამოვიდა ხელმწიფის შვილი დაღონებული. ჯიხვა მიუხვდა გასაჭირს და ჰკითხა; აბა, როგორ არის საქმეო?

— ძალიან ცუდად, — უთხრა ხელმწიფის შვილმა, — მგონი, თავის მოკვეთა არ ამცდებაო.

— მაინც რა გკითხა ასეთიო? — ჰკითხა ჯიხვამ.

— თუ ჩემი თავი გინდა, გამოიცანი ვინ იყვნენ სულამბარი და გულამბარი, თუ არადა, შენი თავი ჩემი ციხის გალავანს მიემატებაო.

— დრო რამდენი მოგცაო? — კიდევ ჰკითხა ჯიხვამ.

— სამი თვე და სამი კვირაო.

— დრო საკმაოაო, — თქვა ჯიხვამ და ხელმწიფის შვილს უთხრა, — მეტი რა ღონეა. უნდა წავიდეთ და სადაც იქნება და არ იქნება, გავიგოთ, ვინ იყვნენ სულამბარი და გულამბარიო.

ადგნენ იმავე დღეს, შეკაზმეს ცხენები, გამოეთხოვნენ დედაბერს და წავიდნენ. იარეს ბევრი, ბევრი ქვეყანა მოიარეს, მაგრამ სულამბარისა და გულამბარის ამბისა ვერაფერი გაიგეს. დაბრუნდნენ ისევ დედაბერთან. სიარულში სამი თვე გავიდა და ხელთ სამი კვირაღა შერჩათ. სამი კვირის თავზე ხელმწიფის შვილი პირობის თანახმად ხელმწიფის ქალთან უნდა გამოცხადდეს და თავი სასიკვდილოდ დადოს.

ჯიხვას ბოღმისაგან გული უსკდება, რომ მეგობარს ვერაფერს შველის და მთელ დღეებს ოხვრა-გმინვით ატარებს.

ერთ დღეს ხელმწიფის შვილი გულის გადასაყოლებლად ქალაქში იყო გასული, ჯიხვა მარტო იჯდა შინ და კვლავ იმაზე ფიქრობდა, რით ეშველა ძმობილისათვის. უცბად მეორე ოთახიდან რაღაც ჩურჩული გაიგონა, წამოდგა და კარის ჭუჭრუტანიდან შეიხედა: დედაბერს შუა ოთახში თექა გაეშალა, ზედ მორთსმით დამჯდარიყო და თმაგაწეწილი რაღაც ჯადოსნურ ლოცვებს იზეპირებდა. ჯიხვამ იფიქრა, ემანდ ეს დედაბერი ჯადოქარი არ იყოს და სულამბარისა და გულამბარის ამბავიც თვითონვე არ იცოდესო. შევარდა უცბად, წაუჭირა დედაბერს ყელში ხელი, თან ოქროთი სავსე ქისა დაანახვა და უთხრა:

— აირჩიე, რომელი გინდა — სიკვდილი თუ სიმდიდრე. მეტყვი სულამბარისა და გულამბარის ამბავს, გაგამდიდრებ, არ მეტყვი და — კატასავით დაგახრჩობო.

შეეშინდა დედაბერს, მართლა არ დამახრჩოსო და უთხრა, — ამიშვი და გეტყვიო.

აუშვა ჯიხვამ დედაბერი და უთხრა:

— სულამბარისა და გულამბარის ამბავი მე კი ვიცი, მაგრამ უმჯობესია, შენი თვალით ნახო და მოისმინო. მე გასწავლი ერთ ადგილს და თუ იქ შეხვალ, ყველაფერს დაწვრილებით გაიგებო. — დედაბერმა ქალაქის განაპირას ერთი მაღალგალავანშემორტყმული სახლი დაანახვა და დაუმატა, — ეგ სასახლე, აგერ, ჩვენი ქუჩის ბოლოს რომ დუქანი აქვს, იმ ვაჭრისაა, და სულამბარისა და გულამბარის ამბავიც იმან იცის. წადი, გაეცანი ვაჭარს, დაუახლოვდი და იქნებ როგორმე მოახერხო იმის სასახლეში შესვლაო. — მერე დედაბერმა სამი ღერი თმა გამოიძრო და მისცა, — რაკი მეგობრის გულისათვის ასე თავსა სდებ, მეც მოგეხმარები, ეს თმები კარგად შეინახე, სადაც ძალიან გაგიჭირდეს, მახსენე და მეც იმავ წამს იქ გავჩნდებიო.

ჯიხვმა სთხოვა დედაბერს, ჩემს დაბრუნებამდე ჩემი ძმობილი არსად გაუშვაო, და წავიდა. მივიდა დუქანთან და ვაჭარს სთხოვა:

— შორი ქვეყნიდან მოსული კაცი ვარ, სამუშაო არაფე-

რი მაქვს და, თუ გამოგადგები, მიმიღე დუქანში მოჯამაგირედ.

ვაჭარს მართლაც დუქანში კაცი სჭირდებოდა და უარი არ უთხრა. დაუდგა ჯიხვა ვაჭარს მოჯამაგირედ, დაგავა დუქანი, დაასუფთავა ყაფაზები, დაალაგა საქონელი და ვაჭრობაშიც მიეხმარა. საღამოს ვაჭარმა ჯიხვა დუქანში დატოვა და თვითონ შინ წავიდა. მეორე დღესაც ჩვეულებრივ ივაჭრეს, ხოლო საღამოს, როცა დუქნის დაკეტვის დრომ მოაწია, ჯიხვამ სთხოვა ვაჭარს, აქ ნულარ დამტოვებო.

— წუხელაც სულ ეშმაკები მელანდებოდნენ და შიშით გული გამისკდა, შენთან წამიყვანე სახლშიო.

— წაგიყვანდი, — უთხრა ვაჭარმა, — მაგრამ იქ უარესი დაგემართება და არ მინდა, ჩემი გულისთვის ხიფათს გადაეყაროო.

— ოღონდ წამიყვანე და რაც არ უნდა შემემთხვეს, შენ არაფერზე დაგემდურებიო, — უთხრა ჯიხვამ.

— კარგი, წაგიყვან, — უთხრა ვაჭარმა, — მაგრამ თუ რამე დაგემართა, ჩემი ბრალი არ იყოსო. — დაკეტა დუქანი, წავიდა სახლში და ჯიხვაც თან წაიყვანა. გააღო გალავნის ჭიშკარი ვაჭარმა და რომ შევიდნენ, დაკეტა. შეიყვანა ჯიხვა სახლში, გაატარა მდიდრულად მორთული დარბაზები და ბოლოს ერთ პატარა ოთახში ტახტზე დასვა. სასახლეში კაცის ჭაჭანება არ ჩანდა. ვაჭარმა თვითონ გააწყო სუფრა, ავაზშმა ჯიხვა და თვითონვე აალაგა. მერე ტახტის ქვეშიდან ერთი კაცის თავი გამოაგორა, ჩამრიღო კედლიდან მკლავის სიმსხო რკინის მათრახი, რად მიღალატე, რა დაგიშავეო, უთხრა თავს და დაუწყო რკინის მათრახით ცემა. კარგად რომ დაიღალა, თავი ისევ ტახტქვეშ შეაგორა და დაისვენა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ წამოდგა და ტახტქვეშიდან ასლა ქალის თავი გამოაგორა. იმასაც ისე უთხრა, — რა გინდოდა, რა გაკლდა ჩემს ხელში, რისი გულისათვის მიღალატეო, და იმასაც მათრახით სცემა. ცემით რომ გული იჯერა, ქალის თავიც ისევ ტახტქვეშ შეაგორა, მათრახი კედელზე დაკიდა და ჯიხვას უთხრა:

— ასლა დავწვეთ და დავიძინოთო.

ჯიხვამ უარი უთხრა:

— სანამ არ გავიგებ, ვისი იყო ეს თავები და ან ეს ცემა რას ნიშნავდა, არც დავიძინებ და არც აქედან წავალო.

ამაზე ვაჭარმა უთხრა:

— დაეხსენ ამ თავების ამბავს, თორემ ფიცი მაქვს მიცემული, ჩემს გარდა ვინც ამ საიდუმლოს გაიგებს, უნდა მოვკლაო. ჰოდა, დამეხსენ, თორემ შენც მოგკლავ და მესამე საცემი შენი თავი გამიხდებაო.

მაგრამ ჯიხვა არც ამ მუქარას შეუშინდა და კვლავ ხვეწნით უთხრა, — ოღონდ მითხარი და რაც გინდა მერე ის მიყავიო.

— კარგი, რაკი არ იშლი, გეტყვი, — უთხრა ვაჭარმა, ჯიხვა ტახტზე გვერდით მოისვა და უამბო: — აი ხომ ხედავ ჩემს სიმდიდრეს? ამ ქალაქში ჩემზე მდიდარი არავინ იყო, მაგრამ სხვა მდიდრებივით სიძუნწე არ მჩვეოდა, ღარიბსა და მათხოვარს განუკითხავს არ გავუშვებდი და სიკეთისათვის ღმერთიც ბარაქას მაძლევდაო.

ერთხელაც ერთი გლახა — მათხოვარი შევიცოდე და მოჯამაგირედ ავიყვანე. გავამდიდრე, წელში გავმართე და კაცად ვაქციე. მაგრამ იმან სიკეთე ბოროტებითა და ღალატით გადამიხადა, — ჩემი ცოლი შეიყვარა და გულში ჩემი მოკვლა და თავიდან მოშორება გადაწყვიტა. აი ის პირველი თავი სწორედ იმისი იყო და ცემითაც იმიტომ ვცემდიო.

ცოლად ულამაზესი ქალი მყავდა, — განაგრძო ვაჭარმა, — ლამაზი ცოლით თავი მომქონდა და დიდ პატივშიც მყავდა, რა სურვილი უნდა გასჩენოდა, რომ არ ამესრულებინა, თვალის ჩინივით ვუფრთხილდებოდი, მაგრამ სიკეთე არც იმან დამიფასა, — ჩემი გლახა მოჯამაგირე შეიყვარა და მოკვლა მომინდომა, მე ეს ამბავი ერთი ჩემი კეთილისმყოფელი კაცისაგან გავიგე, დავასწარი და ორივეს თავები დავაყრევინე. აი ის მეორე თავი ჩემი ცოლისა იყო და ცემითაც იმიტომ ვცემეო. ეს ამბავი ამ ქვეყანაში ჩვენი ხელმწიფის გრძნეული ქალის მეტმა არავინ იცის, მხოლოდ იმან გაიგო, სულამბარისა და გულამბარის ამბავი დაარქვა და გამოცანად იყენებს. ხოლო მე დამიბარა და გამაფრთხილა, თუ მესამე კაცთან წამოგცდა, ან იმ კაცს თავი მოჰკვეთე, რომ არსად თქვას და საიდუმლო არ გამქლავნდეს, ან არა-

და, შენ გამოგასალმებ წუთისოფელსო. ახლა ძალიანაც მენანები, მაგრამ რა ვქნა, ჩემს სიკვდილს ისევ შენი სიკვდილი მირჩევნია, თავი უნდა მოგკვეთო და ჩვენი ხელმწიფის ქალს წავუღო, თორემ ცოცხალს არ გამიშვებსო.

რაღა უნდა ექნა ჯიხვას, პირობას ვერ გადავიდოდა, მაგრამ რომც გადასულიყო, წასასვლელი არსაით ჰქონდა, ყველა კარი შიგნიდან იყო დაკეტილი, ხოლო ვაჭარმა უკვე ხმალი ამოიღო და უთხრა, სასიკვდილოდ მოემზადეო. ჯიხვას იმდენად თავისი სიკვდილი არ აწუხებდა, რამდენადაც ის, რომ მეორე დღეს მის ძმობილ ხელმწიფის შვილს პირობის ვადა უთავდებოდა და თავის მოსაკვეთად ხელმწიფის ქალთან უნდა გამოცხადებულიყო. დაღონდა ჯიხვა, ვერც ძმობილს რასმეს შველოდა და თვითონაც სიცოცხლეს ესალმებოდა. ამ დროს მოაგონდა დედაბრის მოცემული თმები და ვაჭარს უთხრა:

— პირი პირია, უარს ვერ გეტყვი, მხოლოდ ერთსა გთხოვ, ერთი წუთით აივანზე გამიშვი, სიკვდილის წინ ქრისტიანულად ვილოცებ და მერე შენი ნება ასრულდესო.

ვაჭარმა ნება დართო, იცოდა, ჭიშკარი მჭიდროდ ჰქონდა დაკეტილი შიგნიდან, ხოლო გალავანზე ვერ გადახტებოდა. გამოვიდა ჯიხვა აივანზე, ამოიღო დედაბრის თმები და ახსენა. იმავ წამს მოფრინდა დედაბერი, შეისვა ჯიხვა მხრებზე და გააფრინა. ვაჭარი ელოდა, ელოდა, მაგრამ ჯიხვა რომ აღარ გამოჩნდა, თვითონ გამოვიდა აივანზე. მიხვდა, რომ ხელიდან გაუსხლტა და თავი მოიკლა.

გათენდა მეორე დილა. უამბო ჯიხვამ ხელმწიფის შვილს სულამბარისა და გულამბარის ამბავი და წავიდნენ ხელმწიფის ქალთან. ჯიხვა გარეთ დარჩა, ხელმწიფის შვილი ქალთან შევიდა. ქალმა ჰკითხა, — აბა როგორა ხარ პირობაზე, ცოლად წამოგყვე თუ თავი მოგკვეთოო?

— ყველაფერზე მზადა ვარ, ოღონდ ჯერ მომისმინეო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა და უამბო, რაც ჯიხვასაგან გაიგონა:

— იყო ერთი ძალიან მდიდარი ვაჭარი და ჰყავდა მზეთუნახავი ცოლი. ერთხელ ვაჭარმა ერთი გლახა აიყვანა მოჯამაგირედ, გლახამ და ვაჭრის ცოლმა ერთმანეთი შეიყვა-

რეს და ვაჭრის მოკვლა გადაწყვიტეს, მაგრამ გაუგო ვაჭარმა ღალატი და თვითონვე დააყრევინა თავები. ეს ყველაფერი შენს მეტს არავის გაუგია, სულამბარისა და გულამბარის ამბავი დაარქვი და გამოცანად იყენებდიო.

— მართალი ხარო, — უთხრა ქალმა, — მაჯობე პირობაში და დღეიდან შენი ცოლი ვხდებიო.—შეიყვანა ხელმწიფის შვილი მამასთან და უთხრა, — აი, ჩემი საქმრო და ჯვარი დაგვწერეო.

ხელმწიფემ თავის ქალს გადაუხადა დიდი ქორწილი და დიდძალი მზითვიც გაატანა. ჯიხვამ ვაჭრის ქონება წამოიღო და წამოვიდნენ ხელმწიფის შვილის ქვეყანაში. ხალხმა არა თუ უარყო ხელმწიფის შვილი, მადლობაც გადაუხადა ავი მამის მოკვლისათვის და იმავ დღეს ტახტზე აიყვანა.

ჯიხვამ უთხრა ხელმწიფის შვილს:

— ჩვენ ყველაფერი საზიარო გვაქვს და ტოლად უნდა გავიყოთო.

ხელმწიფის შვილი დათანხმდა და მთელი ქონება, რაც ნაშოვნი ჰქონდათ, თანატოლად გაიყვეს.

მერე კიდევ უთხრა ჯიხვამ:

— ახლა ეს ქალიც უნდა გავყოთო.

ხელმწიფის შვილს გაუკვირდა:

— ქალი როგორ გავყოთ, თუ გინდა, შენ დაგითმობო.

— არაო, — უთხრა ჯიხვამ, — უნდა გავჭრათ შუაზე.— გამოიყვანა ქალი, დააყენა და უთხრა:

— შენც საზიარო ხარ და შუაზე უნდა გაგჭრათო. იძრო ხმალი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოუქნია. ქალი შეშინდა და პირიდან მწვანე შხამი წამოანთხია. ჩააგო ხმალი ჯიხვამ ისევ ქარქაშში და ხელმწიფის შვილს უთხრა:

— აჰა, აი ახლა გყავდეს ცოლად, რაც ბოროტება ჰქონდა გულში, სულ წამოვარწყევინე და ამის შემდეგ ერთგულ ცოლობას გაგიწევსო.

რამდენიმე დღის შემდეგ ჯიხვამ სთხოვა ხელმწიფის შვილს, — ჯარი მომეცი, რომ ჩვენი ჯოჯოხეთა — ხელმწიფე დავამარცხო და ჩემი და-ძმები და მამა ტყვეობიდან გამოვიხსნაო. მისცა ხელმწიფის შვილმა ჯარი, საუკეთესო სარდლები და თვითონაც თან გაჰყვა. მივიდნენ ჯოჯოხე-

თა ხელმწიფის სამფლობელოში და ხელმწიფესაც და იმის კარისკაცებსაც თავები დაჰკვეთეს. ჯიხვამ პირობისამებრ ჯოჯოხეთა—ხელმწიფის კეთილი ქალიშვილი შეირთო და ხელმწიფედ ეკურთხა. გაანთავისუფლა მამა და და-ძმები, ნაზირ-ვეზირებად დაიყენა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.





ქაჩალ-მეგატე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. ერთხელ თავის ვეზირს უთხრა, ცხენები შეკაზმე და სანადიროდ წავიდეთო. შეკაზმა ვეზირმა ცხენები, მოამზადა საგზალი და წავიდნენ სანადიროდ. ტყეში ერთ ანკარა წყაროს წააწყდნენ, ხელმწიფეს მოეწონა წყარო და ვეზირს უთხრა, — აქ შევისვენოთ და ბარემ პურიცა ვჭამოთო.—ჩამოხადეს ცხენებს და დაიწყეს პურის ჭამა.

უცბად წყაროსთან ერთი წვერიანი ტყის კაცი მოვიდა. გამარჯვება უთხრა და ჰკითხა:

— ვინა ხართ, ან ამ ჩემს ტყეში რისთვის მოსულ ხართო?

ხელმწიფემ უთხრა, ვინც იყო, და დაუმატა:

— უშვილო კაცი ვარ, ამის გამო ხშირად ჯავრი შემომაწვება და გულის გადასაყოლებლად ბუნებაში გამოვდივარო.

— მე მოგცემ ისეთ წამალს, რომ ერთის მაგიერ, ორი შვილი გაგიჩნდეს, ოღონდ უმცროსი მე უნდა მომცეო.

— ოღონდ შვილი მეღირსოს და მოგცემო, — დათანხმდა ხელმწიფე.

კაცმა ამოიღო ორი ვაშლი, მისცა ხელმწიფეს და უთხრა:

— წაიღე ეს ვაშლები, აჭამე შენს ცოლს და გეყოლება შვილებიო.

დაბრუნდა ხელმწიფე შინ და ცოლს ერთი ვაშლი შეა-

ჭამა. დედოფალი დაორსულდა და ეყოლა ბიჭი. მეორე წელს ხელმწიფემ მეორე ვაშლი შეაჭამა და ეყოლა ოქროსთმიანი ბიჭი.

გავიდა თექვსმეტი წელიწადი. ისეთი დადგა ეს ოქროსთმიანი უმცროსი ბიჭი, რომ იმ არემარეში ბადალი არ მოეპოვებოდა. თექვსმეტი წლის თავზე კაციც მოვიდა და დანაპირები მოითხოვა.

ხელმწიფეს არ ემეტებოდა უმცროსი შვილი მისაცემად, ამიტომ თავზე ცხვრის ფაშვის ჩაჩი დაახურა, იქნებ ტყის კაცს ქაჩალი ეგონოს და არ მოეწონოსო. მაგრამ ტყის კაცმა სიქაჩლით არ დაიწუნა.

— რაც მერგო, მერგოო, — თქვა, შემოისვა ცხენზე და თვალის დახამსამების უმალ გაქრა. ვერავინ გაიგო, რომელ მხარეს წავიდა.

ატარა ტყის კაცმა ბიჭი, ატარა და ქვესკნელში ერთ გამოქვაბულში შეიყვანა. იქ ერთი ღორი და რაში ჩააბარა და უთხრა:

— დრომდე ამათ მოუარე, ოღონდ იცოდე, ღორს თივა აჭამე, რაშს კი სალაფავი და, თუ კარგად მოუვლი, გაგანთავისუფლებო.

ეს უთხრა ტყის კაცმა და ისევ გაქრა. ბიჭმა მოამზადა სალაფავი და ცხენს დაუდგა, ღორს კი თივა დაუყარა, მაგრამ არც ერთმა პირი არ დააკარა. ბიჭს შეეცოდა პირუტყვები და საჭმელი შეუცვალა — სალაფავი ღორს დაუდგა და თივა რაშს დაუყარა. ღორმა და რაშმა ჭამეს საჭმელი და ბიჭს უთხრეს:

— რაკი შენ ასეთი სიკეთე გვიყავი და ამდენი ხნის მშიერები გაგვაძღე, ჩვენც გვინდა სამაგიერო გადაგიხადოთო. შენ მართალი ხომ არ გგონია, რომ გითხრა, გაგანთავისუფლებო, ეგ განთავისუფლებას შეჭმას ეძახის, და თუ თავს ახლავე არ უშველე, რომ დაბრუნდება, შეგჭამსო.

— მაშ, რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? — ჰკითხა ბიჭმა.

რაშმა უთხრა:

— შედი ამ გამოქვაბულის სიღრმეში, იქ დევს ჩემი უნაგირი და ლაგამ-ავშარა, უნაგირზე ერთი ხელი სამეფო ტანსაცმელი და .აბჯარ-საჭურველი აწყვია. ჩაიცვი ტანსაცმე-

ლი და საჭურველიც აისხი: მერე აიღე სავარცხელი, ფილთაქვა, მელნის შუშა და ჯიბეში ჩაილაგე, დამადგი უნაგირი და შემაჯექიო.

ბიჭმა შეკაზმა რაში და შეჯდა. წამოსვლისას ღორმა უთხრა:

— ტყის კაცი რომ მოვა, ჩემზე შეჯდება და დაგედევნება, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, როგორც რაშმა დაგარიგოს, ისე მოიქეცი და გადარჩებიო.

გადაჰკრა ბიჭმა რაშს მათრახი, რაში ფრთიანივით ამოვარდა ქვესკნელიდან და ხმელეთზე ისარივით გაიჭრა. დაბრუნდა გამოქვაბულში ტყის კაცი და რაში და ბიჭი რომ ველარსად ნახა, ღორს დაუყვირა:

— რა იქნენ ისინიო?

— წავიდნენო, — მიუგო ღორმა.

— მერე, რატომ დროზე არ შემატყობინეო? — დაუყვირა უფრო ხმამაღლა ტყის კაცმა, აიღო ერთი რკინის ჯოხი, მისდგა ღორს და სულ ბური აადინა. ცემით რომ გული იჯერა, შეჯდა ზედ და უთხრა:

— აბა, გასწი და დაედევნე .ან დაეწიე, ან არადა, ყელში დანას გაგიყრი და იმის მაგივრად შენ შეგჭამო.

რაღას იზამდა ღორი, ამოვარდა ქვესკნელიდან და დაედევნა. რაშმა უთხრა ბიჭს, აბა, მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო? ბიჭმა მიიხედა და უპასუხა: წერტილივით რაღაც მოჩანსო.

— გადააგდე სავარცხელიო! — უთხრა რაშმა.

ბიჭმა გადააგდო სავარცხელი და გაჩნდა ულრანი, გაუვალი ტყე. მიადგნენ ტყეს ღორი და ტყის კაცი და კაცმა დაუყვირა:

— გასჭერ და გამიყვანეო!

მიადგა ღორი ტყეს და გაჰკრა და გამოჰკრა ეშვები, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, აწვენს ხეებს და მიდის წინ. ბოლოს გასჭრა და გავიდა.

ამასობაში ბიჭი და რაში კარგა მანძილით დაწინაურდნენ, მაგრამ ღორი რაშზე ათჯერ უფრო სწრაფი იყო და მალევე წამოეწია. რაშმა იგრძნო ღორის მოახლოვება და ბიჭს უთხრა:

— მიიხედე უკან, ხომ არაფერი მოჩანსო?

მიიხედა ბიჭმა და მიუგო:

— მუშტის ტოლად რაღაც მოჩანსო.

— გადააგდე ფილთაქვაო! — უთხრა რაშმა.

ბიჭმა გადააგდო ფილთაქვა და აღიმართა ფრიალო კლდე. მიადგნენ ღორი და ტყის კაცი კლდეს, კაცმა დაუყვირა:

— გასჭერ და გამიყვანეო!

მისდგა ღორი კლდეს და გაჰკრა და გამოჰკრა ეშვები, გალეწა კლდეც და გავიდა. ბიჭმა და რაშმა ამასობაში კიდევ გაიარეს დიდი მანძილი და დაწინაურდნენ, მაგრამ ღორი მალევე წამოეწია. კიდევ უთხრა რაშმა ბიჭს:

— უკან მიიხედე, ხომ არაფერი მოჩანსო?

მიიხედა ბიჭმა და უპასუხა:

— ქუდის ტოლად რაღაც მოჩანსო.

— გადაღვარე მელანიო, — უთხრა რაშმა.

ბიჭმა გადაღვარა მელანი და წამოვიდა კუპრივით შავი მდინარე, ისეთი დიდი და ფართო, რომ ერთი ნაპირიდან მეორემდე კაცი თვალს ვერ გააწვდენდა. ტყის კაცმა უბრძანა ღორს:

— გაცურე და გამიყვანეო!

ღორმა შეცურა მდინარეში, შევიდა ერთ მორევში და დაიყურყუმელავა. ტყის კაცი მორევში ჩაახრჩო, თვითონ ნაპირზე გავიდა და ტყისკენ გასწია.

რაშმა მიიყვანა ბიჭი ერთ სახელმწიფოში, გამოიძრო ძუა, მისცა და უთხრა:

— გაიხადე ჯაჭვ-მუზარადი და ტანსაცმელი, ისევ უნაგირზე დამაკარი და გამათავისუფლე. შენ შენს გზაზე წადი, სადაც გაგიჭირდეს, ამოიღე ძუა, მახსენე და იმავ წამს შენთან დავიბადებიო.

ბიჭმა აასრულა რაშის ნათქვამი, გაიხადა ტანსაცმელი, ჯაჭვ-ჯავშანი, დააკრა რაშს უნაგირზე და გაუშვა. თვითონ ქალაქისაკენ მიმავალ გზას დაადგა. შევიდა ქალაქში, მივიდა ხელმწიფის სასახლეში, ითხოვა შესვლის ნებართვა, წარუდგა ხელმწიფეს და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, უცხო ქვეყნიდან წამოსული

კაცი ვარ, მინდა მოჯამაგირედ დავდგე და რამე საქმე გამომინასეთო.

ხელმწიფემ ახედ-დახედა თავზე ცხვრის ფაშვჩამოცმულ ბიჭს და მართლა ქაჩალი ეგონა. ბოლოს უთხრა:

— მებატე მინდა, თუ დადგებიო.

— საქმე იყოს და ჩემთვის სულ ერთიაო, — უთხრა ბიჭმა და დაუდგა ხელმწიფეს მებატედ. საბატის გვერდით ერთი ჩალური მისცეს და იქ დასახლდა. დღისით ბატებს აძოვებდა მინდორში, ღამით კი ჩაიკეტებოდა თავის ჩალურ ქოხში და ოქროს ქოჩორს იბანდა.

ერთ ღამესაც ბიჭმა ჩვეულებრივ გააცხელა წყალი, მოიხადა ცხვრის ფაშვის ჩაჩი და თავის ბანა დაიწყო. ამ დროს ეზოში ხელმწიფის უმცროსმა ქალიშვილმა გაიარა, დაინახა ქოხის სარკმლიდან გამოსული შუქი და დაინტერესდა, — ნეტა რა არის ამ ქოხში ასე თვალისმომჭრელად რომ ანათებსო? მივიდა ჩალურთან, შეიხედა სარკმლიდან და ოქროსქოჩრიანი ბიჭი კი დაინახა. შუქიც მისი თმის ანარეკლი ყოფილიყო. ხელმწიფის ქალს შეუყვარდა ბიჭი, წავიდა და თავის ორ უფროს დას უთხრა:

— ჩემო დებო, ჩვენ ყველანი გასათხოვრები ვართ, მაგრამ მამაჩვენი არაფერს ფიქრობს, მოდით, გავახსენოთ, რომ უკვე დროა ჩვენი გათხოვებისა და საქმროები ამოგვარჩევინოსო.

დებმა მოუწონეს დას რჩევა, იყიდეს სამი მწიფე საზამთრო, დაურჭვეს თავ-თავიანთი დანები და ხელმწიფეს გაუგზავნეს, ხელმწიფემ დაიბარა ქალიშვილები და ჰკითხა:

— რას ნიშნავს ეს საზამთროები, ან შიგ გაყრილი დანებიო?

— ეგ იმას ნიშნავს,—უთხრეს ქალებმა,—რომ უკვე დავმწიფდით და ჩვენი გაჭრის დროც დადგაო.

ახლა კი მიხვდა ხელმწიფე თავისი ქალების განზრახვას და ვეზირებს უთხრა:

— დაიბარეთ მთელი სახელმწიფოს საქორწინო ბიჭები, ჩემს ქალებს გათხოვების დრო მოსვლიათ და საქმროები უნდა ამოვარჩევინო.

აცნობეს ვეზირებმა ხალხს ხელმწიფის განცხადება და

ყველა გამოჩენილი სასიძო სასახლეში მოიწვიეს. ჩაამწკრივეს ეზოში და გამოიყვანეს ხელმწიფის ქალიშვილები. ხელმწიფემ ასლოს მიისმო ქალები და უთხრა:

— აი, შვილებო, ჩემი ქვეყნის ყველა გამოჩენილი სასიძო აქ არის, ჩამოუარეთ და რომელიც მოგეწონებათ, კალთაში ჩაუსხედითო.

ჩამოუარა უფროსმა ქალმა და ერთ-ერთი მთავრის შვილს ჩაუჯდა კალთაში. დალოცა ხელმწიფემ სიძე და ქალიშვილი. ჩამოუარა საშუალომ და მეორე მთავრის შვილს ჩაუჯდა. ხელმწიფემ ისინიც დალოცა. ჯერი უმცროს ქალიშვილზე მიდგა, ჩამოიარა რამდენჯერმე, ჩამოათვალიერა სასიძოები, მაგრამ ასლოს არავის მიეკარა, გამობრუნდა უკან და თქვა:

— მე ვინც მინდა, აქ არ არისო.

— შეკრიბეთ მთელი ქვეყნის ასალგაზრდობაო! — უბრძანა ხელმწიფემ.

ვეზირებმა შეკრიბეს მთელი ქვეყნის ახალგაზრდობა. ჩამოუარა კიდევ ხელმწიფის ნაბოლარა ქალმა, ჩამოათვალიერა სასიძოები და ისევ უარი თქვა:

— ვინც მე მინდა, ის აქ არ არისო.

— ვინღა გვაკლიაო? — იკითხა ხელმწიფემ.

— თქვენი ქაჩალ-მებატის მეტი აღარავინ გვაკლიაო, — მიუგეს ვეზირებმა.

— მოიყვანეთ ისიცო! — ბრძანა ხელმწიფემ.

— მოიყვანეს მებატე და სულ ბოლოში დასვეს. მივიდა ხელმწიფის უმცროსი ქალი და ჩაუჯდა კალთაში:

— აი, ეს არის, ვინც მე მინდაო.

გაწყრა ხელმწიფე, როგორ თუ ჩემი ქალი მებატეს ჩაუჯდა კალთაშიო. ვეზირებმაც იწყინეს. რა იცოდნენ, რომ ქაჩალი მებატე ოქროსქოჩრიანი ხელმწიფის შვილი იყო.

ხელმწიფემ უფროს და შუათანა ქალს დიდძალი მზითვი მისცა და გულუხვი ქორწილებიც გადაუხადა. ნაბოლარა ქალიშვილს კი არც მზითვი მისცა და არც ქორწილი აღირსა, ჩალურ ქოხში გააგდო მებატესთან და თან დაუბარა:

— რაკი ასე შემარცხვინე, იყავი ახლა მაგ ქოხში, შენს ქაჩალ ქმართან და თავიც თვითონ ირჩინეო.

ხელმწიფეს უფროსი ქალიშვილები და სიძეები სადილ-მეჯლისებზე სულ გვერდით ჰყავდა და სახელმწიფო საქმეებზეც ეთათბირებოდა. უმცროს სიძე-ქალიშვილს კი ხსენებითაც არ ახსენებდა. მაგრამ ისინი ბედს არ ემდუროდნენ.

გავიდა დრო. ერთხელ ხელმწიფე ავად გახდა. მაშინ ექიმები არ იყვნენ, მათ მაგივრობას მკითხავები ასრულებდნენ, და ამ ხელმწიფესაც მკითხავი მიუყვანეს. მკითხავმა თავისებურად გასინჯა ავადმყოფი, რამდენჯერმე დაამთქნარა, წყლიან ჯამში ნახშირი და პურის მარცვლები ჩაყარა, ბოლოს პირჯვარი გადაიწერა და თქვა:

— ამას გარეული ირმის რძის მეტი არაფერი მოარჩენსო.

აბა, დაფაცურდნენ უფროსი და შუათანა სიძე. შეკაზმეს ცხენები და გასწიეს ტყისაკენ, შევიდა ქაჩალ-მებატეც ხელმწიფესთან და სთხოვა:

— ერთი კოჭლი ცხენი მომეცით და მეც წავალ ირმის რძის მოსატანადო.

— დაიკარგე აქედან, შენ რა ირმის რძის მოტანა შეგიძლიაო! — დატუქსა ხელმწიფემ და კარში გამოაგდო.

წამოვიდა ქაჩალ-მებატე და ცოლს უთხრა:

— ირმის რძის მოსატანად უნდა წავიდე და, თუ დამაგვიანდეს, არ შეწუხდეო. — გადაკოცნა ცოლი, გავიდა მინდორში, ამოიღო ტყის კაცისათვის წართმეული რაშის ძუა და ახსენა. რაში იმავ წამს იქ დაიბადა და ჰკითხა:

— რა გაგჭირვებიაო?

ქაჩალ-მებატემ უთხრა, რისთვისაც დაიბარა და თან ჰკითხა, — შეგიძლია თუ არაო?

— შენ ტანსაცმელი ჩაიცვი, აბჯარი აისხი, შემაჯექ და დანარჩენი მე ვიცი, — უთხრა რაშმა.

ქაჩალ-მებატემ ჩაიცვა სამეფო ტანსაცმელი. აისხა იარაღი და მოახტა რაშს. რაში გაფრინდა და შუაგულ ტყეში შევარდა. ერთ წყაროსთან შეჩერდა და ხმამაღლა დაიჭიხვინა. იმავ წამს წყაროსთან ირმების მთელი ჯოგი მოგროვდა. ბიჭმა დაწველა ირმები, შეჯდა რაშზე და საჩქაროდ უკანვე გამობრუნდა.

ნახევარი გზა რომ გამოიარა, შეხვდნენ თავისი ქვისლე-

ბი — ხელმწიფის უფროსი და შუათანა ქალების ქმრები. ჰკითხა ბიჭმა:

— ვინა ხართ და საით გაგიწევიათო?

ბიჭმა, რა თქმა უნდა, იცნო თავისი ქვისლები, მაგრამ ქვისლებმა ვერ იცნეს ქაჩალ-მებატე და თავიანთი გასაჭირი შესჩივლეს. ბიჭმა ჰკითხა:

— რას მომცემთ, რომ ეგ წამალი გაშოვნინოთო?

— ოღონდ გვაშოვნინე, ხელმწიფესთან ნუ შეგვარცხვენ და რასაც მოითხოვ, მოგცემთო, — უთხრეს უფროსმა ქვისლებმა.

— მაშინ ჩაიხადეთ შარვლები და ჩემს რაშს საჯდომებზე თითო წიხლი მიარტყმევინეთო, — უთხრა ბიჭმა.

ძალიან უჭირდათ ხელმწიფის უფროს სიძეებს ამ პირობის ასრულება, მაგრამ მეტი რა ძალა ჰქონდათ. ჩაიხადეს შარვლები. სტკუცა რაშმა თითო-თითო წიხლი და ნალის ანაბეჭდი ორივეს დამღასავით დააჩნია. მისცა ბიჭმა რძე, მიუტანეს ხელმწიფეს დიდი თავმოწონებით და მოარჩინეს.

გავიდა რამდენიმე ხანი და ხელმწიფე მეორედ გახდა ავად. მოიყვანეს მკითხავი, მკითხავმა ახლაც თავისებურად ახსნა ავადმყოფობის მიზეზი და წამალიც დაუსახელა:

— ცხრა მთას იქით, ულრან ტყეში, ერთი ხურმის ხე დგას, ხეს ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი ახვევია ირგვლივ და დარაჯობს, თუ იმ ხურმას მოატანინებ და შეჭამ, მორჩები, თუ არადა, წასული ხარ სააქაოდანო.

ისევ დაფაცურდნენ უფროსი სიძეები, შეკაზმეს საჩქაროდ ცხენები და გასწიეს. შევიდა ქაჩალ-მებატეც ხელმწიფესთან და სთხოვა:

— ერთი კოჭლი ცხენი მომეცით და მეც წავალ ხურმის მოსატანადაო.

ხელმწიფემ მასხარად აიგდო. — აბა შენ კი ხარ, რომ ცეცხლისმფრქვეველ გველეშაპს ხურმა წაართვაო, — უთხრა და ისევ კინწისკვრით გამოაგდო. დაბრუნდა შინ ქაჩალ-მებატე და ცოლს უთხრა:

— ხურმის მოსატანად უნდა წავიდე და, თუ დამიგვიანდეს, არ შეგეშინდესო. — გადაკოცნა ცოლი და წავიდა მინ-

დორში, ამოიღო ძუა, ახსენა რაში და ისიც იმავ წამს იქ დაიბადა.

ბიჭმა უთხრა, რისთვისაც დაიბარა. მერე მოხსნა სამეფო ტანსაცმელი, აბჯარ-საჭურველი, გამოეწყო და მოახტა, რაშმა ერთ წამში გადაიქროლა ცხრა მთა და მივიდა ხურმის ხესთან. ხეს გალავანივით შემორტყმოდა გველეშაპი და ეძინა. რაშმა უთხრა ბიჭს:

— ერთი ისეთი დამარტყი, რომ სამი პირი ტყავი ამძვრეს და მერე მე ვიციო.

დაარტყა ბიჭმა მათრახი და ააძრო სამი პირი ტყავი. რაშმა ისკუპა, გადაევლო გველეშაპს ზედ და მივიდა ხესთან. ბიჭმა საჩქაროდ დაკრიფა ხურმა და რაშიც უკანვე გადმოევლო გველეშაპს. ამ დროს მოვიდნენ ხელმწიფის უფროსი სიძეებიც, მაგრამ გველეშაპთან მიახლოვება ვერცერთმა ვერ გაბედა. დაუწყეს ბიჭს ხვეწნა, — ოღონდ ეგ ხურმა დაგვითმე და რასაც მოითხოვ, მოგცემთო, — ცნობით, რა თქმა უნდა, ვერც ახლა იცნეს.

— თუ ყურის ბიბილოებს დამაჭრევინებთ, მოგცემთო,— უთხრა ბიჭმა.

სიძეები სიხარულით დათანხმდნენ, ოღონდ ხელმწიფისათვის თავი მოეწონებინათ და ყურის ბიბილოები რა სათქმელი იყო. ჩამოაჭრა ბიჭმა ორივეს ყურის ბიბილოები და მისცა ხურმა. მერე მოახტა თავის რაშს და იმავე დღეს შინ დაბრუნდა.

მეორე დღეს მოვიდნენ ხელმწიფის სიძეებიც, მოუტანეს ხურმა და აჭამეს. ხელმწიფე განიკურნა, სიძეებს დიდი მადლობა გადაუხადა და გულუხვად დაასაჩუქრა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ამ ხელმწიფეს მეზობელმა ხელმწიფემ ომი გამოუცხადა. ხელმწიფემ საჩქაროდ შეკრიბა ჯარი და სარდლებად თავისი უფროსი სიძეები დაყენა, სიძეები პირველ შეტაკებისთანავე დამარცხდნენ. მტრის ჯარი მოედო ქვეყანას და დაუწყო ძარცვა-გლეჯა. ჩავარდა ხელმწიფე საგონებელში. ხედავს, რომ მარცხდება და დამცველი და გამმკლავებელი კი აღარავინ ჰყავს. ამ დროს მივიდა ქაჩალ-მებატე თავის სიმამრთან და სთხოვა:

— ერთი ჯანდაგი ცხენი და ნაჯღან-ნუჯღანი იარაღი მაინც მომეცი და მეც საომრად წავალო.

გამწარებულ გულზე ხელმწიფემ უფრო ხმამაღლა დაუყვირა:

— დაიკარგე აქედან, შე ქეციანო, შენ რა ხარ და შენი გაბრუნებული მტერი რაღა უნდა იყოსო!

გამობრუნდა უკან ქაჩალ-მებატე, მივიდა შინ და ცოლს უთხრა:

— საომრად უნდა წავიდე და ერთი დღის საგზალი მომიმზადეო.

მოუმზადა ცოლმა ერთი დღის საგზალი, გავიდა ბიჭი მინდორში, ამოიღო ძუა და მოვარდა რაშიც. ჰკითხა ბიჭს:

— რა იყო, რა გაგჭირვებიაო?

ბიჭმა უთხრა, რაც უჭირდა.

— აბა საჩქაროდ გადაიცვი ტანსაცმელი, გამოეწყვე ჯაჭვ-მუზარადით, შემაჯექი და იმ ხელმწიფის ჯარს საღამომდე სულერთიანად გაგანადგურებინებო,—უთხრა რაშმა.

გამოეწყო ბიჭი საჩქაროდ, მოასტა რაშს და გავიდა ბრძოლის ველზე. დაერია მტრის ჯარს და სულ მუსრი გაავლო. თვითონ რასაც ხმლით ხოცავდა, ორ იმდენს რაში თქერავდა ტორებით. ისე, რომ საღამოსათვის ამბის მთხრობელიც აღარ გაუშვეს. ბრძოლა რომ დამთავრდა, მივიდა ბიჭი ხელმწიფესთან, დაუკრა თავი და მოახსენა:

— დიდო ხელმწიფევ, თქვენი სამეფოს მიწა-წყალი მთლიანად განთავისუფლებულია და ამიერიდან ღმერთმა სიმშვიდე და მოსვენება ნუ მოგიშალოსო.

ხელმწიფემ დაინახა, რომ ბიჭი მარჯვენა ხელში დაჭრილი იყო და სისხლი სდიოდა. საჩქაროდ ამოიღო თავისი აბრეშუმის ხელსახოცი, ჭრილობა შეუხვია და ჰკითხა:

— მითხარ, ჭაბუკო, ვინ ხარ და ამ დიდი სამსახურისათვის რა საზღაურს ითხოვო?

— საზღაურს არ ვითხოვ, ჩემს ვინაობას კი თავის დროზე შეიტყობთო,—მიუგო ბიჭმა, მოახტა რაშს და თვალის დახამსამების უმალ გაუჩინარდა.

მეორე დღეს ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირები დაგზავნა და მთელი სახელმწიფოს მამაკაცები სასასლის ეზოში შეკრიბა.

თვითონ თუნგი და ტაშტი დაიჭირა და ყველას ხელები დაბანინა. ხელმწიფეს ამ ხერხით უნდოდა გამოეცნო თავისი მხსნელი რაინდი, მაგრამ ხალხში ხელმწიფის ხელსახოცით ხელშესვეული არავინ აღმოჩნდა.

— ხომ არავინ გამოგრჩათო? — ჰკითხა ხელმწიფემ ნაზირ-ვეზირებს.

— თქვენი ქაჩალ-მებატის მეტი არავინ გამოგვრჩენიაო, — უთხრეს ნაზირ-ვეზირებმა.

— მოიყვანეთ ისიცო, — ბრძანა ხელმწიფემ.

მოიყვანეს ქაჩალ-მებატე და წარუდგინეს ხელმწიფეს. ხელმწიფემ იმასაც დააბანინა ხელები და ნახა, რომ მისი ხელსახოცით ჰქონდა მარჯვენა შეხვეული. ხელმწიფე გაოცდა და ქაჩალ-მებატეს ჰკითხა:

— თუ მართლა შენა ხარ ის რაინდი, რაში და საჭურველი რა უყავიო?

— სწორედ მე გახლავართ და რაშიც აქა მყავსო, — მიუგო ბიჭმა, მოიხადა ცხვრის ფაშვის ჩაჩი და ოქროს თმა-ქოჩორი შუბლზე ჩამოეფინა. მერე ამოიღო ძუა, ახსენა რაში და ისიც იმავ წამს იქ დაიბადა. ჩაიცვა ბიჭმა სამეფო ტანსაცმელი, აისხა საჭურველი და ხელმწიფეს უთხრა:

— არც ახლა გეჯერათ, რომ მე ვიყავიო?

ხელმწიფემ ახლა კი იცნო გუშინდელი რაინდი და კიდევ ჰკითხა:

— თუკი ასეთი ვაჟკაცი იყავი, მაშ აქამდე რატომ არ ჩნდებოდი და თავს რად იმალავდიო?

— აბა, რა მექნაო, — მიუგო ბიჭმა, — თქვენ კაცს გარეგნობით აფასებთ და სანამ საქმით არ დაგანახვებდით, არ დამიჯერებდით, მე და თქვენი უმცროსი ქალი საბატეში გაგვყარეთ და სიახლოვეს აღარ გვიკარებდით. თქვენ მარტო უფროს სიძეებს აფასებდით, ის კი არ იცოდით, რომ ყველა გაჭირვებაში მე გშველოდით. აბა, ჰკითხეთ თქვენს უფროს სიძეებს, ვინ მისცათ ან ირმის რძე და ან ხურმა, ისე თავმოწონებით რომ მოგიტანეს? თუ უარს იტყვიან, მაშინ გაუსინჯეთ ყურის ბიბილოები, ჩახადეთ შარვლები და ნახეთ, ეტყობათ თუ არა საჯდომებზე ჩემი რაშის ნაწიხლარებიო.

მოიყვანეს უფროსი სიძეები და ნახეს, რომ თითო ყურის ბიბილო ორივეს ჩამოთლილი ჰქონდა, მერე ჩახადეს შარვლები და რაშის ნაწიხლარებიც ნახეს. ხელმწიფე მიხვდა თავის შეცდომას და დარცხვენილმა უმცროს სიძეს ბოდიში მოუხადა. მერე საბატედან თავისი უმცროსი ქალიც მოაყვანინა და დიდი ქორწილი გააჩაღა. ქორწილის შემდეგ ტახტი და გვირგვინიც გადაულოცა და ხელმწიფობა ჩააბარა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.





დედაბრის შვილი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. ხელმწიფე და დედოფალი ღმერთს სულ იმას ევედრებოდნენ, შვილი გვაღირსეო, მაგრამ დრო გადიოდა და შვილი კი არა და არ უჩნდებოდათ.

დედოფალს ერთი პირისფარეში დედაბერი ჰყავდა, — ისიც თავისავით უშვილო. ერთხელ ამ დედაბერმა წყალზე ორი ვაშლი იპოვა, ერთი იქვე შეჭამა, მეორე წამოიღო და დედოფალს შეაჭამა. ორივენი დაორსულდნენ და ცხრა თვის შემდეგ ვაჟები ეყოლათ.

როგორც თანატოლები და ერთი ბედისანი, ბიჭები ერთად იზრდებოდნენ და ერთმანეთი ძალიანაც უყვარდათ. დედაბრის შვილი უზომოდ ღონიერი იყო, ხოლო ხელმწიფის შვილი უზომოდ ცელქი. ერთხელ სასახლის გარეთ მშვილდისრის სროლაში ვარჯიშობდნენ. ერთმა დედაბერმა კოკით წყალი ამოატარა, გააქანა ხელმწიფის შვილმა ისარი და დედაბერს კოკა გაუტეხა. დედაბერი მობრუნდა და დაუძახა:

— დაგწყევლო, როგორ დაგწყევლო, ხელმწიფის შვილი ხარ და თანაც დედისერთა, მაგრამ ამას კი გეტყვი: ცხრა ძმა დევს რომ ერთი მზეთუნახავი და ჰყავთ, იმისი სურვილიმც ნაგვარდნია გულშიო.

ხელმწიფის შვილს ეს ნათქვამი მართლაც გულში ჩარჩა.

გავიდა დრო, ბიჭები დაიზარდნენ და საცოლედ მოიყარნენ. რა თქმა უნდა, წესით ჯერ ხელმწიფის შვილი უნდა დაექორწინებინათ და ხელმწიფემ და დედოფალმა დაიწყეს

სარძლოების შერჩევა, მაგრამ შვილმა ყველაზე უარი უთხრა.

— თუ მოვიყვან, ცხრა ძმა დევს რომ ერთი მზეთუნახავი და ჰყავს, იმას მოვიყვან, თუ არადა, სხვა ქალი არ მინდაო.

დაღონდა ხელმწიფე, რა ვქნა, ცხრა ძმა დევის და როგორ უნდა მოვგვაროო, და შვილს უთხრა:

— რა გიყო, შვილო, ყველა სურვილს შეგისრულებ, მაგრამ შენგან არჩეულ საცოლეს ვერასგზით ვერ მოგიყვან, იმ დევებთან ჩემი ჯარით ვერაფერს გავხდები და ნებით ისინი არ მოგცემენო.

— შენი ჯარი არ მინდა, მე და დედაბრის შვილი წავალთ და თვითონ მოვიყვანთო, — უთხრა შვილმა.

ხელმწიფე კვლავ უარზე დადგა — იმ დევებთან ორნი რას გახდებითო. მაგრამ რაკი შვილმა არ დაიჯერა, ბოლოს მამაც დათანხმდა. დაიბარა სასახლეში დედაბრის შვილი და ჰკითხა:

— გაჰყვები ჩემს შვილს დევების მზეთუნახავი დის მოსაყვანადო?

— გავყვები და კიდეც მოვიყვანო! — მიუგო დედაბრის შვილმა.

— მაშ სამგზავროდ რას მთხოვთ, რა მოგიმზადოთო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ბევრი არაფერი გვინდა, დიდებულო ხელმწიფევ, — უთხრა დედაბრის შვილმა, — საგზალი მოგვიმზადეთ და ჩემთვის ერთი ფოლადის მშვილდ-ისარი გააკეთებინეთ.

გააკეთებინა ხელმწიფემ მშვილდ-ისარი, მოსწია დედაბრის შვილმა და მიგრიხ-მოგრიხა, გააკეთებინა ხელმწიფემ მეორე მშვილდ-ისარი, დედაბრის შვილმა იმასაც იგივე უყო, გააკეთებინა ხელმწიფემ მესამედ, დედაბრის შვილმა მოზიდა და მოეწონა. გადაიკიდა მხარზე და გაუდგნენ გზას.

როცა თავიანთი სახელმწიფოს საზღვრებს გასცდნენ, დედაბრის შვილმა უთხრა ხელმწიფის შვილს:

— ახლა გზა-კვალი აღარ ვიცით, მოდი ერთ ისარს გავჰკრავ და იმას მივყვეთ, იქნება მიგვაგნებინოს დევების ადგილსამყოფელისთვისო.

ამოიღო დედაბრის შვილმა ისარი, ჩააგდო კილოში და გასტყორცნა. წავიდა ისარი წივილით, გადალახა ცხრა მთა, ცხრა ზღვა, ცხრა მინდორი და ცხრა ძმა დევის სასახლის ბაღში დაერჭო. ხელმწიფის შვილი და დედაბრის შვილიც გაჰყვნენ ისარს. იარეს, იარეს და მიადგნენ დევების სახლს. შევიდნენ ბაღში, ბაღი იყო ისეთი, რომ ავ თვალს არ ენახვებოდა. დედაბრის შვილმა შეარხია ერთი მწიფე ნაყოფით დახუნძლული ვაშლი და დაიწყეს ჭამა. თან ჩრდილში გულაღმა წამოგორდნენ.

დევები შინ არ იყვნენ, სანადიროდ ყოფილიყვნენ წასულები, შინ მარტო მათი დედა დაუხვდათ, ბანზე იჯდა და ტარს ატრიალებდა, ტარს კვირისტავად ერთი უშველებელი დოლაბი ჰქონდა წამოცმული. დაინახა უცხო ხალხი და ჩამოსძახა:

— ვინა ხართ, რა ხალხი ხართო?

— ვინა ვართ და — ქართველებიო! — უპასუხა დედაბრის შვილმა.

— მერე არ იცით, რომ ჩემი შვილების შიშით ძირს ჭიანჭველა ვერ დადის და მაღლა ფრინველი, თქვენ კი წამოწოლილხართ არხეინად ბაღში და ხილსაც ხილობთ და ჩრდილსაც ჩრდილობთო?

— მარტო ხილი რა სათქმელია, ვახშმის ჭამასაც თქვენთან ვაპირებთო! — დაუძახა ხელმწიფის შვილმა.

— მერე, ჩემი შვილებისა არ გეშინიათო? — ჰკითხა დევთ დედაბერმა.

— არ გვეშინიაო! — მიუგო უშიშრად დედაბრის შვილმა.

დევების დედამ იფიქრა, ამას რომ თავის იმედი არ ჰქონდეს, ასე ამაყად ვერ ილაპარაკებდა. მოდი ერთი გამოვცდი, მართლა შეუძლია, რაიმე თუ არაო, და დოლაბის კვირისტავიანი ტარი ჩაუგდო, თან ჩასძახა:

— არიქა, დედა-შვილობას, კვირისტავი ჩამომიკარდა და ამომიგდეო.

დედაბრის შვილი ჭკვიანიც იყო, მიხვდა, რაც ეწადა დევის დედას და გუნებაში ჩაიცინა, — რაკი ჩემი გამოცდა გინდა, გულს არ გატკენო.—დაავლო კვირისტავს ხელი, ესროლა დედაბერს და წინა კბილები მთლიანად ჩამოაყრევინა.

დედაბერი გამწარდა და დაემუქრა, დაიცა, მოვლენ ჩემი შვილები და სამაგიეროს ისინი გადაგიხდიანო.

საღამოზე მოვიდნენ დევები, თითოს თითო ირემი და თითო ხმელი ხე გაედო მხარზე და შინ მხიარულად ბრუნდებოდნენ. დაინახეს თავის ბაღში დედაბრის შვილი და ხელმწიფის შვილი და უფრო გაიხარეს, — ვახშამს გემრიელ ლუკმასაც დავაყოლებთო. დედაბრის შვილმა გაიგონა დევების ნათქვამი და ბაღში დარჭობილი ისარი უჩვენა, — მოდით, ჯერ ეს ისარი ამოაძრეთ და ვინ ვის დააყოლებს, მაგაზე მერე ვილაპარაკოთო.

მივიდნენ დევები, დაეჯაჯგურნენ ისარს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს. გაუკვირდათ და დედაბრის შვილს ჰკითხეს, ვინა ხართ, ან რა რჯულის ხალხი ხართო?

— ვინა ვართ და ქართველებიო! — მათაც ისევე უთხრა დედაბრის შვილმა და ისარი ერთი ხელის მოკვრით ამოაძრო, — ეს ჩემი ხელმწიფეა, მე კი ამისი მსახური ვარო.

დევები კარგად მიხვდნენ, რა ძალის მქონეც იყო მათი სტუმარი, მაგრამ მაინც კიდევ გამოსცადეს: ირმები დაატყავეს, აკუწეს და ერთ უშველებელ ქვაბში ჩაყარეს. უთხრეს დედაბრის შვილს:

— აბა, თუ მართლა ქართველები ხართ, ეს ქვაბი ცეცხლზე შემოდგი და ერთი ქართული ხაშლამა მოგვიხარშეო.

ქვაბი ოთხყურა იყო და ოთხი დევი გაჭირვებით ერეოდა, დედაბრის შვილმა კი ცალი ხელით აიღო და ზედადგარზე შემოდგა, თან დააყოლა:

— ქართულად მოგიხარშავთ და ქართულადაც გაჭმევთო.

მოიხარშა ხაშლამა და დასხდნენ ვახშმად. ვახშამზე დედაბრის შვილმა ღვინო მოითხოვა, — ჩემი ხელმწიფე და მე ქართველები ვართ და უღვინოდ პურს ვერა ვჭამთ, ღვინო მოგვიტანეთო.

— ღვინო გვაქვს, მაგრამ ისე ღრმად არის მიწაში ჩაფლული, რომ ვერ ამოვიღებთო, — უთხრეს დევებმა.

— რას ჰქვია, ვერ ამოიღებთ, — დასჭყივლა დედაბრის შვილმა, — ახლავე აიღეთ ბარ-წერაქვები და მოთხარეთო.— წამოყარა დევები, მოათხრევინა ასჩაფიანი ქვევრი და სუფრაზე მოატანინა.

დაიწყეს ვასშამი და ღვინის სმა. დევები თუ ყანწებით სვამენ, დედაბრის შვილი პირდაპირ ქვევრით იყუდებს, თან ხორცს აყოლებს, გამოხრავს უზარმაზარ ძვალს და დევებს შუბლში ესვრის.

დევები შეწუხდნენ და უთხრეს:

— რა მოგცეთ, რომ ჩამოგვეხსნათ და თავისი გზით წასვიდეთო?

— თქვენ მზეთუნახავი და გყოლიათ, — უთხრა დედაბრის შვილმა, — სანამ თქვენს დას ჩემს ხელმწიფეს არ მიათხოვებთ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვართო.

დევებმა იფიქრეს, მსახური რომ ასეთი ღონიერია, ხელმწიფე რაღა იქნება, უარი რომ ვუთხრათ, ვაითუ სულ ამოგვყლიტონო, მოიყვანეს მზეთუნახავი და დაუსვეს ხელმწიფის შვილს გვერდით.

მეორე დღეს დედაბრის შვილი და დევები სანადიროდ წავიდნენ და ნეფე-პატარძალი სასახლეში დატოვეს. მზეთუნახავსაც შეუყვარდა თავისი საქმრო, ყველა საიდუმლო გაანდო, მისცა გასაღებები და ყველა ოთახი დაატარა, აჩვენა მთელი თავისი სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი და დაღლილს ბოლოს იმის კალთაში ჩაეძინა. ხელმწიფის შვილმა მძინარე ქალს ოქროს ნაწნავები დაუშალა და ერთ-ერთ ნაწნავში ერთი პატარა გასაღები უპოვა. იფიქრა, აქ რაღაც საიდუმლოაო, აიღო გასაღები, მძინარე ქალი ტახტზე გადააწვინა და სასახლის დასათვალიერებლად წავიდა, გაიარა თვალ-მარგალიტით სავსე ოთახები და სასახლის ბოლოს ერთ დაკეტილ კარს მიადგა. გააღო კარი და რას ხედავს: რკინით შეჭედილ ოთახში ერთი უზარმაზარი დევი ზის და თვალებს აბრიალებს. დევს ტანი და ხელფეხი კაჟისა ჰქონდა და ამიტომ სახელიც დევ-კაჟიანი ერქვა. ის იმ ცხრა ძმა დევების მტერი იყო, — მზეთუნახავი დის მოტაცება უნდოდა და ეომებოდა. დევებმა სხვა-რომ ვერაფერი უყვეს, — იმის კაჟის სხეულს არც ისარი და არც ხმალი არ ეკარებოდა, — მოტყუებით შეიპყრეს და ამ ოთახში ჩაამწყვდიეს.

დევ-კაჟიანმა რაკი ღია კარი დაინახა, მაშინვე გამოვარდა, ხელმწიფის შვილს სილა გაჰკრა და გულწასული კარს-

უკან მიაგდო, მოხვია თავისი კაჟის მკლავები მძინარე ქალს და ცხრა მთას იქით გადაიკარგა.

ცოტა ხნის შემდეგ ხელმწიფის შვილი მოსულიერდა და მზეთუნახავი რომ ადგილზე აღარ დახვდა, მწარედ დაღონდა. ამ დროს სანადირო ღან დევები და დედაბრის შვილიც დაბრუნდნენ და გაიგეს მომხდარი ამბავი. დედაბრის შვილმა უთხრა დევებს:

— მე დევ-კაჟიანის საძებრად უნდა წავიდე, ჩემს ხელმწიფეს თქვენ გაბარებთ და არაფერი დაუშავდეს, თორემ ცოცხლებს არ გაგიშვებთო.

ადგა დედაბრის შვილი, აიღო თავისი ფოლადის მშვილდ-ისარი და გაუდგა გზას. იარა, იარა და ერთ ქვეყანაში გავიდა. გზაზე ერთ წყალუსვ მდინარეს მიადგა. მდინარის პირას ერთი დაღონებული კაცი იჯდა. დედაბრის შვილმა ჰკითხა:

— რამ დაგაღონა, ან ამ მდინარესთან რადა ზიხარო?

— წყალი მწყურია და შიშით ვერ დამილევია, ეს მდინარე ერთ ყლუპად არ მეყოფა და მერე რაღა ვქნაო? — მიუგო კაცმა.

დედაბრის შვილს გაუკვირდა და უთხრა:

— კაცო, რა საკვირველი კაცი ყოფილხარ, მე გასვლაც მიჭირს ამ მდინარეში და შენ კი ყლუპადაც არ გყოფნისო.

— საკვირველი მე კი არა ვარ; დედაბრის შვილია, რომ ცხრა ძმა დევს მზეთუნახავი და წაართვა და თავისი ხელმწიფის შვილს დაუსვა ცოლადო, — მიუგო წყალიყლაპიამ.

— მე ვარ ის დედაბრის შვილიო.

წყალიყლაპიას გაუხარდა დედაბრის შვილის ნახვა და სთხოვა, — ან მიძმე, ან მიყმეო.

დედაბრის შვილმა იძმო და წავიდნენ ორნი. ცოტა რომ გაიარეს, გზაზე ერთ კაცს გადაეყარნენ. კაცი მიწაზე გაწოლილიყო, ყურიც მიწისთვის დაედო და სიცილით კვდებოდა. მივიდა დედაბრის შვილი და ჰკითხა, ან მიწაზე რადა წევხარ ან ასე გულიანად რა გაცინებსო.

— ქვესკნელში ჭიანჭველებს ომი აუტყდათ, — უთხრა კაცმა, — იმათ ალიაქოთს და მუქარას ვისმენ და იმაზე ვიცინიო.

დედაბრის შვილს ეს კაცი უფრო გაუკვირდა, ჩვენ დედამიწის მაღლა ერთ საბელზე კაცის ფეხის ხმა არ გვეყურება, შენ კი ქვესკნელიდან ჭიანჭველების ხმაც გესმისო?

— მერე ეგ რა საკვირველია, — უთხრა ჭიანჭველასმენიამ, — საკვირველი ის არის, რომ დედაბრის შვილმა ცხრა ძმა დევს მზეთუნახავი და წაართვა და თავის ხელმწიფეს ცოლად დაუსვაო.

— მე ვარ ის დედაბრის შვილიო, — უთხრა დედაბრის შვილმა.

ჭიანჭველასმენიამ უთხრა:

— მე შენთან ყოფნა მინდა და ან მიძმე, ან მიყმეო.

იძმო ისიც დედაბრის შვილმა და გაუდგნენ გზას სამნი. ცოტა რომ გაიარეს, გზაზე ერთი კაცი შესვდათ, შუა მინდორში იდგა და ხელმოჩრდილული ცას შეჰყურებდა.

— რას შეჰყურებ ცას ასე გაფაციცებითო? — ჰკითხა დედაბრის შვილმა.

ცაშიცქერიამ მიუგო:

— შარშან ისარი ავტყორცნე და იმას ვუყურებ, როდის მობრუნდება უკან, ან ქარი საით მხარეს მიჰხრისო.

— რა საოცარი კაცი ყოფილხარ, — უთხრა დედაბრის შვილმა, — თვალი ეგრე როგორ გიჭრის, რომ შარშან ასროლილ ისარსაც ხედავო?

ამ ცაშიცქერიამ იგივე უთხრა:

— საკვირველი მე კი არა, დედაბრის შვილია, რომ ცხრა ძმა დევს და წაართვა და თავის ხელმწიფეს მიათხოვაო.

დედაბრის შვილი გამოეცნაურა, მე ვარ ის ბიჭიო. მაშინ ცაში მაცქერალმა უთხრა, შენთან ყოფნა მსურს და მიძმობ, თუ მიყმობო?

— გიძმობო, — უთხრა დედაბრის შვილმა და გაუდგნენ გზას ოთხნი. იარეს, იარეს და გზაში ერთ კაცს შემოხვდნენ. იდგა ფესებგაბოტიტნებული, მოგლეჯდა ერთ გორას, აქეთ მთაზე შეისროდა, მოგლეჯდა მეორეს და იქით მთაზე შეისროდა.

— ეს როგორი ღონიერი ყოფილხარ, რომ ამოდენა გორებს გუნდებივით ისვრიო? — გაუკვირდა დედაბრის შვილს.

გორიგლეჯიამ იგივე უთხრა:

— საკვირველი მე კი არა ვარ, დედაბრის შვილიო, — ცხრა ძმა დევს რომ ერთადერთი და წაართვაო.

— მე ვარ ის დედაბრის შვილიო, — უთხრა დედაბრის შვილმა.

— შენთან ყოფნა მწადია და ან მიძმე ან მიყმეო, — სთხოვა გორიგლეჯიამ.

დედაბრის შვილმა იძმო და წავიდნენ ხუთნი. კარგა მანძილი რომ გაიარეს, გზაზე კიდევ ერთ საკვირველ კაცს წააწყდნენ, კაცს ფეხებზე წისქვილის დოლაბები ჰქონდა წამოცმული და წვრილიანებში კურდღლებს ეწეოდა. მივიდნენ ახლოს და დედაბრის შვილმა ჰკითხა:

— კაცო, რას შვრები, ჩვენ ლამის არის ფეხსაცმელიც დავიხადოთ, შენ კი ამოდენა დოლაბები წამოგიცვია და მაინც კურდღლებს იჭერო?

— მერე ეს რა საკვირველია, — მიუგო ფეხდოლაბამ, — საკვირველი ის არის, რომ დედაბრის შვილმა დევებს მზეთუნახავი და წაართვა და თავის ხელმწიფეს დაუსვა ცოლადო.

დედაბრის შვილი ამ კაცსაც გამოეცნაურა, — მე ვარო.

— აბა თუ შენ დედაბრის შვილი ხარ, ან მიძმე ან მიყმეო, — უთხრა ფეხდოლაბიანმა.

დედაბრის შვილმა იძმო და გახდნენ ექვსნი.

ცოტა რომ გაიარეს, დედაბრის შვილმა ახალ ძმობილებს თავისი გასაჭირი უამბო, — ასე და ასეა ჩემი საქმე და, თუ რამ შეგიძლიათ, დამეხმარეთო.

— ჯერ დევ-კაჟიანის ადგილსამყოფელი უნდა გავიგოთ და მერე ვისაც რა ძალა შეგვწევს, ის ვიხმაროთო, — თქვა გორიგლეჯიამ.

— წყალში მე გავიგებო, — თქვა წყალიყლაპიამ.

— ცაში პოვნა ჩემზე იყოსო, — თქვა ცაშიცქერიამ.

— ქვესკნელში მე არაფერი გამომეპარებაო, — თქვა ჭიანჭველასმენიამ.

ამოხაპა მთელი ზღვები და მდინარეები წყალიყლაპიამ, მაგრამ დევ-კაჟიანის სამყოფელი არსად აღმოჩნდა.

დაზვერა მთელი ცა ცაშიცქერიამ და ვერც იმან რამე დაინახა, მაშინ გაწვა მიწაზე ჭიანჭველასმენია და ცოტა ხნის

შემდეგ გახარებულმა წამოიძახა, — ვიპოვეთ! — წამოდგა და ამხანაგებს ერთი უზარმაზარი მთა დაანახვა, — იმ მთიდან ქალის სუნთქვა მომესმა და დევ-კაჟიანის სამყოფელი სწორედ იქ უნდა იყოსო.

— აბა, გორიგლეჯიავ, ახლა შენ იციო! — უთხრეს გორიგლეჯიას, და აღარც იმან დააყოვნა, დაავლო ხელი მთას, მოგლიჯა და გვერდზე გადადგა.

გამოჩნდა მარმარილოს მშვენიერი სასახლე. დედაბრის შვილმა ძმობილები ეზოში დატოვა და დევების დასთან მარტო შევიდა. დევების დას უზომოდ გაუხარდა დედაბრის შვილის დანახვა, მაგრამ ამდენადვე კიდეც შეწუხდა და დედაბრის შვილს უსაყვედურა, — რად მოხვედიო. ჩქარა წადი, თორემ, ხომ იცი, რომ ქვეყნად დევ-კაჟიანის მომრევი არავინ არის და აქ რომ მოგისწროს, გაგაფუჭებსო.

დედაბრის შვილმა უთხრა:

— შენ მაგისი დარდი ნუ გაქვს, მარტო ის გამიგე, იმისი სული სად ან რაში ბინადრობს და მერე მე ვიციო.

— სამ დღეს დამაცადე და გავიგებო, — შეჰპირდა ქალი,

გამოვიდა დედაბრის შვილი სასახლიდან და თავის ძმობილებს ქალის დანაპირები უამბო. გორიგლეჯიამ ისევ აიღო მთა და დაახურა სასახლეს, რომ ნადირობიდან დაბრუნებულ დევს არაფერი შეემჩნია, მერე ექვსივენი ისევ უკან გამობრუნდნენ და, როგორც ქალმა დაარიგა, სამი დღით მახლობელ ტყეში დაიმალნენ.

საღამოს დაბრუნდა შინ დევ-კაჟიანი. მიუჯდა გვერდით დევების და და დაუწყო ალერსი:

— სულ გარე-გარე რომ დადიხარ, მეშინია, ხიფათი არაფერი შეგემთხვეს და მითხარი, სად არის შენი სული, რომ გავუფრთხილდეო. დევ-კაჟიანი დაეჭვდა, ეს ქალი დღემდე ახლოს არ მიკარებდა და რაღა ახლა შევუყვარდიო. მოდი, გამოვცდი და გავიგებ, მართალს ამბობს თუ ღალატს მიპირებსო, და უთხრა:

— ჩემი სული აგე მაგ ქოთნის ნატეხშიაო.

მეორე დღეს დევ-კაჟიანი ისევ სანადიროდ წავიდა, ქალი კი ადგა და ქოთნის ნატეხი სულ სირმა-აბრეშუმითა და ყვავილებით მორთო. დაბრუნდა დევ-კაჟიანი საღამოს, ნახა

შემკული ქოთნის ნატეხი და ქალს ჰკითხა, — ქალო, ეს რა გიქნიაო?

— ასე მიყვარს შენი სული და ვუფრთხილდებიო, — მიუგო ქალმა.

დევ-კაჟიანს გაუხარდა ქალის საქციელი, მაგრამ ბოლომდე მაინც არ ენდო და ერთხელ კიდევ გამოსცადა:

— ჩემი სული მაგ ქოთნის ნატეხში კი არა, აგე ცოცხშიაო, — უთხრა.

ქალმა მეორე დღეს ცოცხიც ასევე ვარდ-ყვავილებით შეამკო, მაშინ კი ირწმუნა დევ-კაჟიანმა ქალის ერთგულება და გამოუტყდა: აქამდე სულ გატყუებდი, ახლა კი სიმართლეს გეტყვიო.

ქალი სმენად გადაიქცა და უფრო ახლოს მიუჯდა.

— ამ მთის იქით ერთი დიდი ველია, — უთხრა დევმა, — იმ ველში ცხრა მთიბელი ბალახს ცელავს, ყოველდღე, შუადღისას მთიდან ერთი ირემი ჩამოდის, შეჭამს ნათიბს და უკანვე ბრუნდება. ირემში შველი ზის, შველში კურდღელი, კურდღელს მუცელში ერთი პატარა ყუთი უდევს და შიგ სამი ჩიტი ზის, — თეთრი, წითელი და შავი. თეთრი ჩიტი ჩემი ღონეა, წითელი — გონება და შავი — სულიო.

— ვაიმე, ის ირემი რომ ვინმემ მოკლას, რაღა მეშველებაო, — წამოიძახა ქალმა ვითომ შიშით და დევ-კაჟიანს შეეხვეწა, მომიყვანე და მე მოვუვლიო.

დევმა გაიცინა და დაამშვიდა:

— ნუ გეშინია, იმ ირემს ჩემს შარდში დასველებული ისრის მეტი ვერაფერი მოჰკლავსო.

ქალმა ყველაფერი ეს დაიხსომა და იმავე ღამეს,სადაც დევკაჟიანი შარდზე დგებოდა, ჩუმად ნატეხარი გადადგა.

მესამე დღეს მოვიდა დედაბრის შვილი. ქალმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. დედაბრის შვილმა აწრთო დევ-კაჟიანის შარდში თავისი ფოლადის ისრები, გაიყოლა ამსანაგები და გასწია ირმის საძებნელად. გაიარეს ის მთა, რომელიც დევ-კაჟიანმა ქალს ასწავლა, და მართლაც დაინახეს ცხრა მთიბავი. დედაბრის შვილმა უთხრა ძმობილებს, ველის პირას ბუჩქნარებში დავიმალნეთ, თორემ ირემმა რომ თვალი შეგვასწროს, შეიძლება დაფრთხეს და საბალახოდ

ალარ მოვიდესო. მერე ფეხდოლაბა გააფრთხილა, ირემს რომ მოვკლავ, მზად იყავი, რომ შველი და კურდღელი ხელიდან არ დაგვისხლტნენო.

— მხოლოდ თვალით დავინახო და დანარჩენი მე ვიცი, — უთხრა ფეხდოლაბამ და დოლაბები უფრო კარგად მოირგო.

შუადღისას მოვარდა ირემიც. დედაბრის შვილმა ბალახის ჭამაც არ აცალა, მოზიდა მშვილდი და დევ-კაჟიანის შარდში ნაწრთობი ისარი ირემს გულში დააძგერა. ირემი წაიქცა და სული განუტევა. გაჭრა დედაბრის შვილმა ირემი, გამოხტა იქიდან შველი და მოუსვა მთისკენ, მაგრამ ფეხდოლაბას საბლის გაშლაზეც ვერ წაუვიდა. გაჭრეს შველიც და ასლა კურდღელი გამოხტა. ფეხდოლაბამ ორი ნახტომით ისიც ხელთ იგდო. ამოაცალეს მუცლიდან კურდღელს ყუთი და ამოიყვანეს სამი ჩიტი — თეთრი, წითელი და შავი.

დევი ამ დროს სანადიროდ იყო გამოსული. გულმა უგრძნო, რომ ირემს რაღაც ხიფათი შეემთხვა, მიხვდა ქალის ღალატს და გაცოფებული წავიდა სახლისაკენ, რომ ქალი დაესაჯა. მაგრამ სანამ შინ შევიდოდა, დედაბრის შვილმა წაგლიჯა თავი თეთრ ჩიტს და ღონეგამოცლილი დევი კარებთან ჩაიკეცა.

დაბრუნდნენ დედაბრის შვილი და მისი ძმობილები და ნახეს ღონემიხდილი დევ-კაჟიანი. დედაბრის შვილმა მოუჭირა შავ ჩიტს ხელი და დევ-კაჟიანს უთხრა:

— ჩქარა მითხარი, რა გაქვს ამ სასახლეში დამალული, თორემ ახლავე სულს გაგაფრთხობინებო.

დევ-კაჟიანმა იფიქრა, მოდი, ყველაფერს სიმართლით ვეტყვი, იქნებ ცოცხალი მაინც დამტოვოსო. პირიდან ერთი საიდუმლო გასაღები გამოიღო, მისცა დედაბრის შვილს და უთხრა:

— ეს გასაღები ყველა ჩემს საიდუმლო ოთახს აღებს. მეცხრე ოთახში ექვსი მზეთუნახავი ქალი მყავს დამწყვდეული, მეათეში შვიდი მფრინავი რაში, გამოიყვანე და როგორც გინდათ, მოიხმარეთო.

დააღო დედაბრის შვილმა ოთახები და გამოიყვანა მზეთუნახავი ქალები და მფრინავი რაშები. თითო ქალი ძმობი-

ლებს დაურიგა, ერთი თავისთვის დაიტოვა, მერე შესხდნენ მფრინავ რაშებზე, ცხრა ძმა დევის მზეთუნახავი დაც წამოიყვანეს და წამოვიდნენ. წამოსვლისას დედაბრის შვილმა გონის ჩიტსაც თავი წააცალა და დევ-კაჟიანი გონმიხდილი დატოვა.

ცხრა ძმა დევსა და ხელმწიფის შვილს უკვე იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი და დედაბრის შვილი და თავიანთი და უვნებელნი რომ დაინახეს, სიხარულით ცას ეწივნენ. ცხრა ძმა დევმა მაშინვე ასჩაფიან ქვევრებს მოხადეს და ქორწილი გააჩაღეს. მერე ყველა ერთად წამოვიდნენ ხელმწიფის შვილის ქვეყანაში და იქაც გადაიხადეს ქორწილი.

ქორწილის შემდეგ ცხრა ძმა დევი შინ დაბრუნდა. ხელმწიფის შვილი ხელმწიფე გახდა, ახალმა ხელმწიფემ სავეზიროც ახალი შექმნა: პირველ ვეზირად, რა თქმა უნდა, დედაბრის შვილი დააყენა, მის ძმობილებსაც შესაფერისი თანამდებობები დაურიგა და ცხოვრობდნენ ყველანი ტკბილად და შეთანხმებულად.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.
შაშვი იყოს მგალობელი,
ღმერთი ჩვენი მწყალობელი.

მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ძალიან მდიდარი სოვდაგარი და ჰყავდა სამი ვაჟი. შვილები რომ წამოეზარდნენ, მამამ უთხრა:

— შვილებო, თქვენ უკვე ვაჟკაცები ხართ, საცაა ჩემი ადგილი უნდა დაიჭიროთ და სახლსაც და ქონებასაც შესაფერისად მოუაროთ. ამიტომ მინდა გამოგცადოთ, რომელს რა უნარი გაქვთ და ჩემი საქმე და მემკვიდრეობა ღირსეულს ჩაგაბაროთო. — გამოიტანა დიდძალი ფული, ოქრო-ვერცხლი, ჩააბარა უფროს შვილს და გაგზავნა სხვა სახელმწიფოში, თან დააბარა, — აი, ეს ფული როგორც გინდა, ისე მოიხმარე, იყიდე რაც გინდა, გაყიდე და საქმე შენი ჭკუით აწარმოე. ზარალისა არ შეგეშინდეს, ოღონდ ნიჭი და მოსაზრება გამოიჩინე და ფულს კიდევ დაგიმატებო. — გადაკოცნა შვილი, გამოემშვიდობა და გაუშვა.

წავიდა ბიჭი, მოიარა სხვადასხვა ქვეყნები და ქალაქები, მაგრამ იმის შიშით, არ მოვტყუვდე და არ ვიზარალოო, ვერც რამე იყიდა და ვერც გაყიდა. პურიც კი ვერა ჭამა საკადრისად. დაბრუნდა შინ და გატანებული ფული მამას უკლებლივ მოუტანა.

— არა, შვილო, შენ საქმეში არ გამოდგები, — უთხრა მამამ, — შენ ხელში ფული უძრავად მოკვდება და ზარალის მეტს არაფერს მოგიტანს, ამიტომ არც მემკვიდრედ ივარგებ, იჯექი შინ და ყოველდღიური საქმე აკეთეო.

საშუალოსაც იგივე დაემართა. — წავიდა, ქვეყნები შემოიარა და გატანებული ფული მამას უკლებლივ მოუტანა. მაშინ დაიბარა მამამ უმცროსი შვილი, მისცა უამრავი ფული, ოქრო-ვერცხლი და უთხრა:

— შვილო, ახლა შენი იმედიღა შემომრჩა, თუ მიშველი, შენ მიშველი, თუ არადა, ჩემი სიმდიდრე დაღუპულია. წადი, წაიღე ეს ფული და როგორც გინდა, ისე მოიხმარე — იყიდე და გაყიდე და, თუ დაგაკლდება, შემატყობინე და კიდევ გამოგიგზავნიო. — გადაკოცნა და გაისტუმრა.

წავიდა ბიჭი და დაიწყო სიარული უცხო ქალაქებში. თან ყველაფერს გულისყურით ათვალიერებს და ფიქრობს, ფული სარფიანად რაში დავაბანდოო. ერთ დღესაც გავიდა ერთ უცხო ქალაქში და დაინახა, რომ ერთ კაცს ცალყურა მკვდრისათვის წნელი ჩაუბამს ყელში და სადღაც მიათრევს. მეორე კეტით მისდევს უკან, უჟაპუნებს და უჟაპუნებს მკვდარს კეტს და თან დასძახის:

— სულერთია, საფლავში ჩაგყვები და ჩემს ვალს არ შეგარჩენო!

მივიდა სოვდაგრის შვილი, ეცა ხელებში კეტიან კაცს და შეაჩერა.

— კაცო, რას ემართლები, რომ ასე უმოწყალოდ სცემ, მკვდარმა ეგეთი რა დაგიშავაო? — ჰკითხა.

— როგორ თუ რა დამიშავა, ჩემი რვა თუმანი მართებს და სანამ არ გამისწორდება, არ მოვეშვებიო, — მიუგო კეტიანმა.

— კაცო, რა უცნაური ხალხი ყოფილხართ, მკვდარი რაღა ვალს გადაგისდისო, — უთხრა ბიჭმა.

— მაშ, რა ვქნა, ვინ ამინაზღაურებს ჩემს რვა თუმანსო? — მიუგო კაცმა და მკვდარს ისევ ზაპაზუპი აუყენა.

სოვდაგრის შვილმა ისევ დაუჭირა კეტი და უთხრა:

— ოღონდ ამ მკვდარს ნუ აწვალებთ და რაც ვალი აქვს, მე გადავიხდიო. — ამოიღო ფული, მისცა ორივეს თავთავიანთი ვალი და მკვდრისათვის წნელი შემოახსნევინა. დაჯდა და დაფიქრდა: აი რა არის მონის ცხოვრება, ცოცხალს ტყავს აძრობენ, მოკვდა და მკვდარსაც სისხლს სწოვენ, ღვთის კერძო ადამიანს ასეთი რამ არ ეკადრებაო, და გადა-

წყვიტა, ეს უპატრონო მკვდარი უნდა დავმარხო და საკაღრისად გავაპატიოსნოო.

იქირავა კაცები, მოიწვია მღვდელი, იყიდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო მდიდრული გასვენებისათვის, ჩააწვენინა მკვდარი ოქროს კუბოში და მთელი ზარითა და გლოვით დაამარხვინა. ამასაც არ დასჯერდა, დაიქირავა სახელგანთქმული ხელოსნები და საფლავზე მაჯრმარილოს ძეგლი აღუმართა.

ყველაფერი რომ მოათავა, წამოღებული ფულიდან და ოქრო-ვერცხლიდან ბევრი აღარაფერი შერჩა, დაბრუნდა შინ და რაც ჩაიდინა, მამას ყველაფერი უამბო. მამამ ძალიან მოუწონა და შეაქო:

— ბარაქალა, შვილო, კარგი საქმე ჩაგიდენია, ახლა ერთი-ორი დღე დაისვენე, მერე დაგიმზადებ თორმეტ აქლემ თვალ-მარგალიტს, გაიტანე სხვა ქვეყნებში, გაყიდე და როგორც ჭკუამ გაგიჭრას, ფული ისე მოიხმარეო.

გავიდა ერთი კვირა, მამამ თორმეტი აქლემი თვალ-მარგალიტით დაუტვირთა და უთხრა:

— წადი, შვილო, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ოღონდ ერთ დარიგებას მოგცემ და არამც და არამც არ დაივიწყო: უკაცოდ, უამხანაგოდ გაგიჭირდება, ამხანაგად და თანაშემწედ კი ისეთი კაცი აიყვანე, ვინც შენსკენ რბილ პურს მოთლის, თავისთვის კი ხმელ ნაჭრებს დაილაგებს, ასეთი კაცი არ გაგყიდის, არ გიღალატებს და მუდამ გულდაჯერებით იქნებიო. — გადაკოცნა და გაისტუმრა.

გაირეკა სოვდაგრის შვილმა ქარავანი და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა, გავიდა ერთ ქალაქში და ღამის გასათევად ქალაქგარეთ დაბანაკდა. გაგზავნა კაცი ქალაქში და დაავალა, გამოაცხადე სახალხოდ, რომ კარგ თანაშემწეს ვეძებ და ვისაც სამსახური სურს, მოვიდეს და გამირიგდესო. მოვიდა ერთი კაცი და მოახსენა:

— გავიგე, თანაშემწე გდომებიათ და, თუ მიმიღებ, გემსახურებიო.

სოვდაგრის შვილმა, სუფრა გაშალა და უთხრა:

— აბა, ეგ პური დაჭერი, მე ტიკჭორიდან ღვინოს ჩამო-

ვასსამ, ჯერ პური ვჭამოთ და საქმეზე მერე მოვილაპარაკოთო.

დაჭრა პური ახალმოსულმა და რაც რბილი და კარგი ნაჭრები იყო სულ თავისკენ დაილაგა, სოვდაგრის შვილს კი დამწვარი და ხმელი ყუები გადაუწყო. დასხდნენ პურის ჭამაზე და სადილი რომ გაათავეს, ახალმოსულმა ჰკითხა:

— აბა, რას იტყვი, ამიყვან თუ არაო?

— არა, ვერ აგიყვანო, — უთხრა სოვდაგრის შვილმა და დაითხოვა. მეორე დღეს კიდევ მეორე კაცი მოვიდა, სოვდაგრის შვილმა იმასაც მისცა პური დასაჭრელად და თვითონ ტიკჭორასთან წავიდა. უცხომ პური დაჭრა და სუფრაზე თანაბრად გაანაწილა, ჭამეს პური და ჰკითხა:

— რას მეტყვი, მიმიღებ სამსახურში თუ არაო?

— არაო, — უთხრა სოვდაგრის შვილმა და ისიც უკან გააბრუნა.

მესამე დღეს ერთი არაბი მოვიდა და უთხრა:

— შენთან სამსახური მინდა და, რას იტყვი, მიმიღებ სამუშაოდ თუ არაო?

— ჯერ პური ვჭამოთ და საქმეზე მერე ვილაპარაკოთო, — მიუგო სოვდაგრის შვილმა და პური მიაწოდა, — სანამ ღვინოს ჩამოვასხამ, ეგ პური დაჭერი და სუფრაზე გაანაწილეო.

დაჭრა არაბმა პური და ყველა კარგი ნაჭერი სოვდაგრის შვილს გადაუწყო, თვითონ კი კუტი და გამსმარი ნაჭრები დაილაგა. ჭამეს პური და ჰკითხა:

— აბა, რას მეტყვი, მიმსახურებ თუ არაო?

— პირობას რას ითხოვო?—ჰკითხა სოვდაგრის შვილმა.

— შენი თანხის თავნი — შენ, მოგება — ნახევარი მე, ნახევარი — შენო, — მიუგო არაბმა.

— კეთილი და პატიოსანი, — უთხრა სოვდაგრის შვილმა და ხელი გაუწოდა, — მომე ხელი და საქმეს შეგუდგეთო.

— არაო, — უთხრა არაბმა, — ერთი პირობა კიდევ უნდა დავდოთო.

— ბრძანე, გისმენო, — უთხრა სოვდაგრის შვილმა.

— მე შენი ხელქვეითი ვარ და, რასაც მიბრძანებ, უნდა ავასრულო, მაგრამ სამი რამ შენც ხმის ამოუღებლად უნდა დამიჯეროო.

დათანხმდა სოვდაგრის შვილი, დაჰკრეს ხელი ხელს, შესხდნენ ცხენებზე და გაირეკეს ქარავანი. იარეს, იარეს და ერთ დაბურულ ტყეში შევიდნენ. ეს ტყე სულ მტაცებელი ნადირით იყო სავსე და უხიფათო სიარული ჭირდა. არაბმა უთხრა სოვდაგრის შვილს:

— ახლა ქარავანს მე გავუძღვები და შენ უკან მოჰყევი. ეს არის ჩემი პირობის პირველი მუხლი და უსიტყვოდ უნდა დამიჯეროო.

დაუჯერა სოვდაგრის შვილმა, გაუშვა წინ არაბი და თვითონ უკან მოექცა. შევიდნენ თუ არა ტყეში, მხეცებმა იკრეს სუნი და ყოველი მხრიდან საქარავნო გზას მოაწყდნენ. ბრუნავს არაბი ბორბალივით, ისვრის თოფს, იქნევს ხმალს და მხეცებს ასე იგერიებს. ასე რომ, არაბმა უვნებლად გაატარა ქარავანი ტყეზე და აიყვანა უღელტეხილზე. სოვდაგრის შვილი უსაზღვროდ მადლობელია თავისი თანაშემწისა და გულში ფიქრობს: საქმეს რომ მოვრჩებით, ეს კაცი გულუხვად უნდა დავასაჩუქროო.

უღელტეხილზე არაბმა ქარავანი შეაჩერა. დაუძახა თავის ბატონს, მთის იქით გადაახედა და ერთი უზარმაზარი ქალაქი დაანახვა.

— ეს ქალაქი ამ ქვეყნის დედაქალაქია, აქ ცხოვრობს ამათი ხელმწიფე და ყველა მსხვილი ფორი და ბაზარიც აქ არის თავმოყრილი. ჩვენც აქ უნდა დავბინავდეთ და ვაჭრობა გავაჩაღოთ. ახლა შენ ცხენზე შეჯექი და დაწინაურდი, მიდი ხელმწიფესთან სასახლეში და ბინა სთხოვე. ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, მაგრამ ქალი ხმას არ იღებს, ხელმწიფეს გამოცხადებული აქვს, ვინც ჩემს ქალს აალაპარაკებს, ცოლად იმას გავატანო. ქალაქი ქალის მთხოვნელებით არის სავსე და შეიძლება ხელმწიფემ გითხრას, ბინა არა მაქვსო. მაშინ შენ უთხარი, ეზოში რომ ერთი მიგდებული ქოხი გიდგას, იმაში დავბინავდები-თქო. ხელმწიფე ამაზე უარს ვეღარ გეტყვის და ჩვენი ქარავანი იქ დავაბანაკოთო. სოვდაგრის შვილს ქოხში დაბინავება არ მოე-

წონა, მაგრამ არაბმა ხმა არ ამოაღებინა, ეს ჩემი პირობის მეორე მუხლია და, პირობის თანასმად, ვალდებული ხარ უსიტყვოდ აასრულოო.

სოვდაგრის შვილი უსიტყვოდ დამორჩილდა და წავიდა ხელმწიფესთან. ხელმწიფემ ნება დართო და ქარავანი ქოხში დააბინავა. იმ დღეს დაისვენეს, ხელმწიფეს ძღვენი გაუგზავნეს, მილაგდ-მოლაგდნენ და დაიძინეს. მეორე დილას არაბმა უთხრა სოვდაგრის შვილს:

— მე ასლა ბაზარში გავალ და თვალ-მარგალიტს გავიტან. მივყიდ-მოვყიდი და თავნსა და მოგებას ორივეს ჩაგაბარებ. შენ ამ ქოხში დარჩები და იცოდე, არამც და არამც კარში არ გამოსვიდე, ან ფანჯრიდან არ გაისედო. ეს უკვე მესამე და უკანასკნელი მუხლია ჩემი პირობისა და ესეც უსიტყვოდ უნდა აასრულოო.

— კარგიო, — დათანხმდა სოვდაგრის შვილი.

არაბმა გაივსო თვალ-მარგალიტით უბე-ჯიბეები და გავიდა ბაზრობაზე. ერთ კუთხეში სოვდაგრები რაღაცას ბუზივით ესვეოდნენ. არაბი მივიდა და ნახა, რომ ერთი კაცი კაცივით მოლაპარაკე ჩიტს ყიდის და არის ერთი შეცილება. არაბმა არც აცია, არც აცხელა და ჩიტის პატრონს უთხრა:

— ათ მარგალიტს მოგცემ, თუ თვითონ ჩიტიც თანასმა იქნება, რომ მე ვიყიდოო.

— თუ კარგად მომივლი, დამბან, გამასუფთავებ და არც სმა-ჭამას მომაკლებ, თანასმა ვარო, — დაილაპარაკა ჩიტმა.

— ცივ ნიავს არ მოგაკარებო, — შეპირდა არაბი და კაცს ჩიტი გამოართვა. მერე მიყიდ-მოყიდა, რაც სადღეისოდ ჰქონდა წამოღებული და ოქროს ფულებით გამოტენილი ქისით წავიდა თავის ბატონთან, მივიდა და რას სედავს: ქოხის კარ-ფანჯრები მილეწილ-მოლეწილი ყრია, ავეჯი დამტვრეული და თვითონ სოვდაგრის შვილიც ზღურბლზე გდია გულწასული. თურმე, არაბი რომ წავიდა, სოვდაგრის შვილს ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ფანჯრიდან გაიხედა. დაინახა კოშკის ფანჯარაში გადმომდგარი ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი და მერე რა ჩაიდინა, თვითონაც აღარ გაუგია.

არაბი იმ წამსვე ყველაფერს მიხვდა და ცივი წყალი

მოარბენინა, მიასხურა გულწასულ ვაჟს და მოასულიერა. უსაყვედურა, ჩემი სიტყვა რატომ არ გაიგონეო, და თვალ-მარგალიტში აღებული ფული მიუთვალა.

სოვდაგრის შვილმა ფულს ზედ არ შეხედა და არაბს უთხრა:

— არაფერი არ მინდა, ფულიც შენი იყოს და თვალ-მარგალიტიც, ოღონდ, თუ ჩემი სიკეთე გსურს, როგორმე ის ქალი ხელში ჩამაგდებინეო.

— მაგაზე ადრევე ვიზრუნეო, — უთხრა არაბმა, — შენ ფული მიითვალე და დამშვიდებული იყავი, ის ქალი მალე შენი გახდებაო. — მიუთვალა სოვდაგრის შვილს ფული და ისევ ბაზარში წავიდა. იყიდა თავისთვის ერთი ხელი კარგი ტანისამოსი, გამოეწყო მდიდრულად, ჩაისვა უბეში მოლა-პარაკე ჩიტი და ხელმწიფის სასახლისაკენ გასწია.

— რა გნებავსო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— გეახელით, რომ თქვენი მზეთუნახავი ქალი ავალაპა-რაკოო, — მიუგო არაბმა.

ხელმწიფემ ეჭვით შეხედა და ჰკითხა:

— რომ არ დაგელაპარაკოს, რას იზამო?

— რაც გსურდეთ, ის სასჯელი დამადეთო, — მიუგო არაბმა.

ხელმწიფეს ეწყინა, ვიღაც არაბი ჩემი ქალის თხოვას როგორ ბედავსო და მუქარით უთხრა:

— იცოდე, მაგ თავხედობისათვის სიკვდილი არ აგცდე-ბაო.

— თანახმა ვარო, — უთხრა არაბმა, — ოღონდ თქვენი ქალი შემახვედრეთ და, თუ ვერ ავალაპარაკე, აასრულეთ თქვენი მუქარაო.

ამაზე აღარც ხელმწიფეს რამე ეთქმოდა. გაიყვანა არაბი ერთ ოთახში და უთხრა:

— აქ იყავი და ჩემი ქალიც მალე მოვაო.

ხელმწიფე უკანვე გაბრუნდა. არაბმა ოთახი მოათვალიე-რა და ფანჯრის რაფაზე ერთი ოქროს საყვავილე დაინახა. საჩქაროდ გამოიყვანა ჩიტი უბიდან, ჩასვა საყვავილეში და დააფარა. ჩამოჯდა სავარძელზე და ხელმწიფის ქალის შემოსვლას დაელოდა. უცბად გაიღო კარი და გამოჩნ-

და ასული. უკან ვეზირი შემოჰყვა. ვეზირმა უთხრა არაბს:

— ჩემმა ხელმწიფემ მოწმედ გამომგზავნა, იცოდე, თუ ვერ აალაპარაკებ ჩვენს მზეთუნახავს, აქედან ცოცხალი ვერ გახვალო.

— მზეთუნახავს კი არა, თუ გნებავთ, უსულო საგნებსაც ავალაპარაკებო, — უთხრა არაბმა და საყვავილეზე მიუთითა, — აგე, თუნდაც ამ ოქროს ჭურჭელსო.

— აბა, სცადეო, — უთხრა ვაზირმა.

არაბი მივიდა ქოთანთან და უთხრა:

— აბა ;თქვი, როგორ ხარ, მოვლა ხომ არ გაკლიაო?

ოქროს ჭურჭლიდან ჩიტმა დაილაპარაკა:

— რაღა როგორა ვარ, ჩემთვის არც მოვლაა და არც პატრონობა, მტვერი და ჭუჭყი მჭამს და კაციშვილი ყურადღებას არ მაქცევსო.

ხელმწიფის ასულს ჯავრისაგან გულზე ცეცხლი მოეკიდა.

— სტყუისო! — დაიძახა გაკაპასებულმა, — ჩემი მოახლეები ხომ წმენდენ და ასუფთავებენ, გუშინ კიდევ მე ჩემი ხელით გავწმინდეო.

მზეთუნახავმა და ვეზირმა რა იცოდნენ, რომ შიგ ჩიტი იჯდა, ეგონათ, თვითონ საყვავილე ლაპარაკობსო. არაბმა გაიმარჯვა, მზეთუნახავი დარცხვენილი გავარდა, ხოლო ვეზირი ხელმწიფესთან შევიდა და მოახსენა:

— თქვენი ასული არაბმა აალაპარაკაო.

— სტყუიო! — უყვირა ხელმწიფემ, — ალბათ იმ არაბმა ქრთამით მოგისყიდა და ჩემს მოტყუებას ამიტომ ბედავო, — გააძრო ხმალი და კისერი წააგდებინა.

მარტო რომ დარჩა, არაბმა ამოიყვანა ჩიტი საყვავილედან, ისევ უბეში ჩაისვა და წავიდა თავის ბატონთან.

მეორე დღეს ისევ ეახლა არაბი ხელმწიფეს და ჰკითხა:

— მე ჩემი დაპირება შევასრულე და პირობაზე როგორა ხართო?

— შენ ის ჩემი ვეზირი ალბათ ფულით მოისყიდე და ორივემ მომატყუეთო, — უთხრა ხელმწიფემ, — ახლა სხვა ვეზირს გამოვგზავნი მოწმედ და ვნახავ, როგორ აალაპარაკებო. — გაიყვანა ისევ იმ ოთახში და თვითონ ქალისა და ვეზირის დასაძახებლად წავიდა.

არაბმა ამოიყვანა ჩიტი უბიდან, ფარდის ნაოჭებში თავდაყირა გახლართა და ქალისა და ვეზირის მოლოდინში ისევ სავარძელში ჩამოჯდა.

შემოვიდნენ ვეზირი და მზეთუნახავი. ვეზირმა უთხრა არაბს:

— აბა, სცადე და ჩემი ქალბატონი ახლაც აალაპარაკეო.

არაბმაც იგივე უპასუხა:

— გუშინაცა ვთქვი და დღესაც ვამბობ, რომ უსულო საგნებსაც ავალაპარაკებ და ცოცხალი ადამიანი რას გამიხდება. თუ არ დაგიშლიათ, აგე იმ ფარდას ავალაპარაკებო.

— აალაპარაკეო, — უთხრა ვეზირმა.

არაბი ფარდისკენ შებრუნდა და მიმართა:

— აბა, მითხარი, როგორ გივლიან, გწმენდენ, გასუფთავებენ, თუ არაო?

ფარდიდან ნაყშებში გახლართულმა ჩიტმა დაილაპარაკა:

— აბა, ეს რა მოვლაა, დასაბან-დასარეცხი თავდაყირა ვკიდივარ და კაციშვილი ყურადღებას არ მაქცევსო.

ხელმწიფის ასული უფრო გაკაპასდა:

— სტყუის! — წამოიძახა ხმამაღლა, — არც გარეცხვა დამიკლია და არც გასუფთავება, და თუ თავდაყირა ჰკიდია, მე რა ვქნა, წესი ეგრეაო.

არაბი ვეზირს მიუბრუნდა:

— აჰა, ხომ ხედავ, უსულო საგანიც ავალაპარაკე და შენი ქალბატონიცო. ვეზირმა გაკვირვებისაგან პირი დააღო. მზეთუნახავი მიხვდა, რომ შეაცდინა არაბმა და ახლაც დარცხვენილი გავარდა. ვეზირიც ხელმწიფესთან წავიდა და მოახსენა:

— იმ უბირმა არაბმა შენი მზეთუნახავი ქალი მართლა აალაპარაკაო.

— შენც მოუსყიდიხარო, — უთხრა ხელმწიფემ და თავი წააგდებინა. არაბმა კი გამოხსნა ნაყშებიდან თავისი მოლაპარაკე ჩიტი, ჩაისვა უბეში და თავის ბატონთან წავიდა.

მესამე დღეს ისევ ეახლა არაბი ხელმწიფეს და პირობა

მოაგონა, მაგრამ ხელმწიფე არც ამჯერად დაყაბულდა და მესამედ მოსთხოვა სანაძლეო, — ახლა თვითონ დავესწრები და ვნახავ ერთი, როგორ აალაპარაკებო. — არაბი ოთახში დატოვა და ქალის მოსაყვანად წავიდა.

არაბმა დრო იხელთა, ამოიყვანა უბიდან ჩიტი და ხელმწიფის ქალის სავარძლის ნაოჭებში შეჩურთა ქვეშიდან.

შემოვიდნენ ხელმწიფე და მზეთუნახავი და თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

— აბა, არაბო, — მიმართა ხელმწიფემ დაცინვით, — ერთი მაჩვენე, როგორ ალაპარაკებ ჩემს მზეთუნახავსო?

— კიდევ ვიმეორებ, — უთხრა არაბმა, — მე უსულო საგნებსაც ვალაპარაკებ, თუნდაც, მაგ სავარძელს, რაზეც თქვენი ასული ზის, და ცოცხალი, მეტყველი ადამიანი რომ ავალაპარაკო, რა გასაკვირიაო.

— აბა, გელოდებიო, — უთხრა ხელმწიფემ, — დამანახვე, რა ჯადოქრობა იცი ასეთიო. — ხელმწიფეს არ სჯერა, თუ არაბი იმის ქალს მართლა აალაპარაკებს, იმედი აქვს, რომ კაი გვარიან ფულს ააძრობს თავის გამოსასყიდად და ნასიამოვნები წინდაწინვე ულვაშებში იღიმება.

არაბი წამოდგა და მიმართა სავარძელს:

— აბა, მითხარი, თავს როგორ გრძნობ, ხომ არაფერი გაწუხებსო?

სავარძლის ქვეშიდან ნაოჭებში შეჩურთული ჩიტი კრუსუნებს:

— რაღა როგორა ვარ, ამოდენა მთა მაწევს მაღლიდან და სული მეხუთებაო.

— რაო, მთაო?! — ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი ჯავრისაგან მთლად გადაირია, მიუბრუნდა არაბს და სხაპასხუბით მიაყარა, — განა ასეთი ტყუილი მოსათმენია? შენ ხომ თვითონვე მხედავ, რა მსუბუქი და ტანწერწეტა ვარ და ეს კი რაებს ჩმახავს. დამაცადოს, გავატანინებ ხელოსნებს და სულ ნაჭერ-ნაჭერ დავაკუწინებო. — წამოხტა ატირებული და თავის ოთახში გავარდა. გაწბილებული ხელმწიფეც თავის ოთახში გავიდა. არაბმა გამოიყვანა ჩიტი, ჩაისვა უბეში, გაჰყვა ხელმწიფეს უკან და ჰკითხა:

— ჰა, ახლა რაღას იტყვითო?

ხელმწიფე ჭირის ოფლში ცურავს, ეს რა ღვთის რისხვა დამატყდა თავს, — საუკეთესო სასიძოები პირშიჩალაგა-მოვლებულები გავისტუმრე და ახლა ჩემი მზეთუნახავი ქალი ამ გადაბერებულ არაბს უნდა დარჩესო. შეხედა არაბს და ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი, ამ ხნის კაცს ახალგაზრდა ცოლი რად გინდა, ან რაღა დროს შენი ოჯახის მოკიდებაა?

— სცდებით, დიდებულო ხელმწიფევ, — უთხრა არაბმა. — მე ჩემთვის კი არა, ჩემი ბატონისათვის ვიღვწოდი.

— ვინ არის შენი ბატონი? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— აი, ის ლამაზი ჭაბუკი, პირველ დღეს ბინის სათხოვნელად რომ გეახლათ. უზომოდ შეყვარებულია თქვენს ქალიშვილზე და ღირსეული საქმროც არის, აურაცხელი სიმდიდრის პატრონია და თანაც გონიერი და კეთილშობილი, თუ ინებებთ, მოგიყვანთ და თქვენ თვითონ ნახეთო.

ხელმწიფემ არაბს უთხრა:

— მაშ, თუ ეგრეა საქმე, წადი და ის შენი ბატონი ახლავე აქ მომიყვანეო.

წამოვიდა არაბი ქოხში და წამოიყვანა სოვდაგრის ბიჭი. ხელმწიფემ ახედ-დახედა და ტანწერწეტა, ახლად წვერულვაშაშლილი ყმაწვილი ძალიან მოეწონა, სწორედ ხელმწიფის საკადრისი გარეგნობა ჰქონდა. ხელმწიფემ იხმო თავისი ქალიშვილი. მზეთუნახავმა შეხედა თუ არა ბიჭს, გულში ჟრჟოლამ დაუარა, მორცხვად გაიღიმა. ბიჭმაც გაუღიმა და მათმა ღიმილმა მთელი დარბაზი გაანათა.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ხელმწიფემ დალოცა სიძე-ქალიშვილი და ქორწილის დღეც დანიშნა. არაბმა გაისმო ცალკე სოვდაგრის შვილი და უთხრა:

— ჩემი რჩევით ჯერ ხომ არაფერი წაგიგიაო?

— არაფერიო, — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

— მაშ, აქაც ჩემი რჩევა დაიჯერე და არ წააგებო, — უთხრა არაბმა და დაარიგა, — ხელმწიფეს მოახსენე, ახლა მსოლოდ ნიშნობა გადავიხადოთ, ქორწილი კი მაშინ გავმართოთ, როცა ჩემს ბედნიერებას მშობლებს შევატყობინებ და აქ ჩამოვიყვან-თქო. ასე უფრო მეტი პატივი დაგედება და ხელმწიფის თვალშიც მეტი ფასი გექნებაო.

უთხრა სოვდაგრის შვილმა ხელმწიფეს, — ნება მომეცით, ქორწილი ჩემი დედ-მამის ჩამოსვლამდე გადავდოთ და ახლა მხოლოდ ნიშნობა გადავიხადოთო.—ხელმიწფეს მოეწონა სიძის გონიერება და დათანხმდა. მოიწვია მთელი ქალაქი და მხოლოდ ნიშნობა გადაუხადა.

ნიშნობის დამთავრებისთანავე სოვდაგრის შვილმა კაცი აფრინა თავის დედ-მამასთან, — ასეა და ასე ჩემი საქმე, და თქვენ იცით, როგორც ღირსეულად ჩამოხვალთო.—თვითონ არაბს ამოუდგა მხარში და მთელი თვალ-მარგალიტი ერთ თვეში გაასაღა. თვის თავზე დედ-მამაც მოუვიდა და გააჩაღეს დიდი ქორწილი.

ნეფე-პატარძლის სადღეგრძელო რომ დალიეს, არაბი ადგა და ხელმწიფის სიძეს მიმართა:

— მე მგონი, რაც ერთად ვართ, ერთგულად გემსახურებოდი და, რაც შემეძლო, შენთვის მზრუნველობა არ დამიკლიაო.

— მართალი ბრძანებაარ, — მიუგო სოვდაგრის შვილმა.

— პირობის თანახმად, მოგება შუაზე უნდა გაგვეყო, მაგრამ მე ჩემს წილს მთლიანად შენ გითმობო.

სოვდაგრის შვილი გაშტერდა და ჰკითხა, — რისთვისო?

— სიკეთისთვისო, — მიუგო არაბმა.

— რა სიკეთისთვისო? — უფრო გაოცდა სოვდაგრის შვილი. არაბმა გაიცინა და თავის ბატონს უთხრა:

— შენ მე ვეღარ მცნობ, იმიტომ რომ ცოცხალი არასოდეს გინახივარ. ერთხელ მნახე, ისიც მკვდარი. გახსოვს, ორი კაცი რომ წნელით მიმათრევდა და თან კეტს მცემდა. იმათ მე რვა თუმნად მიყიდეს, მამუშავეს და სიკვდილის შემდეგაც ჩემში მიცემულ ფულს ვალად მითვლიდნენ. შენ მიეცი ის რვა თუმანი და დამიხსენი იმ მტარვალებისაგან, მერე მდიდრულად დამასაფლავე და ოქროდღირებული მარმარილოს ხეგლი დამიდგი. აი, მე სწორედ ის არაბი ვარ და საიქიოდანაც იმიტომ დავბრუნდი, რომ შენთვის სიკეთე გადამეხადა. ახლა ვალი უკვე გასტუმრებული მაქვს, შენც ბედნიერად გტოვებ და მშვიდად, გულდასვენებით დავუბრუნდები ჩემს საუკუნო სასუფეველსო, — ეს თქვა არაბმა და გაქრა.

მექორწილენი გაშტერებული დარჩნენ ასეთი უცნაური ამბით, ხოლო როცა გონს მოვიდნენ, სოვდაგრის შვილს საქციელი შეუქეს და ყველამ ერთსმად აღიარა: სიკეთე და მადლი მკვდართანაც არ იკარგებაო.

მართლაც რომ ასეა. ტყუილად კი არ არის ნათქვამი:

მადლი ჰქენი, ქვაზე დადე,
გაიარე, წინ დაგხვდება.



მზის ასული

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყვნენ ერთ სოფელში სამნი ძმანი. გავიდნენ ერთ დღეს სამივენი მინდორში და სამი დღის მიწა მოხნეს, გაიყვეს ნახნავი თანაბრად და დათესეს პური, უფროსმა — მარჯვნივ, შუათანამ — მარცხნივ და უმცროსმა — შუაში.

იმ წელს მხვნელ-მთესველთა ამინდი დაიჭირა და ძმებს ისეთი ყანები მოუვიდათ, რომ თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა — ზღვასავით აღელდა და სულ მტკაველ-მტკაველი თავთავი დაიყარა. ხარობდნენ ძმები და მოუთმენლად მოელოდნენ ყანების შემოსვლას, მაგრამ, დახეთ უბედურებას — სწორედ იმ დღეს, სამკალად რომ უნდა გასულიყვნენ, უცბად ცა მოიბურა, მოქუხუშდა, დაიფარა ტყვიისფერი ღრუბლებით და მუშტისტოლა სეტყვა წამოუშინა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ნაპირა ყანებს სულ არ მიეკარა და მარტო შუალა ყანა გაანადგურა.

გამოვიდა უმცროსი ძმა მინდორში, დახედა თავის გავერანებულ ყანას და გული ბოლმით აევსო, მაგრამ საყვედური არ დასცდენია, მხოლოდ ერთხელ ამოიოხრა, „ალბათ ეს იყო ჩემი იღბალიო", — თქვა გულში, გადაიგდო მხარზე ნამგალი და გასწია ბედის საძებნელად.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ერთ მდიდარ კაცს მიადგა. მდიდარს სამკალად მოსული ასი დღიური ყანა ედგა.

— რას მომცემ, რომ ეს ყანა ერთ დღეს მოგიმკაო? — ჰკითხა უმცროსმა ძმამ.

— შუაზე გაგიყოფო, — უპასუხა მდიდარმა.

შეუდგა უმცროსი ძმა მუშაობას, შუადღემდე ულოები გრიხა, შუადღის შემდეგ მოსდო ნამგალი და სულ ნაბუარი აადინა, — მკის და აწყობს ძნას ძნაზე. აჭერს მზე, ოფლი წურწურით ჩამოსდის და დაღლილობისაგან თვალები უჭრელდება, მაგრამ ერთხელაც არ შეუსვენია. გავიდა ბოლოში, ნამგალი ყანის პირას ჩაარჭო და შეუდგა მომკილი ძნის შეკონვას, მოდის და მოჰკონავს, მარტო ერთი ძნაღა დარჩა შესაკონი, რომ მზე გორის პირას გაება. მომკელმა მოუხადა ქუდი და შეეხვეწა მზეს: — ნუ ჩახვალ, ერთი ძნაღა დამრჩა და ამის შეკონვაც მაცალეო. — მაგრამ მზემ არ უსმინა და ჩავიდა.

მოვიდა ყანის პატრონი, გაუკვირდა, ასი დღის ყანა რომ მომკილი დახვდა და უთხრა:

— ახლა გავყოთ, როგორც პირობა გვქონდაო.

— არაო, — უთხრა უმცროსმა. ძმამ, — ბედს რომ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა, ამ ერთი ძნის შეკონვასაც დამაცდიდა. რაკი პირობა ვერ შევასრულე, ერთი მარცვალიც არ მინდაო, — გადაიგდო თავისი ნამგალი მხარზე და წავიდა.

იარა, იარა და ერთ ხელმწიფესთან მივიდა. ხელმწიფე სწორედ მეცხვარეს ეძებდა.

— რას მომცემ, რომ სამი წლის მანძილზე შენს ფარას ერთი ციკნის ყურიც არ დავაკლო, არც ნადირს რამე გავატანო და არც სატკივარს მოვაკვლევინოო? — ჰკითხა ხელმწიფეს.

— თავნსაც და ნაშენსაც შუაზე გაგიყოფო, — უთხრა ხელმწიფემ.

ამ პირობაზე შეთანხმდნენ და დაუდგა უმცროსი ძმა ხელმწიფეს მეცხვარედ. მეცხვარემ დასვენება არ იცოდა, დარსა თუ ავდარში ფეხზე იდგა და სამი წელი მართლაც ისე გაიყვანა, რომ ფარას ბეწვი არ დაჰკლებია. მოვიდა ხელმწიფე და თავისი ცხვარი ასე გამრავლებული და გაზრდილი რომ ნახა, დიდად გაიხარა.

ახლა პირობის ასრულებას წინ აღარაფერი ედგა, მაგრამ რა გინდა, ნათქვამია, კაცს თუ ბედი არ სწყალობს, ქვა აღმართში მოეწევაო. მეცხვარე უკვე ბაკში ერეკებოდა

ცხვარს გასაყოფად, რომ სად იყო, სად არა, უცბად ერთი მგელი გამოხტა, დასტაცა პირი ერთ მსუქან ცხვარს და ტყისკენ გააქანა.

ხელმწიფეს ეს ერთი ცხვარი აინუნშიაც არ ჩაუგდია და თავის მეცხვარეს უთხრა:

— აბა, როგორი პირობა გვქონდა, გადავთვალოთ და გავყოთო.

— არა, — უთხრა მეცხვარემ, — რაც არ მერგება, არ შემერგება, ბედს რომ ჩემთვის სიკეთე სდომებოდა, ამ ერთ დღესაც დამაცდიდაო. — გადაუგდო ჯოხი და წავიდა.

მიდის დაღონებული და თავისთვის ფიქრობს: „საკუთარი ყანა სეტყვამ გამინადგურა, სხვას დღიურ მუშად მოვურიგდი და მზემ არ დამინდო, ცხვარი მგელმა გამომაცალა ხელიდან. ჩანს, ბედი არაფერში მწყალობს და დღეიდან აღარც მე შევაკლავ თავს საქმეს. ვიელი ასე ქვეყნიდან ქვეყნად და რასაც ღმერთი მომცემს, იმას დავჯერდებიო".

ბევრი იარა, ბევრი მთა და ველი გადასერა და ერთხელ ერთ მდინარის პირას დაისვენა. შუალამემ რომ მოატანა, ციდან მზის ქალები ჩამოვიდნენ და მდინარეში ბანაობა დაიწყეს, ისეთი ლამაზები იყვნენ სამივენი, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა, მაგრამ უმცროსი მაინც ყველას სჯობდა. და ვაჟმაც იმას დაადგა თვალი, — ჩუმად მიეპარა, სტაცა ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მოკურცხლა.

არბენინა ეს მოტაცებული ქალი, არბენინა და ბოლოს ერთ ტრიალ მინდორზე გაიყვანა. გაიკეთა იქ ერთი ქოხი, ქალი ცოლად შეირთო და დაბინავდა. მაგრამ სულს იქით არაფერი ებადა და ან ქალი რით უნდა შეენახა, ან თავისი თავი.

მაშინ ქალმა მისცა ნატვრის ბეჭედი და უთხრა:

— აჰა, ეს ბეჭედი, ეს არის ჩემი მზითვი და ამის მეტი არც შენ რამე გაგაჩნია, მაგრამ ამას ისეთი ძალა აქვს, ორივეს შეგვინახავს: მიწაზე დადებ, — სუფრა გაიშლება, სუფრაზე დადებ — სასმელ-საჭმელი ჩამორიგდება, იქით გასწევ — ჭურჭელი არიგდება, აქეთ გამოსწევ — ჩამორიგდებაო.

ვაჟი უკეთესს ვერაფერს ინატრებდა, საქმეში ხელმოცარ-

რული კაცისათვის სწორედ რომ მისწრება იყო — აღარც საქმე აწუხებდა, აღარც საზრუნავი და რასაც ინატრებდა, მზამზარეული მოსდიოდა, ისეთ განცხრომაში იყო, რომ იმის ბედს ძალლი აღარ დაჰყეფდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, უზრუნველმა, მუქთმა ცხოვრებამ თანდათან გაათამამა, გაამედიდურა და ბოლოს იქამდე გაყოყოჩა, რომ ხელმწიფის დაპატიჟება მოინდომა.

ცოლმა ბევრი უშალა, — შენს ქერქში დაეტიე, მიუწვდომელს ნუ წაეპოტინები, თორემ ეს ერთი ბეჭედი გვიგდია და მაგასაც დაკარგავო. მაგრამ ქმარმა არ დაიშალა, — გინდა თუ არა, უნდა დავპატიჟო და ჩვენი გლეხური ცხოვრება ვაჩვენო, დაე, დარწმუნდეს, რომ ჩვენც შეგვიძლია ხელმწიფის საკადრისი მასპინძლობის გაწევაო, და იმავ დღეს ხელმწიფის სასახლისკენ გასწია, მიართვა ხელმწიფეს საჩუქარი და სთხოვა:

— სადილად მეწვიეთ და ჩემი გლეხური ოჯახი გააბედნიერეთო.

— შენ რა ხარ და შენი სადილი რაღა უნდა იყოსო, — გაეცინა ხელმწიფეს, მაგრამ მთლიანად მაინც არ გააწბილა და თავის მაგიერ თავისი ნაზირ-ვეზირები აახლა, — წადით, ნახეთ, რისი იმედით მეპატიჟება ეს კაცი, მართლა აბადია რამე თუ მასხარად მიგდებსო.

მართლაც, შესხდნენ ცხენებზე ნაზირ-ვეზირები და გამოჰყვნენ მზის სიძეს. მასპინძელმა სტუმრებს ცხენები ჩამოართვა, ამოიღო ბეჭედი და ყველას თითო კონა თივა და ქერიანი თოფრები ჩამოურიგა, მერე ბეჭედი მიწაზე დადო და გაიშალა მდიდრული სუფრა, ჩამორიგდა ჯამ-ჭურჭელი და მოვიდა და მოვიდა სასმელ-საჭმელი, რა გინდა სულო და გულო! ნაზირ-ვეზირები უზომოდ გაჰკვირდნენ: სახლი არ აბადია, ქონება-ცხოვრება არ უჩანს და ეს ამოდენა სასმელ-საჭმელი საიდან მოაქვსო. ცოლის ნახვით ხომ მთლად ჭკუაზე შეიშალნენ, ასე რომ, ნაზირ-ვეზირები სასახლეში პირდაპირ გადარეულები დაბრუნდნენ.

— აბა, როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ახალი ყმაო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

ნაზირ-ვეზირებმა, რა თქმა უნდა, ძალიან უქეს, — სულ

უცხო-უცხო საჭმელები მოგვართვა, მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყოლია, იმისთანა თვალით არაფერი გვინახავს. ის ქალი იმაც კი არა, თქვენ უნდა გყავდეთ, სწორედ ხელმწიფის საკადრისიაო.

— როგორ წავართვა, — ჰკითხა ხელმწიფემ, — უმიზეზოდ არ დამანებებს და მიზეზი კი არაფერი გამაჩნიაო?

ნაზირ-ვეზირებმა ურჩიეს:

— დაიბარე ის კაცი და მზესთან გაგზავნე ოქროს ვერძის მოსაყვანად, ის იქიდან ცოცხალი ვერ მოვა და ქალი შენ დაგრჩებაო.

დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უთხრა:

— უნდა წახვიდე და მზეს რომ ოქროს ვერძი ჰყავს, ის მომიყვანოო.

დაბრუნდა შინ მზის სიძე და ცოლს შესჩივლა:

— ხელმწიფე ოქროს ვერძის მოსაყვანად მგზავნის და რა ვქნაო?

— ეგ ადრე უნდა გეფიქრა, — უთხრა ცოლმა, — ახლა წუწუნი აღარაფერს გიშველის, უნდა ადგე და წასვიდეო.

ქმარიც ადგა და წავიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს გაათავა ხმელეთი და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე ბუდობენ. მზე შინ არ იყო, — ქვეყნის გასანათებლად წასულიყო, სიძეს მარტო მთვარე დახვდა და ძალიანაც გაუხარდა. გამოჰკითხა მისვლის მიზეზი და სიძემაც ყველაფერი უამბო. ბოლოს მთვარემ უთხრა:

— ახლა შენ დაგმალავ, თორემ საცაა მზე მოვა და იმის სიცხეს ვერ გაუძლებო. — აქცია ნემსად და შუაბოძში შეურჭო.

ცოტა ხნის შემდეგ მზეც მოვიდა.

— ხორციელის სუნი მომდის! — დაიძახა შემოსვლისთანავე და მთვარეს ჰკითხა, — ვინ შემოდგა ფეხი ჩემს საბრძანებელშიო?

— რას ამბობ, — გაუჯავრდა მთვარე, — შენ იყავი ქვეყნად წასული და ხორციელის სუნიც შენ მოგყვებოდაო.

მზე რომ დამშვიდდა, მთვარემ ჰკითხა:

— ჩვენი სიძე რომ გვეწვიოს სტუმრად, ხომ არ დასწვავო?

— არაო, — დაიფიცა მზემ, — ოღონდ თვალით მაჩვენა ის ჩვენი სიძე, ვინ არის, რა კაცია, და არაფერს არ ვავნებო.

აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წაუყენა მზეს.

მზე მიესალმა სიძეს და გამოჰკითხა მისვლის მიზეზი.

— ხელმწიფე თქვენს ქალს მეცილება, — უთხრა სიძემ,— და როგორმე რომ თავიდან მომიშოროს, შენთან გამომგზავნა, მზეს რომ ერთი ოქროს ვერძი ჰყავს, ის მომიყვანეო.

— ეგ ადვილი სამსასურიაო, — უთხრა მზემ და დასასვენებლად ბაღში გაიყვანა. ხის ძირას დასვა და უთხრა, კარგად დაისვენე და მგელი და ელია ვახშამსაც აქვე მოგართმევენო.

არ გასულა დიდი ხანი, რომ მგელი და ელიაც მოვიდნენ. მგელმა სუფრა გაშალა და ელიამ სასმელ-საჭმელი ჩამოურიგა. ბაღში კაკლის საბერტყი ხალხა ეგდო. წამოავლო ხელი მზის სიძემ, დაადგა ელიას თავზე და უთხრა:

— მე რომ ორ მამულს შუა სამკალად შემოსული ყანა მედგა და მთლად გამინადგურე, რადა ჰქენ ეგრეო? — და მოსცხო და მოსცხო ხალხა ბეჭებზე, იმდენი სცემა, სანამ სულ არ მიასავათა და ახლა მგელს მიუბრუნდა, — მე რომ სამი წლის მანძილზე, დარსა და ავდარში ველზე ვიდექი და ხელმწიფის ფარისთვის ერთი ციკნის ყურიც არ დამიკლია და ყავლის გასვლის დღეს შენ რომ ერთი ცხვარი მომტაცე, — რადა ჰქენ ეგრეო? — მოსცხო და მოსცხო იმასაც. სულ „ვაი-დედა!“ აძასებინა. მერე დაერია ხეხილს, დაუშინა ხალხა და ტოტები მთლიანად ჩამოულეწა. მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდა სუფრას და დაღლილი გემრიელად მიაძღა.

წავიდნენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად. მოვიდა მზე, ნახა თავისი ბაღი ასე გატიალებული და სიძეს ჰკითხა:

— რადა ჰქენი ეგრეო?

— თქვენ რაღად ჰქენით ისე, რომ ყველაფერზე ხელი ამაღებინეთო? — მიუგო სიძემ და მოუყვა, ვის რა დანაშაულიც მიუძღოდა: — ერთი დღიური ყანა მედგა, ის იყო, მკა უნდა დამეწყო, რომ წამოუშინა ელიამ სეტყვა და მთელი მარცვალი მიწაში ჩამიზილა, მერე ერთ კაცს ასი დღიური

ყანის მომკას მოვურიგდი, ერთი ძნაღა მქონდა შესაკონი, გთხოვე, ამის შეკონვა მაცალე, ჯერ ნუ ჩახვალ-მეთქი, მაგრამ შენ ყურიც არ მათხოვე, და მთელი შრომა წყალში ჩამიყარე. ბოლოს ბედი მწყემსობაში ვცადე და ერთ ხელმწიფეს მეცხვარედ დავუდექი, სამი წელიწადი ციკნის ყური არ დამკლებია, ყავლის გასვლის დღეს კი ეს ვაჟბატონი მობრძანდა, ერთი ცხვარი მომტაცა და მთელი წილი დამაკარგვინა. ჰა, თქვენ რაღად ჰქენით ეგრე, არ იცოდით, რომ ვალს და სამაგიეროს გადახდა უნდაო?

რაღა ეთქმოდა მზეს, — მისცა დაპირებული ოქროს ვერძი და მშვიდობით გაისტუმრა.

დაბრუნდა მზის სიძე დედამიწაზე და მოუყვანა ხელმწიფეს ოქროს ვერძი. ხელმწიფეს ძალიან ეწყინა, მზის სიძეს დავალება რომ აასრულა და ქალის ხელში ჩაგდების ყოველგვარი იმედი გადაუწყდა, მაგრამ მაინც არ ჩამოეხსნა და რჩევა კვლავ თავის ვეზირებს ჰკითხა, ახლა რაღა მოვუსერხოო?

— საიქიოში გაგზავნე და თქვენს მშობელ დედას რომ ოქროს ბეჭედი წაჰყვა, ის მოატანინეო.

დაიბარა მეორედ ხელმწიფემ მზის სიძე და უბრძანა:

— საიქიოში უნდა წახვიდე და დედაჩემის ოქროს ბეჭედი მომიტანოო.

მოვიდა ცოლთან მზის სიძე დაღონებული და შესჩივლა:

— ხელმწიფე ახლა საიქიოში მაგზავნისო.

ცოლმა ანუგეშა, მისცა ერთი ვაშლი და უთხრა:

— გააგორე ეს ვაშლი, გაჰყევი კვალდაკვალ და საიქიოში მიგიყვანსო.

გააგორა მზის სიძემ ვაშლი და მიჰყვა უკან. იგორა ვაშლმა, იგორა და ერთ ხრიოკ, ქვა-კლდიან ადგილზე მიგორდა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა, ერთ კლდესთან მარტო ერთი ხარი ება, წინ არც საჭმელი ედო, არც წყალი სადმე ჩანდა, მაგრამ ხარი ისეთი მსუქანი იყო, რომ ხორცი სულ ზედ ასკდებოდა. გაუკვირდა მზის სიძეს და ხარს ჰკითხა:

— რისგან არის, რომ არც საჭმელი გაქვს, არც სასმელი და მაინც ასეთი მსუქანი კი ხარო?

— ავლილი ბევრი მინახავს, ჩამოვლილი კი არავინო, —

უთხრა ხარმა, — თუ უკან დაბრუნება გეღირსა, ამის მიზეზს მაშინ გეტყვიო.

გააგორა ისევ მზის სიძემ ვაშლი და მიჰყვა უკან. იგორა ვაშლმა, იგორა და ერთ აბალახებულ მინდორში გამოვიდა. მინდორში ერთი ხარი იდგა, ბალახი მუსლებამდე სწვდებოდა, წინ ანკარა ნაკადული ჩაუდიოდა, მაგრამ ისეთი მჭლე და გაძვალტყავებული იყო, ყორანი ვერაფერს ააგლეჯდა. მივიდა ახლოს მზის სიძე და ჰკითხა:

— ასეთი ნოყიერი საბალახოს პატრონი ასე რამ გაგაძვალტყავაო?

— ავლილი ბევრი მინახავს, ჩამოვლილი კი აღარცერთი, — უთხრა ხარმა, — თუ უკან დაბრუნდები, ამის მიზეზს მაშინ შეიტყობო.

გასცდა ამ ხარსაც მზის სიძე, მიჰყვა ისევ თავის ვაშლს და ერთ ცოლ-ქმარს მიადგა. ცოლ-ქმარი ცულის ტარზე იწვა, მაგრამ აქეთ-იქიდან კიდევ ადგილიც მორჩენოდათ. მზის სიძე გაკვირვებით დააცქერდა ცოლ-ქმარს და ჰკითხა:

— თუ ღმერთი გწამთ, ეგ როგორ არის, რომ ორნი ცულისტარზე წევხართ და აქეთ-იქით ადგილი კიდევ მოგრჩენიათო?

— ავლილი ბევრი გვინახავს, ჩამოვლილი კი აღარავინო, — უთხრა ცოლ-ქმარმა, — თუ უკანვე ჩამოივლი, ამის მიზეზს მაშინ გეტყვითო.

განაგრძო გზა მზის სიძემ და ისევ ცოლ-ქმარს მიადგა. ესენი კამეჩის ტყავზე იწვნენ, მაგრამ მაინც ვერ ეტეოდნენ,— ერთი იქით ნაპირზე გორავდა, მეორე — აქეთ და მაინც ერთმანეთს წიხლავდნენ, იქით მიიწი, ხომ ხედავ, ადგილი მეცარ მყოფნისო.

აქ მთლად გაშტერდა მზის სიძე და ცოლ-ქმარს ჰკითხა:

— ეგ რა უბედურებაა თქვენს თავს, რომ კამეჩის ტყავზე წევხართ და მაინც ვერ დატეულხართო?

ამ ცოლ-ქმარმაც იგივე უპასუხა:

— ავლილი ბევრი გვინახავს, ჩამოვლილი კი ერთიც არაო, — წადი და, თუ ჩამოივლი, ჩვენც გეტყვითო.

გააგორა მზის სიძემ ვაშლი, მიჰყვა უკან და ერთ დედაკაცს მიადგა. მოეგროვებინა დედაკაცს კვერცხები და ციხეს

აშენებდა. აიყვანდა შუამდე კედლებს და დაენგრეოდა. კიდევ და კიდევ. უყურა მზის სიძემ, უყურა და ბოლოს ჰკითხა:

— რას შვრები, ადამიანო, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენო, და ან რაში გჭირდებაო?

— ავლილი ბევრი მინახავს, მაგრამ ჩამოვლილი არავინო, — უთხრა დედაკაცმა, — თუ ჩამოიელი, ამის მიზეზს მაშინ გეტყვიო.

გასცდა ამასაც მზის სიძე და გაუდგა თავის გზას. იარა, იარა და ახლა მეორე დედაკაცს მიადგა. ეს დედაკაცი თონესთან იდგა და პურს აცხობდა — ჩააკრავდა ბამბასავით თეთრ პურს და ტალახივით შავს ამოჰყრიდა. მზის სიძემ ჰკითხა:

— რისი ბრალია, რომ თეთრ პურს აკრავ და შავს ამოჰყრიო? — დედაკაცმა იგივე უთხრა:

— ავლილი ბევრი მინახავს, მაგრამ ჯერ უკან არავინ დაბრუნებულა, თუ ჩამოიელი, გეტყვიო.

გაუდგა მზის სიძე გზას და ერთ მდინარეს მიადგა. მდინარეზე ერთი კაცი ხიდად გადებულიყო და ყველა მასზე გადიოდ-გამოდიოდა. გაუკვირდა მზის სიძეს, სად გაგონილა, კაცი ხიდად იდოსო, და ხიდ-კაცს ჰკითხა,—რა ამბავია შენს თავსო?—კაცმაც იგივე პასუხი მისცა:

— ამ გზაზე უკან დაბრუნებული ჯერ არავინ მინახავს და თუ გეღირსა, ამის მიზეზს მაშინ შეიტყობო.

გაუდგა მზის სიძე ისევ გზას და ბოლოს ხელმწიფის ღედასთანაც მივიდა.

— ძეხორციელი აქ რამ მოგიყვანაო? — ჰკითხა ხელმწიფის დედამ.

— შენმა შვილმა შემოგითვალა, — უთხრა მზის სიძემ,— მანდ რომ ოქროს ბეჭედი გაგყვა, ის გამომიგზავნეო.

მისცა ხელმწიფის დედამ ბეჭედი და თან დააბარა:

— ამ ბეჭედს რომ გადასცემ ჩემს შვილს, ასე უთხარი: რაკი ასეთი უმადური ხარ, რომ საიქიოშიც არ მასვენებ, შენამც იქნები წყეული და ისემც წაგივა საქმე, შენმავე ნაზირ-ვეზირებმა შეგჭამონო.

წამოიღო მზის სიძემ ბეჭედი და წამოვიდა. მოვიდა ხი-

დად გადებულ კაცთან და ჰკითხა, — ახლა მაინც მითხარი შენი ასეთი წამების მიზეზიო?

— მე სიცოცხლეში ხიდი მებარა, — უთხრა კაცმა, — და ზედ უფასოდ კაციშვილს არ გავატარებდი. ღარიბი და გაჭირვებული არ ვიცოდი, ბაჟს ყველას ორმაგად ვახდევინებდი და ჩემი ავკაცობისათვის აქ აი ასე დავისაჯე. კაცმა ცუდი საქმე არ უნდა ჩაიდინოს, თორემ ან მკვდარს ან ცოცხალს უსათუოდ მოეკითხებაო.

— ჰოდა, მოგკითხვია კიდეცო, — უთხრა მზის სიძემ, გამოსცდა ამ კაცს და მივიდა პურის მცხობელ დედაკაცთან. დედაკაცმა უთხრა:

— მე იმქვეყნად ისეთი ძუნწი ვიყავი, რომ პურით მათხოვარს არ გავიკითხავდი, პური რომ მეცხო და იმ დროს მშიერ მგზავრს გაევლო, თვალებს თონეში ჩავიწვავდი და მაღლა კი არ ავიხედავდი, რომ არ დამენახა და პურის მიწოდება არ დამჭირვებოდა. ჰოდა, აი იმ სიძუნწისათვის ახლა ასე დავისაჯე, — რაგინდა თეთრი პურიც არ უნდა ჩავაკრა, თონიდან ტალახად ქცეული ამომივაო.

— უარესიც უნდა მოგსვლოდაო, — უთხრა მზის სიძემ, წამოვიდა და მივიდა იმ დედაკაცთან, ვინც კვერცხის ციხეს აშენებდა. დედაკაცმა უთხრა:

— მე იმქვეყნად მეზობლებს კვერცხებს ვპარავდი და ასე იმის გამო ვიტანჯებიო.

— შენც კარგად მოგსვლიაო, უთხრა მზის სიძემ, — ყველა ქურდსა და სხვათა მპარავს ასე უნდა დაემართოსო, — და წამოვიდა თავის გზაზე.

იარა, იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზე მწოლიარე ცოლ-ქმართან და ჰკითხა, რა არის მიზეზი, ამსიფართე ტყავზე რომ ვერ დატეულხართო?

ცოლ-ქმარმა უთხრა:

— კამეჩის ტყავზე იმიტომ ვერ ვეტევით, რომ ჩვენ სამზეოში ერთმანეთს პატივს არ ვცემდით, სულ ვჩხუბობდით და ვკინკლაობდით და ეს სასჯელიც ამ მიზეზით დაგვედო, მაგრამ უბედურება უფრო ის არის, ახლა ბევრიც რომ ვეცადოთ, ერთმანეთს ველარ დავშორდებით და სამუდამოდ ასე უნდა ვეწამოთო.

— სწორედ, რომ შესაფერად დასჯილხართო, — უთხრა მზის სიძემ და წამოვიდა. მოვიდა ცულის ტარზე მწოლარე ცოლ-ქმართან და ჰკითხა:

— ახლა მაინც მითხარით, ერთი ცულის ტარი ორ ადამიანს საწოლად როგორ გყოფნითო?

— იმ ქვეყნად ერთმანეთი გვიყვარდა და ის სიყვარული აქაც გამოგვყვა, — უთხრა ცოლ-ქმარმა, — აქაც სულ ერთმანეთის სიყვარულში ვართ და ამიტომ საწოლად ცულის ტარიც გვყოფნისო.

— ერთმანეთის სიყვარული კვლავაც ნუ მოგეშალოთო, — უთხრა მზის სიძემ და წამოვიდა. მოვიდა იმ ხართან მწვაწე მინდორზე წყაროს პირას რომ ება და შიმშილ-წყურვილით კი კვდებოდა.

— აბა ახლა მითხარი, — ჰკითხა მზის სიძემ, — რის ბრალია, რომ სასმელ-საჭმელი თავსაყრელი გაქვს და მაინც ასეთი გაძვალტყავებული ხარო?

— იმ ქვეყნად უმადური ვიყავი, — უთხრა ხარმა, —პატრონს არაფერში ვადგებოდი და მეუღლე ხარსაც მუდამ ვღალატობდი. აქ ამიტომ დავისაჯე ასე, და ახლა ბევრიც რომ ვჭამო, აღარ შემერგებაო.

— მეტის ღირსიც ყოფილხარო, — უთხრა მზის სიძემ და წამოვიდა. მოვიდა ბოლოს იმ ხართან, სულ პირველად რომ შეხვდა, — ხრიოკ ადგილზე რომ ება და სიმსუქნისაგან ტყავში კი არ ეტეოდა.

— სიცოცხლეში ხარისთვის არ მიღალატია და პატრონისათვისაც ერთგული და თავდადებული ვიყავი, — უთხრა ხარმა, — ჰოდა, იმ ერთგულების საზღაურად ახლა ასეთ განცხრომაში ვარ და სულაც რომ არაფერი ვჭამო, მაინც ასე მსუქნად და ჯანსაღად ვიქნებიო.

— ბარაქალა შენს ხარობასო, — უთხრა მზის სიძემ, გამოემშვიდობა და წამოვიდა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მოვიდა ხელმწიფესთან, მოუტანა ოქროს ბეჭედი და დედის დანაბარებიც გადასცა: ისე გაგიხდეს საქმე, რომ შენმავე ნაზირ-ვეზირებმა შეგჭამონო. იქცა მაშინვე ხელმწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირები — მწევრებად, გამოეკიდნენ კურდღელს და ასო-ასო დაფლითეს.

ხელმწიფის სახლ-კარი და ქონება მთლიანად მზის სიძეს დარჩა, იმავ დღეს ცოლიც სასახლეში გადმოიყვანა, დაჯდა ხელმწიფედ და მთელი სიცოცხლე ლხინსა და ბედნიერებაში გაატარა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ნატვრისთვალი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი. იყო ერთ ქვეყანაში ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი და ჰყავდათ ერთი ბიჭი. ბიჭი უკვე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იყო, მაგრამ საქმეს არ აკეთებდა, მთელ დღეებს უქმად ატარებდა და ლუკმაპურს ისევ მშობლების ხელიდან გამოელოდა. ამის თაობაზე ცოლ-ქმარს ხშირად ჩხუბიც მოსდიოდა და საყვედურით ერთმანეთს ყურებს უხვრეტდნენ:

არა, შენ წაახდინე შვილი, არა, შენო!

ერთ დღეს ცოლმა უთხრა ქმარს:

— კაცო, იქნება ჩვენი შვილი იმიტომ არ მუშაობს, რომ ოჯახში ფული ეგულება, მოდი გავყოთ ის საშავდღეოდ გადანახული ფული, ჩვენ ჩვენი წილი ავიღოთ და იმას თავისი მივცეთ, იქნება ჭაშინ მაინც გატოკდეს და საქმე გააკეთოსო.

ქმარს მოეწონა ცოლის აზრი, ამოიღეს სკივრიდან შენახული ფული, დაუძახეს თავიანთ ყალაღანა შვილსა და უთხრეს:

— აი, შვილო, მთელი ჩვენი ქონება ეს არის, გავყოთ თანაბრად, ყველამ თავისი წილი ავიღოთ და საკუთარი ქონებით ვიცხოვროთო. — სულ სამოცი თუმანი ჰქონდათ შენახული, მისცეს შვილს ოცი თუმანი და უთხრეს, — აჰა, შვილო, წაიღე, იქით მიდექ, აქეთ მოდექ, ფულს ფული მოაგებინე და იცხოვრეო.

დაყაბულდა ბიჭი, ჩაიდო ჯიბეში ოცი თუმანი და გაუდგა გზას. გაიარა რამოდენიმე მანძილი და ერთ მინდორზე

გავიდა. უცბად ერთი მხრიდან რაღაც გნიასი და ხმაური შემოესმა. ბიჭმა გაიხედა და დაინახა, რომ მეცხვარეებს დაუჭერიათ ერთი ძაღლი და დასრჩობას უპირებენ. შეებრალა პირუტყვი, მივიდა მეცხვარესთან და სთხოვა:

— ოღონდ ეგ ძაღლი გაუშვით და ჯიბეში ოცი თუმანი მაქვს და სულ თქვენ მოგცემთო.

მეცხვარეებმა, რა თქმა უნდა, ოცი თუმანი არჩიეს ძაღლის დასრჩობას და მაშინვე გაუშვეს. ძაღლმა მადლობით შეხედა თავის მხსნელს, დაიხსომა მისი სახე და გახარებულმა მოკურცხლა. ბიჭმა მისცა მეცხვარეებს დაპირებული ოცი თუმანი და ისევ სახლში დაბრუნდა. დაჯდა ძველებურად შინ და დაიკრიფა-გულხელი.

დაღონდა ისევ დედ-მამა და უთხრეს ერთმანეთს:

— ოც-ოც თუმანს რომ გვაგულებს, ალბათ იმიტომ არ მუშაობს, მოდი მივცეთ ამ ფულიდანაც ნახევარი, იქნება წავიდეს და რამე გააკეთოსო. — გამოიტანეს ორმოცი თუმანი და ნახევარი დაუთვალეს. ბიჭმა ჩაიდო ფული ჯიბეში და წავიდა.

იარა, იარა და ერთ სოფელში მივიდა. ერთი სახლიდან რაღაც ხმაური გაიგონა, მოვიდა ამ სახლთან და დაინახა, რომ ერთ დედაბერს დაუჭერია ციცა და ახრჩობს. ბიჭს შეებრალა ცხოველი და დედაბერს უთხრა:

— დიდედა, ოღონდ მაგ კატას ნუ მოკლავ, გაუშვი და მე რომ ჯიბეში ოცი თუმანი მაქვს, იმას მოგცემო. — ბებერმა გაუშვა კატა, ბიჭმა მისცა ოცი თუმანი და წამოვიდა შინისაკენ. მოვიდა შინ და ისევ ძველებურად ყალაღანობა დაიწყო.

დაღონდნენ კვლავ მშობლები და თქვეს:

— ოც თუმანს რომ კიდევ გვაგულებს, ნამდვილად იმიტომ არ მუშაობს, მოდი მივცეთ ეს ფულიც და რომ აღარაფერი გვექნება მისაცემი, იქნებ მაშინ მაინც გააკეთოს რამეო, — და ის უკანასკნელი ოცი თუმანიც მისცეს.

— აი, ეს იყო ჩვენი უკანასკნელი ფულიანობა და ამასაც შენ გაძლევთ, — უთხრა მამამ, — აქამდე თუ ამის იმედი გქონდა, ახლა სახლში ერთი გროშიც აღარ გვრჩება და ნუ-

ღარც მოცემის იმედს იქონიებ, წადი, გაისარჯე, შრომა ფულად აქციე, ფულს ფული მიუმატე და იცხოვრეო.

ბიჭმა გამოართვა ფული, ჩაიდო ჯიბეში და გაუდგა გზას. იარა, იარა და გავიდა ერთ ღიჭიან ჭალაში. ბარდებს იქიდან რაღაც ხმაური შემოესმა, მივიდა და რას ხედავს: ერთ კაცს ბარდისთვის ცეცხლი წაეკიდებინა, გრძელ ჯოხზე გველის წლოკი მიება და ცეცხლის ალზე ატრიალებდა. წლოკი საცოდავად წიოდა და იკლაკნებოდა. შეებრალა ბიჭს გველის ნაშიერი და კაცს სთხოვა:

— ოღონდ გაუშვი და ჯიბეში რომ ოცი თუმანი მაქვს, იმას მოგცემო. — კაცმა გაუშვა წლოკი, ბიჭმა მისცა დაპირებული ოცი თუმანი და გამობრუნდა შინისაკენ. ცოტა რომ გამოიარა, უცებ ბარდებიდან წლოკი გამოძვრა, გადაუდგა ბიჭს წინ და უთხრა:

— რადგან ასეთი დიდი სიკეთე მიყავი, მეც მინდა რითიმე სამაგიერო გადაგიხადო, წამოდი ჩემთან და ბედსა გწევო.

ბიჭი დათანხმდა და გაჰყვა. გზაზე წლოკმა ასე დაარიგა:

— ჩემს მშობლებს ჩემს მეტი შვილი არა ჰყავთ, მე რომ ვუამბობ, რა ხიფათსაც გადამარჩინე, იმათ უზომოდ გაუხარდებათ და საჩუქრად უამრავ ოქრო-ვერცხლს შემოგაძლევენ, მაგრამ შენ არაფერი არ აიღო. უთხარი, თუ ჩემი პატივისცემა გინდათ, თქვენ რომ ერთი წითელთვლიანი ბეჭედი გაქვთ, ის მომეცით-თქო. ის ბეჭედი ნატვრისთვალია და რასაც ინატრებ, შეგისრულდება.

ატარა ბიჭი გველის წლოკმა, ატარა და ერთ ბნელ გამოქვაბულში შეიყვანა. წლოკის მშობლებმა ბიჭი რომ დაინახეს, მაშინვე სისინი ატეხეს და შეჭმა დაუპირეს. წლოკმა ტირილი დაიწყო, ამას არაფერი ავნოთ, ჯერ მათქმევინეთ, რა სიკეთე მიყო და თვითონვე დარწმუნდებით, რომ ეს კაცი ჩვენი მოკეთეა და არა მტერიო.

დედ-მამამ მოუსმინა და წლოკმაც ყველაფერი უამბო. მაშინ კი მოულბათ გული გველებს და ბიჭს ჰკითხეს:

— რაკი ჩვენი შვილი სიკვდილს გადაარჩინე, რას ითხოვ, სამაგიერო რით გადაგიხადოთო?

— მე სხვა არაფერი არ მინდა, — უთხრა ბიჭმა, — თქვენ რომ ერთი წითელთვლიანი ბეჭედი გაქვთ, ის მომეცითო.

გველებმა უარი უთხრეს:

— ის ბეჭედი მთელი ჩვენი საცხოვრისია და ვერ მოგცემთო.

წლოკმა მშობლებს უსაყვედურა:

— რაკი ჩემს თავს თქვენ ის ერთი ბეჭედი გირჩევნიათ, აღარც მე მინდა თქვენი შვილობა და ამ კაცთან წავალო.

დედა გველს შეეშინდა, ემანდ მართლა არ წაჰყვესო, და დათანხმდა. გამოიღო პირიდან წითელთვლიანი ბეჭედი, ბიჭს გადასცა და უთხრა:

— რაც კი მოგინდება, შეაგდე მაღლა ბეჭედი და უთხარი: ჩემო ნატვრის თვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე-თქო, და ყველა სურვილს შეგისრულებსო.

ბიჭმა მადლობა გადაუხადა გველებს, ჩაიდო ჯიბეში ბეჭედი და გამოსწია სახლისაკენ. მოვიდა შინ და ნახა, რომ იმისი დედ-მამა უარესად გაღარიბებულიყვნენ, ბიჭმა უთხრა დედას:

— დედი, პური მშია და მაჭამე რამეო.

— რა გაჭამო, შვილო, შინ ფრჩხილზე დასაყრელი ფქვილი არა გვაქვს და პურს რისგან გამოვაცხობდიო, — დაიწუწუნა დედამ.

ბიჭმა ამოიღო თავისი ნატვრისთვალი, შეაგდო მაღლა და უთხრა:

— ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე. ეს კიდობანი სულ გამტკიცული პურით გაავსეო. — მერე მიუბრუნდა ისევ დედას და უთხრა, — მიდი, დედი, და მაინც ახადე, იქნება ნამცეცები მაინც იყოს დარჩენილიო.

დედა მივიდა, ახადა კიდობანს და გაკვირვებისაგან პირი დააღო: კიდობანი თეთრი გამტკიცული პურებით იყო სავსე. აბა, რაღა თქმა უნდა, რომ გაუხარდებოდა, ამოიღო პურები და გადმოალაგა სუფრაზე. ბიჭმა კიდევ შეაგდო ნატვრისთვალი და ახლა გემრიელი სასმელ-საჭმელი ინატრა. სუფრა იმავ წუთს გემრიელი კერძებითა და წითელი კახური საფერავით გაივსო. ივახშმეს ტკბილად და დაიძინეს,

მეორე დღეს ბიჭმა უთხრა დედას:

— დედი, ჩვენს ხელმწიფესთან წადი და მოახსენე, რომ მისი მზეთუნახავი ქალის შერთვა მსურს და ნება დამრთოსო.

— რას ამბობ, შვილო, ხელმწიფე გლეხკაცსა და ისიც ჩვენისთანა ღარიბს ქალს როგორ მიათხოვებსო? — გაუკვირდა დედას. მაგრამ ბიჭმა არ დაიშალა, — შენ წადი და უთხარი, და თუ ნებით არ მომცემს, ძალით წამოვიყვანო.

— კარგი, შვილო, რაკი არ დაგიშლია, წავალ, მაგრამ ამ დაკონკილი ტანსაცმლით ხელმწიფესთან როგორ მივიდეო, — უთხრა დედამ.

შვილმა შეაგდო ნატვრისთვალი და უთხრა:

— ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე, დედაჩემის მზითვის სკივრი სულ ძვირფასი ტანსაცმლით გაავსეო. — მერე ისევ დედას მიუბრუნდა, — დედი, აბა ახადე შენს მზითვის სკივრს, იქნებ ცოტათი გამოსადეგი რამე აღმოჩნდესო.

დედა მივიდა, ახადა სკივრს და გახარებულმა კინაღამ ხმამაღლა იკივლა: სკივრი სულ ფარჩა-აბრეშუმის ტანსაცმლით იყო გაჭედილი. ამოარჩია, რომელიც მოეწონა, ჩაიცვა და წავიდა. მივიდა ხელმწიფესთან, თავი დაუკრა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ჩემს შვილს თქვენი ქალი უნდა და სამაჯანკლოდ გამომგზავნა, თან ისიც შემოგითვალათ:

— ნებით მომცემს კარგია, არადა, ძალით წამოვიყვანო.

ხელმწიფე ჯერ უზომოდ განრისხდა, მერე იფიქრა, იმ კაცს რომ თავის თავის იმედი არ ჰქონდეს, ასე გაბედულად ვერ მომთხოვდაო, და დედას უთხრა:

— კარგი, თანახმა ვარ, მაგრამ შენს შვილს ორ დავალებას მივცემ, თუ შეასრულა, მართლა ღირსი ყოფილა ჩემი სიძობისა და ქალსაც გავატან, თუ არადა, კატასავით სახრჩობელაზე ჩამოვკიდებო.

დაიბარა ხელმწიფემ ბიჭი და უთხრა:

— თუ ჩემი სახლიდან შენს სახლამდე ერთ ღამეში ისეთ ხეხილის ბაღს გააშენებ, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდეს

და რიგი იკრიფებოდეს, მოგათხოვებ ჩემს მზეთუნახავ ქალს, თუ არადა, სახრჩობელაზე ჩამოგკიდებო.

— ბატონი ბრძანდებით, ვეცდებიო, — უპასუხა ბიჭმა და წამოვიდა. შინ რომ მივიდა, აიღო თავისი ნატვრისთვალი და მაღლა შეისროლა, — ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე: ჩემი სახლიდან ხელმწიფის სახლამდე დილისათვის ისეთი ხეხილის ბაღი გამიშენე, რომ რიგი ყვაოდეს, რიგი მწიფდეს და რიგი იკრიფებოდესო.

მართლაც, ბიჭს სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, რომ მისი სახლიდან ხელმწიფის სახლამდე ჯერ არნახული ბაღი გაიჭიმა. მივიდა მეორე დღეს ბიჭი ხელმწიფესთან და მოახსენა, თქვენი ბრძანება შესრულებულია, გამობრძანდით და იხილეთო.

ხელმწიფე გამოვიდა, დაათვალიერა ბაღი და მეტად კმაყოფილი დარჩა. მერე მიუბრუნდა ბიჭს და უთხრა:

— ამჯერად მოგებული ხარ, თუ მეორე დავალებასაც ასევე უნაკლოდ შეასრულებ, შენს სურვილს წინ არაფერი დაუდგება, თუ არადა, სახრჩობელა არ აგცდებაო.

— ბრძანეთ და ყველაფრისთვის მზად გახლავართო, — მიუგო ბიჭმა.

ხელმწიფემ უთხრა:

— ერთ ღამეში ისეთი ხალიჩა უნდა მოქსოვო, რომ ჩემი სახლიდან შენს სახლამდე გაიფინოს და ერთი იმდენი კიდევ დარჩესო.

— შევეცდები და იქნებ შევძლოო, — მიუგო ბიჭმა და წამოვიდა. შინ რომ მოვიდა, აიღო ნატვრისთვალი, შეისროლა მაღლა და უთხრა:

— ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე: ერთ ღამეში ისეთი ხალიჩა მომიქსოვე, რომ ჩემი სახლიდან ხელმწიფის სახლამდე გასწვდეს და ერთი იმდენი კიდევ დარჩესო.

ნატვრისთვალმა ესეც ერთ წამში გააკეთა — ბიჭის სახლიდან ხელმწიფის სასახლემდე სულ ოქრომკედით ნაქარგი ხალიჩა დაფინა და ერთი იმდენი კიდევაც წააჭარბა.

მივიდა დილას ბიჭი ხელმწიფესთან და მოახსენა:

— თქვენი დავალება შესრულებულია, გამობრძანდით და იხილეთო.

ხელმწიფე გამოვიდა, გახედა ხალიჩას და ბიჭს უთხრა:

— სიტყვა სიტყვაა და უნდა შეავასრულო, მაგრამ, ხომ იცი, ჩემს ქალს მაყრები გამოჰყვებიან და ხელმწიფის ხალხს კარგი დახვედრა უნდა. გაქვს კი ისეთი სასლი და ცხოვრება, რომ მაყრებსაც დახვდე და პატარძალი ცოლიც შესაფერისად იყოლიოო?

— რაცა მაქვს, მაქვს, რაც არა მაქვს, მექნება, — მიუგო ბიჭმა და წამოიყვანა ხელმწიფის ქალი. ხელმწიფემ განგებ ბევრი მაყარი გააყოლა. სახლს რომ მიუახლოვდნენ, ბიჭმა ამოიღო ნატვრის თვალი, შეისროლა მაღლა და უთხრა:

— ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვრა შემისრულე: ჩემი სახლის ადგილზე ერთი ისეთი ბროლის სასახლე დამიდგი, რომ ხელმწიფესაც შეშურდეს, და შიგ ისეთი სუფრა გაგვიწყვე, რომ ამ მაყრებს ჯერ თვალითაც არ ენახოთო.

მოვიდნენ შინ და მართლაც ისეთი სასახლე დახვდათ, რომ ხელმწიფის კაცებს შურიც კი აღეძრათ. სუფრას ხომ ლაპარაკი აღარ უნდა — რა თეფშები, რა ჭურჭელი, რა და-ნა-ჩანგალი! ჩიტის რძეც კი ოქროს თასებით იღგა. ერთ კვირას ბუკ-ნაღარისა და დუდუკ-დაირის ხმა არ შეწყვეტილა. კვირის თავზე ბიჭმა მაყრიონი გაისტუმრა და თავის მზეთუნახავ ცოლთან დაიწყო ბედნიერი ცხოვრება.

ერთ დღეს ბიჭი შინ არ იყო, სანადიროდ იყო წასული. ამ დროს სოფელზე ჩამოიარა ერთმა სოვდაგარმა და ალმასის ბეჭდები და საყურეები ჩამოატარა გასაყიდად. ხელმწიფის ქალმა აიყვანა სოვდაგარი სახლში და საყურეების არჩევა დაიწყო. ამ დროს ნატვრის თვალი სარკის წინ იდო. სოვდაგარმა დაინახა, მიხვდა, რომ ნატვრისთვალი იყო და მისი ხელში ჩაგდება განიზრახა. როცა ქალმა საყურეები ამოარჩია და ფასს შეეკითხა, სოვდაგარმა უთხრა:

— მაგ საყურეებს ფულზე ვერ გავყიდი, მაგრამ თქვენი ხათრის გულისათვის აგე. იმ ბეჭედზე კი გადაგიცვლითო.

ხელმწიფის ქალმა ჯერ არ იცოდა იმ ბეჭდის ძალა და გადაუცვალა. სოვდაგარმა ჩაიგდო თუ არა ხელში ბეჭედი,

მაშინვე ინატრა: ნატვრისთვალო, მე და ეს ქალი თავის სახლიანად ასლავე ცაში აგვაფრინე და შუა ზღვაში რომ ერთი უკაცრიელი კუნძულია, იქ ჩაგვაფრინეო. ამის თქმა იყო და სახლი იმავ წამს ჰაერში აიჭრა, იფრინა, იფრინა და იმ სოვდაგრის ნანატრ კუნძულზე დაეშვა.

ბიჭი დაბრუნდა სანადიროდან და რას ხედავს: აღარც სახლია და აღარც მზეთუნახავი ქალი. ბიჭმა მაშინვე ნეკზე იკბინა, მიხვდა, რომ ნატვრისთვალი ვიღაცამ ჩაიგდო ხელში და ცოლიცა და სასახლეც იმან გაიტაცა. ადგა იმავ წუთს და საძებნელად წავიდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა გზაზე ძაღლი და გამარჯობა უთხრა, მერე ჰკითხა, რაზე დაღონებულხარო?

— როგორ არ დავღონდები, როცა ასეთი უბედურება დამატყდა: ჩემი ნატვრისთვალი ვიღაცამ ჩაიგდო ხელში და ცოლი და სასახლეც მომტაცა. აი მივდივარ საძებრად, მაგრამ ის კი არ ვიცი, მივაგნებ, თუ ვერაო, — მიუგო ბიჭმა.

— მეც შენთან წამოვალ, — უთხრა ძაღლმა, — შენ ხომ მე სიკვდილს გადამარჩინე, ჰოდა, ახლა ჩემი ჯერია და შეძლებისდაგვარად მეც დაგეხმარებიო.

წაიყოლა ბიჭმა ძაღლი და გაუდგნენ გზას.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, ახლა ციცა შემოხვდა.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

— რაზე დაღონებულხარ, ჩემო მხსნელო და გადამრჩენელო? — ჰკითხა ციცამ. ბიჭმა უამბო თავისი გასაჭირი.

— მაშ, მეც შენთან წამოვალ და იმ დიდი სიკეთის სამაგიეროდ, სიკვდილს რომ გადამარჩინე, ცოტას მაინც დაგეხმარებიო, — უთხრა ციცამ და გაჰყვა.

იარეს, ბევრი მთა გადაიარეს, ბევრი უდაბური ადგილი გადალასეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ, დაკარგულისა ვერაფერი გაიგეს. ბოლოს დასხდნენ და ბჭობა გამართეს, რა ვქნათ, განვაგრძოთ ძებნა, თუ თავი დავანებოთო. ბოლოს ციცამ თქვა:

— ჩემი მამა-პაპისაგან გამიგონია, თაგვებმა ყველაფერი იციანო. ეგენი ხომ ყველა ჩემი მონა-მორჩილები არიან,

ᲬᲝᲓᲘᲗ, ᲬᲐᲕᲐᲚ, ᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡ ᲕᲙᲘᲗᲮᲐᲕ, ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲐᲒᲔᲑᲘᲜᲝᲜᲝ.

ᲬᲐᲕᲘᲓᲐ ᲪᲘᲪᲐ ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ, — ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲛᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲓᲐᲕᲙᲐᲠᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲡ ᲡᲐᲧᲛᲝᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲮᲝᲛ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡᲝ.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲛ ᲓᲐᲘᲑᲐᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲡᲪᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔᲗᲣᲜᲐᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ, ᲪᲝᲚ-ᲨᲕᲘᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲫᲔᲚᲖᲔ ᲒᲐᲡᲛᲐ ᲐᲠ ᲐᲡᲪᲓᲔᲑᲐᲝ.

ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲡᲝᲠᲝ-ᲙᲐᲠᲛᲘᲓᲐᲛᲝᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲛᲪᲝᲓᲜᲔ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲠᲯᲣᲚᲖᲔ ᲘᲤᲘᲪᲐᲕᲓᲐ, ᲐᲛ ᲐᲛᲑᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲕᲡᲛᲔᲜᲘᲐᲝ.

ᲓᲐᲦᲝᲜᲓᲐ ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ, ᲐᲦᲐᲠ ᲘᲪᲝᲓᲐ, ᲠᲐ ᲔᲥᲛᲐ, ᲪᲐᲚᲙᲔ ᲪᲘᲪᲐᲡ ᲨᲘᲨᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲔᲛᲐᲜᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲠᲘᲡᲮᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲧᲛᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲬᲧᲕᲘᲢᲝᲡᲝ, ᲪᲐᲚᲙᲔ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲬᲕᲐᲕᲓᲐ, ᲪᲘᲪᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲝᲛᲐᲓᲒᲐ ᲗᲮᲝᲕᲜᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲐᲪ ᲬᲐᲓᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲝ.

ᲐᲛ ᲓᲐᲠᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲕᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲘᲧᲝ ᲗᲐᲒᲕᲗ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ, ᲭᲘᲨᲙᲐᲠᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲭᲚᲘ ᲗᲐᲒᲕᲘ ᲛᲝᲐᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ:

— ᲛᲘᲛᲘᲨᲕᲘᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲒ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲝ! — ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲖᲐ ᲣᲢᲘᲔᲡ, ᲙᲝᲭᲚᲛᲐ ᲗᲐᲒᲕᲛᲐ ᲓᲐᲘᲩᲝᲥᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲓᲐ ᲬᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ: ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲕ, ᲔᲠᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ ᲗᲮᲘᲚᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲨᲘ ᲕᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑᲓᲘ, ᲖᲔᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲤᲝᲗᲝᲚᲘ ᲛᲔᲤᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲕᲗᲕᲚᲔᲛᲓᲘ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲘᲓᲐᲜ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲖᲠᲘᲐᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲡᲛᲐ, ᲐᲕᲘᲮᲔᲓᲔ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲗᲕᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲭᲔᲓᲘᲚᲘ ᲑᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ. ᲨᲔᲛᲔᲨᲘᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲖᲔᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲛᲔᲪᲔᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲛ ᲥᲠᲝᲚᲕᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲣᲙᲐᲪᲠᲘᲔᲚᲘ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲐ, ᲘᲥ ᲩᲐᲔᲕᲨᲕᲐ.

— ᲗᲣ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲗᲐᲒᲕᲘ ᲛᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲧᲝᲚᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲘᲛ ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲕᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝᲡᲝ, — ᲣᲗᲮᲠᲐ ᲪᲘᲪᲐᲛ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡ. ᲡᲐᲗᲐᲒᲕᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲪᲘᲪᲐᲡ ᲐᲑᲐ ᲣᲐᲠᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲣᲑᲔᲓᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲭᲚ ᲗᲐᲒᲕᲡ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ:

— ახლავე გაჰყევი და სანამ იმ კუნძულს არ აპოვნინებ, სათაგვეთისკენ პირი არ იბრუნოო.

წამოიყვანა ციცამ კოჭლი თაგვი და მოიყვანა ბიჭთან. ადგნენ და წავიდნენ ოთხივენი. წინ კოჭლი თაგვი მიდიოდა და გზას უჩვენებდა. ასე იარეს კარგა ხანს და ბოლოს ერთ თვალუწვდენელ ზღვას მიადგნენ. თაგვმა უთხრა ბიჭს:

— ის კუნძული, რომელზეც შენი სასახლე დაეშვა, ამ ზღვის შუაგულშია მოქცეული, მაგრამ იქამდე რით მივიდეთ, როცა ერთი პაწია ნავიც არა გვაქვსო.

— იქამდე მიყვანა ჩემზე იყოს, — თქვა ძაღლმა, — ჩემი ჯილაგი თევზებს უტოლდება ცურვაში და კუნძულამდე მისვლა როგორ გამიჭირდება. თქვენ მარტო ზურგზე შემასხედით და ბალანში მაგრად ჩამეჭიდეთ, რომ არ გადმოცვივდეთო. — შეასხდნენ ძაღლს ზურგზე ციცა და თაგვი და შეცურეს. ბიჭი ნაპირზე დატოვეს და დაუბარეს:

— შენ არ შეწუხდე, სადაც იქნება და არ იქნება, ვიპოვით იმ კუნძულს და შენს დანაკარგს უკლებლივ დაგიბრუნებთო.

ბევრი დავიდარაბა გადახდათ თავს ძაღლსა და იმის „მგზავრებს", მაგრამ ზღვა უხიფათოდ გადაცურეს და კუნძულზე გავიდნენ. ძაღლი ზღვის პირას დარჩა, თაგვი და ციცა კი სასახლისაკენ წავიდნენ. წასვლისას ძაღლმა უთხრა:

— პირველ რიგში ნატვრის თვალის ხელში ჩაგდებას ეცადეთ, ის რომ გვექნება, მერე ყველაფერი ადვილიაო.

წავიდნენ კოჭლი თაგვი და ციცა და მიადგნენ სასახლეს. მაგრამ ყველა კარი და ფანჯარა მაგრა დაკეტილი დაუხვდათ. მაშინ ციცამ უთხრა თაგვს:

— მეტი გზა არაა, სადმე ხვრელი უნდა გამონახო, სასახლეში მარტოკა შეხვიდე და გაიგო, სად ინახება ნატვრისთვალიო.

თაგვმა მოურბინა ირგვლივ სასახლეს და ერთ-ერთი ზღურბლის ქვეშ იპოვა პატარა ნაჩვრეტი. შეძვრა შიგ და მთელი სასახლე ძირის-ძირობამდე გადაჩხრიკა, სარდაფის ბნელ კუნჭულებშიც კი შეიხედა, მაგრამ ნატვრისთვალი ვერსად იპოვა. გამოძვრა ისევ ზღურბლის ქვეშიდან და ციცას უთხრა:

— ბატონო, ციცავ, სასახლეში მარტო ერთი კაცი და ერთი ქალია, ბევრი ვეძებე, მაგრამ ნატვრისთვალი ვერსად დავინახე.

— უსათუოდ კაცს ექნება დამალული, — თქვა ციცამ და თაგვს უბრძანა, — შეძვერი ისევ და იმ კაცს უთვალთვალე, სანამ არ დაინახავ, საიდან იღებს და სად ინახავს ნატვრისთვალს, გარეთ არ გამოხვიდეო.

შეძვრა კოჭლი თაგვი ისევ სასახლეში, ამოეფარა ტახტის ფეხს და დაუწყო კაცს თვალთვალი. შუადღე რომ გადავიდა, ქალი და კაცი სადილზე დასხდნენ. კაცმა ჭამის წინ პირიდან ნატვრისთვალი გამოიღო და სუფრაზე დაიდო. თაგვმა ყველაფერი დაინახა, საჩქაროდ გამოვიდა გარეთ და ციცას მოახსენა:

— ბატონო ციცავ, ნატვრისთვალი კაცს პირში აქვს შენახულიო.

ციცა ცას ეწია სიხარულით, ჯერ გაიქც-გამოიქცა, რამდენჯერმე ყირამალა ამოტრიალდა ჰაერში, ერთხელ დაიკრუტუნა კიდეც და თაგვს უთხრა:

— რაკი ადგილი გავიგეთ, სადაც ინახება, ახლა გამოტანა ადვილია. შედი ისევ შიგნით, შეიპარე სამზარეულოში და კუდი ჯერ ცეცხლზე მოიტრუსე, მერე ძმარში ჩაყავი და ღამე რომ დაეძინებათ, კაცს ცხვირში შეუყავი. კაცი დააცემინებს და ნატვრისთვალი პირიდან წამოვარდება. შენ დასტაცე პირი და გამოიქეციო.

თაგვი შეძვრა ისევ სასახლეში და როგორც ციცამ დაარიგა, ისე მოიქცა. საღამოს, როცა კაცს პირველი ძილი გაუყინჩდა, თაგვი მიეპარა და ძმრით დასველებული, გატრუსული კუდი ცხვირში შეუყო. კაცს დააცემინა და ნატვრისთვალი წამოუვარდა, თაგვმა დაავლო პირი, მოურბენინა ციცას და წინ დაუდო.

ციცა ახლა მთლად გადაირია სიხარულისაგან, იხტუნა ჰაერში, იტრიალა, მერე დაავლო პირი ნატვრისთვალს, თაგვი ზურგზე შეისვა და სანაპიროსაკენ მოკურცხლა. ნატვრისთვალი ძაღლს წინ დაუგდო და ხმამაღლა შესძახა:

— აი ძმობილო, ვიპოვეთ ჩვენი საძებარიო!

უნდა გენახათ ძაღლის სიხარული, დაავლო პირი ნატ-

ფრისთვალს და გაიქცა და გამოიქცა, შეტოპა ზღვაში, გადაახტა ბუჩოებსა და რამდენჯერმე ზურგზეც გადაკოტრიალდა. როცა გული იჯერა, თაგვსა და ციცას უთხრა:

— აბა შემასხედით ზურგზე და საჩქაროდ გავსწიოთ ჩვენი კეთილი ძმობილისაკენო.

კატამ უთხრა:

— მოდი მაგ ნატვრისთვალს მე ჩავიდებ პირში, თორემ შენი ამბავი რომ ვიცი, ვაითუ ვერ მოითმინო, გზაზე თევზებს შეუყეფო, ნატვრისთვალი პირიდან გადმოგივარდეს და დაგვეკარგოსო. — მაგრამ ძაღლმა არ დაუჯერა და პირობა მისცა, მთელი ქარავანიც რომ დავინახო, კრინტს არ დავძრავო. — შეისხა ზურგზე ისევ ციცა და თაგვი და შეცურდა ზღვაში. ის იყო, ნაპირს უახლოვდებოდნენ, რომ ძაღლს ერთი ჭრელი თევზი აეკვიატა და საშველი აღარ მისცა — სან უკან აედევნებოდა, სან წინ გაუცურდებოდა და გზას აღარ აძლევდა. ძაღლმა ითმინა, ითმინა, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა და შეუყეფა. გამოვარდა ნატვრისთვალი პირიდან და სიღრმისაკენ წავიდა. თევზი გამოეკიდა, დაეწია და გადაყლაპა.

დაღონდნენ ძმობილები, უფრო ძაღლი შეწუხდა, — რაღა პირით შევხვდე ჩვენს კეთილისმყოფელსო, და ტირილი დაიწყო. ციცამ ჯერ უსაყვედურა, რომ მისი სიტყვა არ გაიგონა, მერე უთხრა:

— ნუ გეშინია, ნაპირზე რომ გავალთ, მე წავალ და იმ ნატვრისთვალს უპოვნელს არ დავტოვებო.

გავიდნენ ნაპირზე და უთხრეს ბიჭს, რაც დაემართათ. ბიჭმა ანუგეშა, ნუ დარდობთ, ალბათ ღმერთს ასე ენება და რას ვიზამთო.

მაგრამ ციცამ არ დაუჯერა.

— არა, ძმობილო, — უთხრა ბიჭს, — მე ჩემი სიტყვის პატრონი ვარ და უნდა ავასრულო კიდეც. თქვენ აქ დამიცადეთ, მე წავალ და მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ის ნატვრისთვალი აქ მოვიტანოო.

წავიდა ციცა, დაჰყვა ზღვის ნაპირ-ნაპირ და მივიდა მეთევზეებთან. მეთევზეებს გაუხარდათ, ქოხში ციცა გვეყოლე-

ბა და თაგვები ვეღარ გაიჭაჭანებენო, მოეფერნენ და მოხარ-შული თევზით გაუმასპინძლდნენ.

დარჩა ციცა მეთევზეებთან, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ მოხარშულ თევზს ისერიგად არ ეტანებოდა, როგორც შიგნეულსა და კუჭ-ნაწლავს. მეთევზეებს სულ ხელებში შეჰ-ყურებდა, და როცა თევზს გამოწელავდნენ, გადაყრილ კუჭ-ნაწლავში იქექებოდა.

— ასეთი კეთილსინდისიერი ციცა მეორე არ იქნება, — ამბობდნენ მეთევზეები, — ხორცს პირს არ აკარებს და მარ-ტო კუჭ-ნაწლავით იკვებებაო.—რა იცოდნენ, რომ იმ კუჭ-ნაწლავში ნატვრისთვალს დაეძებდა.

ერთ დღეს მეთევზეებმა სწორედ ის ჭრელი თევზი დაი-ჭირეს, რომელმაც ნატვრისთვალი გადაყლაპა. ციცამ და-ნახვისთანავე იცნო თევზი და გამოწელეს თუ არა, მაშინვე გადაყრილ ნაწლავებს მივარდა. გადაატრიალ-გადმოატრია-ლა, ასო-ასოდ დაგლიჯა და ბოლოს იპოვა, რასაც ეძებდა. დაავლო პირი და ისე მოკურცხლა, რომ მეთევზეებმა უკანაც ვეღარ მოახედეს. მივიდა თავის ამხანაგებთან, დაუდო ბიჭს წინ ნატვრისთვალი და უთხრა:

— აჰა, ძმობილო, მოგიტანე შენი ნატვრისთვალი და ახლა თვითონ იცი.

ბიჭს უზომოდ გაუხარდა, რომ მტრის ჯავრი არ ჭამა და ციცას ხან ერთ თვალში ჰკოცნიდა, ხან მეორე თვალში. მე-რე შეისროლა თავისი ნატვრისთვალი მაღლა და უთხრა:

— ჩემო ნატვრისთვალო, ნატვრით ვინატრებ და ნატვ-რა შემისრულე — ის ჩემი სასახლე და ცოლი ისევ ძველ ად-გილზე დამიბრუნე, ხოლო სოვდაგარი კუნძულზე დატოვე, რომ შიმშილით ამოხდეს სულიო.

ბიჭს ნატვრა შეუსრულდა, შინ რომ მივიდა, სასახლე ისევ ძველ ადგილზე დახვდა. ცოლიც შინ იყო, გამოეგება ამდენი ხნის უნახავ ქმარს და გადაეხვია.

ბიჭმა ძაღლი, კატა და თაგვიც თავისთან დაიტოვა და დღესაც ბედნიერად ცხოვრობს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.



და და ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა ქალ-ვაჟი. და-ძმა ისე ჰგავდა ერთმანეთს, რომ ხშირად მშობლებიც კი ვერ არჩევდნენ. გოგონა ათი წლისა რომ გახდა, ხელმწიფეს გველეშაპი შეუჩნდა, გინდა თუ არა, შენი მზეთუნახავი ქალიშვილი ცოლად უნდა მომცეო. ხელმწიფე უარით ისტუმრებდა, მაგრამ გველეშაპი არ ეშვებოდა, ბოლოს დაემუქრა, ან ქალი მომეცი, ან არადა, მთელს შენს ქალაქს შევსანსლავ და შენც ზედ მიგაყოლებო. ხელმწიფეს შეეშინდა და დათანხმდა, ოღონდ დრო დაუთქვა, ორი წლის შემდეგ მოდი და გაგატანო.

ხელმწიფემ ერთი წლის მანძილზე პიტალო ქვის ციხე ააშენებინა, რკინის კარი შეაბმევინა და ქალი იქ დამალა, ხოლო ვაჟი ქალურად გამოაწყო. მოვიდა წლის თავზე გველეშაპი და უთხრა ხელმწიფეს, პირობაზე როგორა ხარო? მზადა ვარო — უთხრა ხელმწიფემ, გამოიყვანა ქალურად ჩაცმული ვაჟი და მისცა გველეშაპს.

წამოიყვანა გველეშაპმა ქალურად ჩაცმული ვაჟი და ცხრა მთა გადმოატარა. ერთ უღრან ტყეში დაუღამდათ, დაანთეს ცეცხლი და დადგნენ ღამის გასათევად. გველეშაპი დააკვირდა ბიჭს ცეცხლის სიწათლეზე და დაეჭვდა, იმ სულძაღლმა ხელმწიფემ ქალის მაგივრად ვაჟი ხომ არ შემომატყუაო. გასინჯა და მართლა ბიჭი არ აღმოჩნდა! განრისხდა გველეშაპი, აბა, თუ ეგრეა, ახლა მე მიყუროსო, — თქვა გაბოროტებულმა, ვაჟი ტყეში დატოვა, დაჰკრა ფეხი და პირ-

დაპირ ხელმწიფესთან გასწია. ხელმწიფე და მისი ჯალაბი გადაყლაპა, მერე მიადგა პიტალო ქვის ციხეს და დაუწყო კბილით ღრღნა, მაგრამ ვერაფერი დააკლო. ბოლოს გაჯავრებული ისევ ხალხს დაერია და სულ მუსრი გაავლო.

ამის შემდეგ გველეშაპი ქალაქს აღარ მოშორებია, მოვიდოდა ყოველდღე, ეომებოდა ცხრაკლიტულ ციხეს და რომ ვერაფერს დააკლებდა, გულის ჯავრს ხალხზე იყრიდა, მისდგებოდა ერთ უბანს, მცხოვრებლებს გადაყლაპავდა და წავიდოდა.

ხელმწიფის ვაჟი კი, გველეშაპმა ტყეში რომ დატოვა, მთელ დღეებს ტირილში ატარებდა. დადიოდა მშიერ-მწყურვალი, მაგრამ ტყეს არც ბოლო უჩანდა, არც დასასრული.

ერთ დღეს ტყეზე ერთმა მდიდარმა სოვდაგარმა გამოიარა, ნახა უპატრონო ყმაწვილი და ღმერთს მადლობა შესწირა, — შვილი არა მყავდა, ამას წავიყვან და ვიშვილებო. შემოისვა ცხენზე ყმაწვილი და გამოიყვანა ტყიდან. იარეს მთელი დღე და მზის ჩასვლისას ერთ ქალაქს მიადგნენ. ქალაქგარეთ სოვდაგარს ერთი ბალახიანი მინდორი მოეწონა, ჩამოხადა ჯორ-აქლემებს და ღამის გასათევად დაბინავდა.

ის ქალაქიცა და მინდორ-ველიც თურმე ერთი ხელმწიფის კუთვნილება ყოფილიყო. ხელმწიფეს ერთი შვილი ჰყოლოდა, თურმე ათი-თორმეტი წლისა მოიყარა, მაგრამ ტირილი ვერ მოიშალა, ცისმარე დღეს აკვნის ბავშვივით ტიროდა, უცვლიდნენ ძიძებს, მომვლელებს, მაგრამ არაფერი შველოდა: გაიღვიძებდა თუ არა, მორთავდა ტირილს და მერე იმისი საშველი აღარ იყო. შვილის შემყურე ხელმწიფე და დედოფალი გაჩენის დღეს იწყევლიდნენ.

ამ ღამესაც ეს ხელმწიფის შვილი ჩვეულებრივ ტიროდა. დილას ძიძა შეუცვალეს. ახალმა ძიძამ ბიჭი ქალაქგარეთ გაიყვანა, იქნებ გაერთოს და აღარ იტიროსო. ატარა ძიძამ მტირალი ბიჭი და ბოლოს სოვდაგართან მიიყვანა. ხელმწიფის შვილმა თავისი ტოლი ბიჭი რომ დაინახა, ტირილი შეწყვიტა. დაიწყეს ბიჭებმა ერთად თამაში — ხან პეპლებს დასდევდნენ, ხან ყვავილებს კრეფდნენ, ხან ერთმანეთს ეჭიდავებოდნენ და ბალახში გორაობდნენ. ყმაწვილი უფლის-

წული ისე გაერთო თავის კბილა ბიჭთან, რომ ტირილი სრულიად გადაავიწყდა.

დაბრუნდა საღამოს შინ ძიძა და ხელმწიფეს ყველაფერი უამბო:

— თქვენს მინდორში ერთ სოვდაგარს შეუსვენია, თან ერთი თქვენი შვილის ტოლი ბიჭი ახლავს. უფლისწული ისე გაერთო იმ მშვენიერ ყმაწვილთან თამაშით, რომ ტირილი აღარც კი მოჰგონებიათ.

ხელმწიფემ მაშინვე ნაზირ-ვეზირები მოიხმო და სოვდაგრის მოყვანა უბრძანა. წავიდნენ ნაზირ-ვეზირები და მოიყვანეს სოვდაგარი.

ხელმწიფემ უთხრა: — ერთი სათხოვარი მაქვს და უნდა ამისრულოო.

სოვდაგარმა თავი მდაბლად დაუკრა და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ბრძანეთ და თქვენი ხმალი და ჩემი კისერიო.

ხელმწიფემ უთხრა:

— ასე და ასე არის ჩემი შვილის საქმე, — თითქმის დაჭაკაცდა და ტირილი ვერ მოვაშლევინეთ. დღეს შენს შვილთან ყოფილა და გაჩუმებულა, ამიტომ, რაც გინდა, მთხოვე, ოღონდ შენი შვილი დამითმეო.

სოვდაგარმა მოახსენა:

— ის ყმაწვილი ჩემი შვილი არ არის, ტყეში უპატრონოდ მიგდებული ვიპოვე, მაგრამ ჩემიც რომ იყოს, ხელმწიფეს უარს როგორ ვკადრებო.

ხელმწიფემ სოვდაგარი უხვად დაასაჩუქრა და ხელმწიფის შვილი სასახლეში დაიტოვა. იმ დღიდან ხელმწიფის შვილი ერთხელაც აღარ ატირებულა. ამის გამო ხელმწიფემ ყმაწვილიც შვილივით შეიყვარა და ღვიძლ შვილად მიიღო. სახელებიც, როგორც ღვიძლ ძმებს შეჰფეროდათ, ერთნაირი დაარქვა, თავის შვილს — ვეფხვა, ხოლო ნაშვილებს — ჯიქა.

დაიზარდნენ ბიჭები და ისეთი ვაჟკაცები დადგნენ, რომ მათი მჯობი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა. დღისით ცხენოსნობასა და ხმალ-შუბის ხმარებაში გარჯიშობდნენ, საღამოთი კი სახელმწიფო საქმეების გარჩევას სწავლობდნენ,

ერთ დღეს ძმებმა თქვეს: მოდი, გამოვცადოთ ჩვენი თავი, რანი ვართ და რა შეგვიძლიაო, და ხელმწიფეს უთხრეს:

— გაგვიკეთებინე ერთი თორმეტფუთიანი რკინის ბურთი, ჩვენი თავი უნდა გამოვცადოთო.

ხელმწიფემ თხოვნა დაუყოვნებლივ აუსრულა, ჩამოასხმევინა მჭედელს თორმეტფუთიანი ბურთი, წააღებინა ნაზირ-ვეზირებს და ძმების საჯირითო მოედანზე დაადებინა. გამოვიდნენ დილას ძმები და თორმეტფუთიანი ბურთი მუშტაქვასავით აათამაშეს.

რაკი თავის იმედი აიღეს, ისევ თქვეს: — სულ ასე ერთ ადგილას ტრიალი რა ხელს მოგვცემს, მოდი, წავიდეთ, ქვეყანაც გავიცნოთ და ჩვენი თავიც გავაცნოთო. — წავიდნენ ხელმწიფესთან და უთხრეს:

— ჩვენთვის ოც-ოცფუთიანი ჯაჭვის პერანგები და თორმეტფუთიანი მშვილდისრები ჩამოასხმევინე, უნდა წავიდეთ და ქვეყნიერება გავიცნოთო.

ხელმწიფემ ეს თხოვნა სიხარულით შეუსრულა — ჭაბუკისათვის ქვეყნიერების ნახვას რა ჯობიაო, და შვილდ-ისარიც და პერანგებიც მჭედელს მაშინვე ჩამოასხმევინეს. ჩაიცვეს ბიჭებმა პერანგები, გადაიკიდეს მშვილდ-კაპარჭები, გამოემშვიდობნენ დედ-მამას და გაუდგნენ გზას.

იარეს, იარეს და ერთ ზღვისპირას მივიდნენ. ნავსადგურში აფრადაშვებული ხომალდი იდგა. ბიჭებმა ერთი ხომალდი იქირავეს და ზღვის მეორე ნაპირზე გასვლა მოინდომეს. ორ დღეს მშვიდობიანად იცურეს, ზურგის ქარი ქროდა და ხომალდი გაშლილ ზღვაზე შეუფერხებლად მისრიალებდა. მესამე დღეს ამინდი შეიცვალა, ქარიშხალი ამოვარდა და ზღვა ააბობოქრა, აზვირთდა მთისოდენა ტალღები და ხომალდი ნაფოტებად აქცია. ძმებს თითო-თითო ფიცარიღა შერჩა ხელთ, მაგრამ ზღვამ ერთი ერთ მხარეს გაიტაცა, მეორე—მეორე მხარეს. უკანასკნელად იმის თქმაღა მოასწრეს, რომ თუ ცოცხლები გადავრჩით, სამ წელიწადს ნურც ცოლებს მოვიყვანთ, ნურც დავსახლდებით და მხოლოდ ერთმანეთი ვეძებოთო.

ჯიქა ზღვამ მალევე გარიყა ნაპირზე, ვეფხვა კი ატარა-ატარა და ერთ თვალშეუდგამ კლდეს მიაყენა. ვეფხვა მოე-

ჭიდა კლდეს, გამოტეხა მუშტით საფეხურები და ავიდა კლდის თავზე. დაღლილმა ცოტა შეისვენა, მერე ადგა და ჯიქას საძებნელად გასწია.

იარა ვეფხვამ, იარა და ბოლოს ერთ უკაცრიელ ქალაქს მიადგა. ქალაქი მდიდარია, დუქან-ბაზარი სავსეა ძვირფასი საქონლით, მაგრამ კაცის ჭაჭანება არსად ჩანს. გაიარა ვეფხვამ და მივიდა ცხრაკლიტულ ციხესთან. იფიქრა, ამ ქალაქის ხალხი უთუოდ აქ იქნება შეკეტილიო, ჰკრა წიხლი კარებს და შეამტვრია. შევიდა ციხეში და ერთი ნამტირალევი ქალი იპოვა. ეს ქალაქი სწორედ ჯიქას მამის სატახტო ქალაქი იყო, ეს არ იცოდა და ქალს ვინაობა და ქალაქის უკაცრიელობის მიზეზი გამოჰკითხა. ქალმა უთხრა:

— ეს ქალაქი ჩემი გულისთვის არის აკლებული გველეშაპისაგან. მას ჩემი ცოლად შერთვა უნდოდა, მაგრამ მამაჩემმა არ მიმცა და ქალაქი ამის გამო აი ასე გააპარტახა. ახლაც ყოველდღე მოდის, ებრძვის ჩემს ცხრაკლიტულს, მაგრამ ვერაფერს აკლებს. ახლა საცაა მოვა და ვეღარც გადავრჩებით, რადგან შენ რკინის კარები დაგიმტვრევია და აღარაფერი დაიჭერს. მე ცოლად წამიყვანს, ხოლო შენ გადაგყლაპავსო.

ვეფხვამ ქალი ანუგეშა:

— შენ ოღონდ ცოტა დამასვენე, დაღლილი ვარ, ხოლო როცა გველეშაპი გამოჩნდება, გამაღვიძე და მე ვიცი და იმანო.

ქალმა კალთაში ჩაადებინა თავი. ვეფხვას მაშინვე ჩაეძინა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა გველეშაპი. — მინდორში ნისლივით მოცურავდა და პირიდან ცეცხლს ბყრიდა. ქალმა შეანჯღრია ვეფხვა, მაგრამ ვერ გააღვიძა და ტირილი დაიწყო. ერთი ცრემლი ვეფხვას ლოყაზე დაეცა და ამოსწვა, ვეფხვამ ახლა კი გაახილა თვალები და ქალს ჰკითხა:

— რატომ ტირი, უკვე მოდისო?

— მოდისო, — მიუგო ქალმა და შორს ცეცხლის კვამლში გახვეული შავი ურჩხული დაანახვა.

ვეფხვა წამოდგა, — მტერს დახვედრა უნდა და არა ლოდინიო, — უთხრა ქალს, თორმეტფუთიანი მშვილდ-ისარი

მომართა და გველეშაპის შესახვედრად გაეშურა. გველეშაპმა დაინახა და სიხარულით წამოიძახა, — კარგია, კიდევ ვიღაც დამრჩენია შესაჭმელი და ისიც თავის ფეხით მოდისო. ამაზე ვეფხვამ უპასუხა:

— ჰაი, შე მყრალო, შენა, ახლოს მოდი და პასუხს აქ გაგცემ, უშნო მყეფარივით, რა შორიდან იყეფებიო.

გველეშაპმა ძალიან იწყინა ვეფხვას პასუხი, დააღო პირი და პირდაპირ გამოექანა, ვეფხვამ მშვილდს ისარი მოარგო, სტყორცნა გველეშაპს და შუაზე გააწყვეტინა. გველეშაპმა სული დალია, ხოლო სისხლი ადიდებულ მდინარესავით გაიღვარა. მობრუნდა ვეფხვა ქალთან და უთხრა:

— შენი მტერი მინდორთ გდია და მისი სისხლი ზღვას ერთვისო.

გაიხედა ქალმა, დაინახა მკვდარი გველეშაპი და სიხარულისაგან სულ ცეკვა-თამაში დაიწყო, მერე გადაეხვია ვეფხვას და უთხრა:

— რაკი ეს სატანჯველი მომაშორე, ახლა გინდა ქმარი იყავი, გინდა ძმად გამიხდიო.

— სამ წლამდე ვერც ქმრობას შეგპირდები, ვერც — ძმობას, — უთხრა ვეფხვამ — სამი წლის შემდეგ კი, რომელსაც შენ ირჩევ, ის ვიქნებიო.

დარჩა ამ დღიდან ვეფხვა ქალთან, მაგრამ ქალს ახლოს არ გაპკარებია. კარებთან წვებოდა. ქალი საჭმელს უმზადებდა და ტანსაცმელს უკერავდა, ვეფხვას კი ნანადირევი მოჰქონდა და ქალს უზრუნველად აცხოვრებდა.

ქალს ერთი გასაღები ჰქონდა და სულ თან ატარებდა, მხოლოდ დაწოლის წინ იხსნიდა, მაგრამ მაშინაც თავის სახელსაქმო ტაგრუცში მალავდა. ვეფხვამ ეს შეამჩნია, იფიქრა, ეს ქალი მე არაფერს მღალატობდესო და ერთხელ, როცა ქალს ეძინა, ადგა და ტაგრუციდან გასაღები ამოიღო. მოსინჯა და ერთ-ერთ კარს მოერგო. გააღო ოთახი და შევიდა. ოთახი ცარიელი იყო, მხოლოდ ერთი ქალის პერანგი ეკიდა და მზესავით ანათებდა. ვეფხვამ იფიქრა, ეს ღამით გამინათებსო, დაკეცა პერანგი და უბეში ჩაიდო.

მეორე დღეს სანადიროდ რომ წავიდა, პერანგიც თან წაიღო. ერთ წყაროსთან შეისვენა, ხალათი გაიხადა, პერანგი

ბალახებზე დადო და პირი დაიბანა. დაინახა კაჭკაჭმა ბრჭყვიალა პერანგი, ჩამოფრინდა ხიდან, დასტაცა ნისკარტი და წაიღო. ვეფხვა გაედევნა კაჭკაჭს და ბევრი უკივლუჭყივლა, მაგრამ ვეღარ გააგდებინა. დაბრუნდა შინ დაღონებული, ქალმა უგუნებობა შეატყო და ჰკითხა:

— ჩემო მხსნელო და მფარველო, რადა ხარ დაღონებულიო?

ვეფხვას ჯერ არ უნდოდა თქმა, მაგრამ ბოლოს გამოუტყდა: ასე და ასეა ჩემი საქმე, შენი პერანგი წავიღე თან გზის გასანათებლად და კაჭკაჭმა მომტაცაო.

პერანგის დაკარგვამ ქალიც დაადარდიანა, იმ პერანგს ხელში ვინმე ჩაიგდებს და ახალი მტერი გაგვიჩნდებაო.

მართლაც, კაჭკაჭმა ატარა პერანგი და, როცა მოიწყინა, ზღვის გაღმა ერთ მინდორში ჩააგდო. იმ მინდორში ხელმწიფის მწყემსები ნახირს აბალახებდნენ. ღამით ერთი მწყემსი დაკარგულ ძროხას დაეძებდა, ძებნაში ამ განათებულ პერანგს წააწყდა, მაშინვე უბეში დამალა და ხელმწიფეს საჩუქრად წაუღო. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა უცნაური საჩუქარი და მენახირე გულუხვად დაასაჩუქრა. მერე იფიქრა, ეს პერანგი რომ ასეთი კარგია, ამის პატრონი რაღა იქნებაო, და ბრძანება გამოსცა:

— ვინც ამ პერანგის პატრონ ქალს მომიყვანს, არნახულ საჩუქარს მიიღებსო.

ბევრს უნდოდა ხელმწიფის გულის მოგება და დიდი საჩუქარი, მაგრამ მისი ასრულება თავს ვერავინ იდო. მაშინ მოვიდა ხელმწიფესთან ერთი გრძნეული ბებერი და მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, მომეცით საგზლად ერთი თონე პური, ერთი ჩაფი ღვინო, ერთი ფუთი დამარილებული ხორცი, ერთი ბოთლი ბანგი, ერთი ცოცხი, ერთიც მოზრდილი ქვევრი და იმ ქალს, მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე აქ მოგიყვანთო.

მისცა ყველაფერი ხელმწიფემ და ბებერიც წავიდა. მიიტანა ბებერმა ქვევრი ზღვის პირას, ჩაალაგა შიგ საგზალი, თვითონაც შიგ ჩაჯდა, შეულოცა და ზღვაში აფრიანი ხომალდივით შეაცურა. გავიდა ზღვის მეორე ნაპირზე. გამოა-

გორა ქვევრი მშრალზე, დააყენა ისეთ ადგილზე, რომელზე-
დაც სანადიროდან დაბრუნებულ ვეფხვას უნდა გამოევლო,
და დაიწყო ტირილი.

მართლაც არ გასულა დიდი ხანი, რომ სანადიროდან
მომავალი ვეფხვაც გამოჩნდა, დაინახა მტირალი ბებერი,
მივიდა და ჰკითხა:

— დედი, რა ამბავია შენს თავს, რატომ ტირიო?

ბებერი უფრო შესაბრალისად აკრუსუნდა:

— რაღა რა მატირებს, შვილო, სალოცავში მივდიოდი
და ქვევრით ტკბილი ზედაშეც მომქონდა. გზაში ურემი გა-
დამიბრუნდა და ზღვაში ჩავვარდი, ზღვამ ახლა აქ გამომრი-
ყა და აღარ ვიცი საით წავიდე ან თავი რით დავირ-
ჩინოო.

ვეფხვას შეეცოდა დედაბერი და უთხრა:

— ნუ ტირი დედი, წამოდი ჩემთან, მე დედა არა მყავს
და ღვიძლ დედაზე უკეთ შეგინახავო.

ბებერსაც ეს უნდოდა. წაიყვანა ვეფხვამ და მიიყვანა
შინ. ქალმა შეხედა ბებერს და ვეფხვას უჩურჩულა:

— ნეტავი კი არ მოგეყვანა, გული რაღაც ცუდს მიგრძ-
ნობს, ამ ბებერმა არ გვიღალატოს და რაღაც ხიფათს არ
გადაგვყაროსო.

ვეფხვას გაეცინა:

— გველეშაპმა ვერაფერი მიყო და დედაბერმა რა უნდა
მიყოსო.

დაიწყეს ერთად ცხოვრება. ეს ბებერი. მართლაც ნამ-
დვილ დედასავით ექცეოდა ორივეს. ქალს არა თუ ეჭვი გაუ-
ფანტა, თავიც კი შეაყვარა. როცა დარწმუნდა ბებერი, რომ
ყველაფერში მენდობიაწო, ერთ დღეს კარგი სადილი გააკე-
თა და ქალ-ვაჟს უთხრა:

— მოდით, შვილებო, ერთი კარგი ქეიფი გავწიოთო.

დათანხმდნენ ქალი და ვეფხვაც და მოიტანეს ღვინო.
დასხდნენ და დაიწყეს ღვინის სმა. დედაბერი თვითონ უ-
სებდა ჭიქებს, ამასობაში ვეფხვასა და ქალს ბაწვი შეაპარა
და დააძინა.

აიყვანა ბებერმა ქალი, ჩამოიყვანა ძირს და ქვევრში
ჩასვა, თვითონაც შიგ ჩაჯდა. შეულოცა და ისევ ზღვაში

შეაცურა. გზაზე ქალს გამოელვიძა და ტირილი დაიწყო. დედაბერმა შეუტია, გაჩუმდი, თორემ გკრავ ხელს და ამ აბობოქრებულ ზღვაში გადაგაგდებო. რაღას იზამდა ქალი, შეშინდა და ბედს დამორჩილდა.

გამოიყვანა დედაბერმა ქალი ნაპირზე და მიუყვანა ხელმწიფეს. ხელმწიფემ დიდად გაიხარა, ბებერი სასახლეში დაბინავა და ქალზე იმავე დღეს ჯვარის დაწერა მოინდომა, მაგრამ ქალმა სიახლოვეს არ გაიკარა, და უთხრა:

— თუ ჩემი ცოლობა გინდა, ორი წელი და ორი თვე უნდა მადროვო და მერე წამოგყვებიო. ვეფხვას მოცემულ სამი წლის პირობას მხოლოდ ეს დრო აკლდა. ხელმწიფე დაყაბულდა და ქალი ცალკე ოთახში ჩაიკეტა.

მეცხრე დღეს გამოელვიძა ვეფხვას. მიიხედ-მოიხედა, აღარც სადმე ქალია და არც დედაბერი. გაახსენდა ქალის სიტყვები, გვიღალატებსო, და მისვდა, რაც დაემართა, შემოიკრა თავში ხელი, მაგრამ წუხილით რაღას უშველიდა. ადგა, ჩაიცვა ოცფუთიანი ჯაჭვის პერანგი, აიღო თორმეტფუთიანი მშვილდ-ისარი და წავიდა ქალის საძებნელად. მივიდა ისევ იმ წყაროსთან, სადაც კაჭკაჭმა პერანგი მოსტაცა, ჩამოჯდა და დაღონებული მიწას ჩააშტერდა:

სად იყო, სად არა, უცბად ის კაჭკაჭი მოფრინდა. შეატყო დაღონება და ჰკითხა:

— რა იყო, რამ დაგაღონაო?

ვეფხვამ იცნო კაჭკაჭი. შენგან მჭირს რაცა მჭირსო, — შესძახა გაჯავრებულმა და მშვილდ-ისარი დაუმიზნა.

კაჭკაჭი შეშინდა და ვეფხვას შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მომკლავ და ქალსაც და პერანგსაც ორივეს გაპოვნინებო.

— აბა, მაშ გამიძეხი და მაპოვნინეო, — უთხრა ვეფხვამ.

გაუძღვა კაჭკაჭი და გაჰყვა ვეფხვაც. მიფრინავს კაჭკაჭი და მისდევს ვეფხვა. იარეს წელიწადი, იარეს მეორე წელიწადიც და გავიდნენ იმ მინდორში, სადაც კაჭკაჭმა მანათობელი პერანგი ჩამოაგდო. მინდორში ხელმწიფის რემა ბალახობდა და ირგვლივ მეჯოგეები იდგნენ. კაჭკაჭმა უთხრა ვეფხვას:

— ახლა მე აღარ გჭირდები. მიდი მეჯოგეებთან, ერთი

ცხენი იყიდე და პირდაპირ ქალაქში წადი, იქ ხელმწიფის სასახლეში შედი და ქალსაც და პერანგსაც იქ ნახავო.

მოვიდა ვეფხვა მეჯოგეებთან და უთხრა:

— მგზავრი ვარ, ერთი ცხენი მომყიდეთ და, რაც გიღირთ, გადამახდევინეთო.

მეჯოგეებმა ერთმანეთს თვალი უყვეს, მოდით, უხედნელი რაში რომ გვყავს, ის მივყიდოთ, მაინც ვერ მოიხმარს, სადმე კლდე-ღრეში შეახეთქებს და ისევ უკან დაბრუნდება. ფულიც შეგვრჩება და ხელმწიფესთანაც პირნათლად ვიქნებითო.

— ერთი რაში გვყავს და, თუ გინდა, იმას მოგყიდითო, — უთხრეს ვეფხვას.

ეს რაში ისეთი იყო, კაციშვილი ახლოს ვერ ეკარებოდა, მაგრამ ვეფხვას არ შეშინებია და ფასი ჰკითხა. მეჯოგეებმა ასი თუმანი დაუფასეს.

— ორასს მოგცემთ, — უთხრა ვეფხვამ, — ოღონდ კარგი უნაგირი დამიდგით და შვიდი მოსართავი მოუჭირეთო.

მეჯოგეებს უფრო გაუხარდათ, უნაგირიც უკანვე დაგვიბრუნდება და ასი თუმანი მოგებაც დაგვრჩებაო. გამოიყვანეს რაში და შეუკაზმეს. დაჰკრა ვეფხვამ ხელი და უნაგირზე მოახტა. აბა, შეჯდომა გამიბედესო! რაშმა ერთი ძლიერად დაიფრუტუნა, მოსწყდა ადგილს და ზეცაში აიჭრა, რომ მხედარი ცისთვის მიეჭყლიტა, მაგრამ ვეფხვა მაშინვე მუცელზე მოექცა. რაში ახლა დედამიწისაკენ დაეშვა, ვეფხვაც თვალის დახამხამების უმალ ისევ ზურგზე მოექცა. რაში ახლა კი დამორჩილდა და უთხრა:

— ძლივს ჩემი გუნების მხედარი გიშოვე. ახლა წუდარ გეშინია, გასწი საითაც მიდიხარ და მეც შენი მშველელი ვიქნებიო.

წამოვიდა ვეფხვა და მოვიდა ხელმწიფის საბანაო ქალაქში. ჩამოხტა ერთი ბებერი დედაკაცის ეზოში და დაუძახა:

— დედი, გამოიხედე, სტუმარი არ გინდაო?

გამოვიდა დედაბერი და დარცხვენილმა ენის ბორძიკით ჩაილუღლუღა:

— სტუმარი როგორ არ მინდა, შვილო, ღვთისაა, მაგ-

რამ რა გიყო, რომ არც შენი საკადრისი მაქვს რამე და არც ცხენის საჭმელიო.

— შენ მარტო თავშესაფარი მომეცი და სასმელი და საჭმელი ჩემზე იყოსო, — უთხრა ვეფხვამ.

დედაბერმა ცხენი თავლაში შეიყვანა და სტუმარს შინ შეუძღვა. ვეფხვამ ამოიღო ფულით გატენილი ქისა, მისცა დედაბერს და უთხრა:

— წადი, დედი, ბაზარში, სავახშმო რამე იყიდე და რაც მოგრჩეს, სულ შენი იყოსო.

წავიდა გახარებული დედაბერი, იყიდა რაც კი საჭირო იყო და გემრიელი ვახშამი გააკეთა. ვახშამს რომ მორჩნენ, ვეფხვამ ჰკითხა:

— რა ამბავია თქვენს ქალაქში, ახალი და უცნაური ხომ არაფერიაო?

— უცხო და უცნაური ის არის, — უთხრა დედაბერმა,— რომ ორიოდე წლის წინათ ჩვენმა ხელმწიფემ საიდღანაც ერთი მზეთუნახავი ქალი მოიყვანა, მის სანახავად სასახლეში ყოველდღე უამრავი ხალხი დადის, მაგრამ ქალი ცალკე ოთახშია ჩაკეტილი და არც ხელმწიფეს და არც სხვა ვინმეს ხმას არა სცემსო.

— ხელმწიფე ჯვარს როდის იწერსო? — ჰკითხა ვეფხვამ.

— ზეგ იწერს, ქალმა მოყვანისთანავე პირობა ჩამოართვა, რომ ორ წელიწადსა და ორ თვეს, ხელმწიფე ახლოს არ გაეკარებოდა. ეს ვადა სწორედ ზეგ თავდება და ჯვარისწერაც ზეგისთვის არის დანიშნულიო.

ვეფხვამ წამოიძრო თითიდან ბეჭედი, გაუკეთა თითზე დედაბერს და უთხრა:

— წაიღე ეს ბეჭედი და წადი ქალის სანახავად, როგორმე ისე მოახერხე, რომ ბეჭედი დაინახოს და, რასაც გეტყვის, მითხარიო.

— დიდებულებს არ ელაპარაკება და მე ღარიბ-ღატაკ დედაბერს რა ხმას გამცემსო, — უთხრა დედაბერმა.

— ამ ბეჭედს ისეთი თილისმა აქვს, რომ მუნჯსაც აალაპარაკებსო, — მიუგო ვეფხვამ და დედაბერი ხელმწიფის სასახლეში გაგზავნა.

წავიდა დედაბერი სასახლეში, ქალის ოთახთან მნახველები ჯგროდ მიმდგარიყვნენ და შიგნით მიიწევდნენ. შეერია დედაბერიც ხალხში და ოთახში რომ შევიდა, უცბად ყვირილი ატეხა, — ვაიმე, ხელი, ხელი მომტყდაო. თან ბეჭდიანი მარჯვენა მაღლა ასწია და ქალს დაანახვა.

ქალმა იცნო ბეჭედი, მაშინვე ფეხზე წამოდგა და ხელმწიფეს უთხრა:

— ახლავე გარეთ გარეკე ეს ხალხი და შენც გარეთ გადი, ეს დედაბერი მარტომ უნდა გავსინჯო, ჩემი გულისთვის დაზარალდა და მე უნდა ვუშველოო.

ხელმწიფე ცას ეწია სიხარულით, რაკი ქალისაგან ხმის გაცემას ელირსა და მნახველები იმავ წამს კარში გაიყვანა, მერე თვითონაც გავიდა და ქალი დედაბერთან დატოვა.

მარტონი რომ დარჩნენ, ქალმა დედაბერი გვერდით მოისვა და ჰკითხა:

— ეს ბეჭედი ვინ მოგცაო?

— ჩემთან ერთი ტურფა ყმაწვილი მოვიდა სტუმრად და იმან გამომატანა შენთანო, — მიუგო დედაბერმა.

ქალი ყველაფერს მიხვდა, ბებერი გულუხვად დაასაჩუქრა და მერე უთხრა:

— წადი და იმ შენს სტუმარს საიდუმლოდ უთხარი! ზეგ ჯვარი უნდა დაიწეროს ხელმწიფემ ჩემზე და, შენ იცი, როგორ დამლოცავ-თქო.

დაბრუნდა შინ დედაბერი და ვეფხვას ყველაფერი უამბო,

— ახლა მე ვიციო, — თქვა ვეფხვამ, შევიდა თავის რაშთან და ჰკითხა: — ასე და ასეა ჩემი საქმე, ხელმწიფეს საქორწილოდ მთელი თავისი ჯარი სასახლეში ჰყავს შეკრებილი და რას მირჩევ, როგორ მოვიქცეო?

— შენ მაგრად შემკაზმე, შემავჯექი ზედ, ხმალი იშიშვლე და დანარჩენი მე ვიციო, — მიუგო რაშმა.

შეკაზმა ვეფხვამ რაში, მოახტა ზედ და გასწია სასახლისაკენ, შეერივნენ რაში და ვეფხვა ხელმწიფის ჯარს. ერთი ხმლით, მეორე — ტორებით და რაც გაჟლიტეს, გაჟლიტეს, რაც არა და ისე მიფანტ-მოფანტეს, რომ თავბედისა აღარაფერი გაეგებოდათ.

ხელმწიფემ სულ ცოფები ჰყარა და ჯარს შეკრება და

ბრძოლის გაგრძელება უბრძანა, მაგრამ საბრძოლო მოედანს სიახლოვეს ვეღარავინ გააკარა. მაშინ დაიძახა:

— მომგვარეთ ჩემი გოლიათი მებაღეო!

ხელმწიფეს ერთი გოლიათი მებაღე ჰყავდა და ერთგულადაც ემსახურებოდა, მაგრამ თვითონ ხელმწიფე არაფრად აგდებდა, როცა გაუჭირდა, მხოლოდ მაშინღა გაახსენდა და კაცი გაუგზავნა. გამოვიდა ტყაპუჭიანი მებაღე და ხელმწიფეს ჰკითხა, რას მიბრძანებთო?

ხელმწიფემ ვეფხვა დაანახვა და უთხრა:

— თუ აგე, იმ ფალავანს დაამარცხებ და მოკლავ, ჩემი სახელმწიფოს ნახევარს დაგითმობო.

— ვცდი და, თუ ღმერთი შემეწია, იქნებ გავიმარჯვოო, — უპასუხა მებაღემ და მოედნისაკენ წავიდა.

ვეფხვამ რაშით ქვეითთან შებრძოლება ითაკილა და თვითონაც ჩამოქვეითდა. მივიდა მებაღე და სტაცეს ხელი ერთმანეთს. ხან ერთია ძირს და ხან მეორე, ისეთი ამბავია, რომ დედამიწას სულ ზანზარი გაუდის. მებაღე გაცილებით ღონიერია და ვეფხვას ცოტა არ იყოს, სჯობნის, ვეფხვა გრძნობს მოწინააღმდეგის სიძლიერეს და ეუბნება:

— ვხედავ, რომ მჯობნი, მაგრამ იცოდე, როდესმე ჩემი ძმა ჯიქა შეგხვდება და ჩემს მორევას არ შეგარჩენსო.

მებაღემ ამ სიტყვების გაგონებისთანავე ხელი გაუშვა და ჰკითხა:

— შენ განა იცნობ ჯიქასო?

— ძმა არის და როგორ არ მეცნობაო, — მიუგო ვეფხვამ.

— შენ თვითონ ვინა ხარო? — კვლავ ჰკითხა მებაღემ.

— მე ვეფხვა ვარო, — მიუგო ვეფხვამ.

— მე ვარ ჯიქაო! — დაიძახა მებაღემ და ვეფხვას მხურვალედ გადაეხვია.

დაინახა ეს ამბავი ხელმწიფემ და მებაღეს განრისხებული მივარდა:

— ახლავე შეებრძოლე, თორემ ჩამოგახრჩობო! — დაუყვირა.

მობრუნდა ჯიქა-მებაღე, წასწვდა ხელმწიფეს კისერში და თავი ქათამივით წააცალა. მერე შეცვივდნენ ორივენი სასახლეში და ხელმწიფის ყველა ვეზირი და ახლობელი

საიქიოს გაისტუმრეს. კუდიანი დედაბერი რაშს გამოაბეს ძუაზე, მზეთუნახავი ქალი კი გამოიყვანეს. ქალი სიხარულით გადაეხვია ორივე გმირს და უთხრა:

— სადაც ამდენი სიკეთე მიყავით, ბარემ ეს ერთი თხოვნაც შემისრულეთ: ცოტა ხნით ჩემი მამის სატახტო ქალაქში დამაბრუნეთ, ერთხელ კიდევ ვნახავ ბავშვობისდროინდელ ადგილებს და მერე საითაც გინდათ, იქით წამიყვანეთო.

რა თქმა უნდა, ძმებმა ქალს ეს სურვილი უყოყმანოდ შეუსრულეს, გამოიყვანეს ხელმწიფის საჯინიბოდან ორი საუკეთესო ბედაური, ერთზე ჯიქა შეჯდა, მეორეზე — ქალი, ვეფხვა ისევ თავის რაშს მოახტა და გამოსწიეს ქალის სამშობლო ქალაქისაკენ. იარეს ბევრი და ბოლოს მიადგნენ აოხრებულ ქალაქს. ქალაქის დანახვისთანავე ჯიქა ცხენიდან ჩამოხტა, მიწაზე პირქვე დაემხო და მწარედ აქვითინდა. წამოაყენეს ქალმა და ვეფხვამ და ჰკითხეს:

— რა იყო, რაზე ატირდიო?

— იმაზე ავტირდი, რომ ეს ქალაქი მამაჩემის სატახტო ქალაქია, — უპასუხა ჯიქამ, — მე ერთი და მყავდა, მამაჩემს გველეშაპი შეუჩნდა, ჩემს დას ცოლად სთხოვდა, მამამ დის მაგიერ მე მიმცა გველეშაპს და, როგორც ჩანს, იმ წყეულს აუოხრებიაო.

ამის გაგონებაზე ახლა ქალს წასკდა ტირილი და ჯიქას გადაეხვია, — შენ ხომ ჩემი დაკარგული ძმა ყოფილხარ, სწორედ მე ვარ ის ქალი, ვიზეც შენ ლაპარაკობ, ეს ქალაქიც მართლა გველეშაპის აოხრებულიაო.

აბა, რაღა საკითხავია, რომ და-ძმამ ერთმანეთის პოვნით ძალიან გაიხარეს. ჯიქამ და ვეფხვას მიათხოვა, თვითონ ხელმწიფედ დაჯდა და გაპარტახებული ქალაქის აღდგენა-დასახლებას შეუდგა. რასაკვირველია, ცოლისძმას ვეფხვაც ეხმარებოდა. როცა ქალაქი აღადგინეს და კვლავ დაასახლეს, ვეფხვა გამოეთხოვა ჯიქას, წამოიყვანა მზეთუნახავი ცოლი და თავის სახელმწიფოში დაბრუნდა. ხელმწიფე, ვეფხვას მამა, ძალიან მოხუცებულიყო და დაბრუნებისთანავე შვილი ტახტზე აიყვანა.

ამ დღიდან ცხოვრობდნენ მომიჯნედ სიძე-ცოლისძმა და ერთმანეთში ტკბილი ნათესაობა და მეზობლობა ჰქონდათ.

ერთმანეთის დახმარებით სახელმწიფოსაც გონივრულად მართავდნენ და ვერც მტრობას ვინმე უბედავდა. მათ წყენას ხალხი კი არა, დევებიც ერიდებოდნენ. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: სიძე-ცოლისძმა თუ შეერთდა, დევსაც ყურით დააბამენო.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ივანე ცისკარი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, — იყო ერთ ქალაქში ერთი მჭედელი. შვილები არ ჰყავდა, თუმცა გულით კი უნდოდა, რომ ჰყოლოდა.

ერთხელ მჭედლის ცოლი წყალზე წავიდა. კოკა წყალს შეუდგა და ავსებას დაელოდა. უცბად ხედავს, რომ წყალს სამი თურაშაული ვაშლი მოაქვს. მჭედლის ცოლი დასწვდა ვაშლებს და სახლში წაიღო. ერთი ვაშლი ქმარს მისცა, ერთი თვითონ შეჭამა და ერთიც შუაზე გაიყვეს.

ვაშლის ჭამის შემდეგ მჭედლის ცოლი დაორსულდა. მალე გავიდა ცხრა თვე და ერთ საღამოს დედის მუცლიდან ბავშვმა დაიძახა:

— წადით, მღვდელი მოიყვანეთ, რომ დაბადებისთანავე მომნათლოს, თორემ გავჩნდები თუ არა, იმავ წამს ცაში გავფრინდებიო.

მართლაც დაბინდდა თუ არა, ვაჟი დაიბადა, მაშინვე მონათლეს და, რაკი ბინდისას დაიბადა, ივანე მწუხრისა დაარქვეს. მოწოვა თუ არა ბავშვმა ძუძუ, იმავ წამს ზეცაში გაფრინდა. ის იყო, მღვდელი უნდა წასულიყო, რომ დედის მუცლიდან ახლა მეორე ბავშვმა დაიძახა:

— მღვდელი არ გაუშვათ, შუაღამისას მეც დავიბადებიო.

დაიბადა შუაღამისას მეორე ვაჟი, მღვდელმა მონათლა და დაბადების მიხედვით, ივანე შუაღამისა დაარქვა. მოწოვა იმანაც დედის ძუძუ და ზეცაში გაფრინდა.

მღვდელმა ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ დედის მუცლიდან ახლა მესამე ბავშვის ხმა გაისმა:

— მღვდელი არ გაუშვათ, ცისკარზე მეც დავიბადებიო.

ცისკარზე დაიბადა მესამე ვაჟი, მონათლეს და დაარქვეს ივანე ცისკარი. მოწოვა ბავშვმა ძუძუ და თავისი ძმების მსგავსად ისიც ცაში გაფრინდა.

ამ დღიდან ძმები მუდმივად ცაში ცხოვრობდნენ, მიმოფრინავდნენ ღრუბლებსა და ვარსკვლავებს შორის, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ. მართალია დედასთან სამივენი ყოველდღე მოფრინდებოდნენ ხოლმე ძუძუს მოსაწოვად, მაგრამ ერთიმეორეს ვერც აქ ხვდებოდნენ, იმიტომ რომ ივანე მწუხრისა საღამოზე მოფრინდებოდა, ივანე შუაღამისა — შუაღამისას და ივანე ცისკარი — ცისკრის ამოსვლისას, მოსწოვდნენ ძუძუს და ისევ ცაში გაფრინდებოდნენ.

გავიდა დრო და ძმებიც დავაჟკაცდნენ, ახლა უკვე ძუძუს აღარ წოვდნენ და სახლშიც ყოველდღე აღარ მოდიოდნენ.— მოფრინდებოდნენ კვირაში ერთხელ, აიღებდნენ მთელი კვირის საგზალს და კვლავ ღრუბლებსა და ვარსკვლავებს მიაშურებდნენ.

იმ ქვეყნის ხელმწიფეს ტახტი და სასახლე სწორედ იმ ქალაქში ედგა, სადაც მჭედელი და მისი ცოლი ცხოვრობდნენ. ხელმწიფეს სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავდა. ქალები იმისი შიშით, რომ ან მზე არ მოგვეკიდოსო ან სიცივემ არ დაგვკრასო, დღე და ღამე შინ ისხდნენ და კარში არ გამოდიოდნენ.

ერთხელ მამამ უთხრა ქალიშვილებს:

— შვილებო, სულ შინ ჯდომა რა სასარგებლოა, ერთხელ მაინც გადით კარში და მზე და ქვეყანა ნახეთო.

დაუჯერეს ქალებმა მამას და სასეირნოდ ბაღში გამოვიდნენ. შუადღისას უცბად ცა მოიღრუბლა და ატყდა ქარიშხალი და საშინელი ელვა-ქუხილი. ქალებმა გონზე მოსვლაც ვერ მოასწრეს, რომ ციდან ერთი ცხრათავიანი დევი დაეშვა, მოიტაცა ხელმწიფის ქალები და ღრუბლებში გაუჩინარდა.

ეს ამბავი იმავე დღეს მოედო მთელ ქალაქს და ყველა დაამწუხრა. ხელმწიფემ ყოველმხრივ დაგზავნა მაძებრები, მაგრამ ქალების კვალს ვერავინ მიაგნო.

მაშინ ხელმწიფესთან მჭედლის შვილების ბებიაქალი მიგიდა და მოახსენა:

— ამ ქალაქში ერთ მჭედელს სამი ვაჟი ჰყავს და სამივენი ზეცაში ცხოვრობენ, ფრინველებივით დაფრინავენ, ცაც ხელში უჭირავთ და დედამიწაც, და თუ ეცოდინება ვისმეს შენი ქალების ამბავი, ისევ იმათ ეცოდინებათ, დაიბარე და გამოჰკითხეო.

ხელმწიფემ მაშინვე წვეულება გამართა და მჭედელთან კაცი გაგზავნა მისი შვილების დასაპატიჟებლად. შვილები, რა თქმა უნდა, შინ არ იყვნენ, მაგრამ მოპატიჟეს დედამ ბირობა მისცა, რომ, მოვლენ თუ არა, სახლში დავაბრუნებ და გამოვგზავნიო.

ბინდისას მოვიდა ივანე მწუხრისა. დედამ ჩვეულებრივ ავახშმა და როდესაც ივანე მწუხრისამ წასვლა დააპირა, უთხრა:

— დარჩი შინ ამაღამ, ხვალ ხელმწიფე წვეულებას მართავს და დაგპატიჟაო.

შვილმა დაუჯერა დედას და დარჩა. დედამ გაუშალა ლოგინი და დააძინა. შუაღამისას მეორე შვილი მოვიდა, დედა იმასაც ჩვეულებრივ გაუმასპინძლდა და სთხოვა:

— დარჩი, შვილო, ამაღამ სახლში, ხვალ ჩვენი ხელმწიფე წვეულებას მართავს და, რომ არ ეწვიო, ეწყინებაო.

დაუჯერა ივანე შუაღამისამაც დედას და დარჩა. დედამ დასაძინებლად გაიყვანა. ივანე შუაღამისამ დაძინებული ძმა რომ დაინახა, უცხო კაცი ეგონა და ძალიან გაჯავრდა.

— ეს ვინღაა აქ რომ სძინავსო? — ჰკითხა დედას.

— ეგ შენი უფროსი ძმა არისო, — უთხრა დედამ, — ორივენი ერთ ღამეს ხართ დაბადებული, მაგრამ ცალ-ცალკე რომ მოდიხართ, ერთმანეთს ამიტომ არ იცნობთო.

ივანე შუაღამისა დამშვიდდა და ძმის გვერდით წამოწვა. გათენებისას ივანე ცისკარიც მოფრინდა. დედა გაუმასპინძლდა, უთხრა ხელმწიფის შემონათვალი, დაძინებული ძმებიც აჩვენა და ისიც იმათ გვერდით დააწვინა.

გათენებისას უფროსმა ძმამ, ივანე მწუხრისამ რომ გაიღვიძა, უმცროს ძმებს ჯერ ისევ ეძინათ, — ივანე შუაღამისა შუა ძილში იყო, ხოლო ივანე ცისკრისას მაშინღა ჩაე-

ძინა. ივანე მწუხრისა ძმებს ჯერ არ იცნობდა და ძალიან გაჯავრდა. — უცხო ხალხს ჩემს სახლში რა უნდაო. მაშინვე წამოდგა და ხმალს ეცა, ამ დროს დედა შემოვიდა და შვილი რომ ამ ყოფაში დაინახა, შეშინებულმა ჰკითხა:

— რად გინდა, შვილო, ხმალი, აქ სამტრო ვინა გყავსო?

— მაშ ეს უცხო კაცები ვინ არიან, თუ მტრები არაო? — ჰკითხა შვილმა.

— ვაი, მომიკვდეს თავი! — შემოიკრა დედამ ხელი, — ეგენი ხომ შენი ღვიძლი ძმები არიან, ეგენიც შენსავით ცაში ცხოვრობენ, წუხელ მოვიდნენ და მე აღარ გავუშვიო.

ცოტახნის შემდეგ ივანე შუაღამისამ და ივანე ცისკრისამაც გაიღვიძეს და ძმები სიყვარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. მერე ხელმწიფესთანაც წავიდნენ. ხელმწიფემ ძმები დიდი პატივით მიიღო და მსახურებს უბრძანა, კარგად გაუმასპინძლდითო. სადილის შემდეგ ხელმწიფემ ძმები გვერდით მოისხა და თავისი დაკარგული ქალების ამბავი გამოჰკითხა:

— ცაში დაფრინავთ, ყველაფერს ხედავთ, ხომ არ იცით, ჩემი ქალიშვილები სად არიანო?

ივანე საღამოსამ და ივანე შუაღამისამ უარი უთხრეს, — არც გვინახავს და არც ვიცითო. მაშინ წამოდგა უმცროსი ძმა, ივანე ცისკარი და ხელმწიფეს მოახსენა:

— დიდებულო ხელმწიფევ, ერთ დღეს ერთ ღრუბლის ფაფუკ ქულაზე ვიწექი და ვისვენებდი, თან ცასა და ღრუბლების ბოქირს გავყურებდი. უცებ ქალების ტირილი და წივილ-კივილი შემომესმა, გავიხედე და რას ვხედავ: მოფრინავს ერთი უზარმაზარი დევი და ხელში სამი ატირებული ქალი უჭირავს. მაშინვე მშვილდს მოვზიდე, მაგრამ ვერ ვეცროლე, რადგან დევი რომ მომეკლა და მიწაზე ჩამომეგდო, ქალებიც დაიხოცებოდნენ. ეს იყო და ეს ჩემი იმათი ნახვა, იმ დღიდან მათი ამბისა აღარაფერი გამიგიაო.

ხელმწიფეს უზომოდ გაუხარდა, რომ ბოლოს თავისი ქალიშვილების მნახველი ერთი კაცი მაინც აღმოჩნდა, და ივანე ცისკარს უთხრა:

— თუ თქვენ, ძმები, ჩემს ქალებს იპოვით და გამოიხსნით, ცოლებად შეგრთავთ. უფროსს ქალს უფროს ძმაზე

დავნიშნავ, შუათანას — შუათანა ძმაზე, ხოლო უმცროსს, რომელიც მზესაც კი სჭარბობს სილამაზით, შენ შეგრთავო.

ივანე ცისკარი დათანხმდა, ძმები მოემზადნენ და წავიდნენ მეფის ქალიშვილების საძებნელად. იარეს, იარეს და ბოლოს ერთ უშველებელ კლდოვან მთას მიადგნენ. მთას ერთი ფეხი ერთ ზღვაში ედგა, მეორე — მეორე ზღვაში და ისეთი მაღალი იყო, რომ კაცი თვალს ძლივს შეუწვდენდა. კლდის ძირას ერთი კარავი იდგა და შიგ ერთ უზარმაზარ დიდთავა რკინის კაცს ეძინა.

ივანე ცისკარმა კარავში ძმები შეგზავნა, — გააღვიძეთო, მაგრამ ძმებმა თითიც ვერ გაატოკებინეს. მაშინ ივანე ცისკარი თვითონ შევიდა კარავში, ჩაჰკრა კეფაში მშვილდი რკინისთავიან კაცს და გამოაღვიძა. რკინის კაცს შეეშინდა და სთხოვა, — მიძმე და გამოგადგებიო. — გიძმობო, — დათანხმდა ივანე ცისკარი, — თუ აი ამ კლდეზე აგვიყვანო. მაშინ რკინის კაცმა უთხრა:

— თუ მჭედლობა შეგიძლია, ერთი დიდი ჯაჭვი გააკეთე, შევტყორცნოთ ის ჯაჭვი ზევით, მოვდოთ კლდეს და ავიდეთო.

— მჭედლის შვილი ვარ და მჭედლობა როგორ არ შემიძლიაო,—უთხრა ივანე ცისკარმა და წავიდა რკინის მოსატანად. მოიტანა ბლომად რკინა, მარწუხები, კვერები — ყველაფერი, რაც საჭირო იყო ჯაჭვის გამოსაჭედად, მარტო გრდემლი ვერსად ეშოვა და ამაზე წუხდა.

— გრდემლად ჩემი თავი იხმარეო, — უთხრა რკინის კაცმა და ლოდივით მკვრივი თავი ფეხებთან წაუდო.

ივანე ცისკარმა ძმებიც მოიშველია და უზარმაზარი, მთის გამწვდომი ჯაჭვი ერთ დღეში გამოკვერა. მერე კლდის ძირას ერთი კარავი იდგა და შიგ ერთ უზარმაზარ ერთი ბოლო დაამაგრეს, მეორე ბოლოზე ჯაჭვს ფოლადის დიდი ჩანგლები გამოაბეს, რომ კლდეს საიმედოდ მოსჭიდებოდა, და ივანე ცისკარმა უთხრა ძმებს:

— აბა, ასწიეთ და შესტყორცნეთ, იქნებ შეუწიოთო.

ძმებმა სცადეს, მაგრამ ადგილიდანაც ვერ დასძრეს, მაშინ ივანე ცისკარმა რკინის კაცს უთხრა:

— აბა, რკინის კაცო, ახლა შენა სცადე, იქნებ შენ მაინც შეუწიოო.

რკინის კაცმა მოავლო ჯაჭვს ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეისროლა, მაგრამ კლდეს ნახევრამდეც ვერ მიუწვდინა.

— სულ ეგ არის შენი ღონეო? — ჰკითხა სიცილით ივანე ცისკარმა.

— სულ ეს არის, მეტი არ შემიძლიაო, — აღიარა რკინის კაცმა.

— აბა ახლა მე მიყურეთო, — თქვა ივანე ცისკარმა, დაავლო ჯაჭვს ხელი, ერთი ღონივრად მოიქნია, შესტყორცნა და მოსდო კინჭუხს. დაეჭიდნენ ყველანი ჯაჭვს, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს, მაშასადამე, ჩანგლები კარგად იყო მოჭიდებული წვერში და ასვლა შეიძლებოდა. ივანე ცისკარმა ჯერ ისევ ძმები აგზავნა, მაგრამ ძმები ნახევრამდეც ვერ ავიდნენ, შეეშინდათ და აკანკალებულები უკანვე ჩამოვიდნენ. ივანე ცისკარმა ახლა რკინის კაცი აგზავნა, თან დაარიგა, ძირს არ ჩამოიხედო და უფრო უშიშრად ასვალო, მაგრამ წვერამდე ვერც რკინის კაცმა უწია, ცოტაღა ეკლდა ასვლას, რომ ძირს ჩამოიხედა, შეეშინდა და გაჭირვებით უკანვე ჩამოფოფხდა.

ივანე ცისკარმა ძმები რკინის კაცს ჩააბარა და გააფრთხილა, — ჩემს დაბრუნებამდე არა დაუშავდეთ რა, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო. მერე მოჰკიდა ჯაჭვს ხელი და ზედ კვერნასავით აირბინა. მოექცა კლდეს თავზე და მარტოკა წავიდა ქალების საძებნელად.

იარა, იარა და ბოლოს ერთ სპილენძის სასახლეს მიადგა. ეს სასახლე შვიდთავა დევისა იყო და ხელმწიფის უფროსი ქალიც სწორედ იმას ჰყავდა ცოლად. შევიდა ივანე ცისკარი სასახლეში და ნახა ხელმწიფის ქალი. გამოჰკითხა ვინაობა, ქალმა უამბო თავისი და თავისი დების თავგადასავალი და ბოლოს დაღონებით უთხრა:

— ნეტა კი არ მოსულიყავი, შვიდთავა დევს ცოცხალი ვერ გადაურჩები და ცოდო ხარო.

— შენ ნუ გეშინია, მე ვიცი და იმანო, — მიუგო ივანე ცისკარმა.

— თუ იმ წყეულს მოკლავ, შენ ქმარი და მე ცოლი, — უთხრა ქალმა.

— იქნებ ეგრეც მოხდეს, — უპასუხა ივანე ცისკარმა, — მაგრამ ქმრობას ვერ შეგპირდები და რძლად კი წაგიყვანო. — გამოვიდა სასახლიდან და დევის მოსვლამდე საჩრდილობელში წამოწვა.

საღამო ხანზე შვიდთავა დევიც გამოჩნდა, — ცხენზე იჯდა და სახლისაკენ გულარხეინად მოდიოდა. სახლს რომ მოუახლოვდა, ცხენი შეფრთხა და წაიბორძიკა. დევმა აღვირი აუქნია და გაუწყრა:

— აჩუ, შე სამგლევ, რა გაშინებს, აქ რა ივანე ცისკარი დაგხვდებაო, — შემოვიდა დევი ეზოში და აკი მართლა ივანე ცისკარი არ დახვდა! დევმა დაინახა და დაუძახა:

— ივანე ცისკარო, სამტროდ მოსულხარ, თუ სამოყვროდო! —

— შენთან სამოყვრო რა მაქვს, სამტროდ მოვსულვარო! — უპასუხა ივანე ცისკარმა.

გადმოხტა ცხენიდან შვიდთავიანი დევი და ხაფი ხმით შეუძახა:

— მაშ, თუ სამტროდ მოხველ, ემანდ მიწას შეუბერეო!

— შეუბერე და მანდა ხარო! — მიუგო ივანე ცისკარმა.

დევმა შეუბერა მიწას და ზედაპირი სულ პიტალო სპილენძად უქცია. მაგრამ ამან ვერ უშველა, — ივანე ცისკარმა პირველსავე მოქნევაზე მუხლამდე ჩაასო მიწაში. მერე დევმა მოიქნია ივანე ცისკარი, იმანაც მუხლებამდე ჩაასო. მეორე მოქნევაზე ივანე ცისკარმა დევი უკვე წელამდე ჩაასო და ხმლით სამი თავიც წააცალა. გაცეცხლდა დევი, მოიქნია ივანე ცისკარი და წელამდე დაიყვანა, ამოხტა საჩქაროდ ივანე ცისკარი, დევი ყელამდე ჩაფლო მიწაში და დარჩენილი თავებიც დააყრევინა. მერე ისევ შიგნით შევიდა და ქალს თავისი უფროსი ძმისთვის სანიშნო ბეჭედი გამოართვა, ჩემს დაბრუნებამდე არსად წახვიდეო, უთხრა, გამოეთხოვა და უმცროსი დების საძებნელად წავიდა.

იარა ივანე ცისკარმა, იარა და ერთ ვერცხლის სასახლეს მიადგა. ეს სასახლე ცხრათავა დევისა იყო და ცოლად ხელმწიფის შუათანა ქალი ჰყავდა. ივანე ცისკარი აქაც

უშიშრად შევიდა სახლში, დევი სანადიროდ იყო წასული და შინ მარტო ქალი დახვდა. ქალმა სტუმრის ვინაობა რომ გაიგო, შეეხვეწა, — ჩქარა წადი აქედან, ცხრათავიან დევს ნუ დაენახვები, თორემ მოგკლავსო.—ივანე ცისკარმა უთხრა, — შენ ნუ გეშინია, მე ვიცი და იმანო, — და დევის მოსვლამდე აქაც საჩრდილობელში დაისვენა.

მოვიდა საღამოზე ცხრათავიანი დევი, სახლთან მოახლოებისას ცხენი წაუბორძიკდა, დევმა შეუტია:

— აჩუ, შე სატიალოვ, რა გაშინებს, აქ რა ივანე ცისკარი დაგხვდებაო! — შემოვიდა ეზოში და აკი მართლა ივანე ცისკარი არ დაუხვდა! დაინახა დევმა და დაუძახა:

— ივანე ცისკარო, სამტროდ მოხველ თუ სამოყვროდო?

— შენთან სამოყვრო რა მაქვს, სამტროდ მოვედიო! — უპასუხა ივანე ცისკარმა.

გადმოხტა ცხენიდან ცხრათავიანი დევი და შეუტია:

— მაშ, რაკი სამტროდ მოსულხარ, მიწას შეუბერეო!

— შეუბერე და მანდა ხარო! — უპასუხა ივანე ცისკარმა და ეცნენ ერთმანეთს. ივანე ცისკარმა მესამე მოქნევაზე ის დევიც ყელამდე ჩასვა მიწაში და ცხრავე თავი მოაგდებინა. მერე შევიდა ქალთან, გამოართვა თავისი შუათანა ძმისთვის სანიშნო ბეჭედი, თანაც დაარიგა, ჩემს დაბრუნებამდე არსად წახვიდეო, და გასწია უმცროსი მზეთუნახავი ქალის საძებნელად.

იარა ივანე ცისკარმა, იარა და მივიდა თორმეტთავიანი დევის სახლში, სადაც ხელმწიფის მზეთუნახავი უმცროსი ქალი იმყოფებოდა. სახლიც და ეზო-კარმიდამოც სულ ოქროსი იყო და თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა. შევიდა ივანე ცისკარი შიგნით, გადაეხვია თავის მზეთუნახავ საცოლეს და გადაჰკოცნა. უამბო ყველაფერი, რაც გადახდა თავს და ბოლოს უთხრა:

— აი, ახლა აქ მოვედი, რომ თორმეტთავიანი დევიც მოვკლა და შენ ცოლად წაგიყვანოო.

ქალმა ტირილი დაიწყო:

— ნუ დაენახვები თორმეტთავიან დევს, თორემ მოგკლავს, მისი მომრევი კაცი ჯერ არ დაბადებულაო.

— შენ ნუ გეშინია, — ანუგეშა ივანე ცისკარმა, — მე ვი-

ცი და იმანო. — გავიდა კარში, დაჯდა ხის ძირას და დაუწყო ლოდინი.

საღამოხანს დაბრუნდა დევი ნადირობიდან — ზის ცხენზე და გულარხეინად მოდის თავის სახლისაკენ. წაიბორძიკა ცხენმა.

— აჩუ, შე ოხერო, — შეუტია ცხენს და მათრახიც გადაჰკრა, — რა გაშინებს, თვითონ ივანე ცისკარიც რომ დაგიხვდეს, ასო-ასო ავჭრი და საჯიჯგნად ყვავ-ყორნებს მივუყრიო.

ამ მუქარით შემოვიდა დევი ეზოში, დაინახა ივანე ცისკარი და დაუძახა:

— ივანე ცისკარო, სამტროდ მოსულხარ, თუ სამოყვროდო?

— სამტროდ მოვედი, შენთან სამოყვრო რა მაქვსო, — უპასუხა ივანე ცისკარმა.

— მაშ, შეუბერე მიწასო! — უყივლა დევმა და ჩამოხტა ცხენიდან.

— შეუბერე და მანდა ხარო! — მიუგო ივანე ცისკარმა.

დევმა შეუბერა მიწას, ოქროდ აქცია და გაქანდა ივანე ცისკრისაკენ. ისიც შეეგება და დაეტაკნენ ერთმანეთს. დედამიწამ ზანზარი დაიწყო, ხეები დაიზნიქა, ბალახი მიმოთელა და ცაში ღრუბლები ათრთოლდნენ. დევი და ივანე ცისკარი ღონეზე არიან გასული და ხან ერთი სძლევს, ხან — მეორე, ხან ერთი ჩაფლავს მიწაში, ხან — მეორე. აგე, დევმა ივანე უკვე წელამდე დაიყვანა, მაგრამ იმარჯვა ივანე ცისკარმა, ამოხტა მიწიდან, მოიკრიბა მთელი ძალ-ღონე და დევი მხრებამდე ჩასვა, გაიძრო სმალი და ცხრა თავი გააგდებინა. დევი დაიღალა და ცისკარს ჰკითხა:

— თქვენში ომი როგორ იციანო?

— ჩვენში ომობენ და დაისვენებენო, — უპასუხა ივანე ცისკარმა.

— მაშ დამასვენეო, — სთხოვა დევმა.

ივანე ცისკარმა იფიქრა, — ეს რომ დავასვენო, მე რა სარგებელი მაქვსო, — და დარჩენილი სამი თავიც წააჭრა, წამოიყვანა ქალი ივანე ცისკარმა და წამოვიდა.

სახლს ცოტაზე რომ გამოსცდნენ, ქალმა უთხრა:

— ივანე ცისკარო, აბა მიიხედე, რამდენი ოქრო რჩება ტყუილად და რად უნდა დავტოვოთო?

— დევებს ოქრო ვინ მისცაო, — უთხრა ივანე ცისკარმა, — ეგ სულ იმისთვის არის მოგონილი, რომ შენთვის თვალები აება და სიმდიდრით მოეტყუებინე. აბა, უყურე, თუ არაო, — შებრუნდა ივანე ცისკარი, ერთი შეუბერა და ოქროს სასახლე და ეზო-კარმიდამო სულ მტვრად აქცია. ივანე ცისკარმა შუათანა და უფროს დასთანაც ასევე გააკეთა, — შეუბერა ვერცხლისა და სპილენძის სასახლეებს და უკვალოდ გააქრო. წამოიყვანა დები და მოიყვანა კლდესთან.

ივანე ცისკარმა ჯერ უფროსი და ჩაუშვა ჯაჭვზე და უფროს ძმას — ივანე მწუხრისას დაუძახა, — ეგ შენია და ხელი მოჰკიდეო. მერე შუათანა ჩაუშვა და ივანე შუაღამისას ჩააბარა. ბოლოს ჯერი თავის საცოლეზე მიდგა, მაგრამ ქალმა უარი უთხრა:

— რაღაც გული მიგრძნობს, რომ ის რკინის კაცი გიღალატებს, ჯობია, პირველად შენ ჩახვიდეო.—ივანე ცისკარმა არ დაუჯერა,—აქ მარტოს ვერ დაგტოვებო და ჩაუშვა. ჩავიდა თუ არა ქალი ძირს, რკინის კაცმა შემოჰკრა ჯაჭვს ლახტი და შუაზე გაწყვიტა.

დარჩა ივანე ცისკარი მაღლა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ ვერაფერს გახდა, ჩავარდნილიყო კლდეზე, — მოკვდებოდა, არადა, სხვა ჩასასვლელი არსად ჩანდა. რა უნდა ექნა? ამ გასაჭირში რომ იყო, დაბლიდან თავისი საცოლის ხმა გაიგონა:

— ივანე ცისკარო, თორმეტთავიან დევს ერთი რაში ჰყავს და თუ გიშველის, ის გიშველისო, — დაუძახა ქალმა, — ზღვაში რომ ცხვირწამოწვდილი კლდე დგას, იმ კლდეში აბია, დევმა იქ დაამწყვდია, რადგან ერთხელ ჩამოაგდო. წადი, ჰკარი წიხლი კლდეს, დაანგრიე და ის რაში გამოიყვანეო.

წავიდა ივანე ცისკარი, ჰკრა წიხლი კლდეს, შეანგრია და გამოიყვანა რაში. დიდიხნის დაუბანელს ზურგსა და კისერზე ხელის სისქე ჭუჭყი დასდებოდა. ხოლო უსმელ-უჭმელობითა და ადგილზე უძრავად დგომით ისე დასუსტებულიყო და დახუთულიყო, რომ ფეხზე ძლივსღა იდგა.

რაშმა ივანე ცისკარს სთხოვა:

— სამ დღეს შავ მთაზე გამიშვი, რომ დავისვენო და ღონე მოვიდგა, თორემ ვერა გზიდავო.

ცისკარმა გაუშვა რაში და სამ დღეს აბალახა. მეოთხე დღეს მოიყვანა, დაბანა და შეკაზმა, შედგა ფეხი უზანგში, მაგრამ რაშმა ერთი ფეხით კიდევ წაიბორძიკა. კიდევ სთხოვა ივანე ცისკარს, — მოდი ამაღამაც დამასვენეო. ივანე ცისკარმა დაასვენა და მეორე დღისით რაში მართლაც ისე მოღონიერდა, რომ ადგილიდან ფეხიც აღარ მოუცვლია. ივანე ცისკარი შეჯდა, რაში ისარივით აიჭრა ცაში და, სანამ რკინის კაცი და უფროსი ძმები დაბრუნდებოდნენ ქალაქში ორი დღით ადრე მოიღო დგრიალი.

ივანე ცისკარს ძმებისა და რკინის კაცის მოსვლამდე ქალაქში გამოჩენა არ უნდოდა. მაშინ რაშმა უთხრა:

— რაკი აგრეა, აიყარე აბჯარ-საჭურველი, გაიხადე ტანსაცმელი, დამაკარი უნაგირზე და ისევ შავ მთაზე გამიშვი, — გამოიძრო სამი ძუა და მისცა, — როცა დაგჭირდე, ეს ძუები შეტრუსე და იმავ წამს შენთან გავჩნდებიო.

ივანე ცისკარმა დაუჯერა რაშს, — აიხსნა იარაღი, გაიხადა ტანსაცმელი, დააკრა უნაგირზე და გაუშვა, თვითონ მათხოვრული ძველმანები ჩაიცვა და გავიდა ქალაქში, რომ ძმებისა და რკინის კაცის მოსვლამდე რამე საქმე ეშოვა. ბოლოს ერთ მჭედელთან მივიდა და სთხოვა:

— შენი არაფერი მინდა, ოღონდ მამუშავე და ჭამპურადაც ყაბული ვარო.

მჭედელი დათანხმდა, ამ დროს სწორედ ცულს აკეთებდა და ივანე ცისკარს უთხრა, — მოდი, ბარემ კვერი დამიკარიო. ივანე ცისკარმა მჭედლის საორხელე კვერი ხელში ხვედასავით შეათამაშა და პირველსავე დარტყმაზე გრდემლი კუნძიანად მიწაში ჩაკარგა.

მჭედელს გაოცებისაგან პირი ღია დარჩა — ასეთი ღონიერი კაცი თვალით არასოდეს ენახა. იმავე დღეს გააკეთებინა უზარმაზარი გრდემლი, ჩაასმევინა უზარმაზარ კუნძში და დაიწყო ივანე ცისკარმა მუშაობა. ხუთი დღის საქმეს ერთ საათში აკეთებდა, მჭედელს უზომოდ უსაროდა, რომ მუქთად და უხელფასოდ ასეთი მარჯვე მუშა იშოვა.

ორი დღის შემდეგ მოვიდნენ რკინის კაცი და ივანე ცისკრის ძმები და მოიყვანეს ხელმწიფის მოტაცებული ქალები. ხელმწიფე ცას ეწია სიხარულით და ქორწილის დღეც დანიშნა. წესით, ჯერ უფროსი ქალის ქორწილი უნდა გადაეხადათ, მერე საშუალოსი და სულ ბოლოს უმცროსისა. მაგრამ უფროს დებს ბეჭდები აღარ აღმოაჩნდათ.— იმათი ბეჭდები ხომ ივანე ცისკარს ჰქონდა — და მეფის ქალებს კი ერთნაირი საქორწინო ბეჭდები უნდა ჰქონოდათ.

გაგზავნეს კაცი ოქრომჭედელთან და თან უმცროსი ქალის ბეჭედი გაატანეს, როგორც იქნება და არ იქნება, ორი ამნაირი ბეჭედი გაგვიკეთონო, მაგრამ ყველა ხელოსანმა უარი უთხრა. ბოლოს ივანე ცისკრის ოსტატთან მივიდნენ, მაგრამ ხელი ვერც იმან მოჰკიდა. ივანე ცისკარმა თავის ოსტატს ყურში უჩურჩულა, — გამოართვი და მე გავაკეთებო.

იმ ღამეს მჭედელმა დაიძინა და ივანე ცისკარი სამჭედლოში დარჩა. ცოტა ხანს ისე, ტყუილად აკაკუნა, ვითომ რაღაცას ვაკეთებო, მერე ამოიღო უფროსი დის ბეჭედი, შეაცვია ჩვარში და შემოდო თაროზე. დილას მოვიდა მჭედელი და ჰკითხა, — რა ჰქენი, ხელმწიფესთან ხომ არ შემარცხვინეო?

— ოსტატს როგორ შევარცხვენდიო, — მიუგო ივანე ცისკარმა, გადმოიღო თაროდან ბეჭედი და მისცა. — მაგრამ წუხელ ერთის მეტი ვერ მოვასწარი, მეორეს ხვალისთვის გაგიმზადებო.

წაიღეს ბეჭედი და მიუტანეს უფროს ქალს. ხელმწიფეს ისე გაუხარდა რომ ქორწილში მჭედელიც დაპპატიჟა. მჭედელმა ივანეს სთხოვა, შენც წამოდიო, მაგრამ ივანე ცისკარი არ გაჰყვა, — მე არავინ მეპატიჟება და როგორ წამოვიდეო.

გავიდა თუ არა სახლიდან მჭედელი, ივანე ცისკარი მაშინვე ქალაქგარეთ გავარდა, შეტრუსა რაშის ძუა და რაშიც ლამავ წამს იქ დაიბადა.

— რა გინდა, რა გაგჭირვებიაო? — ჰკითხა ივანე ცისკარს.

ივანე ცისკარმა გადაიცვა თავისი ტანსაცმელი, აისხა აბჯარ-საჭურველი, მოახტა რაშს და უთხრა:

— აფრინდი და ცას მიეკარი, ძირს მაშინ დაეშვი, როცა ჩემი უფროსი ძმა და რძალი ეკლესიიდან გამოვლენ, პირდაპირ კარებთან მიმაფრინე, რომ ჩემს ძმას ყბაში ერთი ლაჩათიანი სილა გავკრაო.

აფრინდა რაში და მიეკრა ცას. ჯვარდაწერილები ეკლესიიდან რომ გამოჩნდნენ, რაში სწორედ მაშინ დაეშვა ძირს და ივანე ცისკარმა თავის უფროს ძმას ყბაში ერთი მკვახე სილა აჭამა. მერე ისევ ქალაქგარეთ გავიდა, ისევ გაუშვა რაში შავ მთაზე, აბჯარი და ტანსაცმელიც თან გაატანა და ძველმანებით ჩაცმული სამჭედლოში დაბრუნდა.

მოვიდა საღამოს მჭედელი ქორწილიდან შეზარხოშებული და უამბო თავის მუშას, რაც ნახა ქორწილში, — როგორ დაეშვა ციდან უცნობი ჭაბუკი, როგორ გაჰკრა სილა ნეფეს, როგორ მითელმოთელა ხალხი რაშმა ტორებით და მერე მხედრიანად როგორ გაუჩინარდა, — რა თქმა უნდა, სიმთვრალის გამო მჭედელი ამბავს აზვიადებდა და ზოგიერთ რამეს კიდეც აჭარბებდა.

— აბა, რომ წამოვსულიყავი, სომ შიშით გული გამისკდებოდაო, — უთხრა ივანე ცისკარმა.

ივანე ცისკარმა იმ ღამეს ისევ აკაკუნა სამჭედლოში და დილას ოსტატს შუათანა დის ბეჭედი გადასცა. წაუღეს ქალს ბეჭედი. ქალები ახლა კი ყველაფერს მიხვდნენ, მიხვდა უმცროსი ქალიც და ჩუმად ტირილი დაიწყო, — თუკი მოვიდა, რატომ არ გამომიხსნისო. მაგრამ ივანე ცისკარმა თავისი დრო იცოდა. იმ დღესაც ისევე მოუხმო რაშს, მიუხტა ეკლესიიდან გამოსვლისას თავის საშუალო ძმას და ერთი სილა იმასაც უთავაზა.

ასე დასაჯა ივანე ცისკარმა უფროსი ძმები და ბოლოს რკინის კაცის ჯერიც დადგა.

ივანე ცისკარმა შეტრუსა ძუა და რაშიც იმავ წამს იქ გაჩნდა. ივანე ცისკარმა გადაიცვა თავისი ტანსაცმელი, აისხა აბჯარ-იარაღი, მოახტა რაშს და უთხრა:

— ახლა კი მაშინ უნდა დაეშვა ძირს, როცა რკინის კა-

ცი და ხელმწიფის უმცროსი ქალი ეკლესიაში შესვლას და-
აპირებენო.

— ნება შენიაო, — უთხრა რაშმა და მიეკრა ცას. მოდის
რკინის კაცი და მოჰყავს ხელმწიფის მზეთუნახავი ქალი.
ის აინუნშიაც არ არის და გულში შიში არაფრისა აქვს. ის
იყო, მივიდა ეკლესიის კარებთან, რომ რაშიც იმავ
წუთს იქ გაჩნდა. გადმოხტა ივანე ცისკარი, მოუქნია რკი-
ნის კაცს ლახტი და ქვესკნელში ჩააძვრინა: მერე თავის სა-
ცოლეს გადაეხვია და გადაჰკოცნა.

ახლა კი მიხვდა ხალხი, ვინც იყო უცხო ჭაბუკი, გაიგეს,
როგორც იყო საქმე და სიხარულის ყიჟინა დასცეს.

ივანე ცისკარმა შეირთო მზეთუნახავი ქალი და, როცა
ხელმწიფე გარდაიცვალა, ტახტიც თვითონ დაისაკუთრა.
დღესაც ხელმწიფედ ზის და ისე მართავს თავის ქვეყანას,
რომ იქ ცრუ, ორპირი და მოღალატე კაცი ვერ გაიჭაჭანებს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ხელმწიფის შვილის თავგადასავალი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ღობეს ჩიტი მომკვდარიყო.
დიდ ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში ლაღე იყო,
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო.

იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი ჩვენი მწყალობელი, იყო ერთი უშვილო ხელმწიფე. ერთ დღეს ხელმწიფემ თქვა:

— ყველა ადამიანი სიკვდილის შვილია, ერთხელაც იქნება მეც მოვკვდები, შვილი არა მყავს და მთელი ჩემი ქონება ოხრად უნდა დარჩეს. მოდი, სანამ ცოცხალი-ვარ, ყოველ შაბათ-კვირას ხალხს დავპატიჟებ, სიცოცხლეში ხალხი მადლიერი მეყოლება და მკვდარსაც კეთილად მომიგონებენო.—თქვა და აასრულა კიდეც. ყოველ შაბათსა და კვირას ხელმწიფის სასახლე ხალხით იყო გაჭედილი და დაფაზურნის ხმა გამოდიოდა.

ერთხელ ლხინში ერთი ეშმაკიც მივიდა, მიუჯდა სუფრას და კარგად რომ გამოძღა, ხალხს შეეკითხა:

— რისთვის იხდის თქვენი ხელმწიფე ამ ქეიფს, ნათლობა აქვს, თუ ქორწილიო?

— არც ერთი, არც მეორე, — უთხრა ხალხმა, — ჩვენი ხელმწიფე უშვილოა, მემკვიდრე არა ჰყავს და ქონება-ცხოვრება რომ ოხრად არ დარჩეს, ყოველ შაბათ-კვირას ასე გვაქეიფებსო.

— თქვენს ხელმწიფეს რომ ვინმემ შვილი შესძინოს, რას მისცემსო? — კვლავ იკითხა ეშმაკმა.

— ოღონდ ასეთი ვინმე გამოჩნდეს და ჩვენი ხელმწიფე სულსაც არ დაიშურებსო, — უპასუხა ხალხმა.

— მაშ, წადით და უთხარით, რომ მე შემიძლია შვილი შევძინოო, — თქვა ეშმაკმა.

წავიდნენ ხელმწიფესთან მოქიცულები და ეშმაკის ნათქვამი მოახსენეს. ხელმწიფემ ბრძანა, ის კაცი აქ მომგვარეთო. მიუყვანეს ეშმაკი და ხელმწიფემ ჰკითხა:

— მართლა შეგიძლია ჩემთვის შვილის მოცემაო?

— მართლა შემიძლიაო, — მიუგო ეშმაკმა.

— სანაცვლოს რას მოითხოვო?

— ბევრს არაფერს, — უთხრა ეშმაკმა, — თუ ერთი გეყოლოს, შენი იყოს, თუ ორი გეყოლოს, ისიც შენი იყოს, ხოლო თუ სამი გეყოლოს, რას მემართლები, ერთი მე და ორი შენო.

ხელმწიფე დათანხმდა, დადეს პირობა, რომ თექვსმეტი წლის შემდეგ ეშმაკი მოვიდოდა და სამიდან ერთ-ერთ შვილს წაიყვანდა. მერე ეშმაკმა ამოიღო ჯიბიდან ერთი ქურწითელი ვაშლი, გაჭრა შუაზე და ნახევარი ხელმწიფეს აჭამა და ნახევარი — დედოფალს.

ეშმაკი თავისი გზით წავიდა. დედოფალი მართლა დაორსულდა და სამი ოქროსქოჩრიანი ბიჭი ეყოლა. ბიჭები ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ და ჩქარაც იზრდებოდნენ. ისეთი ვაჟკაცები დადგნენ, რომ დიდსა და პატარას თვალი ზედ რჩებოდა.

გავიდა თექვსმეტი წელიწადი და ეშმაკიც მოვიდა. რა ქნას ხელმწიფემ, არც ერთი შვილი არ ემეტება, მაგრამ სიტყვას ხომ ვერ გადავა. დაიბარა უფროსი შვილი და უთხრა:

— შვილო, ამ კაცთან პირობა მაქვს დადებული, რომ დღეს ერთ-ერთი უნდა მიგცეთ და რას იზამ, წაჰყვები თუ არაო?

— ეგ ვიღაც კაცია, აქედან დაიკარგოს, თორემ ამ ჩემი ბასრი ხმლით ლუკმა-ლუკმა ავკუწავო, — უთხრა შვილმა.

ხელმწიფემ ახლა შუათანა ძმას გამოუძახა, მაგრამ ეშ-

ზაკიწ წაყოლაზე არც ის დათანხმდა, რაც უფროსმა ძმამ თქვა, იმანაც იგივე უთხრა:

— აქედან დაიკარგოს, თორემ ჩემი ბასრი ხმლით ლუკ-მა-ლუკმა ავკუწავო.

ბოლოს ხელმწიფემ უმცროსი შვილი დაიბარა და უთხრა:

— შვილო, ამ კაცისათვის პირობა მაქვს მიცემული, რომ დღეს ერთ-ერთი თქვენგანი უნდა წაგიყვანოთ და რას იზამ, გაჰყვები თუ არაო?

— ბირი პირია, მამაჩემო, და ვერ გაგატეხინებ,—უთხრა ბიჭმა, — ეგეც არ იყოს, დღეს ხელმწიფე ხარ და რასაც გვიბრძანებ, ვალდებულები ვართ, შევასრულოთო.

ხელმწიფემ გამოაწყო თავისი შვილი, მისცა ყველაფერი, რაც სამგზავროდ სჭირდებოდა და გადასცა ეშმაკს. ეშმაკმა წინა დღეს კარგად ატარა, მეორე დღეს კი, როცა ქალაქს კარგა მანძილით გააცილა, გახადა ტანისამოსი და სახრით სულ გვერდები აუჭრელა.

— რადა მცემო? — ჰკითხა ბიჭმა.

— იმიტომ, რომ ჩემი ძალა უნდა იცოდეო, — მიუგო ეშმაკმა.

ბიჭმა აღარაფერი უთხრა, გუნებაში კი თქვა, — დღეს შენი ტყვე ვარ და რაც გინდა, იმას მიშვრები, მაგრამ, ვნახოთ, იქნებ დრო დადგეს და ჩემი ძალაც გაჩვენოთ.

ატარა ეშმაკმა ხელმწიფის შვილი, ატარა და ერთ პატარა კლდესთან მიიყვანა. გამოიძრო თითიდან ალმასის ბეჭედი, მისცა ბიჭს და უთხრა, — დაარტყი ხელუკუღმა კლდეს და გაიღებაო.

დაარტყა ბიჭმა ბეჭედი ხელუკუღმა კლდეს და შუაზე გაიბა. შიგნით ერთი ისეთი შემკულ-მოქარგული სასახლე გამოჩნდა, რომ ხელმწიფის დარბაზები მასთან შედარებით საკუჭნაო გეგონებოდათ.

შეიყვანა ეშმაკმა ბიჭი სასახლეში. სასახლეში სამი მზეთუნახავი ქალი დახვდათ. ეშმაკმა უთხრა ქალებს:

— ეს ტყვე დროებით თქვენთან იქნება, კარგად აჭამეთ და მოუარეთ, რომ გასუქდეს. ერთი კვირის შემდეგ ჩემი ქალიშვილები მესტუმრებიან და იმათ უნდა დავუკლაო. — ეშმაკი ისევ უკან გაბრუნდა და კლდეც დაიკეტა.

მზეთუნახავ ქალებს ძალიან მოეწონათ ხელმწიფის შვილი და მისი გადარჩენა განიზრახეს, გამოჰკითხეს ვინაობა და თავიანთი თავგადასავალიც უამბეს:

— ჩვენ ერთი ხელმწიფის ქალიშვილები ვართ. მეზობელი ხელმწიფის შვილებზე ვიყავით დანიშნულები, სწორედ ქორწილის დღეს, როცა ეკლესიაში უნდა შევსულიყავით და თავზე გვირგვინები დაგვედგა, მოფრინდა ეს ეშმაკი, სამივე მოგვიტაცა და თავის ქალებს დაგვიყენა მოსამსახურეებად. ამას სამი მზეთუნახავი ქალი ჰყავს, დადიან ქვეყნად და ბოროტებას თესავენ. კვირაში ერთხელ თავიანთ მამას ეწვევიან. ეშმაკს მათი მოსვლისთვის თითო ადამის ძე მოჰყავს, დაუკლავს და გაუმასპინძლდება. მერე ჩვენ უნდა დავბანოთ, დავვარცხნოთ, ტანსაცმელი გამოვუცვალოთ და ისე გავისტუმროთ. ახლა კვირა იწურება, ქალების მოსვლის დრო ახლოვდება და შენც სწორედ იმიტომ მოგიყვანა, რომ დაგკლას და შენი ხორცით გაუმასპინძლდეს. უკვე წელიწადია, რაც აქა ვართ დამწყვდეულები, ვუყურებთ ამ ბოროტებას და საცოდაობით ვილევით, მაგრამ რა ვქნათ, არც სხვათა შველა შეგვიძლია და არც თავის დახსნაო.

— ნუთუ აქედან გასვლა არ მოხერხდებაო? — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

— არის ერთი საშუალება, თუ შესძლებო, — უთხრეს ქალებმა. — ბევრმა კარგმა ვაჟკაცმა სცადა, მაგრამ ვერავინ შესძლო და შენ რას იზამ, არ ვიცითო.

— მასწავლეთ და ვცდიო, — მიუგო ხელმწიფის შვილმა, — და თუ აქედან როგორმე თავი დავაღწიე, იქნება ღმერთი შემეწიოს და თქვენც დაგიხსნათო.

ქალებმა წაიყვანეს ხელმწიფის შვილი, მიიყვანეს თავლასთან და უთხრეს:

— ამ თავლაში ეშმაკს ერთი რაში უბია, თუ ისე გამოიყვან, რომ ფეხს ზღურბლზე არ დაადგმევინებ, ის რაში გაგიყვანს სამშვიდობოს, თუ არადა, შენი საქმე წასულიაო.

— თუ ღმერთს უნდა, შემაძლებინებსო, — თქვა ხელმწიფის შვილმა, გადაიწერა პირჯვარი და შევიდა თავლაში, ნახა, რაში აბია ისეთი, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერ

ფერს წახავს. რაშსაც მოეწონა ოქროსთმიანი ჭაბუკი და უთხრა:

— თუ შეგიძლია, ხელში ამიყვანე და ისე გამიყვანე, ორივემ ეშმაკისაგან დაწყევლილი ვარ და ფეხი ზღურბლზე დამედგმევიწებაო.

აიყვანა ბიჭმა ცხენი და გამოიყვანა ეზოში. რაშმა უთხრა:

— შემაჯექ ზურგზე, ფაფარში მაგრა ჩამეჭიდე და, რაც ძალი და ღონე გაქვს, მათრახი გადამიჭირეო.

ხელმწიფის შვილი გამოემშვიდობა მზეთუნახავ დებს, შეჰფიცა, — მანამ არ მოვისვენებ, სანამ თქვენ არ დაგიხსნითო,—და მოახტა რაშს, ჩასჭიდა ხელი ფაფარს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაარტყა მათრახი. რაში მოსწყდა ადგილს, დაარტყა ტორი კლდეს, გაანგრია და მშვილდით ნატყორცნი ისარივით გაიჭრა. მიიყვანა ბიჭი თავის პატრონის სამფლობელოს საზღვარზე და უთხრა:

— ამის იქით მე ქალას ვკარგავ და აღარ გამოგადგები, წადი, კარგი ვაჟკაცი ხარ და ღმერთმა ხელი მოგიმართოს. თან აი ეს ბეჭედი წაიღე, — ჩლიქიდან ერთი ალმასის ბეჭედი გამოიღო და ბიჭს მისცა, — ოღონდ ჩუმად იქონიე და ყველას ნუ დაანახვებ, სადაც დაგჭირდეს, ამოიღე, გაიკეთე მარჯვენა ხელის ნეკა თითზე და ყველა დაბრკოლებას დასძლევო.

ხელმწიფის შვილმა მადლობა გადაუხადა რაშს და გაუშვა. თვითონაც გზას დაადგა, მაგრამ არ იცის, სად მიდის, ირგვლივ ყველაფერი უცხო და უცნობია, მზეც თითქოს სხვანაირად ანათებს და ჩიტებიც სულ სხვაგვარ ხმაზე სტვენენ.

იარა ხელმწიფის შვილმა, იარა და გზაზე სამ თავისებილა ბიჭს შემოხვდა. ბიჭები წყაროს პირას ისხდნენ და სადილს შეექცეოდნენ. ჩაცმასა და ქცევაზე ეტყობოდათ, რომ დიდებულთა ოჯახიდან უნდა ყოფილიყვნენ. მართლაც, როცა მიესალმნენ და ერთმანეთი გაიცნეს, ისინი იმ მზეთუნახავი დების დაწიშნული ძმები აღმოჩნდნენ, ეშმაკს რომ ჰყავდა დატყვევებული. ძმებმა უამბეს ხელმწიფის შვილს,

რომ დაკარგვის დღიდან დავდივართ, დავეძებთ, მაგრამ მათი გზა-კვალისათვის ჯერაც ვერ მიგვიგნიაო.

ხელმწიფის შვილმა იცოდა, სანამ თვითონ ეშმაკის ქალებს არ იპოვიდა და არ დაიჭერდა, მანამდე მათს საცოლეებს ვერ გამოიხსნიდა და ბიჭებს მათი ამბავი არ გაუმხილა, მხოლოდ ეს უთხრა:

— მიიმეთ და მეც დაგეხმარებითო.

გაიფიცნენ ძმები და წავიდნენ ოთხნი.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს ერთ ქალაქში შევიდნენ. ქალაქი მდიდარი იყო, მაგრამ ქუჩებში ახალგაზრდობა არ ჩანდა, მარტო მოხუცები, ქალები და პატარა ბავშვები დადიოდნენ. ძმადნაფიცები ერთ მედუქნესთან შევიდნენ და ჰკითხეს:

— რა მიზეზია, რომ ქალაქში ახალგაზრდობას ვერ ვხედავთო?

— ეჰ, შვილო, სადღაა ახალგაზრდობა, — ამოიოხრა ბერიკაცმა და წვერზე ხელი ჩამოისვა, — აქ, ქალაქის სამრეკლოზე ერთმა მზეთუნახავმა ქალმა ოქროს ცხვირსახოცი გადმოფინა და გამოაცხადა, — ვინც ამ ცხვირსახოცს მოიტაცებს, ცოლად იმას გავყვებიო.—ბევრმა სცადა და ბევრმაც მოიტაცა, მაგრამ ქალი არავის არ ანებებს, უმალ არწივად გადაიქცევა, აიტაცებს მაღლა, გაუშვებს კლანჭებს და მიწაზე დაანარცხებს. ასე გაწყდა მთელი ახალგაზრდობა და აი, როგორც ხედავთ, ქალაქში დედაკაცები და ბებრებიღა დავრჩითო.

— მაჩვენე სად არის ქალაქის სამრეკლო და ბედს მეცა ვცდიო, — სთხოვა ხელმწიფის შვილმა.

ბებერი მედუქნე უარზე დადგა:

— ნუ, შვილო, კარგი ვაჟკაცი ჩანხარ, დაიღუპები და არ მინდა შენს ცოდვაში ჩავდგეო.

ხელმწიფის შვილმა არ დაიშალა, ვნახო მაინც, რა ქალიაო, და ბოლოს ბერიკაციც დათანხმდა, გამოიყვანა კარში და ქალაქის სამრეკლოზე გადმოფენილი ოქროს ცხვირსახოცი დაანახვა.

წავიდა ხელმწიფის შვილი, ამოიღო ეშმაკის რაშის წაჩუქარი ალმასის ბეჭედი, წამოიცვა მარჯვენა ხელის ნეკა

თითზე, შეხტა და ჩამოიღო ოქროს ცხვირსახოცი. უცბად ატყდა საშინელი შხუილი და მოფრინდა პირდაღებული არწივი.

— სად მიგაქვს ჩემი საგანძურიო?! — დასჭყივლა ბიჭს და ბრჭყალებით მხრებში ჩააფრინდა, მაგრამ სანამ აიტაცებდა, ბიჭმა თვითონ სტაცა ხელი ფრთებში და მიწაზე დაახეთქა. არწივი შეშინდა, გაუსხლტა ხელიდან და გაფრინდა, ხოლო ცხვირსახოცი ბიჭს შეატოვა.

ჩაიდო ხელმწიფის შვილმა ოქროს ცხვირსახოცი ჯიბეში და დაბრუნდა თავის ძმადნაფიცებთან.

ის ღამე მედუქნესთან გაათენეს, მეორე დილას კი ადგნენ და წავიდნენ ეშმაკის ქალების საძებნელად. იარეს, იარეს, ბევრი მთა გადალახეს და ბევრი მინდორი გათელეს, დარს ავდარი სცვლიდა, ავდარს — დარი, მაგრამ გზას დასასრული არ უჩანდა და არც გრძნეული მზეთუნახავების ასავალ-დასავალი ჩნდებოდა.

ერთ დღეს ერთ სახელმწიფოში შევიდნენ. ქალაქის განაპირას, ერთი ეკლესიის ეზოში კუბო იდგა, კუბოში ახალგაზრდა ბიჭი ესვენა და ირგვლივ ასი შეიარაღებული კაცი იდგა. ხელმწიფის შვილი და მისი ძმადნაფიცები მივიდნენ და ჰკითხეს:

— რას დარაჯობთ, ან ამ კუბოში ვინ გიწევთო?

— კუბოში ჩვენი ხელმწიფის შვილი ასვენია. რაღაც ავი სული ჰყავს დაპატრონებული, ღამღამობით მოდის, აცოცხლებს და აწვალებს, დილით ისევ მოჰკლავს და გაფრინდება. ჩვენი ხელმწიფე ყოველღამე ახალ-ახალ გუშაგებს გვაყენებს, მაგრამ ის ბოროტი არსება ვერ დაგვიჭერიაო.

— მოდით, ამაღამ მეც თქვენთან მოვალ და დაგეხმარებითო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა, წაიყვანა თავისი ამხანაგები, ღამის გასათევად ერთ დედაბერთან დააბინავა და თვითონ უკანვე დაბრუნდა.

შუაღამისას გუშაგებს ძილი მოერიათ და დაიძინეს, ბიჭი განზე გავიდა, ეკლესიის კარიბჭეს ამოეფარა და იქიდან დაუწყო თვალთვალი, აცა, რა მოხდებაო. უცბად მოფრინდა უზარმაზარი არწივი, გადაიძრო ბუმბულის ტანსაცმელი და ისეთი ლამაზი ქალი გამოვიდა, რომ ხელმწიფის შვილს

იმისი სილამაზისაგან სულ თვალები დაუბნელდა. ქალს ხელში ოქროს წკეპლა ეჭირა, გადაჰკრა ის წკეპლა ყარაულებს და უთხრა, — თქვენამც ქცეულხართ დილამდე ქვებადო. მერე მკვდარს გადაჰკრა და გააცოცხლა. შესდგა ზედ, დაუგრიხა მკლავები და გათენებამდე სულ ასე აწამა. დილას გადაჰკრა წკეპლა და ისევ მოკლა. ხელმწიფის შვილმა ცველაფერი ეს დაინახა და ბრაზი წაეკიდა, წამოიცვა თითზე რაშის ნაჩუქარი ბეჭედი, გამოვარდა საფარიდან და ქალს ხელი წკეპლაზე უტაცა. ქალმა მოასწრო ხელიდან დასხლტომა, წკეპლა ბიჭს შეატოვა, თვითონ ერთ წამში ისევ არწივად გადაიქცა და გაფრინდა.

წამოვიდა ხელმწიფის შვილი და მოვიდა თავის ძმადნაფიცებთან. ადგნენ იმავე დღეს და გასწიეს ისევ ეშმაკის ქალების საძებნელად. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ბოლოს ერთ სახელმწიფოში გავიდნენ. ხედავენ, რომ ხალხი დაბეჩავებული და დაყვითლებულია და ღონემიხდილი ძლივს დალასლასებს. მივიდნენ ამ ქვეყნის ხელმწიფესთან და მიზეზი ბკითხეს. ხელმწიფემ უთხრა:

— ჩემს ქვეყანაში ბურის მოსავალი არ მოდის და ბურს სულ მეზობელი სახელმწიფოებისაგან ვყიდულობდი, მაგრამ ეს ერთი ხანია, ზღვას რაღაც ავი სული დაეპატრონა, ვაგზავნით გემებს მეზობელ სახელმწიფოებში, დავტვირთავთ ბურით, წამოვიღებთ და შუა ზღვაში რომ შემოვალთ, ის ავი სული დაგვეცემა და გემებს გვიძირავს, ხალხი ყოველდღე ათასობით მეხოცება და, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ სულ მოკლე ხანში ყველანი ამოვწყდებითო.

ხელმწიფის შვილმა უთხრა:

— მოდი მე გამაყოლეთ გემებს, იქნება ღმერთი შემეწიოს და თქვენს მეზღვაურებს რამე ვუშველოო.

ხელმწიფემ ნება დართო და ხელმწიფის შვილიც გაჰყვა გემებს. ზღვა აქედან მშვიდობიანად გაიარეს, იყიდეს ბური, დატვირთეს გემები და გამობრუნდნენ. ზურგის ქარი უბერავდა და გემები სწრაფად მოსრიალებდნენ ზღვის მოლურჯო ზედაპირზე. მაგრამ შუა ზღვას რომ მიაღწიეს, ციდან ერთი უშველებელი არწივი მოფრინდა, დააფრინდა წინა გემს კლანჭებით და გადაბრუნება დაუპირა. მეზღვაურები

შიშით გაქვავდნენ, ხელმწიფის შვილმა კი წამოიცვა თავისი ალმასის ბეჭედი მარჯვენა ხელის ნეკა თითზე და სტაცა არწივს კლანჭებში ხელი, არწივი შეშინდა, გემს კლანჭი უშვა და გაფრინდა, ხოლო ბიჭს ხელში ოქროს ქოში შერჩა.

გამოატარა ბიჭმა პურით დატვირთული გემები და მოიყვანა მშვიდობით თავიანთ ქვეყანაში. ხელმწიფე სიხარულისაგან აღარ იყო, ეხვეოდა და ჰკოცნიდა. ბოლოს უთხრა.

— რა გინდა, რომ მოგცე, რით გადაგიხადო ამდენი სიკეთეო?

— მე არაფერი არ მინდა, — უთხრა ხელმწიფის შვილმა, — მარტო ამასა გთხოვ, ამ ჩემს ძმადნაფიცებს დაგიტოვებ და ჩემს დაბრუნებამდე შემინახე. ვატყობ, დაიღალნენ და ჩემთან სიარული უჭირთ, მე კი ისევ უნდა წავიდე და სანამ ჩემს საძებარს არ ვიპოვი, არც დავისვენებო. — გამოემშვიდობა ხელმწიფეს, გადაკოცნა ძმობილები და მარტოკა გაუდგა გზას.

— მიდის და, ვინც კი გზაში შეხვდება, ყველას ეშმაკის მზეთუნახავი ქალების ამბავს ეკითხება: ბოლოს ერთი ღრმად მოხუცი ხელჯოხიანი კაცი შემოხვდა. იმ კაცმა უთხრა:

— აგე აიმ წყალგაღმა ერთი შავი არაბი ცხოვრობს. ერთი ყბა ცისთვის მიუბჯენია, მეორე დედამიწაზე უდევს და ვინც კი ასლოს მივა, ყველას ყლაპავს, სწორედ ის არის იმ ქალების მოურავი და მათი ამბავიც იმან იცის. მაგრამ არ გირჩევ, შვილო, იმასთან მისვლას, — დაუმატა ბერიკაცმა, — ვინც კი გასულა, უკან აღარ დაბრუნებულა და ვაითუ, ვერც შენ გადარჩეო.

— შენ მაგის ფიქრი ნუ გექნებაო, — უთხრა ხელმწიფის შვილმა და წავიდა. გავიდა მდინარეს, მიდის და მიიმღერის. დაინახა შავმა არაბმა და შორიდანვე დაუყვირა:

— ვინა ხარ, რა სულიერი ხარ, ჩემი შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია და მაღლა ფრინველს და შენ როგორ გაბედე აქ გამოსვლაო?

— ახლოს მოდი და პასუხს გაგცემ, შორიდან რა გელაპარაკოო! — დაუძახა ხელმწიფის შვილმა.

წამოვიდა არაბი მუქარით და კიდევ დაუძახა:

— ბედი შენი, რომ მაძღარი ვარ, თორემ ერთ ლუკმად არ მეყოფოდიო!

ხელმწიფის შვილმა წამოიცვა ბეჭედი მარჯვენა ხელის ნეკა თითზე და იმავე კილოზე მიუგო:

— შორიდან მუქარა რა ვაქკაცის წესია, არ გაგიგონია, თავის ქება კიტრად არა ღირსო!

მოვიდა არაბი, დაუქშინა და შესაჭმელად მიეტანა, მაგრამ ხელმწიფის შვილმა არ აცალა, სწვდა ყბაში, დაახეთქა მიწაზე და მთელი კბილები ძირიანად დააძრო. არაბი შეეხვეწა, — ნუ მომკლავ და რასაც მომთხოვ, ყველაფერს შეგისრულებო.

— მაშ, მასწავლე, სად არიან შენი ქალბატონებიო? — ჰკითხა ხელმწიფის შვილმა.

არაბმა ერთი სალი კლდე დაანახვა და უთხრა:

— მიდი იმ კლდესთან, დაარტყი ჩემი ერთ-ერთი კბილი, კლდე გაიხსნება და რასაც დაეძებ, იქ იპოვიო.

გაუშვა ბიჭმა არაბი და წავიდა. მივიდა იმ ყრუ კლდესთან, ამოიღო არაბის წინა კბილი და დაჰკრა. კლდე გაიპო და შიგნით ერთი ოქრო-ვერცხლით მოვარაყებული ბოლის კოშკი გამოჩნდა. ბიჭი უშიშრად შევიდა შიგ და მიათვალიერ-მოათვალიერა. ნახა, ერთ ოთახში მდიდრული სუფრაა გაშლილი, რას ინატრებ სულო და გულო, რომ ზედ არ ელაგოს, მაგრამ კაცის ჭაჭანება არსად ჩანს. ბიჭმა იფიქრა, აქ რაღაც ამბავიაო, შეძვრა ტახტის ქვეშ და დაუდარაჯდა.

უცბად ატყდა შხუილი და ოთახში სამი არწივი შემოფრინდა. გადაიძვრეს ფრინველის ბუმბული და მზეთუნახავი ქალები გამოჩნდნენ. ისეთი ლამაზებია, ისეთი, რომ კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავს. არ გასულა დიდი ხანი და ოთახში არაბიც შემოვიდა. ქალებმა უთხრეს არაბს:

— აბა, მოურავო, ერთი შენებურად გაგვიმასპინძლდი, ხომ იცი, დებს სამი წელია, ერთმანეთი აღარ გვინახავს და პური ერთად არ გვიჭამიაო.

რაც იყო სუფრაზე ხომ იყო და არაბმა ორი იმდენი სხვა დაალაგა. მოუსხდნენ დები სუფრას და შეუდგნენ პურის ჭამას. არაბმა ოქროს სურით ოქროს თასებში ღვინო დაუსხა და დებმა ერთმანეთის სადღეგრძელო შესვეს. არაბმა მეო-

ჩედაც დაუსხა ღვინო. თასი უფროსმა დამ აიღო და თქვა:

— სამი წელიწადი ერთ ქალაქს გიყავი გადამტერებული, ქალაქის სამრეკლოზე ჩემი ოქროს ცხვირსახოცი მქონდა გბდბფეწილი და ხალხს ვპირდებოდი, ვინც მოიტაცებს, ცოლად გავყვებით. ბევრმა ვაჟკაცმა სცადა ბედი, მაგრამ ყველას სიცოცხლის ფასად დავუსვი. იმ ქალაქში ახალგაზრდა კაცი აღარ დავტოვე. ბოლოს მოვიდა ერთი პირმშვენიერი ჭაბუკი და ჩამოიღო ჩემი ცხვირსახოცი. მე მაშინვე არწივად გადავიქეცი და ბრჭყალები დავტაცე, რომ მაღლა ამეყვანა და დედამიწაზე დამეწარცხებინა, მაგრამ ჭაბუკმა დამასწრო და მიწაზე თვითონ მე დამანარცხა. რომ არ მემარჯვა და არ გავსხლტომოდი, ახლა ცოცხალი აღარ ვიქნებოდი, მე კი გადავურჩი, მაგრამ ჩემი ცხვირსახოცი იმას დარჩა. მოდით, იმ ჭაბუკს გაუმარჯოს, ის რომ ვაჟკაცი არ ყოფილიყო, ვერც წინააღმდეგობას გამიწევდა და ვერც ცხვირსახოცს წამართმევდაო.

თასი ახლა შუათანა დამ აიღო და დაილოცა:

— მე ერთი ხელმწიფის შვილზე ვიყავი გადამტერებული, ჭამას მკვდრად მოვაჩვენე, მამამ ოქროს კუბოში ჩასვენა და კუბო ერთ ეკლესიაში დაადგმევინა. თამ გუშაგები დაუყენა და ჩემი შეპყრობა უბრძანა. შუაღამისას მივდიოდი და გუშაგებს ჩემი ოქროს წკეპლით გავაქვავებდი. მერე გავაცოცხლებდი ხელმწიფის შვილს და დილამდე ვაწვალებდი. დილას ისევ გადავკრავდი წკეპლას, მკვდრად ვაქცევდი და გამოვფრინდებოდი. მაგრამ ერთ დილას ვიღაც უცხო ჭაბუკმა მტაცა ხელი, წკეპლა წამართვა და თვითონ მეც ბეწვზე გადავრჩი დაჭერას. მოდით, იმ ჭაბუკს გაუმარჯოს და ის ჩემი ჯადოსნური წკეპლაც მშვიდობაში მოიხმაროსო.

დებმა ეს სადღეგრძელოც ერთხმად დალიეს და თასი ახლა პატარა დამ ითხოვა.

— მე ერთი სახელმწიფოს დაღუპვა მინდოდა. იმ ქვეყანაში მოსავალი არ მოდის და პურს სულ მეზობელი სახელმწიფისაგან ყიდულობენ. მე ზღვაზე ვიყავი გადარაჯებული და საიდანაც არ უნდა წამოეღოთ პური, დავხვდებოდი

გემებს და მეზღვაურებიანად წყალში ვძირავდი. ხალხი ისე დაიმშა, რომ ერთმანეთს ჭამდნენ, მაგრამ ერთხელ გემებს ვიღაც უცხო ჭაბუკი გამოჰყვა, და ის იყო, დავტაცე კლანჭი წინა გემს, რომ გადამებრუნებინა, და ჭაბუკმაც მტაცა ფეხში ხელი, მე გავუსხლტი, მაგრამ ფეხიდან ოქროს ქოში კი წამაძრო. მოდით, იმ ვაჟკაცს გაუმარჯოს და ჩემი ოქროს ქოშიც მშვიდობაში მოახმაროსო.

უკანასკნელად არაბმა აიღო თასი და ერთი სადღეგრძელო იმანაც ითხოვა: — რაკი თქვენ, თქვენი თქვით, მეც ჩემსას მოგახსენებთო, — და დაიწყო:

— მე ხომ თქვენი დაბადებისთანავე მამათქვენმა თქვენს მოურავად დამნიშნა და კარგად იცით, რომ ამ ჩვენს საბრძანებელში ჭიანჭველაც არ გამიჭაჭანებია. დღეს გავიხედე და დავინახე ერთი უცხო ჭაბუკი, ვითომ აქ არაფერიო, მოდის და მოიმღერის. გავბრაზდი და შევუტიე, მაგრამ, გგონიათ შეშინდა? პირიქით, აქეთ შემომიტია. მივვარდი და შეჭმა დავუპირე, მაგრამ დამასწრო, მტაცა ყბაში ხელი და აღარცერთი კბილი არ შემარჩინა. მოდით, იმ ჭაბუკსაც გაუმარჯოს, ვაჟკაცი რომ არ ყოფილიყო, ამას ხომ ვერ მიზამდაო.

დალია არაბმა სადღეგრძელო და ხელმწიფის შვილიც გამოძვრა ტახტქვეშიდან. მივიდა სუფრასთან, აიღო ღვინით სავსე თასი და თქვა:

— თქვენ ისეთი კარგი სადღეგრძელოები თქვით, რომ არ შემიძლია, სამადლობელი არ შემოგაწიოთ, — და ყველანი სათითაოდ ადღეგრძელა. მერე ამოიღო წართმეული ნივთები და დაურიგა, თან სიცილით დააყოლა, — რაკი ასე ძალიან წუხხართ ამათ დაკარგვაზე, აჰა, ისევ თქვენთვის დამიბრუნებიაო.

ახლა კი მიხვდნენ დები, ვინც იყო და ერთმანეთში ცილაობა შეექმნათ, არა ჩემი ქმარი უნდა იყოს, არა—ჩემიო. ხელმწიფის შვილმა უთხრა, — სამნი დანი თქვენა ხართ, სამნი ძმანი — ჩვენ. მე ყველაზე უმცროსი ვარ და თქვენგანაც უმცროსი მერგება. ხოლო უფროსსა და შუათანას ჩემი ძმებისთვის წაგიყვანთ. ოღონდ ერთი პირობით, — დაუმატა ბოლოს, — მამათქვენს რომ სამი მზეთუნახავი ქალი

ბყავს დატყვევებული, თუ იმათაც გაათავისუფლებთ და თან წამოიყვანთო.

ქალები, რა თქმა უნდა, სიხარულით დათანხმდნენ და არაბი თავლაში გაგზავნეს ცხენების გამოსაყვანად. არაბმა ყველასთვის დარახტული რაში გამოიყვანა და თვითონ დაღონებული განზე გადგა. ხელმწიფის შვილს შეებრალა არაბი და ჰკითხა:

— შენც რომ წაგიყვანო, ბოროტებას მოიშლიო?

— მე სამსახურის მეტი არაფერი ვიცი, — უთხრა არაბმა, — და ვისაც ვემსახურები, ვუერთგულებ კიდეც. შენ მიბრძანე და რას და როგორც დამავალებ, ისე გავაკეთებო.

წამოიყვანა ხელმწიფის შვილმა არაბიც და წამოვიდნენ ეშმაკის ადგილ-სამყოფელისაკენ. შევიდნენ ქალები თავიანთი მამის სასახლეში და გამოიყვანეს დატყვევებული მზეთუნახავი დები. უკან ეშმაკი მოსდევდა და თავის ქალებს სწყეველიდა, — თქვე სულგაყიდულებო, სად მიგყავთ ჩემი ტყვეები, თქვენ გამყიდეთ, გამყიდეთ და აღარც მაგათ მარჩენთო?

ხელმწიფის შვილმა უთხრა ეშმაკის ქალებს:

— როგორც ვხედავ, მამათქვენი ბოროტებას არ მოიშლის და რა ვუყო, შვილები ხართ და თქვენ გადაწყვიტეთ, მოვკლა თუ დავტოვოო?

— მოკვლით რას გამოვრჩებით, — უთხრა შუათანა დამ, — აჰა, ჩემი ოქროს წკეპლა, ამას ორნაირი ძალა აქვს, — კეთილი და ბოროტი, გადაჰკარი მამაჩვენს და უთხარი, — დაეხსენ ბოროტს და შეუდექ კეთილსო, და ისიც კეთილ სულად გადაიქცევაო.

ხელმწიფის შვილი ასეც მოიქცა, გადაჰკრა წკეპლა ეშმაკს და უთხრა, — დაეხსენ ბოროტს და შეუდექი კეთილსო. ეშმაკი იმავ წამს კრავივით თვინიერი გახდა და ხელმწიფის შვილს შეეხვეწა, — წამიყვანე და, რაკი ყველა ჩემიანს ბოროტების გზა დაუგდია, მეც სიკეთეზე მიმსახურეო.

წამოიყვანა ხელმწიფის შვილმა ეშმაკიც და წამოვიდნენ, მოვიდნენ უპურო სახელმწიფოში, ხელმწიფე და მთელი ხალხი სიხარულის ყიჟინით შეეგება ხელმწიფის შვილს. ხელმწიფის შვილმა ძმადნაფიცები მოიკითხა და თავ-თავი-

ანთი საცოლეები გადასცა. ხელმწიფემ ეშმაკის ნაბოლარა გოგო და ხელმწიფის შვილი ისე არ გამოუშვა, სანამ ჯვარი არ დასწერა და ქორწილი არ გადაუხადა. სამი კვირა განუწყვეტელ ლხინსა და ქეიფში გაატარებინა და მერე თავისი ქვეყნის საზღვრამდეც დიდი ზარ-ზეიმით და დაფ-წინწილით მიაცილა.

წამოვიდნენ ყველანი და მოვიდნენ შვილმკვდარი ხელმწიფის ქვეყანაში. მივიდნენ იმ ეკლესიაში, სადაც ხელმწიფის მკვდარი შვილი ესვენა და ხელმწიფის შვილმა უთხრა ეშმაკის შუათანა ქალს:

— აბა, აიღე შენი ჯადო წკეპლა და გამოისყიდე დანაშაულიო.

შუათანა ქალმა გადაჰკრა წკეპლა ჯერ კუბოში მწოლიარე ხელმწიფის შვილს, მერე გაქვავებულ გუშაგებს და ყველანი გააცოცხლა. გაგზავნა კაცი ხელმწიფის შვილმა ხელმწიფესთან და შვილის გაცოცხლება მიულოცა. გაიხარა დიდად ხელმწიფემ, დიდი ლხინი და მეჯლისი გაუმართა, დიდადაც დაასაჩუქრა და თავისი ქვეყნის საზღვრამდე სულ ასე ლხინ-შექცევით მიაცილა.

წამოვიდნენ იქიდანაც და მოვიდნენ იმ ქალაქში, სადაც ეშმაკის უფროს ქალს სამრეკლოზე ოქროს ცხვირსახოცი ჰქონდა გადმოფენილი და ახალგაზრდებს ღუპავდა. ხელმწიფის შვილმა უფროს ქალსაც იგივე უთხრა:

— ახლა შენი ჯერია და აბა, გამოისყიდე დანაშაულიო.

უფროსმა ქალმა ამოიღო თავისი ოქროს ცხვირსახოცი, მიუსვ-მოუსვა დახოცილ ახალგაზრდებს და ყველანი დაცოცხლა. გავარდა ხმა ქალაქში და მთელი ქალაქი სამრეკლოს მოაწყდა. შეიქმნა დიდი ლხინი და სიხარული, გაცოცხლებული ჭაბუკების დედები სიხარულის ცრემლს ღვრიდნენ, ეხვეოდნენ ხელმწიფის შვილს, ჰკოცნიდნენ და მადლობას უხდიდნენ.

სამი დღე და ღამე იქაც სულ ლხინსა და ქეიფში გაატარეს, მეოთხე დღეს დაემშვიდობნენ ქალაქის მცხოვრებთ, წამოვიდნენ და მოვიდნენ ხელმწიფის შვილის ძმადნაფიცი უფლისწულების სახელმწიფოში. ხელმწიფემ შვილებს იმავ დღეს ჯვარი დასწერა თავ-თავიანთ საცოლეებზე და სამივე

შვილის ქორწილი ერთად გადაიხადა. მერე დაუტვირთა ჯორ-აქლემები ხელმწიფის შვილს თვალ-მარგალიტით, სტავრა-აბრეშუმით და მთელი თავისი ამალა მაყრად გამოაყოლა. მოვიდა ხელმწიფის შვილი თავის ქვეყანაში, ჩააბარა ძმებს მათი საცოლეები და მამას უთხრა, ჯვარი დაგვწერეო. ხელმწიფემ მთელი თავისი სამღვდელოება მოიწვია და შვილებს ჯვარი დასწერა. მერე ხელმწიფობაც უმცროს შვილს გადაულოცა და სამეფო გვირგვინი თავისი ხელით დაადგა.

ხელმწიფის შვილმა მაყრიონი გაისტუმრა და მეორე დღიდანვე ქვეყნის მართვა-გამგებლობას შეუდგა. არაბს ისევ მოურავობა ჩააბარა და ისიც ჩვეული ერთგულებით ემსახურებოდა, ვაი იმას, ვისაც ახალგაზრდა ხელმწიფის ორგულობას შეამჩნევდა. ეშმაკი კი მთელს სახელმწიფოს ირგვლივ უვლიდა, დადიოდა ტყე-ღრეში, მთიდან — ბარში, ბარიდან—მთაში და ვისაც გაჭირვებულს ნახავდა, ყველას შველოდა.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.
მთას ურემი ავიტანე
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საიქიოს ცხონებითა.

ნაგოლარა ძმა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ხელმწიფე და ჰყავდა სამი ვაჟი და სამი ქალი. ხელმწიფე ავად გახდა, იგრძნო სიკვდილის მოახლოება, დაუძახა თავის ვაჟებს და უთხრა:

— ჩემო შვილებო, მე დიდი დღე აღარ მიწერია და, აბა თქვენ იცით, ვინძლო ისე სიმართლითა და სიკეთით მართოთ ქვეყანა, როგორც მე ვმართავდი. ოღონდ ამას კი გეტყვით, რომ ერთმანეთის სიყვარული ნურასოდეს დაგიძვირდებათ და ნურც ერთი პირი გაგიტყდებათ, თორემ მტერი მოგერევათ, ერთ პირზე მდგომებს კი ვერაფერს გამოგრჩებათო. გარდა ამისა, დებსაც უნდა უპატრონოთ. ეცადეთ, წინაპირველი ბედი არ დაუკარგოთ, ვინც პირველად გთხოვოთ დები, პირდაღებული ეშმაკებიც რომ იყვნენ, ადექით და მიათხოვეთო.

თქვა ეს ანდერძი ხელმწიფემ და სულიც განუტევა. შვილებმა, როგორც ხელმწიფეს შეჰფეროდა, კარგი პატივით დაასაფლავეს, იგლოვეს და შეუდგნენ ქვეყნის მართვას.

ერთ დღეს ხელმწიფის შვილებთან თეთრი დევი მოვიდა უფროსი დის სათხოვნელად. სთხოვა უფროს ძმას, მაგრამ უფროსმა არ მისცა, სთხოვა საშუალოს და არც იმან მისცა, ბოლოს სთხოვა უმცროსს და მისცა.

— მე მამაჩემის ანდერძს ვერ გავტეხო, — თქვა უმცროსმა ძმამ, გამოიყვანა უფროსი და და დევს ჩააბარა.

გავიდა ცოტა ხანი და ახლა წითელი დევი მოვიდა შუათანა დის სათხოვნელად. სთხოვა უფროს ძმას და არ მისცა, სთხოვა შუათანას და არც იმან მისცა, ბოლოს სთხოვა ნა-

ბოლარას და იმან მისცა, — მე მამაჩემის ანდერძს არ გადავალო, — თქვა, გამოიყვანა შუათანა და და წითელ დევს გაატანა.

გავიდა კიდევ ცოტა ხანი და ახლა შავი დევი მოვიდა უმცროსი დის სათხოვნელად. უფროსი და შუათანა ძმები ახლაც უარზე დადგნენ. ნაბოლარამ კი თქვა, — მე მამაჩემის ანდერძს არ გავტეხო, — და უმცროსი და შავ დევს მიათხოვა.

ერთხელ ძმები სანადიროდ წავიდნენ. გაისროლა უფროსმა ძმამ ისარი და ირემი მოკლა, გაისროლა შუათანამ და მოკლა ჯიხვი, გაისროლა ნაბოლარამ ისარი და ერთ მოტიტვლებულ მთაზე დაერჭო. ძმებმა დაცინვა დაუწყეს:

— ყველაფერში ასეთი ბედოვლათი როგორ უნდა იყო, ჯერ იყო და, დები დევებს მიათხოვე, ახლა ნადირობაშიც ხელი მოგეცარაო.

ნაბოლარას ეწყინა დაცინვა, მაგრამ მამის ანდერძი ახსოვდა, ერთმანეთის სიყვარული გქონდეთო, და ძმებს საწყენი არაფერი აკადრა, გაიცინა და მშვიდად უთხრა:

— მოიცათ, ძმებო, ნუ დამცინით, ჯერ ვნახოთ, იქნებ არც ჩემი ისარი დახარჯულა ტყუილუბრალოდო.

წავიდნენ სამივენი და ნახეს, რომ ისარი ოქროს სასახლის თავზე დაცემულიყო. შევიდნენ სასახლეში, მაგრამ შიგ ძეხორციელი არ ჭაჭანებდა, ერთ მოზრდილ დარბაზში ოქროს სუფრა იყო გაშლილი და ზედ ოქროს ჩანგი და ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელი ელაგა. მიუსხდნენ სუფრას ძმები და კარგა ლაზათიანად მოულხინეს.

— აი, ძმებო, ახლა ხომ ხედავთ, რომ უერთოდ არც ჩემი ისარი დახარჯულა და წეღან სულ ტყუილად დამცინოდითო, — უთხრა ძმებს ნაბოლარამ და დაუმატა, — ეს სახლკარი და სიმდიდრე უპატრონო არ იქნება. მოდით, ამაღამ ვუყარაულოთ და გავიგოთ, ვისია, ვინც არის, ადრე თუ გვიან, სახლში ხომ უნდა დაბრუნდეს და სხვა თუ არაფერი, გავიცნობთ მაინცო.

ძმები დათანხმდნენ. წესით პირველ ღამეს უფროს ძმას უნდა ედარაჯა, მაგრამ ისე იყო მთვრალი, რომ ჩამოჯდა თუ არა სკამზე, მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ნაბოლარა ადგა,

მძინარე ძმა ლოგინში გადმოაწვინა და იმის ადგილზე თვითონ დაჯდა. მშვილდ-ისარი გვერდით დაილაგა და, რომ არ დასძინებოდა, ჩანგის დაკვრა დაიწყო.

ეს სასახლე სამი ძმა დევისა იყო. ისინიც რიგრიგობით იძინებდნენ სახლში. დღეს უფროსი ძმის ჯერი იყო. შუაღამემ რომ მოაწია, მოვარდა უფროსი ძმა, სამთავიანი დევი, შავი რაშით და, თავის სახლიდან ჩანგის ხმა რომ გაგონა, გაწრისხებულმა ხმამაღლა შესძახა:

— ვინ შესულხარ ჩემსა სახლსა,
ვინ ზიხარ ჩემს ოქროს სკამსა,
ვინ აჟღერებს ჩემსა ჩანგსა?
ადე, ჩქარა გამეცალე,
თორემ ახლავ მოგკვეთ თავსა!

ნაბოლარამ ჩამოჰკრა ჩანგს და სიმღერით უპასუხა:

— მე შევსულვარ შენსა სახლსა,
მე ვზივარ შენს ოქროს სკამსა,
მე ვაჟღერებ შენსა ჩანგსა.
თუ აქით არ გამეცლები,
თვითონ მოგკვეთ სამსავ თავსა!

დევი უფრო განრისხდა და ხმალამოწვდილი დარბაზში შევარდა. ნაბოლარამ მომართა მშვილდ-ისარი, ესროლა და დევს ძირს ბრაგვანი მოადენინა. დასჭრა ექვსივე ყური და ჯიბეში ჩაიწყო, ასო-ასო აკუწა დევი და გადაყარა, სისხლი მიამშრალ-მოამშრალა, რაში თავლაში დამალა და გათენებამდე ყველაფერი ისე მოათავა, რომ ძმებს არაფერი გააგებინა. ძმები მხოლოდ მზის ამოსვლისასღა გააღვიძა და სუფრაზე მიიწვია:

— ადექით ძმებო, ბური ვჭამოთ, ლხინი ვწახოთ და ერთმანეთს ნურა გვირჩევნია რაო.

ადგნენ ძმები, დაიბანეს და მიუსხდნენ სუფრას. დალამდა ის დღეც და ჯერი შუათანა ძმაზე მიდგა, მაგრამ შუათანასაც ისევე ჩაეძინა, ისევ ადგა ნაბოლარა, გადააწვინა ძმა

ლოგინში და სადარაჯო ადგილზე ისევ თვითონ დაჯდა, მშვილდ-ისარიც ისევ გვერდით დაილაგა და ჩანგი მომართა.

შუაღამისას მოვარდა შუათანა ძმა — ცხრათავიანი დევი წითელი რაშით და, თავისი სახლიდან ჩანგის ხმა რომ გაიგონა, მრისხანედ შესძახა:

— ვინ შესულხარ ჩემსა სახლსა,
ვინ ზიხარ ჩემს ოქროს სკამსა,
ვინ აჟღერებს ჩემსა ჩანგსა?
ადე, ჩქარა გამეცალე,
თორემ ახლავ მოგკვეთ თავსა!

ნაბოლარამ ჩანგს ჩამოჰკრა და პასუხი კვლავ სიმღერით გამოსძახა:

მე შევსულვარ შენსა სახლსა,
მე ვზივარ შენს ოქროს სკამსა,
მე ვაჟღერებ შენსა ჩანგსა!
თუ აქით არ გამეცლები,
თვითონ მოგკვეთ ცხრავე თავსა!

დევი განრისხდა და ხმალამოწვდილი შევარდა. ნაბოლარამ სტყორცნა ისარი და დევი უსულოდ დასცა ძირს. საჩქაროდ დააჭრა ყურები და ჯიბეში შეინახა, დევი აკუწა და გადაყარა, სისხლი მოამშრალა, წითელი რაში თავლაში დამალა და ახლაც ყველაფერი ისე მოათავა, რომ ძმებს არაფერი გააგებინა. მზე რომ ამოვიდა, მხოლოდ მაშინღა გაღვიძა და ისევ სუფრაზე მიიწვია:

— ადექით, ჩემო საყვარელო ძმებო, ბური ვჭამოთ, ლხინი გავწიოთ და ერთმანეთს ნურა გვირჩევნია რაო.

ადგნენ ძმები, დაიბანეს და მიუსხდნენ სუფრას. დაღამდა ის დღეც და ჯერი უკვე თვითონ ნაბოლარაზე მიდგა. უთხრა ძმებს: — თქვენ დაიძინეთ და შიში ნურაფრისა გაქვთო. ძმებმა დაიძინეს, ნაბოლარა კი დაჯდა ოქროს სკამზე, მომართა მშვილდ-ისარი და ჩანგი აჟღერა.

შუაღამემ რომ მოაწია, ერთი გუგუნ-გრიალი ატყდა! თეთრი რაშით უმცროსი ძმა — თორმეტთავიანი დევი მოვარდა. გაიგონა ჩანგის ხმა და მრისხანედ შესძახა:

— ვინ შესულხარ ჩემსა სახლსა.
ვინ ზიხარ ჩემს ოქროს სკამსა,
ვინ აჟღერებს ჩემსა ჩანგსა?
ადე, ჩქარა გამეცალე,
თორემ ახლავ მოგკვეთ თავსა!

ნაბოლარამ ჩანგს უფრო ძლიერად ჩამოჰკრა და პასუხი ამასაც სიმღერით მიუგო:

— მე მოვსულვარ შენსა სახლსა,
მე ვზივარ შენს ოქროს სკამსა,
მე ვაჟღერებ შენსა ჩანგსა!
თუ აქით არ გამეცლები,
თვითონ მოგკვეთ ყველა თავსა!

— აბა, ეგ გაბიბედეო?! — იშიშვლა დევმა ხმალი და შევარდა, მაგრამ დაასწრო ნაბოლარამ, სტყორცნა ორბისფრთიანი ისარი და დევი ფართი-ფართ გაახვრეტინა. დაეცა დევი უსულოდ და სახლმა სულ ზანზარი დაიწყო. წამოხტა ნაბოლარა და ყურების დაჭრას შეუდგა. ოცდამეოთხე რომ მოსჭრა, ყური გადავარდა, სანთელს დაეცა და ჩააქრო. დაღონდა ნაბოლარა, ბნელში ვერაფერს გააკეთებდა და ვერც გათენებას დაუცდიდა, — ძმები გაიღვიძებდნენ და ყველაფერს შეიტყობდნენ, ეს კი არ უნდოდა. გამოვარდა საჩქაროდ აივანზე და გაიხედ-გამოიხედა, — იქნებ ცეცხლი სადმე შევნიშნოო. მართლაც შორს სინათლის მკრთალი ჭიატი დაინახა და მაშინვე იქით გაეშურა. იარა, იარა და ერთ სამსართულიან ბროლის კოშკს მიადგა. სინათლე სწორედ პირველი სართულის ფანჯრიდან გამოდიოდა, მაგრამ ეს პირველი სართული ათი მეტრის სიმაღლისა მაინც იქნებოდა და შესასვლელი კარი და კიბე კი არსად უჩანდა. ნაბოლარა არ დაიბნა, საჩქაროდ დასჭრა ცაცხვის ბაყილები, ააძრო

ქერქი და თოკი დაგრიხა, თოკს კაუჭი გამოაბა, შესტყორცნა, მოსდო ფანჯრის კოჭაკს, აცოცდა თოკზე და ოთახში გადავიდა. ოთახში ხელმწიფის სამ მზეთუნახავ ქალს ეძინა. სამივეს ორ-ორი სანთელი ენთო, — თითო თავით და თითო ფეხთით და ერთი მოზრდილი ოქროს შანდალი ოთახის შუაშიც იდგა.

ნაბოლარამ ჯერ უფროს ქალს შეუცვალა სანთლები, — ფეხთით სანთელი თავთით დაუდგა, თავთით სანთელი — ფეხთით, და თქვა, — ეს ჩემი უფროსი ძმისთვისაო. მერე შუათანას შეუცვალა და შუათანა ძმისთვის დანიშნა, ბოლოს უმცროს ქალთან მივიდა, რომელიც ყველაზე ლამაზი იყო და შეუცვალა სანთლები. ეს ჩემთვისაო, თქვა და ერთი ლოყაზეც აკოცა, აიღო ოქროს შანდალი და წამოვიდა. მოვიდა სასახლეში და აანთო სანთელი. იპოვა ოცდამეოთხე ყური და ჯიბეში შეინახა, მერე დევი აკუწა, ხორცი გადაყარა, სისხლი მიამშრალ-მოამშრალა და შავი რაშიც თავლაში დააბა. ამის შემდეგ გააღვიძა ძმები და უთხრა:

— ადექით, ძმებო, ბური გავტეხოთ, ლხინი ვნახოთ და ერთმანეთის თავს ნურა გვირჩევნია რაო.

ადგნენ ძმები, დაიბანეს ხელ-პირი და სუფრას შემოუსხდნენ.

მომხდარი ამბავი ნაბოლარამ ძმებს არც ახლა უთხრა. ძმებმა გული დაიმშვიდეს: რაკი სამი ღამე ისე გავიდა, რომ სახლს არავინ მოაკითხა, ჩანს უპატრონო ყოფილაო და საბოლოოდ ამ სახლში დაბინავება გადაწყვიტეს. უფროსმა და შუათანამ ყველაფერი თვითონ გაიყვეს, ნაბოლარას კი ერთი ფიცრის საწოლი არგუნეს, ერთი გაცვეთილი თექის ნაგლეჯი მისცეს და თავლაში გააგდეს, — შენთვის ეგეც საკმარისიაო.

ნაბოლარას ეწყინა, მაგრამ მამის ანდერძი არც ამჯერად გატეხა და ძმებს არ აუხირდა.

— კი, ძმებო, ოღონდ თქვენა მყავდეთ კარგად და მე ამასაც ვიმყოფინებო. — უთხრა, წავიდა და შევიდა თავლაში, სადაც დევების რაშები ჰყავდა დამალული.

გაიღვიძეს დილას ხელმწიფის მზეთუნახავმა ქალებმა ბროლის კოშკში, საიდანაც ნაბოლარამ წუხელ შანდალი

წამოიღო, და თავზარი დაეცათ: ვინ შეუცვალათ სანთლები, ან ოქროს შანდალი რა იქნა? წავიდნენ და მამას უთხრეს:

— წუხელ ჩვენს კოშკში ვიღაც ქურდულად შემოსულა, ჩვენთვის სანთლები შეუცვლია და ოქროს შანდალი კი თან წაუღიაო.

ხელმწიფემ თქვა ამის ჩამდენი უბრალო კაცი არ იქნებაო, და საქვეყნოდ გამოაცხადა, — ქალებს ვათხოვებ და ვინც იმდენს შესძლებს, რომ ჩემი კოშკის სართულებს მისწვდება და მათ ნიშანს მოსტაცებს, იმას მივცემო.

დაიძრა საქორწინო ბიჭები დედამიწის ყველა კუთხიდან. გაიგეს ხელმწიფის შვილებმაც და წასასვლელად მოემზადნენ. ნაბოლარამ სთხოვა:

— მოდი, ძმებო, ხალხში ნუ გამომარჩევთ, ძმობა გამიწიეთ და მეც წამიყვანეთო.

ძმებმა მასხარად აიგდეს:

— წაგიყვანოთ თორემ, სწორედ ბროლის კოშკს არ შესწვდე და ხელმწიფის ქალებს ნიშანი არ მოსტაცოო.

ნაბოლარამ კიდევ ბევრი ეხვეწა, მაგრამ ძმებმა ყური აღარ უგდეს, შესხდნენ თავ-თავიანთ ცხენებზე და წავიდნენ.

ეწყინა ნაბოლარას ძმების უსულგულობა, შევიდა თავლაში და ფიცრის ტახტზე დაღონებული ჩამოჯდა.

— რამ დაგაღონაო? — ჰკითხეს რაშებმა.

ნაბოლარამ ყველაფერი უამბო, მაშინ სამთავიანი დევის შავმა რაშმა უთხრა:

— ახლავე დამადგი უნაგირი, ბალიშქვეშ ერთი ხელი აბჯარი და ტანსაცმელია, გამოიღე, შენც მოიკაზმე და წავიდეთო.

ნაბოლარამ საჩქაროდ შეკაზმა ცხენი, ბალიშქვეშიდან ერთი ხელი ტანსაცმელი გამოიღო: შავი ჩოხა-ახალუხი, შავი წუღა, საცვეთი, აბჯარ-საჭურველი, გამოეწყო, მოახტა რაშს და გაქუსლა.

კოშკის ირგვლივ უამრავ ხალხს მოეყარა თავი, პირველი სართულის ფანჯარაში ხელმწიფის უფროსი ქალი იდგა და შავ მანდილს აფრიალებდა. სასიძოები წელში წყდებოდნენ, დაუზოგავად ახტუნებდნენ ცხენებს, მაგრამ ფანჯრამდე ვერც ერთი ვერა სწვდებოდა. რაშმა უთხრა ნაბოლარას:

— დამარტყი მათრახი, რაც ძალი და ღონე გაქვს, ერთი ხმამაღლა დამკივლე, რომ გულში ჟრჟოლა შემიდგეს და მეორე მე ვიციო.

ნაბოლარამ დაჰკრა მათრახი, დასჭყივლა და რაშიც მოსწყდა ადგილს, ავარდა მაღლა და გაუქროლა ფანჯარას. ნაბოლარა გადმოიხარა ცხენიდან, მისწვდა ქალს და მანდილი გამოსტაცა. ხალხმა ყიჟინა დასცა, მაგრამ ცხენიცა და მხედარიც ერთ წამში გაუჩინარდნენ.

ხალხი დაიშალა, ცხვირჩამოშვებული სასიძოები თავთავიანთი სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. წამოვიდნენ ნაბოლარას ძმებიც, მაგრამ სანამ მოვიდოდნენ, ნაბოლარამ რაშს მოხადა და თავლაში დამალა, თვითონაც დაიხადა ტანსაცმელი, ისევ უნაგირის ბალიშის ქვეშ ამოდო და ძმებს ეზოში შეეგება.

— რა ჰქენით, ხელმწიფის ქალს ნიშანი ვერ მოსტაცეთო? — ჰკითხა.

ძმებმა მასხარად აიგდეს:

— სწორედ შენ არა გგავდა ის რაინდი, ცხენი რომ ააფრინა და ხელმწიფის ქალს მანდილი მოსტაცაო.

— რა ვქნა, ძმებო, — მიუგო ნაბოლარამ, — ნათქვამია, მჯობზე მჯობი არ დაილევაო.

მეორე დღეს ხელმწიფემ შუათანა ქალი დააყენა მეორე სართულის ფანჯარაში, და სასიძოების ლაშქარიც ისევ დაიძრა. მოემზადნენ ნაბოლარას ძმებიც. ნაბოლარამაც ისევ სთხოვა, წამიყვანეთო, მაგრამ ძმებმა უარი უთხრეს და ისევ მასხარად აიგდეს:

— რას ამბობ, თუ წაგიყვანეთ, სწორედ ბროლის კოშკს კი შესწვდები და ხელმწიფის ქალს ნიშანს მოსტაცებო.

ძმები შესხდნენ ცხენებზე და წავიდნენ. ნაბოლარა კი შევიდა თავლაში და დაღონებული ისევ ფიცრის ტახტზე ჩამოჯდა.

— რამ დაგაღონაო? — ჰკითხეს რაშებმა.

ნაბოლარამ ყველაფერი უამბო. ახლა ცხრათავიანი დევის წითელი რაში წამოდგა და უთხრა:

— ახლავე უნაგირი დამადგი, ბალიშქვეშიდან ტანსაცმელი და საჭურველი გამოიღე, შენც მოიკაზმე და წავიდე

თო. მოიკაზმა ნაბოლარა, შეჯდა და წავიდა. მინდორში ორი იმდენი ხალხი შეგროვილიყო და ცხენებსაც უფრო დაუზოგავად ასტუნებდნენ, მაგრამ კოშკს ნახევრამდეც ვერ სწვდებოდნენ. წითელმა რაშმა უთხრა ნაბოლარას:

— დამკარ მათრახი და ერთი ისეთი დამკივლე, რომ გულში ქარი შემიდგეს და მერე მე ვიციო.

დაჰკრა ნაბოლარამ მათრახი და ერთი დაჰკივლა, რაშმა ისკუპა და ჰაერში ფრთოსანივით აიჭრა. ფანჯარას რომ დაუპირისპირდა, სადაც ხელმწიფის შუათანა ქალი იდგა და წითელ მანდილს აფრიალებდა, ნაბოლარა უცბად გადმოხარა და ქალს მანდილი გამოსტაცა. ხალხმა ისევ ყიჟინა დასცა, მაგრამ ცხენი და მხედარი ახლაც თვალის დახამხამების უმალ გაუჩინარდნენ.

დაბრუნდნენ გაწბილებული სასიძოები თავ-თავიანთ სახლებში. წამოვიდნენ ნაბოლარას უფროსი ძმებიც. ძმების მოსვლამდე ნაბოლარამ რაში დააბიწავა, თვითონაც გაიხადა ტანსაცმელი, ისევ ბალიშის ქვეშ შეინახა და ძმებს კვლავ ეზოში შეეგება.

— რა ჰქენით, კიდევ ვერ მოსტაცეთ ნიშანი ხელმწიფის ასულსო? — ჰკითხა.

ძმებმა ისევ დაცინვა დაუწყეს:

— შენმა მზემ, შენ კი მოსტაცებდი, სწორედ შენ არა გგავდა ის წითლოსანი ფალავანი, რაში რომ ოც საჟენზე ააფრინა და ხელმწიფის მზეთუნახავი დაისაკუთრაო.

— რა ვუყოთ, ძმებო, — ისევ მოიკატუნა თავი ნაბოლარამ, — ამ ქვეყნად მჯობზე მჯობს რა გამოლევსო.

მეორე დღეს ხელმწიფემ უმცროსი ქალი დააყენა კოშკის სულ ზედა სართულის ფანჯარაში და ნიშნად ხელში თეთრი მანდილი დააჭერინა. დაიძრნენ სასიძოები და ნაბოლარას ძმებიც შეემზადნენ. ნაბოლარა არც ამჯერად წაიყვანეს. ნაბოლარა შევიდა თავლაში და ძმების უსულგულობით ნაწყენი ტახტზე ჩამოჯდა.

— რამ დაგაღონაო? — ჰკითხეს რაშებმა.

ნაბოლარამ დაღონების მიზეზი არც ახლა დაუმალა:

— ძმები მქიშპობენ და გული იმაზე მტკივაო.

წამოდგა წინ თორმეტთავიანი დევის თეთრი რაში და უთხრა:

— საჩქაროდ დამადგი უნაგირი, ბალიშქვეშიდან საჭურველი და თეთრი ტანსაცმელი გამოიღე, მოიკაზმე და წავიდეთო.—მოიკაზმა ნაბოლარა თეთრი ჩოხით, თეთრი წულასაცვეთით, თეთრი ჯაჭვ-მუზარადით და მოახტა თეთრ რაშს. გაქუსლეს და მივიდნენ. კოშკის ირგვლივ სამჯერ მეტი ხალხი შეკრებილიყო, მაგრამ ქალის მიმწვდომი ერთიც არ ერია. ქალი კი იდგა ფანჯარაში, გაღიმებული, როგორც დილის მზე, და თეთრ მანდილს გამომწვევად აფრიალებდა. რაშმა უთხრა ნაბოლარას:

—აბა, დამკარი მათრახი რაც ძალი და ღონე გაქვს, ერთიც ძლიერად დამკივლე და ამ კოშკს, თუ გინდა, თავზე გადაველებიო.

დაჰკრა მათრახი ნაბოლარამ, დაჰკივლა ძლიერად და რაშიც მოსწყდა ადგილს. ცაში გრიგალივით აიჭრა და ისე ახლოს გაუქროლა ქალს, რომ ნაბოლარამ არა თუ მანდილი მოსტაცა — ერთი ყურის ძირშიც აკოცა. მაყურებელ ხალხს მოწონების ყიჟინა აღმოხდა, მაგრამ რაშისა და მხედრის სახე ვერც ამჯერად ვინმემ დალანდა, — ქარივით გაიშხუილეს ცაში და გაუჩინარდნენ.

მეორე დღეს ქალებმა მამას უთხრეს, — ახლა ხომ უკვე დანიშნულები ვართ და ბაღში სასეირნოდ გაგვიშვიო. — ხელმწიფემ ქალიშვილებს ბაღში სეირნობის წება დართო და გამოაცხადა:

— ნიშნის გამტაცებლები მოვიდნენ და თავ-თავიანთი საცოლეები ჩაიბარონო,—რა იცოდა ხელმწიფემ, რომ სამივე ნიშნის გამტაცებელი ერთი კაცი — ნაბოლარა ძმა იყო.

გამოვიდა სამივე და და ბაღის ყვავილებში შეერივნენ. ხელმწიფეც აივანზე იჯდა და თავის ქალიშვილების ცქერით ტკბებოდა. თან სასიძოებს მოელოდა. უცბად, სად იყო, სად არა, ერთი ასთავიანი დევი მოფრინდა, დასტაცა ხელი უმცროს ქალიშვილს და გაიტაცა.

გავარდა ხმა მთელ სახელმწიფოში, ხელმწიფის უმცროსი ქალი ასთავიანმა დევმა გაიტაცაო. ხელმწიფემ ყველაზე სამგლოვიარო ჩაცმა უბრძანა, ქალაქსაც ზარი გადაბერა

და საქვეყნოდ გამოაცხადა, — ვინც ჩემს ქალიშვილს იპოვის და ცოცხალს დამიბრუნებს, ცოლად იმას გავატან და სახელმწიფოს ტახტსაც დავუთმობო.

ამ ხმამ ნაბოლარას ყურამდეც მიაღწია. მივიდა ნაბოლარა ძმებთან, აჩვენა რაშები და უთხრა:

— ძმებო, მე ხელმწიფის ქალიშვილის საძებნელად უნდა წავიდე. ჩემს დაბრუნებამდე ეს რაშები კარგად შემინახეთ, ნუ მკითხავთ, საიდან მოვიყვანე, ოღონდ უჩემობას ნუ გგრძნობინებთ, სამ წელიწადში თუ მოვედი, მოვედი, თუ არადა, მეც მკვდარი ვიქნები და მიგლოვეთო.

გამოემშვიდობა ძმებს ნაბოლარა და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა თავისი სიძის თეთრი დევის სასახლესთან და წყაროს პირას ჩამოჯდა. წყაროზე მოსასხსურე გოგო გამოვიდა და უცხო ჭაბუკი რომ დაინახა, შეუტია:

— თეთრი დევის მზემ, თეთრი დევის სიცოცხლემ, თეთრი დევის შიშით ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია, მაღლა — ბუზს და შენ აქ მოსვლა როგორ გაბედეო?

ნაბოლარამ წაიძრო თითიდან ბეჭედი და გოგოს უთხრა:

— თეთრი დევი ნუ მოგიკვდება, ეს ბეჭედი შენს ქალბატონს აჩვენეო.—შეუტანა გოგომ და აჩვენა.—ვაიმე, ჩემი უმცროსი ძმის ბეჭედიო! — დაიძახა ქალმა და კისრისტეხით გამოვარდა. გადაეხვია ამდენი ხნის უნახავ ძმას და შინ შეიყვანა. გამოჰკითხა ამბავი და ძმამაც უამბო თავისი გასაჭირი, თან დააყოლა:

— იქნებ შენმა ქმარმა იცოდეს იმ დევის ადგილსამყოფელი და მიშველოს რამეო.

თეთრი დევი სანადიროდ იყო წასული. ქმრის მოსვლამდე ქალმა ძმა დამალა. საღამოზე მოვიდა თეთრი დევი, შეგიდა შინ და დაიძახა:

— უცხო ადამიანის სუნი მცემსო.

ცოლმა უთხრა:

— ჩემი ძმა არის მოსული და თუ არას ავნებ, გამოგიჩენო.

დევმა უპასუხა:

— თუ უფროსია, შუაზე გავგლეჯ, თუ საშუალოა, ლუკ-

მა-ლუკმა დავჭრი, უმცროს კი ასს დავუჩოქებ, ორასს ვაკოცებ და გულუხვადაც დავასაჩუქრებო.

გამოიყვანა ქალმა ნაბოლარა, დევმა მართლა ასი დაუჩოქა, ორასი აკოცა და უთხრა, — რა გინდა, რით დაგასაჩუქროო?

— მე არაფერი საჩუქარი არ მინდა, — უთხრა ნაბოლარამ, — ასთავიანმა დევმა საცოლე მომტაცა და, თუ რაზე შეგიძლია, იმის პოვნაში დამეხმარეო.

— ვიცნობ მაგ დევს და დიდი ვერაგიც არისო, — თქვა თეთრმა დევმა, სამი ძალით იბრძვის, წყლით, ჰაერით დ. ცეცხლით. სამივე ძალა თუ არ გამოვაცალეთ, ისე ვერ დაგა ბარცხებთო, მე ჰაერის ძალას გამოვაცლი და დანარჩენ ჩემმა ქვისლებმა იციანო.

თეთრი დევის და ცოლად ჰაერის ხელმწიფეს ჰყავდა მოუხმო დევმა თავის სიძეს. მოფრინდა ციდან უზარმაზარ თეთრწვერიანი კაცი, ცხვირი საბერველს უგავდა, პირი — ქურას და ლოყებიც სტვირის გუდასავით გასიებოდა. თეთრმა დევმა უამბო, როგორც იყო საქმე და ბოლოს უთხრა.

— ჩვენ ის ქალი უსათუოდ უნდა დავიბრუნოთ და ასთავიან დევთან დიდი ბრძოლა მოგველის, ამ საქმეში უნდ გვიშველო და შენი კუთვნილი ღონე წაართვაო.

— ადვილი სამსახურიაო, — უთხრა თეთრწვერა კაცმა, — ჰაერიდან შიში ნუ გაქვთ, კუდსაც ვერ გააცანცარებსო.

ადგნენ ნაბოლარა და თეთრი დევი და წავიდნენ წითელი დევის საბრძანებელში. მივიდნენ სასახლესთან, წითელი დევი სანადიროდან დაბრუნებულიყო და ეზოში ირემს ატყავებდა:

— ცოლისძმა რომ მოგიყვანო, ხომ არ გაჯავრდებიო? — დაუძახა თეთრმა დევმა.

— თუ უფროსია თავს წავაგლეჯ, — უპასუხა წითელმა, — თუ საშუალოა, შუაზე გავჭრი, ხოლო თუ უმცროსია, ასს დავუჩოქებ, ორას ვაკოცებ და გულუხვად დავასაჩუქრებო.

წითელმა დევმა მართლაც ასჯერ დაუჩოქა, ორასჯერ აკოცა და ქვისლიცა და ცოლისძმაც შინ შეიწვია. დამ უ

ზოდ გაიხარა უმცროსი ძმის სტუმრობით და მდიდრული სუფრა გაუშალა. ვახშამს რომ მორჩნენ, თეთრმა დევმა წითელ დევს სტუმრობის მიზეზი უთხრა და დახმარება სთხოვა. წითელი დევის და წყალთა ხელმწიფეს ჰყავდა ცოლად. მოუხმო დევმა თავის სიძეს. მოვიდა უზარმაზარი ყინულის კაცი, ყველაფერი ყინულისა ჰქონდა და წამწამებზეც ყინულის ლოლუები ეკიდა. წითელმა დევმა ჯერ საქმის ვითარება გააცნო და მერე უთხრა, — ასთავიან დევს შენი კუთვნილი ღონე უნდა წაართვაო.

— წყლიდან შიში ნუ გაქვს, ერთ წვეთსაც ვერ ეღირსებაო, — შეჰპირდა ყინულის კაცი.

ქვისლსა და ცოლისძმას წითელი დევიც გაჰყვა და მიიდნენ შავი დევის საბრძანებელში. შავი დევს უკვე გაეტყობინა ირეში და ხორცს ხარშავდა — ქვაბს ქაფქირით დასტრიალებდა.

— ცოლისძმა რომ მოგიყვანო, გაგეხარდება თუ გეწყინებაო? — დაუძახეს თეთრმა და წითელმა დევებმა.

შავმა დევმა ქაფქირი ქვაბში ჩატოვა, დოინჯი შემოიცარა და გამოსძახა:

— თუ უფროსია, თავს წავაცლი, თუ შუათანა — შუაზე გავგლეჯ, ხოლო თუ უმცროსია, ასს დავუჩოქებ, ორასს ვაკოცებ და კარგადაც გავუმასპინძლდებიო.

შავმა დევმა ასი დაუჩოქა ნაბოლარას, ორასი აკოცა და ქვისლებიცა და ცოლისძმაც შინ შეიწვია. უმცროსი ძმის სტუმრობით, რა თქმა უნდა, დამაც დიდად გაიხარა და მაშინვე გულუხვი სუფრა გაუშალა. ვახშმის შემდეგ თეთრმა და წითელმა დევმა ქვისლს ცოლისძმის გასაჭირი გააცნეს და დახმარება სთხოვეს. შავი დევის და ცეცხლთა ხელმწიფეს ჰყავდა ცოლად. მოუხმო დევმა და მოვიდა ერთი უზარმაზარი ცეცხლის კაცი. პირიდან და ცხვირიდან სულ ღადარი სცვიოდა და თავზე ცეცხლის ალი ეხვია. უთხრა შავმა დევმა, რისთვისაც მოიხმო, და ცეცხლის ხელმწიფემაც თანხმობა მისცა:

— ჩემგან ერთ ნაპერწკალსაც ვეღარ ეღირსებაო.

ადგნენ მეორე დღეს სიძე-ცოლისძმები და ოთხივენი ასთავიანი დევის სამფლობელოსაკენ წავიდნენ. ბევრი იარეს,

თუ ცოტა იარეს, ბოლოს ერთ მთისოდენა სასახლეს მიადგ-ნენ. ეს ასთავიანი დევის სახლი იყო. მიადგნენ ჭიშკარს და დაუძახეს:

— ასთავიანო, ბაყბაყო, ასნი მოვედით, ასი უნდა გკრათ და, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი და გაგვიმაგრდიო!

გამოვიდა ასთავიანი დევი, მაგრამ რა გამოვიდა, — უზარმაზარი, შავი, ბანჯგვლინი და ღრჯოლებიანი. გამოდ-გა ჭიშკარში და აგდებულად გამოსძახა:

— ჩიტი ბატკნად არ ღირდა, დევნა მეტი იყოო. თქვენ რა ხართ და თქვენთან ბრძოლამ რა უნდა მიყოს. ერთ შეგი-ბერავთ, მტვრად გაქცევთ და ქარს გაგატანთო.

ნაბოლარამ ვეღარ მოითმინა, — აბა მაშ გამიმაგ-რდიო! — შესძახა და ხმალამოწვდილი გაექანა. სიძეებმაც ხმლები იშიშვლეს და უკან მიჰყვნენ. ასთავიანმა დევმა მო-უხმო ქარიშხალს, მაგრამ ფოთოლიც არ შეირხა, მოუხმო წყალს და ერთი ტალღაც არ დაიძრა, შეკრთა დევი და უკა-ნასკნელ ღონეს — ცეცხლს მოუხმო, მაგრამ აქაც მოტყუვდა, ალი კი არა, ნაპერწკალიც არსად ჩანდა.

მიხვდა დევი, რომ დამარცხებული იყო და შიშით თავ-ზარი დაეცა, დაუჩოქა და შეეხვეწა, — ოღონდ ნუ მომკლავთ და მზეთუნახავი ქალიცა და მთელი ჩემი ქონება-ცხოვრებაც თქვენი იყოსო.

თქვეს დევებმა—ამისი ძალა მაინც ჩვენს ხელშია და, რომც რამე გაბედოს, რას დაგვაკლებსო, და ასთავიან დევს სიცოცხლე შეუნარჩუნეს, მაგრამ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი კი მთლიანად წამოიღეს. წამოიყვანეს ხელმწი-ფის ასულიც და წამოვიდნენ. დევებმა თავიანთ საზღვრებს გამოაცილეს ქალ-ვაჟი, მისცეს თითო ჯორაკიდებული თვალ-მარგალიტი, თითო საჯდომი ცხენი და გამოისტუმ-რეს.

მოდიან ხელმწიფის ასული და ნაბოლარა მარტოები, მო-დიან დღე და ღამე. ქალს შეუყვარდა თავისი მხსნელი, მაგ-რამ ნაბოლარა არაფერს ეუბნება და არც საიდუმლოს უმ-ხელს. ასე მოვიდნენ ხელმწიფის სასახლემდე. ხელმწიფემ უზომოდ გაიხარა თავისი უმცროსი ქალის ნახვით, იმავ-წამს სამგლოვიარო ძაძა გაიხადა და ხალხსაც სალხინოდ

მორთვა უბრძანა. ნაბოლარას დიდი მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— მართალია, ჩემი ასულის ნიშანი სხვასა აქვს გატაცებული და, რაკი გლოვა დამთავრდა, ალბათ მოვა კიდეც და პირობის ასრულებას მომთხოვს, მაგრამ, რა ვქნა, შენთან უფრო ვერ გავტეხ პირს, იმან მარტო ნიშანი წაიღო, შენ კი ტყვეობიდან დაიხსენი და ცოცხალი მომგვარე. მაშასადამე, საკუთნოც უფრო შენია, დაიწერე ჯვარი და ქვეყნის მართვა-გამგეობაც ჩაიბარეო.

— თქვენი სიძეობა ჩემთვის დიდი წყალობაა, — უთხრა ნაბოლარამ, — მაგრამ უფროსი ძმები მყავს, ერთი დღით წავალ, იმათაც დავეკითხები და ქორწილში მოვიწვევო.

ხელმწიფემ ნება დართო. წავიდა ნაბოლარა თავის ძმებთან. ძმებს უკვე მკვდარი ეგონათ და უვნებელი რომ დაინახეს, ძალიან გაკვირდნენ. ალბათ აქვე, ახლომახლო სადმე იქნებოდაო, თქვეს და დაცინვა დაუწყეს: — რა ჰქენი რაინდო, დაიხსენი ხელმწიფის მზეთუნახავი ასული თუ ვერაო?

— დავიხსენი და ცოლადაც მომყავსო. — მიუგო ნაბოლარამ, — ახლა სწორედ თქვენს დასაპატიჟებლად მოვედი და, თუ გამომყვებით, კაი სეირს გაჩვენებთო.

ძმებმა თქვეს, — მოდი გავყვეთ და გავიგოთ მაინც ეს ჭუტუცი სად დადის და რას აკეთებსო. მაშინ ადგა ნაბოლარა, გამოიყვანა შავი რაში და უფროს ძმას გადასცა, გამოუტანა უნაგირიც, — ბალიშქვეშ ერთი ხელი შავი ტანსაცმელი და აბჯარ-საჭურველია, გამოიღე, მოიკაზმე და შეჯექიო, გამოიყვანა წითელი რაში, გამოიტანა უნაგირიც, შუათანა ძმას ჩააბარა და იმასაც ისე უთხრა, — ბალიშქვეშიდან საცმელ-საჭურველი გამოიღე, მოიკაზმე და შეჯექიო. თვითონ თეთრად გამოეწყო, თეთრ რაშზე შეჯდა და ძმებს ხელმწიფის სასახლისაკენ გაუძღვა. შეიყვანა ეზოში და ხელმწიფეს დაუძახა:

— უმცროს ქალს რომ ათხოვებ, უფროსებმა რაღა დაგშავეს, ბედს რად უკარგავ, გამოიყვანე სამივეზი და აქ დაყენეო.

გამოიყვანა ხელმწიფემ თავისი ქალები და მწკრივად დაყენა. ნაბოლარამ უბიდან შავი მანდილი ამოიღო და უფ-

როს ქალს გადასცა, — შენ ჩემი უფროსი ძმისთვისაო, ამოიღო წითელი მანდილი, შუათანა ქალს გადასცა და დააყოლა — შენ ჩემი საშუალო ძმისთვისაო. ბოლოს ამოიღო თეთრი მანდილი, უმცროს ქალს ყელზე შემოასვია და თქვა, — ეს კი ჩემთვისაო. ქალმა ასლა კი ვეღარ მოითმინა, გაშალა სელები და კისერზე ჩამოეკიდა. ხოლო ხელმწიფეცას ეწია სიხარულით, რომ ნიშნის გამტაცებელიცა და ტყვეობიდან -დამხსნელიც ერთი და იგივე კაცი აღმოჩნდა და სიტყვის გატესასა და გაწბილებას გადარჩა. მაშინვე მოიწვია ხალხი, მოიწვია მზარეულები, მწდე-ტოლუმბაშები, მეხუკე-მესაკრავენი და სამპირი ქორწილი გამართა.

სამ დღე-ღამეს განუწყვეტელი ლხინი და სმა იყო. ქორწილი რომ დამთავრდა ნაბოლარამ ძმები გაისტუმრა და წასვლისას სასალხოდ უთხრა:

— აი, ჩემო ძმებო, დღეს ერთად ვართ და ერთმანეთს გულის პასუხიც უნდა ვუთხრათ: თქვენ მე, როგორც უმცროსს, დამცინოდით და გიჟად მთვლიდით, მაგრამ მე არც გიჟი ვარ და არც დასაცინი რამე მჭირდა. რატომ არ მეკითხებით, საიდან მოვიყვანე ეგ რაშები, ასლა რომ ზედა სხედხართ, როგორ გავტაცე ნიშნები სამივე ქალს და ან ჩემი მზეთუნახავი ვისი დახმარებით დავიბრუნე? გახსოვთ, პირველ ღამეს უცხო სახლში რომ შევედით და მე გითხარით,— მოდით, ვუდარაჯოთ, ეს სახლი უპატრონო არ იქნება და ხიფათს არაფერს გადავეყაროთ-მეთქი. თქვენ ჩემი რჩევა არაფრად ჩააგდეთ და დაიძინეთ. მაგრამ მე მამის ანდერძი არ გავტეხე. ვიჯექი და ვფხიზლობდი. ვნახოთ, შუაღამისას მოვიდა სამთავიანი დევი და განრისხებული ჩვენს დასახოცად შემოვარდა. მაგრამ დავასწარი და ისრით გავგმირე, მერე ავკუწე, ხორცი გადავყარე, სისხლი მოვამშრალე და ნიშნად მარტო ყურები დავიტოვე — ამოიღო ყურები, უფროს ძმას დაუყარა წინ და უთხრა: — ეგ შენი რაში სწორედ იმ დევისეულიაო. მეორე ღამესაც დაიძინეთ, მე კი ისევ ვფხიზლობდი, ასლა წითელი დევი შემომაკვდა, ისიც ისე ავკუწე და ნიშნად ყურები ავაჭერი, — ამოიღო წითელი დევის თვრამეტი ყური, შუათანა ძმას დაუყარა წინ და უთხრა: — ეგ წითელი რაშიც სწორედ

იმისეულიაო. მესამე ღამეს უკვე ჩემი ჯერი იყო და ახლა თეთრი დევი მომადგა, ისიც მოვკალი. ოცდამეოთხე ყური ხელიდან გამივარდა და სანთელი ჩამიქრო. დავრჩი ბნელში, რა ვქნა, დევი უნდა ავკუწო და შორს გადავყარო, სისხლი მოვამშრალო, რომ თქვენ არაფერი გაიგოთ, მაგრამ სიბნელეში ვერაფერს ვხედავ. გამოვედი კარში, გავიხედე და შორს სინათლის ჭიატი დავინახე. წამოვედი და აი ამ ბროლის კოშკს კი მოვადექი. სინათლე სწორედ აქედან გამოდიოდა, მაგრამ შესასვლელი კარი არსად ჰქონდა. ავდექი, დავგრიხე თოკი და იმით ავედი. ოთახში ამ მზეთუნახავ ქალებს ეძინათ, სანთლები შევუცვალე, შანდალი წამოვიღე და წამოვედი. მოვედი, თქვენ გაღვიძებამდე დევი ავკუწე, გადავყარე და სისხლიც მოვამშრალე. აი ეს ჩემი თეთრი რაში იმისეულია და მანდილები სწორედ ამ რაშებმა მომატაცებინეს. აი, ძმებო, ხომ ხედავთ, მეც რომ თქვენსავით გულღრძო ვყოფილიყავი, ახლა აღარც თქვენ იქნებოდით და არც ეგ რაშები და მზეთუნახავები გეყოლებოდათ. ახლა წადით და ერთმანეთში მაინც იყავით კარგად, რომ ლხინი უფრო გაგიტკბეთ და ჭირი გაგიადვილდეთო.

დარცხვენილმა ძმებმა თავები დახარეს და ისე წავიდნენ. ნაბოლარა კი დარჩა სიმამრთან, გადაიბარა ტახტი, მოისვა გვერდით თავისი მზეთუნახავი ცოლი და შეუდგა ქვეყნის მართვა-გამგებლობას.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ბეინაზარის ქალი

სალსნო, ყური მოვმაპყარით, ღმერთი მოგცემთ სამართალსა,
ზღაპარს ვიტყვი, შიგ არ გავრევ, არც ტყუილსა, არც
მართალსა.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი მეთევზე, სახელად — ბეინაზარი. ჰყავდა ცოლი და სამი ძუძუთა ქალიშვილი, მეთევზეობით ბევრს ვერაფერს შოულობდა და ოჯახს გაჭირვებით ინახავდა.

ერთ დღესაც წავიდა ზღვის პირას სათევზაოდ, მაგრამ ვერაფერი დაიჭირა. დაღონდა ბეინაზარი, მოიხადა ქუდი და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო, მოწყალეო, ოღონდ დღეს შემეწიე, შინ ხელცარიელს ნუ გამგზავნი და რასაც დავიჭერ, ნახევარს გიბოძებო, — ისროლა ბადე და ერთი წითელი თევზი გააბა. ბეინაზარმა დახედა ნადავლს და გაკვირვებულმა წამოიძახა, — კაცი ამ საქმეში ვბერდები და ასეთი თევზი არც თვალით მინახავს და არც ყურით გამიგონიაო.

თევზმა უცბად ენა ამოიდგა და ბეინაზარს უთხრა:

— გამიშვი და ბედსა გწევო.

ბეინაზარმა იფიქრა, — ეს რაღაც უცნაური თევზი ჩანს, მოდი გავუშვებ, იქნებ მართლაც ბედსა მწიოსო.—ადგა და გაუშვა. თევზი მობრუნდა და კიდევ უთხრა:

— კეთილო ბეინაზარ, მოდი, შემაჯექ ზურგზე და ზღვათა ქვეყანაში გაგიყვან. ზღვათა ქვეყნის ხელმწიფე საჳზიროდ კეთილ კაცს დაეძებს, შენ სწორედ ასეთი ხარ. ჩაიარე სასასლესთან, დაგინახავს და ვეზირად დაგნიშნავს. შენც

ჯარგად იქნები და ცოლ-შვილსაც აღარაფერი მოაკლდებაო.

შეაჯდა ბეინაზარი თევზს ზურგზე და გავიდა ზღვათა ქვეყანაში. თევზმა დედაქალაქის მისადგომებამდე მიიყვანა. ნაპირზე გადმოსვა და უთხრა:

— აგე თეთრი მარმარილოს სასლი რომ ჩანს, ეგ არის ხელმწიფის სასახლე, მიდი თამამად და ჭიშკრის წინ აიარ-ჩაიარე. ხოლო თუ ოდესმე ჩემი თავი დაგჭირდეს, მოდი ამ ნაპირზე და დაიძახე:

წითელ ზღვის წითელო თევზო,
ჩემი თხოვნა შეიწყნარე,
შენს მეგობარ ბეინაზარს,
საქმე უჭირს, დაეხმარე.

მე მაშინვე შენთან გავჩნდები და, რასაც მთხოვ, შეგიხრულებო.

წავიდა ბეინაზარი და მივიდა მარმარილოს სასახლესთან. გადმოიხედა ხელმწიფემ სარკმლიდან, დაინახა ბეინაზარი და დაუძახა, ცოტა ხანს ჩემთან ამოდიო! ავიდა ბეინაზარი, მოიხადა ქუდი და მდაბლად თავდაკვრით მიესალმა:

— რას მიბრძანებთ, დიდებულო ხელმწიფეო?

ხელმწიფემ დაწვრილებით გამოჰკითხა ვინაობა, სადაურობა და ბოლოს უთხრა:

— თუ თანახმა იქნები და ვაჟიშვილიც გყავს, ვეზირად მინდა აგიყვანოო.

ბეინაზარმა იცოდა, რომ ხელმწიფე ვეზირად არ აიყვანდა, თუ მემკვიდრე ვაჟი არ ეყოლებოდა და სიბერეში მამას არ შესცვლიდა, დახარბდა ვეზირობას და იცრუა, — მყავსო. ხელმწიფემაც აიყვანა ვეზირად. ამ დღიდან ბეინაზარსა და მის ოჯახს გაჭირვება აღარ უნახავთ. ბეინაზარი ერთგულად ემსახურებოდა ხელმწიფეს და ისიც გულუხვად ასაჩუქრებდა.

გავიდა ხანი, ბეინაზარი სიბერეში შევიდა და სახელმწიფო დავალებებს ისეთი სისწრაფით ვეღარ ასრულებდა. ბოლოს დადგა დრო ბეინაზარის განთავისუფლებისა და მის

ადგილზე მისი შვილის დანიშვნისა, და ხელმწიფემ უთხრა ბეინაზარს:

— ჩემო ერთგულო ვეზირო, ღმერთია მოწამე, რომ არ მეთმობი, მაგრამ ქვეყანა, ხალხი სამსახურს თხოულობს და ნოვალეობას ვერსაით წავუვალთ. თუ არ გეწყინება, დაბრუნდი შინ, დაისვენე და შენს მაგივრად შენი შვილი გამოგიგზავნეთ.

ბეინაზარმა მწარედ ინანა, რომ თავიდანვე სიმართლე არ უთხრა და უძეობა დამალა, მაგრამ ახლა სინანულით ველარაფერს უშველიდა. წამოვიდა შინ და გუნებაში გადაწყვიტა, — გამოვცდი ჩემს ქალებს, იქნებ რომელიმეს ვაჟის თვისებები აღმოაჩნდეს, ჩავაცმევ ვაჟურად და გამოვუგზავნიო.

ცოლ-შვილი სიხარულით შეეგება დიდი ხნის უნახავ მამას. ბეინაზარმა ქალები აქეთ-იქიდან შემოისხა და ერთი ისეთი ამოიოხრა, რომ ლამის გულიც თან ამოაყოლა.

— რა იყო, მამილო, რაზე ოხრავო? — ჰკითხეს გოგოებმა.

ბეინაზარმა უამბო, რაც აწუხებდა. წამოდგა უფროსი ქალი და უთხრა:

— მერე მაგაზე რატომ დაღონდი, მე გამგზავნე იმ ხელმწიფესთან, ჩავიცვამ ბიჭურად და ერთგულადაც ვემსახურებიო.

— თუ მაგას შესძლებ, რაღა მიჭირსო, — უთხრა ბეინაზარმა, გამოაწყო ვაჟურად, მისცა თავისი ბასრი ხმალი, თოფი, დამბაჩა, შესვა ცხენზე და გაისტუმრა. ქალი რომ თვალს მიეფარა, ბეინაზარიც ცხენზე შეჯდა, სახე ყაბალახით აიხვია, უყელა მოკლეზე ქალს და ხმალამოწედილი წინ გადაუდგა.

— სად მიხვალ, შე ჭაკო, ჭაკის გაზრდილო, — დასჭყივლა მუქარით, — ახლავე უკან გაბრუნდი, თორემ თავს გაგაგდებინებო!

ქალს შიშით გული გადაუტრიალდა, უსიტყვოდ შემოაბრუნა ცხენი და სახლისაკენ გააჭენა. ბეინაზარი ისევ მოკლე გზით დაბრუნდა და ქალს შინ მიასწრო. როცა ქალიც მოვიდა, მამამ ჰკითხა:

— რა იყო, შვილო რატომ დაბრუნდიო?

— გზაში ვიღაც შავყაბალახიანი კაცი დამიხვდა და კიწაღამ ხმლით ამკუწაო, — გამოუტყდა ქალი.

ახლა შუათანა გოგომ თქვა:

— მე წავალ, მამილო, მე არაფრისა არ მეშინიაო.

ბეინაზარმა გაგზავნა, მაგრამ იმასაც ისე უყელა, გადაუდგა გზაზე ყაბალახახვეული და მუქარით დასჭყივლა:

— სად მიხვალ, შე ჭაკო, ჭაკის გაზრდილო, ახლავე უკან გაბრუნდი, თორემ თავს გაგაგდებინებო!

შეშინდა ქალი, შემოაბრუნა ცხენი და შინისაკენ მოკურცხლა.

ბოლოს მივიდა უმცროსი გოგო და შეეხვეწა, — მე გამიშვიო.

— გაგიშვებ კი, მაგრამ შენც გულგახეთქილი დაბრუნდებიო, — უთხრა ბეინაზარმა.

გოგო უფრო შეეხვეწა:

— ოღონდ გამიშვი და წინ ცხრათავიანი დევიც რომ შემხვდეს, არ შემეშინდებაო.

შეუკაზმა ბეინაზარმა კარგი ქურანა ცხენი, შეაბა ხმალი, შემოსა ჯაჭვ-მუზარადით და გაისტუმრა. მერე თვითონაც ჩვეულებრივ შეჯდა ცხენზე და მრკლე გზით უყელა. დაუხვდა ერთ უდაბურ, ბნელ ადგილას, იძრო ხმალი და როცა მოუახლოვდა, შესძახა:

— სად მიხვალ შე ჭაკო, ჭაკის გაზრდილო, ახლავე უკან გაბრუნდი, თორემ თავს გაგაგდებინებო!

— შორიდან რას მემუქრები, ახლოს მოვალ და დამიხვდიო! — უპასუხა გოგომ, იშიშვლა ხმალი და ცხენი ზედ მიაგდო. ბეინაზარს შეეშინდა, საჩქაროდ მოიძრო ყაბალახი და გადაეხვია.

— შენ გენაცვალე, შვილო, შენ მართლაც ვაჟკაცის გული გქონია და მამის ადგილსაც ღირსეულად დაიჭერო, — უთხრა. მერე დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო და ზღვათა ქვეყანაში როგორ მისულიყო:

— ზღვის პირას რომ მიხვალ, დაიძახე, წითელი ზღვის წითელო თევზო, ბეინაზარის შვილი მოვედი და ზღვათა ქვეყანაში გამიყვანეო. ის თევზი ჩემი კარგი მეგობარია,

ზღვაშიც გაგიყვანს და გასაჭირშიც დაგეხმარება. რაც კი დაგჭირდება, მიდი ზღვასთან, გამოიძახე და როგორც ღაგარიგოს, შენც ისე მოიქეცი და ქვეყნად ყველა დაბრკოლებას დასძლევო. — ამ სიტყვებით ბეინაზარმა შემოიხსნა თავისი ბასრი სმალი, გადაჰკიდა ქალს და დაუმატა, — აი, შვილო, ეს ხმალი რკინის მჭრელია და არსად არ გიღალატებსო. — გადაკოცნა საბოლოოდ და გაისტუმრა.

წავიდა ბეინაზარის ქალი, მივიდა ზღვასთან და დაიძახა:

— წითელი ზღვის წითელო თევზო, ბეინაზარის შვილი მოვედი და ზღვათა ქვეყანაში გამიყვანეო.

გამოცურდა წყლიდან წითელი თევზი და უთხრა, — მამაშენს ჩემზე ისეთი სიკეთე აქვს, რომ სამსახურს როგორ დაგამადლიო, — შეისვა ზურგზე და გაიყვანა ზღვათა ქვეყანაში. დაანახვა ხელმწიფის სასახლე და გამომშვიდობებისას უთხრა:

— მე ამ ზღვის მკვიდრი ბინადარი ვარ, თუ რამე გავიჭირდეს, მოდი აქ, დამიძახე და იმ წუთში შენთან გავჩნდებიო. — თევზი ზღვაში შეცურდა; ხოლო ქალი პირდაპირ ხელმწიფის სასახლისაკენ გაემართა. მივიდა კარის მცველებთან და უთხრა:

— მოახსენეთ თქვენს ხელმწიფეს, რომ ბეინაზარის შვილი მოვიდა და თქვენთან სამსახური სურსო.

ხელმწიფემ ბრძანა, შემოიყვანეთო.- შევიდა ბეინაზარის შვილი, დადგა ხელმწიფის წინ და მოახსენა:

— დიდებულო ზღვათა ქვეყნის მპყრობელო, გეახელით თქვენი ვეზირის შვილი, რომ ჩის მაგივრად გემსახუროთო.

ხელმწიფეს ძალიან მოეწონა ლამაზი და ზრდილი ჭაბუკი, დაისვა გვერდით და ტკბილად უთხრა:

— მიხარია, რომ მამაშენს ასეთი კარგი ვაჟკაცი ჰყოლიხარ, დღეიდან ჩემი პირველი ვეზირი იქნები და, იმედია, შენც ისევე ერთგულად მემსახურები, როგორც მამაშენი მემსახურებოდაო.

— ვეცდები, მამაჩემის სახელი არ შევარცხვინოო, — უთხრა ქალმა და მართლაც ისე სამართლიანი და გამჭრიახი მსაჯული გამოდგა, რომ მალე მთელს სახელმწიფოში სახელი გაუვარდა. ბეინაზარის შვილის ქებამ ბოლოს სელ-

მწიფის მზეთუნახავი ქალის ყურამდეც მიაღწია. ქალმა მამას საყვედური შეუთვალა: თურმე ჩვენი საყვარელი ბეინაზარის მაგივრად მისი ვაჟი ჩამოსულა სასახლეში და როგორ მოხდა, რომ მე აქამდე არაფერი შემატყობინე და არც გამაცანი. დღესვე გამომიგზავნე და მაჩვენეო. ხელმწიფეს იმ ერთადერთი ქალის მეტი არავინ გააჩნდა და მის სურვილს უსიტყვოდ ასრულებდა. დაიბარა ბეინაზარის შვილი და უთხრა:

— ჩემს ქალიშვილს შენი გაცნობა უნდა და წადიო.— გააყოლა მოსამსახურე გოგო და გაგზავნა. ხელმწიფის ქალი ცალკე კოშკში ცხოვრობდა. დაინახა თუ არა ბეინაზარის შვილი, გულში უმალ სიყვარული ჩაუვარდა. მაშინვე სუფრა გააშლევინა, მოატანინა რაც კი რამ გემრიელი სასმელ-საჭმელი ეგულებოდა და გულუხვად გაუმასპინძლდა. წამოსვლის დროს რომ მოაწია, წამოდგა ბეინაზარის შვილი და ქალს დაემშვიდობა, მაგრამ ქალმა არ გამოუშვა, კარებში გადაუდგა და უთხრა:

— არა, ამაღამ ვეღარსად ვერ გაგიშვებ. დაგინახე თუ არა, გულში სიყვარული ჩამივარდა. დღეიდან შენ ქმარი უნდა იყო ჩემი და მე შენი ცოლიო.

დაღონდა ბეინაზარის შვილი: რა ექნა აღარ იცოდა, ეთქვა, რომ ბიჭი არა ვარო? — ეს მამის გაყიდვა და ღალატი გამოდიოდა, არ ეთქვა კიდევ და, ხელმწიფის ასულისათვის უარი როგორ ეკადრებინა. ბევრი ფიქრის შემდეგ ისევ უარი ამჯობინა, ჩამოიცილა გზიდან და მკაცრად უთხრა:

— ეს არასოდეს არ მოხდება. მე ვერც მამაჩემის სახელს შევარცხვენ და ვერც ჩვენი დიდებული ხელმწიფის ოჯახსო.

ხელმწიფის ასულმა გულში მუშტი ჩაიკრა და მიაძახა:

— მაშ მე ქალი არ ვიყო, თუ შენი ხორცი შენივე კბილებით არ გაგლეჯინოო!

გავიდა ცოტა ხანი. ხელმწიფის ქალმა თავი მოიავადმყოფა და ლოგინში ჩაწვა. ხელმწიფემ მთელი მკურნალ-დასტაქრები იქ შეყარა, მაგრამ ქალი სულ უარესად და უარესად ხდებოდა. ბოლოს თვითონ ჰკითხა, — შვილო, მითხარი, რა მოგარჩენს და შენთვის არაფერს დავიშურებო.

— საყვარელო მამავ, — უთხრა ქალმა, — ვიცი, რომ ძა-

ლიან გიყვარვარ და თუ ჩემი მორჩენა გინდა, ეს ნატვრა უნდა შეგისრულო: კლდეთა ქვეყანაში გველეშაპს რომ უკვდავების ვენახი აქვს, იქისი ყურძენი უნდა მომიტანო და მაჭამოო.

დაღონდა ხელმწიფე და ჰკითხა:

— შვილო, ვის შეუძლია იმ ყურძნის მოტანა, ჩემს სახელმწიფოში ვინ არის ისეთი, რომ ეგ საქმე შესძლოსო?

— ამის შესრულება მარტო თქვენს ერთგულ ბეინაზარის შვილს შეუძლია და, თუ უბრძანებთ, არც უარს იტყვისო, — უპასუხა ქალმა.

წამოვიდა ხელმწიფე სასახლეში, დაიბარა ბეინაზარის შვილი და უთხრა:

— ჩემო ერთგულო ვეზირო, ჩემი ქალი ავად გახდა და გველეშაპის ვენახის ყურძენს თხოულობს. თუ მიშველი, ისევ შენ მიშველი, თუ არადა ამ საქმის გამკეთებელი სხვა არავინ მეგულებაო.

— მე თქვენი ვეზირი ვარ და რასაც მიბრძანებთ, უნდა ავასრულოო, — უთხრა ბეინაზარის შვილმა, გადაიკიდა მამისეული ბასრი ხმალი და წავიდა ზღვის სანაპიროზე, რომ წითელი თევზი გამოეხმო და რჩევა-დარიგება ეკითხა. მოცურდა წითელი თევზი და ჰკითხა:

— რა იყო, რა გაგჭირვებიაო?

— ხელმწიფემ გველეშაპის ყურძნის მოტანა დამავალა, და რა ვქნა, არ ვიცი, — საით წავიდე, ან რა ხერხით მივუდგეო.

— ნუ გეშინია,—უთხრა თევზმა,—ეგ ადვილია, სხვა—ძნელი. იმ გველეშაპს ახლა სამი წლით ძილქუში აქვს დაცემული და ხმლით ნაჭერ-ნაჭერაც რომ აკუწო, არ გაიღვიძებს, უშიშრად გადააბოტე ზედ, დაკრიფე რამდენიც გინდა და გამობრუნდიო. — ასწავლა გზა-კვალი და უკანვე შეცურდა.

ახსენა ღმერთი ბეინაზარის შვილმა და გაუდგა გზას, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, ბოლოს მივიდა კლდეთა ქვეყანაში და მონახა გველეშაპის ვენახი. მივიდა ახლოს და თქვენს მტერს, რაც იმან იქ დაინახა: შავი, უზარმაზარი გველეშაპი გალავნად შემოვლებოდა ვენახს, პირში თავისივე კუდის წვერი ჩაედო და მძინარე საბერველივით ქშინავდა,

ბეინაზარის შვილმა უშიშრად გადააბიჯა გველეშაპის ლორწოვან ტანზე და შევიდა ვენახში, დაკრიფა რომელი ყურძენიც კი მოეწონა, გაივსო კალთა და უკანაც ასევე უშიშრად გამობრუნდა. ცოტა გზა რომ გამოიარა, იფიქრა, იქნებ არ დამიჯერონ, რომ ეს ყურძენი მართლა გველეშაპის ვენახში დავკრიფე და ჯობია ნიშანი რამე წავიღოო. დაბრუნდა უკან, ააჭრა გველეშაპს ყურის ბიბილოები და გაუდგა გზას. მივიდა სასახლეში და მიიტანა ყურძენი. მერე ყურის ბიბილოებიც ამოიღო ჯიბიდან, ხელმწიფეს წინ დაულაგა და უთხრა:

— იქნებ არ დაგეჯერებინათ, რომ ყურძენი მართლა გველეშაპის ვენახში დავკრიფე, ამიტომ გველეშაპს ყურის ბიბილოები ავაჭერი და წამოვიღეო.

ხელმწიფემ დიდად დაუმადლა სამსახური და ძალიანაც გაუხარდა, რომ ვეზირი მთელი და უვნებელი დაბრუნდა. იმავ დღეს გაუგზავნა ყურძენი თავის ქალს, ქალმა შეჭამა ერთი მტევანი და საღ-სალამათი მაშინვე ფეხზე წამოდგა.

გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და ხელმწიფის ქალმა ისევ თავი მოიავადმყოფა. დაიბარა თავისი მამა და უთხრა:

— ჩემო მამილო, ვიცი ძალიან გიყვარვარ, და თუ გინდა, რომ მოვრჩე, ერთი ნატვრაც ამისრულე: დევთა ქვეყნის ამბავი გამაგებინეო.

დაღონდა ისევ ხელმწიფე. უთხრა თავის ქალს:

— შვილო, ვინ გაბედავს სამდევეთში წასვლას, ან იქ წასული კაცი უკან ცოცხალიღა დაბრუნდებაო?

ქალმა უთხრა:

— ამ ამბის გაგება და უკან დაბრუნება მხოლოდ ბეინაზარის შვილს შეუძლია, უბრძანე და შეასრულებსო.

დაიბარა ხელმწიფემ ბეინაზარის შვილი და უბრძანა:

— ვეზირო, სამდევეთში უნდა წახვიდე და იქაური ამბავი მოგვიტანოო.

რა თქმა უნდა, ვეზირი ხელმწიფის ბრძანებას ვერ გადავიდოდა და ბეინაზარის შვილიც მაშინვე სამზადისს შეუდგა. გაიმზადა საგზალი, გადაიკიდა მამისეული ბასრი ხმალი, წავიდა ზღვის ნაპირზე და დაიძახა:

წითელი ზღვის წითელო თევზო,
ჩემი თხოვნა შეიწყნარე.
შენ ძმა ბეინაზარის შვილს
საქმე უჭირს, დაეხმარე.

გამოცურდა წითელი თევზი და ჰკითხა, — რა გაგჭირვებიაო?

— ხელმწიფე დევების ქვეყნის ამბის შესაგყობად გგზავნისო — უთხრა ბეინაზრის შვილმა.

— ნუ გეშინია, ეგ ადვილია, სხვა — ძნელი, — უთხრა თევზმა, — მე როგორც დაგარიგებ, ისე მოიქეცი და იქიდანაც მშვიდობით დაბრუნდები: დევების ქვეყანა ცხრა მთას იქით მდებარეობს, შესასვლელში რკინის კარები აბია, კარები სულ მოძრაობს და ისე სწრაფად იღება და იხურება, რომ შიგნით შეფრენას ბუზიც ვერ მოასწრებს. იქვე ერთი უშველებელი რკინის ბოძია მიყუდებული, აიღე ის ბოძი, ჩაუგდე დირეში და კარი ვეღარ დაიკეტება. შიგნით რომ შეხვალ და ცოტა მანძილს გაივლი, ერთ სახლს მიაღგები. სახლის კარები ღია დაგხვდება, სახლში ერთი ჩონგური ჰკიდია კედელზე, მთელი სამდევეთის ძალა იმ ჩონგურშია და ერთი კოჭლი დევი დარაჯობს. კოჭლი დევი დღეში სამჯერ მოსაშარდად გამოდის, შენ კარებს ამოეფარე, და როცა დევი გამოვა, შევარდი შიგ, ჩამოიღე ჩონგური და დაიჭირე ხელში, რამდენიც არ უნდა გესვეწოს კოჭლი დევი, არ მისცე და მთელი სამდევეთი დაგეშორჩილებაო.

წავიდა ბეინაზარის შვილი, გადაიარა ცხრა მთა და მიადგა რკინის ჭიშკარს. კარები მართლაც გაუჩერებლად იღებოდა და იხურებოდა. აიღო ბეინაზარის შვილმა იქვე მიყუდებული რკინის ბოძი, გაუყარა დირეში და გააჩერა. შევიდა შიგნით და მიადგა იმ სახლს, სადაც ჩონგური ინახებოდა. ამოეფარა კარს და დაუწყო ლოდინი, ცოტა სანის შემდეგ კოჭლი დევიც გამოვიდა და სახლსუკან მოეფარა. ბეინაზარის შვილმა დრო იხელთა, შევარდა სახლში და ჩამოხსნა კედლიდან ჩონგური. მობრუნდა კოჭლი დევი და ჩონგური სხვის ხელში რომ დაინახა, თავზარი დაეცა. შეე-

ხვეწა ბეინაზარის შვილს, — ოღონდ ეგ ჩონგური დამიბრუნე და რასაც მომთხოვ, შეგისრულებო.

ბეინაზარის შვილმა უთხრა:

— თუ გინდა, რომ ჩონგური დაგიბრუნო, წადი ახლავე და მთელი სამდევეთი — დიდი და პატარა, ქალი და კაცი აქ მოიყვანეო.

გამოვიდა კოჭლი დევი კარში და ერთი ისეთი დაიღრიალა, რომ მთა-ბარს სულ ზანზარი დააწყებინა. დაიძრა მთელი სამდევეთი. დაიწყო მოდენა დიდმა და პატარამ, გაიჭედა მთელი მინდორი, ტევა აღარ არისl ბოლოს სამდევეთის ხელმწიფეც მოვიდა და კოჭლ დევს ჰკითხა, — რა იყო, რისთვის მოგვიხმეო?

— ვიღაც კაცი შემოპარულა ჩვენს ქვეყანაში, ჩამოუღია ჩვენი ჩონგური და ახლაც ხელში უჭირავს. შევეხვეწე, დამიბრუნე ჩონგური-მეთქი, მაგრამ ახლოც არ გამიკარა. მითხრა: თუ გინდა, რომ არ დავამტვრიო, და ჩონგური ისევ მთელი დაგიბრუნო, ახლავე მთელი სამდევეთი აქ მომიყვანეო. — უთხრა კოჭლმა დევმა, — მეც რაღა მექნა, გამოვედი და მოგიხმეთო.

— რაკი აქ შემოსვლა გაბედა, ან ამირანი იქნება, ან ამირანის შვილი, — თქვა დევთ ხელმწიფემ და თავისი ქვეშევრდომები გააფრთხილა, — ურჩობა არავინ გაბედოს, რასაც გვიბრძანებს, დავემორჩილთთ და შევასრულოთო.

ბეინაზარის შვილმა ეს სიტყვები რომ გაიგონა, უფრო გული მოეცა, უშიშრად გამოვიდა სახლიდან და დევებს მჭექარე ხმით მიესალმა, დევებმა მდაბლად თაყვანი სცეს და დედამიწაზე ცხვრებივით დაეყარნენ. ფეხზე მარტო მათი ხელმწიფე დარჩა და ჰკითხა ბეინაზარის შვილს:

— რას მოითხოვ, რით გემსახუროთ? ოღონდ ჩონგურს ნუ დაგვიმტვრევ. მთელი დაგვიბრუნე და რასაც გვიბრძანებ, შევასრულებთო.

— ნუ გეშინიათ, — უთხრა ბეინაზარის შვილმა, — ჩონგურს არაფერს ვავნებ და თავის დროზე ისევ თქვენ დაგიბრუნებთ, ოღონდ ახლა ყველანი ჩემთან უნდა წამოხვიდეთ და რასაც გეტყვით, უსიტყვოდ აასრულოთო.

დევთ ხელმწიფემ თანხმობა მისცა. გაუძღვა წინ ბეინაზარის შვილი და გაჰყვა უკან მთელი სამდეევეთი. მოდიან და მიგრაგნიან მთა-ბარს, გადაიარეს ცხრა მთა, ცხრა მინდორი და მიადგნენ წყალთა ქვეყნის სახელმწიფოს. დედაქალაქის მცხოვრებლებმა დევების ლაშქარი რომ დაინახეს, ერთი წივილ-კივილი და ღრიანცელი ატეხეს, მიატოვეს სახლები, დუქნები, სახელოსნოები და ტყე-ღრეში გაიხიზნენ, კარისკაცები ხელმწიფესთან შეცვივდნენ და მოახხენეს:

— დიდებულო ხელმწიფევ, ჩქარა თავს უშველეთ, თორემ დაიღუპებით, ქალაქს დევების ლაშქარი მოადგა, წინ თქვენი ვეზირი ბეინაზარის შვილი მოუძღვება და აკლებას გვიპირებსო.

გამოვიდა ხელმწიფე, გაისედა და თავზარი დაეცა: ლაშქრის თავი უკვე ქალაქში შემოსულა და ბოლო კი ჯერ კიდევ არა ჩანს. გამოვიდა ხელმწიფე სასახლიდან, შეეგება ბეინაზარის შვილს და საყვედურით უთხრა:

— რა დაგიშავე, ბეინაზარის შვილო, რომ ჩემს ასაკლებად მთელი სამდეევეთი მოგიყვანიაო?

ბეინაზარის შვილმა დაიჩოქა და მოახსენა:

— რატომ მწამებთ ცილს, დიდებულო ხელმწიფევ, — რაში ხედავთ თქვენსა და თქვენი ქვეყნის ღალატს? განა თვითონ თქვენ არ მიბრძანეთ სამდეევეთის ამბის გაგება? მე მხოლოდ თქვენი ბრძანება შევასრულე და ამბის მაგიერ, მთელი სამდეევეთი აქ მოვრეკეო.

ხელმწიფე მიხვდა თავის შეცდომას და თავის ერთგულ ვეზირს გულთბილი მადლობა გადაუხადა. მერე შიკრიკი გაგზავნა თავის ავადმყოფ ქალთან და შეუთვალა: ბეინაზარის შვილმა ეს სურვილიც შეგისრულა — მთელი სამდეევეთი აქ მოგიყვანა, გამოიხედე ფანჯრიდან და შენი თვალით დაინახეო.

გამოიხედა ხელმწიფის ქალმა და მაშინვე კარგად გახდა. გაიგო ხელმწიფემ ქალის მორჩენა, გახარებულმა დევთ ხელმწიფეც მიიწვია და დიდი ნადიმი გამართა. ნადიმის შემდეგ ბეინაზარის შვილმა ჩონგური დევთ ხელმწიფეს დაუბრუნა და უთხრა:

— მე ჩემი სიტყვა შევასრულე ჩემს ხელმწიფესთანაც და თქვენთანაც. ახლა ჩონგური ისევ შენა გქონდეს და მშვიდობით დაბრუნდით თქვენს ქვეყანაშიო.

დევთ ხელმწიფემ დიდი მადლობა გადაუსადა ჩონგურის დაბრუნებისათვის და თავის საყმოს ისევ თავისი ქვეყნისაკენ გაუძღვა.

გავიდა რამდენიმე სანი და ხელმწიფის ასულმა ისევ თავი მოიავადმყოფა, ჩაწვა ლოგინში და მოჰყვა კვნესას. დაიბარა მამა და უთხრა:

— თუ გაქვავებული ქალაქის ამბავს გამაგებინებ, მოვრჩები, თუ არადა სიკვდილი არ ამცდებაო.

— შვილო, ოღონდ შენ კარგად გახდი და მთელს ჩემს საბრძანებელს ფესზე დავაყენებ, მოვაძებნინებ იმ ქალაქს და ამბავსაც მოვატანინებო, — უთხრა ხელმწიფემ.

ქალმა უთხრა:

— სხვა ვერავინ შეიტყობს, ისევ ბეინაზარის შვილი გაგზავნეო.

დაიბარა ხელმწიფემ ბეინაზარის შვილი და უთხრა:

— ჩემო ერთგულო ვეზირო, ჩემი მზეთუნახავი ქალი ისევ ავად გახდა. დღეს დამიბარა და მითხრა, — თუ გაქვავებული ქალაქის ამბავს გამიგებ, მოვრჩები, თუ არადა მოვკვდებიო. ჩემს საბრძანებელში შენზე საიმედო არავინ მეგულება და ეს ამბავიც ისევ შენ უნდა გამიგოო.

— შენი ხმალი და ჩემი კისერიო, — უთხრა ბეინაზარის შვილმა, შეიბა მამისეული ხმალი და ზღვის სანაპიროს მიაშურა. დადგა ზღვასთან და ტალღებს ჩასძახა:

წითელი ზღვის წითელო თევზო,
ჩემი ხსოვნა შეიწყნარე,
შენი ძმა ბეინაზრის შვილს
საქმე უჭირს, მიეხმარე.

გამოცურდა წითელი თევზი და ჰკითხა:

— რაო, რა გაგჭირვებიაო?

ბეინაზარის შვილმა უთხრა, რომ ხელმწიფემ ახლა გაქვავებული ქალაქის ამბის გაგება დამავალაო.

— ნუ გეშინია, ეგ ადვილია, სხვა — ძნელიო, — უთხრა თევზმა და დაარიგა, როგორც უნდა მოქცეულიყო:

— ივლი, ივლი, ცხრა მთას გადაივლი და მიადგები გაქვავებულ ქალაქს. მხოლოდ ქალაქის შუა ადგილას ნახავ ერთ კაცს, რომელიც მარტო წელსქვევით იქნება გაქვავებული. ის კაცი იმ ქალაქის ხელმწიფეა. მიდი ახლოს, გაქვავებულ მუხლებზე ფეხი დაადგი, ხელი თავზე დააღევი და სანამ თვითონ არ დაგელაპარაკება, სმა არ ამოიღო, თორემ შენც გაქვავდები. მალე ხელმწიფესთან მისი კუდიანი ცოლი მოვა. იმ ქალს ერთი ჯადოსნური სახრე აქვს, თუ იმას წაართმევ, ყველა სურვილი შეგისრულდება და გაქვავებული ქალაქის ამბავსაც მისგან გაიგებო.

გადაუხადა წითელ თევზს მადლობა ბეინაზარის შვილმა და გაუდგა გზას. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს მივიდა გაქვავებულ ქალაქში. შევიდა შუა ადგილას და ნახა წელქვევით გაქვავებული ხელმწიფე. მივიდა ახლოს, როგორც თევზმა დაარიგა, და ფეხი გაქვავებულ მუხლებზე შეადგა, ხოლო ხელი თავზე დაადო.

ხელმწიფე ჯერ ჩუმად იყო, მაგრამ რა დარწმუნდა, ეს ხმას არ ამოიღებსო, პირველმა თვითონ დაილაპარაკა:

— ვინა ხარ, რა კაცი ხარ, ან აქ მოსვლა რამ შეგაძლებინაო? — ჰკითხა.

ბეინაზარის შვილი დაუფარავად მოუყვა თავის თავგადასავალს და შეეხვეწა:

— ნუ დამიმალავ, მითხარი, რატომ ხართ გაქვავებული შენ და შენი ქალაქიო?

— მე ვერაფერს გეტყვი, — უთხრა ხელმწიფემ, — მაგრამ თუ მაგ ამბის გაგება ეგრე გულით გინდა, მალე ჩემი მზეთუნახავი ცოლი მოვა, შენ სადმე დაიმალე და უყურე, რასაც ის გააკეთებს, ამ ქალაქის გაქვავების ამბავიც ის არისო.

„თუკი ყველაფერს ჩემი თვალით ვნახავ, ამას რაღა აჯობებსო", — თქვა გულში ბეინაზარის შვილმა და იქვე ახლოს გაქვავებულ, ხშირტოტიან ბუჩქს ამოეფარა. არ გასულა დიდი ხანი და ხელმწიფის მზეთუნახავი ცოლიც მოვიდა. ხელში ცხრაწვერი მათრახი ეჭირა, მისდგა თავის ქმარს იმ

მათრახით და იმდენი სცემა, სანამ ღრიალი არ დააწყებინა.

— რაზე მტანჯავ, შე სულგაყიდულო, ერთხელ მომკალი და გამათავეო.

— არც მოგკლავ და არც წამებას მოგიშლი, იმიტომ, რომ ღირსი ხარო, — მიუგო ქალმა და უკან გაბრუნდა. გაჰყვა შორიახლო ბეინაზარის შვილიც. ქალმა იარა, იარა და თავის სასახლეში შევიდა, ბეინაზარის შვილი აბა შიგნით ხომ ვერ შეჰყვებოდა! ცოტა ხანს შეიცადა, მერე კარის დარაჯებთან მივიდა და, როგორც თევზისაგან იყო დარიგებული, ოქროებით გატენილი ქისა დაანახვა.

— რას ითხოვ, რისთვის მოსულხარო? — ჰკითხეს კარის მცველებმა.

— მინდა გავიგო, თქვენი ქალბატონი ღამღამობით რას აკეთებსო?

ოქროს დახარბებულმა გუშაგებმა ყველაფერი დაწვრილებით გაანდეს:

— ჩვენი ქალბატონი ახლა ისვენებს, შუაღამისას ადგება, შეგვაკაზმინებს ორ ცხენს, ერთზე თვითონ შეჯდება, მეორეზე ერთ-ერთი ჩვენთაგანი, რომ თან ვეახლოთ, და თავის საყვარელ ტარტაროზთან მიდის. დილამდე იქ დარჩება, -იმან, რომელიც გავყვებით, ცხენებს უნდა მოვუაროთ და დილით ისევ სასახლეში მოვაცილოთო.

— არ შეიძლება, თქვენს მაგივრად მე გავყვეო? — ჰკითხა ბეინაზარის შვილმა.

— ოღონდ ეგ სიკეთე გვიყავი, შუაღამისას იქ ხეტიალს გადაგვარჩინე და ჩვენც პატივს გცემთო, — მიუგეს გუშაგებმა.

დადგნენ ამ პირობაზე და დაელოდნენ დედოფლის გამოსვლას. შუაღამე რომ მოახლოვდა, დედოფალიც გამოჩნდა და გუშაგებს გადმოსძახა: — ორი ცხენი შეკაზმეთო! გუშაგებმა თვალის დახამხამების უმალ შეკაზმეს ცხენები და კიბის ძირას დაახვედრეს. ერთზე დედოფალი შეჯდა, მეორეზე ბეინაზარის შვილი და გასწიეს. წინ დედოფალი მიდიოდა, უკან ბეინაზარის შვილი. იარა დედოფალმა და ერთ ბაღთან მივიდა. ჩამოხტა ცხენიდან, სადავე ბეინაზარის შვილს მიუგდო და თვითონ ბაღში შევიდა. ბაღში ერთი შე-

საზარი რაღაც დასვდა. — მთელი ტანი გრძელი ბალნით ჰქონდა დაფარული და ისეთი შავი იყო, რომ აფრიკის ზანგი მასთან შედარებით ანგელოზად გამოჩნდებოდა.

გადაეხვევნენ დედოფალი და ეს მახინჯი ტარტაროზი ერთმანეთს და დაიწყეს კოცნა და ალერსი. გული რომ იჯერეს, ქალი უკან გამობრუნდა, შეჯდა ცხენზე და წამოვიდა. ბეინაზარის შვილიც, რასაკვირველია, უკან გამოჰყვა. მოვიდნენ ისევ სასასლეში.

ბეინაზარის შვილმა ცხენი გუშაგებს ჩააბარა და ჰკითხა:

— ასლა რას იზამს თქვენი ქალბატონიო?

— ახლა მოისვენებს, მერე თავის ქმარს აწამებს, ხოლო შუაღამისას ისევ ტარტაროზთან წავაო.

ეს რომ გაიგო ბეინაზარის შვილმა, წამოვიდა და ისევ ხელმწიფის ახლოს დაიმალა. თან გუნებაში გადაწყვიტა,— რადაც არ უნდა დამიჯდეს, იმ ქალს ის ჯადოსახრე უნდა წავართვა და ეს ქალაქი და ხელმწიფე წამებისაგან დავიხსნაო.

შუადღისას ქალიც მოვიდა, ჯერ მათრახით სცემა თავის ქმარს, მერე აიღო სახრე, დაარტყა და მიაძახა: შენამც გაქვავებულხარ ისე, როგორც შენი ციხე-ქალაქიაო. ხელმწიფე იმავ წამს ქვად იქცა, შედგა ქალი ზედ და დაელური დაუარა. წამოეპარა ბეინაზარის შვილი, უტაცა სახრეს ხელი და წაართვა, დააწყვიტა ქალი ძირს, იძრო ბასრი ხმალი, ყელზე დააბჯინა და უთხრა:

— სწორედ მითხარი, რად გააქვავე ეს ციხე-ქალაქი და ეს კაცი, თორემ თავს წაგაგდებინებო.

ქალი შეშინდა და შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ მომკლავ და ყველაფერს დაწერილებით გიამბობო, და უამბო: ეს კაცი ამ ქალაქის ხელმწიფეა, მე მისი ცოლი ვიყავი და ვცხოვრობდი ბედნიერად, გავიდა ხანი და მომბეზრდა საამური ცხოვრება. გულში თანდათან დარდი და ჭმუნვა გამიჩნდა. ჩემი ქმარი ამას ხედავდა, მაგრამ არავითარ ყურადღებას არ მაქცევდა, — სახელმწიფო საქმეებით იყო გართული და მე აღარც კი ვახსოვდი.

ერთ ღამეს ჩვეულებრივ მარტო ვიწექი ჩემს ოთახში და გულს დარდი მიღრღნიდა, ჩემი ქმარი სახელმწიფო საქმე-

ებით იყო დაკავებული. ამ დროს შემოვიდა ერთი ულამაზესი ახალგაზრდა, ჩამომიჯდა საწოლზე და მითხრა: დედოფალო და ქვეყნის ქალთამზევ, შენს გულს ახალი სიყვარული და ალერსი სწყურია, წამოდი ჩემთან, გულიღან დარდი გადაგეყრება და ისევ ბედნიერი იქნებიო.

შემაცდინეს ამ სიტყვებმა და გავყევი, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ ველირსე — ის მშვენიერი ახალგაზრდა თურმე მოჩვენება იყო, სინამდვილეში ეშმაკების ტარტაროზი ყოფილიყო და მე მისი საყვარელი გავხდი.

რაღას ვიზამდი, რაკი შევცდი და ეს ნაბიჯი გადავდგი, უკან ხომ ველარ დავისვევი, თანაც ტარტაროზი მემუქრებოდა, თუ უარს იტყვი, საქვეყნოდ გამხელ და თავს მოგჭრიო.

გავიდა დრო, ჩენმა ქმარმა ეჭვი აიღო, მეთვალყურენი მომიჩინა და ყველაფერი შეიტყო. მე მოველოდი, რომ ჩემი შეცდენისათვის ეს შურს იძიებდა, მაგრამ ამან პირიქით გაიკეთა, — მე მცემა და სასლიდან გამაგდო. ეს ამბავი იმავე დღეს მოეფინა ქალაქს, ქალი თუ კაცი ყველა მკიცხავდა და ზედ მაფურთხებდა. ამან გამაბოროტა და გულში შურისძიების გრძნობა გამიჩნდა. ერთხელ წავედი ჩემს საყვარელ ტარტაროზთან და ვთხოვე, — რაიმე ხერხი მასწავლე, რომ ჩემი ქმრისა და ხალხის ჯავრი ამოვიყარო-მეთქი.—იმან აი ეს სახრე მომცა, შენ რომ ასლა წამართვი, და მითხრა: ამ სახრეს ისეთი თილისმა აქვს, რასაც გადაჰკრავ და ჩაუთქვამ, უმალვე აგისრულდებაო. წამოვიღე სახრე, დავერიე ქალაქს და ყველაფერი ქვად ვაქციე, ჩემს ქმარს სწორედ ამ ადგილას შევხვდი და წელსქვევით გავაქვავე, რომ ნახევრად ცოცხალი ყოფილიყო და უფრო ძლიერად მეწამებინაო.

— ახლა რა გინდა, — ჰკითხა ბეინაზარის შვილმა, — როდემდე აპირებ ასეთ ცხოვრებას, ნუთუ არ მოგბეზრდა ამდენი ბოროტებაო?

— დიახაც მომბეზრდა, მაგრამ რა ვქნა, მშველელი არავინა მყავს, რომ ჩემს ქმარსა და ხალხთან შემარიგოს, თორემ მე ყველაფერს დავივიწყებდი, იმ ტარტაროზს ამ თილისმა სახრით ნაცრად ვაქცევდი, ქალაქსა და ხელმწიფეს გავაცოცხლებდი და ისევ ბედნიერ ცხოვრებას დავიწყებდიო, — მიუგო ქალმა.

— მე შეგარიგებო, — უთხრა ბეინაზარის შვილმა.

ქალს სისარულისაგან ცრემლები წამოსცვივდა და ბეინაზარის შვილს შეეხვეწა:.

— ჩემო ძმაო, ოღონდ ეგ სიკეთე მიყავი, შემარიგე ჩემს ქმარს, ჩემს მშობელ მიწას, სალხს და სიტყვას გაძლევ, რომ ჩემზე უფრო კეთილი და გულმოწყალე ადამიანი ქვეყნად მეორე არ იქნებაო.

ბეინაზრის შვილმა ხმალი ისევ ქარქაშში ჩააგო, მისცა სახრე ქალს და უთხრა; — შენი ხელით გადაჰკარი სახრე და ყველას წინაშე შენი დანაშაული შენვე გამოისყიდეო.

ქალმა ჩამოუარა ქალაქს და ყველას და ყველაფერს ისევ წინანდელი სასე და სიცოცხლე დაუბრუნა. ბოლოს თავისი ქმარიც გააცოცხლა. ბეინაზარის შვილი შუამავლად დაუდგა და ხალხსა და ხელმწიფეს სთხოვა, რომ ეპატიებინათ ღედოფლისათვის შეცდომა და შერიგებოდნენ, მით უფრო, რომ თავისი დანაშაული მოინანია და გამოისყიდაო.

ხალხმა ერთხმად იგრიალა, — ვაპატიოთ, ვაპატიოთო!— და ხელმწიფეც შეურიგდა.

— რით გადაგიხადო ჩემზე გაწეული ესოდენი დიდი სიკეთეო? — ჰკითხა დედოფალმა ბეინაზარის შვილს.

— მე ბევრი არაფერი მინდა, — უთხრა ბეინაზარის შვილმა, — გადამკარი სახრე და, თუ შეგიძლია, ვაჟად მაქციეო.

— განა ახლა კი ვაჟი არა ხარო? — გაუკვირდა დედოფალს.

— ვაი, რომ არა ვარო, — მიუგო ბეინაზარის შვილმა, ჩამოიშალა ქუდში დამალული ნაწნავები და თავისი თავგადასავალიც დაწვრილებით უამბო.

— შენ მართლაც ღირსი ყოფილხარ ვაჟკაცის ქუდისა და სახელის ტარებისაო, — უთხრა დედოფალმა. გადაჰკრა-სახრე და ვაჟად აქციო.

გამოემშვიდობა ბეინაზარის შვილი ხელმწიფეს და დედოფალს, ხალხს და გამოსწია შინისაკენ. ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა ერთგული ვეზირის უვნებლად დაბრუნება და იმავ დღეს თავის ქალთან წაიყვანა. ბეინაზარის შვილმა უამბო

ხელმწიფის ქალს გაქვავებული ქალის ამბავი და ქალიც იმავ წუთს საღსალამათი წამოდგა ლოგინიდან.

მაგრამ ქალმა მაინც ვერ მოისვენა, მეოთხედ მოიავადმყოფა თავი, დაიბარა თავისი მამა და უთხრა:

— თუ ბეინაზარის შვილს გამაყოლებ ცოლად, მოვრჩები თუ არადა, მოვკვდებიო.

წამოვიდა ხელმწიფე და თავის ვეზირს ჰკითხა:

— ბეინაზარის შვილო, ჩემი ქალი ცოლად წამოყოლას გთხოვს და რას იტყვიო?

— მადლობისა და სიხარულის მეტი რა მეთქმის, დიდებულო ხელმწიფევ, მაგრამ ჯერ ჩემს დედ-მამას უნდა შევატყობინო და ნებართვა ვთხოვოო, — მოახსენა ბეინაზრის შვილმა.

— დროს რამდენს ითხოვო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

— ერთი დღე და ღამე მეყოფაო.

— ერთი დღე და ღამე როგორ გეყოფა, ისინი ხომ ზღვის გაღმა არიანო?! — გაუკვირდა ხელმწიფეს.

— თქვენ ეგ ვადა მომეცით და დანარჩენი მე ვიციო, — უთხრა ღიმილით ბეინაზარის შვილმა.

ხელმწიფემ ნება დართო. წავიდა ბეინაზარის შვილი ზღვის პირას და დაიძახა:

წითელი ზღვის წითელო თევზო,
ჩემი თხოვნა შეიწყნარე,
შენ ძმობილ ბეინაზრის შვილს
საქმე უჭირს, დაეხმარე.

გამოცურდა წითელი თევზი და ჰკითხა:

— რა იყო, რა გაგჭირვებიაო?

— ასეა და ასეა ჩემი საქმე და, უნდა წახვიდე და ხვალისათვის ჩემი დედ-მამა აქ მომიყვანოო, — უთხრა ბეინაზარის შვილმა.

— ეგ ადვილია, სხვა — ძნელი, — თქვა თევზმა, ისარივით გასრიალდა წყალზე და მეორე დილას მოხუცი ბეინაზარი და იმისი ცოლი უკვე სასახლეში იყვნენ. შვილი და ბაბუ ბლები სიყვარულით გადაეხვივნენ ერთმანეთს. დედ-მა-

მა ყველაზე უფრო მისმა ვაჟად ქცევამ გაახარა. ბეინაზარის შვილმა ხელმწიფეს კაცი გაუგზავნა, დედ-მამა ჩამოვიყვანე და მზადა ვარ ჯვარისწერისთვისო.

ხელმწიფემ მთელი თავისი სამფლობელო მოიწვია და ქალსა და სიძეს არნახული ქორწილი გადაუხადა. ბეინაზარის შვილმა ერთსელ კიდევ დასაქმა წითელი ზღვის წითელი თევზი, თავისი დებიც სასახლეში მოაყვანინა და დაიწყო ტკბილი და ბედნიერი ცხოვრება.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.
ელასა, მელასა, ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსა და გამგონებელსა, ძილი გაამოთ ყველასა.

კოპალა

ოდესღაც, ძალიან დიდი სნის წინათ, მთელი არაგვის ხეობა, ჟინვალიდან დაწყებული მათურა-წუბროვანის მთებამდე, დევებით ყოფილა დასახლებული. იმდენად გამრავლებული ყოფილან დევები, რომ ხალხი შიშით კარში ვეღარ გამოდენილა, გუთანი ვერ გამოუტანია და უშიშრად ვერც ცხვარ-ძროხა უძოვებია. სადაც კი მოახელთებდნენ დევები ხალხს და საქონელს, დაიჭერდნენ, მორეკავდნენ მთავარ სიმაგრეში და ერთ წუთში გადასანსლავდნენ.

მთავარი ციხე-სიმაგრე ხევსურეთის ერთ მთაზე ჰქონიათ, ამ მთას დღესაც ციხეგორი ჰქვია. ციხეგორში ჰყოლიათ თავიანთი უფროსი ცხრათავიანი დევი, სახელად ბაჭიჭაური. თურმე დაჭერილი ხალხი და ცხვარ-ძროხა ჯერ იმასთან მიჰყავდათ, ის ამოარჩევდა ყველაზე საუკეთესოებს და დანარჩენს ხელქვეითებს უტოვებდა შესაჭმელად.

ერთხელ ერთი ქვრივი ქალი ტყეში ფიჩხზე წავიდა და თან თავისი პატარა ბიჭი კოპალაც წაიყვანა. მოასწრეს დევებმა, შეიპყრეს ორივე, დედა-შვილი და ბაჭიჭაურს მიჰგვარეს. ბაჭიჭაურმა ქალი მაშინვე გადასანსლა, ბიჭი კი ცოცხალი დატოვა, — ჯერ გაიზარდოს და მერე შევჭამო.

ჩავარდა ამ დღიდან კოპალა დევების ხელში. დევები პატარა ბიჭს უმოწყალოდ იმსახურებდნენ — ხან წყალს მოატანინებდნენ, ხან შეშას და თან სულ თავში უტყაპუნებდნენ. კოპალას ძალიან სწყინდა დევების ასეთი თავგასულობა, მაგრამ პატარა იყო, ძალადობა არ შეეძლო და ითმენდა.

ამ ტანჯვა-წვალებით გაიზარდა და კარგი თვალტანადი ვაჟკაციც დადგა. უკვე ველარ იტანდა დევების თარეშს ხალხზე და დღე და ღამე სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობდა. მაგრამ რა შეეძლო, დევებს რით გაუმკლავდებოდა?

ადგა ერთ უკუნეთ ღამეს კოპალა და ციხეგორიდან გაიპარა, გადაიარა მთები, ტყეები, ხევები და მდინარე ივრის პირას, იხინ3ის მონასტერში მივიდა. დადგა იქ ბერებთან და დაიწყო ლოცვა. დღე და ღამე ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, იმდენი ღონე მომეცი, რომ დევებისათვის სამაგიეროს გადახდა შევძლოო.

ღმერთი თვითონაც განრისხებული იყო დევებზე, რომ ხალხს ასე უდიერად ანადგურებდნენ, და კოპალას ვედრება შეისმინა, — მისცა სამოცი უღელი ხარის ღონე და ერთი ცეცხლის მფრქვეველი საომარი ლახტიც აჩუქა. კოპალამ ნკლავში ღონე იგრძნო, ჯანის გამოსაცდელად ეკლესიის წინ მდგარ უზარმაზარ იფნის ხეს მისწვდა და ძირფესვიანად მოგლიჯა. რაკი თავის იმედი დაიჭირა, აღარ დააყოვნა, იმავ დღეს მონადირულად ჩაიცვა და ციხეგორს ესტუმრა. ნაცნობმა დევებმა კოპალა ველარ იცნეს, მართლა მონადირე ეგონათ და იმისი მისვლა ძალიანაც გაუხარდათ, — საკბილო თავისი ფეხით მოგვივიდაო.

გათენდა მეორე დილა და დევებმა ჩვეულებრივ შეჯიბრი გამართეს — მოიტანეს ორმოცფუთიანი საჯილდაო ქვა და სროლაში გაიჯიბრნენ. ზოგი შორს ისროდა, ზოგი — ასლოს. კოპალა მივიდა და განგებ მორიდებულად სთხოვა, — მეც მასროლინეთო.—დევებმა სიცილად არ იკმარეს,— შენ რა ხარ და შენი გასროლილი ქვა რაღა უნდა იყოსო.

დევებში სუთი ძმა მჭედელი იყო. იმათ გამოუტანეს კოპალას რკინის გრდემლი და ერთი ნაჯღანი ცული, და უთხრეს:

— თუ ამ ცულით ამ რკინის გრდემლს ნაფოტს ააძრობ, ქვასაც გასროლინებთო. — დევები, რა თქმა უნდა დასცინიან, ჰგონიათ, რომ კოპალა ცულსაც ვერ დასძრავს, მაგრამ მოტყუვდნენ, კოპალამ ერთი შემოკვრით გრდემლიც ფუტუროსავით გასლიჩა და ცულიც ზედ მიაფშვნიტა. ახლა კი შეკრთნენ დევები და ფერი ეცვალათ: ეს ვიღაც სასიკეთოდ

მოსული არა ჩანს და ჯობია, მშვიდობიანად მოვიცილოთ თავიდანო.

— რა გინდა, ჩვენთან რატომ მოხვედიო? — ჰკითხეს ბოლოს.

— რა მინდა და ეს ადგილი ჩემი საკუთრებაა და დღეიდან აქედან უნდა აიყაროთო, — მიუგო კოპალამ.

— მაშ, შევეჯიბროთ და ვინც აჯობოს, ციხეგორიც იმას დარჩესო, — უთხრეს დევებმა.

— შევეჯიბროთო, — დათანხმდა კოპალა.

წამოიღეს საჯილდაო ლოდები და უძილაურთის ვაკე მთაზე, ირემთ-კალოზე გამოვიდნენ. გამოვიდნენ და გასძახეს ფშავ-ხევსურეთის მთებში მცხოვრებ დევებს, — მოდით და მოწმეებად დაგვესწარითო.

ყველაზე დიდი და ღონიერი დევები ივრის კუდებიდან მოსულან. ირემთკალოს ვაკეზე დიდი სიპები დაუწყვიათ, რომ ქვის სროლის დროს ფეხები მიწაში არ ჩაფლობოდათ. ირემთ კალოს ახლაც ისევ აწყვია ის სიპები. შემდგარან დევები ზედ და დაუწყვიათ სახლის ოდენა ლოდების ციხეგორისაკენ სროლა. ციხეგორში დევებს ჩუმად ქაჯები დაუყენებიათ, — თუ ვინიცობაა, კოპალამ გვაჯობოს, იმისი ნასროლი ქვა უკან გადმოაგორეთო.

კოპალას ნასროლი ქვა სამოცი ნაბიჯით შორს დაცემულა. მისცვივნიან მაშინვე ქაჯები და გადმოუგორებიათ, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩამოუტანიათ, ერთ-ერთი დევის ნასროლ ქვას წამოსდებია და გაჩერებულა. ეჯაჯგურებიან ქაჯები, უნდათ, როგორმე გადმოაცალონ ქვას და სულ ბოლოს მოაქციონ, მაგრამ სულ ტყუილად — ძვრას ველარ უშვრებიან. ამ დროს დევები და კოპალაც მისულან ნასროლის სანახავად და შესამოწმებლად. კოპალა მიხვედრილა დევების გაიძვერობას და უფრო გაჯავრებულა, ჯერ ის ქაჯები დაუხოცია ქვასთან, — ის ქვები დღესაც ისევ ისე აწყვია. — მერე დარევია თავისი ცეცხლისმფრქვეველი ლახტით დევებს და სულერთიანად ამოუჟლეტია.

დამკვიდრდა ამ დღიდან კოპალა ციხეგორში, თავს ნადირობით ირჩენდა და დევების თარეშისაგან ხალხს საიმე-

დოდ იცავდა, სადაც კი დევებს დაიგულებდა, თავისი ლახტით უმალ იქ გაჩნდებოდა და მუსრს ავლებდა.

ციხეგორელი დევების შემდეგ ყველაზე მეტად კართანელი დევები იყვნენ გამხვევნებული და ხალხიც უფრო მათ უწვალებიათ. კართანა ჩარგლისა და მაღაროსკარს შუა, მდინარე არაგვის ვიწრო გასასვლელს ჰქვია. დევებს წყლის მარჯვენა ნაპირზე ჰქონიათ ციხე-სიმაგრე, საფშავ-სასევსურეთო გზა სწორედ მათი სახლის წინ გადენილა, ეს გზა შეკრული ჰქონიათ და ზედ მგზავრი არ გაუტარებიათ. კართანელ დევებში ყველაზე ღონიერი და განთქმული სამი ძმა ყოფილა, უფროსი — შავშალიკა, შუათანა — ავთანდილი და უმცროსი — მიგრი. გაუგონიათ ამ ძმებს ციხეგორელ დევების გაძლეტის ამბავი და განრისხებულან. შავშალიკას უთქვამს ძმებისთვის: წავალ და იმ ვიღაც კოპალას, თუ ვერ მოვკლავ, ბიძაჩვენის საჯდომ ქვას მაინც წავართმევო.

წავიდა შავშალიკა და ციხეგორს იმ დროს მივიდა, როცა კობალა შინ არ იყო, — სანადიროდ იყო წასული. შემოახვია თოკი შავშალიკამ ბიძის საჯდომ ქვას, წამოიკიდა ზურგზე და გამოიტაცა.

დაბრუნდა კოპალა სანადიროდან, ნახა, ქვა აღარსად არის, მიხვდა, ვისი ოინიც იქნებოდა და მაშინვე კვალზე გამოჰყვა. მოეწია კართანასთან, სადაც ახლა ის ქვა დევს და შორიდანვე ლახტი ესროლა. ლახტმა დევს თავზე გადაუარა, მოხვდა კლდეს და უზარმაზარი გამოქვაბული გააკეთა. შავშალიკამ ჭახანი რომ გაიგონა, მიხვდა, კოპალა მომდევსო, ქვა ძირს დააგდო და გაქცევა დააპირა, მაგრამ მოასწრო კოპალამ, სტყორცნა მეორედ ლახტი და ადგილზევე სული გააფრთხობინა.

კოპალამ ქვა იქვე დატოვა და თვითონ დევების ციხესთან ავიდა. ქვა დღესაც არაგვის პირას დევს. ქვის გვერდით ერთი მოგრძო გორაკს დღესაც დევის საფლავს ეძახიან.

ციხის ბანზე შავშალიკას დედა იჯდა, წინ ჯარი ედგა და მშვილდის გასაბმელ ბაწარს გრეხდა. ხვიოდა ჯარა და მისგან ატეხილი ქარისაგან მთელი ტყე ბალახივით ილასტებოდა. დაინახა დევების დედამ კოპალა და დაცინვით ჩამოსძახა:

— რა მოსულხარ ეს ბუზის ტოლა, მოდი კალთაში შემომეფარე, ან ჯარამ არ აგიხვიოს და ან ჩემმა შვილებმა არ მოგასწრონ, თორემ კბილის საჩიჩქნად არ ეყოფიო.

— სად არიან შენი შვილებიო? — ჰკითხა კოპალამ.

— ავთანდილი, აგე, იმ მთაზე წავიდა სანადიროდ, — უთხრა დევების დედამ და პირდაპირ ჩაყუდებული ქედი დაანახვა, თან თავმომწონედ დაუმატა, — დედა ენაცვალოს, ალბათ, მთის იქით გადავიდა, თორემ იმისი ფეხის ხმაც კი თავზარს დაგცემდაო. მიგრი მიგრიაულთის ქედზე ნადირობს, შავშალიკა კი ციხეგორს წავიდა, კოპალას ბიძის საჯდომი ქვა უნდა წაართვასო.

კოპალამ გულში ჩაიცინა და უთხრა:

— დევების დედას, გატყობ, შვილებით თავი მოგწონებია, მაგრამ გაფრთხილდი, ისე არ გაგიხდეს საქმე, რომ თავი მოგძულდესო.

კოპალა და დევების დედა რომ ამ საუბარში იყვნენ, დიყელის მთაზე ავთანდილი გადმოდგა, ცალ მხარზე ირემი ეკიდა, ცალში მშვილდი ეჭირა და შინისაკენ მოდიოდა. დაინახა კოპალამ, ესროლა ლახტი და სული გააცხებინა. ავთანდილი მოსწყდა ადგილს და თავქვე სრიალ-სრიალით გამოქანდა. სწორედ იმის ჩამონაცურზე გაჩნდა ის ღელე, კოპალას ქვის პირდაპირ რომ ჩამოდის და ხალხი დღესაც ავთანდილი მოსწყდა ადგილს და თავქვე სრიალ-სრიალით გაჩავარდა და ლურჯ კლდედ გადაიქცა. ის ლოდიც ისევ იქა დევს.

უცებ ჰაერში რაღაცამ გაიშხუილა და კოპალას გვერდით ტოტებგაშლილი ჭადარი ჩაესო მიწაში წვერით. ახლაღა დაინახა კოპალამ, მიგრი მიგრიაულთის მთაზე გადმომდგარიყო და მეორე ჭადარს ამზადებდა სასროლად, მაგრამ კოპალამ აღარც აცალა, დასცეცხლა ლახტი და ისიც შავშალიკასა და ავთანდილის გზას გაუყენა. მერე მათი დედაც მოკლა, ბოლოს შეუვარდა ციხეში და, რაც დევები იყო, სულერთიანად ამოჟლიტა. დაბრუნდა ისევ ციხეგორში და დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, თან ხალხს თვალფხიზლად დარაჯობდა და ხევსურეთის მიწა-წყალზე დევებს არ აჭაჭანებდა.

სოფელ ბაზალეთში ყოფილა ერთი ძალზე მამაცი და ღონიერი ბიჭი და სახელიც შესაფერი ჰქონია — გულადა. შრომობდა გულადა — ხნავდა, თესავდა და გლესის კვალობაზე კარგადაც ცხოვრობდა. ერთ დღესაც გააწყო გულადამ სარ-გუთანი და ბაზალეთის ტბის პირას ყანის ხვნას შეუდგა. ერთი მძლავრი ხარი ჰყავდა, მეორე — სუსტი და ხვნა უჭირდა. უცებ ტბიდან დევი ამოვიდა, გულადას ხარის სახით გამოეცხადა და უთხრა:

— გამოუშვი ეგ სუსტი ხარი და მე შემაბიო.

გაუსარდა გულადას და შეაბა. ხარმა ვერ კარგად გასწია და გუთანი კვალზე სწორად გააცარა, მერე უცბად ტბისაკენ გაიწია და სარ-გუთნის ტბაში ჩათრევა მოინდომა. გულადა მაგრა მოეჭიდა გუთნის ერქვანს, მოსწია და სარ-გუთანი უკანვე გადმოყარა. დევმა თავი დაიძვრინა უღლიდან და ისევ ტბაში გაუჩინარდა, ხოლო გულადამ ისევ სუსტი ხარი შეაბა და საღამომდე იმუშავა.

საღამოს, ხარ-გუთანი რომ გაუშვა, ჩამოჯდა იქვე და ქალამნებიდან მიწის გადმობერტყვა დაიწყო. უცებ ტბიდან ისევ ამოვიდა დევი, გულადას ახლა კაცის სახით გამოეცხადა და ჰკითხა:

— გულადას შენ გეძახიანო?

— მეძახიან და ვარ კიდეცო! — მიუგო გულადამ.

— თუ მართლა გულადა ხარ, მაშ დამეჭიდეო, — უთხრა დევმა.

— დაგეჭიდები და დედასაც გიტირებო,—მიუგო გულადამ, წამოუხტა დევს, დაავლო ხელი, წააქცია, დააჯდა მაღლიდან და ყელში წაუჭირა.

დევი შეშინდა და შეეხვეწა:

— ოღონდ ნუ დამახრჩობ და ბედსა გწევო.

— ვინ იქნება იმის მოწმე, რომ პირობას ნამდვილად აასრულებო? — ჰკითხა გულადამ.

— მოწმედ აი ფშარაველის ნიში მომიციაო, — უთხრა დევმა. ფშარაველის ნიში მაშინ ბაზალეთში ყოფილა და დევმაც ის დაიმოწმა. თან გააფრთხილა გულადა, — ოღონდ არ შემარცხვინო, არავის უთხრა, რომ მე წამაქციე, თორემ შე-

ნი სიმდიდრე იმავ წამს გაქრება და ფშარაველასაც ბეგრად წელიწადში თითო წყვილ ქალ-ვაჟს დავადებო.

— კარგიო, — დათანხმდა გულადა, აუშვა დევი და წავიდა შინ. შევიდა სახლში და რას სედავს: სახლი ოქროვერცხლითა და თვალ-მარგალიტით არის გამოტენილი. ჰკითხა ცოლმა გულადას:

— რა, ჭქენი ისეთი, ეს სიმდიდრე საიდან გაგვიჩნდაო?

გულადამ უთხრა:

— თავი დამანებე, ნუ მათქმევინებ, თორემ ყველაფერი გაგვიქრებაო.

ცოლი მაინც არ მოეშვა, დღეს-სვალ, დღეს-სვალ, დღეს-ხვალ, იმდენი ქნა, იმდენი, რომ ბოლოს ათქმევინა. გულადამ გააფრთხილა, არსად სთქვაო, მაგრამ დედაკაცის პირში რა გაჩერდება! — გავარდა მეზობლებში და ყველას გააგებინა, — ჩემმა ქმარმა დევი წააქცია და იმიტომ გავმდიდრდითო.

გაიგო დევმა ეს ამბავი და მთელი სიმდიდრე იმავ დღეს გააქრო. ფშარაველასაც ბეგარი დასდო. ყოველ ფშარაობა დღეს ამოდიოდა ტბიდან, სალოცავად მოსულ ხალხში ამოარჩევდა საუკეთესო ქალ-ვაჟს, შეიყვანდა ტბაში და ჭამდა.

შეწუხდა ხალხი, შიშით სალოცავად ვეღარ მოდიოდა. ლანძღავდნენ და საყვედურობდნენ გულადას, — სალოცავს ეს ხარკი შენს გამო დაედოო. გულადა ითმენდა ხალხის საყვედურს, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაუძლო. ერთ ღამეს სახლიდან გაიპარა, ფშარაველის ნიშიც თან წაიღო და ხევსურეთის, ფშავისა და გუდამაყრის სასაზღვრო მთაზე დაამკვიდრა, — იქნებ აქ მაინც ვეღარ მოაგნოს იმ წყეულმა დევმა და ხალხმა მოისვენოსო.

მაგრამ დევი რას მოეშვებოდა, მეორე წელსვე მიაგნო და თავისი ბეგარა მოითხოვა. ასე გაგრძელდა რამდენსამე წელს, — მოვიდოდა თუ არა ხალხი სალოცავად, დევიც იმავ წამს იქ გაჩნდებოდა, ამოარჩევდა წყვილ ქალ-ვაჟს, რომლებიც მოეწონებოდა და იქვე გადასანსლავდა.

არა და არ დაადგა ხალხს საშველი.

ბოლოს ეს ამბავი გაიგო კოპალამ, გამოეწყო მლოცავივით, ლახტი ტანსაცმლის ქვეშ დამალა და ფშარაულას დღე-

ობაში წავიდა. დღეობაზე დიდძალ სალხს მოეყარა თავი, ფშავ-ხევსურეთიდან და გუდამაყრიდან კაციშვილი არ აკლდა. იკვლებოდა საკლავი და ისმებოდა ლუდ-არაყი. ყველა ლხინობდა და მხიარულობდა, მაგრამ გულში კი არავის ელხინებოდა და დევის გამოჩენას ყველა შიშ-ელდით მოელოდა.

უცებ დევის ღრიალმა მთა შეაზანზარა, იმავ წამს თვითონაც ამოძვრა კლდიდან და მლოცავ სალხს თავს წამოადგა — საზარელი, ბანჯგვლიანი, ეშვებიანი და თვალებბდღვრიალა. კოპალამ სალხი გააფრთხილა, სანამ მე არ დაგრთოთ ნება, რაც გინდა დაინახოთ, კრინტი არავინ დასძრათო.

დევმა ჩამოუარა მლოცავ სალხს და ჩამოათვალიერა, სალხში ერთი ასლად ჯვარდაწერილი ქალ-ვაჟი ერია და დევმაც სწორედ იმათ დაადგა თვალი. მაშინ მივიდა კოპალა და უთხრა:

— ქალი ეგ წაიყვანე და ბიჭის მაგიერ მე წამოვალო.

დევმა არ იცოდა, თუ ეს კოპალა იყო, გაუხარდა კიდეც, რომ უფრო მოზრდილი ჩაიგდო ხელში, და დათანხმდა, წაიყვანა ორივენი, ჩასასვლელ ვიწრო კლდესთან რომ მივიდნენ, კოპალას ჰკითხა:

— რა გქვიაო?

— ამე მქვიაო, — მიუგო კოპალამ.

— ჩამიძეხ, ამეო, — უბრძანა დევმა.

— ჩამიძეხ, დევო, — მიუგო კოპალამ.

— ჩამიძეხ, ამეო, — კიდევ გაუმეორა დევმა.

— ჩამიძეხ, დევოო, — არ დაუთმო მაინც კოპალამ.

კარგა ხანს ასე იკამათეს, ბოლოს ისევ დევმა დასთმო და ჩაუძღვა. ძალიან ვიწროში რომ ჩავიდნენ, კოპალამ გაიღიღო დამალული ლახტი, შემოუქნია დევს და თავი გააგდებინა. დაგორდა თავი თავქვე და ატეხა ყვირილი:—გავსკდი, გავსკდიო!

როცა კოპალა ხალხს აფრთხილებდა, ხმა არ ამოიღოთო, ერთი ქალი მაშინ იქ არ იყო, წყაროზე იყო წასული და კოპალას ნათქვამი არ მოუსმენია. წყაროდან მომავალმა დაინახა დაგორებული დევის თავი და მიაძახა:

— ადრე გასახეთქი იყავ და გასკდი და გაცამტვერდიო!

ამის თქმა და, თავის გახეთქვა ერთი იყო, თავი ოთხად გაიპო, გაპობილი თავიდან ქვის სეტყვამ ისუვლა და მთელი ხალხი დაფარა. შიშველ მთაზე აბა რა დაიფარავდა.

ახლაც ფშარაოს მთის ვაკე წვერზე სამი სასაფლაოა, ერთში ფშაველები მარხია, მეორეში — ხევსურები და მესამეში — გუდამაყრელები. ის ქვის სეტყვაც — შავი უზარმაზარი ლოდებიც იქვე ყრია. მართალია, ამ დღიდან დევის ბეგარისაგან ხალხი საბოლოოდ განთავისუფლდა და ფშარაულას დღეობაც ისევ აღადგინა, მაგრამ თავიდან გადმოსულმა ქვის სეტყვამ ისე შეაშინა ხალხი, რომ დღესაც იმ ვაკეზე ღამის გათევას ყველა ერიდება, — ემანდ კიდევ არ მოვიდეს ქვის სეტყვაო და არ ამოგვჟლიტოსო.

~

რაკი დევები თვითონ ვერაფერს გახდნენ კოპალასთან, ეშმაკები მოიხმარეს, შეიკრიბნენ ერთად და გადაწყვიტეს, — სანამ კოპალა ჩვენს ჯილაგს ძირიანად ამოაგდებს, არაგვი დავაგუბოთ, ფშავ-ხევსურეთი წყალში ჩავახრჩოთ და კოპალაც თან ჩავაყოლოთო. ჩავიდნენ კართანაში, სადაც წინათ დიდი ციხე-გალავანი ჰქონდათ, მოზიდეს უზარმაზარი ლოდები და დაიწყეს ხეობის ამოვსება. ყველაფერი გაკეთებული ჰქონდათ, არაგვი მხოლოდ ერთ ადგილსღა გადიოდა ვიწროდ, ერთი ლოდის ჩაგდებაღა ეკლდათ და არაგვიც დაგუბდებოდა. სწორედ ამ დროს მოუსწრო კოპალამ, დასცეცხლა და დასცეცხლა ლასტი, დევები სულერთიანად გაქლიტა და ფშავ-ხევსურეთი დაღუპვას გადაარჩინა. ხოლო მოზიდული ლოდები ხელუხლებლად დატოვა და არაგვის ხეობაც სწორედ ამიტომ არის იმ ადგილას ასეთი ვიწრო და ძლივს გასასვლელი.

ამდენ ბრძოლაში კოპალას ისრის პირები შემოელია და უკანა — ფშავს მჭედელ პირქუშთან წავიდა. ეს ადგილიც და სამჭედლოც წინათ დევებს ეჭირათ, პირქუშმა ყველაფერი კოპალას დახმარებით ჩაიგდო ხელში, მაგრამ პირქუშს შურ-

მა წასძლია, რატომ აქვს კოპალას ასეთი დიდი სახელიო, და ისრის პირების გაკეთებაზე უარი უთხრა.

წამოვიდა კოპალა ნაწყენი. გაიგეს ქუშხეველმა დევებმა კოპალას და პირქუშის დამდურება და პირქუში ტყვედ წაიყვანეს. კოპალას გულმა მაინც არ მოუთმინა და პირქუშის საშველად გაეშურა. ქუშხეველ დევებს ციხე-სიმაგრე მოხერხებულ ადგილზე ედგათ და კარგადაც ჰქონდათ გამაგრებული. კოპალამ იცოდა, რომ პირდაპირ მისვლით ციხის გატეხა გაუჭირდებოდა, ამიტომ ირგვლივ შემოუარა და უკეთ მისადგომი ადგილის ძებნა დაიწყო.

ბედად ამ დროს ციხეში დევებს ჩხუბი მოუვიდათ და ერთი დევი კარში გამოაგდეს. კოპალასაც ეს უნდოდა, დაიჭირა ეს დევი და ჰკითხა:

— მასწავლე, ციხეში როგორ შევიდეო?

დევი უარზე დადგა. მაშინ კოპალამ ლახტი მოიმარჯვა და მოკვლით დაემუქრა. დევი შეშინდა და ციხის მთელი საიდუმლო ერთ წუთში ჩამოფქვა:

— მზე რომ შუა ცაზე წამოვა და ხეებს თავიანთი ჩრდილები დაუსწორდებათ, დევები მაშინ ისადილებენ, ბანგნარევ ღვინოს დალევენ და დაიძინებენ. იმ დროს მიდი და წინ აღარაფერი დაგიდგებაო.

შეიცადა კოპალამ სანამ არ მოშუადღევდა და ხეებს ჩრდილები არ დაუსწორდათ, მერე წაიმძღვარა დევი და შევიდა ციხეში. დევებს მართლაც ეძინათ — ჭერეხებივით ეყარნენ და მათი ხვრინვა-ფშვინვისაგან კედლებიც კი ზანზარებდა.

დასჭექა კოპალამ ცასავით, გააღვიძა დევები და თავისი ცეცხლისმფრქვეველი ლახტით სულ მუსრი გაავლო. გაათავისუფლა პირქუში, წამოიყვანა და შუაფხოში ისევ თავის სამჭედლოში დაამკვიდრა. პირქუშს შერცხვა თავისი საქციელისა, კოპალას პატიება სთხოვა და ღვთის ფიცი მისცა, — ამიერიდან მუდამ შენი შემწე და ერთგული თანამებრძოლი ვიქნებიო.

მართლაც, ამ დღიდან კოპალა და პირქუში ერთმანეთს აღარ მოშორებიან. კოპალა ციხეგორაში ცხოვრობდა, პირქუში — შუაფხოში, მაგრამ ერთმანეთთან ძმური მიმოსვლა

ჰქონდათ და დევებსაც მუდამ ერთიანი ძალით ებრძოდნენ. თუ სადმე ფშავ-ხევსურეთის მიწაწყალზე დევების ბუნაგი იყო, ყველგან მისწედნენ და ყველგან პირწმინდად გაქლიტეს. გაწმინდეს ყველა ხეობა უწმინდური დევებისაგან და ყველგან ხალხი დაამკვიდრეს. სალხმაც შეიყვარა თავისი მშველელი და მოამაგე გმირები, როცა დაიხოცნენ, სამახსოვრო ნიშები დაუდგა და მათს სახელებს დღესაც მსურვალედ ლოცულობენ.



ია ხსარი

კობალას და პირქუშის სიკვდილის შემდეგ, დევები ისევ მომრავლდნენ, ისევ დაიჭირეს ყველა დიდი და მცირე ხეობა და ხალხი კვლავ შეავიწროვეს.. უკანა ფშავის ხეობა შუაფსოსთან ჰქონდათ ჩაკეტილი. არაგვის გაღმა, იფნიან გორაზე, სადაც ფშავლები ახლა ხატობას იხდიან, ციხე-სიმაგრე ააშენეს და ჭალაზე ადამიანის ნასახს არ აჭაჭანებდნენ. ასეთივე ციხე ააშენეს ავის გორზეც, ციხიდან არაგვის ჭალამდე თოკები ჰქონდათ გაბმული, ეს იმიტომ უნდოდათ, რომ ღამითაც ვერავინ გაჰპარვოდათ, — მგზავრი თოკს წამოედებოდა და დევთა სიმაგრეში ზარები დაირეკებოდა. ჩამოცვივდებოდნენ დევები, დაიჭერდნენ მგზავრს და გადასანსლავდნენ.

ისევ შეწუხდა ხალხი და ღმერთს შეევედრა — გვიშველეო. ღმერთმა შეისმინა ხალხის ხვეწნა-მუდარა, ერთ დღეს ყველა ღვთიშვილს მოუხმო და თავის კარზე შეკრიბა. გამოსაცდელად სამოცლიტრიანი რკინა დაუდო წინ. ვინც იმას ასწევდა, დევებთან ბრძოლასაც ის შესძლებდა. ყველამ სცადა ღონე, მაგრამ ძვრაც ვერავინ უყო. ბოლოს ყველამ იახსარს მიაპყრო მზერა. ღვთიშვილებში ის ყველაზე ახალგაზრდა იყო და ღონეც საკმაოდ ერჩოდა, მაგრამ უცბად ვერ გაბედა, შეკრთა, ვაითუ, ვერ ავსწიოო, უკან დაიხია და მორიგე ღმერთს, — კვირას ღონის ხუთმაგად მომატება სთხოვა. კვირამ სამმაგად მეტი ღონე უბოძა. მაშინ კი გაბედულად წამოდგა წინ და სამოცლიტრიანი საფალავნო რკინა ბუმბულივით აიტაცა.

ხვთის კარზე შევიყარენით
ხვთისშვილნ სამოცდა სამია.
გადმოდგეს სასწორ-ჩარექი, — „კვირავ. გეჭიროს თვალია“
ჩამოირიგეს ხვთისშვილთა, ვერვინ გაუგდო ქარია,
ერთმანეთს ეუბნებიან: „აიღებს იახსარია“.
ხუფი შესთხოვე კვირასა, გადმომიმეტა სამია,
სამოცლიტრიანს რკინასა ქვეშ გაუტარე ქარია.

ღმერთმა დალოცა იახსარი, მისცა საომარი ლახტი, მშვილდქეიბური და დედამიწაზე გამოისტუმრა:

მაჩუქა დამბადებელმა მშვილდ-ლახტი საომარია.

ჩამოვიდა დედამიწაზე იახსარი და პირდაპირ ხაშრის ხეობისაკენ გასწია. იქ, ივრის კუდებში ცხოვრობდნენ ყველაზე ძალოვანი, დიდრონი დევები და განთქმული ფალავნებიც ჰყავდათ, ცხრათავიანი დევის შვილები — მთების მგლეჯავი მუსა, ცხრათავიანი ბეღელა და თორმეტთავიანი ბარდა.

იმ დღეს დევებს ქორწილი ჰქონდათ და გახურებულ ლხინ-ღრეობაში იყვნენ, დიდი კასრებით სვამდნენ ლუდს, ზედ კაცის თავფეხს აყოლებდნენ და ხმამაღლა ხორხოცობდნენ. გაეგოთ იახსარის დედამიწაზე ჩამოსვლის ამბავი, მაგრამ აინუნშიაც არ აგდებდნენ, — იახსარი კი არა, თვითონ ღმერთიც რომ ჩამოვიდეს, ვერას დაგვაკლებსო.

იახსარი ხაშრის ხეობაში ქუდიელის მთიდან ჩამოვიდა, მთელ ხეობაში დევების მყრალი სუნი იდგა. იახსარი ისე შეზარა მათმა სიმყრალემ, რომ ახლოს მისვლა ვეღარ შესძლო და უკანვე გამობრუნდა. ეს დაინახეს ღვთის კარზე თავმოყრილმა ღვთიშვილებმა და ერთი ჩოჩქოლი შეუდგათ: რას შვრება იახსარი, რატომ მოდის უკან? ნუთუ შეუშინდა დევებს და სირცხვილეული გამოიქცაო?

დევებს ქონოდა ქორწილი, ეჩქვიფა სიმურ-წყალია.
ცხრათავ ჰყოლიყო დედაი, ცხრათ შვილთ გამზრდელი
ქალია.

თავს ედგათ სალუდე ქვაბი, რა ძნელი სანახავია.
მიველ და გამამაბრუნეს, სუნი ჰქონიყო მყრალია.

ხვთიშვილს დამიგმეს ნაქნარი — „რას ჩადის იახსარია?"
შემრცხვა და ისევ გავბრუნდი, გამოვუცვალე ჟამია.
საკვმისას ლახტი ჩავღრიე, თავს დავაქციე ბანია.
ცხრანივ იმაში ჩავხოცენ, ვადინე სისხლის წყალია.

ამის შემდეგ იახსარმა მომართა მშვილდ-ქეიბური და ვინც ლასტს გადაურჩა, ისინი ისრით გაჟლიტა. სწორედ ამაზეა ეს ლექსი გამოთქმული:

ქარი იყო და ხვიოდა, ფოთოლი ჩამოდიოდა,
იახსრის მშვილდ-ქეიბური ქუდიელაზედ წიოდა.
ბარდა, ბელელა ჩახოცნა, მუხასაც გული სტკიოდა,
ხაშრულა იმდენ არ იყო, რაც იმათ სისხლი სდიოდა.

რაკი ივრის კუდებში დევების სახსენებელი მთლიანად გააქრო, იახსარი ახლა არაგვის ხეობაში გადავიდა და ჰირ-დაპირ ავისგორელ დევებს მიადგა. ესენიც ცხრანი ძმანი იყვნენ. ცხრათავიანი დედის შვილები და ავისგორზე ახლა ციხე-სიმაგრეს იშენებდნენ. იახსარმა ამათაც ხაშრელი დევების დღე დააწია — სტყორცნა ლახტი და ახლადნაგები ქავ-ციხე ნაცარმტვრად უქცია. დევებიც დიდ-ჰატარიანად სულერთიან გაჟლიტა. მარტო ერთი კოჭლი დევი გადაურჩა, გამოვარდა ნანგრევებიდან გულგახეთქილი და თავქვე გაიქცა. იახსარმა ლასტი დაადევნა, მაგრამ დევმა მოასწრო და კლდეს მოეფარა. ლახტი კლდეს მოხვდა და ოთხად გახეთქა. ერთი ნახეთქი დევს მოხვდა და თვალი გამოსთხარა. გამოხტა თვალწამოთხრილი დევი და ისევ გაიქცა. იახსარიც უკან მიჰყვა.

ერთ კოჭლ დევ გადამრჩომიყო, გამაირანა კარნია.
საგმირო გამოვაყოლე, კლდეს მააფარა თავია.
კლდე ოთხად გავანათოსე, დევს გამოვსთხარე თვალია.
კარგად სცოდნიყვნეს წყეულსა აბუდელაურ ტბანია.
დევი იქისკე გამექცა, თან მივჰყევ იახსარია.

მირბის დევი და მისდევს იახსარი!
დევმა გადაიარა ფშავის მთები, გადაიარა ხევსურეთის მთებიც და ხევსურეთის ჭიუხის ძირას, აბუდელაურის ტბა-

ხმლით აკუწა.

დევი ნავიდა ტბაშია. ბინიქვიდ-ბინიქვიდნა ტბანია.
ღვთისაგან იყო ბრძანება, თან ჩაეჭყვე იასსარია,
დევი ნოვიგდე ტბაშია, თავს დავამტვრიე ფარია.

დევის სისხლმა იასსარს ფრთები შეუკრა, რის გამოც ველარ ამოვიდა და დარჩა ტბაში. ხალხმა თავისი მხსნელი რომ ამ გასაჭირში ნახა, ძალიან შეწუხდა, გაგზავნეს კაცები მკითხავთან. მკითხავმა უთხრა, — სანამ ოთხრქა-ოთხყურა ცხვარს არ მოიყვანთ და ტბაში არ ჩაჰკლავთ, იასსარს არაფერი ეშველებაო. წავიდა ხალხი, ძებნეს ცხრა წელიწადს და ბოლოს ხევსურეთში აღმოაჩინეს ოთხრქა-ოთხყურა ცხვარი. წაიყვანეს მაშინვე ცხვარი და აბუდელაურის ტბაში ჩაკლეს. იასსარს გაეხსნა ტბა, ამოვიდა ხმელეთზე, ბროლის ქვაზე შემოჯდა და ფრთები შეიბერტყა.

იქიდან ველარ ამოვე, სისხლმა გამიბნა ფრთანია.
ეძებნეს ჩემთა მოყმეთა ოთხრქა, ოთხყურა ცხვარია,
მაიყვანეს და ჩამოკლეს, — ღმერთო, დასწერე ჯვარია!
ამოვხედ, ამოვიწიე, მაშინ გამესსნეს გზანია.
შემოვჯე ბროლის ქვაზედა, შემოვიბერტყენ მხარნია.
დავხედე ჩემსა ნაჯდომსა, — ჭრელად მოჩანდეს ქვანია.

რაკი დევები დედაბუდიანად ამოწყვიტა და ხალხს ჭირი მოაშორა, იასსარს დედამიწაზე აღარაფერი საქმე ჰქონდა, ისევ ღვთის კარზე უნდა დაბრუნებულიყო. ხალხს ძალიანაც არ უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ ღვთის ბრძანებასა და ნება-სურვილს ვერავინ შეიცვლიდა.

წასვლისას იასსარი ხალხს გამოემშვიდობა და თან ან დერძი დაუტოვა:

ავისგორს შამიკიდიდით ჩემი პატარა ზარია,
დავკრა, ხმა ახადს გავიდას, გამოისახონ ჯვარია,
ჩამოდგან წირვა-ლოცვაზე ჩემნი ერთგულნი ყმანია,
მიდუღეთ სალუდე ქვაბი, ყმანო, გეწერასთ ჯვარია.

ხალხმა მართლაც აასრულა თავისი მხსნელისა და მოა-
მაგის ანდერძი: ახადსა და ავისგორაზე სამახსოვრო ნიშე-
ბი აუგო, აგრეთვე ციხეგორში და მის სახელს დღესაც მო-
წიწებით ლოცულობენ და ეთაყვანებიან. ხალხმა ის ბრძო-
ლის ქვაც სალოცავ ნიშად გაიხადა, აბუდელაურის ტბიდან
ამოსული იახსარი რომ შემოჯდა და მხრები შემოიბერტყა.
ის ქვა დღესაც იმავე ადგილას დევს, ყოველ ზაფხულს,
ათენგენის მეორე დღეს, ტბასთან უამრავი მლოცავი იყრის
თავს, თან სამსხვერპლო ცხვრები მოჰყავთ და იახსარის სა-
ხელის სადიდებლად ბროლის ქვას საკლავების სისხლით
ნათლავენ.



აგესალომ და ეთერი

იყო ერთი უშვილო ცოლ-ქმარი. დიდხანს ელოდნენ შვილის ყოლას, მაგრამ ისე ჩამობერდნენ, რომ შვილი არ ეღირსათ. ბოლოს, იმედი რომ გაღაიწყვიტეს, ცოლმა დაუჯინა ქმარს, წადი მკითხავთან, აკითხვინე, გაიგე, რა მიზეზით არა გვყავს შვილი, იქნებ რამე წამალიც გასწავლოს და ბედმა ჩვენსკენაც გადმოისედოსო.

წავიდა კაცი მკითხავთან და აკითხვინა. მკითხავმა სამი ვაშლი მისცა და დაარიგა:

— წაიღე ეს ვაშლები და ცოლს მიუტანე, როცა მოშივდეს, ორი ვაშლი შეაჭამე, მერე, რომ მოსწყურდება, ერთიც მაშინ შეაჭამე და შვილი გაგიჩნდებათო.

გზაზე კაცს მოშივდა, ვეღარ გასძლო და შეჭამა ორი ვაშლი, მერე მოსწყურდა და ის მესამეც ზედ მიაყოლა.

შეჭამა თუ არა კაცმა ვაშლები, იმავე წამს კანჭში ქალი ჩაესახა. კაცს შერცხვა, მოიჭრა კანჭი და გადააგდო. სუნზე ერთი ფრთათეთრი ორბი მოფრინდა, ჩასჭიდა კლანჭები კაცის კანჭს და წაიღო თავის ბუდეში, ერთი მაღალი ხის წვერზე.

მალე კანჭიდან გაჩნდა ქალი. ორბმა ეთერი დაარქვა და შეუდგა გაზრდას, ყოველდღე გაფრინდებოდა ბუდიდან, დაივლიდა მთელს ქვეყანას და სადაც კი კარგ და გემრიელ საჭმელს იპოვიდა, მოუტანდა. ქალი დღითიდღე იზრდებოდა და ლამაზდებოდა, რომ გაიზარდა, ისეთი ლამაზი და ტურფა შესახედი დადგა, რომ იმაზე უკეთესი ქვეყნად აღარ მოიძებნებოდა.

იმ ქვეყნის ხელმწიფეს, სადაც ეთერი იზრდებოდა, ერთი საქორწილო ბიჭი ჰყავდა, სასელად აბესალომი. აბესალომს ნადირობა უყვარდა და ტყეში ხშირად დადიოდა. ერთხელ სწორედ იმ ხესთან გაიარა, დაინახა ეთერი და ჩაუვარდა გულში იმისი სიყვარული. ამის შემდეგ ნადირობა აღარც მოჰგონებია. ყოველ ცისმარე დღეს იმ ხის ძირას ატარებდა და ეთერს შორით ესიყვარულებოდა. ერთხელაც ვეღარ მოითმინა და დაუძახა:

ჩამოდი, ეთერო, ძირსა,
მანდ რას უზიხარ ხესაო,
ჩამოდი, ცოლად გამომყევ,
მანდ ნუ იღერებ ყელსაო.

ამაზე ეთერმა უპასუხა:

შენ მდიდარი, მდიდრის შვილი,
დედა-მამით ხარ ქებული,
მე ობოლი, ობლის შვილი,
ობლობით ვარ დაჩაგრული,
კაცის კანჭში ჩასახული,
შარის პირას დაგდებული,
ორბის კლანჭით აღებული,
ხის კენწერზე დადებული,
შენ შენი ჰქმნა და წახვიდე,
გამიშვა წყალწაღებული.

აბესალომმა ღვთის ფიცი მისცა, არ გიღალატებო:

ზევიდან ღმერთი ცეცხლსა ჰყრის,
ქვეშ აბესალომ უდგება,
ეთერო, შენსა ღალატსა,
ღვთის მეტი ვინ შეუდგება.
ომში ხმალამოღებულსა,
აბჯარიმც ჩამომიწყდება,
წყალი, უწყლოსა ალაგსა,

ზღვა იყოს, ამომიშრება,
შვიდი წლის გზასა მავალსა
საგზალიმც დამიმიწდება,
ოოფი მტრისაკენ დახრილი,
გულშიამც დამიბრუნდება.

დაიჯერა ეთერმა აბესალომის ფიცი და დათანხმდა. აბესალომმა, რაკი ხელთ იმჟამად არაფერი ჰქონდა, სანიშნოდ ერთი შავტარიანი დანა აჩუქა, შემოისვა ცხენზე და წაიყვანა შინ.

აბესალომს ერთი ყმა ჰყავდა, სახელად მურმანი. აბესალომმა მურმანი წინ გაგზავნა და თავის დასთან, მარესთან დაბარა:

— ცოლი მომყავს, ოქროსთმიანი ეთერი და საქორწილო ტანისამოსი მოგვიმზადეო.

დაუმზადა მარეხმა საჩქაროდ საქორწილო ტანისამოსი, მოიყვანა აბესალომმა ეთერი და ჩააცვეს. მდიდრულმა ჩაცმამ ისე დაამშვენა, რომ რაც იყო, ორი იმდენი სილამაზე შეატა. დაწერა აბესალომმა წიგნები და ქორწილში თავის სახელმწიფოდან კომლზე კაცი დაიბარა, მისცა წიგნები მურმანს და გაგზავნა მოპატიჟედ.

მურმანს დანახვისთანავე შეუყვარდა ეთერი, მიდიოდა ახლა გზაზე გულმოკლული და სულ იმის ფიქრში იყო, ნეტა ისეთი ვინმე გამოჩნდებოდეს, რომ ეთერი აბესალომს შეაძულოს და მე ჩამიგდოს ხელშიო. შემოხვდა ამ დროს წინ ეშმაკი და ჰკითხა:

— საით მიდიხარ, მურმანო, ან აგრე ძლიერ რას დაღონებულხარო?—მურმანმა თავისი გასაჭირი გაანდო. მაშინ ეშმაკმა უთხრა:

— მაგას რა ნატვრა უნდა, თუ შენს სულს მე მომცემ, ისეთ წამალს გასწავლი, რომ აბესალომმა ეთერი თავისი ხელით გადმოგილოცოსო.

— ოღონდ ეთერი ჩემი გახდეს და სულს კი არა, რჯულსაც მოგყიდიო, — უთხრა მურმანმა.

ეშმაკმა ხელწერილი მოსთხოვა:

— ჯერ ხელწერილი დამიწერე, რომ პირს ვეღარ გადასვიდე და წამალს მერე გასწავლიო.

დაუწერა მურმანმა ხელწერილი და მისცა. ეშმაკმა უთხრა:

— ჯვარს რომ დაიწერენ და ეკლესიიდან გამოვლენ, ეთერს ერთი მუჭა ფეტვი ხელუკუღმა გადააყარე, მკბენარი დაესვევა იმდენი, რომ სულ რომ აცალონ, მაინც ვერ გააცლიან, სანამ შენს ხელში არ ჩავარდება. აბესალომს შესძულდება ეთერი და შენ გადმოგილოცავსო.

დაბრუნდა შინ სულგაყიდული მურმანი და გაჰყვა ეთერსა და აბესალომს ეკლესიაში. ჯვარი რომ დაიწერეს და ეკლესიიდან გამოდიოდნენ, მურმანმა პატარძალს ერთი მუჭა ფეტვი გადააყარა ხელუკუღმა. დაესვია მკბენარი ეთერს, აცლიან, მაგრამ უფრო მეტი ეხვევა. შეწუხდა აბესალომი ძალიან, მაგრამ საშველი რომ ვერაფერი ნახა, გამოიყვანა ეთერი ხალხში და საჯაროდ დაიძახა:

ორშაბათ შეყრილ მიჯნურნი
სამშაბათს გავიყარენით,
ვისაც რომ შეყრა გეწყინათ,
გავყრილვართ, გაიხარენით,
ვის გინდათ ქალი ეთერი,
მე სანადიროდ წავალო.

აუსრულდა სულგაყიდულ მურმანს გულისწადილი, დაიჩოქა აბესალომის წინ და შეღაღადა:

უბოძე შენსა მურმანსა,
შენი ერთგული ყმა ვარო.

მიუყვანა აბესალომმა ეთერი და თავისი ხელით ჩააბარა მურმანს. მოკიდა თუ არა მურმანმა ხელი, ეთერს მკბენარი იმავ წამს მოშორდა, წამოიყვანა და დაისვა ცოლად.

აბესალომს, განშორების შემდეგ, უფრო ცეცხლად მოედო ეთერის სურვილი, ერთხელ მურმანს შეხვდა, ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

მურმან, მურმან, შენსა მზესა,
ეთერ-ქალი რარიგია?

მურმანმა უპასუხა:

რას კითხულობ, ცათა სწორო,
ცოლის ქება აუგია,
შენც გინახავს ბროლის ციხე,
წვერი ცამდის აულია.
შიგა ზის ქალი ეთერი,
ყელი მოუღერებია,
წელი წვრილი, ბეჭი ფართე,
თეძოს თავი დაბალია,
შუბლი ბრტყელი, წარბი წვრილი,
საფეთქელი მწყაზარია,
ცსეირი სტვირი, კბილი მძივი,
ბაგე ხახვის ფურცელია,
ცხრა მული გვერდსა უსსედან,
ყველა პირის ფარეშია.
დედამთილი ზურგთან უზის,
გიშრის თმების დამწვნელია,
ცხრა მაზლი კარებზე დგანან;
დალესილი ალმასია,
მამამთილი ერდოზე წევს
გველეშაპის მომკლავია.

ამის გამგონე აბესალომს უფრო გაუცხოველდა ეთერის სიყვარული და ავად გახდა. მოინდომა მურმანის მოშორება და ეთერის ისევ ხელში ჩაგდება, დაიბარა მურმანი და უბრძანა:

— წადი, უკვდავების წყალი მომიტანე, იქნება კარგად გავხდეო.—დაღონდა მურმანი, მაგრამ ბატონს უარს ხომ ვერ ეტყოდა, გამოსთხოვა ცხრა დღის ვადა აბესალომს და ეთერთან გამოსამშვიდობებლად წავიდა. მივიდა და უთხრა ეთერს:

ამაღამაც ჩამიტოლე,
ქალო, მკერდსა ბროლისასა,

სვალე ალგეთში მგზავნიან,
პირსა ალგეთის მოისასა,
იქ თავში ქვასა დამცემენ,
მოწატესსა ლოდისასა.
ვაჰმე, თავსა გამიტესენ,
უზარელსა ლომისასა.
ნუ შეიხვევ ავსა კაცსა,
ნუცა ავის გვარისასა,
წავა, სწორში დაიკვესებს,
ხვევნას ვიყავ მთვარისასა.

ეთერმა უპასუსა:

გავიხდი დიბა-ატლასსა,
ჩავიცვამ ბამბის კაბასა,
ავიღებ კოკას კუტალსა,
მოვიტან წყალსა მდინარსა,
არც შევალ შენის ძმისასა,
არც — შენის მეზობლისასა,
თუ შევალ, ისე გამოვალ,
როგორც და თავის ძმისასა.

დაწვა იმ ღამეს მურმანი ეთერთან და განშორების მოლოდინით გულდაკოდილმა თავისთვის ნაღვლიანად წაიმღერა:

ამაღამდელო ღამეო,
ნუმც გათენდები მალეო,
ვეხვევი ბროლის გულ-მკერდსა,
ვეღარ ვიხილავ ხვალეო.

მეორე დღეს ადგა მურმანი, გაემზადა წასასვლელად და დასა და დედას შეეხვეწა:

— გაუფრთხილდით ეთერს, მასთან ნიავსა და მზის სხივსაც კი ნუ მიუშვებთო. — და წავიდა.

აბესალომს თანდათან მოერია ავადმყოფობა. ბოლოს იმ-

დენად შეაჭირვა, რომ სიკვდილის პირას მიიყვანა. აღარ იყო საშველი და აღარც წამალი რამეს რგებდა. ადგა აბესალომის და — მარეხ-ვარსკვლავი, გამოვიდა კარში და ხალხს შეევედრა:

— ძმა მიკვდება, ხალხნო, უშველეთ რამე, უწამლეთ, გადამირჩინეთო.

ხალხმა უთხრა:

— მაგას ეთერის სურვილი კლავს და წამალი არაფერს უშველის, შეუტანე მტრედის ფრთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო, ყორნის ბოლო და ტახტზე დაულაგე, იქნებ ენიშნოს და ცოტა გულზე უფონოსო.

შეიტანა მარეხმა მტრედის ფრთა, გამტკიცული პური, წითელი ღვინო, ყორნის ბოლო და ტახტზე დაუწყო. მობრუნდა აბესალომი, აიღო მტრედის ფრთა ხელში და თქვა:

— მტრედის ფრთავ, თეთრი ხარ, მაგრამ ეთერისთანა კი ვერა ხარო.

აიღო ახლა გამტკიცული პური და თქვა:

— პურო, გამტკიცული ხარ, მაგრამ ეთერის სახისთანა კი ვერა ხარო.

მესამედ წითელი ღვინო აიღო, გახედა სინათლეზე და თქვა.

— წითელო ღვინოვ, ლალისფერი ხარ, მაგრამ ეთერის ღაწვებისთანა კი ვერა ხარო.

ბოლოს აიღო ყორნის ბოლო და თქვა:

— შავი ხარ, შავი, ყორნის ბოლოვ, მაგრამ ეთერის თვალწარბისთანა მაინც ვერა ხარო. მერე ისევ დას მიუბრუნდა და უთხრა:

ადე, მარეხო-ვარსკვლავო,
ეთერსა კარსა უარე,
თუ გკითხოს ჩემი ამბავი,
დაჯექ და წვრილად უამბე.

მარეხი იმავ წამს ადგა და წავიდა ეთერის სანახავად, მაგრამ ეთერი შინ არ დაუხვდა, აბესალომის ავადმყოფობაზ რომ გაეგო, მულებსა და დედამთილს გამოჰპარვოდა, შესულ

ლიყო აბესალომის ბაღში, ერთ ვარდის ბუჩქთან ჩამომჯდა-
იყო საშველი და აღარც წამალი რამეს რგებდა. ადგა აბე-
ჩასძინებოდა. იპოვა მარესმა ეთერი და დაუძახა:

მე ბანი-ბანად გეძებდი,
შენ ბაღი-ბაღჩად გეძინა,
ოქროს საკინძი გაგესსნა,
ბროლის გულ-მკერდი გეჩინა,
ეგ შენი შავი დალალი
ორგვლივ ჩრდილივით გეფინა.

გააღვიძა მარესმა და უთხრა:

ეთერო, შემოვიარე,
იმ შენი ციხის არესა,
გადმოვიხედე, ავტირდი,
ლოგინი გიგავ მთვარესა!
ეს გაზაფხულიც მოვიდა,
მარტი, აპრილი, მაისი,
ადე, ეთერო, გამომყევ,
შენ მომბირჩინე ძმა ისი.
ავიღებ, ბარსა, ნიჩაფსა,
დავხვეტავ გზასა, ხვინჭასა,
ფარჩა-აბრეშუმს დაგიფენ,
ფეხი არ დასცე ქვიშასა,
ისეთ სასახლეს აგიგებ
ბროლ-მარმარილოს ქვისასა,
შიგ და შიგ ფიცარს ჩავუყრი
აბანოურის ხისასა.
სახლის წინ ვარდებს მოვიყვან,
სურნელსა ყვავილისასა,
ზედ დიბა-ატლასს გადავფენ,
საჩრდილობელსა მზისასა,
ქვეშ ორხაულებს გაგიშლი,
ნაქსოვსა კრაველისასა.
ზედ ბილურს ჩამოგიკიდებ,
სასმელსა ვარდის წყლისასა.

წავიდა მარეხი, მიუტანა ეთერს ძვირფასი ტანსაცმელი, მიუყვანა ცხენი და უთხრა:

აჰა, ეთერ, ტყავ-ტოლომა
აფხაზურად შეკერილი,
აჰა, ეთერ, თავსაბური
მოთვალმარგალიტებული,
აჰა, ეთერ, ბედაური
არაბეთით მოყვანილი.

ეთერი ნაწყენი იყო აბესალომზე, რატომ დამთმო და მურმანს მიმცაო, და წასვლაზე მაშინვე არ დასთანხმდა, ასე უთხრა:

არცა მინდა ტყავ-ტოლომა
აფხაზურად შეკერილი,
არცა მინდა თავსაბური
გათვალმარგალიტებული,
არცა მინდა ბედაური
არაბეთით მოყვანილი...
გაზაფხულისა პირზედა
მინდორში მოვა სოსანი,
ამიღო და ყმასა მიმცა...
ულირსი გვირგვინოსანი!

მაგრამ მარეხის მუდარამ მაინც გული მოულბო ეთერს და გაჰყვა, — თუ ჩემი მოსვლით მორჩება, როგორ არ წამოვალო.

მივიდნენ აბესალომის სასლში, აბესალომი უკვე სულს ებრძოდა, მაგრამ ეთერმა ბანზე რომ შედგა ფეხი, ერთი წამით ისევ სიცოცხლე დაუბრუნდა; იცნო ეთერის ფეხის ხმა და სულთმობრძავმა წამოიძახა:

ეთერი ბანზე შემოდგა, ბანი და კარი შეინძრა,
ბანიდან ჩამოიხედა, სულში ნათელი ჩამიდგა.
წამწამსა და წამწამს შუა ბაღი გაგიშენებია,

ეთერის მობრძანებისთვის მადლი მომიხსენებია!
მაგრამ ტყუილად გარჯილა, ვარ საიქიოს მავალი,
უბრძანებია უფალსა გზა ვიწრო, მარტოდ სავალი.

შევიდა მარეხი აბესალომთან და უთხრა:

ძმაო, მოვიდა ეთერი, თვალებში თუ გაქვს ნათელი!

აბესალომმა უპასუხა:

ეთერს აქ მობრძანებისთვის ცხენი უბოძეთ_საღარი!

მარეხმა უთხრა:

ცხენი რად უნდა ეთერსა, არსად წამსვლელი არ არი.

ამ დროს შევიდა ეთერიც კარებში. აბესალომმა ეთერის ნახვას ველარ გაუძლო, გადაბრუნდა კედლისაკენ და სული დალია. ეთერი მივარდა, გადაეხვია და ატირდა:

აბესალომის დანაო, უბეს მიდევხარ განაო,
ამოგიღებ და დაგიცემ, მარცხენა ძუძუსთანაო;
პირი ჩემკენ, ტარი შენსკენ, მეც დაგაკვდები თანაო.
ერთადამც დავიხოცებით, ერთადამც დაგვმარხიანო,
გზის პირად დაგვაღირებენ, გზის თავმსაც დაგვმარხიანო.
თავს ვარდი ამოსულიყოს, დილის ნიავი შლიდესო,
შიგა ბუდობდეს ბულბული, ბუდობდეს, ბარტყებს
ზრდიდესო,
ფეხთითა წყრომც გამოვა, შიგ ოქროსთასი იდგესო.
ყველა მუშა და მაშვრალი, დალევდეს, დაგვნატრიდესო,
ყველა ამვლელი, ჩამვლელი შენდობას შეგვითვლიდესო:
რა კარგნი რამ დახოცილან, ისევამც ადგებიანო,
თუ წეს არ იყოს ადგომა,
სულითამც ცხონდებიანო.

მართლაც დამარხეს გვერდი-გვერდ აბესალომი და ეთერი, ერთი ჯვარი დაადგეს და ზედ დააწერეს:

აბესალომ და ეთერი,
ღმერთმა შეყარა ერთფერი!

მოვიდა მეცხრე დღეს მურმანი, მისცა სული ეშმაკს, გაითხარა საფლავი აბესალომსა და ეთერს შუა და ჩაწვა. აბესალომისა და ეთერის საფლავებზე ვარდი და ია ამოვიდა, მურმანის საფლავზე კი ეკალი. გადაიხრებიან ვარდი და ია ერთმანეთისაკენ, მაგრამ ეკალი გაეჩხირებათ შუაში და ერთმანეთთან მისვლას უშლის. იმასაც ამბობენ, ღამღამობით მურმანის საფლავიდან მგლის ლეკვები ამოძვრებიან და საზარლად ყმუიანო.

ROSTOMI

იყო ერთი მეტად სახელგანთქმული გმირი როსტომი, იმისი მომრევი ქვეყანაზე არავინ მოიპოვებოდა, იმიტომ რომ დაბადებით თანდაყოლილი ჰქონდა სოლისა და ეროს ძალა, აგორებული ლოდის შეუპოვრობა და ცის ქუხილის ხმა. როგორც ყველა გმირი, როსტომიც უზომოდ თავდაბალი იყო, სამართლიანი და მეზობლობაში დამთმობი.

როსტომ თქვა: გმირი მეც ვიყავ, ჯირით მეც შემოვისრიე,
მეზობლის გაჯავრებასა, ისევ მოთმენა ვირჩიე.

ერთხელ როსტომს კბილი ასტკივდა, გავარდა ტყეში ტკივილისაგან გაბოროტებული და ხეებს სულ ლაწალუწი აუყენა. მივიდა იმ ტყის ბინადარი ერთი კოჭლი დევი და უთხრა:

— გმირო, როსტომო, ამ ჩემს ტყეზე რა ბიჭობას იჩენ, თუ სახელი და მკლავის გამოცდა გინდა, წადი ცხრა მთას იქით და შენი საფერი იქ შეგხვდებაო.

როსტომს შერცხვა, აიღო ხმალი, საგმირო ლახტი, მშვილდ-კაპარჭი და გასწია ცხრა მთას იქით. გზადაგზა, საცა მოშივდებოდა, ისრით ნადირს კლავდა და იმით საზრდოობდა. როსტომს სულ ფასკუნჯის ფრთადაწებებული არყის ისრები ჰქონდა, ტყე და მთა-ყურე დევებით იყო სავსე, მაგრამ როსტომის ისრებს კარგად იცნობდნენ და შორიდან ერიდებოდნენ.

როსტომის არყის ისართა რად უნდა ქადაგ-მისანი,
არც დიდი ცნობა უნდოდა: ფრთენ ეკრნეს ფაშქუნჯისანი.

როსტომმა უხიფათოდ და უთავგადასავლოდ გადაიარა ცხრავე მთა და ერთ დაბურულ ხევში ჩავიდა. ხევზე დროდადრო სისხლის მდინარე გამოივლიდა და შეწყდებოდა, გამოივლიდა და შეწყდებოდა. როსტომს ეუცნაურა სისხლის მდინარის ასეთი წყვეტილი დენა, ხეობას თვალი გააყოლა და ერთი ცასმიბჯენილი პიტალო კლდე დაინახა. სისხლიც სწორედ იქიდან გადმოსჩქეფდა.

„რაღა გმირი ვიქნები, თუ იქ არ ავალ და ამ სისხლის დენის მიზეზს არ შევიტყობო", — თქვა გულში როსტომმა, მოგლიჯა ერთი უზარმაზარი მუხა და მიაყუდა კლდეზე, ზერე — მეორე, მესამე, დაადგა მუხები ერთმანეთზე და კლდეზე ასასვლელი კიბე გაიკეთა.

როსტომმა მკლავი გაშალა, მუხა მოგლიჯა ძირითა,
ხელი გაუსვა, გალოპრა, გასტყორცნა, გააჯირითა.

შეაბიჯა მუხებზე როსტომმა და ავიდა კლდის თავზე. კლდეზე, ხევის პირას, ერთი გოლიათი არაბი იჯდა, მუხლებშუა ფსათავისკენ შიშველი ხმალი დაეკიდებინა და თვლემდა. რამდენჯერაც ჩასთვლემდა, თავს ჩააკანტურებდა და შუბლით ხმალს მიეჯახებოდა, ჭრილობიდან სისხლი იქუსებდა და არაბიც გამოფხიზლდებოდა. გაიხედავდა აღმოსავლეთისაკენ და ისევ თვლემა მოერეოდა. როსტომმა უყურა, უყურა, მაგრამ ამ უცნაური საქციელისა ვერაფერი გაიგო, მივიდა ახლოს და ჰკითხა:

— ძმობილო, ამას რასა შვრებიო?

არაბმა თვალები აახილა და უთხრა:

— ძმობა არ გეთქვა, მე ვიცოდი, რასაც გიზამდი, მაგრამ რაკი ძმობით მოხვედი, აღარას გერჩი, მოდი, დამიჯექ ზვერდით და ყველაფერს გიამბობო.

მივიდა როსტომი და გვერდით დაუჯდა, არაბმა ჰკითხა:

— ჯერ ეს მითხარი, შენ ვინა ხარო?

— მე როსტომი ვარო, — მიუგო როსტომმა,

— შენა გაქვს სოლ-ეროს ძალა და ცის ხმაო? — კვალად ჰკითხა არაბმა.

— სწორედ მე მაქვსო, — უთხრა როსტომმა.

მაშინ გაენდო შავი არაბი და თავისი უცნაური საქციელის მიზეზიც აუხსნა:

— მე და ერთ წითელ არაბს ერთ მზეთუნახავ ქალზე ცილობა გვაქვს. ახლა საცაა, ის წითელი არაბი წითელი ზღვიდან გამოვა და იმ მზეთუნახავ ქალს გამოატარებს. პირობის თანასმად, მე აქ უნდა დავხვდე და ვიბრძოლოთ, რომელიც მოვერევით, ქალი იმას დაგვრჩება.

მე ერთთვიანი ძილი ვიცი, ახლა სწორედ ძილის დრო მაქვს, ეს ხმალი სწორედ იმიტომ დავიყუდე ფხაჩემკენ, რომ როცა ჩამთვლემს, შუბლს დავკრავ ზედ და გამეღვიძება, თორემ თუ დამეძინა, წითელი არაბი ქალს გამაპარებს და მე ხელცარიელი დავრჩებიო.

— შენ დაიძინე და წითელ არაბს მე ვუდარაჯებო, — უთხრა როსტომმა, — როცა გამოჩნდება, დავიყვირებ და გაგაღვიძებო.

— კარგიო, — დათანხმდა არაბი, ოღონდ უთხრა, — თუ ყვირილით ვერ გამაღვიძო, მარცხენა ფეხის ქუსლში ხმალი ჩამეცი და იმით გამაღვიძეო.

არაბი დაწვა და დაიძინა. დაუჯდა გვერდით როსტომი და დაუწყო ლოდინი წითელი არაბის გამოჩენას. დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია, მალე მზეთუნახავი ქალის შუქმა აღმოსავლეთის ცისკარივით გაანათა და წითელი არაბიც გამოჩნდა — ქალისთვის ხელი მაგრა ჩაევლო და ისე მოჰყავდა.

როსტომს ერთი რკინის სალტე ჰქონდა, როცა მთელი ხმით უნდა დაეყვირა, თავზე იმ სალტეს ჩამოიცვამდა, რომ თავი არ გახეთქოდა, ახლაც ჩამოიცვა თავზე რკინის სალტე და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა, მაგრამ არაბს ყურიც ვერ შეაბერტყინა, დაიყვირა მეორედ, დაიყვირა მესამედაც, მაგრამ შავი არაბი ცნობაში მაინც ვერ ჩააგდო, მაშინ იშიშვლა ხმალი და ჩასცა მარცხენა ფეხის ქუსლში.

გამოეღვიძა შავ არაბს, მოიფშვნიტა თვალები და წამოდგა.

— მეც ჩამოგყევები და მსარს დაგიჭერო, — უთხრა როსტომმა.

არაბმა არ უყაბულა.

— ორი კაცის ერთ კაცზე მისვლა, რა ვაქკაცობააო, — უთხრა, — ჩვენ ისეთი პირობა გვაქვს, მარტ-მარტომ, ერთით-ერთზე უნდა ვიომოთ, შენ აქ დარჩი და, თუ მაინც დამძლიოს, ერთი შენი სმით დაიყვირე, მე გული მომეცემა და ხელს დავრევო.

ჩავიდა სწორე ადგილზე არაბი და დაელოდა წითელი არაბის მოსვლას. მოვიდა წითელი არაბიც, ქალი განზე გაიყვანეს და დაიწყეს სასტიკი ომი. იმათი ქშენა ხეებს ლერწამივით არხევდა და ფეხის მტვერი ზეცას აბნელებდა. მოიქნევდა ხმალს შავი არაბი და წითელი არაბის წითელ ბექთარზე ცეცხლის რკალს გაავლებდა, მოიქნევდა წითელი არაბი და შავი არაბის შავი ბექთარიც ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს ისროდა. თანდათან შავ არაბს დაღლა დაეტყო, წითელი არაბი კი ჯერ ისევ მყარად იდგა და ხმალსაც ძველებური ძალით იქნევდა. როსტომმა შეატყო, რომ შავი არაბი მარცხდებოდა, ჩამოიცვა რკინის სალტე თავზე, გაჯავრებულმა თან კლდე ჩაბღუჯა და დაიყვირა:

იყვირ-იკივლა როსტომმა, გაჰხივლ-გაჰქუსა ზეცამდე,
ტოტით დაგლიჯნა ჭიუხნი, გადაისროლა ბექამდე.

როსტომის ხმა წითელ არაბს ეუცხოვა და წამით სელი გაუჩერდა, ამით ისარგებლა შავმა არაბმა, თან როსტომის ხმის გაგონებაზე გულიც მოეცა, შემოჰკრა ხმალი გამეტებით და მოკლა.

დარჩა მზეთუნახავი ქალი შავ არაბს. წამოიყვანა ქალი არაბმა, როსტომიც შინ მიიწვია და ირმის მწვადითა და წითელი ღვინით პურადად გაუმასპინძლდა.

არაბს მალე ისევ ძილი მოერია და დაეძინა, სუფრაზე ქალი და როსტომიღა დარჩნენ. მზეთუნახავ ქალს ხურომანი ერქვა. მოეწონა ხურომანს როსტომი და გადაწყვიტა მისი შეცდენა, გვერდით დაუჯდა და ღვინო დააძალა. კარგად რომ დაათრო, მერე უთხრა:

— მოდი, ეს შავი არაბი მოკალი და ცოლად შემირთე, მეც შენი ვიქნები და ეს სახლ-კარი და ქონება-ცხოვრებაც შენ დაგრჩებაო.

როსტომი ჯერ უარზე დადგა, უბრალო კაცს როგორ ვუღალატო, ან მძინარე როგორ მოვკლაო. მაგრამ ქალი ვის არ შეაცდენს, იმდენი ეფერა, ელიზღა და ელაქუცა, რომ მთვრალი როსტომი ბოლოს დაიყოლია, მოაკვლევინა არაბი და იმ ღამეს გვერდით დაუწვა.

გაეღვიძა დილას როსტომს გამოფხიზლებულს, ნახა ხმლით შუა გაკვეთილი არაბი, გაახსენდა, მთვრალმა წუხელ რაც ჩაიდინა და გული ბოღმით აევსო. დასწყევლა ხუროშანი, დასწყევლა თავისი თავიც და არაბის სახლ-კარს საჩქაროდ გაეცალა. წასვლისას ხუროშანს თავისი ავგაროზი მისცა და უთხრა:

— ვიცი, შვილი გაგიჩნდება, თუ ქალი გეყოლოს, შენთან დაიტოვე, თუ ვაჟი, ზურაბი დაარქვი, ეს ნიშანი მხარზე დააკერე და ქვეყანაზე ისე იაროსო.

წავიდა როსტომი და ამ დღიდან სამუდამოდ დასწყევლა და შეიძულა ქალი.

როსტომ თქვა, — ჭკვა დიაცისა, არც მომწონს, არც
მეკეთებ
ვაჟკაცს დიაცის მიმყოლსა, სამარეშიც დაეკვეთება.
როსტომ თქვა, ამ მთას, იმ მთასა, ხელს მოვკრავ,
ერთად თავს ვუზამ,
თორმეტლიტრიან რკინასა კბილს მოვუჭერ და კნაპს ვუზამ,
ალაზანსა და იორსა, დავაყენებ და ყლაპს ვუზამ,
თავაღებულსა დიაცსა, აბა, მითხარი, რას ვუზამ?

იარა როსტომმა, იარა და გავიდა ქაქეოზ მეფის სახელმწიფოში, იქ დამკვიდრდა და დაიწყო სიმართლისათვის ბრძოლა. არც ხელმწიფე ქაქეოზსა და არც იმის კარისკაცებს თვითნებობის ნებას არ აძლევდა. ქაქეოზსა და ნაზირ-ვეზირებს არ მოსწონდათ როსტომის სამართლიანობა, მაგრამ შიშით ვერაფერს უბედავდნენ.

ამასობაში ხუროშანს მართლა ვაჟი ეყოლა და ზურაბი

დაარქვა. ზურაბი ერთი თვისა ერთი წლისას ჰგავდა და ერთი წლისა ათის წლისას, თან ისეთი ღონიერი იყო, რომ ბავშვებთან თამაშის დროს, თუ გაბრაზდებოდა, ხარის კოჭებს ერთი სელის მოჭერით დაფშვნიდა.

ერთხელ ზურაბმა ერთი ბავშვი აატირა, ბავშვი მიუბრუნდა და თვალცრემლიანმა უთხრა:

— თუ ასეთი ვაჟკაცი ხარ, ჩემზე კი ნუ სცდი ბიჭობას, მამა რომ გყავს დაკარგული, ის მოძებნეო.

ეწყინა ზურაბს, არ იცოდა, თუ მამა ჰყავდა, წავიდა შინ და დედას ჰკითხა:

— ვინ იყო მამაჩემი ან ახლა სად არისო?

დედამ ყველაფერი დაუფარავად უამბო. ზურაბმა ჯაჭვი ჩაიცვა და მამის საძებნელად წასვლა გადაწყვიტა. ხუროომანმა ბევრი უშალა, — ჯერ პატარა ხარ, როცა გაიზრდები, მე თვითონ გაგაგზავნიო,—მაგრამ ზურაბმა არ დაიშალა. მაშინ ხუროომანმა გამოიტანა როსტომის დანატოვარი ავგაროზი. დააკერა ზურაბს მხარზე და გაისტუმრა.

ბევრი იარა ზურაბმა, თუ ცოტა იარა, ბოლოს ისიც ქაქეოზ მეფის ქალაქში მივიდა. ქალაქის კართან მეფის ერთი კარისკაცი შეხვდა. კარისკაცმა მაშინვე იცნო ზურაბის მხარზე როსტომის ნიშანი, მიხვდა, რომ ეს უცხო გმირი ჭაბუკი როსტომის შვილი უნდა ყოფილიყო და შიშით გული გაუსკდა. იფიქრა, ჯერ მარტოკა როსტომმა დაგვწვა და დაგვდაგა და ახლა შვილიც რომ მხარში ამოუდგეს, მთლად მოგვსპობენ. მოდი, ერთმანეთს დავახოცინებ და ბურთი და მოედანი კვლავ ჩვენ დაგვრჩებაო. ამ განზრახვით მივიდა ზურაბთან და უთხრა:

— ქალი ხომ არა ხარ, რომ მხარზე მძივები დაგიკერეია, აიხსენ და დამალე, თორემ ერანელნი დაგცინებენო.

ზურაბმა დაუჯერა ცბიერ ბერიკაცს და როსტომისეული ნიშანი იღლიის ქვეშ დამალა. კარისკაცი წავიდა და სხვა კარისკაცებს შეატყობინა:

— როსტომის შვილი მოსულა ჩვენს ქალაქში, ერთმანეთი რომ იცნონ, ხომ იცით, აქ აღარ დაგვედგომება, მოდით, ისე მოვაწყოთ საქმე, რომ ერთმანეთი როგორმე დავახოცინოთ და მოვისვენოთო.

კარისკაცები სისარულით დათანხმდნენ, წავიდნენ როსტომთან და უთხრეს:

— ჩვენს ქალაქში ერთი უცხო ფალავანი მოსულა და ჭიდაობაში გიწვევსო.

— ჯერ ვნახავ, რა ვაჟკაცია და მერე დავეჭიდებიო, — უთხრა როსტომმა და გაჰყვა კარისკაცებს. კარისკაცებმა წაიყვანეს როსტომი და სადაც ზურაბი ჰყავდათ, იმ სასლში ერდოდან ჩუმად ჩაასვეს.. ზურაბი მორთხმით იჯდა, შემოსვდა ერდოდან და დაუძახა:

რად იშვრიტებით ბანითა, რად არ მოდიხართ კარითა?

როსტომს მოეწონა ზურაბი და კარისკაცებს უთხრა, — ხვალე შევებმიო.

რაკი როსტომი დაითანხმეს, კარისკაცები ახლა ზურაბთან შევიდნენ, — ჩვენი ფალავანი საჭიდაოდ გიწვევს და უნდა დაეჭიდოო:

ადე, ზურაბ, მოიკაზმე, ტანთ ჩაიცვი საომარი!

ზურაბი უყოყმანოდ დათანხმდა:

წამოდექით, ერანელნო, ვინ ხართ უფრო ფალავანი?
ნუ იკვეხნით ფალავნობას, თუ არა გაქვთ მკლავში ძალი.
თუ იკვეხნით, ჩემთან მოდით, გაგისინჯოთ ბეჭის ძვალი!

გათენდა მეორე დილა და ზურაბი და როსტომიც გავიდნენ ქალაქის მოედანზე საჭიდაოდ, როსტომის დანახვისთანავე ზურაბს დედის ნათქვამი მოაგონდა, — მამაშენს კარიანი კბილები აქვს, ბეჭში ოდნავ წახრილია და ბრძოლის წინ მარცხენა ფეხს ათამაშებსო. ზურაბი დაეჭვდა, ეს მამაჩემი არ იყოსო, და როსტომს უთხრა:

— ბერიკაცო, ჩამომეხსენ, გული რადმე მეთაღრება,
მე დედეულთა ნიშანი შენში რაღაც მენიშნება,
კბილის კარი და ბეჭთ წახრა, როსტომისას მემსგავსება.

როსტომმა ყური არ ათხოვა ზურაბის ნათქვამს. რას იფიქრებდა თუ მისი შვილი იყო. ნაწყენმა, პირტიტველა ჭაბუკმა საფალავნოდ როგორ გამომიწვიაო, მკვახედ მიუგო:

— არცა ვარ როსტომიანი, არცა იმათი გვარისა,
ვარ ვინმე თურქი მოლაშქრე, მამკლავი უზანფარისა.
ბატონის გამოგზავნილი, ვარჯილო ცხენოსანისა,
აქ ფალავანის დამცემი, დამლევი მუჭა სისხლისა.

ზურაბს ეწყინა, რომ მამამისი არ აღმოჩნდა და დანანებით უთხრა:

— ეგ რა მითხარ, ბერო კაცო, დამიკოდე წყლული გული,
ნეტავინ კი არ მენახე, ადრევ დაგელია სული.

ზურაბს მაინც ეჭვი ეპარებოდა და არ უნდოდა როსტომთან შერკინება, მაგრამ როსტომი ქაქეოზ მეფის კარისკაცებისაგან იყო გაქეზებული და არ დაიშალა, გაჯიუტდა. დაიჭიდნენ და ზურაბმა დასძლია, წააქცია, როსტომს შერცხვა, მაგრამ აღარაფერი თქვა და თავი იმით ინუგეშა, რომ ზურაბი ახალგაზრდაა, მაგის მკერდზე ჯერ ვარდი არ აყვავებულა, ესე იგი, ჯერ ქალი არ უნახავს და ჯანი არაფერში დახარჯვიაო. მაგრამ კარისკაცები შეუჩნდნენ და მანამ არ მოასვენეს, სანამ ზურაბზე გული არ მოაყვანინეს და მტრობა და შური არ აღუძრეს, ბოლოს იმაშიაც დაარწმუნეს, რომ თუ ის უცხო ფალავანი არ მოკალი, არაფერი გეშველება, ის ახალგაზრდაა, შენ მოხუცი ხარ, ყველაფერში გაჯობებს და საბოლოოდ ხალხის სასაცილოს გაგხდისო.

სიბერეში, როგორც ყველას, როსტომსაც ეჭვიანობა დასჩემდა, კარისკაცების ნათქვამმა ხომ მთლად ცეცხლი მოუკიდა. დაბრუნდა სასახლეში და ქაქეოზ მეფეს უთხრა:

ერთი ჭაბუკი მოსულა, ყველა მტრისათვის მახეა,
მკლავშიაც ვცადე, ლახტშიაც, იმასთან ყველა მჩატეა,
იმისი დანაბიჯები სამარის კარის ფართეა.

ქაქეოზ მეფეს გული გაუსკდა, რაკი როსტომსაც მორევია, მე რაღა სიკეთეს დამაყრისო, და თავისი ქვეყნიდან გადასვეწა გადაწყვიტა, მოუხმო ნაზირ-ვეზირებს და ბარგის შეკვრა უბრძანა. მაგრამ როსტომმავე დაამშვიდა:

ქაქეოზ, ბარგი იქ დადევ, სადაც უწინა გდებია,
მაგ ფალავნისა სიკვდილი, მე უკვე გულს ჩამდებია,
შსამში გავლესავ დანასა, ჩექმაში ჩასადებია.

იმ ღამეს მართლაც აიღო როსტომმა ერთი საკმაოდ მოზრდილი დანა და დილამდე შსამში ლესა. კარგად რომ დააფსავა, ჩექმის ყელში დამალა და ზურაბი სელასლა საჭიდაოდ გამოითხოვა, — გუშინ ხასიათზე არ ვიყავი და იმიტომ დავმარცხდი, დღეს გამოდი და ვინც მოვერევით, საბოლოო გამარჯვებაც იმისი იყოსო:

ფეტვი ადგილზე სთესია, ჩვენში ასეთი წესია:
ფალავანი ფალავანსა ერთხელ დასცემს, აუშვებსო,
თუ მეორედაც დასძლია, ცოცხალს აღარ გაუშვებსო.

ზურაბს კიდევ არ უნდოდა ჭიდაობა, — გული არ ეთანხმებოდა, მაგრამ როსტომმა არც ახლა დაიშალა და ზურაბიც დათანხმდა. გავიდნენ ისევ ქალაქის მოედანზე, დაიჭიდნენ და ისევ ზურაბმა წააქცია. მაშინ როსტომმა ამოიღო ჩექმის ყელში დამალული დანა და დაბლიდან ზურაბს მუცელში გაუყარა. სასიკვდილოდ დაჭრილმა ზურაბმა როსტომს უთხრა:

შე ბერიკაცო, რად მომკალ, დანა რად დამეც ვადამდე?
შენ მამაჩემსა როსტომსა, საით წაუხვალ, სადამდე?
ზღვას გახვალ, იქ გამოგყვება, ქვესკნელშიც თან ჩამოგყვება.
გერჩივნა, ცას წასულიყავ, ვარსკვლავთა კარი გაგელო,
მიწა საჭვრეტლად გქონოდა, მისი სურვილი წაგელო,
ცოდვას მოინანიებდი, თავი ძირს აღარ დაგელო.

როსტომს ელდა ეცა ამის გაგონებაზე და ზურაბს ჰკითხა:

— შე მრუში დიაცის შვილო, ნიშანი სად გაკერია?
— მხარს მეკრა, ზრასვით შევიხსენ, აი, არწივის კვერია!

უთხრა ზურაბმა, ასწია მკლავი და იღლიის ქვეშ დამალული ნიშანი აჩვენა. როსტომმა იცნო თავისი დანატოვარი ავგაროზი და თავს რეტი დაესხა, ახლა კი გაიგო, რომ ზურაბი მისი შვილი იყო, აიღო ერთი უშველებელი ლოდი, თავზე გადაიფშვნა და ხმამაღლა დაიყვირა:

ვაიმე, შვილო, ზურაბო, ჩაგეცი დანა სრეული,
რისთვის გაგზარდა დედამ, სული ჩაგიდგა წყეული?
მე მოგკალ შვილო, ზურაბო, დავრჩი უშტოო ხევითა!
ათრთოლდა ფურცელივითა, მიწას დაეცა რევითა.

მომაკვდავმა ზურაბმა მამას საყვედურით უთხრა:

შენ მამაჩემი არა ხარ, არც როსტომიანთ გვარისა,
მოლაშქრე თურქი ყოფილხარ, შვილი მოჰკალი თავისა.

გასისხლიანებული შვილი როსტომმა ხელში აიტაცა და გულზე მიიკრა, ქაქეოზ მეფეს საჩქაროდ კაცი გაუგზავნა და წამალი მოსთხოვა:

ჩემო ქაქეოზ მეფეო, შენთვის შვეები დევსაო,
წამალი გამომიგზავნე, ზურაბი მკიდავ ყელსაო.

ქაქეოზ მეფე ზურაბის სიკვდილის მსურველი იყო და რა წამალს გაუგზავნიდა, მაგრამ გაუგზავნელობისაც ეშინოდა, — როსტომი განრისხდება და ამიკლებსო. ბოლოს ასე მოახერხა: ერთ გიჟ დიაკვანს გაატანა და თან დაარიგა, — როსტომთან რომ მისვალ, ფეხი რამეს წამოჰკარი, წაიქეცი და დაღვარეო. დიაკვანიც ასე მოიქცა.

წამალი გამოუგზავნა გიჟი დიაკვნის ხელითა,
ფეხი წამოჰკრა, დაღვარა, აივსო იმის წყეველითა.

ზურაბმა სული დალია. განრისხებულმა როსტომმა დიაკვანი ხმლით შუაზე გაკვეთა, დაჯდა ზურაბის გვერდით ღა ცხარე ცრემლით ატირდა.

იტირა როსტომმა დიდსანს, იქვითინა და იხოკა თავ-პირი, მაგრამ მკვდარ შვილს ველარაფერი არგო.

ვაჰ, დედას შენსა, როსტომო, რა ცუდი დილა თენდება,
რაც გინდა ბევრი იტირო, შვილი არ გაგიმთელდება.
არ გათეთრდება ყორანი, რაგინდა სესო ქვიშითა,
მკვდარი ვის გაუცოცხლებავ ტირილითა და ვიშითა?!

ტირილით რომ გული იჯერა, მიუხტა ქაქეოზ მეფეს, ქაქეოზ მეფეს ორი ბაბუკი შვილი ჰყავდა. მოავლო როსტომმა ხელი ორივე შვილს, წაბგლიჯა თავები და ქაქეოზ მეფეს ფესებთან დაუყარა, — აი, ნახე და იწვნიე, როგორია შვილის სიკვდილიო.

ამის შემდეგ როსტომი დიდსანს აღარ დარჩენილა, დამარსა თუ არა ზურაბი, მაშინვე ველად გაიჭრა. დადიოდა მარტოდმარტო ტყე-ღრეში, ტიროდა და თავის მწუხარებას ლექსებად მოსთქვამდა:

როსტომ თქვა: დღენიმც კრულია დაბადებისა ჩემისა!
სიყრმე სიბერედ ვაქციე, დღე ვერა ვნახე ლხენისა.
როსტომ თქვა: წყეულ სიბერეს არა რა შეეწონება.
დაჯდება, ველარ ადგება, შავი ქვა დაეწონება.
როსტომ თქვა: სიბერკაცითა სიტყვა სათქმელად გაჭირდა,
ჯაჭვი პერანგად გავცვითე, ახლა აღებაც გაჭირდა.

ამბავი ტარიელისა

იყო ერთი ხელმწიფე, ბრძენი, სვებედნიერი და მდიდარი, ჰყავდა ერთგული ვეზირი სასელად მირი.

მირსა და ხელმწიფეს დიდსანს შვილები არ ჰყავდათ, ორივეს უკვე იმედი ჰქონდა გადაწყვეტილი, უძეოდ გადავეგებით და მემკვიდრეები არ დაგვრჩებაო, მაგრამ ღმერთმა ბოლოს ორივეს მოხედა და ცოლები დაუორსულდათ. ხელმწიფემ და მირმა ერთმანეთს პირობა მისცეს, თუ ერთ-ერთს ბიჭი გვეყოლოს და მეორეს ქალი, ერთმანეთს შევრთოთო, თუ ორივეს ქალები გვეყოლოს, ცოლებად ძმებს შევრთოთ და თუ ბიჭები, მაშინ ნამდვილ ღვიძლი ძმებივით გავზარდოთ და ჩვენი შემკვიდრეობა გადავულოცოთო.

გავიდა ცხრა თვე და დაებადა ხელმწიფის ცოლს ქალი და ვეზირისას — ვაჟი. ქალს სახელად ნესტან-დარეჯანი დაარქვეს, ვაჟს კი — ტარიელი. ნესტან-დარეჯანი მზესავით ლამაზი გაიზარდა, ტარიელი კი მძლე, გულოვანი, ჭკვიანი და მეომარი.

ტარიელს ცამეტი წელი რომ შეუსრულდა, დედ-მამა დაეხოცა და დარჩა ობლად, ამის შემდეგ ქვრივი მამიდა ზრდიდა. როცა ქალ-ვაჟი წამოიზარდა და მოიწიფა, ერთმანეთი შეუყვარდათ. ნესტან-დარეჯანის მამამ ეს შეიტყო. ძალიან განრისხდა და ქალ-ვაჟის დაშორება გადაწყვიტა. დაიბარა დაუყოვნებლივ ტარიელი და უბრძანა:

— დღესვე მამის ცხენი შეკაზმე, მამისეული იარაღი აისხი, წადი ხატაეთს და ბეგარა აიღე,—ოცი ლიტრა ოქრო, ოცდაათი ლიტრა ვერცხლი და ორმოცი ლიტრა თვალმარგალიტიო.

სატაელები ტარიელის მამის მოსისხლე მტრები იყვნენ და ხელმწიფეს იმედი ჰქონდა, მამის ცხენით და აბჯარ-მუზარადით რომ ნახავენ ტარიელს, უსათუოდ იცნობენ და მოკლავენო.

ტარიელი ნესტანს დაეკითხა, რა ვქნაო? ნესტანმა უთხრა:

— წადი, მამაჩემის ბრძანება პირნათლად შეასრულე. იქნებ გული მოულბეს, დანაშაული გვაპატიოს და ჩემი თავი უწვალებლად მოგცესო.

ტარიელიც ასე მოიქცა. აისხა მამისეული საჭურველი, შეჯდა მამისეულ ცხენზე და გაუძღვა ლაშქარს სატაეთისაკენ. ტარიელი რომ სატაეთს გაგზავნა, ხელმწიფემ იდროვა და ნესტან-დარეჯანი სხვაზე დანიშნა.

ის-ის იყო ქორწილს ამზადებდნენ, რომ ტარიელი ცოცხალი და უვნებელი დაბრუნდა სატაეთიდან, დაბრუნდა გამარჯვებული და ბეგარაც უკლებლივ მოიტანა. სასახლეში ტარიელს ურიცხვი სტუმარი და ქორწილის მსგავსი სამზადისი დახვდა. ისიც გაიგო, რომ მის იქ არყოფნაში ნესტან-დარეჯანი მამას სხვაზე დაენიშნა, მაგრამ ქალი უარზე იყო, საქორწილოდ არ ირთვებოდა და არც სტუმრებთან გამოდიოდა.

წავიდა ტარიელი ნესტან-დარეჯანის ოთახისაკენ და სწორედ იმ დროს შევიდა, როცა ხელმწიფე ატყუებდა, ტარიელი სატაეთში მოკლეს და აღარასოდეს დაბრუნდებაო. გაჯავრდა ტარიელი, მივიდა ხელმწიფესთან და უთხრა:

მეფევ, სატაეთს გამგზავნე, ბეგარა ამაღებინე,
სისხლი სატაელთ მეფისა თავზე მე დამადებინე,
ქალი დარეჯან სხვას მიეც, გულს შური ჩამადებინე.

ნესტან-დარეჯანმა რომ ტარიელი დაინახა, სიხარულით ფეხზე წამოხტა, მივიდა ტარიელთან და შეეხვეწა:

— გინდა დად მიმიღე, გინდა ცოლად წამიყვანე, ოღონდ სხვის ხელში ნუ ჩამაგდებო.

ტარიელმა ამაზე მიუგო:

— და ღმერთმა არ მომცა, მაგრამ ცოლად კი შენი თავი ჯერ ღმერთმა მომცა და მერე მამაჩემისა და მამაშენის დადებულმა ფიცმაო. — მერე გაიძრო ხმალი, მიუბრუნდა ნეფის მაყრიონს და მუქარით უთხრა:

ტარიელ ხატაეთიდან მგზავრად მოვიდა დილითა,
ხმალი მრტყავ მამისეული წელზე ალმასის პირისა,
შინ წადით, ნეფის მაყრებო, მაკმარეთ გულის ტკივილსა,
თორემ ხალხს ვაყურებინებ თქვენი ცოლ-შვილის ტირილსა.

ვაჟის მაყრები შეშინდნენ, მისვდნენ, რომ ტარიელთან ძალით ვერაფერს გახდებოდნენ და შინ ხელცარიელები დაბრუნდნენ გაჯავრებულმა ხელმწიფემ ტარიელს უთხრა:

მართალსა, შვილო, ტარიელ, ღალატსა გაგაგებინებ:
არც მაგათ მივცემ, არც სხვათა, შენაც ხელს აგაღებინებ,
ქაჯავეთისა ხუროთა კიდობანს შევაკვრევინებ,
შიგ ჩავსვამ ნესტან-დარეჯანს, ზღვას მივცემ, წავაღებინებ

მოიყვანა ხელმწიფემ ქაჯეთის ხუროები და გააკეთებინა კიდობანი.

ხუროთ კიდობან ააგეს, ქებითა არ საქებითა,
შიგ ჩასვეს ნესტან-დარეჯან, შიშვლად ნაშობი დედისა.
შიგ სამი გველიც ჩაუსვეს, ჯავრით არ შენანებითა,
შავმა გველმა თქვა, — შევჭამოთ, წითელმა უთხრა ქშენითა,
თეთრმა გველმა თქვა, — ნუ შევჭამთ, ტარიელისა მზე ვითა.

ხუროებმა დაახურეს თავი კიდობანს და ზღვაში გადაუშვეს. დაინახეს წყლის ქაჯებმა კიდობანი, ეცნენ და დაიჭირეს, ამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, გადასვეს თავიანთ ნავზე და გაიტაცეს. ტარიელი ცხენდაცხენ გადაეშვა და გამოეკიდა, მაგრამ ზღვაში ცხენით, რას გახდებოდა. დაბრუნდა თავის მამიდასთან და შესჩივლა:

ცხრათ ქაჯთა მონადირეთა მზე ჩაავლიეს ნავითა,
მე ჩემი ცხენით შევცურე, წართმა გავბედე ძალითა,
წყალმა ამყარა აბჯარი, დავრჩი შიშველი მკლავითა.
შუბიც, ჩაჩქანიც ზღვას მივეც, მოვბრუნდი მარტო ხმალითა.

ამიტომ, ჩემო მამიდავ, გული სავსე მაქვს ჯავრითა,
ქაჯავეთისა ციხენი ნუ-ვავ მაჩვენა თვალითა,
ფერ ხომ არ წაერთმეოდა ნესტან-დარეჯანს დარდითა!

ბოლოს უთხრა, სანამ ჩემს ნესტან-დარეჯანს არ ვიპოვი და არ დავიბრუნებ, ვერ მოვისვენებო. ადგა, შეკაზმა მამისეული რაში და წავიდა დაკარგული სატრფოს საძებნელად. მამიდაც თან წაიყვანა. მიდიოდა ზღვის პირდაპირ და ცხარე ცრემლით ტიროდა. იმისი ცრემლი მიწას ნამავდა და მდინარეებს ერთვოდა.

იარა ასე ტარიელმა, იარა და ერთ უცხო ქვეყანაში გავიდა. ერთ გამოქვაბულში დევები გაჟლიტა და მამიდა იქ დააბინავა, თვითონ წყლის პირას გავიდა და დაღლილ-დაქანცული მხართეძოზე წამოწვა.

იმ ქვეყნის ხელმწიფეს ნადიმი ჰქონდა და ერთი კოჭლი მონა ხალხის დასაპატიჟებლად გაგზავნა. მივიდა კოჭლი მონა იმ მდინარესთან, სადაც ტარიელი ისვენებდა, მაგრამ ხიდი აღარ დახვდა, — წყალს წაეღო. დაუძახა ტარიელს, ცხენი მათხოვე, რომ წყალში გავიდეო.

ტარიელი ისე იყო ტირილისა და დარდისაგან გონდაკარგული, რომ მონის ძახილი ვერც კი გაიგონა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა მონამ მეორედ დაუძახა, ტარიელმა წამოიხედა, გაიგო, რასაც სთხოვდა მონა და მდინარეზე ხიდად თავისი მკლავი გაუდო. გაიარა კოჭლმა მონამ ტარიელის მკლავზე, მივიდა თავის ხელმწიფესთან განცვიფრებული და მოახსენა:

ერთი კაცი წყლისა პირსა ნამტირალსა ჰგავდა გმირსა.
ზღვის კიდენი შეერთვილნეს ცრემლსა თვალთგან
დანადინსა!
უხდებოდა მარგალიტი იმის ცხენის უნაგირსა.

ცხენი ვთხოვე, არ მათხოვა, წყალი მოილექავს ძირსა,
თვისი მკლავი გამიშალა, გადო, როგორც ხიდი ხისა,
ზედ გამოვედ უვნებლადა, შიში მქონდა არაფრისა,
გვარი ვკითხე, არ მასწავლა, ნულამც მიეცემა ლხინსა.
სახელი თქვა, ტარიელი, გაბრუნდიო, მკადრა პირსა.

ხელმწიფეს ორი გმირი მონა ჰყავდა, ისეთი ძლიერები იყვნენ, რომ თითო ას-ას კაცს უდრიდა. ერთს სახელად ადამი ერქვა, მეორეს — ომარე. დაიბარა ხელმწიფემ ადამ და ომარე და უბრძანა:

ადექით, აიყარენით, ძმანო, ადამ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ, ვინ არის ველთა მჯდომარე.

ადამმა და ომარემ ხელმწიფეს მოახსენეს:

ბრძანება იყოს, ბატონო შენთა ბაგეთა ბროლთაგან,
ადვილი სამსახურია, ერთის მოყვანა ორთაგან.

წავიდნენ ადამი და ომარე და გზის საჩვენებლად კოჭლი მონაც თან წაიყვანეს. დაინახეს წყლის პირას მჯდარი ტარიელი და შორიდანვე დაუძახეს:

შენ, კაცო, კაცო, ვინ ხარო, შენი სახელი გვითხარო,
ბატონი ბრძანებს, აქ მოდი, გულჩათხრობილი ნუ ხარო.

წამოიხედა ტარიელმა და შეჭურვილი რაინდები რომ დაინახა, თვითონაც შორიდან გაეპასუხა:

მინდორში ბროლის სურებსა, გარშემო უდგას თასები,
ახლოს მოდექით, მოსულნო, შორით არ დავიფასები.

ადამმა და ომარმა ასეთი პასუხი ითაკილეს და მოინდომეს ტარიელის ხელდახელ შეპყრობა, მაგრამ ტარიელმა ისეთი დღე დასწია, რომ მტრისაგანაც კი შესაბრალისები გახადა: ადამს ხელი დაავლო და ცაში შესტყორცნა, ომარეს ბარძაყი მოსწყვიტა, კოჭლ მონას კისერზე გადაჭიდა

და უთხრა: წადი, შენს ბატონს მიართვი და უთხარი, მეორედ ძალადობას ნუღარ გამიბედავსო.

წამოვიდა კოჭლი მონა და წამოიღო ფეხმოტეხილი ომარეც. სასახლეს რომ მიუახლოვდა, ხელმწიფის მსახურები შეეგებნენ და ამბავი გამოჰკითხეს. კოჭლმა მონამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო, ტარიელმა რა უბედურებაც დამართა ადამს და ომარეს. მსახურები გაბრუნდნენ და ხელმწიფეს გაახსენეს:

კოჭლი მონა მოხანსალებს, თავში მოიშენდა ქვითა;
ადამ ცაში შეისროლა, ჯერაც არ მოსულა ცითა.
ომარს ბარძაყი მოგლიჯა, ბრუნავს, როგორც ჯარა წყლისა.

ხელმწიფემ თავისი რჩეული რაინდების ასეთი უბედურება რომ შეიტყო, მაშინვე სუფრიდან წამოდგა, მონადიმე ხალხსაც დაშლა უბრძანა და თავისი ლაშქართ უფროსი, სპასალარი ავთანდილი მოიკითხა:

მეფემ თასი გადაღვარა, აღარ არის ხანი სმისა,
ვინც მე ყმანი დამიხოცნა, არ იქნება კაცთაგნისა,
მომიყვანეთ ავთანდილი, მეომარი დევებისა,
ჯილდო ბევრი ვუთავაზო, მარგალიტი, ოქრო-რვლისა,
ჩემს ყავარჯენს გავუგზავნი, რომელიც რომ მჯობი არი,
მოვიდეს ის ტყვეთა მსსნელი, თურქთაც სალოცავი ჯვარი,
ლახტი დასცეს ტარიელსა, ზეცას მიდიოდეს ჩქამი.

მოვიდა ავთანდილი, წარსდგა ხელმწიფის წინაშე და მოახსენა:

— რას მიბრძანებთ, მე მზად გახლავართო.

ხელმწიფემ უბრძანა:

— დაუყოვნებლივ ჯარი შეკრიბე, წადი და ის უცხო მოყმე ან მოკალი, ან ცოცხლად შეიპყარიო.

ტარიელი ავთანდილის ძმადნაფიცი იყო, მაგრამ ავთანდილმა რა იცოდა, თუ ის მოყმე ტარიელი იქნებოდა და ხელმწიფეს უყოყმანოდ დათანხმდა. იმავ დღეს შეკრიბა ჯარი, წაუძღვა წინ და წავიდა ტარიელის შესაპყრობად.

ტარიელი დღე და ღამე დაკარგულ საგრფოს დასტიროდა, ტირილში ზოგჯერ ისე დაოსდებოდა, რომ ძილქუში დაეცემოდა და თვიდან თვემდე მკვდარივით ეძინა. ავთანდილი რომ მიუახლოვდა, ტარიელი სწორედ ამ ყოფაში იყო, — ნაბადი მოეხვია და უგრძნობლად ეძინა. ავთანდილმა ჯარი ასლოს არ მიუშვა, ჯერ გავიგოთ, მკვდარია თუ ცოცხალი, ემანდ მკვდარი არ იყოს და შესაპყრობად რომ მივცვივდეთ მკვდარ კაცს, სირცხვილიაო. დაიჭირეს ერთი ორბი და გააფრინეს, თუ მკვდარია, ჭამას დაუწყებს, თუ არა და, ასლოს არ გაეკარებაო. ორბი გაფრინდა, რამდენჯერმე შემობრუნდა ტარიელის თავზე, მაგრამ ასლოს არ მივიდა და არც ზედ დააჯდა. დარწმუნდნენ, რომ ცოცხალიაო, და დაუშინეს ისრები. ისრები ნაბადზე ერჭობოდა; მაგრამ ხორცამდე ვერ უწევდა და ტარიელს არ ეღვიძებოდა.

რაშმა რომ დაინახა, ჩემს პატრონს ისრებს ესვრიანო, ატეხა ჭიხვინი, მაგრამ ტარიელს მაინც არ გამოეღვიძა, მაშინ რაშმა ხერხს მიმართა, ტორებით ქვეშიდან მიწა გამოუთხრა და კარგა მოზრდილი ბექობი გააკეთა, ტარიელი ბექობზე გადავარდა და გამოეღვიძა. გაღვიძებულმა პირველად მაღლა მფრინავი ორბი დაინახა და ისარი შესტყორცნა, ჩამოაგდო ორბი, ააჭრა ფრთა და ისრის დასაწებად აბგაში შეინახა, მერე გახედა ჯარს, მიხვდა, რაშიც იყო საქმე, განრისხდა და საომრად მოემზადა: გამოუკვანძა რაშს ძუა, შეჯდა ზედ, იშიშვლა ხმალი, დაერია ავთანდილის ლაშქარს და შალდაყივით მიკაფ-მოკაფა.

ახლა კი იცნო ავთანდილმა ტარიელი და მაშინვე მის შესახვედრად გაეშურა, მაგრამ ტარიელს ნესტან-დარეჯანის დაკარგვის შემდეგ არავისი ნახვა აღარ უნდოდა, აღარც ავთანდილთან შეხვედრა ინდომა, გადაჰკრა რაშს მათრახი და დევების ქვეყნისაკენ წავიდა.

დაბრუნდა შინ ავთანდილი და ცოლს, თინათინს უთხრა:

— ის უცხო მოყმე, ლაშქარი რომ დამიხოცა, თურმე ჩემი ძმადნაფიცი ტარიელი ყოფილა, დარდისაგან გონდაკარგულმა ვერ მიცნო და დევების ქვეყნისაკენ წავიდა. მეშინია, ვაითუ, დევებმა დააღალატონ და მოკლანო.

ცოლმა ავთანდილს საძებრად და მისაშველებლად წასე-

ლა ურჩია. ავთანდილს ცოლის რჩევა არ მოეწონა, დაეჭვდა, რატომ მიშორებს სახლიდან, ამას გულში სხვა განზრახვა ხომ არ უდევსო, და უთხრა:

რას ამბობ, უჭკო დიაცო, მრუშო და ღალატიანო,
უწყლო-უღაროდ წისქვილნი მთაში ვის აუგიანო?
მოყვარეების გულისთვის ქმარნი ვის წაუგიანო?

თინათინმა შეჰფიცა:

ხატი რისხავდეს თინათინს, ღმერთი ყოველთა რჯულისა,
შენს გარდა ქმარი ინდომოს, ან ჰყავდეს ვინმე გულისა,
მაგრამ მოძებნა წესია, მოყმისა დაკარგულისა.

ავთანდილმა დაუჯერა თინათინს, შეკაზმა ცხენი, აისხა ხმალ-აბჯარი, შვილდ-კაპარჭი და წავიდა ტარიელის საძებნელად. ავთანდილის წასვლა თინათინმა ხალხს ციხის სარკმლიდან აცნობა:

ციხით იძახა თინამა, ავთანდილ გაიპარაო,
სამოცდასამი ისარი კაპარჭში ჩაითვალაო.

იარა ტარიელმა და გავიდა დევთ ქვეყანაში. დევები მინდორში გამოსულიყვნენ და მიწას ხნავდნენ, დაინახეს ტარიელი და დაუწყეს ყვირილი, — ნახნავზე ნუ დადიხარო! მაგრამ ტარიელმა ყური არ უგდო, მაშინ ერთი გუთნისდედა დევი გადაუდგა წინ და გზა აღარ მისცა. ტარიელმა წიხლი ჩასცა და დევი გაბერილი ბურთივით გასკდა. დიდიხნის გაუცინარ ტარიელს ამაზე გულიანად გაეცინა და მისი კბილების შუქმა მთელი მიდამო გაანათა. მერე იმის ხარ-გუთანსაც წიხლი ამოჰკრა და დამტვრეულ-დალეწილი მინდორში მიმოფანტა.

ამის შემდეგ დევები ახლოს აღარ მიჰკარებიან და მათი სამფლობელო ტარიელმა მშვიდობიანად გაიარა.

ტარიელს ავთანდილიც კვალდაკვალ მიჰყვებოდა, მოვიდა დევთ სამფლობელოში, ნახა დალეწილი ხარ-გუთანი და ერთ ნაცნობ დევს ჰკითხა:

დევო, შენ ბიჭიჭაურო, კარზე ვინ ჩამოგიარა?

დევმა უპასუხა:

ერთმა პირტუქსმა მოყმემა ცხენხეთქით ჩამოიარა,
სარ-გუთანს წიხლი ამოჰკრა, მინდორში გააბზრიალა,
ჩარდახას წიხლი დაგვიცა, კუნელმა ამოიარა,
ღიმი ჰქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა გადაიარა,
ნუ მისდევ, ძმაო, ავთანდილ, თორემ ავია ძრიანა,
შენც მოგკლავს, არც შენ დაგინდობს, ბევრი სხვა დააზიანა!
ბევრი ვთქვით, ხმაცა არ გაგვცა, ეგრე რამ გაავზნიანა?!

ავთანდილმა, რა თქმა უნდა, არ დაუჯერა დევს და თავისი გზა განაგრძო, — ისევ ტარიელის კვალს დაადგა. ერთ ადგილას გზაზე სამი ძმა გოლიათი მეკობრეობდნენ, გზას რიგრიგობით დარაჯობდნენ, გამვლელ-გამომვლელს ატყვევებდნენ და სულით ხორცამდე ძარცვავდნენ. ტარიელი რომ მივიდა, დარაჯად იმ დღეს უმცროსი ძმა იდგა. იგი ძმებზე ღონიერიც იყო და გულადიც. დაინახა შორიდან მომავალი ტარიელი და ძმებს უთხრა:

— მაგ კაცს მარტო შევიპყრობ, ტყვე და მთელი ნადავლი თქვენი იყოს, ოღონდ რაში საკუთრად მე დამითმეთო.

დათანხმდნენ ძმები და ჩავიდა უმცროსი ძმა, გადაუდგა ტარიელს წინ. ტარიელს ზედმეტად კაცის სისხლში გარევა არ უყვარდა და ცხენი აირიდა. მაგრამ მეკობრე კვლავ წინ გადაუდგა და ლაგამზე წაეტანა. ეს კი ვეღარ მოითმინა ტარიელმა, ჩამოხტა ცხენიდან, წასწვდა მეკობრეს, ერთ ფეხზე ფეხი დაადგა, მეორე ფეხში ხელი სტაცა და შუაზე გახია. ნახევები აქეთ-იქით გადაყარა და გზა უშიშრად განაგრძო.

ამასობაში ავთანდილიც მოვიდა იმ ადგილზე, სადაც ტარიელმა მეკობრე გახლიჩა. დაინახა ტარიელი, რომ ისევ გზას დასდგომოდა და დაუძახა:

შავი სარ და შავად მიხვალ, შავად რასმე დაბურვილხარ,
სად მიხვალ, ის მაინც მითხარ, ან შინ რად არ
დაბრუნვილხარ?

ტარიელი გონს მოეგო და მამიდის სახლისაკენ დაბრუნ-

და, მაგრამ ავთანდილი მაინც ახლოს არ გაიკარა, დაემუქრა, თუ არ ჩამომეხსნები, მოგკლავო:

თეთრი ხარ და თეთრზე ზიხარ, თეთრად რასმე
მოკაზმულხარ,
იქით წადი, აქ ნუ მოხვალ, თორემ დღეზე მიწურვილხარ,
შენც მოგკლავ და შენს ცხენსაცა, თუ უკან არ
გაბრუნვილხარ.

შემოჰკრა მათრახი თავის რაშს და უფრო გამოჰრიდა, მივიდა იმ გამოქვაბულში, სადაც მამიდა ჰყავდა და უთხრა:

— ჩემი ძმადნაფიცის მსგავსი ვიღაც მომდევს, მე სანადიროდ წავალ და თუ მართლა ავთანდილი იყოს, შენ დაუხვდი და ჩემს დაბრუნებამდე უკანვე გაისტუმრეო.

მამიდამ უთხრა:

— რა არის, რომ სულ გარე-გარე დადიხარ და სიახლოვეს არავის იკარებ, მარტოკა ვერც შენს ნესტან-დარეჯანს დაიბრუნებ და ვერც სხვა საწადელს ეწევი. დაუცადე, ნახე, იქნებ მართლა ავთანდილია, იქნებ მოშველება უნდა და შენს გულის წყლულს რამე წამალი მოუნახოსო.

გაუგონა ტარიელმა მამიდას და აღარ წავიდა სანადიროდ. ცოტა ხნის შემდეგ ავთანდილიც მოვიდა. მოიკითხეს ერთმანეთი და ჩამოსხდნენ. ტარიელმა მთელი თავისი გასაჭირი და თავგადასავალი უამბო:

ღმერთს გეფიცები, ავთანდილ, მე აღარ მეცინებიან,
ერთი მზე მყავდა მიყვარდა, ქაჯნი მას მეცილებიან,
დავდივარ გამწარებული, დავჯდები მეტირებიან,
დავშავდი ჭაბუკობითა, სიბერენ მეღირებიან,
ლაშქარნი ზღვისა ქაჯთანი მოკვლასა მეპირებიან.

ტარიელს თავის სახელმწიფოშიც ჰყავდა ერთი ძმობილი, სახელად ფრიდონი. ფრიდონს გაეგო ტარიელის ამბავი და საშველად წამოსულიყო. გამოქვაბულში სწორედ იმ დროს მივიდა, როცა ტარიელმა ამბის თხრობა დაამთავრა. იცნო ტარიელნა ფრიდონი, გააცნო ავთანდილიც და გახდნენ სამნი.

ავთანდილმა უთხრა ტარიელს:

ნუ გეშინია, ტარიელ, დრო მე ვიცი ქაჯებისა,
ახლა ქორწილს აპირებენ, ქაჯნი გამართავენ ლხინსა,
ოღონდ შენი ცხენი მომეც, ჩემი ზღვაზე ვერა რბისა.

ზღვაზე მავალი ცხენი მსოლოდ ფრიდონს ჰყავდა, ტარიელმა სთხოვა და ფრიდონმაც უყოყმანოდ დაუთმო:

ცხენსაც მოგცემ, მეც გაგყევები, მაშ რად გინდა თავი ძმისა,
თუნდა ლაფშა დაიჭირეთ, თუნდა რაში — როგორც გინდა,
ისევ ლაფშა ამჯობინებს, თვალთ უმალე ნიავ-ქრისა,
აიყარნენ და წავიდნენ სამნივ ქაჯაეთის გზითა.

ავთანდილი ფრიდონისეულ ცხენზე შეჯდა და ზღვა-ზღვა წავიდა ციხის დასაზვერად. ტარიელი და ფრიდონი კი ჯლავ ხმელეთით, ზღვის ნაპირ-ნაპირ წავიდნენ. შეიყარნენ ქაჯეთის ციხესთან ერთად და ფრიდონი გაეხუმრა ავთანდილს:

არ მეგონა ავთანდილო, ზღვას თუ ვლიდით ცხენებითა,
თორემ ლაფშას არ მოგცემდი, ჩემი სიცუდკაცე გითხრა.

ქაჯეთის ციხე ზღვის პირად, ერთ მიუვალ კლდეზე იყო დაშენებული, ციხის მახლობლად ორი დედაკაცი თონეში შოთებს აცხობდნენ: ციხიდან სიმღერა და ყრიამული ისმოდა. ძმადნაფიცები დედაკაცებთან მივიდნენ და ჰკითხეს:

— რა ამბავია ციხეში, რა ხმაური ისმისო?

— ქაჯებმა ერთი მზეთუნახავი ქალი მოიყვანეს მოტაცებული, დღეს იმ ქალზე თავიანთ მეფეს ჯვარს სწერენ და ქორწილი აქვთო.

ძმადნაფიცებმა დედაკაცს სთხოვეს:

— ერთ-ერთი შედით და ამჟამად რას აკეთებენ ქაჯები, გაგვიგეთო.

დედაკაცები ქაჯებს პურისმცხობლებად ჰყავდათ დაქირავებული და ციხეში თავისუფლად ატარებდნენ. შევიდა ერთ-ერთი დედაკაცი და ამბავი გამოიტანა:

— ნეფე-პატარძალი უკვე საქორწინო სუფრაზე სხედან და ქაჯები საჩუქრებს აძლევენო.

ტარიელმა ვეღარ მოითმინა და რკინის კარის დამტვრევა მოინდომა, მაგრამ ავთანდილმა დაუშალა, რადგან კარს შიგნიდანაც რკინის ურდულები ჰქონდა გაყრილი. ჩოხსნა ფრიდონისეულ თვალთ უმალეს ლაფშას თოკი და თქვა:

სიყრმისას ჩემნი გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან,
ციხითა ციხის წვერზედა, თოკები გამიკიდიან,
ისე გავიდი თოკზედა, თვალნიც კი ვერ მომკიდიან,
იქ მდგომი ჩემი სწორები ჩემს ბედსა დანატრიდიან.
მე ის მეგონა, კი თუ მკვლენ, ისინი თურმე მწვრთნიდიან.

ციხეს წვერში პატარა სანათური ჰქონდა, ავთანდილმა თოკი ქამანდურად გამოყულფა, ესროლა და ციხის წვერს მოსდო. მერე ტარიელს ბეჭედი გამოართვა, გაირბინა თოკზე, სანათურიდან ციხეში ჩავიდა და ტარიელის ბეჭედიც თან ჩაიტანა. ძმადნაფიცებს კი ამბავი დაუტოვა, მზათ იყავით და როცა მოგიხმოთ, დაუყოვნებლივ მომეშველენითო.

შევიდა იმ დარბაზში ავთანდილი, სადაც ნეფე-პატარძალი ისხდნენ და სტუმრებში გაერია. როცა საჩუქრის მიცემის რიგმა მოუწია, ამოიღო ჯიბიდან ჩუმად ტარიელის ბეჭედი და ნესტან-დარეჯანს გადასცა.

ნესტან-დარეჯანმა ბეჭედი იცნო და აქამდე თუ მგლოვიარესავით იჯდა, ასლა უცბად გამხიარულდა. ჰკითხა ავთანდილს ჩურჩულით:

— ამის პატრონი თვითონ სადღა არისო?

— აქ არის და გელოდებაო, — ჩურჩულითვე უპასუხა ავთანდილმა.

გახარებული ნესტან-დარეჯანი მსწრაფლ წამოსტა და კარისაკენ გაექანა, მაგრამ კარის მცველებმა გზა გადაუღობეს და კარებამდე არ მიუშვეს.

ასლა კი მიხვდნენ ქაჯები, რომ ავთანდილი სასიკეთოდ არ იყო შემოსული და მიესივნენ, — ზოგი ხმლით, ზოგი შუბით, ზოგი ისრითა და ხელკეტით.

— ჰაი, თქვე ქაჯებო, ქაჯთა შვილებო! — დაჰკივლა ავ-

თანდილმა, იშიშვლა ხმალი და გაუსო და გამოუსო, მარჯვნივ და მარცხნივ მკვდრები ააგო, მაგრამ ქაჯების რიცხვი დაკლების მაგიერ, სულ უფრო მატულობდა.

იბრძვის გმირი ავთანდილი, ყელამდე სისხლში დგას, გამეტებით იქნევს ხმალს და ლომივით ბრდღვინავს, სჭრის ქაჯებს თავებს, მაგრამ მათს რიცხვს მაინც ვერ ამცირებს, სულ ახალი და ახალი რაზმები ჩნდებიან და ავთანდილს ჭილყვავივით ეხვევიან. ბოლოს შეწუხდა ავთანდილი და დაიძახა:

ძმაო, ტარიელ, მიშველე, დამჭირდა შენი გმირობა,
დამათავხშირეს ქაჯებმა, ჩემზედ აქვთ ზემოვლილობა.

გაიგონეს ტარიელმა და ფრიდონმა ავთანდილის ძახილი, მივარდა გმირი ტარიელი რკინის კარებს და გადაანგრია, მილეწ-მოლეწა საკეტურები, იშიშვლა მამისეული ალმასის ხმალი და დაიძახა:

რა არის ციხე ქაჯების, ის ჩემგან დაძლეულია,
ცხრა კარი, კლიტე რკინისა დალეწილ-დანგრეულია,
ტარიელს ომი არ უჭირს, ხმლის ქნევას დაჩვეულია,
ნესტანის ქაჯთად დამთმობი სულითამც დაწყეულია.

გადაერია ქაჯებში, მიჰყვა ფრიდონიც ხმალამოწვდილი და ატეხეს ცხარე ომი. ძმადნაფიცები რომ დაინახა, ავთანდილიც გამხნევდა და უფრო მედგრად შეუტია. სამივენი თანაბარი თავგამეტებით იბრძვიან, იქნევენ ხმლებს, მაგრამ ქაჯთა ლაშქარს სიმცირე მაინც ვერ დაამჩნიეს.

ავთანდილმა შეიხედა მაღლა და დინახა, რომ ციხის ჩარდახში ერთი ბებერი ზის და ფეტვს ცხრილავს. ჩამოდის ფეტვი ძირს და ქაჯებად იქცევა. მოიხსნა საჩქაროდ მშვილდი, ჩადო ისარი, სტყორცნა ბებერს და ჩამოაგდო.

ამის შემდეგ ომი, რა თქმა უნდა, გაუადვილდათ და ქაჯები სულ შოკლე ხანში მთლიანად ამოწყვიტეს. გამოიყვანეს ნესტან-დარეჯანი, ჩააბარეს ტარიელს და გამარჯვებულები და ბუდნიერები თავთავიანთი ქვეყნებისაკენ წავიდნენ.

ამირანი

იყო ერთი ცოლ-ქმარი, სულკალმახი და დარეჯანი და ჰყავდათ სამი ვაჟი — უფროსი ბადრი, შუათანა უსუპი და უმცროსი ამირანი. როგორც ნაბოლარა შვილი, ამირანი დედას გამორჩეულად უყვარდა და საკუთარ ძეს, დარეჯანის ძეს ეძახდა. ამირანი ცოლ-ქმარს, დარეჯანსა და სულკალმახს ისეთ დროს ეყოლათ, როცა უკვე ღრმად მოხუცები იყვნენ და სიცოცხლის დიდი დღე აღარ ეწერათ. ამიტომ გადაწყვიტეს, მდიდარი კაცისათვის მოენათვლინებინათ, რომ მათი სიკვდილის შემდეგ ნათლიას წაეყვანა და გამოეზარდა. მოიწვიეს კიდეც მდიდარი კაცი ნათლიად, მაგრამ ნათლობის დღეს სულკალმახის სახლში მათხოვრულად ჩაცმული ღმერთი გამოცხადდა და სულკალმახს სთხოვა, შენი შვილი მე მომანათვლინეო. სულკალმახი და დარეჯანი დათანხმდნენ და ამირანი ღმერთს მოანათვლინეს. ღმერთმა ამირანს დაანათლა: დაქანებული ზვავის შეუპოვრობა, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ღონე და მგლის მუხლი, ბავშვობაში ობლობა და გაჭირვება, ხოლო ვაჟკაცობაში ომი და გამარჯვება.

მართლაც, არ გაუვლია დიდხანს, რომ სულკალმახი და დარეჯანი დაიხოცნენ და ძმები ობლად დარჩნენ. მაშინ დევები ზეპირ დადიოდნენ და ძალიან ბევრნიც იყვნენ. რაკი უპატრონო ობლები დაიგულეს, რაღა გააჩერებდათ, დაესხნენ თავს, წაართვეს მთელი საცხოვრებელი და სახლიდანაც გამოყარეს: დევებისაგან დაწიოკებულმა ძმებმა თავი საჩა-

ლესლა შეაფარეს, მაგრამ დევებმა არც იქ დააყენეს, მაშინ აღგნენ ძმები და სულ სხვა მხარეს გადაიხვეწნენ:

ბადრი, უსუპი, ამირან ობლები მოვიყარენით,
დევების დაშინებულნი, ჩაბალხეთს ჩავიყარენით,
ღველფ არ გვინასავს, კერაი, საჩალეს მოვიზარდენით.

გავიდა ხანი, ძმები დაიზარდნენ და მშვენიერი ვაჟკაცებიც დადგნენ, მაგრამ ღონით ამირანი ორივე ძმას სჭარბობდა.

ბადრი ქალსა ჰგავს ლამაზსა საქმარად მოპირებულსა,
უსუპი — ბროლის ციხესა, თავ-ბოლო გამაგრებულსა,
ამირან — შავსა ღრუბელსა, საავდროდ დამზადებულსა.

ამირანი ტანად მომცრო იყო, მაგრამ ღონე ასი კაცისა ჰქონდა და სმა-ჭამაც იმდენივე უნდოდა:

ცოტა კაცია ამირან, ცოტა სმა-ჭამა ეყოფა:
სადილად ბუღა კამეჩი, ვასშმად არც სამი ეყოფა.

ძმები რომ დაიზარდნენ, ყველას სამაგიერო გადაუხადეს, ვინც კი ობლობაში აწყენინა, ან სიკეთე უყო, კარგის მქნელს სიკეთით მიუზღეს, ხოლო მოძალადე დევებს შინ მიუცვივდნენ და ხმლით შემუსრეს:

ვინც კარგი გვიყო ობლებსა, მუშაში დავეტანენით,
ხოლო ვინც ავად მოგვექცა, იმას შინ შავეტანენით,
სამნი ჩვენ, ცხრანი დევები ჩაბალხეთს შევიყარენით,
თავს მოვსვდით ბალხის კარავსა, ბოლოში გავიყარენით,
დევები, დევთ დედაბრები სულ ხმლებქვეშ გავატარენით.

გაქლიტეს დევები და თავიანთ სახლ-კარს თვითონვე დაებატრონენ, ძმები დღისით სანადიროდ დადიოდნენ და თავს ნანადირევით ირჩენდნენ. ერთხელაც წავიდნენ სანადიროდ, იარეს ტყე-ღრეში, ცხრა მთა გადაიარეს, მაგრამ ვერაფერი მოკლეს. ბოლოს ალგეთის მთაზე გადავიდნენ და ერთი ოქ-

როსრქიანი ირემი წამოუსტათ, მაგრამ სანამ ისარს ეს-
როდნენ, ირემმა გაიწყო ზურგზე დატოტილი რქები და ტყე-
ში შევარდა. მიჰყვნენ უკან ამირანი და ძმანიც მისნი:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და ძმანი მისნი,
გადიარეს ცხრანი მთანი, მეათენი ალგეთისნი,
მთას ირემი წამოუსტათ, ოქრო იყო რქანი მისნი,
მინდორს კვალი მოუკვლიეს, დანაჭლიკნი სარირმისი,
უცსო მთაზე კოშკი ნახეს ანაგები ბროლის ქვისი,
მოუარეს გარე-ირგვლივ, ვერ იპოვეს კარი მისი,
სადაც მზემან სხივი დაჰკრა, ამირანმა — მუსლი მგლისი,
კოშკმაც პირი იქ გაიხსნა, იქ შეება კარი ხისი,
კოშკში ერთი მკვდარი იწვა, ლომი იყო ტანი მისი,
იმას თავთით რაში ება, ტორით მიწას თხრიდა ისი.
მარცსნივ რომ შუბი ეყუდა, ცასა ჰხევდა წვერი მისი,
მარჯვნივ თავის ხმალი ედო, პირი ჰქონდა ალმასისი.
გვერდით ერთი ქალი ეჯდა, ზღვას ერთვოდა ცრემლი მისი,
თითებსა და თითებს შუა წიგნი ჰქონდა ქაღალდისი.
წაიკითხეს; შიგ ეწერა: ნაანდერძი ცამცუმისი:
„არც ისე დაკარგული ვარ, დისწული ვარ უსუპისი,
სანამ ვიყავ, მტერი ვმუსრე, არ შევჭამე ჯავრი სხვისი,
მოვკვდი, მხოლოდ ჯავრი ჩამყვა, ერთი დევის ბაყბაყისი,
ვინაც მოჰკლავს ბაყბაყდევსა, ჩემი შუბი ალალ მისი,
ვინც დედ-მამას დამიმარხავს, ჩემი ხმალი ალალ მისი,
ვინც მე მომივლის, დამმარხავს, ცოლიც, რაშიც ალალ
მისი“.

წაიკითხა ამირანმა წიგნი და ძმებს უთხრა:

— ხომ სულ ერთია იმ ბაყბაყდევს მოუკლავს არ გავუ-
შვებთ, მოდით, როგორც ანდერძში წერია, ეს ხმალ-შუბი
ახლავე წავიღოთ და ეს ქალი და რაშიც წავიყვანოთო.

ძმებმა დაუშალეს, სირცხვილია, ხალხი იტყვის, მკვდა-
რი გაძარცვეს და დაგვცინებენო:

ნუ, ამირან, ძმათა მზესა, ნურა გინდა ნურავისი,
გამოდი და გამოხურე საყდარი და კარი მისი,
თორემ გმირნი დაგვძრახავენ: მკვდარი გაუძარცვავთ სხვისი.

დაუჯერა ამირანმა ძმებს და ამ განზრახვაზე ხელი აიღო. მერე საფლავი გათხარეს, ცამცუმი დამარხეს, გამოხურეს კოშკის კარი და წავიდნენ ბაყბაყდევის საძებრად. ბევრი ძებნა და სიარული არ დასჭირვებიათ. ცოტა რომ გაიარეს, გზაზე ბაყბაყ დევი შემოხვდათ, დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ამირანმა შესძახა:

— სად მიხვალ, შე აყროლებულო, საითკენ მიეჩქარებიო?

— უსუპის ძმისწული ცამცუმი მომკვდარა და მისი ლეშის საჭმელად მივალო, — უპასუხა ბაყბაყმა.

ამირან, დევი ბაყბაყი ჩასაუბრობენ მტრულადა,
ხმალზე ხელი აქვს ამირანს, ცხარე ომს ფიქრობს გულადა.

ბოლოს ამირანმა უთხრა ბაყბაყ დევს:

— შენ ქრისტიანის ლეშს არავინ შეგაჭმევს და გირჩევნია, ახლავე უკან დაბრუნდეო.

მაგრამ ბაყბაყდევმა ამირანის მუქარა არაფრად ჩააგდო და დაცინვით უთხრა:

— ვითომ შენ დამიჭერ გზასაო?

ამირანი გაბრაზდა და ეძგერა ბაყბაყდევს. ეძგერა ბაყბაყდევიც და დაიწყო ცხარე ომი.

ამირან, დევი შეიბნენ, მიწას გაჰქონდა გრიალი,
ამირანმა დევი დასცა, ადგილი დახვდა ქვიანი,
დასცა და მხარი მოსტეხა, დააწყებინა ღრიალი.

დევი შეშინდა და ამირანს შეეხვეწა:

— ნუ მომკლავ, დარეჯანის-ძევ, ხელი გაფიცო ხმლიანი,
მანდილი დედიშენისა, თაკლაი, ოქროიანი,
ზღვას გაღმა ქალი გასწავლო, სახელად ყამარიანი,
საყამაროსა კაბასა, შვიდი დღე უნდა მზიანი,
შვიდ კვირეული საპონი, ჩვიდმეტი კოკა წყლიანი,
წასვლა ადვილი იქნება, მოსვლა გახდება გვიანი,

მოყვარული ხარ ომისა, გზა იქ გექნება მტრიანი,
თან შიკრიკს გამოგაყოლებ, ვაჟია ღალატიანი.

ამირანმა შეიწყნარა ბაყბაყდევი, მაგრამ ძმებმა არ დაანებეს. უთხრეს:

— მოკალი, თორემ დევი არ დაიზავება და ცუდ საქმეს გიზამსო.

დაუჯერა ძმებს ამირანმა და მოსჭრა ორი თავი, მესამე თავის მოჭრაც რომ დაუპირა, დევმა კიდევ სთხოვა:

— სომ მკლავ და მკლავ, უკანასკნელად ეს თხოვნა მაინც ამისრულე: ჩემი თავებიდან თითო ჭია ამოძვრება და იმათ ნუ დახოცავო.

მოსჭრა ამირანმა მესამე თავიც. თავებიდან მართლაც ამოძვრნენ ჭიები და კლაკვნა დაიწყეს. ძმებმა უთხრეს ამირანს:

— რაკი ერთი ჭირი მოიშორე, ძმაო ამირან, მოდი ეგ ჭიებიც ზედ მიაყოლე, თორემ ეგენი რამე ხიფათს გადაგყრიანო.

ამირანმა ამჯერად აღარ დაუჯერა.

— რას ამბობთ, ძმებო, დევმა ვერაფერი მიყო და ჭიები რას მიზამენ, ჭამამ რა მიყო, ლოკვამ რა მიყოსო, ერთი თხოვნა თქვენ აგისრულეთ და მოდით, ერთსაც დევს ავუსრულებო. — უთხრა ამირანმა და ჭიები ცოცხლები გაუშვა. მერე მიუბრუნდა ბაყბაყდევის გამოტანებულ შიკრიკს და უბრძანა, — აბა, შიკრიკო, აჩქარდი, ფეხიც ააჩქარე და ყამარისაკენ სავალი გზა გვასწავლეო.

წაუძღვა შიკრიკი და წავიდნენ. იარეს, ბევრი იარეს, მრავალი მთა და ველი გადალახეს, მაგრამ გზა ვერ გაიტანეს. შიკრიკი ღალატობდა, ძმების დახოცვა უნდოდა და სხვადასხვა გზით ერთსა და იმავე ადგილზე ატარებდა. უსუპმა პირველმა შეატყო შიკრიკს ღალატი და გავლისას ერთ კუნძულს ისარი დაჰკრა, მართლაც მეორე დღეს შიკრიკმა იმავე გზაზე გამოატარა. უსუპმა იცნო თავისი ისარი და ამირანს უთხრა:

ვერ გაგიგია, ამირან, არგამარჯვების ნიშანი
მეორედ იქვე მივედით, გუშინ რომ დავკარ ისარი.

ამირანი განრისხდა და შიკრიკს შეუტია:

შიკრიკო, გზანი გაისვენ, თუ არ ხარ თავის მისანი,
თორე აგიღე, გაგთალე, რო საკიდობნე ფიცარი.

შიკრიკმა ახლა კი იკადრა, „გაიხვნა გზანი" და ძმები ერთ ტრიალ მინდორზე გაიყვანა. გაიხედა უცბად ამირანმა და დაინახა, რომ ის სამი ჭია, ბაყბაყდევის თავებიდან რომ ამოძვრნენ, უზარმაზარ გველეშაპებად ქცეულიყვნენ და მინდორზე საზარლად მოიზლაზნებოდნენ. ერთი თეთრი იყო, ერთი — წითელი და ერთიც — შავი.

მინდორში სამნი ჭიანი მოდიან, მოიმღერიან,
თვალს უცემს დარეჯანის ძე, — მაგათთან ომი მწადიან.

ამირანმა უთხრა ძმებს:

— აბა, ძმებო, მეტი გზა არ არის, მაგ გველეშაპებს უნდა შევებრძოლოთ, თეთრი — ბადრს, წითელი — უსუპს და შავი მე დამანებოთო.

— მარტო შავი კი არა, თეთრი და წითელიც შენთვის დაგვინებებია, — უთხრა უსუპმა, — როცა გირჩიეთ, რომ ის ჭიები ცოცხლები არ გაგეშვა, არ დაგვიჯერე და ახლა როგორც გინდა, ისე გაუსწორდი, შენი გამრუდებული გზა შენვე გაასწორეო.

ამირანს ეწყინა ძმის ასეთი პასუხი და საყვედურით უთხრა:

უსუპო, ჩემი სიმუხთლე, სულმუდამ გულში გდებია,
ტვინი — სადები თავშია, ჩაბალახშია გდებიაო.

და ბადრს მიუბრუნდა, — შენ მაინც მიშველეო, მაგრამ ბადრიმაც უარი უთხრა: ამირანმა ახლა ბადრს უსაყვედურა:

ტრელი ყოფილხარ, ძმავ, ბადრო, გულიც ალქატი გქონიან,
დაჯე და ტყავები კერე, სხვა ხელი არა გქონიაო.

რაკი ბადრისაგანაც უარი მიიღო, იმედი ბოლოს აბჯარ-

საჭურველზეღა დაყარა და შესთხოვა, — ჩემო ხმალო და აბჯარო, საძალედ მომეშველენითო, და გაუმართა სასტიკი ომი გველეშაპებს. მოკლა თეთრი, მოკლა წითელი და დამაშვრალი ბოლოს შავს შეება:

თეთრიც მოკლა და წითელიც შავსა შეება მაშვრალი.

მაგრამ შავს ვეღარ დასძლია. შავმა თვითონვე ჩაყლაპა და გასწია შავი ზღვისაკენ. ზღვის პირას ერთი რკინის ბოძი ჰქონდა, როცა ვინმეს ჩაყლაპავდა, ამ ბოძს შემოეხვეოდა, დაამტვრევდა და ისე მოინელებდა, მაგრამ ახლა ბოძამდე მისვლა ვეღარ მოასწრო. ძმებმა რომ დაინახეს ამირანის გასაჭირი, მაშინვე მისაშველებლად გაეშურნენ, დაეწივნენ გველეშაპს, უსუპმა ისარი ესროლა და ცხრა ადლი კუდი მოსწყვიტა. გველეშაპი შემოეხვია რკინის ბოძს, მაგრამ კუდი პირამდე აღარ მისწვდა და ამირანი დამტვრევას გადარჩა.

ამირანს ჯიბეში ალმასის დანა ედო, მაგრამ ახლა აღარ მოაგონდა. ძმებმა ეს იაზრეს და უსუპმა უთხრა ბადრს:

— მოუდის დარეჯანის ძეს ჯიბეს ჩადება დანისა,
ამოღება და გამოჭრა, შავისა გველეშაპისა.

მართლაც, მოაგონდა ამირანს თავისი ალმასის დანა, ამოიღო იმავ წამს, გამოსჭრა მუცელი გველეშაპს და გამოვიდა. ცოცხალი კი გადარჩა, მაგრამ თმა-წვერი მთლიანად გასცვენოდა და გატუსულ გოჭს დამგვანებოდა. ძმებმა შეხედეს და სიცილი დაიწყეს:

ამირანი დაიბადა გოჭსა ჰგავდა ხუხალასა,
წვერ-ულვაში გასცვენოდა, ჩაეყარა ტომარასა.

ეწყინა ამირანს ძმების დაცინვა და გაჯავრებით უთხრა:

იგივ ვაჟია ამირან, გუშინ რომ ჩამოქარობდა,
არცა რა ბევრი ტანთ ეცვა, არცა რა მკლავთ უფარობდა.

ძმებმა დაამშვიდეს, ვიხუმრეთ, ნუ გეწყინებაო და თანაც ანუგეშეს:

მინდორზე გამოვიარე, დავკრიფე ვარდი — სოსანი,
ამირან, ნუ გეწყინება, სხვანიც არიან ქოსანი,
თსასაც ასსია ბალანი, ჩალად არა ღირს თმოსანი.

ამირანი რომ დამშვიდდა, უსუპმა უთხრა:

— წვერ-ულვაშზე ნუ ინაღვლებ, ძმაო, ამირან, მაგის ხელობა იგრი-ბატონმა იცის, მივიდეთ მასთან და ისეთ წვერ-ულვაშს გაგიკეთებს, როგორსაც ეტყვიო.

წავიდნენ იგრი-ბატონთან. გზაზე ძმებმა ამირანი დაარიგეს:

— იგრი-ბატონი ცოტა ავი კაცია, კარზე რომ მიხვალ, იგრი-ბატონი დაუძახე, სხვანაირად არ მიმართო, თორემ გაწყრება და წვერ-ულვაშს აღარ გაგიკეთებსო.

მაგრამ ამირანი ხეტი კაცი იყო და ასეთი თავაზიანობისა არაფერი გაეგებოდა. მივიდა თუ არა იგრი-ბატონის კარზე, ძმების დარიგება აღარც კი მოჰგონებია და თავისებურად, მკვახედ შეუძახა:

— იგრი, იგრი, კარში გამო, წვერ-ულვაში გამიკეთეო!

იგრი-ბატონი ხელკეტით გამოვარდა, — ვინა ხარ, ვინ მოთრეულხარ, რომ „იგრი-ბატონის" დაძახებასაც არა ჰკადრობო, მაგრამ შეხედა თუ არა დარეჯანის ძეს, მაშინვე იცნო და ენა მუცელში ჩაუვარდა. მოკრძალებით ჰკითხა:

— რა გინდა, დარეჯანის ძევ, რა გაგჭირვებია და რითი გემსახუროო?

— ხომ ხედავ, წვერ-ულვაში აღარა მაქვს და გამიკეთეო, — უთხრა ამირანმა.

— მე ჩემი ხელმწიფე მყავს, — უთხრა იგრი-ბატონმა, — და სანამ იმის ნებართვას არ მომიტან, ვერ გაგიკეთებო.

ამირანი წავიდა იგრი-ბატონის ხელმწიფესთან, მაგრამ ხელმწიფემ უწვერ-ულვაშო ამირანი ვერ იცნო და უკმეხად მიახალა:

— წადი, წადი, წაეთრიე, არც კი გიცნობ ვინა ხარ და რა ბრძანება უნდა მოგცეო!

— ვინა ვარ და, გაგაცნობ თავსო! — განრისხდა დარეჯანის ძე, წასწვდა ხელმწიფეს, წაჰგლიჯა თავი, გამოიხვია

ჩოხის კალთაში და წაუღო იგრი-ბატონს, გაუგორა ფეხებ-წინ და უთხრა:

— აჰა, ეგეც ბრძანება და საქმეს შეუდექიო!

რაღას იზამდა იგრი-ბატონი, მაშინვე გაუკეთა მშვენიერი წვერ-ულვაში და გაისტუმრა.

შეიყარნენ ძმები ისევ ერთად და წავიდნენ ყამარის საძებნელად. ბევრი იარეს, ბევრი ხიფათი, გაჭირვება გამოიარეს და ღვარეს სისხლი. მოსწყინდათ ბადრსა და უსუპს სულ არე-არეზე სიარული, სულ ომი და სისხლისღვრა, დაიღალნენ, დაიქანცნენ, დაიღალა შიკრიკიც და ძმებმა ამირანს უსაყვედურეს:

— შენისა ცოლის გულისთვის სულ ძმები დავილიენითო! რას დავდივართ ტყე-ღრეში, სახლი ჩვენთვის არ არის და თავშესაფარი. დათვსაც თავისი ბუნაგი აქვს, ჩვენ კი, სულკალმასის შვილებს, სულს იქით აღარაფერი შეგვრჩა. მოდით, დავბინავდეთ სადმე და ოჯახებს მოვეკიდოთო.

ამირანი ამჯერად არ შეედავა ძმებს, შიკრიკი დაითხოვა, ხოლო ძმები წაიყვანა და დევების სახლთან მიიყვანა:

— აიქ ჩავიდეთ, უსუპო, გუშინ რომ ქარი ხვიოდა,
დევებსა ჰქონდათ ქორწილი, სიმღერა გამოდიოდა.

ძმებმა დაუშალეს, ბევრნი არიან და ვაითუ დავმარცხდეთო, მაგრამ დარეჯანის ძემ არ დაიშალა, თქვენ გამომყევით და მე ვიცი და იმ დევებმაო, — უთხრა ძმებს და ხელი თავის მოკლე ხმალზე დაიდო.

ეს დევები მართლაც ძალიან ბევრნი იყვნენ, უზარმაზარი ოჯახი ჰქონდათ და უთვალავი ქალ-რძალი და შვილ-შვილიშვილები ჰყავდათ. თვითონ არაფერს აკეთებდნენ, სულ სხვათა ნაძარცვით ცხოვრობდნენ და დღესა და ღამეს ლხინსა და განცხრომაში ატარებდნენ. მივიდა ამირანი დევების სახლის კარზე და უშიშრად გაიარ-გამოიარა. დაინახა ერთმა ქალმა, შეევარდა და დევებს უთხრა:

— აქ ვიღაცა კაცი მოსულა, კარზე დასეირნობს და აინუნშიაც არ აგდებს თქვენს აქ ყოფნასო.

დევებმა თქვეს, ეგ თუ იქნება, დარეჯანის ძე იქნება, აქ

სხვა ვერავინ მობედავდაო, და ქალი ხელახლა გამოგზავნეს, — გადი, ახლოს გაუარ-გამოუარე და გაუცინე. იქნებ თვითონაც გაგიცინოს, შენ კარგად დააკვირდი და თუ ოქროს კბილი გამოუჩნდეს, შემოდი და საჩქაროდ შეგვატყობინე, თადარიგი უნდა დავიჭიროთ, თორემ დარეჯანის ძე ადვილი სასტუმრო კაცი არ არისო.

გამოვიდა დევის ქალი, გაუელის ამირანს, გამოუვლის და გაუცინებს, ამირანმა ითმინა და ბოლოს უთხრა:

რას მიცინი, დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა პირსა,
გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა?
სომესი ვარ, ტანტრე მქვია, დავკარგე და ვეძებ ვირსა,
დღეს დავკარგე, ხვალ ვიპოვნი, ჩემი ბედი ასრე სჭრისა.

ქალი შევიდა და დევებს მოახსენა:

— იმ კაცს მართლა აქვს ოქროს კბილი და საცრისხელა თვალები უსხედს. ვირი დაუკარგავს და იმას დაეძებსო.

— ოჰ, დარეჯანის ძე ყოფილაო, — თქვეს დევებმა და საომრად მზადება დაიწყეს, მაგრამ სანამ იარაღს აისხამდნენ, ამირანი თვითონ შეუვარდა, დაიდო ხმალზე ხელი და წაიკაფიავა:

გაჭიკაცო, გულოვანო, ღვინის ფერო, მცინარეო,
ხმლის სიმოკლე რას დაგიშლის, ფეხი წადგი წინარეო!

დაერია დევებს თავისი მოკლე ხმლით და სულერთიანად ამოჟლიტა. დევების სისხლით სახლი ჭერამდე აივსო, ამირანი სისხლში მოჰყვა, სისხლი გაიყინა, შეკუთდა და სუნთქვა გაუძნელდა. ამირანმა მიძრ-მოძრა მსრები, მაგრამ ამაოდ, სისხლის მორევს ძვრაც ვერ უყო. ამირანს დახრჩობას აღარაფერი უკლდა, მაგრამ სიცოცხლე იმდენად არ ენანებოდა, რამდენადაც ყამარის უნახაობა. ბოლოს დამორჩილდა ბედს და სინანულით ჩაილაპარაკა:

მოვღალე გმირის მარჯვენა ამდენი ომში ქნევითა,
ჯაჭვის კალთები დამაცვდა ამდენი სისხლში რევითა,
ვაიმე, ქალო, ყამარო, ვერ გავძეხ შენი ხვევნითა.

მაგრამ ამირანი ბედისაგან განწირული არ იყო. უცბად სისხლში ერთი დაჭრილი დევი დაინახა, დასწვდა დევს, ესროლა კარს და გატეხა. სისხლს რაკი გზა გაეხსნა, ნიაღვარივით მოსკდა და კარში გამოიღვარა. ამირანმა მხრები გაიბერტყა და თავისუფლად ამოისუნთქა.

ძმებმა გაწმინდეს სახლი, მიალაგ-მოალაგეს და დაიწყეს შიგ ცხოვრება. ერთხანს ამირანმაც მოისვენა, მაგრამ გული სახლში დიდხანს არ დაუდგა, დღე და ღამე ყამარის ლამაზი სახე ელანდებოდა და იმის უნახაობა მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ბადრს სთხოვა:

— მათხოვე შენი თეთრონი, ზღვაში გავალ და ყამარს გამოვიყვანო.

ბადრო, მათხოვე თეთრონი, ზღვაში გავიდე ნდგლევითა,
გამოვიყვანო ყამარი — ქალია თეთრი მზევითა,
თან ყურძენ გამოვაყოლო, ტკბილია დედის რძევითა.

ათხოვა ბადრმა თეთრონი, ძმებიც გაჰყვნენ და წავიდნენ ყამარის მოსაყვანად. ამირანმა ძმები ზღვის პირას დატოვა, თვითონ კი თეთრონზე შეჯდა და ზღვაში შეცურდა. გააპო ზღვა, გავიდა იქით ნაპირზე და გასწია ყამარის მამის სამფლობელოსაკენ. იარა, იარა და ბოლოს ყამარის ბროლის კოშკსაც მიადგა.

ყამარი ქაჯთ ხელმწიფის ქალი იყო. ქაჯთ ხელმწიფე უმეტესად ცაში ცხოვრობდა. იმხანადაც დედ-მამა ცაში ჰყოლოდა და კოშკში მარტოკა თვითონ იყო, სარკმელთან იჯდა და ჭურჭელს რეცხავდა. ამირანმა თეთრონი სარკმლის ძირას მიაგდო და შესძახა:

— მოვედი, ყამარ-ქალო, შენი მაძებარი დარეჯანის ძე, ჩამოდი, შემომიჯექ ცხენზე და ჩემთან წაგიყვანო.

ყამარსაც მოეწონა ამირანი და ჩამოსძახა:

— ამოდი, ცოტახანს შეისვენე, ბარემ მეც მოვრჩები ჭურჭლის დარეცხვას და მერე წავიდეთო.

ამირანმა თეთრონი დააბა და ყამართან ავიდა, ყამარმა დარეცხა ჭურჭელი და ამირანს უთხრა:

— სანამ მე ტანსაცმელს გამოვიცვლი, შენ ეს დარეცხი-

ლი ჭურჭელი ერთმანეთზე დააწყვე, ოღონდ ფრთხილად კი იყავი, არაფერი გაგიტყდეს, თორემ დავიღუპებითო.

ყამარი მეორე ოთახში გავიდა, ამირანი კი ჭურჭლის დალაგებას შეუდგა. აწყობს ამირანი ჯამებს, მაგრამ ერთ ჯამს ვერაფერი მოუხერხა, — რამდენჯერაც პირქვე დადგა, იმდენჯერ გულაღმა გადმოუბრუნდა. გაჯავრდა დარეჯანის ძე, დასცა წიხლი ურჩ ჯამს და ნამსხვრევებად აქცია. გატყდა თუ არა ჯამი, ერთი აურზაური გაიმართა, — მთელმა მთელს უთხრა, ნატეხმა ნატეხს, აიშალა მთელი ჯამ-ჭურჭელი და წივილ-კივილით ცისკენ წავიდა, — არიქათ, ყამარს იტაცებენ და ჩქარა მდევარი შეყარეთო!

გამოვიდა ყამარი და ამირანს უთხრა:

— აბა, ჩქარა გავშორდეთ აქაურობას, თორემ მამაჩემი დაგვედევნება თავისი ლაშქრით და ცოცხლები ვერ გადავურჩებითო.

საჩქაროდ ჩამოვიდნენ ძირს, შესხდნენ თეთრონზე და გაქუსლეს.

ცოტა გზა. რომ გაიარეს, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, ხეებს სულ ლაწალუწი აუყენა და მიწა-მტვერიც ერთმანეთში არია. ამირანმა მაღლა აიხედა და თქვა:

— ცაში ავდრის ნიშანი არაფერი ჩანს და ეს გრიგალი საიდან გაჩნდაო?

— ეს ქარი მამიჩემის ლაშქრის სუნთქვააო, — უთხრა ყამარმა.

ცოტა გზა კიდევ გაიარეს და ახლა კოკისპირული წვიმა დაუშვა. ისევ აიხედა ამირანმა მაღლა და გაკვირვებულმა თქვა:

— დიდება შენდა, ღმერთო, ცაზე ღრუბლის ნასახი არ იბადება და ეს ნიაღვარი საიდან მოდისო?

— ეს წვიმა დედაჩემის ცრემლია, — უთხრა ყამარმა, — ეტყობა, ჩემს დაკარგვას ტირის. აჩქარდი, ამირან, თორემ მამაჩემიც მალე მოგვეწევაო.

ამირან გვალე-გვალესა, მუხლად გაქებენ მალესა,
ამბრნი, უმბრნი და არაბნი ცხენს შესხდებიან ჩქარესა,
მალედვე მოგეწევიან, ომს აგიტეხენ ცხარესა.

ამირანმა ცხენი ბედენად არ ააჩქარა და ყამარიც დაამშვიდა:

ამოდ იარე, ყამარო, გზათა ვერ დაჰლევ რბოლითა,
არა ვარ ტყისა ხოსობი, მომინადირონ ქორითა.
არცა ვარ ჭალის კურდღელი, რომ დამიჭირონ მწევრითა,
არცა ვარ ხისა ფურცელი, გადამიტანონ ქარითა,
მოვლენ და მეც აქ დავხვდები, ამ ჩემი გორდა ხმალითა,
უსუპითა და ბადრითა, მესამით ამირანითა.
იმ მამაშენის ლაშქარსა მარტოც ვეყოფი ჯანითა,
სუყველას თავებს დავაჭრი საპურყველია დანითა.

გამოვიდა ამირანი ზღვას და გამოიყვანა ყამარიც. ცოტა ხანი და ზღვას ყამარის მამის ლაშქარიც მოადგა ხომალდებით, გაივსო ჯარით ზღვის ნაპირი. ამირანმა უთხრა ბადრს:

— შეკაზმე, ძმაო, შენი თეთრონი, შეჯექ ზედ და გაიგე, ლაშქრის შემოვლაში რამდენი ხანი დაგჭირდებაო.

ბადრის თეთრონი ისეთი ჩქარი იყო, რომ ერთი დღის სავალს, ერთ წამში გაირბენდა, ზღვა და ხმელი მისთვის სულერთი იყო. შეკაზმა ბადრმა თეთრონი და ჩავიდა. დაარჭო ერთ ადგილას ისარი სანიშნოდ, რომ იქვე მოსულიყო და თეთრონი ნიავივით გააქროლა, მაგრამ ყამარის მამის მოლაშქრე ქაჯებმა ისარი ამოაძრეს და უკან გამოუდგნენ. არბინა ბადრმა თეთრონი რაც ძალი და ღონე ჰქონდა, არბინა ცხრა დღე და ღამე, მაგრამ თავისი დარჭობილი სანიშნო ისარი ველარსად ნახა, დაღლილ-დაქანცული ამირანთან დაბრუნდა და უთხრა:

ცხრა დღე მივლია, ცხრა ღამე, გარსა ვერ მომირბენია,
ამ ჩემი თეთრონისთვინა ოფლი არ შემიშრენია,
ამ ჩემი მათრახისთვისა ფოჩი არ შემირჩენია.

— მაშ მე თვითონ წავალო, — თქვა ამირანმა და შეჯდა თეთრონზე, ჩავიდა ყამარის მამის ლაშქართან, დაარჭო ისარი და თეთრონი გააფრინა, მივარდნენ ეშმაკები ამი-

რანის ისარსაც, ეჯაჯგურნენ, მაგრამ ძვრა ვერ უყვეს. შემოურბინა ამირანმა ერთ წამში ლაშქარს და დაბრუნდა ძმებთან. უთხრა უსუპს:

— უფროსი ხარ და პირველი ჩასვლა შენ გეკუთვნის, ჩადი, იომე და, რომ გაგიჭირდება, ჩვენც ჩამოგეშველებითო.

ჩავიდა ვაჟი უსუპი, ჩავიდა და ჩაზვერა ლაშქართ სიმრავლე, მერე შეუტია ჯარს და სულ სისხლის წყალი გაადინა. იომა სასელიანად, გაანახევრა ჯარი, მაგრამ სიმრავლემ დაღალა და თვითონაც დაეცა. ამირანს გულმა უგრძნო უსუპის სიკვდილი და ბადრს უთხრა:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან შემიკაზმე შენ ცხენი,
უსუპის მუზარადისა აღარ ამოდის ნათელი.

ამირანს წესად ჰქონდა, ომში რომ შევიდოდა, ან უნდა გაემარჯვა ან მომკვდარიყო. სწორედ იმიტომ არ უნდოდა პირველად ჩასვლა, რომ ბადრი მარტო დარჩებოდა. ასე ფიქრობდა: მე რომ გადავრჩე, იქნებ რამე ვარგო და ძმები ისევ გავაცოცხლო, ბადრი კი ვერაფერს გასდება და სამივენი უძებრად დავიღუპებითო. კიდევ უთხრა ბადრს:

ან ჩადი, ბადრო, ან ჩავალ, ან გამილესე ხმალია,
ჩავალ და ველარ ამოვალ, ვაიმე, შენი ბრალია!

შეჯდა ბადრი თეთრონზე და ჩავიდა. იომა იმანაც გმირულად, გაანახევრა დარჩენილი ლაშქარი და თვითონაც მტერს შეაკვდა. ყამარმა უთხრა ამირანს:

— მომეცი შენი აბჯარი და მე თვითონ ჩავალ, თორემ შენც რომ მოგკლან, მე რაღა მეშველებაო.

— რას ამბობ, ქალო, — გაუწყრა ამირანი, — რა შენი საქმეა ხმალი და ბრძოლა, ხმლიანი მე ვარ და ჩასვლითაც მე ჩავალო.

— მაშ, რაკი არ იშლი, ეს ერთი თხოვნა მაინც ამისრულე, — უთხრა ყამარმა, — ომიდან რომ გამოხვალ, ხმალს ქარქაშში ნუ ჩააგებ და ჩემთან ხმალამოწვდილი მოდიო.

ყამარს ამით უნდოდა, რომ ამირანი არ გაბრიყვებულიყო და, თუ კიდევ რაიმე ხიფათს შეემთხვეოდა, ხმალამოწვდილი მარჯვედ დახვდებოდა.

ჩავიდა ამირანი საომრად და ჩაიკაფიავა:

ასრი-ბუსრი ხარ, ამირან, გვლარძი ხარ გაბრუნებული,
ასნი რად უნდან დედასა, ერთი ჯობს დაღურბლებული.

ჩავიდა და ჩაანახევრა ქაჯების ლაშქარი. გავიდა ბოლოში, შემობრუნდა უკან და გაუსრ და გამოუსო კვლავ მოკლე ხმალი მარჯვნივ და მარცხნივ. კაფა და კაფა ქაჯების ლაშქარი, გასწყვიტა სულერთიან და ბოლოს ყამარის მამას შეება. შეუტიეს ერთმანეთს სიძე-სიმამრმა. სცეს ხმალი და ფარიც მარჯვედ იფარეს. ორივეს ბექთარი ეცვა და ხმალი ვერცერთს ვერ ჭრიდა, ამირანის ხმალი ყამარის მამის მუზარადს რომ მოხვდებოდა, ბღუჯა-ბღუჯა ნაპერწკლებს აყრევინებდა, ამირანის ხმალი რომ მოხვდებოდა, ყამარის მამის მუზარადი ცეცხლივით აინთებოდა, ხოლო ჯაჭვი გველივით წიოდა. უყურებდა ყამარი მამისა და ამირანის ბრძოლას, ხედავდა, რომ ამირანს უჭირდა ქაჯთ ბატონის დაძლევა. ეწყინა ყამარს საქმროს უგერგილობა და ამირანს შეუძახა:

ამირან, ცოლ-დედა მკვდარო, ომი ვერ იცი კილოსა,
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა, დაბლა შემოჰკარ რბილოსა,
დააწყდებიან ძარღვები, დაეცემიან ძიროსა.
არ იცი, ბოძნი რომ დაეჭრებიან, დარბაზნიც დაეცემიანო,

გაიგონა ქალის სიტყვები მამამ და დაჰგმო ყამარი:

— რატომ დედაშენს შობამდე არ გაუწყალდი მუცელში, ან რატომ ძაღლად არ დაიბადე, ის უფრო ერთგული და მოსიყვარულე იქნებოდა. შენ კი რა გამოხვედი, რომ ახლავე მამას ქმარი ირჩიეო.

უყურეთ კახპას ქალასა, ქმარი ირჩია მამასა.
ქმარი ხეს ასხავს ფოთლადა, მაგრამ ვინ მისცემს მამასა,

რისთვის გაგზარდა დედამ, რისთვის გეტყოდა ნანასა,
რად გაწოვებდა ძუძუსა, გირწებდა აკავანასა?

ყამარმა ამაზე მამას უპასუხა:

არცრა გამზარდა დედამ, არცრას მეტყოდა ნანასა,
მიმაგდის სახლის ყურეში თაგვების ანაბარასა,
დამსვამდით დავიწყებულსა, დამაღირებდით დანასა.

— მაგას გაზრდას ეძახით, ტირილით რომ მოვმკვდარიყავი, ერთხელაც არ მომხედავდითო.

დაიჯერა ამირანმა ყამარის რჩევა, შემოჰკრა ხმალი ქაჯთ ბატონს ფეხებში და წააქცია. აკუწა ხმლით და გამარჯვებული ხმალდასმალ გაბრუნდა ყამარისაკენ. გზაზე ერთი დაჭრილი ქაჯი შემოხვდა, ნახა ხმალამოწვდილი ამირანი და დაუძახა:

სად მიხვალ ხმალამოწვდილი, ამირან თარაქამაო,
გასწყვიტე ცოლეულები, ვინ გითხრა ბარაქალაო?

— შენ რომ ვაჟკაცი იყო, ქალისკენ არ წახვიდოდი, ხმალს ჩააგებდი და ჯერ შენი გულისთვის დახოცილ ძმებს მონახავდიო.

შერცხვა ამირანს, ჩააგო ხმალი და წავიდა ძმების საძებნელად. მოაგონდა უსუპის სიტყვები: შენი ცოლისა გულისთვის მთლად ძმები დავიღუპენითო, და გულში თქვა: მაცალეთ, ძმებო, მაინც გიპოვით, თუ ცოცხლები იქნებით, მეც თქვენთან ერთად გავიხარებ, თუ არა და, სამარეს გავითხრი და თქვენს გვერდით დავიმარხებიო. ეს თქვა ამირანმა და გავიდა ბრძოლის ველზე, ველი თავიდან ბოლომდე მკვდრებით იყო მოფენილი, მძორს ნადირი და ყვავ-ყორანი მისეოდა და გაჰქონდა ერთი ღრენა და ყაპყაპი. იარა ამირანმა მკვდრებში და ბოლოს იპოვა მკვდარი უსუპი, აიყვანა ხელში და ახლა ბადრის საძებნელად წავიდა, იპოვა ბადრიც. რა თქმა უნდა, ისიც მკვდარი, დააწყო დახოცილი ძმები ერთად და ჩასძახა:

— არ დამემდუროთ, ძმებო, თქვენ თუ თავი დასდეთ ჩემი გულისთვის, არც მე გიღალატებთ და ასლავე ზედ დაგაკვდებითო.

ამოიღო ამ სიტყვებით თავისი მოკლე ხმალი და დაიცა გულში, მაგრამ ხმალმა კანიც არ გაუჭრა. დაჯდა ამირანი და დაიწყო ტირილი, — სიკვდილიც აღარ მეღირსა თქვენთან, რა შევცოდე ისეთი, რომ ღმერთი ჩემთვის სიკვდილსაც არ იმეტებსო.

ამ დროს ერთმა დაჭრილმა ქაჯმა წამოიწია და დაიძახა:

— ადექით, მკვდრებო, ეს რა საკვირველება ვიხილე: ამირანს თავის მოკვლა გადაუწყვეტია, დაიცა კიდეც ხმალი გულში, მაგრამ არ გაჭრა. ამირანი ისეთი რეგვენი ყოფილა, რომ ისიც არ სცოდნია, თავი როგორ უნდა მოიკლას, რად უნდა ხმალი, მარცხენა ხელის ნეკათითი მოიჭრას და მოკვდებაო.

ამირანმა გაიგონა ქაჯის ნათქვამი და იმავ წამს მოიჭრა ნეკათითი. უდინა სისხლმა თითიდან, უდინა და ამირანიც ძმებთან მიწვა. სიკვდილის წინ ამის თქმაღა მოასწრო:

სამთა ფრთაწვრილთა ფრინველთა ალგეთის ჭალა მოევლა,
უძმოსა, უმამიძმოსა, ამირანს თავი მოეკლა.

გაიგო ყამარმა ამირანის სიკვდილი, მოვარდა და დაიწყო ტირილი. ზის და ტირის ყამარი, იმისი ცრემლი ზღვას ერთვოდა, იმისი მოთქმა ცასა სწვდებოდა და ცოდვით ხეებს ფოთოლი სცვიოდა.

ამ გლოვასა და მოთქმა-ტირილში რომ იყო ყამარი, უცბად ერთი თაგვი გამოძვრა და დაუწყო ამირანის სისხლს ლოკვა. მოუვიდა გული ყამარს, გაიძრო ქოში, ესროლა თაგვს და სული გააფრთხობინა. გამოვარდა ახლა თაგვის დედა და ყამარს მისდგა, — აი, შე ასეთ-ისეთო, შენი გულისათვის ამდენი ხალხი გაწყდა, მამა აღარ შეგრჩა და ქმარ-მაზლები, იმის მაგივრად, რომ სირცხვილი გწვავდეს, მკვდრებს კიდევ მკვდარს უმატებო. ბრალი შენი, თორემ მე ჩემს შვილს ისევ გავაცოცხლებო.

ესა თქვა თაგვმა, გაეარდა მინდორში, მიირბინ-მოირბინა და რაღაც ბალახი იპოვა, მოწყვიტა ბალახი, მოიტანა, მიუსვ-მოუსვა თავის მკვდარ შვილს და გააცოცხლა. ადგა ყამარიც, მოწყვიტა იგივე ბალახი და ამირანს მოუსვა. გაცოცხლდა ამირანი, ადგა, მოიფშვნიტა თვალები და თქვა:

— ოჰ, რა ბევრი მძინებიაო.

— ბევრი მაშინ გეძინებოდა, თუ თაგვი არ გამომძვრალიყო და შვილი არ გაეცოცხლებინაო, — უთხრა ყამარმა, მერე ყველაფერი დაწვრილებით უამბო, რაც მოხდა. მოწყვიტეს ამირანმა და ყამარმა იგივე ბალახი, გააცოცხლეს ბადრი და უსუპიც და სიმღერით გასწიეს თავიანთი სახლისაკენ:

ნეტავი ძმათა მრავალთა, მზე ცხრაგნით ამოუხდება,
ვერც ვინ წაართმევს დიაცსა, ვერც ვინ შინ შემოუხდება.

გავიდა ხანი, ამირანი სულ ახალ და ახალ საგმირო საქმეებს ჩადიოდა. ბევრი სახელგანთქმული დევი და გველეშაპი გამოასალმა წუთისოფელს, ბევრ მოძალადეს შეუკრა ხელ-ფეხი და ააღებინა სელი სხვათა ძარცვაზე. გაუვარდა სახელი ამირანს, ქვეყანაზე იმისი მომრევი აღარავინ იყო. მხოლოდ ერთი სახელგანთქმული ფალავანი ამბრი არსად შეხვედროდა, ამირანი სულ იმის შეხვედრას ნატრობდა და შორიდან მუქარასაც კი უბარებდა.

ერთხელ ამირანი სალაშქროდ იყო დევების ქვეყანაში, იქიდან რომ ბრუნდებოდა, გზაში თორმეტუღელ ხარ-კამეჩს შესვდა. თურმე სახელოვანი გმირი ამბრი მომკვდარიყო და დედას დასამარხად მიჰქონდა, იდო ურემზე და თორმეტი უღელი ხარ-კამეჩი ძლივძლივობით სძრავდა. ამბრის ცალი ფეხი გადმოვარდნოდა ურმიდან, დაბლა მოსთრევდა და მიწას საორპირე გუთანივით მიჰკვალავდა.

ამბრი მიჰქონდა ურმითა თორმეტუღელა სარსაო,
გადმოვარდნოდა ბარკალი, მიწას მიჰხნავდა მყარსაო.

ურემს ამბრის დედაც გვერდით მიჰყვებოდა. დაინახა ამირანი, მოინდომა გამოცდა და დაუძახა:

— დარეჯანის ძევ, ჩემს შვილს ბარკალი გადმოუვარდა ურმიდან, მიწაზე ეთრევა, უპატიური ხდება და, დედაშვილობას, ასწიე და ისევ ურემზე დადეგიო.

მივიდა ამირანი, დაეჯავგურა ამბრის ბარკალს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო, თორემ ურემზე შედებას ვინ იტყოდა,

ამბრი მასთრევდა დედასა, ურემში ება ხარები,
ამირანმ მაგის ზიდილსა, ასო აიგდო, მხარები.

ამბრის დედამ დატუქსა ამირანი:

იგი ქვეყანამც კრულია, სადაც შენ ამირანობდი,
თავს ისურავდი ჩაჩქანსა, ბოლოზე ჯაჭვიანობდი.
წესი რომ იყოს დედათა, ადვილად გინადირებდი,
მოგკრავდი მათრახს წვერასა, ცის კიდელ-კიდელ გაგრევდი,
ღმერთმა ხომ იცის, ამირან, ამბრის ვერ ედარებოდი,
ვერც სმაში, ვერცა ჭამაში, ვერც ომში ეტოლებოდი,
მკვდარმა გაჯობა ცოცხალსა, ცოცხალს რას ედავებოდი?
თუ მაგის მეტი არ იყავ, ჩემს შვილს როგორღა მტერობდი?!

გაწბილდა და დაღონდა ამირანი, მიწა რომ გახეთქოდა და შიგ ჩავარდნილიყო ის ერჩია, მზისაცა სცხვენოდა, კაცისაც და გულს ჯავრი და ბოღმა უკლავდა.

ჯავრი და გულის ვარამი დღეს უბნელებდა მზიანსა,
სიცოცხლეს ჰგმობდა, სიკვდილსა ნატრობდა ნამუსიანსა.

ვეღარ გაუძლო ამირანმა სირცხვილს, დატოვა მზიანი ქვეყანა, ჩაჯდა საბნელოსა და სიახლოვეს აღარავის იკარებდა.

—

საბნელოს ჩაჯდა ამირან, შემოიკრიფა ფეხები.
თუ ამის მეტი არა ვარ, სამზეოს რას ვეხეტები?!

გაიგო ნათლია ღმერთმა ამირანის გასაჭირი და კიდევ მიუმატა სამი ადიდებული წყლის ღონე და სამი დიდი ზვავის სიმარდე და შეუპოვრობა. თან დაარიგა:

— ღონეს გაძლევ, მაგრამ იცოდე, ავზე და უკეთურ საქ-

მეებზე არ მოიხმარო, თორემ ისევ გაწბილდები და სირცხვილში ჩავარდებიო.

მაგრამ ამირანს დიდხანს არ გაჰყვა ნათლიის დარიგება, რაკი ღონე მოემატა, მალე დაავიწყდა და თვითონ დაიწყო ძალმომრეობა. ბოლოს ისე გათამამდა, რომ ნათლიასაც აღარ ერიდებოდა, დადიოდა და სულ იმას გაიძახოდა, — ნეტავი კი ერთხელ ის ჩემი ნათლია დამჭიდა. ამდენი ღონე რომ მომცა, მეცადა მაინც რა კაციაო.

ერთხელ მართლაც შეხვდა ღმერთი ამირანს. ამირანმა უთხრა:

— ნათლიავ, შენ იმდენი ღონე მომეცი, რომ ქვეყანაზე ჩემი მომრევი არავინ არის, მოდი, რაც იქნება, იქნება, მეჭიდე და ერთხელ ღონე შენზედაც მაცდევინეო.

— ამირან, ჭკვიანი კაცი ხარ და მაგდენი როგორ არ იცი, რომ ნათლიას არ უნდა ეჭიდავოო, — უთხრა ღმერთმა.

მაგრამ ამირანმა არ დაიშალა, დაიჟინა, გინდა თუ არა, უნდა მეჭიდოო.

მაშინ — ღმერთმა ბიღო თავისი საღმრთო არგანი და უთხრა:

— მაშ კარგი, რახან არ დაგიშლია, მოდი, ასე ვქნათ: მე ამ ჯოხს მიწაში დავარჭობ და, თუ ამოაძრობ, გამარჯვებული შენ იყავიო.

— კარგიო, — დათანხმდა ამირანი.

— დაარჭო ღმერთმა ჯოხი, მივიდა ამირანი და ხელის ერთი გაკვრით ამოაძრო, დაარჭო მეორედ — ღმერთმა ჯოხი და ამირანმა მეორედაც ასევე ადვილად ამოაძრო. დაარჭო მესამედ ღმერთმა თავისი ჯოხი, გადასახა ჯვარი და უბრძანა, — ისეთი ფესვი გაიდგი, რომ მთელ დედამიწას ირგვლივ შემოსწვდესო.

დაეჭიდა ამირანი ჯოხს, მაგრამ ძვრაც ვერ უყო, ან რას დასძრავდა, როცა ფესვებით დედამიწაზე იყო შემორტყმული. მაშინ დასწყეველა ღმერთმა ამირანი, საყვერის ჯაჭვით იმ ჯოხზე დააბა და თავზე გერგეტის მთა და ყაზბეგის ყინულიანი მწვერვალი დაადგა.

არის მას შემდეგ ამირანი იმ ყინულიან კლდეში მიჯაჭვული, — ღმერთისაგან დღეში ერთი პური და ერთი ხელადა

ღვინო აქვს საზრდოდ დანიშნული და იმით საზრდოობს. ღმერთმა ამირანს ერთი გოშიაც მისცა, ეს გოშია ყორნის ნაშობია და ამირანს ერთგულად ემსახურება: დაკანგვებულ ჯაჭვს დღე და ღამე შეუსვენებლივ ლოკავს და აწვრილებს, ჯაჭვი მივა გაწყვეტაზე, გაეხსნება ამირანს გული, ისევ თავისუფლებისა და მზიან ქვეყანაზე დაბრუნების იმედი გაუჩნდება, მაგრამ წყეული მჭედლები დიდხუთშაბათ დილას გრდემლზე კვერს დაჰკრავენ და ჯაჭვი ისევ მთელდება.

იმედგაწყვეტილი ამირანი მწარედ ამოიოხრებს, მაგრამ ღმერთი მარტო ამ სასჯელს არ აკმარებს და ახლა მშიერ არწივს მიუსვევს. არწივი უმოწყალოდ უკორტნის გულს ამირანს და სისხლის ნიაღვარს ადენს. ამირანს თავისი მოკლე ხმალიც გვერდით უდევს, მაგრამ ჯაჭვი იქამდე არ უშვებს. ითმენს ამირანი არწივის კორტნას, ითმენს და რომ ველარ მოითმენს, ერთს საზარლად დაიყვირებს. ამირანის ყვირილზე მთელი მთა-ბარი შეინძრევა, ცა დაიქუხებს, ზვავები გუგუნ-გრიალით დაეშვებიან უფსკრულებისაკენ, ყინვა გატყდება და ღელე-ხეობები შავფაფარაყრილი მდინარეებით ივსებიან.

ორი ძმა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ღარიბი კაცი. დადიოდა ტყეში, იჭერდა ჩიტებს, ყიდდა და თავს იმით ირჩენდა.

ერთ დღეს ერთი უცნაური ჩიტი დაიჭირა. წაიყვანა ბაზრობაზე და აატარ-ჩამოატარა. ნახა ერთმა მდიდარმა სოვდაგარმა ჩიტი და კაცს უთხრა:

— ას თუმანს გაძლევ და მომეციო.

ღარიბმა კაცმა იფიქრა, ეს ვიღაც გიჟიაო, მისცა ჩიტი სოვდაგარს, გამოართვა ასი თუმანი და უკანმოუხედავად ოკურცხლა, — ემანდ ფული უკანვე არ მომთხოვოსო.

წამოიყვანა სოვდაგარმა ჩიტი და მოიყვანა შინ. ამ ჩიტს ორივე ფრთაზე თურმე არაბული წარწერები ჰქონდა. სოვდაგარს არაბული ენა სცოდნოდა და ეს საიდუმლო წარწერები ამოეკითხა. მარჯვენა ფრთაზე ეწერა: ვინც შემჭამოს, ხელმწიფედ დაჯდეს, ხოლო — მარცხენაზე, ვინც შემჭამოს, ჯიბე ფულით სავსე ჰქონდესო.

სოვდაგარს ორი ვაჟიშვილი ჰყავდა და ეს ჩიტი სწორედ მათ ბედობაზე იყიდა, მაგრამ საიდუმლო არც ცოლს და არც შვილებს თავის დრომდე არ გაუმხილა.

ერთ დღეს სოვდაგარი ხელმწიფემ დაიბარა და უცხო ქვეყანაში სავაჭროდ წასვლა უბრძანა. წასვლის წინ სოვდაგარმა ცოლს უთხრა:

— ხელმწიფე უცხო ქვეყანაში სავაჭროდ მგზავნის, არ

ვიცი, როდის დავბრუნდები. ჩემს დაბრუნებამდე იმასაც გთხოვ, ეს ჩიტი და ჩვენი ბიჭები კარგად შემინახოო.

ცოლი ფიცით შეჰპირდა, ასე ვიზამო, მაგრამ გაუწყრა ღმერთი და ერთი გაიძვერა ვაჭარი შეიყვარა.

ამ ვაჭარმაც იცოდა არაბული ენა და ერთ დღეს ჩიტის ფრთებზე საიდუმლო წარწერები ამოიკითხა. საჩქაროდ სახლში წავიდა, ჩაწვა ლოგინში და სოვდაგრის ცოლს შეუთვალა:

— ჩემი დღე და საათი დათვლილია. თუ თქვენს ჩიტს დაკლავ და იმის ხორცს მაჭმევ, მოვრჩები, თუ არადა— მოვკვდებიო.

ქალმა მსახურს უბრძანა, ეს ჩიტი საჩქაროდ დაკალი და კარგად შემიწვიო.

მსახურს დიაღაც არ უნდოდა ჩიტის დაკვლა, მაგრამ რას იზამდა, დაკლა ჩიტი, გაპუტა და დადო ტაფაზე. მივიდნენ სოვდაგრის ბიჭები და სთხოვეს, გვაჭამეო, მსახურმა თქვა, ეს უცხო ჩიტი, ჩემი ბატონის შვილებზე უფრო უპრიანიაო და, ერთი ნახევარი ერთს მისცა, მეორე ნახევარი— მეორეს, ვაჭრისათვის კი იმ ჩიტის ტოლა ვარია დაკლა და თავის ქალბატონს ის გაატანა.

შეჭამა ვაჭარმა ვარია. იმას, რა თქმა უნდა, ჩიტი ჰგონია, მაგრამ არც ფული გაუჩნდა და არც ხელმწიფობას ვინმე აძლევს. ვაჭარი დაეჭვდა, ეწვია საყვარელს და ნახა, რომ მის ბიჭს ერთს ფულით გატენილი ჯიბეები აქვს და მეორეს სამეფო ნიშნები ატყვია. ვაჭარი მიხვდა, რომ ის ჩიტი მათი შეჭმული იყო და შურით გული გაუსივდა. საჩქაროდ დაბრუნდა შინ, დაიბარა ერთგული მსახური და უთხრა:

— თუ ბატივი და სიმდიდრე გინდა, ახლავე წადი, მავანი და მავანი სოვდაგრის ბიჭები ტყეში გაიტყუე, დახოცე და იმათი გულ-ღვიძლი აქ მომიტანეო.

მსახურმა, გალესა ხანჯალი და წაიყვანა ბიჭები ტყეში.

მსახურს არ ემეტება სასიკვდილოდ ეს აწგელოზებივით ბავშვები და გულამოსკვნით ტირის, ბიჭები გაკვირვებით ეკითხებიან, — რა გატირებსო, — მაგრამ მსახური ხმას არ იღებს, ტირის და ჩამოსდის ცრემლი ღვარად. ამ დროს შე-

მოხვდათ ერთი მეცხვარე, იმასაც გაუკვირდა მსახურის ეს უცნაური საქციელი და ჰკითხა:

— რა იყო, კაცო, რა გასაჭირი გადგას ასეთი, რომ ტირილით თავს იკლავო?

მსახურმა საიდუმლოდ გაანდო მეცხვარეს, რაზეც ტიროდა და სთხოვა, მიხსენი ამ ცოდვისაგან თუ რამე შეგიძლიაო.

— შემიძლია და გიხსნი კიდეცო, — უთხრა მეცხვარემ,— მოდი, ეს ბიჭები მე დამიტოვე, ცხვარში გამომადგებიან, შენ კი ორ თიკანს დაგიკლავ და შენს ბატონს ის წაუღეო.

ვაჭრის მსახურს მოეწონა მეცხვარის ნათქვამი და სიხარულით დათანხმდა. მეცხვარემ დაკლა ორი თიკანი, ამოაცალა თბილი გულ-ღვიძლი და გაატანა, ბიჭები კი თავისთან დაიტოვა.

წამოიღო მსახურმა თიკნების გულ-ღვიძლი და მოუტანა თავის ბატონს, ვაჭარმა შეჭამა, მაგრამ ფულსა და ხელმწიფობას ვერც ახლა ეღირსა.

გავიდა ხანი, მეცხვარესთან დარჩენილი ბიჭები დაიზარდნენ და კარგი თვალ-ტანადი ვაჟკაცებიც დადგნენ. ერთს სულ ხელმწიფური შესახედაობა აქვს, მეორეს კი — ფულით გატენილი ჯიბეები. ძმებმა ერთ დღეს მოილაპარაკეს: ჩვენ ასე ყოფნა არ გამოგვადგება, უნდა წავიდეთ და საჩვენო ბედი ვეძებოთო. მისცეს მეცხვარეს უამრავი ფული, გამოემშვიდობნენ და წამოვიდნენ.

იარეს ძმებმა, იარეს და ბოლოს ერთ გზაჯვარედინს მიადგნენ. გზაჯვარედინზე დიდი ქვა იდო და ზედ ეწერა:

მარჯვნივ წახვალ, ნათლით ივლი,
მარცხნივ, ბნელი გზებიაო.

უმცროსმა ძმამ უთხრა უფროსს:

— მოდი, შენ მარჯვნივ წადი, ფული არა გაქვს და ნათლით მაინც იარე, მე კი ფული გამოულევლად მაქვს და ბნელი გზითაც რომ წავიდე, თავს ადვილად გავიტანო.

ძმებს წელზე მამის ნაჩუქარი ერთნაირი ქამრები ერტყათ. გამომშვიდობებისას ერთმანეთს უთხრეს: — რაც არ უნდა გაგვიჭირდეს, წელიდან ამ ქამრებს ნუ მოვიშორებთ

და თუ როდესმე ერთმანეთს შევხვდებით, ამით ვიცნობთო, გადაკოცნეს ერთმანეთი და უფროსი მარჯვნივ წავიდა, უმცროსი — მარცხნივ.

იარა უფროსმა ძმამ ნათელი გზით, იარა და ბოლოს ერთ სახელმწიფოში მივიდა. იმ ქვეყნის ხელმწიფე უძეოდ მომკვდარიყო, შემცვლელი აღარავინ დარჩენოდა და ახლა ვინმე უნდა აერჩიათ. უფროსი ძმა სწორედ ამ დროს შევიდა ქალაქში. ხალხს ძალიან მოეწონა თვალადტანადი ვაჟკაცი და იმავ დღეს თავიანთ ხელმწიფედ დასვეს.

უმცროსმა ძმამაც იარა ბნელი გზით და გავიდა ბნელეთის ქვეყანაში. მივიდა ერთ ბებერთან და ღამის გათევა სთხოვა.

დედაბერმა შეამჩნია, რომ ბიჭს ჯიბეები ფულით ჰქონდა სავსე და პირდაპირ ხელმწიფესთან გაიქცა, იფიქრა, ეს ბიჭი მალე წავა, ხელმწიფეს კი ბატივში ვეყოლებიო, და სხაბასხუპით ჩამოუკაკლა: — ჩემთან ერთი უცხო ჭაბუკი მოვიდა, ჯიბეები სულ ოქროს ფულებით აქვს დატენილიო.

ბნელეთის ხელმწიფე ძალიან ხარბი იყო, ერთი მახინჯი ქალიშვილი ჰყავდა, ისიც თავისავით ხარბი და გაწუწკებული. ფულის ხსენებაზე მამა-შვილმა თვალები ჭყიტა. აფრინეს ნაზირ-ვეზირები და ბიჭი სასახლეში მოაყვანინეს. ხელმწიფემ ბღვერით შეხედა უმცროს ძმას და უთხრა:

— ჩვენ ასეთი წესი გვაქვს: — ყველა უცხოელს, ვინც ჩვენს მიწაზე ფეხს დაადგამს, ბაჟს ვახდევინებთ და ეს წესი შენც უნდა აასრულოო.

— რამდენი მოგართვათო? — ჰკითხა ბიჭმა.

— რაც ჩემს ჯარს ერთ წელიწადს საჭმელად ეყოფაო, — მიუგო ხელმწიფემ.

— მომიტანეთ სამყოფი ჭურჭელი და აგივსებთო, — უთხრა ბიჭმა. მოატანინა ხელმწიფემ ათი უზარმაზარი საცალო და ბიჭს წინ დაუწყო. გაავსო ბიჭმა ათივე საცალო და ხელმწიფეს შეუთვალა:

— თქვენი ბრძანება შესრულებულია, მობრძანდით და წაიბარეთო.

გამოვიდნენ ხელმწიფე და იმისი ქალიშვილი, ნახეს, სა-

ცალოები ბირთამდე სავსეა, მაგრამ ბიჭის ჯიბეებს არაფერი ემჩნევა,— ისევ ფულით არის დატენილი. გაუკვირდა ქალს ძალიან და მამას უჩურჩულა:

— მოდი, ამ ბიჭს ნუღარ გავუშვებთ და ფული სულ გამოულევლად გვექნებაო.

მამა დათანხმდა.

ქალმა უმცროსი ძმა იმავე საღამოს ვახშმად დაპატიჟა. ბიჭი ეწვია, აბა, რა ექნა, ხელმწიფის ქალიშვილს უარს ხომ ვერ აკადრებდა? ქალმა კარგი სუფრა გაუშალა, საუკეთესო ღვინო დალევინა და ცოტა რომ დაათრო, შეაპარა:

— დარჩი ჩვენთან, ცოლად შემირთე და შენც ბედნიერი იქნები და მეცო.

ბიჭს კინაღამ გულს შემოეყარა, — ისეთი მახინჯი და ულამაზოა ეს ქალი, ისეთი, რომ კაცს შეხედვა გაუჭირდება. ბიჭმა უარი უთხრა, ვერ დავრჩებიო.

ეს ქალი ჯადოქარიც იყო, აბა, ბნელეთის ხელმწიფის შვილი რა იქნებოდა! აბა, უარი მაკადრეო? შეულოცა ბიჭს და გულ-ღვიძლი ამოაცალა.

დარჩა ბიჭი ცოცხალ-მკვდარი, სული კი უდგას, მაგრამ ბრსად წასვლა აღარ შეუძლია. მამა-შვილი ყოველდღე აკითხავდა, უცარიელებდა ჯიბეებს, მაგრამ მეორე დღეს ისევ ოქროს ფულით დატენილები ხვდებოდათ.

ასე გაატარა უმცროსმა ძმამ რამდენიმე წელიწადი. ერთხელ ქალაქში ჯადოქრები მოვიდნენ და ცეკვა-თამაში გამართეს. მთელი ხალხი მათი სანახაობის საყურებლად გარბოდა. გაიგო ამ ბიჭმა ჯადოქრების ჩამოსვლა და იფიქრა, ცოტა გულს მაინც გადავაყოლებო. გაჭირვებით ადგა, გამოვიდა მიწურიდან და ბარბაც-ბარბაცით ქალაქის მოედნისაკენ წახანხალდა. მოჰკრა თვალი ჯადოქრების უფროსმა ბიჭს და ჰკითხა:

— კაცო, რა მოგსვლია, ასე რამ დაგადამბლავაო?

ბიჭმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო. მაშინ ჯადოქრების უფროსმა უთხრა: — რას მომცემ, რომ ამ სატანჯველიდან დაგიხსნაო?

— სხვა არაფერი მაქვს და ფულს კი იმდენს მოგცემ, რამდენის ზიდვასაც შესძლებო, — უთხრა ბიჭმა.

— მაშ, ყური მიგდე, — უთხრა ჯადოქარმა ბიჭს, ერთი მოზრდილი ანკესი და პატარა ყველის ნატეხი მისცა და დაარიგა, — ბნელეთის ხელმწიფის ქალი კუდიანია და ჭიაკოკონობა ღამეს კატად გადაიქცევა, მოვა შენს მიწურთან და საცოდავად დაიწყებს კნავილს, შენ შიგნით არ შეუშვა, თორემ თვალებს ამოგჩიჩქნის, ეს ანკესი ყველის ნაჭერში გაახვიე და კარის ღრიჭოდან გადაუგდე. ყველს რომ გადაყლაპავს, ანკესიც თან ჩაჰყვება, შენ მაშინვე ამოსწიე, შენი გულ-ღვიძლი ამოაცალე და საჩქაროდ გადაყლაპე. როგორიც იყავი, ისევ ისეთი გახდები. შენს გულ-ღვიძლს კატის ენაც თან ამოჰყვება, აიღე ის ენა, დაარტყი ქალს და რადაც გინდა, იმად აქცევ.

მისცა ბიჭმა ჯადოქართა უფროსს იმდენი ფული, რამდენის წაღებასაც შესძლებდა, და ხანხალით ისევ თავის მიწურში დაბრუნდა. დადგა კუდიანების ღამეც. შუაღამეა. ჩამიჩუმი არ ისმის. ბიჭი ზის სულგანაბული და კატის მოსვლას მოელის. მართლაც, შუაღამე რომ გადავიდა, კარებთან საცოდავი კნავილი გაისმა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ბიჭმა ჩამალა ყველის ნაჭერში ანკესი და კარის ღრიჭოდან გადაუგდო. კატა ეცა და გადაყლაპა, ძაფი რომ დაიჭიმა, ბიჭმა გამოსწია და კატას მუცლიდან თავისი გულ-ღვიძლი ამოაცალა. გულ-ღვიძლს კატის ენაც თან ამოჰყვა. ბიჭმა საკუთარი გულ-ღვიძლი გადაყლაპა და ისევ სალ-სალამათ ჭაბუკად გადაიქცა. დაიჭირა ხელში კატის ენა, გამოვარდა კარში, გადაჰკრა კატას და ჯორად აქცია, შეჯდა იმავ წამს ზედ, გადაუჭირა რცხილის სახრე და ბნელეთის ქვეყნიდან უკან მოუხედავად მოკურცხლა. გამოვიდა ისევ ნათელ ქვეყანაში და გასწია ძმის საძებნელად. დადის ეს ბიჭი თავისი ჯორით ქალაქ-ქალაქ, ფული გამოულევლად აქვს და სადაც დუქანი მოეწონება, ყველგან კაი დროს ატარებს. თუ ჯორით მგზავრობა მობეზრდება, ენა ჯიბეში უდევს, ამოიღებს, დაარტყამს ჯორს და ცხენად აქცევს, ცხენი მოსწყინდება, ისევ ჯორად ან აქლემად გადააქცევს და დადის არხეინად.

ერთხელ ერთ ქალაქში შევიდა. ნახეს ხელმწიფის კარისკაცებმა, რომ ბიჭს ჯიბეები ოქროს ფულით აქვს დატენილი და ებნევა. წავიდნენ და ხელმწიფეს მოახსენეს, ერთი უცხოელი ჩამოსულა ჩვენს ქალაქში და იმდენი ფული აქვს, ჯიბეებში აღარ ეტევა და სულ გზა-გზა ებნევაო.

ხელმწიფეს რაღაც ენიშნა და სასახლეში მიაყვანინა.

— ვინა ხარ, სადაური ან აქ საიდან მოხვედიო? — ჰკითხა ხელმწიფემ.

ბიჭმა დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი, ბოლოს უთხრა:

— ამქვეყნად ერთადერთი ძმა მყავს და სანამ არ ვიბოვი, სულ ასე უნდა ვიაროო.

ხელმწიფემ ჰკითხა:

— ნიშანი თუ გაქვს რაიმე, რომ ნამდვილად ძმას ეძებო?

— ნიშანი ქამარი მაქვსო, — მიუგო ბიჭმა, — შემოიხსნა ქამარი და ხელმწიფეს წინ დაუდო.

ადგა ხელმწიფე, თვითონაც შემოიხსნა ქამარი და ქამრის გვერდით დადო. ძმებმა იცნეს ერთმანეთი და სიყვარულით გადაეხვივნენ. ერთმანეთის სიყვარულით რომ გული იჯერეს, მერე თქვეს: მოდი, წავიდეთ და ჩვენი მამა ვნახოთო. ხელმწიფემ საუკეთესო ცხენები შეაკაზმვინა, მაგრამ უმცროსი ძმა ისევ თავის ჯორზე შეჯდა, — სანამ ცოცხალია, ასე უნდა ვაწამოო.

წამოვიდნენ ძმები და მივიდნენ თავიანთ სახლში. მამას უკვე იმედი გადასწურვოდა შვილების ნახვისა და უკვე ხარჯს უხდიდა. მოეწვია ხალხი. ის ვაჭარიც იქ იყო. ბიჭებმა ყველა იცნეს, ბიჭები კი ვერავინ იცნო. მიუჯდა ხალხი სამკვდრო სუფრას და დალია შესანდობარი. მაშინ ადგა უფროსი ძმა, რომელიც ხელმწიფე იყო, და გამოაცხადა:

— კარი ჩაკეტეთ, გარეთ არავინ გაუშვათ, რაღაც სათქმელი მაქვსო.

ჩაკეტეს კარი და ბიჭმა ხალხს თავიანთი თავგადასავალი დაწვრილებით უამბო. სოვდაგარმა ახლა კი იცნო შვილები, გადაკოცნა ორივენი და ქელეხი ლხინად აქცია.

ხალხმა იქვე შებოჭა ვაჭარი, ქმრის ღალატისათვის სოვდაგრის ცოლიც ზედ მიაყოლეს. გამოაბეს ორივე ცხენის ძუაზე და ნაფლეთ-ნაფლეთ აქციეს. ლხინს რომ მორჩნენ, შვილებმა მამაც თან წაიყვანეს, დასახლდნენ უფროსი შვილის სახელმწიფოში და თავისი დღენი ერთმანეთის სიყვარულსა და სიამტკბილობაში გალიეს.

ჭირი — იქა, ლხინი — აქა,
ქატო — იქა, ფქვილი — აქა.

ზღაპარი

ზღაპარი ხალხური სიბრძნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და პოპულარული ჟანრია. იგი ძალიან დიდი ხნის წინათ ზეპირად შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს. ზეპირადო ვამბობთ, რადგანაც იმ შორეულ წარსულში ხალხმა ჯერ კიდევ არ იცოდა ასოების წერა. შემდეგ კი ამ ზეპირად მონათხრობს ხალხი მოსმენით იმახსოვრებდა და კვლავ ზეპირად გადასცემდა შთამომავლობას. მრავალი ასეული წლის განმავლობაში ეს ზეპირი ფანტასტიკური მოთხრობები ასე გადადიოდა კუთხიდან კუთხეში და თაობიდან თაობაზე.

განსაკუთრებით დიდი იყო ზღაპრის დანიშნულება მანამ, სანამ ხალხი დამწერლობას განავითარებდა. მაგრამ არც დამწერლობას და არც წიგნს ზღაპარი არ მოუსპია. იგი მწერლობის მხარდამხარ ვითარდებოდა და ვრცელდებოდა, რადგანაც მას თავისი საკუთარი ფუნქცია და ტრადიცია ჰქონდა.

ასე მოაღწია ზღაპარმა იმ უხსოვარი დროიდან ჩვენამდე. ცხადია, მას თავისი უძველესი სახე უცვლელად არ შერჩენია; იგი განვითარებადი საზოგადოების თანამგზავრი იყო და მასთან ერთად თვითონაც ვითარდებოდა. საზოგადოების შესაბამისად იცვლებოდა ზღაპრების მოტივები და იდეები, ისვეწებოდა ფორმა და ბოლოს იგი მთელ ქვეყნიერებაზე გავრცელდა და ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი ზეპირსიტყვიერი ჟანრი. ჩვენს დროში არ არის ქვეყანა, რომლის ხალხი სიამოვნებით არ ეცნობოდეს ხალხის მიერ შექმნილ ამ მხატვრულ საგანძურს.

ქართული ზეპირსიტყვიერება ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ხალხური შემოქმედებაა. საუკუნეებს გაუძლეს და ჩვენს დრომდე მოაღწიეს წინაქრისტიანულმა, წარმართობისდროინდელმა ქართულმა მითებმა: ამირანის, კომპალას, ბირქუშის, სამზევარისა და სხვათა სახით.

დიდი ხნის წინათ იხსენიებენ ქართული წერილობითი წყაროები ზღაპარს, მას არაერთგზის ვხვდებით აგრეთვე ძველ ქართულ მწერლობაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟანრის მნიშვნელობა ძირითადად დღესაც იგივეა, რაც მას უძველეს წარსულში ჰქონია.

ჩვენს წინაპრებს ზღაპარი ესმოდათ, როგორც ფანტაზიის მეშვეობით შექმნილი, მოგონილი ამბავი და მას ყოველთვის სინამდვილის სა-

პირისპირო მნიშვნელობით ხმარობდნენ: ერთ ძველ ნაწერში ვკითხულობთ: „არა ვითარცა ტყუილსა და ზღაპარსა, არამედ ჭეშმარიტსა ხილულსა ვიტყვ", ე. ი. ის ამბავი, რაც ხილულია, თვალით დანახულია, ზღაპარი არ არის.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებითაც ზღაპარი „არს მოგონებულ ტყუილი ამბავად შემჭევრებული და არა ქმნილი მყოფობით", ე. ი. ზღაპარი მოგონილია და არა ნამდვილად მომხდარი ამბავი.

ქართული ზღაპრების ადრე ჩაწერილ ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია; ისე კი მათი კვალი საკმაოდ ჩანს ძველ ქართულ მწერლობაში. ზღაპრების ყველაზე ძველი ხელნაწერი კრებული მე-17 საუკუნიდან მოგვეპოვება, შემდეგ კი რამდენიმე მნიშვნელოვანი ჩანაწერი მე-19 საუკუნის დასაწყისიდანაც არის ცნობილი.

ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, როგორც დიდ ეროვნულ საგანძურს, სერიოზული ყურადღება პირველად სამოციანელებმა მიაქციეს. ჩვენი ცნობილი კლასიკოსები ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი თვითონ იყვნენ პირველი ინიციატორები და ჩამწერები ზეპირსიტყვიერი მასალებისა. ამ საქმეში ენერგიულად ჩაებნენ ცნობილი მოღვაწენი და მეცნიერნი.

XIX ს. მეორე ნახევარში დაიწყო ზეპირსიტყვიერი მასალების სისტემატური გამოქვეყნება ჟურნალ-გაზეთებში. ხალხურ ლექსებსა და სიმღერებს ხშირად აქვეყნებდა „ივერია", „დროება", „მოამბე", „კვალი" და სხვა.

ბერიოდულ პრესაში თუ ადვილად ხერხდებოდა მცირე მოცულობის ბოეტური ნიმუშების გამოქვეყნება, ზღაპრებზე ამას ვერ ვიტყვით. თვითმპყრობელობის ბატონობის მძიმე ბერიოდში ზღაპრების არა თუ გამოცემა, არამედ ჩაწერაც კი ჭირდა. მრავალი შემკრები წლების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ზღაპრების სრული სახით დაბეჭდვასა და მკითხველისათვის მიწოდებას. ბევრი მათგანი ისე ჩავიდა საფლავში, რომ ამ კეთილშობილური სურვილის განხორციელებას ვერ ეღირსა.

მაგრამ მაინც დაგვრჩა ზღაპრების რამდენიმე მნიშვნელოვანი კრებული, რომელთა გამოცემაც დიდი გაჭირვებით მოუხერხებიათ:

1891 წელს ზღაპრების მცირე კრებული გამოუცია ლადო აღნიაშვილს. 1897 წელს აკაკი წერეთელმა თავის „კრებულში" დაიწყო ქართული ზღაპრების სისტემატურად ბეჭდვა. 1901—1903 წლებში „ქართველ ქალთა წრესაც" დაუბეჭდავს ზღაპრების ორი კრებული.

1909 წელს თ. რაზიკაშვილს გამოუცია ქართლ-კახეთსა და ფშავში ჩაწერილი ზღაპრების ორი კრებული.

ქართული ზღაპრები აგრეთვე ქვეყნდებოდა საზოგადოებათა კრებულებშიც, მაგრამ ყველაფერი ეს ზღვაში წვეთი იყო იმასთან შედარებით, რაც შესაკრები და გამოსაცემი რჩებოდა.

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ მშრომელი ხალხის შემოქმედებით უნარს ფართო გზა გაეხსნა. კიდევ უფრო

გაიზარდა ინტერესი მისი შეკრების, შესწავლისა და გამოცემისადმი.

ფართოდ გაიშალა საველე-შემკრებლობითი მუშაობაც, რამაც დიდძალი ზეპირსიტყვიერი მასალა და მათ შორის ზღაპრებიც შემატა ადრე შეკრებილ მარაგს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ზღაპრების მრავალი კრებული იქნა გამოქვეყნებული სათანადო მეცნიერული წინასიტყვაობითა და შენიშვნა-კომენტარებით. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია გაეცნოს პროფესორების: მ. ჩიქოვანის (1938 — 1952 — 1956), ქს. სიხარულიძის (1938), ალ. ღლონტის (1948 — 1952 — 1956), ელ. ვირსალაძის (1949 — 1958) ზღაპრების კრებულებს.

ამის გარდა, სხვადასხვა დროს გამოიცა ცალკეულ შემკრებთა მასალები, სადაც ზღაპრებს დიდი ადგილი უჭირავს.

ზღაპარი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოძრავი ჟანრია. იგი იმთავითვე ძალიან იოლად გადადიოდა კუთხიდან კუთხეში და ქვეყნიდან ქვეყანაში.

ხალხებს ყოველთვის ჰქონდათ ერთიმეორესთან ამა თუ იმ სახის ურთიერთობა. ისინი ქვეყნიდან ქვეყანაში გადადიოდნენ როგორც ვაჭარი, თუ ჯარისკაცი, მოგზაური, თუ მისიონერი. დამპყრობლები დიდხანს რჩებოდნენ დაპყრობილ მოსახლეთა შორის და ადგილობრივი მკვიდრნი ტყვეების სახით გაჰყავდათ თავიანთ ქვეყნებში. ეს მდგომარეობა კი დიდად უწყობდა ხელს ზღაპრის მოძრაობას, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა შორის ერთნაირსიუჟეტიანი ზღაპრების დამკვიდრებას. აი, ამიტომ ამბობენ, ზღაპარი ინტერნაციონალური ჟანრიაო. რა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ეროვნული ზღაპრები არ არსებობდა. ზღაპართა ურთიერთგაზიარება სწორედ იმას ნიშნავს, რომ ყველა ერს უნდა ჰქონოდა ამა თუ იმ სახის ზეპირ მოთხრობათა მეტ-ნაკლები მარაგი, თორემ, აბა, რა გადავიდოდა ერთი ხალხიდან მეორეში? ამასთან ერთად მკვლევარები ფიქრობენ, რომ სხვადასხვა ხალხთა განვითარების მსგავსებამ დამოუკიდებლად წარმოშვა მსგავსი სიუჟეტები და მოტივები.

ზღაპარი იმდენად ბრის ეროვნული, რამდენადაც მასში ჩანს ამ ერის თავისებურებანი, მისი ისტორიისა და ყოფის ანარეკლი, წესჩვეულებანი, მეურნეობის დარგები, ლანდშაფტი, გარემომცველი ფლორა და ფაუნა და მრავალი სხვა. ამიტომაც ზღაბარში ადვილად ჩანობა იმ ხალხის ცხოვრება, რომელშიც იგი აღმოცენდა და დამკვიდრდა.

ვისმენთ ქართულ ზღაპარს და იქ, როგორც სარკეში, ისე ჩანს ჩვენი ხალხის ბედუკულმართი წარსული, სოციალ-პოლიტიკური თუ ეროვნული ძნელბედობა, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლა, სოციალური უთანასწორობისა და შიმშილ-სიღატაკისაგან თავდაღწევაზე ოცნება.

აი, სოფლის მარჩენალ ერთადერთ წყაროს სადღაციდან გადმოვარდნილი გველეშაპი დაბატრონებია და ხალხი წყურვილისაგან იტანჯება, გველეშაპი კი წვეთწვეთობით აძლევს წყალს და ისიც მხოლოდ იმ ზღვისგვეაში, თუ ხალხი მსხვერპლად რჩეულ ქალ-ვაჟებს მიუყვანს. ან ცხრა-

თავიან დევს მიუტაცია მზეთუნახავი ქალწული და მიუვალ ცხრაკლიტულში გამოუმწყვდევია, ხოლო დამცველებად ავსულები და კუდიანი დედაბრები მიუჩენია. რამდენი მწყემსისა თუ მეწისქვილის ბედისმაძიებელი შვილი უდებს საბედისწერო სანაძლეოს ხელმწიფეს, რომ მოგების შემთხვევაში ბედს ეწიოს. ყველაფერი ეს კი ნიშნეული და დამახასიათებელი იმიტომ არის ქართული ზღაპრებისათვის, რომ მათში ჩვენი ხალხის წარსულია არეკლილი.

ყველა ხალხის ზღაპრებში ის თემები, მოტივები და იდეებია წინ წამოწეული, რაც მისი შემქმნელი ხალხის ისტორიისა და ყოფისათვის არის დამახასიათებელი.

ზღაპრებში ასე ხშირად რომ გვხვდება: „იარა, იარა, ცხრა მთა გადაიარა", არ შეიძლებოდა სტეპების მკვიდრთა შორის შექმნილიყო. „ცხადია, „ელია" იქ აღმოცენდებოდა, სადაც მოსავალს სეტყვა ანადგურებს, ასევე „სამმტევანა ჭაბუკიც" იქ შეიქმნებოდა, სადაც ვენახი ხარობს, ზღაპარში დაძმობილებული პერსონაჟები რომ ერთიმეორისათვის სიცოცხლეს სწირავენ, ამის საფუძველი ძმად გაფიცვის უძველესი ქართული წესია, რაც დღემდე შემორჩა ქართველ მთიელთა შორის.

საქართველოში ზღაპარი ყოველთვის პოპულარული ყოფილა, მას დიდ პატივს სცემდნენ როგორც ხალხის იდეური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ იარაღს, გართობისა და დასვენების საუკეთესო საშუალებას. ზღაპრის ეს უდიდესი ფუნქცია საუკეთესოდ ესმოდა ხალხს. ზღაპარი მსმენელებს უნერგავდა იმედსა და სულიერ სიმტკიცეს, ხალისსა და ენერგიას. ზღაპრის ორი პერსონაჟი, დაღლისა და შიმშილისაგან ქანცგაწყვეტილი, ძლივსღა მილასლასებს შორეულ გზაზე. ერთი ეუბნება მეორეს: — ან შენ ამიკიდე, ან მე აგიკიდებო, — მეზღაპრეთა ენაზე ეს იმას ნიშნავდა, ან შენ მითხარი ზღაპარი, ან მე გეტყვი, რომ შიმშილი და დაღლა დაგვავიწყდესო. აი, როგორ კარგად ესმოდათ ზღაპრის როლი თვითონ მეზღაპრეებს და ამიტომ იყო, რომ ქმნიდნენ, ასრულებდნენ და ავრცელებდნენ მას.

ზღაპარი, მართალია, მეტ-ნაკლებად, მაგრამ მაინც გავრცელებული ყოფილა საქართველოს ყველა კუთხეში და ყველა სოციალურ ფენაში; გარდა იმისა, რომ იგი მტკიცედ იყო დამკვიდრებული გლეხთა ყოფაში, მას პატივს სცემდნენ დიდებულთა ოჯახებშიც. აკაკი წერეთლის ცნობით, საქართველოში ყოფილან ისეთი ყმა-გლეხები, რომელთაც მხოლოდ ბატონისა და და მისი ცოლ-შვილისათვის ზღაპრების თქმა ემართათ და სხვა გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ. მისივე ცნობით, ასეთი ყოფილა არა ერთი კაცი, არამედ მთელი გვარეულობა.

ზღაპართმცოდნეები ადასტურებენ, რომ მეზღაპრეობა ხელოვნება იყო, ხოლო ზღაპრის კარგი მთხრობელი — შემოქმედი. იგი ნიჭსა და დაოსტატებას მოითხოვდა და ამიტომაც კარგი მთქმელები მოსახლეობაში სახელითა და პატივისცემით სარგებლობდნენ.

ზღაპრები მათი ფორმისა და შინაარსის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, ზოგი მათგანი მოკლეა, ზოგი კი საკმაოდ ვრცელი,

გვხვდება როგორც თხრობის, ისე დიალოგის ფორმით შექმნილი ნაწარმოებები, ხოლო ზოგიერთ. მათგანში კი პროზა და ლექსი ცვლის ერთიმეორეს და ამბავი ამ ფორმით გადმოიცემა. კიდევ უფრო ნაირფეროვანია ზღაპრები შინაარსის მიხედვით. ზოგიერთი მათგანის პერსონაჟები ბირუტყვები არიან და ნაწარმოების სიუჟეტი აგებულია მათი ურთიერთობის საფუძველზე. სხვა სახის ზღაპრები კი უფრო ადამიანთა საყოფაცხოვრებო ურთიერთობას გადმოსცემენ. მათი შინაარსი ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასა და გარემოებასთან არის დაკავშირებული. ცნობილია ისეთი ზღაპრებიც, რომელთა ეპიზოდები, მოტივები თუ პერსონაჟები ფანტასტიკურ გამონაგონს წარმოადგენენ, ხოლო ზოგიერთი ნაწარმოების საფუძველი რომელიმე საგმირო ამბავი ან გმირის თავგადასავალი გამხდარა.

ზღაპრების კლასიფიკაცია რთული საქმეა. მართალია, მეზღაპრისათვის ყველა ზღაპარი ერთი და იგივე არ არის, ისინი თხრობის დროს კოწკრეტულ გარემოს, ასაკს, სქესსა და ბევრ სხვა რამეს ითვალისწინებენ, და ამის მიხედვით ამბობენ შესაფერ ზღაპარს, მაგრამ შემოქმედების ასეთი პროცესი ჟანრებისა და მოტივების ერთიმეორეში გადასვლასაც იწვევს, რაც მათ კლასიფიკაციას აძნელებს.

არსებობს ზღაპრების კლასიფიკაციის რამდენიმე სახე. ქართული ზღაპრების თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით, რომელიც პროფ. მ. ჩიქოვანს ეკუთვნის, მიღებულია შემდეგი ჯგუფები: 1. ცხოველთა ეპოსი, 2. მისნური ანუ ჯადოსნური ზღაპრები, 3. საყოფიერო-ნოველისტური ზღაპრები, 4. საგმირო ეპოსი, 5. ლეგენდები და 6. ანეკდოტები.

ამ ჟანრებზე იმის მიხედვით გვექნება ლაპარაკი, რა სახითაც ისინი წინამდებარე კრებულში არიან წარმოდგენილნი. გათვალისწინებული იქნება ის ფორმა, რომელიც მათ მიუღიათ შემდგენლის მიერ გადამუშავების შემდეგ.

ზღაპრების ლიტერატურული დამუშავება, მათი სტილისა და დიალექტოლოგიური ფორმების გასწორება ახალი რამ არ არის. ზღაპართმცოდნეობის ისტორიაში ამის მრავალი მაგალითი მოიპოვება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. საკმარისია ითქვას, რომ იაკობ და ვილჰელმ გრიმების მიერ გამოცემული ზღაპრების პირველივე კრებულები: „გერმანული საბავშვო და საოჯახო ზღაპრები", რითაც საფუძველი ჩაეყარა ზღაპართა კრებულების გამოცემას, სტილიზებული იყო.

ქართული ზღაპრების ძველი პუბლიკაციებიც დამუშავების შემდეგაა გამოქვეყნებული. ხალხურ ნაწარმოებებში შესწორებების შეტანა ადრევე საჭიროდ მიუჩნეიათ ჩვენს ცნობილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს: ილიას, აკაკისა და იაკობ გოგებაშვილს. უფრო მეტიც, ზღაპრების სტილი და ფორმები თვითონ ჩამწერებსაც უსწორებიათ. გამოჩენილ შემკრებს სევ. გაჩეჩილაძეს პროფ. მ. ჩიქოვანისათვის დაწერილ მოგონებაში აღუნიშნავს, რომ მთქმელთა მიერ მოწოდებულ ზღაპართა ტექსტებს ჯერ „გავაკაკალავებდი და რაც გამოსადეგი დარჩებოდა ცხრილს ზევით, იმას გადავწერდიო".

ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის განკუთვნილ ზღაპართა კრებულების დამუშავებული სახით გამოცემა იმდენადვე სასურველი და აუცილებელიც კია, რამდენადაც დაუშვებელია სამეცნიერო დანიშნულების მქონე ტექსტების გასწორება.

ცხოველთა ეპოსი

ცხოველთა ეპოსს უწოდებენ იმ ზღაპრებს, რომლებშიც მოქმედ პირებად პირუტყვები არიან გამოყვანილი. შინაური ცხოველებიდან ზღაპრის პერსონაჟებად გვევლინებიან ხარი, ცხვარი, ძაღლი, ძროხა, ცხენი და სხვა, ხოლო მხეცებიდან ლომი, ვეფხვი, დათვი, მგელი, მელა, კურდღელი... ასევე მონაწილეობენ ცხოველთა ზღაპრებში შინაური თუ გარეული ფრინველები: მამალი, წიწილა, ბატი, მტრედი, ყორანი, არწივი, აგრეთვე სხვადასხვა ჯურის ქვეწარმავლები და თევზები.

ცხოველთა ეპოსში ცხოველების ურთიერთობის საფუძველზე იგება ზღაპრის სიუჟეტი და ვითარდება მოქმედება. პირუტყვ პერსონაჟთა შორის ხშირად ეპიზოდური მოქმედი პირის სახით ადამიანიც გამოერევა. ცხოველთა ეპოსისათვის განსაკუთრებით არის დამახასიათებელი პერსონიფიცირება. ისინი ადამიანების მსგავსად მოქმედებენ, მტრობა და მოყვრობა, მეგობრობა და ღალატი ზღაპრის პერსონაჟებისთვისაც ისევე დამახასიათებელია, როგორც ადამიანებისათვის. ისინი არა მარტო ერთმეორესთან და ადამიანებთან საუბრობენ, არამედ ზოგჯერ ადამიანებსაც ასწავლიან თავიანთ ენას („ძაღლების ენა").

ცხოველთა სამყაროსთან ხანგრძლივმა და მჭიდრო ურთიერთობამ, მათზე დაკვირვებამ და გამოცდილებამ ადამიანს ადრევე მისცა საშუალება, თავისი შეხედულება შეემუშავებინა თითოეულ მათგანზე. თანდათან ადამიანმა ცხოველთა ნაწილი მოიშინაურა კიდეც და თავის მარჩენლად აქცია. ალბათ ამანაც განსაზღვრა ის, რომ შინაური ცხოველები თითქმის ყოველთვის დადებითი პერსონაჟები არიან და სიკეთეს ემსახურებიან. ისინი არასოდეს მტრობენ და ღალატობენ ადამიანს, მაშინ, როცა იმავეს ვერ ვიტყვით გარეულ მხეცებზე. იშვიათად არის, მაგალითად, რომ მგელი კეთილ პერსონაჟს დაუმეგობრდეს, ხოლო თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, იგი კეთილად არასოდეს დამთავრდება. ადამიანმა იმთავითვე იცოდა, რომ დათვი თავს ესხმის ბალახისმჭამელ ცხოველებს, კლავს და სანსლავს ძროხებსა და ცხვრებს, ამასთან ერთად იგი მძლავრი, მაგრამ ყოველთვის უხეში, ბინძური და ბრიყვია, მელა კი მისი სრულიად საპირისპირო არსებაა, სუსტია, მაგრამ მეტად ეშმაკი და მოხერხებული, თანაც შინაური ფრინველებისათვის კბილის გაკვრა მასაც სჩვევია. რადგან ადამიანმა იმთავითვე იცოდა ყოველი პირუტყვის ჩვევა და ხასიათი, მათი ურთიერთსაპირისპირო კეთილი თუ ბოროტი საწყისები, იცნობდა მათ ფიზიკურ შესაძლებლობებსა და ინსტინქტებს, ამიტომ თითოეულ მათგანს ზღაპარში შესაბამისი როლი და ფუნქცია აქვს

დაკისრებული. ეს საპირისპირო პერსონაჟები ერთიმეორეს ხვდებიან და ზღაპრის სიუჟეტური კვანძიც უკვე შეკრულია. შეხვდება თუ არა დათვი და მელა ერთიმეორეს, მსმენელმა უკვე იცის, რომ ძლიერი ბრიყვი და სუსტი მოხერხებული ვერასოდეს მორიგდებიან, თუმცა პირველი მათი ურთიერთგაცნობა თითქმის ყოველთვის დამმობილებით იწყება. შემდეგ დათვი ძალიან მალე გამოაცალენს უხეშ სიბრიყვეს, დაარღვევს დადებულ პირობას, მეგობრობით ნაშოვნ დოვლათს თვითონ დაეპატრონება და გუშინდელ მეგობარს აღარაფერს უწილადებს. მაგრამ უხეშობას მელა ყოველთვის თავის ეშმაკობას უპირისპირებს, და მოქმედებაც დაძაბული და საინტერესო ხდება.

გაუმაძღარმა დათვმა მელას ბატკანი შეუჭამა („დათვი და მელია"), მელას ძალიან ეწყინა, მაგრამ, თითქოს არაფერიაო, — შეგარგოსო, — უთხრა ცბიერად და იმავ წუთს შურისძიების მიზნით ახალი საცდუნებელი შესთავაზა ბრიყვ დათვს — ახლა ნასუქი დეკეულის ხორცით უნდა გაგაძღოო. დათვი, ცხადია, სიხარულით გაჰყვა მელას და დაიწყო მოქმედების შემდგომი განვითარება, რაც მელას მიერ შურისძიების ახალ-ახალი ეპიზოდებით გამოიხატა. ჯერ იყო და მელამ მაყრებს ტყავი გააცდევინა დათვისთვის, მერე, ვითომ მკურნალობის მიზნით, ტყავგაძრობილი წყალული გავარვარებული რკინებით დაუდაღა, ამ წამების შემდეგ კი გოდორში ჩასვა და კლდეზე დააგორა. თვითონ კი კლდის თავზე დაცუცქდა და გამარჯვების სიმღერა შემოსძახა:

ახტება და დახტება ეს სულბოროტიანი,
დაჯდება და უცქერის ხოსრო დოვლათიანი.

ასე დასაჯა უხეში ბოროტება თავისი ჭკუისა და მოხერხების შემწეობით სუსტმა მელამ.

სხვა ზღაპარში კი, სადაც დათვი, მგელი და მელა ამავე პერსონალური ნიშნებით ანეითარებენ მოქმედებას, ამბავი იმით დასრულდა, რომ მელამ სასტიკად იძია შური გაუტანელ „ძმობილებზე". „დათვს ბელები დაუხოცა, მგელი მწევარ-მეძებრებს დააგლეჯინა, თვითონ კი „ღღესაც ცოცხალია და ახალ თინებს იგონებს" („დათვი, მგელი და მელა").

წიშნეულია, რომ ასეთ შემთხვევაში ხალხი მელას უთანაგრძნობს და ამარჯვებინებს კიდეც, რადგანაც იგი სიბრიყვისა და ბოროტებისაგან იცავს თავს. ხალხმა საკუთარი გამოცდილებიდან კარგად იცის, რომ მძლავრი ბრიყვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთადერთი საშუალება მოხერხება და ეშმაკობაა.

ყოველ ზღაპარში, შესაბამისი პერსონაჟების სახით, ერთიმეორეს უპირისპირდება დადებითი და უარყოფითი, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ერთი და იგივე ცხოველი ყოველთვის დადებით ან უარყოფით როლს ასრულებდეს. ზემოხსენებულ ზღაპრებში თუ მელიის ეშმაკობა გამართლებულია და, ამიტომ იგი დადებით პერსონაჟად წარმოგვიდგება, სხვა ზღაპარში თავისი საქციელის გამო უარყოფითი პერსონაჟია და ხალხ

მას ამარცხებს, ეს კი იმიტომ ხდება, რომ ამჯერად მელას საქციელი პატიოსნების წინააღმდეგ არის მიმართული.

თაღლითმა მელამ რამდენიმე ბურადი და სტუმართმოყვარე მასპინძელი დააზარალა („მელიას ოინები"). პირველ მასპინძელს უშარა და ფეტვის სანაცვლოდ მამალი წაართვა, მეორეს — მამლის ნაცვლად ერკემალი, მესამეს ერკემალში — ხარი, ხოლო მეოთხეს — მკვდარი ხარის საბაგიეროდ ლამაზი გოგონა გამოსძალა, ჩაისვა გუდაში და პატიოსანი ადამიანების მოტყუებით გახარებულმა სიმღერა შემოსძახა:

ფეტვი გავყიდე მამლადა,
მამალი — ერკემალადა,
ერკემალი კი — ხარადა,
ხარი — უტურფეს ქალადა.

მაგრამ სტუმარ-მასპინძლობის სპეტაკი ტრადიციის დამრღვევი და გამყალბებელი მატყუარა ხალხს დაუსჯელი არ დაუტოვებია. მეხუთე მასპინძელმა — მეღორემ, მელას გუდიდან ქალი მობარა და მის ნაცვლად აშარი ძაღლი ჩაუსვა, გზაზე გუდიდან ლამაზი ქალის ნაცვლად თაღლით მელას გააფთრებული ქოფაკი გამოუსტა და „ფაფუკი ტყავი კუდის რიკამდე გააძრო".

მელა მიუხედავად დიდი მოხერხებულობისა და ეშმაკობისა ხშირად მარცხდება არა მარტო ადამიანებთან და ძლიერ პირუტყვებთან (ხართან, ძაღლთან და სხვა) დაპირისპირების დროს, არამედ მასზე სუსტ ფრინველებთანაც კი („ნახევარწიწილა" და სხვ.)

თაღლითი მელა მოტყუებით ცდილობდა მწყერჩიტას ხელში ჩაგდებასა და შესანსლას, მაგრამ მწყერჩიტა როდი მოტყუდა, პირიქით, მან ოსტატურად შეაცდინა პირისგამტეხი მელა, მისთვის გლეხს თავი გააჩეხინა, ხოლო თვითონ უვნებელი გადარჩა („მელიამ და მწყერჩიტა").

ხარი თავისი ფიზიკური ძალით, დაუზარელი შრომითა და პატიოსანი ერთგულებით ბოლომდე რჩება თავის მეგობარ ადამიანთან. მისი და ადამიანის მეგობრობა ყოველთვის სპეტაკი და უხინჯოა. ხარს ადამიანი გამოჰყავს ყოველგვარი გასაჭირიდან. ეხმარება შიმშილისა და სიღატაკის დაძლევაში. იხსნის მტრებისაგან და, თუ მდგომარეობამ მოითხოვა, სიცოცხლესაც სწირავს მის გადასარჩენად. ადამიანისადმი ერთგულებაში ხარი, ყველა სხვა პირუტყვს შორის, გამორჩეული პერსონაჟია. მას, გარდა ფიზიკური ძალისა, მისნური სიდარბაისლეც გააჩნია და გაჭირვების დროს ადამიანის დამრიგებლად და მხსნელად გვევლინება („ერთგული ხარები"). წიქარა რქებიდან ღალას იღებდა და განწირულ უმწეო ობოლს ისე ინახავდა, ხოლო როდესაც ობოლს სიკვდილის საშიშროება დაემუქრა, საკუთარი სიცოცხლე გასწირა მის გადასარჩენად („წიქარა").

ძაღლი ყოველთვის ადამიანის ერთგული მეგობარი და სამართლიანობის მსახურია. ზღაპარში მოქმედების განვითარება ხშირად ისე წარიმართება, რომ ძაღლის გამოჩენით ნაწარმოების კვანძი იხსნება —

ძაღლები დასჯიან ცბიერსა და მატყუარა მელას, ან გაუმაძღარ და ვერაგ მგელს დაბეგვავენ. ბრიყვ დათვს დაკბენენ და, მიიღებს რა ბორბოტი მხეცი დამსახურებულ სასჯელს, ზღაპრის კვანძიც ამით იხსნება. ძაღლი ძალიან ხშირად მეგობრულ რჩევას აძლევს და ამით გასაჭირისაგან იხსნის ადამიანს („ძაღლების ენა").

მგელი მუდამ ვერაგი და დაუნდობელია, მგლურ გაუმაძღრობასთან ერთად მას ცბიერი ტყუილიც სჩვევია. მას უნდა მოტყუების საშუალებით ხელთ იგდოს მსუქანი გოჭები, მაგრამ დედა ღორთან ვერაფერს გააწყობს. შემდეგ კი იგი მომნანიებელი წმინდანის როლში გვევლინება და ცოდვებისაგან განსაწმენდელად იერუსალიმში მიემგზავრება, მაგრამ მისი საშველი არ არის და მგელი ბოლომდე მგლად რჩება, ამიტომ ყოველთვის დამსახურებული სასჯელით ისჯება: ჯერ იყო და ვირმა წისლებით კბილები ჩაულეწა, მერე ყოჩებმა რქებით ნეკნები დაუმტვრიეს, ხოლო შემდეგ მოზვერმა ძაღლებს ისე დააბეგვინა, რომ ცოცხალ-მკვდარმა ძლივძლივობით დააღწია თავი იქაურობას („ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა").

კურდღელი უძლური და ამიტომაც მშიშარა და ფრთხილი პერსონაჟია. მას ყველა მხეცი: ლომი, დათვი, მგელი და თვით მელაც კი ერევა და ჩაგრავს. მაგრამ ხალხის ფანტაზიამ უმწეო კურდღელს მისცა ის, რაც ბუნებამ დააკლო. მას ზოგჯერ ლომებსა და ვეფსვებზეც კი ამარჯვებინებს. კურდღელს არ გააჩნია არც ფიზიკური ძალა და არც სიმამაცე. მაგრამ ტრაბახი უყვარს და ეხერხება კიდეც. დამახასიათებელია, რომ ასეთი საქციელი მას უმართლებს.

მთვრალი კურდღელი ტყეში მარტოდმარტო ბანცალობს და მღერის:

„ეს ქვეყანა სამეფოა,
მე ვარ მეფე ამ ქვეყნისა,
არ ვანსსვავებ ლომს და მელას,
შიშის ზარს ვცემ ყველა ბრიყვსა",

მაგრამ ლომის გამოჩენაზე შიშით თავზარი დაეცა და უგონოდ დავარდა. გონს როდესაც მოეგო, ნახა, რომ ლომსა და ვეფხვს ერთმანეთი დაეფლითათ, ჩვენი ტრაბახა ყურცქვიტა ამაყად გაიჭიმა და სინანულით თქვა: „ფუჰ, შევარცხვინე მთვრალი კაცი! ამოდენა მხეცები შემომკვდომია და ალარც კი მახსოვსო („ბაქია კურდღელი").

უძლურთა ბაქიობა მსმენელთა ღიმილს იწვევს, მაგრამ არ ქმნის უარყოფით ემოციას. მართალია, მკვეხარობა ცუდი თვისებაა, მაგრამ როდესაც მასში, იმედი, მოხერხება და საკუთარი თავისადმი რწმენა ურევია, ხალხს ის დასაგმობად არ მიაჩნია.

გაუმაძღარ ლომს ცხოველებმა მუდმივი ხარჯი გაუჩინეს. ყოველდღე თითო პირუტყვს მიართმევდნენ. კურდღლის ჯერიც დადგა: იგი ლომთან დაგვიანებით გამოცხადდა და გააფთრებულ ცხოველთა მეფეს მოახსენა: შენთან უფრო დიდი და მსუქანი კურდღელი მომყავდა, გზაზე სხვა ლომი დამხვდა და წამართვაო. შემდეგ კი გაუძღვა და ჭაში ჩაასვა.

ლომს თავისი გამოსახულება სხვა ლომი ეგონა და უმალ შიგ გადაეშვა; ლომი დაიხრჩო, კურდღელმა კი შინ გასწია.

მამალი ყოყოჩა და თავმომწონეა, მაგრამ გაჭირვების დროს მშიშარა. იგი სიკეთის მსახურია და თავის საბრძანებელში სანიმუშო წესრიგი აქვს დამყარებული.

შინაური ცხოველები ადამიანს არასოდეს უპირისპირდებიან, ხოლო მხეცისა და ადამიანის დაპირისპირება კი ყოველთვის ადამიანის გამარჯვებით მთავრდება, რადგან ასეთ შემთხვევაში მხეცის ფიზიკურ ძალას ადამიანის ყოვლისშემძლე გონება უპირისპირდება და იმარჯვებს კიდეც („კატა და ვეფხვი").

ცხოველ პერსონაჟთათვის დამახასიათებელია გაჭირვების დროს ურთიერთდაძმობილება. ძმობილდებიან ხშირად სრულიად სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობის მქონე, არამონათესავე პერსონაჟები. თითოეული მათგანის უნარი კვანძის გახსნის მომენტში გამოადგება გაჭირვებულ პერსონაჟს.

– შვილების მაძებარმა გვრიტმა გზაზე მამალი, მახათი, ფილთაქვა და ვირი დაიძმობილა. გაჭირვების დროს კი თითოეულმა მათგანმა ეფექტურად გამოიყენა თავისი უნარი და გვრიტმაც საწადელს მიაღწია.

მაგრამ დამეგობრება ყოველთვის მეგობრული გრძნობის საფუძველზე როდი ხდება. მთავარი პერსონაჟი სხვადასხვა უნარის მქონე პერსონაჟებს ხშირად იძულებით უყრის თავს. ნახევარქათამამ გადაყლაპა მელა, მგელი, დათვი და ზედ ზღვაც დააყოლა. გაჭირვების დროს ყველა მათგანი მუცლიდან ამოუშვა და თითოეულს თავისი საქმე გააკეთებინა; საქათმეში დამწყვდეულმა ნახევარქათამამ ჯერ იყო და პირიდან მელა ამოუშვა და ხელმწიფის ქათმები გაანადგურებინა, შემდეგ ასევე გაანადგურებინა მგელს ბატები, დათვს — ცხვრები, ხოლო ბოლოს პირიდან ამოშვებულ ზღვას ხელმწიფე და მისი კარისკაცები დაახრჩობინა („ნახევარწიწილა").

ცხოველთა ურთიერთობის ამსახველი ზღაპრების მოცულობა მცირეა. აქ არა გვაქვს მრავალეპიზოდიანობა და გართულებული სიუჟეტები. ამბავი შედარებით მარტივად იწყება და ვითარდება, მცირეა პერსონაჟთა რიცხვიც. რაოდენობის მიხედვითაც ცოტაა ცხოველთა ეპოსი. ამ უძველეს ჟანრს დროთა განმავლობაში შესამჩნევი ცვლილებები განუცდია. შეცვლილია მოტივები და შესრულების გარემოც. ახლა იგი თითქმის მთლიანად ბავშვთა რეპერტუარის კუთვნილებაა.

ხალხი ცხოველთა ურთიერთობაში კეთილისა და ბოროტის, ბრიყვისა და მოხერხებულის, უმწეოსა და ჭერაგის დაპირისპირებით თავისსავე საზოგადოებას გულისხმობს და ამიტომ გულწრფელად უჭერს მხარს დაჩაგრულის მიერ მჩაგვრელის დამარცხებას, შეპარის უსამართლობაზე სამართლიანობის გამარჯვებას. მთელ ცხოველთა ეპოსში თითქმის არ არის შემთხვევა, რომ ბოროტი მგელი და ბრიყვი დათვი იმარჯვებდეს. ხალხის წება უმწეო კურდღელსაც კი ამარჯვებინებს მრისხანე ლომებსა და ვეფხვებზე. ცხოველთა ეპოსში ადვილად შევნიშნავთ სიმბოლურ-ალე-

გორიულ დეტალებს და თხრობის იგავ-არაკულ ფორმას. ზოგი მათგანი კი კომპოზიციითაც ლიტერატურულ იგავ-არაკს ჩამოგავს.

მგელმა ავადმყოფ ლომს ავი ენა მიუტანა და ცხოველთა მეფე მელაზე განარისხა. მელამ კი ავადმყოფს მოახსენა: — თქვენო დიდებულებავ, როცა თქვენი ავადმყოფობის ამბავი გავიგე, თავზარდაცემული გიჟივით დავრბოდი და ექიმებს ვეკითხებოდი, — რა წამალი არგებს ჩვენს დიდებულ მეფესო, მირჩიეს: მგელს ფეხი მოსტეხონ, კოჭი ამოართვან და ნადირთა მეფეს მიართვანო.

ექიმების რჩევა იმწამსვე სისრულეში იქნა მოყვანილი. ფესმოლეწილი მგელი მწარე ღმუილით მოშორდა მხეცებს, უკან მელია გამოედევნა და მისძახოდა:

— წითელჩექმებიანო, საით მიბრძანდები, როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო.

ამ ზღაპარში იგავ-არაკისათვის დამახასიათებელი ლაკონიური სტილი და თხრობის მანერაა გამოყენებული და ყველაფერი, ისე როგორც იგავ-არაკშია ხოლმე, მორალისთვის არის განკუთვნილი: როდესაც სიტყვას ამბობ, დაფიქრდი და სხვას ორმოს ნუ უთხრიო.

ზოგიერთ ლიტერატურულ იგავ-არაკს აშკარად ეტყობა, რომ მათ წყარო ცხოველთა ეპოსშია.

საყოფაცხოვრებო ზღაპარი

საყოფაცხოვრებო-ნოველისტურ ზღაპრებს უწოდებენ ზღაპრების ერ ჯგუფს, რომელთა თემაც ხალხის ყოფა-ცხოვრებაა. ასეთი ზღაპრების პერსონაჟები ადამიანები არიან და მათი მოქმედებაც კონკრეტულ გარემოში მიმდინარეობს. მათი შინაარსი ადამიანთა ურთიერთობას, მათ ჭირსა და ლხინს ასახავს, სინამდვილესთან შეუთავსებელი ფანტასტიკური გამონაგონი ნაკლებად გვხვდება. ის კი არა, ზოგიერთ ასეთ ნაწარმოებში თითქმის არაფერია დაუჯერებელი და ზღაპრული („ყმის სურვილი"). ზღაპრებში ტიპიური სახეებია შექმნილი უსამართლო მეფეებისა და ნაზირ-ვეზირებისა, ფლიდი და გაიძვერა მოხელეებისა, უზნეო მღვდელ-დიაკვნებისა, მატყუარა სოვდაგრებისა. ამ პერსონაჟთა სახეებში ხალხმა შესანიშნავად გადმოსცა მათთვის დამახასიათებელი კლასობრივი ნიშნები და ექსპლოატატორული თავისებურებანი. მეორე მხარეზე დგანან ღარიბ-ღატაკები და ქვრივ-ობლები, მშიერ-ტიტველი გლეხები და მოჯამაგირეები, ლუკმაპურისთვის ბედთან მებრძოლი მოწადირეები და მეთევზეები, ხალხის მსახური მჭედლები და მეწისქვილეები.

ეს ორი ძირითადი სოციალური ჯგუფი იმთავითვე კლასობრივი ნიშნის მიხედვით არის ურთიერთდაპირისპირებული.

გამრჯე და წესიერი ხალხი ცდილობს არსებობის შენარჩუნებისა და მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ ამ სამართლიანი ოდვალის

განხორციელების გზაზე მას ყოველთვის წინ აღუდგება საუკუნეთა მანძილზე შექმნილი და ხალხის ყოფაში დამკვიდრებული სოციალური უკუღმართობა, კანონიერი საზოგადოებრივი იდეალისა და რწმენის მქონე დადებით პერსონაჟს შებრძოლება უხდება მძარცველებთან და ქურდებთან, მატყუარა ვაჭრებთან და გამომძალველებთან, ზნედაცემულ მღვდლებთან და ძუნწ მდიდრებთან.

ხალხი ყოველთვის სიკეთისა და სამართლიანობის მხარეზე დგას და სწორედ ეს არის ზღაპრის უდიდესი ისტორიული და სოციალური ფუნქცია. ზღაპარში დადებითი პერსონაჟი არასოდეს მარცხდება. შემოქმედი ხალხი თავის გმირს მუდამ მხარში უდგას და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალ გზას უჩვენებს. ამისათვის იგი არ იშურებს თავის მდიდარ გამოცდილებას და ცხოვრებაზე დაკვირვებით შეძენილ სიბრძნეს. ყველაფერ ამას იგი თავის საყვარელ პერსონაჟში განაზოგადებს და ბოლოს უსათუოდ ამარჯვებინებს, რწმენას უმართლებს და ლამაზი იდეალისთვის მიაღწევინებს.

ბევრი ზღაპრის მიზანდასასრულობა ანტისაზოგადოებრივი, მავნე მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაა, უსამართლობის დაძლევაზე. მის დამარცხებაზეა მახვილი დასმული. ამ საპატიო მოვალეობის შესრულებას ხშირად ყველაფერზე წინ აყენებს ზღაპრის დადებითი პერსონაჟი: უსამართლო და მექრთამე კარისკაცმა გაჭირვებული გლეხი ხელმწიფესთან მანამ არ შეუშვა, ვიდრე პირობა არ დაადებინა, — ხელმწიფესაგან რასაც მიიღებ, იმის ნახევარი მე უნდა მომცეო. — კარისკაცის უსამართლობით აღშფოთებულმა გლეხმა დაივიწყა თავისი სათხოვარი და ხელმწიფეს ორი სილის გარტყმა სთხოვა. მბრძანებელმა უმალვე შეუსრულა ეს უცნაური თხოვნა. გამოსვლისას გლეხმა უსამართლო კარისკაცს მოახსენა: — ერთ მისხალსაც არ დაგაკლებ, რაც ხელმწიფემ მომცა, იმის ნახევარს ახლავე მოგართმევო, — და ერთი ისეთი სილა სტკიცა, რომ ჯერ გონება, ხოლო შემდეგ კი კარისკაცობაც დაკარგვინა („ჭკვიანი ხელმწიფე და ღარიბი კაცი").

საყოფაცხოვრებო ზღაპარი, ჯადოსნურთან შედარებით, მოცულობით მცირეა. მოქმედება მარტივად იწყება და სწორხაზოვნად ვითარდება. მისთვის დამახასიათებელი არ არის გართულებული სიუჟეტი და პარალელური მოტივები. მისი პერსონაჟები რეალური გარემოდან არიან აღებულნი. საყოფაცხოვრებო ზღაპარში მთავარია საზოგადოების წევრთა ურთიერთობა, ცხოვრებისეული, ყოფითი პრობლემები. წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრებიდან მომდინარე საჭირბოროტო საკითხები.

პერსონაჟთა შორის საზოგადოების თითქმის ყველა ფენისა და წრის წარმომადგენლები გვხვდებიან. მაგრამ მოქმედებას ყოველთვის ორი დაპირისპირებული ძალა წარმართავს, რომელთაგან ერთიცა და მეორეც ნათლად გამოხატული დადებითი და უარყოფითი ძალებია. ერთიმეორეს ებრძვიან მდიდარი და ღარიბი, აღზევებული და დაჩაგრული, უსამართლო და პატიოსანი, მუქთახორა და გამრჯე. მაგრამ ამ კლასობრივ საფუძველზე წარმოქმნილ კონფლიქტებთან ერთად პირწმინდა საყოფა-

ცხოვრებო, საოჯახო სფეროდან მომდინარე დაპირისპირებანიც ხშირად წარმართავენ მოქმედებას. ერთიმეორეს უპირისპირდებიან ბოროტი დედინაცვალი და უმწეო გერი, უზნეო ცოლი და პატიოსანი ქმარი, ბრიყვი და ჭკვიანი ძმები, მშრომელი მშობლები და მუქთახორა შვილი და ა. შ.

სალხური შემოქმედი არ ცდილობს მხატვრული ხერხებით თანდათანობით გაგვიხსნას დადებითი თუ უარყოფითი პერსონაჟის მხატვრული სახე. პერსონაჟთა სოციალური მდგომარეობა და ბუნება ზღაპრის დასაწყისიდანვე გარკვეულია.

მეზღაპრე თავიდანვე გვაწოდებს მზა ცნობას პერსონაჟის ვინაობისა და ტიპობრივი ბუნების შესახებ: „იყო ორი მონადირე, ერთი სიტყვაძვირი, მეორე კი — ყბედი და მეტიჩარა" („შერცხვენილი მონადირე"), „იყო ერთი წუწკი და ფულს დახარბებული დედაკაცი" („ბევრის მაძებარი, ცოტასაც დაკარგავს"). ამით მსმენელს თავიდანვე ექმნება გარკვეული წარმოდგენა ამა თუ იმ პერსონაჟის ვინაობისა და რაობის შესახებ, ხოლო ნათქვამის მხატვრული დასაბუთება კი შემდეგ, მოქმედების განვითარების პროცესში ხდება. მთხრობელი მსმენელებთან ერთად ფეხდაფეხ მიჰყვება თავის პერსონაჟს და სიუჟეტურ საფეხურებს ისე გაატარებს, რომ დადებითი პერსონაჟი ნაწარმოების ყოველ ეპიზოდში სძლევს უარყოფითს და ბოლოს სიკეთე ბოროტებაზე გამარჯვებას ზეიმობს.

ზღაპარს არ სჩვევია დადებითი პერსონაჟის დამარცხება. ცხოველთა ეპოსსა და ჯადოსნურ ზღაპრებში თუ ბოროტება ხშირად ფიზიკურად მარცხდება, საყოფიერო-ნოველისტურ ნაწარმოებებში დიდი ადგილი ბოროტების მორალურად დამარცხებასაც უკავია.

სალხმა თავისი მდიდარი გამოცდილებითა და დაკვირვების წყალობით კარგად იცოდა, რომ ადამიანთა მოდგმის მტერი ფიზიკურად უნდა მოისპოს: დევს ცხრავე თავი უნდა მოეჭრას, კუდიანი ავსულები ცხენის ძუაზე გამოებას, გველეშაპი ხმლით აიჩეხოს. მაგრამ სალხს ის უტყუარი სიბრძნეც კარგად ესმოდა, რომ ანტისაზოგადოებრივი, მოვლენები: უსამართლობის, სიხარბის, მექრთამეობის, ზნედაცვმულობისა თუ სხვათა სახით, მორალურად უნდა იქნას გატეხილი და მოსპობილი. ამიტომ ბრის, რომ მდიდარი უკანონოდ ნაშოვნ სიმდიდრეს კარგავს. ხარბ მღვდელს მოტყუებით მოგროვებული ოქრო მთლიანად ხელიდან ეცლება („ხარბი მღვდელი"), მდიდარ, მაგრამ ბებერ ოქრომჭედელს უწესოდ შერთული ახალგაზრდა ლამაზი ცოლი სამაგიეროს ღალატით უხდის („ოქრომჭედლის ცოლი").

სამმა გაჭირვებულმა ამხანაგმა დიდძალი ოქრო იპოვა, მაგრამ გაყოფამდე ურთიერთღალატი გადაწყვიტეს. ერთ-ერთმა მათგანმა დანარჩენ ორს საჭმელი მოუწამლა, ხოლო ამ ორმა კი იგი საჭმლის ჭამამდე მოკლა და მოზიარე თავიდან მოიცილა. დაიღუპა სამივე ამხანაგი და ნაპოვნი განძი ოხრად დარჩა („ამხანაგი ნუ გძულს, საშოვარი ნუ გშურს").

ზემოხსენებულ ზღაპარში ჯერეოვწად დაგმობილია გაუმაძღრობა, ტა-
საც გაუტანლობა და ღალატი მოსდევს. აქვე საყურადღებოა იმის ხაზ-
გასმაც, რომ საშოვარზე მოარული ეს სამი ამხანაგი პატიოსანი შრომით
მოპოვებულ მცირე მონაგარს ადრე ყოველთვის კეთილსინდისიერად და
თანაბრად იყოფდა, ხოლო აღმოჩნდა თუ არა მათ ხელთ უშრომლად მო-
პოვებული დიდი სიმდიდრე, თითოეულ მათგანში წაგლეჯისა და მით-
გისების მხეცურმა სურვილმა გაიღვიძა, რამაც ბოლოს სამივე დაღუპა.
ზღაპარი მთავრდება შეგონებით: „ვისაც ამხანაგი სძულს და წაშოვარი
შურს, თავისი წილიც ოხრად დარჩებაო".

ზღაპრებში ხშირად გვხვდება „ცოდვილი ძღვენის" — ქრთამის აღება.
ქრთამის გამღებსაც და ამღებსაც ყოველთვის არაპატიოსანი მიზანი
ამოქმედებს. ეს ანტისაზოგადოებრივი მოვლენა თავს მაშინ იჩენს, რო-
დესაც საიდუმლოს გაცემამ, ღალატმა და უზნეობამ უნდა გაიმარჯვოს,
იგი ყოველთვის სიმართლის, კანონიერებისა და პატიოსნების წინააღ-
მდეგ არის მიმართული. ამ მაცდური საშუალების წყალობით ღალა-
ტობს კარისკაცი ხელმწიფეს, შვილი — მამას, ცოლი — ქმარს
და ა. შ.

მაგრამ ქრთამით წამოწყებული საქმე ვერასოდეს იმარჯვებს, იგი
ბასაფუშავად არის განწირული.

საყოფაცხოვრებო ზღაპარი მკაცრად ებრძვის და ამხელს ყოველგვარ
ანტისაზოგადოებრივ მოვლენას უსამართლობის, სიხარბის, მექრთამე-
ობის, უზნეობისა და სხვათა სახით. იგი ყოველთვის მორალურ და ზნე-
ობრივ ზეგავლენას ახდენს ფართო მასაზე. ამიტომაა დიდი ზღაბრის აღ-
მზრდელობითი ფუნქცია.

საყოფაცხოვრებო ზღაპრის მოქმედ პირთა პერსონალურ ფენქციას, მათ
დადებითსა თუ უარყოფით სახეს ძირითადად მათივე სოციალურ-კლა-
სობრივი მდგომარეობა განსაზღვრავს და ეს ზოგადი დამახასიათებელი
ნიშანი მათ ყოველთვის ახლავს. მშრომელი ხალხი თავის შემოქმედებაში
საკუთარ კლასობრივ თვალსაზრისსა და იდეას ასახავს და ამდენად მო-
ბირისპირე სოციალური ძალების წარმომადგენლებს უარყოფით პერსონ-
აჟთა შორის აქცევს. ასეთთა შორის ყურადღებას ხელმწიფის სახე იქ-
ცევს. იგი ხშირად უსამართლო და ბოროტია. მისი მომადლიერება
მცირედი ძღვენით არ შეიძლება („სოვდაგარი და მისი ცოლი"), მაგრამ
სიმართლისა და გონებამახვილობის წყალობით უსამართლო ხელმ-
წიფეს ხშირად ამარცხებენ ხალხის წრიდან გამოსული რიგითი ადამია-
ნები („ორი ქურდი"), ხელმწიფესა და მის რჩეულ ვეზირს ჭკუითა და
გონებამახვილობით გლეხის გოგომ აჯობა („ჭირვეული ხელმწიფე").

ზღაპრებში თითქმის ყოველთვის უარყოფითი სახეებით არიან წარ-
მოდგენილნი ეკლესიის მსახურნი. ეს „წმინდა მამები" მსუწაგები და გა-
ძეერები არიან, მათი მორალურ-ზნეობრივი სახე დაქვეითებულია.

მწათე, დიაკვანი და მღვდელი მოსვეწებას არ აძლევდნენ გლეხის პა-
ტარძალს, მოხერხებულმა ჰატარძალმა ისინი ბაემანზე მიიტყუა და

ბნელ გომში ერთიმეორე კეტებით დაბეგვინა. შემდეგ კი ბატარძლის მეუღლეც გამოჩნდა და, რაც ერთმანეთს დაეკლეს, იმან დაუმატა. უზნეო მამები სოფლიდან გადაიკარგნენ („ბატარძლის ოინები").

რიგითი მებატონე ზღაპრებში შედარებით იშვიათად გვხვდება, რადგანაც ნაწარმოებში მას ფუნქციონალურად ხელმწიფე ცვლის, მაგრამ როცა კი გვხვდება, სიბრიყვითა და ექსპლოატატორული მიდრეკილებით გამოირჩევა.

ბატონი მოჯამაგირეებს „არწყენაზე" უდებს სანაძლეოს, მერე კი მათ ბუტანელ ბირობებს უქმნის და ნაწყენი მოჯამაგირე იძულებულია მთელი წლის ნამუშევარზე ხელი აიღოს და გასამრჯელოს გარეშე გაეცალოს მებატონეს. მაგრამ სხვისი შრომის მითვისება ექსპლოატატორს ბოლომდე როდი შერჩება, მოჯამაგირის უმცროსი ძმა მას სანაძლეოს მოუგებს და გადასახადსაც ორმაგად გადაახდევინებს („მატყუარა ბატონი").

უარყოფით პერსონაჟთა გალერეას ემატებიან ადგილობრივი მოხეტიალეები. გლეხის ბიჭმა ზნედაცემულ მამასახლისს მეუღლესთან შეუსწრო, მძინარეს პირში მდუღარე ერბო ჩაასხა და სული გააფრთხობინა, შემდეგ კი მკვდარი თავის მტრებს მიუგდო და ფათერაკს ოსტატურად დააღწია თავი („მამასახლისი და გლეხის ბიჭი").

ზღაპრებში ხშირად გვხვდებიან ვაჭართა კლასის წარმომადგენლები. ისინი უმეტესად მოარული მატყუარებისა და მყვლეფელების სახით დაუხატავს ხალხს. ვაჭრის გამოჩენა ხალხის მოტყუებასა და შეცდენას უკავშირდება. სოვდაგარი მეცხვარეს უმტკიცებს, რომ ქვეყნად არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელმაც ტყუილი არ იცის. მეცხვარეს ეს არა სჯერა და ერთმანეთთან დებენ დიდ ნაძლევს. ორპირმა და გაიძვერა სოვდაგარმა სწორედ მოტყუების გზით სცადა სანაძლეოს მოგება, მაგრამ სასტიკად დამარცხდა („სიმართლე"). მეორე ზღაპარში („ჭკუა მაქვს და ფული — არა") ხარბი სოვდაგრების მთელ ჯგუფს ჭკუითა და მოხერხებით გლეხმა აჯობა. მაგრამ დადებითისა და უარყოფითის დაპირისპირებას წმინდა საყოფაცხოვრებო, ოჯახურ გარემოშიცა აქვს ადგილი. ხალხი ბატიეს სცემს შრომაზე დაფუძნებულ, ბატიოსანსა და ნამუსიან ოჯახს, რომლის თითოეული წევრი თავის კუთვნილ მოვალეობას უძღვება და ასრულებს. ზღაპარი ვერ ურიგდება ანგარებაზე ნაშენებ უწესო და უსამართლო ოჯახს.

მეზღაპრეები დიდი სიყვარულით, როგორც მისაბაძ მაგალითს, გვიხატავენ გამტანი და ნამუსიანი ცოლ-ქმრის ურთიერთობას, დამთმობ და მოყვარულ და-ძმებს, ბატიოსან ბატარძლებს, ზრდილობიანსა და გამგონ შვილებს.

ძმათა შორის სიყვარულისა და ძმური ურთიერთობის მომხიბვლელი ამბავია მოთხრობილი ზღაპარში „ძმობა".

ორმა ძმამ მიწის მცირე ნაკვეთი თანატოლად გაიყო და ცალ-ცალკე დასახლდნენ. უმცროსი ძმა საკუთარ ძნებს იღებდა და ღამე თავისი ძმის ძნებზე აწყობდა, — იმას უფრო უჭირს, ოჯახის ბატრონიაო, — ცოდ-

შვილიან ძმას კი თავისი ძნები მალულად უმცროს ძმასთან მიპქონდა. — მაგას უფრო უჭირს, ჯერ ოჯახი არ შეუქმნიაო.

პატიოსანი პატარძლისა და ერთგული მეუღლის სახეა დახატული ზღაპარში „პატარძლის ოინები". უზნეო მღვდელ-დიაკვნების შიშით გლეხს დანიშნული პატარძალი შინ ვერ მოუყვანია, ვაითუ შემიცდინონო, მაგრამ ქალის პატიოსნებამ და მოხერხებულობამ გაიმარჯვა. „წმინდა მამები" სამარცხვინოდ დამარცხდნენ, ხოლო დედაკაცი ბოლომდე ქმრის ერთგულ მეუღლედ დარჩა.

მაგრამ არის სხვა რიგის ოჯახებიც, ხალხის მიერ ადრიდანვე მხილებული და დაგმობილი, ასეა გამოაშკარავებული ოქრომჭედლის ოჯახი:

მოხუცებულმა გონჯმა ოქრომჭედელმა სიმდიდრის წყალობით ახალგაზრდა და ლამაზი გოგო შეირთო ცოლად. მაგრამ ცოლმა მისი შესაფერი ახალგაზრდა შეიყვარა, ოქრომჭედელს ფულიც დასტყუა და ხელიდან გაუქრა („ოქრომჭედლის ცოლი").

შვილის აღზრდა, სწორ გზაზე დაყენება და პატიოსან მშრომელ ადამიანად მისი ჩამოყალიბება ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანია მშობლებისათვის და ასეა იგი წარმოდგენილ ზღაპრებშიც.

ხალხს თავისი გამოცდილება და დაკვირვება განუზოგადებია და პატიოსანი და გამრჯე შვილის აღსაზრდელად თავისი სააღმზრდელო-პედაგოგიური მეთოდებიც გამოუმუშავებია. ეს მეთოდები, მართალია, ხალხურია და თანაც ზღაპრული სიუჟეტებით გადმოცემული, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ისინი სწორი, ღრმააზრიანი და დღევანდელი თვალსაზრისით მისაღებნიც არიან.

მჭედელი ცდილობს, რომ მისმა ზარმაცმა და უქნარა შვილმა ფული საკუთარი შრომით მოიპოვოს, დედა კი მას მანეთიანს აძლევს და ტყუილს ასწავლის: — აჰა, მანეთიანი, მთელ დღეს შინ ნუ გამოჩნდები, საღამოს მოდი, უჩვენე მამაშენს ეს მანეთიანი და უთხარი: — მე ვიშოვე-თქო.

ამ დეტალში ხალხმა დედისათვის დამახასიათებელი, მაგრამ საზოგადოდ მავნე გულჩვილობა ასახა. .აქ შესანიშნავად არის მინიშნებული იმაზეც, რომ დედა უნებლიეთ აიძულებს ზარმაც შვილს მატყუარაც იყოს.. მაგრამ მამა როდი ტყუვდება. იგი შვილის მოტანილ ფულს ბუხარში წვავს და შვილს ეუბნება, — ეს შენი შრომით მოპოვებული არ არისო. — ასე განმეორდა რამდენჯერმე, ვიდრე ვაჟმა მართლა არ მოპკიდა შრომას ხელი და თავისი გამომუშავებული ფული არ მიუტანა. მამამ ამ ფულის დაწვაც სცადა, მაგრამ შვილი ეცა და დასაწვავად არ დაანება — დაენანა შრომით მოპოვებული მანეთიანის განადგურება. გამოცდილი მამა მიხვდა შვილის აღელვების მიზეზს, შვილს დაუტკბა და ალერსით უთხრა: — ასეა, შვილო, სანამ შენი ოფლით არ შეიძენ, მანამდე ფულისა და ქონების ყადრს ვერ გაიგებო („ზარმაცი შვილი").

ოჯახის წევრთა შორის ხშირად გვხვდება ბრიყვის სახე. ბრიყვი შეიძლება იყოს ოჯახის ყველა წევრი — ცოლი ან ქმარი, ძმა ან მოჯამა-

გირე და ა. შ. იგი თავისი სიბრიყვის გამო ხშირად ვერ ერკვევა ელე-მენტარულ საყოფაცხოვრებო საკითხებსა და საოჯახო წვრილმანებში. მისი ურთიერთობა ოჯახის წევრებთან თუ გარეშე საზოგადოებასთან უგუნურია და აკეთებს იმის საწინააღმდეგოს, რასაც უნდა აკეთებდეს. ბრიყვს არ შეუძლია სწორად გაიგოს სხვისი ნათქვამი. ამ დეტალს, რო-გორც ბრიყვის ბუნებისათვის- დამახასიათებელ ნიშანს, ზღაპარში ხაზი აქვს გასმული.

გლეხმა ბრიყვ ცოლს დაავალა: ღვინოს ბრკე მოაცილე და გადაღვა-რეო. — ქალმა „რამდენიც არ ჩაყო სახაპავი შიგ და ამოიღო, ბრკე ღვი-ნოში მაინც რჩებოდა. ხაპა ქალმა ასე, ხაპა და საღამომდე ქვევრი მთლად დააცარიელა". („ქვის სეტყვა").

შემდეგ ოქროაკიდებული აქლემი იპოვეს და, ბრიყვ ცოლს რომ ეს ამბავი პატრონთან არ წამოსცდენოდა, ქმარმა იგი თონეში დამალა. ბრიყ-ვი კი მაინც ამოძვრა და აქლემის პატრონს განუცხადა: — ჯორი ჩვენ ვიპოვეთო. — აქლემის პატრონმა იჩივლა და ცოლს რომ საიდუმლო არ გა-ემხილა, ქმარმა იგი გააფრთხილა, — აქ დაჯექი და ამ კარს არ გადმოს-ცდეო. ცოლმა კი კარები ჩამოხსნა, ზურგზე მოიკიდა და სასამართლოში ისე მივიდა, აქაოდა, კარებს ხომ არ მოვცილებივარო.

ბრიყვი ქმრის ტიპიური სახეა ლარიბი გლეხი, რომელსაც სახლში მა-რილიც კი არ მოებოვება, რომ ლობიო შეაზავოს. იგი ქალაქში მუჭანახე-ვარი მარილის საშოვნელად მიდის და, რომ არ დააგვიწყდეს რისთვის წავიდა, გზაზე სულ მუჭანახევარი, მუჭანახევარიო, — გაიძახის, ამი-ტომ გზაზე შეხვედრილი მხვნელ-მთესველი კაცი მიბეგვავს — ერთი ასად, ერთი ასად რატომ არა თქვიო. ბრიყვმა დაუჯერა, მაგრამ ახლა მკვდრის პატრონებმა სცემეს. — ერთი ასად კი არა, აცხონოს უნდა გეთქვაო და ა. შ. („მუჭანახევარი მარილი").

ხალხმა იცის, რომ სიბრიყვე სოციალური უკულმართობის ბრალია. იგი იმ უვიცობისა და გაუნათლებლობის შედეგია, რაც საუკუნეთა გან-მავლობაში თავს ედო საზოგადოების დაბალ ფენებს. ამიტომ ხალხს ბრიყ-ვი უფრო ეცოდება, გიდრე ეზიზღება. მისი საქციელი ყოველთვის სატი-რულ-იუმორისტული საღებავებით არის შეზავებული, გულუბრყვილო და უანგარო ბრიყვი მსმენელების თანაგრძნობასა და სიყვარულს იწვევს, ხოლო მისი ალალ-მართალი უვიცობა ხშირად იმარჯვებს კიდეც ბოროტ-ებასა და უსამართლობაზე („ქვის სეტყვა").

გერისა და დედინაცვლის ურთიერთობას ერთ-ერთი მთავარი ადგი-ლი უჭირავს საყოფაცხოვრებო ზღაპრებში. გერი უფრო ხშირად გოგო, ზოგჯერ კი ბიჭიც გვხვდება. თუმცა ამით ზღაპრის მთავარი იდეა არ იცვლება, ორივე შემთხვევაში გერი და დედინაცვალი დაპირისპირებული პერსონაჟები არიან. დედინაცვალი ყოველთვის მტრობს გერს, აგიწ-როებს, ჩაგრავს და შეურაცხყოფას აყენებს. მდგომარეობა მით უფრო გამძაფრებულია, თუ დედინაცვალს საკუთარი გონჯი და უჭკუო შვილი-ცა ჰყავს. ასეთ შემთხვევაში დედინაცვალი გერის დაჩაგვრით აღარ კმა-ყოფილდება და მის მოსპობასა და თავიდან მოცილებას ცდილობს.

ხშირად ნაწარმოების კვანძი იმით იკვრება, რომ დედინაცვალი თავს მოიავადმყოფებს და ქმარს ავალებს: დაკლას გერი და მისი გულ-ღვიძლი მიართვას, თორემ სხვა არაფერი მოარჩენს. ვერაგი დედინაცვლის მონა-მორჩილი ქმარი თანახმაა, შვილი მსხვერპლად გაიღოს. ბოროტი განზრახვის შესრულებას თითქოს ხელს აღარაფერი უშლის.

მიუხედავად ამისა, გერს ყოველთვის აღმოაჩნდება გადარჩენის ძალა და საშუალება. ეს ან მისი ჭკუა და მოხერხებაა, ანდა მეგობარი გამოგსარჩლება ადამიანისა თუ საყვარელი პირუტყვის სახით. ამიტომ იგი ყოველ ეპიზოდში თავს აღწევს განსაცდელს და ბოლოს ბოროტი დედინაცვალი სასტიკად მარცხდება.

გერისა და დედინაცვლის ურთიერთობა გადაუწყვეტელ პრობლემად მოჩანს არა მარტო გლეხობაში, არამედ მეფე-მთავართა შორისაც. მრავალი უსიამოვნო ფაქტია აღწერილი ისტორიაში გერის (უფლისწულის) და დედინაცვლის (დედოფლის) ურთიერთობისა. გერი კანონიერი მემკვიდრე იყო ყველაფერი იმისა, რაც მის მამას მოეპოვებოდა. ცხადია, ასეთი მდგომარეობა დედინაცვალს გერის მიმართ კეთილად ვერ განაწყობდა, მით უმეტეს, თუ მას თავისი შვილებიც ჰყავდა.

ივარაუდება, რომ ღარიბ-ღატაკთა ოჯახებშიც გერისა და დედინაცვლის კონფლიქტი არანაკლებად მწვავე იქნებოდა. ისტორიული სინამდვილიდან აღებული ეს მძიმე ურთიერთდამოკიდებულება შესანიშნავად ასახულა ზღაპრებშიც.

ჩვენს ქვეყანაში გერისა და დედინაცვლის მტრულ ურთიერთობას სოციალური საფუძველი დიდი ხანია გამოცლილი აქვს და ზღაპრებში მისი შემორჩენა მხოლოდ წარსული ყოფის მხატვრული ანარეკლია.

გერისა და დედინაცვლის ურთიერთობის ამსახველი ზღაპრების ციკლი ძველად პოპულარული და აქტუალური ყოფილა. ხალხს ამ ორ პერსონაჟში განუზოგადებია საოჯახო ყოფის ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხი — მემკვიდრეობის საკითხი და მასთან დაკავშირებული ვნებები.

ცხადია, ობიექტურად სიმართლე გერის მხარეზეა, რადგანაც იგი ოჯახის კანონიერი შვილია. ამასთან ერთად იგი ობოლი და დედის ალერსს მოკლებულია. ამიტომ ხალხის ჰუმანიზმი მთლიანად მის მხარეზეა. დედინაცვალი საკუთარი, სუბიექტური ინტერესების მიხედვით მოქმედებს და ამიტომ იმსახურებს ხალხის სიძულვილს.

ჯადოსნური ზღაპარი

საზღაპრო ეპოსში დიდი ადგილი ჯადოსნურ ზღაპრებს უკავია. მათი მთავარი თავისებურება უკიდურესი ფანტაზიურობაა. ფანტაზია და გამონაგონი ზღაპრისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი ნიშანია, მაგრამ მისნურ-ჯადოსნურ ნაწარმოებებში ეს თავისებურება განსაკუთრებით იჩენს თავს. მათი სიუჟეტი და მოქმედების განვითარება რეალური სინამდვილიდან შორსა დგას და ადამიანთა მხატვრულ გამოწაგონზეა აგე-

ბული, მოტივირებულია ჯადოსნურ-სასწაულებრივი ელემენტებით. მისნურ-ჯადოსნურ ზღაპრებში გადმოცემულია ობიექტიურ, რეალურ სინამდვილესთან ძნელად შესაგუებელი, დაუჯერებელი, ფანტასტიკური ამბავი.

ჯადოსნურ-ფანტასტიკურ ზღაპრებში ყველაზე უფრო უკეთა ჩანს ადამიანთა ფანტაზიის არე და წვდომათა ზღვარდაუდებელი შესაძლებლობა, ჩანს თუ რამდენად შემოუფარგლავი იყო მხატვრული გამოგონების, შეთხზვისა და ჭვრეტის უნარი. ადამიანთა გონებამ საუკუნეთა მანძილზე ახალი და ლამაზი სამყარო შექმნა ფანტასტიკურ-ჯადოსნური ზღაპრების სახით. ფანტაზიის წყალობით მიაღწია იმ საუკუნეობრივ იდეალს, რისი პრაქტიკულად მიღწევაც მას არ შეეძლო.

უმწეო მშრომელმა ადამიანმა ჯანსაღი ფანტაზიით შექმნა ჯადოსნური საშუალებანი და ჩააღწია ქვესკნელში, დაეუფლა ზეცას, ფეხის დაუსველებლად გადაიარა უნაპირო ზღვებზე.

იგივე ფანტაზია დაეხმარა სოციალური უკულმართობის წინააღმდეგ ბრძოლაშიც. მან ჩაგვრის, უსამართლობისა და ბოროტების სიმბოლური სახეები შექმნა კუდიანების, დევების, გველეშაპებისა და სხვათა სახით. შემდეგ კი ამ ბოროტ ძალებს პატიოსანი მშრომელი ადამიანი დაუპირისპირა და თავისი გმირი ფანტასტიკური ხერხებითა და ჯადოსნური საშუალებებით შეაიარაღა. მისცა მას კომბალი, რომელსაც შეუძლია ძლიერი და ურიცხვი მოწინააღმდეგის დაბეგვა, დახურა უჩინმაჩინის ქუდი, რომ მტერთაგან შეუმჩნეველი და უვნებელი იყოს. მის დამცველად და ქომაგად გამოიყვანა ცხოველთა და მცენარეთა მთელი სამყარო. ადამიანის გონება არა მარტო მახინჯ საზოგადოებრივ ფორმებსა და კანონებს შეებრძოლა, არამედ მისმა ფანტაზიამ ბუნების კანონების გარდაქმნაც მოახერხა: ჯადოსნური ვაშლით უძეო ცოლ-ქმარს შვილი შესძინა და ოჯახი გადაშენებას გადაარჩინა, ფანტაზიით შექმნილი სამკურნალო ბალახით მკვდარი გააცოცხლა, ჯადოსნური საშუალებებით უდაბნოში წყალი ამოიყვანა და იქაურობა წალკოტ-ბაღებად აქცია.

უსაზღვრო და უკიდურესი ფანტაზიით შექმნილი სამყარო თავისი მამოძრავებელი ძალებითა და საშუალებებით, დაუჯერებელ ჯადოსნურ-მისნური კომპონენტებით, სრულიადაც არ უნდა მოგვეჩვენოს მოჭარბებულ უსაგნო ფანტაზიის ნაყოფად. ასეთ ნაწარმოებთა იდეა და მიზანდასახულობა რეალურად არსებულ ობიექტური გარემოდან არის არეკლილი და მასვე ემსახურება. აქ ჯადოსნურსა და მისტიკურ-ფანტასტიკურ ჭრელ სამოსელში არის გახვეული სრულიად ამქვეყნიური საზოგადოებრივი ტკივილები, სოციალური უთანასწორობანი და ხალხის ბრძოლა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად. სადაც და რა გარემოშიც არ უნდა ხდებოდეს მოქმედება, ზესკნელსა თუ ქვესკნელში, გისაც არ უნდა უპირისპირდებოდეს გმირი, ცხრათავიან დევსა თუ უსამართლო ხელმწიფეს, ყველგან ჩანს ობიექტურად არსებული ცხოვრების ანარეკლი. ხალხი საუკუნეთა მანძილზე ოცნებობდა გამხდარიყო ქვეყნის გამგებელი და ამ აუხდენელ სურვილს მხოლოდ ფანტაზიით იკმაყოფილებდა. ოცნებობდა იმაზე, თუ რა საშუალებებით აჯობებდა იგი ხელმწიფეს და თვითონ გან-

დებოდა კეთილი და სამართლიანი გამგებელი, მაგრამ იმას, რასაც პრაქტიკულად ვერ ახერხებდა, ძალიან ლამაზად ასურათებდა ზღაპარში.

მძიმე შრომისაგან გატეხილი, შეუხედავი ცოლის შემყურე მიწის მუშამ თუ მეჯოგემ, მეთევზემ თუ მონადირემ ფანტაზიით შექმნა საცოლის იდეალი მზეთუნახავის სახით და ამ იდეალის მისაღწევად გადალახა მრავალი ჯადოსნურ-ფანტასტიკური წინააღმდეგობა. დაამარცხა კუდიანი დედაბრები, კაციჭამია დევები, შეასრულა პირობა და მოიგო სანაძლეო. დიდი სიმამაცის, გამჭრიახობისა და მოხერხებულობის გარდა ხალხმა მას ფანტაზიით შექმნილი ჯადოსნურ-მისნური საშუალებებიც მიახმარა და გამარჯვებული გამოიყვანა — მზეთუნახავი მისი კუთვნილება გახადა.

ადამიანს მუდამ ჰქონდა ლტოლვა ჯერ მიუღწეველისაკენ, ამოუცნობის ამოცნობისაკენ, გარემომცველი სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნისაკენ. ასე შექმნეს უძველეს წარსულში წიგნიერმა წინმგზრეტელებმა მფრინავი ხალიჩა და მთებსა და ზღვებს გადაუფრინეს, ასე დაასწრო მეცნიერებას მათმა ჯადოსნურმა ფანტაზიამ და მოიგონა ჯადოსნური სარკე, რომელშიც ჩანდა, თუ რა ხდებოდა ცხრა მთას გადაღმა.

ჩვენს დროში ზღაპრის ბევრმა სხვა დეტალმაც დაკარგა ფანტასტიკურობა და რეალურ სინამდვილედ იქცა. კავშირგაბმულობის დღევანდელ პირობებში სასურველი პიროვნების გამოსაძახებლად და მისგან რჩევისა თუ დახმარების მისაღებად სრულიადაც არ არის საჭირო მისი თმის ღერის ან ფრჩხილის ცეცხლში ჩაგდება, რასაც ჯადოსნური ზღაპრების გმირები აკეთებდნენ.

ასე რომ ჯადოსნურ ზღაპრებში ხალხის ხალასი ფანტაზიით შექმნილი, იმ დროისათვის უცნაური გამონაგონი დროთა განმავლობაში თანდათანობით რეალური და ხელშესახები ხდება. ეს კი ჩვენი წინაპრების გონებრივ განვითარებასა და ინტელექტუალობაზე მიუთითებს.

ჯადოსნური ზღაპრის ცენტრში ადამიანი დგას და მოქმედებასაც ის წარმართავს. ზღაპრის ყოველი მოტივი თუ ეპიზოდი, მისი ყოველი პერსონაჟი ადამიანთან არის დაკავშირებული, მის სასარგებლოდ ან საზიანოდ მოქმედებს. ადამიანი იწყებს და ამთავრებს მოქმედებას.

ჯადოსნური ზღაპრის ადამიანი პერსონაჟები თავიანთი ბუნებითა და გარეგნობით ნაკლებად შეცვლილნი არიან. მართალია, იქ გვხვდება მათი სილამაზის, ფიზიკური ძალის ან სხვა ნიშან-თვისებათა ჰიპერბოლიზაცია ანდა პირუტყვად გარდაქმნა, მაგრამ მაინც მისი მოქმედება, მიზნები და მისწრაფებები ადამიანურია.

ფანტაზია უფრო მეტ გასაქანს პირუტყვ პერსონაჟებს აძლევს. მხეცები თუ შინაური ცხოველები, თევზები თუ ფრინველები არა მარტო გონიერულად მსჯელობენ და ლაპარაკობენ, არამედ თავისი მისნური უნარით ადამიან პერსონაჟებს რთულ, ჯადოსნურ სიძნელეთა დაძლევაშიც ეხმარებიან.

ჯადოსნურ ზღაპრებში ფანტასტიკურ ელემენტს ყველაზე მეტად გამოგონილი, რეალურად არარსებული პერსონაჟები აძლიერებენ. ეს არცთუ მოულოდნელია, რადგანაც ისინი ხალხის შემოქმედებითმა ფანტაზიამ

სწორედ ამ მიზნით შექმნა და შემოიყვანა მოქმედებაში. დევი, გველეშაბი, რაში თუ ფასკუნჯი, ეს ის გამოგონილი პერსონაჟებია, რომლებიც სიუჟეტის შეკვრასა და მოქმედების განვითარებას უწყობენ ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს პერსონაჟები უძველესი რწმენის ანარეკლნი არიან, მხატვრულ ნაწარმოებში ისინი მხატვრული გამონაგონის ფუნქციას ასრულებენ.

ჯადოსნური ზღაპრის მოქმედების არე მეტად ფართოა. მისი გმირები მოქმედებენ ხმელეთზე, ადიან ცაში და ჩადიან ქვესკნელში; გადადიან მთებზე და გადიან ზღვებზე. ისინი ხან უკაცრიელ უდაბნოებსა და უსიერ ტყეებში მოხვდებიან, ხან კი ქალაქებსა და მეფეთა სასახლეებში.

ხალხი ირეალურ გარემოს, ქვესკნელსა თუ ზესკნელს, მიწიერის, ობიექტურად არსებულის კვალობაზე გვიხატავს.

ფორმისა თუ შინაარსის მხრივ ჯადოსნურ ზღაპარს ბევრი რამ საერთო აქვს საზღაპრო ეპოსის სხვა ჟანრებთან, ხოლო სხვა ჟანრებისთვის დამახასიათებელ მრავალ ელემენტს ჯადოსნურ ზღაპრებშიც შეუღწევია. აქ უნდა შევჩერდეთ ჯადოსნური ზღაპრისათვის დამახასიათებელ ტიპიურ მოტივებსა და პერსონაჟებზე. ამ მხრივ ორიგინალური მაქციერობა არის. მოქმედების მსვლელობაში მისი პერსონაჟები სახეს იცვლიან, — ცხოველებად ან ფრინველებად გარდაიქმნებიან. ამას ისინი სხვისი ძალდატანებით ან თავისი სურვილით სჩადიან. ძალდატანებით გარდაქმნა სასჯელის ფორმაა. კაცი მოღალატე მეუღლეს ვირად აქცევს და სახლის ასაშენებელ ქვას აზიდვინებს, მაგრამ ზოგჯერ ბოროტი პერსონაჟიც ასერხებს პატიოსანი ადამიანის პირუტყვად გადაქცევას: ორგული ცოლი მათრახის ერთი დაკვრით ქმარს ძაღლად გარდაქმნის. მაქციერობა ხშირად ორმაგი და სამმაგიც კია: მონადირე ჯერ ლამაზ ქალად და ხელმწიფის რძლად იქცა, მერე — ფაშატ ცხენად, ხოლო ბოლოს — ძაღლად.

ცხოველებად გარდაქმნილ პერსონაჟებს გონება ისევ ადამიანისა აქვს და გონივრულად მოქმედებენ. ცოლისგან ძაღლად ქცეული გლეხი მგლებს ამოსწყვეტს და ხელმწიფის შვილს სიკვდილისაგან იხსნის.

ბოროტთა მიერ პირუტყვებად ქცეული ადამიანები დიდი ბჭძოლის შემდეგ ისევ იბრუნებენ ადამიანობას.

ზოგჯერ ადამიანები თვითონ გარდაიქმნებიან; ხელმწიფის შვილი გველეშაპად გარდაიქმნა და გლეხის სარჩო-საბადებელს დაეპატრონა. გლეხი იძულებული იყო თავისი სამი ქალიშვილიდან ერთ-ერთი მისთვის მიეთხოვებინა. ორმა უფროსმა დამ უარი თქვა. ოჯახის ხსნის მიზნით მისი ცოლობა ნაბოლარა დამ იკისრა, მაგრამ საშინელი გველეშაპი მაშინვე ხელმწიფის ულამაზეს შვილად იქცა. ნაბოლარა და, რომელმაც ოჯახის კეთილდღეობისთვის თავი გასწირა, მოგებული დარჩა.

გარდაქმნის ჯადოსნური საშუალება სხვადასხვაგვარია. ამ ფუნქციას ხან საჭმელი ასრულებს, ხოლო უფრო გავრცელებული კი წკეპლა ან მათრახია. ვისაც ეს ჯადოსნური საშუალება ხელთ ჩაუვარდება, დაკრავს მოწინააღმდეგეს და ნებისმიერ პირუტყვად აქცევს.

მაქციერი მათრახის გარდა სხვა ჯადოსნური წივთიც ბევრია. მათ სხვადასხვა ფუნქცია აქვთ და ამის მიხედვით დიდ როლს ასრულებენ მოქმედების განვითარებისა და სრულქმნის საქმეში. ვისაც ჯადოსნური ნატვრისთვალი აქვს, რასაც ინატრებს, ყველაფერი აუსრულდება, ხოლო ნატვრის სუფრის პატრონს ნატვრასთანავე წინ გადაეშლება ულეველი სასმელ-საჭმელი. ჯადოსნური ქისის პატრონმა რაც უნდა ბევრი ფული ხარჯოს, ქისა თავისით ისევ და ისევ ივსება. უკვე ვახსენეთ ჯადოსნური ხალიჩა და სარკე, რომლებიც სივრცისა და მანძილის დაძლევის სურვილით შექმნა ხალხის ფანტაზიამ.

პერსონაჟთაგან ყურადღებას მზეთუნახავი ქალიშვილები იქცევენ, ისინი ხალხმა ლამაზი და მიუწვდომელი ლტოლვის ობიექტად დასახა.

მზეთუნახავი ზოგი ზღაპრის მიხედვით ხელმწიფის ასულია, ხოლო ზოგჯერ კი მის ვინაობაზე საერთოდ არაფერია ნათქვამი. მათი გარეგნული ბრწყინვალება იმდენად დიდია, რომ მნახველები ყოველგვარ ხსვა სურვილსა და იდეალზე უარს ამბობენ და მათი დასაკუთრების მიზნით თანხმდებიან, შეასრულონ უძნელესი დავალებები, გადალახონ სიცოცხლისათვის საშიში წინააღმდეგობანი. მზეთუნახავის ხელში ჩაგდებისათვის ერთნაირად იბრძვიან მეფეთა და დიდებულთა შვილები, ვაჭრები და მოჯამაგირეები. მაგრამ მისი ქმრობის უფლების მობოვება ერთობ ძნელია.

მზეთუნახავი არც გონიერებასა და ეშმაკობას არის მოკლებული. ხოლო ზოგჯერ კი მას მისნურ-ჯადოსნური უნარიც გააჩნია. იგი ხშირად თვითონ ხდება არასასურველი საქმროების დაღუპვის მიზეზი, აძლევს რა მათ ძნელად ამოსახსნელ ამოცანებს, ან არადა ცხრა მთას იქით აგზავნის ისეთი დავალების შესასრულებლად, რასაც საქმროს დაღუპვა უნდა მოჰყვეს.

მზეთუნახავის დასაკუთრება განსაკუთრებით მაშინ არის ძნელი, თუ იგი დევსა ჰყავს მოტაცებული. დევს იგი კაცთაგან მიუგნებსა და მიუვალ ცხრაკლიტულებსა თუ თვალუწვდენ ციხე-კოშკში ჰყავს საიმედოდ დაცული, ხოლო მისასვლელს გველეშაპები და ურჩხულები იცავენ. მაგრამ დევი უხეში და ბრიყვია და ამიტომ არის, რომ მზეთუნახავი ყოველთვის ცდილობს მისგან თავის დაღწევას. ასეთ შემთხვევაში იგი გადამწყეტ დახმარებას უწევს მისი ხელის მაძიებელ ჭაბუკებს. უმხელს დევის საიდუმლოებას, ასწავლის მის სუსტ მხარეებს და ეხმარება მის დამარცხებაში. მაგრამ ხშირად მზეთუნახავი სასახლეშია გადამალული და მის ნაცვლად სასიძოებს მძიმე პირობას მისი მამა — ხელმწიფე უდებს, პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, ამავე პირობის თანახმად, სასიძოებს თავის მოკვეთა ან ვირად ქცევა არ ასცდებათ („სამი ტყუილი"). მიუხედავად ამისა, მზეთუნახავის მშვენებით მოხიბლული სასიძოები ყოველგვარ პირობაზე თანხმდებიან. დამარცხებულთა მოკვეთილი თავებით ივსება ხელმწიფის კარ-მიდამო.

და აი, ამ დროს სარბიელზე გამოჩნდება ჯადოსნური ზღაპრის გმი-

ბი, — ღატაკი მონადირისა თუ მეწისქვილის ბედის მაძიებელი ვაჟი. იგი ბედსა ცდის და წამოყენებულ პირობებს იღებს.

ჯადოსნური ზღაპრების უმეტესობის სიუჟეტური კვანძი ამ მომენტში იკვრება და შემდგომი მოქმედების ყოველი ეპიზოდიც მზეთუნახავთან არის დაკავშირებული. მზეთუნახავის ცოლად შერთვით იხსნება ნაწარმოების კვანძი და მთავრდება ზღაპარი.

გამოგონილ პერსონაჟთა შორის ჯადოსნურ ზღაპრებში დევის სახე გამოირჩევა. მას ადამიანის ყველა თვისება გააჩნია, შესახედაავადაც ადამიანის მსგავსია, ოღონდაც ვეებერთელაა და საშინელი გარეგნობა აქვს, ტანი ბალნით დაფარული, მხრებზე სამი, ცხრა და ზოგჯერ კი — თორმეტი თავი აბია, უშველებელი პირი დიდი ეშვებითა აქვს შეიარაღებული. ფიზიკურად ძლიერია, გონებით ბრიყვი, ხოლო ბუნებით ბოროტი და უხეშია. ადამიანების მსგავსად ჰყავს ოჯახი, აქვს სახლი და სამფლობელო. ცხოვრობს კაცთაგან მიუკარებ გარემოში და ფლობს აურაცხელ სიმდიდრესა და ძვირფასეულობას. იგი სიკეთის მტერია და ადამიანთა მოდგმას ებრძვის.

ადამიანმა იგი საკუთარი თავის მსგავსი შექმნა, მაგრამ იმ თავისებურებით, რომ ადამიანთა მოდგმის ყველა ნაკლი, ყველაფერი არაადამიანური დევში გააერთიანა. ამიტომ არის, რომ პატიოსნების, სიკეთისა და ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ყოველთვის დევი დგას და ადამიანთა სანუკვარი მიზნების ასრულებას წინ ეღობება.

დევის პერსონაჟი, მთელი თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით, განზოგადებული სიმბოლური სახეა სოციალური ბოროტებისა. დევი და დევობა კაცობრიობას ყოველთვის თან სდევდა, როგორც ბედნიერებისაკენ მიმავალ გზაზე ჩახერგილი წინააღმდეგობა. საინტერესოა, რომ დევი სხვადასხვა სოციალური ნიუანსებით გვხვდება ზღაპრებში. იგი ხან მეფესავით სრა-სასახლეებისა და სამფლობელოების პატრონი და მბრძანებელია, რომელსაც ცოლად ხელმწიფის მზეთუნახავი ასული უზის, ხან კი რიგითი მეჯოგეა და ღამეს ველზე ატარებს ბოგანო მწყემსის მსგავსად. მაგრამ ბუნებით კი, აქაც და იქაც, დევი სიკეთის მტერი, უხეში და ბოროტია. ყველა სოციალურ ერთეულსა თუ კლასს ჰყავდა ბედნიერების გზაზე ჩასაფრებული თავისი დევი. ერთ ზღაპარში თუ იგი ობოლ ბიჭს ცხვრებს შეუჭამს და ამით სჩადის ობლის მიმართ დიდ ბოროტებას, სხვაგან დიდებული ხელმწიფის შვილს საცოლეს ეცილება და მზეთუნახავს მოსტაცებს. არის ზღაპრები, სადაც დევი ადამიანისათვის კეთილ საქმეს სჩადის, მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მერე, როცა ადამიანი მას სჯობნის და აშარცხებს.

ხალხის გენიამ თავის ზეპირ შემოქმედებაში დევობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეები იქადაგა და რეალურ შესაძლებლობას ლამაზი ფანტაზიაც დაუმატა მისნურ-ჯადოსნური თუ ფანტასტიკური ელემენტის სახით.

ხშირია შემთხვევა, როდესაც დევი მზეთუნახავებსა თუ ჩვეულებრივ გლეხის გოგოებს იტაცებს და ცოლად ირთავს („ადისაწჯალა"), მაგრამ

ყოველთვის გამოჩნდება მოტაცებული ასულის ქმაგი ჭაბუკი და დევს სასტიკად ამარცხებს („კაცის ძალა").

დევთან შებმა და მისი დამარცხება ყველაზე უფრო საინტერესო ეპიზოდია ზღაპარში. სახალხო ბოროტებასთან შეჭიდებულ ჭაბუკს ყველაფერი დასმარებას უწევს. უმართლებს მისნურ-ჯადოსნური საშუალებანი, გასმარებიან ცხოველები.

ხალხი სწორად ასახავს ბოროტი ძალის სიმძლავრეს. დევმა მოიქნია ჭაბუკი და მიწაში მუსლამდე ჩასვა, მაგრამ ჭაბუკი უმალ გაიმართა, მოიქნია დევი და წელამდე ჩამალა მიწაში. ასე გაძლიერა ხალხმა თავისი ფანტაზიით ბოროტებასთან მებრძოლი კეთილი ძალა.

დევი ყველაფერს მუსრავს და ნთქავს, ყოველგვარ კეთილს ბილწავს და აოხრებს, მაგრამ მას ბოლოს ისევ ადამიანთაგან რჩეული უსდის სამაგიეროს. ამ ბოროტი ძალის ერთადერთი დამმარცხებელი და შემმუსვრელი ისევ ადამიანია.

დევთან ერთად ზოგჯერ მისი დედა, დევ-დედაბერიც გვხვდება. მისი გამოჩენა თითქმის ყოველთვის ერთ გარემოში ხდება. დევის სამყოფელში მოხვედრილ ადამიანს შინ მხოლოდ დევ-დედაბერი დახვდება. დევი კი ნადირობიდან თუ მწყემსობიდან შემდეგ ბრუნდება.

დევ-დედაბრისა და ადამიანის ბირველი შეხვედრა თითქოს მშვიდობიანია, მაგრამ მალე გამოაშკარავდება დედაბრის ცბიერება, იგი მაცდური და ვერაგია — ადამიანებს მიიტყუებს და ღუპავს.

დევის მსგავსად ადამიანთა მოდგმის მტერია მეორე პერსონაჟიც — გველეშაპი (გველვეშაპი). მათი პერსონალური მსგავსება ამ მხრივ ისე დიდია, რომ ვარიანტებში ერთიმეორეს ცვლიან. მისი გარეგნობა მთქმელებს უფრო მკრთალად აქვს წარმოდგენილი, ვიდრე დევისა, მიუხედავად ამისა, იციან, რომ იგი უშველებელი არსებაა, ცხოვრობს წყალში და ხმელეთზე მხოლოდ მსხვერპლისთვის გამოდის. ზოგჯერ კი ციდანაც ჩამოიგრება. გარშემო შემოერტყმება მზეთუნახავის კოშკს, ან გლეხის ყანას, დაეპატრონება სოფლის წყაროს და წყლის საფასურად ჭაბუკებისა და ქალიშვილების მსხვერპლად მირთმევას მოითხოვს. სანსლავს ბირუტყვებსა და ადამიანებს. ერთი სიტყვით. გველეშაპი ზღაპრებში წარმოდგენილია როგორც მეტად საშიში ბოროტი არსება. როგორც დევის, ისევე მისი დამარცხებაც რჩეულთა ხვედრია. ზღაპრის მთავარი პერსონაჟი, დაბალი წრიდან გამოსული უშიშარი ჭაბუკი მას ხან ჰაერში განგმირავს ისრით, ხან კი წყაროს მახლობლად ხმლით აჩეხავს და ამით სოფელს გაწსაცდელისაგან იხსნის.

ხალხის ფანტაზია ამქვეყნიურ ბოროტებას გამოგონილ პერსონაჟებში დევებსა და ალქაჯებში, გველეშაპებსა და ავსულებში უერიდა თავს. მათ უბირისპირებდა სიკეთის განსახიერებას, მართალსა და მამაც ადამიანს და ამ ლამაზი ფანტაზიის წყალობით ამარცხებდა და სპობდა მას. მაგრამ ამავე ფანტაზიის წყალობით შეუქმნია ხალხს სიკეთის დამხმარე და ქმაგი პერსონაჟებიც. სიკეთისათვის მებრძოლ გმირს ფანტასტიკურ-ჯადოსნურ ნივთებთან. ერთად ექმაგებიან პირუტყვები. მათ შორის ყუ-

რადღებას იქცევს გამოგონილი პერსონაჟი მფრინავი რაშის სახით. რაში ფანტაზიით პიპერბოლიზებული ცხენის სახეა. იგი ადამიანის ერთგული მსახური და ქომაგია. მისი მთავარი ღირსება სისწრაფეა. ამ უნარის წყალობით შეუძლია ადამიანი სასწრაფოდ განარიდოს მოსალოდნელ ფათერაკს, ან მიიყვანოს განსაცდელში მყოფ მეგობართან. სირბილთან ერთად მას ფრენა და ცურვაც შეუძლია. ამას გარდა რაშს მისნურ-ჯადოსნური უნარიც გააჩნია და ამით ყოველთვის დიდ დახმარებას უწევს თავის პატრონს. საყურადღებოა, რომ ეს ფანტასტიკური არსება მოქმედების განვითარების პროცესში უკავშირდება სიკეთისათვის მებრძოლ პერსონაჟს, მანამდე კი იგი დევების ან ხელმწიფის კუთვნილებაა.

თქმულებები

კრებულში შეტანილია რამდენიმე მითოლოგიური და საგმირო-საგრფიალო თქმულება. ზოგი მათგანი („ამირანი", „იახსარი", „კოპალა") ძალიან ადრინდელი ჩანს, ხოლო ზოგი კი („აბესალომი და ეთერი", „როსტომი") შედარებით გვიან შეუქმნიათ ან გადაუმუშავებიათ ჩვენს წინაპრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ისინი სრულიად სხვადასხვა თემაზე არიან შექმნილნი, საერთო ისა აქვთ, რომ ყოველ მათგანში ჩანს ჩვენი ხალხის წარსული, მისი რწმენა და შეხედულებები სამყაროსა თუ საზოგადოებაზე.

ნაწარმოებთა გმირები თავგანწირვით იბრძვიან ძალმომრეობისა და ბოროტების წინააღმდეგ, სძლევენ ბოროტ ძალებს და ამით ხალხისათვის კეთილდღეობა მოაქვთ. ისინი სიმართლისმოყვარულნი და მაღალი იდეალებისთვის მებრძოლნი არიან. იციან მეგობრის გატანა და გაჭირვების დროს ყოველთვის მხარში უდგანან მას.

ასევე საინტერესოა თქმულებებში ასახული საგრფიალო მოტივები. შეყვარებული წყვილები სპეტაკი სიყვარულის ბოლომდე ერთგულნი რჩებიან. მათთვის უცხოა ღალატი და ორპირობა.

ზემოჩამოთვლილი ყველა მოტივი დამახასიათებელი და ნიშანდობლივია ჩვენი ხალხის ისტორიისა და ყოფისათვის, ჩვენი ზეპირსიტყვიერებისა და მწერლობისათვის.

განსაკუთრებით დიდი სნისა ჩანს საგმირო-მითოლოგიური შინაარსის მქონე თქმულებები ამირანსა, კოპალასა და იახსარზე. ისინი რამდენიმე ათასი წლისანი არიან და ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე, წარმართობის ხანაში შეუქმნიათ ჩვენს წინაპრებს. მითოლოგიურ თქმულებებს ის თავისებურება აქვს, რომ მათი გმირები ზეადამიანებად და „ღვთიშვილებად" არიან მიჩნეულნი. ამის საფუძველი კი ის იყო, რომ იმდროინდელი ხალხი ბუნების მოვლენებში კარგად ვერ ერკვეოდა. მათთვის აუხსნელი რჩებოდა, მაგალითად, მეხის, ელ-ჭექის, გვალვის, ყინვისა თუ ეპიდემიურ ავადმყოფობათა გამომწვევი მიზეზები და ყველა ამ მოვლენის საფუძ-

ბლად ისინი ზეციურ ძალებს მიიჩნევდნენ. შემდეგ კი ეს თავისივე ფანტაზიით შექმნილი ღმერთები ადამიანების სახით წარმოიდგინეს და მათზე მითოლოგიური თქმულებები შექმნეს. ამიტომ არის, რომ მითოლოგიური გმირები: ამირანი, იახსარი, კოპალა და სხვ. ღვთაებრივი შეძლებისა და უნარის მქონენი არიან. მაგალითად, ღვთიშვილი იახსარი მორიგე ღმერთმა თავისი სამოცდასამი შვილიდან ამოარჩია, როგორც უდიდესი ძალლონის პატრონი და დედამიწაზე ჩამოგზავნა ადამიანთა მტრების — გიგანტური დევების შესამუსრავად. შემდეგ კი მითოლოგიური თქმულება მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ სძლია ღვთიშვილმა იახსარმა ბოროტი ძალები და როგორ გადაარჩინა მათგან ადამიანთა მოდგმა.

ასევე ებრძვიან გველეშაპებს, დევებს და სხვა ბოროტ ძალებს ამირანი და კოპალაც.

საგმირო-საგრფიალო მოტივებზეა აგებული „ამბავი ტარიელისა" და „როსტომი".

შეყვარებულთა მძიმე ხვედრზე მოგვითხრობს თქმულება „აბესალომი და ეთერი".

კრებულში შეტანილი თქმულებების თავისებურება ისიც არის, რომ ისინი შედგენილნი არიან სხვადასხვა ვარიანტებიდან ამოკრებილი ეპიზოდებისაგან.

დავით გოგოჭური

სიტყვათა განმარტება[1]

აინუნში არ ჩააგდო — ყურადღება არ მიაქცია, არაფრად ჩათვალა.
ალა — ალატი, წისქვილის ნაწილი, რომელშიც ფქვილი ცვივა.
ალალი — კუთვნილი, შრომით მოპოვებული.
ანკარა — წმინდა, სუფთა.
არამი — უკუთვნელი, უღირსად შენაძენი.
არგანი — ჯოხი, ყავარჯენი.
არვე — ჯოგი, ფარა.
აწრთო — დააფოლადა, გაამაგრა.
აშარი — ჩხუბის მოყვარული, კაპასი, ავი.
აჯილლა — ახალგაზრდა, მამალი ცხენი, დაუკოდავი.
ბადალი — შესადარი, მსგავსი.
ბაკი — პირუტყვთა სადგომი (უსახურავო).
ბანგი — ძილის მომგვრელი წამალი.
ბატკანი — კრავი, ცხვრის შვილი.
ბაქია — მკვეხარა, ტრაბახა.
ბაყილა — ნერგი.
ბედაური — მუსლადი ცხენი.
ბედისმწერელი — ზეციერი არსება, რომელიც ასალდაბადებული ბავშვის მომავალს განსაზღვრავს.
ბერწი — შვილის არ მშობელი პირუტყვი.
ბოხჩა — ხელჩანთა, შეკვრა.
ბრდღვინვა — შფოთვა, ჯავრობა.
ბრკე — ღვინის ზედაპირზე ამონალექი, პერი.
ბუდრუგანა — ძველი ქოხი.
ბუნაგი — მხეცის სამყოფელი, სორო.
ბურვაკი — დიდი გოჭი.
ბოსელი — პირუტყვთა სადგომი, გომური.
ბულა — დაუკოდავი ხარი, მოზვერი.

გადაიხვეწა — გადაიკარგა, გააღწია, წავიდა.
გამოშიგნა — გამოწელა, შიგნეული; ჯიგარი გამოაცალა.
განძი — ძვირფასეულობა, ქონება.
გაჟლიტა — დახოცა, ამოწყვიტა.
გასვლიპა — შესანსლა.
გველეშაპი — ადამიანთა მოდგმის მტერი, ვეებერთელა არსება, ცხოვრობს ზღვებსა და ტბებში, ზოგჯერ ხმელეთზეც გამოდის.
გვრინი — გალობა, მღერა, ღუღუნი.

---

[1] სიტყვები განმარტებულია იმ მნიშვნელობით, რაც კონტექსტის მიხედვით აქვთ.

გვრიტი — გარეული ფრინველი.
გოდორი — წნელით მოწნული დიდი ჭურჭელი, სახორბლე.
გოზაური — ღვინის ჭურჭელი, თიხისგან დამზადებული.
გომბიო — გომბეშო, ბაყაყი (იტყვიან შეუხედავ ქალზე).
გომური — შინაური პირუტყვის ბინა.
გონი — გონება, ჭკუა.
გროში — ფულის უმცირესი ერთეული, კაპიკი.
გუდა — პატარა პირუტყვის (ხბო, თიკანი) ტყავისგან დამზადებული პარკი, სასაგზლე.
გუდურა — შეშის კონა.
გულარსეინად—გულდამშვიდებულად, უდარდელად, აუღელვებლად.
გულთმისანი — გულთამხილავი, მოსალოდნელი ამბის წინასწარ ამომცნობი, მკითხავი.

დარახტული — საბრძოლოდ შეკაზმული ცხენი.
დასწამა — დააბრალა.
დაძმობილება — ძმად გაფიცვა.
დახლიდარი — დახლთან მომუშავე, გამყიდველი.
დევი — გიგანტური გარეგნობის მქონე შემზარავი ბოროტი არსება, ადამიანთა მოდგმის მტერი.
დეკეული — უშობელი ძროხა.
დერციკი — ტანსაცმლის მკერავი, თერძი.
დილეგი — ორმო შეპყრობილთათვის.
დოლაბი — დიდი წისქვილის ქვა.
დოქი — სურა, ჭურჭელი სითხისათვის.
დღესა და ღამეს ასწორებდა — ღამეც მუშაობდა.
დღიური — მიწის ნაკვეთი, რასაც გუთნეული ერთ დღეს მოხნავდა.

ელამი — მრუდთვალებიანი.
ელია — ცის გამგებელი, ღრუბელთა ღვთაება, რომლის ნება-სურვილის მიხედვითაც ატყდება ჭექა-ქუხილი და მოდის სეტყვა.
ერდო — ბანი, სახლის მიწური ჭერი.
ერკემალი — ყოჩი, მამალი ცხვარი.
ერქვანი — გუთნის ნაწილი.
ეშავბედებოდა — გააჩნდა, ჰქონდა შავი ბედით ნაშოვნი, გაჭირვებით შენაძენი.
ეშეი — დიდი საბრძოლო ჯბილი ტახისა.
ეშმაკი — ავი სული, მაცდური.
ეჯიბი — სასიძოს თანმხლები.

ვეზირი — მეფის კარისკაცი, მრჩეველი.
ვერძი — მამალი ცხვარი, ყოჩი.

ზარდახშა — ფულისა და ძვირფასეულობის შესანახი ყუთი.
ზაქი — კამეჩის შვილი.

ზედაშუ — ხატისთვის შესაწირი ღვინო.

თავანკარი — საუკეთესო, წმინდა.
თავლა — ცხენების სადგომი.
თექა — ქეჩი, ნაბდის სამოსელი.
თვალშეუდგამი — თვალაუწედენელი, მაღალი.
თილისმა — შელოცვილი, მომაჯადოებელი ნივთი.
თოფი — ქსოვილის გორგალი.
თუნგი — სპილენძის ჭურჭელი, დოქი.
თქერავდა — ქელავდა, ანადგურებდა.

იაბო — მამალი ცხენი, დაკოდილი.
იადონი — მგალობელი ჩიტი.
იერუსალიმი — ქალაქი, რომელშიც სალოცავად მიდიოდნენ ქრისტიანები.
იფქლი — მარცვლეულის ჯიში.
ილბალი — ბედი.
ისწინებს — იეშმაკებს, ოინს იზამს.
ისტიბარი არ გაიტეხა — იმედი არ დაკარგა, გული არ გაიტეხა.

კავი — მხვნელის იარაღი, ძველებური გუთანი.
კალატოზი — კედლის მშენებელი, ხუროო.
კალო — ადგილი, რომელზეც წარმოებს მარცვლეულის ლეწვა (ჩალიდან გამორჩევა).
კერა — შუაცეცხლის გარშემო მუგუზლის დასადები შემაღლება, ჰქონდათ ძველ სახლებში.
კვერი — ჩაქუჩი.
კიდობანი — დიდი ყუთი.
კილო — ისრის ჭრილი.
კინჭუხი — კლდის წვერი.
კოკა — წყლის ჭურჭელი თიხისა; ღვინის საწყაო (უდრიდა დაახლოებით 40 ლიტრს).
კომბალი — თავმსხვილი ჯოხი.
კოპიტი — იფანი; ხის ჯიშია.
კუდიანი დედაბერი — ავსული, მავნე დედაბერი ბოროტ არსებათა (დევის, ვეშაპის და სხვ.) ქომაგი.
კოფო — ურმის ნაწილი, რომელზეც მეურმე ჯდება.
კუპრი — შავი წებოვანი სითხე, იღებენ ნიადაგიდან, იყენებდნენ ტიკების მოსაგოზად.
კუტი პური — ცუდად გამომცხვარი პური.

ლაგამი — ცხენის სადავე, აღვირი.
ლაზათიანი — შესაფერი, მორგებული.
ლაქია — მსახური.

ლაჩტი — დევ-გმირების საომარი იარაღი.
ლერწამი — მცენარე, რომლისგანაც სალამურს ამზადებენ.
ლეში — უძვლო ხორცი, ხორცი.
ლენაქი — ქალის თავსაბურავი.
ლიხი — მაღალი, გაუვალი ბალახი, შამბი.
ლუტი — უგემური.

მათარა — წყლის ჭურჭელი თან სატარებელი.
მამასახლისი — ხელისუფლების მიერ სოფლის გამგებელად დანიშნული პირი ძველ დროს.
მანდილი — გათხოვილი ქალის თავსაბურავი.
მარანი — ღვინის შესანახი სათავსო.
მარდი — სწრაფი, ჩქარი.
მარხილი — დიდი ციგა პირუტყვთა შესაბმელი.
მწევარი — მომწვევი, მომპატიჟებელი პირი.
მაჭანკალი — საცოლის გამრიგებელი, მაშვალი, შუამავალი.
მახათი — დიდი ნემსი.
მდადი — პატარძლის თანმხლები ქალი, დობილი.
მემკვიდრე — შვილი, ჩამომავალი.
მენახირე — საქონლის მწყემსი.
მეწვრილმანე — წვრილმანეულით მოვაჭრე, ჩარჩი.
მეჯინიბე — ცხენების მომვლელი.
მზეთუნახავი — არაჩვეულებრივად ლამაზი ქალი.
მიაყურადა — მიპარვით მოუსმინა.
მიკიტანი — ღვინო-არაყით მოვაჭრე.
მიქმიქელა აუტეხა — ააწიოკა, ამოწყვიტა.
მისავათება — დასუსტება, ძალის გამოლევა, დაღლა.
მკათათვე — ივლისი.
მნათე — ეკლესიის მსახური, კანდელაკი.
მოდგმა — ჩამომავლობა.
მოზვერი — სახარე საქონელი, ბულა.
მოლა — მუსულმანური სარწმუნოების მქადაგებელი, მაჰმადიანთა მღვდელი.
მოლოგინება — მშობიარობა, დედის მიერ ბავშვის დაბადება.
მოსართავები — ქამრები უნაგირის ცხენზე დასამაგრებლად.
მოურავი — სხვისი მეურნეობის ზედამხედველი, მნე.
მოში — ორივე მკლავის მოდება. მკლავებს შორის მოქცეული ოდენობა (მაგ., ორი მოში თივა, ერთი მოში შეშა და სხვ.).
მოციქული — შუამავალი, ელჩი.
მოძურწა — გაიპარა, გაიქცა.
მოძუძგა — გაიქცა, მოკურცხლა.
მოჯამაგირე — კერძო პირის მიერ გარკვეული დროით დაქირავებული მუშა.
მრევლი — ხალხი, რომელსაც მღვდელი ემსახურება.

მუგუზალი — ცეცხლმოკიდებული შეშის ნაჭერი.
მუშტაქვა — პატარა, მუშტისოდენა მრგვალი ქვა.
მუსანათი — ბოროტი მტერი.
მყეფარი — ძაღლი, ქოფაკი.
მძორი — საჭმელად უვარგისი ხორცი, „მკვდრის გვამი" (საბა).
მწევარი — ძაღლი, რომელიც ნადირს ეწევა.
მწყერჩიტა — გარეული ფრინველი.

ნაბოლარა — ბოლოს დაბადებული, და-ძმებზე უმცროსი.
ნაბუარი — მტვერი, კორიანტელი.
ნაზირ-ვეზირები — მეფის კარისკაცები, მრჩევლები.
ნალბანდი — ნალის ხელოსანი, მჭედელი.
ნატეხარი — პირმოტეხილი ჭურჭელი, ჭურჭლის ნატეხი.
ნატვრისთვალი — მცირე ნივთი, რომელიც პატრონს ყველა სურვილს აუსრულებს.
ნატვრისუფრა — ჯადოსნური სუფრა, რომელიც მისი მფლობელის ნატვრის მიხედვით გაიწყობა.
ნაფოტი — ხის ანათალი.
ნაყშები — ნაკეცები.
ნაშენი — პირუტყვის ნამატი.
ნახირი — საქონლის სიმრავლე, ფარა, ჯოგი.
ნეკაზე იკბინა — ინანა.

ორმოცი — გარდაცვალებულთან დაკავშირებული რიტუალი ორმოციოდე დღის შემდეგ.
ოქროსქოჩრიანი — ოქროსთმიანი.
ოჩანი — უხედნელი, ურჩი, სახედარი (ვირი, ცხენი).

პირმურა — მოშავოდრუნჩიანი (იტყვიან ძაღლზე, მგელზე, დათვზე და სხვ.).
პიტალო — მაგარი, სალი, ძნელად გასატეხი.
რაში — მფრინავი გრძნეული ცხენი.
რემა — ცხენების ფარა, ჯოგი.
რკინის ქალამნები — რკინის ფეხსაცმელი, იცმევდნენ ცხრა მთას იქით გასამგზავრებლად.
რკო — მუხის ნაყოფი.
რუმბი (რუბი) — მსხვილფეხა საქონლის (ხარი, კამეჩი) ტყავისგან დამზადებული საღვინე ჭურჭელი, დიდი ტიკი.

საბერველი — მჭედლების ხელსაწყო, რითაც ცეცხლს უბერავენ.
საბძელი — ბზის (ჩალის, თივის) შესანახი სათავსო.
საგზალი — მგზავრობისას საჭმელი.
სადგისი — ტყავის მკერავთა იარაღი, სახვრეტელი.
საიქიო — მიცვალებულთა სულების სამყოფელი.

საკვამური — სარკმელი, კვამლის გასასვლელი ხვრელი.
საკირე — კირის გამოსაწვავი ქურა.
სალაფავი — ღორის, ძაღლის და მისთ. საჭამადი.
სალასანა — უსაქმური, ბედოვლათი.
სალთა — უბარგო ადამიანი, მგზავრი სატარებლის გარეშე.
სალესავი — ერთგვარი ქვა, რომლითაც ლითონის იარაღს ლესავენ.
სამზეო — ქვეყანა, მზისქვეშეთი.
სამისდღეშიო — სამუდამო, სიკვდილამდე საკმაო.
სამოთხე — წმინდანთა სულების სამყოფელი ფუფუნების წალკოტი.
საპალნე — აქლემის (ცხენის) ტვირთი.
სარქველი — ქვეერის სახურავი ქვა.
სასუსნავი — საჭმელი.
საღსალამათი — ჯანმრთელი, უვნებელი.
საცალო — დიდი ტომარა.
საყდარი — სალოცავი, ეკლესია.
საყელარი — ჭაპანი, უღელზე ტვირთის მისაბმელი ტყავის თოკი, ჯამბარა.
სახნისი — გუთნის ნაწილი.
სახმილი — თონის გასასურებელი ხმელი ფიჩხი.
სახრე — ჯოხი პირუტყვთათვის.
სეირი — გასართობი სანახაობა.
სენი — ავადმყოფობა, სახადი.
სკვინჩა — პატარა ჩიტი.
სკივრი — საოჯახო ყუთი, ზანდუკი.
სოედაგარი — დიდვაჭარი.
სორო — მხეცთა ბუნაგი მიწაში, საძრომი.
სუდარა — მკვდრის სამოსელი.
სულთამსუთავი — სულის ამომხდელი, მკვლელი.
სულთმობრძავი — მომაკვდავი, მძიმე ავადმყოფი.
სურვილი — სიყვარული, ნდომა.
ტავრუცი — ორნამენტიანი მცირე ზანდუკი, ყუთი.

ტარტაროზი — მახინჯი არსება, ავი სული, მოჩვენება.
ტახი — მამალი ღორი, დაუკოდავი.
ტკიპა — ძუძუმწოვარა არსებათა მკბენარი, სისხლისმწოველი პარაზიტი.
ტრაპეზი — სუფრა, ტაბლა.
ტრიალი მინდორი — ვრცელი მინდორი.

უგერგილო — უშნო, უქნარა, მოუხერხებელი ადამიანი.
ულუფა — კერძი, კუთვნილი საზრდო.
უნაგირი — ცხენის აკაზმულობა ,მხედრის საჯდომი.

უკაპუნებდა — ურტყამდა, ჯოხით სცემდა.
ურდული — კეტი, კარების დასაკეტად.
უტყუპა — წყვილად მიარტყა.
ულელი — ხის მოწყობილობა, რომელსაც გამწვე საქონელს (ხარებს, კამეჩებს) კისერზე დაადგამენ და ტვირთს გამოაბამენ.
ულრანი — გაუვალი, დაბურული ტყე.
უჩინმაჩინის ქუდი — ქუდი, რომლის დახურვის შემდეგაც ადამიანი გაუჩინარდება.
უხიაგი — ბრიყვი, მოუქნელი, სეპრე.

ფალავანი — მძლე, შეჭიდებაში გამარჯვებული.
ფარა — მრავალი ცხვარი ერთად, ცხვრის ჯოგი, პირუტყვთა სიმრავლე.
ფარი-ფარ — გაჭოლვით, ერთი მხრიდან მეორემდე („დეკი ფარი-ფარ გაახვრეტინა").
ფარჩა — ქსოვილი.
ფაშვი — პირუტყვთა კუჭი.
ფეტვი — მარცვლეულის ჯიში.
ფეშტამალი — ხელოსნის წინსაფარი, ფესტამალი.
ფეხები გაჭიმა — მოკვდა, გარდაიცვალა.
ფილი — ჭურჭელი მარილის, ნივრის და მისთანათა სანაყი (ჯამ-ფილა).
ფოფოდია — მღვდლის ცოლი.
ფური — მეწველი ძროხა (დედა ირემზეც ითქმის).

ქამანდი — ყულფიანი თოკი პირუტყვის დასაჭერად.
ქარქაში — ციცი იარაღის (ხმლის, ხანჯლის და სხვ.) ბუდე, კაპარჭი.
ქაფჩა — კედლის მშენებლის, კირით ხუროს იარაღი.
ქაჩალი — უთმო, მტიერი.
ქაჯი — მაცდური, ბოროტი არსება, ეშმაკეული.
ქერი — მარცვლეულის ჯიში.
ქეჩი — ფარის წინამძღოლი მამალი თხა.
ქ�აწვია — ძუნწი, მომჭირნე, გაუმეტებელი.
ქვევრი — ჭური, თიხის დიდი ჭურჭელი ღვინისათვის.
ქვისლები — დების მეუღლეები, სიძეები.
ქისა — თანსატარებელი მცირე ბარკი, საფულე.
ქიშმიში — ხმელი ყურძენი.
ქოთანი — ქილა, პირგანიერი ჭურჭელი თიხისა, სადუღარი.
ქოსა — უწვერულვაშო მამაკაცი.
ქოფაკი — ძაღლი, ნაგაზი.
ქულაჯა — მამაკაცის ტანსაცმელი, ერთევვარი სარჩულიანი ჩოხა.

ღადარი — ნაღვერდალი, ცეცხლი.

ღალა — ცხიმი, მაწიერი (ღაღანი რძე).
ღვთისგარეგანი — უღმერთო, ბოროტი, ავი.
ღიჭი — ეკლიანი მცენარე.
ღმურძლავდა — ჭამდა, თქვლეფდა.

ყაბალახი — მამაკაცის თავსაბურავი.
ყავლი — დათქმული დრო, ვადა.
ყალაღანობა — მუქთახორობა, უსაქმურობა, ავარობა.
ყალიონი — ჩიბუხი.
ყაფაზა — დუქნის თარო, გასასყიდთა დასადებელი, თახჩა.
ყაღი — საქონლის ხმელი ხორცი, შაშხი, ლორი.
ყევარი — ორი უღელი (ოთხი) ხარი, ან კამეჩი.
ყველიერი — რელიგიური საწესჩვეულებო დღეები მარტში.
ყოჩი — მამალი ცხვარი.

შუქურვარსკვლავი — განთიადის ვარსკვლავი, ცისკარი.

ჩალური — ჩალით ნაშენი ან დახურული ქოხი.
ჩანახი — საწყაო ჭურჭელი.
ჩარექა — თიხის ჭურჭელი ერთი ლიტრის ტევადობის.
ჩარჩი — კარდაკარ ჩამოვლით მოვაჭრე, საწვრილმანოს გამყიდველი.
ჩასიძება — ცოლის ოჯახში ჩასახლება.
ჩაფარი — მეფის მოხელე, პოლიციელი.
ჩაფი — ღვინის საწყაო, უდრის ცხრა ხელადას (18 ლიტრს).
ჩიორა — ჩიტის ჯიში.
ჩიჩქი — მცირე ნაწილი, ხორცის პატარა ნაჭერი, ჩიჩია.

ცეროდენა — ცერისოდენა, თითისხელა, პატარა არსება.
ცისმარე დღე — მთელი დღე, ყოველდღე, ცის მიერი დღე.
ციცა — კატა.
ცხრაკლიტული — ცხრა საკეტით დაკეტილი, ძნელი გასახსნელი.

ძაღლთაპირა — ავის მთქმელი, ბოროტი, მეჭორე.
ძაძები — შავი სამოსელი, მგლოვიარეთათვის, ღაზლი.
ძელზე გასმა — წამება, ჯვარზე გაკვრა.
ძე-ხორციელი — ადამიანი, ცოცხალი არსება.
ძილქუში — ხანგრძლივი ძილი.
ძუა — ცხენის კუდის ბეწვი.

წალდუნა — ხის საჭრელი პატარა წალდი.
წელზე ფეხს იდგამდა — გაჭირვებით ცხოვრობდა, მძიმე შრომას ეწეოდა.
წვრილშვილი — ბევრი მცირეწლოვანი შვილის მშობელი.
წივა — საქონლის გამხმარი ნაკელი, ხმარობენ შეშის მაგიერ, ნეხვი, ფუნა.

წუთისოფელი — სიცოცხლის ხანგრძლიობა.
წუნკალი — ავი, უსინდისო (მაწანწალა ძაღლს ჰქვია, კაცზეც იტყვიან).
წულა — ერთგვარი ყელიანი ფეხსაცმელი.
წუწკი — მსუნაგი, ძუნწი.

ჭაკი — დედალი ცხენი, ფაშატი.
ჭალა — სავარგული მდინარის პირას, სანახები მდინარის გასწვრივ.
ჭამპურა — მოჯამაგირე, რომელსაც საჭმლის გარდა სხვა გასამრჯელო არ ეძლევა.
ჭაშნიკი — სინჯი, ნიმუში.
ჭედილა — მამალი ცხვარი, დაკოდილი ყოჩი.
ჭიატი — მცირე სინათლე, მკრთალი შუქი.
ჭირნახული — წლის მოსავალი.
ჭკვაში დაუჯდა — მოეწონა, ესიამოვნა.

ხაზინა — სახელმწიფოს განძის საცავი.
ხალხა — გრძელი ჯოხი, ლატანი.
ხარო — ორმო, დილეგი.
ხაშლამა — ნაჭრებად მოხარშული ხორცი.
ხელადა — თიხის ჭურჭელი ორი ლიტრის ტევადობის.
ხელეჩო — ხელოსნის იარაღი ხის დასამუშავებლად.
ხელკეტი — პატარა კეტი, ცალი ხელით სახმარი.
ხელმწიფე — ქვეყნის მბრძანებელი ძველად, მეფე.
ხვედა — ხის ჩაქუჩი.
ხვიმირა — წისქვილის ნაწილი, რომელშიც საფქვავს ყრიან.
ხომალდი — გემი.

ჯაგარი — ღორის ბეწვი, უხეში ბალანი.
ჯადოსნური სარკე — სარკე, რომელშიც მთელი სამყარო მოჩანს.
ჯადოქარი — გრძნეული, მხიბლავი, ავსული.
ჯამბარა — გუთნეულის ნაწილი, ჭაპანი.
ჯანჯალი — შეუთანხმებელი, ჯიუტი კაცი.
ჯარა — საფეიქრო იარაღი ძაფის დასამუშავებლად.
ჯაჭვის პერანგი — ფოლადით ნაქსოვი პერანგი თავდასაცავად.
ჯგლეთა — ხალხის სივიწროვეში მოძრაობა.
ჯერი — რიგი.
ჯვარისწერა — ქორწილი, შეუღლება.
ჯილაგი — მოდგმა, ჯიში.
ჯოგი — სიმრავლე პირუტყვთა (ცხენის, ირმის და სხვ.), ფარა.
ჯოჯოხეთი — ცოდვილთა სულების სამყოფელი.

ჭარამხანა — მუსულმან მბრძანებელთა ცოლების სამყოფელი.

სარჩევი

ცხოველთა სამყარო

დათვი, მელა და მგელი	5
კატა და ვეფხვი	6
გვრიტი	8
თხა და ვენახი	11
მეგობრობა	13
ჩიტი და მელია	16
ზარმაცი კაცი	19
მელია და მწყერჩიტა	23
მწაჯული მელა	25
ლომი და კურდღელი	28
ნახევარწიწილა	31
ბაკია კურდღელი	35
დათვი, მგელი და მელა	39
ხელმწიფე და სკვინჩა	43
ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა	47
დედა ღორი და მგელი	52
რწყილი და ჭიანჭველა	57
ძაღლების ენა	62
დათვი და მელია	67
სამმტევანა ჭაბუკი	71
მელიას ოინები	77
დათვი და მელა	83
ერთგული ხარები	89
ხელმწიფის შვილი და მისი მეზობლები	98
წიქარა	108

საყოფაცხოვრებო ზღაპრები

ამხანაგი ნუ გძულს, საშოვარი ნუ გშურს	119
დიაკვანი და ყვავი	121
ღვინის გაჩენა	123

ხარბი მღვდელი 125
ლამაზების ქვეყანა 128
ყმის სურვილი 130
ზღაპარი — გამოცანა 133
ჭკვიანი ხელმწიფე და ღარიბი კაცი 136
ძმობა 138
ხარბი ოქრომჭედელი 140
ბურის მარცვალი 142
ერთი დრო არვის შერჩება 145
შერცხვენილი მონადირე 148
სამი ტყუილი 152
მღვდელი და გლეხი 155
ქვის სეტყვა 158
ოქრომჭედლის ცოლი 161
ჭკუა და დოვლათი 165
მუჭანასევარი მარილი 168
ზარმაცი შვილი 171
ეშმაკის ლაგამი 174
ოქროსტარიანი ცული 177
ობოლი და ქოსატყუილა 180
ლედაკაცი და ეშმაკი 183
სიმართლე 187
სოდაგარი და მისი ცოლი 191
სამი გამოცანა 195
გლესი, მილა და ეშმაკი 199
ცეროდენა 203
ორი მეგობარი 208
მეცხვარე 212
მდიდარი და ღარიბი 216
არჩევანი 220
ბევრის მაძებარი, ცოტასაც დაკარგავს 224
სამი ძმა და ქოსატყუილა 228
ნაცარქექია 233
ალალი ორი შაური 238
ჭკუა მაქვს და ფული არა 243
ჭირვეული ხელმწიფე 248
ორი ქოსატყუილა 253
სტუმართმოყვარე ცოლი 258
სოლომონ ბრძენი და პატარა ბიჭი 265
მატყუარა ბატონი 270
ბრუამხიარული ცოლები 275
ხარბი და ალალ-მართალი 280
უქნარა 285

ორი ქურდი 290
მამასახლისი და გლეხის ბიჭი 295
ქალის კაბა 301
შრომა და იღბალი 306
მორჯულებული ცოლი 312
სახუტა 318
მეფობას ხელობა ჯობია 325
ხელმწიფე და გლეხის ქალი 332
კომბლე 339
სიმდიდრე ჯობია თუ სიღარიბე 346
ვაჭარი და გურული 353
ჭკვიანი ნავეზირალი 362
ამსანაგს ნუ უღალატებ 371
სამი სიბრძნე 381

ჯადოსნური ზღაპრები

[illegible] 395
[illegible] ფერო საკვირველია 398
[illegible] ძალა 401
[illegible] 405
სიკვდილი და ყაჩაღი 409
სამი და 414
ბედის მაძებარი 421
კაცის ძალა 425
ბედისწერა 429
უკვდავი კაცი 433
კოკოჭინა 43[illegible]
ხელმწიფის დედა 44[illegible]
ჯერართქმული სიმართლე 448
[illegible] 45[illegible]
[illegible] 46[illegible]
[illegible]
ძონადირის შვილი
მინდვრის ქალი
ცურმოჭრილი ფურირემი
საზღაური [illegible]
ბონკია 5[illegible]
ასფურცელა 518
შავჩიტა რაში 52[illegible]
ცხრა ძმა და ერთი და [illegible]
ადიხანჯალა [illegible]